საბჭოთა მწერალთა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1981

ПЕСЕНКА

ПРО ЛОПАРЕВА

ეს მოგონებები იწერება იმ მოსაზრებით, რომ რომელიმე მკვლევარმა ჩვენი წარსული ცხოვრების სურათის დასახატავად შეიძლება ამ სტრიქონებშიაც იპოვოს გამოსადეგი რამ მასალა. თუ ეს ასე იქნა, მაშინ ამის დაწერაც გამართლებული იქნება და დამწერიც დიდად დაკმაყოფილებული.

ნაშრომს კი ვუძღვნი მათ ხსოვნას, ვინც გული სიყვარულით გამითბო, მასწავლა ადამიანის პატივისცემა და ნდობა. მოკლე მონაკონებში არაფერი შეფერადებული არ იქნება, მხოლოდ სინამდვილე, სინამდვილე, რომელსაც გადაუხრელად ვემსახურებოდი მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში.

ავტორი

თავი პირველი

დედული, — შეძლებული იმერელი აზნაურის ტიპიური ოჯახი. — სოფელი სიმონეთი. — მშობლები და მამობილი დათიკა გიორგაძე. — ნაყმევი სამონა ამოლტია.

დედული ჩემი არის პატარა სოფელი ხომული, რომელიც მდებარეობს ქუთაისიდან წყალტუბოსაკენ მიმავალ გზაზე. ქუთაისიდან ამ სოფლამდე ექვსი ვერსია. დედაჩემი, კესარია, იყო ხომულელი შეძლებული აზნაურის ნიკო ღოღობერიძის ერთადერთი ქალიშვილი. ბაბუაჩემი (დედის მამა) თავის შესახედაობით ქვემოიმერელი აზნაურის ტიპიური წარმომადგენელი იყო: მაღალი, წვრილი, პირხმელი, მუდამ ფაფანაკით თავზე, შავი ჩოხით, ხანჯლით შავ ქამარზე, გადაკიდებულ ხმლით, გვერდზე ჩამოკიდებულ ნაქარგი ქისით, რომელშიც თუთუნი და მოკლე ჩიბუხი ეწყო. ამასთან დინჯი, დარბაისელი, განსხვავებული მოლაპარაკე, თუმცა ენა ებორძიკებოდა. შნოიანი კაცი იყო მოხუცებული, მაგრამ არ იცოდა წერა, არც კითხვა და არც ეხერხებოდა ქაღალდის ფულის დათვლა.

დიდ, ფართოდ გაშლილ ეზოს ერთ მხარეს იდგა დიდი ორსართულიანი სახლი. ქვედა სართული იყო ქვითკირის, ზედა კი ფართო აივნიანი, ხის. მოშორებით იდგა დიდი, გრძელი, ისლით დახურული სამზარეულო, მის გვერდით საქონლის სადგომი, შემდეგ თავლა, სახარჯო სიმინდისათვის პატარა ხულა. ამას მიყვებოდა საქათმე, საბატე, საღორე; იქით თორნე, მარანი და სანადირო ძაღლების სახლი; განაპირას იდგა ორი ორსართულიანი ხულა, მუდამ სავსე სიმინდით, ღომით, პურით და ფეტვით; ეზოს შორეულ კუნჭულში მოზრდილი შენობა — კამეჩების სადგომი. ეზოს გადაღმა, მოკრულ წაბლარში — სათხებო და ცხვრის ფარეხი. აქაურობა პირდაპირ ბაზარს ჰგავდა. ყოველივე ამას, აქ მოთავსებულ ქონებას, რასაკვირველია, ბევრი მომვლელი ხელი ეჭირვებოდა და ასეც იყო, — სამზარეულოში აუარებელი მოსამსახურე ხალხი ფუსფუსებდა და ტრიალობდა; ამათთან ტრიალობდნენ ორივე ოჯახის შვილებიც, ჩემი ბიძები. სხვანაირი მოხერხება და თავიანობა იყო საჭირო ოჯახის საქმის გასაძღოლად და, რადგან ბებიაჩემი სუსტი ქალი იყო ჯანით, ეს დაკისრებული ჰქონდა ბიცოლაჩემს: მას ჰქონდა ჩაბარებული ოჯახის შინაურული საქმის ხელმძღვანელობა და იგიც საოცარი მოხერხებით და მარჯვედ უძღვებოდა მას. ჩუმი, მოკლედ ლაპარაკს ჩვეული, უბრალოდ ჩაცმული, მოძრავი, იგი დილიდან შუაღამემდი საქნარში იყო ჩაბმული, თითქოს დაღალვა მისთვის არ არსებობდა. ოჯახის ყველაფერი საქმე მას ეკითხებოდა და მის დაუკითხავად არაფერი გაიცემოდა, არაფერი განათხოვრდებოდა.

ჩიქოვანის ქალმა იცის! — უამისოდ ვერავინ ხელს ვერ აჭლებდა ოჯახის ქონებას. ქმარიც და მაზლიც დიდი მორჩილებით იყენენ მასთან. ბაბუაჩემი განსხვავებული პატივისცემით ეპყრობოდა მას. ჩვენ, ბავშვებს, თან გვეშინოდა ბიცოლა ელისაბედის, თან გვიყვარდა ღრმა სიყვარულით; მან წერა-კითხვაც იცოდა და ყველა მის შვილს ნასწავლი ჰქონდათ წიგნი. ჩემმა ბიძებმა, როგორც უფროსმა, ისე უმცროსმა, წერა-კითხვა არ იცოდნენ. წერა-კითხვის ვარდა ბიცოლა თავის ქალიშვილებს ასწავლიდა მეოჯახეობას, მუდამ საქნარში ჰყავდა ისინი ჩაბმული და იხმარებდა ოჯახის მოვლაში. მისი უფროსობა არ შეზღუდულა არც მაშინ, როცა მეორე ჩემმა ბიძამ ცოლი შეირთო, ლორთქიფანიძის ქალი; ახალი ოჯახის რძალი ხალისიანი, თავდაბალი, ტკბილ შემხვდომი ადამიანი იყო; მასთან ყველა უფრო თამამად და გაბედულად იყო და ყველას ძლიერ უყვარდა. ამასაც დიდი მორიდება ჰქონდა უფროსი რძლის და მორჩილი, მიმყოლი ამხანაგი იყო მისი. წერილმანი საქმე ოჯახის უფროსის დაუკითხავად სწყდებოდა უმეტეს ნაწილად, ხოლო უფრო რთული კი შეხსენდებოდა ნების დასართავად.

საცხოვრებლად ბაბუას განსაკუთრებული კუნჭული ჰქონდა. ეს იყო ზედა სართულში ამყვან კიბის მახლობლად, დაბლა სართულის — პალატის ოთახი. პატარა ბუხრიან ოთახში ერთ კედელთან საწოლი იდგა, მეორე კედელს კი ჩაყოლებული ჰქონდა ვიწრო ჩამოსაჯდომი ტახტი; სინათლე შემოდიოდა პატარა, მაღლად დატანებული ფანჯრიდან. ამ ოთახში ცხოვრობდა მოხუცებული და მის ნებადართავად შიგ ვერავინ შევიდოდა. შვილებიც კი კარზე მიდგომით ელაპარაკებოდნენ მეტ შემთხვევაში. ამ ოთახში ჭამდა სადილს მოხუცებული, რაზედაც უნდა შეკითხებოდნენ წინდაწინ. ვახშამსაც აქ გაშლიდნენ, ესეც მისი ნებადართვით. დაბალ ვიწრო სუფრას სადილ-ვახშამზე მოუსხდებოდნენ მხოლოდ უფროსები. ბავშვებს აქ ადგილი არ ჰქონდათ; მხოლოდ მე ვიყავი გამონაკლისი, — ყოველთვის ამათთან ვსადილ-ვვახშმობდი ბაბუას მახლობლად მჯდომი, სადაც სინათლე იყო მხოლოდ ვახშმობისას; ინთებოდა ქონის სანთელი, რადგან მაშინ ნავთი ხმარებაში არ იყო და ლამპა არ იცოდნენ. თუ მოსარიდებელი იქნებოდა ვინმე ვახშამზე, მოუკიდებდნენ ქონის სანთლის მაგივრად კარტოფილის სანთელს, სხვა დროს ოთახი ნათდებოდა ბუხარში ანთებული ცეცხლის ალით.

ზაფხულის დღეებში მოხუცებული მეტწილად გარეთ იყო. სახლის წინ, ყოფილი ტალავრის ქვეშ, იჯდა გაშლილი ჩოხით, ახალობის საყელო შეხსნილი, ტიტველა ფეხებზე ფოსტლებით; გვერდით ედგა ქისა თუთუნით და გრძელტარიანი ჩიბუხი. მოხუცებული იჯდა მარტოდ, სანამ ვისმეს არ მიიხმობდა. მე ყოველთვის მომიჯენდა გვერდით, მეძახოდა „რუსო, რუსო“ და მესიყვარულებოდა. ჩემს ბიძებს ისეთი მორიდება ჰქონდათ მოხუცებულის, რომ თუ სუფრაზე არა, ისე მასთან არ დაჯდებოდნენ.

საყვარელი სამყოფი ჩემთვისაც და სხვა ბავშვებისათვის იყო სამზარეულო სახლი, სადაც, როგორც ვთქვი, აუარებელი ხალხი ფუსფუსობდა. მიყვარდა აქ ყოფნა, აქ შუა ცეცხლის პირას მოყაყანე ხალხში გარევა. რა ზღაპარს, რა ანეკდოტს, რა ამბავს, ხუმრობას არ გაიგონებდი ხოლმე! ეუჯეკი მუხლებზე ხან ერთს, ხან მეორეს და ეუსმენდი ამათ გაუთავებელ ლაპარაკს. განსაკუთრებით დიდძალი ხალხი მოიყრიდა თავს სამზარეულოში, როცა ღვეზილებს აცხობდნენ ან დიდ ჭადის-ჭადს. ამ დღეს სოფლიდანაც ბევრი მოდიოდა. რადგან ღვეზილის გამოცხობას სხვანაირი ხელი ეჭირვებოდა. ღვეზილი — ეს დიდი ხაჭაპურია, ყველით და მოხარშული კვერცხებით გატენილი, არშინი, არშინზე მეტიც დიამეტრში, სამი-ოთხი გოჯა სისქით. ამის გამოსაცხობად კეთდებოდა თხელი ყავრისაგან ერთგვარი კალაპოტი, რომელსაც ჩადგამდნენ გაქიაქებულ ნაკვერცხალ-

ში და ჩადებდნენ შიგ ვეება ხაჭაპურს; ცომს ზემოდან დააფენდნენ ნეშოს და წააყრიდნენ ნაკვერცხალს. ღვეზელის გამოცხობას განსხვავებული მოხერხება ეჭირვებოდა და კარგი, გამოცდილი ხელი. გამომცხვარი ღვეზელი დიდი მოწიწებით გადაჰქონდათ საკუჭნაო ოთახში შესანახად. ამგვარივე ამბავი იყო დიდ ჭადის-ჭადის გამოცხობაზეც. დიდ ღვეზილებთან და ჭადის-ჭადთან აცხობდნენ პატარებსაც და ამ პატარებს უხვად ატანდნენ სოფლიდან მომხმარეთ მოსულთ. გაცემა ყოველთვის დიდი იყო; მთხოვნელი მუდამ მრავალი იყო და უარით მთხოვნელის გაბრუნება ოჯახს არ ჩვეოდა, მაგრამ ამ დღეს უფრო უხვი გაცემა იყო ხოლმე. ეს დღეები სხვანაირად მიყვარდა, რადგან სამზარეულოში უფრო მეტი ხალხი ტრიალობდა, უფრო მეტი ერიამული და სიცოცხლე იყო. მაშინ აქ უსათუოდ ვხედავდით ვინც სოფელში გვიყვარდა, რადგან ამ დღეს უსათუოდ იცოდნენ მოსვლა. ამათში, მახსოვს, განსხვავებით გვიყვარდა სიცოცხლით სავსე, მხიარული, ხალისიანი, ოხუნჯი თედორია პაპავა. მისი დანახვა არა თუ ჩვენ, ბავშვებს, გვგვრიდა სიამოვნებას. ბაბუაც კი, როგორც მოჰკრავდა თედორიას თვალს, წამოიძახებდა:

— თედორიეს დამიძახეთ!

მიიხმობდა თედორიას, ესეც მოშორებით დაუდგებოდა წინ და თავისი ხალისიანი ენით ემუსაიფებოდა მოხუცებულს, რომელსაც. როგორც ეტყობოდა, დიდად სიამოვნებდა მასთან ლაპარაკი.

განსხვავებულად მიყვარდა ბაბუას ოჯახში გაზრდილი გლეხი შოშიელა კინწრიაშვილი. ჯანით სუსტი, იგი ვერ ეწეოდა საჭირო მუშაობას და ღარიბი ოჯახის პატრონი იყო. ბაბუას ოჯახიდან დიდი ხელისწყობა ჰქონდა მას, მაგრამ იგი მაინც საწყლად იყო. დედაჩემი რომ მივიდოდა თავის სახლს — უსათუოდ შემოიელიდა ფანცხავებს, პაპავებს და შოშიელასათვის მიჰქონდა საჩუქრები; ყველას გვიყვარდა წყნარი შოშიელა, ყველას გვეცოდებოდა, მაგრამ დედაჩემს განსაკუთრებით, რადგან პატარაობისას ერთად იზრდებოდნენ. შოშიელას უფროსი ძმა სესელია, მოურავად ჰყავდა ბაბუაჩემს. კაცი ეშმაკი, გაიძვერა, მოქარგული ენით მოლაპარაკე, რისი წყალობითაც მოხუცებული ხელში ჰყავდა ჩაჭერილი; მისი რჩევის გამგონი და დამჯერი იყო ბაბუა. ვერც შვილები და ვერც რძლები ვერას ეუბნებოდნენ მოხუცებულს ხათრით, რადგან იცოდნენ, რომ ეს საწყენად დაურჩებოდა მას; ცუღლუტი, მოხერხებული მოურავი კი ამით სარგებლობდა, სტყუებდა ბატონს რაც ეპრიანებოდა. ამ გამონაცინცლავით დაბოლოს მან იყიდა წყალტუბოს მახლობლად მშვენიერი მაღლობი ადგილი, ამართა ზედ სამი სახლი და გააჩაღა მდიდრული ოჯახი. მოხუცებაში იგი ისე ირჯებოდა, როგორც მისი ნაბა-

ტონარი — იჯდა გრძელტარიანი ჩიბუხით ხელში და იმსახურებდა შვილებსა და რძლებს. თავის ეშმაკობით მან ერთ დღეს წაკიდა ბაბუა და უმცროსი ბიძაჩემი, — უფროსი ამ დროს მკვდარი იყო. მოხუცებულ მამას გაეყო შვილი და ცალკე მოსახლეობა გაიწყო. მოხუცებული შეწუხდა შვილის გაშორებით, ჯავრს მიეცა და ჯავრმა მოტეხა და კიდეც გადაიტანა. გაიძვერა სესელიამ რამდენიმე ხნის შემდეგ მოირიგა ბიძაჩემი თავისი მოხერხებული ქცევით და ისევ ახლობელი კაცი შეიქნა ორივე ოჯახში. ბიძაჩემმა, რასაკვირველია, ვერ მოახერხა ისეთი ოჯახის გამართვა, როგორიც ჰქონდათ. ძველ ოჯახსაც უმძიმდებოდა თავის შენახვა, თუმცა ამისათვის ძლიერ მეცადინობდა ახალი პატრონი, სამსახურში მყოფი ჩემი ბიძაშვილი. კიდევ ერთგვარად უძლებდა ახალ-ახალ მოთხოვნილებათ, სანამ ცოცხალი იყო დაუღალავი ოჯახის ნამდვილი მუშა — ბიცოლაჩემი; მისი სიკვდილის შემდეგ არავინ აღმოჩნდა მისებური მომქმედი, მოსაქნარე და შეძლებულმა, მდიდრად ნამყოფმა ოჯახმა იცვალა ფერი, ჩამოიქვეითა და უკან-უკან მისრიალებდა.

* *

მეორე ბაბუაჩემი სოფელ სიმონეთში მცხოვრები ღარიბი აზნაური იყო. ღარიბმა მაინც მოახერხა თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახის შენახვა, დაათხოვა ყველა ქალიშვილი და ორ უფროს ვაჟს ცოტაოდენი სწავლაც მიაღებინა ქუთაისში. მოხუცებულს ურჩებოდა უმცროსი ვაჟი სამსონი, მამაჩემი, — და რომ თავისი სიკვდილის შემდეგ პატარას ჰყოლებოდა გულითადი მომვლელი-მზრუნველი, მან მიიწვია მეზობელი გლეხი დათიკა გიორგაძე თავისი ცოლით, მამობილად მოჰკიდა შვილს და მისი ბედ-იღბალი იმათ ჩააბარა. ამათაც საკვლებით გაამართლეს მოხუცებულის იმედი და ნამდვილი დედ-მამობა გაუწიეს შვილობილს. ყოველნაირად უწყობდნენ ხელს ადრე ობლად დარჩენილს. შეაძლებინეს ესწავლა. ორკლასიანი სასწავლებელი გაათავებინეს ქუთაისში; დაეხმარნენ სამსახური ეშოვნა და კიდეც იშოვა — სამაზრო სამმართველოში შევიდა გადამწერად. იცოდა ლამაზი როგორც ქართული, ისე რუსული წერა. მუყაითი, მოხერხებული, კარგად გაუძღვა თავის სამსახურს, და ცოცხალმა, ლამაზმა, კოლეგსკი რეგისტრატორის ჩინით დაჯილდოვებულმა ყმაწვილმა იმდენი მოახერხა, რომ თავი მოაწონა მდიდარ მებატონეს და შეირთო მისი ერთადერთი ქალიშვილი ცოლად. დედობილ-მამობილმა მცირე მიწის მქონებელ შვილობილს ცოლის მოყვანაზე საჩუქრად თავს გადააგდეს ოთხ ქცევამდე მიწა, სამოსახლო და საყანე; მზითვად აღებული ფულის ნაწილით აყიდვინეს კიდევ

ადგილი, აყიდვინეს სახლი, მოუტანეს და დაუდგეს ნაჩუქარ ადგილში; მოუწყვეს ხული, ბეღელი, სამზარეულო, საბძელი — ერთი სიტყვით ყველაფრით გაუმართეს ოჯახი.

ერთ დღეს მამობილმა ძროხა მოუყვანა დედაჩემს.

--- კესა, ძროხა არ გყავთ — ეს კაი მოდგმის ძროხაა, გყავდეთ ოქვენ; მოუარე და საქონელი მოიშენეთ, — უთხრა დათიკამ და დაულოცა ნაჩუქარი. ძროხა მართლაც მშვენიერი გამოდგა და შემდეგში დიდძალი საქონელი მოშენდა მისგან.

დღე არ გაივლიდა ისე, რომ მამობილს თვალი არ გადაევლო შვილობილის ოჯახისათვის. მამაჩემი კი ქუთაისში განაგრძობდა სამსახურს. დათიკა იყო ჩვენი ოჯახის მეთვალყურე, მოჯამაგირეთა დამრიგებელი და ხელმძღვანელი. მასთან ერთად ხშირად ამაში მონაწილეობას ღებულობდა მისი უმცროსი ძმა ივანე, ესეც დათიკასავით კეთილი გულით განწყობილი ჩვენი ოჯახისადმი. უშვილო დათიკამ ნამდვილ შვილად მიიჩნია თავისი შვილობილი და სამაგალითო პატიოსნად აუსრულა ბაბუაჩემს იმედი, რომ უმცროსი შვილი უპატრონოდ არ დარჩებოდა დათიკას ხელში. სიკვდილამდე იგი მომვლელი იყო ჩვენი ოჯახის. ეს დალოცვილი ბუნების ადამიანი მარტო ჩვენთან არ იყო ასეთი გულკეთილი, — იგი იყო ნამდვილი კაცთმოყვარე ადამიანი, რომ იტყვიან; მუდამ მზად იყო ყოველი გაჭირვებულის შესაწევად, და ამის გამო დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული სოფლელებისაგან; ყველას უყვარდა იგი და დიდ პატივს სცემდა მის ოჯახს. იგი ნამდვილი მშვენება იყო სოფლისა; მშვენიერი იყო დათიკა გარეგნობითაც: მაღალი, ფართო მხარბეჭიანი, ტანწვრილი, სასიამოვნო სახით, მოგრძო გათეთრებული თმით. მოძრავი, რიხიანი ხმით მოლაპარაკე, მხიარული ადამიანი, ქეიფის მოყვარული. გაკვირვებას ვარ ახლა, რომ გამახსენდება ის ვეებერთელა ხის კათხები, იგი რომ სცლიდა ხოლმე ერთი აღებით ხელში. ჩხუბი არასოდეს არავის არ ახსოვს მისგან. არავის ახსოვდა, რომ იმ სუფრაზე, სადაც დათიკა იჯდა, აყალმაყალი მომხდარიყო, როგორი გადარეული სმაც უნდა ყოფილიყო.

— იალა! — დასძახებდა ის და თავის დიდ ბოხოს ჯერ მაღლა შეაგდებდა და მერე ძირს დააბერტყებდა. ყოველ კვირა-უქმე დღეს მათი დიდი სახლის ფართო აივანზე უსათუოდ მრავლად თავშეყრილი სტუმრები იყვნენ — სმაში და სიმღერაში გართულნი.

ქეიფიც უყვარდათ ორივე ძმებს და მუშაობაც. ორივენი სამაგალითო მუშები იყვნენ და ამიტომაც ოჯახიც ყველაფრით სავსე. რის გამო თავათაც კარგად ცხოვრობდნენ და შეძლება ჰქონდათ საკვებით გამოეჩინათ თავიანთი გულკეთილობა და ყოველი გაჭირ-

ვებულისათვის შესაწევად მზად ყოფნა. ამ დროს უფრო ნადით: იცოდნენ ყანების დამუშავება და დათიკა მართლა სანახავი იყო ნადის თავში ჩამდგარი თოხით, მის გვერდით ყოველთვის მისი ძმა ივანე და მათი გუგუნი ნადურის თქმაში. ვიმეორებ, ქეიფიც იცოდნენ ორივე ძმებმა, მუშაობაც და ადამიანის მიხედვაც, რამაც შეაყვარა მათი თავი და მათი ოჯახი არა თუ მეზობლებს, სოფლის გადაღმაც. ამ ადამიანმა ისე გაატარა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე — იგი მოკვდა ღრმა მოხუცებული — ისე რომ სასამართლოში ფეხი არ შეუდგამს არც მომჩივნად, არც მოწმედ, — გადამეტებით ეჯავრებოდა ყოველგვარი შფოთი და არევ-დარევა. ერთხელ ბიძაჩემს და მამაჩემს დავა აუტყდათ. ბიძაჩემმა უთხრა დათიკას: მოწმედ უნდა დაგასახელოვო.

— შენს სულს დაენაცვლოს დათიკა გიორგაძე, რაც გნებავს ის მიყავი და მაგას ნუ მიზამ! — შეევედრა დათიკა. — დაანებეთ თავი საჩივარს, სასამართლოში სიარულს. ჩვენ მოვაგვარებთ საქმეს, ჩვენ მოვსპობთ თქვენ შორის შფოთს და უსიამოვნობას!

ცოლიც თავისი შესაფერისი ჰყავდა დათიკას. მელანა ჩიხლაძის ქალი (როგორც მას უწოდებდნენ) დიდი პატივისცემით იხსენიებოდა სოფელში. დინჯი, დარბაისელი, იგი ცნობილი იყო როგორც ექიმი ქალი და მისი წამლებით მრავალი ხალხი სარგებლობდა და დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი.

ჩვენს ახალ მოსახლეობას დიდი და ერთგული მეთვალყურე და მზრუნველი ჩვენს გადიაშიაც ჰყავდა. იგი დარჩა ბიძაჩემთან, არ მოშორდა ძველ სამოსახლოს. გურული ქალი იყო, ბაბუაჩემისაგან გურიაში ნაყიდი. დროთა განმავლობაში იგი ისე შეეთვისა და შეუერთდა ახალ ოჯახს, რომ, როცა ერთხელ ძმები მოუვიდა გურიიდან და უთხრეს სამშობლოში დაბრუნება, მან მტკიცე უარი განაცხადა და არ მოშორდა თავის გაზრდილებს — ბიძაჩემს და მამაჩემს და ჩვენ — პატარებს. დღე არ გაივლიდა, რომ ჩვენი ახალი ოჯახი უნახავი დარჩენოდა. თუ რამე არ მოეწონებოდა, დედაჩემისათვის დარიგება მზად იყო და მისგან შეწყრომასაც არა ერთხელ ჰქონებია ადგილი. პატივისცემა და მორიდება მისი ისეთი იყო, რომ როცა ბიძაჩემი ქუთაისში გადავიდა საცხოვრებლად, გადიას ხათრით სახლი ვერ გაყიდა სოფელში, გადიას უქირავა მოსამსახურე გოგო და ყველაფერი ისე დარჩა, როგორც წინათ. მოხუცებული (სანდომისა ერქვა სახელად) ჩვენ ყველას განსხვავებულად გვიყვარდა და მასაც ღრმად, სავსე გულით ვუყვარდით. ამ სიყვარულმა მოუსპო კიდევაც მას სიცოცხლე: — ბიძაჩემს მოუკვდა ოცი წლის ვაჟი; მშობლებზე არა ნაკლებ იჯავრა და იმწუხარა მან უმაწვილის დაკარგვა, გაზრდილის გარდაცვალება და მოხუცებულმა მოკლე ხანში დალია სული.

ჩვენს ოჯახში ცხოვრობდა ჩვენთან შემოთვისებული მოხუცი, რომლის ხსოვნას დავიწყებას ვერ მივცემ. ეს იყო ჩვენი ნაყმევი — სიმონა აშოლტია. სიმონას ვაჟი არ ჰყოლია, ჰყავდა სამი ქალიშვილი, სამივე გათხოვილი იყო. ამაყმა მოხუცებულმა ვერ გასძლო ვერც ერთთან; მოვიდა ჩვენთან, დედაჩემს სთხოვა მიეღო ოჯახში და მიეცა მისთვის საცხოვრებელი ბინა. არც დედამ და არც მამამ უარი არ უთხრეს მოხუცებულს. მუშაობა აღარ შეეძლო სიმონას, მაგრამ ხეხილის მყნა კარგად რომ იცოდა — ამას არ იშლიდა და მთლად ეზო-გარემო აავსო დამყნილ-დარგული ხეხილით. დიდი გამოცდილების, ფხიზელი გონების პატრონი, ჭკვიანი, მშვენიერი მოლაპარაკე, ყოველთვის სუფთად ჩაცმული — იგი უნებლიეთ მისდამი პატივისცემას იწვევდა. მას ჰქონდა მიჩენილი თავისი კუთხე; ზამთარში იჯდა ყალიონით პალატის ბუხრის პირას, მისგან ნაგულებ ადგილას, რომელსაც არავინ არ დაიკავებდა მისი ხათრით. სიმონამ აუარებელი ლექსი იცოდა, ზღაპრის შნოიანი მომყოლი იყო, იცოდა ათასი სხვადასხვა არაკი, ნათქვამები, ძველი ამბები; იცოდა ვახტანგ მეფის კანონების მრავალი მუხლი და შესაფერ ლაპარაკში მოჰყავდა ხოლმე. ყოველთვის, ბავშვობაშიც და მაშინაც, როცა წამოვიზარდე, მიყვარდა მისი ლექსის თქმა, არაკის და ამბების მოსმენა. მისგან გაგონილი რამდენიმე ლექსი, — სოლოლას ლექსი, ივანე კავთელის და კუნძულელის, — ერთხელ კიდეც ჩავიწერე და შემდეგ გაზეთ „ივერიაში“ გავგზავნე დასაბეჭდად. ოცდახუთი წელიწადი იცხოვრა მან ჩვენს ოჯახში, დიდ პატივისცემაში ყოფილმა დედაჩემისაგან. მოკვდა ღრმა მოხუცებული, ოთხმოცდაათი წლის, სიკვდილამდე ორი წლის წინ დაბრმავებული.

დიდი ნაწვალები ჰყავდა საწყალი სიმონა ბებუაჩემს. სამივე მისი ქალიშვილი გატანებული ჰყავდა მზითვად თავის ქალიშვილებისათვის. ვერ მოითმინა ამაყმა სიმონამ ასეთი შეუბრალებლობა და, რადგან ახლოს ვერ ეღირსა შებრალებას, — გასწია მეფის მოადგილესთან საჩივლელად. იმდენი ახერხა მან, რომ ბორჯომში მყოფ ეორონცოვს ჩაუვარდა ფეხებში და მოუყვა თავის გამწარებას. ეორონცოვმა შეიბრალა სიმონა და ბრძანება გამოუგზავნა ქუთაისის გუბერნატორს სიმონასათვის დაებრუნებინათ მისი ქალიშვილები. ქალიშვილები კი დაუბრუნეს, მაგრამ უფროსები ძალიან შემოუწყრენ.

— წამავლო ხელი, ბორჯომიდან დაბრუნებულს, — გამწარებული იტყოდა ხოლმე სიმონა, — წამავლო ხელი მაზრის უფროსმა, მიზანდარი იყო, და ციხეში შემაგდო, — რავა შეაწუხე მეფის მო-

დგილეო; შენისთანა კაცისაგან რას არ უნდა მოელოდეო; ორ თვემდი ეყავდი კარჩაკეტილში.

საჩივრის ასლი, ვორონცოვს რომ მიართვა, სიმონას მუდამ თან ჰქონდა და არაერთხელ გადუკითხვინებია ჩემთვის.

შემოთვისებული გვყავდა მამაჩემის შვილობილი ქალიშვილი მართა, ჩვენთან მდგარ მოჯამაგირე გლახუა პაპიძის და; საოცარი ტკბილი, მშვიდობიანი, მოსაქმე ადამიანი. და-ძმა უქონებო გლეხები იყვნენ. მართა კარგა ხანს იყო შვილივით მიღებული ჩვენს ოჯახში და როცა ჩვენებმა გაათხოვეს, იგი ხშირად მოდიოდა, როგორც თავის სახლს; ამგვარადვე სიკვდილამდე ჩვენთან კავშირი არ შეუწყვეტია არც ძმას, როცა იგი დაესიძა მეზობელ გლეხს და მოჯამაგირეობას გაანება თავი.

მოჯამაგირეებად გვყავდნენ ჩვენი მეზობლის, ლევანა გიორგაძის შვილები. ექვსი ვაჟი ჰყავდა ამ ლევანას და ყველანი რიგრიგობით ჩვენთან იდგნენ. — სიცოცხლით საესე ბიჭები, მუყაითი მუშები, ოჯახის ერთგულნი. დრომ გაიარა, ჟამმა, მაგრამ ჩვენი სიყვარულიანი ურთიერთობა დღესაც არ დარღვეულა და მე, მათ ხელში გაზრდილი, დღეს მოხუცი, ისინი ღრმად მოხუცებულები, მაგრამ ჭარმაგები, ისევ თბილი სიყვარულით ვხვდებით მუდამ ერთმანეთს.

ჩვენს ახლოს მეზობლად ცხოვრობდა „საიქიოს ნამყოფი“ გლეხი — ლევანა სირბილაძე — შესამჩნევი პიროვნება. ღარიბი, ნაკლები მუშა ლევანა, რომ იტყვიან, რიხიანი ყაზახი იყო. ფაფანაკი თავზე, — ბოხოს არ იხურავდა, არც ყაბალახს იკეთებდა, — რამდენიმე მედლით მაღალ მკერდზე, გვერდზე სათუთუნე ქისით, გრძელი ჯოხით ხელში, რიხიანი ხმით მოლაპარაკე — არ შეიძლებოდა, რაც დიდი შეყრილობა ყოფილიყო, ის არ შეგემჩნიათ, მასზე ყურადღება არ მიგექციათ. უყვარდა ლაპარაკი და ლაპარაკობდა, როგორც ნამდვილი ორატორი. მოხერხებული სიტყვის პატრონი იყო. ბევრი ამბავი იცოდა ლევანამ. დიდი ნამყოფი გლეხი იყო. ხშირად იტყოდა — დიდი ხნის სიცოცხლე მაქვსო, რადგან საიქიო მაქვს მონარებიო. „საიქიოს ყოფნის“ ამბავი არაერთხელ მომიყოლინებია ლევანასათვის და მისგან ეს ნაამბობი თითქმის სიტყვასიტყვით შეტანილი მაქვს ჩემს მოთხრობა „მსხვერპლში“.

მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავდა ღარიბ ლევანას, მაგრამ იგი გულს არ იტეხდა. არავითარ საზოგადო საქმეს არ აკლდებოდა. ქეიფიც კარგი იცოდა და კარგი მომღერალიც იყო. ვაჟი ერთი ჰყავდა ლევანას; ოსმალეთთან ომის დროს მთავრობამ რომ ქართული დრუ-

ქინები გამოიწვია, ლევანამ თავისი ერთგულების დასამტკიცებლად ეს ერთადერთი თავისი ვაჟი ომში გაგზავნა. ღარიბ ოჯახს თავი გამოჰქონდა ქალიშვილების წყალობით, განსაკუთრებით ორი უფროსის დახმარებით. სიცოცხლით სავსეთ ყველაფერი ემარჯვებოდათ, ხელსაქნარის მცოდნენი იყვნენ, ქსოვდნენ მშვენიერ ნოხებს, შალებს და ამგვარებს; წერა-კითხვაც კარგად იცოდნენ და ლექსის გამოთქმაც, რასაც არაერთხელ უსიამოვნობაში გაუბამს ცქრიალა ქალიშვილები. უფროსი და, ეკა, ჩემი გამზრდელი იყო. ახლაც მახსოვს მისგან ოსტატურად ნაამბობი ზღაპრები.

საზოგადოდ მეზობლები ძალიან შემოკრებილი ჰყავდა დედაჩემს, ჩვენი სახლის უკანა აივანზე ხშირად იცოდნენ მეზობლის ქალებმა თავმოყრა. მოდიოდნენ თავიანთ ხელსაქნარით და საღამომდი იყვნენ ხელსაქნარში და მუსაიფში გაბმულნი. ზაფხულობით კვირაუქმე დღეს თითქმის ყველა მეზობელი გლეხები ჩვენს ეზოში იყვნენ თავშეყრილნი; დასხდებოდნენ ან ნიგვზის ჩრდილში ან კვინცხის ქვეშ და იყვნენ ერთ სიცილში, ოხუნჯობაში და ხან საქმიან ლაპარაკში. შობა-ახალწელიწადს დარბაზი სავსე იყო ხალხით, მეზობელ სტუმრებით. განსაკუთრებით მრავლად იყრიდნენ თავს ნათლიღებას, — დედას ჰყავდა დიდძალი ნათლულები და ნათლიმამები, მრავლად მოდიოდნენ ძღვენით. რასაკვირველია, დედაც უხვდებოდა მათ შესაფერისად; მათთვის იშლებოდა უხვი სუფრა; იმართებოდა ტკბილი მოლხენა მთელი დღის განმავლობაში. ზამთრობით სადარბაზოს ბუხრის ცეცხლის პირად მრავლად ისხდნენ და შეექცეოდნენ ჩაის, ეკლესიაზე წასვლამდი. ნაჩაიებს მათი თანხლებით დედაჩემი და მე მივდიოდით ეკლესიაზე. თავისი კეთილი გულის გამო, ადამიანის მოსიყვარულე გულის პატრონმა, დედამ, ახლო მეზობლების გარდა, სხვაც ბევრი მოკეთე, მოსიყვარულე და პატივისმცემელი მოუპოვა ჩვენს ოჯახს. მამაც, რომელიც სამსახურში იყო ქუთაისში, გულითადი მომხრე იყო, როცა ვინმე სოფლიდან საქმეზე მიმართავდა მას. ამან შეაყვარა ჩემი თავი ჩვენს მეზობლებს და ტკბილ სიყვარულში გამატარებინა ჩემი ბავშვობა. მე რომ ეზოდან ფეხს გადავადგამდი — სახლში პირდაპირ დატვირთული ვბრუნდებოდით ხოლმე მე და ჩვენსა გოგოდ მდგომი ელისაბედი: — არ იქნებოდა, რომ ჩემს დამნახველს ან ქოჩორა ვარიკა, ან ვაშლი, ბია, ჩურჩხელა, ტკბილიკვერი და ამგვარები არ ეჩუქნა. ამ სიყვარულიანობის წყალობით ჩემი გულიც ადამიანის სიყვარულს ეჩვეოდა და სწავლობდა.

თავი მეორე

პირველდაწყებითი სწავლა. — ქუთაისის სასწავლებელში. — პირველი ქართული წიგნები. — რუსეთში გამგზავრება. კიევის სამხედრო გიმნაზიაში, — მოსკოვი. „ეპიშკა“. მეფე ალექსანდრე II-ს მოკვლა. — მოკლული მეფის მუნდირი. — საქართველოში დაბრუნება.

პირველი სწავლა დედაჩემმა დამაწყებინა. შემდეგ, რაკი საჭირო იყო რუსული ენის ცოდნა, მამაჩემმა მიმიყვანა ერთ რუსის ოჯახში რუსულის სასწავლებლად. ცოლ-ქმარი იყო და ჰყავდათ ჩემი ტოლი პატარა ქალიშვილი; კაცი „ლეკარი“ იყო, ექიმი; ცოლი გარუსებული ლეკის ქალი. ამის მამობილს, პოლკის კომანდირს, ლეკებთან ომის დროს აყრილ სოფელში ენახა ბავშვი. წამოეყვანა, ეშვილა და თავის ოჯახში გაეზარდა; შემდეგ მიეთხოვებინა ამ მკურნალისათვის, იაკობ ივანიჩ ივანოვისათვის.

კარგად მიმიღო ორივემ, დიდად მომეფერენ, მაგრამ მე მაინც ჩემი ვქენი — მეორე დღეს დილით ადრე გაპარვას დავადექი და კარს კიდევაც გადავაბიჯე ფეხი, მაგრამ კიბეზე მტაცეს ხელი და დამაბრუნეს მტირალი.

ვერავითარმა მოფერებამ ვერა გააწყო-რა ჩემთან; ქალმა ქართული იცოდა და ქართულადაც მესიყვარულებოდა, მე მაინც მწარედ მოვთქვამდი; მოვიდა მამაჩემიც, მაგრამ ვერც ამან დამაწყნარა. გამაბრუნეს სოფელში რამდენიმე ხნით. მეორე ჩამოსვლაზე დედაც გამომყვა და როგორც იქნა დამამაგრეს ამ ახალ ოჯახში. ორივე ცოლ-ქმარი დიდი სიყვარულით მეპყრობოდნენ და სულ მოკლე ხანში მიმიჩვიეს. ოჯახის უფროსი ხალისიანი კაცი იყო; მუდამ გვათამაშებდა ბავშვებს და ისე შემიტყუეს, რომ ჩემი საკუთარი ოჯახი თითქმის დამავიწყებინეს. დიდი ამაგი დამდვეს ამ ივანოვმა და მისმა ცოლმა, ვარვარა ნაუმოვნამ — მათ სულ მოკლე ხანში შემასწავლეს ენაც, წერა და კითხვაც. დამაჯენდა ხოლმე იაკობ ივანიჩი საკითხავად და გვერდით მომჯდარი ხან მეხუმრებოდა, ხან მაცინებდა და მაყვარებდა სწავლას. ამის გამო არასოდეს სწავლაზე დაჯდომა არ შემზარებია — ის კი არა, მეხალისებოდა კიდეც.

იმ ბინაზე, სადაც მამაჩემი იდგა, და სადაც მე ხანდახან მივდიოდი და ვრჩებოდი ხოლმე რამდენიმე დღე, ვხვდებოდი გიმნაზიის მოსწავლე ყმაწვილს, გვარად ჩიქოვანს. ლეჩხუმელი იყო. ამ ყმაწვილმა მშვენიერი ქართული კითხვა იცოდა და მახსოვს ერთხელ ძლიერ დამაინტერესა წანაკითხით — ეს იყო ილია ჭავჭავაძის პოემა „აკაკო“. ამან ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ როგორც კი

შევხვდებოდი ამ ყმაწვილს, არ მოვეშვებოდი, სანამ ან ისევ კაკოს ამბავს, ან სხვა რამეს არ წავაკითხებდი. გულდასაწყვეტად ის მქონდა, რომ საინტერესო ადგილას წყდებოდა კაკოს ამბავი და მისი გაგრძელება არ იყო.

როცა ერთრიგად მოვმაგრდი სწავლაში, მამაჩემმა მიმაბარა ქრელოვის მოსამზადებელ სასწავლებელში. აქ ამზადებდნენ ბავშვებს გიმნაზიაში შესასვლელად. სასწავლებელი იყო ორგანყოფილებიანი. თვით სასაწავლებლის გამგე, ანდრეი ივანიჩ მრეველოვი, შშვენიერი, ტკბილი, ბავშვების მოსიყვარე ადამიანი იყო. ჩვენც ძლიერ გვიყვარდა იგი. მასწავლებლებში თავზარს გვცემდა სამღვდელო სკოლის მასწავლებელი მღვდელი გვარად ზებედოვი. ეკი მოწაფეს, რომელსაც რაიმე შეეშლებოდა — მღვდელი აყვირდებოდა, ამოერეოდა ბრაზი და უმოწყალოდ უთხლაშუნებდა სახაზავს გაპოწკილ ხელისგულზე. ხანდახან ბრაზმორეულს მარცხენა ხელით ეკავა მარჯვენა ხელის განიერი სახელო და ამ მარჯვენა ხელით ყურის ძირებს დაუსიებდა ცემით ხოლმე წინა პარტაზე მჯდომ მოწაფეებს განურჩევლად იმისა, დამნაშავე იყო ის, თუ არა. მცოდნეს და არმცოდნეს ერთნაირად ექცეოდა— ბრაზმორეულმა გარჩევა არ იცოდა. ბევრჯერ ბედად მე მოშორებით ვიჯექი და მოძღვრის სახაზავი და არც ბევრი მძღავრი მარჯვენა არ მიგემნია.

ერთ დღეს მამამ გამომიცხადა, რომ რუსეთში წასასვლელად გამოცდაზე უნდა წავყოლოდი. ყოველ წლობით მთავრობას მიჰყავდა თბილისის და ქუთაისის გუბერნიებიდან თავად-აზნაურთა ორმოცორმოცი ბავშვი სამხედრო სასწავლებელში, კორპუსებში. მიჰყავდათ ისინი იმ მიზნით, რომ გაერუსებინათ. და კიდევაც მიზანს აღწევდა, რადგან რუსეთში, სამშობლოს მოწყვეტილი ბავშვები, ივიწყებდნენ ქართულ ენას, ზნეს. ბრუნდებოდნენ ქართული გვარით, მაგრამ ერთიანად, თავიდან-ფეხებამდე გარუსებული. თავად-აზნაურობა დიდი ხალისით აძლევდა ბავშვებს მთავრობას, რადგან ის ზრდიდა თავის ხარჯზე და მშობლებს ანთავისუფლებდა ყოველი ხარჯისაგან.

მე კარგად ვიყავი მომზადებული და გამოცდაც კარგად დავიჭირე. ამასთანავე მამაჩემს ძლიერ ეხმარებოდა მაზრის უფროსი, რომელსაც მეტად უყვარდა მშრომელი, დაუღალავი, ცოცხალი მოზელე; ეხმარებოდა რომ მოვხვედრილიყავ რუსეთში გასაგზავნ ბავშვებში. მიზანს კიდეც მიაღწიეს და ცხრა წლის ბავშვი, 1872 წლის ნოემბრისთვეში სხვებთან ერთად მეც გამამგზავრეს. თბილისიდან ჩამოყვანილ ბავშვებს მიგვამატეს ჩვენ, ქუთაისლები, და ორმოცდაორი ბავშვი ჩაგვაბარეს წასაყვანად ვიღაც შეხნიერებულ მაიორს.

ჩაგვიყვანეს ფოთში, რომ ზღვით წავეყვანეთ რუსეთში. მე მამაჩემი არ მომშორებია, თან მიმყვებოდა და მპირდებოდა სოხუმამდი მიგყეებიო. ეძნელებოდა ერთადერთი ვაჟიშვილის მოცილება. მაგრამ დასძლია თავს და ფოთში ჩამომშორდა ჩემთვის გაუგებრად. ჩვენი პარტია იმ წელიწადს იყო დანიშნული კიევის სამხედრო გიმნაზიისათვის. კორპუსი, ძველი, სალდათური კორპუსი, ის იყო მოშალეს, ვადაკეთეს სხვანაირად — დაარქვეს სამხედრო გიმნაზია; ჩამოაცალეს ყოველი მბეღრული, გარდა ტანისამოსის ფორმისა; სწავლა იყო რეალურ სასწავლებლის პროგრამის მიხედვით, შვიდკლასიანი, ახალი უცხო ენებით, ნაცელად ლათინურისა და ბერძნულისა. აღმზრდელები უმეტეს ნაწილად არასამხედრო პირები, „შტაცკენები" იყვნენ, უმაღლეს სწავლამიღებულნი. მასწავლებელთა შორის ბევრი იყო კიევის უნივერსიტეტის პროფესორიც. ეს იყო ცნობილი, ევრეთ წოდებული „ბილიუტინის სამხედრო გიმნაზია".

როცა ჩვენ მიგვიყვანეს, დირექტორად იყო ახალგაზრდა კაცი, ოცდათორმეტი წლის, გვარდიის არტილერიის პოლკოვნიკი, აკადემიადამთავრებული, გვარად იუშენოვი.

მაიორმა მიგვიყვანა გიმნაზიაში. აქ დანიშნული იყო ხელახალი გამოცდა. უზარმაზარ დარბაზში დაგვაყენეს და საწერი მოგვცეს. ორმოცდაორი ბავშვიდან დაგვტოვეს ოცდახუთი; სხვები გადააგზავნეს პროგიმნაზიებში. დარჩენილები გაგვანაწილეს განყოფილებებში და აღმზრდელებს ჩაგვაბარეს. მე შემხვდა აღმზრდელად ვინმე მიხაილ სტეპანიჩ ესიკორსკი. ეს კაცი ნამდვილი მამა აღმოჩნდა მისადმი მიბარებულ ბავშვებისათვის, განსაკუთრებით ჩვენთვის, ქართველებისათვის. არ ეიცი, თუ იმაზე მეტი სიყვარულობა და გულითადი მოპყრობა შეიძლება. ის რომ გვეპყრობოდა და გვექცეოდა. ვეცოდებოდით შორიდან მოყვანილი ბავშვები და რომ არ მოგვწყენოდა, ყოველდღე სასადილევს ორ-ორი მივყავდით თავის ოჯახში და საღამომდი გვართობდა. ცოლ-ქმარი იყო. შვილი არ ჰყოლიათ. და შვილებად ჩვენ ვყავდით. გულისფანცქალით ველოდებოდით. როცა მოვიდოდა წაყვანის დრო და ტკბილ მოფერებასიყვარულში გასატარებელი დღე. მისი სიტყვა-დარიგება ჩვენთვის უძლიერესი კანონი იყო. ამას არღვევდა მხოლოდ ორი ბავშვი, ბეგთაბეგოვი და მიტკევიჩი — დაუწყნარებელი, გადარეული ცელქები. მოთმინებიდან გამოსულმა აღმზრდელმა გამოგვიცხადა. რომ განყოფილებას ეტოვებო და სხვაგან გადავდივარო. აღარ მოგვეკარა. ჩვენ ერთი დღე მოვითმინეთ, მეორე დღეს კი შეიქნა ერთი ტირილ-ყივილი; გაკვეთილებს აღარავინ არ ამზადებდა; განყოფილება სრულიად აირია და ვერას გზით ვერ დააწყნარეს, სანამ

მესამე დღეს ისევ არ მოიყვანეს ესიკორსკი. გახარებული ბავშვები შემოვეხვიეთ გარშემო, კოცნით კინალამ მოვკალით და ცელქებს დავემუქრეთ, თუ რომ არ დაწყნარდებით, ცემა-ტყეპით დაგაწყნარებთ-თქო.

სხვანაირად გვექცეოდა მეორე აღმზრდელი კურბატოვი. ამან ამოგვიჯინა და ყოველ დანახვაზე გვეძახოდა ტატარჩუკებს. თავდაპირველში გვეოცა ეს, მერე კი გვეწყინა. კურბატოვი თავისას არ იშლიდა და ძალზე გვაბრაზებდა ამ შემოძახილით; ვიღაცამ თქვა, რომ ჩვენ რუსებზე უწინ გვაქვს მიღებული ქრისტიანობა — ტატარჩუკები საიდან ვიქნებითო. დავიწყეთ ამის გამოძიება. დავეკითხეთ უფროს კლასებში მყოფ ქართველებს — ამათ ამის შესახებ პასუხი ვერ მოგვცეს; ბავშვები არ დაწყნარდნენ და ერთ დღეს მაინც გავიგეთ, რომ ჩვენ, ქართველებს, გაცილებით ადრე მიგვიღია ქრისტიანობა რუსებზე. და რადგან კურბატოვი თავისას არ იშლიდა, ავდექით და მივედით ჩვენ აღმზრდელებთან და ვუჩივლეთ კურბატოვს. კურბატოვი მოგვაშორეს, მაგრამ ჩვენი მწუხარება სხვა რამ იყო. ეს იყო ის, რომ ვატყობდით ჩვენს თავს, თუ როგორ გვავიწყდებოდა მშობლიური ენა და გვიძნელდებოდა ქართული ლაპარაკი. ამით შეწუხებულნი ამის ასაცილებლად მოვიყრიდით ხოლმე თავს ერთად და ხან ზღაპრების მოყოლით, ხან წაკითხვით ვეარჯიშობდით. მაგრამ დროს თავისი მოჰქონდა და ჩვენ უფრო და უფრო გვიძნელდებოდა მშობლიურ ენაზე ლაპარაკი. წლის ბოლოს თითქმის გადავეჩვიეთ ქართულ ლაპარაკს. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მეორე წელიწადს თითქმის გაგვანახევრეს — რადგან ბევრი გადაიყვანეს პროგიმნაზიებში, როგორც სუსტი მოსწავლენი, რამდენიმე კი ავად გახდა და გარდაიცვალა! მე ორი წლის განმავლობაში ძლიერ სუსტად ვიყავი, მაგრამ იღბლად გადავრჩი სიკვდილს.

სამი წელიწადი ვიყავი ისე, რომ მშობლები არ მენახა. სამი წლის შემდეგ გაზაფხულზე მომივიდა ფული და ეგზამენების შემდეგ არდადაგებზე გამოვსწიე სახლისაკენ. ქართული უკვე დავიწყებული მქონდა. ორი კვირა ქუთაისში დავრჩი და რადგან დედა-ჩემმა რუსული არ იცოდა და მე ქართული — ამიტომ წავიყვანე თარჯიმნად ჩემი თანატოლი ბიძაშვილი და წავედი სოფელში დედასთან.

საღამო იყო ჩვენ რომ მივედით. მთლად ეზო და აივანი საესე იყო თავშეყრილი მეზობლებით. სიხარულის ტირილით შემხვდა დედა, რომელიც მეტად დაავადმყოფებულიყო ჯავრისაგან ამ სამი წლის განმავლობაში. სათითაოდ გულში მიხუტებდნენ ქალები და

დედაჩემი მახსენებდა: ეს ბებია მელანაა, შენ გენაცვალე, ეს მაია, ეს ელენე, ეს მარია, ეს დაჯია. ყველა თვალცრემლიანი სიყვარულით მეხვეოდა და მეალერსებოდა. დიდი გასაჭირი ადგა საწყალ ჩემს ბიძაშვილს: მრავლად თავშეყრილი კაცები იძლეოდნენ ათას კითხვას და ყველასათვის პასუხი იყო საჭირო. ერთმა ითხუნჯა: ბავშვს დასამუნჯებლად ბარემ აქვე დავამწყვდევდი ოთახში, რაღა რუსეთში აგზავნიდით, თქვე დალოცვილებოო.

ამ ზაფხულში გვარიანად გავიხსენე ენა და როცა გავბრუნდი გიმნაზიაში, თან წავიღე პატარ-პატარა წიგნები.. შემდეგ ყოველ წლობით საზაფხულო არდადაგებზე ვბრუნდებოდი სახლში, თანდათან უფრო ვახერხებდი ქართულ ლაპარაკს და ისე აღარ დამივიწყნია, როგორც ზოგიერთ ჩემს ამხანაგს, რომელთა მშობლებს, რაღაც მიზეზის გამო, არ მიჰყავდათ შვილები გიმნაზიიდან. ამათ მშობლიური არა ახსოვდათ რა.

მეხუთე კლასში ვიყავი, მახსოვს, იმ დროს მასწავლებელმა, გვარად ბერენშლაბმა, მკითხა: მეინტერესება თუ არა ქართული ისტორია და შემპირდა ამის შესახებ წიგნს, რომელიც მისი ფიქრით მის წიგნებს შორის უნდა ჰქონებოდა. ამასთანავე უცაბედად წავაწყდი ტოლის იმდროინდელ ენციკლოპედიურ სიტყვარში ცნობებს საქართველოს შესახებ. სიტყვარი შემდეგ ხელიდან არ გამიგდია, — რაც რამ იყო საქართველოს შესახებ ცალკე რვეულში ამოვიწერე და ამრიგად შევადგინე. ჩემთვის მოულოდნელად, საქართველოს მოკლე ისტორია. ეს ისტორია ერთ-ორ ამხანაგს ვაჩვენე, მაგრამ ისინი მაინცდამაინც ვერ დავაინტერესე. გულგრილად შეხვდნენ; მე კი აღმეძრა სურვილი უფრო მეტი რამ გამეგო ჩემი ქვეყნის შესახებ.

ერთ დრომდის ამის დამაკმაყოფილებელი არავინ აღმოჩნდა. შემდეგ კი ბედმა გამიღიმა. ამ ხანებში კიევის უნივერსიტეტში სწავლობდა მხოლოდ ორი ქართველი სტუდენტი — ერთი საექიმო ფაკულტეტზე ხონელი პოლიკარპე ჩხიკვიშვილი, მეორე — ფარმაცევტი კოწია ლორთქიფანიძე. ამისათვის ეთხოვათ ვენახე გიმნაზიაში. ლორთქიფანიძემ მეც მნახა და კიევის სასულიერო აკადემიაში მოსწავლე სტუდენტებს: ნიკო ლომაურს, მიხეილ ილურიძეს და ივანე გაფრინდაშვილსაც (პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის მამა) აცნობა სამხედრო გიმნაზიაში ჩემი ყოფნა. ერთ დღეს სამივე მოვიდა გიმნაზიაში ჩემ სანახავად. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა ამათ გაცნობის გამო. განსხვავებულად მომესიყვარულნენ და წასვლისას დამპირდნენ შემდეგ კვირისათვის აკადემიაში წაყვანას. დაპირება შეასრულეს და შემდეგ უკან გიმნაზიაში მომიყვანეს ისევ სამთავემ. ტკბილმა, ალერსიანმა ლაპარაკმა, ლომაურის დამახასიათებელი

თვისება რომ იყო, პირდაპირ მომხიბლა და შემაყვარა უზომოდ ეს ადამიანი. საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე გატაცებით მოლაპარაკე ილურიძემ. მომიყვანეს გიმნაზიაში და თან წამოიღეს საკითხავად კვირეული გაზეთ „ივერიის“ მთელი წლის ნომრები, რომელშიაც იყო დაბეჭდილი ილიას „დიმიტრი თავდადებული“. ლომაურმა ამიხსნა ეს პოემა, მომიყვა დიმიტრის ისტორია და გახელებული სიხარულით დამტოვეს. იმ ღამეს არ დამძინებია; თავქვეშ მედვა გაზეთის ნომრები და ხვალისათვის წასაკითხი „დიმიტრი თავდადებული“. მეძნელებოდა კითხვა, მაგრამ ჩემს თავს ძალას ვატანდი და ისე ვერევოდი საკითხავს. მშველოდა და მიადვილებდა საქმეს ის, რომ ჩემი კეთილისმყოფელნი მუდამ კვირას ჩემთან იყვნენ და მიხსნიდნენ წაკითხულს. ხშირად მეც დავდიოდი აკადემიაში და აქ თავის ოთახში ლომაური გვიკითხავდა თავის ახლად დაწერილ ლექსებს; ერთხელ მახსოვს თავისი ტკბილი ხმით წაგვიკითხა მოთხრობა „ალი“, რამაც აუწერელი სიხარული გამოიწვია ჩვენში. ლომაურს არა თუ მისი ორი ამხანაგი ესიყვარულებოდა და პატივს სცემდა, არამედ დიდ პატივს სცემდნენ აკადემიის რუსი სტუდენტებიც.

შემდეგ წელიწადს ქართველ სტუდენტთა რიცხვმა იმატა აკადემიაში. მოვიდნენ გიორგი საძაგლიშვილი (კათალიკოსი კირიონი) და დავით ალადაშვილი (ეპისკოპოსი გიორგი). იმ ოთახში, სადაც საძაგლიშვილი იმყოფებოდა, მუდამ ყვირილი და ჩხუბი იყო. თურმე სტუდენტებს საძაგლიშვილი ედავებოდა ქართული კულტურის შესახებ — მაღლა აყენებდა მას; რუს სტუდენტებს კი ეს არ სჯეროდათ და უარსყოფდნენ. 1879-ში აკადემია დაასრულეს ლომაურმა, გაფრინდაშვილმა და ილურიძემ; ასე რომ კიევის უმაღლეს სასწავლებლებში იმ დროს იყო მხოლოდ ოთხი ქართველი სტუდენტი. 1880-ში მეც დავამთავრე სწავლა გიმნაზიაში და გადავედი მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში.

კარგ დროს მოვხვედი ჩემდა იღბლად კიევის გიმნაზიაში; ყველაფერი ლიბერალურად იყო მომართული; სამხედრო მინისტრმა მილიუტინმა სულ გადაასხვაფერა წინანდელი კორპუსები, სწავლა მაღლა დააყენა და კაზარმობა გამოდევნა. ჩვენი გიმნაზია განსაკუთრებით კარგად იყო დაყენებული. ახალგაზრდა დირექტორი უცოლშვილო, დიდად განვითარებული პიროვნება, მთელ თავის ძალ-ღონეს იმას ახმარდა, რომ სასწავლებელი კარგად დაეყენებინა. კარგი მასწავლებლები შეერჩია გიმნაზიისათვის; და ეს კიდეც მოახერხა. ჩვენი მასწავლებლები კიევის საუკეთესო პედაგოგები იყვნენ ინტელიგენციის მოწინავე ჯგუფიდან. ბევრი მათგანი პროფესორებიც იყვნენ

უნივერსიტეტიდან, — მათი მოწვევაც კი მოახერხა გიმნაზიის გამგემ. ჩვენ ვიცოდით, რომ ესენი მოწინავე პარტიის წევრები იყვნენ, ვიცოდით, რომ ყოველი აბალი მასწავლებელი ამათი მიმართულებისა იყო, რადგან თუ გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს თანხმობა არ იქნებოდა, ისე არავის მიიღებდნენ მასწავლებლად ან აღმზრდელად. ამიტომ მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის დიდი ნდობა და კეთილი განწყობილება სუფევდა. ბავშვებს გვასწავლიდნენ აგრეთვე მუსიკას, დურგლობას, წიგნის აკინძვას, ყდის კეთებას, ხარატობას, ჩუქურთმას, ყოველ კლასს ჰქონდა თავისი სიმებიანი ორკესტრი — და ვუკრავდით სხვადასხვა ოპერებიდან. მასწავლებლად იყენენ ორი პოლონელი მუსიკოსი, მამა და შვილი. ბევრი მშვენიერი დამკვრელები ჩნდებოდა მოსწავლეთა შორის.

მოპყრობა ნამდვილი კეთილშობილური იყო. მოსწავლის არავითარ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია; ყველაფერი მიმართული იყო იმისკენ, რომ ბავშვს მიეღო ნამდვილი განვითარება. ამ გიმნაზიებმა დიდხანს ვერ გასტანეს. ალექსანდრე მესამის მეფობის მესამე წელიწადსვე ისევ გადააკეთეს ძველებურ ყაიდაზე, კორპუსებად; შემოიღეს სამხედრო წყობილება, არა მხედრობაში მოსამსახურეს ადგილი არ ჰქონდა, ბავშვები იყვნენ ეფრეიტორები, უნტერ-ოფიცრები, ფელდფებელები და ამგვარები. თხუთმეტი წელიწადი არსებობდა „მილუტინის სამხედრო გიმნაზიები“, მაგრამ თავისი კვალი ძლიერ დააჩინა რუსეთის სამხედრო ოფიცერთა შემადგენლობას. რაც მოწინავე და ლიბერალური შეხედულების ოფიცრობა იყო — ეს ამ გიმნაზიიდან გამოსულნი იყვნენ.

ამ ორმოცდაორ ბავშვში, ერთად რომ წაგვიყვანეს, გიმნაზიაში ხოლოდ ექვსმა დავამთავრეთ. სამმა სრულიად ქართული. აღარ იცოდა, ერთი ძლივს ახერხებდა და ლაპარაკი, რომ იტყვიან ჩიქორთული, ორს შეგვეძლო. სწავლის გასაგრძელებლად მე მოსკოვის სამხედრო სასწავლებელი ვირჩიე, რადგან პეტერბურგის ჰავის მეშინოდა. სამხედრო სასწავლებელში პირველ ხარისხით გიმნაზია დამთავრებულნი ვიგზავნებოდით საბელმწიფო ხარჯით.

1880 წლის აგვისტოს დამლევს ჩვენ უკვე მოსკოვში ვიყავით. ახლა კი იწყება სამხედრო სწავლა და სამსახური. მოსკოვის სამხედრო სასწავლებელი შედარებით კარგი იმითაც იყო, რომ აქ შენელებული დისციპლინა და სამხედრო მოთხოვნილება იყო. მაგრამ მისვლის პირველ დღიდანვე ვიგრძენით განსხვავება გიმნაზიასთან შედარებით და მეტად არ გვეკაშნიკა, განსაკუთრებით ჩვენ, კიეველებს. სასწავლებლის სათავეში იდგა თავისი სასტიკობით განთქმული გენერალი სამოხვალოვი. ტანდაბალი, მომსხო, თავმაღლა აწეუ-

ლი. მოკუმული ტუჩებით — იგი მეტისმეტად არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა თავის შეხედულებითაც და ამას აუარესებდა რალაც უცნაურ კილოზე სიტყვების სროლა. ლაპარაკი გაბმული არ იცოდა და არც ეხერხებოდა. ჩვენი, კიეველების, დანახვაზე ნამეტანი გაიბზიკა და ზურგშემოქცევით უსიამოვნოდ ისროდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად შეკითხვის სიტყვებს. თურმე კიევის გიმნაზიაში ნამყოფნი ათვალისწინებული ჰყავდა, ძალზე ეზარებოდა, როგორც „ლიბერალები“; უწოდებდა „ოტრიცატელნაია როჟა“-ს და თავისი სასტიკი მოპყრობით ლამობდა მორჯულებას და მისებურად გამოსწორებას.

მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა სასწავლებელმა პირველ დღიდანვე და გულშეწუხებულმა ავიღე რვეული და გული ვიჯერე ბიღებულ შთაბეჭდილებათა აღწერით. გულადუღებულმა ავავსე მოზრდილი რვეული და ვაპირებდი დროგამოშვებით მეწერა ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობის ამბავი. მაგრამ ერთ დღეს გამოგვიცხადეს, რომ რაც წიგნები და რვეულები გვაქვს, უნდა გვეჩვენებინა ნებართვის დასართველად გუნდის უფროსისათვის. ავიღე ჩემი რვეული და მივუტანე ჩვენი გუნდის ვანყოფილების გამგე ოფიცერს; ეს მეტად რიგიანი ახალგაზრდა გვარდიის ოფიცერი კარგად მიყურებდა და თავადაც სანდო ადამიანი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ მან სიცილით მითხრა: — ეს რა გიწერიათ?.. გინდათ თავი დაიღუპოთ? მე იმ რვეულს თქვენ არ დაგიბრუნებთ არაფრისათვის; დაწყნარდით, დამშვიდდით და ისწავლეთ!..

სასწავლებლის მედიდური უფროსი არავის უყვარდა, სძულდათ ყველა და თან ყველას ეშინოდა მისი. „ეპიშკა“, როგორც მას უძახოდნენ, ნამდვილი სულთამხუთავი იყო. ერთი მისი ღირსება ის იყო, რომ მასწავლებელს მოსწავლისათვის გამოცდაზე ცუდ ნიშანს არ დააწერინებდა და ისიც რატომ?

— ჩემი სასწავლებლის მოსწავლემ არ შეიძლება არაფერი იცოდეს!

როცა მოსწავლე კითხვაზე ვერ უპასუხებდა, ასე იტყოდა: — საჭიროა ისე კითხოთ, რომ მოსწავლემ შეიძლოს პასუხის მოცემა! ახირებული არსება იყო გადაყინჩული გენერალი. მე გული იმით ვიჯერე, რომ სამასხარო ლექსი გამოვუთქვი, ამ ლექსს ხმა შეურჩია ერთმა ჩვენმა ამხანაგმა და დიდად მოეწონათ. ამ ლექსს მღეროდნენ რამდენიმე წლის განმავლობაში. მეორე ამხანაგმა მთელი პიესა დასწერა „ეპიშკაზე“ და თვითონ „ეპიშკას“ მოხდენილად თამაშობდა. სასწავლებელში დიდი ალიაქოთი იყო ამ პიესის ხელში ჩასაგდებად. მაგრამ ვერ იპოვეს; ისე კი სასწავლებელი კარგად იყო დაყენებული; მასწავლებლები თვალსაჩინონი გვყავდა. მაგალითად,

ისტორიას გვიკითხავდა ცნობილი ისტორიკოსი კლიუჩევსკი, რომლის ლექციაზე აუდიტორიაში უსათუოდ იყო თვით გენერალი. ინსპექტორი და მორიგი ოფიცერი; ეს იმისთვის, რომ კლიუჩევსკის არაფერი წამოცდენოდა მსმენელთა წინაშე; მაგრამ პროფესორი მაინც თავისებურად კითხულობდა ლექციას. მათემატიკას გვიკითხავდა ცნობილი პრქევალსკი; რუსულ სიტყვიერებას — გილიაროვ-პლატონოვი; საეკლესიო ისტორიას — ივანოვ-პლატონოვი, ცნობილი ღვთისმეტყველების მაგისტრი. გილიაროვ-პლატონოვს და „ეპიშკას“ ჩხუბი მოუვიდათ; გენერალი გაჯავრდა იმაზე, რომ გილიაროვი თხზულებების საწერად იძლეოდა ისეთ თემებს, როგორიცაა პუგაჩოვი, სტენკა რაზინი და ამგვარებს. გენერალმა ამაში დაინახა არასასურველი მიმართულება და მოინდომა მისი ამოფხვრა.

— ჩტო ეტო ვსიო ბუნტოვშჩიკი და ბუნტოვშჩიკი! ხოროშიხ ლიუდეი ნეტ რაზვე? — გულისობდა იგი და გილიაროვი დაითხოვა სასწავლებლიდან.

1881 წლის 1 მარტს მოკლეს ალექსანდრე მეორე. ჩვენ ეს გავიგეთ მეორე დღეს დილას. ყოველთვის დილაობით ჩვენ ვდგებოდით, როგორც კი ბარაბანით ჩამოიცლიდა სალდათი. ამ დილას რომ ბარაბანმა არ ჩამოიარა, ყველა გაგვაოცა და მოკლე ხნის შემდეგ შექმნილ ფუსფუსიდან გავიგეთ, რომ პეტერბურგში ხელმწიფე მოეკლათ. სასწავლებლის კარები დილიდანვე ჩაკეტეს; არც არავის ქუჩაში უშვებდნენ, არც ქუჩიდან სასწავლებელში. რამდენიმე ხნის შემდეგ მოსწავლეებს თავი მოუყარეს დიდ დარბაზში. მოვიდა გენერალი და აცრემლებულმა გადმოგვცა შეფის მოკვლა და რიგრიგობით მივყავდით შინა ეკლესიაში ახალი მეფის წინაშე ფიცის მისაღებად. ერთ კვირაზე მეტი კარჩაკეტილში ვიყავით და სასწავლებლის გარეთაც ამ ხნის განმავლობაში არავის უშვებდნენ.

რამდენიმე თვის შემდეგ სასწავლებელს მოუვიდა მოკლული მეფის მუნდირი, რაიც დიდი მოწიწებით ჩამოატარეს გუნდებში და შემდეგ შეიტანეს ეკლესიაში შესანახად ამისათვის საგანგებოდ გაკეთებულ შუშებიან ყუთში. მალე ბრძანებაც გამოვიდა, რომ ნება ეძლევათ ოფიცრობას ბაკენბარდის მაგივრად მოეშვათ წვერი, რადგან ტახტზე ასული ალექსანდრე მესამე წვერს ატარებდა. ჩვენმა ეპიშკამაც, ნიშნად ერთგულებისა და კიდევ იმიტომ, რომ ამალის გენერალი იყო, მოუშვა წვერი, რის გამოც საოცარი სასაცილო შეხედულების შეიქნა უიმისოდაც უხეირო შეხედულობის პატრონი.

ორი წლის სულთამხუთავი რეჟიმის შემდეგ 1882 წლის აგვისტოს დავასრულე სამხედრო სასწავლებელი და გამოვსწიე სამსახურისათვის დანიშნულ ადგილს — ბათუმისკენ, რომელიც ამ დროს პორტო-ფრანკო იყო.

80-იანი წლის ბათუმი. — პორტო-ფრანკოს გაუქმება. — მიწებათ სპეკულაცია და ქალაქის ზრდა. ბრძოლა მუხაჯირების წინააღმდეგ. — ბათუმის ინტელიგენცია. — ქართველ მსაპიობთა პირველი ჩასვლა ბათუმში. — სანდრო ყაზბეგი.

1882 წ. სექტემბრის დამლევს პირველად ჩავედი ბათუმში. იქ იყო ის საქმიანი ნაწილი, რომელიც მე აეირჩიე სამსახურისათვის. ბათუმი მაშინ პორტო-ფრანკო იყო; პატარა ქალაქი, ოთხიათასი მცხოვრებით. ქალაქი, თუკი შეიძლებოლა მისი ქალაქად წოდება, მდებარეობდა ზღვის პირად: ზღვის პირადვე იყო ბაზარი, პატარა დაბალი ქოხმახები — ვითომ მაღაზიები; რამდენიმე ქუჩა, ვიწრო და მოუკირწყლავი. ქალაქის გარშემო გაბნეული იყო ფაცხები, რომლებშიაც ცხოვრობდნენ აფხაზები და ზოგან ზანგები. ახლა რომ რკინიგზა მიდის ქალაქში, ეს ისეთი მოშორებული ადგილი იყო, რომ მარტოდ აქ წასვლა საშიშარი და სარიდებელი იყო დღისით, საღამოთი კი პირდაპირ შეუძლებელი; გამბედავს არაფერი სიკეთე მოელოდა: ან გაძარცვავდნენ, ან დასჭრიდნენ, ანდა კლავდნენ. სადაც ახლა კათოლიკების ეკლესიაა, ის იყო განიერი ტბა სავსე გარეული ფრინველებით და იქ დადიოდნენ სანადიროდ. ტბის გადაღმა დასავლეთისკენ იყო უდაბური ტყე. ზღვის პირზე ამართული იყო ორი ლიდი ბატარეა — ბურუნტაბიე, რომელიც დღესაც არსებობს, ოღონდ გადაკეთებული, და მეორე სარი-სუ, რომელიც ათხარეს, როცა ნავთსადგურს დაუწყეს შენება. სარი-სუს მახლობლად, პორტო-ფრანკოს ხაზის გადაღმა, აშენებული იყო როტშილდის ნავთის ქარხნის შენობები. ქალაქის გარშემო ადგილები ჭაობებით იყო დაფარული, ძლიერ ნაკლებად იყო სოფლებიც და რაც იყო, ისიც პატარები და მცხოვრებთა მცირე რიცხვით. მაშინ რკინიგზა არ იყო ფამოვლებული და მისვლა-მოსვლა წარმოებდა ზღვით; ფოთიდან ფოდიოდა კვირაში რამდენიმეჯერ პატარა გემები და გადაჰყავ-დათ მგზავრები. ეს მიმოსვლა გაძნელებული იყო იმითაც რომ, რაკი ბათუმი პორტო-ფრანკო იყო, ყოველი მგზავრის ბარგი ბათუმიდან გამგზავრების დროს უნდა გაეჩხრიკათ საბაჟოში და ხელმეორედ ფოთში მისვლისას. ეს იმისათვის, რომ კონტრაბანდით არ გაეტანათ რამე ბათუმიდან. ამ ნიადაგზე ბევრ არასასიამოვნო შემთხვევას ჰქონდა ადგილი. ბევრი საბაჟოლო ამბავი ხდებოდა. ნამეტურ ქალები აწარმოებდნენ კონტრაბანდისტობას: ბევრს იჭერდნენ, მაგრამ ბევრს ისე გაჰქონდა კონტრაბანდა, რომ საოცარი იყო მათი ამბავი.

1883 წლის ბოლოს რკინიგზის კეთებაც დამთავრდა და ბათუმი შეუერთდა თბილისს, 1885 წელს პორტო-ფრანკო ეაუქმდა. რკინიგზის საპირებზე, ქალაქის მახლობლად, იწყეს ტყეების გაჩეხა და აგარაკების შენება. გზა მიდიოდა უდაბურ ტყეში, ჭენჭყ ადგილებში; ადგილები ციებიანი, ჯანმრთელობისათვის მავნე ჰაერიანი. მაგრამ ამას არ დაერიდა და არ შეუშინდა ზოგიერთი პირი და იწყეს აქ დასახლება. მიწა მუქთად იშოვეებოდა, ხშირად არც კი იცოდნენ, თუ ვის ეკუთვნოდა ესა თუ ის ადგილი; მოწონებულ ადგილს კაფავდნენ და აწყობდნენ მოსახლეობას. განსაკუთრებით დიდი ადგილები შემოიფარგლეს ქუთაისის გიმნაზიის დირექტორმა სტოიანოვმა, სამსახურს გადამდგარმა პოლკოვნიკ-ინჟინერმა სალავცოვმა, ბათუმის სოტარიუსმა გერენშტეინმა, ექიმმა ოლინსკიმ. მილიონერმა სიბირიაკოვმა და სხვებმა. ამათ მუსაჯირებისაგან შეისყიდეს დიდძალი ადგილები; მოიდგეს ფეხი და ოცნებით გატაცებულნი. რომ გაშენებული აგარაკებით დიდ ფულს შეიქენდნენ, აუარებელ ფულს ყრიდნენ ამ ადგილებში. მუსაჯირებს ეძახოდნენ იმათ, რომელნიც ტოვებდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს და მიიღტვოდნენ დასასახლებლად ოსმალეთისაკენ. ბევრი ყალბი ნაყიდობა კეთდებოდა ამ მუხაჯირების სახელით, ბევრ უპატრონო ადგილს ახალი და უცხო პატრონი უჩნდებოდა; ბევრს აცდენდნენ ფულის შეტყუებით და ეშმაკურად ხელიდან აცლიდნენ საძოსახლოს. საოცარი თარეში იყო მიწების შესაქენად. ვინ არ იყო ამაში ჩაბმული! საუფლისწულო უწყებამაც ვერ მოითმინა და შეუდგა მიწების შექენას და მოკლე ხანში დიდძალი ადგილები შეისყიდა; დიდძალი ადგილები შეისყიდა ცსობილმა ჩაის ვაჭარმა პოპოვმა, რომელმაც იწყო ჩაის პლანტაციების გაშენება და რამის მოყვანა. რამი — ეს ჩინური ჭინჭარია, რომლისგანაც კეთდება საუკეთესო ქაღალდი. ქაღალდის ფულისათვის ქაღალდს ამ რამისაგან ამზადებდნენ და დიდ სარგებლობას იძლეოდა. იყვნენ ისეთები, რომელნიც დაურიდებლად ითვისებდნენ მიწებს. გასაოცარი მოხერხებული პიროვნება ამგვარობაში იყო ვინმე ბებაღე დალფონსი. ეს იყო პირველი პიონერი მოაგარაკე და მოაგარაკეთა წრის შემქმნელი. სადაც მან ჩადგა ფეხი, იქ ადგილიდან მერე ვერ ამოდენეს; ადმინისტრაცია დიდი მოწინააღმდეგე იყო მისი, მაგრამ ვერას უშვრებოდა. გასაოცარი მოხერხებით მან პირველმა ჩადგა ფეხი ეგრეთწოდებულ „მწვანე კონცხში“, ბათუმის მახლობლად, ვვირაბთან. მიიყვანა ფულიანი პირები, აყიდვინა მიწები, შეადგინა მოაგარაკეთა ამხანაგობა, ჩაითრია გავლენიანი პირები, როგორიც იყო, მაგალითად, თავადი ბარიათინსკი, გენერალი პარეიკოში, ექიმი ტრიან-

დაფელიდისი და სხვები, პეტერბურგიდან და მოსკოვიდან. აუარებელი ფული ჩაიყარა ადგილების გასაწმენდად და ბაღებისათვის მიწების გასამზადებლად. ციება ძლიერ ხელს უშლიდა მომუშავეთ. მაგრამ საოცნებო მომავლის მომლოდინენი არ შინდებოდნენ და განაგრძობდნენ მუშაობას. ამ დალფონსმა პირველმა შემოიღო მანდარინების გაშენება; ზრდიდა აგრეთვე ევროპულ მცენარეებს და მოკლე ხანში მთელი კონცხი მოჰფინა მდიდარი მოაგარაკეებით. ახალგაზრდა, ლამაზი, მოხდენილი მოლაპარაკე, დაუღალავი მუშა. მცოდნე თავისი საქმის, უცნაური მოხერხებული — იგი დიდი გავლენის მქონე იყო მოაგარაკეთა შორის. წვრილ მოაგარაკეთ არ კადრულობდნენ და მოჰყავდათ მდიდარი პირები. დიდი ენერგია დაიხარჯა ამ საქმეში, ბევრი რამ გააკეთეს დასახელებულებმა, დიდი მუშაობა იყო გაწეული და ამ მუშაობაში დალია სული მისმა ინიციატორმა; ციებამ, რომელიც ვერას გზით ვერ დასძლიეს მოაგარაკეებმა, იმსხვერპლა დალფონსი, მაშინ კიდევ ყმაწვილი კაცი. მისი სიკვდილის შემდეგ არავინ გამოჩნდა მისებური ენერგიის მქონე, მცოდნე და მოხერხებული კაცი და მოაგარაკეთა წარმოება ისე ველარ მიდიოდა, როგორც დალფონსის სიცოცხლეში.

ციება მეტად მძლავრობდა მთელი ზღვის ნაპირზე. დიდად უშლიდა ხელს მოაგარაკეებს. მაგრამ იმათი რიცხვი არა თუ კლებულობდა—თანდათან იზრდებოდა და მთელი ზღვის ნაპირი, სოფელ მახინჯაურიდან დაწყებული თითქმის ქობულეთამდი, მოფენილი იყო აგარაკებით. ვინ და საიდან არ ეტანებოდა აქაურობას; ვინ არ ესახლებოდა და რა ოცნებას არ ეძლეოდა აქაური ცხოვრების მოწყობის შემდეგ! მთავრობა მათ ხელს არ უშლიდა დასახლებაში; ეტყობოდა ეს მისთვის სასურველიც იყო; ვინაიდან მისი მიზანი იყო ადგილობრივი მცხოვრებლები აეყარა და მათ ადგილას რუსთა მოსახლეობა გაეჩინა. ოცი ვერსის სიგრძეზე გაშენებულ აგარაკებში მხოლოდ ერთადერთი აგარაკი იყო ქართველს რომ ეკუთვნოდა — ეს იყო სევასტი ჭელიძის აგარაკი, ისიც პატარა აგარაკი; მოწადინებული იყვნენ ეს კაცი მისი აგარაკიდან გამოედევნათ, მაგრამ ისიც ჯიუტი და რკინა კაცი იყო და ვერ აჰყარეს.

ასეთი ამბავი იყო ბათუმის გარშემო. თვით ბათუმში კი უფრო ნელი სპეკულიაცია იყო მიწების, რადგან პორტო-ფრანკოს არსებობა აშინებდათ ერთრიგად. მაგრამ აქაც ჩნდებოდნენ გაბედულები და იძენდნენ ადგილებს, განსაკუთრებით აფხაზებისაგან, რომლებიც სტოვებდნენ თავიანთ ფაცხებს და მიეშურებოდნენ ოსმალეთისაკენ საცხოვრებლად. ფაცხების მაგიერ ჩნდებოდა დიდი სახლები და პაწაწინა ქალაქი ნელ-ნელა იზრდებოდა.

როგორც ზემოთ ვთქვი, ბათუმი 1882 წელს მეტად პატარა ქალაქი იყო. მცხოვრებთა რიცხვი უდრიდა ოთხიათასს, ესეც სამხედრო ნაწილების მითვლით, სხვადასხვა ეროვნებით აჭრელებული იქ ცხოვრობდნენ: ქართველი, რუსი, სომეხი, ბერძენი, თათარი, ოსმალო, აფხაზი, რომელთა შორის იყო ბევრი ზანგი. აქაურობას განაგებდა გუბერნატორი, იმ დროს სახელგანთქმული ადმინისტრატორი გენერალი სმეკალოვი. ქალაქის უფროსი კი, გროდონაჩალნიკი, ლევ ტოლსტოის ცოლისძმა ბერსი იყო, რომელსაც ცოლად ჰყავდა ერისთავის ქალი, შესანიშნავი ლამაზი.

ქალაქში არავითარი გასართობი არ მოიპოვებოდა; ერთადერთი კულტურული ადგილი იყო საზოგადო საკრებულო, სადაც თავს იყრიდა ხოლმე ერთი ნაწილი მოხელეთა ოჯახებისა. სასწავლებელი იყო ერთი: სამოქალაქო სასწავლებელი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქართული სკოლა. ეს უკანასკნელი გახსნილი იყო ბათუმის შემოერთების მეორე წელსვე იმ მიზნით, რომ აქ თავი მოეყარათ და ესწავლებინათ ქართველი მუსულმანების ბავშვებისათვის. სკოლა იყო მოთავსებული პაწაწინა სახლში, მეტად ღარიბულად და საწყლად, თავის მიზანს დაშორებული, რადგან მუსულმან-ქართველები არ აბარებდნენ შვილებს, ვინაიდან ეშინოდათ შვილებს გაგვიქრისტიანებენო. თბილისის გამგეობა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა ფულსაც ვერ ახარჯებდა საკმარისად სკოლას და მის შესანახავად ყოველ ღონეს ხმარობდა ბათუმის მცირერიცხოვანი ქართველი საზოგადოება. დიდ დახმარებას უწევდა სკოლას ამ მხრივ ბათუმის პოლიცმეისტრის დურმიშხან ჟურულის მეუღლე ქეთევანი. ეს უკანასკნელი არა თუ ამ სკოლას უწყობდა ხელს, იგი იყო ბათუმის ქართველი საზოგადოების თავმომყრელი და სულისჩამდგმელი. მისი ოჯახი იყო, სადაც თავს იყრიდნენ ქართველები; მას დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული ქართველობაშიც და გარეშეთა შორისაც. ბათუმში ჩამოსული ყოველი ინტელიგენტი ქართველი მოვალედ რაცხდა თავს ამ ოჯახში მისულიყო. ქართველ არტისტებს აქ დიდი ყურადღება ექცეოდათ და დიდად ხელი ეწყობოდათ. ქართული სკოლა, როგორც ვთქვი, ამ ოჯახის მზრუნველობით არსებობდა. რასაკვირველია, მეც, ახალგაზრდა ოფიცერი, მიმიყვანეს ჟურულის ოჯახში და გაეცნეს ჩემი თავი. ქეთევანმა პირველ გაცნობისთანავე მისაყვედურა, რომ ქართული ძლივს მეხერხებოდა და დედისებური დარიგება მომცა მშობლიური ენა შემესწავლა. რამდენიმე ხნის შემდეგ საქმეში ჩამაბა: იმართებოდა წარმოდგენა სკოლის სასარგებლოდ; იდგმებოდა გიორგი ერისთავის „გაურა“

და მე დამაკისრეს გაბრიელის როლი. გულმოდგინედ შევუდექი როლის სწავლას, მაგრამ ჩემი ჩიქორთული ქართული მეტად მიჭირვებდა საქმეს. ამის დასაძლევად, ენის გასატეხად, ცალკე რეპეტიციები მქონდა ხოლმე; ჩამაჯენდა სავარძელში ქეთევანი და მათქმევინებდა როლს. ათჯერ-ხუთმეტჯერ უნდა გამემეორნა ჩემი მონოლოგი: გაწვალებული ვიყავი ასეთი სწავლით, მაგრამ არა ნაკლებ გაწვალებული იყო ჩემი მასწავლებელი. რომელიც შემომძახებდა ხანდახან მოთმინებადაკარგული: „არ შეიძლება ასე, ყმაწვილო, უნდა ისწავლოთ ქართული, ქართველი ხართ!“ მეც ძალიან მოწადინებული ვიყავი მესწავლა ჩემი ენა, მეტად მწყდებოდა გული, მაგრამ წარმატებაში ნელი ნაბიჯით შევდიოდი. ამ მზადების დროს ერთ-ერთ რეპეტიციაზე აგვიტყდა ოჯახის პატრონი და, როგორც პოლიციმეისტერმა, პიესის ცენზორობა მოინდომა. არ მოეწონა მოურავის ლექსი. ანდუყაფარს რომ ეუბნება მოსამართლეზე: ასი თუმნითა სუდსა-პალატას ხელით ვაქანებ.

„და სუდიასა, აი იმ კუკნასა,

სულ ვათამაშებ ლეკურ ბუქნასა“.

დაიჯინა — ეს ადგილი ამოშალეთო, ამის თქმის ნებას ვერ მოგცემთ, სამსახურიდან დამითხოვენო. დიდი შეტაკება მოუვიდათ ცოლ-ქმარს ამის თაობაზე: ქეთევანმა ჩააჩუმა შეშინებული პოლიციმეისტერი. ლექსი არ ამოშლილა.

იყო კიდევ ოჯახი, თავად ისე გურიელისა, სადაც ნახავდით ქართველობას, მაგრამ ქართველ მწერალს, ქართველ არტისტს აქ ვერ შეხვდებოდით, როგორც ჟურულისას. ჩემი ნაწილის უფროსთანაც იყრიდა დროგამოშვებით თავს ქართველობა, მაგრამ არა ისე ხშირად, როგორც ჟურულისას და გურიელისას. ჩემი ნაწილის უფროსი იყო პოლკოვნიკი ვეზირიშვილი; ცოლად ჰყავდა პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის და; უკანასკნელს არაფერში ეტყობოდა დიდებული ძმის ნათესაობა: თვით ვეზირიშვილი კი ახირებული ადამიანი იყო: თავის ნაწილს ისე უყურებდა, თითქოს იქ მისი ყმები იყვნენ. სამსახურის შესახებ არა იცოდა რა. უყვარდა პარადობა და რადგან ბათუმში არაფერი ვასართობი იყო, ყმაწვილი ქალები ჩაციკვდებოდნენ ხოლმე ვეზირიშვილს გამოეყვანა ბათალიონი სავარჯიშოდ-საპარადოდ. ვეზირიშვილიც უსრულებდა მათ თხოვნას— გამოჰყავდა როტები და ამათ წინაშე ცერემონიალით არონინებდა წინ და უკან.

დუნედ მიმავალ ცხოვრებას ასიცოცხლებდნენ ხანდახან ქართველი არტისტები. ისინი ჩამოდიოდნენ უფრო ზაფხულობით. მაშინ ბათუმში თეატრი არ იყო; წარმოდგენები იმართებოდა სამო-

ქალაქ სასწავლებლის ეზოში მდგარ ერთ პატარა შენობაში, სადაც იყო მოწყობილი სცენა. ასიოდე მაყურებელი თუ დაეტეოდა, მეტს ვერ იტევდა დარბაზი. სხვა უკეთესი ბინა წარმოდგენებისათვის ირსად მოიძებნებოდა და ამით კმაყოფილდებოდა საზოგადოება. ცოტაოდენი გამორჩენა იმისაგან ჰქონდა დასს, რომ პინა და შესანახი შუქთი ჰქონდათ, რაშიც ძლიერ ეხმარებოდა ეურულის ოჯახი და პეტრე ღლონტის ოჯახი.

ამ დასის ერთ-ერთ ჩამოსვლისას მე გავეცანი ქართველ არტისტებს: მარიამ საფაროვა-აბაშიძისას, ქეთო ანდრონიკაშვილისას, ვასო აბაშიძეს. სანდრო ყაზბეგს და ლადო მესხიშვილს. მათი გაცნობის ჯამო ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ერთხელ სცენაზეც კი ვამოველი მათთან, როცა მოთამაშე დაკლდათ. დადგეს დავ. ერისთავის „სამშობლო“ და მათამაშეს გოგია დიაკვანი. აბლა წარმომიდგენია რა გოგია ვიქნებოდი ქართულის უხეიროდ მოლაპარაკე. შიშით შეპყრობილი, სცენაზე გამოუცდელი ყმაწვილი! სანდრო ყაზბეგი თამაშობდა სიმონ ლეონიძეს. მესამე მოქმედებაში გატაცებით რომ მიმართავდა მეტეხის ციხეში თავმოყრილ შეთქმულებს, მე შიშისაგან დაბნეულმა წამოვავლე ხელი ბაირაღს და გავედი სცენაზე და სანდროს მივაჩხირე ბაირაღი. გაოცებულმა სანდრომ სათქმელი არ შეწყვიტა, გამომართვა ბაირაღი, გაიტანა გარეთ, მეც უკან გავყევი დარცხვენილი, რომ ასე უდროო დროს შემოვიჭერი სცენაზე და ასეთი სიბრიყვე ჩავიდინე. ეს იყო და ამის შემდეგ არტისტებთან აღარ გამოვსულვარ სცენაზე არასოდეს — ისე დამარცხვინა ამ შემთხვევამ. წარმოდგენებს ქართველი საზოგადოება დიდი ხალისით ესწრებოდა, რაც გასაკვირი არ იყო, რადგან თამაშობდნენ ისეთი მსახიობები, როგორიც იყვნენ მარიამ საფაროვა-აბაშიძისა, ვასო აბაშიძე და ლადო მესხიშვილი. მესხიშვილს საოცარი ლამაზი, ტკბილი ხმა ჰქონდა—ბარიტონი— და მის სიმღერას დიდ აღტაცებაში მოჰყავდა მსმენელი. მშვენიერი წკრიალა ხმა ჰქონდა საფაროვა-აბაშიძისასაც და როცა ამათთან ჩამოვიდოდა ხოლმე ნატო გაბუნიაც, მაშინ ესენი თამაშის გარდა საზოგადოებას ხიბლავდნენ თავიანთი სიმღერებით. ძლიერ იზიდავდა საზოგადოებას აგრეთვე ქეთო ანდრონიკაშვილის ლეკური; ლეკურს ანდრონიკაშვილისა განსხვავებული მოხდენილობით ცეკვავდა. ხანჯლებით ლეკურის პირდაპირ გიჟური მოთამაშე იყო სანდრო ყაზბეგი. სცენაზე ნიჭიერი — მწყობრი თამაშით, საუცხოო ცეკვით, სიმღერით ქართველი მსახიობები იზიდავდნენ ქართველ საზოგადოებას თეატრში და ხიბლავდნენ მაყურებელთ, რომელთა რიცხვი თანდათან

მატულობდა. ვის არ გამოაღვიძებდა ლამაზი, ცქრიალა, საუცხოო კილოზე მოლაპარაკე საფაროვა-აბაშიძისა, ან ნატოს თამაში-სიმღერა, ვასოს უნიჭიერესი თამაში და კუპლეტები მესხიშვილის დანახვა და მოსმენა!.. ერთი ამხანაგი მყავდა, ხანშესული ოფიცერი, სემინარიელი, ვინმე ვანო იაკობიძე. ტანჯულ ცხოვრებას გავლილი იგი მუდამ მოღუშული იყო, გაუცინარი. იყო ან სამსახურში, ან თავის ოთახში ჩაკეტილი, — არავის ეკარებოდა. ერთადერთი მისი „მეგობარი", ერთადერთი დაახლოვებული არსება, რომელზედაც ის თავის გულს იყოლიებდა, ეს იყო გოჭი. ერთხელ ჩავაცივდი და იმდენად შევუჩნდი, რომ ოთახიდან გამოვიყვანე და წარმოდგენაზე წავიყვანე. თამაშობდნენ სხვათა შორის ვოდევილს „ბნელ ოთახში". კარცერში ჩაგდებულ მოსწავლე ქალიშვილის როლს ასრულებდა საფაროვა-აბაშიძისა. რომ იტყვიან მკვდარს გააცოცხლებსო, სწორედ ამდაგვარი იყო საფაროვას ქალის თამაში და მოღუშული, გაუცინარი ჩემი ვანო იაკობიძე კინაღამ გადამერია. უსათუოდ მის სიცოცხლეში იმდენი არ უცინია, რაც მან ამ საღამოს იცინა; გამხიარულებულმა, ნასიამოვნებმა მთხოვა, რომ კიდევ წამეყვანა, როცა ასეთი წარმოდგენა იქნებოდა, და როგორც შემხვდებოდა თუ არა, ახითხითებული მოიგონებდა იმ „ეშმაკ, წყეულ" მოთამაშე მსახიობს, რომელიც ისე უცნაურად თამაშობდა და მღეროდა. მას ერთ ხანზე თავისი გოჭიც კი დაავიწყდა, გოჭი —რომელიც ერთადერთი მისი გამრთობი იყო.

როგორც ზემოთ ვთქვი, დასის ჩამოსვლისას გავიცანი მსახიობად მყოფი, ჩვენი სიამაყე, დიდი მწერალი სანდრო ყაზბეგი. მაღალი, გამხდარი, ბეჭებში ცოტათი მოხრილი, მოკლე ჩოხით. იგი ვერაფერ კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა თავისი გარეგნობით; ამასთანავე თვალშიც კარგად ვერ იხედებოდა — ეს ერთ დროს თურმე შნოიანი, ლამაზი, კოხტა ყმაწვილი, ამ ხანებში სულ გამოცვლილიყო. არ დაიჯერებდით მისი შნახველი, რომ ეს იყო „ელგუჯას" და „მამის მკვლელის" ავტორი, ლაპარაკიც კი შნოიანი არ იცოდა და სიტყვის წარმოთქმა სრულიად არ ეხერხებოდა. მახსოვს, ერთხელ ექიმ გიგო გაბაშვილის ოჯახში სუფრაზე საზოგადოებაში სიტყვა წარმოთქვა, მაგრამ ისეთნაირად, რომ მისმა მოსიყვარულე ექიმმა უთხრა:

— სანდრო თუ გიყვარდე შენებურად ჩუმად წერე და ხმამაღლა ლაპარაკს თავი დაანებე!

ალბათ ამ გარემოებამ, რომ გარეგნული შეხედულება არ შეეფერებოდა მის მომხიბლავ ნაწერებს, იპოვა დამჯერნი, რომ სანდრო არ იყო ავტორი, დამწერი იმ ნაწარმოებთა, რომლებმაც და-

ამშვენეს ქართული ლიტერატურა. ბევრი სიმწარე უნახავს სანდროს, ბევრთაგან დიდი მწუხარება შეხვედრია, ბევრს ცხარე ცრემლით უტირებია, და სიკვდილის შემდეგ ისიც კი დააბრალეს, რომ სხვისი ნაშრომი თავისი სახელით გამოაქვეყნაო. სანდროს ახლო მცნობისათვის სრულიად მიუღებელია ის აზრი, რომ მას არ შეეძლო ისეთი საუცხოო მოთხრობების დაწერა, როგორიც არის „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „ხევისბერი გოჩა“, „მოძღვარი“ და სხვ. პირიქით, სანდროს ახლო მცნობი იუცხოვებს ამ აზრს, რადგან, როცა მაღალი ცეცხლით აინთებოდა სანდრო, იგი უცნაური სანახავიც იყო და გატაცებული, აღელვებული მოლაპარაკე და ამ დროს მისი მნახველი და მსმენელი ჩახვდებოდა მის დიდ ნიჭს, და ტალანტს. განსხვავებული ბუნების კაცი იყო და წერაც განსხვავებული იცოდა. მოვიყვან მისი „ელგუჯას“ დაწერის ამბავს, რაც თვით სანდროსაგან გამიგონია და რაც ამას წინათ დაადასტურა ასოთამწყობმა მოხუცმა რუსიშვილმა. „ელგუჯა“ თავდაპირველად თავდებოდა ახლანდელი პირველი თავის ბოლოში, ელგუჯას სიკვდილით. სტამბაში ასოთამწყობებმა განაცხადეს, რომ ფელეტონს არ ამოვაწყობთ, თუ გმირი ვაჟკაცის ელგუჯას ამბავი არ განაგრძო სანდრომ; ამისთანა ვაჟკაცს ასე ადრე არ მოვაკვლევინებთო. გაუგზავნეს რედაქციაში სანდროს მეტრანპაჟი დიომიდე კილაძე და ორი ასოთამწყობი, სთხოვეს, რომ ელგუჯა არ მოეკლა და მისი ამბავი გაეგრძელებინა.

— „ელგუჯას ასე ადრე ვერ მოგაკვლევინებთო! მითხრესო, — გადმომცა სანდრომ. —თან მეტისმეტად მიამა ასეთი მომართვაო,— თქვა სანდრომ, — თან კი გასაჭირში მაგდებდაო. ცოტა ყოყმანის შემდეგ, რაკი არ მეშვებოდნენ, იქვე გადავაკეთე ფელეტონის ბოლო და ქვეშ მოვაწერე „გაგრძელება იქნება“. მძიმედ დაჭრილი ელგუჯა წაიყვანეს მოსარჩენად ვითომც გადაღმა სოფელში. რამდენიმე დღის შემდეგ მოთხრობის გაგრძელებაც მზად მქონდა და პატარა მოთხრობის მაგიერ დიომიდე კილაძემ და სტამბის ასოთამწყობებმა დაძაწერინეს დიდი მოთხრობა“. — სიამოვნებით, სიცილით მითხრა ეს სანდრომ. და ეს მისი სიცილი, მისი შეხედულება მშვენიერი რამ იყო ამ დროს. მე ჩემი თვალით მინახავს, როგორ წერდა იგი თავის დრამას „ქეთევან დედოფალს“, როცა ბათუმის სასტუმრო „ევროპის“ ნომერში ცხოვრობდა. ბევრი უსამართლოდ ექცეოდა სანდროს და ხანდახან ცხარე ცრემლითაც ატირებდნენ მას. ერთხელ „დროებაში“ საოცარი ენით გალანძღა იგი, მიწასთან გაასწორა, რომ იტყვიან, როგორც პიროვნება, როგორც მწერალი.

ილია ხონელმა. ძლივს დავაწყნარეთ საწყალი სანდრო, როცა ტირილი აუვარდა ფელეტონის წაკითხვის შემდეგ.

— „ალბათ ვანო მაჩაბელი არ არის თბილისში, თორემ ის არ მისცემდა ნებას ამრიგად გაველანძღე ხონელს. დღეს მლანძღავენ, მიწასთან მასწორებენ ზოგიერთნი, მაგრამ მე მწამს, რომ მოვა ისეთი დრო, როცა ჩემს სახელს სხვანაირად ახსენებენ!“ — თქვა სანდრომ.

ეს იყო მისი ღრმა რწმენა და ამით ნუგეშობდა იგი.

აღტაცებულმა მისი მოთხრობის „განკიცხული“-ს წაკითხვით მე მივწერე წერილი და სანდროსაგან მივიღე მაგიერი, რომელშიც იგი მწერდა: ნეტავი შენისთანა თანამგრძნობი მომეტებულად მყავდესო; ბევრი ისე მექცევა, თითქოს არც კი ღირდეს ჩემი ნაწერის წაკითხვაო. რასაკვირველია, თბილისში ისეთებიც ჰყავდა სანდროს, რომლებიც დიდად აფასებდნენ და ხელს უწყობდნენ მას, ღატაკ ცხოვრებაში მყოფს. დიდად ემადლიერებოდა ვანო მაჩაბელს, დიდი სიყვარულით იხსენიებდა ილია ჭავჭავაძეს. ვანო მაჩაბელს დიდი ლაპარაკი მოუვიდა ხონელთან სანდროს გაზეთში გალანძღვისათვის. რის შემდეგ ხონელმა მიატოვა რედაქცია და შესწყვიტა გაზეთში მუშაობა. ილია ჭავჭავაძემ ხელის მოსამართავად სანდროს მისცა „ივერიაში“ დაბეჭდილი „განკიცხულის“ ამონაბეჭდი; ამგვარადვე მისცა რამდენიმე ასი ამონაბეჭდი „მოძღვარი“-სა. ეს მოთხრობა უცნაურად უყვარდა სანდროს და განსხვავებული აღელვებით ალაპარაკდებოდა ხოლმე, როცა მოთხრობების შესახებ სიტყვა ჩამოვარდებოდა. საყვარელმა ნაწარმოებმა დიდი მწუხარებაც გამოარონია სანდროს. ამონაბეჭდზე ილიამ ფასად მანეთი დააწერა.

— გერგებაო! ეთქვა მას სანდროსათვის.

იონა მეუნარგიამ გაზეთში მოათავსა მოთხრობის გარჩევა: წერდა, რომ ნაწარმოები სუსტიაო და უკიჟინებდა ავტორს, რომ ასეთი დიდი ფასი დაადო ასეთ სუსტ ნაწარმოებსო; და ვგონებ, ნათქვამიც ჰქონდა, რომ ეს მწერალს ალბათ სიხარბით მოსვლიაო. კარგად მახსოვს რა გამწარებული იყო ამ წერილით სანდრო; გულამომჯდარი ტიროდა ამის გახსენებაზე. ამის შესახებ მან მეუნარგიას საუცხოო საპასუხო წერილი მისწერა.

— რა უნდათ ჩემგან?.. — რა ვქენი ისეთი ცუდი, რომ ყოველგვარ სისაძაგლეს თავზე მახვევენ? — ამბობდა იგი გამწარებით.

გაგიჟებით უყვარდა სანდროს სცენა, მაგრამ, საუბედუროდ, ძლიერ სუსტი მსახიობი იყო. სამაგიეროდ ლეკურის გასაოცარი მოცეკვავე იყო. უცნაური, ლამაზი რამ იყო მისი თამაში ორი ხან-

ჯლით, მაყურებელს თან ხიბლავდა მისი სიმარდე, თან შიშს ჰგვრიდა.

— სანდრო, თუ კაცი ხარ, თავი გაანებე მაგ ხანჯლებით თამაშს. ფეხებს დაიკრი ერთ დღეს და ეს იქნება! — ვეუბნებოდი ხოლმე, რაზეც იგი მხოლოდ სიამოვნებით იცინოდა.

მეტად შევიწროებულ ცხოვრებაში იყო საწყალი სანდრო. მაგრამ წერას თავს არ ანებებდა. დაბოლოს, დასნეულებული იგი მოათავსეს მიხეილის საავადმყოფოში. ამ დროს კიდეც გამოიცა მისი მოთხრობები სამ ტომად. გამოცემული წიგნები მიუტანეს ავადმყოფს, მან გადაშალა, დააჩერდა თავის პორტრეტს, მერე ამოხია იგი, წიგნის ფურცლებიც მიხი-მოხია და გადაყარა იქით. მოკვდა სანდრო ისე, რომ სიხარული არ უგრძვნია როგორც მწერალს. მისი წიგნები საოცარი სისწრაფით ვრცელდებოდა და აყვარებდა ხალხს მის დამწერს.

თავი მეოთხე

მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი. — ბრძოლა დიმიტრი ყიფიანის წინააღმდეგ. — მეფე ალექსანდრე III-ს ჩამოსვლა საქართველოში. — თავად-აზნაურთა საპატიო ყარაული. — აჯარელი ყაჩაღების: მეულუდის და ილიასას სიკვდილით დასჯა.

წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში გაუქმდა „ნამესტნიკობა“ და მეფის მოადგილის მაგიერ დაინიშნა მთავარმართებელი. კავკასიის პირველი მთავარმართებელი იყო თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი, ყოფილი ბულგარეთის კომისარი. ყოფილ მეფის მოადგილეს, მიხეილ ნიკოლოზის-ძეს, ბრალად სდებდნენ, რომ მან აუშვა კავკასიის მკვიდრნი და ვერ ატარებდა მტკიცედ რუსეთის პოლიტიკას.

დონდუკოვ-კორსაკოვი ამის გამოსასწორებლად დაინიშნა და მის მმართველობის დროს რუსული პოლიტიკა სასტიკად ტარდებოდა. ადგილობრივი მცხოვრებლები საშინლად იჩაგრებოდნენ ამ პოლიტიკით.

ერთ წელიწადს საქართველოში ჩამოვიდა ყოფილი მეფის მოადგილე, მიხეილ ნიკოლოზის-ძე. დაბინავებული იყო თავის მამულში ბორჯომში და დიდად ერიდებოდა იქიდან გასვლას, რადგან დონდუკოვს სწყინდა მისი აქ ყოფნაც კი. ქალაქებიდან კი დეპუტატები მოდიოდნენ ბორჯომში და პატიჟებდნენ მთავარს. სხვათა შორის ქუთაისმაც გაგზავნა დეპუტატი და სთხოვა ქუთაისს სწვეოდა. დიდი

ყოყმანის შემდეგ მთავარმა თანხმობა განაცხადა და დანიშნულ დღეს კიდეც ეწვია ქუთაისს. ქალაქი დაუხვდა გულგაშლილად და გაჯაწყვეტილი ჰქონდათ საზეიმო ნადიმზე გამოეთქვათ დიდი მთავრისათვის თავიანთი გულის წუხილი და გაეცნოთ მისთვის ქვეყნის მდგომარეობა მისი წასვლის შემდეგ. საზეიმო ნადიმზე წარჩინებულ პირთა შორის იყვნენ დიმიტრი ყიფიანი და ქალაქისთავი ლუკა ასათიანი. ამ უკანასკნელს დაავალეს სიტყვის თქმა და მისგან ეიცი ეს ამბავი. თავის სიტყვაში ასათიანმა თამამად აღნიშნა ქვეყნის შეწუხება, ადგილობრივ მცხოვრებთა მოთხოვნილებათა მიმართ უყურადღებობა და არსებული უპატივცემლობა ხალხისადმი. თამამად ნათქვამმა სიტყვამ ერთი აურზაური გამოიწვია. საჩქაროდ მოითხოვეს ნათქვამი სიტყვის ტექსტი თბილისში და ასათიანი ძლივს გადაარჩინეს ქალაქისთავობიდან რომ არ გადაეყენებინათ. იმ დღიდან ამომიჩემაო, იტყოდა ასათიანი, ამომიჩემა დონდუკოვმა და დამიპირა კავკასიიდან გადასახლებაო; ხშირად საზეიმო წვეულებაზე დაცინვით ამბობდა ხოლმე დონდუკოვ-კორსაკოვი, რატომ ქუთაისის ქალაქისთავს არ პატიჟობთ სიტყვის წარმოსათქმელადო. ცუდი რაღაც მომელოდაო, ამბობდა ასათიანი, მაგრამ ამ დროს მოხდა სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მოკვლა ლალიაშვილისაგან, ეგზარხოს პავლესაგან ქართველი ხალხის დაწყევლა ამბიონიდან, რამაც გამოიწვია დიმიტრი ყიფიანის ეგზარხოსისადმი მიმართული წერილი. ატყდა ამ წერილზე დიდი ალიაქოთი. დონდუკოვმა ასათიანს თავი დაანება და თავისი გამძლავრებული რისხვა ყიფიანზე გადაიტანა; უფრო დიდი თევზი დავიჭირეო, — სიხარულით ამბობდა თურმე დონდუკოვი. თავად-აზნაურობის წინამძღოლად მყოფი ყიფიანი, პეტერბურგიდან ბრძანების მოსვლით, თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა და გაიგზავნა საცხოვრებლად სტავროპოლში, სადაც მოხუცებულს, სამოცდათხუთმეტი წლის ადამიანს შეუბრალებლად თავი გაუხეთქეს. რასაკვირველია, დანიშნული იყო გამოძიება, მაგრამ მკვლელი, რა თქმა უნდა, ვერ აღმოაჩინეს.

მოქეიფე მთავარმართებელი მუდამ მგზავრობაში იყო. დროს ატარებდა ქეიფსა და ლხინში. საგანგებო მატარებლებს დაჰყავდა უგრძნობლად მთვრალი მმართველი და გრძნობაში არმყოფი სადგურებზე დამხვდურ სხვადასხვა თხოვნებით დეპუტატებს ყველას პირდებოდა ნათხოვნის ასრულებას და დაკმაყოფილებას, თუმცა არც კი იცოდა ვინ სთხოვდა, რას სთხოვდა და არც ის, თუ რას პირდებოდა. ერთხელ, თურმე, სურამის სადგურზე დამხვდურ დეპუტაციას ვაგონის ფანჯრიდან გადმოსძახა:

— ბუდეტ ვამ პორტ, ბუდეტ! (გექნებათ ნავსადგურიო) და ჩა-

წვა ისევ, — თავი ისევ ფოთში ეგონა, საიდანაც მოდიოდა და სადაც საზეიმო სადილობამდე ნავსადგურის შესახებ ჰქონდა ლაპარაკი.

1888 წელს საქართველოში ჩამოვიდა ალექსანდრე მესამე. დონდუკოვმა ყოველი ღონე იხმარა, რომ მეფის მოგზაურობა საარაკო რამ ყოფილიყო და კიდეც მიაღწია მიზანს. სხვათა შორის მან შეადგინა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ახალგაზრდობისაგან საპატიო ყარაული, საუცხოო რამ სანახავი; ამორჩეული იყვნენ უმშვენიერესი ყმაწვილები, საუცხოოდ გამოწყობილნი ქულაჯებში, საუცხოო ცხენებით და იარაღით. ეს საპატიო ყარაული მუდამ და ყველგან თან ახლდა მეფეს და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა მასზე. წყალობის ნიშნად ყველას მიეცა პრაპორშჩიკობა, რამაც მეტისმეტი აღტაცება გამოიწვია არა თუ გაბედნიერებულებში, არამედ მეფის ერთგულთა შორისაც. წინანდალში მეფის მოგზაურობამ თავის უცხო სანახავებით მოლოდინს გადააჭარბა. საარაკო რამ იყო მეფის გართობა საბადურის მთაზე, ისეთი რამ უნახავი, რომ ჩრდილოეთის ყინულიც გალხვა და ერთი ბეწო აკლდა, რომ ლეკური ეთამაშნა. წინანდალში ხომ მოხერხებულად შედგენილ გასართობებს დასასრული არ ჰქონდა.

აქ მოვიყვან ერთ უცნაურ ამბავს, ჩემს წინანდალში ყოფნის დროს რომ მიამბეს ამას წინათ. დღევანდელ სახალხო მამულის ეზოში შესასვლელ ჭიშკრის წინ კედელი იყო აშენებული; არაფერს ეს კედელი არ იფარავდა. ვიკითხე, რა საჭირო იყო ასეთი უსარგებლო კედლის აშენება და მითხრეს, რომ, როცა ალექსანდრე მესამე მოდიოდაო, ამ ჭიშკრის პირდაპირ ერთი გლეხის ქოხი იდგაო და სასახლის აივნიდან თვალში ეცემოდა აივანზე მყოფსაო. გლეხს შეაძლიეს ფული და წინადადება მისცეს, რომ აყრილიყო და თავისი ქოხი აქაურობისათვის მოეშორებინა, მაგრამ გლეხი ვერას გზით ვერ დაეყოლებინათ — აქ გავიზარდე, აქ უნდა მოვკვდეო, — ამბობდა გლეხი. ვერ აჰყარეს ვერც მუქარით და მამულის გამგემ ქოხს წინ კედელი აუშენა, რომ სასახლის აივანზე მოსეირნე მეფე-დედოფალს არ შეჩხირებოდათ თვალში ჩაფეხვილი გლეხის ქოხი. არ ვიცი, არის თუ არა ეს კედელი დღეს, ქოხი ჩემსობას კი უკვე აღარ იყო.

მეფე ქუთაისსაც ეწვია. ქუთაისის თავად-აზნაურობამაც გამოაწყო საპატიო ყარაული; ამის გამოსაწყობად ერთი შეხეთქება იყო; მსურველებში მოხუცნიც კი მრავლად გამოჩნდა; ყველას იტაცებდა პრაპორშჩიკობის შეძენის სურვილი. უკანასკნელ ქონებას ყიდიდნენ გამოსაწყობად, თავს არ იზოგავდნენ ხარჯისა-

თვის. მაგრამ დაბოლოს ბევრი იმედგაცრუებული დარჩა, რადგან ზოგს მისცეს პრაპორშჩიკობა, ზოგს კი მხოლოდ იუნკრობა. დიდი აღელვება და შეცილება იყო მანდილოსანთა შორისაც. მოხუცი კნეინები ეცილებოდნენ ერთმანეთს და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ დედოფლის წინაშე ლეკურის მოთამაშეთა რიცხვში მოხვედრილიყვნენ. საქართველოდან მეფე მეტად ნასიამოვნები წავიდა. დონდუკოვიც ძლიერ გახარებული იყო, რომ ყველაფერმა ზედმიწევნით ხელი შეუწყო მეფის სასურველად მიღებას და მის უხიფათოდ მოგზაურობას. რუსეთში გაბრუნებული მეფე რომ გემით გაისტუმრა ბათომიდან დონდუკოვმა, მხიარულმა პირჯვარი გადისახა, მახლობლად მდგარ მღვდელს წაავლო ხელი და ხალისიანად მიმართა:

— აბა მამაო, გადავიხადოთ პარაკლისი, რომ ასე მშვიდობიანად ამგზავრა ღმერთმა იმპერატორი და შეევეედროთ მას, რომ კვლავაც ასე კეთილად ამგზავროს! აბა წამობრძანდით ეკლესიაში! — გადმოგვძახა იქ მდგომთ. პარაკლისი კი გადავიხადეთ, ღმერთს კი ეთხოვა მეფისათვის მშვიდობიანი მგზავრობა მიეცა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ სადგურ ბორკაზე მეფის მატარებელი დაიმსხვრა და მეფე-დედოფალი ძლივს გადარჩნენ სიკვდილს.

ვერ გაამართლა დონდუკოვმა მასზე დამყარებული იმედი — ვერ გამოდგა სასურველი მმართველი.

ან კი როგორ შეიძლებოდა ეს იმისთანა პიროვნებისაგან, როგორიც ის იყო. მომრავლდა არეულ-დარეულობა, უწესობა, ავაზაკობა და ყაჩაღობა.

დონდუკოვი გაიწვიეს და წესიერების დასამყარებლად პეტერბურგიდან გამოგზავნეს თავადი გოლიცინი, კაცი სასტიკი, თვითნება, დაუზოგველი, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა მაგარი ხელით დაემორჩილებინა აქაურობა და რუსეთის სრული მონამორჩილი გაეხადა ქვეყანა. მაღალი, მუცელგამოშვერილი, თავგადატელეპილი, ცისფერ თვალებით, მკაცრი კილოთი მოლაპარაკე შიშს ჰგვრიდა ყველას მის გარშემო მყოფთ. სახრჩობელები ყოველ ფეხის ნაბიჯზე იმართებოდა ხალხის შესაშინებლად, მაგრამ არა გამოდიოდა რა. მთავარმართებელი გაბრაზებით ამრავლებდა სახრჩობელებს — ამით ფიქრობდა ქვეყნის დამშვიდებას და ხალხში წესიერების აღდგენას. წესიერება ამით უფრო ირღვეოდა და გოლიცინის სისასტიკეს საზღვარი არ ჰქონდა.

მოვიყვან აქ ერთ ამბავს, რაც პირადად გამიგონია თბილისის სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგის გენერალ ივანენკოსაგან. ეს ივანენკო მეტად პატიოსანი კაცი იყო, იმდროინდელი ლიბერალი, თანამშრომლობდა ნიკო ნიკოლაძის „ნოვოე ობო-

ზრენიეში". აი იმისი ნაამბობი: ელიზავეტპოლის გუბერნიაში (ახლანდელი განჯის) სხვებთან ერთად დათარეშობდა ბრბო. ყაჩაღ აბუზარ-ოღლის მეთაურობით. ვერას გზით ეს ბრბო ვერ მოსპო მთავრობამ. დაბოლოს იშოვეს ერთი გადავარდნილი, სახელად სალიხა, რომელსაც შეჰპირდნენ ყველაფრის პატიებას და დასაჩუქრებასაც, თუ ის მოჰკლავდა აბუზარას, ან ხელს შეუწყობდა მთავრობას მის მოსაკლავად. სალიხა დათანხმდა, შევიდა აბუზარას ბრბოში და ერთ დღეს აბუზარა ღალატით მოჰკლა. ბრბოს შემადგენლობა დაიშალა და მათ შორის სალიხაც. საჩქარო ბრძანება გაიცა, რომ სამხედრო სასამართლოს განჯაში გაერჩია დაჭერილეპის საქმე. სასამართლო გაემგზავრა განჯაში. განჯის გუბერნატორს კირეევს დეპეშით ბრძანება მიეცა დაემზადებინა თერთმეტი სახრჩობელა დაჭერილ ყაჩაღთა ჩამოსახრჩობად. გოლიცინმა ეს წინდაწინ გადაწყვიტა და ეპეი არ ჰქონდა, რომ სასამართლოც ასე გადასწყვეტდა. ბრძანება, რასაკვირველია, აღსრულებულ იქნა, — კირეევმა დაამზადა თერთმეტი სახრჩობელა, მაგრამ საველე სასამართლომ ჩამოხრჩობა მხოლოდ ოთხ ყაჩაღს მიუსაჯა, მათ შორის სალიხასაც, — დანარჩენებს კი სხვადასხვა სასჯელი. გუბერნატორი კირეევი შიშისაგან ჭკუაზე აღარ იყო. იგი დიდი ხნიდან მეგობარი იყო გოლიცინის, კაცი რბილი; გოლიცინმა ის გადმოიყვანა რუსეთიდან განჯაში. მეგობარი იყო გოლიცინის, მაგრამ ძლიერ ეშინოდა მისი და მუდამ თან უბით ატარებდა სამსახურიდან გადადგომის თხოვნას; რბილ გენერალს არ შეეძლო სასტიკი მეგობრის ნების აღსრულება, რადგან განაჩენი ამის საშუალებას არ აძლევდა. რამდენიმეჯერ კიდეც შეეცადა გაენთავისუფლებინა თავი სამსახურისაგან, მაგრამ მკაცრი უფროსი თხოვნას უკან უბრუნებდა და ეუბნებოდა:

— სამსახურიდან გადადგომა კი არაა საჭირო, საჭიროა სამსახურის აღსრულება!

დამფრთხალმა კირეევმა ახლაც გაამზადა სამსახურიდან გადადგომის თხოვნა, — ამით ფიქრობდა გოლიცინის რისხვის აცდენას. სასამართლოს თავმჯდომარე თბილისში ჩასვლის მეორე დღესვე წარუდგა გოლიცინს საქმის მოსახსენებლად. გოლიცინმა უკვე იცოდა რომ ჩამოსახრჩობი მხოლოდ ოთხი ყაჩაღი იყო თერთმეტის მაგივრად.

— მიეედით, — თქვა გენერალმა ივანენკომ, — მიგვიღო დამშვიდებულად, დაწყნარებულმა. დაგვაჯინა, დაჯდა და ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ დაიწყო: — თქვენ, ბატონებო, კანონის ხალხი ხართ, მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ მეც კანონის კაცი ვარ (იგი

სენატორი იყო), რომ მეც მესმის რაიმე კანონის და მსურს კანონიერება დავამყარო ამ მხარეში; თქვენ კი ხელისშეწყობის მაგივრად, ხელს მიშლით. გიცხადებთ, რომ მე თქვენ ამის ნებას არ შოგცემთ და გაფრთხილებთ შემდეგისათვის. — იგი თანდათან ბრაზდებოდა: — მე მოველოდი თერთმეტ სახრჩობელას, თქვენ კი დამცინეთ და ოთხ კაცს მაძლევთ. ჩემი განზრახვები არ გადის თქვენთან. ტყუილია, მე ჩემსას ვიზამ, ჩემსას გავიყვან! — თითქმის ყვირილით დაათავა თავისი ჩვენდამი მომართვა გოლიცინმა, რომელმაც, ეტყობოდა, დავიწყებას მისცა, რომ ჩვენ მოსამართლის სახელს ვატარებდით.

სასამართლოს განაჩენი წარედგინა მას დასამტკიცებლად. თავმჯდომარემ მოახსენა, რომ ჩამოსახრჩობ ოთხთა შორის არის სალიხა, რომელსაც მთავრობა შეპპირდა ყველაფერის პატიებას. გოლიცინი მიუბრუნდა მოსამართლეს და წამოიყვირა:

— აბა სამი რჩება!.. მხოლოდ სამი??.. სამასხროდ მიხდით საქმეს?!... ყველა ჩამოახრჩონ! არ ვიცი მე თქვენი დაპირება! — გაბრაზებით მოუსვა კალამი განაჩენს და ამრიგად სალიხაც სხვებთან ერთად, დასაჩუქრების ნაცვლად, ჩამოახრჩვეს.

ერთი კიდევ ამ მმართველის ნამოქმედარი ყაჩაღ მევლუდას საქმეში: მევლუდა იყო აჭარელი ყაჩაღი, რომლის ბრბოს დიდ გასაჭირში ჰყავდა ჩაყენებული მთელი ადგილობრივი ადმინისტრაცია. მევლუდა, სიცოცხლით სავსე ბიჭი, ერთ დროს მსახურობდა მილიციონერად და დიდ პატივისცემაში იყო. ტყუილად თუ სამართლიანად ერთ დღეს მას დაბრალდა ვიღაც მოგზაურის გაძარცვაში მონაწილეობის მიღება და დაჭერილი იქნა. მევლუდა გამოძიების დროს გაიქცა, გადავარდა და წავიდა ყაჩაღად: მალე ამხანაგებიც იშოვა, შეადგინა ბრბო და მოსვენებას არ აძლევდა ადმინისტრაციას თავისი თამამი, გაბედული თარეშით. გოლიცინი გაბრაზებით გაიძახოდა:

— მომეცით, მევლუდა მომეცით, თორემ მთელ მხარეს ავიკლებო!

ერთ დღეს მთავრობამ მიაღწია თავის საწადელს — მევლუდა დაიჭირეს. მისი საქმე ბათუმში ირჩეოდა ერთი კვირის განმავლობაში. რადგან თარჯიმნები უხეირონი გამოდგენ, ამის გამო თარჯიმნებად სასამართლომ მოითხოვა სხვები და დაგვნიშნეს მე და ერთი ვინმე პორუჩიკი პუჩინიანი; აქედან ვიცი ამ საქმის გარემოება.

სასამართლოს თავმჯდომარეს წინდაწინ ჰქონდა ნაბრძანები მევლუდასათვის ჩამოხრჩობა გადაეწყვიტათ. საქმის გარჩევა კი დამთავრდა სხვანაირად. მევლუდას დამცველმა, კაპიტანმა დუბროვსკიმ

მშვენიერი დასაცავი სიტყვა წარმოთქვა და მევლუდამაც ისეთი უკანასკნელი სიტყვით მიმართა სასამართლოს, ისეთი მძლავრი კილოთი და შინაარსით, რომ ვისაც ქართული ესმოდა (მევლუდა, როგორც აჭარელი, მშვენივრად ლაპარაკობდა ქართულს) გული აუდუღა და ატირა. დამცველმა მთხოვა, რომ რაც შეიძლებოდა სიტყვასიტყვით გადამეცა ბრალდებულის ნათქვამი მოსამართლეთათვის. მეხსიერება კარგი მქონდა და მევლუდას ნათქვამი სავსებით. მისი კილოს დაცვით, გადვუთარგმნე მოსამართლეებს. ორ მათგანს (ლომინგს და არვანიტავის) აუჩუყდათ გული და თვალთაგან ცრემლი წამოუვიდათ. მიუხედავად ყოველნაირი მეცადინეობისა თავმჯდომარის მხრივ, მევლუდას სასამართლომ ჩამოხრჩობის მაგიერ სამუდამო კატორღა მიუსაჯა. გოლიცინის შიშით აცახცახებულმა თავმჯდომარემ ვერას გზით განაჩენი ვერ შეაცვლევინა სასამართლოს წევრებს. ხალხი დიდად გახარებული დარჩა განაჩენით, გოლიცინი კი კინაღამ ჭკუიდან შეიშალა და სასამართლოს განაჩენი გაგზავნა პეტერბურგში, უმაღლეს სამხედრო სასამართლოში და მოითხოვა, რომ განაჩენი საქმის ხელმეორედ გაურჩევლად შეეცვალათ. მოთხოვნა შეწყნარებულ იქნა: განაჩენი გადისერა და მევლუდას ჩამოხრჩობა მიესაჯა! არც კასაცია, არც ახლად საქმის გარჩევა. ჩამოახრჩვეს მევლუდა! მოსამართლეებს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური, მკაცრმა მმართველმა თავისი ქნა. კარგა ხანს განაგრძობდა ამგვარად კანონიერების გამტკიცებას გოლიცინი, სანამ თავი არ გაუხეთქეს კოჯრის გზაზე და დაავადმყოფებული იძულებული არ გახადეს თავი დაენებებინა კავკასიისათვის და ისევ პეტერბურგში დაბრუნებულიყო.

დავიწყებას ვერ მიეცემ მევლუდას ამხანაგის საწყალ ილიასა ბელაძის ამბავს, რასაც ადგილი ჰქონდა ისევ გოლიცინის მთავარმართებლობის დროს.

ილიასა იყო ახალგაზრდა აჭარელი; ოჯახში ოთხი ძმა იყო; ცხოვრობდნენ ერთგვარად, ძმურ სიყვარულში. ორი უფროსი — ცოლშვილიანები იყვნენ. მესამემაც ერთ დღეს გადასწყვიტა ცოლის შერთვა. საცოლად ამორჩეული ჰყავდა მისივე სოფლის მცხოვრები ქალიშვილი, მეტად ლამაზი და მშვენიერი გოგო. ძმებს, რომელთაც ეს ბიჭი განსხვავებულად უყვარდათ, დიდად გაუხარდათ მისი გადაწყვეტილება და საქმის მოსაგვარებლად დატრიალდნენ. ქალის მამასაც უარი არ უთქვამს და საქმე ბოლოვდებოდა, მაგრამ უმაწვილ ბიჭს განზრახვა ერთმა მისმა ამხანაგმა შეაცვლევინა. გაიგო თუ არა ამ უკანასკნელმა, რომ ილიასას ძმა ირთავს იმ გოგოსო, მოვიდა და შეეკვედრა, იმის შერთვა გადაეფიქრა და გოგო მისთვის და-

ეთმო, რადგან მას კარგა ხანია იგი ჰყავდა ამორჩეული საცოლედ და მისი დაშორება მისთვის სიკვდილი იქნებოდა. დიდი ხვეწნის შემდეგ ილიასას ძმამ შეისმინა ამხანაგის ვედრება, დასთმო თავისი განზრახვა და საშუალება მისცა ამხანაგს შეერთო სანატრელი არსება; დიდად უმძიმდა ილიასას ძმას ეს დათმობა; ერთხანზე მეტად დამწუხრებული იყო, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ყმაწვილის გული ისევ აივსო მეორე ქალიშვილისადმი სიყვარულის გრძნობით. გაიზარდა, დაყმაწვილქალდა დათმობილის, დაკარგული საცოლის უმცროსი და. ბიჭმა მოჰკრა თვალი გოგოს; იგი თუ სჯობდა, თორემ არაფრით ჩამოუვარდებოდა უფროს დას. ბიჭმა გადასწყვიტა ამის შერთვა, დატრიალდნენ ძმები საყვარელი ძმის სურვილის სისრულეში მოსაყვანად. ძნელი არ იყო ამის ასრულება, რადგან ბიჭს წუნს ვერავინ დასდებდა. საქმე ის იყო ბოლოვდებოდა, რომ ისევ ის ამხანაგი ჩაერია. მან ისევ მიმართა ილიასას ძმას თავის განზრახვაზე — მეორე დის შერთვაზე — ხელი აეღო. გაკვირვებულმა ბიჭმა ჰკითხა თავის ამხანაგს მიზეზი — რატომ უშლიდა იგი ამ უმცროს დასთან დაქორწინებულიყო, მაგრამ ხვეწნის გარდა დაშლის მიზეზი ვერ გაიგონა. მოლაც მიუგზავნა ილიასას ძმას, მაგრამ ამან აღარ შეისმინა უსაფუძვლო, გაუგებარი თხოვნა; უარი თქვა საცოლეს დათმობაზე და კიდეც შეირთო საყვარელი არსება.

ტკბილად, მხიარულად ცხოვრობდნენ დაქორწინებულნი და მთელი ოჯახი. მაგრამ ერთ დღეს, როცა ახლად დაქორწინებული ილიასას ძმა სახლის თავზე ქარისაგან ანგრეულ კრამიტს ასწორებდა — გამოვარდა ტყვია და სიცოცხლით სავსე მშვენიერი ბიჭი, სასიკვდილოდ დაჭრილი, სასურავიდან ჩამოვარდა მიწაზე. ოჯახის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონია; ასე მოულოდნელად მოვლინებულმა საშინელმა უბედურებამ უკიდურესად გაამწარა ყველანი — ძმებს ერთმანეთი ძლიერ უყვარდათ, მაგრამ ეს უმცროსი რაღაც გამორჩეევით ჰყავდათ ძმობაში და განსხვავებულად ესიყვარულებოდნენ. მოსაძებნი იყო მკვლელი. მთავრობამაც მსურვალე მონაწილეობა მიიღო და რამდენიმე ხნის შემდეგ კიდეც მიაგნეს მკვლელს, გაიგეს მისი ვინაობა. ეს იყო თექვსმეტი წლის ბიჭი ილიასას ძმის ქვისლის უმცროსი ძმა. დაკითხვაზე მან განაცხადა, რომ იგი ნადირობდა და მისი განასროლი ტყვია უცბად მოხვდა ილიასას ძმას. სამართალში მიცემულ ბიჭს მიესაჯა ორი წლის ციხე, მისი მცირეწლოვანების გამო.

უზომო მწუხარებამ შეიპყრო მთელი ოჯახი. საყვარელი ძმის ასე უმიზეზოდ დაკარგვა დღითი-დღე ამწარებდა ძმებს. მკვლელის დასჯას, მისი ციხეში გამომწყვდევას არაფითარი დამამშვიდებელი

გავლენა არ ჰქონებია; ეს ვერ აწყნარებდა აღელვებულ გულს: მოსვენება ყოვლად შეუძლებელი იყო — სანამ მოკლული საყვარელი ძმის სისხლი არ აიღებოდა. ძმებისათვის და მეგობრებისათვის და მეზობლებისათვისაც აშკარა იყო, რომ ილიასას ძმა მოაკვლევინა მისმა ქვისლმა თავის ძმას. აქ უნდა აღებულიყო სისხლი. ხალხური რწმენით მოკლულის სული, ჩიტად ქცეული, მუდამ მწუხარე საფლავს არ შორდება, სანამ სისხლი აუღებელია. ძმის სულის მოსვენება — ეს იყო ოჯახის დარდი და ყველაზე უფრო ეს დარდი არ ასვენებდა ილიასას, რომელსაც გადამეტებით უყვარდა ასე უმიზეზოდ მოკლული ძმა. მოუსვენრობამ უფრო იმატა, როცა ციხიდან გამოვიდა მკვლელი და თავისუფლად დადიოდა. ვეღარ მოითმინა ილიასამ და გამხეცებული ერთ დღეს ჩაუსაფრდა ძმის ქვისლს და მოჰკლა იგი. სისხლი აღებული იყო; მისი ღრმა რწმენა, რომ ძმის სული აწი მოისვენებდა, დაკმაყოფილებული, მაგრამ მთავრობის კანონით სისხლის აღება ედრებოდა უბრალო მკვლელობას და სისხლის ამღები სასტიკად ისჯებოდა. ილიასა იძულებული იყო სახლ-კარს გაშორებოდა; ტყეს შეაფარა მან თავი. მთავრობამ ბრძანება გასცა დაეჭირათ იგი — წინააღმდეგ შემთხვევაში სოფელს ემუქრებოდა აყრას და განადგურებას. მუხტარმა (მამასახლისმა) გამოიყვანა სოფელი და გარს შემოერტყეს ტყეს, სადაც იმალებოდა ილიასა. ბიჭი ვერ დაიჭირეს, შეტაკებაში მძიმედ დაიჭრა რამდენიმე კაცი. ილიასა გადავარდა; ამ დღიდან იგი უკვე ყაჩაღი შეიქნა და მან მიმართა მეელუდას — შევიდა მის ბრბოში, გახდა მისი ამხანაგი. რამდენიმე წლის თარეშის შემდეგ მეელუდა დაიჭირეს, ჩამოახრჩვეს; ბრბო გაიბნა და ილიასაც მოკლე ხანში ჩაიგდო მთავრობამ ხელში. ყაჩაღის გასასამართლებლად ბათუმში დანიშნა საველე სამხედრო სასამართლო მოსამართლე გენერალ ივანენკოს თავმჯდომარეობით. ეს ის ივანენკო იყო, რომელზეც ზემოთ მქონდა ნათქვამი. სასამართლოს წევრთა შორის მეც ვიყავი დანიშნული. ივანენკოს, რომელიც კარგად იყო გაცნობილი საქმესთან, და წევრებსაც გადაწყვეტილი გვქონდა ყოველივე საშუალება გვეხმარა და ილიასა სიკვდილს გადაგვერჩინა. მოწმეთა შორის იყო ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელი კაპიტანი ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი. ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ ივანენკომ კითხვა მისცა: შეეძლო თუ არა ილიასას დაჯერებულიყო იმით, რომ კანონმა დასაჯა მისი ძმის მკვლელი და სისხლი არ ეძია? ჯემალ-ბეგმა თქვა: ხალხის რწმენით სისხლი უსათუოდ უნდა აღებულ იქნასო. ამგვარივე შეკითხვა მიეცა მეორე მოწმეს — ილიასას სოფლის მოლას: შეეძლო თუ არა ილიასას სისხლი არ აეღო, რაკი მისი ძმის მკვლელი მთავ-

რობის კანონმა დასაჯა. შეკითხვამ ეტყობოდა მოლა შეაწუხა; ერთ-ხანაზე გაჩუმებული იდგა, მერე გადახედა ილიასას და მტკიცე გამოთქმით თქვა:

— არა, არ შეეძლო!

— რატომ? — ისევ შეეკითხა თავმჯდომარე.

— იმიტომ რომ მთავრობის კანონი თავისთავად არი... ეს კი სულის საქმეა! ვერ გადავა!..

ორივეს განცხადება ოქმში იქნა შეტანილი; ახალგაზრდა დამცველმა დაიხვია ხელზე ასეთი ჩვენებები და ცხარე სიტყვებში სახავდა ილიასას, როგორც მსხვერპლს ხალხური ღრმა რწმენისას, რომელსაც იგი ვერ გადააბიჯებდა, ვერ გადალახავდა, სანამ ისეთ განვითარებაში იმყოფებიან ის და მისი მოძმენი, როგორც დღეს არიან. დამცველი თხოულობდა სასჯელის შემცირებას.

სასამართლოს წევრთა თათბირის დროს ივანენკომაც ასეთი აზრი წარმოთქვა. მასაც ჩვენსავით სწადდა ილიასა სიკვდილს გადაერჩინა, მაგრამ აქ საჭირო იყო სხვანაირი მოქმედება.

— ამ საცოდავს, ბუნების შვილს, ჩვენი განაჩენით, რომელშიაც თუ არ იქნება მისი სიკვდილით დასჯა, ჩვენ ვერას გზით ვერ ვუშველით, — თქვა ივანენკომ, — მთავარმართებელს გავაჯავრებთ მხოლოდ; გოლიცინი ისე მოიქცევა, როგორც მოიქცა მევლუდას შესახებ: განაჩენს გაგზავნის პეტერბურგში და გადაასწორებიებს მისდა ნებისად ჩვენ მიერ გამოტანილ შეღავათიან განჩინებას. ჩვენ ილიასას მხოლოდ დავღუპავთ. მე გთხოვთ გამოვიტანოთ სიკვდილით დასჯის განაჩენი და ამით მომეცით საშუალება ვიხსნა იგი უბედურებისაგან; გაძლევთ პატიოსან სიტყვას მივიღო ყოველიე ზომა, რომ გოლიცინი შევაჯერო, დავიყოლიო ამ საცოდავ ყმაწვილს ააცდინოს სიკვდილი. მე დაწვრილებით, სავსებით დავუხატავ, გავაცნობ ილიასას საქმეს და იმედი მაქვს მივაღებინებ ჩვენს შუამდგომლობას — არც სულ მხეცია ის კაცი, — ოღონდ ნელა შევყვეთ, ნუ გავაჯავრებთ!.. ეს ერთადერთი გზაა ილიასას გადასარჩენად!

ჩვენ დავთანხმდით; ივანენკომაც შეასრულა თავის დანაპირები, მაგრამ მხეცს სისხლი სწყუროდა და არაფერი შეისმინა. გოლიცინის ბრძანებით ბათუმის ოლქის უფროსმა ილიასა წაიყვანა აჭარაში; ქედაში შეპყარეს მრავლად ქალი, კაცი, ბავშვებიც კი და ილიასა საჯაროდ ჩამოახრჩვეს.

— ასე დაისჯება ყოველი, რომელიც კანონს დაარღვევს და სამართალს გადაბიჯებს! იცოდეთ ეს! — გამოეცხადა ხალხს, რომელსაც გული უდუღდა, რომ მშვენიერი ბიჭი, უდანაშაულო, მართალი, ძალღვით ჩამოკიდეს.

დაკმაყოფილებული იქნა მხეცი კაცის კანონი, მხეცის სამართალი.

აქვე მინდა მოვიყვანო ერთი შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ხანებში და რომელმაც კინაღამ სულ სხვა მიმდინარეობა მისცა ჩემს ცხოვრებას.

როგორც ორ წელიწადს სამხედრო სასწავლებელში ნამყოფს, მე უნდა მემსახურნა სამი წელიწადი, რის შემდეგ ვფიქრობდი სამხედრო სამსახურიდან გასვლას და სხვა დარგში მოწყობას; ვაპირებდი ჩემს გუნებაში საზღვარგარეთაც წასვლას. ამ სამ წელიწადში კი სინდისიერად ვასრულებდი სამსახურს. ერთი ამხანაგი მყავდა — ბესარიონ იოსელიანი; ის ხშირად მეტყოდა ხოლმე: რაზე იკლავ თავსო. არაფერი არ გამოვა, ტყუილად ღალავ შენს თავსო, დაიმახსოვრე ნათქვამიო: ნეზნაიკა ლექიტ, ა ზნაიკა ბექიტ. ყველა იძახის ბესომ არაფერი იცისო და ქე ვარ ჩემთვის მოსვენებული, არაფერზე არ მსჯიანო; შენც ასე მოიქეციო, — მარიგებდა და მირჩევდა ჩემი ბესო, მაგრამ მე ვერ შევითვისე მისი დარიგება და ხალისიანად ვეკიდებოდი საქმეს. მალე თანამდებობაზეც დამნიშნეს — ჩამაბარეს თოფ-იარაღის შესაკეთებელი სახელოსნო. აქ სახალისო სამუშაოვარიც იყო და ის თხუთმეტი სალდათი მოხელე, სახელოსნოში რომ მუშაობდა, დიდად განირჩეოდა გუნდის სალდათებისგან. — ესენი იყვნენ გაცილებით მათზე უფრო განვითარებულნი. აქ საქნარის ხასიათის გამო ურთიერთობაც განსხვავებული იყო, უფრო სადა და ახლობლური. მე ძალიან გამიტაცა აქ მუშაობამ და ხშირად მეც ემუშაობდი — ვეჩვეოდი სახელოსნოს მუშაობას. ნაწილის უფროსად ამ დროს გვყავდა მეფის ამალის პოლკოვნიკი კოლენკო, წმ. გიორგის ჯვრის კავალერი. სამნეო ნაწილის, ე. ი. ჩემი პირდაპირი, უახლოესი უფროსი კი მოხუცებული, დაღარიბებული, ერთ დროს მდიდარი მემამულე პოდპოლკოვნიკი გუკოვი, კაცი უხეიროდ ნატარებ ცხოვრებისაგან დაჩონჩვილი, გულმავიწყი, დაზარმაცებული. სრულიად უმიზეზოდ ამიტყდა ეს კაცი და თავის შენიშვნებით მოსვენებას არ მაძლევდა. გამოუცდელი ყმაწვილი ისეთნაირად დამარიგა თუ როგორ მოვქცეულიყავი ნაწილში თოფ-იარაღის საინსპექციოდ მოსულ ინსპექტორთან, რომ მეც სირცხვილში ჩამაგდო და ინსპექტორმა, ახალგაზრდა არტილერიის კაპიტანმა, მითხრა: — ეს უსათუოდ თქვენ გასწავლათ თქვენმა პოდპოლკოვნიკმა — მიაფურთხეთ მას გადმოდღლაზულ პირისახეში! თქვენ ნუ წუხართ, ოღონდ ნუ აყვეთით მაგათთანა ოხრებს, გამოტვინებულ ბებრებს, მაგენი ჩვეული არიან ყოველ სისაძაგლესს! — მე ვუსაყვედურე პოდპოლკოვნიკს მისი დარიგება, თუმცა მთლად არ გადამი-

ცია კაპიტანის სიტყვები. არ ვიცი ამის გამო, არ ვიცი სხვა რამ ეწყინა ჩემგან, როგორც ვთქვი, პირდაპირ გამბერა თავისი შენიშვნებით. მე ვითმენდი, ვითმენდი რაც გამეწყობოდა. ერთ დღეს კი მოთმინებაც დაიკარგა და უფროს-უმცროსობაც დამავიწყდა. მისმა ბრიყვულმა მომართვამ ისეთნაირად ამრია, რომ დამავიწყდა ყველაფერი და პოდპოლკოვნიკი გავლანძღე საჯაროდ, დაუზოგავად. ჩემს აღელვებას საზღვარი არ ჰქონდა, ყველაფერი დამავიწყდა. აყვირებული კიღამ ვეცი ხელით. მერე გავგრილდი და მივიჭერი ნაწილის უფროსთან:

— პოდპოლკოვნიკი ისეთ რამეს აძლევს ნებას თავის თავს, რომ მე გონებაზე აღარ ვარ და არ ვიცი, რას არ ვუზამ! — ვუთხარი გაჯავრებისაგან ათახთახებულმა.

— თქვენ ისე უყვირით უფროსს, რომ მე აღარ ვიცი რა ვქნა აქ! არ შეიძლება მაგრე! დაწყნარდით, — მიპასუხა პოლკოვნიკმა, ადგა და მითხრა გავყოლოდი. წამიყვანა, შემომარონია კანცელარიის შორეული ნაწილები, გზადაგზა რას არ მელაპარაკებოდა, და ბოლოს გაჩერდა, მომაჩერდა და მითხრა: — ახლა ხომ დაწყნარდით? წადით სახელოსნოში, მაგრამ გახსოვდეთ, რომ უფროსს არ უყვირიან, ეს ყოვლად დაუშვებელია!

დამშვიდებული, დაწყნარებული შევიდა სახელოსნოში, მაგრამ საოცარი დანაშაულობა დისციპლინის წინაშე პასუხის საგებად წინ მქონდა. ჩემი მზრუნველი, კეთილი კაპიტანი სამსონ ნემსაძე, რომელთანაც ერთ ბინაზე ვიდექი, კიღამ ჭკუიდან შეიშალა, რომ გაიგო რაც მომიეიდა. წუხდნენ ყველანი, რადგან მომელოდა მძიმე სასჯელი. ორი დღის შემდეგ პოდპოლკოვნიკმა შეიტანა ჩემზე პატაკი, რომ გავლანძღე. მეტად ცუდი რამ მომელოდა.

მაგრამ ხიფათს გადავრჩი. ერთ დღეს ადიუტანტმა მიხმო და მომცა წასაკითხავად გადაშლილი სამხედრო დებულებათა ოცდამეოთხე წიგნი, მუხლები 91, 92 და 93.

— პოლკოვნიკმა გიბრძანათ ეს მუხლები წაიკითხოთ და კარგად დაიმახსოვროთ! — მითხრა ადიუტანტმა. მოყვანილ მუხლებში ნათქვამი იყო, რომ პირდაპირი უფროსის გალანძღვისათვის დამნაშავეს ერთმეორე ღირსება, გამოირიცხება სამსახურიდან და მიესჯება ციხე ერთი წლიდან სამ წლამდე.

— წავიკითხე! — ვუთხარი.

— დაიხსომეთ კარგადო, სხვა არაფერი!

— გუკოვის პატაკი? — ვიკითხე.

— გუკოვს, — გამიხმო ადიუტანტმა გვერდზე. — გუკოვს პატაკი უკან უბრუნდება.

თურმე კოლენკოს დიდად ეწყინა ეს პატაკი და პოდპოლკოვნიკს პატაკიც უკან დაუბრუნა და თან შეუთვალა ადიუტანტის პირით:

— სირცხვილია მოხუცებულმა ნამსახურმა გამოუცდელი ყმაწვილი მიიყვანო იმ ზომამდე, რომ გონება ეკარგებოდეს, ჭკუიდან იშლებოდეს და მოსაზრება აღარ ჰქონდეს, თუ რას ჩადის და იღუპავდეს თავს...

დამეკვალა ბოდიში მომეხადა პოდპოლკოვნიკთან და ესეც ისე ვამიადვილეს, რომ უარი ამაზე არ მითქვამს. ამრიგად კეთილი ადამიანის მოქცევით გადავრჩი უბედურებას.

თავი მეხუთე

ბათუმი ნავთის ქალაქი. — გაღატაკებული გლეხობის სწრაფვა ბათუმისაკენ.— პირველი არტელები. — გიორგი წერეთელი. — „ზაბუგინის კომისია".

1885 წელს გაუქმდა ბათუმის პორტო-ფრანკობა. ეს ისე მშვიდობიანად მოხდა, რომ არავითარი წინააღმდეგობა სხვა სახელმწიფოებს არ გაუწევიათ. პორტო-ფრანკოს მოხსნით გარშემო მცხოვრებთათვის გაადვილდა ქალაქში მისვლა-მოსვლა. პორტო-ფრანკობის დროს ქალაქის გარშემო სადარაჯოები იყო; ყოველი გამვლელ-გამომვლელი იჩხრიკებოდა და გატანილ ნავაჭრზე, რაც უნდა მცირე ყოფილიყო, ბაჟი უნდა გადაეხადა; აქ, რასაკვირველია, დარაჯებისაგან ათასი თვითნებობა და შევიწროება ხდებოდა; ერთი სიტყვით, სოფლელები, რომელნიც ქალაქს ვერ რჩებოდნენ, ძლიერ გაჭირვებულნი იყვნენ. ამგვარივე გაჭირვებაში იყვნენ შორიდან მოსულები გაბრუნებისას — დაჩხრეკა, დაზვერვა, გასინჯვა ბარგისა ხშირად იწვევდა დიდ უსიამოვნებას და შევიწროებას. რაკი პორტო-ფრანკო მოიხსნა — ეს ყოველი შევიწროებაც მოისპო და გაადვილებული შეიქნა მიმოსვლა. მიმსვლელ-მომსვლელი გამრავლდა. უბაჟო საქონელი, კონტრაბანდად შემოტანილი, მაინც მრავალი იყო ქალაქში, საქონელი იაფი და კარგი ღირსების. ვაჭრობა დღითი-დღე მატულობდა, ქალაქში მოძრაობა თანდათან იზრდებოდა. ყველას ენაზე ეკერა ბათუმი, ბათუმი ყველასათვის საშოვარ ადგილად შეიქნა აღიარებული; ყოველი მხრიდან მორბოდნენ, რომ აქ ფეხი ჩაედგათ და ჯიბე გაესქელებინათ. სულ მოკლე ხანში დაიყიდა ცარიელი მიწები და გაშენდა ახალი ქალაქი. ძველი, ზღვის ნაპირას მიკუნჩხული შენობები საცოდავად გამოიყურებოდნენ თავიანთ ვიწრო, უშნო ქუჩებით ახლად გაყვანილ ფართო ქუჩების ნაპირებზე ახლად აღმართულ შენობებთან შედარებით. ქალაქი ღებულობდა

სულ სხვა სახეს და რომ მოეშორებინათ მისი დამაუშნოვებელი მინ-
გრეულ-მონგრეული ქოხები, რომელთაც წინანდულად მაღაზიებს
უწოდებდნენ —ერთ ღამეს მისცეს ცეცხლი და ერთიანად გადა-
ბუგეს. მთელი ბაზარი გაიწმინდა, გაფართოვდა ზღვის ნაპირი. დამ-
შვენდა ქალაქი. ამ გალამაზების, ახლად აგებული ქალაქის გამშვე-
ნიერებისაკენ მიიმართა ქალაქის მმართველობის აზრი და მოქმედე-
ბა: ამან დაიპყრო ქალაქის გამგე — პოლიცია. ახლადდანიშნული
პოლიცმეისტერად ვინმე პოდპოლკოვნიკი ვოზნესენსკი სწორედ სა-
სურველი პიროვნება აღმოჩნდა. დიდი ენერგია დახარჯა მან ბათუ-
მის გალამაზებისათვის. ფოთიდან მან გადმოიყვანა ნასწავლი მება-
ღე გერმანელი ვინმე რესლერი, თავისი ხელობის ზედმიწევნით
მცოდნე მოხუცი. განიერი ქუჩების ნაპირები შეიმკო დარგული ჭად-
რებით, ზღვის ნაპირად გაჩაღდა მუშაობა. შეუდგნენ ბულვარის
კეთებას ქვიშიანზე. ყველას ეცინებოდა ასეთი მუშაობის გამოწყო-
ბა. ეუცხოებოდათ სიპ ქვიშაზე რა ბულვარი უნდა გაშენდესო, მაგ-
რამ ვოზნესენსკი და მისი მუდამ გაყუჩებული ბებერი რესლერი
არხეინად განაგრძობდნენ გამოწყობილ საქმეს, — აყრიდნენ ქვიშას
ურმებით მოზიდულ მიწას, იღებდნენ ორმოებს, რგავდნენ მცენარე-
ებს. არავის სჯეროდა თუ ამ მუშაობიდან რაიმე სახეირო გამოდნე-
ბოდა, მაგრამ რამდენიმე წლის გამუდმებული მუშაობის შემდეგ
დარწმუნდნენ, რომ საკეთილო საქმე იყო დაწყებული, — ზღვის ნა-
პირზე გადაიშალა ლამაზი ნორჩი ბულვარი, შემდეგში ბათუმის
მშვენებად ქცეული. გამარჯვებული პოლიცმეისტერი მხიარულად
იყო და ჩააჩუმა ყველა, ვინც ამბობდა, რომ ბულვარის კეთება მის-
გან გამოგონილი იყო მხოლოდ მისი ცარიელი ჯიბის გასასქელებ-
ლად. მოხერხებულმა პოლიციელმა იცოდა სხვა გზა ჯიბის გასავ-
სებად. ბულვარზე დანახარჯი იმას ვერას უწილადებდა იმდენს. მან
სხვა საშუალებას მიმართა: განიზრახა სხვებისავით ლამაზი სახლის
აშენება; ამისათვის მან მიმართა მსხვილ მოვაჭრეებს და მოიჯარად-
რეებს ესესხებინათ მისთვის საშენი მასალა — ცემენტი, რკინა, ხის
მასალა. მასალა მოგროვდა აუარებელი, იმდენი რომ შესაძლებელი
შეიქნა მისგან გაშენებულ ლამაზ ბულვარის პირას აღმართულიყო
ვეებერთელა ორსართულიანი ლამაზი შენობა.

ამ ხანებში ნამდვილი ცხელება იყო სახლების შენებაში. ყოველ
მხრიდან ეშურებოდნენ, რომ ბათუმში სახლი აეშენებინათ. ქალაქს
ჰყავდა არქიტექტორად ვიღაც ნათრევი კარცევი, თავგაჭედილი რუ-
საპეტი, რომ იტყვიან, მოძულე ყოველივე ადგილობრივის. ის იწვევდა
რუსეთიდან ფულიან კაცებს ბათუმში რუსობის გასაძლიერებლად და
ამას არც კი მალავდა, უტიფრად ყვიროდა. გაძლიერებით ეტანე-

ბოდა ქალაქს ართვინის მდიდარი სომხობაც. ამათ შეიძინეს დიდძალი ადგილები ქალაქში, განსაკუთრებით სანჯაყ-ბეგ აბაშიძეებისაგან. აბაშიძეები შევიწროებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ცხოვრების საშუალების მოსაპოვებლად მუქთად ყიდდენ თავიანთ ქონებას. მთავრობამ მხოლოდ უფროს ძმას — ხუსეინ-ბეგს შეხედა მოწყალე თვალით, მას ებოძა, როგორც გვარდიის წარმომადგენელს, მაიორობა, მშრალი მაიორობა, ე. ი. ჰქონდა უფლება ეტარებინა მაიორის საბეჭურები და სხვა არაფერი. გულდაწყვეტილი იგი ერთხელ აიყარა და გადაიხვეწა ოსმალეთში იმ იმედით, რომ ერთმორწმუნე ხალხში გაჭირვებისაგან თავს დაიფარავდა, მაგრამ იმედი არ გაუმართლდა და ისევ სამშობლოს მოაშურა.

მოკლე ხანში ქალაქი ისე გაშენდა, ისე გადიდდა, რომ თვით მთავრობამ აღძრა საკითხი ქალაქში თვითმართველობის შემოღების შესახებ. ქუთაისის გუბერნატორის გენერალ გერშელმანის წარდგენით 1888 წელს წინანდელი პოლიციის მართვა ქალაქისა გაუქმებულ იქნა და შემოღებულ იქნა ქალაქის თვითმართველობა იმ განსხვავებით, რომ პირველი ქალაქისთავი უნდა ყოფილიყო მთავრობის მიერ დანიშნული პირი და არა არჩეული. ასეთ პირად მთავრობამ დანიშნა ვინმე თბილისიდან გვარად გავრონსკი, „პრიკაზის“ ყოფილი გამგე. ეს მოხელე თბილისელი იყო, ქართული კარგად იცოდა და აქაურობასაც კარგად იცნობდა. ურიგო კაცი არ იყო, მაგრამ თავიდან ფეხებამდე მოხელე, ტიპიური, მოუდრეკელი მოხელე. რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ მოხდა არჩევნებიც. არჩეულ ხმოსნების შემადგენლობა მეტად ჭრელი იყო, რუსი, სომეხი, ბერძენი და მცირეოდენი ქართველობა. ქალაქის გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ რუსები; შემდეგ ერთმა მათგანმა უარი განაცხადა და მის მაგიერ აირჩიეს სომეხი. დიდი გაჭირვებით და დავიდარაბით გამგეობის მდივნად გაყვანილ იქნა ქართველი კაცი — ივანე მესხი, ძმა სერგეი მესხის. ამის გაყვანა იღბლად მოხერხდა და შემდეგისათვის მეტად დიდმნიშვნელოვანი, სასარგებლო შეიქნა. იგი წინათ ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის წევრი იყო და კარგად იცოდა საქმის გაძღოლა. მოხერხებული, ქალაქის საქმეების მცოდნე, ცოცხალი, მომქმედი — იგი სული და გული შეიქნა ახლად შემოღებულ თვითმართველობისა.

ქალაქი თანდათან წარმატებაში შედიოდა; გულდასაწყვეტი მხოლოდ ის იყო, რომ თვითმართველობაში მეტად მკრთალად იყვნენ წარმოდგენილნი ადგილობრივი მცხოვრებნი. უმრავლესობა მოსულთაგანი ფულიანი პირები იყვნენ, შემოხიზნულნი უფრო ჯიბის გასასქელებლად, მეტად ყრუ და უთავაზონი ადგილობრივ მკვიდრთა

და მათ მოთხოვნილებათა მიმართ. მკვიდრთა ინტერესები სრულიად წაყრუებული იქნა. განსაკუთრებით ეს ხდებოდა, როცა გავრონსკი გადადგა და მის ადგილზე დაინიშნა ვინმე კაიანდრა. ეს იყო ყოფილი მოსამართლე, ლიბერალი, განვითარებული, ენამახვილი, დაუღალავი მუშა, მცოდნე პიროვნება, მაგრამ ამასთანავე მეტისმეტი შოვინისტი, რომელსაც არავითარი პატივისცემა არ ჰქონდა სხვა ეროვნებისადმი, განსაკუთრებით ქართველობისადმი. მას ვერ წარმოედგინა, თუ ქართველ კაცს რაიმეს გაკეთება შეეძლო ან მუშაობის უნარი ჰქონდა. ქართველს ისე უყურებდა, როგორც უნიჭო, უგონო არსებას. მე კარგად ვიცნობდი მას და ერთხელ შევთავაზე წერაკითხვის საზოგადოების სკოლის სასარგებლოდ გამართულ საღამოს ბილეთი.

— ხუთი მანეთია თქვენზე, ალექსი ივანიჩ, — ვუთხარი, — სკოლის სასარგებლოდ... უფასო სკოლაა ღარიბი ბავშვებისათვის.

— რაზე იკლავთ თავს... ტყუილა წვალობთ... არაფერი არ გამოგივათ! — გაიცინა მან.

— მოიტანთ ხუთი მანეთი, — მივუგე, — თქვენი უიმედობა ჩვენდამი ისევ თქვენთან დარჩეს და რაც იქნება, იმას შემდეგ დაინახავთ.

ის აზრი, რომ ქართველობა არაფრის შემძლე იყო და გონებით სუსტი, თითქმის საერთო აზრი იყო იმ ხანებში. ეს ყოველმხრიდან გვესმოდა და თვით ჩვენებურობაც ეთვისებოდა და ერწმუნებოდა ამ აზრს. ყოველ ფეხის გადადგმაზე ისმოდა ხოლმე: ჩვენ არ შეგვიძლია, ჩვენ არ ვიცით, ჩვენ რას მოვახერხებთ, რას გავაკეთებთ. ამასობაში კი ცხოვრება მოძრაობდა და დუღდა. საზოგადოდ ამ ხანებში შესამჩნევი გამოცოცხლება ემჩნეოდა ჩვენს ცხოვრებას, მიუხედავად 1881 წლიდან დაწყებული რეაქციისა და სასტიკი რეჟიმისა. თვალსაჩინოდ იზრდებოდა პერიოდულ გამოცემათა გამოსვლა და წიგნის გავრცელება. ათასამდე აწევდა ტირაჟი გაზეთ „ივერიისა“, თანდათან ვრცელდებოდა „კვალი“ და ეფინებოდა სოფლადაც კი; ბროშურები, ფურცლები, სხვადასხვა წიგნაკები არაჩვეულებრივი რიცხვით გამოდიოდა და ვრცელდებოდა, მკითხველთა რიცხვიც საოცრად იზრდებოდა და მატულობდა. ყველგან გვხვდებოდა გამოცოცხლებული ახალგაზრდობა, აღელვებული, მოძრავი, ათასი საკითხებით დაინტერესებული; ამათ დიდი სიცოცხლე შეჰქონდათ თავიანთ სოფლებში, საიდანაც ხალხს იწვევდნენ ქალაქებისკენ, ქარხნებისკენ უმჯობესი ცხოვრების მოსაპოვებლად, ურუდ ყოფნისაგან თავის დასაღწევად და სინათლეზე გამოსასვლელად. ყველას ენაზე ეკერა ქადაგება „ქარხნის ქვაბში ამოხარშვის საჭირო-

ების“ შესახებ, მიწისაგან გაშორება. ამ ქადაგებამ თითქმის შუაზე გაჰყო ხალხი — ერთნი მიწასთან განშორებაში ხედავდნენ ხსნას, მეორენი კი ირწმუნებოდნენ, რომ მიწასთან დაშორება და ჩვენი დაღუპვა ერთი იქნებოდა. ცხარე კამათი, დაუსრულებელი კამათი ამაზე ჰქონდა პრესაში ახალმოსულს (ილია ჭავჭავაძეს) და ნოე ჟორდანიას. მთელი ქართველობა გატაცებული იყო ამათი პოლემიკით და ყოველ მათ სიტყვას გაფაციცებით ყურს უგდებდა.

ცხოვრების მიერ შექმნილი პირობები ხელს უწყობდა მიწასთან გაშორების ქადაგებას და სოფლებიდან აუარებელი ხალხი მოდიოდა ქალაქებისკენ უკეთესი ცხოვრების მოსაძებნად. ყველაზე უფრო ეს, სოფლის შემოსევა განიცადა ბათუმმა, რადგან არსად არ ჰქონდა გასავალი მუშა-ხელს, როგორც აქაურ ქარხნებში; ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის მაზრებიდან აუარებელი ხალხი მოდიოდა ზოგი მხოლოდ სამუშაოდ, ზოგი კი სამუდამო დასახლების განზრახვით. ამას მოსდევდა წვრილი ვაჭრობაც. ქალაქში კი უხვდებოდათ შორეული ქვეყნებიდან მოსულები და მათ შორის იმართებოდა მეტოქეობა და ქიშპობა. მთავრობა იმის ცდაში იყო, რომ რაც შეიძლება მეტი გადმოესახლებინა შიდა რუსეთიდან და დაებინავებინა, მკვიდრნი აეყარნა და სხვაგან გადაეგდო, აქაურობას მოეშორებინა. ბათუმის ოლქის უფროსმა სლავოჩინსკიმ ამ მიზნით გამოიწერა და ჩამოიყვანა მოზრდილი პარტია გადმოსახლებულთა და დააბინავა ბათუმის მახლობლად ჭოროხის გაღმა ეგრეთ წოდებულ თხილნარში. გადმოსახლებულებს მიეცა ფული, პური, საშენი მასალა და გაიმართა გვარიანი სოფელი. მოსულები შეუდგნენ ხვნა-თესვას, მაგრამ ამათ სიმინდის მოყვანა არ იცოდნენ, პური კი ნესტიან ადგილას ჩალპა და არ ამოვიდა; ამასთანავე დაერიჯთ ციება და მოკლე დროში თითქმის განახევრდა ხალხი; გადარჩენილებმა მოკურცხლეს და გაიფანტნენ. მეორე წელიწადს თხილნარი ისევ დაცარიელდა და აუარებელმა ხარჯებმა ტყუილ-უბრალოდ ჩაიარა.

ამაზე უარესი ამბავი უნდა დატრიალებულიყო სოფელ ბორჩხას გადაღმა მდებარე მურღულის ხეობაში. ეს ხეობა მეტად მდიდარი და ღონიერი ნაწილი იყო ოლქის; აქაურები კარგად. კმაყოფილად ცხოვრობდნენ; ჰქონდათ ჩინებულად აგებული და მოწყობილი სახლები, ჰყავდათ საკმაო საქონელი, მოსდიოდათ საკმაოდ სიმინდი, ზოგ ადგილას პურიც; ხილი — ვაშლი და მსხალი — აუარებელი; ჰავა მშვენიერი, ერთი სიტყვით, მეტად მოსაწონი კუთხე ყოველი მხრივ. აი ეს ხეობა ამოირჩია მთავრობამ შიდა რუსეთიდან გადმოსახლებულთა დასასახლებლად და ამის აღსრულებისათვის სულ

მარტივი საშუალება უნდა ეხმარათ. მცხოვრებლები უნდა გამოეყვანათ მათი სახლებიდან, მათ უნდა დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი სავსებით, ისე როგორც იყო, უნდა გაშორებოდნენ ხეობას და გადასახლებულიყვნენ სხვაგან, სადაც ამოირჩევდნენ დასაბინავებელ ადგილს. მიტოვებულ სახლებში კი უნდა დაებინავებინათ გადმოსახლებულთა ოჯახები. გეგმა შემუშავებული იყო და გამოგზავნილი სისრულეში მოსაყვანად. ისინი მეტად აგვიანებდნენ განკარგულების გამოცხადებასაც. ადგილობრივი მმართველობა შიშობდა, რომ განკარგულების გამოცხადებას მოჰყვებოდა არეულობა, რომ მურღულელები ასე ადვილად არ დატოვებდნენ თავიანთ სახლ-კარს, არ აიყრებოდნენ და არ გადიკარგებოდნენ ვინ იცის სად. საქმე იმ მდგომარეობამდე მივიდა, რომ უმაღლესი მთავრობის განკარგულების გამოცხადებაც კი აშინებდა ადგილობრივ მოხელეობას. დიდი ყოყმანის შემდეგ ამის გამოცხადება დააკისრეს ისევ ქართველ მოხელეს, ტყის გამგეს ალექსანდრე აბაზაძეს. ამან მტკიცე უარი განაცხადა ამაზე — ამისთანა შეუწყნარებელი განკარგულების სისრულეში მოყვანას თავს არ შეევაკლავო. მურღულელებმაც ყური მოჰკრეს, რომ მათ გადასახლებას უპირებდა მთავრობა ასეთი უცნაური სახით და აღელდნენ. ხალხი მზადებას შეუდგა — როგორც ერთი ამდგარიყო და სასტიკი წინააღმდეგობა გაეწია განკარგულების სისრულეში მოყვანისათვის. მეტად გამწარდნენ ყველანი და შეიარაღებას შეუდგნენ, რომ სათანადოდ შეხვედროდნენ მთავრობის ბრძანების ასასრულებლად მოსულ პირთ. ერთი ფეხის გადადგმა გამოიწვევდა, ყოველ ეჭვს გარეშე, საშინელ სისხლის ღვრას, დაუსრულებელს, დაუთავებელს; იქნებოდა აუარებელი მსხვერპლი, შედეგი კი არაფერი: გადმოსახლებულები ამ მთიან ადგილებში ვერც მოეწყობოდნენ და ამოიქლიტებოდნენ გაბრაზებულ მკვიდრთა ხელით. როგორც იქნა, ეს უცნაური და ყოვლად შეუწყნარებელი განკარგულების სისრულეში მოყვანა ჯერ გადაიდო და შემდეგ გაუქმებულიც იქნა. მაგრამ აბაზაძეს მაინც არ ეპატია მისი წინააღმდეგობა და რამდენიმე ხნის შემდეგ, სულ უბრალო მიზეზის გამო, სამსახურიდან დაითხოვეს.

ამდაგვარ უცნაური შემავიწროებელი განკარგულებების ქვეშ იყო ქართველობა და სომხობა თვით ბათუმშიაც. მაგალითად, ბათუმის განაპირა უბანში, ეგრეთ წოდებულ გოროდოკში, არარუსს ნება არ ჰქონდა ეყიდნა ადგილი და სახლი აეშენებინა. სოფლიდან აყრილს, ქალაქს შემოხიზნულს, ერთადერთი ადგილი ჰქონდა დასაბინავებლად, ეს იყო როტშილდის ქარხნის გადაღმა, მდინარე ბარცხანას ნაპირზე. ამ დათმობაში გადაცდა მთავრობა, თორემ აქ არავის

გააკაკანებდა — არ ეგონა თუ აქ თავს მოიყრიდა ერთგვარი ელემენტი, რომელიც 905-ში ერთ ალიაქოთს აუტეხავდა, გამოაცხადებდა თავის ნებას უჩინარი „ბარცხანის გუბერნატორის“ სახელით და თავისი ნების და ბრძანების ქვეშ მოიქცევდა ბათუმსაც და მის მთავრობასაც.

მეტად მტრულად უხვდებოდა სოფლიდან ჩამოსულთ არტელებში თავშეყრილი შორი ქვეყნიდან გადმოხიზნული ხალხი. საბაჟოში რომ გადმომტვირთავ-დამტვირთავი არტელი მუშაობდა — ამ არტელში შესვლა ყოვლად შეუძლებელი იყო; ღებულობდნენ მხოლოდ შიდა რუსეთიდან მოსულებს. ამგვარად იყო სხვაგანაც, ყოველ სამუშაოზე. გამწარებულმა ჩვენებურებმა ერთ დღეს გადაწყვიტეს ცალკე მუშაობა არტელის დაარსება. მოიყარა რამდენიმე ასმა კაცმა თავი, შეადგინეს ამხანაგობა, გამოიმუშავეს წესდება და წარუდგინეს მთავრობას დასამტკიცებლად. დიდი გაჭირვების შემდეგ წესდება დამტკიცებულ იქნა. ამ ამხანაგობის მეთაურად მოწვეული იყო ცნობილი მწერალი გიორგი წერეთელი. გიორგი ამ ხანებში მეტად ხელვიწროდ იყო და ამ ამხანაგობამ ერთრიგად ხელი მოუმართა და თან საშუალება მისცა განეახლებინა თავისი დაუღალავი მუშაობა. იგი ამოძრავდა თავისებურად და ამხანაგობაში თავმოყრილი ხალხი მჭიდროდ შეაკავშირა და შეაერთა. პირდაპირი საქმის გარეშეთ იგი ეგაასებოდა ხოლმე ამხანაგობის წევრებს ათასნაირ საქმეებზე, სხვადასხვა საკითხებზე — ერთი სიტყვით მან იშოვა სასურველი აუდიტორია და გახარებული მოგვიყვებოდა ხოლმე ამის შესახებ, თუ რაზე ესაუბრებოდა და რას უქადაგებდა მუშებს. ამათ გარეთაც იგი არ ჰკარგავდა შემთხვევას თავისი აზრების გასავრცელებლად და ამას ისე ჩადიოდა, რომ ჩვენ შიშში ვიყავით, რომ იგი არ გაბმულიყო რაიმე დავიდარაბაში. ერთ დღეს მან გაიგო, რომ ბათუმში ჩამოსულიყო კათალიკოსის არჩევნებზე ერევანში მიმავალი, იმ ხანებში დიდი სახელის მქონე, ახალგაზრდა ეპისკოპოზი ხორენ ნარბეი. ეპისკოპოზი არავის ღებულობდა, რუსის მთავრობის რიდი ჰქონდა, მაგრამ გიორგიმ იმოდენა იხერხა, რომ ხორენმა მიიღო სასტუმრო „იმპერიალში“. როგორც მისგან დაბრუნებულმა გიორგიმ გვიამბო, ის ესაუბრა გავლენიან ეპისკოპოზს სომხებისა და ქართველების მდგომარეობის შესახებ რუს მეფეთა ხელში და ისეთი აზრები და წინადადებები გადაუშალა მას, რომ შეშინებული ეპისკოპოზი მეორე დღესვე გაქრა ბათუმიდან, დამფრთხალი, რომ მთავრობას არ გაეგო, თუ რა ხასიათის საუბარი ჰქონდა მასთან გიორგის.

— გლახაკი, მშიშარა ბერი ყოფილა! — სიცილით ამბობდა გიორგი. — კარიერისტი, სხვა არაფერი!

მეორედ კიდევ იშოვა შემთხვევა გიორგიმ საჯაროდ ექადაგნა ქართველობისა და სომხობის შეკავშირებაზე, ძმურ სამოქმედოდ გამზადებაზე ყველას წინააღმდეგ, ვინც ამ ორი ხალხის დაჩაგვრას მოინდომებდა. ეს შემთხვევა მიეცა მდიდარი სომეხ ქველმოქმედის ეინმე სანასარიანის ოსმალეთიდან ბათუმში ჩამოსვენების გამო. გიორგის სიტყვამ ძალზე ააღელვა მრავალი დამსწრე საზოგადოება და ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. გასაოცარი იყო იგი, როცა მოჰყვებოდა თუ როგორი პროპაგანდა უნდა გაეწია ქართველობას. მაგალითად, სარწმუნოება უნდა შეეცვალა: მართლმადიდებლობა კათოლიკობაზე, რათა ამით ცოტაოდნად მაინც თავი დაეხწია რუსეთის მთავრობის პოლიტიკისაგან, ყოველმხრივი თვითმპყრობელობისაგან. მას სჯეროდა ამის შესაძლებლობა და მზადაც იყო ამ მხრივ მუშაობის გამოსაწყობად. ამავე დროს იგი წერდა თავის ახალ ნაწარმოებს „პირველი ნაბიჯი". ერთ საღამოს მან მოიტანა დამთავრებული ნაწერი, დაგვაჯინა გრიგოლ ვოლსკი და მე და დაიწყო კითხვა. ეს იყო უხეში წარბას ცხოვრების აღწერა. გიორგი მეტად ცუდად კითხულობდა, ისე ცუდად, რომ მოსმენის მოთმინება დაგვეკარგა და ვოლსკიმ უთხრა სიცილით:

— გიორგი, თუ გიყვარდე, თავი დაანებე კითხვას... შენ ისე ცუდად კითხულობ, რომ დიდებულ ნაწარმოებსაც შეაზარებ კაცს. ეტყობა კარგი რამ გაქვს დაწერილი, მაგრამ შენებურად წაკითხულს ყოველივე ღირსება ეკარგება. როცა დაიბეჭდება, უფრო მეტი სიამოვნებით წავიკითხავთ!

გიორგის ძლიერ უყვარდა ვოლსკი, არ სწყენია მისი მეგობრული სიტყვა და კითხვა შესწყვიტა.

სამწუხაროდ, გიორგი დიდხანს არ დარჩენილა ბათუმში; იგი ისევ დაბრუნდა თბილისში და მისგან შეკავშირებულმა ამხანაგობამაც მალე სული დალია, რადგან საჭირო ხელმძღვანელი ვერ იშოვა გიორგის მაგივრად.

იმის გასაცნობად, თუ რას წარმოადგენდა იმ ხანებში ბათუმი, თუ როგორ გაიზარდა იგი, რამ შექმნა იგი მნიშვნელოვან ცენტრად, რომელსაც ეტანებოდა ბუნებრივად ჩვენებურობა და შორებლებიც, ამის გასაცნობად საკმაო მასალებს იძლევა ჩემი წერილი, რომელიც მქონდა დაბეჭდილი გაზეთ „ცნობის ფურცელში". წერილი წარმოადგენს ამონაკრებს იმ მოხსენებიდან, რომელიც წარუდგინა მთავრობას ცალკე წიგნად საგანგებოდ ბათუმის საკითხის შესასწავლად დანიშნულმა კომისიამ, ეგრეთ წოდებულ „ზაბუგინის კომისიამ". ეს მოხსენება მე ბედნიერი შემთხვევით ჩამიეარდა ხელში და ვისარგებლე მასში მოყვანილი ძვირფასი ცნობით.

ამ მოკლე დროში ბათუმში დაფუძნდება ეგრეთ წოდებული ნავთის ქალაქი, რომელიც სრულიად შესცვლის ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს. საქონლის დღევანდელი სადგური სრულიად მოიშლება და აქ ნავთის ქალაქი გაშენდება. რკინიგზა ბარცხანიდან მიხაილოვის ქვეითთა ბატალიონის ყაზარმების წინ გაიელის და კახაბერის მთის ძირისკენ გაემართება. აქ გაშენდება მგზავრთა და საქონლის სადგურები.

ყოველივე ეს შემდეგ გარემოებათ გამოიწვიეს: ბათუმის სანავთო ქარხნები დღეს თითქმის შიგ ქალაქშია მოქცეული; აქვე ციხის სიმაგრეების წინ, წამოჭიმულია ვეება რეზერვუარები და ყუთების საკეთებელ ხის მასალის დიდძალი საწყობები. სამხედრო უწყებას ასეთი მეზობლობა, — ამდენი ნავთისა და ხე-ტყისა, — მუდამ საშიშრად და მოუხერხებლად მიაჩნდა და ამის შესახებ კიდევაც აღძრა საქმე უმაღლესი მთავრობის წინაშე, რათა ასეთი საშიშარი მეზობელი მოეშორებინათ სიმაგრეებისათვის და სხვაგან გადაეტანათ.

ამ შუამდგომლობას მოჰყვა 1891 წელს 11 ივლისს, უმაღლესად დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს დადგენილება, რომლის ძალით მოზრდილი ახალი რეზერვუარების აგება აიკრძალა და ქარხნის პატრონებს სამი წლის ვადა ეძლეოდათ ამ ხანში ან მოეწყოთ თავიანთი ქარხნები თანახმად ახალი კანონისა, ან და ისინი ქალაქს გარეთ გაეტანათ.

ქარხნების პატრონებსაც და ქალაქსაც მეხივით დაეცა თავს ეს განკარგულება. პირველთათვის ყოველად შეუძლებელი იყო აესრულებინათ ახალი მოთხოვნილება ქარხნების მოწყობაში; აყრა, ქალაქის გარეთ გატანა, ახალ ადგილას ქარხნის მოწყობა — ეს საქმეზე ხელის აღებას უდრიდა, უდრიდა სრულიად დამბობას; ქალაქი კი ქარხნების მოშორებით დიდძალ, მის მასულდგმულებელ, შემოსავალს ჰკარგავდა; ჰკარგავდა ყოველ წლივ 150000 მანეთამდის. ამიტომაც ქალაქის თვითმართველობამ თავი გამოიდო და ნავთის ქარხნების პატრონებთან ერთად მიმართა უმაღლეს მთავრობას, რომ იგი შესულიყო ქალაქის და ქარხნების პატრონების მდგომარეობაშიაც და შეეცვალა დადგენილება.

თავის თხოვნაში ქალაქი სწერდა — ყოვლად შეუძლებელია ეს განკარგულება ასრულდეს ეკონომიურისა, ტოპოგრაფიულისა, იურიდიულისა და სამხედრო მიზეზთა გამო, რომელთა აცილება თავიდან ყოვლად მოუხერხებელია; ქალაქს დასჭირდება გამორკვევა

ისეთ ახლართულ-აბურდული საქმეებისა, როგორიც არის ადგილ-მამულების საქმე. ამიტომ არ შეიძლება იმ დასკვნამდე არ მივიდეთ, რომ ახალი კანონის სისრულეში მოყვანის დაძალება ბათუმის ნავსადგურიდან ნავთის გატანის აკრძალვის თანასწორი იქნება, რაც არ უნდა ეთანხმებოდეს მთავრობის განზრახვას, რადგან ბათუმის ნავსადგური მისგანვე აშენებულია საგანგებოდ ნავთის საჭიროებათა მიხედვით. მაგრამ თუ გადატანა ქარხნებისა ასეთი ძნელი და მოუხერხებელი საქმეა, მათი დატოვება იმ სახით, როგორც ახლაა, არ შეიძლება; ამიტომ საჭიროა მოინახოს ისეთი გზა, რომ მრეწველობას არ აზარალოს, არ შეზღუდოს იგი და ქალაქიც უზრუნველ იყვეს ცეცხლისაგან. ამისათვის სრულიად საკმაოა დაწესდეს ცალკე უბანი, რომელსაც უნდა დაერქვას „ნავთის ქალაქი". ქალაქის თვითმართველობამ იმ ადგილის საზღვარიც აღნიშნა, სადაც უნდა დაარსდეს ეს „ნავთის ქალაქი" — ადგილი, რომელზეც მოთავსებული იყო ნავთის ქარხნები და რკინიგზის საქონლის. სადგური.

ქალაქის თვითმართველობის თხოვნა შეწყნარებულ იქნა. უმაღლესად დაინიშნა კომისია ბათუმში ნავთის ქალაქის დასაარსებლად. ამ მთავარმა კომისიამ დააარსა მცირე კომისია ზაბუგინის თავმჯდომარეობით და გამოგზავნა ბათუმში ადგილობრივ საქმის გამოსარკვევად და საჭირო მასალის შესაკრებად. მცირე კომისიას დავალებული ჰქონდა: 1) შეედგინა გეგმა ნავთის ქალაქისა, 2) გაცნობოდა გაზიდვის არსებულ წესს; გამოირკვა ბათუმის ნავსადგურის მნიშვნელობა საერთოდ ვაჭრობაში, ნავთის მრეწველობის გარეთ, საჭიროებანი ამ ვაჭრობისა და რა საშუალებანი შეუწყობდნენ ხელს მას და სასურველ წარმატებას მისცემდნენ ისე, რომ ნავთის გაზიდვას არა ვნებოდა რა, 3) ამოერჩია ადგილი ნავთის რეზერვუარების გადასატანად და 4) ცნობაში მოეყვანა თუ რა ხარჯს ითხოვს ამ ახალი რეზერვუარების აგება ახალ ადგილას.

მცირე კომისია ჩამოვიდა ბათუმში 1899 წელს იანვარში, ადგილობრივ გაეცნო საკითხს და ყოველივე მოგროვილი მასალა თავისი მოსაზრებანით დაიბეჭდა ვეება წიგნად და თავის თავმჯდომარის ხელით წარუდგინა მთავარ კომისიას. მოგროვილი მასალა მეტად საინტერესოა განსაკუთრებით ჩვენთვის, რადგან იმაში იხატება ბათუმი, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში.

ახლა იმაზე, თუ რა მდგომარეობაში ნახა მცირე კომისიამ ნავთის ქარხნები ბათუმში, რა ადგილი მოუნახა მან ქალაქის გასაშორებლად და რარიგად უნდა მოწყობილიყო შემდეგში ბათუმის ნავთის ქარხნები. ცნობები ქარხნების მდგომარეობისა შეეხება 1899 წელიწადს.

ბათუმის ნავთის ქარხნები მოთავსებული იყო აღმოსავლეთ მხარეზე და თითქმის უერთდებოდა ქალაქს. სივრცე ამ ადგილების, რომელზეც აგებული იყო ქარხნები, 105 დესეტინაზე მეტი იყო; ადგილი სწორი, ოდნავად დაქანებული ზღვისაკენ, დასერილი მრავალი ვიწრო და განიერი თხრილებით და მოფენილი ქარხნებში შესავალი რკინიგზის შტოებით.

ამ სივრცეზე მცირე კომისიას დაუხვდა ნავთის 11 ქარხანა და ნავთის გასაგზავნი თუნუქის ყუთებისა და კასრების 9 სახელოსნო. ქარხნები და სახელოსნოები ეკუთვნოდნენ: ხაზინას — 1, უცხოელებს — 8, სომხებს — 6; დანარჩენი სხვადასხვა პირებს, რომელთა შორის, რასაკვირველია, არც ერთი ქართველი არ ერია. მიწების ფასი ამ რაიონში ღლითი დღე იზრდებოდა: 1899 წელს ოთხკუთხი საჟენი მიწა ფასობდა რვა მანეთიდან თხუთმეტ მანეთამდე; საიჯარო — ოთხკუთხი საჟენი — ორმანეთ-ნახევრამდი ადიოდა წლიურად. შემდეგში ეს ფასები გაორკეცდა, რადგან საიჯარო მიწის შოვნაც ძნელი შეიქნა; გასაყიდი კი სრულიად აღარ მოიძებნებოდა.

ნავთის ქარხნები მოწყობილი იყო ექსპორტის საჭიროებათა მიხედვით: — ნავთი იგზავნებოდა გემებში გადასხმით და ყუთებით; ამის გამო ქარხნებიც ორნაირი იყო: ყუთებით მგზავნელი და გემებით მგზავნელი. ნავთის მინერალური ნარჩომიც ამგვარადვე იგზავნებოდა. გასაზიდავად მომზადებული ნავთი ინახებოდა დროებით, გაგზავნამდის, რეზერვუარებში, უზარმაზარ ქვაბებში, რომელშიაც თავსდებოდა 25000—30000 ფუთამდე ნავთი. 1899 წელს ამ რეზერვუარების რიცხვი იყო 172, რომელშიაც შეიძლებოდა 14 მილიონი ფუთი ნავთის მოთავსება.

ბაქოდან ცისტერნებით მიღებული ნავთის გადასაღებად გემებზე მექარხნეებს მოწყობილი ჰქონდათ ნავთის გადამღები საქაჩავი მანქანები. ამ საქაჩავი მანქანებით მიღებული ნავთი გადაჰქონდათ რეზერვუარებში და შემდეგ გემში, როცა უკანასკნელი მოვიდოდა. ეს საქაჩავი მანქანები სხვადასხვა სიდიდისა და ძალისა იყო. იყო საქაჩველი, რომელიც ექვსგოჯიანი მილით ერთი საათის განმავლობაში რეზერვუარში გადაქაჩავდა 9000 ფუთამდე ნავთს, ხოლო ქარხნიდან გადაქაჩავდა ნავსადგურში გემზე ერთ საათში 8000 ფუთ ნავთს. ზოგიერთ ქარხანას ჰქონდა ისეთი ძლიერი საქაჩავები, რომ მათი შემწეობით რვაგოჯიანი მილით 12000 ფუთი ნავთი ჩაისხმებოდა რეზერვუარში ერთი საათის განმავლობაში და ამავე დროის განმავლობაში ამგვარივე მილით გადაიქაჩებოდა ქარხნიდან გემზე 10000 ფუთი. ამიერკავკასიის რკინიგზის საქაჩავი მანქანა ისეთი

მძლავრი იყო, რომ ერთი საათის განმავლობაში 18000 ფუთი ნავთის გადაქაჩვა შეეძლო ნავსადგურში.

ნავთის სადენი მილები რკინისა იყო, მილი მილზე მიჭახრაკებული; მილები სხვადასხვა ზომისა. მილები გაყვანილია ნავსადგურში და მიწაში ჩაფლული ისე, რომ მათი თავები ჩანდა მხოლოდ გემის მისადგომ ნაპირებზე; ამ თავებზე მიაჭახრაკებდნენ რეზინის ან სპილენძის მილებს, ან შლანგებს, როგორც ამას უწოდებდნენ; ამ შლანგების ბოლოებს გემში ჩაყოფდნენ და ამით ასხამდნენ ნავთს გემში.

გემები სხვადასხვა სიდიდისა და ზომისა იყო. ყველაზე უდიდესი გემები ეკუთვნოდა „სამუელ სამუელსონის და ამხ.“ ფირმას. ამ კომპანიას ჰქონდა ისეთი გემები, რომელთაც ერთბაშად მიჰქონდათ გემში ჩასხმული 527000 ფუთი ნავთი. ამ გემებს ბათუმიდან ნავთი გაჰქონდათ შორეულ აღმოსავლეთში. გემებს ჰქონდათ სამსართულიანი ბაქანი, რის გამო შიგ ჩასხმულ ნავთს მზის მცხუნავი სხივები არ ხვდებოდა. სამანქანო განყოფილება და გემზე მოსამსახურეთა სადგომები განცალკევებული იყო. გემებზე იყო ამოსაქაჩავი პომპები, რომლებითაც შეიძლებოდა 20000 ფუთი ნავთის ამოსხმა გემიდან ერთი საათის განმავლობაში.

ნავთის გამტან გემთა რიცხვი 1899 წელს იყო ოთხმოცამდე და ყველაში ერთად ეტეოდა 17000000 ფუთამდი.

გარდა ამისა ნავთი იგზავნებოდა თუნუქის ყუთებითა და კასრებით; უკანასკნელით ნავთის მინერალური ზეთები. ამ ჭურჭელის დასამზადებლად ქარხნებთან მოწყობილი იყო ცალკე სახელოსნოები თუნუქისა, ხის ყუთების და კასრების. ყუთებით ნავთი მიდიოდა განსაკუთრებით შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც, საურმე გზების უქონლობის გამო, წვრილ გზებზე და მთის საცალფეხო ბილიკებით, შეიძლებოდა მხოლოდ ტვირთად გადატანა საქონლისა, ისიც პატარ-პატარა პარტიებით.

თუნუქის თითო ყუთში ისხმებოდა მხოლოდ 36 გირვანქა ნავთი. ორი ასეთი ყუთი თავსდებოდა ხის ერთ ყუთში და ისე იგზავნებოდა ბათუმიდან. ამგვარი ეაზიდვა, ე. ი. ყუთებით, ითხოვდა ჭურჭლის საკეთებლად სხვადასხვა მასალას და ამ მასალის დიდძალ დამზადებას: აი რა მასალა იყო საჭირო ამ ყუთების გასაკეთებლად:

1) ხის მასალა, ფიცრები ნაძვისა. ორი მესამედი ამ მასალისა მოდიოდა ავსტრიიდან, აგრეთვე ხერსონიდან და ნოვოროსიიდან; შემდეგ დიდძალი ფიცრები მოჰქონდათ აფხაზეთიდან, კოდორის მიდამოებიდან; 2) თეთრი თუნუქი — მოჰქონდათ ინგლისიდან; 3) ლურსმანი — პეტერბურგიდან და რიგიდან; 4)კალა — ინგლისიდან და სა-

ფრანგეთიდან; 5) სინა (ყუთების ხელისათვის) — პეტერბურგიდან და რიგიდან; 6) ცინკი ფურცლებად — რუსეთიდან; 7) ტყვია — ისპანიიდან და საფრანგეთიდან; 8) პრობკა — რუსეთიდან; 9) წითელი სპილენძი — რუსეთიდან და საფრანგეთიდან; 10) მარილის სიმჟავე — რუსეთიდან.

ყოველდღიურად კეთდებოდა 38 100 ხის და 76 200 თუნუქის ყუთი. ამას უნდებოდა ფიცარი 477 კუბიკური მეტრი, 5533 ფუთი თუნუქი, 3171 ფუთი კალა, 4756 ფუთი ტყვია, 2061 გირვანქა მარილის სიმჟავე, 2821 გირვანქა სინა, 15240 გირ. ლურსმანი. ეს საშუალო მუშაობის დროს, ხოლო როცა გაძლიერებული მუშაობა იყო, მაშინ მეტი მასალა იხარჯებოდა.

განუწყვეტლივი მუშაობის გამო ქარხნებში ინახებოდა დიდძალი საჭირო მასალა. მცირე კომისიის მიერ შეკრებილი ცნობებით, საერთოდ ყველა ქარხანაში მუდამ ინახებოდა: 1020114 ფუთი თუნუქი, 8888 ფუთი კალა, 13334 ფუთი ტყვია, სიმჟავენი — 2893 ფუთი, 19444 ფუთი სინა, 55661 ფუთი ლურსმანი და 66675 კუბიკური მეტრი ფიცარი; ამ უკანასკნელი მასალის დამზადება შემოდგომაზე მატულობდა და ადიოდა 126350 კუბიკ. მეტრამდე.

ამგვარი შეგროვება 200 რეზერვუარისა 20 მილიონი ფუთი ნავთით, ამოდენი ხის მასალათა ერთად ვიწრო ადგილზე, ქალაქის გვერდით და ციხის სიმაგრეების წინ, რასაკვირველია, ყოველთვის საშიში იყო, რის გამო სამხედრო უწყებამ აღძრა საქმე ამ საშიშარი მეზობლობის გაშორების შესახებ. კომისია თავიდანვე გაეცნო იმას, თუ რამდენად მართლა საშიშარი იყო ქალაქისათვის და ციხის სიმაგრეებისათვის ქარხნის არსებული მდგომარეობა და მდებარეობა. კომისიის აზრით, არსებით საშიშროებას წარმოადგენდა მხოლოდ უბრალო კეროსინის შეგროვება, როგორც ადვილად ასაფეთქებელისა და ხის მასალის დიდძალი საწყობები. კომისიამ საჭიროდ სცნო ნავთის ქალაქის სულ სხვაგვარად მოწესრიგება და მოწყობა. საქმეს გააადვილებდა ქარხნების გადატანა და ძველ ადგილას რეზერვუარების აგება და ხის მასალის საწყობების გამართვა, მაგრამ კომისიამ ეს შეუძლებლად დაინახა შემდეგი მოსაზრებით: აყრა ქარხნებისა და მათი გადატანა ახალ ადგილას მოითხოვდა მილიონებს ხაზინისაგან, რადგან ხაზინას ფიქრად ჰქონდა ნავთის რეზერვუარები თავის განკარგულებაში ჰქონებოდა. ამასთან, კიდევაც რომ არ დარიდებოდნენ მილიონებიან ხარჯებს, საფიქრებელი იყო იმ ბაზრების შერჩენა, რომელიც რუსეთს მოუპოვებია. აყრა-გადატანა, რასაკვირველია, ეაჭრობას შეაფერხებდა, ბაზარზე რუსეთის ნავთის

ადგილს ამერიკას ნავთი დაიკავებდა და შემდეგ ამ დაკარგული ბაზრების დაბრუნება საეჭვო იქნებოდა. ამგვარი შემთხვევა კიდევაც მოუვიდა რუსეთის ნავთს; ეს იყო 1895 — 1896 წ. ზამთარში, როცა ამიერკავკასიის რკინიგზა გაფუჭდა და რამდენიმე თვით მიმოსვლა შეწყდა; ამ მცირე ხნის დაბრკოლებამაც ბევრი ბაზარი დააკარგვინა რუსეთის ნავთს და ეს დანაკლისი არ ყოფილა დაფარული.

ქარხნების მოშორებით გადატანა უსათუოდ მოითხოვდა ნავთის ფასის აწევას და ეს მხოლოდ უპირატესობას მისცემდა ამერიკის ნავთს; ყუთებით გზავნა კი სრულიად უნდა მოსპობილიყო, რადგან ყუთების საკეთებელი სახელოსნოების ახალ ადგილას მომართვა მოითხოვდა ახალ გაუმჯობესებულ მანქანა-იარაღებს, ახალ ხელსაწყოს და ეს კი მეტად დიდ ხარჯს მოითხოვდა. თუ ყუთებით გაზიდული ნავთი უფრო ძვირად არ იყიდებოდა, ეს იმიტომ, რომ ყუთების საკეთებელი სახელოსნოების მოწყობაზე გაწეული ხარჯები უკვე ამოღებული ჰქონდათ მეპატრონეებს.

ნავთის გაზიდვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო ვაჭრობისათვის; ამიტომ საჭირო იყო მისი ხელის შეწყობა და დათმობა მისდა სასარგებლოდ ზოგიერთი ინტერესისა. ეს აზრი გამოთქვა მცირე კომისიამ. კომისიის აზრით, რადგან ნამდვილ საშიშარ საგანს მხოლოდ ჩვეულებრივი კეროსინი წარმოადგენდა, ამიტომ საკმარისად უნდა ყოფილიყო ცნობილი, საშიშროების ასაცილებლად, შიგ ქარხნებში მხოლოდ სახარჯო ნავთის დაგროვება, დანარჩენი კი ქალაქგარეთ და ციხის სიმაგრეების დაშორებით ყოფილიყო შენახული. ამისათვის ახლადაგებულ რეზერვუარებში გადატანა დანარჩენ ნავთეულობათა, განსაკუთრებით ნავთის მინერალური ზეთებისა, არც იმდენად საჭირო იყო და მასთან მეტად ძნელი და რთული შესასრულებელი და გარდამეტებული ხარჯების მომთხოვი საქმე იქნებოდა. მაგალითად, მცირე კომისიის გამოანგარიშებით ნავთის მინერალური ზეთების რეზერვუარები რომ ახალ ადგილას გადაეტანათ (მაგ. 20 ვერსის სიშორეზე) და მათთვის საჭირო ახალი მილები გაეყვანათ ნავსადგურამდე — მარტო ეს უკანასკნელი 3500000 მანეთი დაჯდებოდა.

ყოვლად შეუძლებლად სცნო კომისიამ ყუთების საკეთებელი ხის მასალის გადატანაც იმ მოსაზრებით, რომ ნავსადგურიდან ამ მასალის გადატანა, იქიდან საჭიროების მიხედვით ქარხნებშივე მოტანა მათი, ზედმეტ ხარჯს მოითხოვდა და ნავთის ფასებზეც გავლენას იქონიებდა.

ყოველივე ამის გამო მცირე კომისიამ შემდეგი დასკვნა: ყვე-

ლა ხისა და თუნუქის ყუთების და კასრების ქარხანა-სახელოსნოები, ნავთის ზეთების და ნავთიანი ნაშთების მსხმელ-მქაჩავი სადგურები დატოვებულ იქნან ძველ ადგილებზე. ხის მასალის საწყობებიც დატოვებულ იქნან ქარხნებთან, ისე რომ 1891 წ. კანონი მათ არ უნდა შეხებოდა; ქარხნებისათვის საჭიროს გარდა, ნავთი უნდა გატანილი ყოფილიყო ქალაქგარეთ, სიმაგრეების დაშორებით, რისთვისაც მოხერხებულ ადგილას უნდა აგებულიყო ახალი რეზერვუარები და მოწყობილიყო ამ სათადარიგო ნავთის გადაქაჩვა, საჭიროებისამებრ ქარხნებზე, ნავთიან ქალაქში.

რაკი ამ დასკვნაზე შეჩერდა კომისია, ამასთანავე შეუდგა იმ მოხერხებული ადგილების გამოძებნას, სადაც შეიძლებოდა ნავთის ახალი რეზერვუარების აგება. კომისიამ დაათვალიერა მთელი ბათუმის მიდამოები. ამ ადგილების აღწერილობაში ბევრი რამ საინტერესო ცნობებია.

1) ადგილები მდ. ჭოროხის ნაპირებზე და ართვინის გზატკეცილის დაყოლება. მდ. ჭოროხისა და ართვინის გზატკეცილის მარჯვენა მხარეს მდებარე დაბალი ადგილები, რომელზეც წყალდიდობის დროს მდ. ჭოროხი გადივლის ხოლმე, სრულიად უვარგისად იყო ცნობილი. გზატკეცილის მარცხნივ მდებარე ადგილებში, რეზერვუარების ასაგებად გამოდგება ადგილი, სახელწოდებით ხელვაჩაური, ბათუმიდან 7 ვერსთ დაშორებული. სივრცე ამ ადგილისა უდრის 57 დესეტინას. მაშინ იგი წარმოადგენდა გაერთიანებულ საყანეებს; თითოეული დესეტინა იძლეოდა 150 — 200 ფუთამდე სიმინდს. ამ ციებიან და ჭაობიან ადგილას არავინ ცხოვრობდა. აქა-იქ მხოლოდ ფაცხები იყო, სადაც ქურთები ბინადრობდნენ ზამთრობით. ხელვაჩაურის მიწები შეადგენდა 48 კაცის საკუთრებას; მესაკუთრეებმა განაცხადეს, რომ თუ ამ ადგილებს ჩამოართმევდნენ, — თითო დესეტინაზე 600 — 1200 მანეთამდე მოვითხოვთო.

2) ბარცხანის ხეობა. აქაურობა მთა-გორიანი ადგილებია და გამოუსადეგარად იქნა ცნობილი ხსენებული მიზნისათვის.

3) ყოროლის წყლის ჭალები. ამ ჭალებში ბევრ ადგილას შეიძლებოდა ნავთის რეზერვუარების აგება, მაგრამ კომისიამ მოუხერხებლად სცნო ეს და აი რატომ: ბათუმის ზრდასთან ერთად აქ, ამ ჭალებში და ხეობაში, თანდათან მრავლდებოდა აგარაკები, ასე რომ მიწის ფასი დესეტინაზე 600 — 800 მანეთამდი ადიოდა; მცხოვრებლებმა კი განაცხადეს, რომ თუ მიწებს ჩამოართმევდნენ, დესეტინაზე 2400 — 4800 მანეთამდი მოითხოვდნენ. ის ადგილი, სადაც შეიძლებოდა რეზერვუარების აგება, ერთი უმშვენიერესი ადგილ-

თაგანი იყო თავისი მდებარეობით და სანიტარული პირობებით, მოფენილი მრავალი აგარაკებით; ამ აგარაკების პატრონებს დიდძალი ფული ჰქონდათ ჩაყრილი მიწის დამუშავებისათვის, ათასნაირი ძვირფასი ნაშენისათვის; აქ მოყავდათ საუცხოო ხარისხის ხილი, ზრდიდნენ ძვირფას ტროპიკულ მცენარეებს; გაშენებული იყო პოპოვის ჩაის პლანტაციები სალიბაურში და კაპრეშუმში. ნავთის რეზერვუარების აგება მათ მახლობლად საზარალოდ იმოქმედებდა; ნავთის ორთქლით გაჟღენთილი ჰაერი მეტისმეტად ავნებდა ამ ნაზ მცენარეების კვირტებს და ფოთლებს და ძირითადაც შეცვლიდა ცხოვრების პირობებს ამ ადგილებში, რომელიც მეცნიერებმა იცვნეს საუკეთესო კლიმატიურ კუთხედ შავი ზღვის მთელ ნაპირზე.

განსაკუთრებით დიდი ზარალი მიეცემოდა ნავთის სიახლოვისაგან პოპოვის ჩაის პლანტაციებს, რომელსაც ეკავა სალიბაურში და კაპრეშუმში ორასზე მეტი დესეტინა. პოპოვს აუარებელი ფული ჰქონდა ჩაყრილი ამ ადგილების დასამუშავებლად და გასაწმენდ-დასაშრობად; აგებული ჰქონდა მრავალი შენობა, გაყვანილი ჰქონდა მშვენიერი მოკენჭილი გზები მთების კალთებზე; სალიბაურში ჰქონდა ჩაის ქარხანა; შენობებზე დახარჯული ჰქონდა 200000 მანეთამდი; მამულების გაწმენდა-გაუმჯობესებაზე—მილიონზე მეტი. პლანტაციებზე მოსამსახურეთა წლიური ხარჯი იყო — 13500 მანეთი. ყოველდღიურად აქ მუშაობდა 200-მდე ქალი და კაცი. როცა მთელ მამულში მოთავდებოდა ჩაის ბუჩქების დარგვა — ყოველწლიურად მოიწეოდა 400000-დე გირვანქა ჩაი. ჩაი ძლიერ კარგი თვისებისა კეთდებოდა, კარგი ფერისა, გემოსი, სურნელოვანი და არაფრით ჩამოუვარდებოდა საშუალო ხარისხის ჩინეთის ჩაის. მანეთად რომ გაეყიდნა გირვანქა, წლიური შემოსავალი პოპოვს ამ მამულებიდან ექნებოდა 400000 მანეთამდი. კომისიის მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვით, ჩაის მოსაყვანად გამოსადეგი ადგილები, თუ ყველა დამუშავებული იქნებოდა, მოიწეოდა 500000 ფუთამდე ჩაი. ე. ი. მესამედ ნაწილს იმისას, რაც მთელ რუსეთში იხარჯებოდა და რის საფასური აღწევდა 10 — 15 მილიონ მან.

ყოველ ამის გამო კომისიამ შეუძლებლად სცნო ყოროლის წყლის ჭალებში და ხეობაში ნავთის რეზერვუარების აგება.

4) **ბახინჯაური.** აქაურობაც მოფენილი იყო აგარაკებით. ზოგიერთ მოაგარაკეს გაშენებული ჰქონდა ძვირფასი მცენარეულობა მანდარინის და ლიმონის; აქ იყო საგანგებო ჯიშის ატამი, ვაშლი,

ვსხალი, ბალი, ლეღვი და სხვა. მიწის ფასი ერთობ დიდი იყო. აყრა ამოდენა მოაგარაკეებისა და გაოხრება ამოდენი ნამუშევრებისა დიდ ცოდვად იქნა აღიარებული კომისიისაგან.

5) ჩაქვის არემარე. აქაც შეუძლებლად სცნო კომისიამ რეზერვუარების აგება. საუფლისწულო უწყებას ჰქონდა შეძენილი აქ 12500 დესეტინა და ზედ გაშენებული იყო ჩინურ-იაპონური მცენარეულობა. 1899 წლამდე ადგილების დამუშავებისათვის დახარჯული იყო 800000 მანეთამდე. მთავარი საქმე — აქაც ჩაის ბუჩქის გაშენება იყო. ჩაის გარდა გაშენებული იყო ჩინური ჭინჭარი, ბამბუკი, მანდარინი, ფორთოხალი და სხვა ძვირფასი მცენარეულობა; იქვე მახლობლად იყო ძვირფასად მოვლილი მამულები სტოიანოვისა, სოლოვცოვის, ვუჩინოს, ვერუს და პოპოვის.

6) სადგურ ქობულეთის არემარე. აქ კომისიამ ორი ადგილი ჰონახა ისეთი, სადაც შეიძლებოდა ნავთის რეზერვუარების აგება; ერთი — სადგურის პირდაპირ, მეორე — დიდი მერე. აქ არსად არ იყო არც აგარაკი, არც ნაშენობა რამე და ადგილებიც სწორი.

კომისიის აზრით განზრახული რეზერვუარები უსათუოდ ხაზინის ხელში უნდა ყოფილიყო, რადგან ეს მოწყობილობა ნაწილი იქნებოდა იმ ნავთის მილისა, რომელიც გამართული იყო ხაშურიდან ბათუმამდი.

უნდა აგებულიყო იმდენი რეზერვუარი, რომ შიგ დატეულიყო 1000000 ფუთი ჩვეულებრივი ნავთი. თითოეულ რეზერვუარში 200000 ფუთი; შესაძლებელი ყოფილიყო ქარხნებსა და ნავსადგურში თითო საათში 50000 ფუთი ნავთის გადაქაჩვა ამ რეზერვუარებიდან. ამასთანავე კომისიამ გამოიანგარიშა, რომ ამ რეზერვუარების შენახვა-მოწყობას 50 ქვაბით ქობულეთში მოუნდებოდა 2 მილიონი მანეთი, ყოროლის წყლის ჭალებში — 1600000 მან. კომისიის გამოანგარიშებით ყოველ ფუთ ნავთზე ფასი 0,16 კაპიკით აიწევდა.

რეზერვუარებიდან ნავთის ქარხნებზე მისაწვდენად უნდა მოწყობილიყო ცალკე საერთო გამანაწილებელი სადგური, რომელიც თავის დროზე ქარხნების მოთხოვნილებისამებრ მიაწვდიდა ქარხნებშიაც და ნავსადგურშიც საჭირო ნავთს.

ყოველივე ზემოხსენებულ განზრახვათა აღსრულება მოითხოვდა არსებული ნავთის ქალაქის გაფართოებას, რისთვისაც საჭირო ხდე-

ბოდა რკინიგზის საქონლის სადგურის სხვა ადგილას გადატანა. ეს სადგური სახალხო სადგურთან ერთად უნდა გადაეტანათ კახაბერის მთებას ძირში. ამ სადგურის გადატანა ჯდებოდა 2 მილიონ მანეთამდი.

რადგან ნავთის წარმოება ამ დროს თანდათან იზრდებოდა და გასაზიდავი ნავთი ბათუმისაკენ მოდიოდა, კომისიამ საჭიროდ სცნო ამთავითვე შეძენილი ყოფილიყო ყველა ის ადგილი, რომელზედაც შემდეგში გაიშლებოდა ახალი ნავთის ქალაქი. ეს ადგილები სანჯაყბეგ აბაშიძეებს ეკუთვნოდა, მაგრამ მთავრობამ სახელმწიფო კუთვნილებად გამოაცხადა, რადგან ამ ადგილებზე ეწადა ქალაქს გაშლამატება. ამიტომ, კომისიის მოსაზრებით, ზოგიერთი ნაკვეთი შეიძლებოდა დათმობოდა მოსახლეობას, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო მთავარმართებლის ნებართვა.

ნავთის ქალაქი დაყოფილი იქნებოდა უბნებად; შიგ გაყვანილი მოკირწყლული ქუჩები; განათება ყველგან ელექტრონის; ქუჩებისაკენ მოქცეული შენობების კედლები აგებული ცეცხლის გამძლე მასალისაგან; შენობები ერთი და ორსართულიანებიც, მაგრამ უკანასკნელი არა უმაღლეს ექვსი საჟენისა; სახლები ხისაც შეიძლებოდა; სახლების სახურავები კი უსათუოდ ან თუნუქისა, ან კრამიტისა. იმ შენობებს, სადაც ცეცხლი უნდა გაჩაღებულიყო, მზად უნდა ჰქონებოდა ცეცხლის გასაცალკევებლად რკინის ფურცლები.

ყოველ ქარხანას, ცეცხლის საქრობლად ეზოში უნდა ჰქონებოდა ოთხ-ოთხი წყლის ონკანი.

ყოველ სახელოსნოს უნდა ჰყოლოდა დაქირავებული საიმედო მეთვალყურე, ფხიზელი პიროვნება, ასაკით არანაკლებ 21 წლისა; მის მოვალეობას შეადგენდა სახელოსნოში წესრიგის დაცვა. ყოველ მსხმელ-მჭაჭველ სადგურსა და ქარხანაზე — ღამის ყარაულები არა ნაკლებ ორისა, რომელნიც მორიგეობით იდარაჯებდნენ. ყოველივე ეს ექვემდებარებოდა და ამისათვის მეთვალყურეობა ევალებოდა ბათუმის ციხის კომენდანტს; მასვე უნდა მიეცა ნავთის ქალაქში ყოველივე შენობის აგების ნებართვა; დანარჩენში მეთვალყურეობა და ზედამხედველობა ევალებოდა საქარხნო ინსპექციას და პოლიციას.

კანონის ყოველსავე მოთხოვნილების სისრულეში მოსაყვანად ნავთის ქალაქში ქარხნის პატრონებს ვადად ეძლეოდათ სამი წელიწადი ნავთის ქალაქის გეგმის დამტკიცების დღიდან.

თავი მეექვსე

პირველი ქართული საღამო „ნინორობა". — ბათუმი ქალაქისთვის ირჩევს. — საარჩევნო ბრძოლა. — გრიგოლ ვოლსკი და ივანე მესხი. — ლუელი შეერაზმული გაზეთის რედაქტორთან.

ასეთი იყო ბათუმი იმ სანებში და ადვილი გასაგებია რატომ იზიდავდა იგი ყოველი მხრიდან საშუშაოსა და ფულის მაძიებელ ხალხს. ფულიანი ხალხი განსაკუთრებული ხალისით ეტანებოდა აქაურობას; არაფერს ზოგავდა, რომ აქ ფეხი მოემაგრებინა, საქმე გაეჩაღებინა და თავისი კაპიტალი დაეტრიალებინა. ამგვარი მოსაქნარეებით სავსე იყო ბათუმი და მათი რიცხვი დღითი-დღე მატულობდა. დაბალი მუშა, რასაკვირველია, დიდ გასაჭირში იყო, მაგრამ მშველელი და დამხმარე არ ჩანდა. ქარხნები სავსე იყო მუშებით, რომლებიც საცოდავ პირობებში იყვნენ, მეტისმეტად იჩაგრებოდნენ. სამეტურ ჩაგვრას განიცდიდნენ ქართველი ბუმბები, რომლებიც ახლად გამოდიოდნენ თავიანთ სოფლებიდან და ახლად ეჩვეოდნენ მათთვის უჩვეულო ბუშაობას. საჭირო იყო გაჩენილიყო ისეთი ხელი, რომელიც ასე თუ ისე, თუ არ ამშორებდა ჩაგვრას, ერთვევარად მაინც შეუმსუბუქებდა ცხოვრების პირობების სიმძიმეს და ტანჯვა-ბრძოლას.

და ასეც მოხდა.

ბედმა ბათუმში ჩამოიგდო რკინიგზაში ბოსამსახურე ექიმი გრიგოლ ვოლსკი.

გრიგოლ ვოლსკიმ და მასთან ივანე მესხმა, სერგეი მესხის ძმაბ, დიდი ამაგი დასდეს ბათუმს და დიდი სამსახური გაუწიეს ქართველობას და ბათუმის მცხოვრებთ.

მეფის მთავრობა ჩაგრავდა და ათასნაირად ავიწროებდა მკვიდრთ. სომხობა ფულიანი ელემენტი იყო და მთავრობას ემხრობოდა, ბერძენი განზე იდგა. სამართლიანობის აღდგენა და წინააღმდეგობის გაწევა მჩაგვრელთა წინაშე წილად ხვდა ქართველობას და მან კიდეც იკისრა ეს, რასაც ასრულებდა გულწრფელად და თავგამოდებით.

სათავეში იდგნენ, როგორც ვთქვი, გრიგოლ ვოლსკი და ივანე მესხი. ვოლსკის მამა იყო პოლონელი, დედა კი ქართველი — კეკერაძის ქალი. მამა ადრე მოუკვდა, დედა ცოცხალი ბუნების, გონებაგახსნილი ადამიანი იყო თურმე. ვოლსკი განსხვავებულა სიყვარულით იხსენებდა დედამისს. სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში დაასრულა და შემდეგ რუსეთში, საექიმო ფაკულტეტზე. ყმაწვილობიდან წერდა

ქართულად ლექსებს ეწერეფარიძის ფსევდონიმით. ლექსებმა ყურადღება მიიქციეს და უნწიფარიძე საყვარელ პოეტად იყო ცნობილი. ამასთანავე მან შესანიშნავად იცოდა ქართული და რუსული და ითვლებოდა საუკეთესო მთარგმნელად რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. ღრმად საკითხი, ცოდნით აღჭურვილი, შესანიშნავი მოლაპარაკე, ოსური — იგი სასიამოვნო მოსაუბრე იყო ყოველ შეკრებილობაში, ყოველ საზოგადოებაში. იდეალისტი, გულკეთილი, ღრმად მგრძნობიერი, ხალისიანი იგი ძლიერ ადვილად ისადაგებდა ყოველ შემხდურს; მებრძოლი ხასიათის მქონი, იგი გაპედული და შეუდრეკელი იყო ბრძოლაში. როცა მან საესებით დაინახა ყოველივე უსამართლობა და უკუღმართობა, რაც გამეფებული იყო გარშემო, გადასწყვიტა ყოველი ღონე ეღონა, რომ ბათუმში ცხოვრების პირობები სხვაგვარ ნიადაგზე დაეყენებინა. ამისათვის საჭირო იყო ქალაქის თვითმართველობის ხელში ჩაგდება და საზოგადო ასპარეზზე გამოყვანა ისეთი პირებისა, რომელნიც მგლურ ხასიათს დაშორებული იყვნენ. მან, ივანე მესხთან ერთად, შეადგინა მთელი გეგმა იმისა, თუ რა გზით მიშველებოდნენ იმ ხალხს, რომელსაც ესროდა სოფელი ქალაქისაკენ, რა ღონით გაეადვილებინათ ახალ ადგილას, ახალი ცხოვრების გამოწყობა. ფულიანები ყოველ ღონეს ხმარობდნენ თავისებურად გამოეყენებინათ უსაღსრო ხალხი. ამის გასანელებლად ვოლსკი და მესხი იმდენს ეცადნენ, რომ გახსნეს თითქმის მხოლოდ ქართველებისაგან შემდგარი საურთიერთო საკრედიტო საზოგადოება. დიდად აითვალწუნა ეს საზოგადოება თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილებამ, მაგრამ დაუღალავმა მეცადინეობამ თავისი გაიტანა და დაარსებული საკრედიტო საზოგადოება წარმატებაში შეჰყავდათ ხელმძღვანელებს, ნდობას ჰპოულობდა და თავის მიზანს ნელ-ნელა აღწევდა — აწვდიდა კრედიტს უსაშვალო ხალხს. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეული იყო მდიდარი, განათლებული, განვითარებული ებრაელი შპოლიანსკი. ამის მიმხრობამ დიდი სარგებლობა მოუტანა საკრედიტო საზოგადოებას; საქმის მცოდნემ, გავლენიანმა ებრაელმა, წახალისებულმა იმ პატივისცემით, რომლითაც ეგებებოდნენ მას ქართველები, მკვიდრ ნიადაგზე დააყენა ბანკი.

მეტად საჭირო იყო ჩამოსახლებულთათვის სასწავლებლის გახსნა მათი შვილებისათვის; სასწავლებელი უფასო, ვინაიდან პატრონები უსაღსრონი იყვნენ უმეტეს წილად. ბათუმში არსებობდა წერა-კითხვის საზოგადოების სკოლა, მაგრამ იგი მეტად ღარიბი იყო და მოუწყობელი, ძლივს ღაფავდა სულს. მას ინახავდა წერა-კითხვის სა-

ბოვადრება და ბანდებან აღგილობრივ იმართებოდა სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენა. მაგრამ აქედან ისე ცოტა შემოდიოდა სასწავლებლებს, რომ ერთ მასწავლებელსაც ძლივ-ძლივობით ისტუმრებდა. ამის დასაძლევად და სკოლის გასაღონიერებლად ვოლსკიმ და მესხმა ვადაწყვიტეს ყოველწლიურად თოთხმეტ იანვარს, ნინოობას, სასწავლებლის სასარგებლოდ განსხვავებული საღამო გაემართათ. პირველი საღამო არაჩვეულებრივი რამ იყო პათუმისათვის. თითქმის სამი თვე დასჭირდა მის მოწყობას, მაგრამ შრომას ტყუილა არ ჩაუვლია და საღამო დიდებულად ჩატარდა. ვეებერთელა საზოგადო საკრებულოს დარბაზი ზღაპრულად იყო მორთული; ელექტრონი, რაც მაშინ იშვიათი იყო, — უხვად ანათებდა მთელ საკრებულოს; საკონცერტო განყოფილება, რომელიც წინ უძღოდა საღამოს, შესაჩნევად იყო შემდგარი თბილისიდან მოწვეული ძალებით; ცალკე იყო მოწყობილი აზიური დარბაზი, სადაც უკრავდა თარს განთქმული მეთარე აბდულ-ბალი თავისი ამხანაგებით. საღამოზე მოწვეული იყო საყვარელი მგოსანი აკაკი წერეთელი, რომელსაც სადგურზე დაუხვდა მთლად ქართველობა და რომელიც გამოჩნდა თუ არა ვაგონის კარებში, აუარებელმა ხალხმა აღტაცებით შესძახა მჭუხარე ვაშა და დიდის ამბით მიაცილა ეტლამდის. აკაკიმ საღამოზე წაიკითხა თავისი ლექსები და, რაღა თქმა უნდა, დიდად აღაფრთოვანა ხალხით გაჭედილი დარბაზი. ლამაზი, შნოიანი, წარმოსადეგი პოეტი, თავისი ტკბილი ხმით, მომღიმარი სახით, მომხიბლავი შეხედულებით მართლა და საყვარელი იყო და თავი მოგვაწონა როგორც ჩვენ, ისე უცხოელებსაც, რომლებიც მრავლად დაესწრნენ საღამოს.

საღამომ დიდი ფული შემოიტანა — სამი ათასზე მეტი, — და დიდი შთაბეჭდილებაც დასტოვა. თოთხმეტი იანვრის საღამო, ნინოობა, მაცოცხლებელ წყაროდ შეიქნა სასწავლებლისათვის — გაჭირვებიდან გამოიყვანა და ფეხი მოამაგრებინა. მაგრამ ამაზე არ შეაჩერეს საქმე და სასწავლებლისათვის საკუთარი შენობის აგებას შეეჭიდნენ. ამისათვის თბილისიდან დაიბარეს წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი ნიკო ცხვედაძე. ენერგიით სავსე ნიკო ჩამოვიდა ბათუმში, მოუყარა სკოლის ეზოში ქართველობას თავი და მისებური, მხურვალე სიტყვით მიმართა ყრილობას, რომ შესდგომოდნენ სასწავლებლისა და მასწავლებელთათვის შენობის აგებას. კეთილი განზრახვით მიმართული სიტყვა კეთილად დამთავრდა. ყველამ აღუთქვა დახმარება ამ საქმეში წერა-კითხვის საზოგადოებას, ვინ ფულით, ვინ საშენი მასალით, ვინ პირადი მუშაობით. საქმე ისე გაჩაღდა, რომ მეორე წელიწადს სასწავლებელს უკვე მზად ჰქონდა სამაგალი-

თო დიდი შენობა, მშვენივრად მოწყობილი და ცალკე ბინები მასწავ-
ლებლებისათვის. სასწავლებელს შეეძლო დაეტია ორასამდე მოსწავ-
ლე და მალე კიდეც მიაღწია ამ რიცხვამდე მოსწავლეთა რაოდენობამ.
სასწავლებელი მშვენივრად იყო დაყენებული და დიდ სიმპათიას
იწვევდა ხალხში. სწავლა ისე ჩინებულად იყო დაყენებული, რომ
შემდეგში მეოთხე განყოფილებიდან ყოველ წლობით ათი-თორმეტი
ყმაწვილი გადადიოდა აქაური შემზადებით ბათუმის გიმნაზიაში.
ამ სასწავლებლის ფეხზე დაყენებაში, მისი მატერიალურად
მოღონიერებაში დიდი მუყაითობა და შემწეობა აღმოუჩინეს ვოლ-
სკის და მესხის ექვთიმე ბერძენიშვილმა და ნიკო საბაევმა. ორივე
უანგაროდ, გულწრფელად და სიყვარულით ეკიდებოდა სასწავლებ-
ლის საქმეს.

შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია — ბათუმის წერა-კითხვის სკო-
ლამ დიდძალი შეგნებული ახალგაზრდობა მისცა ხალხს.

• •

1895 წელს უნდა მომხდარიყო ქალაქის არჩევნები ახალი საქალა-
ქო დებულების საფუძველზე. აი აქეთკენ იყო საჭირო მუშაობის გა-
მოწყობა, რომ ქალაქის მმართველობისათვის ჩამოეშორებინათ ჭრე-
ლი ხალხი და ჩამდგარიყვნენ ისეთები, რომელთაც გული ეწოდათ
აქაურობისათვის და დაჩაგრული ხალხისათვის. ასეთ დაჩაგრულ
ნაწილს კი სწორედ ქართველობა შეადგენდა, რომელსაც ყველ-
გან გზას უღობავდნენ და უკან აყენებდნენ, რომელიც მეტისმეტ
უპატივცემულობაში იყო.

კაიანდრა, ქალაქისთავის თანამდებობის აღმასრულებელი, რომე-
ლიც ქართველებს დაურიდებლად „გოლოვოტიაპებს“ ეძახოდა, და-
რწმუნებული იყო, რომ არჩევნები მის და მისი მომხრეების სასარ-
გებლოდ დამთავრდებოდა. სომხები კი ფიქრობდნენ თავისი კაცის
გაყვანას ქალაქისთავად — და ამისათვის კიდეეაც ჩამოიყვანეს ბა-
თუმში სამსახურიდან გადამდგარი გენერალი ვიღაც ბებუთოვი და
დიდის ამბით ასეირნებდნენ ბულვარში ხალხისათვის დასანახავად.
მისი კანდიდატურის სიძლიერე ისე შეთვისებული ჰქონდათ, რომ
ბათუმში ცნობილი დელი (გიჟი) მაიორი ტერ-ასატუროვი დაუფარა-
ვად ხმამაღლა ამბობდა:

— ბათუმში ქალაქისთავი ან სომეხი, ან ქართველი უნდა იქნეს;
მაგრამ ქართველებს ამისათვის კაცი არ მოგეძებნებათ და, შეილეხო,

არც უნარი გაქვთ საამისო; ამიტომ ჩვენ, სომხებს, გვრჩება სათავეში ჩადგომა. ამაზე უკეთეს კაცს თქვენ ვერ იშოვითო!

თავხედურად გაიძახოდა ამას, რადგან ყველანი თამამად წიხლავდნენ ჩვენებს.

ამას ბოლო უნდა მოღებოდა და ვოლსკიმ კიდეც მოუღო.

იგი შეუდგა გაცხარებულ მუშაობას, რომ მომავალი არჩევნებით ქალაქის თვითმართველობაში რაც შეიძლებოდა მეტი ქართველობა ყოფილიყო არჩეული, ხოლო გარეშეთაგან საუკეთესო პირები. მუშაობა ამისათვის უნდა წარმოებულიყო დაფარულად, გაუხმაურებლად; საჭირო იყო საქმის დაჭერა თავიდან მხოლოდ სანდო პირებთან; ჯერ ამათი შეჯგუფება, შემდეგ ნელ-ნელა გაშლა, მომხრეთა სიფრთხილით მონახვა, რომ არ გახმაურებულიყო განზრახვა. საჭირო იყო შეჯერება, რომ გამარჯვება მიღწეული იქნებოდა. ამას დიდი მეცადინეობა ეჭირვებოდა, რადგან ქართველობაში ის აზრი ტრიალებდა, რომ ჩვენ უღონონი ვართ, უძლურნი და მომუშავე ძალებს მოკლებულნი.

უიმედობა, თავის თავის უნდობლობა ძალზე გამჯდარიყო ქართველობაში. ამის გაქარწყლებისათვის საჭირო იყო ყოველი ღონე ეხმარათ. ფეხის თითოეულ ნაბიჯზე გესმოდა შიშის ხმა, რომ უარეს მდგომარეობაში არ ჩავვარდეთო, რომ უფრო არ გადავიმტეროთ სხვებიო, რაკი გაგვიგებენ თუ რა მიზნები დაგვისახავსო. ამგვარი შიში მძლავრად ისმოდა თავიღან, მაგრამ ვოლსკის და მესხის მოხერხებული მოქმედება და სიტყვა თანდათან მეტ და მეტ მომხრეებს ჰპოულობდა და თანამგრძნობთა რიცხვი იზრდებოდა. აქ მთელი შეთქმულება, ნამდვილი შეთქმულება წარმოებდა.

როცა თანამოაზრეთა საკმაო რიცხვი შეიქმნა, გადაწყვეტილება მიიღეს შემოეერთებინათ ბერძენთა ამომრჩეველები. დიდის მოხერხებით მიაღწიეს იმას. ჯერ მოლაპარაკება ჩამოაგდეს გაელენიან ბერძენთა ამომრჩეველთან იანკო ბენლისთან. დიდი სიფრთხილე იყო საჭირო მასთან მოლაპარაკების დროს. მახსოვს რარიგად ელაედნენ ვოლსკი და მესხი იმ საღამოს, როცა ბენლისის მოსელას უცდიდნენ მელიტონ ლორთქიფანიძის ბინაზე. ღამე იყო, როცა ბენლისი მოვიდა. მოლაპარაკება გაგრძელდა რამდენიმე საათს. ნიშნები კარგი იყო. რამდენიმე დღის წინდეგ ბენლისი ისევ უნდა მოსულიყო და თან მოეყვანა ორი-სამი თავისი ამხანაგი. ასეც მოხდა. დანიშნულ დღეს ისევ საღამოს მოლაპარაკება კარჩაკეტილში, ნასალუბარ. ასეთი კრებები ღამეამობით ხშირად იმართებოდა, საქმე სასურველადაც დამთავრდა. ბერძნები არჩევნებში შეუერთდნენ ჩვენებს იმ პირო-

ბით, რომ ქართველი ამომრჩეველები გაიყვანდნენ ხალხი ბერძენ-ბმოსანს. საბოლოოდ წარმოებული მუშაობა წარმატებით დამთავრდა. არჩევნების დღეს ისევდანაც შეეყურებდნენ და ეს ისევდაც ბრწყინვალედ აღსრულდა.

ეროსის და ბესიკის მიერ გამოწყობილმა არჩევნებმა გამარჯვება. ამორჩეულ ხმოსანთა უმეტესობას ქართველები შეადგენდნენ: ხელოვნებისაგან დასახელებულნი ყველანი ამორჩეულ იქნენ. კიბანდრა ეულშეუხებელი დაემსო თავის ყუთს და ხასოწარკვეთილებით ლუღლუღებდა:

— ეს პატივისცემა დაეიმსახურე ჩემი მუშაობითო?! ასე გადაბიადეს საბოგერო ჩემი მუშაობისათვის?!..

საარჩევნო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას სავარძელზე მოთავსებული იყო და არჩევნების მსვლელობას უყურებდა. ანგელ ან ზეგანიერებისათვის თბილისიდან ჩამოყვანილი ილია ჭავჭავაძე.

ბრწყინვალე გამარჯვებამ დიდი აღტაცება გამოიწვია ქართველობაში.

ახლა საჭირო იყო ქალაქისთავის თანამდებობისათვის შესაფერისი კანდიდატის გამონახვა. საბედნიეროდ, ამ საკითხმა დიდი განსხვავება გამოიწვია ისევ ქართველ ხმოსნებში. ზოგნი ამ აზრის იყვნენ, რომ ქალაქისთავად უსათუოდ რუსი უნდა ყოფილიყო, რომ მთავრობის გული მოეგოთ, ზოგნი კი იმ აზრს დაადგნენ, რომ რაკი ქართველობა ჩადგა თვითმართველობის სათავეში, ქალაქისთავი უსათუოდ ქართველი უნდა ყოფილიყო, ერთგული აღმსრულებელი დასახული მიზნებისა, გამოცდილი, საქმის მცოდნე; ისეთი პირი, რომელსაც შეეძლო ქართველობის მდგომარეობა და ერთგულად გაუძღვებოდა საზოგადო ასპარეზზე ახლად გამოსულ, გამოუცდელ ხმოსნებს. ასეთ პირად დასახელებულ იქნა ქუთაისის ყოფილი ქალაქისთავი, იმ ხანად გუბერნიის სამართველოს წევრად მყოფი, ლუკა ასათიანი. შექმნილმა უთანხმოებამ საკინიცობოდ გახადა ამ კანდიდატის გამარჯვება, მაგრამ ამ კანდიდატურის მომხრენი არ ეშვებოდნენ მის სახელს, რადგან მასში ხედავდნენ გამოცდილ კაცს, სამაგალითო მუშაკს და ისეთ ხელმძღვანელობის გამწევის შემძლეს, როგორიც ეპირველებოდათ. მისმა მომხრეებმა თავი მოიყარეს მელიტონ ლორთქიფანიძისას, შეადგინეს მისადმი მიმართვა, რომელსაც ხელი მოაწერა ოცდაერთმა კაცმა და გამაგზავნეს ამ მიმართვით მასთან ქუთაისში.

როცა მე გადავეცი ბათუმელების თხოვნა ასათიანს, მისი პირველი შეკითხვა იყო:

— რად უნდიგანო ჩემისთანა დაღლილი, მოქანცული მუშა... ჩემისა ანალგაზრდა ძალა, რომელშიც უნდა შეძლოს დაძლევა ის დიდი საქმისა, რომელისთვისაც ხელი მოუკიდნია თქვენს.

ეგ ეფთხანი, რომ ნინამართველებს გათავალისწინებული, აწონილ-დაწონილი ავდეთ ყველაფერი და დაპეკითებით, სრული დანდობით მოკმართავენ, რასაც თქვენი ცოდნით, გამოცდილებითა და ნრომით ეიეშველოთ ანალ ნოდგ.ნებს.

— თუკი მაგალითს საინდეო პირად ვინ მინნეული, ბადლობას ეტ-ტა ენ ინა მეთქმის და ხელით და გულით ვამუშავებ, რამდენადაც ჩემი ძალ-ღონე შემაძლებინებს.

ენ არ დაეუმალე არაფერი; ვუთხარი, რომ არიან სხვა კანდიდატებიც და რომ შესაძლებელია ერთი ან ორი კენჭით გავიდეს ბნოლოდ. ბაგრამ ამას ნუ ითაკილებ-თქო.

ჩამოვბრუნდი ბათუმში და ასათიანის თანხმობა ჩამოვიტანე ბისი კანდიდატურა წამოეყენებინათ ქალაქისთავად.

ცხარე ბრძოლა შეიქმნა ამ არჩევნებზე, კენჭის ყრამ აუარებელი ხალხი მიიზიდა ქალაქის თვითმართველობის დარბაზში.

ასათიანი გავიდა ერთი კენჭით. ორი სხვა კანდიდატი გაშალებული იქნა.

ასათიანის არჩევას ქართველობა დიდის აღტაცებით მიეგება; მოწინააღმდეგენი მეტად გაბრაზდნენ და ხმამაღლა იმუქრებოდნენ შემდეგ არჩევნებში სამაგიეროს გადახდას.

გუბერნატორმა შალიკოვმა, რომელიც კარგად იცნობდა ასათიანს და დიდად აფასებდა, დაუყოვნებლივ დაამტკიცა არჩევნები.

განახლებულ ქალაქის თვითმართველობაში სხვა ყაიდაზე გაჩაღდა მუშაობა. საქალაქო საქმეების მცოდნე, მუყაითი, მუშაობაში დაუღალავი ახალი ქალაქისთავი თავდაუზოგველად მუშაობდა; მასთან მუშაობდნენ ვოლსკი და მესხი, — პირველი როგორც გამგეობის წევრი, მეორე როგორც მდივანი. მეორე წევრად იყო არჩეული. ივანოვი, გარუსებული ლეკი.

აქ უნდა მოვიყვანო რამდენიმე ცნობა ასათიანის შესახებ, რადგან იგი შესამჩნევი პიროვნება იყო იმ დროს. იგი იყო სოფელ ქვიტირიდან, ქუთაისის ახლო მდებარე პატარა სოფლიდან. სწავლა მიიღო ქუთაისის ოთხკლასიან სასწავლებელში; გიმნაზია იმ დროს არ იყო ქუთაისში; სასწავლებლის გათავების შემდეგ იგი შევიდა სამსახურში, მაგრამ მის ჯამაგირს მისი „მფარველი“ უფროსი იჯიბებდა და გამწარებულმა ყმაწვილმა მიატოვა ქუთაისი და გასწია ერევნისაკენ. აქ იგი შევიდა გუბერნიის სამართველოში, სადაც უცნაური

ამბები ხდებოდა; მოხელეებს უმსგავსო საქციელმა მთავრობის ყურადღებაც კი მიიქცია და დანიშნა გამოძიება იმის გამოსარკვევად, თუ ვინ რას ჩადიოდა სამართველოში. გამოძიებამ აღმოაჩინა საშინელი უკანონობა, უსამართლობა მცხოვრებთა მიმართ, საოცარი მექრთამეობა და ამგვარები. გამოძიებამ აღნიშნა, რომ ერთადერთი მოხელე ასათიანი არის ყოველი ბრალდებისაგან თავისუფალი, წმინდა და უანგარო მოსამსახურე. ამან ყურადღება მიაქცევინა მთავრობას ასათიანისათვის და იგი მალე გადმოყვანილ იქნა ქუთაისში ოლქის სასამართლოს წევრად. შემდეგ არჩეულ იქნა ქალაქისთავად და ირჩეოდა მუდამ, სანამ მასზე გულნაწყენმა კალისტრატე ჩიკვაიძემ, რომელმაც ერთ დროს ააფრიალა დროშა ვითომ წვრილი აზნაურობის ინტერესების დასაცავად, იერიში არ მიიტანა ქალაქის თვითმართველობაზე, ისე როგორც ადგილობრივ სათავადაზნაურო ბანკზე. ქუთაისის გუბერნატორმა შალიკოვმა ასათიანი მიიწვია მრჩეველთა საგუბერნიო სამართველოში და ამ თანამდებობაზე იყო, სანამ ბათუმელებმა არ ამოირჩიეს ქალაქისთავად.

დიდი ცოდნის, დიდი გამოცდილების მქონე, მშვენიერი სიტყვის პატრონი, დინჯი, წარმოსადეგი გარეგნობით, იგი ყოველთვის და ყოველგან დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

განსაკუთრებით მტრულად შეხვდნენ მას ბათუმში პირველ დღიდანვე. ბათუმში არსებული რუსული მონარქისტული გაზეთი, საზიზღარი გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი", ყოველდღე უშვერად ილანძღებოდა და ტალახს ისროდა. გათახსირებული რედაქტორი პალმი არას ერიდებოდა ასათიანს და ვოლსკის შეურაცხყოფისათვის. ასათიანს მან დაარქვა ლუკერია (გადაკეთა ლუკა) და უწერდა საობუნჯო ლექსებს, არაკებს და ამგვარებს. ასათიანი ხმას არ სცემდა, იგი მუშაობაში იყო ჩართული, ხოლო ვოლსკი, რომელსაც პალმი ვერ გაუტოლდებოდა ოხუნჯობაში, ხშირად ისეთ რამეს იოხუნჯებდა პალმზე საზოგადოებაში, რომ განაგონით პალმი გულზე სკდებოდა. საოცარი ტიპის კაცი იყო ეს პალმი. ქართველები რომ შეეკამა, ეს იყო მისი წადილი. სანამ ჩამოეთესლებოდა ბათუმში, ის ცხოვრობდა თბილისში, თავმოწონდა . ოპერეტკაში კომიკურ როლებს და კორესპონდენციებს ათავსებდა სუვორინის „ნოვოე ვრემიაში" „ზატერიანის" ფსევდონიმით. ეს კორესპონდენციები პირდაპირი დაბეზღება იყო ადგილობრივი მცხოვრებლებისა, დაუოიდებელი, უსინდისო და უნაბუსო. შავრაზმელს ყველა სძულდა

ონარქისტი რუსის გარეშე და, როგორც ეტყობოდა, მთავრობაც ველს უწყობდა ასეთ მოღვაწეობაში.

ამგვარი მტრული თვალით უყურებდა აგრეთვე ქართველობას მედიდური გამგე როტშილდის სანავთო ქარხნისა ინჟინერი ზრდილოვსკი, ტომით პოლონელი. ამაყი, მიუკარებელი, იგი გაუგებარი ეიზეზით ირიდებდა ქართველობას და ამცირებდა მას. მისი ქარხნის სამართველოს კარები მაგრად დახშული იყო ქართველი მოსამსახურისათვის. იყო ჭკუიანი, კარგი მოლაპარაკე, მას დიდი გავლენა ჰქონდა საზოგადოებაში და ქალაქის გამგეობაში, სადაც ის ხმოსნად იყო. მედიდურს ვერავინ წინააღმდეგობას ვერ უბედავდა და ისიც დიქტატორობდა. რასაკვირველია, მას საწყენად დარჩა ქართველობის გამარჯვება არჩევნებში და თავიდანვე ყოველ შემთხვევას ეძებდა, რომ დაემცირებინა ქალაქის ახალ მეთაურთა მოქმედება. უსათუოდ საჭირო იყო ამ პირის ალაგმვა, მისი მძლავრობის შერყევა. ვოლსკიმ იშოვა ამისათვის შემთხვევა. ერთ კრებაზე ზრდილოვსკიმ თავისებური მჭევრმეტყველური სიტყვით გააქიაქა, აღარ მახსოვს რაღაც განკარგულება ქალაქის გამგეობის მიერ მიღებული, და თავისი სიტყვა ასე დაათავა:

— მოიო სერდცე კროვიუ ობლივაეტსა, კოგდა ესპომინაიუ ეტო რასპორიაჟენიე!

ვოლსკიმ აცალა სიტყვის დათავება, შემდეგ შეუდგა პასუხის გაცემას და თავისი მოხდენილი პასუხი უცნაურად დაასრულა:

— ია ნე ზნაიუ ობლივაეტსია ლი ვაშე სერდცე კროვიუ, ნო ჩტო ონო ობლივაეტსია როტშილდოვსკოიუ ნეფტიუ, ეტო ხოროშო ზნაიუ!

ეს უცნაურობა იყო, ეს დიდი გაბედულობა იყო. ზრდილოვსკის ვინ გაუბედავდა ამგვარ შეურაცხმყოფ სიტყვას, ვინ შეკადრებდა ამისთანა სიტყვით მიმართვას! ეს ჩამოთრევა იყო ამ მძლავრი დიქტატორისა იმ სიმაღლიდან, საიდანაც გულდიდად დასჩერებოდა ქვეყეთ; დარწმუნებული, რომ ყველანი მის წინაშე თრთიან და ძაგძაგობენ. ვოლსკიმ ჩამოათრია იგი ამ სიმაღლიდან და ყველას დაანახვა, რომ ამ ამაყი, მედიდური კაცის შეხებაც შეიძლება, გაბედულად თქმა და რომ იგი არც ისე საშიშარია, როგორც წარმოდგენილი და მინდეული ჰყავდათ.

ამგვარ მძლავრთა ჩამოქვეითებაში დიდი მარჯვე და მოხერხებული იყო ვოლსკი. ზრდილოვსკისადმი მოქცევამ სომ მთელი ქალაქი აალაპარაკა, ყველას უკვირდა ვოლსკის გაბედულება და თავ იცნობდენ მიხლილ სიტყვაზე. ირონიაც მინიშნებელოვანი იყო ბევრს ზე-

მთავარეპი. მოსწავლენი არნიეგნუბოთ გელმოსულმა სომეხი ვაჭრების კომერციული ბანკის გამგეობამ ქართველ ვაჭრებს დაუპირა ბანკიდან ფულის გაცემის საშალების მოსპობა. რასაკვირველია, ეს საიდუმლო განკარგულება იყო. ვოლსკიმ ვრცელი, დალაგებული, შემსილებული წერილი მისწერა ალ. ნინოშვილს, კომერციული ბანკის სრულ გამგეს. მისწერა ბანკის ბათუმის განყოფილების მოქმედება და ბრალს ადებს. ნინოიანელს, სდებდა, რომ ნებას აძლევდა იგი ამგვარი მოქმედებისათვის. რაც უეჭველად გამოიწვევდა მეტისმეტ გაბოროტებას ქართველებსა და სომხებს შორის. აშკარად მონაყოლმა, დაუფარავად გამოაშკარავებამ თავისი გავლენა იქონია. მანთაშევმა წერილი მოიწერა, რომელშიც იგი ირწმუნებოდა, რომ მას არ გაუცია ასეთი განკარგულება და რომ იგი მოსურნეა ორ მეზობელ ერთა შორის კეთილგანწყობილებისა. რამდენიმე დღის შემდეგ თვითონ ჩამოვიდა ბათუმში, ინახულა ვოლსკი და ხანგრძლივი ლაპარაკის შემდეგ განკარგულებაც მოახდინა, რომ ბანკის განყოფილებას გაეძლიერებინა ქართველ მსესხებელთათვის კრედიტი.

საკვირველი მკლავი ახალი გამგეობისა იყო ხმოსანი ვინმე გრიელსკი. ერთ დროს იგი ქუთაისის ოლქის საბაჟოს მდივანი იყო, მერე კი ბათუმის ნოტარიუსი. მოუსვენარი, მოძრავი, ენამახვილი, ბოროტი. საოცარი კომბინატორი, ათასნაირ ახლაფორთებულ საქმეებში ჩაბმული — იგი მეფისტოფელის როლს თამაშობდა ქალაქის საბჭოში. ბევრი უთმინეს, ბევრი უცნაური მისი სიტყვა და მოქმედება წაიყრუეს, მაგრამ ვერაფრით ვერ მოდრიკეს ეს ადამიანი, სანამ მოთმინებიდან გამოსულმა ხმოსანმა ნიკო დუმბაძემ ერთ კრებაზე არ მონათლა ის თავისი მარჯვენით.

ხმოსანი ევ. ბოგოსლოვსკი ზრდილოვსკის კვალზე მიდიოდა და ბაუცხრომლად ეკინკლავებოდა ჩვენებს. ვერავითარმა შეჯერებამ ეს კაცი ვერ დააწყნარა, სანამ ხმოსანმა მიხ. ნაკაშიძემ, გაბრაზებულმა მისი ჩაცეიებით, ჯოხი არ უთავაზა მას გამგეობის კიბეზე.

ასეთი მოქმედებისათვის იძულებულნი იყვნენ მიემართნათ, რომ რამე რიგად დაეწყნარებინათ ეს უმგვანონი. არ იყო საქებური ასეთი მოქმედება, მართალია, მაგრამ გზაც მეტი არ იყო.

ქართველებისადმი სიძულვილი არ ცხრებოდა და არ ნელდებოდა; გასაოცარი სისტემატურობით ამას აწარმოებდა შავრაზმული გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ და მისი ურცხვი რედაქტორი პალმი.

1896 წელს ზამთარში გარდაიცვალა ყველასაგან დიდად პატივცემული და საყვარელი მოღვაწე გაბრიელ ეპისკოპოზი. ზამთარი იყო სასტიკი, დიდთოვლიანი, ისე რომ ყოველივე მისვლა-მოსვლა

ლეკვა და მოისპო. თვეზე მეტი ესვენა ეპატიელი ქუთაისის სობოროში, რადგან გელათში ბანი წასვენება ყოველად შეუძლებელი იყო და სოფლელებიც ხალხი ითხოვდა, რომ გასვენება გადადოთ იმ დროამდე, სანამ გზები არ გაიხსნებოდა და ხალხს მიეცემოდა საშუალება დასწრებოდა საყვარელი მოძღვარის გასვენებას. თვესახევრის შემდეგ საბოლოოდ გასდა მიცვალებულის წასვენება გელათის მონასტერში. გასვენებაზე დასასწრებლად ყოველი სრიდან აუარებელი ხალხი მოაბარებოდა ქუთაისისაკენ რკინიგზითაც და სასოფლო გზებითაც. გელათის სადგურთან სოფლებიდან ჩამოსული ხალხი სოფელ-სოფელ ჯარებიანით იდგა მიმდინარე. სადგურზე საგანგებო მატარებელი ერთი მეორეზე მოდიოდა ხალხით ავსილი. პირველმა მატარებელმა მოასვენა მიცვალებული. თბილისიდან წინა დღით ჩამოვიდნენ ილია ჭავჭავაძე, ვანო მაჩაბელი, აკაკი და მრავალი წარჩინებული მოღვაწეები. მწირველი იყო თბილისიდან ჩამოსული ეგზარხოსი ვლადიმერი, ცნობილი ქართველთა მოძულე. მან ერთი მეტად არასასიამოვნო ინციდენტი გამოიწვია გასვენებაზე. როცა სიტყვებს ამბობდნენ, ჯერი მიდგა ქუთაისის სომეხთა ეკლესიის დეკანოზ ტერ-დავითზე. მას უნდა ეთქვა სიტყვა. დეკანოზმა კიდეც დაიწყო და მოასწრო მხოლოდ წარმოთქმა ორიოდე სიტყვისა, როცა საკურთხეველიდან გამოსულმა ეპისკოპოზმა დადიანმა შეაჩერა იგი.

— მოითმინეთ, მამაო, — უთხრა მან ტერ-დავითს. — ეგზარხოსმა გთხოვათ სანამ ის არ გავა ეკლესიიდან, კათედრაზე არ ასვიდეთ. ის ახლავე გავა!

დეკანოზმა იმ წამს მიატოვა კათედრა და გაეშურა კარებისაკენ. ამ დროს ეგზარხოსიც გამოვიდა საკურთხეველიდან და მეორე კარებისკენ წავიდა. ეკლესიაში შეიქნა ერთი ყაყანი, ატყდა ყიჟინა, ყვიროდნენ ყოველმხრიდან:

— თქვას ტერ-დავითმა სიტყვა, თქვას სიტყვა! ნურავინ უშლით! ეგ არ შეიძლება!

გულმოსულმა ხალხმა მიაყვირა ეპისკოპოზს, რომ მას ნება არა აქვს ასე ირჯებოდეს. ეპისკოპოზი დაიბნა. გაეკიდნენ ტერ-დავითს, სთხოვეს დაბრუნებულიყო და წარმოეთქვა თავისი სიტყვა, მაგრამ მან უარი განაცხადა და თქვა:

— მე ვერავინ დამიშლის წესიერი პატივი ვცე დიდებულ მიცვალებულს და მომავალ კვირას მე ჩემს ეკლესიაში ჩემი მრევლით მუხლს მოვიდრეკ მის წინაშე!

მან კიდევაც სავსებით და შვენებით აასრულა თავისი სიტყვა პირველ კვირასვე.

ამ ინციდენტმა დიდი აღელვება გამოიწვია საზოგადოებაში, მაგრამ რა უნდა ექნათ ძლიერ ეგზარხოსისათვის. მისი საქციელი პირდაპირ შეურაცხყოფა იყო დიდებული მოღვაწისა.

ეპისკოპოზი გაბრიელი მეტად დაშორებული იყო ისეთ თვისებებს, რომელიც გამოიჩინა სარწმუნოების უმაღლესმა წარმომადგენელმა. იგი უყვარდა ხალხს მისი კლერიკალური მიმართულების გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ იგი იყო ნამდვილი გულწრფელი საზოგადოებრივი მოღვაწე, მებრძოლი ბერი, რომელსაც არც ერთ თავის ქადაგებაში ეშმაკი არ უხსენებია, რომელიც თავის მიმართვაში ხალხისადმი არკვევდა ცხოვრების პირობებს და ქადაგებდა მაღალი ზნეობის პრინციპებს. გაბრიელი იყო რომ ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ტაძარში ქადაგებდა მხურვალე სიტყვებით ბატონყმობის წინააღმდეგ. ამ ქადაგებამ გამოიწვია განრისხება ერთი მდიდარი აზნაურისა, გვარად კანდელაკის, რომელმაც წამოიძახა:

— ამ ლეკურით გავათავებ აქვე ამ ჩვენს დამღუპველს! და გავარდა ეკლესიიდან და ხმალზე ხელწავლებული უდარაჯებდა ეპისკოპოზის გამოსვლას. გაბრიელს უთხრეს ეკლესიაში მოეთმინა, არ გამოსულიყო — კანდელაკი მოკვლას გიპირებსო; ამის გაგონებაზე იგი გავიდა ეკლესიიდან და გაბედულად, უშიშრად ჩაუარა კანდელაკს. გაბრიელის მოსაკლავად გამზადებული კანდელაკი სახტად დარჩა, ხელი ხმალზე შერჩა.

ხალხს ღრმად უყვარდა გაბრიელი, ტკბილი მოუბარი, უბრალო, თავმდაბალი, მისი კეთილისმყოფელი, მისი დამცველი და ქომაგი. ყველამ ზედმიწევნით იცოდა, რა სასტიკი პასუხი გასცა მან საოლქო განათლების მზრუნველს ცნობილ იანოვსკის, რა გაბედულად გადმოუშალა მისი ანტიპედაგოგიური მიმართულება, რომელიც მას შემოჰქონდა ჩვენს სასწავლებელში ერის გადაგვარების წადილით. ყველამ კარგად იცოდა რა წინააღმდეგობას უწევდა გაბრიელი უმაღლეს სასულიერო მთავრობას, რომელიც რყვნიდა ქართველ ეკლესიას და მის მსახურებს. ამიტომ იყო, რომ მთელი საქართველო შეინძრა მისი სიკვდილის გაგონებაზე და განსხვავებული გრძნობით მიაბარა მიწას.

გათახსირებულმა, ჭუჭყიანმა ვაზეთმა „ჩერნომორსკი ვესტნიკმა" ვერც ახლა შესძლო დაეშალა თავისი გათახსირებულობა და ყოველად უმგვანო, ყოველად შეუწყნარებელი წერილი მოათავსა თავის ფურცელზე ამ გასვენების შესახებ. წერილი იყო კორესპონდენციის სახისა, როგორც შემდეგ გამოირკვა, დაწერილი ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებლის ვინმე იურკევსკის მიერ. სასაცილოდ იყო ავდებული

ხალხის მგლოვიარობა, გასვენების მსვლელობა, მონაწილენი. დაბოლოს დამწერი ირწმუნებოდა, რომ შეთქმულება იყო გამზადებული ამ დღისათვისო, მაგრამ ფხიზლად ყოფილმა მთავრობამ დროზე გაიგო ყველაფერი და მიიღო საჭირო ზომები, რომ არაფერი გაებედნათო და ვერ გაბედესო. ერთი სიტყვით, წერილი ყოვლად საზიზღარი, ურცხვი, მახინჯი.

ბატალიონის კანცელარიაში ვიყავი, ეს წერილი რომ წავიკითხე. ძლივს დავათავე წაკითხვა, მივვარდი გადამწერთა ოთახში ტელეფონს.

— ცენტრალური... ჩერნომორსკი ვესტნიკის რედაქცია... რედაქტორი პალმი... პალმი ხართ?!... რა სინდისმა მოგცათ ნება ისეთი უმგვანო წერილი მოგეთავსებინათ გაზეთში, როგორიც არის დღეს გაბრიელ ეპისკოპოზის გასვენების შესახებ?!... თქვენ არ იშლით კლოუნობას და გირჩევნიათ დაუბრუნდეთ ჯამბაზობას, როგორც იყავით აქამდის! თქვენისთანა გათახსირებულ, ყოვლად გაფუჭებულ კაცს რა ხელი აქვს რედაქტორობასთან... თქვე სინდისგარეცხილო!

ტელეფონი დაიკეტა. აღელვებულ ლაპარაკზე ჩემს გარშემო მოგროვდნენ მრავლად კანცელარიაში მყოფი ოფიცრები და მეკითხებოდნენ, თუ რამ გამაჯავრა ასე მძლავრად. მე ვანიშნე გაზეთის წერილი და თითქმის ყველანი იმ აზრის იყვნენ, რომ პალმი არა თუ გასალანძღავია — პირდაპირ საცემი, შეუბრალებლად საცემი.

ცოტახნის შემდეგ ქუჩაში შემხვდა პოდპოლკოვნიკი დუმბაძე.

— რა ამბავი იყო კანცელარიაში?.. მე ახლა ციხის უფროსთან ვიყავი და პალმმა ტელეფონით შესჩივლა, რომ თქვენი კანცელარიიდან მაგინებენო!

მე ეუთხარი ყველაფერი.

— მეც ასე ვიფიქრე, რომ შენ იქნებოდი! მართლა საზიზღარი წერილია! ციხის უფროსმა დამავალა გამეგო ამბავი და მეცნობებია მისთვის, რაც მოხდა!

მეორე დღეს გაზეთში მოთავსებული იყო პატარა წერილი, თუ როგორ გაილანძღა გაზეთის რედაქტორი: წერილის ავტორი ურიგოდ იხსენიებდა გამლანძღველს. ჩემი გვარი არ იყო ნახსენები.

— რას აპირობ ახლა? — მკითხა დუმბაძემ წერილი რომ წაიკითხა.

— პალმს პასუხი უნდა ვაგებინო!

—ამოირჩიე შენი სეკუნდანტები! — მითხრა დუმბაძემ.

— რჩეულოვი და ლისოვსკი! — ეუთხარი.

მოკლე ხანში ეს ორი ოფიცერი, მუნდირებში გამოწყობილნი,

ჩავიდნენ პალმთან და გამოუცხადეს, რომ მე ვიწვევ მას დუელში და პასუხს ითხოვენ მისგან.

პალმი იმპერიელებდა თავს, მაგრამ მიგზავნილებმა მოსთხოვეს კატეგორიული პასუხი და ვადა მისცეს ორმოცდარვა საათი.

სალამონ ცნობა მიიღე, რომ ციხის უფროსი მიბარებდა. ჩავიცვი მუნდირი და წავედ. ციხის უფროსმა თავის კაბინეტში მიმიწვია. დუშაძე უკვე იქ იყო. ციხის უფროსმა დამინახა რა მუნდირით, ღიმილით შემომძახა:

— რად გინდოდათ ეგ საპარადო მუნდირი? მე დაგიბარეთ ისე. უბრალოდ მოსულიყავით... გამაგებინეთ, რა მოგვიდათ თქვენ და პალმს? ეს ორი დღეა მოსვენება არ მაქვს მისგან, თქვენი დიდი მომჩივანია ის!

— თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ ხუთი, ათი წუთი დამითმეთ, რომ დაწვრილებით გაგაცნოთ საქმე და მაშინ შეგეძლებათ დასდოთ თქვენი მსჯავრი.

— დიდი სიამოვნებით! — მომიგო მან.

მე გადმოვუშალე დაუფარავად, თუ რა უმსგავსო საქციელს ადგანან მრავალნი ქართველების მოძულენი, რა შეუწყნარებელია მათი მოქმედება ჩვენდამი, რომ ამგვარი მოქმედებით მხოლოდ გვალიზიანებენ და ერთმანეთში მტრობა იბადება, არასასურველი განწყობილება მყარდება; რომ გული გვტკივა, როგორ უპატიეცემულოდ გვეპყრობიან, რომ არ ერიდებიან ხალხის თავმოყვარეობის შელახვას და დამცირებას, რომ თამამად ამაში ირჯებიან ისეთი პირებიც კი, როგორიც არის ზნედაცემული პალმი, რომელმაც არ დაინდო ხალხისაგან სათაყვანებლად მიჩნეული მიცვალებული და ისე ბინძურად შეეხო მასაც და მის მათაყვანებელ ხალხს და რომ ასეთი პირები არა თუ გასალანძღავია, არამედ გასაჭრობი და მოსასპობი.

— მე წინააღმდეგი ვარ სისხლის დაღვრისა, მაგრამ პალმის სისხლს კი სიამოვნებით დავღვრი, თუ ბედი ამაში შემეწია! — დავათავე ჩემი სიტყვა.

გენერალმა გაიცინა და სიცილით წამოიძახა:

— ბეღურა ჩიტი კი არ არის პალმი!.. (დუმბაძეს ეთქვა გენერალისთვის, რომ მე კარგი მსროლელი ვიყავი და ვითომ გაფრენილ ბეღურას არ ვაცილებდი ტყვიას).—ეშმაკებმა წაიღოს მისი თავი! ის ისეთი შეშინებულია, რომ ორჯერ იყო ჩემთან და სული შემიწუხა: რა ვქნაო, მე იარაღის ხმარება არ ვიცი და რამერიგად დამიფარეთო. მეტად გამხდალებულია, ისე, რომ შემეცოდა კიდეც. ვურჩიე

ბოდიში მოიხადოს თქვენთან და ისიც სიბარულით დათანხმდა. მეც ვთხოვეთ დაკმაყოფილდეთ მისგან ბოდიშის მოხდით ოფიცრების თანდასწრებით და ამით გაათავოთ საქმე. სვალ შუადღეზე იგი მოვა თქვენს საკრებულოში და ბოდიშს მოიხდის. იმედი მაქვს ამის წინააღმდეგი არ იქნებით.

მეორე დღეს, საკრებულოს დარბაზში თავშეყრილი ოფიცროპის წინაშე პალმმა ჩემთან ბოდიში მოიხადა და აღმითქვა, რომ გაზეთში თვალსაჩინო ადგილას მოათავსებდა საბოდიშო წერილს.

ეს წერილი უკვე აწყობილი იყო, რომ საქმეში ჩაერიენენ ახალი პირები. გაგვეს თუ არა რომ პალმი დუელში იყო გამოწვეული, რომ მან ბოდიში მოიხადა და ბოდიშო გაზეთში უნდა დაებეჭდა, მივარდნენ პალმთან, გაიცხეს იგი და მოითხოვეს, რომ გაზეთში თავისი ბოდიში არ მოეთავსებინა. პალმმა, ამათგან შემაგრებულმა, ბოდიში აღარ დაბეჭდა. განსაკუთრებით ცხარობდა გენერალი კლიუჩევსკი, ციხის არტილერიის უფროსი, გაჯავრებული ქართველებზე იმის გამო, რომ იგი ხმოსნად არ ამოირჩიეს ქალაქის თვითმართველობაში. იგი ყვიროდა, რომ კლდიაშვილი ქართველებმა განგებ მიუსიეს პალმს, რომ იგი ასრულებს მხოლოდ ქართველების დავალებას, კიცხავდა ციხის უფროსს, რომ მან ქართველების მხარე დაიჭირა პალმის წინააღმდეგ. ატყდა საშინელი აურზაური, მთელი ბათუმი მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდა და ერთმანეთს ედავებოდნენ. პალმის მომხრეებმა მოინდომეს პალმისათვის გაემართათ ოვაციები და ამისათვის საგანგებო ბანკეტი მოეწყოთ. მოწინააღმდეგეებმა გამოაცხადეს, რომ ისინი მეტ გრანდიოზულ ბანკეტს გამიმართავდნენ მე. არევას საზღვარი არ ეღებოდა. შავრაზმელი რუსობა მეტად მომდურავი გახდა ციხის უფროსის, რომ მან მე არ დამსაჯა და პალმი არ გაამართლა. ამ მდურებამ ისე შეაშინა ციხის უფროსი, რომ მან პირი იბრუნა, მე დამიწყო მტყუნება და ერთ დღეს ციხის შტაბის უფროსის პირით შემომითვალა ორი თვის შვებულება ამეღო და ბათუმს გავშორებოდი, სანამ იქაურობა დამშვიდდებოდა და მიივიწყებდა ინციდენტს; მე უარი განვაცხადე შვებულებაში წასვლაზე, რადგან ეს მიღებული იქნებოდა, როგორც გაქცევა მტრის წინაშე. მე ვუთხარი შტაბის უფროსს, რომ მას გადაეცა გენერლისათვის ჩემი უარი მის წინადადებაზე და ყური არ ეთხოვა მის მომდურავთათვის.

— რაც უნდა ის მიყოს, — ვუთხარი, — მე კი ჩემით ბათუმიდან ფეხს არ გადავდგამ!

კიდეც ასე მოვიქეცი. ბათუმიდან მე ფეხი არ მომიცვლია. გენერალმა კლიუჩევსკიმ თბილისშიაც კი მისწერა, რომ ციხის უფროსი

აძლიერებს რუსების მოწინააღმდეგეთა ელემენტებსღ და იძულებული გახდა ციხის უფროსი წასულიყო თბილისში და თავი გაემართლებინა ამგვარ ბრალდებაში. რამდენიმე ხნის შემდეგ კლიუჩევსკიც უცნაური ავადმყოფობით ავად გახდა — თავის ქალის გაგანიერებით — და სულიც დალია. ყაყანიც შესწყდა და მიწყნარდა.

თავი მეშვიდე

იმერეთის თავად-აზნაურთა გამგზავრება მოსკოვში მეფე ალექსანდრე III-ს გვირგვინის კურთხევაზე. — თავად-აზნაურთა იმედების გაცრუება და ოცნება უკან დაბრუნებაზე. — ეგნატე ნინოშვილის უკანასკნელი დღეები. — ბუკინისტი ნურიის ბაზარში. — საშა წულუკიძე. — ახალი ქალაქისთავის არჩევნები.

მიუხედავად იმ ხელის შემშლელობისა, იმ წინააღმდეგობისა, რომელსაც ეწეოდნენ ჩვენი ხმოსნების მიმართ, ასათიანისა, ვოლსკის და მესხის მეთაურობით ხმოსნებმა დიდი ენერგია და მოსაქნარეობა გამოიჩინეს. ქალაქის თვითმართველობაში გაჩაღდა საღი, არაჩვეულებრივი მუშაობა. გამოჩნდა ბევრი ნიჭიერი მოღვაწე, მოსაქნარე და საზოგადო ინტერესით გამსჭვალული. სულ მოკლე ხანში დამთავრდა ბათუმის გიმნაზიის გახსნის საქმე, აგებულ იქნა მისთვის ჯერ დროებითი, შემდეგ დიდებული, მუდმივი ორსართულიანი შენობა. მშვენიერი შენობა აიგო აგრეთვე საქალაქო სასწავლებლისათვის. აშენდა ქალაქის გასანათებლად საკუთარი ელექტრონული სადგური; გაიხსნა ასოც საწოლიანი საავადმყოფო, რომლისათვისაც აგებულ იქნა სამაგალითოდ მოწყობილი შენობები; გაიხსნა რამდენიმე დაბალი სკოლა ცალ-ცალკე ყოველ ეროვნებისათვის; დაწესდა ლომბარდი, გაიხსნა ქალთა გიმნაზია; განახლდა ბათუმის გარშემო მდებარე ჭაობების დაშრობისთვის საჭირო მუშაობა ქალაქის გასაჯანსაღებლად; აიგო ნურიის მოედანზე მშვენიერი შენობა დახურული ბაზრისათვის: გაკეთდა ასფალტიანი ტროტუარები ზღვისკენ მიმავალ ქუჩებზე; შეუდგნენ ქალაქის გამგეობისათვის შენობის აგებას, იმ შენობის, რომელიც დღეს ამშვენებს ბათუმს. ერთი სიტყვით, ეს ოთხი წელიწადი მართლა რომ სამაგალითო და საარაკო მუშაობაში ჩატარდა. ყველაფერი კეთდებოდა ფიცხლად და ხალისიანად.

გიმნაზიის გახსნისათვის ბათუმში წინადვე ბევრს მეცადინეობდნენ, მაგრამ ვერას გზით თავი ვერ მოაბეს. ასათიანმა კი სულ მოკლე ხანში მოახერხა მისი გახსნა ყოფილი მეფისნაცვლის მიხეილ ნიკოლაევიჩის დახმარებით, რომელიც მას დიდ პატივს სცემდა. ამ

საქმის მოსაგვარებლად ასათიანი წავიდა პეტერბურგში, სადაც ამისათვისაც და სხვა მრავალი საქმისათვისაც ნებართვანი და ფული იშოვა. გახარებული ის იყო უკან ვბრუნდებოდიო, მითხრა მან, როცა ჩემთან მოვიდა გულშეწუხებული გიორგი ზდანოვიჩი, რომელმაც შემომჩივლა, რომ ნახევარი წელიწადია თითქმის რაც აქ ვარ შავი ქვის საქმეზე და ვერაფერი გავაწყეო და ვერც ვბრუნდები ხელცარიელი და არც არა გამოდის რა ჩემი აქ ყოფნით. კაცი ვერ ვიშოვე, რომ მიხეილ ნიკოლაევიჩს მივუგზავნო — უიმისოდ კი საქმე არ კეთდებაო.

საქმე იმაში იყო, რომ ზდანოვიჩი ცდილობდა რათა შავი ქვის გადასაზიდავი ფასი რკინიგზით რამდენიმე კაპიკით შეემცირებინათ, დაეკლოთ იმ ათ კაპიკზე, რასაც მთავრობა ახდევინებდა ყოველ ფუთზე, და ამით შეძლება მისცემოდათ მწარმოებლებს გაეფართოებინათ წარმოება. როგორც ამბობდნენ, ასეთი დიდი ტარიფი დაწესებული იყო მიხეილ ნიკოლაევიჩის ხათრით, რომელსაც მარიუპოლის მამულში ჰქონდა შავი ქვა, მაგრამ დაბალი ხარისხის და მოიჯარადრეთა ხელის შესაწყობად ჭიათურის შავ ქვასთან კონკურენციის გასაადვილებლად უკანასკნელზე დიდი გადასაზიდი ტარიფი შემოიღეს.

ზდანოვიჩმა სთხოვა ასათიანს ეშუამდგომლა ამ საქმეში მიხეილ ნიკოლაევიჩთან. ასათიანმა არ უთხრა უარი ზდანოვიჩს. ინახულა მიხეილ ნიკოლაევიჩი და დიდი მოხერხებული სიტყვით, რომ მას არ წყენოდა რამე, მოუყვა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა დიდ გაჭირვებაზე მაღალი ტარიფის გამო, მრეწველობის დაღუპვის შესაძლებლობაზე ახლო მომავალში, თუ რომ გადასაზიდი ტარიფი დაკლებული არ იქნებოდა.

საუბარი იყო საუზმობის დროს, რომელზედაც ასათიანი მიპატიჟებული იყო.

— ლუკა ნიკოლაევიჩ, თქვენც შავი ქვის მრეწველი გახდით?— უთხრა სიცილით ასათიანს მიხეილ ნიკოლაევიჩმა.

— არა, მაგრამ მეც მაინტერესებს ეს ჩვენი ქვეყნის მოღონიერებული წარმოება და ამიტომ ვიკისრე თქვენს წინაშე შუამდგომლობა და გაწუხებთ თხოვნით, თქვენი გავლენიანი სიტყვით დაეხმაროთ ჭიათურლებს! — ვუთხარი მეო.

— ვიცი, მე მაბრალიან იმ მაღალ ტარიფს, რომ ჩემი შავი ქვა ნიკოპოლში და მარიუპოლში უფრო გავასაღო, მაგრამ ეს მართალი არ არის. მე მოიჯარადრეები მყავს, გრძელვადიანი მოიჯარადრენი და

სულაც არ ვერევი ამ საქმეში, მერწმუნეთ! თქვენ თხოვნას კი, ლუკა ნიკოლაევიჩ, ავასრულებ, უსათუოდ ავასრულებ!

საუზმის შემდეგ მან წერილი მისწერა ვიღაც ტრუბეცკოის და ერთი კვირის შემდეგ ჭიათურიდან შავი ქვის გადასაზიდის ტარიფს მოუკლეს სამი კაპიკი.

— ზდანოვიჩის სიხარულს საზღვარი არ ქონდაო და ნიშნად მადლობისა მომიტანა საჩუქრად მარქსის „კაპიტალის" ორი ტომი, რაც ჩემი ხნის კაცისათვის ძნელი დასაძლევი იყო, მაგრამ ძლიერ მესიამოვნაო, — სიცილით დაათავა მან თავისი მონაყოლი.

ჩამოსელისთანავე ასათიანი დაუყოვნებლივ შეუდგა გიმნაზიისათვის დროებითი შენობის აგებას. ზოგიერთი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მთავარ შენობასთან უსათუოდ აშენებულიყო პანსიონი და გიმნაზიასაც სანატორიული ხასიათი ვითომ უნდა მისცემოდა. ეს იყო ხრიკი, რომ გარედან მოეყარათ ბავშვები, ადგილობრივნი კი სასწავლებლის კარს გარეთ დაეტოვებინათ. განზრახვა აშკარა იყო, მაგრამ მიუხვდნენ და ცხარე კამათის შემდეგ გადაწყვიტეს რომ გიმნაზიასთან არავითარი პანსიონი არ მოეწყოთ.

უცნაურ პირობებში ბოხდა ქალაქის გიმნაზიის გახსნა. ქალაქის საბჭომ დაადგინა გიმნაზიის გახსნა და ნებართვა ითხოვა ოლქის მზრუნველისაგან. გაგზავნილ შუამდგომლობაზე ქალაქისთავმა საიდუმლო პასუხი მიიღო მზრუნველ იანოვსკისაგან. იგი იწერებოდა, რომ არ არის სასურველი გიმნაზიის გახსნა, რადგან იგი მხოლოდ გაამრავლებს ინტელიგენტი ქალების რიცხვს, რაც სასურველი არ არის, მით უფრო რომ გიმნაზია უსათუოდ აივსება მზარეულების, პარიკმახერების, მეეტლეთა, თერძების და მათი მსგავსი ხალხის შვილებითო.

ეს უცნაური მონაწერი ასათიანმა, ვოლსკიმ და მესხმა გააცვნეს რამდენიმე ხმოსანს. ამათ შორის იყო პოდპოლკოვნიკი ნიკო დუმბაძეც. მან დაიჟინა წერილის გამოქვეყნება, თუ მზრუნველი უარს იტყოდა განმეორებულ შუამდგომლობაზე გიმნაზიის გახსნის შესახებ და როცა ქალაქის საბჭოს მეორედაც უარი მოუვიდა მზრუნველისაგან, დუმბაძე შეუჩნდა „ჩერნომორსკი ვესტნიკის" რედაქტორს და იმდენი ახერხა, რომ ზემოთ მოყვანილი საიდუმლო წერილი დაბეჭდვინა გაზეთში. საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ამ წერილის გამოაშკარავებამ, მეტისმეტი უკმაყოფილება გამოიწვია მისმა შინაარსმა. უსიამოვნო შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად იანოვსკიმ ნება დართო ქალაქს გაეხსნა ქალების გიმნაზია. საბჭომ ამის მოგვარება მიანდო ვოლსკის და დუმბაძეს, რომელნიც დაუღა-

ლავი ენერგიით შეუდგნენ საქმეს და ნახევარი წლის თავზე გახსნეს გიმნაზია და მისთვის ააგეს მშვენიერი შენობა.

საბოლოოდ, ამ სასწავლებლის გამგედ მოწვეული მანდილოსანი ურიგო საქციელს დაადგა თავიდანვე. ყველას გასაკვირვებლად იგი არჩევდა ბავშვებს ეროვნებით და ნამეტნავად ეკერძებოდა რუს მოსწავლეებს. ეს მეტად აშკარა იყო და დიდ უკმაყოფილებას იწვევდა საზოგადოებაში. ბრძოლა ამგვარ პირებთან მეტად ძნელი იყო, რადგან მათ მფარველობდა მთავრობა, მათ მოქმედებაში არ ხედავდა ბოროტმოქმედებასა და უსამართლობას.

მეტად მძიმე პირობებში იყვნენ მოქცეული ახალი საზოგადოების მოღვაწეები და დიდი მოთმინება იყო საჭირო, რომ მუშაობას არ გადაცდენოდნენ და წვრილმანებში არ გაბმულიყვნენ.

მე ხშირად ვიყავი ასათიანთან. როცა საღამოობით თავისუფალი იყო ხოლმე, შემომითვლიდა მივსულიყავი მასთან. მეც მეტის სიამოვნებით მივიჩქაროდი მასთან, რადგან მეტად მიყვარდა მისი მუსაიფის მოსმენა, მისი ენამახვილიანი ლაპარაკი და ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელი ამბების მოყოლა. სხვათა შორის მახსოვს მისი მონაყოლი იმის შესახებ, თუ როგორ გაემართნენ ჩვენი წარჩინებული წოდების წარმომადგენელნი ალექსანდრე მესამის გვირგვინის კურთხევაზე. საოცარ სურათს ხატავდა ასათიანი ამათ შესახებ.

მთავარმართებლის საამებლად ქუთაისის გუბერნიის მარშალმა ნესტორ წერეთელმა მრავალი თავადი და აზნაური გაიტყუა მოსკოვისკენ დაპირებით, რომ თუ ბრწყინვალედ წარვუდგებით ხელმწიფეს, უსათუოდ დიდად დაგვასაჩუქრებსო და დაგვაწინაურებსო. მრავალმა თავად-აზნაურმა დაიჯერა მარშალის სიტყვა. თავი არ დაზოგეს, მიყიდ-მოყიდეს რაც რამ ჰქონდათ, გამოეწყვნენ, მოირთვენ და გაყვნენ საუცხოო ამალით თავის მარშალს. მოსკოვში მართლადაც უურადღება მიაქციეს მათ ჩასვლისთანავე, მაგრამ მალე გვარიანი გაპირვებაც ეწვია უმეტესობას, — ფული შემოაკლდა, დაპირებული დახმარება კი არსაიდან იყო; სასესხებელიც არსად იშოვებოდა. აუტანელ გასაჭირში ჩავარდნენ. გამწარებულნი დაეძებდნენ ნესტორ წერეთელს, მაგრამ ეს უკანასკნელი თავის საქმეებს იკეთებდა; ათასში ერთხელ თუ ნახავდა ვინმე; ამ ნახვითაც არა გამოდიოდა რა ცარიელი დაიმედების მეტი. ამასობაში ბევრმა გაყიდა წამოყვანილი ცხენი, უნაგირები და ამგვარები, ოღონდ რამერიგად თავი შეენახათ. დაბოლოს ერთმანეთში აუტყდათ დაუსრულებელი სამდურავები, ჩხუბი და დავიდარობა. ვინ იცის რითი გათავდებოდა ეს მდგომარეობა, რომ ცოტა მეტ ხანს გაგრძელებულიყო. მეფის გვირგვინის

კურთხევა ისე გათავდა, რომ ბევრს ამათგანს არც კი გაუგია. არც ამათთვის ეისმეს ყურადღება მიუქცევია. საზრუნავი შეიქნა სახსრის შოვნა შინ დასაბრუნებლად. წყალობისა და „გაკეთებაზე“ ყოველი იმედი გაქრა. ერთადერთი საჩუქარი მარშალმა მიიღო — უმაღლესი საჩუქარი: ჩარიცხული იქნა მეფის ამალაში და ებოძა ნება გენერალის საბეჭურებზე ეტარებინა მეფის ვერცხლის ვენზელი. ეს იყო და ეს. ძლივს ჩამოაწიეს სახლამდი საცოდავად მოტყუებულებმა. მათ ჩამოიტანეს მხოლოდ გამწარება და ერთმანეთშე ატეხილი უსიამოვნება.

ასათიანი გვირგვინის კურთხევაზე მიწვეული იყო როგორც საგუბერნიო ქალაქისთავი.

განზრახული იყო ბათუმში ელექტრონის განათების შემოღება და ამისათვის სადგურის აშენება. ასათიანმა მოლაპარაკება გამართა ამის თაობაზე სხვადასხვა პირებთან და ბოლოს ქალაქის საბჭოს წარუდგინა მოხსენება. ამ მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხმოსნებზეც და გარეშე მაყურებლებზეც. გაოცებულნი იყვნენ ყველანი იმისაგან, თუ როგორ შესძლო ამ მოხუცებულმა ადამიანმა არასპეციალისტმა ასეთი მოხსენების წარდგენა და იმ პასუხების მიცემა, რომელსაც ის აძლევდა მრავალ შემკითხველს. რასაკვირველია, მოხსენება სავსებით მიღებული იქნა და საქმის შესრულებასაც მოკლე ხანში შეუდგნენ. ერთ უახლოეს საღამოს მასთან მყოფმა ვერ მოვითმინე არ გამომეთქვა ჩემი განცვიფრება და სხვათა სიამოვნებაც მისი მოხსენებისაგან გამოწვეული. მოხუცებულმა გაიღიმა და თქვა: — ამ მოხუცებულობაში ძალაუნებურად შემასწავლეს ფიზიკის ერთი განყოფილება. შემდეგ ეს სახელმძღვანელოები გულდასმით გადავიკითხე და დღეს თითქმის ელექტროტექნიკი გავხდიო, — სიცილით დაათავა მან.

ამგვარი მომუშავე იყო ეს ადამიანი ყოველ საქმეში და ამიტომაც იყო რომ ყოველ მის ნაკეთებს მაგარი ფესვები ჰქონდა და მტკიცე ნაშენობა.

იგი მთელი თავისი სინდისით ამართლებდა იმ იმედს, რომელიც მასზე იყო დამყარებული და როგორც ხალხის მოყვარული ადამიანი ვალად რაცხდა თავისი მუშაობით მაღლა დაეყენებინა ქართველი მოღვაწის პრესტიჟი.

ამგვარივე მიმართულების იყო მეორე მოღვაწეც — ვოლსკი. სათავეში მას ჰქონდა წამძღვარებული, რომ ყოველი ქართველი მოღვაწე, ყოველგვარ საყვედურს გარეშე უნდა ყოფილიყო, ყოველ მიკერძოებას დაშორებული — უნდა ყოფილიყო სამართლიანი და.

რადგან ამ სამართლიანობას ვერ ხედავდა წინანდელ ქალაქის მეთაურებში, კიდეც იმიტომ ყოველივე ღონე იხმარა და შეიკრა თვითმართველობაში, შეიყვანა თან ბევრი ახალი ჯერ გამოუცდელი ძალა და შემდეგ გამოცდილებაც მისცა და სამართლიანობის გზაზეც დააყენა.

გატაცებული საზოგადო საქმეებით, იგი თითქმის არ გრძნობდა ღალატვას. მხოლოდ კვირა დილა იყო რომ ჩაიკეტებოდა ოთახში და არავის არ მიიღებდა. ამ დროს მარტო ჩვენ ახლობლები ვიყავით,— ან მე, ან ალექსანდრე აბაზაძე, ან ექიმი კონდრატი მხეიძე. აქვე იყო ჩვენი საყვარელი ალექსანდრე ლორთქიფანიძე, გამომძიებელი, უფროსი ძმა მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის. ლაპარაკი მხოლოდ ლიტერატურულ თემაზე იყო; ქალაქის საქმეებზე და სადავო საქმეებზე საუბარი დაუშვებელი იყო.

— დასვენება მინდა! უსათუოდ დასვენება! — ამბობდა ვოლსკი. და თვითონ ლიტერატორი-პოეტი, იგი სულდგმულობდა ლიტერატურით. მან ზედმიწევნით იცოდა ქართული ლიტერატურა და უცხოურიც. ყოველი მისი საუბარი ამ დროს ლექციასავით იყო და ჩვენც დიდი სიამოვნებით ვუსმენდით. ზედმიწევნით მცოდნე ქართული ენისა, იგი ხშირად ჩაუჯდებოდა „ივერიის", „კვალის" ნომრებს და ასწორებდა ხმარებულ ენას; ამ შენიშვნებით ავსებულ ფურცლებს უგზავნიდა ილია ჭავჭავაძეს და გიორგი წერეთელს. ორივენი დიდად აფასებდნენ ამ შენიშვნებს და სთხოვდნენ გრიგოლს ხშირხშირად მიეწოდებინა ამგვარები.

თვითონ უაღრესად გულწრფელი, გულახდილი გაურბოდა ყოველივე თაღლითს და ხრიკიანს. გულკეთილს — ქვეყნისათვის სიკეთე სურდა. ნაზი და მგრძნობიერი, იგი ღრმად გრძნობდა ადამიანის ტანჯვას და მწუხარებას.

ერთხელ ქუჩაში შემხვდა, თაყისებურად მიჩაკუნობდა (ფეხი ჰქონდა წამხდარი და კოჭლობდა) აჩქარებული. მითხრა, რომ ნინოშვილი ჩამოიყვანეს ძლიერ ავადმყოფი და შემოეთვალა მისთვის ენახა ავადმყოფი. მითხრა წამოდიო, მაგრამ მე საქმე მქონდა და ვეღარ წავყევი.

— ხვალ წავიდეთ! ხვალ ვინახულებ! — ვუთხარი.

მეორე დღეს მიველ ვოლსკისთან ნინოშვილთან წასასვლელად.

— რა კარგი ქენი რომ არ წამოდი ნინოშვილის სანახავად, გული მომიკვდა მისი ნახვით. ახალგაზრდა კაცი უკანასკნელ დღეშია. თვითონაც გრძნობს ამას და ცხარე ცრემლით ტირის. მიშველეთო!.. რითი უშველოს კაცმა — ჭლექი მორეულია მთელი სიძლიერით. ვინ

ოხერი არ დააკვდებოდა ზედ, რომ გადარჩენა შესაძლებელი ყოფილიყო. ტირის, რომ ბევრი რამ მირჩება განზრახული დაუმთავრებელი, დაუბოლოვებელი... სიკვდილი კი არა, მუშაობა მწადია, მუშაობა!.. და ამას ისეთნაირად ამბობს რომ გული მოგეხარშება! ბევრი ვამშვიდე, მაგრამ ვერ დავამშვიდე ვერას გზით!

ვოლსკიმ გადადო საქმეები გვერდზე და გავეშურეთ სასტუმროსაკენ, სადაც იწვა ნინოშვილი. მივედით სასტუმროში, მაგრამ ნინოშვილი იქ აღარ დაგვიხვდა, უკანასკნელი მატარებლით იგი წაეყვანათ ბათუმიდან სოფელ ჩიბათში, რადგან აღარავითარი იმედი აღარ იყო მისი სიცოცხლის გაგრძელებისა.

შეწუხებულნი უკან გამოვბრუნდით.

— დაიღუპა ყმაწვილი კაცი... დაიღუპა ნიჭი, საჭირო ნიჭი! — განსხვავებული სიმწარით ამბობდა გრიგოლი.

მისმა მგრძნობიერმა გულმა ღრმად განიცადა საწყალი ეგნატეს ტანჯვა და უზომოდ შეწუხებული ხშირად იგონებდა სიკვდილის წინ მის გაწამებას.

განსხვავებული კეთილი გულის პატრონმა, საოცარი რისხვით მისვლა იცოდა უსაქციელო ადამიანთან. აქ ის პირდაპირ გადარეულივით იყო. მისი გაბედული, უშიშარი მიმართვა სავსე იყო ხოლმე გამანადგურებელი სიტყვებით. არ იცოდა დარიდება, რაც უნდა პიროვნება ყოფილიყო, უმაღლესი, უმდაბლესი — ამ დროს გარჩევა არ ჰქონდა. გავლენიანობით, თავისი სიდიადით მას ვერავინ შეაშინებდა და ვერ ჩააჩუმებდა. სიტყვა ბასრი, ენამახვილი იგი მშვენიერი რამ იყო რისხვის წუთებში. უყვარდათ ეს ლამაზი, თავზარდამცემი რისხვა მისი, როცა იგი აცამტვერებდა რომელიმე მაღალ საფეხურზე მყოფ ზვიად პიროვნებას.

აღელვებულ, მოუსვენარ ცხოვრებაში მყოფი მოსვენებას იგი პოულობდა ახლო ამხანაგებში და განსაკუთრებით ბათუმის საბაჟოს მოხელის პეტრე ღლონტის ოჯახში. ეს ოჯახი განსხვავებულად უყვარდა ვოლსკის; გვიყვარდა ჩვენც, დანარჩენებს, რადგან ოჯახის პატრონები, როგორც პეტრე, ისე მეუღლე, მაკრინე, საყვარელი ადამიანები იყვნენ თავიანთი ხასიათის გამო. კვირა დღეს და ყოველ საღამოს აქ იყრიდა თავს ბათუმის მრავალი ახალგაზრდობა, აქ ეცნობოდნენ ერთმანეთს, აქ ენაცვლებოდნენ აზრებში, აქ იმართებოდა ხშირად გაცხარებული მსჯელობა ჩვენი საქმეების შესახებ.

ოჯახის პატრონი, საოცარი ხალისიანი ადამიანი, მეტად უყვარდა ყველას; ამგვარივე პატივისცემით და სიყვარულით შემოსილი იყო პეტრეს მეუღლე — მაკრინე. ქეთევან ჟურულის წასვლის შემდეგ

მაკრინე ღლონტისას ჰქონდა მიკუთვნილი ყოველივე საზოგადო საქმეებში მეთაურობა, მაგალითად: როგორც წერა-კითხვის სკოლის სასარგებლოდ საღამოების გამართვა, ჩამოსულ ქართული თეატრის არტისტების ხელისშეწყობა, სხვადასხვა საქველმოქმედო წარმოდგენების მოწყობა და სხვა. იყვნენ სხვა ოჯახებიც ამგვარ საზოგადო მუშაობაში ჩაბმული, როგორც მაგალითად, გრიგოლ ელიავასი, სეფე მხეიძის, მიხეილ ნაკაშიძის, ივანე მესხის ოჯახები. მრავალი საქმის აღმსრულებელი იყო ექვთიმე ბერძენიშვილი (ქართული სკოლის ამშენებელი), ნიკო საბაევი, ივანე კაკაბაძე, სარდიონ ქუთათელაძე, გერასიმე სანაძე, მიხეილ ბეთანელი — ადამიანი საოცარი ცოცხალი ბუნების, დაუღალავი მომუშავე, ამერიკაში რამდენიმე წელიწადს ნამყოფი, ინგლისური ენის მშვენივრად მცოდნე. ბეთანელმა აღმოაჩინა ახალციხის მახლობლად, თავის სოფელში, ინფუზორიტი და, სანამ ცოცხალი იყო, დიდი მუშაობაც ჰქონდა გაჩაღებული მისი გასაღებისათვის.

ეს პირები, ეს ოჯახები, ეხვევნენ ვოლსკის გარშემო და ყოველნაირად ხელს უწყობდნენ მოღვაწეობაში.

ამათ გარდა გვქონდა ერთი ბინა, სადაც მხოლოდ მამაკაცები იყრიდნენ თავს და საზოგადო საქმეების შესახებ მსჯელობაში იყვნენ. ეს იყო ბათუმის ოლქის უფროსის თანაშემწის მელიტონ ლორთქიფანიძის ოჯახი. ყმაწვილობისას ლორთქიფანიძე გეოგრაფიის მასწავლებლად იყო ერთ სამაზრო სასწავლებელში. რუს-ოსმალეთის ომის შემდეგ მიატოვა მასწავლებლობა და შეევიდა ადმინისტრაციაში, ბათუმის ოლქის უფროსის თანამდებობაზე. დარბაისელმა, თავაზიანმა, ხალისიანმა ადამიანმა მრავალი პატივისმცემელი მოიპოვა. საღამოობით მისას ვის არ ნახავდი! დიდად უყვარდათ ადგილობრივ მცხოვრებლებსაც და მის გარშემო იყრიდნენ თავს. აქ ნახავდი მაშინ სიცოცხლით სავსე გულ-აღა კაიკაციშვილს, დიდი-აღა ნიჟარაძეს, რომლებმაც შეისმინეს და თავიანთი ვაჟები თბილისში გაგზავნეს სათავადაზნაურო გიმნაზიაში სასწავლებლად, როცა სხვები ამას გაურბოდნენ იმის შიშით, რომ შვილები გაგვიქრისტიანდებიანო. ამათ შვილებს კოწია მუხრანელი ზრდიდა თავის ხარჯზე. ორივემ დაამთავრეს გიმნაზია და ოდესის უნივერსიტეტში შევიდნენ. საუბედუროდ გულ-აღას შვილი, საოცარი ნიჭის პატრონი ყმაწვილი, ავად გახდა და მოკვდა ოდესაში; ნიჟარაძემ კი გაათავა უნივერსიტეტი და დღესაც მოღვაწეობს ბათუმში.

ხშირი სტუმრები იყვნენ ტუფან-ბეგ შარვაშიძე — აჭარელი, ახმედ-ბეგ ბეჟანიძე, ფერად-ბეგ ბეჟანიძე, სულეიმან-ბეგ ბეჟანიძე,

სანჯალ-ბეგ აბაშიძე, ჰუსეინ ეფენდი ქათამაძე, ძმები ხიმშიაშვილები და მრავალი სხვა. ამათ მოჰქონდათ აქ თავისი მწუხარებაც და დალხინებაც, აქ ეძიებდნენ დარიგებას და გზის ჩვენებას თავიანთ გასაჭირში ლორთქიფანიძისა და ვოლსკისაგან, გასაჭირში, რომელიც მძლავრად ჰქონდათ გარშემორტყმული. ხანდახან მოდიოდა აჭარელი ალი-აღა სირაძე, უკვე შეხნიერებული კაცი, მაგრამ ჭარმაგი. იგი განთქმული იყო თავისი ენამახვილობით მთელ აჭარაში; იყო გასაოცარი მოქართულე, მშვენიერი მოლაპარაკე და საოცარი სიტყვა-ჭოსწრებული.

აჭარის გლეხობაც ხშირად მოდიოდა ლორთქიფანიძესთან შეშოწშებისა და დარიგების მისაღებად. ხუმრობით საქართველოს კონსულს ვეძახდით მას და საკონსულოს მის სახლს. არ ვიცი დასმენილი იყო თუ რა როლს თამაშობდა მისი სახლი თუ სხვა რაძე იყო, ოღონდ სრულიად უმიზეზოდ ერთ დღეს მთავარმართებელმა ვოლიცინმა სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი შეატანინა და დაითხოვა სამსახურიდან. ვოლიცინის დროს ტენდენცია იყო, რომ რუსობა ყოფილიყო მხოლოდ ადმინისტრაციაში და, ალბათ, ესეც როგორც ქართველი მოხვდა გაძევებაში, მით უფრო რომ დიდი გავლენა ჰქონდა აჭარლებზე.

ახლოვდებოდა ქალაქის ახალი არჩევნები. ბევრი რამ გაკეთდა როგორც ზემოთ აღვნიშნე ამ წლებში; ხმოსნებმა დიდი უნარიანობა გამოიჩინეს და დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ სასარგებლო მუშაობა-მოღვაწეობა, მაგრამ მდგომარეობა მაინც სამძიმო იყო და საშიშარი. რუსი მოხელეები და სომხის ბურჟუაზია შეერთებული ძალ-ღონით ეწინააღმდეგებოდნენ ქართველობას და მისი დაცემა სულით და გულით სწადდათ. ეს აშკარა, ნათელი იყო ყველასთვის, მაგრამ ისევ ჩვენში იყო ისეთი მიმდინარეობა, რომ მდგომარეობას საშიშრად ხდიდა, იმ მიმდინარეობის გამარჯვებით შესაძლებელი იყო ქართველებს ისე დაჰკარგოდათ ინიციატივა, საზოგადო საქმეების ხელმძღვანელობა, სათავეში მოქცეევა და ისევ დაჩაგრულ ელემენტად გამხდარიყვნენ, როგორც წინათ იყო.

1894 წელს ნინოშვილის საფლავზე, მისი გასვენების დღეს, წაკითხული იყო დეკლარაცია იმ პარტიის, რომელსაც შემდეგ დაერქვა სახელად მესამე დასი. დეკლარაცია დაიბეჭდა „კვალში“ და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაში. დაახლოებით აძგვარი რამ დაისტამბა აგრეთვე ქართულ პრესაში: — ეს იყო გ. მაიაშვილის წერილი მიმართული საზოგადო მოღვაწეებისადმი, დაბეჭდილი ჟურნალ „ივერიაში“. წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახ-

დინა, მაგრამ მკითხველთა წრე იმ ხანებში მეტად ვიწრო იყო და ამიტომ ფართო გავრცელება არ ჰქონია ამ შესანიშნავ წერილს, რომელიც წარმოადგენდა საოცრად შედგენილ პროგრამას ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განსავითარებლად.

რამდენიმე ხნის შემდეგ, მსგავსმა დეკლარაციამ კი აუარებელი მსმენელი იპოვა, იგი შეიჭრა ხალხში, არ დარჩენილა მხოლოდ ინტელიგენციის კუთვნილებად, მოიპოვა მრავალი მსმენელი ახლად გაღვიძებულ წრეებში და დიდ გავლენას ახდენდა მათზე.

ბათუმის ქუჩებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებოდი სხვანაირი სიმარდით მოსიარულეს, გატაცებულ კილოზე მოლაპარაკე ყმაწვილობას „კვალით“ ხელში.

ნურიის ბაზარზე ვაჭრობდა ერთი ბუკინისტი, სპირიდონ ჭელიძე. ჰქონდა მაღაზია ავსილი ძველი და ახალი წიგნებით, წიგნაკებით, ფურცლებით, გაზეთებით. იგი იყო ნამდვილი ჩვენებური შოველი, ერკმან-შატრიანის „ერთი გლეხის ისტორიის“ გმირი. დაჰქონდა წიგნები, წიგნაკები სხვა ქალაქებში, სოფლებში; ხან ჰყიდდა, ხან ისე ავრცელებდა-არიგებდა. შესმენილი, საკმაოდ განვითარებული, ენამეტყველი — იგი საოცარი ენერგიის პატრონი იყო, ამასთან გულკეთილი და მოსიყვარულე ადამიანი. ახალგაზრდა, თავისი ტკბილი სიტყვით და მოქცევით, ხიბლავდა ახალგაზრდობას, რომელიც მხოლოდ მოდიოდა მის მაღაზიაში და ხშირად მართავდა საერთო საუბარს-დაობას ამა თუ იმ საგანზე.

მე ძლიერ მიყვარდა ამ მაღაზიაში სიარული — მიყვარდა მისი პატრონი და მიყვარდა მოსმენა იმ გაცხარებული დაობისა, რომელიც იქ იმართებოდა ყმაწვილებს შორის.

მახსოვს ერთხელ ერთმა ყმაწვილმა გატაცებით წამოიძახა: მე მარქსისტი ვარ და ვერავითარი ძალა მას ვერ ჩამომაშორებს!.. დავიბადე ღარიბ ოჯახში, ვიზრდებოდი სიღარიბე-სიღატაკეში, გაჭირვებაში ვსწავლობდი, სიღარიბის და სისაწყლის მეტს გარშემო ვერას ვხედავდი... და ახლა თვალი გავახილე... მოითმინე, მოითმინე, მოთმინებითა შენითა პოებდე სასუფეველსაო... რომ მოკვდები, იქ, საიქიოს, ზეცაში, მოგეზღვევა სამაგიერო ბედნიერებაო... ვინ იცის იმ საიქიოს, ზეცას რა ამბავია — ვის უნახავს, ვის მოუტანია იქაური ამბავი?!. ტყუილი დაიმედება, თავის მოტყუებაა... მარქსმა კი სამოთხე ზეციდან დედამიწაზე ჩამომიტანა, აქ გამაჩინა, აქ მომცა ჩემს სიცოცხლეში... პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!.. მიგვაგნებია გზა და ყველა რომ შეერთდებით, ყველა გაჭირვებულები სამოთხეს აქ გავაჩენთ, სიცოცხლეში. სიკვდილის შემდეგ კი

არა! ამისთანა მქადაგებელს ჩამოვშორდები? — არასოდეს, არაფრის გულისათვის! მე არ ვიცი ვინ ვარ ახლა — ქართველი ვარ, რუსი, სომეხი თუ სხვა ვინმე — არც მინდა ვიცოდე; მე ვარ პროლეტარი! — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! აქ არის, ამაშია ჩვენი ხსნა.

ერთხელ ვოლსკის მოუტანეს ერთი ყმაწვილის ნაწარმოები, ხელნაწერი, წასაკითხავად და თავისი აზრის გამოსათქმელად. ნაწარმოები წარმოადგენდა პატარა მოთხრობას სათაურით „ის". ავტორი იყო, სახელი არ მახსოვს, გვარად კალანდაძე. მოთხრობას წამძღვარებული ჰქონდა წინასიტყვაობა, რომელშიაც ავტორი ამბობდა, რომ დღევანდელი ცხოვრება ეწინააღმდეგება კაცობრიობის ერებად დაყოფას, სპობს იმ მრავალ ენათ, რომელზედაც ლაპარაკობენ ეს ერები, რაც ხელს უშლის შეერთებას, აშორებს ადამიანს ადამიანისაგან და ამის მაგიერ შემოაქვს ახალი ენა ხმარებაში — ესპერანტო, რომელიც მისცემს საშუალებას ერთმანეთის დაახლოებაში და გაგებაში. ჩემს მოთხრობას საუბედუროდ ვწერ ჯერ ქართულადო, რადგან ესპერანტოს ცოდნა ჯერ არ არის იმდენად გავრცელებული და შემოღებულიო და ჯერჯერობით არც მე მემარჯვება მისი ხმარებაო: მომავალი კი მისიაო. ჩემი მოთხრობის გმირს სახელად ვარქმევ „ის". რადგან პეტრე რომ დამერქვა — ეს იქნებოდა ქართველი, პიოტრ რომ დამერქვა, იქნებოდა რუსი, პიერ — იქნებოდა ფრანგი, „ის" კი საერთო იქნებაო. აგრეთვე მოთხრობა უნდა აშენებული იყოს ისეთ მოვლენაზე, რაც ყველასთვის საერთოაო. მაგალითად, ამ ნაწარმოებში — შიმშილზე. შიმშილი ყველას ერთგვარად აწუხებს და ყველასათვის უბედურებაა ერთნაირად. ამიტომ ამ მოთხრობაში იგი იქნება მთავარი ღერძიო. სად იმყოფება ჩვენი გმირიო? — ეს ზღვაა, ზღვის ნაპირი, რადგან ზღვა დიდებულია და მძლავრიო. ამ შესავალის, განმარტების შემდეგ იწყებოდა თვით მოთხრობა. „ის" იწვა ზღვის ნაპირას შიმშილისაგან მეტისმეტად შეწუხებული და ღონემიხდილი; ეძლეოდა სხვადასხვა ფიქრებს. შემდეგ ბრუნდებოდა საღამოს თავის ბინაზე და მიქანცული ეშვებოდა თავის ხმელ საწოლზე; ოთახში სინათლე შემოდიოდა გარეთ ქუჩაში ანთებულ ელექტრონის ლამპიონიდან. ბევრი იბორგა „ის"-მა თავის ხმელ ლოგინზე შიმშილისაგან ძალმილეულმა და თავისი სიცოცხლე დაათავა მით, რითაც თავდება საერთოდ ყველას სიცოცხლე—სიკვდილით. დილას იგი მოკვდა.

მოთხრობა იყო პატარა, მოკლე, დაწერილი პრეტენზიით; იგი უნდა ყოფილიყო დამწყები ახალი ლიტერატურის და ლიტერატურული ფორმის მაგალითი.

მე დიდად მონდომებული ვიყავი შემენახა ეს ნაწარმოები სამახსოვროდ; მინდოდა მეთხოვა იგი ავტორისათვის, მაგრამ ეოლსკიმ იგი სასაცილოდ აიგდო, ბევრი იოხუნჯა და ჩემდა გაუგებრად დაუბრუნა ავტორს.

ზოგიერთნი კი მათებურად გაგებულ კოსმოპოლიტიზმის მიხედვით აშენებდნენ თავიანთ ოჯახებს. როტშილდის ქარხნის ერთმა მუშამ, გერონტი ც-იამ, რომელმაც რუსული ენა იმდენად იცოდა, რომ ძლივს ორ სიტყვას თუ გადააბამდა ერთმანეთს, უკუაგდო თავისი ეროვნება და მოიწადინა კოსმოპოლიტური ოჯახის შექმნა. მისი აზრით ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ სხვა ეროვნების ქალის შერთვა და კიდეც ასე მოიქცა: შეირთო ქალი, რომელმაც ერთი სიტყვა ქართული არ იცოდა.

მოვდივარ ერთხელ თეატრიდან სახლში. ღამეა.

— დავით! თუ არ მიგეჩქარებათ, თქვენთან საქმე მაქვს!

შეეჩერდი, მივიხედე — გერონტია.

— არ მიმეჩქარება, — მივუგე. — რა ამბავია, ჩემო გერონტი?

ახალგაზრდა მუშა პატიოსანი და გულწრფელი ადამიანი იყო, კარგად ვიცოდი მისი წადილი სინათლეზე გამოსულიყო, თავისი შეგნება რაც შეიძლებოდა გაეფართოებინა. მე ხშირად ვხვდებოდი მას და მიყვარდა ყოველთვის მასთან მუსაიფი. აღელვებულ კილოზე მისმა მომართვამ გამაკვირვა.

— რა ამბავია, გერონტი? — მეგობრულად შევეკითხე.

— თქვენი დარიგება მინდა, თქვენი რჩევა მჭირია, ძვირფასო დავით, რარიგად მოვიქცე, რა გზას დავადგე იმ გაჭირვების ასაცილებლად, მე რომ ჩავვარდი ჩემი დაოჯახებით... ვიცი რომ თქვენ გულით მომეკიდებით და ამიტომ მოგმართავთ. ოჯახს მოვეკიდე, მეგონა გავბედნიერდებოდი... ამას ისე გეუბნებით, როგორც მოსიყვარულე უფროს ძმას, მამას. შევცდი, გადავცდი — მე ისევ ჩვენიანი ვინმე უნდა მომეყვანა. ახლა ვხვდები, რომ ის უცხო ქალი და მე არ უნდა შევყრილიყავით. უნდა მეფიქრა, რომ სახეირო არაფერი გამოვიდოდა და აკი არ გამოვიდა. ნამეტანი ევირიეთ, ერთმანეთის არაფერი გვესმის, იმას ნამეტურ ჩემი; სწყინს როცა ჩემთან მოსული ამხანაგები ქართულად დაიწყებენ ლაპარაკს, უპატივცემოდ ექცევა ჩვენს წარჩინებულ ხელმძღვანელებს, ნუ დადიანო, არ მესიამოვნება მათი შეხედვაო — ერთი სიტყვით ყველაფერი ჩვენი შეიძულა უცნაურად და გული მიკვდება. ცეცხლი მეკიდება ამას რომ ვხედავ... ვევედრები, ვეხვეწები, ვაჯერებ რაც შემიძლია, ნუ ადგიხარ ამგვარ გზას-თქვა, მაგრამ არაფერი ეწყობა... რა ვქნა აღარ

ვიცი!.. პირდაპირ ჯოჯოხეთია ჩვენი ცხოვრება, მივედი იმ აზრამდე, რომ გაშორება სჯობია-თქო... მაგრამ თან მრცხვენია, თან არ ვიცი რავა მოვახერხო... არა და, დავიტანჯე კაცი... რას ვფიქრობდი და რას შევეყარე?!. რაიმე გზაზე დამაყენე... მირჩიე რამე. დავით, თქვენ ჭირიმე!.. სხვას კი ვერ გავუმხელ ამგვარ ჩემს ტანჯვას... თქვენთან მოვიქეცი, ვიცი რომ გულთან ახლოს მიიტანთ ამ ჩემს მწუხარებას და დამეხმარებით რამე გზით გამოვიდე ამ უბედურებიდან...

ვერავითარმა საშუალებამ ვერ გასჭრა, რომ მშვიდობიანობა დამყარებულიყო ცოლ-ქმარს შორის და ამგვარად აშენებული „კოსმოპოლიტური ოჯახი“ დაინგრა. გათვისდნენ, დაშორდნენ ერთმანეთს. შემდეგში გერონტი არა ერთხელ ციხეში ჯდომით დასნეულდა, გაძევებულ იქნა რუსეთში, დაჭლექდა და მშვიდობა უდროო სიკვდილში ნახა.

ამგვარი სახეები, როგორც „ის“-ის ავტორია და გერონტი. მრავლად გვხვდებოდა და თანდათან მატულობდა; ხელმძღვანელი პირები მთავრობის შიშით გაბედულად ვერ ხელმძღვანელობდნენ. ეროვნული საკითხის უკუგდებას, უარყოფას მთავრობა არ კრძალავდა, არ ეწინააღმდეგებოდა. ეს იმიტომ რომ აქ მძლავრობდა გაბარუსებელი პოლიტიკა, მთავრობა ამაში ხედავდა ეროვნების გაქარწყლებისათვის თავისი მუშაობის გაადვილებას, თუმცა ეროვნების უარმყოფელთა ქადაგება მიმართული იყო ამ გზით მთავრობის დასამხობად.

ყოველ შემთხვევაში მდგომარეობა სამძიმო და საშიშარი ხდებოდა. ახლოვდებოდა ქალაქის ახალი არჩევნები და ყოველ თითო კენჭს, ყოველ თითო ამომრჩეველს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა — ძვირფასი იყო ერთი კენჭიც. ის სამართლიანობა, ის საქმიანობა, რომელიც დამყარდა ქალაქის საქმეებში ქართველების სათავეში მოქცევის შემდეგ, ძნელი დასაკარგავი იყო, რადგან ვერავინ ვერ ემსახურებოდა ხალხს ისეთი მაღალი იდეურობით, როგორც ქართველთაგან წამოყენებული მოღვაწენი. იმართებოდა კერძო ოჯახებში მოლაპარაკება ახალი არჩევნების შესახებ, ხშირი იყო შედავება მესამე დასელთა და ფედერალისტებთა შორის. არჩევნებში გამარჯვებისათვის საჭირო იყო გაერთიანება ქართველობისა და ამ გაერთიანების დანახვით ჩვენი მომხრე ბერძენ ამომრჩეველთა შენარჩუნება.

ორი კვირა ვირბინე იმისათვის, რომ შემეჯერებინა და თავი მოვეყარა ჩვენებური მეთაურებისათვის მოსალაპარაკებლად. როგორც იქნა დავიყოლიე და გავმართეთ პატარა კონფერენცია.

ერთ საღამოს ქალაქის სამართველოში, მდივნის ოთახში, თავი

მოიყარეს მოწვეულმა პირებმა; აქ იყო გრიგოლ ვოლსკი, ივანე მესხი, საშა წულუკიძე და სხვები. მომხსენებლად ყოფნა მე შემხვდა. მდგომარეობის აწერის დროს აღვნიშნე, რომ ის დავა, რომელიც ატეხილია ჩვენს პარტიებს შორის ეროვნული საკითხის გარშემო, შესაძლებელია საზარალო იქნეს — ქართველობას ხელიდან გამოეცალოს ქალაქის საქმეების ხელმძღვანელობა, რაც არასასურველია, რადგან ქართველებმა თვალსაჩინოდ დაამტკიცეს თავისი საქმიანობა, თავისი სამართლიანობა ყველასთან და რომ არჩევნებში დამარცხება იქნებოდა ისევ ძველი უწესოების და უსამართლობის დამყარება; ამის ასაცილებლად საჭიროა, ვამბობდი, შეთანხმებული მოქმედება, გამონახვა საერთო პლატფორმის. ჩხეიძემ თავის გრძელ სიტყვაში თქვა, რომ ეროვნული მიდგომით არ შეიძლება მოქმედებაო, ჩვენ დღეს უფრო დიდი საქმე გვიწევს — ეს არის თვითმპყრობელობის დაცემა სასტიკი ბრძოლით, რომლისათვისაც უნდა ყველა შეეერთდეთ; შემდეგ როცა მიზანი მიღწეული იქნება. თვითმპყრობელობა დაძლეული, მაშინ ეროვნულ საკითხსაც შეეუდგებით და შეიძლება ეროვნული ინტერესებითაც ვიხელმძღვანელოთო. როცა საშა წულუკიძემ აიღო სიტყვა, მან წარმოთქვა, რომ ეს დღევანდელი ჩვენი ლაპარაკი უქმიაო, ჩვენ ვერ შევთანხმდებითო, რადგან სხვადასხვა პოლუსზე ვდგავართო. ამ განცხადებამ გამოიწვია ცხარე ლაპარაკი, გახურებული დავა, ისე რომ, იძულებული ვიყავით კრება შეგვეწყვიტა და დაეშლილიყავით. მეორე დღეს შევხვდი საშას და ვუსაყვედურე:

— რატომ იხმარე, საშა, ის პოლუსები და მოლაპარაკება ჩაშალე... გამოიწვიე გაწიწმატებული ბაასი!..

— სულ ერთი იყო, — გაიცინა მან, — პოლუსების ხსენებით თუ არა, სხვა რამეთი ჩაიშლებოდა ჩვენი კონფერენცია... არაფერი არ გამოვიდოდა!

მოპოვებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად დიდი მუშაობა წარმოებდა. ზოგიერთნი დიდ ხერხიანობას იჩენდნენ. დიდი ხრიკიანი გეგმით შემოიჭრა ერთ დღეს ერთ-ერთი მოლაპარაკების დროს ხმოსანი ნიკო დუმბაძე. მან წამოაყენა საჭიროება გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორის პალმის ხმოსნად გაყვანისა. ყველას ეუცხოვა ასეთი წინადადების წამოყენება, მაგრამ დუმბაძემ დიდი დაობის შემდეგ თავისი გაიტანა—მისი აზრით, ეს იყო ერთადერთი გზა მოსპობილიყო ყოვლად შეუწყნარებელი, საზიზღარი, დაურიდებელი იერიშები, რომელიც თითქმის ყოველ დღე მოჰქონდა გაზეთს თავის ფურცელზე ქალაქის მეთაურებზე.

შიში არჩევნების წაგებისა დაბოლოს უქმი გამოდგა. არჩევნებმა ბრწყინვალედ ჩაიარა, ჩვენ მიერ წამოყენებული ყველა კანდიდატი ხმის დიდი უმეტესობით გავიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ქალაქისთავის ყოფილ არჩევნებზე ქალაქისთავად ხელახლა არჩეულ იქნა ასათიანი; ოცდათექვსმეტ ხმაში მან მიიღო მხოლოდ სამი შავი. საბჭოს დარბაზში მყოფმა დამსწრე ხალხმა დიდი ოვაცია გაუმართა ღირსეულ მოღვაწეს, რომელმაც მშვენიერი მოკლე სიტყვით გადაუხადა ყველას მადლობა:

—ჩემს მოხუცებულობას მხოლოდ შრომა დაამშვენებს. — თქვა მან, — შრომა სინდისიერი და სასარგებლო და გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რაც ძალა და ღონე მაქვს გიძღვნათ ასეთი შრომა.

პატიოსანი და სინდისიერი შრომა იყო დამყარებული, მაგრამ სინდისდაკარგულ პალმს რა მოარჯულებდა! ხანმოკლე მიჩუმების შემდეგ „ჩერნომორსკი ვესტნიკ"-მა ისევ წამოიწყო თავისებური ლანძღვა-გინება, უსაფუძვლო კილვა ქალაქის თვითმართველობისა და მისი ხელმძღვანელებისა. პალმს ეკითხებოდნენ, რატომ საბჭოში იგი ხმას არ იღებს, რატომ ასე უკულმართად აშუქებს ქალაქის საქმეებს, როცა სინამდვილე იცის როგორც ხმოსანმა, პალმი ცულლუტურად თავს არიდებდა და ამბობდა: ეს გაზეთის საქმეაო, გაზეთის შეხედულება არის და განაგრძობდა ბინძური წერილების წერას. როცა ვერაფრით ვერ მოდრიკეს ეს გზააბნეული მჯღაბნავი, ხმოსანთა უმრავლესობამ გადაწყვიტა მისი საბჭოში გაკიცხვა, როგორც რედაქტორ-ხმოსნის. ამის შესახებ განცხადება შეიტანა ერთმა ხმოსანმა, რომელმაც დაწვრილებით გააშუქა თუ როგორ უსინდისოდ ამახინჯებდა გაზეთი ფაქტებს, აწვდიდა მკითხველებს გადასხვაფერებულ და გაუკულმართებულ ამბებს ქალაქის საქმეების შესახებ და ცრუ ცნობებს ავრცელებდა ზოგიერთ მოღვაწეებზე. ეს განცხადება შეტანილი იქნა საბჭოსაგან გასარჩევ საქმეთა სიაში. როცა სხდომაზე მივიდნენ ამ განცხადებაზე, პალმი წამოდგა და თავმჯდომარეს, ასათიანს, მიმართა:

— რამდენადაც ვიცი, საქალაქო დებულება არ იძლევა ნებას ვინმე გაკიცხოს საბჭომ, მით უფრო ხმოსანი და მიკვირს, რატომ გინებებიათ უკანონობის გზაზე დადგომა?

— მეტი არა გაქვთ სათქმელი? — შეეკითხა ასათიანი.

— სრულიად არაფერი! — უპასუხა პალმმა.

— თანახმად უმრავლესობის განცხადებისა, მე ვუყრი კენჭს გამოეცხადოს გაკიცხვა თუ არა ხმოსან პალმს მისი მოქმედებისათვის, როგორც რედაქტორს და როგორც ხმოსანს. ყუთი!.. თეთრი—

წინადადება მიღებულია, ე. ი. გამოეცხადოს გაკიცხვა; შავი — წინადადება უარყოფილია.

ყუთთან დგას თავმჯდომარე; დარბაზში კრინტი ხმა არ ისმის; პალმი ზის და იღიმება. გათავდა კენჭის ყრა.

—გამოეცხადა გაკიცხვა ხმოსან პალმს მისი მოქმედებისათვის... ერთი, ორი, სამი... ათი... თხუთმეტი... ოცი... ოცდახუთი! — ასათიანმა გამოწეული ყუთის უჯრა გადაატრიალა.

— არ გამოეცხადოს გაკიცხვა!.. ერთი, ორი, სამი... ხუთი... ათი! ამრიგად მიღებულია, გამოეცხადოს ხმოსან პალმს, რედაქტორს „ჩერნომორსკი ვესტნიკი"-სას, საბჭოსაგან გაკიცხვა მისი უმართებულო მოქმედებისათვის! — დინჯად წარმოთქვა თავმჯდომარემ.

— რომელი კანონის უფლებით!? — წამოიძახა ფეხზე წამოჭრილმა პალმმა.

— ნუ წუხდებით! — შეუტია შემაღლებული კილოთი ასათიანმა. — ნუ წუხდებით!.. კანონი თავის ადგილას იქნება მოყვანილი!

მთელმა დარბაზმა იგრიალა, მხიარულ სიცილს დასასრული არ ჰქონია. იმ ადგილას, სადაც მე ვიჯექი, ჩამოიარა თავის კაბინეტში მიმავალმა ასათიანმა და ერთი წუთით შეჩერდა ჩვენთან:

— კანონს ეძებს!.. ეს დაღი ხომ მირტყმული აქვს... თუნდაც რომ დაარღვიონ გადაწყვეტილება — დალი მაინც დარჩება! — წარმოთქვა მან. მოხუცებული საოცარი აღელვებული იყო, ასეთი აღელვებული იგი მე არასდროს არ მინახავს.

ამ გაკიცხვამ თითქმის ხმოსანთა რიცხვიდან გამოაკლო პალმი; იგი აღარ ესწრებოდა სხდომებს და განაგრძობდა თავისებურად გაზეთში უხეირო წერას. ყველაზე მეტად ამოჩემებული ჰყავდა, რასაკვირველია, ასათიანი, ვოლსკი და მესხი.

ასათიანი დადხანს აღარ შერჩა ხელში სალანძღავ მასალად. ერთი წლის შემდეგ, დილას რომ ემზადებოდა სამსახურში წასასვლელად, იგი უეცრად გარდაიცვალა.

მოულოდნელმა სიკვდილმა დიდად შეაწუხა მთელი ქალაქი და აუარებელმა ხალხმა მიაცილა პატიოსანი მოხუცი მოღვაწის კუბო სადგურამდი, საიდანაც წაასვენეს ქუთაისში.

სამწუხარო იყო ისეთი პიროვნების დაკარგვა როგორიც იყო ასათიანი და ამ მწუხარებას აორკეცებდა ისიც, რომ მოსაძებნი იყო ისეთი პიროვნება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი ქალაქისთავად დასახელება და გაყვანა. საჭირო იყო ეს პიროვნება ყოფილიყო დიდი შრომის უნარიანი, ჩვენთვის სანდო და ისეთიც, რომელსაც მთავრობა მიიღებდა და დაამტკიცებდა თანამდებობაზე. დიდი ძე-

ბნის შემდეგ, ილია ჭავჭავაძის რჩევით, შეჩერდნენ ივანე ანდრონიკაშვილზე. ილიამ ურჩია ივანე მესხს და მიხეილ ბეთანელს, რომლებიც თბილისში იყვნენ გამოგზავნილნი მოსალაპარაკებლად, ანდრონიკაშვილზე შეჩერებულიყვნენ და დაეიმედა, რომ იგი საუკეთესო კანდიდატი იქნებოდა ბათუმის ქალაქისთავის თანამდებობისათვის. ანდრონიკაშვილი, სპეციალობით აგრონომი, ახალგაზრდა, შრომის მოყვარე და ენერგიული პიროვნება იყო ილიას სიტყვით და მთავრობაც წინაალმდეგი არ იქნებოდა მისი, რადგან იგი იმხანად სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდა.

სანამ ეს კანდიდატი მოიძებნებოდა, ქალაქისთავის მოადგილეობას ასრულებდა ამას წინათ გაშავებული საბჭოს წევრი ივანოვი, რომელიც მთავრობამ ჩააყენა და დატოვა თავის წინანდელ თანამდებობაზე. თავის წინანდელ მეგობრებს სრულიად ჩამოშორდა ივანოვი და მთავრობის ყურმოჭრილი მონა გახდა და ახლა იმასაც ფიქრობდა, რომ ქალაქისთავად ყოფილიყო დანიშნული მთავრობის მიერ; ამიტომ მოწინაალმდეგეებთან ერთად ის ღებულობდა ყოველ ღონეს, რომ ქალაქისთავის არჩევნები ორივეჯერ ჩაშლილიყო, რის შემდეგ იგი დაინიშნებოდა ქალაქისთავად.

ბევრი ითმინეს ხმოსნებმა მათგან გაშავებული, მაგრამ მთავრობისაგან დაძალებული ივანოვის უკანონოდ ჯდომა ქალაქის მეთაურის სავარძელში. მოთმინებასაც ბოლო მოეღო.

აღარ მახსოვს კარგად რის შესახებ იყო საქმეთა სიაში შეტანილი საკითხი, სერიოზული საკითხი კი იყო მახსოვს, — როგორც მიეიდა ჯერი, რომ ამ საკითხის გარჩევას შესდგომოდა საბჭო, ივანოვმა, თავმჯდომარედ ყოფილმა, აიხსნა ჯაჭვი და სხდომა დახურულად გამოაცხადა. გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა; ასეთი საქციელი პირდაპირ გასალახანებას წარმოადგენდა დაწესებულებისას. მეტისმეტად უხერხული მდგომარეობა შეიქმნა. ზოგიერთი ხმოსნები წამოდგნენ და საბჭოს დარბაზიდან გასვლას აპირებდნენ, ზოგნი კი, სახტად დარჩენილნი, ისხდნენ ისევ თავიანთ ადგილებზე გაოცებულნი, გაკვირვებულნი.

ამ დროს საბჭოს მდივანმა, ივანე მესხმა, ჩაუარა ვოლსკის და ჩაულაპარაკა:

— ჩამოიკიდე ჯაჭვი... განაგრძე სხდომა!

— ბატონებო! — გაისმა ვოლსკის ხმა, — ბატონებო, გთხოვთ არ აიშალოთ... სხდომა გრძელდება! გრძელდება სხდომა!.. — და ჩამოიკიდა თავმჯდომარის ჯაჭვი.

ამან უარესად დააფრთხო ხმოსნები; ზოგიერთნი პირდაპირ გა-

შეშდნენ, არ იცოდნენ რა ექნათ — გაყოლოდნენ ვოლსკის, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. წუთიერი ყოყმანის შემდეგ რამდენიმე ხმოსნის გარდა, ყველამ დაიკავა თავისი ადგილი და სხდომა განაგრძეს, დაათავეს.

ასეთი მოქცევა ვოლსკის მიერ შეიქნა „ჩერნომორსკი ვესტნიკ"-ის ყოველდღიურ სალაპარაკოდ, როგორც ნიმუში და მაჩვენებელი, თუ რა კანონის მოწინააღმდეგენი არიან ვოლსკი და მისი მიმყოლი ხმოსნები.

ვოლსკის მოქმედება დაფუძნებული იყო იმაზე, რომ ივანოვი წევრობაზე გაშავებული იყო. მას აძალებდა მხოლოდ მთავრობა და ქალაქისთავის გარდაცვალების შემდეგ სათავეში ყოფნა ეკუთვნოდა უსათუოდ ამორჩეულ პირს, როგორიც იყო იგი, ვოლსკი.

გაზეთის წერილებმა მიიქციეს გუბერნატორის ყურადღება და ქუთაისიდან შეკითხვა შეკითხვაზე მოდიოდა. დაინიშნა გამოძიება, ატყდა ერთი ალიაქოთი. გახარებული მოწინააღმდეგენი გაიძახოდნენ, რომ ზემოაღნიშნულ სხდომაზე დარჩენილი ყველა ხმოსანი მოხსნილი იქნებაო, ხოლო ვოლსკი და მისი ამყოლი ხმოსნები პასუხისგებაში მიცემულნიო. ბევრი შეშინებული ამტყუნებდა ვოლსკის მის მოქმედებაში. მაგრამ იგი მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე, თავისებურად იცინოდა და ამბობდა: „ნახავთ თუ ჩვენი გამარჯვებით არ დათავდეს ეს აურზაური!".

მან გასწია ერთ დღეს თბილისში და იმდენი ახერხა, რომ ინახულა მეფის მოადგილის თანაშემწე გენერალი მალამა. მალამა ერთგვარად მოილიბერალებდა. საუბარი მასთან დათავდა ვოლსკის გამართლებით, რაც მალამამ წერილობით აცნობა ქუთაისის გუბერნატორს. ვოლსკის მოეხიბლა გენერალი და გამარჯვებული დაბრუნდა. ივანოვი გამტყუნებული დარჩა, მაგრამ თანამდებობას არ მოაშორეს...

ამ აყალმაყალში, როგორც ვთქვი, ქალაქისთავის კანდიდატიც მოინახა და მოხდა არჩევნები.

ანდრონიკაშვილი ამორჩეული იქნა. მაგრამ ქუთაისის გუბერნატორმა იმ დეპუტაციას, რომელიც წარუდგა და სთხოვა. არჩეულის დამტკიცება, უთხრა რომ თქვენი ამორჩეულის საწინააღმდეგო არა მაქვს რაო, ოღონდ სუსტი ცენზი აქვსო და სანამ არ მოუნახავთ სხვა ცენზს, მანამდი არ დავამტკიცებო. ცენზის მოსანახავად დეპუტაციამ დრო ითხოვა გუბერნატორისაგან და ისიც შეპირდა, რომ სანამ არ მონახავთ ახალ ცენზს, მანამდი ხელმეორე არჩევნებს არ დაგაძალებთო. დეპუტაცია ჩამოვიდა ბათუმში, ჩამოიტანა ერთდა-

გვარად დამამშვიდებელი ამბავი, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა მოწერილობა: დაუყოვნებლივ მოეხდინათ ქალაქისთავის არჩევნები. ამ ბრძანებამ, ამ „დაუყოვნებლივ“ არჩევნების დანიშვნამ, თავზარი დასცა ყველას. ეს პირდაპირ იმ განზრახვით იყო ნაბრძანები, რომ ანდრონიკაშვილი ვერ გაეყვანათ ქალაქისთავად. რამდენიმე დღეში გუბერნატორისა და ბათუმის მოწინააღმდეგეების აზრით ახალ ცენზს ვითომ ვერ მოუნახავდნენ ანდრონიკაშვილს, იგი არჩევნებში ვერ მოხვდებოდა და მთავრობასაც ვერას უსაყვედურებდნენ. ასე ფიქრობდნენ მოწინააღმდეგენი და იმედიანად იყვნენ, რომ თავიანთ განზრახვას გაიტანდნენ.

ანდრონიკაშვილის კანდიდატურის წამომყენებლებიც დატრიალდნენ; ივანე მესხმა თვალის დახამხამებაში გამოსძებნა საჭირო ცენზი. ოღონდ გასაჭირი ის იყო, რომ ვისგანაც ცენზის მიღება შეეძლებოდა, იგი იმ დროს ბათუმში არ იყო, იმყოფებოდა აბაშის მახლობლად სოფელში და სოფლიდან უნდა ჩასულიყო ფოთში და იქაურ მომრიგებელ-მოსამართლეს უნდა დაემტკიცებინა ცენზის გადმოცემა და გადმოცემული ცენზი ჩამოეტანა ბათუმში. ეს უნდა გაკეთებულიყო უსათუოდ სამ დღეში, თორემ საქმე წაგებული იქნებოდა.

ამორჩეული იქნა მხნე ახალგაზრდა კაცი ჩიქოვანი, აბაშაში და იქიდან სოფელში გასაგზავნად. მას უნდა ჩაეყვანა ცენზის მიმცემი პირი ფოთში, ფოთში დაუხვდებოდნენ ჩხეიძე და ფოთელი ათანასე ბოშტარია, რომლებიც გააცნობდნენ საქმის ვითარებას მომრიგებელ-მოსამართლეს დავით ყიფიანს და ერთ წუთსაც არ გააჩერებდა გაგზავნილებს.

ყველას თავთავისი ინსტრუქცია მისცა სტრატეგმა ივანე მესხმა, რომელიც უცაბედად ავად გაგვიხდა ამ დროს და ლოგინში მწოლიარე, მწარე შეწუხებული, საქმეს არიგებდა, თუ ვის რა და როგორ გაეკეთებინა.

გაემგზავრენ დასაქმებულები. აბაშაში გაგზავნილი ჩიქოვანი ცხენის ჭიანჭიანით მიიჭრა სოფელში; აუხსნა იქ მყოფ ჯიანს მისვლის მიზეზი და ორთავენი დაუყოვნებლივ გაემართნენ ფოთისაკენ. ბათუმელები გულისფანცქალით მოეელოდით დეპეშას ფოთიდან მესამე დღეს; დანიშნულია ქალაქის საბჭოს კრება და საქმეთა სიაში შეტანილია ქალაქისთავის არჩევა; თუ არ შესდგებოდა არჩევნები—მთავრობა დანიშნავდა ვისაც მოიპრიანებდა.

საბჭოს დარბაზი სავსეა ხალხით; ხმოსნები უკლებლივ ყველანი არიან. დაიწყო სხდომა. მატარებელი, რომლითაც უნდა ჩამოსუ-

ლიყვნენ ფოთში გაგზავნილები, მოგვიანოდ მოდის ბათუმში. დეპეშა მოვიდა — მოვდივართო. საჭირო იყო სხდომის რამერიგად გაგრძელება. ჯერი მივიდა არჩევნების მოხდენაზე. რამდენიმე ხმოსანმა მოითხოვა სხდომის შეწყვეტა, რომ სანამ არჩევნებს შეუდგებოდნენ, ხმოსნებს მოელაპარაკათ ერთმანეთში.

— შევწყვიტოთ სხდომა, მოილაპარაკონ რაკი ეს საჭიროა! — წამოიძახა დაცინვით ამ დღეს გამოცხადებულმა პალმმა, რომელიც ბზიარულად იყო, რადგან მისი შეხედულებით ანდრონიკაშვილის არჩევა წაგებული იყო.

სხდომა დროებით შეწყდა. ეს იყო ხერხი, რომ გაგზავნილებს კრებისათვის ჩამოესწროთ. ქალაქის სამართველოდან რკინიგზის სადგურამდი ცოცხალი ტელეგრაფი იყო გაბმული.

დარბაზში შეიქნა მხიარული მოძრაობა, — მატარებელი მოვიდა, ბზეიძე ჩამოვიდა და მოაქვს ცენზი!.. მალე თვითონ ჩხეიძეც გაჩნდა საბჭოს დარბაზში. ივანე მესხმა ჩაიბარა მოტანილი საბუთები, ხელად შეიტანეს სალაროში რაც ფული იყო საურვოზე შესატანი და თამამად მოითხოვეს სხდომის გახსნა, რამაც მეტად გააკვირვა მოწინააღმდეგენი. გაიგეს ყველაფერი და მხიარულად ყოფნა მოეშალათ. შეუდგნენ არჩევნებს.

— გთხოვთ დასახელოთ კანდიდატები! — თქვა თავმჯდომარემ.

— ივანე ზაქარიას-ძე ანდრონიკაშვილი! — წამოიძახა რამდენიმე ხმოსანმა.

— აქვს საკანონო ცენზი? — ვერ მოითმინა პალმმა.

— ყველაფერი წესიერად აქვს! — მიუგო ივანე მესხმა.

შეუდგნენ ბენზის ყრას.

ანდრონიკაშვილი არჩეული იქნა ხმის დიდი უმეტესობით. სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. არჩეული, მთავრობისაგანაც სულ მოკლე ხანში იქნა დამტკიცებული.

ასეთ დამძიმებულ პირობებში უხდებოდათ მუშაობა, მაგრამ მაინც ენერგიულად მუშაობდნენ.

ასათიანის მემკვიდრე სასურველი მუშაკი გამოდგა: მან სავსებით გაამართლა ილიას რეკომენდაცია და დიდხანს იყო ბათუმის ქალაქის მეთაურად.

მუდმივმა ღელვამ, დავიდარაბამ დაბოლოს მოსტეხა ვოლსკი და სრულიად აუშალა ნერვები, რის გამო იძულებული შეიქნა ბათუმს გაშორებოდა. იგი გადავიდა თბილისში, ქართულ გიმნაზიაში იწყო მასწავლებლობა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა მალე გამოასალმა წუთისოფელს — რაღაც მიზეზით მოეწამლა სისხლი და

გარდაიცვალა რამდენიმე დღის შემდეგ. ბათუმელებმა თბილისიდან იგი ჩამოასვენეს ბათუმში და აქ დიდი პატივისცემით დაასაფლავეს ქართული ეკლესიის შესავალ კარებთან.

თავი მერვე

სამხედრო სამსახურის პირველი წლები. — მუშაობა ჯარისკაცთა შორის. — ზარბაზნის მოყვარული პოლკოვნიკი. — შაეულევაშიანთა პარადი. — ლექციები ოფიცერთა საკრებულოში. — ქართველ ჯარისკაცთა მდგომარეობა. — „ვინ ეტყვის მას, სად არის მისი სამშობლო?" — როტშილდის ქარხნის მუშების გამოსვლა. — ღამე „პერესილნი პუნქტზე". — მუშების დახოცვა ანთაძის გუნდის მიერ.

ყმაწვილი, თანამდებობაზე დანიშნული, მეტი ხალისით მოვეკიდე ჩემს საქმეს. მახალისებდა ის, რომ „მარშიროვკას" და სალდათების მიბრუნ-მობრუნებას ვიყავი დაშორებული. ჩემს სახელოსნოში, რომელიც მე მებარა, სალდათების შემადგენლობაც განსხვავებული იყო. ესენი იყვნენ ქარხნებში, იქვეში ნამუშევარი ახალგაზრდობა, ზეინკლები, თოფ-იარაღის კეთების მცოდნე ხალხი. იყვნენ დურგლებიც — ესენიც სხვა ცხოვრებას ნანახი და ნაჩვევი. აქ მუშაობა ძალაუნებურად გვაერთებდა ყველას, ურთიერთობაში შემოჰქონდა უფრო ახლობლობა, სადაობა და შემეიდროება. მეც ავყევი ამათ მუშაობაში, შევიკერე ლურჯი ხალათი და ნელ-ნელა ვეჩვეოდი ზეინკლურ მუშაობას. ყმაწვილს მეხალისებოდა მუშაობა, ჩემ ხელქვეით სალდათებს კი უხაროდათ, რომ მე მათთან ამხანაგურად მევირა თავი — მუშაობაშიაც და ლაპარაკშიაც. ამით წახალისებულნი მოხელე სალდათები იმდაგვარად მუშაობდნენ, რომ სახელოსნო სამაგალითოდ მოეწყო.

— ჩვენი სახელოსნო ძალიან გამოიცვალა! — ღიმილით ამბობდნენ სალდათები.

გამოიცვალა, მართალია, მაგრამ თანდაყოლილი სენი მაინც ძნელი დასაძლევი იყო. სახელოსნოში ხელოსან-სალდათების ჯგუფის უფროსად მყავდა ახალგაზრდა ზეინკალი სალდათი ჟურავლიოვი; საოცარი კარგი მუშა, საქმის მცოდნე, დაუღალავი, მშვიდობიანი, მაგრამ უბედური მსმელი. შაბათს ნასადილევიდან ორშაბათს დილამდის ჟურავლიოვი აღარ არსებობდა ამქვეყნად; ნუღა იკითხავდი მის ამბავს, იგი ამ დროს ყოველთვის უგრძნობი მთვრალი იყო. ერთხელ, ორხელ უთხარი რომ აშორებოდა ამისთანა სამარცხვინო

საქციელს. ისიც გაჩუმებული ისმენდა ხოლმე ჩემს დარიგებას, ერთ სიტყვასაც არ იტყოდა, მაგრამ დადგებოდა თუ არა შაბათი, ისევ უგრძნობელი მთვრალი იყო. პირდაპირ აშკარა იყო, რომ საცოდავი ვერ ერეოდა თავის ჩვეულებას და მისი აცილება თავიდან მისთვის ყოვლად შეუძლებელი იყო. მეცოდებოდა საწყალი და რომ რამე არ ჩაედინა ამ დროს, დავალებული მყავდა მეორე სალდათი-ხელოსანი, მისი ამხანაგი გუდონიკი, თვალყური ედევნებინა ჟურავლიოვისათვის და სახელოსნოდან არსად გაეშვა, — რამე ხიფათს არ გადაყროდა მთვრალი კაცი.

ერთ დღეს, შავი ორშაბათი იყო, სახელოსნოში მოსულმა ვერ დავინახე ჟურავლიოვი. ვიკითხე და მითხრეს რომ ეს არის ახლა აქ იყოო. უცაბედად ფანჯარაში გავიხედე და რა დავინახე, — ჩემი ჟურავლიოვი დგას ქუჩის მეორე ნაპირას, ბანცალობს, ეტყობა ძალზე მთვრალია. გავაქციე სალდათები და შემოვაყვანინე სახელოსნოში; ვუთხარი ახლავე დაეწვინათ და ყური ეგდოთ არ გაპარულიყო.

— ვაშე ბლაგაროდიე, ზა ჩტო ვი მენია არესტოვივაეტე? სეგოდნეა პრაშჩონი დენ... ვი მნე დოლენა პროსტიტ, ინაჩე ია ვიძ ტოჟე ნე პროშჩუ! პუსტიტე მენია, — ალაპარაკდა ჩემი ჟურავლიოვი. ყველას შეგვსკდა სიცილი. ის ისევ გაიძახოდა:

— ნიკომუ ნე პროშჩუ, ნიკომუ! ი ვამ ნე პროშჩუ, ვაშე ბლაგოროდიე, ნე პროშჩუ! — იყვირა, როცა საწოლ ოთახში ეუბრძანე შეეყვანათ და კარი გამოეკეტნათ.

მეორე დღეს გამოფხიზლებული ჟურავლიოვი თავჩაღუნული, გამწარებულად მუშაობდა, მისალმებაზე აწია თავი და მომღიმარს რომ შემომხედა, დარცხვენილმა ისევ ჩაღუნა თავი და გაცხარებით მოუსვა ქლიბი საქლიბავს. საცოდავს ერცხვინებოდა თავისი უზნეო ჩვეულების, მაგრამ იგი ისე ჰქონდა შეთვისებული, რომ ვერასგზით ვერ სძლევდა და ამ მშვენიერ მუშას პირდაპირ ანადგურებდა. სამი წელიწადი ვინახე იგი, სანამ სამსახურის ვადას გაათავებდა, და როცა სამსახურგათავებული სახლში მიდიოდა, თვალაცრემლებული გამომეთხოვა, მადლობა მითხრა და გულმხურვალედ დამლოცა.

მეორე მჭედელი, რეშეტნიკოვი, კი დამეღუპა სრულიად მოულოდნელად. დევის მსგავსი მოყვანილობით, ხალისიანი, მშვენიერი მუშა-სალდათი, იგიც არაყის მონა იყო; ყოველთვის ვაფრთხილებდი, რეშეტნიკოვ, არ დაითვრე — უბედურებაში არ გაგხვიოს ის ოხერმა არაყმა; რეშეტნიკოვიც, მაგარი ნებისყოფის ადამიანი, ითმენდა, ცოტ-ცოტას სვამდა, მაგრამ ერთ დღეს, საწყალი, გადასცდა და დაითრო ისე, რომ ერთი უბედურება ატეხა. მისცეს პასუ-

ხისგებაში. სასამართლომ არ აპატია მორიგი ოფიცრის გალანძღვა და მიუსაჯეს დისციპლინალურ ბატალიონში ორი წლით გაგზავნა. ეს საშინელი სასჯელი იყო.

— არაფერია... ავიტან... იქიდანაც ბრუნდებიან ადამიანები! — ამბობდა დამწუხრებული რეშეტნიკოვი.

ორი წლის შემდეგ, სასჯელმოხდილი, იგი დაბრუნდა, მოვიდა ჩემთან. თავდაპირველში ვერც კი ვიცანი ისე იყო სახითაც გამოცვლილი. შემეცოდა შემთხვევის მსხვერპლი და გულითად მუსაიფში გავებით.

— ოჰ, რა უბედურება გამოვიარე, რა უბედურება გამოვიარე, ვაშე ბლაგოროდიე! რა ვსახე, რა გამოვცადე! დაწყევლილმა არაყმა მიყო ყველაფერი! ფიცი დავდევი ღვინო მიეკარო! ჩემი მაგარი ჯანით ავიტანე ბატალიონის სასტიკობა, თორემ სხვებსავით მეც სულ დავიღუპებოდი. ოჰ, რა გამოვცადე, რა გამოვცადე, ვაშე ბლაგოროდიე! — და ამას ამბობდა ისეთი კილოთი, რომ გული მიდუღდა.

ცოტა ხნის შემდეგ სამსახურის ვადაც გაუთავდა საცოდავს და სრულიად გამოცვლილი, ცხოვრების ხალისს დაკარგული, დაუბრუნდა თავის ოჯახს.

ულმობელი სასტიკობა მრავლად სპობდა ამ ცხოვრების სიხალისეს და ასახიჩრებდა ადამიანს.

ერთხელ ბანაკად ვიდექი ზაფხულზე ზღვის ნაპირას. საღამოს მეცადინეობით დაღლილი სალდათები, ნავახშმევს მიყრილნი იყვნენ კარვებში. მაგრამ ფელდფებელმა ჩამოიარა ახლად გაცემული ბრძანებით როტებში, მივიდა თავის მეორე როტაში და ბრძანება გამოუცხადა. ერთი კარავიდან შენიშვნა მოესმა. ასწია კარავის ფარდა და შეუწყრა შემნიშვნელს, — იგი მისი თანასოფლელი, მისი გულითადი მეგობარი — ამხანაგი იყო.

— უბირაისა კ ჩორტუ ს ტვოიმ პრიკაზომ! — და ჩვეულებისამებრ დედა შეაგინა.

— დურაკ! — მიაძახა ფელდფებელმა და მოითხოვა ბრძანების შესრულებას ახლავე შესდგომოდნენ, ჩამოუშვა ფარდა.

უეცრად მეორე კარავთან ოფიცერი დაუხვდა.

— შენ დედას გაგინებენ და ვითომ არაფერიაო, ხმასაც არ იღებ? რა ფელდფებელი ხარ აბა?! — შეუტია სახტად დარჩენილს მორიგე ოფიცერმა. — მე ყველაფერი გავიგონე! ახლავე მომიყვანე ის შენი მაგინებელი!

შედგა საქმე: ეფრეიტორმა, აღარ მახსოვს მისი გვარი, წინააღმდეგობა განაცხადა გაცემული ბრძანების ასრულებაზე და უშვერი სიტყვით გალანძღა მორიგე ფელდფებელი, სამსახურის ასრულების დროსო...

ყოველი ღონე ვიხმარეთ რამდენიმე ოფიცერმა ეფრეიტორი უბედურებას გადაგვერჩინა; ვამტკიცებდით, რომ აქ ამხანაგური ლაპარაკი იყო, რომ ასე ფორმალურად საქმე არ დაიყენებოდა. მაგრამ ვერავითარმა ხერხმა ვერ გასჭრა და ეფრეიტორი სასამართლოს ქვეშ მოყვა, რომელმაც მიუსაჯა დისციპლინალური ბატალიონი: ფელდფებელს კი ჩამოერთვა ფელდფებელობა, რადგან მაშინვე არ მიიღო გამლანძღველის წინააღმდეგ საჭირო ზომა და ამით გამოაჩინა თავისი სისუსტე.

ამგვარი ფორმალიზმის გამო, ამ ულმობელი სასტიკობის გამო, ბევრი არა თუ უბრალო, უმწეო ჯარისკაცი იჩაგრებოდა, მახინჯდებოდა და იღუპებოდა—ოფიცრობაც მრავალად იყო ამათ რიცხვში.

ჩვენთან მსახურობდა ერთი იაკობიძე, ვანო. ზემოთ მყავს ის ნახსენები ერთ ადგილას. ღარიბი ოჯახის შვილი, დაბადებიდანვე გაჭირვებაში მყოფი, გაჭირვებით იმოდენი იწვალა, რომ სემინარიის ორიოდე კლასი გაიარა, შემდეგ უსაღსრობის გამო ჯარში შევიდა მოხალისედ „ეოლნოოპრედელიაუშჩად“; დიდი წვალების შემდეგ გამოცდა ჩააბარა საიუნკრო სასწავლებელში და მიღებული იქნა კიდეც. დიდი გაწვალებით, როგორც იქნა დასძლია სწავლა და დაასრულა სასწავლებელი პოდპრაპორშჩიკის ღირსებით.

პირველი მისი შეხვედრა ახალ უფროსთან არა თუ ვერ იყო ხალისიანი — იგი მისი გულის მომკვლელი იყო. ნაწილის უფროსს არ მოეწონა მის ნაწილში დანიშნული საოფიცრო კანდიდატი არც ლაპარაკით —ცუდად ლაპარაკობდა რუსულს, — არც შეხედულობით; იყო შავი, მოკაკული ცხვირით გამხდარ პირისახეზე, წვრილი თვალებით. — ძალიან გულუხვია ჩვენი მთავრობა, რომ არავისთვის არ იშურებს სამ გირვანქა პურსს (სალდათის ყოველდღიური ულუფა), — დაურიდებლად მიახალა პოლკოვნიკმა იაკობიძეს, როცა იგი მას წარუდგა, გამოეცხადა. თვით ეს პოლკოვნიკი ვერაფერი შვილი შესახედავი იყო, მაგრამ შეეძლო დაუსჯელად დაეჩაგრა ადამიანი და არ დაერიდა ამას; გაშრა იაკობიძე; ნაჩვევ ტანჯვასთან ეს შეურაცხყოფაც აიტანა, ხმა არ ამოიღო, პასუხი არ გასცა ავყია უფროსს, მაგრამ გულში კი ჩაიმარხა ეს ყოვლად შეუწყნარებელი, დაუმსახურებელი მოქცევა მისი პიროვნებისადმი. შეუდგა უხალისო სამსახურს უხალისოდ მყოფი, ცხოვრებისაგან გატანჯული. იგი

ახალ ადგილასაც გატანჯულად ცხოვრობდა თავის მცირე ჯამაგირით, რომლითაც არჩენდა თავის მოხუცებულ დედასაც. გულჩათხრობილი, იგი ვერავის უახლოვდებოდა და ზედმეტი პუნქტუალისტი სამსახურის ასრულებაში, მეტად აბეზრებდა თავს სალდათებს. ოფიცრებთანაც ვერ ჰქონდა კარგი განწყობილება — სამსახურის გულმოდგინე აღმსრულებელი ხშირად უსიამოვნებას იწვევდა ამხანაგებში და სალაპარაკოდ ხდიდა უბრალო რამესაც. ამგვარი უსიამოვნო ლაპარაკი ხშირი იყო მისა და მისი გუნდის უფროსის შორის; ეს უკანასკნელი ძალზე ჭკუათხელი ადამიანი იყო; სამსახურის არა ესმოდა რა, თავი კი დიდ მცოდნედ მოჰქონდა, დარიგებას დარიგებაზე ხარჯავდა მარჯვნივ და მარცხნივ, თან ყოველთვის ხელქვეითთან მეტად სასტიკი და ყოველივე სხვისი შეცდომის შეუწყნარებელი გამსჯელი იყო. რასაკვირველია, იაკობიძე და მისი კაპიტანი პროტოსოვი ვერ მორიგდებოდნენ და მუდამ ჩხუბში იყვნენ. ოფიცრობაშიც იგი ისე ცხოვრობდა, როგორც წინათ—განმარტოებულად, არავის არ ეკარებოდა; ყაზარმა, სამსახური და თავისი ბინა—ერთი პატარა ოთახი. თუ სალდათი სალამს არ მისცემდა (ხელს ქუდის კოზირკოთან არ მიიდებდა), ერთ ალიაქოთს ასტეხავდა ხოლმე; ამ ნიადაგზე და იმის გამოც, რომ სალდათებს ესასტიკებოდა, მრავალი უსიამოვნობა ხედებოდა ამ ადამიანს. და ბოლოს საქმე იქამდი მივიდა, რომ ერთმა გუნდის უფროსმა დიდი საყვედური მიარტყა იაკობიძეს. მოუვიდათ დიდი ლაპარაკი, რომელიც დასრულდა იმით, რომ გუნდის უფროსმა უთხრა საოფიცრო სასამართლოში განეაცხადებ შენს ყოველივე საქციელსო.

— შეგარცხვინე თუ ასე არ ქნაო! — მიაძახა იაკობიძემ. შედგა საქმე. იაკობიძე საოფიცრო სასამართლოს მისცეს. სასამართლომ საქმის გარჩევის შემდეგ გამოუტანა განაჩენად ჩაგონება (კანონით „ვნუშენიე"). აღელვებულმა იაკობიძემ ვერ შეიკავა თავი და მოსამართლეს მიაძახა:

— ესაა თქვენი სამართალი?! — და პირისახეში მიაფურთხა თავმჯდომარეს.

თავმჯდომარე სახტად დარჩა; წევრები იქით-აქეთ გაიფანტნენ.

შეატყობინეს ნაწილის უფროსს მომხდარი ამბავი. იაკობიძე დაიკავეს, ჩამოართვეს იარაღი და დაატუსაღეს. შედგა ახალი საქმე: საოფიცრო სასამართლოს თავმჯდომარის მოქმედებით შეურაცხყოფა სასამართლოს წესის აღსრულების დროს.

საწყალ იაკობიძეს, თავის სიცოცხლეში გაუხარებელს, სასტიკი სასჯელი მოელოდა. გამომძიებელი იყო თავიდან ფეხებამდინ ფორ-

შალისტი მოხელე, მაგრამ რაღაც ბედად ამ გამოძიებაში გასაოცარი გრძნობიერება გამოიჩინა. მას ერთობ გაეხარდა, როცა მე ჩვენების ჩამორთმევის დროს განვაცხადე, რომ იაკობიძე არანორმალური პიროვნებაა, რომ ამაში ბრალი ედებათ იმ გარემოებათ, რომელშიაც მიმდინარეობდა მისი ცხოვრება; აუწერე მისი ნატანჯი ცხოვრება, არ გამომიტოვებია ის შეურაცხყოფა, რომელიც მას მიაყენა ნაწილში გამოცხადებისას ნაწილის უფროსმა, ვუამბე მისი გულჩათხრობილობა, ცხოვრებისაგან გამოწვეული ყველასთან უნდობლობა და ჩანერგილი აზრი, რომ ყველა ემტერება და დასცინის და ამგვარი ბევრი რამ, რაც ვიცოდი მისი ცხოვრების შესახებ. ვიმეორებ, ბედად გამომძიებელმა ამდაგვარი ჩვენებანი ხელზე დაიხვია და გამოძიება ისე წაიყვანა, რომ იაკობიძე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოაქციეს შესამოწმებლად და იქ დაკითხვის შემდეგ მხოლოდ სამსახურიდან დაითხოვეს, როგორც ავადმყოფი და მცირე პენსიაც დაენიშნა.

ასეთი სამწუხარო სურათები იშლებოდა ცხოვრებაში გამოსვლის პირველი დღეებიდან, მაგრამ ახალგაზრდული ენერგია არ მღალატობდა და იმედიანობას არ ვკარგავდი და ემუშაობდი გატაცებით.

ერთობ გამახარა იმ შემთხვევამ, რომ სამოსწავლო ჯგუფში („უჩებნაია კომანდა") დამნიშნეს თოფ-იარაღის მასწავლებლად. ჯგუფში თავშეყრილნი იყვნენ წერა-კითხვის მცოდნე ახალგაზრდა ჯარისკაცები და ამათი მეცადინეობით კვირაში ორჯერ-სამჯერ საგრძნობი სარგებლობის მოტანა შეიძლებოდა მათ განსაკუთრებულად. შეიძლებოდა მხოლოდ მშრალად შეგვესწავლებია ჯარისკაცებისათვის თოფის ნაწილების სახელები, თოფის დაშლა, აწყობა, მოვლა, მაგრამ ეს იქნებოდა მხოლოდ სინდისის დაწყნარება. სამსახურის აღსრულებაში საჭირო იყო მიდგომა სამუშაოსთან ისე, რომ სარგებლობა მოეტანა ამ შრომას. მეც ამ გზას დავადექი.

ბედად წინა ხანებში მე შევიძინე ახლად გამოსული თარგმანი ტეილორის „ანტროპოლოგია". წიგნის თავში მოყვანილმა პირველყოფილი ცხოვრების აღწერამ, იარაღების—საოჯახო და სანადირო-საბრძოლველი იარაღის აღწერა მშვენიერ მასალას იძლეოდა შემედგინა ერთნაირი პროგრამა, გამეცნო ჯარისკაცებისათვის თუ როგორი იყო პირველყოფილი ადამიანის ცხოვრება, როგორ საზრდოობდა იგი, რას ხმარობდა თავისთავის შესანახად — ერთი სიტყვით, გამეცნო მათთვის პირველყოფილი კულტურა და მისი განვითარება შემდეგ. გეგმა შევადგინე რამდენიმე ხნის მუშაობის შემ-

დეგ ისეთი, რომ იარაღის განვითარებას გადავაბი ადამიანის განვითარების ისტორია.

ამ გეგმით შევუდექი მეცადინეობას. პირველი გაკვეთილიდანვე ჯგუფში მოსწავლეებს აშკარად ეტყობოდათ, რომ მონაყოლით მეტად დაინტერესდნენ და გაფაცაცებით ყურს მიგდებდნენ. მეც მეტად შემახალისა ამან და ამ გაკვეთილებისათვის საგანგებოდ ვემზადებოდი, ვარჩევდი ყოველ სიტყვას, რომ რაც შეიძლებოდა მარტივად და მსმენელთა გასაგები ენით გადამეცა მისაწვდენი ცნობები.

მეშინოდა არ აეკრძალათ ჩემთვის ამგვარი გაკვეთილების მიცემა, მაგრამ ბედად ჯგუფის გამგე ოფიცერი დავაჯერე ამგვარი ცნობების სარგებლობაში და მას არაფერი წინააღმდეგობა არ გაუწევია ჩემთვის.

ისმენდნენ ლექციებს დიდი ყურადღებით, მეც ვატყობდი, რომ დიდად დაინტერესდნენ და მოკლე ხანში ჩვენ შორის გაიბა ერთგვარი ურთიერთობა, ჯარისკაცები ხალისით მხვდებოდნენ, დაახლოებულად შესაუბრებოდნენ. ამან გამაცოცხლა და დიდი ხალისით მივდიოდი ხოლმე ჩემს გაკვეთილებზე.

ყმაწვილს მახალისებდა, რომ ინტერესი აღეუძარი ჩემს მსმენელებს და მეხაროდა, რომ სარგებლობა მომქონდა. ასეთი მდგომარეობა ენერგიას მმატებდა და გამზადებული ვიყავი მეშრომნა და მემაცადინა დაუსვენებლად.

ამგვარი განწყობილება ხანდახან სადავიდარაბო საქმესაც გამიჩენდა ხოლმე.

ნაწილის უფროსად გვყავდა ახალგაზრდა პოლკოვნიკი, გარუსებული სერბიელი, გუსართა პოლკში ნამსახური ოფიცერი — კაცი თავისებური, მეტად ახირებული პიროვნება. მისი ძმა იაპონიაში ელჩად იყო, ცოლად ვორონცოვ-დაშკოვის გაზრდილი ქალი ჰყავდა. ამის წყალობით ბევრი რამ მისი ახირება შერჩენია ხოლმე. მაგრამ ერთ დღეს რომ ქანდარმი გააროზგვინა თავის ჯარისკაცებს — ეს აღარ აპატიეს და პოლკიდან გამორიცხეს; ამას ზედ დაერთო ისიც, რომ მან გუსარის მენტიკი (ერთგვარი სამკაული, ბოხჩასავით კისერზე ჩამოსაკიდებელი), როცა გუსარების ფორმა გააუქმა ალექსანდრე მესამემ, მან ზეიმით დაასაფლავა და გამოეთხოვა. იგი გამორიცხეს გვარდიიდან და გადაიყვანეს ქვეითთა პოლკში. შემდეგ რამდენიმე წლისა ცალკე ნაწილი მისცეს ჩვენი და ჩვენთან განაგრძობდა თავის ახირებულ მოქმედებას.

ერთ დღეს მიმიხმო და გამომიცხადა:

— აბა, ძვირფასო პორუჩიკო, ერთი პატარა ზარბაზანი უნდა მიშოვოთ. თქვენ აქ გყავთ ნაცნობები მუსულმან ქართველებში, იმათ აქვთ მორჩილი ზარბაზანი, აი რამაზანის დროს რომ ისვრიან ხოლმე — მოელაპარაკეთ, ეგება დამითმონ და საკმაო ფულს მივცემ. ზარბაზანი მინდა იმისათვის, რომ საღამოს ზორი ზეიმით იყოს ხოლმე.

მე ვუთხარი, რომ ზარბაზანს არ გაყიდიან-თქო, რადგან მაგიერს ვერ შეიძენენ და ის კი ძლიერ სჭირიათ რამაზანის (მარხულობის) დროს ნიშნის მისაცემად, საღამოობით საჭმლის ჭამის დროის აღსანიშნავად.

— აბა არტილერიის უფროსთან გამიგეთ, შეიძლება იმათ ჰქონდეთ მორჩილი ზარბაზანი.

არტილერიის უფროსმა ბევრი იცინა, როცა მივედი მასთან და გადავეცი შევიჩის (ჩვენი პოლკოვნიკის გვარი იყო) დანაბარები.

— ჯერ ის, რომ მორჩილი ზარბაზანი მე არ მაქვს და კიდეც რომ მქონდეს, სათამაშოდ როგორ მივცემ იმ თქვენს ახირებულ უფროსს ზარბაზანს! — მითხრა მან.

— მაშ მილის ნაჭერი უნდა ვიშოვოთ და უნდა გავაკეთოთ პატარა ზარბაზანი! როტშილდის ქარხანაში უსათუოდ იშოვება ასეთი ნაჭერი და მიშოვეთ უსათუოდ. ზარბაზანი უნდა გავაკეთოთ!.. თქვენ უნდა მომიწყოთ ხელი — სხვა ვერავინ მომიხერხებს ამას, უსათუოდ ზარბაზანი უნდა გავაკეთოთ და საღამოობით ვბრიგოთ ხოლმე და შემდეგ საღამოს „ზორი“ მოჰყვება მუსიკით! უსათუოდ უნდა გამიკეთოთ ჩვენს სახელოსნოში! თუ ოსტატმა ვერ გამიკეთა — სამსახურიდან დავითხოვ, იცოდეთ, ასე გამოუცხადეთ! — არ მეშვებოდა შევიჩი.

მოხუცი „მასტერი“ ძლიერ შეწუხდა და შემეხვეწა დავეხმარებოდი და რამე გზით გასაჭირიდან გამომეყვანა.

— მილის ნაჭერს კი ვიშოვი, მაგრამ რარიგად მოვაწყო სასროლად—ეს აღარ ვიცი!.. მიშველეთ! — მეხვეწებოდა შეშინებული.

რომ თავიდან ამეცილებინა ასეთი ახირების შესრულება, პოლკოვნიკს ვუთხარი, რომ მილის ნაჭერის გარდა საჭიროა სპილენძი, მისი გადადნობა, რომ შემდეგ მისი უკანა ნაწილი მოეჭახრაკოს მილს, რომ გადასადნობად ტიგელებია საჭირო, რაც ბათუმში არ იშოვება — ერთი სიტყვით გავუძნელე საქმე, მაგრამ იგი თავისას არ იშლიდა; მოგვაყარა სპილენძი — საბერველ დასავრები. გადაარჩია და უვარგისნი დაამტვრევინა, გამოიწერა ორი ტიგელი პეტერბურგიდან და მომიყარა ყველა ეს სახელოსნოში. — ა, რაც მითხა-

რით ყველაფერი გაქვთ ახლა და აწი თქვენ იცით! უსათუოდ უნდა გამიკეთოთ ზარბაზანი! უსათუოდ!

რაღა გზა იყო მეტი — ავიღე არტილერიის სახელმძღვანელო და დიდი წვალების შემდეგ შევადგინეთ ზარბაზნის გეგმა. მოკლე ხანში სასურველი ზარბაზანი მზად იყო. ტყვიის მაგივრად პრობკით იტენებოდა; დავამზადეთ ვაზნები, დავამაგრეთ პატარა ხის ნამორ-ზე და ერთ საღამოს გამოვიტანეთ ეზოში და გავსინჯეთ ჩვენი ზარ-ბაზანი. იგრიალა ჩვენმა ნახელოვნებმა, იგრიალა ისეთნაირი სიმ-ძლავრით, რომ ჯერ შეგვეშინდა ყველას და შემდეგ შეუკავებელ სიცილი აგვიტყდა.

ქუჩაში და ახლო-მახლო მცხოვრებთ ეგონათ, რომ სახელოს-ნოში აფეთქება მოხდაო; მორბოდნენ შეშინებულნი; სახელოსნოს წინ მოხუცი გენერალი ცხოვრობდა — კაცი გამოგზავნა გასაგებად უბედურება ხომ არ მომხდარა რამეო. როცა შეგროვილმა ხალხმა გაიგო რაშიც იყო საქმე და ნახა ჩვენი ზარბაზანი, დაიწყეს სიცილი. ხრიალში წამოგვადგა თავზე პოლკოვნიკი.

— რატომ უჩემოდ გაისროლეთ პირველად! — მითხრა მან, — მაგრამ არაფერი!.. აბა ერთი კიდევ ვბრიგოთ! ერთი კიდევ!

იგრიალა ხელახლა ზარბაზანმა.

— ერთი კიდევ! — წამოიძახა გახარებულმა შევიჩმა და როცა ასრულდა მისი სურვილი, მეცა და ჯერ მე გადამეხვია და შემომ-ძახა:

— ძვირფასო პორუჩიკო! ყოჩაღ, ყოჩაღ!

მერე მოეხვია „მასტერს“:

— ახლა კი შევრიგდეთ მე და თქვენ! — მიაძახა მას. — აბა ერ-თხელ კიდევ გავისროლოთ და შევინახოთ ჩვენი ზარბაზანი!

იგრიალა მესამედ ზარბაზანმა. შევიჩის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მოგროვდა აუარებელი ხალხი, ერთი ხითხითი-სიცილია; ყველას სწადია თვალი შეავლოს უცნაურ მანქანას.

— დღეისთვის კმარა! კმარა! — შესძახა შევიჩმა ხალხს. — მალე ზეიმი იქნება (პარადი), მობრძანდით მაშინ!

მახლობელ დღეებში ხელმწიფის დღეობა იყო. ნაწილის ადიუ-ტანტისაგან წერილი მივიღე, რომ სამართველოში გამეგზავნა ზარ-ბაზანი და თერთმეტი ვაზნა. როცა მოედანზე საზოგადო ზეიმი (პარადი) დასრულდა, შევიჩმა მისი ნაწილის ერთი გუნდი წაიყვანა და დააყენა სამართველოს წინ. უბრძანა ადიუტანტს გამოეტანა ზარბაზანი, გუნდს თოფები სალმის მისაცემად დააკავებინა და შეი-

ქმნა სროლა. თერთმეტჯერ გასროლის შემდეგ აუარებელი ხალხი შეგროვდა; შევიჩი სამართველოს კიბეზე იდგა და სიამოვნებდა.

გაეარდა უკანასკნელი ვაზნა.

— შემდეგამდი! — შესძახა პოლკოვნიკმა ხალხს. — დღეს კმარა, მიბრძანდით!

ამგვარად ერთობოდა და სხვასაც ართობდა ეს ახირებული პოლკოვნიკი და თავის ახირებაში ზომას ზედმეტად რომ გადადიოდა, ამას ყურადღებას არავინ არ აქცევდა.

ალექსანდრე მესამე ჩამოდიოდა საქართველოში. ბათუმში უნდა დასწრებოდა სობორის ბალავრის კურთხევას. ამისათვის საგანგებო ზეიმი იყო დანიშნული. ჩემი ნაწილიდან ერთი გუნდი იღებდა მონაწილეობას ამ ზეიმში. რომ განსხვავებული იერი მიეცა ჯარისკაცებისათვის, შევიჩმა გუნდებისათვის შეაკერვინა განსხვავებული ქუდები და გასაოცარი განიერი შარვლები; გამოიწერა პეტერბურგიდან ულვაშები; ეს ულვაშები მანქანით მაგრდებოდა ცხვირში; საჭირო იყო შეჩვევა მის სატარებლად, რადგან მანქანა ულიტინებდა ცხვირის ნესტოებს და სანამ არ შეეჩვეოდა კაცი, დიდხანს ვერ იგუებდა მას. ამიტომ ამ ულვაშებს უკეთებდნენ ჯარისკაცებს და აჩვევდნენ ტარებას. მთელი დღეები გადიოდა იმაში, რომ ჯარისკაცს ცხვირში დაუმაგრებდნენ ამ ულვაშს და იგი თითო საათობით დადიოდა ამ გაკეთებულ ულვაშით. ზეიმის დღეს ასეთ გამოწყობილ გუნდს საოცარი შეხედულობა ჰქონდა და ყველა გარეშეს აკვირვებდა. მეფემაც მიაქცია ყურადღება და ღიმილით თქვა:

— რა ყოჩაღებს მოუყრიათ თავი ამ ნაწილში!

კარგი რომ ხელი არ შეუხია რომელიმე ულვაშიანისათვის, თორემ მთელი ეს ბუტაფორია თავზე დაატყდებოდა მის მომწყობს.

ამას არ დაჯერდა ახირებული პოლკოვნიკი და დაიჯინა რომ, როცა მეფე ალექსანდროვის ბაღიდან, სადაც მას უნდა დაერგო ნაძვის ხეები, გამოვიდოდა და იქვე მყოფ ჩვენს საზაფხულო ბანაკში შემოადგამდა ფეხს — უნდა შეხვედროდნენ იმ სათამაშო ზარბაზნის სროლით. ეს, რასაკვირველია, მასხრობას დაემსგავსებოდა და ერთი უბედურება მოხდებოდა. ურჩიეს შევიჩს ასეთი განკარგულება მოეხსნა, მაგრამ იგი თავისაზე იდგა. უბედურების ასარიდებლად აცნობეს ვისთვისაც საჭირო იყო, რომ მეფე ჩვენი ბანაკისაკენ არ გაეტარებინათ, თორემ სკანდალი მოხდებაო. ცნობა მიღებული იქნა და მეფე სხვა გზით გაიყვანეს ბაღიდან. შევიჩი დარჩა ცარიელზე დიდად გულდაწყვეტილი, რომ არ ეღირსა მისებური ზეიმით მიეღო მეფე.

ამ ორ წელიწად-ნახევრის განმავლობაში იგი რომ ჩვენს ნაწილს უფროსობდა, სულ ამგვარ ახირებულ ამბებში იყო; შემდეგ როცა ისევ პეტერბურგში გადაიყვანეს, იქაც განაგრძობდა ამგვარად მოქმედებას — არ იშლიდა, რადგან მფარველად ჰყავდა იმ დროს მძლეთა-მძლე გრაფი ეორონცოვ-დაშკოვი, რომლის გაზრდილი ცოლად ჰყავდა მას.

შევიჩის შემდეგ მოგაიეიდა ნაწილის უფროსად გვარდიის პაველოვსკის რაზმიდან ახალგაზრდა პოლკოვნიკი, მეფის ამალაში ჩარიცხული. ეს სულ იმას ფიქრობდა რა მოემოქმედა ისეთი, რომ უურადღება მიექციათ მისთვის და მალე ცალკე უდიდესი ნაწილი მიეღო.

— რამე ისეთი უნდა მოვაწყოთ, რომ გავაკვირვოთ ჩვენი უფროსები! — მითხრა მან ერთხელ. — თქვენ მირჩიეთ!

— სალდათების კლუბი მოაწყვეთ! — ვუთხარი.

— კლუბი? — გაკვირვებით თქვა.—კლუბი! კლუბი კი არა და საჩაიე კი... საჩაიე კარგი იქნება! — ცოტა ჩაფიქრების შემდეგ თქვა მან.

— საჩაიე იყოს! შიგ იქნება ყველაფერი, რაც ჯარისკაცს სჭირია იაფ ფასებში, იქნება კაპიკიანი ჩაი-შაქარი, ცხელი წყალი უფასოდ, სათამაშო შაშკები და ამგვარები. ხანდახან გუნდი იმღერებს, ვინმე წაიკითხავს, შესდგება კონცერტის მაგვარი რამ... ეს ძალიან კარგი იქნება და ჯარისკაცებზედაც კარგად იმოქმედებს, კარგ გავლენას მოახდენს. მოახდინეთ განკარგულება და ასეთი კარგი რამ სულ მოკლე ხანში მოეწყობა! — ვუთხარი.

— თქვენ უნდა მიიღოთ ეს თქვენს თავზე!.. თქვენ უნდა მოგანდოთ ამის სისრულეში მოყვანა! — მითხრა პოლკოვნიკმა.

— დიდი სიამოვნებით! — მივუგე.

მე თვალწინ მეხატებოდა ისეთი რამე მოწყობილიყო, რომ ჯარისკაცი კაზარმულ ცხოვრებას ცოტაოდნად მაინც დაშორებულიყო. შევუდექი მუშაობას და მოკლე ხანში მოვაგვარე საქმე. მოვაწყვე სავაჭრო, რომელშიც იშოვებოდა ბაზართან შედარებით დაკლებულ ფასებში ყოველგვარი მასალა, კაპიკიანი ჩაი-შაქარი, სხვადასხვა სათამაშოები და გასართობები. ჯარისკაცების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, საჩაიე მუდამ სავსე იყო ხალხით; ჯარისკაცი აქ სულ სხვანაირად გრძნობდა თავს, სულ სხვა იერი ეძლეოდა. მეც მიტაცებდა ამას რომ ვხედავდი და ვცდილობდი რაც შემეძლო საჩაიე კლუბს დამემსგავსებინა. ახლა მე მქონდა ჩემი სახელოსნო, სამოსწავლო გუნდი და ეს პატარა კლუბი, სადაც ჯარისკაცს სხვანაირად ვხვდებოდი, სხვანაირად ვუდგებოდი და მიტაცებდა ის,

რომ ჯარისკაცებს ჩემთან სულ სხვანაირად ეჭირათ თავი, არ გამარბოდნენ და ხალისიანად მესაუბრებოდნენ ხოლმე. ამხანაგ ოფიცრებშიც ვიშოვე ორიოდე თანამგრძნობი, რომელთაც სწადდათ ცოტაოდნად მაინც გაეცოცხლებინათ იმდროინდელი კაზარმული მძიმე ცხოვრება.

ამ მუშაობაში ვიყავი ვართული, რომ ჩემდა გასაოცებლად გადამეკიდა ერთი ახლად გადმოყვანილი ოფიცერი და ჩემზე გულმოსულმა პატაკი შეიტანა, რომ მე პოლიტიკურად არასაიმედო პირი ვარ და რუსეთს მოძულე. საქმე გამოძიებაში ჩავარდა. ნაწილის უფროსი საოცრად აღელდა. მას ის აწუხებდა, რომ თუ დამიმტკიცდებოდა ბრალდება — მას შენიშვნას მისცემდნენ, თუ როგორ ვერ შენიშნა თავის ხელქვეითს ამგვარი რამ და საწინააღმდეგო ზომა არ მიიღო; ამით მისი წინსვლა დაბრკოლდებოდა. პატაკის მიმცემი ერთი ნერვებაშლილი თავმაგარი პიროვნება იყო. იგი ხელში ჩაიგდო მასთან ერთად ჩვენს ნაწილში რუსეთიდან გადმოყვანილმა ახალგაზრდა ოფიცერმა, რომლის ადგილი უფრო მონასტერი იყო, ვიდრე სამხედრო ნაწილი. ეს იყო ცნობილი იოანე კრონშტადელის მოწაფე, პობედონოსცევის მათაყვანებელი, გულმხურვალე მლოცველი; სახითაც უცნაურად ჰგავდა პობედონოსცევს. იყო გამსჭვალული რუსის ბატონობის იდეით და სძულდა ყოველი არარუსი. აი მან განაზრახა ნერვებაშლილი ოფიცერი შეეტანა ჩემზე პატაკი; დაარწმუნა, რომ მე ცუდი გავლენა მაქვს ჯარისკაცებზე, რომ ფიცს ვღალატობ, რომ საჭიროა ჩემი გაძევება სამსახურიდან. გამოსაძიებლად გამოგზავნეს პოლკის უფროსი პოლკოვნიკი კრივოშეინი. მთლად ამხანაგობამ ჩემდა სასარგებლოდ მისცა ჩვენება. ჩვენმა პოლკოვნიკმა მიმიხმო და შემეხვეწა არ გადამეტანა საქმე სასამართლოში ცრუ დაბრალებისათვის.

— თქვენ ყველამ გაგამართლათ!.. მშვენივრად დაგახასიათათ ყველა თანამოსამსახურეებმა. თქვენ გამართლებული იქნებით, რა თქმა უნდა, — ჩემთვის კი კარგი არ იქნება რომ უჩივლოთ და მოითხოვოთ ხვოსტოვის (პატაკის შემტანი) დასჯა. გთხოვთ დაანებოთ თავი. სულარ გამოეკიდებით!.. შეიქნება ერთი მიწერ-მოწერა... ყველაზე მეტად მე მევნება!

კარიერისტი პოლკოვნიკი ისეთი საცოდავი იყო ამ დროს, რომ მე შემეცოდა და სიტყვა მივეცი, რომ ჩემს დამბეზღებელს არ ვუჩივლებ-თქო.

მესამე წელიწადზე ამ კარიერისტს აუსრულდა მისი სურვილი — მას მისცეს მთავარი გუნდი და ჩვენ დაგვინიშნეს საიუნკრო სასწავ-

ლებლიდან პოლკოვნიკი ვინმე ტროიცკი, კაცი უფრო პედაგოგი, ვიდრე სამხედრო პიროვნება. იგი თითქმის ყურადღებას არ აქცევდა ჯარისკაცს, ახლოს იდგა ოფიცრობასთან, მაგრამ ოფიცრობა გაურბოდა, რადგან ხედავდა, რომ იგი ეშმაკი ადამიანი იყო და ყველასთან თაღლითობდა. მას უფრო აინტერესებდა სამხედრო კლუბი, წარმოდგენები კლუბში რომ იმართებოდა ოფიცრების ძიერ და ლექციები. წარმოდგენების ხელმძღვანელობა მე მქონდა მონდობილი და მოკლე ხანში რიგიანი დასიც შევადგინე ოფიცერთა და მათ ცოლებს შორის. ოფიცერთა კლუბიდან წარმოდგენების მართვა რამდენიმე ოფიცერმა გადავიტანეთ კაზარმაშიც. პოლკოვნიკი ხალისიანად შეხვდა ჩვენს განზრახვას და ხელი მოგვიწყო ამაში. ვიწყეთ დროგამოშვებით კაზარმაში ჯარისკაცთაგან შემდგარ დასის მიერ წარმოდგენების მართვა. საჩაიეს ახლა ეს გასართობიც მიემატა. ჯარისკაცები ძლიერ შეხალისდნენ ამ წარმოდგენებით და ერთი წარმოდგენა რომ დათავდებოდა, იხვეწებოდნენ მალე შემდეგი გაგვემართა. ჩვენც, რაც გაგვეწყობოდა, ვუსრულებდით ნატვრას რაკი ვხედავდით, რომ ამას კაზარმაში გამოცოცხლება შეჰქონდა.

პოლკოვნიკმა იცოდა თუ რა შრომა მხვდებოდა მე, მაგრამ თუ მომატებდა საშრომს, თორემ არ მაკლებდა. ახლა ლექციის წაკითხვა დამაკისრა ოფიცერთა საკრებულოში. ენერგია მქონდა და ხალისი — წინადადება სიამოვნებით მივიღე. იმ ხანებში იბეჭდებოდა ბლიოხის წერილები „მომავალი ომი". ეს „მომავალი ომი" ავიღე რეფერატის საგნად; მოვუყარე ყველა წერილს თავი და მუყაითი მუშაობის შემდეგ შევადგინე მოხსენება. მოხსენებაში იყო მოყვანილი სამხედრო ტექნიკის განვითარების ამბავი, რას მოითხოვდა ეს ტექნიკა, ე. ი. რარიგად უნდა გაზრდილიყო ჯარების შემადგენლობა, ამის გადასაყვანი, საკვები ხარჯები, მილიონნიანი ჯარების შენახვა, მოვლა; შეტაკების დროს მსხვერპლთა გადიდება და ამგვარები. რა გავლენას იქონიებდა მომავალი ომი მოჩხუბარ მხარეების ეკონომიურ მდგომარეობაზე. სურათი გამოვიდა მეტად მძიმე, შავბნელი. შევემზადე რაც გამეწყობოდა რიგიანად შემესრულებინა ჩემი მოხსენება. მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მრავლად შეგროვილ ოფიცრობაზე. როცა მოხსენება დავათავე, პოლკოვნიკი მოვიდა ჩემთან და ღიმილით მითხრა:

— მაგგვარ სურათებს ნუღა მოუყვებით ოფიცრობას. გამხნევების მაგივრად ისინი შიშს მიეცემიან! ეს გაზვიადებული ნახატია!

მძიმე შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად ტროიცკიმ მოიწვია

ერთი საპიორის კაპიტანი და მას გააკეთებინა მოხსენება სათაურით — „ნე ტაკ სტრაშენ ჩორტ კაკ ეგო მალიუიუტ“. მომხსენებელი ტყუილ ოცნებად სახავდა სამხედრო ტექნიკის განვითარებას და უსაფუძვლოდ თვლიდა მასზე აშენებულ მომავალი ომის საშიშროებას. სინამდვილემ მალე დაანახვა ყველას, სად იყო სიმართლე!

ამ ხანებში მოხდა ის ახალი განკარგულება, რომლის ძალით ქართველი ჯარისკაცები უნდა აერიათ რუსებში. წინათ სამსახურში გაყვანილი ქართველები მსახურობდნენ ქართულ რაზმებში. ასეთი წესი მოიშალა და ყველა სამსახურში გაყვანილნი ერთმანეთში აურიეს — ეროვნებას აღარ უყურებდნენ.

ჩვენს ნაწილში ამ ახალი წესის გამო მოვიდა ერთი პარტია ოზურგეთის მაზრიდან. ჯარისკაცებად გამოწვეული ახალგაზრდები ერთი-მეორეს სჯობნიდნენ შეხედულობით. რუსულის მცოდნენი მათ შორის ნაკლებად ერიენენ. დაანაწილეს გუნდებში და ჩააბარეს სასწავლად ეგრეთ წოდებულ „დიადკებს“. პირველ ხანებში თითქოს ყველაფერი კარგად იყო; ორი თვის შემდეგ კი არასასიამოვნო ამბავი მოხდა. ერთ დილას თითქმის ყველამ მიატოვა ნაწილი და გაიპარნენ. შეიქნა ერთი გამოძიება, გამოკითხვა, რატომ მოხდა ასეთი რამ, მიწერ-მოწერა. ერთი კვირის შემდეგ ყველანი უკლებლივ დაბრუნდნენ, დაინიშნა გამოძიება იმის გამოსარკვევად, თუ რამ აიძულა ისინი ასეთ მოქმედებაზე და ასე თავშეყრილად. გამოძიება მომანდვეს მე.

მოვუყარე ყველას თავი და სათითაოდ დავკითხე გაქცევის მიზეზი. ყველა იმას ჩიოდა, რომ ენის უცოდინარობის გამო მეტისმეტად უმძიმდათ სწავლა-მეცადინობა და უკიდურესად წვალობდნენ.

— ბატონო! — მითხრა გამწარებით ერთმა მათგანმა, გვარად მუხაშარიამ. — ბატონო, რუსული არ ვიცი, არ მესმის არაფერი. დამიდგება წინ ჩემი დიადკა საველიევი, რაღაცას მეუბნება, რაღაცას, ალბათ, მასწავლის, მე კი არაფერი მესმის, ვდგევარ გაშტერებული, გაყერყეჩებული, ჩემს გულს ვასკდები, ისიც იღლება და გაჯავრებული მიყვირის და მიძახის: დურაკ! დურაკ! დურაკი რატომ ვარ? რუსული რომ არ ვიცი, იმიტომ? აბა ქართულად დამელაპარაკოს, მაშინ გავიგებთ, ვინაა უფრო დურაკი, მე თუ ის! ვეღარ გავუძელ ამდენ გინებას. ქართულად მელაპარაკოს და ჩემს დურაკობას მაშინ გაიგებს! გაიქცევი კი არა, ვინ იცის, რას იფიქრებ კაცი!

ეს ისეთი გამწარებით წარმოთქვა ამ ბიჭმა, ისეთი გაცხარებით, რომ თან შემეცოდა, თან უნებურად მეცინებოდა და სიცილით ვუთხარი:

— ახლა დაწყნარდი, მუხაშარია! საველიევი აწი ველარ გაგიბედავს დურაკის დაძახებას. იმას კარგად გაჯორავენ, გარწმუნებ!

— დათვია, ბატონო, დათვი! კიდევ კაი, რომ დედა არ შემოუგინებია, თორემ იქვე გავათავებდი, ჩემს თავს გავწირავდი. გვიშველეთ რამე, ბატონო! ნუ დაგვღუპავთ! — წამოიძახა მუხაშარიამ.

— კი, კი! ნუ გეშინია!.. შენ ფირცხალაიშვილო, შენ რა გაგაჭირდა? — შეეკითხე მეორეს.

— ბატონო, რუსული არ მესმის; ჩამაყენებენ მწკრივში, რაღაცას მიბრძანებენ, ვერ ვასრულებ და მაგინებენ. დიადკამ თოფით დამაყენა, მოვიდა გუნდის უფროსი, დამიწყო ლაპარაკი, რაღაცას მიწყრებოდა ვატყობდი; ვიდექი გაყერყეჩებული, მერე მოვინდომე მენიშნა, რომ არაფერი მესმის მისი ნათქვამიდან და მარცხენა ხელში რომ თოფი მეკავა, ჩაშვებული მარჯვენა ხელი გავაქნიე — მინდოდა მენიშნა, რომ არაფერი მესმის-თქვა. გაჯავრდა, ამიყვირდა, რატომ ინბრევიო და ხმას კი არ იღებო და ნაკაზანიაში ჩამაგდო. ეს პირველად არ ყოფილა!.. რა ვქნა აღარ ვიცი... მინდა მალე ვისწავლო რუსული, მარა რომ ვერ ვერევი!.. ნამეტანი გამიჭირდა და გაქცევა დავაპირე! სანამ რუსულს ვისწავლიდე, სულს ამომაბდენენ და ვამათავებენ! — შეწუხებით მითხრა ფირცხალაიშვილმა.

— ნუ გეშინია, პარმენა! აწი, იმედია, ისე აღარ შეწუხდებით... მაგრამ თქვენც მეცადინე იყავით... თავი არ შეირცხვინოთ, სხვებს არ ჩამორჩეთ! ნუ შეშინდებით! — ვამხნევებდი უზომოდ შეწუხებულ ახალგაზრდებს.

გაქცეულებს მოენდომებინათ მთავრობასთან მისვლა თხოვნით, რომ ქართულ ნაწილში გადაეყვანათ ისინი, მაგრამ მშობლებს გადაეთქმევინებინათ ეს განზრახვა და ერჩიათ ისევ დაბრუნებულიყვნენ და ყოველივე გაჭირვება მოეთმინათ, რაც იმ ოთხ წელიწადს სამსახურში შეხვდებოდათ.

დაწვრილებით სიტყვითაც მოვუყევი პოლკოვნიკს, რაც მოვისმინე და წერილობითაც წარვუდგინე. ბედად პოლკოვნიკი შევაჯერე და არც ერთი გაქცეულთაგანი, უკან დაბრუნებული, არ დაუსჯია და გუნდის უფროსებს უბრძანა სხვანაირად მოპყრობოდნენ მათ და ყოველი ზომა მიეღოთ მათთვის სამსახურის სიმძიმე შეემსუბუქებინათ.

შემდეგ წელში მოგვივიდა ახალგაზრდობის პარტია სამურზაყანოდან და ართვინის ოლქიდან. სამურზაყანოელები ნამდვილი უბედურები იყვნენ. მათ არც ქართული ესმოდათ, არც რუსული, მეგრელები ჩვენ არ გვყავდა და საოცარ გაჭირვებაში ვიყავით უფ-

როსებიც და ხელქვეითებიც. პირდაპირ საწვალებელი რამ იყო ჩვენთვისაც და იმათთვისაც. საფიქრებელი იყო, რომ ამ წვალებიდან გადასარჩენად თუ ყველანი არა, მეტი ნაწილი არჩევდა გაქცევას და ამიტომ ყოველგვარ ზომას ვღებულობდით მდგომარეობა შემსუბუქებულიყო და გაქცევის აზრი მომსპარიყო მათ შორის.

მახსოვს, ერთი ამათგანი, გვარად ქორთუა, საოცარი მოხდენილი შეხედულობის ბიჭი, საოცარი მეცადინი, მაგრამ დიდ გაჭირვებაში იყო — არაფერი არ ესმოდა, რასაც ველაპარაკებოდით.

— მე. გლახა, გლახა! — გულდაწყვეტით მითხრა მან ერთხელ, როცა ორივე დავიღალეთ მეცადინეობის გაუგებრობით.

— არა, არა, შენ კარგი... ჯგირი კოჩი, ჯგირი! — ხალისიანად ვუთხარი.

— არა, გლახა! — და მან მანიშნა ხელის ქნევით, რომ წუხდა თავის გაუგებრობას.

ამგვარ წვალებაში გაიარა წელიწადმა. წლის ბოლოს რამდენიმედ ქართულიც შეისწავლეს და ცოტაოდნად რუსულიც. მათ გასამხნევებლად და შესახალისებლად რისკზედაც წავედით — ვთხოვეთ ნაწილის უფროსს ესენი შვებულებაში გაეშვათ. საშიშარი იყო, რომ თუ ყველა არა, რამდენიმე არ დაბრუნდებოდა და სახლში დარჩებოდა. ჩამოვართვით პატიოსანი სიტყვა, რომ უკლებლივ ყველა დაბრუნდებოდნენ დანიშნულ დღეს და გამოცხადდებოდნენ სამსახურში. გახარებულებმა პატიოსანი სიტყვა მოგვცეს, ოღონდ კი ჩვენი სახლ-კარი დაგვანახვეთო რამდენიმე დღით და სამსახურს შევაკედებითო. წავიდნენ ყველანი, დაყვეს ორი კვირა თავიანთ სახლებში და დანიშნულ ვადაზე ორი დღის გადაცილებით ჩამოვიდნენ ყველანი. იმ ორმა დღემ გვაფიქრებინა, რომ წასულებმა თავიანთი სიტყვა დაივიწყეს და გადაიფიქრეს დაბრუნება, — შევწუხდით, მაგრამ როცა ორი დღის შემდეგ ყველანი დავინახეთ, ძლიერ გაგვეხარდა. დაგვიანების მიზეზი ის ყოფილიყო, რომ ოქუმში გემს გამოესწრო მათთვის და რომ მოცემული სიტყვა აესრულებინათ, ოქუმიდან ფეხით წამოსულიყვნენ ყულევამდის (რედუტკალე) და აქ ეშოვათ ფილუგა და მით მოვიდნენ ბათუმში.

ხელის შეწყობამ ისე გაატარებია მათ სამსახური, რომ არც ერთი არ გაქცეულა და ოთხი წლის შემდეგ. ისე გამოიცვალნენ, რომ კაცი ველარ იცნობდა, ვისაც პირველ მოსვლაზე ენახა.

— ჩვენი დედ-მამა ტიროდნენ, როცა აქეთ მოვდიოდით, მაგრამ ახლა მეტისმეტად. უხარიათ ჩვენ გადასხვაფერებულად რომ გვხედავენ. მხეცები ვიყავით, ახლა კი კაცები ვბრუნდებით სახლში

თქვენი წყალობით... ბევრმა შეგვიბრალეთ, მოგვიარეთ და კაცს დაგვამსგავსეთ. ჩვენ და ჩვენი მშობლები თქვენს სადღეგრძელოს სმაში ვართ და მუდამ ვიქნებით! — გვითხრა ერთმა იმათგანმა, აბაშიამ, გამოთხოვებისას, როცა სამსახურგათავებულები მიდიოდნენ სახლში. ყველამ ჩინებული ქართული იცოდა უკვე, განსაკუთრებით ამ აბაშიამ. რუსულიც საკმაოდ ეხერხებოდათ. ქორთუამ რუსული ვერ დასძლია, მაგრამ ქართული გვარიანად შეისწავლა.

— ხომ გითხარი, ბიჭო, ჯგირი კოჩი იქნები-თქვა! — ვუთხარი.

— კილამ გაეიქეცი, ბატონო, კილამ... და წავხდებოდი კაცი! იცოცხლეთ, ბატონო! — მხიარულად შემოგვძახა ქორთუამ.

სამი წლის შემდეგ ნაწილის უფროსი გამოგვიცვალეს. ახალი უფროსი იყო მეთის კარზე საყარაულო გუნდში ნამსახური, ქარ-ველი თავადიშვილი ვ-ძე, ახალგაზრდა პოლკოვნიკი. ქართულს გაჭირვებით ლაპარაკობდა. ისიც თუ გასაჭირი მიადგებოდა მაშინ წამოისროლიდა ორიოდე სიტყვას. იგი იყო კორპუსში გაზრდილი. თითქმის გარუსებული, თითქმის გადაგვარებული; ცოცხალი კაცი, შიკის მოყვარული. სამსახურისათვის თავს დიდად არ იწუხებდა, იყო გართული ნაცნობებში, რომელნიც მრავლად შეიძინა მოსვლისთანავე.

— აბა ერთი კარგი წარმოდგენა და შემდეგ კარგი მხიარული საღამო! — მეტყოდა ხოლმე, რადგან საკრებულოში წარმოდგენების მართვა ჩემს ხელთ იყო, ჩემს ხელმძღვანელობას იყვნენ შეჩვეულნი. საღამო მთავრდებოდა ვახშმით, რომელზედაც ვ-ძეს მუდამ აუარებელი ნაცნობობა ჰყავდა ხოლმე მოპატიჟებული. თვითონაც ეჯთობოდა და სხვათაც ართობდა.

ერთხელ მითხრა მოხსენება წამეკითხა ოფიცერთა საკრებულოში. არ მიუარებია და რამდენიმე დღის მოსაზრების შემდეგ გადაეწყვიტე მოხსენების საგნად ამეღო იაპონიის ისტორია და იმ-ღროინდელი მდგომარეობა.

იაპონიას იმ დროს ძლიერ ნაკლებად თუ ვინმე იცნობდა; მასზე მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, ის კი უკვე მოძრაობას იწყებდა და ქვეყნის სალაპარაკოდ ხდებოდა. მოვუყარე აუარებელ მასალას თავი და შევადგინე მოხსენება: იაპონიის გეოგრაფიული მდგომარეობა ეთნოგრაფიული ცნობები, მოკლე ისტორიული ცხოვრების აღწერა. იმდროინდელი მდგომარეობა და ბოლოს სამხედრო წყობილება და ჯარების შესახებ ცნობები.

მოხსენება მსმენელთაგან დიდი ინტერესით იყო მოსმენილი, მხოლოდ ვ-ძეს არ ესიამოვნა; ამას აშკარად ვატყობდი, თუმცა ჩემ-

თვის ეს არ უთქვამს. არაფრად ჩამიგდია ეს უკმაყოფილება; მე მიხაროდა, რომ მსმენელები დაეინტერესე და ამ მოხსენებაში ავშორდი აბდაუბდა შეტაკების აღწერას, როგორც ეს ჩვეულებად ჰქონდათ ხოლმე ოფიცერთა საკრებულოში მოხსენების საგნად.

არ მიმიქცევია ვ-ძის უკმაყოფილოდ დარჩენისათვის ყურადღება და შევეცადე ჩემს შემდეგ მომხსენებელი ოფიცერი ამეყოლებინა და წაეკითხა კორეის შესახებ მოხსენება.

— რა ჯანდაბაა ეს კორეა, დათიკო?! რა უნდა წავიკითხო — არც კი ვიცი სადაა ეს დაღუპული ქვეყანა! — მითხრა ჩემმა ამხანაგმა.

— მე შეგიდგენ მოხსენებას, ოღონდ შენ წაიკითხე კარგად... რა ვინდა მეტი!

— კარგი, თუკი შენ შემიდგენ, კარგი!

მოვნახე მასალები და შევუდგინე მოხსენება. მსმენელებმა ესეც ინტერესით მოისმინეს, მხოლოდ ვ-ძეს ისევ არ მოეწონა. უკმაყოფილო დარჩა და მომხსენებელს უთხრა:

— მაგისთანა თეატრებს თავი გაანებეთ! აქ სამხედრო საკრებულოა და სამხედრო პირები ვიყრით თავს... რა ჩვენი საქმეა კორეა და ამგვარები! — უთხრა მან მომხსენებელს.

მე იქვე ვიდექი და ვთქვი:

— რატომ არ უნდა ვილაპარაკოთ კორეაზე?.. მთელი ქვეყანა ახლა იაპონიაზე და კორეაზე ლაპარაკობს!

— ილაპარაკონ! ჩვენ კი სამხედრო პირები ვართ და სამხედრო მოქმედებაზე უნდა ვლაპარაკობდეთ!

— საზოგადო ცოდნაც გვჭირია! მარტო მხედრები ხომ არა ვართ! — ვთქვი.

პოლკოვნიკმა ერთი სხვანაირად გამოიხედა ჩემკენ და შემომიტია:

— კმარა! გთხოვთ ამგვარ ლაპარაკს თავი ანებოთ! — სატყვა მოჭრილად წარმოთქვა და გაგვშორდა.

შემდეგი მოხსენება დაევალა ერთ პორუჩიკს, რომელმაც ალლო აუღო მოთხოვნილებას და წაიკითხა მოხსენება, თუ როგორ დაეცა ღამით მტრის ერთი გუნდი ჩვენი გუნდის ნახევარს და როგორ მამაცურად ამ უკანასკნელმა ბნელ ღამეში მოიგერია მრავალრიცხოვანი მტერი და გაფანტა იგი დიდი ზარალით.

ნაწილის უფროსმა, როცა მომხსენებელმა გაათავა თავისი მოხსენება, დიდი მადლობა გადაუხადა და დემონსტრაციულად ხელი ჩამოართვა.

ზოგიერთებს გვესმოდა რას ნიშნავდა ეს და ვის საწინააღმდეგოდ იყო მომართული ასეთი მოქმედება.

არაფრად ჩამიგდია ასეთი მიხვეული გზით ჩემი გაკიცხვა, მეცინებოდა კიდეც. მე კარგად ვიცოდი, რომ ზოგიერთებს მეტად არ მოსწონდათ ჩემი აზრები, ჩემი შეხედულება სამხედრო სამსახურის შესახებ, რასაც მე არ ვმალავდი; გულახსნილად, თამამად ვლაპარაკობდი. არ ვიშლიდი ამას, რადგან ნათლად ვხედავდი, რომ გავლენა მქონდა ბევრ ჩემს თანამოსამსახურეზე, განსაკუთრებით ახალგაზრდა ოფიცრებზე, რომელთა შორის ბევრი პატივისმცემლები მყავდა. თვით ჩემს გუნდში (ამ დროს მე უკვე გუნდს ვმეთაურობდი) იღბლად საოცარი თვისების ოფიცრები მოხვდნენ. ერთი რუსი იყო, სიცოცხლით სავსე, საქმის მცოდნე, ფხიზელი გონების პატრონი, სალდათის მოყვარული; მეორე გარუსებული გერმანელი — საოცარი გულკეთილი პიროვნება, დაუღალავი მოსაქნარე, მონარქისტული გრძნობით გამსჭვალული, მაგრამ ყურადღებით გვასმენდა და გულდადებით გვეკამათებოდა ხშირად; მესამე სომეხი, თბილისიდან კამოვეკ. ეს იყო ჩემი მესაიდუმლე, ჩემი ნამდვილი ძმა; მისი ნამდვილი მეგობრული ახლობლობით ბევრი შემხვდური გამწარება დამიძლევია და გადამიტანია. მე ვიცოდი, რომ სტიოპას (ასე ვეძახოდით) უზომოდ ვუყვარდი და ჩემთვის თავს გაიმეტებდა, თუ კი ამას გარემოება მოითხოვდა. იმ პირობებში, მე რომ ვიყავი, ისეთი მეგობარი უძვირფასესი იყო. ლიტერატურის გატაცებით მოყვარული, პოლიტიკური აღელვებისაგან გამოწვეული აზრების მონაწილე; ახალი წიგნი, ახალი რამ მოვლენა, — გულახსნილად, გულადად თავისი აზრის გადაშლა — ყოველ ამაში დაუშორებელი იყო ჩემთან ჩემი სტიოპა; გადამეტებულ ერთგვარ გატაცებაში გაუნელებივარ და მომდგარ გაჭირვებაში გავუმხნევებივარ. ცხრაას ხუთში იგი მუდამ თან დამყვებოდა, არ მშორდებოდა, მუდამ მაფრთხილებდა, რომ რაიმე ხიფათი არ მომდებოდა და არ ჩავვარდნოდი ხელში სამტროდ გამზადებულ პირებს. მახსოვს ერთხელ რამდენიმე ჯარისკაცმა გამაჩერა და ლაპარაკი გაბა მიწის შესახებ; მეკითხებოდნენ — როგორ იქნება მიწის საქმეო. ესენი რუსები იყვნენ. აქედან სხვა საკითხებზე გადავიდნენ. ლაპარაკის დროს ჯარისკაცები თანდათან მატულობდნენ, მოგროვდა დიდძალი ჯგუფი. კითხვა-კითხვაზე იძლეოდნენ. მეც, შეხალისებული, ვაძლევდი შესაფერის პასუხს. ერთ შეკითხვაზე საჭიროდ გამიხდა ინგლისის ისტორიიდან მაგალითის მოყვანა, თუ როგორ მოკვეთეს თავი კაროლ კარლ მეო-

რეს. გატაცებით მოლაპარაკეს ვიღაცამ სერთუკის კალთა დამიწია. მოვიხედე, სტიოპა კამოევი დგას ჩემს უკან.

— რას ამბობ, დათიკო! აერიდე! — ქართულად წამჩურჩულა მან.

— რა გაუფრთხილებელი ხარ! — რამდენიმე ხნის შემდეგ მეუბნებოდა იგი. — დაგაბეზღებენ და ერთ უბედურებაში გაგხვევენ! ნუ შვები მაგას; რამდენი ოხერია, შენ გულწრფელად ელაპარაკები და ის კი არ დაგზოგავს და დაგღუპავს!

ძვირფასია ამნაირი ამხანაგის გვერდით ყოლა, განსაკუთრებით იმ გაწამაწიის დროს, რომელშიაც მე ვიყავი ცხრაას ხუთში და ექვსში, რაზედაც ქვევით მექნება ლაპარაკი.

მეოთხე ოფიცერი უკრაინელი იყო; ყმაწვილი, ნამდვილი დეკი. მოყვანილობით, ფიზიზელი, გულწრფელი ადამიანი. ბედმა ამათ შემყარა და ჩვენი მუშაობა გუნდში სულ განსხვავებული იყო, ვიდრე სხვა გუნდებში; მოქცევაც ჯარისკაცებთან განსხვავებული იყო; ჩვენი გუნდის ჯარისკაცი ადვილად გამოირჩეოდა; ოფიცერთანაც უფრო თამამი მოლაპარაკე, უფრო ხალისიანი და მხიარული. დასჯა მოვსპეთ — უბრალო შენიშვნა საკმარისი იყო მიგვეცა, რომ შეცდომა არ გამეორებულიყო.

— ანგელოზები... შეუმცდარი ანგელოზები გყოლიათ! — ღიმილით მითხრა ერთხელ ნაწილის უფროსმა, როცა გადაშალა საჯარიმო წიგნი და ვერ ნახა ჩაწერილი დასჯილი ჯარისკაცი.

სწავლა, წვრთნა ჯარისკაცების, განსაკუთრებით ახალ მიღებულ ჯარისკაცებისა, ისე გვქონდა მოწყობილი, რომ სულ მოკლე დროში უკვე შეთვისებული ჰქონდათ საჭირო ცოდნა და ეს ისეთი გზით, რომ სრულიად არ ღალავდა მას და არ ბეზრდებოდა. ზოგიერთები ჩვენს გუნდს ეძახდნენ „რეგულაციონურ როტას“.

ასეთი იყო თუ ისეთი, ჩვენი სინდისი დაკმაყოფილებული იყო მით, რომ ჩვენი გუნდის ჯარისკაცები კარგად განსწავლული იყვნენ, კარგად გრძნობდნენ თავს, იყვნენ მაცადინენი და ჩვენზე დანდობილნი.

ზოგიერთებს არ მოსწონდათ ჩვენ მიერ საქმის ასე დაყენება. მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევდით. ნაწილის უფროსი არც მიშლიდა ასეთ მუშაობას, არც მიქებდა. მითმენდა, მაგრამ იმ მოსსენების შემდეგ, იმ შენიშვნის შემდეგ, ეეღარ მოითმინა და ვითომ იშოვა დრო ჩემ გასაცილავად.

გუნდების გამოცდა იყო დანიშნული. ჯერი მოვიდა ჩვენს გუნდზე. ჯარისკაცები ხალისიანად იყვნენ. დარწმუნებული იყვნენ, რომ ყვე-

ლაფერი კარგად იქნებოდა შესრულებული; და ასედაც მოხდა; მწყობრად, შეუშლელად, ლაზათიანად ტარდებოდა ყოველი ვარჯიშობა. დაბოლოს პატარა აღლუმი — იერიშის მიტანა გუნდით. ეს ისე მკვირცხლად, ისეთი სიცოცხლით იყო შესრულებული, რომ მი!, შეხედვას არა სჯობდა რა.

შეხალისებული გუნდი, ყიჟინიან „ურას“ ძახილით შეჩერდა დანიშნულ ადგილას და მწყობრში ჩავაყენე პოლკოვნიკის მისალებად.

— ყოჩაღები ხართ, ძმებო! — შესძახა მან ჯარისკაცებს. — ყოჩაღები ხართ და კიდევ უკეთესი იქნებით, როცა თქვენი გუნდის უფროსი გამოიცდება და სამხედრო საქმეში გაიწაფება!

წამოისროლა ეს სიტყვები, მიიდვა ქუდთან ხელი და გასწია მოშორებით მდგარ შემღეგ გუნდთან.

გაოცებულმა თვალი გავაყოლე მიმავალს. ერთბაენს ვაშტერებული ვიდექი ერთ ადგილას, მერე გამოვერკვიე და გუნდს თავისუფლება მივეცი.

მწყობრში მდგომი ოფიცრები გარს შემომეხვივნენ. ხმას არც ერთი არ იღებდა.

— ბრიყვი! — წამოვიძახე უნებლიეთ.

— რა სისულელე წამოისროლა!.. უყურე სად გიკბინა! — გულდაწყვეტით თქვა ერთმა.

გამშრალი, ხმაამოუღებლად ვიდექი.

— მაგ სისულელეს ვანანიებ! არაფერია! — ვუთხარი ოფიცრებს.

ჯარისკაცებსაც აშკარად ეტყობოდათ უკმაყოფილება, რომ პოლკოვნიკმა ასე ბრიყვულად, მადლობის მაგიერ, შეურაცხყოფა მომაყენა.

მეორე დღეს დილით ჩავიცვი მუნდირი და ნაწილის სამართველოში მივედი. ადიუტანტს ვუთხარი მოეხსენებინა პოლკოვნიკისათვის, რომ მისი ნახვა მინდა.

— რა გნებავთ? — შემეკითხა პოლკოვნიკი მის კაბინეტში რომ შევედი.

— მინდა გავიგო ვის უნდა გადავაბარო ჩემი გუნდი! — ვუპასუხე.

— როგორ თუ გადაბაროთ გუნდი? — გაკვირვებით შემეკითხა იგი.

— დიახ, ვის უნდა გადავაბარო ჩემი გუნდი... იმიტომ რომ სანამ თქვენ იქნებით ჩვენი ნაწილის უფროსად, მე გუნდს არ ვემეთაურები!

— ეს რას ნიშნავს?.. ნაწილის უფროსი მე ვარ და მე ვიცი ვინ უნდა იყოს გუნდის უფროსი!.. სამსახურს მე ვანკარგულებ!

— სამსახურს თქვენ ანკარგულებთ — ეგ თქვენი უფლებაა, მაგრამ ჩემს თავმოყვარეობას მე ვუვლი და თქვენ არ შეურაცხგაყოფინებთ მას! მე ჩემს სამსახურს ვყიდი და თავმოყვარეობას კი არა!

— ვინ მოგაყენათ მერე შეურაცხყოფა?.. ვინ შეეხო თქვენს თავმოყვარეობას? — გაკვირვებით წამოიძახა მან.

— თქვენ! და ეს თქვენ ისე გეადვილებათ, რომ არც კი აძლევთ ანგარიშს თქვენს სიტყვებს!.. და სწორედ ამიტომაა საჭირო თქვენკენ შორს ყოფნა! — კუშტად მივუგე.

— როდის, სად შეეხე მე თქვენს თავმოყვარეობას?

— აღარც კი გახსოვთ... თქვენ გუშინ გუნდის გამოცდის შემდეგ ჯარისკაცებს მიმართეთ: თქვენ ყოჩაღები ხართ და კიდევ უკეთესები იქნებით, როცა თქვენი გუნდის უფროსი გამოიცდება და სამხედრო საქმეში გაიწვრთნება... ეს შეურაცხყოფა არ არის?! თუ ჯარისკაცები საქებარი იყვნენ — მათი გამწვრთნელი და ხელმძღვანელი ასე გასაკილავია? ვინ გახადა გუნდი საქებარი?

— რას ამბობთ, რას ლაპარაკობთ?! — წამოიძახა მან. — როდის იყო ამისთანა რამე?

— საქმეც ისაა, რომ აღარც გახსოვთ. ამიტომ უნდა გერიდებოდეთ ხელქვეითი!.. კაცს შეურაცხყოფა მიაყენეთ, არხეინად მიტრიალდით და გაშორდით და იქვე დავიწყებას მიეცით, რაც ჩაიდინეთ!.. მე კი მოსვენება აღარა მაქვს... იმ წუთებიდან ვღელავ, ვღელავ იმიტომ, რომ სრულიად უსაფუძვლოდ, უსამართლოდ მოინდომეთ ჩემი თავმოყვარეობის შელახვა იმ ანგარიშით, რომ ეგ შეგრჩებოდათ. თქვენ გინდოდათ ჩემი დამცირება ჩემი ჯარისკაცების წინაშე, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეთ... დიახ, სრულიადაც ვერ მიაღწიეთ — ამიტომ, რომ ჩემი გუნდის ჯარისკაცები მე თქვენზე უფრო კარგად მიცნობენ. თქვენ მხოლოდ თქვენი თავი შეურაცხყავით მათ წინაშე. მე ვიცი რამ გაიძულათ ასე მოქცეულიყავით ჩემს მიმართ! თქვენ არ მოგწონთ კლდიაშვილი, მისი შეხედულობა სამხედრო სამსახურზე, საზოგადოდ მისი აზრები, რომელსაც იგი არ მალავს და გულახდილად ლაპარაკობს, არ მოგწონთ მისი მოქმედება, ამაში მხარს გაძლევთ რამდენიმე პირი და თქვენ მოინდომეთ ჩემი მორჯულება მით, რომ შეურაცხყოფას მაყენებთ! თუ ოფიცრისათვის შეუფერებელ რამეს ან ვამბობ, ან ვმოქმედობ, — რატომ არ მომიხმეთ და არ მომელაპარაკეთ? ამას წინათ მე თქვენ პატაკი წარ-

მოგიდგინეთ, მორიგე მებარაბანემ ჩერნიავსკიმ მორიგე ოფიცერს თუთუნი როგორ მოპარა. თქვენ პატაკის წაკითხვაზე თქვით, — ეს მე გადმომცეს, — რა გუნდის უფროსია ამისთანა პატაკებს რომ იწერებაო! პატაკი უკან დააბრუნეთ, არც კი მოინდომეთ გაგეგოთ, თუ რატომ დაიწერა ის პატაკი; დაკმაყოფილდით ჩემი ავად ხსენებით. ავად მომიხსენეთ პირი, რომელსაც არც კი იცნობდით კარგად — მე კი როგორ მოვექეცი თქვენს პიროვნებას? მე შევკრიბე გუნდი. გამოვიყვანე ჩერნიავსკი და ვუთხარი:

— უმადლე ბედს, რომ ჩვენი ნაწილის უფროსი გულკეთილი კაცია, შეგიბრალა და ისე არ დაგსაჯა, როგორც ღირსი იყავი. მაგრამ იცოდე, ეს იყოს პირველი და უკანასკნელი შენი შეცდომა! მე გსახავთ როგორც გულკეთილ შემბრალე ადამიანს, თქვენ კი სინამდვილეში სულ სხვა ხართ... თქვენ ადამიანს ზერელედ ეპყრობით. ვინ უფრო მაღლა დგას ჩვენ შორის? — გაცხარებით მივაძახე. — თქვენ არად მიგაჩნიათ ადამიანის თავმოყვარეობის შელახვა. ამას მე გეუბნებით, ბევრს კი გულში აქვს ჩამარხული თქვენგან მიყენებული შეურაცხყოფა!.. მე ვერ გავჩუმებულვარ, ვერ ჩამიმარხავს გულში... თქვენ უნდა გერიდოს თავმოყვარე კაცი... ამიტომ მოვედი გავიგო, ვის უნდა გადავცე ჩემი გუნდი, რომ თქვენთან დაშორებით ვიქნე!

ეს ისეთი გაცხარებით წარმოვთქვი, ისეთი გულწრფელი მღელვარებით, რომ ვ-ძეს სიტყვა არ შეუწყვეტინებია ჩემთვის, დამაცალა და, როცა უკანასკნელი სიტყვა წამოვიძახე, იგი გამოექანა ჩემკენ, გადამეხვია და აღელვებულმა მითხრა:

—დავიდ სამსონიჩ, მაპატიეთ, ძვირფასო!.. ჩემს გამოუცდელობას მიაწერეთ... დაივიწყეთ! პატიოსან სიტყვას გაძლევთ, არა თუ თქვენ, არც სხვა ვინმე ჩემგან უკადრის სიტყვას არ გაიგონებს! დაივიწყეთ, ძვირფასო!.. დაივიწყეთ! მართალი ხართ, ვერ გიცნობდით!

ჩემი თანამოსამსახურე მეგობარი ოფიცრები გაფაციცებით ელოდნენ გაეგოთ, თუ რითი დათავდა ჩემი და ვ-ძის ლაპარაკი. მე დაწვრილებით გადავეცი ყველაფერი და სიტყვა ჩამოვართვი, რომ არავისთვის ეთქვათ ამის შესახებ.

მე არ მინდა სხვებთან ვიდღესასწაულო ჩემი გამარჯვება... არ მინდა შევლახო ვ-ძის თავმოყვარეობა, რომ ბოდიში მოიხადა ჩემთან! ეს მის კეთილ ადამიანობას ამტკიცებს, მის გამოფხიზლებას და ეგ საკმარისად უნდა ჩაითვალოს.

მართლაც, ვ-ძემ აასრულა თავისი სიტყვა. რაც ხანს ის ნაწილის

უფროსად იყო, არც ერთ ოფიცერს და არც ჯარისკაცს მისგან შეურაცხმყოფელი სიტყვა არ გაუგონია, ცუდად ხსენება არავის სმენია.

გუნდში ისევ განვაგრძობდით ჩვენს მუშაობას ჩვენი სისტემით. ემართავდით დიდ უქმეებზე წარმოდგენას, ხან საღამოს კონცერტული განყოფილებით, რომელშიაც მონაწილეობას მხოლოდ ჯარისკაცები ღებულობდნენ; — ვინ თავისებურად ვიოლინოზე უკრავდა, ვინ მღეროდა, ვინ ამბობდა მოკლე ამბებს, ლექსებს და ამგვარებს; კონცერტული განყოფილებას შემდეგ კი ცეკვა. ცეკვავდნენ ჯარისკაცები ოფიცრების ცოლებთან და ქალიშვილებთან, რომელნიც ბლომად ესწრებოდნენ ამ საღამოებს, ოფიცრები ცეკვავდნენ ჯარისკაცების ცოლებთან; ვინც ამაში მონაწილეობას არ ღებულობდა, მათთვის იყო: ჩაი, პური, თხილი, მზესუმზირას მარცვალი (სემიჩკა), ძეხვი, ყველი და ამგვარები. ჯარისკაცს ვერ იცნობდით ამ საღამოებზე, ისეთნაირად სხვაფერდებოდა. მთელი ნაწილის ჯარისკაცები გაფაციცებით მოელოდნენ, როდის გაიმართებაო მესამე გუნდში საღამო; ჩვენი გუნდის ჯარისკაცებს თავი მოჰქონდათ, რომ ამგვარი რამეები მხოლოდ ჩვენს გუნდში იმართებოდა და ეწყობოდა, ეს ამყარებდა განსხვავებულ ურთიერთობას ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის. მახსოვს ერთხელ ერთი ახალგაზრდა ჯარისკაცი (ნალივაიკო), ტლანქი ბიჭი, ვერ ახერხებდა მეცადინეობას და ატირდა.

— რა გატირებს, ბიჭო? — მიაძახა მისმა მწვრთნელმა უკრაინელმა ოფიცერმა.

— რას ტირი, ბიჭო? — შეეკითხე მეც, მტირალი რომ დაეინახე ნალივაიკო. — რა გატირებს?

— ვერ ვახერხებ ვარჯიშობას!.. პორუჩიკსაც ვაწუხებ, ჩემი თავისაც მრცხვენია! — თქვა მან აცრემლებულმა და ეს ისეთი კილოთი, რომ გაგვაცინა კიდეც.

— ნუ გეშინია, ნუ, ნალივაიკო... ნუ სწუხარ. აი აბა, თუ არ დასძლიო! ტირილი რას მოგეხმარება!

გავეხუმრეთ საწყალს, მოვაწმენდინეთ ცრემლები და მანაც თავგამოდებით განაგრძო მეცადინეობა. შემდეგში, როცა იგი გავარჯიშდა და გვარიანი ჯარისკაცი გახდა, ხანდახან გავახსენებდით, თუ როგორ ქვითინებდა იგი თავის უხეშობაზე და თვითონაც გულიანად იცინოდა ამაზე.

ჩვენ მიეაღწიეთ იმას, რომ ჩვენი ჯარისკაცები სრული ნდობით იყვნენ ჩვენთან და არ გვერიდებოდნენ.

აღდგომა ღამე იყო. წირვა გათავდა და ნაწილის უფროსმა ე-ძევ

მიგვიპატიჟა გასახსნილებლად თავის სახლში. ყველა თავშეყრილად მივდივართ.

— ბატონო! — მესმის ჩემს უკან ხმა. — ბატონო, მომითმინეთ!— მეუბნება ჩემი გუნდის ჯარისკაცი კვაჭაძე.

— რა ამბავია, კვაჭაძე? — შევეკითხე გაკვირვებული.

— ბატონო, გამიშვით სახლში!..

— ბიჭო, შენ არ მოხვედი გასაშვებში, ამას წინათ იყავი შვებულებაში... რაც რიცხვი ნაბრძანები იყო, წავიდნენ ყველა!

— გთხოვთ, ბატონო! გაქცევაზე ვარ, გეფიცებით! ჩემი პატარა ბიჭი ხვალინდელ კაი დღეს რომ არ ჩავიხუტო, მოვკვდები კაცი! გამიშვით! — უცნაურად აღელვებულმა წამოიძახა მან. — გამახარებიეთ ოჯახი... ველარ ვისვენებ... გეფიცებით, გევიქცევი, ისეთ გუნებაზე ვარ! ნუ გამაქცევთ, გამიშვით, თქვენი ჭირიმე! ერთი საათი მაქვს დრო. მატარებელზე მივასწრებ!

— სხვებს ეწყინებათ, ბიჭო... იმათაც სურთ წასვლა.

— არ ეწყინებათ... მე მოველაპარაკე! მიშველეთ და მერე თავს შევაკლავ სამსახურს!

— კარგი, კარგი, დაწყნარდი! აგერ ვთხოვ ნაწილის უფროსს და თუ გაგიშვა...

მივედი პოლკოვნიკთან, ვთხოვე გაეშვა ესეც რამდენიმე დღით შვებულებაში, ეუთხარი რომ ბიჭი ისეა არეული, რომ ეს არის გადირეკა, თუ უარი მიიღო-თქვა. დათანხმდა.

— გასწი, მაგრამ სამი დღის იქით აქ უნდა იყო! — ეუთხარი.

— თქვენი თავი მიცოცხლა ღმერთმა! — შემომძახა გახარებულმა კვაჭაძემ. — თქვენ გაუთენეთ აღდგომა ჩემს ოჯახს და ჩემს ცოლშვილს!.. მივასწრებ მატარებელს! — წამოიძახა და კოხტა, სიცოცხლით სავსე ბიჭი გაქრა ღამის სიბნელეში.

ერთი გურული ახალგაზრდა მოხვდა ჩემს გუნდში, სურებელი პარმენა კეკელიძე; კოჭლობს, ცალ ფეხს ვერ ადგამს ქუსლით მიწაზე. დამწვარი მაქვს ფეხიო და იმის შემდეგ გაფუჭებულიაო, ველარ ეხმარობ ფეხსო, — მითხრა შეკითხვაზე. — კომისიამ გამსინჯაო, მაგრამ სამსახურისაგან არ გამანთავისუფლესო, მიმიღესო...— კომისიებში ხშირად უყურადღებოდ სტოვებდნენ ავადმყოფობას, ეს ვიცოდი, და ვიფიქრე, შეიძლება ეს კეკელიძეც ერთი ასეთი უყურადღებობის მსხვერპლთაგანია და ამიტომ რამდენიმე დღის შემდეგ მივიყვანე ჩემს მეგობარ ექიმთან.

— პეოტრ მიხაილოვიჩ, შენი ჭირიმე, გულდასმით გაუსინჯე ამ

ბიჭს ფეხი. შეიძლება კომისია შეცდა და შეცდომით იცნო სავარგისად.

ექიმმა გასინჯა, დიდხანს უტრიალა იქით-აქეთ; გაიცინა.

— ტყუა!.. არაფერი ნაკლი არ აქვს! იგონებს! — სიცილით მითხრა.

— ბიჭო, კეკელიძე, ფეხი კარგად გქონია! — მივუბრუნდი კეკელიძეს. — დაადგი გაბედულად ფეხი!

ბიჭი გაშტერებული იყო.

— გესმის... ექიმი ამბობს, რომ შენს ფეხს არაფერი ნაკლი არა აქვს... გესმის თუ არა?

— მტკივა, ბატონო!.. დამწვარი მაქვს! — სიტყვა გაწყვეტით წაილაპარაკა.

— მოსცხეთ ერთი კარგად და ნახავთ თუ არ გაუაროს ტკივილმა! — სიცილით თქვა ექიმმა.

ბიჭი ატირდა კიდეც. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მივიყვანე მეორე ჩემს კარგ ამხანაგ ექიმთან.

— თუ გიყვარდე, ერთი გულდასმით გაუსინჯე ამ ბიჭს ფეხი... ირწმუნება, რომ წამხდარი აქვს ქუსლი და ფეხს მიწაზე კარგად ვერ დგამს, ამის გამო... უნახე, შენი ჭირიმე, შეიძლება მართალი იყოს!

ფეხი საღი აღმოჩნდა.

— ა, ბიჭო, ეს ახლა მესამე ექიმი ამბობს, რომ ფეხი კარგად გაქვს... ცუღლუტობ და ის არის! არ გაგივა არაფერი — არ გაგანთავისუფლებენ!.. ტყვილა იწვალებ თავს! დაადგი ფეხი კარგად! — შევუტიე.

ბიჭმა ისევ იწყო ტირილი.

— მაგ ტირილით ვერაფერს ეწევი, გეუბნები სწორად იარე და ცუღლუტობას თავი დაანებე!

— მტკივა, ბატონო!.. მტკივა! — წაილაპარაკა ისევ აცრემლებულმა.

— გასწი გუნდში!.. ყველა გეუბნება, რომ არაფერი არ გიჭირს, რომ იგონებ!.. შენ შენსას არ იშლი? იყავი ეგრე... აგერ შენ ამხანაგებთან გეუბნები: როგორც გინდა ისე იყავი... მე დღეიდან ისე გიყურებ, თითქოს არც კი იყო ჩემს გუნდში... მე სინდისიან ბიჭებთან მაქვს საქმე და ცუღლუტებს ზიზღით ვუყურებ!

ვერ გავასწორებიე ფეხი კეკელიძეს. ერთ დღეს მითხრეს, რომ ნათესავები მოუვიდა და ჩემი ნახვა უნდათ. მოვიდნენ — ერთი ძმა და მეორე ბიძა. მოკლე წუწუნის შემდეგ ბიძამ ამოიღო უბიდან დაკეცილი ქაღალდი და გამომიწოდა. გავშალე, წავიკითხე — მეზობ-

ლობა ამოწმებს, რომ პარმენა კეკელიძეს ფეხი აქვს დამწვარი, გაფუჭებული და ამ ცალ ფეხს ვერ ხმარობს, დაკოჭლებულია; ორმოცამდე ხელის მომწერია. დავკეცე ქაღალდი, გადავეცი მომცემს და ვუთხარი:

— თქვენც ტყუილად იტანჯებით და იმასაც ცუღლუტობას აჩვევთ. ეს თქვენი ნათესავი კაცი ექიმებს გავაპინჯე და მას არაფერი სატკივარი არ აქვს!..

ჩაღუნეს თავები შუამდგომლებმა და თავიანთი ქაღალდით ხმაამოუღებლად გაშორდნენ გუნდის ბინას.

კეკელიძე მართლაც დაეგდო გუნდში — კოჭლობით დადიოდა. სადღესასწაულო დღეებში პატარ-პატარა ჯგუფებით რიგრიგობით შეებულება ეძლეოდათ ჯარისკაცებს სახლში წასასვლელად. მოვიდა ჩემთან ჯარისკაცი, კეკელიძის მეზობელი.

— ბატონო, პარმენა კეკელიძე გთხოვთ გაუშვათ სახლში ოგიც! მითხრა მან. — თვითონ ვერ მობედა თქვენთან მოსვლა და მე მთხოვა.

— ფეხი რომ ტკივა?.. სურებში რა აიყვანს და ჩამოიყვანს ამ რამდენიმე დღეში?!

— გაუშვით, ბატონო!.. ეგებ ქე გაუსწორდეს მ-შვილს ფეხი, სახლშიც დაარიგებენ! — სიცილით თქვა ბიჭმა.

— დარჩება სახლში... პირს აქეთ არ იზამს!..

— გაბედოს მაი და ვაყურებინებ სეარს!.. ჩვენ ჩამოგითრევთ სურებიდან კი არა, სადაც რომ გადიმალოს იქიდან. გაუშვით, ბატონო, ყველა გთხოვთ... ეგებ შერცხვეს თავისთავის და გამოსწორდეს!.. — მთხოვა შუამავლად მოსულმა.

გავუშვი. გუნდში კეკელიძე თავის დროზე დაბრუნდა, მაგრამ ფეხი არ გასწორებია, ისევ კოჭლობდა. კოჭლი ჯარისკაცი რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო?!. მთელი ოთხი წელიწადი იკოჭლა მან; სამსახური კოჭლობით გაატარა და კოჭლობით წავიდა სახლში. შეიძლება მართლა წამხდარი ჰქონდეს ფეხი და ვერ ხვდებოდნენ ექიმები, ხანდახან ვიტყოდი ხოლმე გუნდში!

გაიარა რამდენიმე თვემ და სამსახურგათავებული კეკელიძე სახლში წავიდა. ერთ დღეს ყაზარმებიდან მივდივარ ქალაქში. გზა უნდა გავიარო რკინიგზის საბარგო სადგურთან. ორთქლმავლები კივიან, მიათრევ-მოათრევენ ვაგონებს; აქა-იქ დარბიან მეისრეები სტვენით და მოკლე სანიშნის ფრიალით; აგერ ერთმა მეისრემ მარდად გაირბინა ჩემს ახლოს. გავჩერდი გაკვირვებული.

ბიჭოს!.. ჩემი პარმენა კეკელიძე!

— კეკელიძე! — მივაძახე. მან გადაასწორა ისარი, გაუშვა ორთქლმავალი და მოირბინა ჩემთან.

— კეკელიძე, ძალიან მარდად დახტიხარ!.. მოგირჩა ფეხი? — სიცილით მივმართე. იგი იდგა ჩემ წინ, მომჩერებოდა ხმაამოუღებლად.

— რამ გაგისწორა, ბიჭო, ფეხი? მთელი ოთხი წელიწადი კოჭლობდი და ახლა რარიგად დახტიხარ, ა?!. — განუმეორე.

— უჰ, ბატონო! ნუღა გამახსენებთ!.. თქვენთან ისეთი შერცხვენილი ვარ, რომ ყოველთვის გერიდებოდით, თქვენი შეხვედრა სიკვდილად მიმაჩნდა — მე რომ თქვენთან საქმე მომივიდა, რარიგად უნდა დაგნახვებოდით... ჩემი ცოდვა მიეცა იმათ, ვინც მე მაშინ ამ გზაზე დამაყენა!.. მეც დამაგლახავეს და ყველას ჩემი თავი შეაძულებინეს! — შეწუხებით წარმოთქვა კეკელიძემ.

— აბა იგონებდი... ხომ?

— დამარიგეს ჩემიანებმა, განთავისუფლდებიო. არაფერი გამოვიდა... შემრცხვა და ვამჯობინე შერცხვენილად დარჩენას ყველაფერი ამეტანა და სასაცილოდ არ გამეხადა ჩემი თავი. ოთხი წელიწადი დაგლახაკავებული დავდიოდი ამის გამო! ჩემი ცოდვა მიეცათ ჩემს დამრიგებლებს!.. ბრიყვულად ავყევი და კარგად გადამხდა ამისათვის. აწი კი აღარ მომივა ამისთანა რამე... ცულლუტობით საქმე არ გაიტანება... თქვენთან ვერ მოვბედე სირცხვილით მოსვლა ბოდიშის მოსახდელად... გაგაწვალეთ ყველა ჩემი უსაქციელობით... თქვენ კიდევ შემინახეთ, თორემ სხვას რომ ჩავვარდნოდი ხელში, ვინ იცის რა მომივიდოდა!.. მაპატიე, ბატონო!..

ვუსმენდი მის შეწუხებულ სიტყვებს და ვიცინოდი.

— მაშ ახლა რკინიგზაში მსახურობ?

— კარგადაც მიყურებენ! — მხიარულად თქვა მან. — თქვენთან შევირცხვინე ოღონდ თავი!..

— იცოცხლე, პარმენა! ნურც მაგ შენს თავმოყვარეობას. ნურც შენს სინდისიანობას ნუ დაკარგავ! იყავ კარგად! — გულხალისიანად შევძახე და გავშორდი.

აქამდი ჩვენ მოგვდიოდა ნაწილის უფროსებად ახალგაზრდა პოლკოვნიკები, უმეტეს შემთხვევაში გვარდიიდან; რჩებოდნენ ორსამ წელიწადს და შემდეგ გადადიოდნენ უფრო დიდ ნაწილებში. ახლა კი მოგვევიდა შეხნიერებული პოლკოვნიკი, ნამდვილი წარმომადგენელი იმ ჯურის ოფიცრობისა, რომელთ ეძახდნენ „ღრმა ფეხსნებს“ (გლუბოკაია პეხოტა) — ეს ჯური იყო დამყარებული სასტიკ ფორმალიზმზე და გარეშე სამსახურისა არა სწამდათ რა. ამას ზედ ემატებოდა კიდევ ის, რომ ახალი ნაწილის უფროსი იყო ჩუ-

ხონელი, არარუსი, და ყოველნაირად მეცადინეობდა დაეფარა ეს მისი არარუსობა. თავი მოჰქონდა იმით, რომ ხელმწიფის მასწავლებელი იყო თოფის ვარჯიშობაში მისი ტახტის მემკვიდრედ ყოფნის დროს; როგორც შემდეგში გავიგეთ, მისი მასწავლებლობა იმაში გამოიხატა თურმე, რომ ერთხელ სადღაც საზაფხულო ბანაკში თოფი გაუსწორა ყმაწვილ მემკვიდრეს სროლის დროს. ამას თვლიდა მასწავლებლობად და ამ შემთხვევას უბედნიერეს წამად თავის სიცოცხლისას. ხანშესული, ბეჩავი ფიზიკურად, უფრო კი გონებრივად. მას სწამდა მხოლოდ რუსობა და ყოველი არარუსი მხედველობაში მისაღები არ იყო და არ უნდა არსებულიყო. მას დიდად ეოცა, როცა მის წინ მყოფ ჩვენი ნაწილის უფროსის პოლკოვნიკის გამოსათხოვარ ვახშამზე მრავალჟამიერი დასძახეს; მას უთხრეს, აუხსნეს, რომ ეს ასეთი ჩვეულებაა ადგილობრივ მცხოვრებლებშიო.

— ჩვენ რუსეთის ქვეშევრდომნი ვართ და რუსეთის ჩვეულებებს უნდა მივსდევდეთ! — უკმაყოფილოდ წამოისროლა მან, მაგრამ ამით ის გამოიწვია, რომ სიმღერა უფრო ხმიანი შეიქნა და დაუსრულებელი.

რაც დრო გადიოდა, ეს „ღრმა ფეხოსანი“ თანდათან იჩენდა თავის ობსკურანტობას; ეხებოდა ათასნაირ საკითხებს, სჭრიდა ყველას სამხედრო თვალსაზრისის მიხედვით. ეხებოდა ლიტერატურასაც, რასაკვირველია, თავისებურად, თავისი საზომით. მაგალითად, ტურგენევი ძლიერ ეჯავრებოდა — სულ სიყვარულზე წერსო, ამბობდა, რყვნის ახალგაზრდობასო და ამიტომაც ნებას არ აძლევდა, უკრძალავდა თავის ქალიშვილს, მეშვიდე კლასის მოწაფეს, ეკითხნა ტურგენევი.

როგორც იქნა დავითანხმეთ ის ჩვენს სამხედრო საკრებულოში გამართულიყო გოგოლის დღესასწაული, რამაც დიდებულად ჩაიარა; მაგრამ მტკიცე უარი მივიღე, როცა ვუთხარი, რომ გვეწადა ჟუკოვსკის დღესასწაულიც გაგვემართა.

— ჟუკოვსკი?.. ჟუკოვსკი მაინცდამაინც არაფერი მწერალი იყო და რუსეთისათვის ბოროტების მეტი არა მოუტანია რა მის მოღვაწეობას... მან აღზარდა ალექსანდრე მეორე, შეათვისებინა მაზარალებელი აზრები. მისი წყალობით წამოიზარდნენ ისეთი პირები, რომლებმაც არ დაინდვეს განსვენებული კეთილი მეფე; მისი გავლენის ქვეშ მიეცა თავისუფლება ფინლანდიას, ახლა რომ გვიძნელებს საქმეს; კინაღამ პოლონეთიც დავკარგეთ... ეს ყველაფერი ჟუკოვსკის გავლენისაგან მომხდარი ამბავია და მისი საპაციესაცემო დღესასწაული კი არა, დასაგმობი კრებებია საჭირო!.. მისი ლიბე-

რალობის ნათესისაგან ჯერ კიდევ კაი ხანს ვიქნებით შეწუხებულნი! არა, არა... დავიწყებას მიეცით მისი სახელი, მისი ხსენება!..

როგორც ზემოთ ვთქვით, ქალიშვილს უკრძალავდა ტურგენევის კითხვას — არ გაირყვნესო, თვითონ კი იმდენად გარყვნილი იყო, რომ სახლში, ცოლის გვერდით, მისგან დაჩაგრულ, საწყალი არსების გვერდით, გუვერნანტკას სახით ჰყავდა მეორე ქალი, ვითომ შეთვისებული ლარიბი ქვრივი, რომლის შვილი საოცარი მსგავსება იყო მისი. სასტიკი დესპოტი იყო თავის ოჯახში და ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა მასთან. ეს ყველაფერი გამოაშკარავდა შემდეგში და ამიტომაც ასე ვყვები ამის შესახებ; ვყვები ამასთანავე იმიტომ, რომ დავიწყებას ვერ ვაძლევ, თუ რა ტიპის ხელში ვიყავით მოქცეული და ვისგან გვხვდებოდა ხელმძღვანელობა და კონტროლი. და რა კონტროლი მერე?!.

ახალგაზრდა ოფიცერმა, გვარად ნეიმანმა, შეირთო ცოლი. რამდენიმე ხნის შემდეგ გაუჩნდათ შვილი. პოლკოვნიკმა (გვარი მისი იყო მერტენგრენ) გამოიანგარიშა, თუ როდის დაიწერა ნეიმანმა ჯვარი, როდის დაიბადა ბავშვი და გამოარკვია, რომ ნეიმანს კავშირი ჰქონია საცოლესთან ჯვარის დაწერამდი. მერტენგრენმა წინადადება მისცა ნეიმანს სამსახურიდან გასულიყო, რადგან მან შებღალაო ზნეობა. გვეოცა ასეთი საქციელი ნაწილის უფროსისა და ნეიმანს ვუთხარით, სამსახურიდან დათხოვნის განცხადება არ შეეტანა არასგზით. ასეთი ანგარიშები, ასეთი ჩარევა ინტიმურ ცხოვრებაში, დასჯა — ეს რაღაც უცნაური რამ იყო! ჩვენ მოვთხოვეთ ნეიმანს უყურადღებოდ დაეტოვებინა პოლკოვნიკის მოთხოვნა, რადგან ეს უკვე ყველას გვეხებოდა — უმგვანო ბრძანების აღსრულება იქნებოდა დაკანონება მერტენგრენის შეუწყნარებელი თვალსაზრისისა. თავდაპირველად მაგრად იდგა ნეიმანი, შემდეგ კი შეშინდა და იმდენად დაფრთხა, რომ როცა პოლკოვნიკმა უბრძანა საბელმწიფო ბინა დაეცალა, რადგან მისი ცოლის ყოფნა სხვა ოფიცრების ოჯახებთან სათაკილოაო, — იგი აიბარგა და გადავიდა ახალ ბინაზე. ამას არ დაჯერდა უფროსი და ნეიმანი ოფიცერთა სასამართლოს პასუხის ქვეშ მოაქცია, ესე იგი უნდა გაგვეგდო ნეიმანი სამსახურიდან. პოლკოვნიკმა მიიწვია სასამართლოს თავმჯდომარე და დარიგება მისცა; ამან გადაკვრით გვაცნობა ჩვენ, სასამართლოს წევრებს, რომ პოლკოვნიკს სურს ნეიმანი გაძევებულ იქნას, როგორც ზნეობადაკარგული პიროვნებაო. სამმა წევრმა წინააღმდეგობა გამოვთქვით და თან პოლკოვნიკის გაკიცხვა ვიწყეთ ისე, რომ თავმჯდომარე იხვეწებოდა: როგორც გინდათ განაჩენი გამოიტანეთ, ოღონდ

შეწყვიტეთ ლაპარაკი პოლკოვნიკის წინააღმდეგო. სამმა ორის წინააღმდეგ გავამართლეთ ნეიმანი. მეტისმეტი გაჯავრებული იყო პოლკოვნიკი ამ განაჩენით და ამის შემდეგ ისე ეპყრობოდა საწყალ ახალგაზრდა ოფიცერს, რომ იძულებული გახდა ჩვენი ნაწილი მიეტოვებინა და სხვაგან გადასულიყო.

ერთმა ოფიცერმა რამდენიმე ინდაური შეიძინა და ეზოში გაუშვა. პოლკოვნიკმა ოფიცერს უბრძანა მამალი ინდაური დაეკლა, რადგან დედალს ეფაფხურებაო, ამას უყურებენ ჩემი ქალიშვილები და ცუდი გავლენა აქვთ მათზედო.

ასეთი იყო ეს ჩვენი მეთაური, ჩვენი მწვრთნელი, ჩვენი ხელმძღვანელი, რომელიც ღაღადებდა, რომ ყოველივე ხელისუფლება ღვთისაგან არის დაწესებული, რომ მეფე დედამიწაზე ღვთისაგან დაყენებულია, ყოველივე უფლება მინიჭებული აქვს უფლისაგან, ხოლო მეფისაგან ეს უფლება გადადის ყოველ იმაზე, ვისაც მეფე აღჭურავს ამა თუ იმ უფლებით. ამ ფილოსოფიას ხშირად ქადაგებდა იგი და გულმოდგინედ უნერგავდა ყველა თავის ხელქვეითს. მისი სიტყვიდან გამოდიოდა, რომ იგიც იყო ღვთაებრიობის მონაწილე, რადგან იყო ხელისუფლების წარმომადგენელი.

მართლმადიდებლობა და რუსი — ამის გარეშე არაფერი არ უნდა ყოფილიყო რუსეთის სახელმწიფოში.

ერთხელ, რაღაც პარაკლისის შემდეგ, მღვდელმა მოინდომა ნაკურთხი წყლის სხურებით ჩამოვლა გუნდებისა. მინდორში ვდგავართ. გუნდებში ებრაელებიც და მუსულმანებიც არიან. ვუბრძანეთ ჩვენ-ჩვენ გუნდებში მწკრივიდან გასულიყვნენ ისინი და უკან დამდგარიყვნენ, რათა აგვერიდებინა წყლის სხურებას. პოლკოვნიკმა დაინახა ეს და იყვირა — ჩამდგარიყვნენ მწკრივში, თავიანთ ადგილას.

— ისინი ებრაელები და მუსულმანები არიან, — ვუთხარით.

— მერე რა?.. რა ნება აქვთ ერიდონ წმინდა წყლის სხურებას? გთხოვეთ ფხიზლად უყუროთ საქმეს! — მწყრალად გადმოგვძახა, ჩაყვინა ყველა მწკრივში და მღვდელმაც გულმოდგინედ ასხურა „წმინდა წყალი“ და აჩრიდა სამთხეევად ჯვარს ებრაელებსაც და მუსულმანებსაც.

გასაოცარი გულმოდგინებით უნერგავდა ყველას, რომ რუსეთის იმპერიაში ყველა რუსია და რუსი უნდა იყოს.

არ დამავიწყდება, რაც ამ პოლკოვნიკმა ჩაიდინა ერთხელ ახალმოყვანილი ჯარისკაცების ოთხი თვის სწავლის დამთავრების გამოცდაზე.

ოთხთვიანი სწავლის დამთავრებული ახალგაზრდა ჯარისკაცები ვუნდ-გუნდებად გვყავდა დაყენებული მინდორში. გამომცდელი, ეგზამენატორი — პოლკოვნიკია, რასაკვირველია.

მივიდა პირველი გუნდის ახალ ჯარისკაცებთან. თოფის ვარჯიშობის შემდეგ მისცა სხვადასხვა კითხვები. დაბოლოს ჰკითხა:

— ვინ ხარ შენ?

ებრაელმა მიუგო: — ებრაელი.

პოლკოვნიკი გაჯავრდა და მიაყვირა: — დურაკ!.. კაკოი ტამ ევრეი?!. აბა, შენ, ვინ ხარ შენ?

შეეკითხა მეორე ებრაელს. ეს მიუხვდა პოლკოვნიკს და ხმამაღლა, თამამად შესძახა:

— რუსი!

— რასაკვირველია რუსი!.. რუსი... ეს კარგად უნდა იცოდე, რომ რუსი ხარ!

ახლა გადავიდა მეორე გუნდის ახალგაზრდების გამოსაცდელად. რამდენიმე კითხვის შემდეგ ისევ შეეკითხა ერთ ჯარისკაცს:

— ვინ ხარ შენ?

მწკრივის მეორე რიგში იდგა ჯარისკაცი როსტომაშვილი.

— ვინ ხარ შენ? — გადაუძახა მას პოლკოვნიკმა.

— როსტომაშვილი!

— დურაკ! მე გეკითხები, შენ ვინ ხარ? გესმის თუ არა? — მიაყვირა პოლკოვნიკმა.

ჯარისკაცი გაშრა შიშისაგან.

— მე შენ გეკითხები, ვინ ხარ შენ?

— არმიანინ! — მიუგო გაუბედავად როსტომაშვილმა.

— კაკოი ტამ არმიანინ?!. გდე ტვოია როდინა, დურაკ?

ბიჭი დაიბნა, ხმას ვეღარ ილებდა. პოლკოვნიკმა მძლავრად მიაყვირა:

— ია ტებია სპრაშივაიუ, დურაკა — გდე ტვოია როდინა? სლიშიშ ტი?.. გდე ტვოია როდინა?

— გორი! — წაილუღლუღა როსტომაშვილმა.

— კაკოი ტამ გორი? ია ტებია სპრაშივაიუ, გდე ტვოია როდინა? — არ ეშვებოდა გაჯავრებული პოლკოვნიკი. — ნუ!

როსტომაშვილმა მიაშტერა თვალები პოლკოვნიკს და „ნუს“ შეძახებაზე წამოიძახა:

— არმენია!

— არმენია?!. — იყვირა პოლკოვნიკმა — არმენია?! კაკაია ტამ არმენია!.. ეტო ჩტო ტაკოე, კაპიტან უსპენსკი (როსტომაშვილის გუნდის უფროსი იყო), გესმით რას ამბობს ეს თქვენი ჯარისკაცი?!

ვინ ასწავლა მას ეს არმენია? სად გამონახა ამან არმენია?! ეტო ჩტო-ზა ნოვოსტ! გდე ტვოია როდინა, დურაკ, გდე?!

დამფრთხალი როსტომაშვილი იდგა გაშტერებული, გამშრალი.

— ვინ ეტყვის მას, სად არის მისი სამშობლო, ვინ არის იგი?

— მე შემიძლია! — მოისმა ხმა და პირველი გუნდის ახალგაზრდებიდან წამოიჭრა შავგვრემანი ჯარისკაცი.

— ნუ!.. სკაჟი ემუ! — პოლკოვნიკმა უკმაყოფილებით მიაპყრო თვალი, ეტყობოდა არ ესიამოვნა, რომ მის წინ ებრაელი იდგა. — აბა უთხარი! — კუშტად უბრძანა პოლკოვნიკმა.

— მისი სამშობლო რუსეთია და იგიც რუსია! — თქვა ებრაელმა.

— რასაკვირველია! — წამოიძახა პოლკოვნიკმა. — რასაკვირველია!

— შენი სამშობლო რუსეთია და შენ, დურაკო, რუსი ხარ, რუსი! ჰმ, არმენია! უყურეთ ერთი!.. შენ შეიძლება მამა გყავდეს სომეხი, დედაც სომეხი იყოს, მაგრამ შენ რუსი ხარ... დიახ, რუსი, რუსი!.. არმენია!.. კაპიტან უსპენსკი, აწი აღარ გავიგონო ასეთი სისულელე!.. ეს ვაჟბატონი კი დასაჯეთ, რომ გადაივიწყოს მისი არმენია!.. ია ტებე პოკაჟუ არმენიუ!

გამოსაცდელ ჯარისკაცებს დაუარეს ოფიცრებმა და გააფრთხილეს, რომ პოლკოვნიკის შეკითხვაზე, თუ სად არის სამშობლო, ანდა ვინ ხარ — ეპასუხნათ: რუსეთი და რუსი ვარო.

მეხუთე გუნდის ახალ ჯარისკაცებში მოქცეულიყვნენ რამდენიმე ყირგიზი და ბაშკირი;—ამობუსკული პირისახის ძვლები, წვრილი მოჭუტული თვალები.

— ვინ ხარ შენ? — მიმართა ერთს ამათგანს პოლკოვნიკმა.

—რუსი! — თქვა პასუხი.

— რასაკვირველია! — კმაყოფილებით წამოიძახა პოლკოვნიკმა.

— შენ? — შეეკითხა მეორეს.

— რუსი! — ძლივს წარმოთქვა შეშინებულმა ყირგიზმა.

— რა ასე გაუბედავად ამბობ, თითქოს გერცხვინება... უნდა გიხაროდეს, რომ რუსეთში ხარ და რუსი ხარ!..

ასეთი შეკითხვით მიმართა დანარჩენებსაც და რა მიიღო მათგან პასუხად, რომ რუსები ვართო, პოლკოვნიკი კმაყოფილი დარჩა და გუნდის უფროსს უთხრა: — ეტყობა გიმაცადინიათ და საკმაოდ შეგითვისებიათ მათთვის მათი ვინაობაო. უკმაყოფილო დარჩა მხოლოდ იმითი, რომ ჯარისკაცები ვერ უგებდნენ შეკითხვაზე, თუ საიდან წარმოსდგება მეფის ხელმუფლება და მეფისათვის მინიჭებული ღვთაებრივი ძალა თანდათანობით როგორ გადმოდის მის მიერ დაყე-

ნებულ ყველა მოხელეზე. ეს თავისი გულისწუხილი ჰექტოგრაფზე დაბეჭდილ ბრძანებაშიაც გამოთქვა და ავალებდა გუნდის უფროსებს ეს ნაკლი გაესწორებინათ — ღრმად შეეთვისებინათ ჯარისკაცებისათვის მეფის ღვთაებრიობა, მისი ხელისუფლების ღვთაებრიობა და აქედან თვითეული მოხელის უფლების ღვთაებრიობაც.

ეს ბრძანება ისეთი გამოვიდა, რომ უფროსმა გენერალმა როცა იგი წაიკითხა, მოიწერა, რომ ბრძანება არ გავრცელებულიყო ნაწილის გარეთ; მისი მოსპობა ამ გონიერმა გენერალმა (გვარად სოკოლოვსკი) ვერ უბრძანა, რადგან ადვილად შეიძლებოდა დაბრალებოდა არაკეთილსაიმედობა.

რუსობას უნერგავდა გულმოდგინედ ოლქის მზრუნველიც ზავადსკი (პოლონელი), ცნობილ იანოვსკის ნაცვალი. ასეთ ინციდენტს ჰქონდა ადგილი ბათუმში მისი ჩამოსვლის დროს. ბათუმის საქალაქო სასწავლებლის ერთ-ერთ კლასში მან მოიხმო მოწაფე და შეეკითხა:

— ვინ ხარ შენ?

— აჭარელი! — მიუგო მოსწავლემ.

— აჭარელი, აჭარელი... სხვა არაფერი?

ბავშვი დაიბნა.

— თათარი! — თქვა მან გაჩუმების შემდეგ.

— თათარს აქ რა უნდა? — მოღუშვით წარმოთქვა ზავადსკიმ.

— მუსულმანი ქართველი! — გაასწორა მოწაფემ.

— შენ არ გცოდნია შენი ვინაობა!.. მოიტა ხელი!

მოწაფემ ხელი გაუბედავად გაუწერა. ზავადსკიმ ჩაჰკიდა ხელი, ვადაუბრუნა ალმა ხელისგული და ზედ დაადო მარჯვენა ხელის მაჩვენებელი თითი. ბავშვი გაშტერებით მისჩერებოდა.

— გაიმეორე ჩემთან: მე ვარ რუსი!.. მე ვარ რუსი!.. რუსი! რუსი! — და ბავშვი რომ თრთოლვით იმეორებდა: მე ვარ რუსიო, ზავადსკი ხელისგულზე უკაკუნებდა თავის მაჩვენებელ თითს.

— ახლა ხომ გაიგე ვინცა ხარ?!. დაიმახსოვრე კარგად და სხვასაც გააგებინე!.. — ჩასძახა მან შეშინებულ ბავშვს.

ამ გზით „აქლიერებდნენ“ მეფის რუსეთს, მაგრამ ცხოვრება თავისას შვებოდა.

ბათუმი, საოცარი სისწრაფით გაზრდილი, დუღდა და გადმოდიოდა, რომ იტყვიან. მის მცხოვრებთა თითქმის ნახევარს შეადგენდნენ ქარხნის მუშები. აუარებელი მუშა იყო როტშილდის ქარხანაში, შემდეგ მანთაშევის ქარხანაში. ცხოვრობდნენ ისინი ქალაქში, ბევრი ეგრეთ წოდებულ გოროდოკში, უმეტესობა როტშილდის ქარხნის გადაღმა — ბარცხანაში. აქ თითქმის მხოლოდ ქართველობა იყო,

სოფლებიდან აყრილი და ბათუმს შემოხიზნული ელემენტი. აქ ზოგმა იყიდა, ზოგმა იჯარით აიღო მიწა და გამართეს მოსახლეობა. ბარცხანა იმდენად გაიზარდა, რომ მთავრობამ აქაურებს მამასახლისიც ამოარჩევია და სამართველოც დააწესა.

თავშეყრილმა მუშებმა ნელ-ნელა ერთგვარი ორგანიზაციის შემოღება იწყეს. ხელმძღვანელები ამისათვის ბათუმში ბლომად მოიპოვებოდნენ — მესამე დასელები დღითი დღე აძლიერებდნენ თავიანთ მუშაობას. აქ მათ ჰყავდათ უფროსი ხელმძღვანელები, როგორიც იყო საშა წულუკიძე და წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლის მასწავლებლად მყოფი რამიშვილი. ხშირად მოდიოდა ფილიპე მახარაძე.

ამათ იმდენი ახერხეს, რომ ქალაქში გახსნეს საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელსაც მოუგროვეს მრავალი წიგნი და უწერდნენ ჟურნალ-გაზეთებს. სამკითხველო ნურიაში იყო და მუდამ სავსე იყო მკითხველით. სამკითხველოს გარდა, დიდი მეცადინეობის შემდეგ. გაიხსნა საკვირაო სკოლა ბარცხანაში. აქ როტშილდის ქარხანას მუშების სასადილოსათვის ჰქონდა აგებული ფიცრული და აქ გაიმართა საკვირაო სკოლა. რა თქმა უნდა, ეს მოგვარდა დიდი მეცადინეობის და გაჭირვების შემდეგ. სკოლის პასუხისმგებელ გამგედ იყო მღვდელი სიმონ თოთიბაძე. როგორც იქნა, მთავრობა დათანხმდა თოთიბაძის გამგებლობაზე, დართო ნება იმ აზრით, რომ მღვდელი უფრო საიმედო იქნებოდა. თოთიბაძე ახალგაზრდა იყო. გულწრფელი, განვითარებული, მოწინავე აზროვნების მქონე პიროვნება. ამ თვისებებმა ბევრი სიმწარე გამოაცდევინეს მას, მაგრამ იგი მუდამ მაგრად იდგა თავის პოზიციაზე და ამიტომაც დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული, ნამეტურ ქართველობაში. მისი პასუხისმგებლობის ქვეშ გახსნილი საკვირაო სკოლა მან დაუქვემდებარა იმ პირებს, რომელთა იმედი ჰქონდა და ესენიც განაგებდნენ სკოლას. სკოლაში აუარებელი ხალხი დადიოდა. სწავლის გათავების შემდეგ იმართებოდა ერთგვარი საუბრები. რამდენიმეჯერ ვყოფილვარ ამ სკოლაში და ყოველთვის გაოცებული ვრჩებოდი, როცა ვხედავდი რა ხალისით, რა გატაცებით ეკიდებოდა, ეკლებოდა ამ სკოლას ეს ხალხი, რომელიც საღამომდი ქარხანაში მუშაობდა, საღამოს კი, დაუსვენებელი, მორბოდა სკოლაში. საკვირაო ერქვა სკოლას, მაგრამ მეცადინეობა კვირა დღეების გარდაც იყო.

უთანხმოება ქარხნების, ნამეტურ როტშილდის, მმართველთა და მუშებს შორის წინათაც ხდებოდა ხოლმე, მაგრამ ამ ხანებში უფრო ხშირი ხდებოდა და უფრო ღონიერი, უფრო მძლავრი. მუშებს ჰყავდათ დამრიგებელნი, ხელმძღვანელები და ამიტომ ახერხებდნენ

უფრო შეკავშირებულ მოქმედებას, საერთო მოთხოვნილების გამოცხადებას.

მუშების დასაშინებლად როტშილდის ქარხნის მთავარმა მმართველობამ გამოაცხადა, რომ ქარხანა გადატანილი იქნება ბათუმიდან ფიუმეში (ავსტრიაში). ამან, რასაკვირველია, დიდი მღელვარება გამოიწვია არა თუ მარტო მუშებში, ბათუმის მცხოვრებლებს შორისაც. საზღვარგარეთიდან ჩამოსულ ფირმის წარმომადგენელთან მივიდა მუშების დეპუტაცია. ფირმის წარმომადგენელი (არ უნდა ვცდებოდე მგონი — როტშილდის სიძე ეფრუსი) აცხადებდა: ამ ბოლო ხანებში ისე ირჯებიან მუშები, რომ ქარხანას აღარ შეუძლია თავი მოუაროს ყოველივეს და ამიტომ იძულებული ხდებაო ქარხანა ან სხვაგან, საზღვარგარეთ, გაიტანოს ან და სულ დახუროს იგი, თუ მუშები განაგრძობენ მათგან დაწყებულ მოქმედებას.

მოკლე ხნით ქარხნის მმართველობა და მუშები მორიგდნენ, მაგრამ მალე ისევ ატყდა უკმაყოფილება. ამჯერად მუშები ისე ორგანიზებულად ამოქმედნენ, რომ ცხადი იყო, მათ შესანიშნავი ხელმძღვანელი ჰყავდათ. წინათ ყოფილი ქარხნის მმართველი, ინჟინერი ზროდლოვსკი, კაცი მოხერხებული, აღარ იყო — გარდაიცვალა; მის ადგილზე ჩამდგარი ქარხნის ახალი დირექტორი ვანშეიდტი ვერ იყო შესაფერისი თავის ადგილისათვის. მუშებისაგან წარდგენილ მოთხოვნილებას მან არ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება; მუშებმა შეწყვიტეს მუშაობა. ვანშეიდტმა განცხადება გამოაკრა, რომ დანიშნულ დღეს ვინც სამუშაოზე არ გამოცხადდება დათხოვნილი იქნებაო. ჩაერია ბათუმის გუბერნატორი. მან მოითხოვა ადმინისტრაციისაგან იმ მუშების სიის გადაცემა, რომლებმაც ქარხნის მმართველს წარუდგინეს მოთხოვნილება და მეთაურობდნენ გაფიცვას. სანამ ეს არ იქნებოდა სისრულეში მოყვანილი, ეკრძალებოდათ ქარხანაში მუშაობის დაწყება. რამდენიმე დღის ყოყმანის შემდეგ, ამ ჩარევით შეშინებულმა ქარხნის მართველობამ, დაასახელა რამდენიმე მუშა, რომლებიც გუბერნატორმა დაუყოვნებლივ დაპატიმრა და მოათავსა ბათუმის ციხეში; დანარჩენებს ებრძანათ მუშაობას შესდგომოდნენ. ამან გააშწვავა, გაართულა მდგომარეობა. მუშებმა არა თუ უკან წაიღეს თავიანთი წინანდელი მოთხოვნილება, უარესად აღელდნენ მათი წარმომადგენლების დაჭერის გამო და ახლა ზედ დაუმატეს დაკავებული, დატუსაღებული მუშები დაუყოვნებლივ გაენთავისუფლებინათ. ადმინისტრაციამ მოთხოვნილებას ყურადღება არ მიაქცია. მუშები აღელდნენ. აღელვებულებმა გასწიეს ციხისკენ, სადაც ისხდნენ მათი ამხანაგები. რამდენიმე ასი კაცი მიიჭრა ციხის კარებთან და აღელვებით მოითხოვეს დატუსაღებულების გამოშვება.

მოსულმა ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განუცხადა მუშებს, რომ ეგ შეუძლებელიაო.

— აბა, ჩვენც... ყველა ჩვენც დაგვაკავეთ!.. ერთიანად! — იყვირა ხალხმა.

ციხის კარებთან აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ვერავითარი მუქარით ვერ გაფანტეს, ვერ აიძულეს ხალხი დაშლილიყო. აცნობეს გუბერნატორს. მოვიდა გუბერნატორი დრიაგინი და როცა მუშებმა ნიაძახეს დატუსაღებულნი გამოუშვითო, მან უარით უპასუხა და თან დაემუქრა სასტიკი ზომების მიღებას. მუშები უფრო აღელდნენ; ადგილიდან არ იძროდნენ. მაშინ გუბერნატორმა მოითხოვა ჯარი.

მოვიდა მორიგი გუნდი ჯარისკაცებისა. გუნდის უფროსი იყო კაპიტანი ესტატე ანთაძე. მუშები ისევ თავიანთ ადგილებზე იდგნენ, აბმაურებულნი. გენერალი დრიაგინი კიდევ იმუქრებოდა, რომ ძალას იხმარდა ხალხის გასაფანტავად. მაგრამ უქმი რჩებოდა მისი ბძანება. ამის შემდეგ მან განკარგულება გასცა: გუნდი მუშებს გარს შემორტყმოდა და ყველა დაეტუსაღებინა.

ოთხასზე მეტი დატუსაღებული მუშა, ჯარისკაცებით გარს შემორტყმული, წაიყვანეს ეგრეთ წოდებულ პერესილნი პუნქტში. აქ იყო მრავალი ყაზარმა და ამ ყაზარმებში შეყარეს დაკავებული მუშები, როგორც ზევით ვთქვი, რიცხვით ოთხას კაცზე მეტი.

ამ ხანებში, ყოველთვის, ყოველდღე, ინიშნებოდა თითო გუნდი საკინიცობო შემთხვევისათვის. ამ დღეს ჩვენი ნაწილიდან უნდა ყოფილიყო მორიგი გუნდი და სწორედ ჩემი გუნდი იყო მორიგედ. ნაშუადღევს გამოგვიცხადეს მზად ვყოფილიყავით. საღამოს ბრძანება მოგვივიდა: პერესილნი პუნქტზე უნდა გამოგვეცვალა იქ ყოფილი გუნდი და საყარაულოში ჩავმდგარიყავით.

გამოვიყვანე გუნდი და გამოვუცხადე მიღებული ბრძანება.

— იმედია ყოველ ხიფათს გადავრჩებით და ბედნიერად დავბრუნდებით, ძმებო!.. — მივმართე ჯარისკაცებს. — მარჯვნით, წინ!..

უკვე კარგად დასაღამოვებულია. წინ მივდივართ ორი ოფიცერი ხმა გაკმენდილნი. არ ისმის ლაპარაკი არც ჯარისკაცებში. ეტყობა, რომ ყველის აწუხებს ფიქრი: შესაძლებელია ცუდი რამ შეგვემთხვას, ცუდი რამ მოხდეს.

არასასიამოვნო საქმეზე მივდიოდით, ამას ყველანი ვგრძნობდით და გულდამძიმებულნი, გარინდულნი მივაბიჯებდით.

მივედით პუნქტზე. აქ დაგვხვდა ციხის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ლევინი.

— დავიდ სამსონიჩ! გამოცვალეთ ახლავე ანთაძის გუნდი... მე ვიცი, რომ ამაღამ დაკავებულები ღობეზე გადახტომით თავიანთ სახ-

ლებში გაიპარებიან, მაგრამ დარწმუნებული ვარ დილას უკვე აქ იქ-ნებიან. გაეცით ბრძანება, რომ თოფი არ ესროლონ, როცა შენიშნა-ვენ ლობეზე გადახტომას... თუ რამე სალაპარაკო გაბდეს მუშებთან, ან აგერ მათი წარმომადგენელი, კატენკო, მოიხმეთ და სხვებთან ერ-თად მოილაპარაკეთ. გთხოვთ მეტის თავაზიანობით მოექცეთ აღელ-ვებულ ხალხს. ცოტა რამ კმარა, რომ უბედურება მოხდეს ამდენ ბალხში!... კატენკო! — მიუბრუნდა იგი იქვე მდგარ მაღალ, განიერ ეხარბეჭიან მუშას, — კატენკო, თქვენ იცით, როგორ თავდაჭერილად იქნებით! აბა, ასე! იმედი მაქვს ყველაფერი მშვიდობიანად იქნება!— თქვა და გაგვშორდა. ლევინი გენერალური შტაბის პოლკოვნიკი იყო, ახალგაზრდა, მეტად რიგიანი პიროვნება.

დამაეიწყდა მეთქვა, რომ როცა ციხესთან მოსული მუშები დაა-ყავეს და პუნქტზე წამოიყვანეს, ციხიდან გამოიყვანეს დაკავებული მუშების წარმომადგენლებიც და ისინიც მოიყვანეს პუნქტზე.

ყაზარმების ეზოში ფუსფუსობდა აუარებელი მუშა; ყაყანებდნენ, ისმოდა გაცხარებული ლაპარაკი, ზოგან სიმღერაც.

შემოვიარე ეზო. განვუმეორე ყარაულად ჩაყენებულ ჯარისკა-ცებს ბრძანება — თოფი არ ეხმარათ არავის წინააღმდეგ და შევედი საყარაულო ოთახში. აქ უკვე ცეცხლი გაეჩაღებინათ, რადგან ცივ-და; მარტის პირველი დღეები იყო; მივუჯექი ცეცხლს; საუბარი არ ბერსდებოდა; ხანდახან ერთ-ერთი თუ წამოიძახებდა ხოლმე — ოჰ, მშვიდობიანად გაგბრუნდებოდეთ აქედან ერთი! — და ისევ სიჩუმე.

ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. გათენდა. გამოვედი საყარაულო ოთახიდან; ეზოში წყლის მილებთან მუშები პირს იბანენ.

— ოჰ, ანთელავა!.. გამარჯობა! როგორაა საქმე?.. ბიჭები ხომ არ გაპარულან?— ეს ანთელავა ახალგაზრდა განვითარებული მუშა იყო, შნოიანი, წარმოსადეგი ვაჟკაცი. იგი ერთ-ერთი წარმომადგენელთა-განი იყო მუშებისა და დიდი გავლენა ჰქონდა მუშებში. მას მე წინა-თაც ეიცნობდი.

—ყველა აქ არის!.. რავა გეიპარებიან!.. ვინც ღამე სახლში გაათია, უკვე დაბრუნდა! — ღიმილით მომიგო მან. —რა გვაქვს გასაქცევი?.. რას უნდა გავექცეთ?! ბატონო, იმათ ვინც აქ ღამე გაათია, ჩაი არ დაულევია და ხომ მოგეხსენებათ, მუშა დაჩეეულია დილით ჩაი უნდა დალიოს. გთხოვენ უბრძანოთ ჩაი მისცენ!

პოლიციამ, რომელსაც დაეალებული ჰქონდა დილაადრიანად ჩაი ეიეცა დაკავებულებისათვის, ნამეტანი დააგვიანა და ძლივს, როგორც იქნა, ჩაჯინების შემდეგ, დაკმაყოფილეს მუშები.

იქნებოდა მეათე საათი, როცა პუნქტზე მოვიდა გუბერნატორი,

გენერალი დრიაგინი. მან დაიარა ეზო, შემდეგ მოუყარა თავი მუშებს და შეეკითხა, ხომ არაფერი გინდათო.

— გაგვიშვით! — მოისმა რამდენიმე ხმა.

გენერალმა ამაზე არა თქვა რა და თავისით განაგრძო:

— სადილად თქვენ მეოთხედი გირვანქა ხორცი გერგებათ, მაგრამ მე ეუბრძანე ნახევარ-ნახევარი გირვანქა მოგცენ... პური ორი გირვანქის მაგიერ — სამი მოგეცემათ!

შეიქნა ერთი სიცილი.

— ამით გვაწყნარებს ვითომ? — მოისმოდა, — არ გვინდა თქვენი წყალობა ხორცი... სახლში გაგვიშვით!.. მუშაობა გვინდა!

გენერალი ისევ სადილის შესახებ განკარგულების გაცემაში იყო, რომ პოლიციელმა მოირბინა და მოახსენა გუბერნატორს — როტშილდის ქარხნიდან მუშები მოდიან პუნქტისკენ.

— შეჩერდით! — უყვირა გენერალმა მოსულებს, როცა ისინი მოახლოვდნენ. მოწინავეები შეჩერდნენ და უკან მომდევნო ხალხს გადასძახეს შეჩერებულიყვნენ. შეწყდა სიმღერა.

— რა გინდათ? — მიმართა მოწინავეებს გუბერნატორმა.

— გაანთავისუფლეთ დაკავებული ჩვენი ამხანაგები... თუ არა და ჩვენც შეგვყარეთ მათთან ამ ყაზარმებში! მიუკო შავჩოხიანმა მუშამ, გოგიბერიძემ (სახელი არ მახსოვს), რომელიც მოუძღოდა მოსულებს.

— თქვენ რისთვის უნდა დაგაკაოთ?.. ტყვილა მოგიყრიათ თავი, გირჩევნიათ დაიშალოთ! — უთხრა დრიაგინმა.

— ჩვენ აქედან ფეხს არ მოვიცვლით, სანამ ჩვენი ამხანაგები დამწყვდეულნი იქნებიან! — იყვირეს მოწინავეებმა. — ჩვენ უნდა მოგვისმინოთ! — შეიქნა ყიჟინა.

— ილაპარაკეთ რუსულად! — თქვა გუბერნატორმა.

— რუსული არ ვიცით!.. — წამოიძახეს რამდენიმემ.

— ხომ გესმით რუსული! — უთხრა გენერალმა.

— ტვინი გვერყევა... სად ვეძიო მე რუსული სიტყვები ჩემი ცეცხლის გამოსათქმელად! — უცნაური ხმით წამოიძახა წინ წამომდგარმა მაღალმა მუშამ — იმ დროს სახელგანთქმული მოჭიდავე გლდანელის ძმამ.

გუბერნატორმა თარჯიმნად მიიწვია მის გვერდით მდგომი პოლიციის ბოქაული. ხალხმა იყვირა არ გვინდაო; გუბერნატორმა მეორე პოლიციელი მიიხმო, მაგრამ ამაზედაც იყვირეს არ გვინდაო.

გოგიბერიძემ წამავლო ხელი, წამაყენა გუბერნატორის წინ და წამოიძახა: — ეს იქნეს თარჯიმნად!.. ეს იქნეს! მაგან გვითარგმნოს!

— იყოს, იყოს! — იყვირეს მოწინავეებმა. შევუდექი თარჯიმნობას. მუშები ჩიოდნენ თავიანთ ცუდ მდგომარეობაზე ქარხანაში, რომ

ხმის ამოღებისათვის დაიჭირეს და ციხეში ჩააგდეს მათი წარმომადგენლები და, ალბათ, ქარხნიდანაც გააძევებენო, რომ ამას ვერ შეუერიგდებიან ამბანაგები და თხოულობენ გაანთავისუფლონ დაჭერილები. გუბერნატორმა უპასუხა, რომ მას არ შეუძლია გამოუწვას დაკავებულები, რადგან მან უმაღლეს მთავრობას მოახსენა ყველაფერი და თბილისიდან ელის განკარგულებას. დრიაგინმა მოითხოვა დაშლილიყვნენ და დაპირდა მათ, რომ მოსულ განკარგულებას დროზე შეატყობინებდა. მუშებმა მიუგეს ამაზე, რომ აქვე მოუცდიან განკარგულების მოსელას თბილისიდან.

— აქ ნეიძლება უწესობა მოხდეს რამე! — თქვა გუბერნატორმა.

— ჩვენ აქ უწესობების მოსახდენად არ მოვსულვართ!.. ჩვენ აქ უიარაღოდ ვართ! გაგვსინჯონ თუ რამე იარაღი გვაქვს!.. ჩვენ აქედან ფეხს არ მოვიცვლით, სანამ ჩვენი ამხანაგები დამწყვდეულნი იქნებიან! — გაიძახოდნენ მუშები.

— თქვენო აღმატებულებავ, ნამეტანი ბევრი ხალხია მოგროვილი... ეგებ ბრძანოთ კიდევ ერთი გუნდი ჯარისკაცებისა გამოვიწვიოთ! — ხმადაბლა წაულაპარაკა გუბერნატორს პოლიციის ბოქაულმა.

— გამოიწვიეთ საჭიროდ! — უბრძანა გუბერნატორმა.

მე კარგად მესმოდა მათი ლაპარაკი, რადგან გუბერნატორის გვერდით ვიდექი.

ელექტრონის სადგურის გადასახვევი ყაზარმებთან გატენილი იყო ხალხით. ყაზარმების ზედა სართულიდან გადმომდგარი იყვნენ დაჭერილი მუშები. ბევრი მათგანი ლობეზე გადმომჯდარი იყო, ისმოდა საოცარი ხმაურობა, ყაყანი, ყვირილი.

უეცრად ხმაურობამ შესამჩნევად იმატა. ელექტრონის გადასახვევიდან ადესის ქუჩაზე გამოჩნდა ახლად გამოწვეული გუნდი, რომელიც მოიყვანა ანთაძემ. ამ უკანასკნელის დანახვაზე ეზოში მუშებმა შექმნეს ყვირილი. საოცარი ყვირილი მოისმა ჩვენს უკანაც. დაიწყო არევა.

— დაწყნარდით! — მიმართეს წინ მდგომმა მუშებმა, მაგრამ ერთი თვალის დახამხამებაში ყველაფერი აირია. შეიქნა წარმოუდგენელი ყიჟინი, ყვირილი; ეძგერენ მარჯვნით ფიცრის ლობეს; სეტყვასავით ეფინება ფიცრების ნამტვრევები, მიწის კოლბოხები, წვრილი კენჭები.

მე გავშორდი გუბერნატორს და მივაშურე ჩემს გუნდს, რომელიც ეზოში იდგა. გავჩერდი ჭიშკართან. პირდაპირ ჯოჯოხეთი შეიქნა. რა მოხდა? რამ გამოიწვია ეს? არაფინ იცის.

უეცრად გავარდა რევოლვერი. ერთი... ორი... სამი! ეს შარვაშიძის ეზოდან იყო. კიდევ ერთი და გავარდა თოფი; უეცრად არც საკვალდებულო სიგნალი და იგრიალა ზალპმა.

— პომენშე კროვოპროლიტია! — მხოლოდ ეს წამოეძახა გუბერნატორს, რომელიც ანთაძის გუნდთან იდგა. — პომენშე კროვოპროლიტია! — იმის მაგიერად, რომ სიგნალის მიცემა ებრძანებინა და არა უსიგნალოდ დაეწყო სროლა.

საზარელი კივილი, წივილი!.. აირია ყველაფერი! გარბიან, დაცარიელდა აქაურობა. ქუჩა კი მოფენილია დაჭრილებით, მომაკვდავებით. სისხლში გდიან დევი ახალგაზრდები, ზოგი უძრავად, ზოგი სიკვდილს ებრძვის; გულშემზარავი კვნესა დაჭრილების.

მე მივიღე ბრძანება ქუჩა შემეკრა, რომ ამ დროს აქ გარეშე არავინ ყოფილიყო. ერთ-ერთ ოფიცერს (სლივინსკის) ვუბრძანე ეზოდან გამოეყვანა ჯარისკაცები და ქუჩაში დაეყენებინა, თავში და ბოლოში. როცა ამან ჭიშკარს გადმოაბიჯა, გამოვიდა ქუჩაში, უეცრად შედგა, იძრო ჯიბიდან ცხვირსახოცი და აცრემლებულ თვალებზე მიიფარა. სანახაობა სწორედ საზარელი რამ იყო.

მოიყვანეს ეტლები და დროგები მკვდარ-დაჭრილების წასაღებად. სისხლით მოთხვრილ ადგილებს აყრიდნენ მიწას; ეტლების ბორბლებით იზილებოდა ეს ადგილები და საზარელი რამ სანახავი იყო ეს ჟანსისლიანებული მიწის ცომები.

გულადულებული, თვალცრემლიანი ვუყვებოდი ჩემს გარშემო შეყრილ ჯგუფს, თუ როგორ მოულოდნელად მოხდა ასეთი საშინელი ამბავი.

— ახლა ტირი?! პატიოსანი კაცი რომ ყოფილიყავი აქ არ იქნებოდი! — მომესმა უკანიდან. ამის მთქმელი ვიღაც დედაკაცი იყო.

ადუღდა გული უარესად.

— შეგაჩვენა გამჩენმა! — მივაყვირე. — მხეცო! შეუბრალებელო! გესმის შენ შენი სიტყვები?!.

გაგონილმა სიტყვებმა რეტი დამაასხა... ჩემი გუნდიდან ერთი ტყვია არ გავარდნილა, ათრთოლებული, გონებადაბნეული, თვალცრემლიანი ვიმეორებდი: — შეუბრალებელო!.. შეუბრალებელო!

— ხმა! ვის ეუბნები მაგას, სულელო!.. გაქრი აქედან! — შეუტიეს დედაკაცს. დედაკაცი გაქრა, მე კი დაჩაგრული მისი სიტყვებით, ვიდექი გაშტერებული.

— დაწყნარდით, დაეთ!.. ნუ მიიღებთ გულთან ახლოს... არ იცის ვის ეუბნება მაგისთანა სიტყვებს! — მამშვიდებდნენ ჩემთან მდგომნი. მაგრამ გული გადამეტებით დულდა მწარე სიტყვების გაგონებით.

დიახ, რა მინდოდა მე ამ რიგებში? რატომ ვხდები მოწმე ამგვა-

რი საშინელებისა, ამ საზიზღრობისა! ო, რა ტანჯვა გამოეიარე.

გარეტიანებული დავდიოდი მთელი საღამო; მიჩლუნგებული გონება აღარ მუშაობდა.

საღამოს თავი მოიყარა პუნქტზე მთელმა ადმინისტრაციამ — გუბერნატორმა, მისმა თანაშემწემ, ქარხნის დირექტორმა, ოლქის უფროსმა. ჩვენი ნაწილის უფროსი პოლკოვნიკიც მოვიდა და კიდევ რამდენიმე სხვა.

მუშები ყაზარმებში ისხდნენ, ხმაგაკმენდილნი, გარინდებულნი. თავმოყრილი უფროსობა დილამდე პუნქტზე იყო. ეშინოდათ მუშები არ გამოსულიყვნენ. მეც მეშინოდა ახალ უბედურებაში არ გაეხვიათ მუშები და ფხიზლად ვიყავი. ღამემ წყნარად გაიარა. დილასაც, აგრეთვე სიწყნარე იყო. მუშები გადაწერეს და გაუშვეს.

ნაწილის უფროსმა მითხრა გუნდი ყაზარმაში წამეყვანა.

— სიმღერით! — დაუმატა მან.

— ეგ შეუძლებელი იქნება! — მივაძახე გაოცებულმა.

— ბრძანება გაქვთ მიღებული... უნდა შეასრულოთ! — მოკლედ მომიჭრა მან და გამშორდა.

ვაცნობე უმცროს ოფიცერს მიღებული ბრძანება და დავუმატე, რომ სიმღერით გუნდს არ წავიყვან და თუ რომელიმე მათგანი თანახმაა ბრძანებისა, გაჰყვეს გუნდს. ორივემ უარი განაცხადა.

სწორედ ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, ცხენით მოგვიახლოვდა ციხის უფროსი, კომენდანტი, გენერალი სოკოლოვსკი.

— თქვენ? აღმატებულებავ, ნაწილის უფროსი პოლკოვნიკი მერტენგრენი გვაიძულებს გუნდი ყაზარმაში უსათუოდ სიმღერით წავიყვანოთ! — ვუთხარი აღელვებულმა.

— როგორ თუ სიმღერით?!. რა დროს სიმღერაა?.. რა სასიხარულო საქმე ?ოხდა, რომ ქუჩებში სიმღერით იაროთ?.. ხომ არ შეშლილა! არაფერი მაგდაგვარი არ იქნეს!

გუნდი გავუშვი. მე კი მივედი პოლკოვნიკთან და ვუთხარი:

— გუნდი წავიდა, კომენდანტმა აკრძალა სიმღერა.

— საკვირველია! — უკმაყოფილოდ წაილაპარაკა მან.

დაქანცული, ნერვებაშლილი მივედი შინ. დამწუხრებულნი შემხვდნენ ხმაამოუღებლად.

თავ?ბინ მიდგას ოდესის ქუჩა მოფენილი შეტაკების მსხვერპლით... ყურში მიწევა დედაკაცის სიტყვები...

უღონოდ დავეგდე ბედის მაწყევარი, რომ ამ წრეში მომაქცია.

მეორე დღეს მოხსენება წარვადგინე იმის შესახებ, თუ რა შეხვდა გუნდს მორიგეობის დროს. ნაწილის უფროსმა დამიბარა და, როცა მივედი, მითხრა, რომ ჩემს მოხსენებაში ბევრი რამ არ არის შეტანი-

ლი, მაგალითად, არ არის აღნიშნული თუ რამდენი ჯარისკაცი დაიჭრა...

— დაჭრილი არავინ ყოფილა! — ვუთხარი.

— როგორ არ იქნებოდა!.. უსათუოდ იქნებოდა! გაიგეთ გვარები და ჩაწერეთ!

— არავინაა დაჭრილი, მე კარგად ვიცი! — მივუგე.

— ეგ არ შეიძლება!.. გამოიკითხეთ ხელახლა!.. არც ის გაქვთ მოხსენებული, რომ მე მოვედი პუნქტზე და დარიგება მიიღეთ ჩემგან.

— თქვენ მოხვედით, როცა უკვე ყველაფერი გათავებული იყო.

— საქმე იმაში კი არ არის თუ როდის მოვედი, — წყენით წამოიძახა პოლკოვნიკმა, — მოვედი როცა შემეძლო!.. ნუ გავიწყდებათ, რომ ეს შემთხვევა სასამართლოში იქნება გარჩეული და თქვენი მოქმედება გამორკვეული იქნება დაწვრილებით... ყოველ თქვენს მოქმედებაში პასუხს მოგთხოვენ, თუ რამდენად შეასრულეთ ყველაფერი ტაქტიკური მხრით!..

ეს პირდაპირ წამება იყო.

— მე ავად ვარ და გთხოვთ გამანთავისუფლოთ! — ვუთხარი და წამოვდექი.

— წაიღეთ ეს მოხსენება და როგორც გითხარით, ისე შეავსეთ და ახალი წარმოადგინეთ! — მითხრა.

წამოვიღე მოხსენება; ახალი დავწერე — მივუმატე მხოლოდ, რომ საღამოს პოლკოვნიკი მოვიდა-თქო. სხვა არაფერი. პოლკოვნიკი ძლიერ გაჯავრებულიყო, როგორც მერე გადმომცა ადიუტანტმა, და გაჯავრებით წამოეძახნა:

— მოსთხოვენ ანგარიშს მის მოქმედებაში... ნახავს!..

ერთი კვირა ვეგდე ნერვებაშლილი. როტშილდის ქარხნიდან ჩემს ბინაზე მოვიდა ერთი მუშათაგანი—მოსე ბაბილოძე, ჩემი ამბის გასაგებად — გვითხრეს ავად არისო და ამხანაგებმა დამავალეს შენახეთ და თქვენი ამბავი გამეგოო.

მახლობელ დღეებში, როცა ავდექი, შევხვდი ნიკ. იმნაძეს, ანთაძის გუნდის ოფიცერს. ლამაზი კაცი ახლა უცნაური სანახავი იყო — სახე გამოცვლილი. უცნაურად გამოიყურებოდნენ მისი ახლა ჩავარდნილი თვალები. წინათ ხალისიანი მოლაპარაკე, ახლა შეწუხებით ამბობდა სიტყვებს.

— რას ერჩიან საწყალ ესტატეს? (ანთაძის სახელია) — მითხრა მან. — სადაც დაინახავენ ქუჩაში, უყვირიან, ლანძღავენ, აგინებენ! მე ვასროლიე... როცა სროლა დაგვიწყეს. — მე გადავძახე მას — ესტატე, ხომ ხედავ ტყვია დაგვიშინეს, ნება მომეცი ვესროლო...

ქან, შეშინებულმა, ნება დამრთო, ისროლეო. და შეიქნა ის უბედურება, რაც მოხდა... დასწყევლოს ღმერთმა, ბედი არ მქონია! კიდევ კარგი, რომ ბევრმა ზევით ისროლა, თორემ წინ რომ ესროლათ, ვაშინ იქნებოდა ამბავი!..

— ესტატე! — მივმართე ერთხელ ანთაძეს, — ამბობენ ვითომც ანას ჯვარზე წარგადგინეს, მართალია?

ანთაძემ თავი გააქნია და მწუხარებით მომიგო:

— დასწყევლოს ღმერთმა!.. რა ჯანდაბად მინდა ანას ჯვარი იქნება თუ სხვა!.. ნეტავი ჩემი მოხუცებულობა არ გამწარებულიყო და ამ უბედურებაში არ ჩავვარდნილიყავი, მე რომ ჩავვარდი!.. მადლობა ღმერთს, ასეთი იღბალის კაცი ვყოფილვარ!

ოზურგეთში სახლი ჰქონდა მას — ერთ დღეს ცეცხლი მისცეს და დაუწვეს. გულწრფელად სწუხდა იგი თავის გამწარებულ ბოზუცებულობას; მწუხარებამ გულის გაგანიერება გამოიწვია და, თავის ბედის მოტირალი, გამოათხოვა ამ სოფელს.

თავი მეცხრე

პეტერბურგის მსროლელთა სკოლაში. — ფარული კრება ბასეინის ქუჩაზე. — დაბრუნება ბათუმში. — პირველი საკვირაო სკოლა. — მოვლენები გურიის გლეხების რევოლუციური მოძრაობიდან. — როტშილდის ქარხნის მუშათა დრამატული დასი.

ამ მნიშვნელოვანი შემთხვევის გამო წარმოებულმა საგანგებო გამოძიებამ მრავალი მუშა დასვა საბრალმდებლო სკამზე. ეს ამბავი მოხდა 1902-ის მარტში; რამდენიმე თვის შემდეგ დანიშნული იყო საქმის გარჩევა. მუშების დამცველებად გამოდიოდნენ რუსეთის საუკეთესო ვექილები, რიცხვით თორმეტი, იმ დროს ცნობილი ვექილის მურავიოვის მეთაურობით. მოწმეთა რიცხვში მეც ვიყავი.

დანიშნულ დღეს საქმე არ გარჩეულა, რადგან ვექილებმა თავი ვერ მოიყარეს და ითხოვეს საქმის გარჩევის გადადება. სასამართლომ შეიწყალარა თხოვნა. საქმის გარჩევა გადაიდვა.

იანვარში მე მივლინებული ვიყავი პეტერბურგში, ეგრეთ წოდებულ მსროლელთა სკოლაში (ოფიცერსკაია სტრელკოვაია შკოლა) ათი თვით. ამ სკოლაში იგზავნებოდნენ ამორჩეული კაპიტნები; სკოლაში სხვადასხვა ნაწილებიდან ყოველ წლობით იყრიდა თავს ას სამოცი კაპიტანი. სწავლის საგანი იყო ტოპოგრაფია, ტაქტიკა, სროლის თეორია და პრაქტიკა. სკოლა მოთავსებული იყო ორანიენბაუმში. გზად პეტერბურგისკენ მოსკოვში დავრჩი ორი დღით.

უნდა მენახა აქ მყოფი პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი და მინდოდა დავსწრებოდი სამხატვრო თეატრში გორკის პიესის წარმოდგენას „ფსკერზე“ (ნა დნე), რომელიც ის იყო დაიდგა და რომელმაც მთელი რუსეთი აახმაურა. მივადექით მე და ჩემი ერთი ამხანაგი თეატრის სალაროს. მომაწოდეს გორკისავე „მეშჩანებზე“ ბილეთი; მითხრეს, „ფსკერზე“ არ არისო.

— ღმერთო ჩემო! სამიათასი ვერსი გამოვიარე, და სულ ბმის ოცნებაში ვიყავი, რომ ვნახავდი ამ პიესას... — და ეს, ალბათ, ისე სხვანაირად ამოსკდა გულიდან, რომ მოლარე ქალმა გაიცინა და შემეკითხა:

— საიდან მოდიხართ?

— მე ბათუმიდან და ეს ჩემი ამხანაგი ტაშკენტიდან! ხვალ უსათუოდ პეტერბურგში უნდა წავიდეთ!.. გვიშველეთ რამენაირად!

მოლარე ქალმა გაიცინა:

— მაქვს ორი ბილეთი ჩემი ნაცნობებისათვის გადადებული... იმათ შემდეგ მოვაწყობ... ინებეთ! — და გადმომაწოდა ორი ბილეთი. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა; მხურვალე მადლობა ვუთხარით მოლარეს. მე გავეწურე წარმოდგენამდე ხახანაშვილის სანახავად. ის ცხოვრობდა ჩერნიშევის გადასახვევში. ავად იყო; სიხარულით შემომეგება; განიერი ოთახის კედლებზე თაროები სავსე იყო წიგნებით; მაგიდებზედაც მრავლად ეწყო წიგნები. ეს ნამდვილი ბიბლიოთეკა იყო. სასადილოენო საუბრის შემდეგ, როცა წასვლა დავაპირე, ხახანაშვილმა მითხრა: ხვალ უნივერსიტეტში აქტია დილაობ, მონაწილეობას იღებენ აკადემიკოსი ვესელოვსკი, ბობორიკინი, ზლატოვრატსკი, კორში და სხვებიო; მატარებლის წასვლამდი მოასწრებთო, უსათუოდ დაესწარითო და გადმომცა შესასვლელი ბარათი. საღამოს სამხატვრო თეატრში ვიყავი „ფსკერზე“. შთაბეჭდილების აღწერას ავერიდები, რადგან ეს შორს გადამაგდებდა — ვიტყვი მხოლოდ: მთელი წარმოდგენა ისე გავატარე, თითქოს სიზმარში ვიყავი. მეორე დღეს დანიშნულ დროს უკვე უნივერსიტეტის დიდ დარბაზში ვიყავი, სადაც დამხვდა ხახანაშვილი.

აქტიც გათავდა და მეც სადგურისაკენ გავეშურე ორიენტაუმში წასასვლელად.

სკოლაში, სადაც უნდა მივსულიყავი, წარსულ წლებში სასტიკი დისციპლინა იყო დამყარებული; ჩემსობას სკოლის უფროსად იყო გენერალი ბრილევიჩი, კაცი მეტად რიგიანი. წესად იყო, რომ კავკასიიდან მოსული კაპიტნები უნდა წარდგომოდნენ ყოფილ მეფის მოადგილეს მიხაილ ნიკოლაევიჩს. ერთ დღეს ბრილევიჩმა წაგვიყვანა მის სასახლეში. მიხაილ ნიკოლაევიჩმა მხიარულად მიგვიღო, ჩა-

მოგვიარა და ყველას გვესაუბრა. სხვათა შორის მე მკითხა, ვინაა თქვენი ნაწილის უფროსი.

— პოლკოვნიკი მერტენგრენი! — მივუგე.

— ჩუხონეც! — ერთნაირ კილოზე წამოიძახა ,შან.

— არა, რუსია! — ვთქვი.

— ჰმ! — ჩაიცინა მიხაილ ნიკოლაევიჩმა.

ეს ლაპარაკი მივწერე ბათუმში ადიუტანტს (მეტად კარგი ოფიცერი იყო); ადიუტანტმა წაუკითხა მერტენგრენს მისი ჩუხონეცობა. წყენოდა (მეც ეს მინდოდა) და ეთქვა:

— საკვირველია! მე მიცნობდა მთავარი!

ამ ხანებში დიდი ამბები ჰქონდა ბღვდელ გრიგორი პეტროვს; მისი საჯარო ლექციები აუარებელ ხალხს იზიდავდა პეტერბურგში; ეს ის პეტროვი იყო, რომელმაც ანაფორა გაიხადა და საბელმწიფო საბჭოს წევრად იყო, შემდეგ კი გაძევებულ იქნა რუსეთიდან. ორასიგნაუმიდან მუდამ დავდიოდით პეტერბურგში ამგვარ ლექციებზე მე და კიდევ სამი ქართველი, სკოლაში რომ ვიყავით. ამ ლექციებზე ხშირად საოცარი დაურიდებლობით ფულებს კრებდნენ ახალგაზრდა ქალები და ვაჟები „ცნობილი მიზნისათვის“ (ღლია ინვესტნოი ცელი), როგორც ისინი ამბობდნენ.

ჩემი მისვლის რამდენიმე დღის შემდეგ პეტერბურგში, საზოგადოების „პალმას“ დარბაზში ქართული წარმოდგენა იყო გამოცხადებული. რასაკვირველია, მე გავეჭანე აქეთ. დიდი დარბაზი სავსე იყო ხალხით. აქ თავი მოეყარა პეტერბურგის ქართულ კოლონიას. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. აქ შევხვდი ბევრ ნაცნობს და ძრავალი ახალი გავიცანი, რომლებსაც შემდეგში ძლიერ დაეუახლოვდი. ამათში იყო ერთი ახალგაზრდა ქართველი ტექნიკი — გრიგოლ რევიშვილი, რომლის ბინაზე თავს იყრიდა ხშირად ქართველობა, — როგორც მაგალითად ივანე ჯავახიშვილი, ექიმი ობუხოვის საავადმყოფოსი, დღეს ქართული უნივერსიტეტის პროფესორი სპირიდონ ვირსალაძე, გურევიჩის გიმნაზიის მასწავლებელი ბიქტორ კანდელაკი, სიმონ ჟორჟოლაძე, ნიკო თავდგირიძე; ხანდახან მოდიოდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, მაშინ ახალგაზრდა ვექილი; ის იყო ჩვენი ინფორმატორი მთავრობის შესახებ, პლევეს შესახებ, რომლის წინაშე ამ დროს თრთოდა მთელი რუსეთი.

ერთ საღამოს ნიკო თავდგირიძემ, — მაშინ იგი ოზურგეთის ქალაქისთავი იყო და პეტერბურგში იყო მოსული ნებართვა გამოეტანა ნატანებიდან ოზურგეთამდი რკინიგზის გამოყვანაზე, — მითხრა: პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი ავად არის და წავიდეთ ვნახოთო. მე არ ვიცნობდი მაშინ ჯავახიშვილს, მაგრამ დავუჯერე

ნიკოს, რომ მას იამებოდა ჩვენი ნახვა და წავედით მასთან. იგი მართლაც ავადმყოფი დაგვიხვდა, მაგრამ ზეზე იყო. პატარა ოთახი, რომელშიც იგი ცხოვრობდა, სასიამოვნო შთაბეჭდილებას აბდენდა. სასიამოვნო იყო ჩვენი მასპინძლის ტკბილი საუბარი. მალე მან მიიტანა თავისი ავადმყოფობა და გაგვაცნო თავისი უკანასკნელი ნაშრომი გიორგი მთაწმინდელის შესახებ. მოხიბლული ახალგაზრდა მეცნიერით, კარგა ხანს დავრჩი ჯავახიშვილთან. შემდეგში ხშირად ეხვდებოდი მას რევიშვილთან და კვირა დღეებში გამოვდიოდით ხოლმე სასეირნოდ ნევის პროსპექტზე და ვსიამოვნობდი მის ლაპარაკს რომ ყურს ვუგდებდი. თავისებური, ტკბილი ენით იგი ამ დროს ყვებოდა სინას მთაზე მოგზაურობის ამბავს, იმ მდიდარ ქართულ მანუსკრიპტებზე იქ რომ აღმოჩნდა. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ეს ტკბილი წამები, რომლებმაც ღრმა სიყვარულით გამსჭვალეს ჩემი გული ძვირფას ივანესადმი; უნებლიეთ გიზიდავდა მისი სინაზე, მისი გულწრფელი სიტყვა, აზრი. ალბათ, ამ თვისების გამოც იყო, რომ შემდეგში შეძლო მან უდიდესი საქმის მოგვარება — ქართული უნივერსიტეტის დაარსება, რამაც საქართველო დაამშვენა და თვით ივანე ჯავახიშვილი საერთო სიყვარულით შემოსა.

სკოლაში ქაღალდი მომივიდა — მიბარებდნენ ბათუმში, მარტში მომხდარ ჯარსა და მუშებს შორის შეტაკების გამო სასამართლოში. სკოლიდან მიწერეს, რომ მე ვერ გამოვცხადდები საქმის გარჩევაზე სამსახურის გამო. მაგივრად მე ეუამბე და დაწვრილებით გადავეცი ამ საქმის შესახებ ყველაფერი, რაც ვიცოდი, ბათუმში მიმავალ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, რომელიც მუშების დამცველ ვექილებს შორის იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ ანდრონიკაშვილი დაბრუნდა პეტერბურგში დიდად გახარებული. საქმე მოიგეს, მუშები გაამართლეს. მუშებმა, როგორც აღტაცებით ამბობდა ანდრონიკაშვილი, საოცარი სიმტკიცე და გონიერება გამოიჩინეს საქმის გარჩევის დროს, ისინი ყველას აკვირვებდნენ თავიანთი მოსწრებული, გონივრული პასუხებით და როცა გაანთავისუფლეს, მეორე დღესვე ბაირაღით წინ და სიმღერით შემოიარეს ქალაქის ქუჩები. ჩვენ ვურჩევდითო არ გამოსულიყვნენ, რომ ახალი შეტაკება არ მოსვლოდათ ჯართანო, მაგრამ ვერ გადავათქმევინეთო, — მუშები ამბობდენო, ჩვენი გამარჯვება ყველას უნდა გავაგებინოთ და ისიც გავაგებინოთ მთავრობას, რომ ჩვენ მხნედ ვართ და არავითარ შიშს არ განვიცდითო. ადმინისტრაცია ახლა ერიდებოდა ყოველ წინააღმდეგობას და ხელი არ შეუშლია დემონსტრაციისათვის. ვექილების პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე დასასრული არ ჰქონია მუშებისაგან თქმულ მხურვალე სიტყვებს.

ბათუმიდან დაბრუნებულ ანდრონიკაშვილს დაეკალა მოხსენება გაეკეთებინა ბათუმის შეტაკების შესახებ და აგრეთვე გურიის ამბების შესახებ; გურიაში იმ ხანებში დიდი მოძრაობა წარმოებდა. ეს მოძრაობა მეტად აინტერესებდა რუსეთის მოწინავე საზოგადოებას; ლევ ტოლსტოიმ ამის გასაცნობად თბილისიდან დაიბარა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე მიშო ყიფიანი, რომელმაც კარგი ხანი დაპყო ტოლსტოისთან იასნაია პოლიანაში. მიშო ყიფიანის გარდა გურიის მოძრაობის შესახებ ინფორმაციას აძლევდა ტოლსტოის აგრეთვე ტოლსტოის ცნობილი მიმდევარი ილია ნაკაშიძე.

როგორც ვთქვი, ანდრონიკაშვილს დაეკალა მოხსენება მოწინავე ჟურნალისტების, ლიტერატორების და პოლიტიკური მოღვაწეების წარმომადგენლების წინაშე. კრება იყო საიდუმლო, ბასეინის ქუჩაზე ჟურნალ „პრავოს"-ს რედაქტორ პოლინოვის ბინაზე. კრებაზე დასწრება შეიძლებოდა საგანგებო რეკომენდაციით. ანდრონიკაშვილს ნება დართეს, როგორც მომხსენებელს, მიეყვანა ხუთი კაცი და ამ ხუთში მოვხვდით ივანე ჯავახიშვილი, მე და კუპიკო გელოვანი (იმ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი). სამი დიდი ოთახი სავსე იყო ხალხით. ანდრონიკაშვილის მოხსენება ისეთი შინაარსიანი და ვრცელი იყო, რომ საკირო აღარ შეიქნა რაიმეს დამატება და მეორე მოხსენების გაკეთება. მისმა ნაამბობმა ბათუმში მომხდარ გამოსვლებზე და გურიის უკანასკნელ ამბებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. გიორგი ზდანოვიჩს, რომელიც დაესწრო ამ კრებას, და რომელსაც განსხვავებული პატივისცემით მიეგებნენ, როცა იგი შემოვიდა, სთხოვეს დაემატებინა რამე გურიის ამბებიდან. ზდანოვიჩმა თქვა, რომ ანდრონიკაშვილის მოხსენება ისეთი იყო, რომ დასამატებელი აღარა რჩება რაო. კრება თავდებოდა, როცა ანდრონიკაშვილმა საზოგადოებას მიმართა:

— ბატონებო! ჩვენ შორის იმყოფება პირი, რომელიც იმ ობედურ დღეს, ბათუმში რომ ჰქონდა ადგილი, თავისი გუნდით პუნქტზე იყო, მაგრამ ერთი ტყვია არ გაუსროლია და რომლის შესახებ ალტაცებით გველაპარაკებოდნენ ვექილებს ბათუმის მუშები... ეგერ ბძანდება ის პირი!

გავშრი, თავს რეტი დამესხა. გარშემო ტაშისცემა, ხმაურობა. ზეზე წამომდგარი თავს ვუკრავ, მაგრამ აუწერელ მდგომარეობაშე ვიმყოფები. გავჩუმდე, არა ვთქვა რა — ეს ნიშნავს იმას, რომ შევიფერე ნათქვამი, ეგ თავისთავის რაღაც გმირად გამოსახვას დაემსგავსებოდა. ყოვლად შეუძლებელი იყო ხმა არ ამომეღო! საკირო იყო მოხდენილი, შესაფერისი სიტყვა, მაგრამ მოდი და ილაპარაკე ამ წარჩინებულ წრეში ისე, რომ შერცხვენილი არ დარჩე!..

ქართული ანდაზაა — გაჭირვება მაჩვენე, გაქცევას დაგანახვებო. გაჭირვებაში მყოფმა მოვუპირე მეხრუეი ჩემს ტვინს და, ჩემდა იღბლად, სანამ ტაშისცემა შეწყდებოდა, შევადგინე საპასუხო სიტყვა.

გულწრფელად ვთქვი, რომ მე არავითარი გმირობა არ ვამომჩენია, რომ მე ბედისაგან შებრალებული აღმოვჩნდი, ბედნიერი იმათთან შედარებით, რომლებიც უნებურად ხდებიან საშინელი დამსაშავენი ხალხის წინაშე, რომ ბედმა ამარიდა საშინელებას და არ გამიხადა სატირლად ჩემი ცხოვრება, რაც ბევრს ხვდება ამ ხანში სამხედრო სამსახურში ყოფნის გამო. მოკლედ ავწერე, თუ როგორი განწყობილებით მივდიოდით პუნქტსე, რა საშინელება გადაიშალა ჩვენ თვალწინ და რა მადლობელი ვართ ბედის, რომ გადაგვარჩინა ხიფათს და ჩვენი ბედი საწყეველად არ გაგვიხადა, როგორც ეს დღეს ხვდება ბევრ სამხედრო პირს.

ჩემმა გულწრფელმა თქმამ მეტი მხურვალე ტაში გამოიწვია. როცა ამოშალნენ, ჩემთან მოვიდა იმ დროს ცნობილი ახალგაზრდა ვეექილი ვოლკენშტეინი და მითხრა, რომ მე მართალი არა ვარ, როცა ვამბობ, რომ ბევრია სამხედრო წრეში ისეთი პირი, რომელიც უნებურად ჩადის საზარელ დანაშაულობას ხალხის წინაშე და იტანჯება თავისი მდგომარეობისაგან. მე მოვუყვანე მრავალი ამის მაგალითი; ისიც ერთრიგად მეთანხმებოდა და ამბობდა: ეს არაა საკმარისი, ამას უფრო ძლიერი და ფართო ხასიათი უნდა ჰქონდეს. მეკითხებოდნენ ჩვენი ჯარისკაცების სულიერ განწყობილებაზე, მათ მდგომარეობაზე, თუ როგორ ვზრდით მათ, როგორ ვუხსნით დღევანდელ ამბებს და ამგვარები.

რამდენიმე დღის შემდეგ ანდრონიკაშვილმა მითხრა, რომ ჩემს ახლოს თურმე მსხდარან ცნობილი პუბლიცისტები ანენსკი და პროკოპოვიჩი და ორივეს დიდი აღტაცება გამოეთქვათ ჩემი ნათქვამის გამო. ბედი ახლაც შემეწია — ამ კრებაზე ჩემი ყოფნა გაუგებელი დარჩა, თორემ, რასაკვირველია, კარგად მომცხებდნენ.

პეტერბურგში ჩემი ყოფნის დროს გარდაიცვალა ვილიეს კლინიკაში მოთავსებული ავადმყოფი ახალგაზრდა ჩვენი მგოსანი გრიშა აბაშიძე. საწყალი, უკანასკნელ დღეებში ვეღარ ცნობილობდა თურმე ვერავის, როგორც ეს გვითხრა ექიმმა ვირსალაძემ, რომელიც ხშირად ნახულობდა აბაშიძეს. მთელად ქართველობამ მოვიყარეთ თავი გასვენებაზე; მიცვალებული დასაფლავებული იქნა ვოლკოვის სასაფლაოზე, ეგრეთ წოდებულ ლიტერატორთა კიბეზე (ლიტერატორსკიე მოსტკი) ბელინსკის და პისარევის საფლავის მახლობლად.

ამ დროს უკვე მოხშირდა სხვადასხვა პოლიტიკური შემთხვევები და სკოლაში გამოგვიცხადეს ავრიდებოდით პეტერბურგში ხშირად სიარულს, რომ არ გადავყროდით რაიმე უწესოებას.

არც სკოლაში იყო სრული სიწყნარე — აქაც ემჩნეოდა ერთგვარი აღელვება. ეს აღელვება განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მას შემდეგ, როცა სკოლის ლექტორმა, გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკმა ვინმე რუბეცმა, სკოლაში მოხსენება გააკეთა რუსეთ-ჩინეთის ომის შესახებ. რუბეცმა გაბედულად გადაშალა უპადრუნობა სამხედრო მეთაურების, მათი უნიჭობა და ცუღლუტობა, სრული უვიცობა სამხედრო საქმის გაძღოლაში. ბევრი აცინა აუდიტორია რუბეცმა, როცა მოპყვა ერთი გენერლის შესახებ (დამავიწყდა მისი გვარი). იმ გენერალმა თურმე მოინდომა ჯილდოს მიღება და გამოყო თავისი ჯარის ერთი ნაწილი, მისცა დისლოკაცია და გაგზავნა საბრძოლველად. გაგზავნილი ნაწილი გაემართა დანიშნული გზით; მეხუთე დღეზე უნდა მისდგომოდა ჩინელების გამაგრებულ ქალაქს და აეღო იგი. რაზმმა იარა ერთი დღე, ორი... ოთხი, ხუთი; მოწინავე მზვერავებიდან არავითარი ცნობა არ არის; მეექვსე, მეშვიდე დღემ გაიარა — გამაგრებული ქალაქი არსად ჩანს. გენერალმა კი გაგზავნისას აუწერა რაზმს ეს სიმაგრე, მისი აღების მნიშვნელობა და რა-დიდებით შეიმოსებოდა რაზმი მისი აღებით. მერვე დღემაც გაიარა — ასაღები ქალაქი მაინც არ ჩანს. გაგზავნეს — გაძლიერებული მზვერავები — მოვიდა ამბავი, რომ არსად ქალაქი არ არის ამ მხარეზე, არის მხოლოდ ერთი პატარა სოფელი, ისიც თითქმის დაცარიელებულიო. შეშინებული მცხოვრებნი გახიზნულიყვნენ. სოფელში დაეტოვებინათ მოხუცებულები, რომლებსაც სიარული აღარ შეეძლოთ. რაზმის უფროსმა გადაწყვიტა ამ სოფლის აღება, შევიდა შიგ თავის რაზმით და თათბირის შემდეგ იმის შესახებ, თუ რა მოხსენება გაეგზავნათ გენერლისათვის — უკანასკნელს უფრინეს მოხსენება, რომ ავიღეთ „სიმაგრეო“ (სახელი არ უწოდებიათ, რომ არ შეერცხვინათ თავიანთი უფროსი), ჩვენი მხრით არავინ დაჭრილა, ტყვეები მრავლად გვყავსო... ასეთი მაგალითები არა ერთი და ორი იყო; ყველა ცუღლუტობდა, ტყუილებში იყო გაბმული. აშკარა იყო ჩვენი სუსტი ორგანიზაციაო, და წარმოიდგინეთ რა დღე დაგვადგება, როცა ძლიერ მტერს შევეყრებით, ეს ღმერთმა იცისო. ამ მოხსენებამ ერთი ალიაქოთი ატეხა — ზოგი აღტაცებაში იყო ამ კრიტიკით, ზოგი კი შეურაცხყოფად თვლიდა ნათქვამს; საქმე იმ ზომამდე მივიდა, რომ სამხედრო სამინისტრომ რუბეცს მოთხოვა მოხსენების წარდგენა და გაბედული მომხსენებელი ძლივს გადარჩა ხიფათს.

რამდენიმე ხნის შემდეგ სკოლაში მოხსენებით გამოვიდა გენერალური აკადემიის პროფესორი გენერალი მიშლაევსკი. ესეც ეხებოდა რუსეთ-ჩინეთის ომის წარმოებას და თავისი მახვილი სიტყვით, ბასრი ენით, ისეთ სურათებს შლიდა, რომ მთელი აუდიტორია გაოცებაში იყო. ეს მოხსენება იყო პირდაპირ დამსხვრევა, განადგურება იმ სამხედრო პირებისა, რომელთაც საზოგადოებაში გმირების სახელი ჰქონდათ, — ლინევიჩი, სტესელი, ანისიმოვი. მიშლაევსკი ამბობდა: ასე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ გული მეწვისო, რომ ამათ მიაფურთხეს ყოველ ცოდნას, და გამოიჩინეს საოცარი თვითნებობა და თავიანთი ველურობა, რის წყალობით ტყუილ უბრალოდ განუზომელი მსხვერპლი შეეწირა სახელმწიფოსაგანო.

ამ მოხსენებამაც გამოიწვია ერთგვარი აღელვება. ზოგიერთნი ამგვარ კილოს ხსნიდნენ მით, რომ მიშლაევსკი პოლონელი იყო, სძაგდა რუსეთი და ეს სიძულვილი უნებლიეთ ამგვარად ალაპარაკებსო, ამცირებინებს რუსეთის საუკეთესო შვილებსო.

აგვისტოს დამლევს სკოლაში სწავლა დავამთავრეთ და სექტემბრის პირველ რიცხვებში პეტერგოფში წაგვიყვანეს — ხელმწიფეს უნდა წარვდგომოდით. ჩაგვაყენეს რიგში. მოვიდა ხელმწიფე ალექსანდრიიდან (მეფის საგარაკო ადგილი იყო). ახლდა მცირე ამალა; ამათ შორის იყო სამხედრო მინისტრი კუროპატკინი. ხელმწიფე იყო უბრალო სერთუკით; ხელში ეჭირა უბრალო ქუდი; შუა ტანისაზე ცოტათი დაბალი, ქერათმიანი, მისი ცისფერი თვალები მორიდებულივით გამოიყურებოდნენ.

ხელმწიფე ყველას ერთ და იგივე კითხვას აძლევდა: რამდენი წელიწადი მსახურობთ, რამდენი წელიწადი გუნდს უფროსობთ. რამდენი წელიწადია რაც კაპიტნობა მიიღეთ. მეტი არაფერი. ბოლოს ეს, ალბათ, მასაც მოსწყინდა და მიანება თავი გამოკითხვას, მხოლოდ ერთ კაპიტანს, რომელსაც წმ. გიორგის სალდათის ჯვარი ეკიდა გულზე. მიმართა და შეეკითხა, როდის მიიღო მან ეს ჯვარი და დაჭრილი თუ არის. კაპიტანმა (გვარად ვინმე ქიგმონტი იყო) მიუგო, რომ რუს-ოსმალეთის ომში დავიჭერიო.

— გაწუხებთ ჭრილობა? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— როცა ავღელდები, მაშინ მაწუხებს... აი ახლა რომ მაქვს ბედნიერება და მესაუბრება თქვენი უდიდებულესობა, ეღელავ და ჭრილობაც მაწუხებს! — მიუგო კაპიტანმა.

— წარადგინეთ პოდპოლკოვნიკობაზე! — მიუბრუნდა ხელმწიფე კუროპატკინს.

— ეს როგორც განსაკუთრებული თქვენი წყალობა? — შეეკით-

ხა ხელმწიფეს კუროპატკინი, რომელსაც ეტყობოდა არ მოეწონა კაპიტანის სიტყვა.

— ჰო, რაგორც განსაკუთრებული წყალობა! — წაილაპარაკა ხელმწიფემ და გაშორდა კაპიტანს.

მიგვიწვიეს ოქროს დარბაზში გაშლილ საუზმეზე. კიბეზე რომ ჩავდიოდით, დავინახეთ, — ხელმწიფე ჩამჯდარიყო ეტლში და ალექსანდრიაში წავიდა. ბევრს გვეოცა, რომ ხელმწიფემ არ ინება დარბაზში შემოსვლა და მისგან გამართულ საუზმეზე მისი ჯარის წარმომადგენლების სადღეგრძელოს წარმოთქმა.

ხელმწიფის განსაკუთრებული წყალობით გახარებული კაპიტან ეიგმონტს მალე ყურები ჩამოაყრევინა კუროპატკინმა. ამ უკანასკნელთან მივიდა კაპიტანი გასაგებად, თუ როდის იქნებოდა მისი პოდპოლკოვნიკობის შესახებ უმაღლესი ბრძანება. კუროპატკინმა იფრინა კაპიტანი და ისეთი სიტყვებით გამოაგდო თავის კაბინეტიდან, რომ სულ დაავიწყებინა ყოველივე მეფის განსაკუთრებულ წყალობაზე ფიქრი. საწყალმა ეიგმონტმა მეფის განსაკუთრებული წყალობა შემდეგ წელიწადს მიიღო მანჯურიაში — იაპონელების ტყვეების სახით და მოკლულთა სიაში აღინიშნა, რომ კაპიტანი ეიგმონტი გმირულად დაიღუპა.

ბათუმში რომ დავბრუნდი, გარეგნულად თითქოს მშვიდობიანობა იყო, ნამდვილად კი ჩუმი, მიმალული მღელვარება იყო და მზადება. გურიის ამბები ყველას ენაზე ეკრა. სხვანაირ ფუსფუსს შეამჩნევდა დაკვირვებული კაცი.

ერთხელ ქალაქიდან მოვდიოდი ყაზარმაში. ნობელის ქარხანა რომ გავიარე, წამომეწია ერთი ახალგაზრდა — ვიქტორ ფარცხალაძე. მას კარგად ვიცნობდი. იგი მსახურობდა როტშილდის ქარხანაში და თან მასწავლებლობდა მუშებში.

— მოგილოცავთ მშვიდობით ჩამობრუნებას, ბატონო დავით! — ხალისიანად მომეგება იგი. — რა კაი ადგილს შეგხვდით! — მითხრა მან ცოტა ხნის შემდეგ. — ერთ რამეს განახებთ, რაც უსათუოდ თქვენთვის საინტერესო იქნება. წამობძანდით!..

გადავუხვიეთ გზას. გავიარეთ დუქნები და შეეედით ერთ მივარდნილ ოთახში. ოთახი სავსეა მაგიდებით, რომელთან სხედან ყმაწვილი ბიჭები, რიცხვით კარგა ბლომად: ყველას წიგნები და რვეულები უდევთ წინ, ხელში ზოგს ფანქარი, ზოგს კალმისტარი.

— განაგრძე, — უთხრა ფარცხალაძემ ზეზე მდგარ ახალგაზრდას, რომელიც, ალბათ, ასწავლიდა დანარჩენებს. — დავით, აქეთ მობრძანდი!

გააღო კარი და მეორე ოთახში შემიყვანა. ათი-თორმეტი წლის

ბაღშეები სხედან მაგიდებთან, წიგნები უდევთ და რვეულები; თავს ადგიათ ახალგაზრდა კაცი.

— ეს ჩვენი სკოლაა! — ღიმილით მითხრა ფარცხალაძემ. — წინა ოთახში რომ არიან, ისინი შეიძლება მალე დაგვჭირდნენ, ესენი კი შემდეგში გამოგვადგებიან! — გაიცინა მან. — უნდა მოვემზადოთ... მზად უნდა ვიყვეთ!

— რომ მოგაგნონ აქ? — ვკითხე.

— ვერავინ მოგვაგნებს! ჯაშუში ვერ შემოგვეპარება! — აქ უშიშრად ვართ. განგებ აქ გამოვარჩიეთ ბინა. არავის არ მოუვა აზრად, თუ აქ ამგვარი რამ არის და ჩვენ წიგნსაც ვასწავლით და ვუხსნით მდგომარეობას... ვამზადებთ! — სიცილით თქვა ფარცხალაძემ.

მზადება შესამჩნევი იყო, საყოველთაო, თავგამოდებული. საერთო სიყვარული ჰქონდა დამსახურებული როტშილდის ქარხნის მუშას ს-იას. ორი წლის წინათ მან გაათავა სამხედრო სავსასური და ქარხნის მუშებში მოექცა. ლამაზი, წარმოსადეგი, მხიარული, საამხანაგო ყმაწვილი — იგი ყველას უყვარდა. მშვენიერ მოლეკურეს აღტაცებაში მოყავდა მაყურებელი, როცა თავისუფალ დროს ბარცხანის მინდორზე მუშები და ახლო-მახლო მცხოვრებნი თავს მოიყრიდნენ ხოლმე. მოლაპარაკეც ჩინებული იყო ს-ია. იმ მინდვრის ახლოს, სადაც თავს იყრიდნენ ქარხნის მუშები, იყო არტილერიის ოფიცრების საცხოვრებელი სახლი. აქაურებიც მოდიოდნენ ლეკურის მოცეკვაეთა საყურებლად. ერთი ქალიშვილი, რუსი ოფიცრის ბ-ვის და, მოხიბლული ს-იას ცეკვით, გაეცნო მას და გაიტაცა; ახალგაპრდა მუშამ მოხიბლა ახალგაზრდა ქალი. საქმე იქამდის მივიდა, რომ ს-იამ, ქალიშვილს რომ არიდებოდა, გამოიცვალა ბინა და მინდორზე აღარ ჩნდებოდა. ერთ დღეს ს-იას ახალ ბინას მიაგნო ქალის ძმამ. მან უთხრა ს-იას, რომ მისი და უკანასკნელ დღეშია, სიკვდილზედაა მიმდგარი, დაავადებულია მისი სიყვარულით; იგი ევედრებოდა ს-იას არ გაეწირა ყმაწვილი ქალი და ეხსნა იგი სიკვდილისაგან — შეერთო იგი. ს-ია უარზე იყო. უარის მიზეზი ის იყო, რომ იგი არ აპირებდა ოჯახს მოკიდებოდა, რადგან ემზადება სხვა მოქმედებისათვის და არაფრის გულისათვის არ ჩამოშორდება თავის ამხანაგებს — დაოჯახიანება კი შეპორკავს მას, ხელს შეუკრავს და მომავალ ბრძოლაში მონაწილეობის მიღებას ააცდენს. ოფიცერი პატიოსან სიტყვას აძლევდა, რომ ოღონდ მან შეირთოს მისი და, ამით სიკვდილს გადაარჩინოს იგი, და არც ის, არც ცოლი, არც მათი მოხუცებული დედა ხელის შემშლელნი არ იქნებოდნენ მის მოქმედებაში; თუ ეს ასე არ იქნებოდა, მას ნება ეძლეოდა მიეტოვებინა ქალი. ბ-ვის მიერ პატიოსანი სიტყვის მიცე-

ვის შემდეგ რამდენიმე ამხანაგის წინაშე, ს-ია დათანხმდა; შეირთო დადებული პირობით. ს-იასაც უყვარდა, როგორც მითხრეს, ქალიშვილი, მხოლოდ ფრთხილობდა, რომ თავისი განზრახვების ხელის შემშლელი არ აღმოჩენილიყო.

პარტიის მეთაურებმა გადაწყვიტეს იარაღის შეძენა. საჭირო იყო ამისთვის ფული; რამე გზით იგი უნდა მონახულიყო. ყმაწვილმა მუშამ გოგიტიძემ (სახელი დამავიწყდა), წინადადება მისცა მეთაურებს, რომ იგი თავდასხმას მოახდენდა როტშილდის ქარხნის მეარტელეზე, როცა ის გამოიტანდა ხაზინიდან ფულს. თავვამეტებული ყმაწვილის წინადადება მიღებული იქნა; მოეწყო თავდასხმა გაბედული; ბლომად ფული გაგოგლიჯა გოგიტიძემ მეარტელეს, გადასცა დანიშნულ პირს და თვითონ იმდენი ახერხა, რომ ცოცხალი დარჩა და გაიქცა.

გაქცეული გოგიტიძე გადავარდა გურიაში, აქედან უნდა გაეპარებინათ იგი საზღვარგარეთ, რომ ადმინისტრაციას არ ჩავარდნოდა როგორმე ხელში. ამაზე ზრუნვა იკისრა ბათუმის მილიციაში მსახურმა პრაპორშჩიკმა ლევან გურიელმა, გოგიტიძის ახლო ამხანაგმა ბავშვობიდან. ეს ერთგვარი ტიპი იყო და ამიტომ შევჩერდები მასზე. ლევანი შვილი იყო გურიაში ცნობილი დიდი მემამულის, გვარდიის პოლკოვნიკის, თუმცა გვარდიაში მას არ უმსახურნია, იასე გურიელისა. ეს ის იასე გურიელი იყო, რომლის შესახებ შემდეგი ოჯუნჯობა იყო გავრცელებული: რუს-ოსმალეთის ომის დროს ადგენდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებთაგან დრუჟინებს. ერთ-ერთი დრუჟინისათვის ქუთაისის გუბერნატორი მალაფეევი დაეძებდა უფროსს. უსახელებდნენ ორს: თავად დ. ე-ს და თავად იასე გურიელს. მალაფეევმა ჰკითხა მასთან თარჯიმნად მყოფ დავით ჯაფარიძეს, რომელი სჯობია ამ ორშიო. ჯაფარიძე საოცარი მწარე ენის პატრონი იყო. — თქვენო აღმატებულებავ, იასე გურიელი ხუთი წუთით თუ იქნება დ. ე-ზე უფრო ჭკვიანი!—მიუგო ჯაფარიძემ. გუბერნატორი გაკვირდა ამ პასუხით.

— დიახ! — განმარტა ჯაფარიძემ. — როცა გამოელაპარაკებით დ. ე-ს, იქვე შეატყობთ და იტყვით დურაკიაო; როცა იასე გურიელს გამოელაპარაკებით, ხუთ წუთს კიდევ ყოყმანში იქნებით უწოდოთ მასაც დურაკი თუ არა, ხუთი წუთის შემდეგ კი იმაზედაც იტყვით რომ დურაკია!

დრუჟინა გურიელს ჩაბარდა. ომის შემდეგ იგი ბათუმში ცხოვრობდა; ჰქონდა გაშლილი ოჯახი, ყველა თავს აქ იყრიდა და ჩვენ, ახალგაზრდებს, აქ თავისი კუთხე გვქონდა, სადაც ვატარებდით დროს სახითაც და ხასიათითაც თავადის მშვენიერ გერებთან. პირ-

ველი ცოლისაგან გურიელს ჰყავდა ორი ვაჟი, რომლებსაც დედინაცვალი არაფრად წყალობდა, სასწავლებელს აშორებდა და უმცროსი სოფლად ჰყავდა თავმინებებული. როცა ყმაწვილი წამოიბარდა, მამამ საჭიროდ დაინახა გზაზე დაეყენებია და რადგან იგი უსწავლელი იყო და სიმარდის გარდა არა გააჩნდა რა, სამსახურში შეიყვანა ადმინისტრაციაში — უბრალო ჩაფრად. ყმაწვილი უნდა გაწაფულიყო პოლიციურ საქმეში და ამით მოეპოვა დაწინაურება ცხოვრებაში. ყმაწვილს წაფავდნენ, ესე იგი რეკვნიდნენ, და ჩაქურაში გამოწყობილი, იარაღში ჩამჯდარი შნოიანი ყმაწვილი ყველას გვეცოდებოდა რომ ვხედავდით თუ როგორ იხიბლებოდა თავისი სამსახურით და როგორ ელოდა წარჩინებას. ამ მიზნის მისაღწევად ახალგაზრდა გურიელი არავითარ მოქმედებას არ ერიდებოდა. ოზურგეთიდან ის ბათუმში გადმოიყვანეს. აქ უფრო ფართო ასპარეზი იყო სამოქმედოდ და თავის გამოსაჩენად დაწინაურებისათვის. ადმინისტრაციის გულმოდგინე მსახური ურიადნიკის ჩინით დაჯილდოებული, გადამეტებულ მეცადინეობაში იყო პრაპორშჩიკობა ღირსებოდა. ამასთანავე ყოველნაირად მეცადინი იყო ქარხნის მუშებთან კარგი განწყობილება ჰქონოდა. ბევრი წინააღმდეგი იყო მასთან დაახლოებისა, ბევრი კი ურიგდებოდა მას და აფრთხილებდნენ, რომ თუ რაიმე ცუღლუტობაში დაიჭერდნენ, არ დაზოგავდნენ და წუთისოფელს გამოასალმებდნენ.

აი ამ ლევანმა მიიღო თავის თავზე გოგიტიძის საზღვარგარეთ გაპარება. ენდვენ მას, რადგან იცოდნენ, რომ გურიელი და გოგიტიძე ბავშვობიდან თანშეზრდილნი იყვნენ, ძველი ამხანაგები. გოგიტიძე მიენდო გურიელს. ერთი გლეხის ოჯახში ღამის გასათევად მისულ გოგიტიძეს თავს დაესხა პოლიცია, გაანადგურეს სახლი და გოგიტიძეც მოჰკლეს. გურიელს დაბრალდა ღალატი და საქმე ისე დატრიალდა, რომ იძულებული შეიქნენ გამოძიება დაენიშნათ. გოგიტიძის გამწარებული დედა აღარ ზოგავდა გურიელს—მან გამოააშკარავა, რომ ლევანი შეპირდა მის შვილს გაპარებას, მაგრამ შემდეგ უღალატა, რადგან მისი მოკვლით წარმატებას მოელოდა ისიც და მისი მამაც. ლევან გურიელი უარყოფდა ამას; იგი ამბობდა, რომ გურიაში იმ დროს არც კი ყოფილა, რომ გოგიტიძესთან არავითარი კავშირი არ ჰქონია და, როგორც იცის, გოგიტიძე შემთხვევით მოჰკლეს — ეძებდნენ ყაჩაღ დარჩიას და წააწყდნენ გოგიტიძესო. გურიელი სასამართლოს ქვეშ მოექცა, სასამართლომ თუმცა გაამართლა იგი, მაგრამ სამსახურიდან მაინც დაითხოვეს. დიდი წვალების შემდეგ მან ისევ შერგო თავი ბათუმის მილიციაში და თავგადადებით ცდილობდა დაე-

მტკიცებინა უფროსებისათვის თავისი ერთგულება. ბევრი რამ მუშების საწინააღმდეგო ბრალდებოდა მას; მისდა საუბედუროდ წარჩინებაც მისცეს — მილიციის პრაპორშჩიკობა, რაც ამტკიცებდა სიმართლეს იმ ბრალდებებში, რომ მისი მოწყობილი იყო გოგიტიძეზე თავდასხმა. გათავდა ლევანის ამბავი იმით, რომ ცხრაასხუთის ერთ ზამთრის დღეს, მარხილით მიმავალს, ესროლეს თოფი ხალხით სავსე ქუჩაში და იქვე გააცხებინეს სული. მკვდარი წაიღეს ქალაქის საავადმყოფოში. რამდენიმე დღის შემდეგ მისმა დედინაცვალმა მოინდომა მისი გასვენება. მუშებმა განაცხადეს, რომ გურიელის კუბოს ქუჩაში არ გაატარებენ და ადმინისტრაციამ დიდი თათბირის შემდეგ გადაწყვიტა ღამით გამოსვენება საავადმყოფოდან, დიდი სამხედრო ექსკორტით.

როტშილდის ქარხნის მუშებმა გადაწყვიტეს დრამატული დასი შეედგინათ მუშებისაგან და კიდევაც სისრულეში მოიყვანეს ეს განზრახვა. მათ სურდათ ერთგვარი პიესები მიეწვდინათ მუშებისათვის. თავდაპირველში ხელმძღვანელად მიწვეული ნეს. კალანდარიშვილი ვერ გაუძღვა საპიროებისდაგვარად საქმეს და მომმართეს მე მეკისრა ამ საქმის ხელმძღვანელობა. ამ მომართვამ დიდად გამახარა და თავგამოდებულად შევუდექი მუშაობას. საჭირო იყო ყოველმხრივი გაცნობა პიესის, მასში ასახული პიროვნებების გაგება, გათვალისწინება — და ეს იწვევდა ერთგვარ მსჯელობას, ერთგვარ ბაასს შეტად საინტერესოს და საგულისხმიეროს. ამგვარი მზადება ისე იტაცებდა მოთამაშეთ, რომ გვიან ღამემდი რჩებოდნენ რეპეტიციებზე. მუშა-არტისტებში ბევრი საინტერესო პირები აღმოჩნდნენ, როგორც იყვნენ: მოსე წეროძე, ჟღენტი, სურგულაძე, ჩხენკელი და სხვ. პიესებს თვითონ ირჩევდნენ. დაიდგა სხვათა შორის იბსენის „ხალხის მტერი", ანუ „დოქტორი შტოკმანი", „ცემბირელი" ცაგარლის, მისივე „ქართველი დედა", „ქოხში" ივ. გომართლის და სხვ...

თავი მეათე

რუსეთ-იაპონიის ომი და პარაკლისი. — „პარცხანის გუბერნატორი". მეზღვაურ ოფიცრის განზრახვა. — გუბერნატორი სტაროსელსკი. — საბა კლდიაშვილის გასვენება. — მღელვარება ბათუმის მოსწავლეთა შორის და ჯარისკაცთა აჯანყებები. — დაღესტანში გადასახლება. — გენერალ გრიაზნოვის მოკვლა ალსენ ჯორჯიაშვილის მიერ.

დაიწყო იაპონიასთან ომი. პარაკლისები პარაკლისებს სცვლიდა. ნაწილს უფროსს გამოვყავდით ამ პარაკლისებზე ყველა უკლებლივ და მღვდელთან ერთად ჯარისკაცებს აგალობებდა: „სნამი ბოგ,

რაზუმეიტე იაზიცე, პოკორიაიტეს, იაკო სნამი ბოგ". ზოგიერთებზე ეს საოცრად მოქმედებდა. ერთი ახალგაზრდა ოფიცერი (გვარად სტეფანოვი), მახსოვს, გიჟივით გვარწმუნებდა, რომ ზემოთ მოყვანილ ფსალმუნის დროს გაშლილი ბაირაღი აშრიალდაო უეცრად და ეს ნიშანიაო, რომ ღმერთმა შეისმინა ჩვენი და გვანიშნა, რომ გამარჯვება ჩვენიაო. ეს მან უამბო ნაწილის უფროსს და ამ უკანასკნელმა დაავალა სტეფანოვს ეს ცხადება გაეგებინებია საზოგადოებისათვის გაზეთის საშუალებით. ოფიცერმა მოათავსა „ჩერნომორსკი ვესტნიკ"-ში წერილი; აღნიშნა, რასაკვირველია, ეს ცხადება ოა ისე გამოვიდა, თითქოს ჩვენს პოლკოვნიკს ეცნო ბეტერზე მომავალი უეცველი გამარჯვების ამბავი. პოლკოვნიკი თავს გვიყრიდა ოფიცრობას და მთელი საათით გვესაუბრებოდა, რომ გამარჯვება უეჭველია ჩვენია, საჭიროა მხოლოდ ერთსულოვნება და რწმენა, რომ ჩვენ გავიმარჯვებთო. როგორც შემდეგ შევიტყვეთ, ის იმეორებდა ჩვენ წინაშე გაზეთ „ნოვოე ვრემიადან" ამონაკითხს და გებერავდა სუვორინის და მენშიკოვის წერილებით. ორიოდე ათასი მანეთი ჰქონდა მოგროვილი ოფიცრობას იმ მიზნით, რომ ავადმყოფ ამხანაგისათვის დახმარება გაეწიათ. პოლკოვნიკი შეუჩნდა ოფიცრებს, სიტყვით მიმართა და მთლად ეს ფული გადაეგზავნა სუვორინს, რომელიც აგროვებდა თანხას ახალი გემების ასაშენებლად. მაგრამ მის ენთუზიაზმსაც ფრთები ეკვეცებოდა იმ დამარცხებებით, რაც მეფის რუსეთის ჯარს ხვდებოდა იაპონელებისაგან. მე მომდიოდა ცალკე „რუსკაია ვედომოსტი", რომელშიაც თავსდებოდა შესანიშნავი წერილები მიხაილოვსკის (ნოსკოველი სტატისტიკოსი იყო) ომის მიმდინარეობის შესახებ. ამ წერილებში ნათლად ჩანდა რუსეთის ჯარის მოუწყობლობა, უფროსების უვარგისობა და ამგვარები. ამ წერილებს ხმამაღლა ვკითხულობდით ხოლმე ოფიცრებში და ამის მოსმენა ერთგვარ ვანწყობილებას იწვევდა მათში. წინათ რომ ალმაცერად უყურებდნენ ამ გაზეთს, ახლა ათიოდემ კიდევაც გამოიწერა. ეს არაფრად ეპიტნავა პოლკოვნიკს, გამოთქვა თავისი გაკვირვება, აკრძალეთ კი არ აუკრძალავს ამ გაზეთის ტრიალი ოფიცრობაში.

ნაწილის უფროსი ავად გახდა. ნაწილი მე ჩამბარდა, როგორც უფროს ოფიცერს. ეს არ იყო სასიამოვნო, რადგან ადვილად შესაძლებელი იყო თავზე მოეხვიათ ისეთი რამ, რისიც მთელი არსებით წინააღმდეგი ვიყავი. წაგებული ომის შემდეგ მეტი და მეტი მღელვარება ემჩნეოდა ყველგან — ჯარშიაც და მცხოვრებლებშიაც. საიდუმლო განკარგულება განკარგულებაზე მოდიოდა; მთავრობა ყოველთვის ჯარის იმედით იყო და ყოველი დღისათვის ინიშნებოდა მორიგი სადარაჯო გუნდი, რომელიც დაბარებისთანავე უნდა გაჩენილიყო ნაბ-

რძანებ ადგილზე. ყოველ წამს მზად უნდა ვყოფილიყავი, რომ მომ-ეპოვნენ გუნდს.

მახსოვს ერთხელ, უკვე შესაღამოებული იყო, ჩვენი ნაწილიდან მოითხოვეს გუნდი. გუნდი წასასვლელად გაემზადა, — უნდა დამ-ბარიყო მანთაშევის ქარხნის ქვემო ხიდზე, ეგრეთ წოდებულ მანთა-შევის გადასასვლელთან. აქ მუდამ ორობტრიალი იყო, მუდამ ხალხი ფუსფუსებდა — ერთი სიტყვით სახიფათო ადგილი იყო. ცოტა რამ ეშაირიყო, რომ უბედურება მომხდარიყო. გუნდი უნდა წაეყვანა ოფი-ცერს (გუსაკოვი იყო გვარად), რომელიც ორი წლის წინად ანთაძის გუნდში იყო, მუშებთან რომ შეტაკება მოუხდა; ახლა ეს გუსაკოვი ჩვენთან იყო გადმოსული. გამოვედი გუნდთან და მივმართე დარიგე-ბით; ვარიგებდი, რომ ყოველივე მათ წინააღმდეგ ნათქვამ სიტყვას არ აყოლოდნენ, დაეთმინოთ თუ ვინმე მოქმედებითაც განიზრახავდა მათთან შებმა-შეტაკებას, ზედმეტი მოთმინება გამოეჩინათ იმ-ტომ, რომ აღელვებულ ხალხს, ალბათ, რაღაც აწუხებს ისე, იმ ზომამდე, რომ თავს ივიწყებს და უიარაღო შეიარაღებულს აღარ ერიდება — ესე იგი სიკვდილზე მიდის თავის გაჭირვების გამო. ეს გარემოება გა-ვალებთ თქვენ, რომ მეტისმეტი დამთმენი იყვეთ და გაწყარებულ ხალხს მეტი გამწარება არ მიაყენოთ...

გავიხმე განზე ოფიცერი და ვუთხარი:

— ივან მიხაილოვიჩ! ხომ გახსოვთ რა გაწყარება გამოვცადეთ პერესილნი პუნქტზე? ყველაფერი აიტანეთ, ოღონდ ხიფათს აშორ-დით!

— იმედით იყავით!.. მშვიდობით დავბრუნდებით! — მომიგო მან. საღამოდან დილამდინ გუნდი გადასასვლელზე იდგა და არა შეხვე-დრია რა გარშემო მოფუსფუსე აუარებელ ხალხთან.

რამდენიმე ხნის შემდეგ ქარხნიდან სამი შუშა შოვიდა ჩემთან. მათ მითხრეს, რომ მუშებმა გაიგეს თუ რა დარიგება მიეცა გუნდს, როცა იგი იგზავნებოდა გადასასვლელზე და ამასთანავე დიდ მად-ლობას უთვლიდნენ გუნდს, რომლისაგან ერთი უკადრისი სიტყვა არავის გაუგონია, თუმცა ამისათვის ზოგი საბაბს აძლევდაო.

ჯარისკაცებს და მუშებს შორის ეტყობოდა კავშირი იყო გაბ-მული; ამაში ნათლად დარწმუნდებოდა კაცი მათი მონაყოლიდან. ამასთანავე თავს ამოყოფდნენ ხოლმე „ერთგული“ ჯარისკაცები, რომლებსაც ჰყავდათ მეთაურებად ჩვენივე ოფიცრები, ნამდვილი შოვინისტები. ერთი ამ ტიპის ოფიცერი იყო მეხუთე გუნდის უფ-როსი, გვარად ანდრეევი, საოცარი შავრაზმელი; მას ზურგს უმაგ-რებდა ნაწილის უფროსი და ანდრეევიც თავის გუნდში თავს უყრი-და ერთგვარ „ერთგულ“ ჯარისკაცებს. ეს უკანასკნელები ჯაშუ-

შობდნენ, ჩუმად ხულიგნობდნენ იმ იმედით, რომ ჯაშუშობისათვის ყველაფერს აპატიებდნენ. მეხუთე გუნდი პირდაპირ ბუდე იყო ამ გარყვნილი ჯარისკაცების. კარგად იცოდნენ ჩემი მათდამი გახწყობილება, მე არ ემალავდი ამას, მაგრამ იმედიანად იყვნენ ნაწილის უფროსის მხრივ და თავხედურად ირჯებოდნენ ხშირად. ნაწილის უფროსი ავად გახდა, ჰოსპიტალში იწვა, ნაწილის მოთავედ მე ვიყავი, მაგრამ მათი თავხედობა მაინც იჩენდა თავს — გათამამებული იყვნენ და იმედი ჰქონდათ, რომ მათი „ერთგულებისათვის“ ყველაფერი ეპატიებოდათ.

ერთმა ამ თავხედთაგანმა საოცარი საქმე ჩაიდინა.

იმის შემდეგ, რაც მე ჩავდექი ნაწილის უფროსის ადგილას, ნაწილში ერთგვარი მშვიდობიანობა ჩამოვარდა. ციხის კომენდანტმა ერთხელ კიდეც მითხრა — თქვენი უფროსობა მოუხდა ნაწილს, ალბათ, თქვენი პოლკოვნიკი ვერ ირჯებოდა საჭიროებისამებრო.

მაგრამ მეხუთე როტაში ვეღარ მოითმინა ფელდფებელის ადგილზე მყოფმა უნტერ-ოფიცერმა თავისი ხულიგნობა რომ არ გამოეჩინა. ახლად გამოწვეულ ჯარისკაცს, გვარად ჩაიკას, ცოლი მოუვიდა სოფლიდან (რუსეთიდან). ჩაიკა საწყალი მხდალი ახალგაზრდა იყო; ცოლი — ლამაზი ქალი. ჩაიკა აგდებული ჰყავდათ გუნდში და როცა მისი ლამაზი ცოლი დაინახეს — უფრო ოუმასხრდნენ; გაეცვნენ ქალს და აეტორღიალენ. ქალი ხშირად მოდიოდა ქმრის სანახავად, სალდათები განგებ გვიანობამდი არ ატყობინებდნენ ჩაიკას ცოლის მოსვლას, და ელაზღანდარებოდნენ ხოლმე. გუნდის უფროს უნტერ-ოფიცერს, ფელდფებელის თანამდებობის აღმსრულებელ რიბაკოვსაც მოეწონა ქალი და ჩაიკას ნებას აძლევდა ცოლი ყაზარმაში მიეღო ხოლმე; მერე თავის ოთახშიაც პატიჟობდა და ერთ დღეს, როცა რიბაკოვმა ოთახიდან ყველა გამორეკა, კარი ჩაუკეტა ქალს... რამდენიმე ხნის შემდეგ ატირებული ქალი გამოვიდა ოთახიდან და ყველამ გაიგო რაც ჩაიდინა რიბაკოვმა. შეიქნა ერთი სიცილი, სტეენა, ყვირილი. მიხვდა ჩაიკაც რაც მის თავზე ამბავი იყო; ვონებადაკარგული გავარდა შეშის საწყობისაკენ და თავის ჩამოხრჩობა დააპირა. იგი კიდეც გამოესალმებოდა ამ სოფელს, რომ არ მისწრებოდნენ და არ ჩამოეხსნათ ბაწრიდან. მაცნობეს ეს ამბავი, დაენიშნე გამოძიება და გამოძიებამ გამოარკვია ის, რაც ზემოთ მოვიყვანე. გამოძიება გავუგზავნე ციხის უფროსს, გენერალს, რომელსაც ჩვენი ნაწილი ექვემდებარებოდა და ვთხოვე, რომ რიბაკოვისათვის ჩამოერთმიათ მისი უნტერ-ოფიცრობა. გენერალმა ჩამოართვა უნტერ-ოფიცრობა და დაატუსაღა. გუნდის უფროსი კი გულმოდგინედ ექომაგებოდა თავის „ერთგულს“, მაგრამ არა გაუ-

ვიდა რა. მე მაბრალებდა, რომ სდევნისო „ერთგულ“ ჯარისკაცებს, როგორიც არის რიბაკოვი. განზე ბუტბუტებდა გუნდის უფროსი და უცდიდა პოლკოვნიკის გამოსვლას ჰოსპიტლიდან. პოლკოვნიკს ჰოსპიტალში შეატყობინეს, რომ მე ვსდევნი „ერთგულებს“ და რომ ტყუილაუბრალოდ დავსაჯე რიბაკოვი. როცა პოლკოვნიკი გამოეწერა ჰოსპიტლიდან, მისაყვედურა, რომ ისეთი კარგი კაცი დავსაჯე, როგორც რიბაკოვი, რაღაც უბრალო შეცდომისათვის, თუკი ადგილი ჰქონდა შეცდომასაო. რამდენიმე თვის შემდეგ პოლკოვნიკმა რაღაც უბრალო შემთხვევა იშოვა და ჩემ შესარცხვენად იმდენს შეეცადა, რომ რიბაკოვს დაუბრუნა უნტერ-ოფიცრობა. მახსოვს ამან დიდი ლაპარაკი გამოიწვია როგორც ოფიცრებში, ისე ჯარისკაცებში.

მონასტერი ირეოდა.

გენერალი მადლობას მეუბნებოდა, ნაწილის უფროსი კი გულჩუყრალად იყო ჩემზე, მაბრალებდა, რომ ისე არ ვიქცეოდი, როგორც საჭირო იყო სამხედრო პირისათვის. ხანდახან დარიგებასაც მაძლევდა, თუ როგორ უნდა დამეჭირა თავი.

—თქვენ ხშირად რჩებით ჩემს მაგიერ,— მითხრა მან ერთხელ,— და უნდა გახსოვდეთ, რომ მაშინ თქვენ გაქვთ ნაწილის უფროსის ყველა უფლებანი. თქვენ უფროსი ხართ და ნებას არ უნდა აძლევდეთ ოფიცრებს მოგმართონ სახელით და მამის სახელით. მათ ასე უნდა მოგმართონ: „გოსპოდინ კაპიტან“. თქვენ ამ დროს უკვე მათი ამხანაგი არა ხართ — ეს უნდა შეაგნებინოთ მათ, ამაშია დისციპლინა და ამ დისციპლინას უნდა იცავდეთ მტკიცედ! დაჭიჯერეთ გამოცდილ მეომარს!

— მაპატიეთ, მე ვერ ავასრულებ თქვენს რჩევას. რარიგად ვუბრძანო, რომ დღეს დამიძახონ „გოსპოდინ კაპიტან“, ხვალ დავიდ სამსონის? მაპატიეთ და მაგას ვერ ვიზამ! — და პოლკოვნიკის გასაჯავრებლად დავუმატე: — არა თუ არ დავუშლი მათ, რომ სახელით და მამის სახელით მომმართონ, არამედ მექებება კიდეც, როცა მხოლოდ სახელით მომმართავენ!

—უცნაური კაცი ხართ! — თავის ქნევით თქვა პოლკოვნიკმა. — წაგებთ მაგით, დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა!

დიდად საწყინარი ჰქონდა, როცა მისი ავადმყოფობის დროს ერთმა ოფიცერმა, რომელმაც ნაჩუმათევად, რადგან ოცდარვა წლის არ იყო და ფული ვერ წარმოადგინა (უნდა წარმოედგინა ხუთი ათასი მანეთი — ასეთი იყო კანონი), ცოლი შეირთო და მხოლოდ იმის შემდეგ, როცა შეუსრულდა ოცდარვა წელიწადი, განცხადება შეიტანა ნება დაერთოთ დაქორწინებისათვის. ამ ოფიცერს უპირებდა

პასუხისგებაში მიცემას როგორც კანონის დამრღვევეს და ისეთ პირს, რომელმაც შეირთო თუმცა საბუთით აზნაურის ქალი, მაგრამ საეკვო აზნაურის. ერთი სიტყვით ყმაწვილი ოფიცერი, რომელიც რაღაც მიზეზის გამო არ მოსწონდა, გააბა ერთ დავიდარაბაში. დატანჯა საწყალი ახალგაზრდები. ვისარგებლე პოლკოვნიკის ავადმყოფობით, შევუჩნდი ციხის უფროსს, გენერალს, და ისე შევაჯერე იგი, რომ მან დააკანონა ამ ოფიცრის დაქორწინება. პოლკოვნიკი დიდად უკმაყოფილო დარჩა ჩემით და მისაყვედურა, არ უნდა გექნათ — დოლინინი (ოფიცრის გვარია) ვერ არის რიგიანი ოფიცერიო. მე არ ვიცი რაში ატყობდა იგი ურიგობას. მხოლოდ ჩემს მიმართ დოლინინმა მართლა და ურიგობა გამოიჩინა: რამდენიმე თვის შემდეგ, არეულობის დროს, იგი იყო ერთი იმ ხუთ-ექვს ოფიცერ შორის, რომლებიც მზარს უქერდნენ ჩემს წინააღმდეგ პოლკოვნიკს და ამოწმებდნენ, რომ მე პროპაგანდას ვეწეოდი ოფიცრებსა და ჯარისკაცებში. ამით მდგომარეობას იკეთებდა საწყალი მის გუნებაში, მაგრამ შემდეგში ეს ამბავი საბოდიშოდ გაუხდა ჩემთან.

როგორც ზემოთ ვთქვი, ქვეყანა ირეოდა, ირეოდა დღე-დღეზე უფრო და უფრო. ხალხის დაპატიმრება უფრო და უფრო გახშირდა, მაგრამ მუშებს ეს არ აშინებდა, თითქმის უფრო ათამამებდა კიდეც. ქუთაისში ლადო მესხიშვილმა დადგა მონტის პიესა „კაი გრაკხი". პიესამ დიდი აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში. ბათუმის მუშებმა საგანგებოდ მიიწვიეს ლადო თავისი დასით, რომ ეთამაშნა ეს პიესა ბათუმის მუშების წინაშე. საკვირველი იყო, როგორ გამოაპარეს ცენზურას ეს რევოლუციური ნაწარმოები. მახსოვს კი წარმოდგენა ბათუმში ლადოს დასის მიერ. ეგრედწოდებული „რკინის თეატრი" გაჭედილი იყო ხალხით. ყოველი ცხარე სიტყვა კაი გრაკხისა, რომელსაც ასრულებდა ლადო მისებური სიფიერეებით, იწვევდა ტაშისცემას და გრიალს. აღტაცება თანდათან მატულობდა და წარმოდგენის დასასრულს უმწვერვალეს წერტილამდე მივიდა. მღელვარე ხალხმა თეატრშივე დასძახა მარსელიოზა. ხალხი გუგუნით გამოვიდა თეატრიდან და რკინიგზის ლიანდაგით გაემართა ბარცხანასა და გოროდოკისაკენ. გადმოქართულებულ მარსელიოზის სიტყვები მკაფიოდ ისმოდა ღამეში.

მე და ორი ჩემი ამხანაგი ოფიცრები (ჯაყელი და კამოევი) გამოვედით რა თეატრიდან, ჩავჯექით მარხილში, ზამთარი იყო, და გავსწიეთ ჩვენი ბინისკენ. ვიღაცამ თვალი მოგვკრა, შეგვნიშნა, რომ ოფიცრები ვიყავით, და მოგვაყვირა:

— მეფის მონები!.. ოპრიჩნიკები!

ამას აყვნენ სხვები და შეიქნა ერთი ყვირილი, სტვენა, ლანძღვა-

გინება ჩვენ მიმართ. საძაგელ მდგომარეობაში ჩავვარდით. მივატანეთ ამ ყიჟინში ელექტრონის ფარნამდი. სინათლეზე კარგად გაგვარჩიეს და გაისმა ხმები: გაჩუმდით, გაჩუმდით, კლდიაშვილია... ჯაყელი... იმღერეთ.

შეწყდა შემოძახება, სტევნა და მალე მარხილმაც უკან მოიტოვა რევოლუციური სიმღერებით მიმავალი ხალხი. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემთან მოვიდა როტშილდის ქარხნიდან სამი მუშა — მუშა მოსე ბაბილოძის მეთაურობით და გადმომცეს, რომ ღამეში ვერ გაარჩიეს ვინ მოდიოდით მარხილით და შეუფერებელი სიტყვებით მოგმართესო.

— ნუ გეწყინებათ, — ამბობდნენ ისინი. — ასეთი შემთხვევა უნებურად შეგხვდებათ, თორემ ჩვენ ვიცით ვის პატივისცემით უნდა ვხვდებოდეთ და ვის სიცოცხლე გავუმწაროთ.

მღელვარება თანდათან მატულობდა, გახშირდა დაპატიმრება და დატუსაღება მუშებსა და ჯარისკაცებს შორის.

ერთ დღეს ბათუმის ქუჩები მოიფინა განცხადებით და ბრძანებით: „გამოცხადდა ახალი მბრძანებელი — ბარცხანის გუბერნატორი“, როგორც იგი უწოდებდა თავის თავს. მთავრობის გუბერნატორი სრულიად დაჩრდილა ახლად გამოჩენილმა „ბარცხანის გუბერნატორმა“; ამის ბრძანებებს გაცილებით მეტი ძალა ჰქონდა ყველა ბათუმელის თვალში, ვიდრე მთავრობის გუბერნატორს. ქალაქის ცხოვრების ხელმძღვანელი, განმკარგულებელი, ნამდვილი მმართველი შეიქნა ეს „ბარცხანის გუბერნატორი“, რომელსაც მთავრობა გამწარებით დაეძებდა, რომლის ვინაობის გაგებას თავგადადებით მეცადინობდა, მაგრამ მშრალზე რჩებოდა. ვერავინ გაიგო ვინ იყო ეს ახალი გუბერნატორი, სიიდან გაჩნდა, ვინ იყო მასთან მომუშავე, არავინ იცოდა მისი ვინაობა, მაგრამ ყველა მისი ბრძანების აღმასრულებელი, მისი სიტყვის მორჩილი, გამგონი და გამყოლი იყო. საოცარი გავლენა ჰქონდა ყოველ მის ბრძანებას; მას ემორჩილებოდა მთელი ქალაქი, მისი შიშის ქვეშ იყვნენ თვით მთავრობის წარმომადგენლებიც. „ბარცხანის გუბერნატორი“ უჩინარი, მაგრამ ნამდვილი დიქტატორი იყო და ეს დიქტატორობა მას შერჩა კარგა ხანს — იმ დრომდი, სანამ რეაქციამ არ გაიმარჯვა.

მთელი ქალაქის ადმინისტრაცია შიშის ქვეშ იმყოფებოდა; ყველანი არეულობის მოლოდინში იყვნენ. მთავრობა გახურებულ მუშაობაში იყო, რომ მაგრად დახვედროდა ამგვარ ხალხს, გაფაციცებით დაეძებდა საშუალებას, რომლითაც შეიძლებოდა ხალხის დაწყნარება, დამორჩილება. არეულობის მოლოდინის შიშმა განსაკუთრებით იმატა თებერვლის დღეებში. ცხრამეტი თებერვალი, ძველი

სტილით, გლეხთა განთავისუფლების დღე იყო და ამ დღეს ყოველთვის დღესასწაულობდნენ. ახლა იმის შიში შეიქნა, რომ ამ დღეს მუშების გამოსვლა მოხდებოდა. ამისი შიში ჰქონდათ და მთავრობის წარმომადგენელნი თათბირს თათბირზე მართავდნენ. ერთ თათბირს, რომელიც ციხე-სიმაგრის უფროსმა მოიწვია, მეც დავესწარი, რადგან ნაწილის უფროსი ისევ ავად იყო და მე ვასრულებდი ნაწილის უფროსობას. ასე რომ, მათდა უნებურად, ისეთი არასასიამოვნო პიროვნება, როგორიც მე ვიყავი ბევრი მათგანისთვის, მოწმე გავხდი მათი თათბირისა. საკითხი იყო დასმული იმის შესახებ, თუ რა ზომები მიეღოთ ცხრამეტი თებერვლის მოსალოდნელ გამოსვლის წინააღმდეგ. განსხვავებული აღელვებით ლაპარაკობდა ერთი ინჟინერი პოლკოვნიკი, იგი გამოთქვამდა ცხარე სიტყვებით თავის მწუხარებას, რომ ყოველ ნაბიჯზე ქუჩაში ხვდებოდა ისინი, ვინც ამ არეულობისათვის იყვნენ გამზადებულნი და რომ ისინი დადიოდნენ თავისუფლად, თამამად, უშიშრად, მომლოდინენი ხელსაყრელ წამისა, და რომ მედიდურად გამოიყურებიანო, რადგან კანონი საშუალებას არ იძლევა დააპატიმრონ ისინიო.

—იგი მიდის ამ ქუჩაში თქვენ თვალწინ... ის გეჩხირებათ თვალში თავის ცისფერკოპლებიანი ბლუზით, ერთგვარი ქუდით თავზე, ხანდახან ნაბადმოხურულიც. ვიცი რა ვაებატონი ბრძანდება, რა ფიქრებს ატარებს თავში, რა განზრახვებით არის აღვსილი. ვიცი, ეუყურებ და გულზე ვსკდები, რომ კანონი ნებას არ იძლევა სტაცო ხელი და გულის საჯერად მოეპყრა. ეს სისუსტეა ჩვენი და იგი ათამამებს მათ. ისინი დაგვცინიან მოურიდებლად; ჩვენ კი ვეთავაზებით, როცა აქ საჭიროა სასტიკი ზომების მიღება, რომ მოვსპოთ ამისთანა საზიზღრება და თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი აღრევა და უწესრიგობა!

ლაპარაკი ჩამოვარდა, რომ დაჭერილთა რიცხვი ნამეტნავად იზრდებაო და დასატევი ადგილი თითქმის აღარ არისო. ეს საკითხი წამოაყენა გუბერნატორმა, გენერალმა დრიაგინმა.

—[1] რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ უცნაურ გაჭირვებაში ჩავვარდებით, დასაპატიმრებელი ბლომად იქნება, მათი მოსათავსებელი ადგილი კი არ გვექნება, — თქვა მან. — ამ ბოლო დროს დაპატიმრებულნი ბურუნტაბიეში (სიმაგრე ზღვის პირას) მოვათავსეთ... ახლა აქაც გაივსო! ამაზე უნდა ვიფიქროთ!

— მე მგონია აქ მაინცდამაინც დიდი თავსატეხი საქმე არ არის... სულ უბრალო საშუალებით მოვიშორებთ ამ არასასურველ ელემენტს თავიდან და ახლებისათვისაც ადგილი გვექნება! — თქვა ნაესადგურის უფროსმა ზღვის კაპიტანმა.

— ესე იგი? — შეეკითხა გუბერნატორი.

— გადმომეცით თქვენი ტუსაღები მე, გადმოიყვანეთ ერთ-ერთ პარკასზე, ბარკასს გავიყვანთ შუა ზღვაში და თქვენ თავისუფალნი იქნებით იმ არამზადებისაგან! — განმარტა ნავსადგურის უფროსმა.

ნათქვამმა, ეტყობოდა, ყველა გააოცა. ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე.

— ჩვენ აქ მგონი სერიოზულად ვლაპარაკობთ! — თქვა დრიაგინმა.

— მეც სერიოზულად ვლაპარაკობ! — წაილაპარაკა მეზღვაურმა.

— არა, ამგვარ წინადადებას, მგონია, აქ არ მიიღებენ! ასეთი რამ შეუძლებელია!.. — თქვა დრიაგინმა.

— თქვენი ნებაა!.. მე კი მგონია ეს შესაძლებელიცაა და ადვილად მოსახერხებელიც. — არ წყნარდებოდა მეზღვაური. — რა საჭიროა ცერემონიები?! ვისთან?! ჩაიძირება ერთი დამპალი ბარკასი და თან ჩაიტანს ყველას ისე, რომ ვერავინ ვერ გაიგებს იმათ შესახებ!

ეს ნამდვილი ამბავია. ამ მხეცურმა წინადადებამ ამგვარ შეკრებილობაზედაც მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა და მხეცი მეზღვაურის წინადადება უარყოფილ იქნა.

ამგვარ მხეცურ წინადადებას ხშირად იძლეოდნენ სხვადასხვა პირები.

გუბერნატორად ახლად დანიშნულ გენერალ პარკაუს მიერ მოწვეულ კრებაზე (ამ კრებას მე არ დავსწრებივარ) ჟანდარმის როტმისტრმა როჟნოვმა წინადადება შეიტანა: ხალხის შესაშინებლად წითელი მამალი ავაფრინოთო. ეს ისე უტიფრად წამოისროლა როტმისტრმაო, მითხრა ამის გადმომცემმა, კრებაზე მყოფმა პორუჩიკმა ჩეჩელაშვილმა, რომ თავი ვერ შეიკავეო და როტმისტრის ნათქვამს დაეურთეო: — დავიწყოთ ალექსანდროვის ბაღიდან!

ესე იგი პირველად ცეცხლი უნდა გაჩენოდა გუბერნატორის სახლს! ის იყო პირველი სახლი ალექსანდროვის ბაღთან. ჩეჩელაშვილს, რასაკვირველია, მიუხვდნენ გადაკრულად ნათქვამს და შესწყვიტეს თურმე ლაპარაკი „წითელ მამალზე“. ჩეჩელაშვილს მაშინ არ ანანებიეს მისი ხითამამე, მაგრამ შემდეგ კი გაუხსენეს და დაუწყეს დევნა.

ნავსადგურის უფროსის რჩევა სულ მივიწყებას არ მისცემია. ერთ დღეს ჩემთან მოვიდა ჩემი ამხანაგი ოფიცერი, გვარად ეევანგელიდი. საოცარი აღელვებული იყო. მან მითხრა, რომ მიმიხმეს ციხის შტაბში და იქიდან გამგზავნეს გუბერნატორთან ბრძანების მისაღებადო. ბრძანება მისცა გუბერნატორმა: ბურუნტაბიიდან გამოე-

ყვანა დატუსაღებულები და გადაეყვანა ნავსადგურის უფროსისაგან ნაჩვენები ბარკასზე. ბარკასი ღამით უნდა გაეყვანა ზღვაში და ღამით ჩაეძირა ზედ მყოფ ხალხთან ერთად. ევანგელიდმ მითხრა, პირდაპირ გადავირიე ასეთი ბრძანების ასრულებას რომ მაკისრებდნენო; ჯერ შევეკითხე, რატომ მე ამომირჩიეს ამისთანა საქმის შესასრულებლად, მერე პირდაპირ გამოვუცხადე, რომ არაფრის გულისათვის ამგვარ ბრძანებას არ შევასრულებო და თუ ვინმე სხვა გამოჩნდა ამის შემსრულებელი, მე გამოვა[illegible] ამას და ქვეყანას გავაგებინებო. ძლიერ შეწუხდნენ თურმე, რომ შეცდნენ ამ ოფიცერში და ის არ აღმოჩნდა ისეთი პირი, როგორიც მათ ეგონათ და ესაჭიროებოდათ. ბურუნტაბეის ტუსაღები საზარელ სიკვდილს გადარჩნენ; ევანგელიდი გამოისტუმრეს, — მხოლოდ უბრძანეს, რომ არ გაეხმაურებინა ეს ამბავი. მაგრამ მან მაინც ვერ დასძლია თავი, რომ ჩემთვის არ გაეგებინებია.

— ვიცი, რაღაცას დამმართებენ ჩემი ურჩობისათვის, მაგრამ ჩემი სინდისი წმინდა მექნება.. რომელმა ჩემმა საქციელმა დააიმედათ, რომ მე შევასრულებდი ასეთ საზიზღარ საქმეს, მიკვირს!.. რაც უნდათ ის მიყონ! — აღელვებით დაასრულა მან თავისი ამბავი.

არ აპატიეს ევანგელიდის მისგან ბრძანების შეუსრულებლობა. მოკლე ხანში იგი ბათუმიდან გადაიყვანეს მაიკოპისკენ ერთ-ერთ ყაზახთა პლასტუნების ბატალიონში, სადაც, ათას უბედურებაში გაზვეული, ძლივს გადარჩა ცოცხალი.

ცხრამეტი თებერვლის, გლეხთა განთავისუფლების, დღისათვის არეულობის მოლოდინში დიდ მზადებაში იყო ქალაქის უფროსობა. არეულობები დაიწყო. სამხედრო მთავრობა ყოველდღიურად ნიშნავდა განსაკუთრებულ მორიგე უფროს ოფიცერს და თითო კვირაობით აცსადებდა, თუ რომელ დღეს რომელი ნაწილიდან რომელი ოფიცერი ინიშნებოდა მორიგედ. წინა გაწერილობით მე ძალიან დაშორებული ვიყავი თვრამეტსა და ცხრამეტ თებერვლის მორიგეობას, ესე იგი ერთრიგად აშორებული ვიქნებოდი თუ მართლა რამე გამოსვლა იქნებოდა. მაგრამ ერთ საღამოს მოსულ ბრძანებაში ახალი, შეცვლილი მორიგეობა გაწერილობა იყო და ამ შეცვლილ გაწერილობით მე ვინიშნებოდი მორიგედ თვრამეტი თებერვლის თორმეტი საათიდან ცხრამეტი თებერვლის თორმეტ საათამდის, ესე იგი თუ გამოსვლა-არეულობა მოხდებოდა, მე უნდა გავხვეულიყავი ცეცხლში. ეს პირდაპირ განზრახ შედგენილი გაწერილობა იყო. ეჭვი არ უნდოდა, რომ თუ რამე მოხდებოდა, მე უნდა დამტეხოდა თავზე. აშკარა იყო, რომ მე მაგდებდნენ განსაცდელში. მე და ჩემ-

ბედი — ვთქვი და არც კი შევკითხებივარ შტაბში, თუ რატომ შეცვალეს წინანდელი გაწერილობა.

ჩავედექი მორიგედ. თერამეტს მშვიდობიანობაა; ცხრამეტს დილიდან ტელეფონები ამუშავდა — კითხულობენ ყოველ წამს, ხომ არაფერი ცნობაა საიდანმეო. სრული სიწყნარეა და მშვიდობიანობა. ახლოვდება თორმეტი საათი — გამოცვლის დრო. უკვე თორმეტია... თორმეტს გადაცილდა, მაგრამ ჩემი შემცვლელი არსად არის... ტელეფონი აწიკწიკდა. ეჰ, გაწყრა ღმერთი!..

— შტაბიდან... ცნობაა მიღებული ალექსანდროვის ბაღში ხალხი გროვდება, მღერიან რევოლუციურ სიმღერებს... მიიღეთ ზომა... გაფანტეთ დაუყოვნებლივ... ყაზახებს მოგაშველებთ!

ვიხმე ჩემს განკარგულებაში მყოფი ყაზახი, ვუბრძანე გამოეყვანა ცხენი, შევჯექი, ყაზახს ეუთხარი მომორებით გამომყოლოდა და გავსწიე ალექსანდროვის ბაღისაკენ. მივდივარ და თან ფიქრს ვეძლევი: რარიგად დამიხვდება შეგროვილი ხალხი, რა სიტყვით მივმართო... მათ შორის ბევრი ჩემი კარგი ნაცნობი იქნება... მაგრამ ჩემი ხათრისათვის ხომ არ დაიშლებიან და გაიფანტებიან — თავს არ იზოგავენ და ხათრს რა ადგილი შეიძლება ჰქონდეს! რაც იქნება, ის იქნება... ოღონდ სამარცხვინო მოქმედებას ავცდე!

მივდივარ, კაცის ნასახი არსად ჩანს ქუჩაში. ცხენის ფეხის ხმა ესიამურად გირტყამს ყურში. გადავუხვიე მეორე ქუჩაზე... აგერ ალექსანდროვის ბაღიც... სიწყნარე, სიჩუმე, არ ისმის სიმღერა... მივდივარ ბაღის დაყოლებას... ბაღში კაცი არ ჩანს... ჩავიარე ბაღი. ციხის მახლობლად ვარ. ციხის კარებთან დგას ათიოდე კაცი. სხვაგან არსად ჩანს სულიერი. წავედი ამ ჯგუფისკენ. კარებთან მდგომნი ჩემსკენ წამოვიდნენ.

— ოჰ, კერკეკია! რა ამბავია? — ეს როტშილდის ქარხნის მუშა იყო.

— მშვიდობა ბატონო!.. ხუთშაბათია დღეს, ნახვის დღე... ამხანაგების სანახავად ვიყავით, — მომიგო მან. — თქვენ რამ გაგსარჯათ, დავით? — მომღიმარე სახით მომმართა კერკეკიამ.

— ცნობა მისულია შტაბს, ბაღში აუარებელი ხალხია თავშეყრილი და რევოლუციურ სიმღერებს მღერიანო.

— არა, ბატონო, დღეს არავინ გამოვა, თავს ტყვილა არავინ შეაკლავს... ყველამ ვიცით, რომ დღეისათვის დიდი მზადება აქვს მთავრობას... თუ რამე გადავწყვიტეთ, უფრო მოსახერხებელ დროს ამოვარჩევთ... დღეს არაფერი იქნება! — გაიცინა კერკეკიამ.

გამოვბრუნდი და ის იყო ბაღის ყურესთან მივედი, ვაზნესენსკის

ქუჩით მოქრის ჩვენსკენ ცხენოსან ყაზახთა ჯგუფი, მოქრის მტვერში გახვეული. დამინახეს და ერთბაშად შეჩერდნენ.

— თქვენს განკარგულებაში! — მომახსენა ურიადნიკმა.

— არა ხართ საჭირო!.. გაბრუნდით უკან ყაზარმაში! — ვუთხარი და იქვე გავაბრუნე ჯგუფი. დაბრუნებისას ქუჩაში ისევ არავინ შემხვედრია. შიშს მიცემული მცხოვრებნი შეყუჟებულიყვნენ თავიანთ ბინებში და ეშინოდათ გარეთ გამოსვლა. გვარიანი დაგვიანებით ჩემი შემცვლელი მორიგეც გამოჩნდა. ეს იყო არტილერიის პოდპოლკოვნიკი, კიეველი გიმნაზიელი, ე. ი. ჩემი ნაამხანაგარი.

— პეტრ დანილიჩ, კარგად დააგვიანე გამოცვლა!.. ყველა შეგაშინათ დღევანდელმა დღემ და მე გამწირეთ ვითომ!?.. არაფერია, ბედი ჩემი მწყალობელია!

— შტაბში შემაჩერეს... მერე ბრძანება შენ გადმოგცეს და მეც აღარ ვიჩქარე! — მომიგო მან დარცხვენილად.

ყველა შიშქვეშ იყო; შიშიც ვრცელდებოდა და მატულობდა, რადგან არეულობა იზრდებოდა და იზრდებოდა. გურიის ამბებს დასასრული არ უჩანდა; იქაურობას ცეცხლი ჰქონდა მოკიდებული. იქაური ამბები ყველგან ეფინებოდა. მთავრობამ შეისმინა მშვიდობიანობის მომხრეთა რჩევა და გურიაში გაგზავნა მეფის მოადგილის თანაშემწე სულთან კრიმგირეი. სულთან კრიმგირეი დადიოდა სოფლიდან სოფელს და ეკითხებოდა ხალხს, თუ რა აწუხებდა მას, რას თხოულობდა, რა აღელვებდა. გურულები გულახდილად უყვებოდნენ კრიმგირეის ყველაფერს და ესეც დიდის ყურადღებით უსმენდა მოლაპარაკეთ. მთავრობა აქ ისე შორს წავიდა, რომ ნებაც კი მისცა ყველაფერი ნათქვამი გაზეთებში დაბეჭდილიყო. კრიმგირეის თან დაყვებოდნენ გაზეთების საგანგებო კორესპონდენტები; ამათში ყრია ისეთი პირიც, როგორიც იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე მწერალი ილიკო ნაკაშიძე, რომელიც ხელმძღვანელობდა კრიმგირეის და აგნებინებდა მდგომარეობას. მთავრობა, ეტყობა, ცდილობდა მშვიდობიანი გზით მოესპო არეულობა.

სხვა ხასიათის იყო იმავე ხანებში მოგზაურობა მეფის მოადგილის მეორე თანაშემწისა, გენერალ მალამასი და კავკასიის სამხედრო საოლქო შტაბის გენერალ გრიაზნოვისა. ესენი დადიოდნენ სამხედრო ნაწილებში, ელაპარაკებოდნენ ოფიცრებს და ჯარისკაცებს.

ზაფხული იყო, მალამა და გრიაზნოვი ბათუმში რომ ჩამოვიდნენ. ჩვენი ნაწილი ბანაკად იდგა ზღვის ნაპირზე. მივიდნენ ბანაკში ორივე გენერლები — მალამა და გრიაზნოვი; მალამა, როგორც ყაზახთა გენერალი, ჩოხაში იყო გამოწყობილი; მშვიდობიანი სახის

გამომეტყველებით, ჰაღარა, იგი განზე დგებოდა თითქმის და ლა-პარაკსაც, სიტყვას, უთმობდა გრიაზნოვს.

გრიაზნოვი დიდი შოვინისტი იყო. მეფის რუსეთის გადაღმა მას არა სწამდა რა. რუსეთის ერთმა მძლავრმა წრემ ამოარჩია იგი და გამოგზავნა თბილისში, რომ სუსტ-რბილი ვორონცოვის გვერდით ყოფილიყო მაგარი, მკაცრი, შეუდრეკელი პირი — მეფის პოლიტი-კის მძლავრი გამძღოლი.

მაღალი, სასტიკი გამომეტყველების სახით, მკვეთრი სიტყვებით მოლაპარაკე იგი შეხედულობითაც სასტიკი იყო. გვარდიის გუსარი, გენერალური შტაბის გენერალი, მედიდური; როცა გელაპარაკებო-დათ უსათუოდ იგრძნობდით, რომ იგი თქვენ არაფრად არ გაგდებ-დათ და მოწყალებად უნდა მიგეღოთ, რომ მისგან არ ისრისებოდით.

დაგვაყენეს ჯგუფებად: ოფიცრები ცალკე, ცალ-ცალკე ფელდ-ფებელები, უნტერ-ოფიცრები და ჯარისკაცები. მალამა განზე გად-გა; ჯგუფებს ელაპარაკებოდა მხოლოდ გრიაზნოვი.

— იცით, რასაკვირველია, ბატონებო, — მოგვმართა მან. — რაც ხდება ამ უკანასკნელ ხანებში. მე დამავალა გრაფმა მენახეთ და გადმომეცა მისი ღრმა რწმენა, რომ თითოეული თქვენგანი მტკი-ცედ შეასრულებს თავის მოვალეობას და ასრულებს წმინდად მი-ღებულ ფიცს. მეც დარწმუნებული ვარ ამაში და, ვფიქრობ, ნება მექნება თქვენგან გადავცე გრაფს თქვენი თანხმობა და შეუშრე-კელი გადაწყვეტილება თავგადადებით ემსახუროთ უკანასკნელ წუ-თამდე მეფეს და სამშობლოს!

ხმა არავის ამოუღია. გენერალმა ჩამოუარა ყველა ჯგუფს და ესაუბრა ცალ-ცალკე. მალამა ისევ განმარტოებით იდგა; როცა გრიაზნოვმა გაათავა ჯარისკაცებთან ლაპარაკი, იგი მივიდა მალა-მასთან; გენერლები ჩასხდნენ ეტლში და წავიდნენ ბანაკიდან; ჩვენ კარგა ხანს ვიდექით ხმა გაკმენდილნი — ვგრძნობდით, რომ რაღაც მოახლოებული უბედურების წინაშე ვიდექით, ეტყობოდა რაღაც განსხვავებული მზადება იყო.

ამ ზაფხულში ხშირ-ხშირად დავდიოდი ბათომიდან სოფლად, სა-დაც მყავდა ცოლ-შვილი. სოფლელი მეზობლები მთხოვდნენ ხში-რად მევლო და მეცნობებია მათთვის ნამდვილი ამბები იმის შესა-ხებ, რაც გარშემო ხდებოდა. მეც ხათრს არ ვუტეხდი მეზობლო-ბას და სოფელში ამოსვლისას დალაგებით ვუყვებოდი ხოლმე რაც ხდებოდა ჩვენს გარშემო. ხალხი უცნაურად ღელავდა. „ერთობა“ ისმოდა ყოველ ფეხის ნაბიჯზე; ყველა „ერთობა“-ში უნდა შესუ-ლიყო, „ერთობა“-სათვის ფიცი უნდა მიეღო; ვინც „ერთობა“-ს განზე უდგებოდა, იგი სასტიკად იდევნებოდა. სოფლად მამასახლი-

სი თითქმის განზე იყო მიტოვებული, მეტი ძალა და გავლენა ჰქონდათ ახლად ამორჩეულ ასისთავებს და ათისთავებს. ხშირად იმართებოდა მიტინგები — მრავალრიცხოვანი მიტინგები დღისით; ამ მიტინგებზე ხალხს ელაპარაკებოდნენ მოსული „მქადაგებლები“, როგორც ამათ ეძახდნენ.

ერთხელ სოფელში ყოფნის დროს, წერილი მომივიდა, მატყობინებდნენ: ხვალ სათემო მინდორზე სკოლასთან დიდი მიტინგი იქნება და, რასაკვირველია, თქვენთვის იგი საინტერესო იქნება და ისედაც დაესწრებითო, — მწერდნენ მიტინგის მომწყობნი. მეორე დღეს დილიდან სოფელი ამოძრავდა. ჩემი სახლის აივნიდან ვუმზერდი როგორ მიეშურებოდნენ ქალები, კაცები და ბავშვებიც მიტინგისათვის დანიშნულ ადგილისკენ. როცა მეც მივედი, დიდი მინდორი სავსე იყო ხალხით. ელოდნენ სვირიდან „მქადაგებლებს“. „მქადაგებლებმა“ დაიგვიანეს მოსვლა, მაგრამ ეს აუარებელი ხალხი მოთმინებით უცდიდა მათ. კარგა ხნის დაგვიანების შემდეგ გაჩნდნენ ესენიც. მოსულმა ყმაწვილ-კაცებმა დაიკავეს ადგილი სასწავლებლის აივანზე. ხალხი მოქუჩდა აივნის წინ და დასხდნენ მიწაზე. ჩამოვარდა სიჩუმე; ყველა სმენად იყო ქცეული. დაიწყო მიტინგი. ლაპარაკობდა ყმაწვილი კაცი; ლაპარაკის კილო თავიდან გაცხარებული იყო; „მქადაგებელი“ მოუთხრობდა იმ უსამართლობაზე, რომლითაც ტანჯავდა მთავრობა ხალხს, იმ შევიწროებაზე, რომელშიაც იმყოფებოდა ხალხი, მთავრობის სისასტიკეზე, ხალხის უუფლებობაზე, მთავრობის შეუბრალებლობაზე და ყოველ ამისაგან ხალხის ეკონომიურად დაცემაზე და გაღარიბებაზე. სამწუხაროდ, ხშირად იხმარებოდა ხალხისათვის გაუგებარი სიტყვები, რაც სმენად გადაქცეულ ხალხს, აშკარად ეტყობოდა, უმძიმებდა ნათქვამის სრულად გაგებას. მიუხედავად ამისა, ადგილიდან არავინ. დაძრულა სანამ „მქადგებლებმა“ თვიანთი სათქმელი არ დაასრულეს და მახლობელ სოფლისაკენ პირი არ ქნეს, რომ მეორე დღეს იქაც ექადაგნათ.

ამ ხანებში ქუთაისის გუბერნატორად იყო ცნობილი სტაროსელსკი. იგი იყო აგრონომი, ზესტაფონის მახლობლად საქარის სანერგის გამგე. მას ჰქონდა მინდობილი ფილოქსერასთან ბრძოლის წარმოება, რასაც იგი აწარმოებდა დაუღალავად, ცოდნით და გულწრფელად, რის გამო დიდად ხელი შეუწყო განადგურებულ მევენახეობის აღორძინებას. მასთან მუშაობდა დიდძალი ხალხი, გარს შემოსვეული ჰყავდა ახალგაზრდობა, რომელიც მუშაობაში განვითარების გარდა, ვითარდებოდა გონებრივადაც, რადგან აქ მრავალი შეგნებული ახალგაზრდობა იყო, ერთგვარ მიმართულებით გატაცე-

ბულნი. ამ ახალგაზრდებიდან შემდეგში მრავალმა ისახელა თავი საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობით. სტაროსელსკის იცნობდა ხალხი და დიდ პატივსაც სცემდა მას. მთავრობამაც, ალბათ, ამიტომ დანიშნა იგი ამ გაჭირვების ხანაში გუბერნატორად. სტაროსელსკიც ხალხის სასარგებლოდ ხმარობდა თავის უფლებებს. იგი მუდამ დადიოდა სოფლებში, ესაუბრებოდა მცხოვრებლებს, ესენიც გულღიად ესაუბრებოდნენ და პირველად მობდა, რომ ადმინისტრაცია და ხალხი ასე სადად, ასე დაახლოებულად და გულგახსნილად, ნდობით ერთმანეთს ელაპარაკებოდა.

— უნდა ვესტუმრო სტაროსელსკის, — მითხრა ერთხელ ჩემმა ბეზობელმა მჭედელმა ილიამ. — უნდა ვესტუმრო... ვიცი, ისე მიმიღებს თითქოს თავის ძმას!

ძვირფასი ის იყო, რომ ეს კაცი გულწრფელად ემსახურებოდა ხალხს და მის სასიკეთოდ იყო განწყობილი. თანაშემწედ ჰყავდა ალექსანდრე ყიფშიძე, კაცი დიდად განვითარებული, ზედმიწევნით, მცოდნე ქართველი ხალხისა, ენერგიით სავსე მოწინავე მოღვაწე. ამათთან იყო საგანგებო მინდობილობათა მოხელედ პეტრე ყიფიანი. პეტრეს, უმაწვილობისას, როცა სწავლას ათავებდა, თბილისის რეალურ სასწავლებელში შემოეტყუებინა სასწავლებლის დირექტორი, იმ დროს თავის ხულიგნობით ცნობილი ლილოვი. ყიფიანი, რასაკვირველია, გამოაგდეს სასწავლებლიდან უფლებაახდილი. სადმე რომ დაესრულებინა სწავლა, მან გასწია საფრანგეთში და რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში როგორც ნასწავლი აგრონომი, ცოცხალი, დიდი ენერგიის პატრონი, ინიციატივიანი, იგი შეიქნა სასურველი საზოგადო მოღვაწე პიროვნება.

სტაროსელსკიმ, ყიფშიძემ და ყიფიანმა დიდი ვალი დასდვეს თავიანთი მუშაობით საერთო არეულობის დროს. ამათი მუშაობის წყალობით ხალხის გულისთქმის გამოთქმას თავისუფლება ეძლეოდა. სტაროსელსკის და ყიფშიძის დროს ხალხის საოცარ აღელვების დროს, ხალხი არ დაზარალებულა, არ დარბეულა და არ წამებულა. სულ სხვა სურათს წარმოადგენდა აღმოსავლეთი საქართველო, რომელსაც არ ეღირსა სტაროსელსკისთანა მმართველი-მეთაური. აქ საშინელი შეჯახება იყო ხალხის და მის მოწინააღმდეგე ელემენტებს შორის.

იმ საოცარ არეულობას, რომელიც სუფევდა თბილისის გუბერნიაში, ზედ დაერთო საშინელი გადაკიდება სომხებსა და თათრებს შორის. ბაქოს ჟანდარმერიამ მთელი ქვეყანა აალაპარაკა და შეაძრწუნა. ასეთი ამბის გამეორება მოსალოდნელი შეიქნა თბილისშიაც. უბედურების ასარიდებლად ქართველობა ჩადგა შუაში და ყოველგვარ

ზომას ღებულობდა ამ ორ ერს შუა შეტაკება არ მომხდარიყო. შედგა ქართველებისაგან მოდარაჯე რაზმი სომხი კაცისაგან.

ამგვარივე საშიში მდგომარეობა შეიქნა ბათუმშიაც. აქაც მოსალოდნელი იყო სომხებსა და მუსულმანებს შორის შეჯახება. ამის ასაცდენად გაიმართა მოსალაპარაკებელი მიტინგი აზიზიეს მეჩეთის გალავანში; რამდენიმე დღის შემდეგ ამგვარივე მიტინგი — სომხების ეკლესიის გალავანში. ხალხი მოაწყდა აუარებელი. ეკლესიის ეზო ვერ იტევდა მოსულთ; ეკლესიის გარშემო ქუჩები გაჭედილი იყო ხალხით. ეკლესიის ეზოში ამართული იყო ტრიბუნა; მოლაპარაკე სომეხთაგანს ცვლიდა მოლაპარაკე მუსულმანი. ხალხი სმენად იყო გადაქცეული. უეცრად შეიქნა განაპირზე ჩოჩქოლი, ყვირილი, ხმაურობა, რომელიც თანდათან მძლავრდებოდა. გაისმა საშინელი კივილ-წივილი; აიძრა ეს ზღვა ხალხი, — ერთმანეთს ეხეთქებიან, გარბიან, ერთმანეთს სრისავენ. ნამდვილი ჟლეტაა, საზარელი ყვირილი. დაცარიელებულ ქუჩაში გამოჩნდა ოფიცერი და მასთან სასროლად მომარჯვებული თოფებით რამდენიმე ჯარისკაცი.

— რაზაიდის, ხვოლოჩ! რაზაიდის, ატო ბუდუ სტრელიატ! — ყვიროდა ოფიცერი და იწეოდა ეკლესიისკენ. შეიქნა სროლა, საბედნიეროდ, მაღლა; დამფრთხალი ხალხი ერთმანეთს ეხეთქება შიშისაგან გონებადაკარგული. ჯოჯოხეთია ნამდვილი.

ბატარეია ბურუნ-ტაბიეზე გაისროლეს ზარბაზანი; იგრიალა მეორედ, მესამედ; ზარბაზნები ახმაურდნენ მთებზე; ეს ნიშანი იყო,— ჯარებს ეცნობებოდა, რომ ქალაქში არეულობა დაიწყო და გამოსულიყო დანიშნული ადგილების დასაკავებლად. ცხენოსანი კაზაკები დაქროდნენ ქუჩებში. ნავსადგურთან ატყდა სროლა. როგორც შემდეგ გამოირკვა, აქ მოკლულ იქნა თერთმეტი ქალი და მამაკაცი.

როცა ცოტა მიწყნარდა, გამოვედი იმ სახლიდან, სადაც ეკლესიის პირდაპირ შევაფარე თავი, და გავეშურე გოროდოკისკენ ჩემს ბინაზე. ქუჩაში, რასაკვირველია, ჯარისკაცების მეტი არავინ არის; მხოლოდ აგერ-ეგერ სახლის ჭიშკართან მომდგარი შეშინებული მცხოვრები აკანკალებული კითხულობდა:

— სახლებს ხომ არ დაუშენენ ზარბაზნებს?

მთელმა დღემ წარმოუდგენელ შიშიანობაში განვლო. ეს მოახდინა არდაგანის პოლკის კაპიტანმა, გვარად აუსტრინმა, მთვრალმა. მას არ მოეწონა ეს ეკლესიის გალავანში ხალხის შეკრება, მოინდომა მისი გაფანტვა; რაღაც ეშმაკად შეხვდა მისი გუნდის ჯარისკაცები, გაიყოლა ესენი და შეიჭრა ხალხში ყვირილით:

— რასხოდის სვოლოჩ! ატო ბუდუ სტრელიატ!—და ატეხა საზარელი ამბავი.

რამდენიმე ოფიცერმა განაცხადა თავისი აღშფოთება აუსტრი-ნის მოქმედების წინააღმდეგ, მაგრამ უფროსობამ აუსტრინს არაფერი შეახეედრა, გამცხადებლებს კი საყვედური გამოეცხადათ.

რუსეთიდან საზარელი ამბები მოდიოდა; განსაკუთრებით საზარელი ამბები იყო ებრაელების დარბევის შესახებ, რაც ადგილი ჰქონდა რუსეთის მრავალ ქალაქში. აბობოქრებული ბრბო შავრაზმელების ხელმძღვანელობით უმოწყალოდ ძლეტდა, შეუბრალებლად აცამტვერებდა ებრაელობას, არ ზოგავდა არაფრით. ეს ძლეტა წარმოებდა, როგორც შემდეგში გამოირკვა, მთავრობის ნებადართვით და ხელშეწყობით. ებრაელების ამგვარი ძლეტა მოხდა ოდესაში, რაღაც განსხვავებული მხეცური — უდანაშაულო ხალხის სრესა. ის ამბავი, რაც იქ ქუჩაში ხდებოდა, თურმე პირდაპირ ზღაპრული რამ იყო. სისხლი იღვრებოდა ყოველ ფეხის ნაბიჯზე; ქუჩები მოფენილი იყო, თურმე, უამრავი მსხვერპლით. დაიღუპა უთვალავი ხალხი, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერი, ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტი ალექსანდრე (საბა) კლდიაშვილი. ხალხის ძლეტის დამნახველს ვერ მოეთმინა სახლში ყოფნა და საცოდავთა მისაშველებლად გამოსულიყო ქუჩაში და ისიც გამოასალმეს წუთისოფელს. დაიღუპა ახალგაზრდა მეცნიერი, საოცარი გრძნობიერი ადამიანი, ყველასთვის საყვარელი პიროვნება. ნიჭიერი, გატაცებული მეცნიერებით, იგი განსხვავებულ მუშაობაში იყო ჩაბმული ქართველ სახელოვან მეცნიერებთან, ოდესის პროფესორებთან პეტრე მელიქიშვილთან და ვასილ პეტრიაშვილთან. წინა თვეებში საბა მივლინებაში იყო გერმანიაში; იქიდან დაბრუნებულმა, პარტიული დავალებით, მან მოიარა საქართველო. ერთ საღამოს სრულიად მოულოდნელად იგი გაჩნდა ჩემს ოჯახში. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა; მასთან იყო ახალგაზრდა სტუდენტი ვასილ ბერეჟიანი. საქმიანი ლაპარაკის შემდეგ პატარა სუფრა გავუშალე და წინ დავალაგეთ სხვადასხვა ხილი, ღვინო და ფელამუში; ვუთხარი, რომ ეს ყველაფერი სიმონეთიდანაა ჩამოტანილი-თქო, შენი საყვარელი სიმონეთიდან-თქო. იგი განსხვავებულად შეეხალისა მოტანილს, მით უფრო, რომ ყველაფერი სიმონეთიდან იყო. მას გასაოცრად უყვარდა თავისი სამშობლო სოფელი და სიმონეთელებსაც განსხვავებულად უყვარდათ მისი ოჯახი, გრიგოლ კლდიაშვილის და ეფრო ყიფიანის ქალის ოჯახი. ამათ შესახებ ქვევით მექნება სიტყვა, აქ კი მხოლოდ საცოდავ საბას შესახებ. ლამაზი, შნოიანი, იგი სულითაც ლამაზი და საყვარელი არსება იყო; მისი გული აღვსილი იყო ადამიანისადმი სიყვარულით; მისი კეთილი არსება მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომ კეთილი ეთესა თავის გარშემო. მოწაფეობის დროს და შემდე-

ვაც, როცა მეცნიერულ მუშაობაში ჩაება, იგი, სოფელში ჩამოსვლისას, მართავდა საჯარო ლექციებს, წარმოდგენებს, გასართობებს სოფლელებისათვის და ყოველგვარად მაცადინობდა სინათლე შეეტანა მათში.

მხეცის მიერ ნასროლი ტყვია შუბლში მოხვდა დარბეულთა საშველად გამოსულს. მისმა დაღუპვამ დიდი მწუხარება გამოიწვია საზოგადოებაში. უნივერსიტეტმა მისი ნეშტი გადმოგზავნა საქართველოში განსასვენებლად.

ბათუმი დიდად ემზადებოდა მოკლულის ცხედრის მისაღებად. დილა იყო, როცა გემი მოადგა ნაპირს. გემიდან გადმოასვენეს მიცვალებული. მახლობლების გარდა აქ არავის უშვებდნენ, მაგრამ, რაღაც ხერხით, ერთ ჯარისკაცს მაინც მოეხერხებინა და მოიკრა კუბოსთან. კარგად მახსოვს მისი აღელვებული სახე, მისი აკანკალებული, ათრთოლებული ხმა, რომლითაც მან მიმართა მიცვალებულს:

— ძვირფასო ადამიანო, შენ ჩვენთვის გასწირე შენი სიცოცხლე, შენი მეცნიერება, შენი ყველაფერი, ჩვენი საცოდავი ხალხის მისაშველებლად გამოხვედი... შენც იგი ეხვდა, რაც ჩვენებს და ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ შენს ჩვენდამი გულკეთილობას, შენს სახელს, ჩვენთვის ძვირფას შენს სახელს! გმადლობთ, გმადლობთ, ძვირფასო ადამიანო! შეჩვენება შენს მკვლელებს, მტარვალებს!

მწარედ აქვითინებული იგი გაშორდა კუბოს.

იგი იყო ებრაელი ჯარისკაცი.

გემის სადგომიდან კუბო გადაასვენეს აზიზიეს მოედანზე, სადაც იყო მომზადებული საგანგებო ადგილი. მოედანი სავსე იყო ხალხით; წესიერებას იცავდნენ ამ შემთხვევისათვის ამორჩეული პირები. შემაღლებულზე დასვენებულ კუბოსთან ამართული იყო მაღალი ტრიბუნა ორატორებისათვის. მთავრობა არ ერეოდა და ნებაც დართო გასვენება დამკრძალავ კომიტეტს ისე მოეწყო, როგორც სურდა. ასეთი საქციელი მთავრობისა შეტად მნიშვნელოვანიც იყო და ამცდენიც უბედურებისა, რაც უსათუოდ მოხდებოდა წინააღმდეგ შემთხვევაში: ეს ზღვა ხალხი ისეთ გუნებაზე იყო, რომ საკმარისი იქნებოდა ცოტა რამ, რომ თავი გაემეტებინა. დეპუტაციები ბაირაღებით ცვლიდნენ დეპუტაციებს კუბოსთან და დგებოდნენ რიგში.

მთავარი ხელმძღვანელი იყო ვექილი დინინი, ებრაელი. ბათუმის მთელი ებრაელობა მოვიდა აზიზიეს მოედანზე მიცვალებულის პატივსაცემად და მათ ხმამაღლა ტირილს დასასრული არ ჰქონდა, როცა ტრიბუნაზე ასულმა რაბინმა დავით ზილბერმისტრმა მიმართა თავის მხურვალე სიტყვით მიცვალებულს.

მრავალი ორატორი ამშვენებდა თავის მხურვალე, გაბედული, ლამაზი სიტყვით ტრიბუნას. განსაკუთრებით კარგები იყვნენ: სიმონ ბდივანი, სერიოჟა ქავთარაძე, მკურნალი, ფეოდოროვი.

სიტყვების დასრულების შემდეგ მიცვალებული წაასვენეს სადგურზე ქუთაისში დასაკრძალავად. ზღვა ხალხი მიჰყვებოდა კუბოს გასაოცარი წესრიგით; პროცესიას წინ მიუძღოდნენ ცხენოსნები ასლან ბეგ აბაშიძის მეთაურობით; კუბოს მოჰყვებოდა გუნდი მარსელიოზას და სხვა რევოლუციური სიმღერებით.

ხალხით გატენილ ქუჩებში პროცესია გაჭირვებით მიიწევდა წინ.

— გზა მიეცით... მიცვალებულის ნათესავებია, ნუ ჩამოაშორებთ! — დაიძახა ვიღაცამ, როცა დაგვინახა, რომ კუბოს ჩამოგვაცილებ.

— რა დროს ნათესაობაა!.. ეს მიცვალებული ყველას გვეკუთვნის... ყველასია! — წამოიძახა პასუხად ჩვენ წინ მიმავალმა, მაგრამ მაინც თავაზიანად მოგვმართა მიბრძანდითო.

სადგურის კარებთან ამაღლებულზე დასვენებულ კუბოს კვლავ რიგრიგობით და სიმღერით ჩაუარა მრავალმა დეპუტაციამ დროშებით, რის შემდეგ კუბო შეასვენეს ვაგონში. მატარებელი საღამოს გადიოდა ქუთაისისკენ. მე მიებრუნდი სახლში და მოვემზადე მიცვალებულის გასაყოლად. ჩვენი ნაწილის მეორე შტაბ-ოფიცერს შევუთვალე, რომ ქუთაისში მივდივარ-თქო. ნაწილის უფროსი თავისებურად თავის ბინაში იყო შეყუჟული, ვითომ როგორც ავადმყოფი, ნამდვილად კი დამფრთხალი, შეშინებული ყოველ წამში არეულობის მოლოდინით.

ჩემს მზადებაში მოსამსახურე ჯარისკაცმა ბრძანება შემოიტანა — ნაწილის უფროსი ჯარს თავს უყრიდა ყაზარმების გვერდით მინდორზე. გავკვირდი, მაგრამ მივხვდი, რომ ეს შიშის, გადამეტებული შიშის, ბრალი იყო: არეულობა შესაძლებელიაო, მღელვარე ჯარებმაც შეიძლება მონაწილეობა მიიღოსო და რომ ჯარისკაცები ყაზარმებიდან არ გაუშვიყვნენ საშველად, მოიგონა ნაწილის გამოყვანა მთელი შემადგენლობით.

მოკლე ხანში ნაწილი სრულად თავშეყრილი იდგა თოფებით; ოფიცრობაც სრულად აქვე იყო. გამოჩნდა თავის ბინიდან მომავალი, ჯოხზე დაბჯენილი ნაწილის უფროსი. ავადმყოფი კაცის ხმით იგი მიესალმა ჯარს და შემდეგ მოიახლოვა გუნდები და მიმართა სიტყვით:

„მტერი არ ცხრებაო, — ამბობდა იგი, — თამამდება და დაურიდებელი ხდებაო; ხალხი ივიწყებს ყოველივე წესიერებას, მორჩილებას; აღარ ახსოვს აღარც ღმერთი, აღარც მეფე, აღარც სამშობ-

ლო; მტრებს შეცდომაში შეჰყავს მშვიდობის მოყვარული ხალხი, აშინებს, ემუქრება და თქვენ მზად უნდა იყვეთ რისხვიანი წინააღმდეგობა გაუწიოთ ამ მოღალატეებს და არ დაინდოთ ისინიო".

სიტყვა იყო გრძელი, დაუსრულებელი; აგონებდა ჯარს მიღებულ ფიცს მეფისა და სამშობლოს წინაშე, აფრთხილებდა, რომ ღმერთი პასუხს მოსთხოვს ყველა ჩვენთაგანს, თუ როგორ ვიყავით მისგან დაყენებული მირონცხებულის წინაშე, რომ მეფის ღალატისათვის უფალი საშინელ სასჯელს მისცემს ყველას, მაგრამ თქვენისთანა კარგები, რასაკვირველია, ამგვარ რამეს აცდება, მტერს არ აყვება და ცუდ საქმეს აერიდებაო.

— მჯერა, დარწმუნებული ვარ, არ გამიმწარებთ ჩემს მოხუცებულობას! იქნებით მტკიცედ მიღებულ ფიცზე, მედგრად შეებრძოლებით სამტროდ ავარდნილთ, თუნდაც ესენი ნათესავები და ახლობლებიც იყვნენ. არ წაიწყმინდოთ თქვენი სული!.. გამიგონეთ მოხუცებულ, გამოცდილ ადამიანს! ავადმყოფი იმისათვის ავდექი დღეს, რომ გაგაფრთხილოთ, გაგახსენოთ თქვენი მოვალეობა და გარიდოთ უბედურებას. თქვენმა სიყვარულმა ამაყენა მწოლიარე ავადმყოფი, თქვენზე ზრუნვამ დამავიწყა ჩემი თავი და იმედი მაქვს შეისმენთ, საყვარელო შვილებო, ჩემს სიტყვებს!.. რა ექნა, ამჟამად შეტი არ შემიძლია... ავად ვარ... — თქვა ეს, დაეყრდნო ჯოხს და აქვითინდა.

ეს, რასაკვირველია, ერთგვარი შთაბეჭდილების მოსახდენად ნახმარი ფანდი იყო.

ცოტა ხნის შემდეგ აცრემლებული პოლკოვნიკი გასწორდა წელში და წამოიძახა:

— შვილებო, მოვიგონოთ ჩვენი წმინდა ბაირაღი და ერთხელ კიდევ შევფიცოთ, რომ მას არ ვუღალატებთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდი! პორუჩიკ ივანჩენკო! — მიმართა ადიუტანტს, — წაიყვანეთ მუსიკანტები და გამოიტანეთ ბაირაღი!

ბაირაღი მის ბინაზე ინახებოდა ყარაულის ქვეშ. მოიტანეს მუსიკით ბაირაღი და გაშალეს, რაც საგანგებო შემთხვევაში ხდებოდა ხოლმე.

პოლკოვნიკი მოყვა თუ რა საუნჯე აქვს ნაწილს დამსახურებული. რომ ეს წმინდა გიორგის ბაირაღი, უმაღლესი ჯილდო, წინაპრების სისხლით შეძენილი, უნდა შევინახოთ ჩვენი სისხლით და არ გავათელინოთ იგი გონებადაკარგულ მტერს, მით უფრო საზიზღარს და საძაგელს, რომ იგი შინაურია. დიდხანს იქაქანა ამგვარად პოლკოვნიკმა და ბოლოს წამოიძახა:

—შეეფიცოთ და ვემთხვიოთ! ყველამ ვემთხვიოთ!.. ადიუტანტო, ჩამოატარეთ ბაირაღი, რომ ყველამ შეიძლოს მთხვევა!

მებაირაღემ ასწია ბაირაღი და ადიუტანტის თანხლებით დაიწყო ჩამორება პირველი გუნდიდან. ვინ პირჯვარს ისახავდა და მოწიწებით ეამბორებოდა ბაირაღს, ვინ გაუნძრევლად იდგა, გაშეშებული, ზოგნი თავს უკან სწევდნენ, რომ არიდებოდნენ ბაირაღს.

ოფიცრობა ცალკე ჯგუფად ვიდექით. ამ კომედიას რომ ვხედავდით, გულზე ვსკდებოდით და გულის ფანცქალით ველოდებოდით იმ წამს, როცა ჩვენც მოგვაყენებდნენ სამთხვევად ბაირაღს და თავზე ამ დროს დაგვადგებოდა პოლკოვნიკიც. იღბლად პოლკოვნიკი მოშორებით დაგვრჩა და მებაირაღემაც, გამოცდილმა პოდპორუჩიკმა იაკინთე ხომერიკმა, ოსტატურად ჩაგვიარა ბაირაღით, ისე რომ აგვაშორა უსიამოვნებას.

როგორც იქნა დასრულდა ეს საზიზღარი კომედია. იმ წამს გავსწიე სადგურისაკენ, რადგან მატარებლის გასვლის დრო აბლოვდებოდა. ღამით გასულ მატარებელს უკვე ჩაქვიდან უხვდებოდა ხალხი ყოველ სადგურზე; ყოველ სადგურზე დეპუტაცია, სიტყვა—გმობა დღევანდელი დღის და იმედი სინათლიანი დღის გათენების მოახლოვებისა.

გათენებული იყო, სამტრედიაში რომ მივედით. სადგური გატეხილი იყო ხალხით. გამოცხადდა მრავალი დეპუტაცია თავისი ორატორებით, მოვიდა სამღვდელოებაც და მოკლე პანაშვიდი გადაიხადა. რადგან მოლაპარაკეთა რიცხვი მეტად დიდი იყო, იძულებული შეიქნენ მატარებელი მეტ ხანს გაეჩერებინათ. გულმხურვალე სიტყვებთან ერთად გარშემო ისმოდა რევოლუციური სიმღერები. სადგურის გარშემო მიდამო პირდაპირ გუგუნებდა.

ქუთაისში გუბერნატორმა სტაროსელსკიმ განკარგულება გასცა ქუჩაში არ გამოსულიყვნენ არც კაზაკები (ამათი უფროსი კი გამოსვლას აპირებდა თურმე პროცესიის დასაშლელად) და არც ფეხოსანი ჯარი. სტაროსელსკისთან საგანგებო მოხელედ მყოფ პეტრე ყიფიანი სადგურზე დაგვიხვდა და შეგვატყობინა, რომ სტაროსელსკისაგან ბრძანებაა გაცემული პროცესიას ხელი არავინ შეუშალოს და არ ეწინააღმდეგოსო.

დიდი გაჭირვებით, ხალხის სიმრავლის გამო, როგორც იქნა მივაღწიეთ სობოროს მოედანს. სობოროს კარებთან გაკეთებულ შემაღლებულზე დაასვენეს მიცვალებული.

გულმხურვალე მოლაპარაკეთ დასასრული არ ჰქონდა.

როგორც იქნა დათავდა ორატორთა რიგი და რევოლუციური სიმღერებით მიცვალებული შემოატარეს ბულვარს და დაკრძალეს

მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში. ზღვა ხალხი გაიბნა ქუჩებში და ჩამობინდებულში კიდევ დიდხანს გაისმოდა რევოლუციური სიმღერების ხმა და გუგუნი.

* * *

ყველგან მღელვარება, ყველგან არევ-დარევა. მოუსვენარია, აღშფოთებულია დიდი და პატარა.

ბათუმის ქალთა გიმნაზიაშიც ატყდა ერთი ამბავი; მოსწავლე ქალიშვილები დაიყენენ ჯგუფებად; მოითხოვეს მასწავლებელი ქალის გაძევება. შემდეგ მოთხოვნილებები წარუდგინეს გიმნაზიის გამგე ქალს. პროტესტანტკებს მხარი მისცეს სხვებმაც და გიმნაზიის რეჟიმი ძირიან-ფესვიანად შეაცვლევინეს შეშინებულ გამგეს.

ვაჟთა გიმნაზიაში უფრო ადრე იყო დაწყებული მღელვარება. გიმნაზიის გამგედ იყო ვინმე ვინოგრადოვი, კარგი პედაგოგი, არა ურიგო ადამიანი, მაგრამ ბავშვებთან მოქცევაში მშრალი, ცივი კაცი. მოსწავლეებმა საოცრად შეიძულეს იგი.

მასწავლებელთა შორისაც აღმოჩნდა ბევრი ისეთი, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ვეღარ ეგუებოდა.

გიმნაზიაში დამყარდა არასასიამოვნო მდგომარეობა.

მე გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა კომიტეტში ვიყავი; ყოველდღე უფროსი კლასის მოწაფეები მოდიოდნენ საჩივრებით და სამდურავებით დირექტორზე და მასწავლებლებზე. მერვე კლასელი ჯინორია და ორი მისი ამხანაგი გიმნაზიიდან გოროდოკამდის (სადაც ჩემი ბინა იყო) ღამით გამომყვნენ და მეტისმეტად აღელვებულნი მაჯერებდნენ როგორც დირექტორის გადაყენების საჭიროებაში, ისე ზოგიერთ მასწავლებელთა სრულიად მოხსნის საჭიროებაში.

იძულებულნი გავხდით მოგვეწვია მოსწავლეთა მშობლები და მოგველაპარაკნა შექმნილ მდგომარეობაზე.

თავშეყრილ მშობელთა ერთი ნაწილი კრებაზე გამოთქვამდა იმ აზრს, რომ საჭირო იყო სასტიკი ზომების მიღება ურჩ მოწაფეთა მიმართ, რომელნიც ხელს უშლიან სწავლის მოსურნე ამხანაგებს. აცხადებდნენ, რომ ყოველივე დათმობა მხოლოდ ცუდ შედეგს მოიტანდა, სხვა არაფერი სიკეთე იქნებაო. ზოგნი კი ეამტკიცებდით იმის საჭიროებას, რომ თავი უნდა მოგვეყარა უფროსი კლასის მოწაფეებისათვის და გაგვეგო თუ რა აწუხებდა მათ, რა აღელვებდა და აშფოთებდა, მოგვესმინა მათი სამდურავი მასწავლებელთა მიმართ და იმის მიხედვით გვემოქმედნა შემდეგში. ამ წინადადებამ მრავალი

მომხრე მოიპოვა და მეორე დღისათვის მოწვეულ იქნა უფროს კლასთა კრება.

კრება გაიმართა საქტო დარბაზში. სასწავლებლის ხელმძღვანელებისაგან არავინ დაგვისწრია — ვიყავით მხოლოდ მშობელთა კომიტეტის წევრები, თორმეტ-თოთხმეტი კაცი.

ჩვენს შეკითხვა-წინადადებაზე, რათა გაეცნოთ ჩვენთვის თავიანთი სათქმელი, ზოგმა სრულიად უარყო ყოველივე სამდღრეანი მასწავლებელთა მიმართ, ზოგმა კი სხვადასხვა შემთხვევები მოიყვანა. უფროსების ცუდად მოპყრობის შესახებ; გაებნენ წვრილმანებში,— მათი ნათქვამი ვერ ახდენდა საჭირო შთაბეჭდილებას; როგორც ეტყობოდა, ამას თვითონ მოსწავლეებიც გრძნობდნენ და გაწბილდნენ.

მაშინ წამოვარდა ერთი შავგვრემანი უმაწვილი და [illegible]ტყვის ნება მოითხოვა.

—რა საჭიროა აქ ამდენი წვრილმანების მოყვანა! — [illegible]ელვებით დაიწყო მან. — გეუბნებით, ჩვენი მოთმინება აიწურა... [illegible]ეისმინეთ ჩვენი — გეუბნებით, გთხოვთ, მოგვაშოროთ ვინოგრადოვი... აქ ამბობენ, რომ კარგი პედაგოგიაო... შეიძლება, მაგრამ ჩვენ [illegible]ლარ შუგვიძლია კიდევ ეუყურეთ მის სახეს, მის გაქვავებულ სახეს, რომელზედაც არასოდეს ღიმილი, უბრალო ღიმილი არ [illegible]ვინახავს, ველარ ვუძლებთ მისი მშრალი დარიგების მოსმენას; ის გონებასთან კი არ მიდის, თავში კვერიევთ გვირტყამს; თქვენ, ჩვენ [illegible]შობელთ გწადიათ, რომ ჩვენ აქ ვისწავლოთ; ჩვენ გვინდა ვისწავლოთ, გვინდა ვიმეცადინოთ, მაგრამ მასთან სწავლა არ შეგვიძლია. [illegible]ია; თუ ჩვენი სიკეთე გსურთ, შეისმინეთ ჩვენი თხოვნა, თორემ [illegible]გვიყვანთ იმ ზომამდე, რომ ერთ დღეს სრულიად დავკარგავთ მოთმინებას და ჩვენდა უნებურად ვეცემით ჩვენს ამაღელვებელს და კ[illegible] ტეხით ჩავათრევთ კიბეზე!

— ნამდვილია, ნამდვილია, ასე მოხდება! — [illegible]ყვირ[illegible] [illegible]ავლეთ[illegible] უმეტესობამ, — ასე ვიზამთ, ასე ვიზამთ!—ყვიროდნენ ძალზე აღელვებული ბავშვები.

ლაპარაკის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელი იყო [illegible] [illegible]ალარც იყო საჭირო ამ ნათქვამის შემდეგ. კრება დასრულდა.

თათბირის შემდეგ, მეორე დღეს, მივუგზავნეთ დირ[illegible]ტორს კომიტეტის ორი წევრი და ვთხოვეთ შეეტანა მზრუნველ[illegible] თხოვნა სხვაგან გადაყვანის შესახებ. დირექტორმა შეისმინა [illegible]ოვა და მოკლე ხანში გაშორდა სასწავლებელს. ის გადაიყვანეს [illegible]ტავროპოლში. მასთან ერთად სხვადასხვა ადგილას გადაიყვანეს [illegible]ოდენამე მასწავლებელიც; ზოგი თავის ნებითაც გაშორდა აქ[illegible]ბას შე-

შინებული იმ განწყობილებით, რომელიც დამყარდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის.

იფეთქა ჩვენს ნაწილშიაც.

შუა დღე იყო — ჯარისკაცების სადილობის დრო იყო. მე ჩემს პირველ ვიყავი. ოთახში შემოეარდა მოსამსახურე ჯარისკაცი და ალელვებით მითხრა:

— ბატონო, ყაზარმებში არეულობაა... გადააქციეს სადილი! გიხმობენ, მობრძანდითო!

გავსწიე იმწამს. პატარა ხიდია ყაზარმებთან გადასასვლელი. ხიდთან რამდენიმე ოფიცერი დგას.

— დავიდ სამსონიჩ, თქვენ თუ დააწყნარებთ ამ ხალხს, თორემ ზეტად არასასიამოვნო ამბავია! — მომმართა ერთმა ამათთაგანმა, ვუნდის უფროსმა.

— რაშია საქმე?.. რაც გამოიწვია? — ვკითხე.

— რა ვიცი!.. სადილი გადაღვარეს, ღვრიან, იგინებიან. არავინ არ მიიკარებს... გადაირიენ პირდაპირ! — მომიგო მან.

მივედი ყაზარმებთან. ჯარისკაცები ყაზარმებშუა არიან გამოფენილი. ისმის ალელვებული, ხმამაღალი ლაპარაკი. ყვირიან. ისმის კინება. უცნაური ალიაქოთია.

შევედი ჯარისკაცებში.

— რა ამბავია? რა მოგივიდათ?.. რაშია საქმე? — მივდივარ და ვეკითხები.

პასუხს არავინ იძლევა. ყაზარმაშიც ეგერ-აგერ ნაქცევი სადილი ჩანს. სამზარეულოს წინ ტაბა დგას გადაღვრილი ბორშჩის. შევედი სამზარეულოში — დგანან შეშსმიცემული მზარეული ჯარისკაცები.

— რა ამბავია? რაც გამოიწვია ეს ამბავი? — შევეკითხე.

— მშვენიერი ბორშჩი იყო... რატომ ასე ყველამ დაიწუნა, არ ვესმის! — მომიგო უფროსმა მზარეულმა.

— მშვენიერი იყო, დარიგების წინ მე გავსინჯე. — ბითხრა მორიგე ოფიცერმა, რომელიც ჩემთან დადიოდა.

გარედან ისევ ხმამაღალი ლაპარაკი ისმის, ყვირილი, გინება.

გამოვედი სამზარეულოდან, შევდექი სამზარეულოს შემაღლებულ კიბეზე და გადავძახე ჯარისკაცებს მოახლოვებულიყვნენ.

თავდაპირველად მხოლოდ რამდენიმემ აასრულა ბრძანება, მერე ოთხორც იქნა ყველამ მოიყარა თავი სამზარეულოს წინ.

როცა შეწყდა ყაყანი და დაწყნარდნენ, შევეკითხე:

— რაშია საქმე?.. რატომ გადაღვარეთ სადილი?.. რამ აგაღელვა?.. თქვით, ნუ გეშინიათ, აქ დასჯაზე არაა საქმე, მე გამაგებინეთ ოღონდ საქმე!

ცოტ-ცოტათი, ჯერ ფრთხილად, შემდეგ თამამად, იწყეს ლაპარაკი. თავში დაიწყეს, რომ საშველი უვარგისია, მარტო წყალი, ხორცი მჭლე, ძარღვი. მერე გადავიდნენ იმაზე, რომ გუნდებში მეტისმეტი სასტიკობაა, რომ პირუტყვებივით გვექცევიანო, უსამართლოდ, სულ მცირე შეცდომისათვის გვსჯიანო, ცუდად გვეპყრობიანო და შემხედვარე არავინ არისო. დიდი, გრძელი ლაპარაკის შემდეგ ისევ კითხვა მივეცი:

— რას მოითხოვთ ყოველ ამის გამოსასწორებლად?

— გვყავდეს გუნდებში ამორჩეული კაცები, რომლებიც თვალს ადევნებენ ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ყოფას... ისინი ჩვენი ამორჩეულნი იქნებიან და უფროსებმა თავისუფლება უნდა მისცენ მათ მოქმედებაში. ჩვენ კარგ, სანდო ამხანაგებს ამოვირჩევთ!

ამას მოითხოვდნენ დაჟინებით და მე აღვუთქვი მათ, რომ ეს მიღებული იქნება ნაწილის უფროსისაგანაც. გადაწყვიტეს ყოველ გუნდში ორ-ორი ასეთი რწმუნებული ამოერჩიათ.

გრძელი ყაყანის შემდეგ ჯარისკაცები თანდათან დაცხრნენ და დაშშვიდნენ.

— ეს ისე იქნება, როგორც გითხარით, მაგრამ მშვიერები რომ ჩრჩებით, რას შვრებით ახლა? — სიცილით მიკმარეთ კრებას. — ახალ ბადილს რითი გაგიკეთებენ?

— არაფერია, ვიქნებით ასე ვახშმობამდის. — მოისმა ხმები იქით-აქედან.

— აბა, ასე იყოს: ახლა მოგეცემათ ჩაი, საღამოს კი ვახშამი! — ვადავძახე სიცილით. — ახლა კი დაიშალენით!

— ძალიან კარგი!.. ძალიან კარგი! — იყვირეს ჯარისკაცებმა და მხიარულ გუნებაზე დაშდგარნი, ხმაურობით გაიფანტნენ ყაზარმებში.

რამდენიმე ჯარისკაცი დამედევნა ჩემი ბინისაკენ მიმავალს და მითხრეს, რომ რწმუნებულებს დღესვე ამოვირჩევთ გუნდებშიო. ერთი ამათგანი იყო მესროპოვი, გორელი.

— თავი არ შეირცხვინოთ, ბიჭო! ამოირჩიეთ ისეთები, რომ მართლა ღირდნენ. უხეიროები არ შემოგეპარონ! — ვუთხარი მას.

— არა ბატონო, როგორ გეკადრებათ! არც ჩვენ შევირცხვენთ თავს და არც თქვენზე ცუდს რასმე ვათქმევინებთ ვინმეს, — მოგვიგო მან.

არაფრად მოეწონათ რწმუნებულების არჩევის ამბავი ზოგიერთ გუნდის უფროსებს, რომლებიც მოშორებით იდგნენ და მელოდებოდნენ გაეგოთ, რითი გავათავე ლაპარაკი ჯარისკაცებთან.

დიდად იწყინა ნაწილის უფროსმა, რომელიც ისევ თავის ბი-

ნაში იყო შეყუჟული თავმოვადმყოფებული. დიდად იწყინა როცა გაიგო, თუ რითი გავათავე მოლაპარაკება გამოსულ ჯარისკაცებთან. მისი სიტყვით, მე უნდა მიმეღო სასტიკი ზომები და უსათუოდ აღმომეჩინა არეულობის თავები. თავის ოთახში ის დიდგულზე იყო.

— ეს დათმობაა!.. დათმობით არაფერი ხეირი გამოვა, დამიჯერეთ! — გაჯავრებით თქვა მან, მაგრამ ჩემგან მიცემული რწმუნებულების არჩევის ნება არ მოშალა, დაამტკიცა.

ჩემზე უკმაყოფილოდ დარჩენილმა, წინათაც უკმაყოფილოდ მყოფმა ჩემი მოქმედებით, მან მოუყარა თავი ჩემს „ცოდვებს". — რომ მე რევოლუციურ გასვენებას არ ავერიდე, რომ მე რბილად მოვექეცი ჯარისკაცებს, როცა იმათ არეულობის მსგავსი მოქმედება გამოიჩინეს, რომ მე ცუდ მაგალითებს ვუჩვენებ ხელქვეითებს და ამგვარები — თავი მოუყარა და საოლქო სამხედრო შტაბში გაგზავნა. მას სწადდა მე გამოვეყვანე დამნაშავედ ყოველ უწესობაში, რაც ნაწილში ხდებოდა, ხოლო თვისი თავი ამით დაეფარა ყოველ პასუხისგებისაგან. ეს ყველაფერი მე შემდეგ გავიგე.

საოლქო სამხედრო შტაბის უფროსმა გენერალმა გრიაზნოვმა ბრძანება გასცა სამი დღის განმავლობაში გაგზავნილი ვყოფილიყავი დაღესტანში უდაბურ ადგილას, დეშლაგარში მდგომ სამურის პოლკში. ბრძანების გამოგზავნა შეაგვიანდა — არსენა ჯორჯიაშვილის ნასროლმა ყუმბარამ ბარიათინსკის ქუჩაზე სული გააცხებინა გრიაზნოვს.

მაგრამ ამაზე ქვევით.

არეულობა თვით საოლქო სამხედრო შტაბში მზადდებოდა. შტაბის უფროსი გენერალი გრიაზნოვი ვერ ურიგდებოდა იმ დარბილების პოლიტიკას რომელსაც ადგა ვორონცოვი. მან გადასწყვიტა „რბილი" მმართველის ჩამოშორება და „საჭირო" ზომების მიღება. ყოველივე გამოსვლების ჩასაქრობად, მისი გეგმით, სათავეში უნდა მოქცეულიყვნენ ერთგვარი აზრით გამსჭვალული სამხედრო პირები, სანდონი და შეუდრეკელნი. ამგვარი ჯგუფი კიდეც შედგა და მისმა წევრებმა იწყეს მიმოსვლა ყველა სამხედრო ნაწილებში იმ მიზნით, რომ ჯარის ნაწილების უფროსებისათვის გაეცნოთ მათ მიერ შემუშავებული გეგმა. ყოველ ქალაქში უნდა შემდგარიყო საოლქო შტაბის მთავარი კომიტეტის ქვეკომიტეტი.

ამგვარი მიზნით ბათუმშიაც ჩამოვიდა თბილისიდან რამდენიმე პირი და გამართეს მთელი გარნიზონის ოფიცრების ოფიციალური კრება. გრიაზნოვი აღარ ერიდებოდა ვორონცოვს.

ამ კრებაზე მე არ წავსულვარ — წინდაწინ ვიცოდი რალაც საეჭვლრობა იქნებოდა და კიდეევაც ასეთი რამ იყო, როგორც მერე

ვადმომცეს. ამ კრებაზე იმ აზრს გამოთქვამდნენ, რომ საჭიროა სასტიკი ზომების მიღება, ხალხის შეშინება, შეუბრალებელი საშუალებების მიღება, ნამდვილი ძალის გამოჩენა. ყაყანი, უთავბოლო ყვირილი ჰქონდათ, თავაშვებულად იგინებოდნენ. ეს კრება უშედეგოდ ჩატარებულა. ქვეკომიტეტი ვერ იქნა ამორჩეული, გადაიდო შემდეგი კრებისათვის, რომელიც მოკლე ხანში უნდა მომხდარიყო. ასეც მოხდა.

შემდეგი კრების თავჯდომარედ იყო საოლქო არტილერიის უფროსი, გენერალი რეშეტინი (პისარევის სკოლის ამხანაგი), თბილისიდან ბათუმში გამოგზავნილი ვორონცოვის მიერ. რეშეტინი მოწინააღმდეგე იყო გრიაზნოვის პარტიისა, მისი გეგმის, მისი განზრახვებისა.

ამ ადამიანის შესახებ რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა. მაღალი, განიერ მხარბეჭიანი და გრძელი ჭაღარა წვერით, მძიმედ მოსიარულე. იგი ნამდვილი დათვი იყო შეხედულებით, მაგრამ ამ დათვში საკვირველი ადამიანი იყო მიმალული. ბათუმში ჩამოსვლისას მან განსხვავებული დახმარება გაუწია ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებს, იმ დროს მომხდარი გაფიცვისათვის დაჭერილთ. პეტერბურგში გაგზავნა მან შუამდგომლობა და გარდა ორისა ყველა გაანთავისუფლებია; ის ორი კაცი იარაღით გამოსულიყო და თითო წლის ციხით გადაარჩინა.

რეშეტინს ჰყავდა და, რომელიც მსახურობდა ბათუმის ქალაქის გამგეობაში. ამ ქალის საშუალებით, მისმა ახლო ნაცნობმა სოციალ-რევოლუციონერმა ვინმე კაზასოვსკიმ ერთ საღამოს მოუყვანა რეშეტინს ორი რევოლუციონერი. ამ უკანასკნელებთან შეხვედრა აბურვა თვით რეშეტინმა.

— ჩემი ახალი ნაცნობები მშვენიერი ახალგაზრდები აღმოჩნდნენ, — მითხრა რეშეტინმა თბილისში. — დიდხანს ვისაუბრეთ, ვიდავეთ; ერთი მათგანი მაინც მეტად გონებიანი იყო, ფხიზელი და საკმაოდ განვითარებული. დიდ მეგობრებად დავშორდით ერთმანეთს და წასვლისას უფრო ცხარედ მოლაპარაკეს ვუთხარი: ძვირფასო ანტონ, ოღონდ მახვილს ერიდე... მახვილის ამღები მახვილითვე დაიღუპება-თქო... ძლევა გონებით უნდა და ძლევაც უეჭველია-თქო... საუბედუროდ ასეთ ახალგაზრდობას სდევნიან იმის მაგივრად, რომ მოუსმინონ მათ.

ეს რეშეტინი იყო მეორე კრების თავმჯდომარე. სამხედრო საკრებულოს დარბაზი სავსე იყო თავშეყრილი ოფიცრებით. იყვნენ, რასაკვირველია, თბილისის კომიტეტიდან, შტაბიდან, გრიაზნოვის პარტიიდან გამოგზავნილი წევრები. ლაპარაკი იყო უმთავრესად

იმ აუტანელი მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც სამხედრო ნაწილი იყო ჩავარდნილი ამ არეულობის დროს; ჩიოდნენ, რომ რბილად მოქცევამ სამხედრო ნაწილებიც გამბედაობას ჩამოაშორა. რომ სამხედრო პირის პრესტიჟი ეცემა ასეთი დარბილებული პოლიტიკის გამო, რომ ბევრი ოფიცერი ირჯება ისე, როგორც არ შეფერის სამხედრო მოსამსახურეს; რომ საჭიროა სამხედრო ნაწილების სიმტკიცე დავანახოთ ხალხს და ყოველგვარი საშუალება ვიხმაროთ შექმნილი უწესოების ჩასაქრობად და მოსასპობად. ამას ლაპარაკობდა ყველა. თითეული ოფიცრის სიტყვა გრძელი და ხშირად დაუთავებელი იყო. თავმჯდომარე მოთმინებით იყო, სიტყვას არავის აწყვეტინებდა; დაბოლოს ამოიღო მან საათი, დახედა და თქვა:

— საღილობის დროა, შეგვიძლია დავიშალოთ... გვეყოფა რაც ვილაპარაკეთ! — და წამოდგა.

ეს პირდაპირი დაცინვა იყო, მაგრამ ვინ რას გაბედავდა — თავმჯდომარე გენერალ-ლეიტენანტი იყო! არავითარი არჩევნები, არავითარი კომიტეტი. ბათუმს არც შემდეგში ჰყოლია სამხედრო კომიტეტი — გრიაზნოვის მომხრეთა კომიტეტი.

არეულობა დღითი დღე იზრდებოდა, ვრცელდებოდა. ყოველმხრიდან საოცარი ამბები ისმოდა, ხალხი „ერთობა"-ს ემხრობოდა. გამოსვლები დღითი დღე მატულობდა, გურია ნამდვილ აჯანყებაში იყო გახვეული. ოზურგეთის მახლობლად ნასაკირალთან ჯართან ბრძოლამ ქვეყანა აალაპარაკა და გააოცა.

სამხედრო ნაწილშიც ხშირი შეიქნა უწესობა, მაგრამ ეს გამოსვლები ისეთი უორგანიზაციო იყო, ისე შეუკავშირებელი, რომ მთავრობა ადვილად ერეოდა და იმორჩილებდა გამოსულთ. ძალიან ბევრი იყო მსხვერპლი.

ბათუმში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ლაპარაკი ისმოდა საერთო გამოსვლის საჭიროებაზე; გატაცებულნი ამტკიცებდნენ, რომ ყველაფერი მომზადებულია, რომ ჯარი გამოსულთა მხარეზე გადმოვაო, როგორც კი აჯანყება დაიწყებაო. ეს პირდაპირ თავის მოტყუება იყო. ყაზარმებში არავითარი სისტემატური მუშაობა არ ყოფილა; იყო მხოლოდ ჯგუფები, მათი თანამგრძნობნი, მაგრამ ერთსულოვნება არ იყო. პირიქით, რუს ჯარისკაცებისთვის ოფიცრები ცდილობდნენ ჩაეგონებიათ, რომ რევოლუციის მომხრეთ რუსეთის დამხობა სწადიათო, ამისათვის მეცადინეობენ ყველა არარუსები და კავშირდებიანო! ასეთ აგიტაციას დიდი დაჯერება ჰქონდა და რუსდა არარუს ჯარისკაცებს შორის ძლიერი განხეთქილება სუფევდა. გადამტერებულებივით იყვნენ.

ერთ დღეს გოროდოკიდან ეტლით მიმავალ პოლიცმეისტერის

თანაშემწეს ნობელის ქარხანასთან თავს დაესხნენ, თოფი ესროლეს. თანაშემწის ეხლებლებმა თოფებითვე უპასუხეს და ჩასაფრებულები გაქცეულ ესროდნენ და თან უყვიროდნენ საყარაულოდან ყასარმაში მიმავალ ჯარისკაცებს ესროლათ გაქცეულებისათვის. ეს ჯარისკაცები ჩვენი ნაწილიდან იყვნენ. ისინი ჩაწვნენ თხრილში. ოთხი იყვნენ; უფროსი იყო ეფრეიტორი მიხა წერეთელაშვილი. გორელი, ქარხნის მუშად ყოფილი. მას ნება არ მიუცია თოფი ესროლათ გაქცეულებისათვის. ერთმა ამათგანმა, მხდალმა ჯარისკაცმა, გაამხილა წერეთელაშვილი და ისიც თავის გუნდის უფროსთან კი არა, — მეხუთე გუნდის უფროსთან; ამ შავრაზმელ ოფიცერთან დაასმინა, რომ წერეთელაშვილმა აგვიკრძალა სროლაო, თორემ გაქცეულებს მოკლავდითო. შეიქნა გამოძიება. წერეთელაშვილი მოვიდა ჩემთან და მთხოვა მიშველეო. ბედად გამოძიება მიენდო მეტად რიგიან ოფიცერს.

— ისაკ არტემიჩ! — მივმართე ამ ოფიცერს. — იცოდე, გამოძიება ისე წაიყვანე, წერეთელაშვილს არაფერი მოედოს! მშვენიერი ბიჭი არ დაიღუპოს!

ასედაც იქნა: წარდგენილმა გამოძიებამ ბრალდებას გადაარჩინა წერეთელაშვილი, მაგრამ მაინც გამოუნახეს შეცდომა და მცირე სასჯელი დაადვეს.

ამგვარი მაგალითები მრავლად ხდებოდა და ამიტომაც რაც შეიძლო ვაფრთხილებდი, ჯარების შემოერთების იმედი გამოსვლების დროს ნუ გაქვთ-თქო, ნუ იყრუებთ თავს, რომ ისინი მოგეხმარებიან და თქვენთან იმოქმედებენ-თქო.

— ჩვენთან იქნებიან... ეს ასე იქნება, უსათუოდ! საპირონები მზად არიან, მინიორები დაძახებას ელიან... სხვებიც! დაყოვნება აღარ შეიძლება... ყველგან ცეცხლია მოკიდებული!.. ეს გადაუდებელია! — გაცხარებით ისმოდა ყოველ ნაბიჯზე.

ბათუმი უცნაურად ღელავდა.

საღამო ჟამია. გოროდოკიდან მოვდივარ ქალაქში. როცა დავცილდი ეგრეთ წოდებულ მანთაშევის გადასასვლელს, დავინახე, რომ ზედა ქუჩიდან ეტლი-ლინეიკა მოდის; ლინეიკაზე მჯდომთ ფარნები უკავიათ ხელში. ერთი მათგანი ქალაქისთავის ანდრონიკაშვილის მეუღლეა, თეთრ სალათში, წითელი ჯვრით გულზე.

— ლიდია ნიკოლაევნა, რა ამბავია? — ეკითხე გაოცებულმა.

— ნუღა კითხულობთ!.. უბედურებაა.. კაზაკებს დაუჭრიათ ხალხი და მიუყრ-მოუყრიათ. რამდენიმე მკვდარი ჰოვნახეთ, ვეძებ. ... ! უბედურებაა, — მითხრა აღელვებულმა მანდილოსანმა; —

ეკვებ კიდეკ ვნახოთ სადმე ან მკვდარი, ან დაჭრილი! — და ლინეიკით მყოფნი განაგრძობდნენ ძებნას ქუჩაში.

გაოცებულმა ჩქარი ნაბიჯით გავწიე წინ, რკინიგზის სადგურისაკენ. ელექტრონის სადგურის იქით შევხვდი ქალაქისთავს ანდრონიკაშვილს, რომელსაც რამდენიმე ხმოსანი ახლდა. ესენი გამოსულიყვნენ ქუჩებში, რაკი გაეგოთ კაზაკების მიერ ჩადენილი მხეცური მოქმედების ამბავი და ახლა მიდიოდნენ ქალაქის გამგეობაში, სადაც უკვე აუარებელი ხალხი იყო თავმოყრილი. შიგნით შენობაში ხალხი ადარ ეტეოდა; კიბეზე, გარეთ ქუჩაში მოზღვავებულია ხალხი, ადგილი არ შეიძლება.

მეტისმეტი მღელვარებაა; საბჭოს დარბაზში ორატორი ორატორს ცვლის. მეტი ნაწილი გადაუდებელ გამოსვლას მოითხოვს, პრძოლას. უეჭველი გამარჯვება სწამთ.

ზოგი კი თავის შეკავებას არჩევს, რომ უფრო შეკავშირდნენ, შემაგრდნენ. კრების თავმჯდომარე ჩხეიძე ყოყმანობს გამოსვლის საკითხში. მაგრამ ტრიბუნაზე ადის ფეოდოროვი და მისი მხურვალე სიტყვის ქვეშ კრება ერთსულოვანი ხდება; მისმა სიტყვამ გაიტაცა ხალხი.

ფეოდოროვი იმ ახლო ხანებში ჩამოვიდა ბათუმში რუსეთიდან; ახალგაზრდა, შეკერმეტყველი, ცეცხლიანი სიტყვით მოლაპარაკე, პირველი გამოსვლისთანავე მან ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ბათუმელებზე; ფეოდოროვი ილაპარაკებსო — ამის გაგონება უყრიდა თავს თვალის დახამხამებაში აუარებელ ხალხს.

ამ საღამოსაც მისი სიტყვა გადამწყვეტი შეიქნა — ხვალ გამოსვლაა. კრება ხმაურობით იშლება, — მიიჩქარიან; ხვალისათვის უნდა მოემზადონ.

უნდა შეატყობინონ მინიორებს, როგორც ჯარებში მოწინავე და უფრო შეგნებულ ნაწილს, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ისინი შემოუერთდნენ გამოსულ ხალხს.

მაგრამ მინიორებთან მიასწრო არდაგანის პოლკის კაპიტანმა პეპინმა. იგი რამდენიმე ჯარისკაცის თანხლებით მოულოდნელად შეეჭრა მინიორების ყაზარმაში და რიხით მოითხოვა გაეცათ ისინი, ვინც აღელვებდა მინიორთა გუნდს.

თავხედობამ გაიმარჯვა; კაპიტანს ხელში მისცეს რამდენიმე მინიორი, როგორც აჯანყების მქადაგებლები. პეპინმა ესენი დაატუსაღა დ. წაიყვანა. გუნდში განსხვავებული ყარაული დააყენეს. უნიჭო კაპიტანი პოლკოვნიკობას ეძებდა და იშოვა კიდეც.

დილა უთენიიდან დაიწყო ქუჩებში მოძრაობა. აკეთებდნენ ბარიკადებს, ჭრიდნენ ტელეგრაფის ბოძებს.

ხალხი გარს შემოერტყა ალექსანდროვის ბაღთან ლაბინის პოლკის კაზაკთა ასეულის ყაზარმას; ჩაკეტეს ყაზარმაში ასეული.

ბრძანება მოვიდა ვუოფილიყავით ჩვენს ბინაზე ახალი ბრძანების მიღებამდის.

დილას ადრე ჩემთან შემოვიდა ნაწილის ფერშალი შონია, შეიარაღებული.

— წუხელ გამოსვლა გადაწყდა... მივდივარ! მოვედი გამოგეთხოვოთ! მშვიდობით გვენახოს ერთმანეთი! — გატრიალდა და დაეშვა კიბეზე.

გაიარა რამდენიმე ხანმა. ვილაცამ კარებზე დარეკა. მოსამსახურემ კარი გაუღო.

— ვიქტორ! — შეეძახე გაოცებულმა შემოსულ ყმაწვილს. — საიდან? რაობით?.. როგორ შემოგიშვეს ეზოში?

— ამხანაგებმა გამომგზავნეს, ნაგანის ტყვიებს შეპირებიან! — მომიგო ფარცხალაძემ.

— კი მარა, რატომ აქამდის არ შემომითვალეს!.. დღეს?! ეს წინდაუხედაობაა, შენ გენაცვალე!.. შემოსვლით რალაცნაირად შემოდი, მარა გასვლა არ გინდა?.. მერე ტყვიებით ჯიბეში! — ვიქტორ, ეს ტყუილად თავის დაღუპვაა შენიც და ჩემიც!.. ეს რატომ ვერ მოიფიქრეთ, თქვე დალოცვილებო... ა, ამ შვიდ ტყვიას მოგცემ. მეტი არ მაქვს. ამითაც რომ ხელი წაგავლონ, იცი რა იქნება დღეს?

ყმაწვილი იდგა გაშეშებული; ახლა ხვდებოდა რა საფრთხეში იყო მოქცეული. საჭირო იყო მისი უვნებელად გაპარვა.

— ვასილ! — დავუძახე ჩემს მოსამსახურე რუს ჯარისკაცს, — ეს ყმაწვილი უნდა გააპარო ისე, რომ არავინ დაინახოს... თუ ეზოს უკანა კარი, ბარცხანაზე რომ გადის, ღიაა — გაატარე იმ კარში, ოორემ რამერიგად გადაახტუნე კედელზე. არავინ დაინახოს. გესმის?

— მესმის! ახლავე! წამობრძანდი! — მიუბრუნდა იგი ვიქტორს.

— მშვიდობით! მართლა ეგ ჭკუიანურად ვერ მოგვივიდა! — წაილაპარაკა მან და გაჰყვა ჯარისკაცს.

გულისფანცქალით ველოდებოდი ვასილის დაბრუნებას.

— გავაპარე! ბედზე პატარა კარი გაღებული იყო! არავის დაუნახავართ! კარგა გავაპარე! — მხიარულად შემოვარდა ოთახში ვასილი.

— ყოჩაღ, იცოცხლე! — მივაძახე გულზე მოშვებულმა.

გულდამშვიდება კი შორს იყო. ქალაქი არეულობაში იყო. გამოსულებმა ხელთ ჩაიგდეს ქალაქი. ყაზარმაში ჩაკეტილმა კაზაკების ასეულმა თეთრი ბაირაღი გამოაფინა. მოლაპარაკება გაიმართა.

ქაზაკებს, ალბათ, ეგონათ, რომ სამხედრო ნაწილებმაც მიიღეს მონაწილეობა გამოსვლაში და ამიტომ მორჩილება გამოუცხადეს. სამი დღე ქალაქი გამოსულთა ხელში იყო.

მთავრობამ აჯანყების ჩაქრობა გადასწყვიტა. ისარგებლეს შინ მიმავალ, სამსაზურ-გათავებულ ჯარისკაცებით; მათ გამოუცხადეს, რომ როგორც კი ჩააქრობენ არეულობას და ხალხს დააწყნარებენ — სახლშიაც მაშინ გაგამგზავრებთო. ჯარისკაცებმა გაიგონეს რა ეს, და ისიც, რომ ადგილობრივნი (ტუზემცები) რუსეთის სამტროდ გამოდიან, გამოეფინენ ქუჩებში და დაერივნენ გამოსულებს. შეიქნა სასტიკი შეჯახება. ჯარისკაცებისაგან აღარავის დაზოგვა აღარ ჰქონდა. არ ვიცი რამდენად მართალი იყო, ამბობდნენ ოცდაათამდის იყო მკედარიო.

გამოსულებს სძლიეს, გაფანტეს. აჯანყება ჩააქრეს.

შეიქნა ჭერა, დატუსაღება. ღამით ბულვარის ახლოს, გიმნაზიის მახლობლად, მოჰკლეს ციხეში მოსათავსებლად წაყვანილი ვექილი ლინინი, ვითომ გაქცევას აპირებდაო.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვიდა თბილისიდან გრიაზნოვის მიერ გამოგზავნილი დამსჯელი რაზმიც.

არეულობის ჩასაქრობად გამოგზავნა ეს რაზმი გრიაზნოვმა. რაზმი სადგურ წიფასთან გადმოვიდა მატარებლიდან და გამოჰყვა რკინიგზის ლიანდაგს. რკინიგზის მარჯვნივ და მარცხნივ ყველაფერი შეუბრალებლად ნადგურდებოდა, ცეცხლს ეძლეოდა, იწოდა, იღუპებოდა; არავის დაზოგვა არ იყო; გზაში შემხვდური, უდანაშაულო ხალხი გაურჩევლად, გაუკითხავად იხვრიტებოდა. საშინელება რამ იყო ამ რაზმის მსვლელობა; საზღაპრო — მისი მოქმედება.

თავზარდაცემული სოფლები ზოგან უხვდებოდა რაზმს შემოსილი ღვდლით, საეკლესიო ბაირაღებით, ხატებით; მუხლდაჩოქვილი ევედრებოდნენ შებრალებას, შეწყნარებას; მწარე ცრემლით შეტიროდნენ, ეფიცებოდნენ სრულ მორჩილებას, მაგრამ ყოველივე ამაო იყო — არც გამგონი, არც შემბრალებელი არავინ .იყო.

ცეცხლი, ნგრევა, სიკვდილი ყოველ ფეხის გადადგმაზე. ზღაპრული შეუბრალებლობა, ქვეყნის აწიოკება.

რრი დღის შემდეგ ჩემი თვალით ვნახე, თბილისისაკენ მიმავალმა, ყველა ეს გადამწვარი, გადათუთქული ადგილები, მინგრეულ-მონგრეული, დაქცეული შენობები, მომსპარი ერთიანად მოსახლეობა, ვნახე და აცრემლებული, გულადუღებული შევყურებდი ამ საშინელ სანახაობას ვაგონის ფანჯრიდან.

გაზეთ „ცნობის ფურცელი“-ს სურათებიან დამატებაში არის ეს საზარელი, საშინელი სანახავი სურათები აღბეჭდილი.

ერთმა პოლკოვნიკმა, კიკნაძემ, ჯარისკაცებს მიმართა გადამეტებული სისასტიკისაგან თავი შეეკავებინა. კიკნაძეს უჩივლეს, საყვედური გამოუცხადეს და რაზმს დააშორეს, უკან თბილისში გაგზავნეს.

ქობულეთიდან დეპუტაცია ჩამოვიდა — ჩვენ არა დაგვიშავებია რაო, ნუ გააოხრებიებთ ჩვენს თავს, ჩვენს საცხოვრებელსო. გენერალმა რეშეტინმა მოიარა ქობულეთი, შეპირდა ქობულეთელებს, რომ იგი აცნობებს რაზმის უფროსს ქობულეთელებს არაფერი ავნონ. მაგრამ დამსჯელი რაზმის მტარვალ გამგეებთან, გამხეცებულ ალიხანოვთან, ვის რა გაუვიდოდა; მით უფრო მისგან დაგეშილ მის ხელქვეით თანამშრომლებთან.

ქუთაისში მან დაატყვევა სტაროსელსკი და ყიფშიძე; ორივე ყარაულის ქვეშ გაგზავნა თბილისში, როგორც არეულობის ხელის შემწყობნი.

რაზმმა თავისებური მოქმედებით ჩამოაწია ბათუმამდე, ქობულეთის მიდამოც მისრესილ-მოსრესილი შეიქნა, მიუხედავად რეშეტინის შუამდგომლობისა.

ბათუმში ჩამოსულ ძლევამოსილ რაზმს დიდი პატივისცემით შეეგება ადგილობრივი ადმინისტრაცია. გამართულ საზეიმო სადილზე (მე არ დავსწრებივარ, მაგრამ ვიცი რაც იყო დამსწრესაგან) დიდი ქება, შესხმა მშვიდობიანობის დამყარებელთა, დიდება და მადლობა. გამარჯვებულებიც დიდად იქებდნენ თავს: მოუთხრობდნენ გადახდილ საქმეთა შესახებ.

ერთმა ქართველმა პოლკოვნიკმა სადილზე სიტყვა წარმოთქვა ერთგულებაზე და ფიცის შესრულებაზე.

— მე ჩემი საკუთარი სოფელიც კი არ დამიზოგავს! — თქვა მან თავმოწონებით.

ერთგულ მოსამსახურეს საკადრისი პასუხი გასცა რეშეტინმა, უამისოდაც გულდაწყვეტილმა, რომ მისი თხოვნა არ შეიწყნარეს. გადაბუგეს ქობულეთი და პირშავად დაარჩინეს მცხოვრებლებთან...

— პოლკოვნიკო, აჯობებდა ჩუმად ყოფილიყავით და არაფერი გეთქვათ; ვერაფერი საანაქებო საქმე შეასრულეთ; ვანდალებს ემსგავსებით და პირადად თქვენ ორკეცი ვანდალობა გამოიჩინეთ! ვის წავადით? ვის ხოცავდით? თქვენიანებს, თქვენს ნათესავებს?

დარცხვენილმა ხმა გაკმინდა, პასუხი ვერ გასცა გენერალს.

გრიაზნოვი არ ჯერდებოდა იმას, რაც მან მოიმოქმედა დასავლეთ საქართველოს დასასჯელად; მას ჰქონდა შედგენილი უფრო

საშინელი გეგმა მთელი კავკასიის მცხოვრებთა შესაშინებლად და თავზარდასაცემად. რომ დაეევიწყებინა ყველასათვის, ყოველივე სურვილი აჯანყების შესახებ.

თუ როგორ გავიგე ეს გეგმა, ამაზე ქვევით.

ამ გეგმით უნდა შემდგარიყო განსაკუთრებული რაზმი, ოცი-ათასი კაზაკისაგან, თავისი არტილერიით, ტყვიისმფრქვევლებით; რაზმს უნდა მოეელო მთლად ამიერკავკასია და ნება ეძლეოდა თუ სადმე რამე უწესოებას შეამჩნევდა, შეუბრალებლად მოპყრობოდა მცხოვრებლებს; რაზმს შიშით უნდა შეეპყრო მცხოვრებლები, ეძლეოდა სრული უფლება დაწვის, დახვრეტის და ჩამოხრჩობის.

ქვეყანა საბოლოოდ უნდა განადგურებულიყო, და კიდევაც განადგურდებოდა, მაგრამ გრიაზნოვს არ დასცალდა.

არსენა ჯორჯიაშვილის მადლიანი მარჯვენით ნასროლმა ყუმბარამ სული გააცხებინა მტარვალს თბილისში ბარიათინსკის ქუჩაზე; მოსპო მისი ცოფი, მისი ბრაზი, მისი მხეცური აზრების შემქმნელი ტვინი ქუჩის მტვერში ამოთითხნა.

„დედავ ნუ სტირი, მამავ ნუ სჩივი,
მე მოვაშორე ქვეყანას ჭირი“.

ათქმევინებს ჯორჯიაშვილს ხალხი, მისგან შეთხზულ იმავე დღეებში სასიმღერო ლექსს, რომელსაც მღეროდა დიდი და პატარა ყველგან.

ჯორჯიაშვილმა იხსნა ქვეყანა საშინელებისაგან. თავგანწირული, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა—დიდებული გმირთა-გმირია—ქვეყნისათვის თავდადებული.

უშაღლესი გმირთა-გმირი იყო იგი ომ წამსაც, როცა ხეს მიყრდნობილმა ხალხის მჭლეტელ პოლიციელებს შესძახა:

— ეხსენით ხალხს... მე მოვკალი მტარვალი, მე!

ჯორჯიაშვილმა მოსპო მტარვალი, ქვეყანა გადაარჩინა უბედურებას; ჯორჯიაშვილისაგან გადუხდელად დავალებულია ჩვენი ქვეყანა, დავალებული ვარ პირადად მეც; მისი წყალობით, ვთელი მე, შეშრჩა სიცოცხლე; მისით მოვატანე დღემდე ცოცხალმა.

როცა გრიაზნოვმა ცნობა მიიღო ჩემზე, რომ მე რევოლუციურ გასვენებას (ალექსანდრე კლდიაშვილის გასვენებას) გავეევი, ბრძანება გასცა სამი დღის განმავლობაში გაგზავნილი ვყოფილიყავი დაღესტანში, უდაბურ ადგილას, დეშლაგარში მდგარ სამურის პოლკში. ჯორჯიაშვილმა მოჰკლა გრიაზნოვი, აირია ყველაფერი, ჩაიკეტა რკინიგზა, აიბნა მისვლა-მოსვლა, ურთიერთობა. ამან ორი თვით დააგვიანა ბრძანების მიღება ჩვენს ნაწილში. ჯორჯიაშვილს

გრიაზნოვი რომ არ მოეკლა, მე გავიგზავნებოდი დაღესტანში და პოლკში მივიდოდი სწორედ იმ დროს, როცა იქ საზარელი ამბავი მოხდა: აჯანყდნენ ჯარისკაცები, შეესიენ პოლკის საკრებულოს, მოფშვნეს იქაურობა, მოკლეს ცხრა ოფიცერი, პოლკის უფროსი, გამოიტანეს პოლკის ბაირაღი და დაწიწკნეს. უეჭველია, მეც მოვხვდებოდი ამ მოკლულთა რიცხვში — ვინ მიცნობდა ახალ მისულს, რა გადამარჩენდა, და თუ ამ დაღუპვას გადავრჩი სადღაც მივარდნილ დეშლაგარში, ეს სწორედ ჯორჯიაშვილის წყალობით მოხდა.

„დედავ ნუ სტირი, მამავ ნუ სჩიეი,
მე მოვაშორე ქვეყანას ჭირი“,

დედის ცრემლი არ მინახავს, ჩვენთვის თავდადებულის მამის ცრემლი კი ვნახე.

სასახლეში ეიყავი ფილიპე მახარაძის სანახავად. ქუთაისის მაზრა განიცდიდა საშინელ შიმშილს მოუსავლობის გამო. ჩვენმა თემმა მთხოვა მიმემართნა თბილისში ფილიპე მახარაძისათვის, რომელიც დამშეულთა შემწე კომიტეტის თავმჯდომარე იყო. კომიტეტის ხელში ყოფილი სიმინდი უკვე განაწილებული იყო, მაგრამ მახარაძემ გვისაშველა და თემს დაენიშნა ორასი ფუთი ღერღილი, ამასთანავე სხვა შეღავათები მიეცა.

ამ საქმეზე მისულს სასახლის დერეფანში მომესმა, რომ ვიღაცაც ახსენა ჯორჯიაშვილი. შევჩერდი. მივიხედ-მოვიხედე — ჩემს მახლობლად დგას ტანმორჩილი მოხუცი, ჩოხა-ახალოხიანი; მის გვერდით დგას მაღალი, წარმოსადეგი ახალგაზრდა.

— ვინაა აქ ჯორჯიაშვილი? — ვკითხე მაღალ ახალგაზრდა კაცს.

— ეს გახლავთ! — მიმითითა მან მოხუცებულზე.

— არსენასი რა არი? — შევეკითხე.

— მამაა... მახარაძეს ჰყავს დაბარებული.

მოხუცი იდგა გაყუჩებული.

— ნეტავ თუ სადმე ინახება არსენას სურათი. საინტერესოა მისი ნახვა! — მივმართე ახალგაზრდას.

— აგერ მაქვს! — თქვა მან და უბიდან ამოიღო პატარა წიგნაკი, გახსნა, გამოიღო სურათი და გამომიწოდინა.

...ყმაწვილი, მოკლედ გაკრეჭილი თმა, პაწია ულვაშები, სასიამოვნო სახის ვაჟკაცი...

ახალგაზრდა კაცმა, რკინიგზაში მოსამსახურემ, გვარად კაპანაძემ, რომელიც სიძე იყო ჯორჯიაშვილის, მიამბო შემდეგი: არსენა პატარა იყო, როცა უფროსმა სიძემ წამოიყვანა სოფლიდან თბილისში, აქ მიაბარა რკინიგზის სასწავლებელში და შემდეგ სამსა-

ხურშიაც შეიყვანა. საოცარი ცოცხალი და ნიჭიერი ყმაწვილი იყო. ყველაფერი ეინტერესებოდაო, კარგად შესმენილი ყმაწვილი იყოო...

სურათი გადავეცი; მოხუცმა გამოართვა სიძეს იგი, დააჩერდა, უყურა, უყურა და ათრთოლებული ხმით წაილაპარაკა:

— ჩემო ბიჭო! — და მხურვალედ ეამბორა.

მოხუცს თვალებიდან ცრემლი ჩამოდიოდა.

თავი მეთერთმეტე

რევოლუცია მარცხდება. — ძველი ინგარიშების გასწორებისათვის ხელსაყრელი დრო დადგა. — ოფიცრობის უკანასკნელი წლები. — სამხედრო სასსახურის დატოვება. — „მისმა ბრწყინვალებამ გრაფმა ეორონცოვ-დაშკოვმა დროულად დაინახა თქვენი წასვლა სამხედრო სამსახურიდან“.

რევოლუცია მარცხდებოდა. არეულობა არ ისპობოდა, შესამჩნევად ნელდებოდა კი. რუსეთში მომძლავრდა მთავრობა; დამსჯელი რაზმები დათარეშობდნენ ყველგან და თავზარს სცემდნენ მცხოვრებთ.

აჯანყებული გემი „პატიომკინი“ იძულებული იყო რუმინეთში შეეფარებინა თავი. მეზღვაურ ლეიტენანტის შმიდტის მიერ ცეცხლიანი სიტყვებით წარმოთქმული ფიცი ჩაქრა და გაბედული მეზღვაური დატუსაღებული და დახვრეტილი იქნა. ამგვარადვე იღუპებოდნენ ყველგან.

მთავრობა იმარჯვებდა.

გრიაზნოვის მოკვლის დღიდან ჩაკეტილი რკინიგზა, მოშლილი მისვლა-მოსვლა, ორი თვის შემდეგ ისევ აიხსნა. მოაღწია სადღაც გაჩერებულმა ბრძანებამ ჩემი დაღესტანში გაგზავნის შესახებ. სამი დღის განმავლობაში უნდა გავმგზავრებულიყავი დეშლაგარში. ამ ბრძანების მიღებამდისაც არ მისვენებდა ჩვენი ნაწილის უფროსი.

ერთხელ დამიბარა და მითხრა: — ცნობაა მიღებული, რომ გოროდოკზე მოდიან მუშებიო და მე მგზავნიდა არტილერიის პოდპოლკოვნიკ ბაუმანთან იმ მიზნით, რომ დავხმარებოდი მუშებთან შეტაკების დროს.

მივედი ბაუმანთან.

— ჩტო ზა ჩეპუხა! — წამოიძახა მან, — საიდან გამოიგონა თქვენმა პოლკოვნიკმა ასეთი ამბავი! დაბრუნდი გენაცვალე, დათიკო, დაბრუნდი შენს სახლში!

მიბრუნებულმა პოლკოვნიკს ვუთხარი ბაუმანის გაკვირვება. მან უკმაყოფილოდ გააქნია თავი და წაიდუდუნა:

— ეხ!.. ეხ!..

ალბათ, გული წყდებოდა, რომ მუშები მართლა არ მოდიოდნენ ბოროდოკზე და მათთან შეტაკებაში არ ვიღუპებოდი.

ერთი დღიდან უცნაური ცვლილება შევამჩნიე ჩემს თანამოსამსახურე ოფიცრებს ჩემთან მოქცევაში. ამხანაგური ურთიერთობა, რამდენიმეს გამოკლებით, ოფიციალური ურთიერთობით შეიცვალა. დღისით ჩვეულებრივ წინააღმდეგ, ჩემთან ლაპარაკს ერიდებოდნენ. მხოლოდ სამსახურის გამო თუ მომმართავდნენ. საღამოობით თუ შემებმებოდა რომელიმე ლაპარაკში, როცა ბნელში დავდიოდი ჩემი ბინის მახლობლად. ამ გარემოებით გაკვირვებული, შევეკითხე ამის შესახებ ჩემს ახლო მეგობრებს.

თურმე ნაწილის უფროსს ებრძანებინა ოფიცრებისათვის თავის მოყრა, წინადადება მიეცა ეთქვათ თუ ვინ რა იცოდა ჩემ საწინააღმდეგოდ და დაევალებინა, რომ ჩემთვის ბოიკოტი გამოეცხადებინათ. რამდენიმე ოფიცერს განეცხადებია რომ მე ვქადაგობდი სოციალისტურ იდეებს, რომ ვათამამებდი ჯარისკაცებს — ეს რამდენიმეს; უმეტესობას უარი ეთქვა ბოიკოტის გამოცხადებაზე, მაგრამ ნაწილის უფროსის წინაშე შიშის გამო მორიდებით იყვნენ ჩემთან.

გრიაზნოვის ბრძანების მოსვლისთანავე ჩამაბარეს მოწერილობა სამ დღეში მოვმზადებულიყავ წასასვლელად. სამწუხარო ის იყო, რომ ამგვარი არეულობის დროს სადღაც უდაბურ ადგილას ვიკარგებოდი, უკან მრჩებოდა ცოლი ოთხი ბავშვით.

ნაწილის უფროსმა აისრულა სურვილი — მომიშორა თავიდან, გადამაგდო უდაბურ დეშლაგარში.

მესამე დღე იყო, როცა სამმართველოდან გამოსულს ნაწილის უფროსი შემხვდა ეტლით მიმავალი. გააჩერა ეტლი.

— მიდიხართ? — გადმომძახა.

— მივდივარ.

— ქაღალდები ჩაიბარეთ?

— ჩავიბარე.

— ჰო, მინდა ორიოდე სიტყვა გითხრათ: ფრთხილად იყავით ახალ ადგილას. ცოლ-შვილის პატრონი ხართ, თავი შეიკავეთ; იქ არ გაპატიებენ ისე როგორც აქ... ფრთხილად იყავით, მიიღეთ ეს ჩემი კეთილი დარიგება!

— მე სრულიად არ ვსაჭიროებ თქვენს დარიგებას და არც გავყვები თქვენს რჩევას! — ვუპასუხე ჩემს „კეთილ დამრიგებელს“.

— გაგახსენდებათ ჩემი ნათქვამი, გაგახსენდებათ, როცა გამწარდებით, მაგრამ გვიან იქნება... საკვირველი ხალხი ხართ... რაც რუსეთმა სიკეთე გიყოთ თქვენ, ტუზემცებს, მაინც გძულთ რუსეთი, გძულთ! ამით ვერას გაიტანთ! — შემომძახა მან.

— ჩვენ გვძულს გლახა, საძაგელი რუსი... კარგი ჩვენთვისაც კარგია! ჩვენ ვიცით გარჩევა და ვარჩევთ, დიახ! — მივუგე.

— არა, თქვენ ყველა გძულთ, ყველა!

— სჯობია შეწყვიტოთ ლაპარაკი! — შევუტიე. — ვნანობ, რომ გამოგელაპარაკეთ... კარგს რას გაიგონებს კაცი თქვენგან! — მიეახალე, მივიდევი ქუდთან ხელი და გავშორდი „კეთილ დამრიგებელს“.

ახლა ჩემი სურვილი იყო როგორმე არ გამემარჯვებინა ჩემზე მტრად გადაკიდებულნი, ავშორებოდი უდაბურ ადგილას გადაკარგვას. გადავწყვიტე ამისათვის გავჩერებულიყავი თბილისში და შემეველო საოლქო სამხედრო შტაბში. შტაბის უფროსად იყო დროებით გენერალი ბერხმანი, მეტად რიგიანი პიროვნება.

— ვიგზავნები სამურის პოლკში. პოლკში შვიდი შტაბ-ოფიცერია, მე მერვე ვიქნები. რა მიზეზია? — მივმართე ბერხმანს.

— პოდპოლკოვნიკი კლდიაშვილი? — და გენერალი მომაჩერდა.

— დიახ!

— არ დაგიმალავთ, რაც თქვენს შესახებ აქ ამბავია... მობრძანდით, დავსხდეთ აგერ. — გენერალი დაჯდა და მეც გვერდით დამსვა.

— თქვენ შესახებ შტაბში იმდენი ცნობაა მოსული და ისეთნაირი, რომ ბოლო დროს მათ რწმენაც ეკარგებათ. ცნობაა, რომ თქვენ რევოლუციაში ღებულობდით მონაწილეობას, რომ რევოლუციურ გასვენებას არ აერიდეთ, რომ ჯარისკაცებთან სხვანაირად ირჯებით, რომ მათ სურვილზე დადიხართ, ცუდ მაგალითს აძლევთ უმცროს ოფიცრებს!

გენერალმა გულახდილად გადმოშიშალა ყველაფერი, რაც ჩემს შესახებ მიეწერია შტაბში ჩემი ნაწილის უფროსს.

— ერთი სიტყვით, თქვენ გადასაყვანი კი არა, ჩამოსახრჩობი კაცი ხართ! — ღიმილით გაათავა ბერხმანმა.

— და მისი დასმენის გამო უნდა დავიკარგო?

— რატომ უნდა დაიკარგოთ?

— აბა რა ექნა, რომ გამარჯვება ისეთ პიროვნებას არ რჩებოდეს, როგორიც არის ჩემი ნაწილის უფროსი? — აღელვებით მივმართე ბერხმანს.

— მე გაცემულ ბრძანებას ვერ მოვშლი, გასწავლით კი გზას, რომ თქვენ საქმეს შემოუაროთ... ინახულეთ გენერალი რეშეტინი;

ის იყო თქვენთან ბათუმში, იცის კარგად ბათუმის ამბები, ალბათ, თქვენს შესახებაც ექნება გაგონილი. შეიძლება დაგეხმაროთ და მოაშლევინოს ბრძანება... ინახულეთ გენერალი! — გულითადი რჩევა მომცა ბერხმანმა.

გავეშურე რეშეტინისაკენ. მიველ — მითხრეს სახლში არ არის, წასულია კავკავში, ორი-სამი დღის შემდეგ ჩამოვაო. გამოვბრუნდი ბერხმანთან.

— რეშეტინი კავკავში ყოფილა... სამი დღის შემდეგ ჩამოვიდა... მე კი ამდენი ვადა არა მაქვს თბილისში დავრჩე... რა იქნა? — მივმართე შეწუხებით.

— დარჩით. ნებას გაძლევთ დარჩეთ, სანამ არ გამოიკეთებთ თქვენ საქმეს! — ტკბილად მითხრა ბერხმანმა.

მოულოდნელად მიჩნდებოდა დამხმარე ადამიანი.

სამი დღის შემდეგ რეშეტინიც ჩამოვიდა. მივედი. თავის სამმართველოში იყო. ჩაჯდა სავარძელში მაგიდასთან. მე წინ დამსვა.

— რაშია საქმე? — ჩაილაპარაკა თავის გრძელ ქაღალდებში და ჩაღუნა თავი.

გადმოვუშალე ჩვენი ნაწილის ცხოვრების სურათი, პოლკოვნიკის ყველა უმსგავსო მოქმედება ოფიცრებთან და ჯარიკაცებთან, მისი გამრყვნელი გავლენა ნაწილის შემადგენლობაზე — ერთი სიტყვით ის უცნაური ატმოსფერო, რომელიც ნაწილს ეხვია მისი წყალობით და ბოლოს ვთხოვე დახმარება, რომ იმ უსინდისო ადამიანს არ გაემარჯვნა ჩემზე.

ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ გაცხარებით — ის კი, ეისაც ველაპარაკები, ზის გაუნძრეველად, მსხვილი თავი მაგიდაზე გაწვდილ ხელებზე უდევს. ხმას არ ღებს, არც შემოუხედავს ჩემთვის. განვაგრძობ სიტყვას და თან გულს ვასკდები, ჩემს თავს ვესაყვედურები: რად მოველ ამ დათვთან, ყრუ დათვთან, რომელსაც ვერაფერი ჩემი ვერ შევაძვინე... ამან უფრო გამწარებულ კილოზე ამალაპარაკა.

თავი გაინძრა, აიმართა და ორი დიდრონი თვალი მომაპყრა.

— პოდპოლკოვნიკ! ბევრი რამ, რაც თქვენ მომიყევით, მე ბათუმში, ჩემს იქ ყოფნის დროს, გაგონილი მქონდა. თქვენ ხშირად გახსენებდნენ ჩემთან; მაკვირვებდა ეს და ერთხელ კიდევაც ვუთხარი თქვენ ავად მახსენებელს—ავად გიხსენიებდნენ და იმათში თქვენი ნაწილის უფროსიც ერია — ვუთხარი, მაკვირვებთ, რომ ამ შტაბ-ოფიცერზე მუდამ ასე მელაპარაკებით და ასე იხსენიებთ, — რაღაც სხვანაირი პიროვნება უნდა იყოს ასეთ ყურადღებას რომ იქცევს ის ან ვირი უნდა იყოს, არ დაგიმალავთ ვიხმარე ეს სიტყვა, ან ვი-

რი უნდა იყოს და ვირულად უნდა დაიღუპოს, ან და არც ისე საუ-
გეველი კაცია, როგორც თქვენი სიტყვებიდან გამოდის-თქო. ვატ-
ყობდი, რაღაც თაღლითობა იყო და არ დამიბარებიხარო ამიტომაც.
ახლა კი ვრწმუნდები, რომ ვირი ის თქვენი ნაწილის უფროსი ყო-
ფილა!

გულზე მომეშვა.

— მოხარული ვარ, რომ შემოიარეთ ჩემთან; დაგეხმარებით, მაგრამ ჯერ მჭირია რამდენიმე ცნობა. მივიწერები ბათუმში, ციხის შტაბის უფროსს პოლკოვნიკ მდივანს მივწერ. პატიოსანი კაცია, მართალს შემომითვლის და ამის შემდეგ გეტყვით ჩემს პასუხს. თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ასე ვიზამ.

— დიდად გმადლობთ! გთხოვთ წერილი მე გამატანოთ ბათუმ-
ში. მე წავალ და ორ დღეში დავბრუნდები პასუხიანად... უკრო
მალე იქნება... თუ ეს შესაძლებელია. მატარებელი საღამოს მიდის.

— რატომაც არა... კარგი, შემოიარეთ სამ საათზე და წერილი მზად იქნება. კარგი!

სამ საათზე ისევ რეშეტინთან ვიყავი მის ბინაზე. ჩამაბარა მდი-
ვანთან მინაწერი წერილი და გამომყვა წინა ოთახში. ვიცვამ პალ-
ტოს. რეშეტინმა გამომართვა პალტო და ჩამაცვა. ეს კარგ ნიშნად
მივიღე; ალბათ, გენერალს სწადია ჩემი დახმარება. ასე არ მომექ-
ცეოდა სხვანაირად რომ მივეღე.

გავსწიე გახარებულმა. ხვალ მე გავჩნდები ბათუმში, დამინახავს
ჩემი ნაწილის უფროსი და შეშფოთდება — დაღესტანის მაგიერ მე
ისევ ბათუმში! ეს მისთვის ჩასაფიქრებელი რამ იქნებოდა.

დილას ეტლით რომ ჩავუარე ყაზარმებს, ჩემს ბინაზე მისასვლელად (ჩვენი ბინები ყაზარმების იქით დიდ შენობაში იყო), დამინახეს თუ არა, ჯარისკაცები გამოეფინენ ყაზარმებიდან და გაოცებულნი გაიძახოდნენ:

— პოდპოლკოვნიკი დაბრუნდა, პოდპოლკოვნიკი დაბრუნდა!

შევედი სახლში. გაოცება. მკვდარი რომ გაცოცხლებულიყო, ისეთი ამბავია. ვუამბე შინაურებს ყველაფერი, დავისვენე ცოტა ხნით და წავედი მდივანთან წერილით. ესეც გაოცდა ჩემი დანახვით. მეორე დღეს მე ისევ თბილისისაკენ ვქენი პირი საპასუხო წერილით ხელში. მდივნის წერილი წაიკითხა რეშეტინმა და ტკბილად მითხრა:

— ძალიან კარგი! ძალიან კარგი! ერთი კვირის შემდეგ შემოია-
რეთ არტილერიის სამმართველოში... მნახეთ, საქმეს მოვაგვარებთ...
ნუ შეწუხდებით. გენერალ ბერხმანს მე ვნახავ და ვეტყვი მეტ ხანს
დაგტოვონ თბილისში.

ჩემი სიხარული უზომო იყო; ეს კაცი პირდაპირ ჩემი გამაცოცხლებელი შეიქნა. აფრენილი, იმედიანი, დავბრუნდი. ბინად ვიყავი ჩემს ნათესავთან, არქიტექტორ სიმონ კლდიაშვილთან, ქართული უნივერსიტეტის ამშენებელთან. ჩემი სიხარული, რომ შემწე გამოჩენილნდა, საკუთრივ გაიზიარეს აქ. მოხუცი, ტკბილი დედისმაგვარი ჩემთვის, ბიცოლაჩემი ეფრო კლდიაშვილისა თავისებური ალერსიანი სიტყვით მაიმედებდა, რომ ჩემი მტრები ჩემზე ვერ გაიმარჯვებდნენ. ვუსმენდი მის იმედიან სიტყვას და მეც იმედიანი ვხდებოდი.

— მხნედ იყავ, შვილო, მხნედ! მართალ კაცს მისი სიმართლე არ დაეკარგება. საზიზღრებმა როგორ უნდა გაიმარჯვონ! არ მოასწრებთ გამჩენი!

საზიზღრების დამარცხების მოლოდინში იყო გამწარებული საყვარელი შვილის, მისი „ბიჭის", მისი ძვირფასი საბას დამკარგველი მოხუცი. დაიმედებული, რომ საზიზღრები დამარცხდებოდნენ, რომ გამარჯვება მოახლოებულია და უეცველი, იგი სძლევდა თავის უსაზღვრო მწუხარებას და ამხნევებდა ყველას თავის გარშემო.

შეწუხებული, ხშირად ისევ შავი ფიქრებით გარეტებული, აქ, ამ ოჯახში, ვივიწყებდი მწუხარებას და ყოველ უსიამოვნებას. მწუხარება კი მღლიდა, თეთქვავდა ჩემს ნერვებს.

ბავშვობიდანვე ვუყვარდი ბიცოლა ეფროს, მის მრავალ შვილებს შორის მეც მქონდა სასიყვარულო კუნჭული.

შესამჩნევი ქართველი ქალი იყო ბიცოლა ეფრო. იგი იყო ქვეშხეთელი ყიფიანის ქალი, დიმიტრი ყიფიანის მახლობელი ნათესავი. ბავშვობიდან მახსოვს, მას ეხვევნენ გარშემო ყოველი კუთხის ქალები, მის ოჯახში თავს იყრიდნენ სოფელი-ქალიშვილები, მისგან სწავლობდნენ წერა-კითხვას, ხელსაქნარს, განსაკუთრებით ხალიჩების ქსოვას, რამაც ბევრი გლეხის ოჯახი ფეხზე წამოაყენა. მთელი სოფელი მისი მოსიყვარულე იყო, მისგანაც შეყვარებული და ეს სიყვარული, საკეთილოდ გამზადებულობა, მან თავის შვილებსაც ჩაუნერგა ღრმად. ქუთაისში იგი ახლო მონაწილეობას ღებულობდა ქართულ სცენისმოყვარეთა წრეში, ჩინებული შემსრულებელი იყო ხნიერი ქალების როლისა, თარგმნიდა რუსულიდან, წერდა პატარ-პატარა წერილებს. მისმა ოჯახმა დაზარდა დღევანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის ამშენებელი არქიტექტორი: სიმონ კლდიაშვილი, მისი ქალიშვილი იყო მარიამ ძნელაძისა, პირველი ქართველი მომღერალი, კონსერვატორია დასრულებული ქალი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული მუსიკის განვითარების საქმეში. მისი შვილი იყო ტრაგიკულად დაღუპული

ახალგაზრდა მეცნიერი, დიდი იმედის მძლეველი ქიმიკოსი, ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტი ალექსანდრე კლდიაშვილი. მობუცებულობაშიც ეფროს არ დაჰკარგვია სიფხიზლე, საზოგადოებრივი ინტერესი, იმედიანობა უკეთესი მომავლისა, მისით მხნევდებოდა ამ ოჯახში მყოფი.

დის მაგვარი იყო ძმაც, მიშო ყიფიანი, ერთ დროს ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ახალგაზრდობისას ციმბირში ნამყოფი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის. ის ხშირად დადიოდა თავის დის ოჯახში, რომელიც მას განსხვავებით უყვარდა და რომელსაც იგიც ამგვარივე გრძნობით უპასუხებდა.

ხშირად მოდიოდა აქ მაშინ ახალგაზრდა, ახლად გამოსული სამუსიკო ასპარეზზე, დღეს ჩვენი სახელგანოვანი, საყვარელი კომპოზიტორი, ზაქარია ფალიაშვილი. ფალიაშვილი, ცხო

როსი. მშვენიერი კაცია, — მომიგო რეშეტინმა და მოგვიყვა იმ ექსპედიციის შესახებ, გენერალმა რომ აწსენა.

ამიერკავკასიის შესაძრწუნებლად, შესაშინებლად, მთავრობის ძლიერების დასანახავად და ყოველგვარი არეულობის ჩასაქრობად გრიაზნოვის შემუშავებული გეგმით უნდა შემდგარიყო ექსპედიცია ოცი ათასი კაზაკისაგან თავისი არტილერიით და ტყვიისმფრქვეველებით; ექსპედიციას უნდა მიმოეველო მთლად ამიერკავკასია და აღმოეფხვრა დაუსოგველად ყოველივე ურჩობის სურვილი მცხოვრებლებში; ექსპედიციის უფროსს სრული ნება ეძლეოდა დაწვის, დახვრეტის, ჩამოხრჩობის, ყოველნაირად დასჯის, სადაც და როგორც საჭიროდ დაინახავდა. ექსპედიციას ყოველგვარი საშუალებით უნდა დაეწყნარებია ქვეყანა. ექსპედიციის უფროსად გრიაზნოვი ნიშნავდა გენერალ ვიშესლავეცკის, მაგრამ ამან უარი უთხრა.

— გენერალი მეტად რიგიანი კაცია, რომ ამგვარი რამე მზეცური საქმე იკისროს, — თქვა რეშეტინმა.

გრიაზნოვი არ ეშვებოდა, აძალებდა, მაგრამ ბედმა არ დააცალა მისი გეგმის შესრულება — ჯორჯიაშვილმა მოუსპო სიცოცხლე და იხსნა ქვეყანა აოხრებისაგან.

ცოტა ხნის შემდეგ შატილოვიც ჩამოვიდა თბილისში. რეშეტინმა მითხრა გამოვცხადებულიყავ მასთან და ის მეტყოდა თავის გადაწყვეტილებას. გამოვეცხადე. შატილოვმა მითხრა, რომ მან იცის ყველაფერი ჩემს შესახებ რეშეტინისაგან და რომ თანახმად ჩემი სურვილისა გადაყვანილი ვიქნები სოხუმის პოლკში. ორ დღეში უნდა მივსულიყავი შტაბში განკარგულების მისაღებად.

ორი დღის შემდეგ შტაბში მისულს მოვიგე გენერალმა კნიაჟევიჩმა მითხრა:

— თქვენ ითხოვეთ სოხუმში გადაყვანა, შტაბის უფროსი თანახმა იყო, მაგრამ მერე გამოცვალა თავისი გადაწყვეტილება, — თქვენ დაბრუნდებით ისევ თქვენს ნაწილში... ეგ იმიტომ, რომ იცოდნენო, ამბობს გენერალი, რომ კაცის ბედით თამაში დაუშვებელიაო!

მივიღე ახალი მოწერილობა. გამარჯვებისაგან სიხარულით აფრენილი დავბრუნდი ბინაზე. აქაც გახარება და მეორე დღესვე გავეშურე ბათუმისაკენ.

ჩვენი ნაწილის უფროსი, პოლკოვნიკი, აღარ დამხვდა. იგი, როგორც ორმოცდათვრამეტი წლის შესრულებული, დათხოვნილი იყო სამსახურიდან. ასეთი იყო კანონი. მის მაგიერ იყო ახლად დანიშნული პოლკოვნიკი ტუნებერგი, თბილისის საიუნკრო სასწავლებ-

ლის გუნდის უფროსი, პიროვნება, როგორც თბილისში მითხრეს, მეტად რიგიანი და შესმენილი.

ბათუმში ჩასვლისთანავე გამოვეცხადე და ვუთხარი:

— პოლკოვნიკო, თქვენ, რასაკვირველია, გაგებული გაქვთ ყველაფერი ჩემს შესახებ. მე ისევ დამაბრუნეს უკან. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მე იგივე ვარ, რაც აქამდი ვიყავი. მე ისევ იმ აზრზედა ვარ, რომ ჯერ მოქალაქე ვარ და მერე სამხედრო პირი; უაღრესად მოინტერესე ვარ, რაც დღეს ჩვენს ცხოვრებაში ხდება, თვალს ვადევნებ, ვაძლევ ანგარიშს და ვმსჯელობ გულახდილად, დაუმალავად. ჯარისკაცებთან და ხელქვეითთან როგორც წინათ ვიყავი, ისე ვიქნები შემდეგშიაც. თუ თქვენ შეგიძლიათ ამგვარი შტაბ-ოფიცერი იგუოთ თქვენთან, მეც თქვენი შრომის მონაწილე ვიქნები, პატიოსანი მონაწილე, თუ არა და მითხარით და მე არ შეგაწუხებთ ჩემი აქ ყოფნით. შეიძლება სულაც გავშორდე სამხედრო სამსახურს. შრომა არ მეზარება, საშრომს ყოველთვის ვიშოვი.

— დავიდ სამსონიჩ! ასეა თუ არ ვცდები, დავიდ სამსონიჩ, — გრძნობით მითხრა ტუნებერგმა. — მიიღეთ ჩემგან მადლობა, რომ ასე გულახდილად, ასეთი ნდობით მოხვედით ჩემთან. ამას მე დიდად ვაფასებ და სიტყვას გაძლევთ მეც გიპასუხებთ ამისთანავე ნდობით და დაიმედებული ვარ ჩვენ კარგად, ამხანაგურად ვიმსახურებთ. მე გაგებული მაქვს ყველაფერი და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ამ ჩვენი ბაასის შემდეგ რომ ვინმემ მოიწადინოს თქვენს შესახებ ჩემი გაცნობიერება და ცუდად მოგიხსენიოს, ასეთ პირს მე დაურიდებლად კარებზე მივუთითებ. პატიოსან სიტყვას გაძლევთ!

რამდენიმე დღის შემდეგ უნდა გავბრუნებულიყავ თბილისში და გენერალ ბერხმანისაგან მოწმობა ამეღო, რომ მან დამრთო ნება დავრჩენილიყავ თბილისში ჩემი საქმის თაობაზე.

— დაწყნარდით?! — მხიარულად შემეკითხა ბერხმანი, როცა მივედი მასთან შტაბში.—ხომ აღარ ღელავთ? რაზე ჩამოსულხართ?

— თქვენი მოწმობა მჭირია, რომ თქვენ ნება დამრთეთ თბილისში დავრჩენილიყავ.

— დიდი სიამოვნებით! წავიდეთ ჩემს კაბინეტში! — გაეშურა თავის კაბინეტისაკენ. მეც გავყევი.

— აბა მითხარით, მიკარნახეთ რაგვარი მოწმობა გჭირიათ და მეც დავწერ! — თქვა და მოუჯდა მაგიდას. — დაბრძანდით!

საჭირო მოწმობა მალე დაიწერა, მოაწერა ხელი, დაკრა ბეჭედი და გამომიწოდა.

— სხვა არაფერი?

— გმადლობთ, არაფერი!

— აბა ახლა მომიყევით რად შემოგიკიდეს ისე დაუზოგველად ცეცხლი?

ამასაც დაწვრილებით ვუამბე ყოფილი ჩემი უფროსის ამბავი, ჩვენი ყოფა-ცხოვრება მის ხელში, ჩემი ურთიერთობა მასთან, ოფიცრებთან, ჯარისკაცებთან, საზოგადოებასთან. სხვათა შორის ვუთხარი: მისაყვედურებდა-თქო, რომ გადამეტებულ ყურადღებას ვაქცევ რაც ხდება საზოგადოებაში, ვუამბე, როგორ მარიგებდა, რომ მხოლოდ სამსახური უნდა მახსოვდეს და რაც სამსახურს გარეშე ხდება, ეს მხოლოდ უფროსების საქმეაო.

— ვოტ ტაკ-ტაკ! — წამოიძახა ბერხმანმა. — სამსახური როგორ დამავიწყებ[illegible]ებს ყველაფერს! შორსა ვარ ჩემი ქვეყნიდან, სამსახურში გართული ვარ, მაგრამ ჩემი გული დღეს იმის გამო, რასაც ბალტიის მხარეს დღეს აყენებს მილერ-ზაკომელსკი (ბერხმანი ბალტიის მხრიდან იყო). მოსვენებას მოკლებული ვარ იქაური ამბებით!

გამოთხოვებისას მადლობა ვუთხარი იმ დახმარებისათვის, რომელიც მან გამიწია. გენერალმა ტკბილად მომიგო:

— მადლობა? რისთვის? მე მხოლოდ რჩევა მოგეცით, რომ ეხედავდი თქვენს დიდ მწუხარებას და ამ რჩევამ კეთილი ნაყოფი მოიტანა თავისთავად; და თუ მადლობაზე მივა საქმე, თქვენი მადლობა იმით იქნება გადახდილი, რომ როცა შეგხვდებათ ვინმე აი, ისე შეწუხებული, როგორც თქვენ იყავით, მიხედეთ, ნუ წაუყრუებთ, დაეხმარეთ როგორც შეიძლოთ. აი, ეს იქნება თქვენი ჩემთან მადლობა! — და ეს ისე შნოიანად, ისე ლამაზად წარმოთქვა ამ კაცმა, რომ აღტაცებაში მომიყვანა და შევძახე:

— ეს ისეთი ძვირფასი სიტყვებია, რომ მათ გაგონებაზე ორკეც მადლობას მოგახსენებთ... ორკეც მადლობას!

გულგაღონიერებული ჩამოვედი ბათუმში, მეღირსა ერთგვარად მოსვენება, მაგრამ საუბედუროდ მოკლე ხნით. ნაწილის უფროსი ტუნებერგი მოულოდნელად გახდა ავად და ნახევარი წლის ჩვენთან ყოფნის შემდეგ გარდაიცვალა. მისი ნაცვალი ახალგაზრდა კაცი, კარიერისტი, ჭკუამოკლე, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ რითი მოეწონებინა თავი უფროსებისათვის და ქალაქის მცველი რაზმის გამგებლად ყოფილიყო, რომ ამ თანამდებობის აღსრულებისათვის დღიური ფულით თავისი ჯამაგირი გაეორკეცებინა. თუმცა მთავრობა ისედაც უხვად აგზავნიდა ჯარისკაცებისათვის საკითხავად სხვადასხვა ბროშურებს, ეს ახალი პოლკოვნიკი თავის გულმოდგინებით თავის მხრივ იწერდა კიდევ ამგვარ ფურცლებს და ბროშურებს, არიგებდა გუნდებში და ავალებდა ოფიცრებს ეკითხნათ ჯარისკაცებისათვის და შეეთვისებინათ მათთვის ამ ბროშურებში გა-

ტარებული აზრები. მაგრამ რა შედეგი ჰქონდა ამგვარ მუშაობას! ბროშურებში ისეთი აზრები ტარდებოდა, განსაკუთრებით მიწის შესახებ, რომ ჯარისკაცებს თუ აღიზიანებდა უფრო, თორემ არ ამშვიდებდა და არ აწყნარებდა. ამ აზრების ჩამნერგველთა მდგომარეობაც მეტად ცუდი იყო.

— დავით სამსონიჩ, მე მეტი აღარ შემიძლია! — მეუბნებოდა გამწარებით ერთი ყმაწვილი ოფიცერ. — მეტი აღარ შემიძლია! იმ ბროშურებით მე ჯარისკაცებთან აღარ მივალ, არ მივალ არაფრის გულისათვის! რომ დავიწყებ კითხვას და კითხვის დროს გადავაგლებ თვალს ჯარისკაცებს იმის გასაგებად, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს წანაკითხი მსმენელზე, თითქმის ყველას სახეზე ღიმილს ვხედავ. გულში ეცინებათ, იკავებენ სიცილს; მოგჩერებიან ისეთი თვალით, თითქოს დაგცინიან. ვგრძნობ, მასხარად ამიგდებენ, რომ არ ეშინოდეთ და შეეძლოთ თავისუფლად გამოთქვან თავიანთი აზრი. არა! რაც უნდა მიყონ, ამ ბროშურებით ჯარისკაცებს ახლო არ გავეკარები, არა! ეს საძაგლობაა, სხვა არაფერი! პირდაპირ ვახელებთ ჯარისკაცებს!

თვითონ უფროსი ისეთი იყო, რომ ჯარისკაცებთან ორ სიტყვას ვერ გადაბამდა სათქმელად. არც იცოდა რა სამსახურისა; იყო კარიერისტი, მუდამ იმის ფიქრში, თუ რა გზით წაეწია წინ. თან მხდალიც იყო. რეაქცია ძლიერდებოდა — ესეც რეაქციონერობდა. ბედად გონი აკლდა, თორემ უბედურების დამტეხი რამ იქნებოდა.

ზაფხულის საღამოა; ბანაკად ვართ ზღვის ნაპირზე, ქალაქის განაპირად. ვზიეარ ჩემს კარავში, ვმუშაობ. კარავში შემოვიდა ოფიცერი, მესამე გუნდის უფროსი.

— დათიკო, კომანდირი გხმობილობს... მალე, მალე!

— რა ამბავია?

— ეშმაკმა იცის, რა ამბავია! ჯარისკაცებში არეულობაა... რაღაც ცუდი ამბავია... მალე, მალე! — მეუბნებოდა გაფაციცებული ოფიცერი. — ეგერ ზის საკრებულოს აივანზე!.. იცოცხლე ის შეშინებულია!

შევედი საკრებულოში. აივანზე, გაზეთით ხელში, აკიდებულ ლამპართან ზის პოლკოვნიკი. მოკუნტულია.

— რა ამბავია, ვლადიმერ ივანიჩ! — ვკითხე.

— მორიგე ოფიცერმა ეს არის მომახსენა, რომ ბანაკში ჯარისკაცებში რაღაც უწესობაა. მუსიკანტები უკრავდნენ, დარეკიან, გაუფანტავთ... რაღაც ამბავია... დავიდ სამსონიჩ, გამიგეთ რა არის... რაზე აღელდნენ! თქვენ აქ ძველი ოფიცერი ხართ, თქვენ

ვაგიგონებენ! — პოლკოვნიკი ეტყობოდა გვარიანად იყო შეშინებული.

გავედი ბანაკში. ისმის ყაყანი, გულმოსული ლაპარაკი.

— რა ამბავია! — შევეკითხე პირველ შემხდურ ჯგუფს.

ხმას არავინ იღებს. გაჩუმდნენ.

— თქვით, რა ამბავია? — ვიმეორებ. ისევ სიჩუმე. იქით კი ისევ ყაყანი, ისევ გულმოსული ლაპარაკი.

მივდივარ კარვებში. ჩემი მიახლოებისას ყაყანი წყდება, ხმას არავინ იღებს. შორიახლოდან კი ისევ ხმამაღალი, გულმოსული ლაპარაკი ისმის.

— არ გრცხვენიათ?! — ვიყვირე მეც. — რაღაც გინდათ თქვათ და ვერც ამბობთ! ალბათ, მტყუანი ხართ, აბა რამ გაგაჩუმათ!

ჩემს გვერდით მორიგე ოფიცერი იდგა.

— წადით თქვენთვის, — ვუთხარი მას. ვიფიქრე ამასთან არ უნდათ ილაპარაკონ. მორიგე გამშორდა.

— თქვით... გამაგებინეთ რამ აგრიათ?.. რა მოხდა ისეთი? აქ დასასჯელად ხომ არ მოვსულვარ, მინდა გავიგო რა მოხდა, რატომ გაფანტეთ მუსიკანტები და აყვირდით?

— ტუსაღები კი არა ვართ, ჯარისკაცები ვართ! — წამოიძახა ერთმა.

— ტუსაღები არა ვართ!.. არ ვართ ტუსაღები! — იყვირეს აქეთ-იქიდან. — თუ ტუსაღები ვართ, გამოგვიცხადონ!

— რის ტუსაღები? რა ტუსაღები?.. ვინ დაგატუსაღათ? — ვეკითხები გაკვირვებული.

გამოირკვა, რომ ნაწილის უფროსს განკარგულება გაეცა ბანაკის გარშემო დაეყენებინათ ყოველ ორმოცდაათ ფეხის ნაბიჯზე ყარაული, რომ არავინ შესულიყო ბანაკში და ვერც ვინმე ნებადაურთველად გასულიყო. ყარაულები დააყენეს და ჯარისკაცების გასართობად, ბრძანების თანახმად, გამოეყვანათ ორკესტრი მინდორზე. ჯარისკაცები ამაზე აღელდნენ, აყვირდნენ, გაფანტეს მუსიკანტები და იმუქრებოდნენ ყარაულების ძალით მოხსნას.

— ბატონო, მოახსნევინეთ ყარაულები, თორემ ჩვენ ცუდ ამბავს დავატრიალებთ! გფიცავთ, თავს გავიმეტებთ და ჩვენსას კი ვიზამთ! — მითხრა ერთმა ჯგუფმა. ესენი იყვნენ გორელი ჯარისკაცები მეტწილად.

— კარგი, კარგი! დაწყნარდით, დამშვიდდით! აქ რაღაც გაუგებრობაა! ამასაც გავიგებ და ყარაულებს მოვახსნევინებ. ტუსაღები ვართო... რამ გაფიქრებინათ ეს? დაწყნარდით!

გავბრუნდი საკრებულოში. გზაში მორიგე ოფიცერმა მითხრა,

რომ მან საღამოს მიიღო ბრძანება ყარაულებით ბანაკის შემოვლების შესახებ და იქიდანვე მომლოდინე იყო არეულობისა და კიდეც ასე მოხდაო.

— რა გაიგეთ? — შემომეგება პოლკოვნიკი, როცა დამინახა.

მოვუყევი, რომ მისგან გაცემულმა ბრძანებამ, ყარაულების ჩაყენების შესახებ ბანაკის გარშემო, გამოიწვია უკმაყოფილება და აღელვება თვით ბანაკში.

— ნამეტანი წყინთ! უნდა მოიხსნას უსათუოდ! — ვუთხარი.

— აბა როგორ ვქნათ, რას გაიგებ ვინ მოდის, ვინ ელაპარაკება და რას ელაპარაკება ჯარისკაცებს?.. ხომ იცით, რამდენი არასასურველი პირები დასრიალებენ... ვინ იცის რას არ ავრცელებენ, რას არ ელაპარაკებიან! აბა რარიგად ვარიდოთ ამათ ჯარისკაცები?

— ამით არა გამოვა რა; უნდა მოიხსნას ყარაული, თუ არ გინდათ მეტი აღელვება შექმნათ.

— კარგი, უბრძანეთ მორიგ ოფიცერს მოხსნას... მარა... აბა როგორ იქნება!.. როგორ იქნება! — აბნეულად ალაპარაკდა შეშინებული და თან გაცემულ უგუნური ბრძანების უკან წაღებით დარცხვენილი პოლკოვნიკი.

მეტად აბნეული იყო ეს ახალი ტიპის კარიერისტი. თავისი თავის მეტი თითქოს არა ახსოვდა რა და თავის წარმატების მეტი არა აწუხებდა რა. ქვეყანა რომ ცეცხლმოკიდებული იყო, როცა ყველა დაინტერესებული იყო სათათბიროს წევრების არჩევნების წარმოებით, რომ ქვეყანა ემზადებოდა სათათბიროს შეკრებისათვის და მთავრობისათვის იქ თავისი რისხვის დაცემას აპირებდა — ეს ყოველივე დიდ ყურადღებას არ იქცევდა მასში. სამაგიეროდ აღტაცებაში მოდიოდა გურიაში მოქმედ ხერსონის პოლკის პოლკოვნიკი კრილოვის მოქმედებით.

— ყოჩაღი კაცია! გაბედული, მტკიცე!.. კაცი იმგვარი უნდა! — ამბობდა მის გარშემო თავმოყრილ ეგრეთ წოდებულ „პარტია პრავოვაგო პორიადკა“-ს მომხრეთა ოფიცრებში.

— მაგგვარი კაცი ყოველ საქმეს გაიტანს!

კრილოვი თავის პოლკით, ხერსონის პოლკით, გამოგზავნილი იყო კიევიდან გურიის დასაწყნარებლად. გურიას ვერა-რას უხერხებდა ადგილობრივი ადმინისტრაცია და მიუსიეს კრილოვის პოლკი. კრილოვი დიდი რიხით ჩამოვიდა ბემით ბათუმში; აქ განსხვავებულად მიღებულ იქნა, როგორც მხსნელი პირი. ჩვენმა პოლკოვნიკმა ვითომ ისარგებლა კარგი შემთხვევით და მოინდომა თავისი საქმის გაკეთება: სთხოვა კრილოვს ერთი ჯგუფი მისი პოლკის ჯარისკაცებისა იმ მიზნით, რომ შემოხვეოდა ბარცხანას ღამით და

ჩხრეკა მოეხდინა. მისი აზრით ახალმოსულები უფრო სანდონი იყვნენ და ჩხრეკაში არავის დაინდობდნენ. კრილოვმა ათხოვა ჯარისკაცები; შემოერტყნენ ღამით ბარცხანას, ატეხეს ალიაქოთი,— შედეგი კი არაფერია; უთავბოლოდ დაწყებული საქმე უთავბოლოდ გათავდა.

კრილოვი ცეცხლითა და მახვილით შევიდა გურიაში. ეს ტანმორჩილი, თხელი, შავგვრემანი კაცი, საოცარი სასტიკი იყო. არავითარი დაზოგვა, არავითარი შებრალება მან არ იცოდა. მისი შეხედულობით, აქ მტერი იყო და მტრულად უნდა მოქცეოდა. მრუდი, მართალი, უდანაშაულო — ყველა ერთია, ერთი აზრისანი არიან, გარჩევა საჭირო არაა... იქ ღმერთი გაარჩევდა ბრალიანს და უბრალოს; კრილოვი კი წვავდა, ცეცხლს აძლევდა, სიკვდილს აფენდა მარჯვნით და მარცხნით. საკმარისი იყო ჯაშუშის უბრალო ცნობა, რომ დასმენილის სახლ-კარს წაესმებოდა ფისი, ზედ დაესხმებოდა ნავთი და ავარდნილ ალში, მწარე ცრემლებით ხმამაღლა მოტირალ პატრონთა ბღავილში, იფერფლებოდა შენობა, იწოდა საზრდო, იღუპებოდა საქონელი, ნიავდებოდა მთელი ქონება.

წარმოუდგენელი სასტიკობა! ეს ხომ განუშორებელი თვისებაა თვითმპყრობელი ხელისუფლების მაღიარებლისა!

უნაყოფო სასტიკობა!

კრილოვის სასტიკობამაც უნაყოფოდ ჩაიარა. მან ვერ მოდრიკა, როგორც ის ფიქრობდა, გურია. ნერვებაშლილი, მოქანცული, მოღალული იგი იძულებული გახდა მიეტოვებინა თავისი პოლკი, გურია და გაბრუნებულიყო კიევში. შეშინებული, რომ არ მოეკლათ, ნამალევად ჩამოიყვანეს ბათუმში და ნამალევად, ღამით, არა ნავსადგურიდან, არამედ ბათუმის ბულვარიდან ნავით მიაყენეს ზღვაში გაჩერებულ გემს, ჩასვეს და გაისტუმრეს საიდანაც იყო მოსული.

ასეთ პიროვნებას მოჰყავდა აღტაცებაში ჩვენი პოლკოვნიკი. მოკლე ხნის შემდეგ მას ბედი ეწია: მოწონებული შეიქნა და წინ წაიწია, მიიღო უფრო დიდი ნაწილი და მოგვშორდა, მაგრამ მე კი დავიდარაბას გადამკიდა.

ჩვეულებისამებრ ოფიცრობამ მას გაუმართა გამოსამშვიდობებელი ვახშამი. ვახშამზე იყო აგრეთვე ახლად დანიშნული ნაწილის უფროსი, კიშინიოვიდან გადმოყვანილი, კიშინიოვში ებრაელების საზარელ დარბევაში მონაწილეობის მიმღები, შესახედავად ნამდვილი აბრაგი, ახმახი, სახე ნაყვავილები, ბრიალა თვალებით, როხროხა, რაღაც მოუსვენრობით შეპყრობილი.

ვახშამი უფერულად გრძელდებოდა, უხალისოდ. მიმავალმა

პოლკოვნიკმა მოიკატუნა თავი და ბოდიშით მიმართა იქ მყოფთ იმ შეცდომებისათვის, მას რომ მოსვლია უნებლიეთ, ზოგი გამოუცდელობის გამო, ზოგჯერ გამოუურკვევლობის გამო.

— ყოველთვის კი ვცდილობდი კეთილი გულით მემუშავნა, კეთილი გულით მივდგომოდი ყველას! — დაასრულა მან თავისი სიტყვა.

ჩამაცივდნენ პასუხი მიმეცა. არ ვიყავი კარგად და არც მინდოდა ლაპარაკი, უარზე ვიდექი, მაგრამ არ მომეშვნენ, არ მომცეს საშველი. წამოვდექი და მოკლე სიტყვით მივმართე. სხვათა შორის ვთქვი, რომ ჩვენმა ყოფილმა უფროსმა აღიარა, რომ უშეცდომო არ ყოფილა მისი უფროსობა, რასაც ასე იშვიათად აღიარებენ ხოლმე საუბედურო და როგორც თქვა, იგი იყო მოწადინებული კეთილად ემოქმედა და რომ სხვადასხვა მიზეზის გამო შეცდომა უნებლიეთ ხდებოდაო. კეთილი გულით მოქმედება მართლა და მშვენიერია და მხსნელია მრავალ შეცდომათაგან, მაპატიებელი შეცოდებისაც.

— თქვენ გექნებათ საქმე უფრო მეტ შემადგენლობასთან, უფრო მეტ ხელქვეითებთან. გაშალეთ ეს კეთილი გული, თქვენ რომ გრძნობთ თქვენს არსებაში, გაშალეთ ფართოდ და ამით თქვენც გაგიადვილდებათ მდგომარეობა და თქვენი ხელქვეითებიც დამშვიდებული და მადლობელი იქნებიან. თქვენი ნახსენები კეთილი გულის სადღეგრძელო იყოს!

ეს იყო შაბლონური, უფერული სიტყვა.

ახალი უფროსი გადაწეულია საჯდომის ზურგზე, მომჩერებია ღიმილით, ნაყვავილებიანი ფართო სახით, ჰქნევს თავს — რაღაც საყვედურს მანიშნებს; მიმავალი ყოფილი უფროსი გეითხვირა, ჩაღუნა თავი, უკმაყოფილოა, ეტყობა.

რა ითქვა საამისო?! ჯანდაბას! როგორც უნდათ ისე მიიღონ ჩემი ნათქვამი!

მეორე დღეს ახალი უფროსი მხმობილობს ნაწილის სამართველოში. შევედი მასთან კაბინეტში.

— ნუ ბატიუშკა, რა ქენით ეს წუხელი? — წამომდგარია, დგას ზეზე. — მოკალით კაცი! — მომახალა.

— რაობით? — შეეკითხე.

— მოკალით... თქვენი სიტყვით მოკალით!

— არ მესმის!

— მოკალით, გეუბნებით! — ახროხინდა ახმახი. — განა ვერ შეამჩნიეთ რანაირად იმოქმედა მასზე თქვენმა მიმართვამ? სახლში რომ მივედით, ძლივს დავაწყნარე, ძლივს დავამშვიდე... მგონი არც

სძინებია, ისე გაატარა ღამე. ამის მიზეზი თქვენ ხართ, დიახ თქვენ!

— მაკვირვებს თქვენი ნათქვამი... სულ არ მესმის... საიდან რა გამოგყავთ... რა ითქვა საამისო?!

— ჰმ, კაცი დაპატიჟეთ პატივსაცემად; ის მოგენდოთ, მოვიდა და თქვენ კი იმის მაგივრად, რომ გექოთ ეს ადამიანი, რომელიც უკანასკნელად იყო თქვენს საზოგადოებაში, ქების მაგივრად მოუყვით შეცდომების ხსენებას, შეეხეთ მის კეთილ გულს, ისე რომ დაცინვად უნდა მიეღო... უსათუოდ დაცინვად, დიახ!

— გასაოცარია! ეგ გინდათ მასალად ჩემს შესახებ?! — მკვახედ გავაწყვეტინე სიტყვა. — აქ წინათ ქსელი იბმებოდა ჩემს წინააღმდეგ. როგორც გნებავთ ისე განმარტეთ ჩემი ნათქვამი, ნება თქვენია! მე ამაზე არც ავს გეტყვით, არც კარგს, დიახ!

— იმიტომ რომ სათქმელი არა გაქვთ რა. თქვენ გეტყობოდათ აპირებდით მეც შემხებოდით, იმ კეთილი გულის გაშლას რომ ასწავლიდით, აპირებდით ჩემთვისაც მოგეცათ დარიგება...

— გულთმისანი ყოფილხართ, — დაცინვით მოვუჭერი.

— კი... აპირებდით, მაგრამ ვერ გაბედეთ!

— ცდებით, რომ მდომებოდა, კიდევაც გეტყოდით!

— ვერ გაბედეთ! — ჯინიანად წამოიძახა მან.

— მეტად ცდებით!.. რით დამაკარგვინეთ გამბედაობა? — მკვახედ ვესროლე მეც.

— არა, თქვენ უცნაური ადამიანი ყოფილხართ მართლა! — წამოიძახა მან.

ჩანს, წინდაწინ გაცნობია ჩემს თავს.

— თქვენ ცუდ მაგალითს აძლევთ უმცროს ოფიცრებს. ეს შტაბ-ოფიცერს არ შეშვენის; სამსახურის წინაშე ვალდებული ვარ აღვნიშნო თქვენი წუხანდელი საქციელი ბრძანებაში, გამოგიცხადოთ ამჟამად სასტიკი საყვედური და გაგაფრთხილოთ შემდეგისათვის. ამით მეც ჩემს ვალდებულებას ავასრულებ და იმ მშვენიერ ადამიანსაც, თქვენგან შეურაცხყოფილს, დავაწყნარებ და დავაკმაყოფილებ!

— როგორც გნებავდეთ, ვინ გყავთ დამშლელი!

— არ გეწყინოთ!

— სრულებითაც არა! როგორც გეხასიათებოდესთ! ჩემთვის სულ ერთია! — აგდებულად ვუთხარი.

მეორე დღეს ვინახულე ციხის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი მდივანი.

— ნუ ი რაზდელალ ვას პო პერვომუ ჟე ზნაკომსტვუ ვაშ ივანიცკი! — სიცილით შემხვდა მდივანი. — მაგრამ მოგიხდება, რომ

ვერ ისწავლე ამ ხალხთან როგორ უნდა დაიპირო თავი! რა გალა-პარაკებს, დაანებე თავი! ხომ ხედავ რა ხალხია!

— რა ვთქვი? გავიმეორე მისი ბრიყვული სიტყვები, მეტი არაფერი. ეს ახალი ვაჟბატონი შემზადებული ყოფილა ჩემს შესახებ ჟუკოვსკისაგან და ამისგანაც არაფერი გამიკვირდება. გულნაწყენია ჩემზე, რომ ოფიცრობა ჩემს სიტყვას უფრო მისდევედა, ვიდრე მისას, რომ ხშირად იძულებულს ვხდიდი უკან წაეღო ან შეეცვალა თავისი ბრიყვული ბრძანება-განკარგულებანი. გულმოსულია, რომ ამასწინათ ოფიცრობა ჩემს წინააღმდეგ საწადელში არ გაყვა აშკარად; არჩევნები იყო ოფიცერთა საზოგადოების სასამართლოს წევრების. წიხდაუხედავად გამოვიდა შეკრებილ ოფიცრობაში რაღაც წერილით, თუ როგორი პირი უნდა ირჩეოდეს სასამართლოს წევრად; მის გუნებაში ოფიცრებს დირექტივა მისცა თუ ვინ ამოერჩიათ; ყველამ თითქმის ისე მიიღო მისი გამოსვლა, რომ მას არ უნდოდა მე რომ არჩეული ვყოფილიყავი სასამართლოს წევრად, როგორც ყოველთვის ვირჩეოდი, და არც სასამართლოს თავმჯდომარედ, მაგრამ მის ჯინაზე ბარათებით მეტძალი ხმა მივიღე; ჩასვეს ჯორი ტალახში — წევრადაც ამომირჩიეს ჩვეულებისამებრ და სასამართლოს თავმჯდომარედაც. დარჩა შერცხვენილი, ჩემზე გაჯავრებული. კეთილი გულით მივდიოდი ყველასთანო! კეთილი გული!.. ამ ახალ პოლკოვნიკს კი ამთავითვე ეტყობა რაც პერსონა ბრძანდება! დაშინება მომინდომა!

— იყავი, ადამიანო, შენთვის! ნუ ებმები მაგათთან ლაპარაკში... სამსახური და გათავდა!.. გარწმუნებ, არ დაგვზოგავენ. ერიდე, გირჩევ!

— სულ როგორ მოვერიდები! არაფერია. გავუძლებ როგორმე ამისთანა ოხრებსაც! — წამოვიძახე.

— შეგაძლებიოს! — სიცილით მითხრა ჩემმა მოსაუბრემ.

ორიოდე დღის შემდეგ შევხვდი ჩემზე გულნაწყენ ჟუკოვსკის. ვერ მოვითმინე და შეკითხე:

— რა გეწყინათ იმ საღამოს ისეთი, რომ, როგორც, პოლკოვნიკი ივანიცკი ამბობს, თქვენ უსაზღვროდ აღელდით და მთელი ღამე აღელვების გამო არც თქვენ მოგისვენიათ და არც ის მოასვენეთ?

— არაფერი! — მომიგო მან.

— აბა ივანიცკიმ რომ ბრძანებაში გამჭიმა, რაღა იყო?

— ეგ არ ვიცი მე... ეს მან იცის!

გამეცინა.

— ეს მან იცის! ჩემდა თავად კი გეტყვით, რომ იმედი მქონდა ჩემთან სხვანაირად იქნებოდით, ვიდრე იყავით. ხშირად ისე გამო-

ლიოდა, თითქოს ნაწილის უფროსი თქვენ იყავით და არა მე; ხანდახან ოფიცრისათვის სასაყვედურო სიტყვა ვერ მითქვამს, რომ თქვენ არ გამოსარჩლებოდით ხოლმე და მფარველობა არ გაგეწიოთ!

— კეთილი, მაგრამ ამით მე ხელს გიშლიდით ნაწილის მართვაში და ოფიცრებთან კეთილი განწყობილების დამყარებაში, თუ გეხმარებოდით?! თქვენ რომ ბიკოვსკი ოფიცერთა საზოგადოების სასამართლოს ქვეშ მოაქციეთ სულ უმნიშვნელო საქმის გამო და შემდეგ მოსვენებას არ აძლევდით ახალგაზრდა ოფიცერს, გულს უჩაგრავდით, არ უნდა ამომეღო ხმა? როგორც თქვენს თანაშემწეს, არ უნდა მეთქვა თქვენთვის, რომ მეტს შვრებით, რომ თქვენი მოპყრობით ყმაწვილს ხასიათს უფუჭებდით? ეს და სხვა ამგვარები სასაყვედურია?

— მე თვითონ გამაკვირვა ივანიცკის ბრძანებამ! არ უნდა დაეწერა ისეთი ბრძანება... ეგ ნამეტანი ქნა!

— თქვენს დასაკმაყოფილებლად იყო! — სიცილით ვუთხარი.

ივანიცკი ამ ბრძანების შემდეგაც ისე იყო ჩემთან, თითქოს არაფერი უსინდისობა ჩაედინოს. მე ვხედავდი რა ადამიანთან მქონდა საქმე და განშორებით მეჭირა თავი, — სამსახური, სხვა არაფერი. ის კი, როცა შემხვდებოდა, ისე მომექცეოდა, რომ გარეშე შემხედვარე იფიქრებდა, თითქოს ჩემი დიდი პატივისმცემელი ყოფილიყო. მეტწილად ცდილობდა შევყოლოდი პოლიტიკურ ლაპარაკში.

— დავით სამსონიჩ! გარწმუნებთ, პასუხისმგებელი სამინისტროა საჭირო... ისიც კადეტებისაგან შემდგარი! სხვაფერ ხსნა არ არის! თქვენ როგორ ფიქრობთ?

ივანიცკი და პასუხისმგებელი სამინისტრო, თუნდაც კადეტებისაგან შემდგარი! ეს წმინდა წყლის პროვოკაცია იყო. წავუყრუე, კრინტი არ დავძარი.

— რატომ გაჩუმებულხართ? რატომ თქვენც არ იტყვით თქვენს აზრს? მიიღეთ მონაწილეობა ლაპარაკში!

— არაა საჭირო, — მივუგე. — აკი ლაპარაკობთ!

— როგორ არაა საჭირო? — არ მეშვება.

— იმიტომ რომ არ ვიცი რანაირად იქნება მიღებული ჩემი ნათქვამი... როგორ გადაკეთდება იგი....

გაშტერდა და გაკვირვებით მომაშტერა თავისი ბრიალა თვალები. მიმიხვდა რასაც ვეუბნებოდი.

— გასაოცარი კაცი ხართ, უნდა გითხრათ! — წაილაპარაკა მან, ისე, რომ ეტყობოდა უხერხულად გრძნობდა თავს.

უფრო მეტი თავაზიანი შეიქნა ჩემთან, მაგრამ მეც არ ვუყებო-

დი საკენკზე; კიშინიოვის პოგრომშჩიკი რას დამზოგავდა, რომ ხელთ ვეგდე!

წესი იყო ყოველ წლობით კომისიებს შეედგინათ ოფიცრების ატესტატები. კომისია დგებოდა ნაწილის უფროსებისა და გენერლებისაგან. დადგა ეს დღეც. კომისიაში მონაწილე მეც ვხდებოდი, როგორც ოფიცერთა საზოგადოების სასამართლოს თავმჯდომარე; მე უნდა მიმეცა ატესტაცია ჩვენი ნაწილის ოფიცრებისათვის; ჩემი ატესტაცია კი უნდა წარედგინა ნაწილის უფროსს.

დანიშნულ დღეს შეიკრიბა კომისია. მე და ჩვენი ნაწილის უფროსი ერთად მივედით; გზაში იგი ოხუნჯობდა, იცინოდა, დაცინოდა ზოგიერთ ჩვენს ოფიცერს; ჩემთან განსხვავებულ მეგობრულ კილოზე ლაპარაკობდა. კომისიაში მე მივეცი საჭირო ატესტაცია, რასაკვირველია, არც ერთისათვის არა საზარალო და გამოვედი, რადგან ნაწილის უფროსს ჩემი ატესტაცია თავისუფლად წარედგინა.

კომისიის შემდეგ ივანიცკი კიდევ უფრო თავაზიანი და ენატკბილი შეიქნა ჩემთან. ვატყობდი მშვენივრად, რომ ეს გულწრფელი მოქცევა არ იყო; იმდენად ამის ეშმაკობა და ცუღლუტობა არ მაწუხებდა, რამდენადაც ის, რომ ავად გავხდი — მისუსტა ჩემმა ნერვებმა. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, როგორმე ჯანი შემენახა და ნერვების აშლა არ მომრეოდა.

ციხე-სიმაგრის უფროსად გადმოიყვანეს გენერალი ალფტანი — ფინლანდიელი ტომით, ახალგაზრდა გენერალი, კარიერისტი, რომელმაც პირველ მოსვლისთანავე გამოგვიცხადა, რომ ვინც რამეთი შეცოდა ცხრაას ხუთში, ყველამ აუცილებლად უნდა მოინანიოს თავისი შეცოდება. მას სწადდა სხვანაირი ელფერი მიეცა ციხე-სიმაგრისათვის, სხვანაირად აემუშავებინა იქ მდგარი ჯარი... სხვანაირი ვარჯიშობა, მეცადინეობა, ხშირი მანევრები... ერთ ამ მანევრებიდან შინ დაბრუნებულს სამართველოდან მომიტანეს კონვერტი. გავხსენი, წავიკითხე:

„პოდპოლკოვნიკუ კლდიაშვილი. ეგო სიატელსტვო გრაფ ეორონცოვ-დაშკოვ ნაშოლ სვოევრემენიმ ჩტობი ვი პოდალი ოტსტავკუ“.

კეთილი. მადლობა ღმერთს, რომ ამით ვრჩები... მეორე დღესვე შევიტანე სამსახურიდან გადადგომის განცხადება. ნაწილის უფროსმა აქაც არ მიატოვა თავისი თაღლითობა. შემიხმო თავის კაბინეტში და დიდი მწუხარებით მომმართა, რომ იგი მეტად შეწუხებულია ამგვარი მოწერილობით, რომ მას აოცებს სამსახურიდან დათხოვნა ისეთი თვალსაჩინო შტაბ-ოფიცრის, როგორიც ვითომც ვი-

ყავი მე, რომ ჩვენმა უფროსებმა არ იციანო სწორი დაფასება მოსამსახურის.

— თქვენი დათხოვნა! ეს ისეთი შეცდომაა, რომ პირდაპირ ვირევი, ჩემს თავს არ ვუჯერებ!.. ვერასგზით ვერ გამიგია რა მიზეზით, რა მიზეზით... ვერ გამიგია ვის უნდა ექნა ეს!.. ეპვი კი მაქვს... თქვენ ნამეტანს ენდობით პოლკოვნიკ მდივანს; მეტს რამეს ეტყოდით და იმანაც ისარგებლა თქვენი გულახდილობით... კი, ძალიან ეპვი მაქვს, რომ ეს მისი ნამოქმედარია!

გამეცინა. მდივანზე აქვს ეპვი! ჩემს უზომო ქებაშია! წუხს გადამეტებით ჩემს დათხოვნას! ამტყუნებს უფროსებს! ეს ყოველივე ისეთი ტლანქი საქციელი იყო, რომ ააშკარავებდა ამ ყოველად ზნედაკარგული პიროვნების ცულლუტობას.

— უსათუოდ აქ მდივანი ურევია! — გაიმეორა მან.

— არა, მდივანი აქ არაფერ შუაშია!

— რა მინდობა იცით კაცის, დავით სამსონიჩ! ეს გლუპავთ თქვენ!

— მე ვიცი ვინც არის აქ მიზეზი!

— ვინ? მე ხომ არა? ეგებ ჩემზე გქონდეთ ეპვი?

— მე არც კი მაინტერესებს ვინ რა მოიმოქმედა ჩემს წინააღმდეგ! მე მაინტერესებს დღეს ჩემი ჯანმრთელობა, თორემ იმის სრულიად არ მეშინია, რომ ამ სამსახურს ვტოვებ. მუშაობა ვიცი, არ მეზარება და თავს კარგად გავიტან. მე კიდეც მოვისვენებ!

მის გუნებაში მატყუებდა. აშკარა იყო, რომ აქ მისი ნამოქმედარი იყო და შემდეგში კიდევაც დანამდვილებით გავიგე ეს. მე რომ საატესტაციო კომისიიდან გამოვედი, ამ ვაუბატონმა წარადგინა ჩემი ატესტაცია, ატესტაცია ძლიერ კარგი, როგორც მოსამსახურის. ამას ვერ გადაუხვევდა, რადგან მუდამ ასეთი ატესტაცია მქონდა, მაგრამ ქვეშ მიეწერა: „ნე მოგუ რუჩატსია ჩტო ეტოტ შტაბოფიცერ ვსლუჩაე ნაროდნოგო დვიჟენია ოსტანეტსია ვ ნაშიხ რიადახ“, ესე იგი პოლიტიკურად არასანდო პირად აღმნიშნა და მეც დამითხოვეს სამსახურიდან.

ამის წინათ შემოწმებული იყო ჩემი ჯანმრთელობა, ექიმებმა იცვნეს საჭიროდ ჩემი გაგზავნა წინაკავკასიის მინერალურ წყლებზე. ზაფხულზე ვიყავ წყლებზე — ეს უკანასკნელი წყალობა იყო მთავრობისაგან ჩემზე მოღებული. აგვისტოს ჩამოვედი ბათუმში. ამ თვის დამლევს ჩვენი ნაწილის წლიური დღესასწაული იყო; ჩვეუ-

ლებრივ დიდი წვეულება, დიდი ნადიმი, დიდი ქეიფი. გვარიანად შემთვრალებულმა ნაწილის უფროსმა მიგდო ხელში.

— როგორ გუნებაზე ხარ? — მეკითხება ღიმილით.

— მშვენიერზე! — მივუგე.

— არ იქნებით მშვენიერ გუნებაზე, ტყუილია!

— გარწმუნებთ. მშვენიერ გუნებაზე ვარ!

— მშვენიერ გუნებაზე მაშინ იქნებოდით, ჩემთვის რომ მოგეშართნათ და მდივნისათვის თავი დაგენებებინათ. მდივანმა ვერ გიშველათ, მე კი გიშველიდით!

— თქვენთან მე არასოდეს არ მოვიდოდი შველის სათხოვნელად!

— არ მოხვიდოდით? ვითომ რაო?

— რაო და თქვენისთანა პიროვნებას მე არაფრის გულისათვის არ მივმართავ დახმარებისათვის!

— ხო, ხო, ხო, არ მიმართავედით?! კიდევაც გზა გიჩვენეს!

— გიხაროდეთ! მეც არ ვწუხვარ სრულიად!

— წუხართ, მარა მალავთ! წუხართ, როგორ არ წუხართ! ვიცი რომ წუხართ!

— გარწმუნებთ, რომ არა! მიხარია კიდეც, რომ თქვენისთანა პიროვნებას ვშორდები, თქვენისთანა პიროვნებასთან აღარ შექნება საქმე!

— ოჰო! თქვენ ძალიან სიტყვებს ისვრით! ფრთხილად იყავით! — წამოიძახა ივანიცკიმ. ღვინისაგან გაწითლებული მისი გადატყვეპერებული სახე უფრო წამოინთო და გადმოქაჩა თვალები.

— ფრთხილად იყავით!

— შეაშინეთ ვინც შეგიშინებიათ! ან რას გელაპარაკებით, ან და თქვენ რაში გჭირდებათ ჩემთან ლაპარაკი — კარგს თქვენს შესახებ ვერაფერს ვერ გაიგონებთ! ეს მგონი თქვენ უკვე იცით!

— კარგად მიცვნიხართ და იმიტომაც გაგაძევეთ! დიახ! გაგაძევეთ... ხა, ხა, ხა! — გადიხარხარა ჩემმა მოსაუბრემ.

— იმასაც ვნახავ თქვენ როგორ გაათავებთ! — ვუთხარი და გავშორდი.

მე თითქმის ვუწინასწარმეტყველე მას. რამდენიმე თვის შემდეგ იგი გადაიყვანეს ყარსში, იქ გაება რაღაცა საზიზღარ საქმეში, მგონი ფულის გაფლანგვაში, პასუხისგებაში იქნა მიცემული, სამსახურიდან დაითხოვეს და მალე სული გააცხო.

რამდენიმე თვის შემდეგ ბრძანებაც მოვიდა პეტერბურგიდან ჩემი სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

სამწუხარო ის იყო მხოლოდ, რომ ჯანმრთელობა ძლიერ შემერყა. შფოთში, შეუნელებელ აღელვებაში გატარებულმა წლებმა თავისი ქნეს — მომტეხეს, ავადმყოფი გამხადეს. მივატოვე ბათუმი, სადაც ოცდაექვსი წელიწადი გავატარე და საცხოვრებლად გადავედი ქუთაისში, რომლის მახლობლად ჩემი სამშობლო სოფელია, სიმონეთი.

თავი მეთოთხმეტე

ქუთაისი. მუშაობა ქალაქის თვითმართველობაში. — ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი. — აკაკი წერეთლის იუბილე. — ეკა-ფშაველა იმერეთში. — გუბერნატორ სლოვაჩინსკის ერობა. — შიმშილი იმერეთის სოფლებში.

ქუთაისში გადმოსვლისას საჭირო იყო იმ პენსიის გარდა, რომელიც მე დამენიშნა, მეშოვა კიდევ რაიმე სამსახური. ბედად, ქალაქის თვითმართველობაში გაიხსნა ადგილი. ჩემმა კეთილისმყოფელმა კოტე ბაქრაძემ გადასწყვიტა, სხვებთან ერთად, რომ ადგილზე მე ვყოფილიყავი მიწვეული. ქალაქისთავად ამ დროს იყო ქუთაისში ცნობილი ვექილი დავით ლორთქიფანიძე. მას თურმე დიდად უქეს ჩემი თავი.

— ვინ დავით კლდიაშვილია? — ეკითხა ლორთქიფანიძეს.

— მწერალი! — მიეგო კოტე ბაქრაძეს.

— შეუძლია კი წერა? მე არ ვიცნობ, არც ვისმესგან გამიგონია! — ეთქვა ლორთქიფანიძეს.

კოტე ბაქრაძე გაოცებით იტყოდა ხოლმე ამას და ახასიათებდა ჩვენს მოღვაწეებს, რომელთაც არა გაეგებოდათ რა ჩვენი ლიტერატურის შესახებ.

ჩემი დანიშვნა მეტად გაძნელდა; ლორთქიფანიძე უარზე იყო, არ ვიცი ვინ არისო. კოტე ბაქრაძემ, რომელიც გამგეობის წევრი იყო, იშოვა დრო, როცა დავით ლორთქიფანიძე ავად გახდა და მის მაგიერ ბრძანება დააწერინა საქმის მწარმოებელს ჩემი დანიშვნის შესახებ. ლორთქიფანიძე დიდი მეგობარი და პატივისმცემელი იყო ბაქრაძისა და საყვედურის მეტი არა უთხრა რა. მეც შევრჩი ადგილზე ბაქრაძის ამგვარი მოქცევის გამო.

დაიწყო მოდუნებული ცხოვრება. თან ჩემი ავადმყოფობისაგან შეწუხებული, თან ახალი უჩვეულო სამსახურთან დაახლოება —

ამაში მიმ[illegible]ნარეობდა ცხოვრება. როცა კარგად ვიყავი — თეატრ[illegible] და ხანდახან ლექციებზე სიარული.

ლექციები რუსულ ენაზე იკითხებოდა. გადაგვარების გზაზე დამდგარ ინტელიგენციას ვერ წარმოედგინა, თუ ქართულ ენაზე შესაძლებელი იქნებოდა ლექციების კითხვა.

საჯაროდ ქართულ ლაპარაკს ათასში ერთი თუ გაბედავდა. მრავალი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ქართულ ენაზე სამეცნიერო შრომის დაწერა, ლექციების გადმოცემა და სიტყვის წარმოთქმაც შეუძლებელიაო. ჩვეულებად იყო ბოდიშის მოხდა: — ქართული არ მეხერხება, ნება მიბოძეთ რუსულად ვილაპარაკოო.

დღეს ეს ზღაპრად გვეჩვენება. ასე კი იყო; დღეს ზღაპრად გვეჩვენება, როცა ჩვენ გვაქვს მშვენიერი უნივერსიტეტი, სამაგალითო მეცნიერ-მუშაკებით სავსე; გუშინ კი გვეცინებოდა, როცა ივანე ჯავახიშვილი სიტყვას ჩამოგვიგდებდა ქართულ უნივერსიტეტზე; მისგან რომ უნივერსიტეტის გეგმა მუშავდებოდა, ფანტაზიად მიგვაჩნდა და თვით ჯავახიშვილს ფანტაზიორს ვეძახოდით. თავისი თავის არა გვჯეროდა, თავისი რწმენა გვეკარგებოდა. ნიკო ცხვედაძეს რომ ახლანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა დაიწყო, მრავალი მკილავი გამოუჩნდა: — გიჟიაო, ამბობდნენ ნიკოლოზ ზებედეს-ძეზე, ხიფათს გადაგვკიდებს, ფულს ტყუილად მიახარჯავს და ვიღაცას ტყუილუბრალოდ ჩაუვარდება ხელში ამოდენა შენობაო. „ფანტაზიორი“, საქმის ფანატიკოსი კი გაჯიუტებით გაიძახოდა: მოვათავებთ, მოვათავებთ და უნივერსიტეტსაც მოვათავებთ შიგ! გამოგვადგებაო, ჩვენ გამოგვადგებაო! და აკი გამართლდა ფანტაზია... რწმენა ჰქონდა მას ქართველი ხალხის ცხოველმყოფელობისა; ამან შეაძლებინა დიდებული საქმე გაეკეთებინა. და მისი ოცნებაც განხორციელდა იმის შემდეგ, როცა რევოლუციამ გაიმარჯვა და მშრომელი ხალხი სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა.

მახსოვს მეორე ფანატიკოსმა იაკობ გოგებაშვილმა ჟურნალ „ივერიაში“ დაბეჭდა წერილი სათაურით — „რანი ვიყავით გუშინ“. წერილში აღწერილი იყო საქართველოს კულტურული სახე XVIII საუკუნეში. „ფანტაზიას ეძლევაო, ნამეტანს აჭარბებსო, — ისმოდა მკითხველთა შორის. — მაგგვარი რამ რომ გვქონებოდა, წარჩინებული ხალხი ვიქნებოდითო; ვინ გვაღირსა ჩვენ მაგგვარი კულტურაო...“ არ გვწამდა ჩვენი თავის, არ გვჯეროდა ჩვენი შემძლებლობის. იაკობს კი ეს რწმენა ღრმად ჰქონდა გამჯდარი და ამიტომ შესძლო იმ დიადი მოღვაწეობის გაწევა, მან რომ გასწია იანოვსკის, ზავადსკის, ლევიცკის და ამათ გვარის ხანაში.

ერთი ამ ფანატიკოსთაგანი, რასაკვირველია უფრო მცირე მას-

ჯტაბით ამათთან შედარებით, გვყავდა ქუთაისში სახალხო უნივერ-
სიტეტის ინიციატორი, ქუთაისში ქართული გიმნაზიის მასწავლე-
ბელი ალექსანდრე გარსევანიშვილი. ქართული გიმნაზია თავის
გამგიდან—დაუვიწყარ იოსებ ოცხელიდან დაწყებული უკანასკნელ
მასწავლებლამდი — შეგროვება იყო ერთგვარი ფანატიკოსებისა,
ერთგვარი იდეით გატაცებულებით, რომელნიც განსხვავებული
ვატაცებით მუშაობდნენ მომავალი თაობის აღსაზრდელად. ერთი
ამათგანი იყო გარსევანიშვილიც. მან თავგადადებით განიზრახა ქუ-
თაისში სახალხო უნივერსიტეტის დაარსება. ვინც გაითვალისწინებს
იმ დროს, გაკვირვებას მიეცემა უნებლიეთ, თუ როგორ, რა შეუ-
დრეკელი დაჟინებით უნდა ყოფილიყო გამსჭვალული ამის შემსრუ-
ლებელი ადამიანი. მე დღესაც მიკვირს, როგორ გამოსტყუა გარსე-
ვანიშვილმა მთავრობას სახალხო უნივერსიტეტის გახსნის ნებართვა;
როგორ მოიპოვა საშუალება ფართო მასასთან მისასვლელად! მთავ-
რობა ალბათ ფიქრობდა — არაფერი გამოვაო და ნებასაც ამიტომ
რთავდა. თუ ასე იყო, შეცდა ძალზე, მეტად. თავდაპირველად ჩვენ
ძლიერ გვეეჭვებოდა ამ საქმის მოგვარება, მატერიალური საშუა-
ლება კიდევ მოიძებნებოდა უნივერსიტეტის მოწყობისათვის —
ღიმილით, უნდო ღიმილით წვლილის გამოღებაზე უარს არავინ ამ-
ბობდა, — მაგრამ საჭირო იყო ლექტორთა, ქართულ ენაზე ლექ-
ციათა ჯგუფის შედგენა. როგორც მოგახსენებდით, საზოგადოდ
ეძნელებოდათ საჯაროდ ქართული ენით გამოსვლა, — სხვადასხვა
საგნების კითხვა ხომ უარესი საძნელო გასაბედავი უნდა ყოფილი-
ყო. ასედაც იყო, მაგრამ გარსევანიშვილმა არ მოუსვენა ლექტო-
რებად განზრახულ მისაწვევ პირებს, აღანთო ისინი და... შესაძლე-
ბელი გახდა ქუთაისში გახსნილიყო სახალხო უნივერსიტეტი.

დიდებული დღე იყო ის კვირა, როცა ეს უნივერსიტეტი გაიხსნა
ქალაქის თეატრში. ხალხი მოაწყდა უამრავი. ლექციებზე დასწრება
ბილეთებით — შაური, ორი შაური და აბაზი. დარბაზმა ვერ დაი-
ტია მოზღვავებული ხალხი. უმეტესობა. ნოქრობა, დაბალი მოსამ-
სახურენი და მოხელეები იყვნენ. უნივერსიტეტის გამგეობის თავმ-
ჯდომარემ, ცნობილმა ვექილმა მოსე ქიქოძემ და მისმა მოადგილემ,
საქმის ინიციატორმა ალექსანდრე გარსევანიშვილმა მხურვალედ
მიულოცეს დამსწრე საზოგადოებას ასეთი დაწესებულების შექმნა.
როგორიც სახალხო უნივერსიტეტია.

უნივერსიტეტის საქმე ძლიერ კარგად მოეწყო. შედგა ღონიერი
ჯგუფი ლექტორთა. მშვენიერი ლექტორები გამოდგნენ, მშვენიერი
ქართულით მოლაპარაკენი, ქართულის კარგად მცოდნენი. ლექციე-
ბი იმართებოდა რეგულარულად ყოველ კვირას შუადღისას. ლექცი-

ების კითხვა თავდებოდა მუსიკალური განყოფილებით, რასაც მეტად კარგად აწყობდა გარსევანიშვილი, თვითონ მუსიკის მცოდნე და მუსიკოსი — ვიოლინოზე უკრავდა.

ამ სახალხო უნივერსიტეტმა დიდი სიმპათია მოიპოვა საზოგადოებაში, და რა თქმა უნდა, დიდი სასარგებლო რამ იყო, როგორც მასებში განვითარების შემტანი. აქ იკითხებოდა ლექციები პოლიტიკური ეკონომიიდან, კულტურის განვითარების ისტორიიდან, ჰიგიენაზე, საზოგადო ლიტერატურიდან და ამგვარები. მან კარგა ხანს *იარსება. მისი მუშაობა შეწყდა ომის დაწყებისას.

განსხვავებული ინიციატივის მქონე იყო აგრეთვე ჩვენი ძვირფასი ნიკო ნიკოლაძის და, ეკატერინე ნიკოლაძე. საყურადღებოა და არ დასავიწყარი ის შრომა, რომელიც მას გაუწევია ქუთაისში კულტურული მუშაობის გასაშლელად. მე პირდაპირ მავიწყდებოდა ჩემი ავადმყოფობაც, მოღალვაც, როცა პატივცემული კატო შეგვატყობინებდა, რომ განზრახულია ამა და ამ დროისათვის ბავშვთა დილაო და გვიწვევდა სამუშაოდ. რა სასიამოვნო სანახავს წარმოადგენდა სიცოცხლით სავსე ბავშვების თავშეყრილობა, მათი ყიჟინი, მხიარულება, ხალისიანობა! რა აღტაცებით ემზადებოდნენ მომავალი დღისათვის! ლექსების კითხვა, მუსიკა, წარმოდგენა საბავშვო პიესებისა — ეს ისეთნაირად იტაცებდა ბავშვებს, რომ დაღალვას არ გრძნობდი მათთან მუშაობაში, მათი გაწრთვნის დროს. უნდა ენახა ადამიანს რა ენერგიით მუშაობდა პატივცემული კატო ამ ბავშვების გასაწაფავად, რა სიყვარულით ეპყრობოდა ამ გიჟ ნორჩობას. მისი წახალისებული ქუთათური მანდილოსნები მხურვალე შემწეობას აძლევდნენ მას ამ მუშაობაში. მასთან იყვნენ ყოველთვის მარიამ ვარდოსანიძე, მელანია გველესიანისა, ელენე ხელთუფლიშვილი, მარიამ ლორთქიფანიძისა და განსაკუთრებით ექიმ ჩარკვიანის მეუღლე, იადვიგა კონსტანტინეს ასული ჩარკვიანისა. ეს უკანასკნელი ხელმძღვანელობდა მუსიკალურ განყოფილებას და მერე რარიგად! ბავშვებიც და ჩვენც, მომწყობნი, აღტაცებაში მოვდიოდით მისი მაყურებელნი. იგი იყო ტომით პოლონელი, მშვენიერი ქართულით მოლაპარაკე, მუსიკის დიდი მცოდნე და გამოცდილი მასწავლებელი. მისი აქ მუშაობა მძლავრად იტაცებდა ბავშვებს და ჰქონდა დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ასეთი დილა ყოველთვის ზედმიწევნით კარგად ტარდებოდა, მაგრამ ამათში განსხვავებული იყო დილა საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ ოცდაათი წლის თავის არსებობის აღსანიშნავად. ეს იყო საუცხოო გრძნობით და ღრმა სიყვარულით მიგებება მოზარდი თაობისაგან მასზე მზრუნავ, მათ საკეთილო მომავლისათვის მომუშავე გამომცემლობისა და მი-

სი თანამშრომლების მიმართ. ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისი ამ დღეს ღირსეულად იქნა სიყვარულით დაჯილდოებული მისი ჟურნალის ნორჩი მკითხველებისაგან.

ქართველობამ, დიდმა და პატარამ, იცის თავისი მოამაგის დაფასება, ყველასი თუ არა, ზოგიერთის მაინც. ასეთი რამ იყო ის დღეები, როცა ქართველობა დღესასწაულობდა თავისი საყვარელი აკაკის მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის შესრულებას. თბილისი საგანგებოდ მიეგება ამ დღეს დიდებულ მგოსანს; ახლა ქუთაისი შეუდგა მზადებას პოეტის დღესასწაულისათვის; ქუთაისი ეპირებოდა განსხვავებულად მიგებებოდა თავის მოჭირნახულეს და ამიტომაც ადრიანად შეუდგა მზადებას. დღესასწაულის მომწყობი კომიტეტის თავმჯდომარედ ამორჩეული იქნა მოსე ქიქოძე; მის ამხანაგად, ჩემდა საბედნიეროდ, მე. კომიტეტში მონაწილეობას ღებულობდნენ შრავალი მანდილოსნები და მამაკაცები. ყველა გულით მონდომებული იყო, რომ დღესასწაული ბრწყინვალედ ჩატარებულიყო და ყოფილიყო ნამდვილი და სათანადო იმ სიყვარულისა, რომელსაც გულში ატარებდა დიდებული მგოსნისადმი ყოველი ქართველი; და ამის გამო დღესასწაულმაც ბრწყინვალედ ჩაიარა.

პირველად აკაკი ათას რვაას ოთხმოცში ვნახე. ამ წელიწადს კიევში გავათავე გიმნაზია, არდადაგებზე სახლში ვიყავი და აგვისტოში ისევ ვბრუნდებოდი კიევში, რომ იქიდან წავსულიყავი მოსკოვში სამხედრო სასწავლებელში. რიონის სადგურზე ჩემი თავი ჩაბარეს ვინმე ანდრია კაპანაძეს, თბილისში მიმავალს. ეს ანდრია კაპანაძე იყო აკაკის დიდი პატივისმცემელი და მეგობარი, რომელიც აკაკისთან ერთად იმ დროს ეფათურებოდა აკაკის მიერ ჭიათურაში აღმოჩენილ შავიქვის მოწესრიგების საქმეს. კაპანაძე, საოცარი ტკბილი ადამიანი, გზაში უმეტეს წილად, აკაკის შესახებ ლაპარაკობდა; ეტყობოდა ნათლად, რომ მას აკაკი უსაზღვროდ უყვარდა. ამიტომაც იყო, რომ ხელს უმართავდა თავისი შეძლებით, თავისი ქონებით. ქუთაისში აკაკი უნდა ჩამოსულიყო საჩხერიდან. მაგრამ არ ჩამოსულა და კაპანაძე თბილისში გაბრუნდა. მე თავის სახლში მიმიყვანა, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ (აქვე იყო მისი სახელოსნო. თერძი იყო). მეორე დღეს საღამოს აკაკიც ჩამოვიდა. მე გულისფანცქალით შევყურებდი მაღალ, რაღაც განსხვავებული ტკბილი ხმით მოლაპარაკე ადამიანს. თვითონ კაპანაძე, მისი მეუღლე, მოსამსახურეც, ყველანი განსხვავებული პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. აკაკი მეტად ხალისიანად იყო და ხალისიანად ელაპარაკებოდა ყველას. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა მისი დანახვით; მე უკვე კარგად ვიცნობდი მის ლექსებს. სხვებთან ერთად მეც გამომელა-

პარაკა, მკითხა თუ სად ვსწავლობ, საით მივდივარ... მე ვუთხარი, რომ კიევში ვსწავლობდი და ახლა მოსკოვში მივდივარ სამხედრო სასწავლებელში.

— გარუსების ღასათავებლად?! — მხიარული სიცილით მითხრა აკაკიმ.

— არა, მე არ გავრუსდები! — მივუგე.

— ვნახოთ... ვნახოთ! — ისევ სიცილით მითხრა მან.

შემდეგ აკაკის ხშირად ვხვდებოდი ბათუმში.

აკაკის დღესასწაულის მოწყობისათვის თავს როგორ დავიზოგავდი. მუშაობა მართლაც სამძიმო იყო, თავის გასართმევი. ყოველი დაწესებულება, ყოველი ჯგუფი მოწადინებული იყო შესაფერისად გამოსულიყო დიდებული ადამიანის წინაშე და შესაფერისად, შნოიანად გამოესახა თავისი ის პატივისცემა და სიყვარული საყვარელი მგოსნისადმი, რომელიც გულში უღვივოდათ. თითქმის ყოველ საღამოს იმართებოდა ამა თუ იმ ჯგუფის კრება გამოსარკვევად, თუ რა სახით უნდა მიეღო ამა თუ იმ ჯგუფს მონაწილეობა. ადმინისტრაციამ ხელი არ შეგვიშალა ამ კრებების ნებადართვაში; შევატყობინებდით მხოლოდ, რომ კრება იქნება ამა და ამ დღეს, ამა და ამ ადგილას. კრებები მუდამ საინტერესო იყო: აქ გაისმოდა ერთგვარი სიტყვა, იხატებოდა ის გულწრფელი, ღრმა სიყვარული, რომელსაც ხალხი ატარებდა საყვარელი მგოსნის მიმართ თავის გულში. მახსოვს ნოქართა ერთი ჯგუფის კრებაზე რამდენიმე ნოქარი ცხარე საყვედურით გამოვიდა, რომ განზრახვა არისო საზეიმო ეტლში აკაკის ქალები ჩაუჯინონო; ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ამგვარ სანახაობაზე და მგოსნის დამამცირებლად მიგვაჩნია ამგვარი რამ თანხლებაო. — ავუხსენით მათ, რომ ეს ქალები გამოსახავენ მუზებს და საპირო შეიქნა იმის განმარტებაც, თუ რა არის მუზა. პროტესტანტებმა თქვეს, რომ ჩვენ არ ვიცოდით ამ მუზებზე არაფერიო, გვწადდა ჩვენი წარმოდგენა მგოსნის ზნეობაზე არ შელახულიყოო!

სადღესასწაულოდ დანიშნული დღე ახლოვდებოდა. რამდენიმე დღით ადრე აკაკიც ჩამოვიდა ქუთაისში.

საოცარ სურათს წარმოადგენდა ქალაქის გამგეობის დიდი დარბაზი დღესასწაულის წინა საღამოს. იქ იყო დანიშნული ადგილი, სადაც უნდა გამოცხადებულიყვნენ მომლოცველნი. ვეება დარბაზი აივსო დელეგატებით; ვისგან არ იყო, საიდან არ იყო წარმომადგენელი! ძლივს, როგორც იქნა, წესრიგი შევიტანეთ დელეგატთა სიის შედგენაში.

მეორე დღეს ის ქუჩები, რომლით უნდა გაეტარებინათ მგოსანი თეატრამდი, დილიდანვე გაჭედილი იყო ხალხით. თითქმის შუადღე იყო, როცა საგანგებოდ მორთული ეტლით აკაკი წამოიყვანეს სობოროსაკენ. ლანდო, მგოსნის წამოსაყვანად, თავაზიანად გუბერნატორმა გამოგვიგზავნა; მეეტლედ იყო ქუთაისში ცნობილი მეეტლე, ამბანად მოხუცი, მელია, ის მელია, რომელსაც მამია გურიელმა უთხრა ერთხელ: „შენ რომ ელი მელიაო, ძალზე შემომელიაო“. მოხუცმა მეეტლემ მტკიცედ გამოგვიცხადა, რომ აკაკი დღეს მე უნდა ეტარო და რომ ამას ვერავის დავუთმობო. ერთიანად თეთრში გამოწყობილი, ეტლში თეთრი ცხენებით თეთრი მოწყობილობით, თავისი გრძელი, თეთრი წვერით — მელია და მისი ეტლი მშვენიერი სანახავი იყო. ეტლის საფეხურებზე იდგნენ ქალაქისთავი დავით ლორთქიფანიძე და საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე მოსე ქიქოძე. ქუჩების ნაპირები ხალხით იყო შემოსილი; ფანჯრები, აივნები, სახურავები სავსე იყო ხალხით. ხმაური, მისალმება, ეაშას ძახილი, ყვავილების სროლა შეუწყვეტელი. აქ იყო მოტანილი გულწრფელი, ღრმა სიყვარული მოხუცი მგოსნისადმი. ამგვარივე გულწრფელი, უაღრესი სიყვარულობით იყო გაჟღენთილი ყოველი სიტყვა, რომლით დელეგატები მიმართავდნენ საყვარელ მგოსანს. მრავალი მშვენივრად ნათქვამი სიტყვა იყო, მაგრამ ამათში რაღაც ჯანსხვავებული რამ იყო, ბაღდათელმა გლეხმა რომ შიმართა. მაღალი, განიერ მხარბეჭიანი, შუახნის, სასიამოვნო კილოზე მოლაპარაკემ აკაკის უთხრა:

— წიგნის უცოდინარი კაცი გახლავარ, ბატონო, მიწის მუშა. ბავშვები კი დამიდიან სასწავლებელში. სამუშევრიდან დაღლილი რომ ვბრუნდები სახლში, ხანდახან ბავშვები იქვე წიგნს კითხულობენ ხოლმე ხმამაღლა; ხშირად კაი რაღაც მომესმება, გულს იამება და როცა მიკითხავს ბავშვებისათვის თუ რა წაიკითხეს ისე კარგი რომ იყო, პასუხად მიმიღია, — აკაკის ლექსიაო. ტკბილია ის თქვენი ნათქვამი, გულს ხვდება ძალიან; გლოცავთ საწყალი ხალხი თქვენ კაი თქმისათვის და გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, არც შემდეგ შეგძულებოდეს ჩვენისთანა საწყალი ხალხი!

ეს ისეთი მშვენებით თქვა ამ კაცმა, რომ აკაკი უცნაურად ააღელვა, თვალები ცრემლებით აუვსო; აღელვებულმა მხურვალედ გადაეხვია და გადაკოცნა იგი.

მეორე დღეს მე და ივანე პურადაშვილმა ვინახულეთ აკაკი. იგი ჭეტად კარგ გუნებაზე იყო და კიდევ კარგ გუნებაზე დადგა, როცა ვადავეცით თეატრიდან შემოსული ათასი მანეთი.

— გარწმუნებთ, აქედან ხვალ ჩემს ჯიბეში ბევრი აღარაფერი დარჩებაl — თქვა მან. — ვალები უნდა გადავიხადო.

ქუთაისმა სათანადოდ სცა პატივი თავის ძვირფას მგოსანს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ქუთაისის საზოგადოებას შეძლება მიეცა ესიამოვნებინა მეორე დიდებული მგოსნის პირადი გაცნობით და მისგან წარმოთქმული მისალმებით დამტკბარიყო. ეს იყო ვაჟა-ფშაველას პირველი სტუმრობა დასავლეთ საქართველოში.

დასავლეთ საქართველოში ერთ ხანად ძლიერ ნაკლებად იცნობდნენ ვაჟას. ერთხელ ბათუმში ექიმ გრიგოლ ელიავას ოჯახში საგანგებოდ საღამო გავმართეთ, ვაჟა რომ გაგვეცნო საზოგადოებისათვის. წაკითხული იყო ვაჟას „გოგოთურ და აფშინა". პოემამ ვერ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება. უმეტესობას ეუცხოვებოდა მისი ენა. რამდენიმე წლის შემდეგ ქუთაისის თეატრში აუარებელი ხალხის წინაშე წაკითხულ იქნა ლექცია ვაჟას შემოქმედების შესახებ და განსაკუთრებით „გველის მჭამელის" შესახებ. ლექციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. ბევრს უკვირდა და კითხულობდნენ — ხომ არ აზვიადებს ლექტორი ასეთ შემოქმედად რომ სახავს ვაჟასო? ამის შემდეგ ბ. კრი დაინტერესდა და შეუდგა ვაჟას პოეზიის გაცნობას.

დიდებული მგოსანი კი დაფლეთილი ჩოხით მიწას ხნავდა მთაში და თითო კაპიკს ღებულობდა თითო სტრიქონში — ამასაც არა ყოველთვის.

ქუთაისში ყოველ წლობით იმართებოდა საღამო ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს. ერთხელ საღამოს გამმართველმა კომიტეტმა გადაწყვიტა, საღამოს მონაწილეთა შორის მოეწვია ვაჟაც და ამით საზოგადოებისათვის გაეცნო იგი. საკითხი დაისვა — რარიგად მოქცეულიყო კომიტეტი, რადგანაც ვაჟას რიგიანი ჩოხა-ახალუხი არ აქვსო და ჩამოფლეთილი როგორ დავანახოთ საზოგადოებასო. გადაწყდა ასი მანეთი გაგზავნოდა ვაჟას, რომ შეეკერა ახალი ჩოხა-ახალუხი და ისე ჩამოსულიყო.

დანიშნულ დღეს ვაჟა ეწვია ქუთაისს და გამოწყობილი მივიდა პეტრე ყიფიანთან.

— ძალიან გამოჩისტულხარ ვაჟას ჭირიმე! ახლა კი ვაჩვენებთ შენს თავს ქუთაისს! — მისებური ხარხარით შეხვდა პეტრე ყიფიანი ვაჟას. ვაჟა კი ოდნავ იღიმებოდა.

საღამოზე სული ამოართვეს პოეტს იმდენი ლექსი ათქმევინეს. ვაჟაც თავაზიანად ლექსს ლექსზე ამბობდა და აღტაცებაში შოჰყავდა ხალხით გატენილი თეატრის დარბაზი. საღამოს შემდეგ გამმარ-

თა ვაჟას საპატივსაცემო ბანკეტი, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. ყველა ქება-დიდებას ასხამდა ვაჟას, მაგრამ ვერასგზით ვერ ააღელვეს იგი. მადლობას უძღვნიდა მის მადიდებელთ და იყო ისე თავდაჭერილი, ყუჩი, განდიდებას აშორებული ვაჟა, რაც მას ამშვენებდა და საყვარელ ადამიანად ხდიდა.

მეორე დღეს მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ ვაჟას ქუთაისში ყოფნის სამახსოვროდ გადაიღო სურათი. საღამოს მივაცილეთ სადგურამდი და გავისტუმრეთ თბილისში. სადგურისაკენ მიმავალმა, სხვათა შორის, მითხრა:

— ახირებული ადამიანია ეს ჩვენი აკაკი! დამიწერა „ენას გიწუნებ, ფშაველო“. კაცო, მე ამ ჩემი ენით მომწონს თავი, თორენ სხვა რა არის ჩემს ლექსებში და პოემებში! თუ ენაც დასაწუნია. მაშ აღარაფერი ყოფილა და ბარემც ასე თქვი პირდაპირ და ის იქნება! უცნაური კბენა იცის ხოლმე! — ამას საოცარი გულისტკივილით ამბობდა დიდებული ვაჟა.

საოცარი იყო ეს ადამიანი: იმდენი ქება-დიდება, მოწონება ესმოდა, მაგრამ იგი ისევ უბრალო, თავდაბალი ვაჟა იყო; საყვარელი ვაჟა, გაჭირვებაში მყოფი, ვაჟკაცურად მებრძოლი ამ გაჭირვებასთან, რომელშიაც კიდევაც დალია თავისი კურთხეული სული.

* *

ამ ხანებში ქუთაისის გუბერნატორად იყო გენერალი სლოვოჩინსკი, ტომით პოლონელი, რუსეთის თვითმპყრობელობის თავდადებული მოსამსახურე, პიროვნება, რომელსაც მხოლოდ თავისი თავი ახსოვდა, უაღრესად კარიერისტი. ვერაფერი საქები სახელი ჰქონდა დამსახურებული ერევნის გუბერნიაში ყოფნის დროს, სადაც სდევნიდა სომხებს; ვერაფერი სახელი ჰქონდა დამსახურებული ბათუმის ოლქის მმართველად ყოფნის დროს. როცა სასტიკად ეპყრობოდა მუსულმან ქართველებს; ამით იშოვა მან გუბერნატორობა და გენერლობაც. ქუთაისის გუბერნატორობის დროს იგი უფრო ეშმაკურად იქცეოდა. აქ უფრო თავაზიანი იყო ვითომ, რასაკვირველია, გარეგნულად. მეცადინი იყო კარგ განწყობილებაში ყოფილიყო აქაურ ინტელიგენციასთან, მოწადინებული იყო, ვითომ მასთან ერთად ემუშავნა გუბერნიის საკეთილდღეოდ. რასაკვირველია, ეს თაღლითობა იყო -- ყველამ ეს კარგად იცოდა. ერთი ამ თაღლითობათა რიგიდან შესანიშნავი იყო მისი განზრახვა: ერობის შემოსაღებად საკითხის აღძვრა. დიდი რიხით შეუდგა გუბერნიის სამმართველო ყრილობის მოწყობას, რათა ერობის შემოღების საკითხი სავსებით ამოწურული ყოფილიყო და მჭიდრო ნიადაგზე და-

ყენებული, რომ უმაღლეს მთავრობას უეჭველად მიეღო და დაემტკიცებინა გუბერნატორის შუამდგომლობა-წარდგენა. გუბერნიის სამმართველოს დარბაზი ძლივს იტევდა სათათბიროდ მოწვეულთ; ბრავლად იყვნენ მოწვეული მაზრებიდან ადგილობრივი მცხოვრებნი. არ ვიცი რა მოსაზრებებით, სხვებთა შორის მეც ვიყავი მიწვეული; სლოვოჩინსკის თვითონ ეთქვა, რომ მეც ვყოფილიყავი მიწვეული; იგი მიცნობდა კარგად ბათუმიდან. გაკვირვებული ვიყავი ამ მიწვევით, მაგრამ ძლიერ გამეხარდა, რადგან შემთხვევა მეძლეოდა ახლო დამენახა ყრილობა და მომესმინა იქ ნალაპარაკევი.

როგორც ვთქვი, გუბერნიის დარბაზი ძლივს იტევდა ყველა მოწვეულთ, რომელნიც უსხდნენ გრძელ მაგიდას, რომელზედაც ეწყო ქაღალდი და ფანქრები. კრება გახსნა თვითონ სლოვოჩინსკიმ მოკლე სიტყვით, რომელშიც იგი იმედს გამოთქვამდა, რომ ეს მუშაობა უნაყოფოდ არ ჩაივლიდა, რომ იგი ამისათვის მიიღებდა ყოველნაირ საშუალებას უმაღლეს მთავრობასთან. კრებები იმართებოდა ყოველ საღამოს ერთი კვირის განმავლობაში. თავმჯდომარეობდა ყოველთვის თვითონ სლოვოჩინსკი. წარმოთქმული იყო მრავალი სიტყვა ერობის შემოღები' საჭიროების შესახებ; დასურათებული იყო გუბერნიის მდგომარეობა, სოფლის უმწეო მდგომარეობა და ამგვარები. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ზუგდიდის მაზრის უფროსის, კაპიტან ლავროვის მოხსენებამ. ეს ლავროვი წინათ, რუსეთში ყოფნის დროს, მუშაობდა თურმე ერობაში და საერობო საქმეებს კარგად გაცნობილი იყო. ჩვენები გულით არ ეკიდებოდნენ მაინცდამაინც ამ ყრილობას, რადგან თითქმის არავის სწამდა, რომ რაიმე ხეირი გამოყოლოდა, რაიმე იოტის ოდენა ცვლილება შეეტანა ცხოვრებაში. ყველას ეს მოსატყუებელ რამედ მიაჩნდა და ბოლოს ეს მართალიც გამოდგა. გათავდა ყრილობა და მოკლე ხნის შემდეგ სრულ დავიწყებას მიეცა ქუთაისის გუბერნატორის განზრახვა ერობის შემოღების შესახებ.

ეს იყო მხოლოდ მორიგი მოტყუება დასანახავად, რომ ჩვენზე ფიქრობენ, ჩვენთვის ზრუნავენ და სწადიათ საზოგადოების სურვილის გაგონება და დაკმაყოფილება.

თუ ერობის შემოღებამ ჩაილულის წყალი დალია, სამაგიეროდ სლოვოჩინსკიმ დაკმაყოფილა საზოგადოება იმითი, რომ არ გადაეღობა, ხელი არ შეუშალა ქუთაისში ქართული გაზეთის გამოსვლას.

რაც ერთ დროს ცნობილი, ქუთაისში გამომავალი „შრომა“ დაიბურა, მას შემდეგ ქუთაისს არ ღირსებია თავისი გაზეთი. „შრომა“ ძალათი იყო ხრიკიანი გზით მოსპობილი: გააუქმეს მისი ცენზურა ქუთაისში; გაზეთი უნდა გატარებულიყო უსათუოდ თბილისის ცენ-

ზურაში. თბილისელი ცენზურისაგან ამოშლილი ადგილების შევსება ყოვლად მოუხერხებელი ხდებოდა; გაზეთი წესიერად ველარ გამოდიოდა; ‘ხან დაგვიანებით, ხან ნაკუწ-ნაკუწად; გაზეთის გამოცემა ყოვლად აუტანელ მძიმე პირობებში მოექცა, რის გამო იძულებული იყვნენ სრულიად შეეჩერებინათ იგი. „მთავრობას იგი არ აუკრძალავს, არ მოუსპია; იგი თავისი ნებით შეჩერდა“ — მთავრობას უმანკოდ გამოჰყავდა თავი. ამის შემდეგ ქუთაისს ქართული გაზეთი არ ღირსებია, როგორც ვთქვი. ახლა კი მიეცა ხსნა. ქუთაისის ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა მოიპოვა საღსარი და შეუდგა გაზეთის გამოცემას. გაზეთს ერქვა „კოლხიდა“. გაზეთმა მრავალი თანამშრომელი შეიძინა, ბევრი გამოცდილი ლიტერატორი და ამის გამო მრავალი მკითხველიც. გაზეთს საკმაო გავრცელება ჰქონდა და კარგა ხანსაც იარსება.

ქალაქის გამგეობაში სამი წლის სამსახურის შემდეგ გადავედი შავიქვის მრეწველთა საბჭოში. აქაური მუშაობა სრულიად სხვა ხასიათისა იყო. ვიყავი საქმის მწარმოებლად — ჩაფლული ძველ და ახალ ქაღალდებში. მაგრამ ამას არად ვაგდებდი. საბჭოში ყოფნა უკვე იმითი იყო კარგი, რომ საბჭოს შემადგენლობა იყო პირველხარისხოვანი ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისაგან. თავმჯდომარედ იყო გიორგი ზდანოვიჩი, მისი მოადგილე — კიტა აბაშიძე. ზდანოვიჩის ავტორიტეტი აქ უსაზღვრო იყო. ყველანი ღრმა პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულნი მისდამი. მან ეს კარგად იცოდა, მაგრამ თავდაჭერილი იყო და ყველას სადად და სრული კეთილი განწყობილებით ეპყრობოდა. მას უკიდურესად უყვარდა ის საქმე, რომლის სათავეში იდგა და გატაცებით მუშაობდა. ოცნებობდა ჭიათურა გადაექცია სამაგალითო საჩვენებელ პუნქტად, როგორც სამრეწველო ადგილი და როგორც მომავალი ქალაქი. მისი მუყაითობით იმ მოგების თანხიდან, რომელიც საბჭოს ჰქონდა, მოწყობილი იყო სასწავლებლები, მშვენიერი საავადმყოფო, საფერშლო პუნქტები; ოცდახუთი ათასი მანეთი ყოველწლიურად გადადებული იყო მოსწავლეთა სტიპენდიებისათვის; დიდძალი ფული იხარჯებოდა გზების კეთებაზე, წყალსადენისათვის და ელექტრონით დაბის განათებისათვის. აქ შემოღებული იყო მუშათა დამზღვევი სალარო; სალაროს პირობების გასაცნობად დაიბეჭდა ცალკე წიგნაკი მუშებს შორის დასარიგებლად. მე მხვდებოდა ჭიათურაში ხანდახან სიარული საბჭოს მდივნის მაგიერ და მქონია შემთხვევა ახლო მენახა ზდანოვიჩის მუშაობა ჭიათურაში. მშვენიერი სანახავი იყო იგი მუშების წარმომადგენელთა შორის, მისი მუსაიფი მათთან, მუსაიფი გულწრფელი მათთვის მზრუნველი ადამიანისა. თავდაჭერილი, მშვიდობი-

ანი. რისხვა იყო, როცა ააღელვებდნენ; ამ დროს იგი ნამდვილი მჭევრმეტყველი იყო, ენამახვილი, შეუბრალებელი, შემმუსვრელი, ამაღელვებელი. საერთოდ კი დინჯი, აუჩქარებელი, გამჭრიახი გონების პატრონი, დიდად განვითარებული. ფიცხი იყო, მაგრამ მის კეთილ გულს რომ იცნობდნენ საბჭოს თანამშრომელნი, ამ სიფიცხის დროს ჩადენილ გადამეტებას არად თვლიდნენ, მით უფრო, რომ დაწყნარებული იგი თვითონ ესწრაფოდა ჩადენილი შეცდომის გამოსწორებას. იგი სიყვარულით იყო შემოსილი იმ წრეში, რომელშიც მოხვდებოდა. მიშო ყიფიანმა მითხრა, რომ ციმბირში ყოფნის დროს ჩვენ და პოლონელ ციმბირელებს ჩხუბი მოგვდიოდა იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის ზდანოვიჩიო: პოლონელები თავგამოდებით აცხადებდნენ, რომ ზდანოვიჩი მათია, პოლონელი; ჩვენ ქართველები, გაცხარებით ვედავებოდით, რომ ზდანოვიჩი ჩვენია, ქართველია, ქართველი დედის შვილიო. ცოცხალი ბუნების პატრონი, იგი სტუდენტობის დროს მჭიდროდ იყო ჩაბმული მოძრაობაში, თავგამეტებული მუშაკი იყო მთავრობის მოწინააღმდეგე წრეებში. როცა იგი დაიჭირეს ამ მუშაობისათვის, დაამწყვდიეს პეტროპავლოვკაში, დედამისი მივიდა პეტერბურგში და მოიწადინა მისი განთავისუფლება. ზდანოვიჩმა დედამისს, რომელიც ღრმად უყვარდა, გამოუცხადა, რომ სამიდღემჩიოდ დამკარგავო თუ შენ ვისმეს სთხოვ ჩემს განთავისუფლებას და ჩამომაშორებ ჩემს ამხანაგებსო. გულდამწუხრებული დედა იძულებული იყო დამორჩილებოდა მტკიცე განცხადებას და გულდამწვარი გამობრუნებულიყო სახლში. რუსეთის მოწინავე წრეში დიდი სახელი და პატივისცემა ჰქონდა მას შეძენილი. ცხრაას სამში, პეტერბურგში, ბასეინის ქუჩაზე საიდუმლო კრება იყო პოლენოვის ბინაზე, და როგორც ზემოთ აღვნიშნე, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მოხსენებას აკეთებდა ბათუმის მუშების გასამართლების შესახებ, რომელთაც ცხრაას ორში მოუხდათ ჯართან სისხლიანი შეტაკება; მოხსენებას დაესწრნენ მოწინავე ლიტერატორები, ვექილობა, ჟურნალისტები, საზოგადო მოღვაწეები. იმ დროს ზდანოვიჩი პეტერბურგში იყო ახალი ჩამოსული. კრებაზე იგი მოგვიანებით მოვიდა. თვალწინ მიდგას ის რომ შემოიყვანეს დარბაზში და მოათავსეს იქ, სადაც უწარჩინებულესნი ისხდნენ.

მის კაბინეტში ვის არ ნახავდით მოსალაპარაკებლად მოსულს! სხვათა შორის, მახსოვს, ქუთაისში მას ესტუმრა სათათბიროს წევრი ცნობილი დეპუტატი შინგარიოვი, რომელიც კრავივით დაყვებოდა ზდანოვიჩს და ეცნობოდა აქაურობას. მახსოვს მის კაბინეტში მოუსვენრად რომ მიდი-მოდიოდა კერენსკი. სხვათა შორის, კერენ-

ᲙᲘᲡᲗᲐᲜ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ; ᲙᲔᲠᲔᲜᲡᲙᲘᲛ ᲘᲡᲔᲗᲜᲐᲘᲠᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲐᲨᲙᲐᲠᲐᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲓᲛᲘ, ᲠᲝᲛ ᲖᲓᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲛᲝᲣᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲙᲐᲪᲠᲐᲓ ᲣᲗᲮᲠᲐ ᲙᲔᲠᲔᲜᲡᲙᲘᲡ:

— ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠ ᲤᲔᲝᲓᲝᲠᲝᲕᲘᲩ, ᲗᲣ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲮᲐᲠᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲖᲔ, ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲥ ᲤᲔᲮᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲔᲓᲒᲐᲗ!

ᲙᲔᲠᲔᲜᲡᲙᲘᲛ ᲩᲐᲦᲣᲜᲐ ᲗᲐᲕᲘ, ᲐᲐᲞᲐᲠᲞᲐᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲑᲔᲪᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲗᲣᲗᲝᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲓᲘᲨᲘᲡ ᲛᲐᲒᲒᲐᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲓᲐ.

ᲓᲔᲕᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲬᲐᲐᲥᲪᲘᲐ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐᲛ. ᲒᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲒᲐᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲔᲠᲗᲝᲗ ᲢᲕᲘᲜᲘᲡ ᲜᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐ, ᲛᲝᲔᲨᲐᲚᲐ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲡ ᲬᲣᲜᲐᲠᲘ. 1917-ᲨᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲞᲧᲠᲝᲑᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲗᲘᲠᲒᲣᲜᲕᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔ, ᲐᲣᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲐ ᲛᲘᲐᲓᲒᲐ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪᲐᲕᲐᲓ; ᲛᲐᲡ ᲒᲐᲐᲒᲔᲑᲘᲜᲔᲡ ᲠᲐᲪ ᲛᲝᲮᲓᲐ. ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲝᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ ᲐᲦᲔᲚᲓᲐ, ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲔᲕᲡᲝ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘ ᲬᲐᲣᲔᲘᲓᲐ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲮᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲒᲐᲛᲝᲔᲗᲮᲝᲕᲐ ᲬᲣᲗᲘᲡᲝᲤᲔᲚᲡ.

ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘᲕᲔ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ ᲙᲘᲢᲐ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ. ᲫᲕᲘᲠᲐᲓ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲣᲚᲘᲗ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ, ᲜᲐᲮᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲘ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ, ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲖᲔ. ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲘᲧᲝ ᲙᲘᲢᲐ. ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲨᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ. ᲐᲮᲚᲝᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲣᲚᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ. ᲠᲝᲛ ᲒᲐᲒᲔᲒᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲔᲪᲜᲝᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲠᲛᲐ, ᲜᲐᲮᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐ.

ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲘ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲘ, ᲠᲛᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ, ᲘᲒᲘ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲗᲐᲕᲓᲐᲑᲐᲚᲘ.

— ᲙᲘᲢᲐ, ᲠᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲧᲐᲕᲘ, ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲘ! — ᲕᲔᲢᲧᲝᲓᲘᲗ ᲑᲝᲚᲛᲔ. ᲘᲒᲘ, ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲗ ᲡᲐᲮᲔᲖᲔ, ᲒᲕᲘ�პᲐᲡᲣᲮᲔᲑᲓᲐ: — ᲛᲐᲗᲐᲛᲐᲛᲔᲑᲗ, ᲛᲐᲡᲣᲚᲔᲚᲔᲑᲗ! ᲠᲐ ᲡᲐᲥᲔᲑᲐᲠᲘᲐ!.. ᲫᲚᲘᲕᲡ ᲛᲝᲕᲣᲧᲐᲠᲔ ᲗᲐᲕᲘ ᲝᲠᲘᲝᲚᲓᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ!

ᲙᲘᲢᲐ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲗ ᲛᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲠᲐᲕᲚᲐᲓ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲚ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲙᲐᲤᲔ „ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲔᲨᲘ“, ᲠᲝᲪᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲥ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲔᲬᲝᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲓᲘᲠᲘ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲐ, ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ ᲛᲐᲗ ᲛᲘᲔᲠ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ. ᲨᲔᲘᲥᲜᲐ ᲙᲐᲛᲐᲗᲘ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲪᲮᲐᲠᲔ ᲓᲐᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲨᲔᲣᲙᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲓᲐᲛᲡᲬᲠᲔᲗᲐᲒᲐᲜ. ᲐᲛ ᲐᲦᲔᲚᲔᲕᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲘᲧᲝ ᲙᲘᲢᲐᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ, ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲕᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ. ᲛᲐᲜ ᲓᲐᲐᲛᲨᲕᲘᲓᲐ ᲐᲦᲔᲚᲔᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ ᲒᲐᲮᲐᲓᲐ ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲗᲐ ᲛᲘ-

სწრაფება და სურვილი. მას ღრმად ახარებდა ახალი ძალების გამოჩენა, გამოსელა და ამუშავება.

დაუღალავი მუშა, იგი თავის თავზე იმდენს არ ფიქრობდა, რამდენსაც საზოგადო საქმეზე. თავის დაზოგვა მუშაობაში მისთვის უცნობი რამ იყო, სრულიად არ ეგუებოდა მის ბუნებას.

ამ თავდაუზოგველობამ, შეუწყვეტელმა მუშაობამ, თავისი ქნა — უდროოდ მოუსპო სიცოცხლის დღენი ჯერ კიდევ ახალგაზრდას, ენერგიით სავსეს, ცოდნით აღჭურვილ თვალსაჩინო მოღვაწეს.

* *

ცხრაას თორმეტში ქუთაისის მაზრის ზემო მხარეში საშინელი შიმშილობა განიცადა ხალხმა. ასეთი გამწარება ხალხისა ჯერ არასოდეს არ მენახა. მოუსავლობით გაჭირვებაში ჩავარდნილი ხალხი დარბოდა-დაწრიალობდა ტომრით იღლიის ქვეშ, რომ ეგებ სადმე სიმინდის მარცვალი ეშოვა. წარმოუდგენელი საცოდაობა ტრიალებდა.

ერთ დილას ჩემი ბინის კარებთან აუარებელი ხალხი მოზღვავდა ტომრებით.

— გვიშველე, ბატონო, გვიშველე ღვთის გულისათვის! — გამწარებით შემომძახეს, როცა მათთან გავედი. — ვიხოცებით! — ესენი სულ ჩვენი სოფლელები იყვნენ. მათმა საცოდაობამ გული ამიდუღა. წინადადება მივეცი ამოერჩიათ რამდენიმე კაცი, რომელთაც მე წავიყვანდი მაზრის უფროსთან, რომ მას ეზრუნა ამათთვის დაარსებულ დამშეულთა დამხმარე კომიტეტში. წავედით მაზრის უფროსთან სამაზრო სამმართველოში; დანარჩენებმა ვერ მოითმინეს და უკან გამოგვყვნენ.

მაზრის უფროსს ეწყინა ჩვენი მისვლა-მიმართვა, და დაინახა რა მრავალრიცხოვანი ხალხი, უკმაყოფილოდ მითხრა:

— რას მომასიეთ ეს ხალხი! რას გამოელიან?!

მეწყინა ასეთი უგულოდ მიღება, ასეთი გულცივობა ამ გაჭირვებული ხალხისადმი და გაჯავრებით მივუგე:

— როგორ თუ მოგასიეთ! ამათ ჯერ სამათხოვროთ არ უვლიათ. მათხოვრობას ჩვეული არ არიან, მაგრამ დღევანდელმა გამწარებამ ტომრები ამოაღლიავებინათ. თუ თქვენ არ გინდათ დაინახოთ და მიეშველოთ მათ, რაც თქვენს მოვალეობას შეადგენს, აღარ შეგაწუხებთ და მივიქცევით სხვაგან.

— რა გნებავთ ჩემგან? — სულ სხვა კილოთი მომმართა მან ლეის შემდეგ.

— მიეშველოთ ამ გამწარებაში მყოფ ხალხს! — სიტყვამოჭრით მივუგე.

— მობრძანდით! — და თავის კაბინეტში შემიყვანა. სულ მოკლე ხანში მოეწყო საქმე: წინადადება მიეცა ერთ მომრიგებელ მოსამართლეს გამგზავრებულიყო ჩვენს სოფელში, შეედგინა დამშეულთა სია და საჩქაროდ წარმოედგინა იგი, რომ დროზე მიწვდენოდა სოფელს საჭირო სურსათი. რომ მომრიგებელ შუამავალს არ გადაეღო წასვლა სოფელში, მე გავსწიე მასთან. სოფლიდან ჩამოსული ხალხი უკან დამედევნა. შუამავალი კიდეც შიშში ჩავაგდეთ ჩვენს დანახვაზე. თავაზიანი კაცი აღმოჩნდა. მეორე დღეს დილით სოფლისკენ გავეშურეთ. აწერილობით საჭირო იყო სულ უკანასკნელი თერამეტი ათასი ფუთი სიმინდი შეტანილიყო სოფელში. დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა წინადადება მოგვცა რამდენიმედ შეგვემცირებინა ეს რაოდენობა; ხელმეორედ მოგვიხდა სოფელში წასვლა. დავაყენეთ თოთხმეტ ათას ფუთამდე, რაც საგუბერნიო სამართველოს მრჩევლის კოტე გოცირიძის შემწეობით ორი კვირის შემდეგ მიეცა სოფელს.

პეტერბურგიდან დამშეულთა შესაწევად მოვიდა ათი ათასი მანეთი, რითაც ნაყიდი იყო სენაკის მაზრაში. დიდძალი პარტია სიმინდისა. რიგდებოდა იგი ქუთაისში. საზარელი სურათი იშლებოდა თბილისის ქუჩაზე, სადაც მოწყობილი იყო დამრიგებელი პუნქტი. ქუჩა გაჭედილი იყო სოფლიდან ჩამოსული ხალხით; დედაკაცები, მამაკაცები, ყველა ესენი დაღონებული, დაღვრემილი სახის გამოშეტყველებით იდგნენ, ისხდნენ, მწარედ შესჩიოდნენ ერთმანეთს თავიანთ მწარე მდგომარეობას; ხშირი იყო ტირილი, თითო პეშვი სიმინდი დიდ რამედ მიაჩნდათ. მახსოვს, ერთხელ, როცა სიმინდის პარტია გამოილია, გამოუცხადეს მომდგარ ხალხს, რომ სიმინდი დღეს აღარ იქნებაო. იატაკზე მხოლოდ მტვერი ეყარა; ხალხი ვერ შეეჯერეთ; იძულებული ვიყავით კარები გაგვეღო და საწყობში შეგვეშვა ხალხი. შემოხეთქილი ხალხი ეცა ამ მტვერს, ათრთოლებული ხელებით ხვეტდა ამ მტვერს, რადგან მასში იქა-აქ მოინახებოდა სიმინდის მარცვალი და გაფაციცებით ყრიდა ტომარაში; შეიქნა ყვირილი, შეცილება, ჭიდილი — ისე ასწმინდეს იატაკი, თითქოს ცოცხით გაეხვეტათ. ისმოდა საზარელი ტირილი დედაკაცებისა, რომელნიც ხელცარიელნი უნდა გაბრუნებულიყვნენ უკან სახლში.

ეს იყო საზარელი დღეები, უკიდურესი გაჭირვების დღეები, თითქოს დასაწყისი იმ ზედმეტი გამწარებისა, რომელიც ელოდებოდა წლინახევრის შემდეგ საშინელი ომის სახით.

თავი მეცამეტე

მსოფლიო ომი. ჯარში გაწვევა. — აკაკის სიკვდილი. ბაასი ვაგონში. — ოსმალეთის ფრონტზე. ლაზისტანის განადგურებული სოფლები. — გენერალი „მილერ-ზაჩოროხსკი" დიდ გულადობას იჩენს. — პირონიტელი ლაბები. — „ჯერ ეს კლდეები მოასწორეთ!" — თებერვლის რევოლუცია.

ცხრაას თოთხმეტი წელი მეტად აღელვებით მიმდინარეობდა; ყველა რაღაც უბედურების მოლოდინში იყო და უბედურებით დათავდა კიდეც. სარაევოში ავსტრიის კრონ-პრინცის ფერდინანდის და მისი მეუღლის მოკვლის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ იფეთქა საერთო ომმა. საომრად ხვეტავდნენ ყველას—ჯარისკაცებს ორმოცდასამ წლამდი, ოფიცრობას—ორმოცდათოთხმეტ წლამდის. მეც, როგორც არა ორმოცდათოთხმეტი წლისას, მხვდა სამსახურის განახლება. ის იყო მძიმე ავადმყოფობა გამოვიარე, ისე რომ ჩემი ზეზე ადგომის იმედი ექიმებსაც დაკარგული ჰქონდათ. გამოვედი საავადმყოფოდან თუ არა, მესამე დღეს უწყება მომივიდა სამსახურში გამოვცხადებულიყავ. ვინიშნებოდი სათადარიგოთა დრუჟინის უფროსად, რომელიც უნდა შეკრებილიყო ახალ სენაკში. ახალმა ნაავადმყოფარმა გავსწიე დანიშნულ ადგილისკენ. რამდენიმე დღის შემდეგ იწყეს მოსვლა საომრად გამოწვეულებმა. ჩემი დრუჟინა სდგებოდა ნახევრად ქართველებისაგან (სენაკის, ზუგდიდის მაზრებისა, სამურზაყანოს და სოხუმის ოლქისა) ნახევრად რუსებისაგან — ყუბანის ოლქიდან. დღითი დღე დრუჟინა იზრდებოდა: მოდიოდნენ ჯარისკაცები, მათი ჩასაცმელ-დასახურავი, საომარი მოწყობილობა, საზიდები, ცხენები. მუშაობა გაუთავებელი. ოფიცერთა შემადგენლობიდან მხოლოდ ოთხი გამოცხადდა. თბილისიდან კი მუდამდღე ახალი ბრძანებები, სასტიკი დასჯით მუქარის, თუ დაუყოვნებლივ შესრულებული არ იქნება ბრძანება სათანადოდ და საჩქაროდ. ერთი ამგვარი დეპეშის მიღების შემდეგ ვრცელი საპასუხო დეპეშა გავუგზავნე გენერალ მიშლაევსკის, დეპეშა, რომლითაც ეაცნობებდი საშინელ გაჭირვებას დრუჟინის მოწყობის საქმეში, ეაცნობებდი ყოველ დაბრკოლებას დრუჟინის საქმეში, რაც მხვდებოდა საქმის წესიერად წასაყვანად. სამხედრო უფროსებმა, რომელთაც გავაცანი ჩემი დეპეშა, მითხრეს, რომ მე პასუხისგება-

ში ვიქნებოდი მიცემული და მძიმედ დავისჯებოდი ამგვარი მინაწერისათვის, მაგრამ ეს არ გამართლდა. წინააღმდეგ — ყოველი ჩემი მოთხოვნა დაუყოვნებლივ შესრულებული და დაკმაყოფილებული იყო.

ნახევარი წელიწადი თითქმის ვიდექით ახალ-სენაკში. ცხრაას თხუთმეტის დასაწყისში სამწუხარო ამბავი მოეფინა საქართველოს — მიიცვალა დიდებული აკაკი. მეც მომეცა საშუალება დავსწრებოდი დიდებული მგოსნის ჩასვენებას თბილისში. სადგურ შორაპნიდან დანიშნული იყო საგანგებო მატარებელი. სადგურებზე აუარებელი ხალხი ხვდებოდა მიცვალებულს, ყველგან ღრმა მწუხარება, გულითადი პატივისცემა.

მატარებელში ამ შემთხვევამ თავი მოუყარა მრავალ ჩვენს საზოგადო მოღვაწეს. ჩამოვარდა სიტყვა ომის მიმდინარეობის შესახებ. აქედან მალე სიტყვა გადავიდა საკითხზე, თუ რის მომლოდინე უნდა ყოფილიყო საქართველო, რა ბედი ეწეოდა ამა თუ იმ მხარეს გამარჯვება-დამარცხებისაგან. გაიმართა ნამდვილი თათბირი. მონაწილეობას ღებულობდნენ ნიკო ნიკოლაძე, ნიკო თავდგირიძე, გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე და ბევრი კიდევ სხვა. ნიკო ნიკოლაძე გამოთქვამდა იმ აზრს, რომ ჩვენი მდგომარეობა უნუგეშოა; ეს გაიმარჯვებს თუ ის, ჩვენ მაინც უყურადღებოდ ვიქნებით დატოვებული, რადგან ჩვენ არ გვაქვს არაფერი ისეთი, რომ ჩვენით დავაინტერესოთ რომელიმე მხარე, ხოლო ჩვენი ლამაზი თვალებისთვის თავს არავინ გამოიდებსო. უმეტესობა ამ აზრს ემხრობოდა და გამოთქვამდა უნუგეშობას. მსჯელობაში მონაწილეობას ღებულობდნენ თითქმის ყველა მაშინდელი პარტიების ფთავარი წარმომადგენლები. ვაგონი გატენილი იყო ხალხით, რომელიც გაფაციცებით ყურს უგდებდა ისეთ არაჩვეულებრივ შეკრებილებაზე ნათქვამს. მოულოდნელად გამართული თათბირი გაგრძელდა თითქმის თბილისამდი. ეს იყო პირველი ეშვიდობიანი თათბირი პარტიათა წარმომადგენლებისა მწვავე საკითხზე — რა მოელის საქართველოს ომის შემდეგ, რისი იმედით და ვისი იმედით უნდა ყოფილიყო იგი.

საღამო იყო, მიცვალებული მგოსანი რომ ქაშვეთის ეკლესიაში შივასვენეთ. მეორე დღეს უამრავი დეპუტაციების და ხალხის თანხლასწრებით ცხედარი გამოასვენეს დასაკრძალავად მთაწმინდაზე. ეკლესიის მოედანზე ამართული იყო ტრიბუნა სიტყვის წარმომთქმელთათვის. პირველი სიტყვა აქ წარმოთქვა ნიკო ნიკოლაძემ. რომელმაც თქვა, რომ დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა დაბეჯითებით მოითხოვს შეიქნას შტაბი, რომელიც განაგებს და უხელ-

მძღვანელებს ამ გართულებულ მდგომარეობაში მყოფ ერს, როგორშიც დღეს ჩვენ ვართო.

დაკრძალვიდან სენაკში დაბრუნებულმა რამდენიმე დღის შემდეგ ბრძანება მივიღე, ჩემი ნაწილით გავმგზავრებულიყავი ბათუმში გენერალ ლიახოვის განკარგულებაში. ბათუმში ჩასვლის ორი დღის შემდეგ გაგვამგზავრეს ფრონტზე ართვინისაკენ. საღამო იყო ბორჩხას რომ მივაწიეთ, სადაც შტაბი იყო ჭოროხს გადმოღმა მოქმედი ჯარების. ამ ჯარების უფროსი იყო ვინმე გენერალი მილერი. გამოვეცხადე თუ არა, იქვე მისგან ბრძანება მივიღე — ჩემი ნაწილის გუნდები გამეგზავნა დანიშნულ ადგილებზე: მიუხედავად იმისა, რომ ღამდებოდა, გენერალი დაჟინებით, მუქარით მოითხოვდა, რომ დაუყოვნებლივ წასულიყვნენ დანიშნულ ადგილებზე; ეს ადგილები კი უდაბურ ტყეებში იყო, მთებში. ორ გუნდს მაინც ნამეტანი ცუდი გზა ხვდებოდა, როგორც ეს მეორე დღეს ვნახეთ; გენერლის ბრძანებას გადავუხვიეთ. გავშორდით შტაბს და დავბანაკდით; რომ ასე არ გვექნა, ღამეში მივადგებოდით წყალს და ბნელში უსათუოდ მოწინავეთაგან რამდენიმე კაცი გადაგვივარდებოდა წყალში და დაგვეღუპებოდა. დღისით საშიშარი სავალი გზა იყო, ღამეში ვინ იცის რა შეგვემთხვეოდა. ჯარების უფროსი გენერალი მეტისმეტი ახირებული პიროვნება იყო. მტერი ძლიერ შორს იყო, მაგრამ გენერალი ისე იქაჩებოდა, თითქო გაცხარებულ ბრძოლაში ყოფილიყო.

მან ზარბაზნებით ჩაიარა ბათუმიდან ბორჩხამდინ და გახიზნულ მცხოვრებთა მიტოვებულ სახლებს ამსხვრევდა და ანადგურებდა ყუმბარით. „ძლევამოსილმა“ ამ დაცარიელებულ მხარეში — მიაღწია ბორჩხას. ლიახოვს კი წარუდგინა ვრცელი მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ და ითხოვა მისი გვარისთვის, როგორც ჯილდო, მიემატებინათ „ზაჩოროხსკი“, მიეთვისებინა გვარად „მილერ-ზაჩოროხსკი“, მსგავსად — პასკევიჩ-ერევანსკი, დიბიჩ-ზაბაიკალსკი და ამგვარებისა. წმინდა მასხრობა იქნებოდა ასეთი თხოვნის დაკმაყოფილება და გენერალი მშრალზე დარჩა.

საოცარ სანახაობას წარმოადგენდა ეს მხარე აჭარის წყლიდან დაწყებული. უკან დახევისას ოსმალებს თან გაერეკათ მცხოვრებნი და სრულიად დაეცარიელებინათ აქაური სოფლები. საზარელ სანახაობას წარმოადგენდნენ ეს ჩაყრუებული, ჩადუმებული, გადამწვარი სოფლები. შეიხედავდი დანგრევას და ცეცხლს გადარჩენილ სახლში: აყრილი იატაკი, მილეწილი კედლები, ყრია ძონძები, ტანისამოსის ნაფლეთები, ბევრგან დამტვრეული აკვნები, ეზოში კარებჩამოგლეჯილი ბეღლები, გარშემო მიბნეულ-მობნეული სიმინდის

მარცვალი, ლობიო; იქვე თუთუნის საშრობები, გამოტანილი გასაშრობად ჩამოკიდებულ თუთუნის ფოთლებით. თუთუნი წაღებულია უამრავი, მაგრამ მაინც კიდევ ბევრია დარჩენილი. არავითარი ჭაჭანება ადამიანის. ეგერ-აგერ ისმოდა მხოლოდ ძაღლის ღმუილი, საზარელი ღმუილი, გულის მომკვლელი. შეწუხებული ამ სანახაობით უნებლიეთ ეკითხებოდი შენს თავს: სადაა ეს ამოდენა გარეკილი ხალხი, სად ყრია? უპატრონოდ არიან ეს საცოდავი დედაკაცები. მამაკაცები, მოხუცებულები, აკვნებიდან ამოყვანილი ბავშვები!

ამ სურათის მნახველს ღრმად შეგეზარებოდა ომი, სავსებით წარმოგიდგებოდა მისი საშინელება, მისგან ადამიანის წარმოუდგენელი გამხეცება.

სწორ ადგილას ნაჩვევი ყუბანის ოლქიდან მორეკილი ჯარისკაცები პირდაპირ ტიროდნენ ამ მთა-გორებზე ხეტიალით. მათში არავითარი სიხალისე, ომისათვის განწყობილება. ერთმა უფროსმა უნტერ-ოფიცერმა დაუფარავად მითხრა:

— რაა, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მიგვათრევთ და მიგვათრევთ წინ, მტერს გვაახლოებთ.

— აბა რისთვის ხარ გამოწვეული? — შევეკითხე. — შენ უნტერ-ოფიცერი ხარ, მაგალითს უნდა აჩვენებდე, შენ კი ტირი. არ გრცხვენია?!. შეხედე, აი ეგერ გაბუნია თავისი სურვილით მიდის მზვერავებთან. შენზე უფრო ახალგაზრდა არის გაბუნია!

— ჩანს, გაბუნიას თავისი სიცოცხლე არად მიაჩნია! — წამოიძახა ზუბაკოვმა.

პორტ-არტურში ნამყოფი ერთი მშვენიერი ჯარისკაცი ამბობდა: — ასე გათავდება თუ ისე ეს ომი, ჩვენ მაინც არაფერი გვეშველება!

— როგორ? — შევეკითხე.

— ბატონო, მე პორტარტურელი ვარ, რა არ გამოვიარე იმ დასაქცევში; მოვაწიე სახლამდის გაპირვებით; შვილები წამომეზარდნენ, არ მინდოდა უსწავლელნი დამერჩინა; მივიყვანე სოფლის სასწავლებელში — არ მიიღეს, უარი მითხრეს, ადგილი არ არისო; ისევ მე გავიჭირე საქმე და ძლივს ცოტაოდენი წერა-კითხვა შევასწავლე. არავინ არ მომხედა. ახლაც ასე იქნება. ჩვენთვის არაფერი სიკეთე იქნება, არაფერი!

— ნუ მისცემთ ნებას ასე გექცეოდნენ! თქვენი ბრალია!

— მაინც, მაინც!.. ჩვენი ბრალია!

მუდამ ისმოდა წუწუნი, რომ საჭიროა უფრო ახალგაზრდები გამოგზავნონ და ხნიერები შეიცვალონ, რომ ხნიერებს არ შეუძლიათ ერთნაირად ახალგაზრდებთან გასწიონ სამსახური. ჯარების დასახე-

დავად მოსულ გენერალს გადავეცი ხნიერი ჯარისკაცების თხოვნა, რომ მას მოესმინა მათი სათხოვარი. გენერალი ურიგო კაცი არ იყო, გამოელაპარაკა ჯარისკაცებს და შეპირდა, რომ მოახსენებდა მათ თხოვნას ბათუმში გენერალ ლიახოვს. გენერალმა კი მოახსენა ლიახოვს, მაგრამ მან მეტად იწყინა ასეთი განცხადება და საყვედური გამოეთქვა ჩემზე: სათანადო გავლენა ვერ მოუხდენია, რომ ასეთ განწყობილებას ადგილი არ ჰქონებოდა ჯარისკაცებშიო. თითქოს მე მძლეთა მძლე ვიყავ!

ჩვენი პირდაპირი უფროსი გენერალი „ზაჩოროხსკი" დიდი გულადობის გამოჩენას ეპირებოდა და უცნაურად ფაფხურობდა. მტრის ხაზი დაშორებული იყო სულ უკანასკნელი სამოცი ვერსით. ჩვენსა და მათ შორის ისეთი მთები, უფსკრულები და ჩაჩეხილი ადგილები იყო, რომ ადამიანი ძლივს წარმოიდგენს. შტაბი ძანსულში იყო, ჩავარდნილ ადგილას. გენერალი შფოთავდა, რომ ფანჯრებიდან სინათლე არ ყოფილიყო, მტერს არ დაენახა ჩვენი იქ ყოფნა, — ეს სამოცი ვერსიდან. გენერლის ჯინაზე, მის გასახელებლაღ, ხან იქ, ხან ა! ჩამოხსნიდნენ ხოლმე ფარდებს და ცოტა ხნით გაანათებდნენ — გენერალი ირეოდა და არბენინებდა ჯარისკაცებს სინათლე ჩაექროთ. ეს ერთგვარ გასართობ საგნად გადაგვექცა და ბავშვებივით ვერთობოდით გენერლის გახელებით.

ვიყავით ჩამჯდარი ამ უდაბურ ადგილებში. წინ ვერც ჩვენ წავიწევდით, ვერც მტერი წამოიწევდა ჩვენსკენ. თითქმის ყოველ დღე, უთენიისას, უნდა შევმჯდარიყავი ცხენზე და ცხენოსანი ჯარისკაცის თანხლებით უნდა შემომეელო გუნდები. დავბრუნდებოდი დაღამებულზე. დაღლილს დამხვდებოდა აუცილებელი მიწერ-მოწერის ქაღალდები. გადასულ შუაღამემდი ამას უნდებოდა ხანმოკლე დასვენება და უთენიას — ისევ ცხენი და გუნდებში გამგზავრება.

ჯარისკაცები, რამდენადაც შეიძლებოდა, კმაყოფილი მყავდა: გენერალი კი ყოვლად შეჩვენებული არსება იყო და რაც დრო გადიოდა, მეტი საჩხუბარი რამ ჩნდებოდა მასთან. ჩემი დაურიდებელი სიტყვა არაფრად მოსწონდა და, ეტყობოდა, ჩემი მოშორება უნდოდა. "იშოვა ვითომ მის გუნებაში რაღაც მიზეზი და ლიახოვს დაანიშვნინა ჩემი ნაწილის გამოკვლევა. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ნაწილი ჩინებულად იყო შენახული; ჯარისკაცებმა განაცხადეს სრული კმაყოფილება ჩემს შესახებ. გენერალს ჩაუვარდა კოვზი ნაცარში, მაგრამ იგი მაინც არ წყნარდებოდა და ბოლოს მაინც თავისი ქნა. ჩემი ნაწილის ორი ჯარისკაცი ინჟინერთან მუშაობის დროს მოჭრილ ხის ქვეშ მოყვა, ეს ამბავი მიზეზად გამოიყენეს —

დრუჟინაში წესრიგი არ არისო. ჩამომართვეს ნაწილი და თბილისში გაჰგზავნეს. ჩემთვის ეს ცუდი არ იყო. რამდენიმე თვის შემდეგ ჩემი ყოფილი დრუჟინა ტრაპეზუნისკენ გადაისროლეს და ბაიბურთთან დრუჟინაც ძლიერ მილეწეს და მოჰკლეს ჩემი ნაცვალი დრუჟინის უფროსი, მისი ადიუტანტი და სხვა. ბედი მფარავდა, ალბათ.

თბილისში თვე-ნახევარი ვიყავი. საქმე გავიჩინე საერობო კავშირში — მომანდვეს შემედგინა საერობო კავშირის მოქმედების ისტორია კავკასიის ფრონტზე. ჩემი მუშაობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ლიახოვმა ბათუმიდან დამიბარა და ბათუმ-ტრაპიზონის სატრანსპორტო ხაზზე პირონიტში კომენდანტად დამნიშნა. პირონიტი ლაზისტანშია, ხოფას გადაღმა, ბათუმიდან ოთხმოცი ვერსის სიშორეზე, პატარა სოფელი, მშვენიერი მდებარეობა. სანამ პირონიტში ჩავიდოდი, უნდა გამოვცხადებოდი ჩვენი ხაზის გენერალს. რომელიც რიზეში იმყოფებოდა; გვარად იგი პოპოვი იყო; ეს გენერალი დაურიდებელი მძარცველი აღმოჩნდა. საქმე იმ ზომამდე მიიყვანა, რომ ერთ დღეს ლიახოვმა მისი სახლი გააჩხრეკია და ბრძანებაში შეუბრალებლად გამოამზეურა მისი მძარცველობის ამბავი.

რიზეში წასვლა გვიხდებოდა ტვირთის გადამტანი გემით.

ერთხელ ბათუმში შემხვდურმა მღვდელმა ხუნდაძემ მირჩია მეორე დღეს წავსულიყავი მშვენიერი ჰოსპიტალური გემით „პორტუგალით". ეს საუცხოო გემი საფრანგეთმა გამოუგზავნა რუსეთს. მე არ გადავდევი წასვლა და ამის წყალობით უბედურებასაც გადავრჩი. მეორე დღეს წამოსულ „პორტუგალს" რიზეს მახლობლად მოეწია გერმანელი - წყალქვეშა ნავი. გემზე მყოფებმა შენიშნეს წყალქვეშა და არხეინად დასჩერებოდნენ; უეცრად ერთი იგრიალა, გემი შეანძრია და გადაიხარა. გემი წყალქვეშამ ააფეთქა. გემზე მყოფთ ასტეხეს ყვირილი, ვაება. მრავალი, განსაკუთრებით ქალები, ჩაყვა გემს. მრავალი გადაეშვა ზღვაში.

— მე გადავეშვი ჩემი ანაფორიანად წყალში. ჩემ წინ მეზღვაური მიცურავდა, ესტაცე ფეხში ხელი და მაგრად ჩავეპიდე... ვფიქრობ, თუ ეს გადარჩა, მეც გადავრჩები... ბატიუშკა, გამიშვი ხელიო, დეეიღუპებით ორიეეო... ამხანაგურად მაინც დეეიღუპებითქო, გავუმასხრე ამ გამწარების წუთში მის გასამხნევებლად. ამ დროს, ჩვენს იღბლად, ნავმა დაგვინახა და წყლიდან ამოგვიყვანა... — კარგი ქენი, რომ ჩვენთან არ წამოდი! — მომიყვა დახრჩობას გადარჩენილი მღვდელი.

ბედი აქაც შემეწია, თორემ მღვდლის რჩევას რომ ავყოლოდი და „პორტუგალით“ წამოვსულიყავი, ალბათ, დავიღუპებოდი.

ბათუმიდან პირონიტში ზღვით წასვლას ვარჩიე ცხენით წასვლა. გადავიარეთ დანგრეული, მიყრუებული სარფა, მაკრიალი, ლიმანა; გადავცილდით ჩვენს საზღვარს, ჩავედით მშვენიერ სოფელ აბუისლაში, რომელშიც აქა-იქ თავის ადგილს შერჩენილიყვნენ მცხოვრებლები. გავიარეთ ორთა ხოფა, ხოფა, სადაც ნაკლები ნგრევა ემჩნეოდა. მცხოვრებნიც, ეტყობოდა, ისე. არ გარეკილიყვნენ თავიანთ საცხოვრებლიდან, როგორც ეს წინა სოფლებში იყო. ხოფაში — ბლომად დუქნები სხვადასხვა სავაჭროებით. ეს საბაზრო დაბაა იმ არემარეში. აქედან პირონიტი ექვს ვერსზეა.

საღამო ჟამი იყო პირონიტში რომ მივედით. ჩემი მოგზაურობა სუსხიან სიცივეში ზღვის ნაპირზე ძვირად დამიჯდა. მეორე დღესვე ავად გავხდი და ისე, რომ იძულებული იყვნენ ბათუმში გემით ჩავეყვანეთ საავადმყოფოში მოსათავსებლად. თვეზე მეტი გაჭირვებული ავადმყოფი ვიყავი. ბედმა მიმატანებია ჩემს ძვირფას მეგობარ ექიმთან კონდრატი მხეიძესთან, რომელმაც თავისი ძმური მოვლით სიცოცხლე დამიბრუნა და გადამცა სამხედრო საავადმყოფოში ექიმ ალექსანდრე ქუთათელაძეს, რომელმაც მეტად დიდი ამაგი დამდო ჩემს საბოლოო გამოჯანსაღებაში.

წელიწად-ნახევარი დავყავი პირონიტში. აქ აუარებელი ჩვენებურობა იყო — მუშა ხალხი გზების გაყვანაზე მომუშავენი; აქვე იყვნენ წვრილი ვაჭრებიც. მოკლე ხანში ადგილობრივი მცხოვრებნიც გავიცანი — აქაური ლაზები.

მახსოვდა ზაქარია ჭიჭინაძისაგან გაზეთში მოთავსებული ცნობა, რომ სოფელ აბუისლაში განზრახვა ჰქონებიათ მცხოვრებლებს ქართული სკოლა დაეარსებინათ და ამას მეთაურობდა აბუისლელი მცხოვრები ჰასან ჰუსეინ აშივ-ოღლი. მოვიკითხე ჩემს ნაცნობ ლაზებში ეს აშივ-ოღლი, მითხრეს არის ამისთანაო და შემპირდნენ მოგიყვანთო.

ერთ დღეს მაცნობეს, რომ თქვენგან დაბარებული კაცია აბუისლიდანო. ვუთხარი შემოეყვანათ.

შემოვიდა შუახნის, ლაზურად გამოწყობილი, მოკლე წვერით, სასიამოვნო სახის კაცი. ეს იყო ჰასან ჰუსეინ აშივ-ოღლი.

— დაბრძანდით! ქართული თუ იცით?

არ ცოდნია.

ბედად ჩემთან იმ დროს იყო მეგრულის მცოდნე პირი და თარჯიმნად დავაყენე. ჩემმა სტუმარმა მიამბო, რომ მართლადაც მათ, აბუისლელებმა, გადასწყვიტეს ქართული სკოლის გახსნა, ქართულის

სწავლა, რადგან ქართველები ვართო, ვიციოთო. შეუგროვებიათ შეიდასი მანეთი და სტამბოლში გაუგზავნიათ კაცი, რომ ნებართვა აეღო სკოლის გასახსნელად; საქმე ახლა შეფერხდა, რადგან ოში ატყდაო და ამისათვის აღარავის სცალიაო.

ქართული აქ საკმაოდ გავრცელებულია; შეხვდებით ქართული ენის ისეთ მცოდნეს, რომ პირდაპირ გაოცდებით. ჩემი ბინის მახლობლად ცხოვრობდა მოხუცებული ვინმე მუსტაფა ბექირ-ოღლი; იგი ამბობდა, რომ ნამდვილი მისი გვარი ბექირ-ოღლი კი არ არის — ჩხეიძეაო. მუსტაფა ისეთნაირად ლაპარაკობდა ქართულს, ისეთი ლამაზი გამოთქმით, რომ ხშირად განგებ ავალაპარაკებდით, რომ მისი მშვენიერი ქართული მოგვესმინა.

განსხვავებული სიამოვნება გამომაცდევინა ერთ დღეს ჩემთან ვიზით მოსულმა სოფელ ფალარგეთის მცხოვრებმა ჰასან დაირ-ოღლიმ. ეს იყო უკვე შეხნიერებული კაცი, მაღალი, მოხდენილი, მეტად ლამაზი სახის, დარბაისელი; საოცარი შნოიანი ყოველ მის მიხრა-მოხრაში; მისი ქართული ლაპარაკი გასაოცარი რამ იყო — ეს ნამდვილი მუსიკა იყო. ამასთანავე ენამახვილი, სიტყვა მოსწრებული. დიდად გამახარა ამ მოხუცის გაცნობამ, რაც შემეძლო პატივი ვეცი მასაც, მის მხლებლებსაც და ვთხოვე არ დავეივიწყებინე. ჩვენს კარგი მეგობრები შევიქენით. იგი ნამყოფი იყო გურიაში; დიდად პატივსაცემი იყო ერისთავებში და ნაკაშიძეებში. საზოგადოდ, ქაურებმა კარგად იცან ქართული. რადგან ხშირი მისვლა-მოსვლა აქვთ დასავლეთ საქართველოში როგორც მოვაჭრეებს, დურგლებს, მეფურნეებს. ენა მათი იგივე მეგრულია.

ბათუმში ჩასვლისას მოველაპარაკე საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენლებს, რომ მოეელოთ ლაზისტანის სოფლები და საზოგადოების თბილისელმა მთავარმა გამგეობამ კიდეც გამოგზავნა კონსტანტინე კობახიძე იმ დავალებით, რომ მიეარ-მოეარა სოფლები და გამოერკვია მცხოვრებთა მიმართულება. კობახიძე ჩამოვიდა ჩემთან პირონიტში და აქედან მიდი-მოდიოდა სოფლებში. დიდად კმაყოფილი ბრუნდებოდა იგი ხოლმე და აღტაცებით ჰყვებოდა ლაზებთან ნალაპარაკევის შესახებ. ზოგ სოფელში ასეთ რამესაც ჰქონია ადგილი: სახლში, სადაც კრება იყო, შუაზე ჩამოკიდებდნენ საფარებლებს, რომ ქალებსაც, საფარებელს ამოფარებულთ, მისცემოდათ საშუალება მოესმინათ კობახიძის სიტყვა. კობახიძე უყვებოდა თუ ვინ იყვნენ ლაზები, აცნობდა მათ ისტორიულ ცხოვრებას და ამგვარებს. ყველგან დიდ ინტერესს იწვევდა ეს გაცნობიერება ხალხში.

ერთხელ მაცნობეს ვიღაც თქვენ გკითხულობსო; გამოვედი ოთა-

ხიდან; ჩემს წინ იოსებ ყიფშიძეა — მოგზაურის ტანისამოსში; ზურგზე პატარა ჩანთა, ხელში კოლოფი.

— იოსებ! — მივაძახე გაკვირვებულმა. — იოსებ, საიდან, რამ გადმოგაგდო აქ?!

იგი მოვიდა სოფელ ვიწედან ფეხით—პატოსია სამგზავრო ტვირთის მზიდავის თანხლებით. იგი მოგზაურობდა ლაზისტანში ჭანურ-მეგრულის შესწავლის მიზნით. მთხოვა მომეხმო ადგილობრივი მცხოვრებნი, რომ მათგან ჩაეწერა ხალხური ლექსები, ზღაპრები და თხზულებანი. მოვიხმე თავდაპირველად მოხუცი მუსტაფა. მუსტაფას ხან ქართულად, ხან მეგრულად გამოელაპარაკა; გულიანი მუსაიფი გააბეს, მაგრამ როცა იოსებმა იწყო წერა, მუსტაფა რაღაც შიშს მიეცა, ჩაჩუმდა და ითხოვა განთავისუფლება — ავად შევიქენიო. მოხუცებულს შიში შეეპარა არაფერ სახიფათოში გეებათ და ვერაა გზით წინანდელ ხალისზე ვერ მოვიყვანეთ. გავსწიეთ ზღვის ნაპირზე დუქნებისაკენ: აქ გამოვატანინე მაგიდა, დავაჯინე იოსები, შემოუსხდნენ ლაზები და გაიმართა საუბარი. ლაზები გაკვირვებას იყენენ ყიფშიძის ლაზური კილოკავების ზედმიწევნით ცოდნით; თქვენ პიროონიტელები. ასე ხმარობთ ამ სიტყვას, არხავებმა ასე იციანო, ვიწები ასე ამბობენო, სოფლები კი ამგვარად გამოთქვამენო. — თავშეყრილი ხალხი ისე დააინტერესა, ისე ჩაიყოლა, შეახალისა, რომ პირდაპირ საყურებელი რამ სურათი იყო: — გატაცებული მეცნიერი ამოძრავებულ ხალხს შორის. მეორე დღეს ყიფშიძე შეეაჯინე ცხენზე, გავაყოლე კაცი და გავამგზავრე, როგორც მას უნდოდა, ხოფაში, კვლევის გასაგრძელებლად; თან წერილი გავუგზავნე ჩემს კარგ მეგობრებს კელენჯოღლებს და ომერიაზაკ-ოღლის, რომ ხელი შეეწყოთ იოსებისათვის. ხოფაში და მის მიდამოებში ყიფშიძე ერთი კვირა დარჩა, გაფაციცებული მუშაობდა და დიდი პატივისცემა მოეპოვა მცხოვრებლებში.

საუბედუროდ, ასეთი კარგი შემთხვევა იშვიათი იყო.. უფრო ვხედავდი საძაგლობას და საზიზღრობას: ნამეტურ როცა დაიწყეს ბრიყვული საქმე — ბათუმ-ტრაპეზუნდის რკინიგზის გაყვანა ზღვის ნაპირად. იქამდის აკვდებოდნენ ფართო საავტომობილო გზის გაყვანას ტრაპეზუნდამდი; როგორც იყო გაიყვანეს კიდეც, მაგრამ გზა რამდენიმე ადგილას შეაგდეს ისეთ მწვერვალებზე, რომ ნოემბრიდან გაუკვალავი თოვლი ეყრებოდა და გზა იკეტებოდა. გამოჩნდა, ალბათ, არასრული ჭკუის პატრონი კაცი, როგორც მისი პროტექტორი მთავარი ნიკოლაი ნიკოლაევიჩი, რომელმაც წარმოადგინა რკინიგზის გაყვანის გეგმა ტრაპეზუნდში სულ მოკლე ხანში. ეს იყო

ეინმე პოლკოვნიკი ვერდერევსკი, ინჟინერი და მესანგრეთა ოფიცერი. რუსეთის დასავლეთ ფრონტზე იმ ხანებში მან გაიყვანა რკინიგზა თექვსმეტი ვერსის სიგრძეზე რამდენიმე დღის განმავლობაში (რასაკვირველია, სწორ ადგილზე); ამით ისე მოიხიბლა მთავარსარდალი ნიკოლაი ნიკოლაევიჩი, რომ სხვა ინჟინერს აღარ იყარებდა გზების თაობაზე ვერდერევსკის გარდა. ახლა კავკასიის ფრონტზე გადმოსულ მთავარს ამ ინჟინერმა გეგმა წარუდგინა ბათუმ-ტრაპეზუნდის რკინიგზის გაყვანის შესახებ ერთი წლის განმავლობაში. გიჟმა გიჟი მონახა — გაიჩარხა საქმე. გეგმა მიღებულ იქნა; ვერდერევსკი მათრახით ხელში შეუდგა რკინიგზის შეხებას. ერთი თვალის დახამხამებაში გახურდა მუშაობა; ბათუმიდან ტრაპეზუნდამდე ერთბაშად მიაფინეს აუარებელი სამუშაო მასალა, მომუშავე ხელი, მოყარეს უამრავი ტექნიკები, ინჟინრები, მოსამსახურეები — უმრავლესობა იყო გადმოყვანილი ჩრდილო-რუსეთიდან, მურმანის რკინიგზაზე ნამუშევრები. გაცოცხლდა ზღვის ნაპირა ადგილები მიმსვლელ-მომსვლელი მოტორებით, ბარჟებით, რომლებითაც გადაჰქონდათ აუარებელი საშენი მასალა, სურსათი. ხალხი ჭიანჭველასავით ფუსფუსებდა, გაცხარებული მუშაობა იყო, მაგრამ... მაგრამ მხოლოდ სწორ ადგილებზე. სალი კლდეები ბევრ ადგილას დიდ მანძილზე ამაყად იდგნენ. რა შეარყევდა მათ? რა მანქანა შეამტვრევდა მათ სიმაგრეს? რა ძალა გაასწორებდა ამ სალ კლდეებს? ეს იყო ნამდვილი შანტაჟი, კლასიკური შანტაჟი, ზღაპარი; ვისაც არ უნახავს, მისთვის ძნელად წარმოსადგენია, დაუჯერებელი ამბავია, რამაც შთანთქა, რამდენად ვიცი, ოთხმოც მილიონამდე! ბათუმ-ტრაპეზუნდის რკინიგზა, ზღვის ნაპირებზე, ერთი წლის განმავლობაში აშენებული უეიციისაგან, ცოდნის მაგიერ მათრახით ხელში!..

სწორდებოდა ყველგან სწორი ადგილები, იჭრებოდა ასწლოვანი ხეები, ინგრეოდა სახლები სულ ტყუილუბრალოდ. პირონიტში დარაჯები მყავდა დაყენებული, რომ ხელი არ ეხლოთ იმ მშვენიერი ცაცხვებისათვის, ზღვის პირას რომ მშვენებით ამართულიყვნენ.

— ჯერ ეს კლდეები მოასწორეთ! — ვეუბნებოდი და ვუთითებდი იმ სალ კლდეებზე, მარჯვნივ და მარცხნივ რომ ეშვებოდნენ ზღვაში.

ეს გაგიჟება იყო, ნამდვილი გაგიჟება დასამხობლად გამზადებული წესწყობილების მონათა. ყველაფერი იმხობოდა, ინგრეოდა ყოველდღე. ყოველი მხრიდან — დამარცხების, გახრწნის ამბები. რეკვა, რღვევა — დღითი დღე.

პირონიტიდან წამოსული ქუთაისში ვიყაკი რამდენიმე დღით. უჩვეულო მოუსვენრობა ემჩნეოდა ყოველ ფეხის გადადგმაზე. პეტერბურგიდან არეულ-დარეული ამბები მოდიოდა. ათასი ხმები, ჩუმი ლაპარაკი; ერთგვარი შიშიანობა. ახალი ამბების გასაგებად ყოველ დილას მივეშურებოდით შავი ქვის მრეწველთა საბჭოსაკენ. აქ მუდამ იყვნენ თავმოყრილი ჩვენი მოწინავე პირები; ისმოდა გაუბედავი გადმოცემა ახალი, ჩუმად მოსული ამბებისა; ეს ახალი ამბები თანდათან მრავლდებოდა. ერთხელ შეწყდა ყოველგვარი ამბების მოსვლა; აღარაფერი ისმოდა თითქმის სამი დღის განმავლობაში. პეტერბურგი გაჩუმებული შეიქნა. ჩვენც ახალი ამბავის მომლოდინენი, ხშირად გაჩუმებულნი ვისხედით საბჭოში.

— რაღაც ამბავია პეტერბურგში! — გაისმოდა ამ სიჩუმეში.

— უსათუოდ! — წაილაპარაკებდა მეორე.

დილაა. ვზივართ საბჭოში კიტას გარშემო ახალი ამბის მოლოდინში. მძიმე სიჩუმეა.

უცებ გაიღო კარი და ოთახში შემოვარდა აღელვებული ქუთაისის ქალაქისთავი ილიკო ჩიქოვანი. ხელში ქაღალდი უპირავს; აღელვებული მივარდა კიტას, გადაეხვია და გადაკოცნა.

ყველანი წამოვცვივდით.

— რა ამბავია, ილიკო, რა არი?

— წაიკითხე! — ამბობს აღელვებული ჩიქოვანი, რომელმაც კიტა აბაშიძეს გადასცა დეპეშა, რომელიც ხელში ჰქონდა. დეპეშა იყო ნიკოლოზის გადადგომის და დროებითი მთავრობის სახელმწიფო სათავეში ჩადგომის შესახებ.

— ვაშა! ვაშა! — გაისმა ოთახში. ერთი თვალის დახამხამებაში ოთახი აივსო საბჭოს მოსამსახურეებით.

— ვაშა! ნიკოლოზი აღარ არის! მოისპო თვითმპყრობელობა! — ისმის ყოველი მხრიდან, მაგრამ სიხარულს რაღაც გაუბედაობა ახლავს.

— როგორ მოვიქცეთ ახლა? — თქვა ჩიქოვანმა.

— წავიდეთ ქალაქის სამმართველოში და იქ გამოაცხადე მიღებული დეპეშა! — უთხრეს ჩიქოვანს და ყველანი აღელვებულნი გაემართნენ ქალაქის სამმართველოსაკენ. მიღებულმა ამბავმა თვალის დახამხამებაში შემოიარა მთელი ქალაქი, ეცნობა ყველას.

სიხარული, ერთმანეთის მილოცვა, ყვირილი, ყიჟინი, სიმღერა, ქუჩებში აუარებელი ხალხი, აღელვებული, ხმაურიანი ლაპარაკი.

— მოვესწარით, მოვესწარით! გაუმარჯოს თავისუფლებას! ვაშა! ვაშა!

მარსელიოზა, ინტერნაციონალი, ბაირაღები.

ბულვარი აივსო ხალხით. ესტრადაზე გროვა აღელვებული ორატორებისა: მხურვალე სიტყვები — პასუხად მძლავრი ტაში.

— ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს თავისუფლებას! — ისმის შეუწყვეტლივ ყველგან, ყოველ ფეხის გადადგმაზე.

თავი მეთოთხმეტე

პირველი მოთხრობა. — „თავი დაანებე, სისულელეა". — პირველი სტრიქონი ყოველთვის ტონის მომცემი იყო. — თანამშრომლობა ჟურნალ „მოამბეში". — „ირინეს ბედნიერება" და ლადო მესხიშვილი. — „ლიტერატურული გზა ბედნიერად გაელილ გზად მიმაჩნია".

ლიტერატურულ გზაზე განცდილის შესახებ ცოტაოდენი რამ უნდა დავუმატო.

წერა ძალიან ადრე დავიწყე. მეორე კლასში ვიყავი მოთხრობა რომ დავწერე რუსულად, რადგან ქართული დავიწყებულ მქონდა. რამ დამაწერია, სრულიად აღარ მახსოვს. მახსოვს კი, რომ მოთხრობის გმირი სისხლში ცურავდა, მარჯვნით და მარცხნით ჰკლავდა ყოველ შემხვდურს. ნაწარმოები ხელში ჩაუვარდა აღმზრდელს (კლასის დამრიგებელს), რომელმაც წაიკითხა და სიცილით მითხრა:

— ძალიან გეტყობა აზიელობა! ამდენი სისხლის დაღვრა გაგიგონია?! დაანებე თავი, სისულელეა!

შევისმინე აღმზრდელის დარიგება და მივატოვე წერა. საშაგიეროდ თავი მივეცი კითხვას. აღმზრდელიც ისეთი გვყავდა, რომელსაც დიდად უყვარდა ლიტერატურა და ჩვენც გვაყვარებდა და გვაცნობდა მას. ხშირად დავყავდი თეატრში — იმ დროს კიევში მშვენიერი ოპერა იყო ყოველ წლობით. რუსული მწერლობის გაცნობიდან ინტერესი დამებადა ქართული მწერლობისადმი და, თუ-

მცა გაჭირვებით, ძლივს ვკითხულობდი ქართულს, მაგრამ ქართულ წიგნს არ ვეშვებოდი. საქმე გამიადვილდა ნიკო ლომოურის და მისი ამხანაგების გაცნობის შემდეგ. ამათი წყალობით მუდამ მქონდა ქართული წიგნები და მათგან ვეცნობოდი ქართულ მწერლობას და ისტორიას.

მოსკოეში, სამხედრო სასწავლებელში ყოფნის დროს, გიმნაზიის გათავების შემდეგ, გადავთარგმნე ლომოურის მოთხრობა „ალი". მივიტანე ჟურნალ „რუსკი ვესტნიკ"-ის რედაქციაში. რედაქციამ რამდენიმე ხნის შემდეგ გამომიცხადა, რომ თარგმანი არ დაიბეჭდებაო, რადგან მოთხრობა მეტად დაუჯერებელ ამბავს მოგვითხრობსო. დარჩა დაუბეჭდავი თარგმანი.

სასწავლებელში ცხოვრება დიდ მასალას იძლეოდა და ამის გამო რამდენიმე ამხანაგის თანამშრომლობით ვცემდი პატარა ჟურნალს, რომელსაც ბლომად ჰყავდა მკითხველი. რუსეთიდან დაბრუნებული შევუდექი ქართულის შესწავლას. ამაში დიდად ხელი შემიწყო იმ გარემოებამ, რომლის შესახებ უკვე მქონდა ლაპარაკი. ბათუმში დამხვდა ისეთი ოჯახი, როგორიც იყო დურმიშხან და ქეთევან ჟურულის ოჯახი; დავუახლოვდი აგრეთვე ბათუმში ხშირად ჩამომავალ ჩვენს არტისტებს. თან ვიწაფებოდი წერაში — ვთარგმნიდი ხან გერმანულიდან, ხან ფრანგულიდან. პირველი თარგმანი, ჩემი სახელი და გვარით ხელმოწერილი, დაიბეჭდა ვასო აბაშიძის ჟურნალ „თეატრში" 1885 წელს.

წადილი დიდი მქონდა ჩვენი ცხოვრებიდან რაიმე დამეწერა, მაგრამ ვერ ვბედავდი.

ერთხელ გრიგოლ ვოლსკიმ მე და ალექსანდრე აბაზაძეს გვითხრა, ყოველ შაბათობით ერთმანეთისათვის წაგვეკითხნა, რასაც დაეწერდით. ერთ ამისთანა შაბათს მეც მივიტანე ერთი პატარა სურათი. შევუდექი კითხვას: ვამჩნევ, რომ ჩემი ნაწერი ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. შევჩერდი.

— დათიკო! — მითხრა ღიმილით ვოლსკიმ. — შენ კორესპონდენციას წერ თუ მოთხრობას? — მეგობრული სიცილით გაიცინა.

უეცრად დავკეცე რვეული და უბეში ვიტუცე.

— რას შვები, კაცო? წაიკითხე, განაგრძე! — შემომძახა ორთ-

ვემ, მაგრამ მე უარზე ვიყავი. ნაწარმოები წავიღე და მაგრად ჩავ-კეტე.

გაიარა თითქმის ორმა წელიწადმა და ამ უშნო, კორესპონდენ-ციის მაგვარ ნაწერიდან გამოკეთდა ორი მოთხრობა: „შერისხვა“ და „მსხვერპლი“.

„მსხვერპლის“ შესახებ ჟურნალ „მოამბის“ რედაქტორ ალექ-სანდრე ჭყონიასაგან ბარათი მომივიდა: მოთხრობისათვის დიდ მად-ლობას მითვლიდა და თან იმასაც მწერდა, რომ აწერილი სურათი მეტად შავ-ბნელიაო, მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებსო და ამასთა-ნავე უმატებდა: ნუთუ მართლა ასეთი სიბნელით არის მოცული სოფლის ცხოვრებაო; საჭიროა უფრო შენელება სურათის. ეს რჩე-ვა მიუღებელი დარჩა ჩემგან; ის კი არა, ვნანობდი რომ ბევრი რამ გამომრჩა აჩქარების გამო.

წაქეზებულმა, რომ ნაშრომები კარგად იქნა მიღებული, შევუ-დექი მესამე მოთხრობის წერას — „სოლომან მორბელაძე“-ს. მოთხრობა დაიწერა სულ მოკლე ხანში და ისეთი გატაცებით, რომ თვითონ გაკვირვებას ვიყავი, რომ ისე იოლად მოვერიე და მალე დავამთავრე. სამაგიეროდ მეტად დიდი გასაჭირი მომაყენა შემდე-გმა მოთხრობამ, „წრფელი გული“ რომა აქვს სათაურად ჩამოყა-ლიბებულ, ჩამოსხმულ მოთხრობას ვერ მოვუნახე პირველი სტრი-ქონი. ჩემთვის ეს პირველი სტრიქონი ყოველთვის ტონის მომცემი იყო; ამ პირველი სტრიქონიდან, აბა ვთქვათ, გაბრიალდებოდა მო-თხრობა. იგი ტონს აძლევდა მოთხრობას. დიდხანს ვარჩევდი თუ როგორ დამეწყო, რა სიტყვებით შევდგომოდი წერას, — საჯეროს ვერ ვნახულობდი. ერთხელ მე და გრიგოლ ვოლსკი ბათუმის ბულ-ვარში ვართ; ზღვის ნაპირას ვსეირობ. ვოლსკიმ თქვა, — ერთი ჩვენი კარგი ნაცნობისას წავიდეთო; დავეთანხმე; გამოვდივართ ბულვარიდან; გზაში ჩემი მოთხრობა გამახსენდა, ჩემი გმირები ალაპარაკდნენ; ვოლსკი რაღაცას მეუბნება — მე არ მესმის. უცებ ჩემ თვალწინ, თითქოს ჩამოფარებული ფარდა გადაიწია და ჩემი მოთხრობა, თავიდან ბოლომდი, ერთ წუთში გადამეშალა... დასა-წყისიც აგერ არის, ნაძებარი დასაწყისი, რომელსაც გაყვა, გაყვა რა-ღაც გატაცებით სიტყვა, წინადადება, სურათი... სურათები ბოლომ-დი...

— მე არ მოვდივარ, გრიშა! -- ვუთხარი და გავეშურე ბანაკისაკენ, სადაც ამხანად ვიყავი.

— რა იყო, რა მოგვიდა? — მეკითხება გაკვირვებული ვოლსკი, მე კი აჩქარებული ნაბიჯით მივდივარ; მივედი ბანაკში, შევედი ჩემს კარავში, ჩამოვუშვი შესავალი კალთა, გადმოვიღე ქაღალდი და გატაცებით ვიწყე წერა, წერა გაცხარებული.

ეს მუშაობა კი არა, უმაღლესი სიამოვნება იყო.

ამგვარივე გატაცებით ნაწერია „სამანიშვილის დედინაცვალი". ამ მოთხრობას ბედი ეწია ჩემი ძვირფასი მეგობრის ექიმ კონდრატი მხეიძის წყალობით. კონდრატი მხეიძე, ალექსანდრე შატილოვი და ალექსანდრე ლორთქიფანიძე (მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის უფროსი ძმა) იყვნენ ის პირები, რომელთაც ვუყვებოდი ყოველი განზრახული მოთხრობის შინაარსს, სურათებს, დეტალებს. ანსხვავებული ხალისით შევუდგებოდი ხოლმე მათ მომართვას.

— აბა, მოყევი! — მაქეზებდნენ ისინი და მეც მოვყვებოდი. მოთხრობა ამ მოყოლაში შენდებოდა იოლად, ხალისიანად.

„მრამბე"-ს რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია წერილს წერილზე მიგზავნიდა ჟურნალისთვის უსათუოდ რამე გამომიგზავნეო. იმხანად მქონდა პატარა ნაწყვეტი, რაც „სამანიშვილის დედინაცვალშია" — პლატონის სიზმარი. უთხარი მხეიძეს: როგორ მირჩევ, გავუგზავნო თუ არა ეს პატარა „სიზმარი?.."

— ნუ სულელობ! — შემომიტია მან. — შენ ისეთი რამ გვიამბე, რომ თუ არ აჩქარდები, მშვენიერი მოთხრობა იქნება! არ გაგზავნო, იცოდე!

დავუჯერე მეგობარს და მოკლე ხანში პატარა სიზმრის მაგიერად დაიწერა მოზრდილი მოთხრობა. კვანძი, ძარღვი მოთხრობის მოცემულია იმ საუბრებით, რომელიც მქონდა ხოლმე ჩემს სიმამრთან — პავლე მაჭავარიანთან. ჩემთვის ძვირფასი პიროვნება იყო იგი. კარგი შეძლების კაცი, გამოცდილი, შეგნებული, ცხოვრებაში ჩახედული, ჭკვიანი, ენამახვილი. იგი საყვარელი ადამიანი იყო თავის კუთხეში. მისი ოჯახი მუდამ სავსე იყო სტუმრებით; მოხუცი, ახალგაზრდა ყმაწვილები თავს იყრიდნენ მის ოჯახში. ვის არ ნახავდი აქ, რას არ გაიგონებდი! ცხოვრების გასაცნობად საკმარისი იყო აქ მოქცეულიყავი რამდენიმე ხნით. გლეხობა დიდ პატივს ცემ-

და მას და მის ოჯახს, რომელიც ყოველი გაჭირვებულის გამკითხავი იყო, დამხმარე და დამრიგებელი. თვით ოჯახის უფროსი ცოლშვილიანად გაბმული იყვნენ მუშაობაში, რაც საშუალებას აძლევდა კმაყოფილი ცხოვრებისათვის. მიყვარდა აქ ყოფნა, მიყვარდა მოხუცთან საუბარი, მიყვარდა და მაინტერესებდა მის ოჯახში მოსიარულეთა თვალის დევნება. აქ შემეწყო ხელი ჩემს ლიტერატურულ მუშაობაში.

— ვერა ხარ კარგი კაცი. ამ მოთხრობაზე უნდა მიგეწერა: „მოთხრობა დავით კლდიაშვილის და პაველ მაჭავარიანის!“ — ხუმრობით მეუბნებოდა მოთხრობით ნასიამოვნები მოხუცი.

მოთხრობამ დიდი სიხარული და აღტაცება გამოიწვია „ძროამბეს“-ს რედაქციაშიც. ჭყონიამ ვრცელი წერილი გამომიგზავნა განსხვავებული სითბოთი დაწერილი, სიხარულით, რჩევით, დარიგებით სავსე. ბედს ვერ დავემდურები — ჩემს ნაშრომებს მუდამ ხვდებოდა ასეთი თბილი მიღება, რაც მე მხდიდა მეტ ფხიზელ მომუშავედ.

როცა „სამანიშვილის დედინაცვალი“-ს ბეჭდვა დასრულდა ჟურნალში, პეტრე უმიკაშვილი შემხვდა ბათუმის ბულვარში; მასთან იყო არტურ ლეისტი.

— მე შენ ხმას არ გცემ! — შემომიტია პეტრემ. — რიგიანი კაცი მეგონე, თურმე კი ზარმაცი, ამჩატებული, უხეირო ეოფილხარ.

— რატომ, ბატონო პეტრე, რატომ? — შევეკითხე.

— რატომ და იმიტომ, რომ ასე მალე დაათავე სამანიშვილის მოგზაურობა!.. გადმოვიყვანდი ქართლში, იქიდან კახეთში — რა სურათი იქნებოდა, რა იქნებოდა, შენ კი ასე მალე მოანახვიე დედინაცვალი!

— არ ვიცნობ ქართლსა და კახეთს!

— გაიცნობდი, გაიცნობდი, შე ზარმაცო, ზარმაცო დათუკო! — თან წყრებოდა, თან ხითხითობდა გულიანად. — შენი ჭირიმე, რა ლაზათიანად გაქვს დაწერილი! — და შეუჩერებელი სიცილით მოუყვა ჩვენს საერთო ძვირფას მეგობარს ლეისტს მოთხრობის შინაარსი.

— ნუ ჩქარობ, თუ გიყვარდე! ყურს ნუ უგდებ ჟურნალს... გაჩ-

ქარებენ, ახალ-ახალი მასალა სჭირიათ და გიშლიან მუშაობას! თუ გიყვარდე ნუ აჩქარდები ხოლმე... შენ რომ სურათი მომეცი, იმას ეჭირვება დამუშავება, შიგ არა გაქვს შეტანილი ზოგიერთი რამ, მე რომ მიამბე; თუ გიყვარდე ნუ აჩქარდები!

ეს იყო სურათი „მრეველში“... მთელი ერთი წელიწადი ჰქონდა იგი გაუგზავნელი და ამ ხანში შესამჩნევად გადამუშავდა.

ვიმეორებ — ბედი მწყალობდა. სიყვარულიანი, თბილი, ენერგიის გამაღვიძებელი სიტყვა ზედმეტადაც მხვდებოდა. კიტა აბაშიძე, ივ. გომართელი, ილ. ნაკაშიძე, ხომლელი (აკაკის კრებულში); საშა წულუკიძე („ნოვოე ობოზრენიეში“), თავიანთი თანაგრძნობით პირდაპირ მაქეზებდნენ და მიწვევდნენ სამუშაოდ.

ამგვარივე მოსიყვარულე პირები შეხვდა სცენაზე ჩემს პატარა პიესებსაც. პირველად თბილისში დაიდგა „ირინეს ბედნიერება“. პიესა, რომ იტყვიან, ჩაფლავდა. ჩაფლავდა უცნაურად; თბილისელები სრულიად ვერ მიუდგნენ პიესას; ვყურობ და ვკვირობ — ჩემი სახეები სად გაქრნენ, სად გადასხვაფერდნენ?!. გათავდა წარმოდგენა ულაზათოდ, უშნოდ. ვწუხვარ.

— დათიკო, ნუ შეწუხდები! — მითხრა წარმოდგენაზე მყოფმა, ქუთაისიდან ჩამოსულმა ლადო მესხიშვილმა, შეწუხებული რომ დამინახა. — ნუ შეწუხდები, მე ვაჩვენებ როგორ უნდა ითამაშებოდეს ეგ პიესა; ამ დღეებში დავბრუნდები ქუთაისში, ერთ თვეში მიიღებ დეპეშას, და უსათუოდ ამოდი და დაესწარი წარმოდგენას. ახლა ნუ სწუხარ! — თბილად, სიყვარულიანად მანუგეშა ლადომ.

მეორე დღეს „თბილისის ლისტოკ“-ში რეცენზენტმა პირდაპირ ბღღვირი ამადინა.

გავბრუნდი ბათუმში გულდაჩაგრული, ლადოს დანაპირებით შემაგრებული.

არ გაუვლია თვეს, ლადოსგან დეპეშა მივიღე — პიესა მიდიოს და ამოდიო. გავეშურე ქუთაისისკენ გულაძგერებული. დილით რეპეტიციაა.

— დათიკო, დაჯექ და უყურე; მერე მითხარი თუ რამ აკლდეს! — მითხრა ლადომ.

დაიწყო რეპეტიცია. ყველა ხალისიანადაა; ხალისიანად იწყება; აბესალოს თამაშობს შალვა დადიანი — ჩინებულია; აგერ შემოუფეხურდა ფილიპე — ვასო ბალანჩივაძე, ჩემი ფილიპე, ნამდვილი ფილიპე; ჩემს სიხარულს საზღვარი აღარ აქვს; როდამიშვილი — გიორგი თუთბერიძე, ირინე — გვეტაძის ქალი. სიხარულისაგან გაბრუებული ვარ.

— გაქვს რამე სათქმელი? — ღიმილით მითხრა ლადომ, პირველი მოქმედების რეპეტიცია რომ დათავდა.

— არაფერი, შენ გენაცვალე! — მივუგე.

— ასე იქნება მეორეც! ახლა წადი სახლში, დაისვენე და დროზე მოდი. დღეს ჩვენ გავიმარჯვებთ! — ხალისიანად წამოიძახა ლადომ.

მივედი სახლში, ძლივს სადილი ვჭამე — ვღელავ, შიშში ვარ. აღელვებულს ძილი ისე მომრევია ნასადილევს, რომ ძლივს გამაღვიძეს. მივდივარ თეატრში — თითქოს ეგზამენზე მიმავალი ვყოფილიყავი.

ლადომ დამარონია სცენა, მორთულობა მანახა და მითხრა:

— მე ვიცი და შენმა პიესამ!.. მე აგერ ვიქნები, შენ ლოჟიდან უყურე!

აიხადა ფარდა. იმის აწერას, თუ როგორ დაიწყო პიესა, როგორ მიდიოდა, როგორ ჩატარდა, ამას არ მოვუყვები, — ეს იყო გრძლად გაბმული სიხარულის წუთები. დაუვიწყარი წუთები. ახმაურებული, აგუგუნებული ხალხი გამოეფინა თეატრის დარბაზიდან; ბნელ ქუჩებში ისმოდა მხიარული ლაპარაკი, სიცილი, ხითხითი. მივდივარ სადგურისაკენ, რადგან უნდა გავბრუნებულიყავი ბათუმში, მივდივარ და გარშემო მესმის, — რაც გულს სიხარულით ავსებს.

ძვირფასმა ლადომ მაჩუქა ის დაუვიწყარი წუთები. ერთ კვირაზე ვასო ბალანჩივაძე მიწვეული იქნა თბილისში და თავისი თამაშით აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება და პიესას სიცოცხლე დაუბრუნა.

„დარისპანის გასაჭირი"-ც ბედნიერი გახდა. დარისპანმა იპოვა თავისი მოსიყვარულე, განსხვავებული მოსიყვარულე გამომსახველი — ვალერიან შალიკაშვილი.

დარისპანი კაროჟნას დაათრევდა, მე კი ორიეს; მინდოდა რიგიანი რამ ყოფილიყო. ნატო გაბუნიამ მთხოვა პიესა მის საბენეფისოდ. შეკვთავაზე „დარისპანის გასაჭირი“. პიესა წაკითხული იქნა პართენ გოთუასას, მოწონებულიც. მაგრამ ნატომ არ დადგა, არ მოეწონა მართა. ამით ისარგებლა შალიკაშვილმა და თავის ბენეფისზე დარისპანის როლით გამოვიდა. ეს იყო ნამდვილი სიყვარულიანი დრამა, სიყვარულიანი მხატვრობა, ავტორის გადუხდელი დაჯილდოვება. ასეთივე შეღავათიანი მიღება შეხვდა „უბედურება“-საც, შალიკაშვილის და კონს. ანდრონიკაშვილის მხრივ.

ეს სითბო, ეს სიყვარულიანობა თან ახლდა ჩემს ლიტერატურულ შრომას, არასოდეს არ დაკლებია იგი და ამიტომაც ჩემი გაელილი ლიტერატურული გზა ბედნიერად გავლილ გზად მიმაჩნია.

1925 წ.

შერისხვა

კვირა დღე იყო. ის-იყო სოფლის ეკლესიაზე წირვაც გათავდა. სალოცავად მოსული ხალხი ეკლესიის გალავანში გაიფანტა, ჯგუფ-ჯგუფად დაიყო და შეიქნა ჩვეულებრივი სჯა-მუსაიფი სოფლელებს შორის. ერთ ადგილას რამდენიმე კაცი გულმოდგინებით ყურს უგდებდა რაღაც მხიარულ ამბავს, რომელსაც მოუთხრობდა ახალგაზრდა გლეხი.

— შე კაცო, შენ ერთობ მუსაიფში ხარ და კაცია საგუნაშვილმა ეს არის წმინდა გიორგიზე გადაგცა! — უთხრა მოამბეს ხანში შესულმა გლეხმა, რომელიც ის-იყო მიუახლოვდა მხიარულად მოლაპარაკე ჯგუფს.

— რას ამბობ, გიორგი? — მიაძახეს აქეთ-იქიდან.

— მართალს ამბობ, კაცო? — თავზარდაცემულმა წაილუღლუღა იმან, ვისაც მიუტანეს ხატზე გადაცემის არასასიამოვნო ამბავი.

— მართალს გეუბნები, შვილო, მა რა, გეხუმრები?.. რა სახუმაროა, შენ თვითონ თქვი! — მიუგო გიორგიმ.

ანდრია, ახალგაზრდა გლეხი, ეკლესიისაკენ გაიქცა და ერთ წამში კარებთან გაჩნდა. თითქმის იმავე დროს გამოჩნდა კაციაც, რომელიც ხელზე ბოხოხის ბერტყით ეკლესიიდან გამოდიოდა.

— ხატზე გადამეცი, მართლა, კაცია? — შესძახა ანდრიამ.

— მა რა გეგონა?! — უპასუხა კაციამ.

— რა დაგიშავე, კაცია? ეს გამაგებინე, რა დაგიშავე, რომ ასე ამომიჩემე... რომ აღარაფრით მზოგავ?.. თქვი მაინც, შე კაი კაცო... ამ ხალხს მაინც კარგად გააგებინე... ამათ გაჰსაჯონ, თუ რამეში მტყუანი ვარ შენთან!

— მაგათზე უკეთეს მოსამართლეს მიგეცი... ღმერთს, თვითონ ღმერთს და მასთან მყოფ წმინდანს გასცემ, შვილოსა, პასუხს!.. მე რაღას მედუდღუნები!.. ბევრი გეხვეწეთ, შენც და სხვასაც, მარა

არაფერი საქმე გამეწყო თქვენთან... შენ არ ააგულიანე სხვები?.. ორი ტკაველა მიწა მქონდა, იმასაც აღარ მიყენებთ!.. მე, ჩემო ეაქ-ბატონო, ჩემს თავს არავის დავაჩაგვრინებ... რა გზითაც იქნება, ჩემზე მოღერებულ ხელს მისივე პატრონს მოვახვედრებ... შენ ჩემთან აწი აღარაფერი სალაპარაკო აღარა გაქვს... წმ. გიორგის გაეცი პასუხი!..

— შენ გგონია, წმ. გიორგი მარტო შენს სიტყვაზე გეიარს?— გულმოსულად უთხრა ანდრიამ.

— მაგასაც შენი თვალებითვე დეინახავ!.. — და ამ სიტყვისთანავე კაცმა კიდევ დაიბერტყა ქუდი ხელზე, დაიხურა თავზე და მაღალი, მსხვილი ჯოხით ხელში, გარშემო მოკროვილ ხალხს გაშორდა.

მოხუცებული კაცია დარწმუნებული იყო, რომ ანდრიას თავზე ღვთის რისხვას მოიყვანდა... მისი სახის გამომეტყველება, რომელიც ისე აშკარად, ნათლად ეუბნებოდათ, რომ ამ კაცის დამორჩილება ადვილი არ არისო, რომ ის თავის შეურაცხყოფას არავის შეარჩენს, ვინც უნდა იყოსო, — მისი სახის გამომეტყველება ახლა ოთოქოს გეუბნებოდათ: ეჭვი არა მაქვს, რომ წმინდა გიორგი დასჯის ანდრიასო. ამიტომ ისე დინჯად გაბრუნდა ის მოშორებით, საფლავის ქვაზე მჯდარი გლეხებისკენ.

ყაბალახმოგლეჯილი ანდრია კი ისევ იმავე ადგილას, ეკლესიის კარებთან, იდგა და გარს შემოხვეულ გლეხებს ცხარედ შესჩიოდა:

— ჩემგან რა უნდა, რომ ვერ გავიგე?! მე რას მერჩის, რას ჩამცივებია, — ეს რომ ვიცოდე, სხვა არაფერი მინდა!.. ჩემ გარდა სხვა რამდენია, რომ არ მოამლევინეს ის ამოსაგდები გზა... რაღა მე ამომარჩია წმ. გიორგიზე გადასაცემად?!

— ეგ არ ვიცი კარგად, შენ რა ბრალს გდებს კაცია და უსამართლოდ რომ ირჯებით მთელი კუთხე, ეს კი ცხადია! — წამოიძახა ერთმა გლეხმა.

— რატომ, შე კაცო? უსამართლოდ რით ვირჯებით? — მიაძახეს აქეთ-იქიდან.

— რატომ არ ანებებთ მაგ კაცს მის ადგილს?.. მე არ მოვკვდე, მეც არავის მოვუთმენდი, მაგისთანა რამე რომ ექნათ ჩემთვის... რას მეუბნები?! მე და ჩემმა ღმერთმა, ერთი-ორი კაცი მაინც შემომაკვდებოდა იქვე!.. ბიჭო, უწინ გზა სადაც გქონიათ, იმაზე იარეთ... აბა, კაცს ადგილი ვეღარ გაუშვია, ადგილი ვეღარ დაუსვენებია! — ცხარობდა გლეხი.

— სადაა ეს ძველი გზა, აბა რას ამბობ, კირილე? მე პატარა ვიყავი, რომ იმაზე აღარავინ დადიოდა... ახლა ყანაშია შეტანილი!.. ვინ განახვებს თვალით და, ამასთანავე ის ძველი გზა სულ აღარ

ვარგა. არ გინახავს თუ? — სხაპასხუპით და გაჯავრებით თქვა ანდრიამ.

— ამიტომ კაციას ძალით ართმევთ ადგილს? კარგია შენმა გაზდამ! — მიაძახა კირილემ.

— ძალით ვინ ართმევს, შე კაცო! მაგას რატომ კადრულობ? — ჰოისმა ზოგიერთების ხმა.

— ძალითაა, აბა რა, ვინ შეეხვეწა? თავიდან ძალის დატანება ჰოუნდომეთ... კაცი გაახელეთ და ახლა აღარ უნდა თავი დაგაჯაბნებინოსთ! ასე მოგექცეოდათ, აბა რავა გეგონათ? — არ წყნარდებოდა კირილე.

— შე დალოცვილო, საქმე სასამართლოში იყო და იქაც გადასწყვიტეს აგრე, რომ გზა კაციას ადგილზე დარჩენილიყო... ჯიუტია მაგ დალოცვილი, სხვა არაფერი! — წამოიძახა ერთმა მოხუცებულმა გლეხმა.

— მე კი მაინც ჩემსას ვიტყვი. — რატომ ამომიღო თვალში? მე, მე რად გადამცა ხატზე? გასაკვირველია, ღმერთმანი! — მხრების აწევით თქვა ანდრიამ.

— ეჰ, შენც კიდევ!.. რა გაწუხებს?! მაგნაირ უსაფუძვლო გადაცემას ძალაც არა აქვს! — თანაგრძნობით უთხრა ანდრიას ერთმა იქ მყოფთაგანმა.

— დიახ, ეგ მართალია, ბერიკო, მაგრამ მაინც გეწყინება, რაზე უნდა წაგაყენოს ხატთან ტყუილუბრალოდ კაცმა? — მიუგო მას ანდრიამ.

საქმე იმაში იყო, რომ კარგა ხანმა გაიარა მას აქეთ, რაც კაცია საგუნაშვილმა ერთი თავისი საყანე ადგილი შესასვენებლად გაუშვა და აღარ დაუმუშავებია, ღობეც აღარ გაუყოლებია მის გარშემო, — ადგილი მოღალული იყო, თითქმის არაფერს იძლეოდა. სოფლელებმა ამ შემთხვევით ისარგებლეს და შესვენებულ ადგილზე სიარული დაიწყეს, რადგანაც ამ ახალი გზით ერთობ ემარჯვებოდათ სიარული მახლობლად მდებარე ბაზრიან დაბაში და საყანეებზედაც. ძველი გზა, რომელიც სრულიად წამხდარი იყო, მიიივიწყეს და მის შეკეთებას აღარავინ დაეძებდა. ამით ისარგებლეს იმ ძველი გზის მახლობლად საყანე ადგილების პატრონებმა და მოსპეს გზა. ეგ იმათთვის მეტად საჭირო იყო, რადგანაც გაფუჭებული გზის თიხნარი ნაპირები ნელ-ნელა ინგრეოდა და ამით ფუჭდებოდა საყანეებიც. დროთა განმავლობაში ეს ძველი გზა ყველამ დაიივიწყა, მით უფრო, რომ კაციას ადგილზე სიარულის დამშლელი არავინ იყო. კაცია, თავის მხრივ, დარწმუნებული იყო, რომ, როცა კი მოინდომებდა, ყოველთვის შეკრავდა თავის ადგილს. მაგრამ ბოლოს სულ

სხვა გამოდგა. როცა კაციამ ერთ დღეს მოინდომა გაშვებული საყანის შემოღობვა, მეზობლებმა მოითხოვეს ერთი ნაწილი გზად დაეტოვებინა. კაცია ავარდ-დავარდა ამაზე, ყური არავის ათხოვა, ღობვა დაიწყო, მაგრამ ღობე ისევ მოურღვიეს. კაციამ დაიწყო მუქარა, მოეკლავ ვისმე იმ ჩემ ადგილზედაო, მაგრამ მაინც არავინ შეეპუა, მით უფრო რომ ყველასათვის ეგ იყო ერთადერთი გზა. საქმე სოფლის სასამართლომდის მივიდა. მოსამართლენი მოვიდნენ, დაათვალიერეს ის ადგილი, სადაც ძველი გზა მიდიოდა, ეს ახალი სადაო გზაც და გადასწყვიტეს: რადგანაც ძველი გზა მეტისმეტად გაფუჭებულია და მისი შეკეთება ყოველად შეუძლებელია, ამის გამო კაციას ადგილს უნდა ჩამოსჭროდა ერთი ნაწილი ახალი გზისთვის. კაციასთან ერთად ერთმეოდა ცოტა მიწა მის მეზობელ ერთ გლეხსაც. ეს უკანასკნელი ადვილად დაითანხმეს, კაცია კი ვერაფრით ვერ დააწყნარეს, ვერ ჩააგონეს, რომ უნდა დაეთმო ის ცოტაოდენი მიწა სოფლისათვის.

— ღვთით, არაფერი გიჭირს, სხვა ადგილებიც გაქვს. ბევრი-ბევრი, ორი ბათმანი მოვიდეს ამ ჩამონაჭერზე... უნდა დაუთმო სოფელს, აბა რა ქნას სოფელმა? — ეუბნებოდნენ კაციას.

— ძველ გზაზე იარონ!

— რომ აღარ შეიძლება იმ გზით სიარული, შე კაცო, განა შენ თვითონ არ იცი?..

— მერე მე რა?.. სადაც გინდათ, იქ გააკეთეთ ახალი გზა... მე კი ჩემსას არავის დავანებებ... დავუთმო სოფელს ჩემი ადგილი და მე მშიერი დავრჩე?.. — გაჯავრებით ამბობდა კაცია.

— შე კაცო, აქამდის ასე იოლად რჩებოდი ამ ადგილით, ახლა დაგამძიმებს და მშიერს დაგარჩენს ორი ტკაველა მიწის ჩამოჭრა? მერე საზოგადოებისათვის!.. — უთხრა ანდრიამ, რომელიც სოფლის ერთი მოსამართლეთაგანი იყო.

— საზოგადოებისათვის კი არა, ის კიდევ!.. მითქვამს — არ დაგითმობთ... მორჩა, გათავდა... სოფელი ფეხებზე მკიდია! — გაჯავრებით წამოიძახა კაციამ.

— სასამართლოს განაჩენი რომ შესდგა, მეტი რა გზა გაქვს არ დაუმორჩილდე!.. — უთხრა მეორე მოსამართლემ, რომელიც მოთმინებიდან გამოიყვანა კაციას ჯიუტობამ.

— გლახა ანთიმოზა გგონივართ მე, რომ თქვენს წინაშე იმასავით თავს მოვიხრი?.. დიახ!.. მიროი სუდში ვიჩივლებ... თუ საჭირო იქნება, ოკრუჟნი სუდშიაც გიახლებით... იმას ნუ იფიქრებთ, რომ თქვენ ჩემი თავი დაგაჯაბნებიოთ!

— ტყუილად გაირჯები, ჩემო კაცია. ამ საქმეს სხვაგან არსად

არ მიიღებენ გასარჩევად, არც მიროი სუდი და არც ოკრუჟნი, — უთხრა ანდრიამ.

— თუ არ მიიღებენ, მე სხვა გზასაც მოვნახავ, სადაც პასუხს აგებო თქვენი უსამართლობისათვის... კი მიგაცემიებთ პასუხს, სადაც იქნება!.. ნამეტურ შენ, ვაჟბატონო! შენ რომ დიდი მოქალაქე ბრძანდები! — მიუბრუნდა კაცია ანდრიას: — შენ შეგაწევ ჩემს დაჯაბნებას, გგონია?.. მოგიკვდეს მაშინ კაცია, შენი წიხლი დამკარი... კაცია არ ვიქნები, თუ შენი დაბადების დღე შენვე არ გაწყევლინე!— ყვიროდა ძალზე გაჯავრებული კაცია. — ახლა კი, რაც გინდათ, ის ქენით! — და განრისხებულმა კაციამ ჩქარი ნაბიჯით თავის სახლისკენ გასწია.

— რა უნდა ელაპარაკო ამისთანა კაცს? — მხრების აწევით თქვა ანდრიამ და თან თვალები გააყოლა კაციას, რომელიც კიდევ მოჩანდა ორღობეში მიმავალი.

კაციამ აასრულა თავისი სიტყვა. აღარც თავი დაიზოგა, აღარც თავის მოხუცებულობას მოერიდა, — ბევრი იწანწალა, ორიოდე ადვოკატთანაც იყო ძღვენით, მაგრამ ვერაფერი ვერა გააწყო რა. ანდრიას სიტყვა მართალი გამოდგა და ეს უფრო გულს უკლავდა მოხუცებულს.

აენთო კაცია. ის ჰგავდა მხეცს, რომელიც არა ღონისძიებას არ დაერიდებოდა, ოღონდ კი რითიმე თავისი ჯავრი ამოეყარა, განსაკუთრებით იმ გაიძვერა, მოტიკტიკე ანდრიაზე, რომელიც თავი და ბოლო იყო სოფლის მოსამართლეებს შორის. კაციას ერთი გზაღა დარჩა თავის შემავიწროვებელთა მოთავის დასასჯელად და კიდევაც გადასწყვიტა, მიემართნა ხატისათვის. გადაწყვეტილება აღსრულებაში მოიყვანა და კიდევაც ჩაუგდო ხატს ხელში, — გადასცა წმ. გიორგის ხატზე ანდრია. სადღა წაუვიდოდა წმ. გიორგის ანდრია? ეჭვი არ უნდოდა, წმ. გიორგი უსათუოდ დასჯიდა ანდრიასაც და მასთან მის უკეულმართ მოსამართლე ამხანაგებსაც, — ეს მტკიცედ სწამდა კაციას.

ამ დღიდან კაცია გულდამშვიდებული ელოდა წმ. გიორგისაგან ანდრიას და მის ამყოლთა საჯაროდ დასჯას.

— დამაცათ, შვილებო, ისევ თქვენვე შემეხვეწებით ადგილი ჩავიბარო, როცა ჩემი გამჩენი შავს დღეს დაგაყენებსთ!.. ვეღარსად იჩიელებთ!.. აბა ენახოთ!.. ღმერთიც დაივიწყეთ?! ვითომ იმას ამა სოფლის აღარაფერი ეყურება?! ჰაი გიდი, რანაირი ხალხი იზდეება?! — ხშირად იმეორებდა კაცია.

დრო და ხანი გადიოდა, მაგრამ წმინდანის რისხვის ნიშნები კი

არსად ჩანდა. კაციას მოუთმენლობა დაეტყო. ნეტა რად ატარებს წმ. გიორგი ამდენს ხანს უვნებლად ანდრიას და არაფრით არ იჩენს იმაზე თავის საკუთარს?! ამ მოუთმენლობას ის უფრო უმატებდა, რომ ამ ბოლო დროს ანდრიასაც მეტი რაღაც მხიარულება ემჩნეოდა, იგი უფრო გათამამდა და, როგორც სხვები ეუბნებოდნენ კაციას, ვითომ არაფრად აგდებდა კაციასაგან ხატზე გადაცემას. პირველ ხანებში, მართალია, ანდრია შეშინდა, თუმცა თავისი სიმართლის იმედი ჰქონდა; ორჯერ ძღვენიც მიართვა წმინდანს, მაგრამ მერე, როცა გაიარა ხანმა და იმის ცხოვრებაში ისეთი არა მომხდარა რა, დაიმედდა და სრულიად მიივიწყა, რომ კაციასაგან გადაცემული იყო.

კაცია სულ ერთიანად აამღვრია ანდრიას ამგვარმა უდარდელმა ყოფაქცევამ. ახლა ის გუნებაში წმ. გიორგისაც ემდუროდა შეგვიანებისათვის. ბერმა კაცმა იმ ზომამდისაც მიაღწია, რომ ხმამაღლა დაუწყო წმინდანს მდურება.

— განა დღესავით ნათელი საქმე არაა!.. გამოძიება ეჭირვება კიდევ თუ?!

— რატომ ხარ, შე უბედურო, მაგდენად უგუნური, რომ წმ. გიორგის უსწორებ სამართალს?! სულწასულობაა ეგ, მეტი არაფერი... გაჩუმდი, შენთვის იყავი... წმ. გიორგიმ, — ვენაცვალე მის ძლიერებას! — შენზე უკეთ იცის, როგორ უნდა მოიქცეს, ან ვინ როდის დასაჯოს... — შეუტია კაციას მისმა ცოლმა, მოხუცებულმა დოდომ.

— როდემდის ვუყურო?.. ვერა ხედავ, გათამამდა და გამხიარულდა მტერი?.. მაშ, სიავკაცე და ავაზაკობა ჯობნებია სიმართლეს?! საიდან გაიგოს კაცმა, რომელი სჯობია, თუ წმინდანიც ყურს არ მიაქცევს შევიწროებული ადამიანის თხოვნას და თავის დროზე არ დასჯის კაცის შემაწუხებელს?.. რას მეუბნები შენ! — ამბობდა გულმოსული კაცია.

— გაჩუმდი-მეთქი, გაჩუმდი, ნუ ჩერჩეტობ უთავბოლოდ! ვის უჯავრდები, შე შეჩვენებულო? ვის ასწავლი, ვის არიგებ ჭკუას?.. სრულიად შეიშალე, შე უბედურო, ამ ბოლო დროს... აღარაფრის გაგება აღარა გაქვს!..

— მომშორდი, დედაკაცო, თავიდან! — მიაყვირა კაციამ დოდოს და ფეხზე წამოვარდა: — მე შენზე უკეთ ვიცი ჩემი საქმე... როდის იყო ჩემთვის საჭირო დედაკაცის დარიგება? — მოჰკიდა ჯოხს ხელი და ეზოდან გავიდა.

მოხუცებული კაცია ახლა ანდრიასთან ერთად წმ. გიორგისაც ემდუროდა და ამ სამდურავს ხმამაღლა წარმოსთქვამდა ხოლმე.

ეკლესიაში რომ იდგა, ხშირად თვალმოუშორებლად და საყვედურით მისჩერებოდა წმ. გიორგის ხატს, თითქოს უნდოდა ამით გაეგებინებინა წმინდანისათვის: „ნუთუ დაგავიწყდა, რასაც გთხოვდიო?!“

ვერაფერ საქმეს ხელს ვერარ ჰკიდებდა, აღარაფერი აღარ ახსოვდა კაცია იმის მეტი, რომ ის დაექადნა ანდრიას, წმინდანის შემწეობით ჯავრს ამოვიყრიო, მაგრამ ვერც ეს აასრულა და თვით წმინდანმაც არავითარი ყურადღება არ მიაქცია მას.

დიდმა მარხვამ გაიარა. კაცია, რომელიც ყოველ წელიწადს ეზიარებოდა ხოლმე ამ დროს, წელს არ ზიარებულა. გათენდა აღდგომაც, მაგრამ იმის გულს ამ სამხიარულო დღესაც არ გაუხარია.

აპრილის მშვენიერი დილა იყო, აღდგომის მეორე დღე. ეკლესიაზე მრავალი ხალხი იყო თავმოყრილი. ჩვეულებისამებრ, დღეს ხატებით უნდა შემოეელოთ ეკლესიისათვის და მერე მღვდელს ხალხი უნდა დაელოცნა. წირვა გათავდა. ეკლესიიდან ხალხმა გამოსვლა იწყო.

— ყველა ხატებს გავყვეთ, ყველა! — დაიძახა ვიღაცამ.

— უთუოდ, უთუოდ!.. აბა რისთვის მოსულხართ... სეირს უყურეთ თუ? — დაუმატა მეორემ.

— უტიეთ, ყმაწვილებო, გზა მიეცით!.. რატომ იცით კარებში გაჩერება! — მიაყვირა ერთმა მოხუცებულმა გლეხმა რამდენსამე კაცს, რომელნიც ეკლესიის კარებთან შეჩერდნენ და ერთმანეთს დღესასწაულს ულოცავდნენ. — ვერ ხედავთ, ხატებს მოასვენებენ?

მართლაც, კარებში გამოჩნდა ხატებით ხელში რამდენიმე გლეხი, მათ უკან მოჰყვებოდა შემოსილი მღვდელი სასხურით მარჯვენა ხელში და ჯვრით მარცხენაში. მღვდელი თან ჯვარს სახავდა ხალხს და თან წმიდა აიაზმის წყალს ასხურებდა.

— ნუ გაჩერებულხართ, ყველა ხატებს გამოჰყევით... ეკლესიას შემოვუაროთ! კირილე, პეტრე, ვის უყურებთ?.. ეკლესიას შემოუარეთ! — უძახოდა მღვდელი ხალხს.

— კირიე-ლეი-სონ! კირიე-ლეი-სონ! — გაიძახოდა იმდენი ხალხი და წყნარის ნაბიჯით მიჰყვებოდა უკან ხატებს. უკვე სამჯერ შემოუარეს ეკლესიას და შემდეგ ხატები გალავანში გაიტანეს და იქ დაასვენეს.

ხალხი გარს შემოეხვია მღვდელს. ამ უკანასკნელმა რამდენიმე ლოცვა წაიკითხა და ხალხს უბრძანა ხატების წინ მუხლთ მოიყარეთო.

— წმიდაო გიორგი! — მიმართა მღვდელმა წმ. გიორგის ხატს, რომლის სახელიც ერქვა ამ ეკლესიას: — წმიდაო გიორგი! ყველა ესენი შენი ყმები არიან, შენი მმოსავნი. შენს მფარველობის ქვეშ

მყოფნი, შენი მავედრებელნი და გეხვეწებიან მუხლმოდრეკილნი, რათა შეისმინო მათი ვედრება, ნუ მოაკლებ ამათ ნუგეშისცემას, წყალობას შენსას, განაშორე ყოველივე ბოროტი, განაძლიერე ამათში კეთილი, დათრგუნე ავი და შთანერგე შიში და სასოება რათა ადიდონ სახელი შენი, ჩვენო მფარველო, ჩვენო სასოებავ, ჩვენო პატრონო უკუნითი უკუნისამდე!..

— ამინ, ამინ! — ისმოდა ყოველი მხრიდან.

ჯერ კიდევ არა ჰქონდა მღვდელს გათავებული ვედრების სიტყვა, რომ მოშორებით მდგარი კაცია საგუნაშვილი წამოიკრა წინ, მისწი-მოსწია დაჩოქილი ხალხი და ერთ წამს წმ. გიორგის ხატთან გაჩნდა.

— ესმის ახლა ვითომ მაგას რამე?.. ძაღლი ვიყავი მე, ჩემი რომ ირაფერი შეისმინა მაგან?! — საშინელი ხმით წამოიძახა აცახცახებულმა ბებერმა კაცმა.

ეს ისე სწრაფად, ერთი თვალის დახამხამებაში მოხდა, რომ ვერავინ მოასწრო მოხუცებულის შეჩერება. მღვდელი გაფითრებული, გონებადაკარგულივით მისჩერებოდა განრისხებულ მოხუცს.

— რას ამბობ, შე შეჩვენებულო? — მიაძახეს აქეთ-იქიდან კაციას. ვიღაცამ ხელიც ჰკრა; კაცია წაბარბაცდა, მაგრამ არ წაქცეულა.

— კაცია, გაგიჟდი?

— ჭკუაზე შეიშალე? — უყვიროდნენ გარშემო.

— რა ქნა ამ შეჩვენებულმა!.. უმაგალითო საქმე არ ჩაიდინა?! — ამბობდნენ გაოცებული მაყურებელნი.

— რაო, რა თქვა? — კითხულობდნენ მოშორებით მდგომნი.

— წმ. გიორგის ხატი ჰგმო!.. — იყო პასუხი.

— კაცია საგუნაშვილმა ხატი ჰგმო!.. კაციამ ხატი ჰგმო! — ისმოდა ყველგან და ამ ამბავმა ელვასავით შემოირბინა იქაურობა.

— რატომ ქნა მაგ შეჩვენებულმა ეგ ამბავი? — კითხულობდნენ ზოგიერთნი.

— ანდრია ჭურაშვილი ჰყავდა გადაცემული და რატომ წმ. გიორგიმ არ დასაჯაო!

— ეაი, გაგიჟებულა, ნამდვილ გაგიჟებულა ეგ უბედური! — ამბობდნენ და ყველას თვალი მიქცეული ჰქონდა ამ საკვირველი მოხუცისაკენ, რომელიც დინჯად, მაღალი ჯოხით ხელში, გალავნის ჭიშკრისაკენ მიდიოდა.

უეცრად ქალის საშინელმა კივილმა შესძრა იქაურობა.

— მომკალით!.. მომკალით!.. რა დღეს შევესწარი?.. მომკალით!.. ვაიმე, ვაიმე!.. რადა ვარ ცოცხალი, მე წაწყმენდილი!! — კიოდა

მოხუცებული დედაკაცი, რომელიც მორბოდა იმ მხრიდან, სადაც ქალები იდგნენ ცალკე. ეს იყო კაციას ცოლი დოდო.

— სადაა, სად, ის შეჩვენებული?.. სად არის?.. თვალით დამანახეთ ერთი! — სასოწარკვეთილებით გაიძახოდა დოდო.

— ეგერ მიდის, დედავ, აი, ეგერ ჭიშკართან! — მიუთითეს კაციაზე.

დოდოს თითქოს დაავიწყდა თავისი მოხუცებულობა და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გაექანა კაციასაკენ.

— სად მიხვალ?.. სად ჯანდაბაში მიყავხარ ეშმაკს, შე წყეულო?! სად მიეთრევი... სად მიეთრევი, შე სამიწევ?! — მირბოდა და თან კიოდა დოდო.

ის-იყო კაციამ გალავნის ჭიშკრის კარი გააღო, რომ მას ქორივით დაეტაკა ცოლი, ჩააფრინდა ჩოხის კალთაში და უკან დასწია.

— სად ეშმაკებში მიხვალ?.. სად ჯანდაბაში მიხვალ?.. ახლავე დაბრუნდი!.. დაბრუნდი-მეთქი და ხატს შესთხოვე გაპატიოს!.. გესმის ჩემი თუ არა?.. — შესაზარი ხმით მიაყვირა კაციას დოდომ.

— იქით!.. მომშორდი! — ყრუდ წაილაპარაკა კაციამ და ს

მწუხარებას რომ ხედავდა. — ნუ გეშინია... წმ. გიორგი ყურადღებასაც არ მიაქცევს მაგის უგუნურობით ჩადენილ საქციელს... ოღონდ ილოცე. შვილო, ევედრე და სულგრძელი წმინდანი შეუნდობს, თუ შენი ქმარი შეიგნებს თავის ცოდვას... შედი, შვილო, ეკლესიაში: წმ. გიორგის დაუჩოქე და ევედრე... ნუ გეშინია, ღმერთი მოწყალეა. და სულგრძელი!..

მღვდელმა გადასახა ჯვარი დედაკაცს; დოდო ხელზე ემთხვია, მერე შევიდა ეკლესიაში და იქ, წმ. გიორგის ხატის წინ მუხლმოდრეკილი, დიდხანს ევედრებოდა ცხარე ცრემლით მტირალი, რათა შეენდო ყოვლად მოწყალე წმინდანს ქმრისათვის უგუნურებით ჩადენილი საზარელი საქციელი.

მღვდელი კი ისევ ხალხს ელაპარაკებოდა:

— ერთობ უცნაური ხასიათისა ვართ... ბუზს არ გადავიფრენთ ხანდახან თავზე... გულისწყრომას ხომ საზღვარი არა აქვს ხშირად... თუ რამ დავიჯინეთ, იმის გადათქმას სიკვდილს ვარჩევთ, თუნდაც რომ მტყუანიც ვიყვეთ... უთუოდ ჩვენს ნებაზე უნდა იქნეს ყველაფერი და თუ ისე არ იქნა, საშუალებასაც ალარ გავარჩევთ, ოღონდ კი სურვილი ავისრულოთ... დათმენა რა არის...—ხშირად არც კი გვინდა ვიცოდეთ. და აი, სადამდის მივყავართ ამნაირ ჩვენს ხასიათს... თვით ღმერთსაც კი ვებრძვით... კაცი წმინდანს ებრძვის, რატომ ჩემს ნებაზე არ გაიარეო, რატომ ჩემი ნება არ აასრულეო... ამაზე მეტი შეიძლება?! აი, სადამდის მივყავართ ჩვენს გულფიცხობას... აი, სადამდის მიდის ჩვენი უგუნური გულისწყრომა!.. დამშვიდდით. შვილებო, ისწავლეთ მოთმინება, რომ გულფიცხობაში ჩადენილი საქციელი შესანანებლად ისევ თქვენვე არ დაგირჩეთ!..

იმ სამახსოვრო დღიდან საკვირველად გამოიცვალა კაცია. ძვირად უნახავთ, რომ ვისმეს დალაპარაკებოდა. თავის ოჯახშიაც ცალკე ყოფნას ცდილობდა ყოველთვის. ხანდახან, დოდო რომ მასთან ლაპარაკს დააპირებდა, კაცია წამოდგებოდა, აიღებდა ჯოხს და სადღაც მიეშურებოდა. ბოლოს უწყინარ შეშლილს დაემსგავსა.

მოტყდა, უცნაურად მალე მოტყდა, სრულიად დაბერდა და მოიკუმშა ამას წინათ წარმოსადეგი კაცია. ზედვე ეტყობოდა, რომ იგი სწუხდა, სწუხდა გადამეტებით, მაგრამ ხმას არ იღებდა.

ერთხელ ისე მეტისმეტად შეწუხდა, რომ მთელი ოჯახი ფეხზე დადგა.

— არიქა, ბიჭო გიორგი, მღვდელთან!.. მალე! — შეჰყვირა დოდომ თავის ვაჟს.

— არ მინდა, არა!.. — ძლივს წამოილუღლუღა კაციამ, რომელიც საზარლად კვნესოდა ტახტზე მწოლიარე.

— მალე, შვილო, მალე!.. უზიარებელი არ მოკვდეს ეს შავდღეზე გაჩენილი!.. ღმერთო დიდებულო, მოხედე შენი მოწყალე თვალით!.. — და ღოდო რომ ავადმყოფთან ფუსფუსებდა, გიორგი მღვდელთან მირბოდა თავმოძულებით.

ცოტა ხანს იქით კაციას მღვდელი ადგა თავზე.

— რას შვრები, კაციას?.. როგორ ხარ? — ჰკითხა მღვდელმა.

კაციამ ჯერ ხმა არ გასცა, მერე გადმოხედა, მიაპყრო თვალები. დიდხანს უყურა, ხელი გამოართვა, წამოიწია, ემთხვია ხელზე. მერე უცბად ისევ დაწვა, კედლისაკენ ქნა პირი და კვება დეეკაცი ბავშვივით ატირდა სიტყვის უთქმელად. ამ მწარე, საცოდავად მოთქმამ მღვდელს გული აუჩვილა; ცრემლებით თვალებზე ის გულმხურვალედ ლოცულობდა და თან ნუგეშს აძლევდა საცოდავ მოხუცებულს.

კაცია ეზიარა.

რამდენიმე დღის შემდეგ მოხუცებული მოკვდა საშინელ ტანჯვაში. საწყალი ბერიკაცი თავის გულს შემოასკდა; გულფიცხობამ იმ ზომამდის მიიყვანა, რომ უმაგალითო საქციელი ჩაადენინა და ამ ჩადენილი საქციელის მოგონება, რომლის გასწორებაც მის თვალში შეუძლებელი იყო, წარმოუთქმელად აწუხებდა, სტანჯავდა, სტანჯავდა მუდამ, ყოველ ჟამს, ყოველ წუთს, ისე რომ ბოლოს ბერიკაცს ძალ-ღონეც გამოელია და სულიც დალია.

— ვერ ვიტირებთ, — ამბობდნენ მეზობლები: — ღმერთს ვაწყენინებთ, რომ მისი მგმობელი ვიტიროთ! — და ამიტომაც მიცვალებულ კაციას სასაფლაოზე მხოლოდ ცოლ-შვილი მიჰყვა და ესენიც მხოლოდ იმის უბედურ დღეზე გაჩენას დასტიროდნენ.

1894 წ.

მსხვერპლი

ახალგაზრდა, ლამაზი მარინე პარასკევობაზე ისტუმრებდა თავის ქმარს ნიკას.

— არ დაგავიწყდეს, — ეუბნებოდა იგი ქმარს: — ეს საჩოხე შალი ხუთ მანეთ ნაკლებ არ გაყიდო; ამ გაროზში თუ მოგცეს ორ მანეთ-ნახევარი გაყიდე, თუ არა და ისევ სახლში მოიტანე... ეს ოთხი წიწილი სამ-სამ შაურად... ამ გაროზში რომ ფულს მოგცემენ, იმითი ერთი კაი ბაღდადი მიყიდე და მომიტანე...

— ბაღდადის ყიდვისა მე არაფერი ვიცი, — მიუგო ნიკამ.

— ნაცნობი ვინმე შეგხვდება, შე კაცო, შეეხვერწე და გაყიდვიებს... მარა კარგი იქნეს კი!

— რა ფერის გინდა?

— თეთრი იქნეს... თუ გინდა ცისფერი... ფოჩვიანი თუ იშოვო, ძალიან კარგი იქნება... ორ მანეთ-ნახევრად კარგ ბაღდადს იშოვი.

— ფულები აღარ გეტევათ ზანდუკებში? — თქვა ამ ლაპარაკის დროს სახლში შემოსულმა მაღალი ტანის, ცოტათი წელში მოხრილმა მოხუცებულმა დედაკაცმა: — ფული არ გეტევათ ზანდუკებში?

— სახლში მოსატანი ფულისათვის, ბატონო, საჩოხე შალს ვატან და ოთხ ახალ ქათამს... ბაღდადს მარტო გაროზის ფასი მიყიდის... ყველას ახურავს თითო ბაღდადი, მე კი უბრალო თავსაფრით დავდივარ ეკლესიაზე... მარტო მრცხვენია!.. — თავდაბლად უპასუხა მარინემ მოხუცებულ დედამთილს.

— ათასჯერ მითქვამს შენთვის... სხვისი წამხედურობა შენი საქმე არ არის, არა... ჩვენ არ გვარგებს, ქალბატონო, არ გვარგებს... რომ ვერ ჩავაგონე!.. შენ, ვაუბატონო, ბაზრობა რომ გათავდება, მაშინ წადი, შენმა სიცოცხლემ, — მიუბრუნდა ფეფენა ნიკას: — რას გაჩერებულხარ?.. გასწი შენთვის და დროზე მოდი სახლში... ფული თელათ მოიტანე!..

ნიკამ, დედის ბრძანებაზე, სიტყვაშეუბრუნებლად, მოხვია ხელი რაც წასაღები იყო და საჩქაროდ კარში გავიდა. მარინე კი გულამღვრეული მისჩერებოდა, თვალს არ აშორებდა ფეფენას.

— გეუბნები, პრანჭვა-გრეხას თავი დაანებე-თქვა!.. რაღა დროს შენი კოპწიაობაა... ვის ეპრანჭები, მითხარი ერთი? ქმარი გყავს, იმას მოაწონე შენი თავი... ამ სხვებზე რომ თვალი მიგირბის...

— ვის სხვას ვეპრანჭები, ბატონო?.. ვის ვეპრანჭები, მითხარით მაინც, რომ ყოველდღე ამას მეუბნებით?..

— მუსაიფი გამაბმევიე ახლა მაგაზე!.. — შეუტია მოხუცებულმა.

— აბა, რა ვქნა, ღმერთმანი? ასე ტყუილაუბრალოდ შეწამებამ გული მომიკლა!..

— ტყუილაუბრალოდ? ჰმ! ტყუილაუბრალოდ?.. მე გული მომეხარჩა, ჩემო ქალბატონო, შენ რომ გიყურებ... გესმის, შენ რომ გიყურებ, გული მომეხარჩა!..

— რა ვქენი მაგისთანა? რა დავაშავე? — ცხარედ წარმოსთქვა ქალმა: — მითხარით მაინც, რა დავაშავე?

— ეგ თქვენი ახალი განათლება არ მინდა მე, არა; არა-მეთქი, გეიგონე ჩემი... ნუ იცი ყოველ კაცთან შენებურად ლაქლაქი, დოურიდებლად ყბედობა, არ შეგფერის ეგ ცუნდრუკი და კისკასი... არა, არა... მე ვიცი, რა ბოლო მოჰყვება მაგისთანა თავისუფლებას...

— მე აღარავის ვცემ ხმას... ყველას ჩამოვეთხოვე... სულ მუნჯად კი ვერ გადავიქცევი, რა ვქნა!

— ყველას ჩამოეთხოვე, ყველას ჩამოეთხოვე... ხმას აღარავის ცემ?.. აბა, ეს გლახაკი, გაქუცული აზნოუშვილი დავითი რას დაწანწალობს ჩემს სახლში? რა უნდა კარუგდელაძეს ჩემს ოჯახში?.. მანამდის როდის ყოფილა იგი ამ ჩემ მიდამოზე მოსიარულე?.. ასე ჩამოეთხოვე ყველას?..

— ბატონო, მე ვერ ვეტყვი ვერაფერს იმ ადამიანს... თქვენ უფროსი ბრძანდებით... თუ გწყინთ მისი აქ მოსვლა, თქვენ დეითხოვეთ და ის იქნება... მე რა ბრალი უნდა მედებოდეს... — მარინეს ხმაში შეკავებული ცრემლები ეტყობოდა.

— მე დევითხოვო?.. თუ შენ, თუ შენ, შენ უნდა დაანახო, რომ ტყვილა დაგდევს უკან?.. გამიფრთხილებიხარ, იცოდე, რომ რამე სირცხვილი მაჭამო, ოჯახი გამიხადო ქვეყნის სალაპარაკოდ, სამასხაროდ ასაგდებად, იცოდე, ან შენ და ან მე!.. არაფრით არ დაგზოგავ, ცოცხალი ვერ გადამირჩები, იცოდე! — და ამ სიტყვებთან ფეფენამ ისეთნაირად გადახედა მარინეს, რომ ეს უკანასკნელი აქედანვე უნდა დარწმუნებულიყო: ეს, თავისნება მოხუცებული დე-

დაკაცი ერთ გუნებაზე მართლა და არ დაზოგავდა მას არაფრით.

— ოჯახს უყურე... ოჯახზე გქონდეს უფრო თვალი, გირჩევნია... თვარა, შენისთანა განათლებული ქალი ერთი კდ არ გვინახავს შერცხვენილი და თავსლაფდასხმული თავისი გაუფრთხილებლობის წყალობით! — წაილაპარაკა ფეფენამ და რძალს მოშორდა.

რა პასუხი მიეცა ამაზე მარინეს? რა მიეგო ამ სიტყვებზე? ან როგორ მოახერხებდა რაიმე პასუხი მიეგო, როცა ტანი მთლად უცახცახებდა აღელვებულს და ყელში ცრემლები უჭირებდნენ... რარიგად გაჰქილა, ტალახში ამოსრისა მისი თავმოყვარეობა, მისი ნაშუსიანობა და სიყმაწვილე ამ უსინდისო დედაბერმა?! მერე რისთვის? მხოლოდ ეპვისათვის!.. ჰმ, ერთი ამ მოხუცებულის ფეხქვეშ მოთელვა, მისი ჩაწიხელა! — მაგრამ ეს აზრი, ეს სურვილი წარეცხა თვალებიდან ერთბაშად ნაკადულივით გადმოკრიალებულმა ცრემლებმა.

ამ ცრემლების სიმწვავემ თითქოს გამოაფხიზლა მარინე — კაბის სახელოთი მოიწმინდა თვალები, მიტრიალდა და გავარდა კარში; დაეშვა ეზოს ქვემოთ მდებარე ვენახისკენ, გადახტა ვენახის ბოლოში ღობეზე და შარაგზით მიჰქროდა და თან იძახდა: „რა ვქნა, რა ვუყო ამ დედაბერს?.. ღმერთო, რა ცეცხლში ჩავვარდე?!“

მან მიირბინა თავისი ქმრის ბიძისას.

— ბიძია, ბიძია ჩემო, თავი უნდა მოვიკლა! — ძლივს ამბობდა აღელვებული მარინე.

— რა იყო? რა ამბავია, შე ქალო? — ერთხმად შეჰკითხეს ორთავე ცოლ-ქმარმა, ონისიმემ და სოფიომ, მარინეს შეხედულობით გაკვირვებულებმა.

— ბიძია, ან ჩემი თავი უნდა მოვიკლა, ანა-და ის დედაბერი, ის მართლა კუდიანი, არაწმინდა, ის უნდა მოკვლა... მეტი გზა არ მაქვს... გამიჭირდა, სიცოცხლე გამიჭირდა მისგან!

— რა დაგემართათ, რა მოგივიდათ? — ისევ კითხულობდნენ მოხუცებულები. — დაჯექი, შვილო, და ისე გვიამბე! — უთხრა სოფიომ.

— ყველაფერს ვითმენდი, ყოველ იმის სიპილწეს ვუძლებდი... შეხედავდა, მეგონა, რომ არა ვარ ოჯახზე ორგულად... რომ ცუდი არაფერი მჭირს... რა არ ამიტანია სიტყვის უთქმელად... მეგონა, მცდის-თქვა... ვცდილობდი რამერიგად მისი ოხერი გული მომეგო... მარა არაფერი, არაფერი მე მასთან არ გამივიდა... კაცს ხმას ნუ გაცემო, კარგად ნუ იცვამო... ძონძებში რავა გამოვეხვიო, როცა, ღვთით, ვშოულობ, ვხელსაქნარობ... ქმარს — ის უიმისოდაც სულელია — ქმარს მიხელებს, რას არ ეუბნება, აგულიანებს... დღეს რე-

ები არ გამაგონა?!. რა არ მითხრა?!. რა არ შემწამა?!. რატომ იქვე არ მოვკვდი!.. რა ეპვები შემოაქვს ჩემზე?.. ღმერთო, ღმერთო, რატომ ვარ ცოცხალი ამის შემდეგ?! — და მარინემ დაწვრილებით უამბო ონისიმეს და სოფიოს დედამთილთან ნალაპარაკევი.

— ბიძია, ბიძია! — საყვედურით უთხრა მან ონისიმეს: — ბიძია, შენ ჩამაგდე ამ გენიაში!.. რატომ მოიკიდე ჩემი ცოდვა?.. რაზე ათხოვე ჩემი თავი მაგ ოხრებს! — მარინე მწარედ მოსთქვამდა.

ისიც საკმარისი იყო ონისიმესათვის, რასაც მოჰყვა მარინე და ამ საყვედურმა, ამ საყვედურის ცხარე სიტყვებმა ხომ მოხუცებული მისი გულის მონად გახადეს.

თოფნაკრავივით წამოვარდა ზეზე და წამოიძახა:

— მერე ის შენი სულელი ქმარი, ის სულელი ბიჭი... — გაჯავრებული კაცი სიტყვებს ძლივს ახერხებდა.

— დედამისს რას გაუბედავს... კაცია?! — ჭვითინებდა მარინე.

— დალახვრათ ჩემმა გამჩენმა!.. სული მიცხონდა, მე იმათ შავი დღე მივაყენო!.. შეჩვენებულს... იმ კუდიან დედაკაცს!.. შეხედეთ ერთი!.. — ყვიროდა ონისიმე.

— მოითმინე, კიდევ მოითმინე, შვილო, — ალერსით და ტკბილად ეუბნებოდა სოფიო და თან ეხვეოდა: — კიდევ მოითმინე, შვილო... სულ ასე კი არ იქნება... ისიც დარწმუნდება, შეხედავს, რომ ცდება... ტყვილა გიჯავრდება... კი, შვილო, მოთმინება ჯობია!..

— მოთმინება კი არა!.. ორსავე დედა-შვილს სულს ამოვხდი... თუ ადამიანის დაფასება არ იციან მაგ შეჩვენებულებმა! მე ოვუხელ თვალებს, თუ კაცი ვარ; შენ, ბიძიკო, — მიმართა ონისიმემ მარინეს: — შენ სულ ნუ წახდები... შიშს ნუ მიეცემი... მე ვიცი და იმათ... მე ახლავე წავალ იმ წყეულთან, — წამოიძახა ერთბაშად ონისიმემ: — ახლავე წავალ!.. მომე, ქალო, ღვედი!

— კაია, თუ ღმერთი გწამს, კაია, ონისიმე!.. ნუ აცერცეტდები, — უთხრა ქმარს სოფიომ. — რა დროს ფეფენასთან ლაპარაკია ახლა... გვაცალე... დაწყნარდეს ის ადამიანიც... ახლა რომ მიხვიდე მასთან, უარესად გაახელებ, მეტი რა იქნება... მერე შეხვდები და ეტყვი ტკბილად, სიტყვამოფიქრებით... უკეთესიც იქნება, თუ შენ სულ არ გაცემ ამაზე ხმას... ისევ მე მოველაპარაკები... მე ვიცი მასთან ლაპარაკი.

თუმცა ონისიმე ძალიან იწევდა რძალთან საჩხუბრად, მაგრამ სოფიომ იმდენი მოახერხა, რომ ბოლოს ეს სურვილი გადაათქმევინა ქმარს, მერე მარინეს მიაქცია თავისი ყურადღება და თავისი ტკბილი ხმით, მოხერხებული სიტყვით, შაქრიანი ენით სრულიად დაამ-

შვიდა, დააწყნარა, გული გაუკეთა, ათასი იმედი გაუღვიძა და ისე გაისტუმრა რამდენიმე ხნის შემდეგ.

— გეუბნებოდი, ნუ ერევი-თქვა იმ შენი ძმისწულის ქალის თხოვაში, ბოლოს შეგარცხვენენ და სამწუხაროდ დაგირჩება-თქვა, და ხომ გამართლდა ჩემი სიტყვა!.. წინდაწინ ვიცოდი, რომ ასეთი ამბავი იქნებოდა... და ამიტომ მეშინოდა ყოველთვის... — საყვედურით ეუბნებოდა სოფიო ქმარს, როცა მარინე წავიდა.

— სიკეთე მინდოდა, სიკეთე, დედაკაცო, მაგ შეჩვენებულებისათვის... ვაუწყრა მაგათ ჩემი გამჩენი!.. კაცი არ ვიქნები, თუ მე მაგენი რჯულზე არ მოვაქციო!.. კაცი არ ვიქნები!.. მაგ წუნკლიან, არაწმინდა დედაბერს ასე რავა შევარცხვენიებ ჩემს თავს!

— კაი, კაი, კაია, დაწყნარდი! — შეუტია ქმარს სოფიომ. — ვის ახსენებ მაგრე... ვის ექადნები, შე უბედურო, გავიწყდება?

— მისი კუდიანობის შენისთანა დედაკაცებს ეშინოდეს... მე სულაც არ მეშინიან მისი!.. მის კუდიანობას ჩემზე გასავალი არა აქვს! — გაცხარებით წამოიძახა ონისიმემ.

— შენისთანებს გამოუცდიათ მისი ძალ-ღონე... დიდგულზე ხარ, ზურგს უკან რომ ლაპარაკობ! ვითომდა ვერ გეიგებს... რასაკვირველია, ამ იმედით იყავი!.. ონისიმე, თუ ღმერთი გწამს, თუ შენი ოჯახი გებრალება, დაჩუმდი... ნუ იხსენებ ცუდად იმ შენს რძალს... არ ივარგებს... — თითქმის ხვეწნით უთხრა სოფიომ.

— აბა, ფეხქვეშ გეველალო, ა?.. რას შეუბნები, დედაკაცო! კუდიანს, არაწმინდას ასე რავა დავუმორჩილდები, ღმერთო მომკალი!..

— ჩუ თქვა, ჩუ, შე უბედურო! რომ არაფერი ეყურება ამ კაცს, კაცის სიტყვა რომ არ ეყურებაა!.. რა გუნებაზე ხარ დღეს?.. აქამდის ყოველთვის მის ცუდ ხსენებას ერიდებოდი... დღეს რა ამბავია, რა ამბავია ეს?..

— რა ამბავია და ის, რომ გული მომიკლა იმ ბოვშის საყვედურმა... მართალია, სულ მართალია!.. მე ჩავაგდე იგი მაგათ ხელში... მე რომ არა, ნიკას ვინ ოხერი მისცემდა ქალს!.. არ მემართლება საყვედური?.. რავა არ გავცეცხლდები, შე ქალო!

მოხუცებული არ წყნარდებოდა; მშიშარა სოფიო თავს იკლავდა მისი მაყურებელი და აქედანვე ხედავდა ათას უბედურებას, ფეფენასაგან მათ თავზე მოვლენილს. ტიროდა ქალი და წუწუნებდა ქმრის ჯიუტობის გამო, მაგრამ ის კი მაინც მოახერხა, რომ ონისიმეს ფეფენასთან წასვლა გადაათქმევინა.

გაიარა რამდენიმე დღემ.

ნაშუადღევი იყო. ონისიმემ თავის ეზოდან თვალი მოჰკრა გზად მიმავალ ფეფენას. იგი მიდიოდა ქვევით ყანის დასახედავად.

— მომითმინე, მომითმინე! — გადმოსძახა ონისიმეს რძალს, — საქმე მაქვს შენთან!..

ფეფენა შეჩერდა.

— ახლა მოგელაპარაკები შენდა საკადრისად! — გაბედულად წამოვიდა ონისიმე, მაგრამ რარიგად უმტყუნა ამ გაბედულებამ, როცა იგი მიუახლოვდა ამ მაღალი ტანის დედაკაცს, რომელიც ჯოხზე დაბჯენილი იდგა შარაგზაზე. ფეფენას მოხვეულ შალქვეშ, რომლის ერთი ყურით ყბა ჰქონდა ამოკრული, უჩანდა მხოლოდ ცხვირი და ეკაცრად გამომზირალი თვალები. ამ ცოტათი წელში მოხრილ დედაკაცში რაღაც ძალა იყო დამალული, ამას გრძნობდა ყოველი ძლიერი მისი დანახვისთანავე. მისი შეხედულება გაგრძნობინებდათ, რომ იგი სხვა დედაკაცს არ წააგავდა, რომ მასში სულ სხვანაირი ხასიათი იყო დაფარული; მისი კუშტი გამოხედულება სხვანაირად მოქმედებდა ყველაზე, ვინც მას მიუახლოვდებოდა. ამას ზედ ერთვოდა მისი განმარტოებულად ყოფნა, შეზობლებთან მიუკარებლობა და ყოველივე ეს იყო მიზეზი, რომ სოფლად კუდიანობას სწამებდნენ,— ყველას მისი ეშინოდა და ყველა მას ერიდებოდა.

ეს იყო მიზეზი იმისა, რომ თუმცა დიდგულად წამოვიდა ონისიმე რძლისაკენ, მაგრამ გაბედულებამ უღალატა და წყნარად უთხრა:

— რა ხანია შენი ნახვა მინდოდა!

ფეფენა ხმაგაკმენდილი იდგა, მისჩერებოდა მაზლს, თითქოს ეუბნებოდა თვალებით: „რაზე გამაჩერე, თქვი ბარემო!..“

ონისიმეს შერცხვა თავისთავის, რომ წინათ ისე იქაჩებოდა და ახლა კი სულ სხვანაირ კილოზე დაიწყო ლაპარაკი და მოხუცებულმა კაცმა თავგამეტებულად სცადა, თავის წინაშე მაინც, დაემტკიცებინა, რომ მას მართლადაც სულ არ ეშინოდა კუდიანი ფეფენასი.

— რატომ ხართ ასეთი ავები! — დაიწყო მან: — რატომ ხართ ასეთი ავები, რომ ადამიანი ვერ გიგუებიათ!..

ფეფენამ თვალები მიაშტერა.

— რა ამბავია? — კუშტად წამოისროლა მან.

— მარინესთანა ანგელოზი ქალი ადამიანმა ვერ იგუოს?! ალარ ვიცი... ალარ ვიცი!.. რომ არაა ცუდი ქალი... რატომ გემართებათ ასეთი საქმე?.. მიკვირს ღმერთმანი... ნამეტანი მიკვირს... და მწყინს!..

— ჰმ! — ჩაიცინა ფეფენამ: — ადუკანტობა დეიწყე?.. საქმე გამოგლევია, გეტყობა... ადუკანტობა რა შენი საკადრისი ხელობაა!..

— ადუკანტი ვარ თუ რაცხა ვარ, მე საქმეზე გელაპარაკები, რძალო! ეგ ბოვში მე ვათხოვიე შენს შვილს... მისმა ჭირისუფალმა

მე ჩამაბარა მისი თავი და მარინეს ამბავი ყოველთვის მეკითხება, შე ქალო!

— რა გინდა მერე?

— ცუდად ეპყრობით, გეუბნებით!

— მიჩივა?

— კი არ გიჩივა, მე თავათ ვხედავ და პირში გეუბნები!.. ურიგო ქალი იყოს, მესმის, და რომ არაა ურიგო, რატომ?.. რატომ?

— ონისიმე, ხომ იცი, რა გაჭირვება გამომივლია მე შენი ძმის ოჯახში... ყმაწვილი ქალი დავქერიდი და გამოუცდელს ოჯახი მე დამაწვა კისერზე... რა ოჯახი? სარჩო რომ არ მოდიოდა!.. ვინ იყო ჩემი შემფარე, მშველელი?.. ყანას მე ვხნავდი, მე ვწმენდდი, მე ვიწევდი... თან ბოვშსაც ვზრდიდი... შემწე ვინ მყოლებია? ყველაფერი მე ვიყავი, მე, მარტოხელა ქალი!.. ვის უნახავს ჩემოდენი გასაჭირი?.. ვის გამოუცდია, რაც მე გამოვცადე?.. მეზობლობას ჩამოერჩი — ჩემს საქნარს ეუნდებოდი და ზოგიერთს ჭკუათხელს ჰგონია, ვითომ მე ადამიანი მძულს და იმიტომ არ ვეკარები არავის!.. მარა სხვის უგუნურ სიტყვას არ ავყოლიეარ ჩემს დღეში... ოჯახი კი ფეხზე დავაყენე... ჩემი თავი ნამუსიანად შემინახავს... ჩირქი ოჯახისათვის არ მიმიცხია და რომ ამდენი ტანჯვა-წვალებით შემონახულ ოჯახს ვინმემ თავსლაფი დაასხას, ქვეყნის სასაცილოდ გამიხადოს, მის სისხლს დალევს ფეფენა, იცოდე! მის სისხლს დალევს ფეფენა! — და აღელვებული მოხუცი დედაკაცი თავის გრძელ ჯოხს ურტყამდა მიწას.

— ეგ აგრე უნდა იყვეს... მაგაში მართალი ხარ, ფეფენა! მაგრამ მარინემ გაფიქრებია მაგისთანა რამე?!. შე ქალო, შენი რძალი ყმაწვილი ქალია, რა ვუყოთ, რომ ჩაცმა-დახურვა ეხალისებოდეს... ეგ რა საშიშარი უნდა იყვეს?..

— რა საშიშარია?! რა მისი საქმეა პრანჭვა-გრეხა, თუ ცუდი რამ გულში არ ჰქონდეს!.. მე, ჩემო ბატონო, ხამის ლურჯი კაბითაც კარგად გამიტარებია ჩემი წუთისოფელი!

— მე და შენი დრო სხვა იყო, ფეფენა, ახლა სხვა დროა...

— ეგ არის, რომ სხვა დრო დადგა!.. ახლანდელი ქალები?!. ძველი სინიდისიანობა გაჰქრა... ყველა ამჩატდა... უტიფარნი შეიქნენ. მორიდებასაც გადაჩვივნენ... აღარაფრის რცხვენიათ... გათამამდნენ... რატომაც არ გათამამდებიან, როცა შენისთანა გულკეთილი კაცები, — დაცინვით წარმოსთქვა ფეფენამ, — ამართლებენ, დასტურს აძლევენ და მათი საქციელის მოწონებაში ბრძანდებიან. ქვეყანა კი გეირყვნა! შენი წყალობით, ჩემდა გულის სახეთქად, ერთი ამისთანა მეც ჩამომივარდა ოჯახში და სიცოცხლე გამიმწარა!..

რად უნდოდა ჩემს გლახაკს ლამაზი გოგო... ძროხასავით რომ დარ-
ბის სუყველგან და იმის ფიქრშია, თუ ვის მოაწონოს თავისთავი!

— ტყუილია, სულ ტყუილია შენგან მისი ავად ხსენება, ფეფენა, დამიჯერე!

— ტყუილია, დიახ, ტყუილია!.. ჰმ! გახრეკილი დავით ქარლგდელაძე ვინ შემომითრია სახლში?.. როდის იყო ის ჩემს ოჯახში მარინეს ჰოყვანამდის, ახლა რომ ძაღლივით დაწანწალობს?!. წინათ ისიც კი არ იცოდა, მქონდა სახლი თუ არა!.. გოგოს დასდევს და მაგასაც დიდად მიაჩნია ეს!.. შენი წყალობით მომდის მე ეგ, შენ გადამკიდე უტიფარ სულიერს, შენ, ვაჟბატონო!.. და შენ მარიგებ თავის ნებაზე მივუშვა სვინდისდაკარგული წყეული გოშბიო, რომ საქაგლობა ჩაიდინოს და ქვეყანაში ოჯახი შემიგინოს?!.

— ფეფენა, ნუ ხარ აჩქარებული ქალი!.. ნუ ხარ ასეთი უსამართლო, და გულფიცხობამ საცოდაობა არ გაქნევინოს!

— აბა, ვუყურო, გულგრილად ვუმზირო ყველაფერს, რაც ჩემი თვალების წინ ხდება... არა?.. სირცხვილს რომ მაშმევენ, მერე გამოვეკიდო საქმის გამოკეთებას?.. მაშინ გვიან იქნება, ჩემო ბატონო. მე თვალი მაქვს და ჭკუა თავში ჯერ არ გამომლაყებია, ზოგიერთივით!.. შენი რჩევა ჩემთვის უსარგებლოა, თავს ნუ იწუხებ ნუ, ნუ იწუხებ! და შენთვის კი ეგ მითქვამს: კმარა, კმარა, რაც სიკეთე დამმართე, და შენი ჭკუით ჩემი ოჯახის საქმეებში ნუ ეჩრები, აცოდე, დამითხოვიხარ... დამითხოვიხარ, იცოდე... და კარგად დეიმახსოვრე ეს, გესმის?

ეს უკანასკნელი სიტყვები ისეთი დამუქრებით და თან ზიზღით წარმოსთქვა დედაკაცმა, რომ ამის გამგონე ონისიმე სულ სხვა კაცად გარდაქმნა. ახლა დაავიწყდა მას ფეფენას კუდიანობაც, მისი ძლიერებაც და მხოლოდ თავისი წყენა, თავისი თავმოყვარეობის შელახვა, თავისი შეურაცხყოფალა ედგა თვალწინ და ეს იყო მიზეზი, რომ მან, გაცეცხლებულმა, უცნაური ხმით მიაყვირა ფეფენას:

— თუ ეგრეა, ჩემიც დეიმახსოვრე!.. ჩემს მოხუცებულობას ვფიცავ, მარინეს რომ ცუდი რამე შეამთხვიო, ვერც დედა და ვერც შვილი ცოცხალი ვერ გადამირჩებით! ცოცხალი ვერ გადამირჩებით, იცოდეთ! ჰაი, თქვენი რჯული, გაგიწყრათ ჩემი გამჩენი! ცოცხლები ვერ გადამირჩებით, იცოდეთ!

ათრთოლებული ონისიმე უცბათ მიტრიალდა და თავისი სახლისკენ წავიდა. მაგრამ ერთი კიდევ მოტრიალდა და გადასძახა რძალს:

— კარგად დეიმახსოვრე ჩემი სიტყვა... ცოცხლები ვერ გადამირჩებით, თქვე შეჩვენებულებო!..

— რა ქალი მოვაყვანიე მაგ დაწყეველილს და რას მეუბნებიან,

შეხედოს კაცმა ერთი?! კაცი არ ვიქნები, თუ შენისთანა ურჯულო და არაწმინდა რჯულზე არ მოვიყვანო!.. შეჩვენებულები, შეხედეთ, შეხედეთ ერთი!

ფეფენა კი ერთ ხანს ისევ თავის ადგილას იდგა და მისჩერებოდა გაჯავრებული, გაწიწმატებული, მიმავალ მაზლს, მერე თავის გზას დაადგა და ქვევითკენ წავიდა ყანის დასახედავად.

სოფიო, მშიშარა სოფიო, შიშმა აიტანა, რაკი ყური მოჰკრა რძალ-მაზლის ლაპარაკს... მან კარში გამოსვლაც ვერ გაბედა საწყალმა, ვიდრე ფეფენამ არ ჩაიარა; სოფიომ გააღო სახლის კარი და ქმარს საყვედურით მიმართა:

— ვიცოდი, წინდაწინ ვიცოდი... რომ ასე გათავდებოდა შენი მასთან მუსაიფი!.. ღმერთო, მომკალი, ღმერთო, მომკალი!.. გამოტვინდი, შე უბედურო, გამოჩერჩეტდი, შე საწყალო?! გეხვეწე, გემუდარე ნუ შეებმები-თქვა ლაპარაკში... არა, არ დეიჯერა, არ დეიჯერა ადამიანის სიტყვა! ღმერთო, ღმერთო! — გაიძახოდა მწუხარედ სოფიო.

— მაშ რა მექნა, ერთი შენც?.. მოთმინებიდან გამომიყვანა იმ წყეულმა, იმისთანები მითხრა... მკვდარი ხომ არა ვარ... რარიგად მომეთმინა?.. მკვდარიც არ მოუთმენდა, მე რომ იმან მითხრა!

— უნდა მოგეთმინა, უნდა მოგეთმინა!.. ვის ებრძვი, ვის, შე უბედურო? რატომ არ ერიდები, შე უბედურო, რატომ არ ერიდები? ვინ გიშველის, ვინ დაგიფარავს, შენზე ჯავრის ამოყრა რომ მოინდომოს?

— ვერაფერს მიზამს! — დაეინებით წამოიძახა ონისიმემ.

— დიახ, დიახ, მაგ იმედით იყავი, მაგ იმედით იყავი!..

ქმრის ამგვარი ჯიუტობა გულს უკლავდა საწყალ სოფიოს.

— ეჰ, ერთი შენც კიდევ! — გაჯავრებით თქვა მოხუცებულმა კაცმა: — რასაც მიზამს, ქნას და ის იქნება!.. წავალ ახლა, მუხლზე მოვეხვევი, შენი მეშინია და მაპატიე-თქვა, თუ რავა გგონია?

— ვაი ჩემი ბრალი შენს ხელში... არ ვიცი შენი ჯიუტი ხასიათის ამპაი თუ?.. ისევ მე უნდა დავაშოშმინო რამე გზით... ისევ მე უნდა დავაწყნარო!.. ვაი ჩემი ბრალი შენს ხელში, ყოველთვის გულისხეთქაში ვარ შენი წყალობით... — სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა მშიშარა დედაკაცმა.

ფეფენამ დახედა ყანას და ახლა უკანდაბრუნებული იმავე გზით, სახლისაკენ მოდიოდა. თავჩაღუნული, ნელი ნაბიჯით მომავალი, ჯოხზე დაყრდომით, იგი ათას ფიქრებში იყო წასული... რამდენი მწუხარება, რამდენი უსიამოვნება შეხვდა ამ ბოლო დროს!.. ახლაც, ამ ერთი საათის წინ რა ლაპარაკი მოუხდა?!. რარიგად გაუწვალდა გაუ-

უგემურდა მოხუცებულობა ამ გლახა გომბიოს გამოისობით? რა-რიგად მოუშხამა სიცოცხლე ამ უხეირო გოგომ! რა უყოს, რარიგად აიცდინოს თავიდან განსაცდელი, აიცდინოს ქვეყანაში თავისმოკვრა?.. განსაცდელი მოელის, უსათუოდ მოელის, ამაში დარწმუნებულია ფეფენა... რარიგად უჭირავს თავი იმ შეჩვენებულს! ვის გაუგონია გათხოვილი ქალის კისკისი, გაუთავებელი სიმღერა, ცეკვა-თამაში ისე, როგორც მან იცის? გაგონილა ისე თამამად, მოურიდებლად, თავისუფლად ლაპარაკი, მან რომ კაცებთან ლაპარაკი იცის?.. რას ჰგავს, რავა შეჰფერის ქმრიან ქალს, მან რომ მოკმაზვა-გამოპრანჭვა იცის?!. ეს გახრეკილი აზნოუშვილიც რომ შემოუთრია სახლში!.. ალბათ იმედს აძლევს, იმედს! აბა, რაზე დასდევს ეს შეჩვენებული ასე მოუცილებლად... ამ უნამუსოს კი უხარია, რასაკვირველია, უხარია, რომ აზნოუშვილი უკან დამდევსო!.. უჭკუო, გამოტვინებული ონისიმე კიდევ ამართლებს და... ხმა არ გასცეთო!.. დიახ, სწორედ ეგრე იზამს ფეფენა! სულ თავისუფლად ამყოფებს, სანამ თავზე ლაფს არ დაასხამენ!.. სულს ამოხდის, თავის ხელით წაახრჩობს ფეფენა, ვინც მის წვა-დაგვით შენახულ ოჯახს რამე ჩირქს მოსცხებს, ცუდ სახელს დაუგდებს!..

ცალკე ამ ფიქრებში გართული. ცალკე დაღლილი, ნელა მომავალი ფეფენა ის-იყო ვიწრო ორღობიდან ფართო გზაზე გამოვიდა, რომ რაღაც ხმა მოესმა, რომელმაც მოხუცებული ქალი ფიქრებიდან გამოიყვანა. მან ასწია თავი და გაიხედა იქით, საიდანაც ხმა მოესმა.

გაფითრებული ფეფენა თითქოს მიეკრა იმ ადგილს, სადაც იდგა.

ეს მარინე იყო, ჩაფი ედგა მხარზე და მორბოდა ზევითკენ. ფეფენამ ადვილად იცნო: მას ელაპარაკებოდა ღობეზე მომდგარი დავით კარუგდელაძე, რომელმაც ახლა მარინეს უკან მიაძახა:

— კვირას მოვალ, უსათუოდ გეწვევი... კაი მასპინძელი თუ დამიხვდები!

მარინე ისევ მირბოდა და დავითიც ღობეს მოშორდა.

სისხლი თავში აუვარდა მოხუცებულ ფეფენას ამ სურათის დანახვაზე. ახლაც ტყვილად ეწამება იგი მარინეს, ახლაც სცდება თავის ეპვში? იმ ზომამდის იყო გააფთრებული, რომ მოსაზრების ძალაც კი დაკარგა ნახულის მოულოდნელობით. თავდაპირველად ვერ მოისაზრა რა ექნა, რარიგად მოქცეულიყო, მერე კი ისევ გონზე მოვიდა, მოშორდა იმ ადგილს, სადაც გაქვავებულივით იდგა, მიირბინა ღობესთან, სადაც დავითი იყო გადმოწოლილი, ერთი თვალის

დახამხამებაში ახტა ღობეზე და ყანაში გადახტა, მიავლ-მოავლო ყანას თვალი და რომ ვერავინ ვერ დაინახა, ხმამაღლა დაიძახა:

— სად ქვესკნელში ჩამძვრალხარ?.. შე წუწკო, უსინდისო, შენ! — მერე, ვითომც რაღაც გაახსენდა, გამოტრიალდა, ისევ გადმოხტა ღობეზე და შარაგზით ზევითკენ ძუნძულით წავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ იგი დავით კარუგდელაძის ეზოში იყო. დავითის ცოლი, ნატალია, რომელიც აივანზე იჯდა ხელსაქნარით ხელში, კიბესთან შეეგება მას.

— მობძანდი, მობძანდი, ჩემო ფეფენა! რას მივაწერო, რომ გაგვიხსენე... სულ დაგვივიწყე, შე ქალო!

ფეფენა ავიდა დაბალი კიბით აივანზე ჯოხით ხელში.

— კესარია, გოგო! სკამი მოართვი ფეფენას! — დაუძახა ნატალიამ მოსამსახურეს.

— დასაჯდომად კი არ მოვსულვარ! — მკვახედ წამოიძახა ფეფენამ.

ნატალიამ იცოდა ამ დედაკაცის ხასიათი, მაგრამ ამ სიტყვის კილომ მაინც გააკვირვა იგი.

— რა იყო, შე ქალო! რა ამბავია?.. ხომ არავის უწყენიებია შენთვის? — ჰკითხა ნატალიამ, მაგრამ იქვე დაატანა: — მარა შენ ვინ გაგიბედავს, გაწყენიოს რამე.

— შენს ქმარს ჩემი ოჯახის თავსლაფის დასხმა მოუნდომებია... — ძლივს წამოიძახა მეტისმეტად აღელვებულმა ფეფენამ.

— რას ამბობ, ფეფენა, რას ამბობ?.. მაგ როგორ იქნება?

— გეუბნები, მართალი ყოფილა! — უკმეხად მიაძახა ფეფენამ:— იცოდე, მეც ისე გევიმეტებ, როგორც იმას ვყავარ გამეტებული!.. გოგო სულელია... იმას არაფერი ესმის... უხარია, აზნოუშვილი უკან დამდევსო!.. აზნოუშვილს გარყვნილობის მეტი რა ახსოვს?.. ჩამომათხოვე, ნატალია, შენი ქმარი!.. ნუ დასდევს ჩემს შეჩვენებულ რძალს... ქვეყნის თვალში სასაცილოდ ნუ მხდის, თვარა არ ვიცი, არ ვიცი, რას მაქნევინებს, რას გამაბედვინებს შენი ქმრის გარყვნილობა! რაც არ გეკადრებათ, ნუ კადრულობთ... კეთილშობილებს გეძახიან!

აზრდაბნეულივით მისჩერებოდა ნატალია ამ გააფთრებულ მოხუცებულ დედაკაცს და საშინელ ძალას ატანდა თავისთავს მოთმინება არ დაჰკარგოდა და ბოლომდის მოესმინა, რაც იქნებოდა ამ უცნაური დედაკაცის უზრდელი ლაპარაკი.

— ვეტყვი, ყველაფერს ვეტყვი დავითს და შენ და ის ერთმანეთში მოილაპარაკებთ... მე რა უნდა ვქნა? — უთხრა ნატალიამ და ამით უნდოდა ბოლო მოეღო ამ უცნაური ბაასისათვის.

— ჩემთან იმას არაფერი სალაპარაკო არა აქვს! რაც სათქმელი მქონდა, გითხარი, და აწი თქვენ იცით!.. მშვიდობით ბრძანდებოდე!— წამოიძახა ფეფენამ და თავიც არ დაუკრავს, მიტრიალდა და უცბად ჩაიარა კიბე.

— სად მიისჭარი, შე ქალო?.. დაჯექი, დაწყნარდი, შე ქალო, და ისე წადი! — უთხრა ნატალიამ ფეფენას დასაშოშმინებლად, მაგრამ იმას არც კი მოუხედავს, მხოლოდ წაილაპარაკა:

— საქმე კი არ გამომლევია თქვენსავით... თქვენთან ვილაყლაყო! — ფეფენამ ისე ხმამაღლა თქვა ეს, რომ ნატალიამ გარკვევით გაიგონა. ერთი ბეწო დააკლდა, კინაღამ ბიუს უბრძანა: — ეს პილწი დედაბერი კისრისტეხით ეზოს გარეთ გააგდეო.

საღამოზე შინდაბრუნებულ დავითს ყველაფერი უამბო ნატალიამ, რაც ფეფენასაგან გადაეხდა.

— რა სულელები არიან ოჯახდაქცეულები! — წამოიძახა დავითმა, როცა ნატალიამ გაათავა ეს ამბავი: — თუკი ქალს ხმა გეეცი, უსათუოდ რაღე უნდა შეგწამონ... რა ჩემ ფეხებად მანდა მწვირიანი ყაზახის ეომბიო, როცა ლამაზი ცოლი შინ მიზის. ხვალვე აეუხსნი ყველაფერს იმ დედაბერს!.. შენ კი ყოჩაღად მოქცეულხარ, რომ მოგითმენია და სახლიდან არ გაგიძუნძულებია... პილწია ის ობერი!

— მოვერიდე, მა რა მექნა?! მთელი ქვეყანა კუდიანობას სწამობს... რომ რაღე შეგამთხვიოს, რაღას ისამ?.. თუ ღმერთი გწამს, ხვალ უსათუოდ მიდი და რამერიგად დაამშვიდე, დააწყნარე ის უხეირო... ნამეტანი გაანჩხლებულია!

— უსათუოდ, უსათუოდ ვნახავ ხვალ და დავაშოშმინებ, — თქვა დავითმა, — გეტყობა ძალიან შეუშინებიხარ, — სიცილით უთხრა მან ცოლს.

დავით კარუგდელაძისაგან ფეფენამ პირდაპირ თავისი სახლისაკენ გასწია.

უკვე საღამო იყო, როცა ფეფენამ თავის ეზოში ფეხი შედგა.

მარინე ვახშმის კეთებას შესდგომოდა; ცეცხლზე ჭადებისათვის კეცები შეელაგებინა, პატარა ქოთნით ლობიო მიედგა და თვითონ თაროსთან ცომს ზელავდა ჭადისათვის. ბაზრობიდან დაბრუნებული ნიკა ცეცხლის მოშორებით იჯდა, გაყუჩებული, პატარა დაბალ სკამზე და ყალიონს შეექცეოდა. კარი გაიღო და ფეფენა შემოვიდა სახლში.

— შენისთანა გომბიოს თავზე ლაფი რავა დავასხმევინო? თავზე ლაფი რავა დავასხმევინო, ღმერთო მომკალი?! — შემოსვლისთანავე დასჭექა მან. — შენისთანა გომბიომ რავა გამიხადოს ჩემი ოჯახი

ქვეყნის სასაცილოდ?! რას გადმოგიყვლიპინებია მაგ დასაფსები თვალები?! შენ, შენ, შენ გეუბნები, შე... შე სასიკვდილე! — მიაყვირა ფეფენამ მარინეს, როცა ამან თვალები მიაშტერა მოქაქანე დედამთილს. — რაზე მომითრიე ეს ჩემი სისხლისმსმელი, ჩემი მკვლელი, შე სულელო, შე უტვინო, უტვინო? — მიუბრუნდა მერე შვილს.

— რა იყო, დედა?.. რა იყო, ჰა? — იკითხა გაუბედავად ნიკამ.

— შენი თვალების დაბნელება, შენი თვალების დაფსება, შვილო!.. ათასჯერ მითხრობია შენთვის, ნუ ხარ ლენჩი-თქვა, ნუ ხარ დაგლახაკავებული-თქვა! შეგხედოს შენმა ოხერმა ცოლმა, რომ ქმარი ყავხარ!.. არ გაგაგონა დამბადებელმა არაფერი, ჩემი დარიგება შენ ვერ გეიგონე! იმიტომაც კაი საქმე გემართება...

მარინემ ცომის ზელას თავი დაანება და ხელებწაკაპიწებული, გაშტერებული იქვე თაროსთან იდგა და გაოცებით ყურს უგდებდა ამ ლაპარაკს.

ნიკამ ერთი თვალით გადახედა მას და ისევ შეეკითხა დედას: — რა ქნა მაგ შეჩვენებულმა? ჰა, რა ქნა, რა?

ოჰ, რა საზიზღარი რამ იყო ამ წამში მარინესათვის ეს დედის ყურმოჭრილი მონა შვილი.

— რა ქნა? ჰკითხე, ჰკითხე... თვითონ მოგახსენებს... მაგას ხომ არაფრის რცხვენია!.. შარაგზაში რომ ძროხა დედაკაცი საარშიყოდ გამოდგება, იმას რიღასი რცხვენია?.. სულ დაივიწყე, შე შეჩვენებულო, სირცხვილი?! სინდისი აღარ შეგრჩა ცოტაოდენი მაინც მაგ შენს გარყვნილობაში?.. ისიც აღარ იფიქრე, რომ ამ შარაგზაში ვინმე დაგინახავდათ?.. თუ აღარც კი ერიდები ვისმეს?.. ჰა? ამ ზომამდის მივიდა შენი თავხედობა და უნამუსობა?.. ჰმ! რასაკვირველია, ამ ღვთის გლახას წუწკი აზნოუშვილი დავით სჯობია!.. რასაკვირველია, რასაკვირველია! მარა მე რას მიპირობ?.. მე დამივიწყე, რომ ცოცხალი ვარ?.. შე გარყვნილო, შე უტიფარო! — ყვიროდა ბრაზმორეული ფეფენა, რომელიც თავს ვერ იკავებდა თავის გულისწყრომის გამოთქმაში და ამასობაში უფრო და უფრო ხელდებოდა.

მარინემ ჯერ დრო მისცა ამ დედაკაცს ამოესვარა ტალახში მისი ნამუსი, მერე კი სცადა თავის გამართლება; ცდილობდა აეხსნა, თუ რარიგად შეხვდა მას დავითი, ეფიცებოდა, რომ მას, მარინეს, დავითისათვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ხმაც არ გაუცია. მაგრამ ყოველივე ეს ამაო იყო... ფეფენას აღარაფერი ეყურებოდა ამგვარები, მხოლოდ მარინეს ხმა უფრო ახელებდა, უფრო ბრაზს უმატებდა და ბოლოს იმ ზომამდის მივიდა, რომ არავითარ სიტყვას აღარ ერიდებოდა; სიტყვა ერთიმეორეზე უფრო მწარე, ეჟვი ყოველად საზიზღა-

რი, სარწმუნოდ აღიარებული, უახგარიშრდ, უსოძოდ ეყრებოდა თავზე ყმაწვილ ქალს.

ბოლოს მარინესაც უღალატა მოთმინებამ და, რაც ძალა ჰქონდა, განწირულებით შეჰყვირა გააფთრებულ დედაბერს:

— გაჩუმდი!.. გაჩუმდი!.. კმარა!.. — და ცხარე ცრემლები შადრევანივით წამოსკდა თვალებიდან. მთელი სხეული უცახცახებდა მას.

— ვის უბედავ შენ მაგას, ჰა? ვის უბედავ?.. — წამოვარდა ნიკა და მარინესაკენ წაიწია.

— ღვთის გლახა! ღვთის გლახა! — ზიზღით მიაძახა მარინემ ქმარს. — ღვთის გლახა!.. იქით, ახლო არ მომეკარო!

— შეხედე, შეხედე ამ გარყვნილს!.. შეხედე ამ არაწმინდას! — მიაყვირა ფეფენამ და ამანაც მარინესაკენ მიიწია.

— არაწმინდა რომ არ იყვე, კუდიანიც არ იქნებოდი! — გადმოსძახა მარინემ.

— გარყვნილო, როსკიპო, სხვას აბა რას იტყვი... როსკიპო, როსკიპო! — იწივლა ფეფენამ, მოიქნია ჯოხი და ის იყო თავში უნდა დაერტყა მარინესათვის, რომ ამ უკანასკნელმა ვეფხვივით ისკუპა თავის ადგილიდან, თვალის ერთ დახამხამებაში დაეძგერა მოხუცებულ დედაკაცს, ღონივრად მოიქნია იგი და მძლავრად მიწაზე დაახეთქა.

ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ნიკა სრულიად დაიბნა თავდაპირველად, მერე უცბად წამოავლო ხელი პატარა სამფეხიან სკამს და მარინეს ესროლა, მაგრამ სკამი ასცდა მარინეს და მძიმედ მოხვდა კედელს.

მარინემ ერთი-ორჯელ ჩაჰკრა წიხლი ფეფენას და კარში გავარდა.

— სად მიხვალ?.. სად მიხვალ, შე შეჩვენებულო?.. გაჩერდი, თვარა ეს არის მოგკალი!.. — ყვირილით გასდია უკან ნიკამ.

მარინემ ერთ წამში გადაირბინა ეზო, გადახტა ღობეზე და ბნელ ღამეში სირბილით გასწია ორღობეში.

— მიშველეთ, მიშველეთ! — ყვირილით მივარდა მარინე ონისიმესას. — ბიძია, მიშველეთ, თვარა მომკლეს!..

შეშინებული ჯალაბობა გარეთ გამოცვივდა ამ ყვირილზე და, გაოცებულნი მარინეს შეხედულებით, ეკითხებოდნენ, თუ რა ამბავი მოხდა.

ძლივს მოასწრო მარინემ ორიოდე სიტყვის წარმოთქმა, რომ ეზოში ნიკამაც შემოირბინა.

— აქ არი, ბიძია, მარინე? — დაიძახა მან.

— შენ ხარ, ბიჭო, ნიკა? — შეეკითხა ონისიმე.

— ჰო, მე ვარ, ბიძია, მე! მარინე თქვენთან არი?

— ბიჭო, რა ღმერთი გიწყრებათ, რა ავი ზნე გიყლია! აღარ გრცხვენიათ მაინც?

— მაგას უწყრება ჩემი გამჩენი, მაგას!.. მაგ უსინდისოს, გარყვნილს! ბიძია, დედაჩემი გამილახა მაგან, დედაჩემი! რავა არ მოვკლა მაგ?.. ნუ გყავთ მაგი სახლში... გამოაგდეთ... კარში გამოაგდეთ!

— შენმა სიცოცხლემ! — გამოსძახა მარინემ სახლიდან.

— აბა სხვაგან სად წავიდოდა?.. უკეთეს თავშესაფარს სად მონახავდა?.. მარა ძალიან შემცდარი ბრძანდები! — მოისმა ღამის სიბნელეში ფეფენას ხმა: — მად არის, ბიჭო, ხომ?

— კი, დედა, აქ არის, აქ! — მიუგო ნიკამ.

— არ გრცხვენია, ბატონო ონისიმე, არ გრცხვენია ახლა?.. აე გამომიყვანე მაგ შეჩვენებული!.. — ფეფენა სახლის წინ გადმოხტა ურულში შემოვიდა, სადაც სხვები იყვნენ.

— ორივე დედა-შვილი თავიდან მომშორდით, დამითხოვისართ ამ ჩემი სახლიდან... ამ ჩემს ეზოში არ გნახოთ არც ერთი... ახლავე გამეცალეთ!.. თქვენთან ლაპარაკის თავი არა მაქვს მე! — შეუტია გაჯავრებით ონისიმემ.

— შენთან სალაპარაკოდ კი არ მოვსულვარ, ვაუბატონო... გოგო გამოაგდე გარეთ, გეუბნები... გესმის? — წყრომით შესძახა ფეფენამ მაზლს.

— ონისიმე, კაცო... გეიგონე ჩემი. ნუ იკიდებ შენი ოჯახის საცოდაობას... ნუ ახელებ მაგას... გაატანე მაგ ბოვშვი! — ხმადაბლა წაულაპარაკა სოფიომ ქმარს.

— მაგის მეშინია, თუ რავა გონია მაგას!.. ახლავე გავაძუნძულებ ეზოს გადაღმა, თუ კაცი ვარ! — წამოიძახა ონისიმემ და წინ წაიწია, მაგრამ სოფიომ წაავლო უცბად ხელი ახალუხის კალთაში და უკან დასწია.

— მოჰკიდე, ბიჭო, მამაშენს ხელი, ფეხი არსად გადაადგმევინო! — უთხრა მან იქვე მდგარ შვილს და თვითონ კი სახლში შევიდა.

— მარინე, შვილო, წაჰყევი... წაჰყევი, ჩემო ბიცოლა, ნუ გეიმეტებ ბიძიაშენის ოჯახს, შენი ჭირი შეეყაროს შენს ბიცოლას... ამოგვწყვეტს, ამოგვბუგავს... აღარ დაგვინდობს... ათას უბედურებას შეგვყრის მაგ შავდღეზე გაჩენილი... ნუ მოიკიდებ ჩვენს ცოდვას... შენთვისაც აჯობებს, რომ წაჰყვე, შენ ნუ მომიკვდები! — ხვეწნა დაუწყო სოფიომ მარინეს.

— ბიცოლა, მომკლავენ! მომკლავენ, ბიცოლა! არ იცი შენ მაგათი ამბავი... ღმერთმანი, მომკლავენ!.. ბიცოლა, ნუ მოაკვლევინებ

მაგათ ჩემს თავს... ბიცოლა, შენ დაგენაცვალე, შენი სულის ჭირიმე, დამიფარე მაგათ ხელიდან, მაპატიეს! მომკლავენ, მომკლავენ, მაგ ურჯულოები! — მოსთქვამდა მარინე.

— ნუ გეშინია, შვილო... მე შეგარიგებ ფეფენასთან... მე დოვუჩოქებ და ისე შევეხვეწები, გაპატიოს, დედა-შვილობამ... ოღონდ ახლა წაპყევი... ოღონდ მაგას ჩვენზე ნუ გაახელებ... მე შეგარიგებ... ნუ ტირი, შენი სულის ჭირიმე... კაია, ნუ ტირი!.. — და თეალცრემლიანი სოფიო გულში იხუტებდა მტირალ მარინეს და თავსა და პირს უკოცნიდა.

— როდემდის უნდა ვიყურყუტო ამ ღამეში? — წამოიძახა ფეფენამ: — უმაგისოდ მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი.

— გიახლებათ, ბატონო, გიახლებათ, შენი ჭირიმე! — დაიძახა სახლიდან სოფიომ; გადმოხურულში გამოვიდა, მარინე გამოიყვანა თან და ფეფენას წაუყენა წინ.

— ჩემო ბატონო, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე... აპატიე მაგ უპედურს მისი უგუნურობა, — დაუწყო ხვეწნა სოფიომ ფეფენას: — ნუ დასჯი შენი სულგრძელობისათვის!

— ხელი მოჰკიდე, ბიჭო! — უბრძანა ფეფენამ ნიკას: — არსად გაგექცეს კიდევ!.. წამობრძანდი, ქალბატონო!

სოფიოს სიტყვები კი ვითომ არც კი გაეგონოს, ისე წაუყრუა ფეფენამ მას. ნიკამ ჩაავლო მარინეს მკლავში ხელი და ეზოდან გაიყვანა.

მტირალი მარინე დასაკლავი პირუტყვივით მიპყვებოდა ქმარს.

— აი დაგწყევლა ჩემმა გამჩენმა!.. არაწმინდა რაღაც გაუჩენიხარ ღმერთს! — მიაძახა ონისიმემ ფეფენას.

— გაგიხმა მაგ ენა!.. — შეუტია სოფიომ და ისევ ფეფენას გაჰყვა ხვეწნით, რომ მას ეპატივებინა მარინესათვის მისი დანაშაულობა.

ამ დღიდან სრულიად მიიკარგა მარინე; სოფლად მოსაარულე იგი არავის უნახავს. სოფლელები ლაპარაკობდნენ, რომ ქმარმა და დედამთილმა, როცა ონისიმესაგან სახლში მიიყვანეს, გალახესო, დედამთილი სახლს გარეთ არსად უშვებსო, ეზოშიაც არ ახედებსო.

მეზობლობაში რძალ-დედამთილის უცნაურად გადაკიდებას და ყოველგვარ უთანხმოებას იმით ხსნიდნენ, რომ ფეფენას არ შეეძლო ეგუებინა თავის მახლობლად იმისთანა ქალი, რომელიც მისი კუდიანობის მონაწილე არ გახდებოდა და იგი, ვითომც, ცდილობდა, ყოველ ღონეს ხმარობდა, არა საშუალებას არ ზოგავდა, ოღონდ კი მარინე თავისი ხელქვეითი გაეხადა, გაეკუდიანებინა. ეს ყველას უტყუარ საბუთად, ჭეშმარიტებად მიაჩნდა და, როცა ფეფენას ოჯახ-

ში წინანდელი უთანხმოების ამბავი აღარ ისმოდა მეტად, ყველამ დაამტკიცა, რომ ფეფენამ თავის საწადელს მიაღწია: მარინე დაიმორჩილა და კუდიანობაში გარიაო.

— გული ამოსჭამა, — ამბობდნენ, — და ყველაფრის ხალისი დაუკარგა; როგორიც თვითონ არის, იმისთანა გახადაო!

ამაში უფრო რწმუნდებოდნენ მით, რომ მნახველები მარინეს ვეღარ სცნობდნენ, — სრულიად ვეღარ სცნობდნენ მასში უწინდელ მარინეს. ახლანდელი მარინე თავისი დედამთილივით ერიდებოდა ყველას, ძვირად ვისმე გამოელაპარაკებოდა; აღარავისი ნახვა, შეხვედრა მას აღარ ეხალისებოდა წინანდებურად. საწყალს ყველაზე გული გაუტყდა; ონისიმემაც, ვისიც ყველაზე დიდი იმედი ჰქონდა, ვერ დაიფარა იგი ფეფენას ხელისაგან; მას გადახდა ყოველივე თავისი და ახლა აღარავინ ესაჭიროებოდა მომხმარედ. აშკარად დაინახა, რომ ფეფენას წინააღმდეგი ვერავინ გამოჩნდა, რომ ფეფენა ყველაზე ძლიერი ყოფილა, რომ მასთან ბრძოლა ამაო იქნებოდა და დაემორჩილა, ეყმო სულიან-ხორციანად. მარინეს მაყურებელნი კი ამნაირ მდგომარეობას მის გაკუდიანებას აწერდნენ.

ფეფენასთან ერთად ახლა მარინესაც დაუწყეს რიდება. ახლა მისი შიშიც მიემატათ მეზობლებს.

ამ ბოლო დროს ლაპარაკი ისმოდა, რომ ამა და ამ კაცს მთლად საქონელი ავად გაუხდა, ამას წვრილფეხობა აღარ ეზრდებაო, ამას ეს ცუდი საქმე შეემთხვაო, და ეჭვი მარინეზე მიჰქონდათ... მისი გაკუდიანების შემდეგ მომრავლდა სოფლად ყოველივე უბედურებაო... ახლა ბავშვებსაც კი აშინებდნენ მარინეს სახელით და საქმე იმ ზომამდის მივიდა, რომ, როდესაც მარინეს ერთხელ ვიღაც ბავშვი შეხვდა, ამ უკანასკნელმა შექმნა შიშისაგან საშინელი ყვირილი და გულგადატრიალებულმა ძლივს მიაღწია ცოცხალმა სახლამდის.

ერთი მოხუცებული დედაკაცი, რომელსაც ფეფენასთვის უარი ვერ ეთქვა და სიმინდის სარჩევში მოსახმარებლად სახლში წაჰყოლოდა და მათთან ვახშამიც ეჭამა, ყველას არწმუნებდა, რომ, გამოვცილდი თუ არა ფეფენას სახლს, პირის საშინელი აყროლება ვიგრძენიო... გულგახეთქილ მოხუცებულს ვერას გზით ვერ მოეშორებინა ეს საძაგელი სუნი პირიდან და უზომოდ შეწუხებულს თავშალის ყურით მაგრად აეკრა ცხვირპირი; მთლად ჯალაბობა გაეკვირვებინა თავისი ხმის ამოუღებლობით, ეგონათ თურმე, ავად თუ არისო... თეთრად გაეთენებინა ის ღამე და ალიონზე მაკრინე-მკითხავთან წასულიყო... მაკრინეს ეთქვა — ქაღალდიდან ამოეკითხა, — რომ ეგ ამბავი მარინეს საქმეაო, ფეფენას რად მოეხმარაო... ხანდახან თურმე კუდიანობაში ეჯიბრება კიდევაცო... მაკრინეს

ამასთანავე შენალოცი მარილი მიეცა ამ დედაკაცისათვის და მარილის პირში ხშირ-ხშირად გამოვლებით განთავისუფლებულიყო საზარელი მდგომარეობისაგან. ვინ იქნებოდა იმისთანა, რომ არ დაეჯერებინა ეს ამბავი, როდესაც ამას ამბობდა ის, ვისაც ყოველივე ზემოხსენებული თავს გადაჰხდომოდა...

მარინე ნამდვილ კუდიანად იყო ცნობილი.

— წადი, კაცო, წადი, მეტი გზა აღარ არის... წადი და მაგ უბედურის ჭირისუფალს შეატყობინე მათი შვილის ამბავი... — ეუბნებოდა ონისიმეს სოფიო.

— მრცხვენია, ქალო, მრცხვენია, გესმის!.. რა პირით დევენახო მარკოზას?.. რარიგად მოვუყვე მისი შვილის გაბოროტიანება? — ამბობდა მწუხარებით საკვე ონისიმე: — სიტყვა მიეცი პატიოსანი. თქვენი შვილის მეთვალყურე ვიქნები-თქვა, მე ვუპატრონებ, თუ რამე გასაჭირი შეხვდა-თქვა... წადი ახლა და ასეთ ამბებს მოუყევი! პოემკედარიყავ არ დავეძებდი, და ამისთანა სირცხვილში კი არ ჩავვარდნილიყავი!.. რაზე გეევრიე, მე ოხერი, მაგათ საქმეში... მარა ამისწულია ის გლახაკი და შემეცოდა... ქალს ვინ მიცემდა, თუ მე არ მეთავეებია?.. რა მეგონა, თუ ამისთანა რამეს ნახავდა ჩემი თვალები!..

— ბედი ჰქონებია, ალბათ, მაგ საცოდავს მაგისთანა, აბა რაევაა?.. ყოვლისფერი ღვთისაგანაა... ვენაცვალე მის ძლიერებას! — ეთთომდა სანუგეშოდ უთხრა ქმარს სოფიომ.

— აბა, სხვაფერ რავა იქნება! — ეთანხმებოდა მოხუცებული ონისიმე: — სხვაფერ აბა რავა იქნება?! რაც ადამიანს უწერია, ვინ ააცდენს თავის წერას?!. აბა, წავალ ხვალ მარკოზასთან... — ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ თქვა ონისიმემ.

— წადი, წადი!.. ეგებ იმათ მაინც უსაშუალონ რამე... უთხარი. რომ ჩვენ სრულიად აღარ გვეკარება, თორემ რამე საშვალებას ვიხმარდი-თქვა... ჩვენს სიტყვას სულ არ იკარებს-თქვა... არ დაავიწყდეთ, მათ მახლობლად საიქიოს ნამყოფი კაცი რომ არის — გამოტეხა შენაძლება ახლად გაკუდიანებულების — იმას სთხოვონ, ეგებ წამოყვეს და გამოტეხოს, კუდიანობიდან ეგებ რამეფერად ფეხი ამოადგმევინოს ამ დალოცვილმა... სულს არ წააწყმედინებენ მაინც უბედურს და შავდღეზე გაჩენილს!

ონისიმე ფოცხვერაძემ უამბო მარკოზა ხმელაძეს მისი შვილის ამბავი და ამან სიძე-მჭახალზე დამუქრებით გამოსწია წითურეთისკენ შვილთან. მარინეს დედა, მოხუცებული ესმა, ვერაფრით ვერ დააკავეს სახლში; შორი გზა ჰქონდა გამოსავლელი, მაგრამ რაკი წამოსვლა თქვა, ვერას გზით ვერ გადაათქმევინეს; შვილის ნახვის

სურვილმა, როცა მისი ამბავი გაიგო, ყოველი შორ გზაში მოსალოდნელი გაჭირვება არარად ჩააგდებინა. უბედური მშობლები მივიდნენ საიქიოს ნამყოფ ვასილ კარიკაჯესთან და შემწეობა შესთხოვეს; ამასაც არავისათვის არასოდეს უარი არ უთქვამს, როცა მის შემწეობას ვინმე საჭიროებდა, და არც ამათ უთხრა; მათთან ერთად გასწია წითურეთში.

მიწურული ზემოდგომის გრილი დილა იყო. მზე დიდი ხნის ამოსული არ იყო. მტვრიანი გზით მიმავალნი ჯერჯერობით მსნედ მიდიოდნენ და დაღლილობას ვერ გრძნობდნენ. ვასილი და მარკოზა წინ მიუძღოდნენ, ესმა და ონისიმე კი მათ მისდევდნენ. გზადაგზა ლაპარაკის მოყვარულმა მარკოზამ უამბო თავისი ათასგვარი თავგადასავალი ვასილს, და ეს უკანასკნელი ისე წახალისდა, რომ თვითონაც მოჰყვა იმის ამბავს, თუ როგორ მოიარა საიქიო.

— ჰურის თავზე, ცხონებულ მამაჩემს, — ასე დაიწყო ვასილმა თავისი ამბავი: — ერთი ბეელი, დაბერებული მუხა ჰქონდა. ცხონებულმა ამ მუხის მობელვა მითხრა ერთხელ. ხეზე ჩემი აკვლა და ჩემს ხელში ნაჯახის დამძიმება ერთი იყო... ეს კარგად მახსოვს... ყური არ ვათხოვე ამას, დაეუწყე შტოებს ჭრა... ერთი შტო მოვჭერ, ჩამოვაგდე, მეორე მოვჭერ, ჩამოვაგდე; მესამე შტოს რომ მოვუქნიე ნაჯახი, ვერ მოვახვედრე, ორჯელ-სამჯელ დავაცილე... გული მომივიდა, ნუთუ ასე მომეღალა ხელი-თქვა, ერთი ღონიერად მოვიქნიე —მოხვდა შტოს, მართალია, ჩემი ნაჯახი, მარა არ გაჭრა, სულ არ მიეკარა რკინა ხეს!.. თურმე რას მოსჭრი?!. ჩვენ აბა რა ვიცოდით, მერე გეეიგეთ... თურმე ამ მუხაზე ანგელოზებს ჩვეულებად ჰქონიათ ჩამოფრენა... მერე მივხვდით ამას ჩვენ... მე კი უფრო მომივიდა გული, რომ შტოს ვერაფერი მოვუხერხე... ზედ გადამჯდარმა, რაც ღონე მქონდა, კიდევ მოვიქნიე ნაჯახი... ახლაც ვერაფერს დაგაკლებთქვა თუ, გუნებაში ეთქვი?! შენს მტერს, მე რომ დამემართა. უცბად თვალებში წამომიბნელდა, წინ რაღაც შავად წამომეფარა, აზრი დამეკარგა და ხიდან ჩამოვარდნილს ძლივს დამყოლია სული მიწაზე... ცოცხალ-მკვდარი მნახეს თურმე მუხის ქვეშ და წამიღეს სახლში... ისეთი ავად შევიქენი, ისეთი, რომ ჩემს მორჩენას ადამიანი აღარ ფიქრობდა თურმე... რა არ ექნა მამაჩემს! რა საშვალება არ ეხმარა: ჯერ განატეხი თურმე გაატანია დედაკაცებს, მერე ცხრა გამოცდილ ქალს ცხრა-ცხრა სანთლით ხელში თითოს ცხრა-ცხრა ლოცვა ათქმევინა იმ მუხასთან, წმ. გიორგის ხატისთვის ჩემი ზომა წმინდა სანთელი მიერთმია, მაგრამ არ მეშველა და არ მეშველა

ძალინც არაფერი. ისევ ისე უიმედოდ ვარ თურმე... ერთ დღეს მოვ-
ბკვდარვარ კიდევაც... შეექნათ თურმე ერთი ტირილი, კივილი...
ჩემს გასვენებაზე დეიწყეს ლაპარაკი... მე არაფერი არ მესმის... ამა-
ლობაში მე ზეცაში დავფრინავარ... ჩემი სული, რასაკვირველია...
ქვეყნად მარტო ჩემი ლეში იდვა ტახტზედ... სული კი მაღლა-მაღ-
ლა მიფრინავს... ზევიდან დაეჩერებივარ დედამიწას... ბურთივით პა-
ტარა მოჩანს... უცბად ჩემს თვალწინ გეიშალა იმისთანა თვალუწ-
ვდენელი ამწვანებული მინდორი, იმისთანა, რომ მის ნახვას არაფე-
რი ჯობია... მინდორია იმისთანა, კიდე არა აქვს... მთელი წელიწადი
რომ იაორ, გარს ვერ შემოუვლი... მუხლებამდეა მწვანე, აბრეშუმი-
ვით ბალახი... არის გაბნეული ამ ტრიალ მინდორზე უთვალავი
ცხვარი და ბალახს წიწკნიან... სულ, სადაც მიიხედავ, მარტო ცხვა-
რია... აგერ ერთია, აგერ ორი ერთად, სამ-სამი, ხანდახან ოთხ-ოთ-
ხიც... დადიან და ჭამენ ამ მშვენიერ ბალახს... წვრილი გზა შემხვდა
ერთი... დავადექი ამ გზას. ვიარე, ვიარე და ერთ წყაროსთან მივე-
დი... წყალია იმისთანა, რომ მკვდარს გააცოცხლებს მისი ერთი წვე-
თი... წყაროსთან კაცია, წევს... დამიძახა. — სადაური ხარო, მკით-
ხა. მე მოვახსენე, რომ ამა და ამ სოფლიდან ვარ-თქვა, ამ და ამ
კაცის შვილი-თქვა. „აბა, შენი აქ მოსვლა ადრეა... შენ ისევ დედა-
მიწაზე უნდა დაბრუნდეო... გაჰყევი ამ გზას, არსად გადაუხვიო,
ბოლოში სიმონა კიკაბიძეს შეხვდებიო, მიხვალ იმასთან და ის გას-
წავლის გზას, დედამიწაზე რომ ჩახვიდეო... მითხრა: თუ გალობა რა-
მე გეიგონო, დეიჩოქე და ისე იყავი, სანამ გალობის ხმა არ შეწ-
ყდებაო...“ გამიხარდა, სიმონა კიკაბიძეს ნახავო, რომ მითხრა..
გავსწიე ნაჩვენები გზით... ვიარე, ვიარე ამ მინდვრით... სულ ცხვრით
იყო სავსე იქაურობა... ბევრი ვიარე. ერთ ადგილას შემხვდა სიმო-
ნა... ზის და მასთან რამოდენიმე ჩვენი სოფლის მიცვალებულებიც
არიან... მუსაიფობენ... დამინახეს, გეეხარდათ, ამბავი მკითხეს... მე-
რე მე ვკითხე: ეს რა ადგილია-თქვა? მიპასუხეს, რომ სამოთხეაო,
და წყაროსთან რომ კაცი იწვა, ანგელოზი ყოფილიყო თურმე... რა-
საც ცხვრებს ხედავო, ცხონებულთა სულიაო... ანგელოზი უყურებს
მათ. არა დაიკლდეთ რაო. რომ ვლაპარაკობთ ასე, მოისმა იმისთანა
შშვენიერი გალობა, რომ მთელ სიცოცხლეში მისი ყურება რაება მო-
ეწყინება ადამიანს!.. ყველამ მუხლი მოვიყარეთ... სიმონამ მითხრა,
ანგელოზთა გალობააო. ღმერთს ადიდებენო... ბევრი ვილაპარაკეთ,
ბევრი ჩვენებური ვნახე, ვინც იქ იყო... სიმონამ მითხრა, რომ მა-
მიშენის ლოცვა ძალიან წაგდგომიაო, ღმერთს შენზე მოწყალება
მოუღია და აქ ნულარ იგვიანებო... როგორც გითხრა ანგელოზმა,
დედამიწაზე მალე დაბრუნდიო... ყველას გამოვეთხოვე, სიმონამ გზა

მასწავლა და ჩემი სული სწორედ იმ დროს დაუბრუნდა ჩემს ლეშს. როცა გასვენებას ის-იყო მიპირობდნენ. ყველა გაშტერდა, გაცოცხლებული რომ მნახეს!.. რა სიხარული, რა ამბავი, კაცი რავა გამოთქვამს! ერთ თვეზე სრულიად გამოვკეთდი და მას აქეთია, ღვთის შეწევნით, ფიხილი არ წამომტკენია ტყვილა... ასეთი მოწყალება მოიღო ჩემს თავზე ჩემმა გამჩენმა, ვენაცვალე მის დიდებას!! — და ვასილმა პირჯვარი გადაისახა. — ის ძალაც მომანიჭა, რომ ბოროტი ადამიანის გამობრუნებაც ადვილი გახადა ჩემთვის.

— ვენაცვალე ღვთაებას... არ ვყოფილართ მოძულებული კიდევ და შენისთანა კაცებს გვაღირსებს ხანდახან ჩვენდა ვასამხნევებლად. — მარკოზამ პირჯვარი გადაისახა ამ სიტყვაზე.

— სწორედ, სწორედ! — დაეთანხმა ონისიმე.

— შენ დიდი ჩნის სიცოცხლე გექნება დანიშნული ღვთიდან, — მიმართა მარკოზამ ვასილს. — შენისთანა კაცები დიდხანს ძლებენ და ძალიან მაგრებიც არიან. მე ვიცი რამოდენიმე მაგალითი... ცხონებული მამიჩემისაგანაც გამიგონია ასე.

— კი, კი, მართალია! — ემოწმებოდა ონისიმე.

— ასე იტყვიან, მართალია, — თქვა ვასილმა: — მარა ყველაფერი ღვთისნებაა... რავარც იმას ნებავს, ისე იქნება... ისე იქნება!

— რასაკვირველია! რასაკვირველია! — ერთხმად წამოიძახეს ონისიმემ და მარკოზამ.

ესმა კი ხმას არ იღებდა; იგი სმენად იყო გადაქცეული და ამ უცნაური კაცის უცნაურ ამბავს ყურს უგდებდა.

საღამო იყო, როდესაც ჩვენი მგზავრები ონისიმესას მივიდნენ.

— სოფიო, ქალო, ეი!.. კარი გააღე და სტუმრებს გამოხედე, — დაიძახა ონისიმემ, თავის ეზოში რომ შეიყვანა ვასილი, მარკოზა და ესმა.

სახლის კარი გაიღო, სოფიო გამოვიდა; დიდის თავაზით შეეგება სტუმრებს და სახლში მიიწვია.

— მობრძანდით, თქვენი ჭირიმე, მობრძანდით... დაღალული ბრძანდებით... კაი გზა გაქვთ გამოვლილი... ღმერთო, მომკალი, თქვენ რამ შეგაძლებინათ ამათთან სიარული. ჩემო ბატონო? — მიუბრუნდა იგი ესმას.

— გამწარებამ, ჩემო ბატონო, გამწარებამ, ჩემო ანგელოზო! — ნაღელიანად წარმოსთქვა დაღლილობისაგან ძლივს ფეხზემდგომმა ესმამ.

— დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი და მისი მონაწილეც!.. მარა ღმერთი მოწყალეა, იმის იმედით ვინუგეშოთ, ჩემო ბატონო! — ამოოხვრით და თანაგრძნობით უთხრა სოფიომ; მერე უცბად ლაპარაკის

კილო შესცვალა, ვასილზე თვალით ანიშნა და ხმადაბლა ჰკითხა ესმას: — ეს არის, ბატონო, საიქიოს რომ ბრძანდებოდა?..

— კი, შენი ჭირიმე! — მიუგო ესმამ.

— აბა ღმერთი ჩვენსკენ ყოფილა, — იმედიანად და ხალისით თქვა სოფიომ: — აწი აღარაფერი გვიჭირს!

— დედაკაცო! — წამოიძახა ონისიმემ ცოტა ხნის შემდეგ: — ბატონი ვასილი დაღლილია და მოსვენება ეჭირვება... აბა, თუ გაქვს რამე, დროით მოგვიტანე და ის იქნება...

— ნამდვილი კაცი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა. მაგაზე უკეთესი არაფერი იქნება! — სიცილით თქვა მარკოზამ.

— ხელად სუფრა, ბიჭო! — მიაძახა შვილს ონისიმემ: — გოგო, შენ რას გაყუჩებულხარ მანდ ყურეში?.. დედაშენს ხელი მოუწყვე!..

ერთ წამში სუფრა მზად იყო.

მადაზე მოსულმა მარკოზამ ვეღარ მოითმინა და წამოიძახა:

— მადლიანი დედაკაცის ჭირიმე!.. მე და ჩემმა ღმერთმა!

— ნეტავი შენ!.. ყოველთვის რომ კარგ გუნებაზე ხარ! — უკმაყოფილოდ შეუტია ესმამ.

— აბა ვიტირო ახლა, დედაკაცო, თუ?.. ცოდვა არ იქნება, მასპინძლის ამისთანა სუფრას მოღუშული რომ შემოვუსხდეთ!.. აგრე არაა, ბატონო? — მიმართა მარკოზამ სოფიოს, რომელიც სუფრას აკრიალებდა.

— კი, ჩემო ბატონო, კი, შენი ჭირიმე, მართალს ბრძანებთ!.. — ტკბილად მიუგო მან.

— ნუ გეშინია, იმ კუდიან დედაკაცთან ანგარიშის გასწორებას კიდევ მოვესწრებით!.. სად წამივა? ხვალ ალიონზე დავეცემი თავზე ორივე დედა-შვილს და შავ დღეს დავაყენებ... როგორც კაცი! ახლა კი ამ ვახშამს შეეექცეთ... ტკბილი ღვინო დაგლიოთ... მასპინძელს სუფრას ნუ დავუწუნებთ... ნურც ბატონ ვასილს მოვაწყენთ!.. არა, მძახალო, ჰა? — იძახოდა მარკოზა.

— კი, ჩემო მარკოზა, კი, ჩემო მარკოზა!! — ამხნევებდა ონისიმე.

— შენთან ნურას უკაცრავად, ჩემო ბატონო, შენი ჭირიმე, — მიუბრუნდა ვასილს მარკოზა: — თუ რამ უზრდელობა შემნიშნო. მაპატიე... შენ სულ სხვა კაცი ხარ!..

— მოილხინე, ჩემო მარკოზა, მოილხინე, — დინჯად მიუგო ვასილმა: — მე რაში მერიდები, შე კაცო!

— იცოცხლე, კაცი ბრძანდები და კაცი... შესმენილი და ღვთისგან დაჯილდოებული... აბა, ონისიმე, ვასილს ღვინო მიართვი! —

და მარკოზა ისე გამხიარულდა, რომ გეგონებოდათ, სრულიად დაავიწყდა, თუ რამ მოიყვანა იგი ონისიმეს ოჯახში. ესმას თუმცა ძალიან სწყინდა ქვრის ამნაირი უსაქციელობა, მაგრამ ვერაფერი გააწყო მარკოზასთან, რომელიც ყოველ მის თხოვნაზე, რომ დაწყნარებულიყო, პასუხად უგებდა:

— ნუ გეშინია, ვერსად ვერ წაგვივა ის კუდიანი შენი მძახალი, ვერსად ვერ წაგვივა! ბევლ გაჩვენებ მის სეირს!..

დილა ადრიანი იყო, მარკოზა რომ მეორე დღეს სიძისას გადავიდა.

— გამარჯვება შენ! — უთხრა მარკოზამ ნიკას, რომელიც სახლის წინ რალაცას თლიდა წალდით.

— ღმერთმა თქვენი თავი მიცოცხლოს!.. საიდან, ბატონო, როდის მობრძანდით?.. ღამე გივლიათ!.. მიეგება ნიკა სიმამრს.

— მარინე შინ არი?

— სახლში გახლავს, აბა სად იქნება?

— ავად ხომ აღარაა?

— არა, აბ!

— ჩვენთვის არ უნდა შეგეტყობინებია, ბიჭო, შენი ცოლის ავად ყოფნა?

— ისე ავად რომ არ ყოფილა...

— ჰეი, შვილო! — სიტყვა გააწყვეტინა მარკოზამ: — ქვეყანაზე კაცს რა დეემალება?!. მარგალიტივით ქალი მოგეცი და ვაგლახად ვერ შეგალახვინებ მის თავს, იცოდე!..

— შენთვის რაღაც ენა მოუტანიათ ჩვენზე... ათასი მტერი გვყავს... — გაუბედავად დაიწყო ნიკამ.

— ეს თქვენი სიგლახით, თვარა ჩემ შვილზე მტრობას კაცი არ ჩაიდებს გულში მიდღემჩი...

— ვის ელაპარაკები, ბიჭო? — მოისმა სახლიდან ფეფენას ხმა და ამასთანავე მოხუცებულმა დედაკაცმაც კარში გამოიხედა; დაინახა მარკოზა და შესძახა — უიმე!.. თქვენ ბრძანებულხართ! სახლში შემობრძანდით, ბატონო, სახლში შემობრძანდით! შე სულელო, ამდენ ხანს ვერ გამაგებიე?

მარკოზა შევიდა სახლში, ფეფენას ჩამოართვა ხელი და დაკვირვებული თვალი ავლ-ჩაავლო მარინეს, რომელიც ის-იყო მიეგება მას; მერე მოჰკიდა ხელი და გვერდით მოისვა.

მარკოზა მისჩერებოდა შვილს და თვალს არ უჯერებდა. სუთუ ეს მისი სიცოცხლით სავსე. ცქვიტი, მხიარული, პირსავსე, ლამაზი მარინეა, რომელიც ნიკას გამოატანა?! ეს სახეჩაყვითლებული, გამხდარი, თვალებმიმქრალი ქალი მარინეა?.. მაშ მართალი ყოფილა,

სულ მართალი ყოფილა, ეჰვი რაღა საჭიროა, მართალი ყოფილა, რაც ონისიმემ უამბო!.. საწყალმა მარკოზამ კიდევ ერთხელ თვალი გადაავლო შვილს, უფრო მიიკრა გულზე; გულმა აღარ მოუთმინა მოხუცებულს და შვილს ჰკითხა:

— რამ გამოგცვალა ეგრე უცნაურად, შვილო? ავად ხომ არა ხარ?

— არა, ბატონო!.. წყნარად მიუგო მარინემ.

— კარგად რომ არ ხარ, არ გეტყობა თუ?.. მე ჯერ თვალები არ ამბმია!.. — წყრომით წარმოსთქვა მარკოზამ.

მარინე შიშმა აიტანა ამ სიტყვებზე; წინდაწინვე ჰგრძნობდა იგი, რომ აქ მშვიდობიანად არ გათავდებოდა საქმე... მამამისი სულ სხვანაირ ხასიათზე იყო... ოჰ, ღმერთო, ისევ ხელახლად აყალმაყალი, უსიამოვნება, გულისხმოქმა... ისევ მოეშალა ეგრე ძვირად მოპოვებული მყუდროება, მშვიდობიანობა!.. მან თითქოს მოიწადინა გაქცეოდა ყოველ ამ უბედურებას, სადმე გადაკარგულიყო. ფეხზე წამოდგა და წასვლა დააპირა. მარკოზამ ხელი წაავლო.

— სად მიხვალ?.. დაჯექ. ჩემთან იყავ! — უთხრა მან და მარინე ისევ გვერდით მოისვა.

ფეფენა უცბად მიხვდა, რომ მარკოზა უბრალოდ მოსული არ იყო, უეჭველად ჩხუბი ასტყდებოდა მძახლებს შორის, და მან მოინდომა დაესწრო მარკოზასათვის, თავისი სათქმელი ეთქვა და ამით ამ კაცისათვის უსიამოვნო საგანზე ხმის ამოღების საშუალება მოესპო.

— მე ძალიან ვემდური, — დაიწყო ფეფენამ, — ძალიან ვემდური შენ შვილს, რომ ერთ დროს სულ არ მიიკარა ჩემი სიტყვა, ვერაფერი ვერ ჩავაგონე და ბევრი უსიამოვნება გამომმარონია... ბევრი მწუხარება მომაყენა... — და მან უამბო თითქმის ყველაფერი, რაც მათ შორის მოხდა.

მარკოზამ აცალა ფეფენას მისი სათქმელის დათავება.

— ახლა ქე მიხვდა თავის შეცდომას, — დაათავა თავისი სიტყვა ფეფენამ, — და ქე შეეკიდება ოჯახს!..

მარკოზა წამოდგა და მარინეც წამოაყენა.

— ამისთანა ქალი აწი ველარ არგებს თქვენისთანა ოჯახს!.. მე მიმყავს ჩემი შვილი! — გადაწყვეტით წარმოსთქვა მარკოზამ.

— რავა მიგყავს?.. რას ბრძანებ! — შეეკითხა გაოცებული ფეფენა.

— მიმყავს!.. ისევ ჩემს სახლში მყავდეს... მე თქვენზე უკეთ მოვუვლი, თუ თქვენ ვერ დააფასეთ! — და მარკოზამ უფრო მაგრა ჩააელო მარინეს ხელი. — წამოდი ჩემთან!

— ღმერთო, მომკალი!.. ეს რა მესმის?!.. შე სულელო, ხმას ვერ

ამოიღებ, ხახა რომ გაგიღია? — შეუტია ფეფენამ ნიკას: — არ გეყურება, ცოლს გართმევენ!

ნიკა ისევ გაუნძრეველად იდგა.

— წამო, შვილო! — მარკოზამ მარინე კარისაკენ გასწია.

— მამა, მამა, შენი ჭირიმე! — ხვეწნით ეუბნებოდა მარინე მამამისს და თან ცდილობდა მარკოზას ხელიდან გაეთავისუფლებინა თავისი ხელი.

— წამო, გეუბნები, ნუ სულელობ!

— მამა, მამა, შენი სულის ჭირიმე! — თვალცრემლიანი ემუდარებოდა ყმაწვილი ქალი.

— ღმერთო, რა დღეს მევესწარი?! — წამოიძახა ფეფენამ. — რა დღეს მევესწარი?!.

— რატომ კადრულობთ მაგისთანა საქმეს, ბატონო?.. არ გეკადრებათ! — წინ გადაუდგა, გზა გადაუღობა მარკოზას ნიკამ.

— იქით, შე მართლა ქალაჩუნა! — მარკოზამ ღონივრად მოიქნია ნიკა და განზე მიაგდო, მოსწია მარინეს მძლავრად და ძალით გაითრია ეზოში, თუმცა ყმაწვილი ქალი ტიროდა და გაიძახოდა:

— მამა, ჩემო მამა, შენ სულს დავენაცვლე... გამიშვი... გამიშვი. შენი ჭირიმე, ჩემო მამა... მომკლავენ, მამა! ვაიმე, ვაიმე!—მოსთქვამდა და უძალიანდებოდა მარინე.

— კმარა!.. გაჩუმდი! — წყრომით შესძახა მარკოზამ. — კმარა... გაჩუმდი! ვინ მოგკლავს?.. ხელსაც ვერავინ შეგახებს... ამოვარდა მაგათი რჯული, ნუ ზლუქუნობ! — და მარკოზამ გაიყოლა მარინე.

ონისიმესას სახლის აივანზე უკვე თავი მოეყარა ბლომა საზოგადოებას, რომელიც შესდგებოდა მარტო დედაკაცებისაგან.

ვასილ კარიკაძე ეზოში ნიგვზის ქვეშ იჯდა და ონისიმეს ელაპარაკებოდა. ჭიშკარი გაიღო; ეზოში შემოვიდა მარკოზა და თან მარინე შემოიყვანა. დაინახა თუ არა ესმამ შვილი, გამოქანდა, მივარდა მას, მოჰკიდა ბეჭებში ხელი და ცოტათი უკან დაახევინა, რომ კარგად შეეხედა მისთვის. უყურა, უყურა ესმამ საცოდავ შვილს, პირისახემ ძაგძაგი დაუწყო და ერთბაშად თვალებიდან ცხარე ცრემლების ნაკადული წამოუვიდა მოხუცებულ ქალს.

— შვილო!.. შვილო!.. ვაი შენს დედას!.. ვაი შენს დედას, შვილო! —ძლივს შესძლო ეთქვა. ცრემლი მოერია და ხმა ჩაუწყდა მას. ესმამ გულში ჩაიკრა მარინე.

— კარგი... გეყოფა, დედაკაცო!

მარკოზამ ქალებისაკენ წაიყვანა მარინე. უკანასკნელმა თვალი გადაავლო შეკრებილებას, ძლივს შესამჩნევად თავი დაუკრა და

ბოძთან ჩაჯდა. „რას ნიშნავდა ეს, რისთვის მოუყრია ამათ თავ...“ ფიქრობდა მარინე და ხანდახან გაუბედავად გამოიხედავდა თვალებზე ჩამოწეული თავსაფრის ქვეშიდან.

— შეგაწუხეთ, ბატონებო, შეგაწუხეთ, — მიმართა დედაკაცებს მარკოზამ: — მაგრამ დღემდის არ მცოდნია, თუ ჩემს თავზე ამისთანა უბედურება ტრიალობდა... ცუდი ამბავი შეგვემთხვა... მოგვიტევეთ... რა ვქნათ... ყველაფერი ღვთის ნებაა... ყოველივე სიკეთე მისცეს ღმერთმა ბატონ ვასილს, ეს ღვთისნიერი ადამიანი გაისარჯა, ინება ჩვენთან წამობძანება... თუ ჩემ შვილს მართლა რამე კავშირი აქვს ეშმაკთან, ეხლავე გაგვაგებიებს ეს ღვთისნიერი კაცი...

მარინემ ამ სიტყვების გაგონებაზე ერთი კი ახედა თავის მამას და მერე უფრო ჩაღუნა თავი და თავსაფარიც ჩამოიწია ისე, რომ სულ ერთიანად პირისახე დამალა.

— ამიერიდან თქვენ მაწუხებლისაგანაც თავისუფალი იქნებით და ჩვენც თქვენგან სამდურავს ავცდებით... — დაათავა სიტყვა მარკოზამ.

— მადლობელი ვართ, მადლობელი ვართ!.. ღმერთმა დღეგრძელობა მოგცეთ! — მოისმა აქეთ-იქიდან.

— სინდისიერი კაცი ბრძანებულხარ... შვილის კაი პატრონი... ღმერთმა გიწინამძღვროს! — უთხრა ერთმა მოხუცებულმა დედაკაცმა.

— აბა, ბატონო ვასილ, ყოველისფერი მზადაა, შენი ჭირიმე... დროს ნუ დავკარგავთ... შევუდგეთ საქმეს!.. — თავდაბლად უთხრა მარკოზამ ვასილს.

ეს უკანასკნელი წამოდგა და ქალებისაკენ წამოვიდა. მთელი საზოგადოება ფეხზე წამოდგა მის მისვლაზე და პატივისცემით თავი დაუკრეს. ვასილმაც თავის მხრივ დინჯად თავი დაუკრა ყველას საერთოდ და მიმართა:

— დაბძანდით, დაბძანდით! — და თვითონაც მარინეს მახლობლად დაჯდა სკამზე.

მარინე მუმიასავით იჯდა, მიჰყუდებოდა ბოძს და თავი დაეხარა. პირისახე სრულიად არ უჩანდა თავსაფრის ქვეშ, ისე დაბლა ჰქონდა თავი ჩამოწეული. იგი უფრო მკვდარს ჰგავდა, ვიდრე ცოცხალს. მარინეს ზურგს უკან მოიკრუნჩხა დედამისი, ესმა, რომლის დროგამოშვებით სასოწარკვეთილებით წამოძახება: „შვილო, შვილო... რა დღეს შეესწრო შენი ოხერი დედა!..“ და ამასთანავე გულში მუშტების ცემა მაყურებლებს გულს უთუთქავდა.

— ბიძიკო, — დაიწყო ტკბილი ხმით ვასილმა: — შენ გაბრა-

ლა კი, ვითომ ქრისტესათვის გეღალატნოს და ეშმაკებს მიჰკერძოღე... ვითომ მავნებლობასთან და ბოროტთან კავშირი შეგეკრას და ამის დასამტკიცებლად შენზე ბევრ რამეს. ამპობენ შენი აქამდე საყვარელი მეზობლები და ამხანაგები... — ვასილმა უთხრა ყოველივე ის, რაშიაც ბრალსა სდებენ მარინეს, და ჰკითხა: — მართალია თუ არა ეს?

მარინემ პასუხი არ გასცა.

ვასილმა ისევ განუმეორა თავისი კითხვა, მაგრამ პასუხი მაინც ვერ მიიღო.

— არ გესმის, რომ გკითხავენ? — მიაძახა მარკოზამ.

მარინე მაინც არ იღებდა ხმას... გაქვავებული უმოძრაოდ იჯდა.

— მიეცი, შვილო, პასუხი, პასუხი გაეცი, შვილო! — მაარზე ხელის დადებით შეეხვეწა ესმა: — პასუხი გაეცი, შვილო!

— არ იცი, ბოშო, ვინ გკითხავს?.. უბრალო კაცი ხომ არ გელაპარაკება... ანგელოზთან ნამუსაიფები კაცი ხმას გცემს და შენ რა ღმერთი გიწყრება?!. — გაცხარდა მარკოზა.

— მე უშენოდაც კი მიგიხვდები, — ისევ მიმართა სიტყვა ვასილმა ყმაწვილ ქალს: — უშენოდაც კი მიგიხვდები ყოველ შენს საქმეს, მარა შენთვის ჯობია, რომ თვითონ შენით აღიარო ყოველივე შენი ამბავი... ყველაფერში გამოგვიტყდი და ღმერთი, ჩვენი შემქმნელი და მწყალობელი, გაპატიებს შენს შეცდომას, მოგიტევებს შენს დანაშაულობას... არა და, თუ არ გამოტყდები, იცოდე, საუკუნო წვალება მოგელის ჯოჯოხეთში... ყოველ წვალებაზე უფრო მეტი... ამაში დამერწმუნე მე, რომ მართალს გეუბნები... თუკი გამოტყდები, როგორც გითხარი, ღმერთი შეგინდობს შენს შეცდომილებას და სულსაც არ წაიწყმედ, ეშმაკს არ დააპატრონებ მასზე... ხარ კუდიანი, თუ არა? გაქვს მათთან რამე კავშირი? — კიდევ ჩაჰკითხა ვასილმა.

სიჩუმეში მოისმოდა შეკავებული ტირილის ხმა.

— გაქვს კავშირი თუ არა კუდიანობასთან? — არ ეშვებოდა ვასილი.

— მაქვს! — ძლივს გასაგონი ხმით თქვა მარინემ.

საშინელმა, გულგამგმირავმა კივილმა შესძრა იქაურობა.

— უიმე, უიმე! — სასოწარკვეთილებით წამოიკივლა ესმამ და თავზე ხელები დაიშინა.

— ქალო, გაჩუმდი, გაჩუმდი!.. არ გესმის შენ, ეი! გაჩუმდი, გეუბნები! — შეუტია ცოლს მარკოზამ მარინეს სიტყვისაგან გამშრალმა.

ქალებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ვინ შეგაცდინა? ვინ გაგაჩვია კუდიანებთან? — ჰკითხავდა ვასილი.

მარინე ისევ გაყუჩდა და პასუხი არ მისცა. მარკოზას ეული მოუვიდა და წყრომით უთხრა, რომ ამგვარი ჯიუტობით ვასილს აწუხებო. ამის შემდეგ ვასილმა ისევ გაუმეორა თავისი კითხვა და მარინემაც ყრუდ მიუგო:

— ჩემმა დედამთილმა!

ქალები ისევ შეინძრნენ, ერთმანეთს გადაბედ-გადმობედეს. ესმა კი ისევ მუშტებს ირტყანდა გულში; ქმრის შიშით ხმამაღლა ტირილს ვერ ბედავდა საცოდავი მოხუცებული დედაკაცი.

— აბა, ახლა მოგვიყევი, როგორ შეგაჩვია კუდიანობას შენმა დედამთილმა?.. თავიდან მოყევი: რას გიშვრებოდა, რას გეუბნებოდა ან გპირდებოდა რამეს? ჰო?

მარინემ ჯერ ხმა არ ამოიღო, მერე თითქოს იფიქრა, რომ მაინც არ მომეშვებიანო, ვიდრე დაწვრილებით არ ვიტყვი ჩემს ამბავსო, და მოჰყვა ყველაფერს. მთელი საზოგადოება სმენად გადაიქცა; ზოგიერთი ქალები წამოდგნენ და მარინესკენ გამოიწიეს, რომ უკეთესად გაეგონათ მისი ლაპარაკი.

სიჩუმემ დაიპყრო იქაურობა და ამ სიჩუმეში ძლივს ისმოდა აღელვებული, მისუსტებული მარინეს ხმა, რომელიც ხშირად უწყდებოდა მოლაპარაკეს.

მარინემ უამბო, თუ როგორ გალახეს იგი დედამთილმა და ქმარმა, ონისიმესაგან რომ სახლში მიიყვანეს, რის შემდეგაც ავად გახდა... როგორ უმოწყალოდ სდევნიდა მას ფეფენა, მოსვენებას არ აძლევდა; როგორ აუკრძალა ჯერ სახლიდან ეზოში გამოსვლა, მერე ეზოს გადაღმა გადაბიჯება; უშლიდა სხვებთან ლაპარაკს; რომ ყველგან სდევნიდა მას და ვერსად ვერ დაეფარა მისგან თავი.

— ერთხელ ვენახში დავემალე, დავწექი ბეოლის ძირში... მიმძინებოდა, — მოუყვა მარინე, — უეცრად რაღაც შავი უშველებელი დამეტაკა, გამომაღვიძა, წამავლო ხელი და ცაში ამიყვანა ისე მაღლა, რომ თავბრუ დამესხა, დაბლა რომ გადმოვიხედე... „დამნებდიო, — მითხრა იმან, — და ჩემი ნება აასრულეო, თორემ ახლავე აქედან ხელს გაგიშვებ და მიწას დაგახეთქებო“. შემეშინდა, ავკანკალდი... ვუთხარი, კი, ბატონო-თქვა. „აბა გახსოვდეს ეგ შენი სიტყვა... მე ხუმრობა არ ვიციო“... ჩავაჩერდი, ვინ მელაპარაკებოდა, მინდოდა შემეტყო... იმ შავ მოჩვენებაში ჩემი დედამთილი ვიცანი... მე უფრო შემეშინდა კიდევ და ხვეწნა დავუწყე — ოღონდ ნუ მომკლავ და შენი მორჩილი ვიქნები-თქვა... არც ხმას გავცემ.ვისმე უშენოდ, არც არსად წავალ შენდა დაუკითხავად-თქვა... ოღონდ მიწა-

ზე დამიშვი-თქვა... ისევ თვალებზე წამომეფარა რაღაცა, გონება დამეკარგა... აზრზე რომ მოვედი, ისევ იმ ადგილას ვიწევი, სადაც მიმძინებოდა...

— კიდევ?

— ნიგოზზე შემომესწრო...

— ჰმ!

— ნიგოზს ვხალავდი... უეცრად თვალებზე წამომეფარა შავად... რეტი დამესხა, მეგონა, გადმოვარდი ეს არი-თქვა... ბრჭყალები ჩაჭასო კაბაში... მაღლა... სულ მაღლა ამიყვანა!.. გადმოგაგდებო... აქედან გისვრიო... ნიგვზის წვეროზე წამოეცობიო, თუ არ შემომიდექიო... კუდიანი გახდიო... შემეშინდა, სული შემიხუთდა... მორჩილი ვიქნები-თქვა, ვუთხარი... ნუ მომკლავ-თქვა, შევეხვეწე...

— ვინ იყო? ვინ გელაპარაკებოდა მაგრე? იცანი?

— ვიცანი! — ღრმად ამოიხვნეშა მარინემ.

— ვინ იცანი?

— სული მეხუთება!.. დედა, მიშველე!.. ოჰ! მიშველე, დედა! — ატირდა მარინე, დედისკენ პირი ქნა და ღონემიხდილი კისერზე ჩამოეკიდა.

— ნუ გეშინია, შვილო, ნუ გეშინია, შენ დაგენაცვლოს შენი დედა! რა იყო, შვილო? რა დაგემართა, შვილო, შვილო?! — შექნა ყვირილი ესმამ, შვილის უსიცოცხლო სახე რომ დაინახა, როცა მას პირზე თავსაფარი ახადა.

— ვინ შეიცანი, ვინ? — არ ეშვებოდა მაინც ვასილი, რომელიც ყურში ჩასძახოდა გრძნობადაკარგულ ქალს.

— დედამთილი! — ძლივს გასაგონი ხმით თქვა და მკვდარივით, ხელებ და კისერმოსხლეტილი მიილუშა ესმას კალთაში.

— შვილო, მარინე, შვილო!—დასწიოდა მას საცოდავად ესმა:— რატომ შენი დედა უწინ არ მოგიკვდა, სანამ ამას დეინახავდა მისი დასაფსები თვალები!.. შვილო, შვილო! — მწარედ მოსთქვამდა მოხუცებული დედა.

მარკოზა გაშტერებული, გალენჩებული იდგა განზე და უცნაურ ძალას ატანდა თავისთავს, რომ ამ საზოგადოებაში ტირილი არ წასკდომოდა.

— სახლში შეიყვანეთ...— დაიძახა და ფეხზე წამოდგა ვასილი: — შეიყვანეთ სახლში და დააწვინეთ ქვეშაგებში...

ვასილი ქალებს მოშორდა და ონისიმესა და მარკოზას თანხლებით ისევ ეზოში გავიდა. გრძნობამიხდილი მარინე სახლში შეიტანეს, დააწვინეს ტახტზე და საბანი წაახურეს... დედაკაცები იქვე

ფუსფუსებდნენ... ვინ ესმას ანუგეშებდა და ამხნევებდა... ვინ რა რჩევას იძლეოდა მარინეს გრძნობაზე მოსაყვანად.

— ახლა კი წმინდად გეიწმინდა! — ამბობდა ერთი დედაკაცი.

— ძალიან საქმე ქნა იმ დალოცვილმა ადამიანმა! — ამბობდა მეორე.

— ღვთის კაცია. შე დალოცვილო... ვიგინდარა ვინმე ხომ არ არი!

— რასაკვირველია, რასაკვირველია!.. მარა ამ უბედურს დიდი ბნის სიცოცხლე კი აღარ აქვს... — გადაუფუჩუნა ერთმა დედაკაცმა მეორეს.

— შე ქალო, სული რომ არ წააწყმედინეს, ის აღარ კმარა? — ხმადაბლა მიუგო მეორემ: — გამოტეხილს რაღა აცოცხლებს?.. არ გამოეტეხათ, უარესი ცოდვა იქნებოდა... იცოცხლებდა კი, მარა რაღა სიცოცხლე იქნებოდა მისი... ბოლოს ხომ წაწყმედილი იქნებოდა მაინც...

ეს საზოგადო აზრი იყო, რომ გამოტეხილი დიდხანს ვერ იცოცხლებდა და ამაში დარწმუნებულნი წავიდ-წამოვიდნენ დედაკაცები. ამათაც მადლობა უთხრეს, როგორც ვასილ კარიკაძეს, ისე მარკოზას, რომ მათ სოფელს ამისთანა სამადლო საქმე უქნეს—გაკუდიანებული ქალი მოაშორეს სოფელს. მეორე დღეს ვასილიც წავიდა თავის სოფელში ონისიმეს ვაჟიშვილის თანხლებით. მარკოზა ბევრი ეხვეწა მას, მიეღო მისგან ორიოდე მანეთი გასამრჯელო, მაგრამ ვასილმა არაფრის გულისათვის არა ქნა.

— ღმერთს ჩემთვის ეს ძალა ფულის საბოჭავად კი არ მოუნიჭებია, შე კაცო! — უთხრა მან მარკოზას.

— ეეცდები სხვანაირად გემსახურო და ეს დავალება კაცურად გადაგიხადო, ჩემო ბატონო! — მიუგო მოხუცებულმა გლეხმა.

ამ წამებამ, მთელი საზოგადოების წინაშე წამებამ, სულ დაათავა უიმისოდაც მისუსტებული მარინე. იგი მესამე დღესაც არ ამდგარა ზეზე, ისევ ავადმყოფი იწვა. უბედური დედამისი თვალდათვალ უყურებდა, როგორ ესალმებოდა მისი საწყალი, მრავალტანჯული შვილი ამ წუთისოფელს. ესალმებოდა, აბა რისი მომასწავებელი იყო მისი ასე საცოდავად მოქცევა?! და ესმა თავს დასტიროდა მარინეს... მარკოზა კი ხანდახან მივიდოდა ავადმყოფთან, ჩაჰკითხავდა: „რავა ხარ, შვილო?“ და პასუხის მაგივრად რომ გაიგონებდა გაუგებარ სიტყვებს, მიმქრალი ხმით წარმოთქმულს, უცბად მოშორდებოდა და ცალკე, ნაჩუმათებად ჰყრიდა ცრემლებს.

სოფიო და ონისიმე ნუგეშს აძლევდნენ ვითომ მოხუცებულებს, მაგრამ თვითონაც ხედავდნენ, რომ სანუგეშო აქ არა იყო რა.

ერთ დღეს მარინემ უცნაურად დაიჯინა სახლში, დედამთილთან, წასვლა იქ დასაწოლად. ბარკოზამ ძლივს, ისიც წყრომით გადაათქმევინა ეს სურვილი. „ფეფენას ნურაფერს აწყენინებთო,“ — ეხვეწებოდა მომაკვდავი მშობლებს.

ფეფენას არაფერი გაუგია იმისი, თუ რა მოხდა ონისიმესას, რარიგად საბოლოოდ დამტკიცდა მისი კუდიანობა და მისგან რძლის გაკუდიანება. ვინ იქნებოდა იმისთანა, რომ ყოველი ეს ეამბნა ფეფენასათვის, რომლის, წინაშეც უფრო იმატა შიშმა მეზობლების გულში. გამოტეხაზე დასხრენი მაინც ერთობ შიშში ჩავარდნენ — ფეფენამ არ გაგვიგოს იქ ყოფნა და არ გადაგვეკიდოსო.

ფეფენამ ის იცოდა მხოლოდ, რომ მარკოზამ მარინე ონისიმესას მიიყვანა და რომ ახლა იგი ავადმყოფი იწვა მისი მაზლის სახლში. ერთ დღეს აღარ მოუთმინა გულმა მოხუცებულ დედაკაცს და გადასწყვიტა გადასულიყო ონისიმესას, რძლის ამბავიც გაეგო და მის მშობლებთანაც მოელაპარაკნა, რომ ასე წართმევა ქალისა არავის უნახავს და გაუგონია, მით უფრო, რომ ფეფენა ამ ბოლო დროს სრულიად კმაყოფილი იყო მარინესი. მართლადაც, როცა მარინემ სრულიად გამოიცვალა ხასიათი, მისი სიტყვის გამგონი და დამჯერი შეიქნა, მიივიწყა უწინდელი ცმუკვა-ცერცეტობა, სულ სახლში იჯდა, და მოხუცებულმა ქალმა, მისი აზრით, თავიდან აიცილა თავზე წამოწეული უბედურება, — ახლა ფეფენას აღარავითარი განსაცდელის მოლოდინი არ აწუხებდა. მან სრულიად გამოიცვალა გული რძალზე. ამიტომაც იყო, რომ გადასწყვიტა ავადმყოფი მარინეს ნახვა... ეგებ ამ უცნაური ხასიათის პატრონის გულის სიღრმეში რძლის სიყვარულმაც გაიღვიძა... ვინ იცის!

— აჰა!.. კაი დაგემართოს! მაგაზე უკეთეს ვერას იზამდი!.. — რაღაც უცნაურ კილოზე წამოიძახა მარკოზამ, როცა ნიკას თანხლებით ეზოში შემოსულ ფეფენას თვალი მოჰკრა.

— სახლში არ შემოუშვა მაგ სულწაწყმედილი, მაგ! — გაჯავრებით თქვა ესმამ.

— ვინ არი, დედა? — იკითხა ავადმყოფმა.

— წყეული შენი დედამთილი. შვილო!.. მარკოზა, კაცო, სახლში არ შემოუშვა, იცოდე, თვარა ამწამსვე ყანყარატოში ვეცემი!

— მაცალე, დედაკაცო!.. შენ შენთვის იყავი! ეს მინდოდა, რომ სადმე ხელში ჩამეგდო მაგისი ოავი და ღმერთი მიგზავნის კიდევაც! — ბოროტად წარმოსთქვა მარკოზამ, მივარდა კერას, აჩქარებით გამოქექა ცეცხლი, გადააბნია ნაცარი და ზევით ამოაგდო კერაში ნაგდები ნალი. მერე ისევ ნაკვერცხლები წააყარა რკინას, მი-

ტრიალდა და ფეფეხს შეეგება კარებთან. არც სოფიო და არც ონისიმე შინ არ იყვნენ.

— მობძანდი, მძახალო, მობძანდი!.. აქამდინაც კი უნდა გენახა, შე ქალო, შენი ავადმყოფი რძალი! — დაცინვით უთხრა მარკოზამ: — შენ, ბიჭო, არ გეკადრებოდა ცოლის ამბავი გაგეგო?

— შე დალოცვილო, — მიმართა ფეფენამ მარკოზას: — შენ იმისთანა საქმე გვიყავი!.. გზედავდი სხვანაირ გუნებაზე იყავი და აღარაფერი გითხარი... მე ვთქვი, ჯერ ესე იყოს, კაცი დამშვიდდება, დაწყნარდება... შვილიც ეტყვის...

— შვილმა ვერაფერი კაი მითხრა! — წამოიძახა მარკოზამ.

— მამა, მამა! — მოისმა ავადმყოფის ხმა.

— იმიტომ ვიცდიდი ამ სამ დღეს, —თავისას ამბობდა ფეფენა: — რითია ავად? რამ გახადა ასე უცბად ამნაირად? — და ფეფენა ავადმყოფთან მივიდა.

— ნამდვილი ამბავი გინდა, რასაკვირველია, გეიგო, ხომ? — ისევ სხვანაირად ჩაჰკითხა მარკოზამ ფეფენას.

— დედა, დედა... უთხარი მამას... — ძლივს გააგონა დედას მარინემ.

— შენ კი, ბიჭო, გარეთ გადი! — დაუძახა ნიკას მარკოზამ: — შენი გასაგონი არ არის ეს ჩვენი ლაპარაკი!..

ნიკა ცხვარივით კარში გავიდა. მარკოზამ უცბად მიხურა კარი და გადარაზა სარაზავით, გამოტრიალდა, წინ წამოუდგა წელში გამართულ, დოინჯშემოყრილ ფეფენას და შეჰყვირა:

— შენმა კუდიანობამ უყო მაგას ეგ!.. შენმა კუდიანობამ! — დაიყვირა, რაც ხმა ჰქონდა, მარკოზამ: — ვითომ და არ იცოდე?! იმისათვის მოდი, რომ მაგის წვალების ყურებით დამტკბარიყავი?! მარა სად წამიხვალ ახლა, სად წამიხვალ!.. — უყვიროდა მარკოზა გაფითრებულ მოხუცებულ ქალს, რომელიც გრძნობადაკარგულივით მისჩერებოდა ამ გამხეცებულ კაცს. — ვერსად ვერ წამიხვალ, ვერსად!.. გესმის თუ არა? — ყვიროდა ისევ მარკოზა.

— ხომ არ გადარეულხარ! — შეუტია გაოცებულმა ფეფენამ: — ხომ არ გადარეულხარ... ახლავე კარი გამიღეთ!.. — და მან კარებისაკენ მიიწია, მაგრამ მარკოზამ ხელი სტაცა და უკან დაახევინა.

— სად მიხვალ? სად წამიხვალ?

— გამიშვი, გეუბნები!.. ხელი გამიშვი! ბიჭო, ნიკა, კარი გააღე ახლავე... გესმის, ბიჭო!

— ვერ გავაღე, დედა, ვერა! — მოისმა ნიკას ხმა.

— რატომ ტანჯავ, რაზე აწვალებ, შე შეჩვენებულო?.. აღარ

გეყო მაგის წამება, ვერ გაძეხი? შე წყეულო, სული რომ არ წაგაწყმედინე, ხორცს რას ერჩი, მითხარი? — და მარკოზა რაც ძალა და ღონე ჰქონდა მოხუცებულს ხან იქიდან წაჰკრავდა მუჯლუგუნს, ხან აქედან. ფეფენა კი ამ სიტყვებით გაკვირვებული იძახდა: — „რეებს ამბობ, შე უგონო, რას სულელობ?“ — და თან საზარლად ყვიროდა, მაგრამ მარკოზამ ყურიც არ ათხოვა ამას, მოჰხვია ხელები ფეფენას, მიათრია ბაგასთან, მოხსნა ბაგაზე ჩამოკიდებული ხარის დასაბმელი ბაწარი, ესმას დახმარებით შეკრა მოხუცებული დედაკაცი და გადაბაწრული მიწაზე დააგდო.

— მიშველეთ, მიშველეთ! — შესაზარი ხმით გაჰკიოდა ფეფენა.

— მოიტა აქ ნალი! — გადასძახა მარკოზამ ცოლს; თვითონ კი ფეფენას თავს დაადგა და ნიშნის მოგებით ეუბნებოდა: — სად წამიხვალ ახლა, სად წამიხვალ, შე კუდიანო!.. ახლავე დაგიკარგავ მაგ შენს ძალას!.. ახლავე მოგარჯულებ მე შენ!.. მალე, დედაკაცო!

ესმამ გამოჩხრიკა ცეცხლი, გამოიღო საკეცით გავარვარებული ნალი და მარკოზასაკენ წაიღო.

— მამა! მამა!.. რას შობი?.. რას შობი, მამა! — წამოვარდა ამის დანახვაზე ლოგინიდან მარინე: — მამა, შენი ჭირიმე... მე მომკალი, მე!.. ნუ შობი მაგას!.. დედა, იქით! — დაიწივლა მან და ესმას ხელიდან გაგდებინა საკეციც და ნალიც.

— ახლავე მორჩები, შვილო, გვაცალე! —წამოიძახა ესმამ.

— მამა, ნუ მკლავ, ნუ მკლავ, მამა! — და ღონემიხდილი კისერზე ჩამოეკიდა მარკოზას.

— მაცალე! .მაცალე, გეუბნები! — გაჯავრებით მიაძახა მარკოზამ: — დოუდაღავი რავა გადამირჩება მაგ შეჩვენებული!

ყვირილისაგან ხმაჩახრინწებული ფეფენა ისევ შველას ითხოვდა. კარებთან კაცების ხმა მოისმა, ეს ნიკამ შეჰყარა მეზობლები.

— მარკოზა, კარი გააღე, კარი გააღე, მარკოზა! — იძახოდნენ და თან კარს აწვებოდნენ.

— მაცალე, ბოშო, მაცალე! წეიყვანე ეს სულელი იქით! — მიაყვირა მარკოზამ ესმას და თან ისე ღონივრად შეინძრა, რომ მარინესაგან თავი გაითავისუფლა, მაგრამ მარინემ თავი ვეღარ შეიმაგრა და მიწას დაასკდა მძიმედ.

განთავისუფლებულმა მარკოზამ უცბად დაავლო ხელი საკეცეს, აიღო მით მხურვალე ნალი და მიიტანა იგი ფეფენასთან, რომელსაც შიშისაგან ხმა დაჰკარგოდა და გველივით კლაკვნა დაეწყო.

— ხედავ ამას, ხედავ?! — ყვიროდა მარკოზა — ხედავ ამას!? აი, შენი რჯული, შენი რჯული! — და გამხეცებულმა მარკოზამ გახურებული რკინა თეძოზე მიადო ფეფენას.

სახლში მყრალი, ნამწვავი ჭინჭის სუნი დადგა. ამ დროს კარიც ჩამოგლიჯეს და სახლში შემოცვივნულმა გლეხებმა ცოცხალ-მკვდარ ფეფენას მოაშორეს მარკოზა, შემოხსნეს ქალს ბაწარი და გარეთ გაიყვანეს ჰაერზე.

საშინელმა კივილმა შესძრა იქაურობა. ესმა, რომელიც მიწაზე დაცემულ მარინესთან ფუსფუსებდა, საზარლად ღრიალებდა:

— შვილო, მარინე!.. მარინე!.. მიშველეთ... ვინ ხართ ქრისტიანი, მიშველეთ... კვდება, კვდება!.. მარინე, შვილო! — ყვიროდა საცოდავად დედაკაცი.

— ჰა, მოკვდა?!. — იყვირა მარკოზამ და მარინეს მივარდა: — მარინე, შვილო! მარინე!.. — და რა შეხედა მიწაზე უსულოდ მდებარე შვილს, მოხუცებულმა ღონივრად ასწია საყვარელი გვამი, გულში ჩაიხუტა და თან გულსაკლავად გასძახა:

— შვილო! გაწვალებულო შვილო!.. მარინე, შენი ჭირიმე! ვაიმე, ვაიმე, ვაიმე! — და მარკოზა გაციებულ პირისახეს უკოცნიდა მიცვალებულს.

1894 წ.

სოლომან მორბელაძე

— პატარა ხანს მოითმინეთ, ბატონო, და სოლომანიც გიახლებათ საცა არის!

— დამაგვიანდება... დღიურ ვეღარ მივალ სახლში... უმთვარო ღამეები გახლავთ... გზაში გამიჭირდება... თვითონ იცით, რა გზებია, მერე ჩვენსკენ... მე გიახლებით და ამის მთხოვნელი ვიქნები, თქვენვე მოახსენოთ სოლომანს ყველაფერი... გაჭირვება რომ არ მადგეს, ღმერთმანი, არც კი შეგაწუხებდით... თქვენი იმედით ვიქნები, ჩემო ბატონო... მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — თქვა ეს კარგა მოხუცებულმა, მაღალი ტანის კაცმა, ხელი ჩამოართვა ქალს, რომელსაც ელაპარაკებოდა და კიბეზე ჩამოსვლა დააპირა. სწორედ ამ დროს ქალმა წამოიძახა:

— ჰე, ბატონო, სოლომანიც ეგერ მოდის!

მართლაც, ღია ჭიშკარში შემოიჯირითა მოჩაქჩაქე ჯორით მამაკაცმა, რომელსაც თავზე პატარა ქუდი ეხურა და მხარზე უაბალახი ჰქონდა გადაგდებული.

ეს იყო აზნაური სოლომან მორბელაძე.

— შენ არ დამენახე, პლატონ, და სხვა არაფერი მინდოდა! — შესძახა სოლომანმა მოხუცებულს, როცა ჯორიდან ჩამოხტა და შეგებებულ პატარა ბიჭს გადასცა მადლიანი პირუტყვი.

— რა კაი გუნებაზე ვიყავი მერე... უღვთო კაცი ყოფილხარ, პლატონ ჩემო, ღმერთმანი! — და სოლომანმა გულიანად გადიხარხარა და ხელი ჩამოართვა პლატონს.

— მალე, მალე გაგისტუმრებ... მალე მოვიშორებ თავიდან შენს ვალს... ცოტა ფეხის გადადგმა შემეზარა, თვარა ფულს ვერ ვიშოვიდი მე?! მართლა, ისე დაგლახაკებული კი არა ვარ, ზოგიერთი აზნოუშვილი რომ გინახავს... უფულობას რომ შეუშინებია, ცხვი-

რები ჩამოუშვიათ და არ იციან, რა ქნან! ცოტა კიდევ მომცთმინე და თელათ დაგიბრუნებ იმ შენს ფულს...

— რა ვქნა, მე ერთი გაჭირვებული კაცი ვარ... შენოდენი მე აღარც სიარული შემიძლია, აღარც სხვა რამე საქმე... რაცხა ეშმაკად შვილი შევიყვანე სასწავლებელში, ქე ვნანობ ახლა, ნამეტანი ხარჯი უნდება... ბოვშიც ტირის და იხვეწება, სასწავლებლიდან არ გამიყვანოო... სწავლის ფული მაქვს შესატანი და ამისათვის მოვედი შენთან... რომ არ შეგაწუხო, მეტი გზა არა მაქვს... ვადაც ქეა გადასული, შენ რომ ფულების დაბრუნებას შემპირდი... ბოვშს გამომიგდებენ და ნუ ჩადგები ჩემს ცოდვაში...

— ჩემს შვილს, ჩემო პლატონ, უშველებელი კალამი უჭირავს ხელში... ისე მშვენივრად ურტყამს მიწას, რომ მოგეწონება, რომ უყურო... არ ეკადრება, მართალია, თოხი აზნოუშვილს, მარა მეტი გზა არაა, თვითონაც იცი!

— ქე ამხელ მერე შენს სიგლახეს? — დაატანა სოლომანის ცოლმა ეფროსინემ, რომელიც წეღან ესაუბრებოდა მოხუცებულს.

— რა ვუყოთ... დრომ ასე მოიტანა!.. აბა, პლატონ ჩემო, ერთი თვე მაძროვე კიდევ და მერე მე ვიცი და ჩემმა კაცობამ!..

— ერთი თვე?.. — ჩაფიქრდა პლატონი:—ბატონო ბრძანდები,— თქვა მან ცოტა ხნის შემდეგ. — მეტი ხნით გადადება კი აღარ შემიძლია, სოლომან!

—არა, არა, პლატონ, შერცხვენილი დამიძახე, თუ ერთ თვეს გადავაცილო, ის შენი ფული არ ჩაგაბაროო!.. მაგის გულისთვის დავრბივარ აგერ ერთი თვეა... მაშვლობა მაქვს გამოწყობილი და, იცოცხლე, კაი ასაღებიც მქონდეს! ევიღებ და იმწამსვე ჩემი ხელით მოგიტან... ცოლ-შვილს გეფიცები...

— აბა, იმედი მაქვს, სოლომან!

— პატიოსან სიტყვას გაძლევ... როგორც ევიღებ საშაშვლოს, იმწამსვე შენთან გამოვწევ!.. და რომ ევიღებ, ეჭვი არ უნდა!..

— აბა, ისე მივდივარ ახლა, თითქოს ჯიბეში მეგულებოდეს ის ფულები... მშვიდობით ბრძანდებოდეთ!.. — და პლატონმა წასვლა დააპირა.

— გული რომ გაგიკეთე, იმიტომ მტოვებ, შე კაცო?! ეფროსინე! — დაიძახა სოლომანმა.

— რა იყო? — იკითხა ეფროსინემ, რომელიც პალატიდან გამოვიდა, სადაც ჯორის დასახედავად იყო წასული.

— ხელად ერთი საუზმე მოგვართვი, თუ ქალი ხარ!

— აჰ, შენ არ მომიკვდე, მე დარჩენა არ შემეძლოს... უსათუოდ ახლავე უნდა წავიდე! — გაიწია პლატონმა.

— შენ არ მომიკვდე, მე შენ არ გაგიშვა!.. ბიჭო! — დაიძახა სოლომანმა: — პლატონის ცხენს უნაგირი მოხადე!

— შენ არ მომიკვდე, შენ, სოლომან, მე დარჩენა არ შემეძლოს!.. — და პლატონი უკან-უკან იხევდა, სოლომანის ხელებიდან თავის ხელის განთავისუფლებას ცდილობდა. — სახლში მაქვს დაბარებული, უსათუოდ მოვალ ამაღამ-თქვა, და რომ არ მივიდე, ჯავრით მოკვდებიან... გამიშვი, შენი ჭირიმე... შემომაღამდება... მერე ვეღარ ვიცი!

— დაგაწვენ, დაგახურავ, დაგაძინებ... დილით ადრე ადგები და წახვალ, შე კაცო!.. — არ ეშვებოდა სოლომანი.

— მოითმინეთ, ბატონო! — შეეპატიჟა ეფროსინეც.

— მადლობელი ვარ, ჩემო ბატონო... მეტად მადლობელი ვარ, მარა ნურას უკაცრავად... სწორედ რომ არ შემიძლია... მომიტევეთ, ნუ მიძრახავთ ჩემს უზრდელობას... მშვიდობით ბრძანდებოდეთ!..

— კაია, შე დალოცვილო!.. — მაინც არ ეშვებოდა სოლომანი.

— ნუღარ აწუხებ მეტს... თუკი ასე ეჩქარება! — მიმართა ქმარს ეფროსინემ.

— ღმერთმანი, ერთობ მოგალხენდი, იმისთანა გუნებაზედ ვარ, მარა, თუ ჩემთან არ გესიამოვნება ერთი სტაქანი ღვინის დალევა, ღმერთმა მშვიდობის გზა მოგცეს, ჩემო ბატონო!

— მაგას რატომ ამბობ, კაცო?!. დრო არა მაქვს, თვარა ამდენი ხვეწნით რავა შეგაწუხებდი!.. მადლობელი ვარ... მადლობელი ვარ!.. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!..

პლატონმა ხელი ჩამოართვა ეფროსინეს, მერე სოლომანი გაიტანა გვერდზე და ხმამაღლა უთხრა:

— სოლომან, მომკლავ, თუ ამ ერთ თვეში არ მომეცი!..

— პატიოსანი სიტყვა მოგეცი და სხვა ახლა რითი დაგაჯერო უფრო!.. გეუბნები, გათავებული მაშვლობა მაქვს, ერთი ექვსი თუმანი მერგება და ის იქნება!

— შენი ჭირიმე, შენი, ჩემო სოლომან!.. თუ გინდ გეჩუქნოს, ისე ჩავთვალი...

— ლაპარაკი აღარ უნდა მაგას!

— მშვიდობით, შენი ჭირიმე! აბა, შენ იცი, სოლომან! — ვეღარ მოითმინა, კიდევ ერთხელ არ შეხვეწნოდა სოლომანს. შემდეგ მოხსნა ბროწეულთან მიბმული თავისი ძალზე გამხდარი ცხენი, შეჯდა ზედ და, რომ ცხენის სიძაბუნე არ შეენიშვნინებინა, ორიოდე წკეპლი გადაჰკრა; მაგრამ ღონემიხდილმა, მშიერმა პირუტყვმა ისევ ზანტად გადაადგა ფეხები და მხოლოდ კუდი მიექნ-მოიქნია, თითქოს

ამით ის უნდოდა ეთქვა, რომ ცემა-ტყეპას დიდი ხანია შეჩვეული ვარ და ეგ ვერ ამაჩქარებსო.

სოლომანმა ჭიშკრამდი მიაცილა პლატონი და, როცა სახლს მიუახლოვდა უკან გამობრუნებული, აივნის დასტანდაზზე გადმოწოლილ ეფროსინეს შესძახა:

— არ მომკლა ამ უხეირომ თავისი გაუთავებელი ხვეწნით!.. სულ ამომართვა კინაღამ ოჯახდაქცეულმა!..

— სხვანაირი გულისაა მაგ დალოცვილი, თვარა მაგის ადგილას სხვა ხვერწნას კი არა, პრისტავით მოგადგებოდა კარზე!.. უსათუოდ გიჩივლებდა! — მიუგო ეფროსინემ.

— მიჩივლოს და, კაცი არ ვიქნები, ორი იმოდენი, რაც მმართებს, ზედ არ დავახარჯვინო, სანამ ამოიგებს... ისე იცოცხლა სოლომანმა... ისევ სიამტკბილობით თუ რამეს გამომრჩება, თვარა საჩივრით და პრისტავებით ბევრს ვერაფერს მოიგებს!..

სოლომანი აივანზე ავიდა და ნამგზავრი, დაღლილი, დასაჯდომად გაყოლებულ აივნის ფიცარზე გაწვა.

— რატომ ხარ ასე წინდაუხედავი, შე უპედურო?! — წყენით უთხრა ეფროსინემ.

— რა იყო, შე ქალო? ცუდი რა ექენი?

— აბა, რომ ეპატიჟებოდი იმ კაცს, მისატანად რა გეგულებოდა სახლში?! ნეტავი შენ კუდაბზიკობა არ გჭირდეს და სხვა არა მინდა რა!.. რომ დარჩენილიყო, რას აპირობდი?!.

— ერთი-ორი შეპატიჟებით რავა დარჩებოდა, შე ქალო!.. გადამთიელი ხომ არ არი, ჩვენებური ჩვეულება არ იცოდეს... შეეპატიჟე, ვალი მოვიხადე... ისე ხომ ვერ გავუშობდი, ასე არ მეთქვა... იმის შეგეშინდა, რომ არაფერი გვაქვს?!. თუ არ გვაქვს — გვექნება, გვექნება!.. იმისთანა ტკბილინა წითელ-წითელ თუმნიანებს მოგიტან, რომ თვალები აგიჭრელოს... ექვსს ერთად... როგორც კაცი!.. ორ თუმანს პლატონს გადვუგდებ, იმას თავიდან მოვიშორებ... ოთხი თუმანი დაგვრჩება, ნახევარ წელიწადს ქე გვეყოფა და მერე კიდევ გავასაღებ სადმე ერთ გვრიტს და იქიდანაც ხელის ჭუჭყი შემოგვიეა!.. შენ დარდი ნუ გაქვს... გული არ გეიტეხო, მხიარულად იყავი... ჯერ ხომ არაფერი წამიხდენია?..

— შენ სულ ასე იძახი და საქმით კი კაი ხანია ვერაფერი დევინახეთ!.. მარტო წანწალს უნდები, სხვა არაფერი გამოდის ამ შენი ახალი მაშვლობიდან!..

— რატომ არა, შე ქალო?.. ყოლიფერი გათავებულია...

— გაათავეთ მოლაპარაკება?

— რასაკვირველია!

— რაზე შეათანხმე?

— ბესარიონმა უნდა მისცეს ქაიხოსროს ორმოცი თუმანი ფულად, ოცი თუმნის ვექსილი და ოცი თუმნის ბარგი!..

— სად შეუძლია მერე ბესარიონს მაგდენის მიცემა?.. სადა აქვს მაგის შეძლება იმ უბედურს?.. რა დრო მოვიდა, შენი ჭირიმე!.. — მწუხარებით წარმოსთქვა ეფროსინემ.

— უნდა იშოვოს, მეტი რა გზა აქვს!.. უმზითო ქალს ვინ მოჰკიდებს ხელს?! იშოვის... ნაშოვნიც აქვს... გამოსტყუებს ვისმე, ცოტა ადგილსაც გაჰყიდის და შეაგროვებს... ამას ლაპარაკი არ უნდა, და ამასთან ერთი დროით რომ ვახშამს მაჭმევდე და დამაძინებდე, ძალიან დაგიმადლი, იმიტომ რომ ხვალ დილით ბესარიონთან უნდა გავსწიო. ჯვარისწერის დღე უნდა დავანიშნინო...

— თუ ღმერთი გწამს, მალე გადარჩი მაგ საქმეს... ტყვილა წანწალს ნუ უნდები...

— მაგ წანწალით ვშოულობ, შე დალოცვილო, ორიოდე გროშს... საქმის გათავება მეც ძალიან მეჩქარება, იმიტომ რომ ქე მეშინია, არ ჩამეშალოს... ბესარიონის შვილი ყელში დანას იყრის, ბევრ მზითევს აძლევთო და, თუ ვინმე გამოუჩნდა ნაკლები მზითვით წამყვანი, ქე გაატანენ იმ ქალს და მე დავრჩები პირდაღებული... ამის შიში რომ მაქვს, იმიტომ დავწანწალობ იქით-აქეთ... მონდომებული ვარ სულდაუთქმელად გავათავებიო საქმე!..

— არ ვიცი, არ ვიცი, რომ ბესარიონმა იმდენი ხარჯის გაწევა შეიძლოს! — ეუბნა თქვა ეფროსინემ.

— მეტი რა ღონე აქვს!.. ოღონდ კუჭის გასაძღომი მიშოვე დროით და დანარჩენი მე ვიცი.

ეფროსინე წამოდგა და ქმრის თხოვნის ასასრულებლად წავიდა. სოლომანმა, ვიწრო საჯდომ ფიცარზე გულაღმა გაშხლართულმა, მალე ხვრინი ამოუშვა.

შუა დღე იქნებოდა, სოლომანი რომ აზნაურ ბესარიონ საქარაძისას მივიდა მეორე დღეს.

პატარა დაბალკედლებიან სახლის აივანზე მოშვებული ჩოხით, ჩიბუხით ხელში მოსიარულე ბესარიონმა როგორც კი დაინახა სოლომანი, ხმამაღლა გადმოიძახა:

— გიგოია, ბიჭო, გიგოია!

დაძახებაზე ოდის გვერდზე მდგარ სამზარეულო სახლიდან გამოვიდა პატარა ბიჭი.

— ჯორი ჩამოართვი, ბიჭო! — უბრძანა ბესარიონმა.

სოლომანმა მისცა ჯორი პატარა ბიჭს, ჩამოუშვა ჩოხის აკეცილი კალთები, გაიბერტყა მტვერი, გადაელაპარაკა ბიჭს: — აბა, ბი-

ქი, შენ იცი, ჯორს კარგად მიჭმიე, — დაბალი კიბე ცქვიტად აირბინა და ავიდა აივანზე.

— დილა მშვიდობის, სოლომან ჩემო! — შეეგება ბესარიონი.

— ღმერთმა შენი თავი მიცოცხლოს, ჩემო ბატონო! — მიუგო სოლომანმა და ჯორისკენ გადმოიხედა.

ამ უკანასკნელს მაღლა აეღირა თავი და პატარა გიგოიას უძალიანდებოდა, ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან, თუმცა საწყალი ბიჭი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ლაგამში ექაჩებოდა.

— ჩიშ, ჩიშ! შე ეშმაკის კერძო! — გადმოსძახა სოლომანმა. — გასაძღომად მიჰყევხარ, შე უბედურო! ჩიშ, ჩიშ!

ჯორმა თითქოს გაიგოო პატრონის სიტყვა, გაჰყვა ბიჭს.

— მაგ საწყალს ჰგონია, სახლშა რომ ტყვილა თავჩამოკრული აბია, აქაც ისე დამემართებაო, და თავის გუნებაში ისევ გარეთ, წმინდა ჰაერზე ყოფნას რჩეობს! — სიცილით თქვა სოლომანმა.

— სწორედ კარგი ჯორი გყავს, სოლომან, მე და ჩემმა ღმერთმა! — უთხრა ბესარიონმა და თავისი გრძელი ულვაშები გადაისწორა.

— შე დალოცვილო, პატრონი აქე, პატრონი, თვარა ჯორს ქებაგინების რა ესმის! — გადიხარხარა სოლომანმა.

— პატრონი ხომ არი და არი... მაგას რაღა ლაპარაკი უნდა!

— ყოჩაღი, ყოჩაღი, ბესარიონ ჩემო!

და სოლომანი ის იყო დაეპირა მოჰყოლოდა ქაიხოსრო ქათამაძისაგან შემოთვლილ ამბავს, რომ აივანზე გამოვიდა ორი ქალი. წინ მომავალი მაღალი ტანისა, გამხდარ პირისახეზე ბაღდადით თავმოხვეული, იყო ბესარიონის ცოლი პელაგია; ამას რომ მოჰყვებოდა მაღალი შავთვალწარბა, ლამაზი პირისახის ყმაწვილი ქალიშვილი, თავშიშველა, წელზე გადაგდებული ორი გრძელი ნაწნავით — იყო ბესარიონის ასული ელპიტე, რომელსაც ურიგებდა სოლომანი ქაიხოსრო ქათამაძის შვილს. ყმაწვილი ქალი დედის შემდეგ მორცხვად მივიდა სოლომანთან, ჩამოართვა ხელი და ისევ დედას ამოეფარა.

— დაბრძანდით, ბატონო! — თავაზიანათ შეეპატიჟა პელაგია სტუმარს.

— გახლავართ, ჩემო ბატონო! — და როცა ქალები დასხდნენ, თვითონაც ჩამოჯდა მოშორებით გრძელ ფიცარზე, რომელიც სკამის მაგივრობას სწევდა.

— ხომ შვიდობით ბრძანდებით, ბატონო? — მოიკითხა სოლომანმა პელაგია.

— გახლავართ, შენი ჭირიმე!.. — უპასუხა მან: — თქვენ, ბატონო?

— გმადლობთ... გახლავართ, ისე!..

— კაი დაგემართოსთ! — წაილაპარაკა პელაგიამ...

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

—ნამეტანი სიცხე დეიკავა... ერთობ შეგვაწუხა სიცხემ აქეთ...— დაიწყო პელაგიამ.

— ჩვენც, ბატონო, ჩვენც!

— შარშან არ ყოფილა ამ დროს ამისთანა სიცხე... უფრო გრილი იყო... წვიმებიც იყო... ახლა კი...

— კი, ბატონო, კი!.. წრეულს წვიმა სულ არ ყოფილა თითქმის... დეიწვა ქვეყანა, თქვენი მტერი დეიწვას!.. უგუნებოდ ამბობდა სოლომანი და ბესარიონმაც შეამჩნია, რომ ეს ყოვლად უმნიშვნელო ლაპარაკი აწუხებდა სოლომანს. ამასთანავე თვითონაც ეჩქარებოდა მალე გაეგო, თუ რა ამბავი მოუტანა მაშვალმა, მაგრამ ელპიტეს აქ ყოფნა უშლიდა. ამიტომ მოინდომა, ქალიშვილი თავიდან მოეშორებინა.

— რა დროს შარშანდელ ამინდზე მუსაიფია, შე ქალო! — უთხრა ბესარიონმა ცოლს. — მაგ კაცი ნამგზავრია და, რაღა ლაპარაკი უნდა, მშიერია... შეეცადეთ, დროზე იქნეს სადილი... შიმშილით ნუ მოპკლავთ მაგ კაცს... წადი, შვილო ელპიტე, დააჩქარე, მალე დაგვაჯინე სუფრაზე.

ელპიტე მამის სიტყვაზე წამოდგა და წასვლა დააპირა.

— მეც ახლავე მოვალ, შვილო! — დაატანა სიტყვა პელაგიამ, — მანამდის შენ მიხედე, შვილო!

— კი, ბატონო! — თქვა ყმაწვილმა ქალმა და ბრძანების ასასრულებლად წავიდა.

აივანზე დარჩნენ ბესარიონი, პელაგია და სოლომანი. სოლომანსაც ეს უნდოდა. შევიდა თუ არა ოთახში ელპიტე, მარდად წამოეარდა თავის ადგილიდან, მიიწია ცოლ-ქმრისკენ და ხმადაშვებით, რომ სხვას არავის გაეგონა მისი სიტყვა, დაიწყო:

— საქმე ისე მოვყარე, როგორც თქვენ გსურდათ... — და სოლომანმა თავმომწონედ გადახედა ჯერ ცოლს, მერე ქმარს. — ქაიხოსრო, თქვენი სამძახლო, თანახმაა მიიღოს ოცი თუმნის ვექსილი, ასე რომ ხელზე მისაცემი გექნებათ ორმოცი თუმანი და ოცი თუმნის ბარგი... ბარგი უნდა შეფასებული იქნეს ორი კაცისაგან... ვექსილი სამი წლის ვადით... მგონია, რომ ამაზე უკეთესი პირობები შეუძლებელია.. მართალი უნდა თქვას კაცმა, ქაიხოსრო ერთობ პატიოსნურად მოგეპყროთ... ღმერთმანი! იმას რომ შვილი ჰყავს, თქვე დალოცვილებო, იმისთანა ყმაწვილები ასთუმნიან ქალებს არ ჯერდებიან... მარა, ერთი რომ თქვენი ქალი მოსწონთ მამა-შვილს და ამასთან მეც ისე შევუჩდი, ისე შევუჩდი, რომ საშველი აღარ მი-

ვეცი, არც სხვაგან გოვუშვი და არც არავინ მივაკარე მაშვლად მისულიყო, და დევითანხმე ყორიფელზედ კიდევაც!.. ორასი მანეთის ვექსილს რომ აძლევთ, ჩასათვალავიც არ არი... იმიტომ, რომ სამი წლის განმავლობაში უფრო შეთვისდებით, დაუახლოვდებით ერთმანეთს, უფრო დამოყვრდებით — ერთი სამი წლით კიდევ გადროვებს, მერე კიდევ გამოაცვლევინებთ ვექსილს და ერთ დღეს შეიძლება კიდევაც ამ ვექსილს ჩაილულის წყალი დაალევინოთ!.. რავა დევიჯერო, შვილმა გიჩივლოსთ!.. მძახალმა ამასობაში ეგებ ფეხებიც ქე გაჭიმოს!.. — და აქ სოლომანმა გულიანად გადიხარხარა.

— არა, შენი ჭირიმე, მაგას რატომ იფიქრებთ, — იწყინა სოლომანის რჩევა პელაგიამ. — ჩემ შვილს მე რასაც თვითონ შევპირდი, უკლებლად უნდა ჩავაბარო დანიშნულ დროზე... შვილს რავა მოვატყუებ!..

— რასაკვირველია, რასაკვირველია! — დაატანა სიტყვა ბესარიონმაც. — რაც გადაწყვეტილი იქნება, მე ჩემს შვილს უსათუოდ უნდა მივცე!.. მოტყუება რაში მეუბრევება!..

— სიტყვას მოჰყვა, თვარა მეც კარგად ვიცი, რომ თქვენ ამგვარ რამეს არ იკადრებთ... — სიცილით თქვა სოლომანმა, თუმცა გუნებაში დარწმუნებული იყო, რომ ბესარიონი ყოველ ღონისძიებას იხმარდა ვექსილის ტყუილად შერჩენისათვის. — სიტყვას მოჰყვა, თვარა ან მე რავა გირჩევთ მაგისთანა საქმეს? მე არ გამლანძღავს შენი სიძე, ის ოცი თუმანი რომ დეეკარგოს? რამდენს შემომიკურთხებს! ჩემი თავის მტერი ხომ არ ვარ, თქვე დალოცვილებო!.. არც ამ ხელობაზე ვიღებ ხელს... ამით ვშრულობ ცოტ-ცოტას, თითო-ოროლა გროშს... და, ნამეტანი ტყუილები რომ შემომერიოს, ვინღა მენდობა!.. ის კი არა, ამას გეხვეწებით, რომ, თუ ღმერთი გწამთ, ბარგი ისე გამოაწყვეთ, რომ ლაპარაკი არაფერი იქნეს, ოც თუმანზე მეტად თუ არა, ნაკლებ არ შეაფასონ... თუმცა შემფასებლებსაც, ვინც იქნება სულ ერთია, თითო-ოროლა კაპიკს ვარგებთ და ჩვენს ნებაზე შეაფასებენ, მარა მაინც ქაიხოსროსთან გაფრთხილებული უნდა იყვეთ... ცოტა ანგარაშის მოყვარული კაცია... კარგ მოყვარეს კი შოულობთ, როგორც კაცი!.. სწორედ კარგ მოყვარეს შოულობთ. მერე სულ იაფად. ყმაწვილია იმისთანა, რომ ქება აღარ უნდა, თვითონვე იცით... მართალია, აზნოუშვილი არ არის, მაგრამ სასულიერო წოდების კაცია, და დღეევანდელ მღვდლებს უზრუნველი ლუკმა რომ აქვთ, ბევრ თავადიშვილს არა აქვს... ამას ყველა ვხედავთ... ეპისკოპოზს მოუწერია იმ ყმაწვილისათვის, თქვენი სასიძოსათვის, და აჩქარებს — მალე ცოლი შეირთეო, კურთხევა მინდა შენიო. საცხა კარგ, დიდ მრევლიან ეკლესიაზე ამწესებს და

თან პირდება, შენს სოფელში გადაგიყვან ამ მოკლე ხანშიო... ერთი სიტყვით, ბედი ჰქონებია თქვენს ქალს.

— კი, რასაკვირველია, ყველაფერი ასე სასიამოვნოა, სოლომან ჩემო, მარა... — და ბესარიონმა სიტყვა გააგრძელა.

— რა მარა, აჰ? — ეუცხოვა სოლომანს ეს სხვანაირ კილოზე ნათქვამი სიტყვა; იგი სრულიად სხვას მოელოდა ბესარიონისაგან.

— რა მარა, რა? — ჩააცივდა სოლომანი ბესარიონს, მაგრამ პასუხი ვეღარ მიიღო, იმიტომ რომ ამ დროს აივანზე გამოვიდა ელპიტე და მოახსენა:

— მზად გახლავსთ, ბატონო, სადილი!

— ახლავე, შვილო, ახლავე მოვალთ!.. აბა წამობრძანდი, სოლომან! — უთხრა ბესარიონმა სოლომანს.

— მობრძანდით, ბატონო! — მიიპატიჟა თავის მხრივ პელაგიამაც.

— გიახლებათ, ბატონო! — თქვა სოლომანმა და ისევ ბესარიონს მიუბრუნდა: — რაია, რა? რატომ თქვი შენ ისე სხვანაირად: მარაო?

— მერე, შე კაცო, მერე... ნასადილევს უფრო კარგად და თავისუფლად მოვილაპარაკებთ... ახლა სადილი ვეჭამოთ!..

— ბატონი ბრძანდები! — უკმაყოფილოდ თქვა სოლომანმა, რომელსაც ამ „მარამ“ გული ატკინა, თავზარი დასცა... ვაი თუ ბესარიონმა რამე გადიფიქრა და ამდენამდი მოყვანილი საქმე, თითქმის გათავებული, ხელახლად სახლაფორთო და საწანწალო გამიხადოსო? ამ შიშმა იმდენად შეიპყრო სოლომანი, რომ მადა დაუკარგა, ხალისი მოუსპო და ცუდ გუნებაზე დააყენა. სადილმა მეტად უგემურად ჩაიარა: სამაშვლოს დაკარგვის შიშმა მოუსვენრობაში ჩააგდო სოლომანი.

სადილიც გათავდა, სტუმარს ხელსაბანი წყალი მოართვეს და ზალიდან პატარა ოთახში შეიწვიეს მოსასვენებლად. პატარა დაბალ ოთახში, რომლის ჭერს კაცი ადვილად შესწვდებოდა ხელით, უკვე მზად იყო ერთ კედელთან გაყოლებულ ტახტზე მუთაქა და ბალიში სოლომანისათვის.

— აბა, სოლომან, მოისვენე! — უთხრა ბესარიონმა, რომელიც სოლომანს შემოჰყვა ოთახში.

— სწორედ არ დამეძინება, უნდა გითხრა, ბესარიონ ჩემო!..

— რატომ, შე კაცო?.. არ იცი ნასადილევს ძილი, თუ?

— ძილი კი არა... შენ იმისთანა მითხარი ერთი სიტყვა, რომ გამაშტერე და ის არი... ბესარიონ, სწორედ იმისათვის ვარ მოსული, რომ საქმე დავაბოლოვოთ... შორს გადადება აღარ შეიძლება... ეს კაცი თანახმაა იმაზე, რაც შენ თქვი. ახლა ჯვრისწერის დღე უნდა

დაგვინიშნო... დაგვიანება აღარ შეიძლება იმიტომ რომ, როგორც გითხარი, ეპისკოპოზი აჩქარებს იმ უმაწვილს — კურთხევა უნდა მისი... რასაც დამაბარებ, რა დღესაც დამინიშნავ, ქაიხოსროს უნდა გავაგებინო და იმ დღისათვის ისიც მოემზადება...

ბესარიონმა მარჯვენა ხელით გაისწორა თავისი გრძელი ულვაშები, ჩამოჯდა ტახტზე და გაჭიანურებით თქვა:

— ჯერ ერთი რამ საქმე გვაქვს... აჩქარებით, შე კაცო, ქალაქი არ აშენდება!

— რა საქმე? — გაოცებით იკითხა სოლომანმა. — მე ყველაფერი გათავებული მგონია!

— მიჭირს, სოლომან, მიჭირს, ძალიან მიჭირს, ვერ წარმოიდგენ... ბევრი ფულის შოვნა მიჭირდება... მერე ვაჟიც ერთობ ამიხირდა: ბევრს აძლევთ, ჩვენზე აღარ ფიქრობო.

— რაღა დროს მაგაზე ლაპარაკია, ბესარიონ?! — წამოვარდა სოლომანი. — რაღა დროს მაგაზე ლაპარაკია?!

— რა ექნა, სოლომან... სხვა შვილებიც მყავს... ყოველი კაპიკი მილიონია ჩემთვის... სად ვიშოვო, მანეთი კი არა აბაზი, ერთი აბაზი?.. მინდოდა ადგილი გამეყიდა და მით გამესტუმრებია ქალიშვილი, მარა ცალკე შვილი მკლავს, მიწას გვიყიდიო, ცარიელზე გვტოვებო, ცალკე ისიც მაწუხებს, რომ მუქთად უნდათ ჩაიგდონ ხელში მშვენიერი მიწა, რაკი შემატყვეს, რომ ფული მჭირდება... ასე რომ თელად იმ ფულს ვერ მოვუყარე თავი და, როგორც ვატყობ, ვერსად ვიშოვი. იმედი მქონდა ვიშოვიდი, მარა ტყუილი იმედი გამომიდგა...

— რას აპირობ მერე? რას, რას აპირობ? — ეკითხებოდა გაფაციცებული სოლომანი.

— უარი უნდა ვუთხრა მაგ საქმეზე, თუ რომ...

— თუ რომ რაი?.. თუ რომ რაი?..

— თუ რომ არ დამიკლო...

— თუ რომ არ დაგიკლო?! — კინაღამ იყვირა სოლომანმა. — თუ რომ არ დაგიკლო?!!

— ჰო! — წყნარად თქვა ბესარიონმა.

— როგორც კაცი, შენ, ბესარიონ, შენ თვითონ თქვი, მოხერხდება ახლა მაგ?.. მოხერხდება ახლა მაგ?

— რატომ არა? — ისევ დამშვიდებით მიუგო ბესარიონმა.

— შენ არ მომიკვდე!.. მე არ მოგიკვდე!.. ცოლ-შვილი არ დამეხოცოს!.. ყოველად შეუძლებელია... ყოველად შეუძლებელია!..

— შენ თუ მოინდომებ...

— რას მეუბნები მაგას?! რარიგად მოვინდომო, რარიგად? რარიგად მოვინდომო?.. შენგან არ მიკვირს ახლა მაგ! — გაცხარებით

ისროდა სოლომანი. — ქაიხოსროსთან წამომცდეს მაგისთანა რამე და სახლიდან არ გამომაგდებს, თვალებს არ დამათხრევინებს? გამლანძღავს, გამთათხავს, მიწასთან გამასწორებს ის კაცი, ამას ლაპარაკი არ უნდა. მე ვერ ვეტყვი მაგას, და თუ ვისმე პირით შოუთვლით, ნება შენია! ჰმ, ახირებულია, შენ ნუ მომიკვდე! იმ კაცმა გამომგზავნა ჯვრისწერის დღის დასანიშნავად, საქმე გათავებული ჰგონია და ახლა მივიდე და ის ვუთხრა, ბესარიონი ქალს არ მისცემს შენს შვილს, თუ კიდევ ასი მანეთი არ დოუკელი-თქვა! რას მეუბნები, მომკლავს ის კაცი და ის იქნება!

— რა ვქნა, სოლომან, რა ვქნა? რაც არ შემიძლია, არ შემიძლია და არ შემიძლია!

— რაღაზედ მარბენიებდი, შე დალოცვილო, ამდენ ხანს? მუცელში ნაღველი ჩამექცა, გული გამისივდა ამდენი წანწალით, თავი გამისკდა გაუთავებელი ლაპარაკით, ჯორი მოვკალი ამასა და იმას შუა და ახლა მეუბნები, არ შემიძლიაო? პატიოსან კაცთან შეგყარე, საქმე სულ შენდა სასარგებლოდ მოვიყვანე, იმდენი ვეცადე... სიძედ იმისთანა კაცი მოგიყვანე, რომ სიტყვა თქვას ერთი — ათას მანეთს დიდი სიხარულით მისცემენ, ამისთანა კაცი სულ იეფად გიშოვე ჩემი მეცადინეობით, ჩემი რჩევით და ჩაგონებით. კაცი სხვა არ მივაკარე, სხვაგან არსად წასულიყო ქალის საძებრად, და ახლა...

— მადლობელი ვარ შენი, სოლომან, მეტისმეტად მადლობელი ვარ! ჩემს დღეში რავა დავივიწყებ, რაც შენ ჩემი ოჯახისათვის იშრომე!

— განათლებული ყმაწვილი, მდიდარი ოჯახი... ხვალ ჩინებული ღვდელი იქნება... უზრუნველი ცხოვრება, გამოულეველი ლუკმაპური... ჰმ, ეს გაშოვნია ორმოცი თუმნით! ორმოცი თუმნით იმიტომ, რომ ვექსილი რა ჩასათვალავია? ფული ხომ არ გხდება, და სამ წელიწადს შიგნით რა იქნება, ვინ იცის! და ახლა კიდევ დაკლებაზე ლაპარაკობ? არ შემიძლია! წინეთ მაინც გეთქვა! ღმერთო მომკალი, ეს რა ამბავი მომხვედა! რა პირით შევხედო ახლა ივ კაცს? რა ვუთხრა, რითი ვიმართლო თავი? სამარეს მითხრი, ბესარიონ, სამარეს მითხრი და ცოცხალს მაგდებ შიგ, იცოდე... ვილა მენდობა აწი? ჩემს სიტყვას ვილა დეიჯერებს!

სოლომანი გულშეწუხებული უღონოდ დაეშვა ტახტზე და სასოწარკვეთილებით სავსე თვალები ბესარიონს მიაპყრო.

— ძმობას ვფიცავარ, მეც ვნანობ. რატომ შევები მაგ საქმეს, მარა რა ვქნა? უზომოდ ვწუხვარ, რომ თავი ვერ მოვაბი ჩემთვის მაგისთანა სასარგებლო საქმეს...

— მეტი გზა არ არი, საცხა იქნება, უნდა იშოვო ის ფულიც, რაც გაკლია, — რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ თქვა სოლომანმა: — უნდა იშოვო, სადაც იქნება, რამეფერად! რამდენი გაკლია?

— ასი მანეთი! — მიუგო ბესარიონმა.

— ასი მანეთის გულისათვის კარგავ ახლა იმისთანა სასიძოს? ასი მანეთის გულისათვის? — წამოხტა სოლომანი.

— თითქოს შენ თვითონ არ იცოდე, რა ძნელი საშოვარია ასი მანეთი კი არა, ასი კაპიკიც. რომ ჩამომკიდო, გროშ-კაპიკს იმაზე მეტს, რაც ახლა ხელზე მაქვს, გროშ-კაპიკს ვერსად ვიშოვი! ღმერთი მოწამეა, გულით მინდა იმ ყმაწვილის სიძობა, მარა არც ის შემიძლია, ერთ შვილს გადავყვე და დანარჩენი მოვიმდურაო. რა ვქნა, ალარ ვიცი, ღმერთმანი! ნამეტან გლახა დროში ვცხოვრობთ. მე რომ მარტო მიჭირდეს, არაფერი, და ყველას, ყველას რომ გვიჭირა, სად უნდა წევიდეთ, ვისთან მივიდეთ, ვის შეევეხვეწოთ მოხმარება? ვინ ოხერი, ასს კი არა, ორას მანეთსაც რამეს ვეტყოდი, რომ რამე გამეწყობოდეს, რამე გამაჩნდეს! სხვას ხომ არ ვაძლევ — შვილს მიაქვს, მარა, რომ არ გექნება, რა უნდა მისცე? მეგონა, სადმე ვიშოვიდი, რამეს დავაგირავებდი, მარა დასაგირავებელიც რომ ალარაფერი მირჩებაა ახლა მოწყალებასავით ვთხოვ, შემაწიოს ასი მანეთი. მამასაც და შვილსაც ვთხოვ ამას. თუ მიზამენ წყალობას, საუკუნოდ მოსამსახურე ვიქნები მათი, თუ არა და, უნდა დავანებო თავი. ხელი უნდა ევიღო მაგათ მოყვრობაზე!

— მე არ მოვკვდე, ბესარიონ, შენ ასე იაფად ვერსად ვერ იშოვო სიძედ მისთანა ყმაწვილი.

— მაგ მეც ქე ვიცი, მარა რას იზამ კაცი?!

— რომ იცი, თავი არ უნდა დეიზოგო. ასი მანეთისთვის შვილს. კაცი რაება დოუკარგავს ბედს?!. შენგან მიკვირს ეგ ამბავი, თვარა სხვისგან არ გამიკვირდება. შენ რომ გიცნობ, იმიტომ მიკვირს და მართალი გითხრა, ეჭვიც მებადება, სხვა რამ მიზეზი არ იყოს აქ... ყოყმანი რომ დაგაწყებია! — ცოტა ხნის გაჩუმების შემდეგ უთხრა ბესარიონს სოლომანმა. — ბესარიონ, შენს ცოლ-შვილს გაფიცებ, იმ შენ საყვარელ ქალიშვილს გაფიცებ, რომლის გაბედნიერებას ასე მწარედ ეჩქარები, ხომ არავინ შემოგძლევია ამ დღეებში? გაფიცებ იმ შენს შვილს, მართალი მითხარი!

— რალაზე დაგიმალო!

— შემოგეძლია?

— კი!

— იმწამსვე მივხედი! ვინაა?

— არის ერთი ყმაწვილი.

— ქაიხოსროს შვილს ჯობია?

— ჯობნით სწორედ ვერ ჯობია... მარა...

— რაღა მარა, რაღა მარა, შე კაცო? რას გთხოვს? მართალი თქვი, თუ კაცი ხარ!

— სამას მანათს ხელზე და დანარჩენს ისე, როგორც ქაიხოსრო.

— ეს მანეთშია განსხვავება, ეს მანეთში! და ესი მანეთის გულისათვის ცელი განათლებულ ყმაწვილს ვიღაც სოფლის ყრუელაში? კაი, თუ ღმერთი გწამს, კაია; გაშტერებული ვარ, შენგან რომ ამისთანა რაშე მესმის... ჩემს თავს ვფიცავარ... ეს მანეთს ვერ იმეტებ, ვერ იმეტებ და ეგ არი, სხვა არაფერი! — ცხარობდა სოლომანი.

— არ მაქვს, დეიჯერე, შე ქრისტიანო, არ მაქვს, არა!.. ამიტომაც უფრო გლახას ვჯერდები... ება, რა ვქნა?

— ნება შენია, ჩემო ბატონო, ნება შენია! როგორც გიჯობს, ისე მოიქეცი, რასაკვირველია! რა გეეწყობა... მე სიკეთე მინდოდა შენთვის, ღმერთმა იცის, თვარა სხვა ინტერესი მე მაინცდამაინც იმისთანა არც კი მქონებია. სამაშვლოს აღებაზე თუ იტყვის კაცი, მე აქ, შენთან, ზარალშიაც ვარ. შემეძლო ის ყმაწვილი სხვაგან წამეყვანა, სხვა ქალი მეჩვენებია, სადაც ეს თუმანზე არც ალაპარაკებდნენ. ჩემი პირდაპირი სარგებლობა იქნებოდა — ესი მანეთი მერგებოდა სამაშვალო. მარა შენი გულისათვის მევიყვანე აქ... ჩემდა პირად მე დიდი სიამოვნებით სამაშვალოს დაკლებაზე თანახმა ვარ, მარა აქედან ვიცი, რომ ქაიხოსრო არაფრის გულისათვის მაგას არ იზამს... მერე, როგორც გითხარი, მე ვერ ვეტყვი მზითვის დაკლების თაობაზე ერთ სიტყვასაც... მადლობა ღმერთს! არ მეგონა თუ ამ ოჯახში მე ასე შერცხვენილი დავრჩებოდი... ვერც იმას წარმოვიდგენდი, თუ რომ ასე ერთი ფიორის გულისათვის შვილს ბედს დაუკარგავდით! რა გაეწყობა! მე კი არა, ჩემზე უკეთესებს მოსვლიათ ამნაირი შემთხვევა. ალბათ, შევმცდარვარ, ვერ მიმიგნია, სად არი იმ ყმაწვილის ბედი.

იმით უფრო გულნატკენმა, რომ ასე მოულოდნელად ეცლებოდა ხელიდან სამაშვლო ექვსი თუმანი, მწუხარე სოლომანმა რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში, მერე მივიდა ფანჯარასთან და გაყუჩებულმა ეზოში დაიწყო ცქერა. ბესარიონი ხმაამოუღებლად იჯდა ტახტზე.

— მაშვალი ვინ დაგიდის? — ღიმილით იკითხა სოლომანმა, ისე რომ თავი არ მოუბრუნებია ბესარიონისკენ.

ამ უკანასკნელმა ვერც კი მოასწრო პასუხის მიცემა, რომ სოლომანი მოტრიალდა და დაიძახა:

— ძაღლი ხსენებაზე! თავს მოვიჭრი, თუ მე ახლა ამაში ვცდე-

ბოდე!.. სიკოია გლახაკი დეეთრევა მაგაზე! ხომ მიეხვდი, ხომ მიეხვედი? როგორც კაცი, მითხარი, მიეხვედი თუ არა? ხომ?! ე, რავა მოათრევს თავის რაშს... აი, გაგისკდა თავი, შენი ცარიელი თავი!

— სიკოიას სიტყვას რავა ავყვები, შე კაცო! — მიუგო ბესარიონმა.

— თავი მომჭერი, თუ ის მაშვლად არ დაგიდიოდეს! აბა, რა უნდა მაგას შენთან, რას მოეთრევა! — ცხარობდა სოლომანი.

— კაცი კაცთან მივა-მოვა, რა ვუყოთ!

—არა, არა... მაგით მე ვერ მომატყუებ, ბესარიონ ჩემო. ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ და ამას კი არ მოველოდი, რომ შენთან სიკოიას რჩევას და სიტყვას ჩემს რჩევაზე და სიტყვაზე მეტი პატივი ექნებოდა... კაცი აღარ ვყოფილვარ, ღმერთო მომკალი, და ის არი! ბოლოს არ ინანო, ეგ მითქვამს, ბოლოს არ ინანო! ახლა კი მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — და მეტად გაწიწმატებულმა სოლომანმა ქუდსა და ყაბალახს წამოავლო ხელი: — მშვიდობით ბრძანდებოდე!

—რა იყო, შე კაცო? რა მოგვიდა? — წამოვარდა ბესარიონი.

— არაფერი... მოლაპარაკებას არ დაგიშლი და ისაა! — დაცინვით წარმოთქვა სოლომანმა და ზალაში გავიდა.

— სოლომან, მომითმინე!

— ახლავე შინ უნდა წავიდე... უბძანე ჯორი გამომიყვანონ.

— სოლომან, მომითმინე! — ეხვეწებოდა ბესარიონი.

— სწორედ არ შემიძლია და ტყვილა მაკავებ!

— ახლა ასე გულმოსულად შენი წასვლა... ღმერთმანი, სიკვდილია ჩემთვის... არ დეეძებ იმ ოხრიშვილს!

— რატომ, რატომ! — დაცინვით თქვა სოლომანმა.

— მომითმინე, სოლომან... ვილაპარაკოთ... ეგებ რამე საშვალება მოვიგონოთ... საქმეს ვუშველოთ... უშენოდ მე ვერაფერს მოვახერხებ იმაზე მეტს, რაც ვქენი!

— შენ არ მომიკვდე, მე ერთ წამსაც აქანა დადგომა არ შემეძლოს! სალაპარაკო რაღა გვაქვს?! ჰმ, მადლობა ღმერთს ჰქონდეს, კაცი ყველაფერს შეესწრები! — მწარედ ჩაიცინა სოლომანმა და აივანზე გავიდა.

— ვეხვეწები და აღარ მოგვიცადა სოლომანმა! — უთხრა ბესარიონმა პელაგიას, რომელიც აივანზე ემუსაიფებოდა ახლად მოსულ სტუმარს, გამხდარი პირისახის კაცს, რომელსაც ისე ჰქონდა გაბურძგნული თმა და წვერი, გეგონებოდათ, ამ კაცს სავარცხელი იშვიათად სვერია ხელშიო. ეს იყო ის სიკოია, რომლის დანახვამ ასე თოფის წამალივით ააფეთქა სოლომანი. მეტად ღარიბი აზნაური. იგიც. სხვა ზოგიერთივით, დადიოდა მაშვლად აქა-იქ და ამით შოულობ-

ლა თითო-ოროლა მანათს და ასე გაქონდა წლიდან-წლამდე თავ-
ოასაკვირველია, დიდი გაჭირვებით.

სოლომანმა ცივად ჩამოართვა ხელი სიკოიას და მერე პელაგიას
ოან მიეიდა გამოსამშვიდობებლად.

— რატომ ასე მალე მიბძანდებით, ბატონო? მოგვიცადეთ ამა-
ღამ! — უთხრა პელაგიამ.

— საჭირო საქმე მაქვს, ოჯახში უნდა გიახლოთ უსათუოდ...
�adlobt... მშვიდობით ბძანდებოდეთ!

სოლომანი გამოეთხოვა ყველას და გაწიწმატებული სულ ჩაქ-
ჩაქით მიარბენინებდა თავის პატარა ჯორს.

ბესარიონი თვალს ადევნებდა და თავის გუნებაში ამბობდა: „სად
წამიხვალ... სამაშვლოს ასე ადვილად რავა დაკარგავ? არ ვიცი, რა
ეაციც ბძანდები? კარგ დროს არ მოეთრია ეს გლახა სიკოია!..
დარწმუნებულია, რომ მაშვლად დამიდის... თავს გეიტეს და სამაშ-
ვლოს არ დაკარგავ, ვიცი, ჩემო სოლომან!“

— გაათავეთ, ბესარიონ, ქათამაძესთან მოლაპარაკება? — ეკითხა
სიკოიამ.

— რას გაათავებ, ყმაწვილო! მომკლეს, მომკლეს, ინდენს ჭიჭყი-
ნობენ თითო კაპიკზე... — მიუგო ბესარიონმა. — რაღაც ჰგონიათ
ეს ყმაწვილი და ცოტას კი აღარ ჯერდებიან იმათ გუნებაში... ჯერ
ამის მადლობაც მითხრან, რომ ქალს ვაძლევ. ფულს და ქალს რავა
ეივცემ ქათამაძეს! კაი ფულით კაი გვარიშვილის კაცს ვიშოვი... ქა-
თამაძეს არ ჩოუყარო ასასიანები!

ამასობაში სოლომანი გულამღვრეული მიაჩაქჩაქებდა ეღმართ-
ნალმართებში თავის ჯორს და წამდაუწუმ დეზებს სცემდა საწყალ
ბერუტყეს, რომელსაც სრულიად ვერ გაეგო, რა დაეშავებინა ასე-
თი თავის პატრონისათვის. სოლომანი დღემდე კარგად ეპყრობოდა
ჯორს და დღეს კი ტყუილუბრალოდ ამდენი ცემა-ტყეპა მიეყენა.
კაკვირვებული, თან შეშინებული და დამფრთხალი ჯორი მირბოდა
და, მისდა უნებურად, ხან კოლბოხებს წაჰკრავდა ფეხს, ხან ქვას და
შაიფორხილებდა ამის გამო, რასაკვირველია, ახლა ამიტომ აგინებ-
და და ლანძღავდა პატრონი. არც გასამტყუნარი იყო სოლომანი,
რომ ასე უდიერად ეპყრობოდა ჯორს. განა სოლომანს შეეძლო
გულგრილად აეტანა ამდენი ხნის ნახლაფორთები საქმის ჩაფუშვა?
კაცმა ამდენი იწანწალა, იდავიდარაბა, ძალლის ყბა გამოიბა იმდენი
ლაპარაკით, ხან ერთი შეიჯერია, ხან მეორე, ათასნაირი ტყუილების
ოქმა დასჭირდა, ერთი სიტყვით, ყოველივე დაითმინა, რაც ამისთა-
ნობაში მაშვალს თავისტეხა დაატყდება ხოლმე, და როცა ყოველი-
ვე ეს თავს გადახდა და კაცმა იფიქრა, ახლა კი მეშველა, საქმეს

ოთავი გამოვაბი, სამაჯანკლოს ჯიბეში ჩავიჩხრიალებო, როცა დასვე-ბებას აპირობდა, წარმოიდგინეთ, ამ დროს იგებს, რომ ეს ამდენი შრომა ტყუილი ყოფილა, უქმი, უსარგებლო, საქმე ხელახლა და-საწყები და გასარიგებელი... განა შეიძლება გულგრილად აიტანოს ამისთანა ამბავი ადამიანმა? განა შეიძლება, რომ ამ ყოფაში იმის-თანა ცეცხლი არ მოეკიდოს, რომ ჯორი კი არა, თავისი თავიც და-ვიწყებინოს? ასეთი იყო სოლომანის მდგომარეობაც. ჰმ, ასი მანე-თის გულისათვის ბესარიონთან ერთად ეცლება სამაშვლო ექვსი თუმანიც, რომელიც თითქმის ჯიბეში ეგულებოდა საწყალ ღარიბ აზნაურს, რომელმაც თავის ღირსებასაც და წოდებასაც კი აღარ მი-ბედა, ოღონდ ის ოხერი ორიოდე გროში ეშოვნა... იკარგება წვა-ლებით, ოფლით ნაშოვნი სამაშვლო და ამასთან იკარგება დროც. ვაცდა ხომ კაცი... სადმე სხვაგან შეეძლო მაშვლობა გაეწყო და ახ-ლა უკვე აღებული ექნებოდა გასამრჯელო!.. და სოლომანს საშინ-ლად გული მოსდიოდა იმ კუდაბზიკა აზნაურებზე, რომლებსაც არა-ფერი გააჩნიათ და მაინც თავის გვაროვნებას და წინანდელ ამაყო-ბას არ ივიწყებენ, რომლებთანაც ამის გამო ადამიანი ვერავითარ საბეჯითო საქმეს ვერ დაიკავებს, რომ ათასნაირ ტყუილებში არ გაე-ხვიო... ქაიხოსრო ქათამაძეს როგორ დაიყოლიებდა ასი მანეთის და-კლებაზე! ქაიხოსრო უიმისოდაც თავს იკლავდა, რომ შვილის სათ-რით ასე ნაკლებიანი მსითვით მოპყავდა რძალი, როცა მის შვილზე ნაკლები ვაჟები ასთუმნიან ქალებსაც წუნობენ. დაეკარგა, წმინდად დაეკარგა სოლომანს მისი სამაშვლო ექვსი თუმანი და მერე ვინ წაიღებს ხუთ თუმანს? სიკო, სიკოია გლახაკი! ეს უფრო უწყალებ-და გულს უიღბლო მაშვალს... რომ ვინმე გამოჩნდეს მერმე, თუ ვინდ გლახაკი, ოღონდ კი ნაკლები ითხოვოს მზითვი, ბესარიონი იმ მესიმეს გაატანს თავის ქალიშვილს... იმას ერთი დარდი აქვს: გასათხოვარი ქალი თავიდან მოიშოროს და, რაც შეიძლება, უფრო ადრე გამოვიდეს. ამ გლახაკმა სიკოიამ გამოუძებნა სადღაც ვიღა-ცა ოხერი და სიძედ ურიგებს... რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ბესა-რიონი ამ უკანასკნელს მისცემს ქალს და ასი მანეთი ხელში შერ-ჩება! სიკოიასაგან ემართება ახლა ეს! რა კაცისაგან?! ვინაა იმის-თანა, რომ ცოლის თხოვას აპირებს? სად გამოაწყოს ახლა ახალი მაშვლობა — ეს სოლომანისთანა აზნაურისათვის ფულის შოვნის თითქმის ერთადერთი წყარო, ერთადერთი საშუალება? სოლომა-ნის გული ათასნაირად ტრიალებდა და ტოკავდა... მისი ტვინი გა-დამეტებულ მუშაობაში იყო, მტკიცე საბუთებს ეძებდა, რომ იქ-ნება დავაჯერო როგორმე ქაიხოსრო და დავაკლებინო ათი თუმა-ნიო. მაგრამ მოსაზრების ძალას ის სიკოია უსუსტებდა, რომელიც

თვალწინ ედგა, რომელიც სოლომანს მოსვენებას არ აძლევდა, გულს უმღვრევდა და გონებას უჩლუნგებდა.

— მეც დამეკარგოს, მარა არც იმას გავატან! — გადაწყვეტით წამოიძახა სოლომანმა და ამასთანავე ერთი ისე ღონივრად გადაჰკრა მათრახი ყოვლად უდანაშაულო ჯორს, რომ უიმისოდაც დამფრთხალმა პირუტყვმა სრულიად გონება დაჰკარგა, გაფრინდა, რაც ღონე ჰქონდა, და თან თავისი აღელვებული მხედარიც გაიტაცა.

ეფროსინემ პირველ დანახვისთანავე შეატყო ქმარს აღელვება და როცა გაიგო როგორც იყო საქმე, საყვედურით უთხრა:

— წინდაწინვე ვიცოდი, რომ მაგ მაშვლობიდან არაფერი ხეირი არ გამოვიდოდა! სად აქვს ბესარიონს იმდენი შეძლება, რვაასი მანეთი ერთ შვილს მისცეს მზითვად?

— თუ არა აქვს, მოვაძებნინებ! ასე ადვილად რავა წამივა ხელიდან!

— ახლა კაი მიზეზი მაინც გაქვს და, თუ ღმერთი გწამს, თავი დაანებე მაგ საქმეს!

— შენც არ მომიკვდე! — გაცხარებით წამოიძახა სოლომანმა. — ასე ადვილად მომიშორიებს ბესარიონი?! მერე ყველა ამიგდებს, ვისაც რავა იამება, ისე მოინდომებს ათამაშებას! ისე სოლომანმა იცოცხლოს, როგორც მე არაფერს საშვალებას არ დევერიდო ბესარიონთან ჩემი ტყვილა დაცდენისათვის. ნახავს აგერ, თუ იმან ქალიშვილი გაათხოვოს სიკოიას დახმარებით. ღმერთო, მომკალი, სიკოიაზე გასაცვლელი კაცი შევიქენი!.. ამასაც ნახავენ! — სოლომანს ეტყობოდა, რომ ბესარიონს არაფრით არ დაზოგავდა თავის ჯავრის ამოსაყრელად.

გარეთ ძაღლმა დაიყეფა.

— ვინ ოხერია ამ დროს? კაცს მოსვენებას არ აღირსებენ! — გაანჩხლებით თქვა სოლომანმა.

ძაღლმა უფრო მოუხშირა ყეფა.

— ეღეაც არი, მართლა. გახედე ერთი! — უთხრა ეფროსინემ.

სოლომანი უკმაყოფილოდ წამოდგა, გავიდა აივანზე და დაიძახა:

— რომელი ხარ მად?

— მე ვარ, სოლომან... გამომხედე, შენი ჭირიმე! — მოისმა ხმა.

ღამის სიბნელეში ყოვლად შეუძლებელი იყო კაცს კაცი დაენახა.

— ვინ შენ?.. სახლში შემოდი, მაგ ბნელში რომ გაჩერებულხარ! — გაჯავრებით დაუძახა სოლომანმა. — მწა, გაჩუმდი, შე მგლის არჩივო! — მიაძახა მან ძაღლს.

— აქეთ გამომხედე, თუ კაცი ხარ! — მოისმა ისევ ხმა.

სოლომანი, რომელმაც დაკვირვებით ყური დაუგდო ამ ხმას, გაშტერებული დარჩა. ნუთუ მართლა ბესარიონის ხმაა ეს ხმა? რა უნდა ბესარიონს ამ დროს, ამ ღამეში, აქ, ამ სიშორეს? ხმა კი ბესარიონისაა, ნამდვილ მისი ხმაა.

სოლომანმა ჩაირბინა ეზოში და იქითკენ გაეშურა, საიდანაც ხმა მოისმოდა.

— ბესარიონი ხარ?

— მე ვარ, სოლომან, მე...

— რა ამბავია? რას მივაწერო შენი ამ დროს მოსვლა?! — ეკითხებოდა გაოცებული მასპინძელი.

— მეტისმეტი გულფიცხი კაცი ხარ, შე დალოცვილო... შურდულივით გამოექანე, სიტყვაც აღარ მაცალე მეთქვა. უმიზეზოდ თოფის წამალივით აფეთქდი. მეტი გზა აღარ დამირჩა, უკან უნდა გამოგკიდებოდი.

სოლომანმა გულიანად გადიხარხარა.

— შენ ქე გეცინება და მე საქმე მიხდება, შე კაცო!

— სახლში მობძანდი, ბესარიონ!

— არა, არა... აქ გვირჩევნია! — მიუგო ბესარიონმა.

— სახლში მობძანდი... არავინ არ მყავს... მე და ჩემი ცოლი ვართ მარტო.

— არა, არა... აქ გეტყვი იმ ორ სიტყვას, რაც სათქმელი მაქვს, შენთან კი უკაცრავად ვარ!

— აივანზე მაინც ავიდეთ...

— გთხოვ, აქედან ნურსად წამიყვან... მშვენიერ ადგილას ვართ. აქეთ მობძანდი! — ბესარიონმა უფრო შიგნით გაიწია ეზოსკენ, თან სოლომანიც გაჰყვა და ცხენიც გვერდით ამოიყენა. — აქ ვერავინ შეგვხედავს, სტუმარიც რომ მოგვივიდეს... ჰო, იცი რისთვის მოვედი ახლა მე შენთან?

— სწორედ აღარ ვიცი! — მიუგო სოლომანმა.

— ნუ დამღუპავ კაცს, სოლომან... შენი ცოლ-შვილის გულისათვის, ნუ დამღუპავ! ყურმოჭრილი მოსამსახურე გამხადე შენი... და შენს შემწეობას ნუ მომიშლი... შემეწიე, აგრეთვე შენც ღმერთი შეგეწევა!

— ბესარიონ ჩემო, მე ამ დილასაც გელაპარაკებოდი...

— კი, კი... ჩემი სიკეთე რომ გსურდა, იმიტომ გეისარჯე... ჩემს სიგლახეში მე ვარ, მარტო მე ვარ დამნაშავე. ყველაფერი ჩემი ოხერი ხელმოკლეობით მემართება... მარა ჩემს შვილს გაბრალებ, ჩემს საწყალ ელპიტეს, ოხერი მამის ხელში რომაა ჩავარდნილი... თუ გინდ მომაკვდავი მყოლებოდეს და გამოგებრუნებიოს, ისე ჩავ-

თელი, თუ იმდენად შემეწეეი, რომ იმ ყმაწვილს, ქაიხოსროს შვილს, ჩემს ელპიტეს არ დააშორებ... შენს ხელშია ყოლიფერი, სოლომან!..

— ბესარიონ ჩემო, ახლა შენ თვითონ თქვი... ჭკვიანი კაცი ხარ... შემიძლია ქაიხოსროსთან გავბედო მაგის თქმა?..

— შემიბრალეთ... კაცი შემიბრალეთ... კაცი, კაცი!.. მწარე გულით მონდომებული ვიყავი, ყველგან ვეძიე, მარა თელათ ვერ მოვუყარე ფულს თავი... ამას გეხვეწებით ღა გემუდარებით, ქვეყანაში ნუ გამომაჭენებთ, ნუ შემარცხვენთ... ქალს ნუ მიმიტოვებთ... შე კერთხეულის შვილო, არ იცი, რა დრო მოგვესწრო. რა საცოდავობაში ვართ ერთიანად ჩავარდნილი?! ყველას, თელათ აზნაურობას რა გასაჭირის დღე გვადგია, რა შავი დღე შემოგვესწრო?.. სამზითვო ფული კი არა, ლუკმა პურს ძლიერძლივს ვშოულობთ, წლიური სარჩო სანახევროდ ალარა გვაქვს... ამასთან იმისთანა ულმერთობაც შემოვიდა, რომ სანამ ფულით ჯიბას არ გაუტენი, ქალს ალარავინ თხოულობს... სად იშოვოს ჩემისთანა აზნაურშვილმა ხუთასი და ექვსასი მანეთი.. კაი, გავყიდე მიწა, შეეიეიწროვე საქმე, ერთი მოვიშორე, როგორც იქნა, მეორეს და მესამეს რაღა უყოს კაცმა? ფიქრობ, ფიქრობ, მარა არაფერი გაშოდის... ქალი კი ხანში შედის და, თუ დროზე ვერ უსვენე გზა, შემოგაბერდება ხელში და მერე ხელსაც არავინ მოაკიდებს... დაგედევა შვილის ცოდვა... ღმერთს ვფიცავარ, იმისთანა გარემოებაში ვართ, რომ ისევ ის ჯობია, კაცი ოჯახს რომ არ მოეკიდო!.. ღმერთს ვფიცავარ... აბა, რანაირია ახლა ჩემი მდგომარეობა?! კაციც ხომ უარესი შეიქმნა, რომ ერთმანეთის შებრალება ალარ იციან... ბიჭო, თუ კაი კაცი ვარ, სამოყვეროდ გინდებვარ, რაღაზე მძარცავ და მგლეჯავ?.. ამაზე მეტი უკულმართობა იქნება?! ღმერთმანი, ცოდვაც არაა, რომ ამისთანაშიც კაციც მოატყუო, თუკი რამე გაგეწყობა...

— შენ ხომ არ აპირობ მაგ გზას დაადგე? — სიცილით უთხრა სოლომანმა.

— არაფერი ცოდვა არ იქნება, ის ღრჯო კაცი, ქაიხოსრო, რომ მოვატყუო... მარა ჩემს სასიძოს კი ამას არ ვუზამ არაფრის გულისთვის.

— ბესარიონ, შენ რაღაც გაქვს ნაფიქრები... ისე გატყობ... მე თელი ხვალინდელი დღე თავი უნდა ვიტეხო, რამე გზა გამოვნახო, ქაიხოსროს რომ შემოვუარო... თელი გზაც, შენგან რომ წამოვედი, ამაზე ფიქრს მოვანდომე, მარა ჯერ ვერაფერი დავაწყვე. ვაი სიკოს ტყავს, სულ იმან ამირია ეს საქმე, თუ არა შენ ეს მანეთს კი

იშოვიდი, სადაც იქნებოდა... სადმე იქნება ფეხს კი წავაკრეკინებ-
იმ გლახაკს!..

— სოლომან, სიკოლას თავი დაანებე, ყური მიგდე აგერ!

— ჰო!

— შენ არ მომიკვდე. იმ შვილს გეფიცები, უფრო დამიჯერებ.
შენ ალაფერი დაგაკლდეს... თუ არ შეგემატოს... ჩემს სიტყვას თუ
შენ დეიჯერებ და დაადგები!

— რაი, რა? — მოუთმენლად შესძახა სოლომანმა.

— ჩემსას მინდოდა მეთქვა ეგ შენთვის, მარა არ დამაცალ-
გამომექეცი... ამ ღამეში წამომიყვანე ამისათვის...

— თქვი, თქვი, შე კაი კაცო! — აჩქარებდა სოლომანი. — ...
წამოვიდა ეს ალი...

— შენ თვითონ კარგად იცი, რომ ამ ჩემს სასიძოს ...
წონს ჩემი ელპიტე. — დაიწყო ბესარიონმა.

— მართალია...

— ...ამასაც ამბობს თურმე, რომ სხვა ქალს არ შეეკრავები, თუ
არა ჩემს ელპიტეს... ეს იმისთანა სარწმუნო კაცია მითხრა, რომ არ
შემიძლია არ დაეუჯერო... მერე კიდევ იმ ყმაწვილის ნათესავიცაა...
მზითევს რას დაეძებო, ასე ამბობს თურმე... მე ქალი მინდაო, თვა-
რა... ჩემი სამყოფი სარჩო ყოველთვის მექნებოო...

— მართალი გითხრა, ჩემთანაც ქე უთქვამს მაგ...

ჰოდა, მერე, შე კაცო, თუკი საქმე ასეა, ქაიხოსროს ნუ
გადამატანთ!

— მე ვერ მიგიხვდი კიდევ, რისი თქმა გინდა! — უთხრა სოლო-
მანმა.

— რა მინდა და შენ რომ იმ ყმაწვილს მოელაპარაკო...

— რა?

— უთხრა, რომ ასე-ასეა შენი სასიძამროს საქმე... ფული ვე-
ღარ იშოვა-თქვა... მიწა-წყალს ჩალის ფასში ნუ გააყიდვინებ-თქვა...
სამღვდელოდ ემზადები-თქვა და პირველი სამადლო საქმე იქნეს
ეგა-თქვა... თუ ერთი ასი მანეთი არ მოუკელი, იძულებული იქნება-
თქვა, ქალი სხვას მისცეს... ისიც უთხარი, რომ მთხოვნელებიც
ჰყავს-თქვა... რაკი ისე გულით უნდა ჩემი შვილი, რავა დეეიჯერო,
ასე ცოტასთვის უარი თქვას... მერე კიდევ შენებურად რომ მოუ-
ყვები, ის ყმაწვილი, დარწმუნებული ვარ, თანახმა გაგიხდება...

— ყმაწვილი კი გაგვიხდება თანახმა, მაგრამ საქმე ქაიხოსროა, —
წამოიძახა სოლომანმა.

— ის ყმაწვილი თუ თანახმა გახდა ამ ასი მანეთის მოკლებისა,
მეტი ალარაფერი გვინდა...

— ყმაწვილს ვინ ჰკითხავს, ბატონო! — მოუთმენლად წამოიძახა ისევ სოლომანმა.

— ბატონო, შენ გეიგონე ჯერ ჩემი... და მერე თქვი, თუ ვცდები... ყმაწვილი თუ თანახმა გაგვიხდა, ქაიხოსროს ნურაფერს ეტყვი შენ... მომიყვანე ის ჩემს სახლში იმ აზრით, რომ რაც პირობა გვქონია, ვითომ იმას ვაძლევ... სამზითვო ფულის ჩაბარების დროს კი შეიტყობს, რომ სამასი მანეთის მეტს არ ვაძლევ...

— თავს მოიკლავს... ერთ უბედურებას გვიზამს! — წამოიძახა სოლომანმა.

— ეგ მეც ვიცი, მარა შენ უნდა დაარიგო ყმაწვილი, რომ მამას იქვე ხალხში თხოვოს, რაც იქნება, იმით დაკმაყოფილდეს... ვინც იქ დაგესწრებათ, ყველა შემოეხვევით და თხოვეთ ქაიხოსროს და, რავა დევიჯერო, ყველას ხათრი არ გაგიწიოსთ. მით უფრო, რომ ეტყვით, მალე მიიღებთ-თქვა... ყმაწვილი ყოჩაღად უნდა იქნეს, ამას გეხვეწები, დაარიგო იგი კარგად... თუ ასე მომეხმარები, ერთი სიტყვით, შენს ყურმოჭრილ ყმად გამხდი... ცოლ-შვილს ვფიცავარ.

სოლომანმა სიტყვა აცალა ბესარიონს, მერე კი ღიმილით უთხრა:

— ეგ კაი დაგემართოს, შენთვის, შეიძლება, კარგი იქნეს, მარა რა...

— ვითომ ქაიხოსრო სამაშვლოს აღარ მოგცემს?

— ჰო!

— შე კაცო, უიმისოდაც ხომ გეკარგება და, თუ ასე მოიქცევი, ჩემი სიძე იმდენად უმადური რავა იქნება, რომ შენი ხვედრი, რაც შენ წესით გერგება — ხუთი თუმანი დაგიკარგოს... მაგაში მე ვიქნები სწორედ თავდები... ამას გარდა, ჩემი მხრივ, როგორც კაცი, იმ თუმანს, რომელიც გაკლდება, მე მოგართმევ ჩემი ჯიბიდან... როგორც პატიოსანი კაცი!

— კარგი... ბატონი ბძანდები! — ცოტა მოფიქრების შემდეგ თქვა სოლომანმა... — მაგას კი ეგრე გავაწყობ, თუ შენ, ბესარიონ, შენი მხრივ არ მომატყუებ...

— ღმერთმა თავი დამიმხოს მაშინ... ცოლ-შვილი გამიწყვიტოს!..

— აბა, კარგი... გახსოვდეს ეს შენი სიტყვა!

— უპატიოსნო, შერცხვენილი კაცი დამიძახე, თუ შენ რამე დაგაკარგვინო!

— გენდობი, მეტი გზა არა მაქვს... თუ მომატყუე და, სიკოიას ჯავრი მაინც აღარ ჩამყვება, რომ შენი შვილის სამაშვლო იმას აღარ ექნება წაღებული...

— აბა, ასე, ჩემო სოლომან...

— კი, ბატონო!

— ამ სამ დღეში მოგელი და იმ უმაწვილის აზრსაც გამაგებინებ, შენი სულის ჭირიმე...

— კი, კი.

— შენს სულს დავენაცვლე... შენ თუ მოინდომე, ყველაფერი იქნება, რაღა თქმა უნდა... ახლა ისე წავალ სახლში, თუ გინდ ფრთები მქონდეს შემოსხმული...

— ახლა რავა წახვალ სახლში, რას ამბობ, ბესარიონ?

— კი, შენი ჭირიმე, კი...

— გადირია ჩემი მტერი!.. ამ ღამეში სიარული!.. მოისვენე და ხვალ დილაადრიანად წაბძანდები და ის იქნება...

— არა, არა, სოლომან ჩემო!

— რა მიზეზია, რატომ ახლა?

— მართალი გითხრა, არ მინდა ვინმემ გეიგოს, თუ მე შენთან ვიყავი... არაფერი არ მიჭირს... ცხენი კაი მყავს... თვალს არ მაკლია... მეტი რა მინდა...მშვიდობით, შენი ჭირიმე, და აბა, შენებურად მომიკვარახჭინე ეგ საქმე და მერე მე და ჩემმა ნამუსმა ვიცით...

— შიში ნუ გაქვს... დაიმედებული იყავი!.. ოღონდ შენი მხრით შენი სიტყვა არ დეივიწყო!..

ბესარიონი გამოემშვიდობა სოლომანს, მოაჯდა ცხენს და ისე გააქროლა იმ უმთვარო, ბნელ ღამეში, რომ მხოლოდ ცხენის ფეზის ტყაპა-ტყუპი ისმოდა.

— ეფროსინე! — მხიარულად შესძახა სოლომანმა ცოლს, სახლში რომ შეეიდა: — ღმერთი ისევ ჩვენსკენ არი... ან კი რაკა დოუკარგავდა საწყალ კაცს მის ნაშრომ-ნადაგ-ნაწვალებს... წარმოიდგანე, ბესარიონ საქარაძე იყო ახლა ჩემთან! — და სოლომანი მოუყვა, თუ რა ლაპარაკი ჰქონდათ და რა გეგმები დააწყვეს. — მეც მაგას მოვიფიქრებდი, რასაკვირველია, მარა ისე ვიყავი გაცეცხლებული, რომ ნამეტანი... რა ეშმაკი კაცია ბესარიონიც... ისიც გეიგო, ესეც და ახლა უნდა, რომ ორივე უმაწვილი შეაჯიბროს... რა ოხერი რამაა... მარა იმათ ყველას თავი უტეხიათ... მე ჩემი არ დამეკარგოს და!..

იმედმოცემული, გამხიარულებული სოლომანი მადიანად შეექცა თავის ღარიბულ ვახშამს. და სიამოვნებით გადაჰკრა ორიოდე სტაქანი წყლიანი ღვინო.

მეორე დღეს სოლომანმა გასწია ქაიხოსრო ქათამაძისას.

ქაიხოსრო ქათამაძე იყო სასულიერო წოდების კაცის შვილი. თვითონ მღვდლობა არ დეეძია, სამაგიეროდ უფროსი შვილი ნიკო სამღვდლოდ გამოზარდა და ახლა, სემენარიაში კურსდასრულებუ-

ლისათვის, ცოლის შერთვას ეჩქარებოდა, რადგანაც ეპისკოპოზს მისი მღვდლად კურთხევა უნდოდა. ნასწავლი ვაჟით თავმომწონე ქაიხოსრო ქალების დიდ გამორჩევაში იყო თავისი შვილისათვის: ლამაზიც, დიდმზითვიანიც და კაი გვარიშვილიც უნდა ყოფილიყო უსათუოდ მისი შვილის საცოლო. ბევრ აზნაურს ენატრებოდა ეშოვა სიძედ სამღვდელოდ გამზადებული ყმაწვილი ქათამაძე; ბევრმა დაივიწყა ამისათვის თავისი გვარიც და წინანდელი წარჩინებულობა, მაგრამ ბევრი არ გახდა ღირსი ქაიხოსროს ყურადღებისა. ბედმა, ისიც სოლომანის წყალობით, ბესარიონ საქარაძეს გაუღიმა. მაგრამ ამ უკანასკნელს წელი სწყდებოდა იმდენი მზითვის მიცემით. რასაკვირველია, სხვა შემთხვევაში ამდენი ბატონი არ დაედებოდა ნიკო ქათამაძეს. მღვდლად საკურთხი რომ არ ყოფილიყო. მღვდელს ცოტაოდენი ჯამაგირიც აქვს. ცოტა შემოსავალიც თავის მრევლიდან და ამით უფრო უზრუნველყოფილია, ვიდრე უმეტესი ნაწილი სრულიად გაღარიბებული, გაღატაკებული, დაცემული ჩვენებური აზნაურებისა. ბესარიონიც ამ უკანასკნელებს ეკუთვნოდა და აღარც თავის აზნაურულ სიამაყეს დაეძებდა. აღარც თავის კარგ გვარიშვილობას, ოღონდ რაიმე გზით ქალიშვილი ისეთი კაცისათვის მიეცა, რომელსაც ლუკმა-პური მაინც საძებარი არა ჰქონოდა. ქაიხოსრო კიდევ გულდაწყვეტილივით იყო, რომ მისმა შვილმა ანი თუმანი ვერ აიღო. მაგრამ შვილის ხათრით აღარაფერს ამბობდა: იცოდა, რომ ნიკოს მეტად მოსწონდა საქარაძის ლამაზი ქალიშვილი; თან ესეც ამშვიდებდა, რომ გამჯელ. დაუზარებელ ქაიხოსროს, თავისდაგვარად, კარგი მოწყობილი, შეძლებული ოჯახი ჰქონდა.

სოლომანის მისვლისთანავე ქაიხოსრომ იკითხა, რას შვრება ბესარიონი, მზადაა თუ არაო. სოლომანი თავის მოქარგული ენით მოუყვა, თუ რა მზადებაშია ბესარიონი და რა სიხარულით მოელის ქალიშვილის გაბედნიერების დღეს, და ამიტომ, მისდა ნებისად, ჯერ მზად არაა და მალე კი ყველაფერი თავმოყრილი ექნებაო. ქაიხოსრომ ვერც ახლა მოითმინა, რომ სოლომანისათვის საყვედური არ ეთქვა: შენ შემაცდინე და ასე მცირე მზითვიანი ქალი ათხოვე ნიკოსაო. სოლომანმა კარგად იცოდა ქაიხოსროს ხასიათი და თავი მოუქონა:

— შე დალოცვილო... ქალი კაი ვუშოვე, კაი ოჯახისა... და ფული თქვენოდენი ვისა აქვს!.. რაღათ გინდათ, ერთ საცოდავ აზნოურშვილს თელი საცხოვრებელი რო წაართვათ?! მოგცემსთ კი, მარა ღვთის მოცემული თქვენ რომ თქვენი ბევრი გაქვთ, რაღათ გესაჭიროებათ მეტი?

ქაიხოსრომ სიამოვნებით გადიხარხარა ამ ქებაზე და სოლომანს უთხრა:

— მელა ხარ, მელა, სოლომან ჩემო!

სოლომანის ქებაშესხმით ნასიამოვნები ქაიხოსრო მეათასედ მოკვდა, რანაირად მოსწონდათ უფროსებს სემინარიაში. მისი შვილი, რას კპირდებოდა ახლა ეპისკოპოზი, — ერთი სიტყვით, მოხუცებულ კაცს მეტისმეტად მოსწონდა თავისი შვილი. სოლომანმა დიდი მოთმინებით მოისმინა გაუთავებელი ტრაბახი მოხუცებულ კაცისა და მერე, როცა მოხერხებული დრო იშოვა, თავის საქმეს შეუდგა: მოუყვა ნიკოს საქმის გარემოებას და ყმაწვილს ძალზე აუძგერებული თავის ნაამბობით:

— უსათუოდ უნდა დაუკლო იმ კაცს ასი მანეთი, თვარა ბესარიონი სხვას მისცემს ქალს... ასი მანეთის გულისათვის რავა დაკარგავს ყმაწვილი კაცი ამისთანა საცოლოს, როგორც საქარაძის ქალია! მე არ მოვკვდე! შენ ის არ იფიქრო, მარტო ჩემი ინტერესი მალაპარაკებდეს... მაშინ უსინდისო დამიძახე... მე ის მინდა, რომ კაი ყმაწვილს, როგორც შენ ხარ, ჩვენი ქეეყნისთვის სასარგებლო, რასაკვირველია, შეგხვდეს კაი ქალიც... ჩემი უპირველესი სარგებლობა ის იქნება, რომ მოყვარედ შემეძინება ერთი კაი ოჯახი... და ღმერთმა ყოველ ჩემიანს მისცეს იმისთანა კაი საოჯახო ქალი, როგორც ელპიტეა... ლამაზი, მშვენიერი, წყნარი, თავდაბალი, ჭკვიანი, მორჩილი ყველასი, ერთი სიტყვით, რაც კი საჭიროა საოჯახო ქალისათვის... ყმაწვილი დაკარგავს ასი მანეთის გულისათვის ამისთანა ქალს?! არა მგონია! — დაატანა სოლომანმა და თავის ლაპარაკით იმ ზომამდის მიიყვანა ყმაწვილი კაცი, რომ, პირიქით, ის ეხვეწებოდა და ემუდარებოდა. შემწეობა აღმომიჩინე, დამეხმარე, საქმე არ ჩაიშალოსო.

ნიკო თანახმა იყო სოლომანის ყოველი წინადადებისა, ყოველს მისის რჩევისა. გამარჯვებული მაშვალი ახლა მხიარულად მიაჩქაჩქებდა საღამოზე ჯორს თავის სახლისაკენ და ერთხელაც არ უთქვამს წყრომის სიტყვა თავის დაუღალავი ამხანაგისათვის.

კვირიკობისთვის დამლევი იყო. ბესარიონ საქარაძის პატარა ეზოში ბლომად მოეყარა ხალხს თავი; ბევრი კიდევ თანდათან ემატებოდა. ეზოს ერთ კუთხეში გაკეთებულ ფანჩატურის ქვეშ სუფრები იყო გაწყობილი, გრძელი ფიცრის სასხდომებით აქეთ-იქიდან. საღამოჟამდებოდა. სასიძო თავის მაყრიონით უკვე კაი ხნის მოსული იყო.

მორთულ-მოკაზმული დედოფალი, ეკლესიაში წასასვლელად ჯვრისდასაწერად მომზადებული, ჯერჯერობით ქალებით სავსე პა-

ტარა ოთახში იჯდა მორცხვად თავდახრილი. დედამისი პელაგია მოუსვენრად იყო, ხანდახან შემოირბენდა ოთახში და ისევ მალე საღლაც გაქრებოდა. ყველას რაღაც აღშფოთება და უკმაყოფილოდ ყოფნა ეტყობოდა. ხანდახან თუ გადუფუჩუნებდნენ ერთიმეორეს ორიოდე სიტყვას და მერე ისევ მალე შესწყვეტდნენ ლაპარაკს და თავის ქნევით დედოფლისაკენ იხედებოდნენ. ეტყობოდა, რაღაც უსათამოვნო ამბავი უნდა ყოფილიყო, რომ ასე მწუხარედ იყო მთელი ეს საზოგადოება.

მართლაც, სამწუხარო ამბავი იყო. ქაიხოსრო ქათამაძე წასვლას აპირებდა შვილიან-მაყრებიანად და იძახდა, რომ ერთ წამსაც არ დავიცდი, თუ ბესარიონი სრულად ოთხას მანეთს არ ჩამაბარებს ხელშიო. ბევრს ეხვეწნენ, ათასნაირად ამართლებდნენ ბესარიონს: მოატყუა ერთმა კაცმა, გუშინ უნდა მოეტანა ასი მანეთიო. ბევრი ამისთანები უთხრეს, მაგრამ მოხუცებული ვერაფრით ვერ დაამშვიდეს და ვერ დაიყოლიეს.

— ბატონო, იყოს ეგ ასი მანეთი ბესარიონზე... მერე მოგვცემს, ბომ არ დეიკარგება?.. უსიამოვნობას ნუ მივაყენებთ ამ მთელ საზოგადოებას! — უთხრა სასიძემ მამას.

— შენ, შვილო, ჯერ ქვეყნის ამბავი არაფერი იცი!.. შენს გამოზდაში რომ მე ფული დაგხარჯე, ტყვილა ნაშოვარი კი არ მქონებია... შენისთანა ყმაწვილს ის მზითევი ეკადრება, ბესარიონი რომ შენ შეგპირდა?.. იმასაც აკლებს კიდევ!.. არ მოგიკვდეს ქაიხოსრო, მე ეგ არაფრის გულისათვის არ ვქნა, შენ ჯვარი არ დაგაწერიო! — თითქმის ყვიროდა გაწიწმატებული ქაიხოსრო.

— გთხოვ, მამა... — დაიწყო ნიკომ.

— ტყვილა მთხოვ!

— ბატონო, თუ არა აქვს ხელზე... ჩამოახრჩობ იმ კაცს თუ? — უკმაყოფილოდ უთხრა შვილმა.

— თუ არა აქვს და... — ქაიხოსრო ერთი მიტრიალდა და, როცა თვალი მოჰკრა ერთს თავის მომყოლს, გადასძახა: — მზათაა, პავლე, ცხენები?.. ახლავე გამოგვიყვანე და ჩვენებს შეატყობიე, რომ მივდიეართ!..

— მამა, ეგ ყოველად შეუძლებელია! — მიაძახა შვილმა.

— ტყვილად იფიქრა ბესარიონ საქარაძემ ჩემი გაცუცურაკება... სულ ტყვილად! — წამოიძახა ქაიხოსრომ და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

ბევრს ეხვეწნენ იქით-აქედან ქაიხოსროს, არ დაღუპო საწყალი ბესარიონიო, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა.

— ბატონო ქაიხოსრო! — მივიდა ქაიხოსროსთან სრულიად თმა-

გათეთრებული, ზორბა ტანისა და დარბაისელი შეხედულების აზნაური და მიმავალს გზა გადუღობა: — ბატონო ქაიხოსრო, პატიოსანი კაცი ბძანდები და პატიოსან საზოგადოებაში იმყოფები... იმედია, რომ ჩვენს საერთო თხოვნას ცოტაოდენს პატივს მაინც დასდებთ და თქვენისთანა შეძლებული კაცი ასე ცოტასათვის არ ინებებ არც შენი შვილის სასოწარკვეთილებაში ჩაგდებას და არც შენგან სამოყვროდ ამორჩეული ოჯახის უსაზომო მწუხარებაში დატოვებას... ყმაწვილ ქალსაც, რომელსაც არავითარი დანაშაული თქვენს წინაშე არ მიუძღვის, რომელიც განმზადებულია თქვენი უმორჩილესი მონა-მოსამსახურე გახდეს, ამ ყმაწვილ ქალს, დარწმუნებული ვარ, იმდენად არ გეიმეტებთ, რომ ის ბედი, ღმერთმა რომ დოუნიშნა, მოაცილოთ ასე და ამით სასტიკად დასაჯოთ, გული მოუკლათ... ამის მთხოვნელი ვართ, რომ უმანკო არსებას ნუ დასჯით და იმედია, რომ ისიც არ დაივიწყებს თქვენგან მის შებრალებას და სამიდღემჩიოდ თქვენი მადლობელი იქნება... და ჩვენც მასთან ერთად, რასაკვირველია!

მოხუცებული აზნაური გაჩუმდა. გაჩუმებული იდგა ქაიხოსროსიკო. ნიკომ მოჰკიდა ხელი მამას, მეორე ოთახისკენ წაიყვანა და თან შეკრებილებას მიმართა:

— ახლავე გიახლებით, ნურას უკაცრავად!.. მამა, მე და შენ გევიყრებით, იცოდე, თუ ის პატიოსანი მოხუცი კაცი გააწბილე ახლა! — უთხრა ქაიხოსროს შვილმა და ამის შემდეგ ორივე მამა-შვილი უკან შემობრუნდნენ...

— მე თანახმა ვარ, ბატონო, — მიუბრუნდა ქაიხოსრო მოხუცებულ აზნაურს. — თანახმა ვარ, ჩემს შვილს ჯვარის დაწერის ნება მივცე... თქვენი პატივისცემისათვის... მაგრამ ამასთან ერთი პირობა უნდა დავდვა და ის პირობა უსათუოდ უნდა ასრულდეს...

ნიკო გაშტერებით მიაცქერდა მამას. ყმაწვილს, ცხოვრებაში გამოუცდელს, რცხვენოდა მეტისმეტად და შეწუხებული იყო მამის უცნაური ქცევით.

ქაიხოსრომ წინადადება მისცა ბესარიონს: თუ რომ ჯვარსაწერ ფულს, ესე იგი სამ თუმანს მომცემ, შვილს ჯვრისწერის ნებას მივცემო. დიდიხნის ძებნის შემდეგ ბესარიონი მზარეულებში მოძებნეს და უთხრეს, რომ ეს სამი თუმანი რამეფრად ეშოვა და ახლავე მიეცა ქაიხოსროსათვის. ბესარიონი ყველას ეფიცებოდა, რომ გროში კაპიკი არ გამაჩნიაო, და ქაიხოსროს რაც ნებავს, ის ქნასო. დიდი დავიდარაბით, თითქმის ძალდატანებით, როგორც იქნა, ბესარიონს მოატანინეს, ალბათ, წინდაწინ, საეინიცობოდ, მომარაგებული ფუ-

ლი. ჩააბარეს დანარჩენ ფულებთან ეს სამი თუმანიც ქაიხოსროს და, ამდენი უბედურებისა და გაწვალების შემდეგ, როგორც იქნა ნეფე-დედოფალი ეკლესიაში წაიყვანეს.

რამდენიმე საათის შემდეგ ბესარიონის ფანჩატურის ქვეშ მხიარული საზოგადოება გულუხვი მასპინძლის ხუფრას გარს შემოსხდომოდა და „მრავალ-ჟამიერ"-ს და ათას სხვა სიმღერას ბოლო არა ჰქონდა. ახალგაზრდა წყფე-დედოფალს ულოცავდნენ ბედნიერებას და უნატრიდნენ სასურველ მომავალს.

ამ საერთო მხიარულებაში მხოლოდ სოლომანი ვერ იყო იმისთანა გუნებაზე, როგორც შეეფერებოდა ისეთ მაშვალს, რომელმაც თავისი საქმე ბოლომდის მიიყვანა. სოლომანის ამნაირ მდგომარეობის მიზეზი იყო ქაიხოსროს ცივად დახვედრა, როცა სოლომანმა შვილის გაბედნიერება მიულოცა. ამასთან ერთად სხვა საქმეც იყო, რაც ერთობ გულს უწვავდა სოლომანს.

ჯვრისწერის შემდეგ, ეკლესიიდან რომ ხალხი დაბრუნდა, სოლომანი მივიდა ბესარიონთან, მიულოცა შვილის გაბედნიერება და უთხრა:

— იმედია, ბესარიონ, შენი სიტყვა გახსოვს და აასრულებ კიდევაც, როგორც გიბრძანია, ისე მოგიწყვე საქმე!

— ეგ კი, მადლობელი ვარ, მაგრამ პირშავად კი უნდა დავრჩე შენთან! — მიუგო ბესარიონმა.

— რავა? — გაოცებით შეეკითხა სოლომანი.

— უკანასკნელი გროში წამართვა იმ უხეირო ქაიხოსრომ და ისიც მოკვეთ. ძმაო... გროშ-კაპეიკი არ გამაჩნია, სოლომან!

— შესუმრები თუ მართალს მეუბნები? — კიდევ შეეკითხა სოლომანი.

— მართალს გეუბნები... რა დროს ხუმრობაა? — მიუგო ბესარიონმა.

— ფუი, მაგისთანა პატიოსნებასაც რა ვუთხრა! — წამოიძახა სოლომანმა: — ბესარიონ, არ შეგრჩება, იცოდე, ეგ მოტყუება! — დაექადნა სოლომანი და გაბრაზებით გაშორდა ბესარიონს.

— რას მიზამ? — წაილაპარაკა მან, მერე სამზარეულო სახლში შეავიდა და ბიჭს უბრძანა: — დაკლული ხარის ტყავი კარგად შეინახეთ, როგორც მაშვლის კუთვნილება!..

გონებაამღვრეული სოლომანი ხალხში გაერია, სუფრასაც მიუჯდა, მაგრამ არაფერი მხიარულება მის გულს არ მიჰკარებია. ბესარიონმა ხომ მოატყუა, არაფერი მისცა და ქაიხოსრომაც ვაი თუ ამისთანა რამ საქმე დამართოს! მით უფრო ჰქონდა ამისი დარდი, რომ თავის თვალით უყურა, რა ამბავი დააწია ამას წინათ ქაიხოს-

ირომ ქალის ოჯახს. მთელი ღამე არ დასძინებია სოლომანს და იყო ერთ მოუსვენრობაში. მეორე დღეს, როცა დაინახა ეზოში მოსიარულე ქაიხოსრო, მივიდა და, პირველის მისალმების შემდეგ, უთხრა:

— იმედია, ქაიხოსრო, რადგანაც მე აწი აღარაფერი საჭირო ვარ თქვენთვის, აღარ დამაყოვნებთ და დროზე სახლში გამიშვებთ...

— მე არ გაკავებ, ჩემო ძმაო! — ცივად უთხრა ქაიხოსრომ.

— კი, მარა, რაც მერგება, ნულარ დამიკავებ... ჩემი გასამრჯელო...

— ბესარიონს მოთხოვე...

— ბესარიონი რაში მომცემს?..

— იმასთან ერთად რომ ეშმაკობდით!..

— ღმერთო, მომკალი!.. მაგ მეკადრება მე თქვენგან?..

— კარგი, მაცალე... რამდენზე გაგვარიგე მე და ბესარიონი!.. ითხასი მანეთი უნდა მოეცა ხომ?

— კი!

— რა მომცა მერე?

— ეგ შენი და მისი საქმეა!.. მე რას დავეძებ?!

— აბა, მე ბესარიონზე გადმომიპირებია შენი სამაშველო. რაც იმას შერჩა ჩემთვის მოსაცემი ფულიდან, იქიდან მოგცეს შენი გასამრჯელო... რამდენი გერგება?

— ექვსი თუმანი.

— ბესარიონს ჩემი შვიდი თუმანი აქვს... მიდი და ნეტ მაგიერ უთხარი, იმ ფულიდან გაგისტუმროს.

— კაია, ბატონო, მე სახუმროდ კი არ მოვსულვარ შენთან... საქმეს გელაპარაკები! — გაჯავრებით წარმოსთქვა სოლომანმა.

— სრულიადაც არ გეხუმრები... ნამდვილს გელაპარაკები მეც! — მიუგო ქაიხოსრომ.

— აბა, შენ არაფერს მომცემ?

— არაფერს. გითხარი, ბესარიონი მოგცემს.

— ნუ შვები მაგ საქმეს, ქაიხოსრო! — და სოლომანმა ცალი თვალით დაუწყო ყურება ქაიხოსროს.

— მე გითხარი და ისაა... ტყვილა იწუხებ თავს! — უპასუხა მან.

— მაშ მიკარგავ გასამრჯელოს? — შეეკითხა სოლომანი.

— თუ ბესარიონმა არაფერი მოგცა, დაგკარგვია და ისაა!

— რატომ ახლა?

— სწორ გზას დავადგებოდი... ცუღლუტობას დეერიდებოდი და ასე არ გაგიხდებოდა საქმე!.. ჩემი რა ბრალია?.. შენს თავს დააბრალე!.. — თქვა ქაიხოსრომ და სოლომანს მოშორდა.

გაწიწმატებულმა მაშვალმა თვალი გააყოლა მიმავალ მოხუცებულს, თავი გააქნია და გულში მუშტის ჩარტყმით წაილაპარაკა:

— მართლა ჩემს თავს უნდა დავაბრალო... თქვენისთანა მუდრეგებთან და წუნკლებთან რომ საქმეში შევები!.. სად წამიხვალთ? ისე რავა მოვკედები... ერთ დღეს თქვენი ჯავრი არ ამოვიყაროს!

მან ისევ ბესარიონთან გასწია და უთხრა, რომ ქაიხოსრომ შენზე გადმოიტანა სამაშვლოს მოცემა 'იმ ფულებიდან, რომელიც პირობით უნდა მიგეცა და ახლა კი შეგრჩაო. ბესარიონმა, რასაკვირველია, ამაზე უარი უთხრა.

— მე ის კაცი დამჯერდა სამას ოცდაათ მანათს... წეიღო, ჩეიბარა ეს ფული, მორჩა და გათავდა!.. მე მისთვის მისაცემი არაფერი დამრჩენია... სამაშვლო იმ კაცმა უნდა მოგცეს იმ ფულიდან, რომელიც ჩემგან მიუღია, — უთხრა ბესარიონმა.

ხელახლა ავარდა და დავარდა სოლომანი, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ვერც ერთისაგან, ვერც მეორისაგან გროში კაპეიკი ვერ იშოვა. ეს იყო, რომ ბესარიონმა უთხრა: „ხარის ტყავზე ბიჭს მარილი წავაყრევინე და შენს ხვირჯინში უთხარი ჩასდვას". ხარის ტყავს რას დაეძებდა, როცა ასე უკეღმართად ფულები ეკარგებოდა... აპილპილებული, ჯავრისაგან გონებადაკარგული უკანასკნელ იმედთან გაიქცა, სიძესთან, თავის გარემოებას მოუყვა და უთხრა:

— შენგან უნდა მივიღო, ნიკო, ჩემი სამაშვლო... მეტი გზა არაა... ცოდვა ვარ... ამდენი ვირბინე, ვიწანწალე... თქვენთვის არც ჩემი თავი დამიზოგავს, არც ცხენი, არც ჯორი... რას მემართლებით? რაც დაწესებულია, იმას რატომ არ მაძლევთ?.. შენი სიმამრია და იმას გინდ მოუტყუებია კაცი — გინდ სული უცხონებია... მამაშენს კაპიკს ხელიდან ვერ გააგდებინებ!.. თქვენ საქმე გეიკეთეთ ჩემით, ჩემი მეცადინეობით, ყველა კმაყოფილი ბრძანდებით, და მე კი ასე უნდა დავლრეტინობდე?.. რაც სამართლით მერგება, იმაზედაც უარს მეუბნებიან... ნიკო, შენ მაინც ნუ ჩადგები ჩემს ცოდვაში... ყმაწვილი ხარ... განათლებული. ამ სოფლის მხეცებს კიდეე მიეტევებათ და შენთვის სირცხვილი იქნება... შენ მაინც მომეცი ჩემი სამაშვლო ფული!

—სოლომან, ძმობას გეფიცები, მე დიდი სიამოვნებით... — დაიწყო ნიკომ.

— ღმერთო, მომკალი! — აღარ აცალა, სიტყვა გააწყვეტინა სოლომანმა. — რავა, შენც უარის თქმას მიპირებ?

— მომითმინე... ყური დამიგდე, შე კაცო!

— ჰო!

— თელათ ჩემი ცოლის სამზითვო ფული მამაჩემმა ჩეიბარა და

მას აქვს ჯიბეში... ასე რომ მე, ღმერთს ვფიცავ, ერთი ხუთმანეთიანი მაქვს, მეტი არა.

— ღმერთო, მომკალი!.. — წამოიძახა სოლომანმა. — აბა, აღარც შენ მაძლევ?

— საიდან მოგცე, რაც არა მაქვს, შენი ჭირიმე? მერე ვეცდები. მამაჩემს შევეხვეწები.

— მაგისთანა იმედით გამყოფათ ჩემმა გამჩენმა ყველა! როდის მერე, როცა მოვალე ხვალ კარზე მომადგება? რითი გევისტუმრო ის კაცი?

— რაც მაქვს, იმას მოგცემ და მეტი რა ვქნა ახლა? — შეწუხებით უთხრა ნიკომ.

— მოიტანე, ბატონო, მაგ მაინც მოიტანე... თვარა მაგიც დაკარგული შეიქნება ჩემთვის! გასაროზგავი ვარ, ამნაირ კაცებთან რომ შევები, მარა გვიანღაა... მე კი ჩემი დამეშართა, მარა ღმერთი მოწყალეა, ერთ დღეს იქნება, ჩვენსკენაც გადმოიხედავს მზე! ჯერეთ არ დამმართნია ამისთანა საქმე, მარა... ჰმ... პატიოსან სიტყვას ვენდევ... მშიერ კაცს სად აქვს ღონე, თავის პატიოსან სიტყვას ვაჰყვეს... მე სულელმა, ეს რავა ვერ ვიფიქრე! ამ დაწყეველილ ხელობაში მაინც რა არ შეგემთხვევა, რა?! შოვუშვა ხელი? წანწალია და ათასგვარ უსიამოვნებას გადარჩები კაცი კი, მარა ეს ოხერი გროში რომ გჭირდება, სად უნდა იშოვო? რითი უნდა იშოვო? — გამწარებით ამბობდა სოლომანი.

— სოლომან, ენდე ჩემს ყმაწვილკაცობას, არ დაგიკარგავ შენს გასამრჯელოს... ერთ დღეს იქნება, გაგისწორდები... მედვას ვალად ეგ შენი სამსახური!

— ვალად გედვას?! კუჭი მიხმება, ყმაწვილო, კუჭი მიხმება! ახლა მინდა საჭმელი... ვალად გედვას?.. მაგის იმედი რას მომეწეველება, როცა ეს არი ვკვდები კაცი?! კაი, კაი, ბატონო, კმარა. რაც თქვენს გადამკიდეს მე მემართება, გულს მაინც ნუღარ მიხეთქავთ... მიბოძე, თუ რამე გაქვს მაგ პორტმანში!.. და სოლომანი ჩააჩერდა. ნიკომ რომ ჯიბიდან პორტმანი ამოიღო.

პორტმანში აღმოჩნდა ექვსი მანეთი და ორი აბაზი. სოლომანმა ეს ფული ერთიანად გამოართვა ყმაწვილ ქათამაძეს, ჩაიდო ჯიბეში და მოშორდა ყმაწვილს ისე, რომ, რასაკვირველია, მადლობაც არ უთქვამს მისთვის. ცოტა ხანს შემდეგ შეაკაზმინა ბიჭს ჯორი, გადაჰკიდა ხურჯინი, რომლის ერთ თვალში ხარის ტყავი იდო და მეორეში — მშრალად მოხარშული ხორცი და პურები; გადააყუანინა ჭიშკარ გადაღმა, მოაჯდა ზედ და სულ ჭენებით მიარბენინებდა ოღროჩოღრო გზაში საწყალ პირუტყვს და თან თავისთავს ლან-

ძღავდა, აგონებდა, რომ ასე სულელურად ენდო ბესარიონს, ასე მოტყუვდა. მაგრამ უბედურს სისხლი უფრო ემღვრეოდა, ჯავრი უფრო ემატებოდა, როცა თვალწინ მისი მოვალე პლატონის სახე წარმოუდგებოდა, ანდა ცოლი გაახსენდებოდა... რარიგად იქადოდა ამ უკანასკნელთან, თუმნიანებს მოგიტანო, და ახლა რას მიუტანს? ვაი სირცხვილო! მხოლოდ ექვს მანეთს და ერთ ხარის ტყავს! ჰმ, ხარის ტყავი! რა საგანძურია?! სირცხვილს კიდევ გადარჩება, მაგრამ პლატონის ვალის გასასტუმრებელი ფული სადაა, სად? სად იშოვოს ეს ოხერ-ტიელი?!

— ღმერთმა დასწყევლოს, ღმერთმა! — თავისთვის ლაპარაკობდა სასოწარკვეთილებაში მყოფი უიღბლო მაშვალი. — ღმერთმა დასწყევლოს ამნაირი გაძაღლებული ცხოვრებაც!.. მშიერ, გაღატაკებულ კაცს რავა უნდა ენდო კაცი?!. პატიოსნებაც დავიწყებული აქვს და სვინდისიც. ცოდვათაც აღარ მიაჩნია, თუკი რამე წაგღლიტა, წაგაფცქვნა, მოგატყუა, გაგაცუცურაკა! ყველაფერი დავიწყებული აქვს ამ ოხერი გაფშიკებული კუჭის გამოისობით... დასწყევლა ღმერთმა ხელმოკლე აზნაურის უსაშველო, გაძაღლებული ცხოვრება! რითი გამოაქვთ თავი, მეტი გზა რომ აღარ აქვთ? ტყუილი, ტყუილი, ყოველ ნაბიჯზე ტყუილი და უპირულობა! რა გამოვიდა ორი თვის ჩემი წანწალიდან? მოვატყუეთ, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ კარზე მომადგება კიდევ. საშველი თუ მაინც მოგვეცემა როდისმე, რომ კაცური ცხოვრება გვეღირსოს... ღმერთო, ღმერთო! — სასოწარკვეთილებით წამოიძახა უკანასკნელი სიტყვები საბრალო სოლომანმა და მისი გული თითქმის სიბრალულით აივსო ყოველი ღვთის გაჩენილისა და დაჩაგრულისადმი; ამათ რიცხვში, რასაკვირველია, თავისი ჯორისადმიც, რომელიც თუმცა ბევრს ვერაფერს სიამოვნებას ხედავდა ღარიბი პატრონის ხელში, მაგრამ მაინც ყოველთვის მისი მორჩილი, ერთგული მოსამსახურე, ხანდახან ამხანაგიც იყო და რომელიც აგერ ახლაც თავდაუზოგველად მიაქროლებდა სახლისკენ თავის ნაღვლიანს, შავ-უკუღმა ფიქრებში წასულს ბატონსა.

1894 წ.

წრფელი გული

როცა ბაბომ წერილი გაუგზავნა თავის ძმად მიჩნეულ გიგო სალაძეს, იგი უკვე თავის გულის პატრონი აღარ იყო.

მოკლე წერილში მხოლოდ ეს ეწერა: „თუ ძმა ხარ ჩემი, და ცოტათი გებრალება შენი ბაბო, ახლავე ჩამოდი. შენი და ბაბო გარაყანიძისა“.

თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა ბაბო, თუ ოდესმე მის თავზე იმგვარი ამბავი დატრიალდებოდა, რომ გულში შეეპარებოდა და გაბატონდებოდა ისეთი გრძნობა, რომელიც მის დამონებას მოინდომებდა და რომლის დამჩაგვრელი ძალის გაძლიერებას დღიდანდღე ცხადად ამჩნევდა ყმაწვილი ქალი.

რარიგად მოხდა ეს?

საეჭვო აქ აღარა იყო-რა. მისი გული სხვისთვის სცემდა; წინათ დაწყნარებული, დამშვიდებული, ახლა სხვისთვის ტოკავდა, ღელავდა, შფოთავდა. როცა ეს ღელვა და შფოთვა გაძლიერდა, მეტად მწვავე შეიქნა, ყმაწვილი ქალის გონებაც აღშფოთდა, თითქოს გამოფხიზლდა რაღაც საშიშროების მოახლოების წინაშე.

არავითარი რამ ამგვარი მდგომარეობა ანუ მისი მსგავსი ჯერ არ გამოეცადნა; არასოდეს ასეთი მტანჯავი მოუსვენრობა არ განეცადა თავის სიცოცხლეში... დღემდე თავისუფალს, უდარდელს, თავის გულწრფელობით ყოველ თავის მოქმედებაში გაბედულს, დღეს დაეკარგა ეს გაბედულებაც, თავისუფლებაც საქციელში და დღეს დამნაშავესავით მორიდებულია ქმართანაც, ნათესავთანაც, მახლობელთანაც და თითქმის ყოველ ადამიანთან, რომელსაც კი თავის მახლობლად ხედავდა.

რარიგად შეიპარა მის გულში ეს საზარელი, ეს უცნაური გრძნობა? როდის? რა იყო ამის მიზეზი? როგორ მოუვიდა ასეთი გაუფრთხილებლობა, რომ ასე ქურდულად, თვისდა უნებურად ეს-

ტუმრა ეს უსიამოვნო სტუმარი, რომელიც ასე შეუბრალებლად ეკიდება, ასე მაგრად ხვევს ხელს, უკარგავს ძალას, ართმევს ნებას და მიპყავს სადღაც, მიაქროლებს სადღაც განსაცდელის ნაპირად? და აი, შემკრთალმა, შეშინებულმა ბაბომ, მოსაზრების ღონეს მოკლებულმა, სხვა ვერა მოიფიქრა-რა თავის გასაჭირში, რომ წერილი მისწერა ძმად მიღებულს, დღეს მოშორებით მყოფ-გიგო სალაძეს. მისწერა წერილი და უნდოდა, რაც შეიძლება მალე, მოშველებოდა. მოვა ის ჩემი პატიოსანი მეგობარი კაცი და იმას გამოვუტყდები, გავუმხელ ჩემს უბედურებას, ვეტყვი აღსარებას და ვთხოვ შველას, შემწეობას ამ ულმობელი, დამჩაგვრელი, ჩემზე გაბატონებული გრძნობის ასაშორებლად, მისი ბრჭყალებიდან თავის დასახწევადაო.

მიწერით მისწერა კი, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ მეტად შეინანა თავისი საქციელი, თავისთავს ამტყუნებდა აჩქარებისათვის. რა ეთქვა? როგორ მოჰყოლოდა, რა სიტყვებით გამოეთქვა თავისი სამწუხარო ამბავი? რა ენით ეამბნა თავისი სირცხვილი, თავისი სიგლახე? — ხომ დავკარგე იმწუთშივე მისი სიყვარული, მისი თანაგრძნობა, მისი ძმური გული? ხომ დავკარგე ამ-სთანავე ყველასაგან ის პატივისცემა, რა პატივისცემითაც ყოველი ნაცნობი მეგებებოდაო?!

ყმაწვილ ბაბოს მართლაც განსაკუთრებული სახელი ჰქონდა დამსახურებული იმ საზოგადოებაში, რომელშიაც ცხოვრობდა. ყოველად შეუძლებელი იყო, რომ პირველი გაცნობისთანავე თქვენი გული არ მიეზიდა, არ მოეხიბლა ამ თვალტანადს, ლამაზს, სიცოცხლით სავსე, მკვირცხლ, მხიარული ხასიათის, ენამახვილ, ცქრიალა ყმაწვილ ქალს; შეუძლებელი იყო აღტაცებაში არ მოეყვანეთ მის გულკეთილობასა და გულწრფელობას და ამ პირველ გაცნობისთანავე არ ცდილიყავით მასთან უფრო დაახლოებას, მაგრამ რანაირ დაახლოებას? ამ ქალის წინაშე ყოვლად შეუძლებელი იყო თქვენს გულში გაეელო იმ გრძნობას, იმ სურვილს, რომლის გაღვიძება სასიქადულოდ მიაჩნია მანდილოსანთა უმეტეს ნაწილს. ყმაწვილ ქალს ბუნებითვე თანდაყოლილი ჰქონდა ის თავმოყვარეობა, რომელიც გამსჯელია ყოველისავე ფიქრისა, თავში გაელვებული აზრისაც კი, არა თუ გამოქვეყნებული საქციელისა; ეს ის თავმოყვარეობაა, რომელიც დედაბოძია პატიოსნებისა, სინდისიერებისა, სიკეთისა, საფუძველია თავისთავის იმედისა. ეს თავმოყვარეობა იყო, რომ ბაბოს თავისუფლებას აძლევდა ყოველ მოქმედებაში, ყოველ მის საქციელში, ყოველგან და ყველასთან. ამ თვისების პატრონის წინაშე თქვენც იმასავით შორს იყავით ყოველსავე ავ გრძნობაზე, ბინძურ

აზრზე, იმასავით თქვენც თავისუფალი იყავით ყოველ ამისთანა ზრახვისაგან და თქვენი გული გრძნობდა, თუ რა ადვილად შესაძლებელი ყოფილა პლატონიური სიყვარული, სიყვარული სულისა, სათნოებისა, და აღტაცებული გული გეუბნებოდათ ამ სიყვარულის სიტკბოებასაც.

ის საზოგადოება, რომელიც თავს იყრიდა გარაყანიძის ოჯახში, სწორედ ამნაირი პატივისცემით და სიყვარულით იყო გამსჭვალული ბაბოსადმი; ყოველი კაციც და ქალიც ამ ოჯახს ეტანებოდა, რადგანაც ყველამ იცოდა, რომ იქ რაღაც სხვანაირი ურთიერთობა იყო დამყარებული თავშეყრილი საზოგადოების წევრთა შორის, რომ იქ განსხვავებული იყო ყოველივე სიტყვაც, მოქმედებაც, ხუმრობაც და ოხუნჯობაც.

იმ საამურ ოჯახში, საცა ისე ხშირი იყო მხიარულება, დაუცხრომელი ხითხითი, გაუთავებელი ოხუნჯობა, მახვილსიტყვათა სროლა, სადაც ყოველივე ისე სასიამოვნოდ იყო მოწყობილი, სრულიად მოულოდნელად, გაუგებრად, ქურდულად, ნაპარევად, თითქოს ჯიბრზე, ფეხი შედგა იმ გრძნობამ, რომელსაც სიყვარულს ეძახიან და რომლის ნამდვილი სახელი კი მხოლოდ ვნებაა.

ეპვი არ იყო, რომ ბაბოს გული ვლადო ბრელიშვილისთვის ფრთხიალებდა, მისთვის მოუსვენრობდა... ამის დანახვაზე კი არა, მარტოოდენ სახელის გაგონებაზე უცნაური, ჯერ გამოუცდელი აღშფოთება შეიპყრობდა ხოლმე ბაბოს. რა ხანია ეს უმაწვილი კაცი მის ოჯახში დადის, რა ხანია იცნობს? აქამდე ძმასავით უყურებდა, კეთილ მეგობართა შორის სახავდა და ახლა კი... ახლა კი? ნუთუ სიყვარული იყო ეს გრძნობა? რასაკვირველია, არა... იგი მხოლოდ ვნებათა ღელვა იყო, სხვა არაფერი, და ეგ უკლავდა, უთუთქავდა გულს საწყალ ბაბოს. ამიტომაც იყო, რომ ეს გრძნობა სამარცხვინოდაც მიიჩნია... სიყვარული პატიოსანი გრძნობაა, გამბედავია, უშიშარი, ამას კი თავისი გრძნობა ეთაკილება, გამბედაობას, თავისუფლებას უკარგავს, შიშით ავსებს მის არსებას; ეს გრძნობა ჩასჩურჩულებს — ერიდე მაგ უმაწვილ კაცსაო, აიძულებს, ქურდულად იგემე ის სიამოვნება, რომლის გამოცდაც გინდაო, და თანვე რაღაც საშიშარ ბოლოსაც უქადის, დიდ სიმწარეს ჰპირდება.

ქალი ახლა ერთ შიშშია, ერთ კრთომაში, რომ არავინ გაუგოს, არავინ მიუხვდეს, არავინ ამოიკითხოს მის თვალებში, რაც მის გულში ჩოჩქოლია, და ამის გამო გამბედაობამიხდილი ვეღარ უსწორებს სხვებს თვალს, არიდებს სახეს, რომ სახეზე არ შემამჩნიოს ვინმემ, რა უბედურებაშიაცა ვარ ჩავარდნილიო.

უიმისოდაც აღშფოთებულმა თავის მდგომარეობით, საწყალმა

ქალმა აჩქარებით ახალი საშფოთავი და საწუხებელი გაუჩინა თავის თავს გაგზავნილი წერილით. სადაც იყო, გიგოც, რასაკვირველია, გაჩნდებოდა, და ბაბო მოუსვენრად იჯდა ფანჯარასთან ყოველ დილას და გულის ძგერით ათვალიერებდა ყოველ გამვლელ-გამომველელ ეტლს.

წერილის გაგზავნის მეოთხე დღეს, მატარებლით ჩამოსულმა გიგომ ეტლი გააჩერა გარაყანიძის სახლის კარწინ.

ბაბომ ფანჯრიდან დაინახა საშველად მოწვეული ძმობილის დადარდიანებული სახე და უნებურად გაეცინა.

„რა ეუთხრა ახლა?“ გაიფიქრა მან და მომღიმარი სახით შეეგებება ამ წარმოსადეგ, ვაჟკაცური შეხედულების ყმაწვილ კაცს, რომელმაც მხურვალედ აკოცა ხელზე და, პირველი მისალმების შემდეგ, დადარდიანებული სახის მეტყველებით მიაცქერდა ქალს ხმაამოუღებლად, თითქოს ეკითხებოდა, რა ამბავია, რას ნიშნავს შენი მონაწერი, ჩემი ასე საჩქაროდ დაბარებაო? მას ეგონა, რაღაც უსიამოვნო ამბავს გავიგონებ ამ ყმაწვილი ქალისგანაო და დაჯავრიანებული სახის გამომეტყველებით მისჩერებოდა, ბაბო კი ამგვარად გიგოს დანახვაზე უნებურმა სიცილმა აიტაცა. გაკვირვებულმა ყმაწვილმა კაცმა ეს სიცილი ჯერ იმის ნიშნად მიიღო, რომ ბაბომ უთუოდ მიხუმრა, როგორც არა ერთხელ უხუმრიაო, და წაილაპარაკა გულდამშვიდებით:

— მე კი რაღაც ამბავი მეგონა!

— ხა, ხა, ხა! — გადიხარხარა ბაბომ და ამ უდარდელმა კისკისმა და სიცილმა სრულიად გაუფანტა გიგოს ყოველივე ეჭვი, რომ ვითომ სამწუხარო და უსიამოვნო რამ ამბავი ყოფილიყო ქალის თავს.

— არა გრცხვენიან, გიგო, ამდენხანს რომ დაგვეკარგე?.. ხომ ჩამოგაჩანჩალეთ?! ჰა?.. ხა, ხა, ხა! — გადაიკისკისა ისევ ბაბომ.

— მე სულელმა ეგ რატომ ვერ მოვისაზრე, რომ შენი წერილი მართლა ჩემდა ჩამოსაჩანჩალებლად უნდა ყოფილიყო მოწერილი... მივატოვე მუშაობა, საქმე და გამოვსწიე საჩქაროდ. რა ვიცი, რა არ ვიფიქრე შენი ეშმაკური წერილის გამო!

— რა, რა იფიქრე, რა წარმოიდგინე, მითხარი, თუ ძმა ხარ?

გიგო მოჰყვა და დაწვრილებით უამბო ყოველივე, რაც წარმოიდგინა, რაც იფიქრა; ბაბო კი გაფაციცებით ყურს უგდებდა და იცინოდა, რაკი ხედავდა, რომ გიგო სრულიად ვერაფერს ვერ მიხვედრილიყო, ღობე-ყორეს მოსდებოდა. დამნაშავე ბავშვივით, რომლის დანაშაულს ჯერ ვერ მიმხვდარან, და რომელსაც იმედი კი არა აქვს, რომ ბოლოს მაინც ვერ გაუგებენ ჩანადენს, და ამიტომაც

ცდილობს ამთავითვე მოულბოს გული თავის გამკიცხველს, მიიმ-ხროს, მოანადიროს, რისთვისაც სხვანაირად ეევლება თავს, ექუც-ქუცება, უცინის, ეალერსება, — ისე ბაბოც, უცნაური შიშით შეპ-ყრობილი, უნებურად იცინოდა, კისკისობდა, გიგო კი ვერ ამჩნევ-და იმის სიცილის ნაძალადევობას. პირიქით, გიგო ამ გარემოებამ სრულიად დაამშვიდა, დააწყნარა, გაამხიარულა და მალე ისეთ სა-სიამოვნო მუსაიფში გაება ბაბოსთან, რომ თითქმის სულ დაავიწ-ყდა მწუხარება.

ამათ მუსაიფში დრომ ისე მალე გაეარა, რომ ვერც კი შენიშნეს, სადილობა როგორ მოახლოებულიყო. ერთი ამბით შემოვიდნენ სახლში სამსახურიდან დაბრუნებული სარდიონ გარაყანიძე და მას-თან რამდენიმე ყმაწვილი კაცაც. ყველანი დიდი სიხარულით მიე-გებნენ გიგოს და წამსვე გაიმართა ერთი ყაყანი, ოხუნჯობა და სი-ცილ-ხარხარი.

რარიგად რცხვენოდა ყმაწვილ ქალს, გიგოს გვერდით რომ ვლა-დო ბრელიშვილსაც ხედავდა! ამ ყმაწვილმა კაცმა არც კი იცოდა, რომ ტანჯვის მიზეზად იყო შექმნილი და ამიტომ წინანდებურად თა-ვისუფლად გრძნობდა თავს, თამამად იქცეოდა და გაბედული იყო ყოველ სიტყვა-მოქმედებაში.

დღეს ბაბომაც სძლია თავის შემაწუხებელ გრძნობას და წინან-დებური მხიარულებითა და უდარდელობით შეუერთდა შეხალისე-ბულ პატარა საზოგადოებას. დღეს მისთვის ამ საშიშრად შექმნილ-მა არსებამაც დაჰკარგა თავისი საშიშროება, მის გულს შვება მის-ცა, ისევ დაუბრუნა წინანდელი თავისუფლება და ამით გამხნევე-ბული, გახარებული, აღტაცებული ბაბო იცინოდა, კისკისებდა და თავის ენამახვილობით აღტაცებაში მოჰყავდა ყველანი; მის ოხუნ-ჯობას დასასრული არ ჰქონდა. ახლა ისევ ის წინანდელი ბაბო იყო, ყველასათვის საყვარელი და ყველას დაძმურად მოსიყვარულე.

უცებ თითქოს ვიღაცაც იწყინა მისი ასეთი მხიარულებაო, ბაბო შეკრთა და დაღონდა... გამხიარულებული ქალი უეცრად ჩაჩუმდა, გაყუჩდა. შემკრთალი და გულშეხუთული ქურდულად იმზირებო-და აქეთ-იქით. ყმაწვილმა ქალმა ყველას თვალი გადააავლო, აბა, ხომ არა შემამჩნიეს-რაო... ყველანი მხიარულ ლაპარაკში იყვნენ გართულნი და, ეტყობოდათ, არავის არ შეუმჩნევია, რომ იგი ნამე-ტანს ეხუმრებოდა ბრელიშვილს, რომ კარგ გუნებაზე ყოფნით თავ-დავიწყებამდე მისული სხვებზე მეტად იმის შესახებ ოხუნჯობდა.

სარდიონიც მეტად მხიარულად იყო და ერთხელაც არ გადუ-ხედნია თავის ცოლისაკენ, მაგრამ ბაბო მაინც ისევ მწუხარებაში ჩავარდა, მისი გული მაინც სევდით აივსო, მაინც თითქოს დამნა-

შავედ მიაჩნდა თავისი თავი, რაკი ასე ნებდებოდა ამ რაღაც უცნაურად მასზე გაბატონებულ გრძნობას. ქალი ამ წუხილში იყო ახლა წასული და სხვა აღარაფერი ეყურებოდა, აღარაფერი ახსოვდა.

ყველამ შეამჩნია ამ ერთი წუთის წინათ მეტად მხიარულ გუნებაზე მყოფს ასეთი ცვლილება და გაკვირვებით ეკითხებოდნენ ამის მიზეზს.

— არაფერი... ღმერთმანი, არაფერია! —ჰფიცავდა ბაბო. — გარწმუნებთ, ისევ კარგ გუნებაზე ვარ... საწყენი რა უნდა შემხვდომოდა?!

— კი, მაგრამ ასე ერთბაშად გაყუჩება?

— ბატონო, თავი დაანებეთ! — ჩაერია სარდიონი. — განა არ იცით მაგისი ამბავი, რა უსაქციელოა?!. რაღას ეკითხებით, თუ ღმერთი ჭკამთ!

ბაბომ არაფერი თქვა ქმრის სიტყვებზე, ოღონდ ერთი კი გადახედა საყვედურით. სამაგიეროდ, სხვებმა საოხუნჯო საგნად აიღეს სარდიონის ნათქვამი და დაუსრულებელი ხუმრობისათვის მასალა გაიჩინეს. ამის გამო სადილი ისევ ერთი სიცილითა და მხიარულებით გათავდა. თვით ბაბომაც გადაივიწყა ისევ თავისი მწუხარება და, ხალისიანი, შეუერთდა საზოგადო მხიარულებას.

სტუმრებმა წასვლა-წამოსვლა დაიწყეს.

— გავიაროთ! — ეკვრით უთხრა ბაბომ გიგოს.

— ბატონი ბძანდები! — მიუგო გიგომ.

— უთხარი ვლადოსაც... თუ სცალიან! — დაატანა ბაბომ და ჯერ კიდევ სიტყვა არ ჰქონდა დათავებული, რომ ისევ გადათქმა მოინდომა, უკან წაღება უნდოდა ნათქვამისა და ამისთვის უცბად ხელი გაიწვდინა, უნდოდა გიგო შეეჩერებინა; მაგრამ გიგო კიდეც მივიდა ვლადოსთან, კიდეც გადასცა ბაბოს სურვილი და უკან დაბრუნებულმა ვლადოსთან ერთად მისი თანხმობა მოახსენა.

— დიდი სიამოვნებით... თუკი ინებებთ! — თავაზიანად ეუბნებოდა ყმაწვილი კაცი. — დიდი სიამოვნებით!

მაგრამ ბაბოსათვის ახლა ეს თანხმობა სრულიად აღარ იყო სასიამოვნო. ახლა ქალი თავის თავს უჯავრდებოდა, უწყრებოდა ამ საქციელისათვის, თუმცა ეს სრულიად მისდა უნებურად მოხდა თითქმის... რა სისულელე იყო ჩემის მხრივ ამ კაცის აქ დატოვება და სასეირნოდ მოწვევაო... რა წინდაუხედველობაა?! იმის მაგივრად, რომ ვერიდებოდე, უფრო ვუახლოვდები, უფრო თამამად ვეკიდები. განა ეგ იყო ჩემთვის საჭირო ამხანად?! არა, ეგ ჩემდა უნებურად მოხდა... ვიღამაც ძალად მათქმევინა მისი სახელი... ვი-

ღამაც შემაცდინა, ვილამაც მიბრძანა მაგ სიტყვების თქმა, — ფიქრობდა გულში ბაბო და, რაკი მიხვდა, რომ ეგ სათქმელი არ იყო, რაკი იგრძნო ესა, ნაძალადევი ღიმილით ცდილობდა გადაეთქვა სასეირნოდ წასვლაც, სახლიდან ფეხის გადადგმაც, მაგრამ გულის სიღრმეში თითქოს მაინც ნანობდა ამ უარზე დადგომას და, ყოყმანში მყოფი, სავარძელში ჩაჯდა და ქანაობა დაიწყო, თითქოს ამით უნდოდა დაევიწყა თავისი გულის უცნაური მდგომარეობა.

— თუ მიგდივართ, რაღას ზიხარ, შე ქალო? — უთხრა გიგომ, როცა ყველანი წავიდნენ და ოთახში სარდიონი და ბრელიშვილიღა დარჩნენ.

— უკაცრავად ვარ, გიგო... — დაიწყო ღიმილით ბაბომ.

— გადათქვი თუ?..

— რაღაც არ შემიძლია...

— მით უფრო მოსახდენი იქნება ეგ გავლა თქვენთვის... და მერე კიდევ, სარდიონი ნასადილევის ხვრინს რომ ამოუშვებს, უარესად ავად გახდებით... თქვენ ნუ მომიკვდებით, არიდება გჭირიათ! — თქვა ბრელიშვილმა.

ამაზე ყველას გულიანად გაეცინა.

— ბიჭო, ასე უნდა იმასხრო შენი წუთისოფელი, შე უბედურო?.. — უთხრა ვლადოს სიცილით სარდიონმა.

— აბა, შენ რომ „სტოლონაჩალნიკობამ“ წარბები შეგიკრა, ყველა მაგას ხომ ვერ ვეღირსებით... „სერიოზნობა“ თქვენი საქმეა და ჩვენ, წვრილფეხობამ, თუ სულ არ ვიცინეთ, ამას სიჭკვიანეში ჩაშოგვართმევენ და ვინღა გვაღირსებს წარმატებას... შენს სტოლს გაფიცებ, თქვი, ასე არაა?!

ბაბო და გიგო იცინოდნენ ბრელიშვილის სიტყვებზე; იცინოდა სარდიონიც, რომელმაც სიტყვა გააწყვეტინა და ცოლსა და გიგოს მიმართა:

— თუ მიხვალთ, წადით და ის იქნება, რაღას უყურებთ!.. ამას თუ შეაჩერდით... ხომ ხედავთ, მოხსნა ბოხჩას თავი — ხვალამდის ილაქლაქებს ასე!..

— ადექი, ადექი... წავიდეთ! — უთხრა გიგომ ბაბოს. — ნუ გეზარება!..

— ჩვენი ნებით წავიდეთ, ბატონო, ისეე სჯობია! — და ცალი თვალით სარდიონისკენ ანიშნა ბრელიშვილმა.

ბაბომ ამაზე ერთი გადიხარხარა, წამოდგა და თავის ოთახისკენ გასწია.

რამდენიმე ხნის შემდეგ სამივე ბაღისკენ მიდიოდნენ. ბრელიშვილმა თავის ცოცხალი ენით მეტად გაამხიარულა ბაბოც და გი-

გოც. მცენარეებით მდიდარი ბაღი მეტად სასიამოვნო სამყოფი იყო, და ეს უფრო ხალისსა ჰმატებდა მოსეირნეთ; გიგო სიცილით ეკითხებოდა განგებ ბაბოს უცხო მცენარეების სახელებს და, რადგანაც ბაბო ხშირად სცდებოდა, ერთ მცენარეს მეორის სახელს უწოდებდა, ბრელიშვილმა უთხრა გიგოს:

— შე დალოცვილო, მაგდენი რომ ესწავლა, ბარბალოს სოფლის „ზავედენიას“ მეტს ვერ გაათავებდა?

— ქ—ისის „ზავედენიაშიც“ ხომ იყო? — სიცილით თქვა გიგომ.

— იყო! იყო, მარა კი არ დააცალეს... მასწავლებლებს, და ნამეტურ „კლასნი დამებს“, შეეშინდათ, გულმოდგინებაში თავს გაიტეხსო, ცოდვა მოგვედებაო და პირველი კლასიდანვე დაითხოვეს... იმ ოხრებმა, ასე შეუშალეს ხელი, და იქიდანაა, რომ ახლა ყველაფერი ეშლება... ვერც მაგ ყვავილების სახელებს იტყვის სწორად — არც შეუძლია, რომ არ შეეშალოს...

ბაბო ამაზე თავშეუკავებლად იცინოდა; იცინოდა გიგოც. ბაბო ისევ წინანდელი გიჟი, ხითხითა, სიცოცხლით სავსე, საყვარელი ბაბო შეიქნა. მისი გული, ყოველ ცუდ გრძნობას დაშორებული, ძმური სიყვარულით იყო აღვსილი ამ ერთი საათის წინათ მისთვის საშიშარი, მოსარიდებელი კაცისადმი.

—მოდით, ნავში ჩავდეთ! — წამოიძახა ბაბომ და ტბისაკენ გაიქცა, რომლის ნაპირზე რამდენიმე ნავი იყო დაბმული.

— ბაბო, დაიცადე, ქალო! ნუ მირბიხარ!.. — უძახოდა გიგო, რომელიც გამოეკიდა ქალს. — ამისთანა გადარეული ადამიანი, ნეტავ, თუ იყვეს კიდევ სადმე!..

ყმაწვილმა კაცებმა ახსნეს ნავი, რომელშიაც უკვე ჩამხტარიყო ბაბო და ნიჩაბი ეკავა ხელში.

— მე ნიჩაბზე ვჯდები, გიგო... შენც ნიჩაბი აიღე!..

ნავი წყალში შეაცურეს. ვლადო საჭესთან დაჯდა.

— აბა, გიგო! — წამოიძახა მხიარულად ბაბომ და თვალებზე ჩამოიფხატა თავისი ფართო ქუდი, რომ მზის სხივებისათვის აერიდებინა თვალები და რაც ღონე ჰქონდა, მოუსვა წყალს ნიჩაბი.

— ბრავო, ბრავო! — მიაძახა ვლადომ. — ბრავო, მე და ჩემმა ღმერთმა!.. გიგო, მარჯვედ იყავი, არ გაჯობოს, კაცო!

— ხა, ხა, ხა! — გადიკისკისა ბაბომ. — ხა, ხა, ხა! ვაჯობებ... მაინც ვაჯობებ!

ნავი წავიდა შურდულივით, მსუბუქად მისრიალებდა წყალში.

— ვაი, ვაი! — იკივლა უეცრად ბაბომ და ეს კივილი მისივე ხმამაღალმა სიცილმა შესცვალა.

— ხა, ხა, ხა! ეგ იყო, რომ უნდა გეჯობნა?! ხა, ხა, ხა! — გადი-

ხარხარა გიგომ და მასთან ბრელიშვილმაც, როცა დაინახეს, რა გაწვალებით ეჭიდებოდა დაღლილი ბაბო ხელიდან გავარდნილ ნიჩაბს, რომელიც ნავს ამოჰკვროდა სიგრძეზე და რომლის წყლიდან ამოღებასაც ცდილობდა.

— გაუმარჯოს მჯობნს, მჯობნს გაუმარჯოს! — დასცინოდნენ ყმაწვილები ბაბოს, რომელსაც თვითონაც ეცინებოდა ამ თავის დამარცხებაზე.

გიგომ ამოიღო წყლიდან ნიჩაბი.

— აბა, ახლა ჯიბრზე ნულარ იქნება საქმე, ისე ვიმუშაოთ! — ღიმილით უთხრა მან ბაბოს და ნიჩაბი მისცა.

ნავი ისევ გაცურდა, ისევ გაჭანებული მისრიალებდა წყალში, როცა ორივე ნიჩაბს დაავლო გიგომ თავისი ღონიერი ხელები.

საღამო ჟამი იყო, როცა სამივენი, ამ სეირნობით მეტად კმაყოფილნი, ნასიამოვნებნი სახლში დაბრუნდნენ. მათმა ხალისიანობამ შინ დარჩენილი სარდიონიც აიყოლია და მეტად კარგ გუნებაზე მყოფნი, საამურად მუსაიფობდნენ. ბაბო სწორედ ბედნიერი იყო ამ საღამოს: ისევ თავისუფალი, უდარდელი ბაბო იყო. ერთხელაც არ უჩენია თავი მის მაწუხებელ, მჩაგრავ, დამაღონებელ გრძნობას. ქალს დაუბრუნდა თითქოს ისევ მისი წინანდელი გამბედაობა. ყმაწვილს, ბრელიშვილს, ისევ თამამად შეჰყურებდა, ისევ გაბედვით უმზერდა, ელაპარაკებოდა, თითქოს მისდამი არასოდეს არავითარი სხვა აზრი, სხვა გრძნობა არ ჰქონია გულში, გარდა ამხანაგობისა და ძმობისა. ამის მიზეზად, ამ ბედნიერების მომნიჭებლად იგი სახავდა თავის ძვირფას გიგოს, იმ ძვირფას კაცს, რომლის იმედმა არ უმტყუნა, რომლის მხოლოდ ახლო ყოფნამ ასე საკეთილოდ შესცვალა მისი გუნება, რომლის შეხედვამ დაუბრუნა ყოველივე ღირსებანი, გაამხნევა, გააღონიერა და სამარცხვინო მდგომარეობას დააშორა. ასე ეგონა, რომ ეს არის ახლა გადვურჩი ყოველ განსაცდელსაო, ამშორდა ყოველივე უბედურება და დამცირებაო. და ასე იმედიანად რომ შეიქნა, ეს რწმენა რომ დაებადა, ამიტომაც ეს კაცი, უამისოდაც მისთვის საყვარელი, ღრმად პატივსაცემად მიჩნეული, ძმად დასახული, დღეს კიდევ უფრო შეუყვარდა, უფრო ძვირფასი, უფრო კეთილი, პატიოსანი, ძმაზე კიდევ უფრო ძმა გაუხდა. აღტაცებული ყმაწვილი ქალი უსაზღვროდ ბედნიერი იყო, მადლიერი. ოჰ, რა ბედნიერად მიაჩნდა ამჟამად თავისი თავი! ოჰ, რა კარგი იყო სიცოცხლე მის თვალში!.. რა ნეტარებას გრძნობდა ყოველი მწუხარებისაგან განთავისუფლებული გული! ასე აღტაცებული ფიქრობდა გულში გიგოს შესახებ: „ძვირფასო, ძვირ-

ფასო ძმაო!.. შენით ვარ ისევ ბედნიერი!.. შენით ვარ ისევ ადამიანი!..“

ამ გატაცებაში რომ იყო, ამ ნეტარებით გარეტიანებული, გაბრუებული დროს მსვლელობას რომ ვერ ამჩნევდა, უეცრად, თითქოს შორიდან მოესმა ვიღაცის ნათქვამი:

— აწი კი დროა, თქვენც მოგასვენოთ!.. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ბაბო ამ სიტყვებმა თითქოს გამოაფხიზლა... მან ახლად გამოღვიძებულის მსგავსად მიიხედ-მოიხედა, თითქოს რაღაცის გაგებას ცდილობსო და, როცა დაინახა, რომ ბრელიშვილი ზეზე წამომდგარა, ქუდი ხელში უჭირავს და წასვლას აპირებს, ბაბოს გულში რაღაც ჩასწყდა, რაღაც მძიმე ლოდი დააწვა ზედ, მოკუმშა ეგ გული და თითქოს იმის მოწყვეტას ცდილობდა.

„მიდის?!“ გაურბინა ქალს თავში. ანგარიშმიუცემლად გაუწოდა ხელი და გაშტერებული თვალი გააყოლა მიმავალ ყმაწვილს, რომელიც რამდენიმე წამის შემდეგ ოთახიდანაც გავიდა... გაჰქრა და თითქოს... თითქოს სამუდამოდ განშორდა...

— ბაბო, გეტყობა ძალიან დაგღალა სეირნობამ და გირჩევ, მოისვენო... აწი დროც არის! — ბუნდოვნად ესმის ქალს ქმრის სიტყვები.

— დაიღლებოდა, აბა რა მოუვიდოდა! რაც მაგან ნავში ამბავი დააწია! — დაატანა გიგომაც.

— დაწევი, დაწევი, თუ ღმერთი გწამს! — არ ეშვებოდა სარდიონი. — ხვალ კარგად იქნები!

მართლაც მოღალული, მოქანცული, დასუსტებული ბაბო, შეწუხებული წავიდა თავის საწოლ ოთახში, მაგრამ არა მოსასვენებლად, დასამშვიდებლად... მისი აღტაცება ამაო იყო?! აბა, მისი იმედი, ახლა კი გავთავისუფლდიო, ფუჭი გამოდგა? მისი გულის ბატონი, შეუბრალებელი ბატონი ისევ ბატონობს, ისევ მბრძანებლობს?! ღმერთო, მაშ ხსნა არ არის, საშველი არსაიდან მომეცემა! გიგოც ტყუილი იმედი ყოფილა! აბა რიღასთვის ჩამოვიყვანე, რად მინდოდა ეგ კაცი? იმიტომ რომ დამენახვებინა ჩემი უსაქციელობა, ჩემი შერცხვენა და უნამუსობა? განა სხვები არა კმარან ამისათვის, რომ მოწმედ ესეც მოვიწვიო?!. — ასე ფიქრობდა უიმედობით შეპყრობილი ბაბო და ამ უსაშუალობაში, ამ უიმედობაში ეს კაცი, მისი ახლო ყოფნა, დახმარების მაგივრად, უფრო აწუხებდა, სტანჯავდა. ამ გაწამაწიაში მყოფის სურვილი ახლა ის იყო, რომ ეს კაცი განშორებოდა, ამ კაცის თვალი აერიდებინა, იმას არ ეყურებინა მისთვის. ბედნიერება მისთვის ის იქნებოდა, რომ ხვალვე წასულიყო იგი და მის თვალთა მზერა აეცილებინა... ეგონა კი, რომ

ისევ მოვიპოვე ჩემი გული, მოვიპოვე კმაყოფილება, სიმშვიდე გულისა და თავისუფლება — და რა მალე კი გაუქრა ყოველივე ეს საწყალს!

ამ ბრძოლით მოღლილი, ღელვისაგან მისუსტებული, მიილუშა, რაღაც ბურუსში გაეხვია, ჩაჩუმდა, ბურანში წავიდა, მაგრამ ამ ტანჯვით ძილმორეულს ძილშიაც გული მოუსვენრად უცემდა, ძალზე ძგერდა და, საშინელ სიზმრებში ჩავარდნილს, ძილშიაც სრული დამშვიდება არ ეღირსა.

მეორე დღეს ბაბო რომ ადგა, სარდიონი უკვე სამსახურში იყო წასული. ბაბოს მოაგონდა წუხანდელი ამბავი და ერთ წუვეტებაში ჩავარდა: ვაი თუ გიგომ შენიშნა ყოველივე, ვაი თუ მიმიხვდა ჩემს ამბავსაო? ამ დარდით შეპყრობილი ქალი ვერ ბედავდა ოთახიდან გასვლას, რცხვენოდა და ეშინოდა კიდეც გიგოს შეხვედრისა. როგორც იყო, გააღო ბოლოს საწოლი ოთახის კარი, გამოვიდა სასადილო ოთახში, იქიდან ზალაში გავიდა და მხოლოდ იქ დაინახა გიგო, რომელიც ტახტზე იჯდა, კედელს მისწოლოდა და რაღაც წიგნს კითხულობდა.

— დიდხანს გეძინა, ბაბო! — მხიარულად შეეგება იგი ფეხზე წამოდგომით. — ჩანს, მართლა ძალიან დაღლილი იყავი! ახლა ხომ კარგადა ხარ?

— კარგადა ვარ! — მიუგო ბაბომ.

ამ კაცის ხალისიანად შეგებებამ, მისი სახის გამომეტყველებამ ქალს გამბედაობა დაუბრუნა, გული დაუმშვიდა და სიტყვის თქმის ღონე მისცა, მაგრამ მაინც რცხვენოდა, მაინც უხერხულად გრძნობდა თავს, მაინც დამნაშავესავით იყო და ისე შეჰყურებდა, თითქოს გუნებაში ამბობდა: „რომ იცოდე, რაც ჩემს გულში ამბავია, ვაი რომ ეგრე ამხანაგურად, ეგრე ძმურად აღარ მომეპყრობი!..“

— ბაბო, წაკითხული გაქვს შენ ეს რომანი? — შეეკითხა გიგო ამ დროს და ანიშნა წიგნი, რომელიც ხელში ეკავა.

— რა არი ეგა?

— ბურჟეს რომანია „სიცრუენი“, — „Les mensonges!“

— არა, ჯერ არ წამიკითხავს.

— აბა, მოდი, მე წაგიკითხავ, იმ პირობით, თუ არ დაგეძინება... ვერ წარმოიდგენ, რა მშვენიერებაა!

ბაბო დაეთანხმა, იფიქრა, რომ ის წიგნის კითხვაში იქნება, მე უფრო თავისუფლად ვიქნები, თვალებში მზერას აღარ დამიწყებსო.

გიგოს მოხდენილმა კითხვამ და თვით წიგნის შინაარსმა ინტერესი გაუღვიძა ბაბოს და ქალი სმენად გადაიქცა.

— შენ კი ხელაც არ მოგიკიდნია ამისთანა თხზულებისათვის, თუმცა ვიღაცას შემოუტანია აგერ და სტოლზე დაუგდია!.. — ღიმილით უთხრა გიგომ, როცა შენიშნა თავის მსმენელს გახალისება.

ბაბომ მხოლოდ გაიღიმა და გიგომ ისევ განაგრძო კითხვა. ამ დილას არავინ მოსულა სტუმართაგანი და ამიტომაც კითხვისათვის ხელი არავის შეუშლია.

გიგო გატაცებით კითხულობდა და ტახტზე უმოძრაოდ კედელს მიწოლილი ბაბო, ეტყობოდა, ერთიანად შეპყრობილი იყო გაგონილით, ეტყობოდა, რომ ძლიერ მოქმედებდა მის გრძნობა-გონებაზე ყოველივე, რაც ესმოდა. გიგო სიამოვნებით გადაჰხედავდა ხოლმე ბაბოს და, თვითონაც თხზულებით გატაცებული, უფრო გატაცებით კითხულობდა, რაკი ხედავდა, რომ ბაბოც დიდი ყურადღებით უსმენდა. აღელვებული, წყრომით აღსავსე, უცნაურის, რაღაც უბედურების მომასწავებელის ხმით შეუდგა გიგო იმ ადგილის კითხვას, სადაც ყმაწვილი რენე უკვე დარწმუნდა, რომ სუზანა გარყვნილიაო, და მიდის მასთან განრისხებული, გაცეცხლებული. მცირე ლაპარაკის შემდეგ, თავდავიწყებული წაავლებს ამ მისი სიყვარულის ულირს ქალს თმაში ხელს და შეუბრალებლად ცხვირპირს დაახლევინებს ბებერი საყვარლის სურათზე.

გატაცებით კითხულობდა გიგო და იმას კი ვერ ხედავდა, რომ მის წინ მჯდარი ბაბო თვალებგაფართოვებული, შეშინებულივით, შემკრთალივით მისჩერებოდა აღელვებული, აწრიალებული, მოუსვენრობით შეპყრობილი. გიგო ვერ ამჩნევდა ამას და, თითქოს ჯიბრზე, უმატებდა კითხვის განგრძობით ტანჯვას.

რას კითხულობდა გიგო ამის შემდეგ, რითი დათავდა ის ამბავი, საწყალ ბაბოს არც კი გაუგონია, ისეთ მდგომარეობაში ჩაგდო წაკითხულმა. შიშით დამფრთხალი ქალი მხოლოდ თავის გულში ამბობდა გიგოს შემხედვარე:

„რენე!.. აი, რენე!“

და როცა გიგომ წიგნი მაგიდაზე დასდვა, კითხვა რომ გაათავა და მიმართა ქალს კმაყოფილებით: — ხომ კარგი რომანია? — ბაბომ გონებადაუტანებლივ მიუგო აღელვებისაგან მისუსტებული ხმით:

— კარგი!.. კარგი!

— აი, ქალბატონებო, თქვენი ამბავი! — ღიმილით დაატანა გიგომ, რაზედაც ბაბომ მხოლოდ ძალდატანებით გაიცინა.

— ჰმ, თქვენი ამბავი... თქვენი ამბავი! — თავისთავად გაიმეორა გუნებაში ბაბომ.

ეს კაცი ახლა სწორედ საშიშარი შეიქნა მისთვის, დიახ, საშიშარი.

„რენე... რენე!“ უნებლიეთ აგონდებოდა ბაბოს, როცა შეხედავდა გიგოს, როცა მოესმოდა მისი ხმა.

ამისთანა კაცს ეტყოდა ახლა ბაბო თავის გასაჭირს? ამას გამოუტყდებოდა ბაბო, რომ ასეთსა და ასეთს უბედურებაში ვარო? რასაკვირველია, არა. პირიქით, დამალვას ცდილობდა, მისგან შორს ყოფნას, მის თვალთახედვისაგან დაშორებას. საშიშარი და სარიდალი შეიქნა მისთვის ახლა ყოველი ნაცნობი, ყოველი ამხანაგი, ყოველი მისი წინანდელი პატივისმცემელი, რომელთაც სრული უფლება მიეცემათ, თუკი გაიგებენ მის ამბავს, ისე მოეპყრან, როგორც ის შეუბრალებელი რენე სუზანას მოეპყრო მისი უპატიოსნობის გაგებისთანავე. განმარტოებაში მყოფს ამასობაში მისი მაწუხებელი გრძნობა დღე-დღეზე უფრო უძლიერდებოდა, უფრო ეზრდებოდა ეს გრძნობა. თანდათან უფრო იმორჩილებდა ქალს და, მისდა სამწუხაროდ, ტანჯვასთან ერთად რაღაც უცნაურ სიამოვნებასაც აგრძნობინებდა.

თუმცა ყმაწვილი ქალი მედგრად ებრძოდა თავის გრძნობას, მისი გონება უარს ამბობდა მისგან მონიჭებულ სიამოვნებაზე, მაგრამ ყოველივე ამაო შეიქნა. ყოველი წინააღმდეგობა ფუჭი იყო: მისი გული მაინც ბრელიშვილისათვის სცემდა, მისი გრძნობა მაინც მისკენ მიფრინავდა, ქალის არსება მთლად მისთვის შფოთავდა და ღელავდა, მაინც მისით უხალისდებოდა ეგ გატანჯული სიცოცხლე. იმის მზერით, შეხედვით, ახლოს ყოფნით ეძლეოდა მის ცხოვრებას ფასი, მისით გრძნობდა ბედნიერებას, იგი ანიჭებდა ნეტარებას. და რაც უფრო ნათლად ხედავდა ამას, ამჩნევდა თავის თავს, მით უფრო სასოწარკვეთილებას ეძლეოდა: რცხვენოდა, უპატიოსნოდ მიაჩნდა ამნაირი თავისი მდგომარეობა, ამნაირი გულისთქმა. უფრო ისა ჰკლავდა, ისა წვავდა და დაგავდა, რომ ყოველ ღონეს ხმარობდა თავის დამღუპველისათვის არ შეეხედნა, გარნა მისი თვალები მაინც მისკენ იმზირებოდნენ, მაინც მასზე უშტერდებოდნენ, იმას ვერა შორდებოდნენ და ამას ადვილად შეეძლო გამოეაშკარავებინა მისი გულის ამბავი. ამ შიშით იგი იძულებული შეიქნა მალვით, ქურდულად დაეკმაყოფილებინა თავისი გულის წადილი, ნამალევად დაეტკბო გრძნობა, დაემშვიდებინა გული, მოეკლა სურვილი თავის მომხიბვლელის ცქერით. მაგრამ საშინელება ის იყო, რომ ზომიერება ეკარგებოდა, მოსაზრებულ გაფრთხილებას ვერ ახორციელებდა. და ამნაირად დამონებულს რომ ხედავდა თავის თავს, ასეთ უღონობას რომ ატყობდა, რომ ხედავდა ცხადად, ჩემ ნებაზე ვეღარ ვიქცევი, ჩემს თავს ვეღარ ვიკავებ, ჩემი არსება ვეღარ დამიმორჩილებიაო, უფრო სუსტდებოდა სულით, უფრო

უიმედობას ეძლეოდა და თან უფრო ყურმოჭრილი მონა ხდებოდა თავისი გულისთქმისა. ყოველივე ეს ვაება მეტად ასუსტებდა, მაგრამ ძლეულს, მოღალულს, მოქანცულს წინააღმდეგობითა და ბრძოლით რაღა ექნა, რა გზას დასდგომოდა?!

ბაბო ნამდვილ ავადმყოფს დაემსგავსა. მოწყვეტილი, მჩვრად გადაქცეული იწვა ხოლმე მთელი დღეობით ჩაცმული თავის ოთახში და მარტოობას არჩევდა. დიდი გამოცდილება და დაკვირვება არ იყო საჭირო, რომ კაცს შეემჩნია მისი უცნაურად გამოცვლა. გარაყანიძის ოჯახში უჩვეული სიჩუმე და სიწყნარე ჩამოვარდა.

წასასვლელად გამზადებულმა გიგომ ამის გამო გადასდო წასვლა.

— სარდიონ, ბაბო არ ამხელს, თორემ ძლიერ ავად უნდა იყოს... საჭიროა დროზე ზომა მიიღო! — უთხრა გიგომ სარდიონს.

— განა მე კი ვერა ვხედავ, ჩემო ძმაო! — მიუგო მწუხარებით სარდიონმა. — განა ვერ ვხედავ, მაგრამ რა ექნა, რა ვუყო? ვეხვეწები, ვემუდარები, მითხარი, რა გტკივა, ექიმს მოვიყვან, გნახავს, რამე საშუალებას აღმოგიჩენს-მეთქი — რომ არაფერს შვრება, რომ არაფერს ნდომულობს?!. ვეღარ ვცნობილობ, ისე გაჯიუტებულია, გაუზნეურებული! რა ექნა, ღმერთმანი, აღარ ვიცი!.. — და შეწუხებულმა კაცმა ღრმად ამოიოხრა და ჩაჩუმდა.

— უსათუოდ უნდა ანახვო ექიმს, უსათუოდ, სარდიონ! — მტკიცედ მიმართა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ გიგომ. — უსათუოდ! მაგას რას ეკითხები, თუ ღმერთი გწამს!

— მაინც მაგრე უნდა ექნა, მეტი გზა არ არის! — წარმოსთქვა სარდიონმაც.

მოწვეულმა ექიმმა ნერვების მოშლას მიაწერა ბაბოს ისეთი მდგომარეობა და ურჩია ქალაქიდან სადმე სოფლად, კარგ წმინდა ჰაერზე წასვლა რამდენიმე ხნით.

როცა სარდიონმა უთხრა წასასვლელად შემზადებულიყო, ბაბო უარზე დადგა. არწმუნებდა ქმარსაც და გიგოსაც, კარგად ვარო, სრულიად ავად არა ვარო, არსად წასვლა არ მესაჭიროება, ეგ მხოლოდ ექიმის სიჩერჩეტეაო.

მთელ საზოგადოებას სალაპარაკოდ გაუხდა ბაბოს ავადმყოფობის ამბავი. ყველა — კაცი და ქალი — მის ამბავს კითხულობდა თანაგრძნობითა და ყოველდღე მრავალი მნახველი მოსდიოდა. ამათი დალონებული სახის გამომეტყველება, მათი შეწუხება, გადამეტებული თანაგრძნობა და ნუგეში მხოლოდ უფრო აჯავრებდა უამისოდაც შეწუხებულ ბაბოს, რომელიც ათასწილად უფრო მადლობელი იქნებოდა, რომ მისი მარტოდ, მუუდროდ ყოფნა არ დაერღვიათ, მიეცათ თავისუფლება თავის გულთან ემუსაიფნა, ელაპა-

რაკნა, მისი ცემა-ტოკვისათვის ყური ეგდო. მისი სიამოვნება ახლა ეს მარტოდ ყოფნა იყო დილიდან საღამომდის, რომ ტახტზე წამოწვებოდა რბილ მუთაქებში, ან გაყუჩებული, თავაბურძგნული რომ ქანაობდა სავარძელში ხმაამოუღებლად და ამასობაში მისი მისუსტებული გონება რაღაც ბურუსით იყო გარემოცული და ამ ბურუსში მკრთალად, ბუნდოვნად ეხატებოდა იმისი სახე, ვისიც მოშორება თან სწადდა და თან ეძნელებოდა კიდეც.

სხვებთან ისიც მოდიოდა მის სანახავად, მის კარგად ყოფნის ამბის გასაგებად და თანაგრძნობით ეკითხებოდა. გულუბრყვილოდ, რაკი არა იცოდა რა, თუ როგორ იყო მისგან გატანჯული ადამიანი. გულაძგერებულს, მთრთოლავს, აკანკალებულ ქალს სული ეხუთებოდა, ენა უშრებოდა. სისხლი თავში უვარდებოდა, საფეთქლებშიც სცემდა კვერივით და გაბრუებულს პირის გაღებისა ეშინოდა, ეშინოდა, რომ მისდა უნებურად ენას არ წარმოეთქვა, წამოეტარტარა, რაც ამბავი იყო მის თავს, არ გაეცა პასუხის მაგივრად სხვა, მისი სიკეთილი, მისი შეჩვენება არ გამოეთქვა. ამ გაწამაწიაში, რა მიუგო, რა უთხრა, რა უპასუხა, ან თუ მისცა რამ პასუხი, აღარაფერი იცოდა, აღარაფერი ახსოვდა. მისი სურვილი მხოლოდ ეს იყო, რომ განშორებოდა ეს მისი მტანჯავი, მისი მაწამებელი, განშორებოდა და მით შვება მიეცა...

ყმაწვილი, თითქოს მიუხვდა სურვილს, წამოდგა, რაღაც უთხრა, თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა. ორი ნაბიჯი ძლივს გადადგა ბაბომ მისდა გასაცილებლად, რომ, ყმაწვილი კაცის გასვლისთანავე, ერთბაშად მიტრიალდა და ტყვიანაკრავივით მძიმედ დავარდა ტახტზე, ჩაემხო მუთაქებში და ბალიშებში; გულამომჯდარი მტირალი ქალი თავს ურტყამდა მუთაქებსა და ტანტს გამწარებით.

შინდაბრუნებულ სარდიონსა და გიგოს ბაბო საწოლში მწოლარე დაუხვდათ.

— სარდიონ, გირჩევ, ნუ აგვიანებ ექიმის რჩევის შესრულებას! უსათუოდ წადით სადმე, სადაც ის კაცი გირჩევთ... ერთი-ორი თვის გულისთვის სამიდღემჩიოდ თავს ნუ იმეტებ... ვერ ხედავ, ქალი აღარაა სრულიად! — გაცხარებით და მწუხარებით ამბობდა გიგო.

— რასაკვირველია, უნდა ავასრულო ექიმის რჩევა. რასაკვირველია! — დაბნევით უპასუხებდა სარდიონი. — მეტი არაფერი მეშველება... აგერ ვითხოვ „ოტპუსკს“, ჩემს საქმეებს გადავცემ და წავალ... აბა რა ექნა!

გარაყანიძის ოჯახის ყოველი ნაცნობი მეტად შეწუხებული იყო ბაბოს ასე უცნაური ყოფით. ყველგან და ყველას აკვირებდა მისი მდგომარეობა, მისი ასე მოულოდნელად ავად გახდომა. ყველანი

მიზეზს კითხულობდნენ, მიზეზს ეძებდნენ — თუ რისგან იყო, რამ ჩაადგო ასეთს ყოფაშიო.

— მაინც რას მიაწერა, რა დაასახელა ნერვების ამშლელ მიზეზად ბესტავაძემ? — ეკითხებოდნენ გიგოს ბულვარში, როცა გარაყანიძიანთ ნაცნობებმა გაიგეს, რომ სარდიონი იმ დღეებში ცოლიანად მიდიოდა №-დან.

— საიდან გაიგოს, რითი მიხვდეს მაგას?—უპასუხებდა გიგო. — განა შეიძლება, რომ დანამდვილებით თქვას, ეს ან ეს გარემოებაა მიზეზიო?!

— მე უკეთესი ექიმი ვყოფილვარ, თუ კაცი ვარ, იმ ბესტავაძეზე... ქალი ბრელიშვილისათვის კვდება და ესენი, ნერვების აშლაოო... სისულელე ამაზე მეტი იქნება?!

გიგომ მიიხედა იქით, საიდანაც ეს სიტყვები მოესმა. ამისი მთქმელი მაღალი ტანისა, მოკლედ შეკრეპილ-წვერებიანი, სათვალეებით მოგრძო ცხვირზე, შუახნის კაცი იყო, მოშორებით იდგა რამდენიმე კაცს შორის და ამ სიტყვების თქმასთან ერთად იღრიჭებოდა და გესლიანად იცინოდა. ეგ იყო ცნობილი თავისი დაურიდებელი სიტყვა-პასუხით გრიგოლ გამცემლიძე.

— ღმერთმანი მართალს ვამბობ! — ხითხითით დაათავა მან თავისი სიტყვა.

გიგო თოფის წამალივით აენთო. მზად იყო ჯოხი დაეფშვნა ამ საზიზღარი კაცის ზურგზე. მაგრამ თავსა სძლია და მეტად აღელვებულმა ხმამაღლა წამოიძახა:

— რა საკვირველი თვისება დაჰყვება ზოგიერთ ადამიანს დაბადებიდანვე... თუ ვისმეზე საძაგლობა არა თქვა, თავისი სისაძაგლე ვისმეზე არ გამოიჩინა, უამისოდ სიცოცხლე სიცოცხლედ არ მიაჩნია!..

გამცემლიძე, რასაკვირველია, მიუხვდა გაგონებისთანავე, რომ სალაძის სიტყვა მას შეეხებოდა.

— ჩემზე არის თქვენი წყრომა მომართული, ყმაწვილო? თქვენ ნუ მომიკვდებით, ტყუილად, სულ ტყუილაუბრალოდ! — წამოიწია მან გიგოსკენ და დაცინვით უთხრა ეს სიტყვები.

გიგო ჩაჩუმდა, პასუხი არ მისცა და რამდენიმე წუთის შემდეგ სხვა ყმაწვილებთან ერთად კიდეც მოშორდა იქ მყოფთ. გიგო მოეჩიდა ამ კაცთან ლაპარაკს, რომ უარესი რამ არ შემთხვეოდა და საზოგადოება არ აელაპარაკებინა გამცემლიძის სიტყვების გამო.

გიგო მეტად გაბრაზებული იყო და გაცხარებით ლაპარაკობდა თავის ამხანაგებთან გამცემლიძეზე:

— რა ჯინი სჭირთ მაგ შეჩვენებულებს ყოველისაგე პატიოსანი

ადამიანისა, რა შხამი აქვთ მომზადებული ყოველი რიგიანად და... კეთილად მიჩნეულისათვის, რომ უსათუოდ უნდა წაბილწონ, ტალახში ამოსვარონ? სულით და გულით მონდომილი არიან ჩამოიცალონ ყოველივე ღირსება, ყოველივე კარგი თვისება, დაუკარგონ პატივისცემა და ამისათვის არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, არაფერ საზიზღრობას არ თაკილობენ... და უფრო გასაკვირველი ის არის, რომ საზოგადოება არ ერიდება ამგვარ კაცებს, მიღებულიცა ჰყავთ ყველგან და გათამამებულიც.

თუმცა ასე ხსნიდა გამცემლაძის ნათქვამს, მაგრამ გულში კი, უნებურად, ერთხელ-ორჯერ გაურბინა აზრმა: „ვაი თუ ამ საძაგელმა კაცმა მართალი თქვაო“.

და თუმცა გიგო მეტად შორს იყო ამნაირი რამ დაეჯერებინა ბაბოს შესახებ, მაგრამ, რაც ხანი მიდიოდა, უფრო ხშირად უკვირდებოდა ამ სიტყვებს. „ვაი თუ ეგ მართალი იყოს? — გაშტერებით იმეორებდა გუნებაში და იმწამსვე ხმამაღლა წამოიძახებდა ხოლმე ამ ეკვიანობისათვის გაჯავრებული: — „არა, არა, ეგ, რასაკვირველია, ტყუილია... ცილისწამებაა მხოლოდ!.. ბაბო ამისთანა ამბავში?!. ჰმ, მაშ ქვეყანაზე პატიოსნება აღარ ყოფილა!.. მაშ კაცს კაცისა არაფერი არ უნდა გწამდეს, არაფერი არ უნდა გჯეროდეს!.. რასაკვირველია, ტყუილია, მხოლოდ ცილისწამებაა, სხვა არაფერი!..“, ეუბნებოდა თავისთავს გიგო, მაგრამ ამასთანავე, მისდა უნებურად, მისდა წინააღმდეგ, ეს ცილისწამებად მიღებული სიტყვაც ბოლოს მასზე უგავლენოდ არ დარჩენილა; მან მაინც ეკვის თვალით შეახედვინა ბაბოსათვის, იძულებული გახდა თვალი ედევნებინა მისთვის, დროებით ნდობა დაუკარგა ყმაწვილ ქალისა და ამას ისიც მოჰყვა, რომ ამ კაცს გულიც კი შეუცვალა და წყრომით აუვსო იმ შემთხვევისათვის, თუ ბაბო მართლა უპატიოსნებაში იყო გარეული, თუ იგი მისი პატივისცემისა და სიყვარულის ღირსი არ აღმოჩნდებოდა.

— ოჰ, მაშინ არ ვიცი, რას არ ჩავიდენ! — წყრომით წამოიძახებდა ხოლმე გიგო.

ამ ეკვსა და წყვეტებაში მყოფს კიდეც დაეკარგა, თუ სრულიად არა, შესამჩნევად მაინც შეუმცირდა, ბაბოს სიყვარული და თანაგრძნობა. ახლა ავი უფრო თავისთვის ზრუნავდა. ეშინოდა, თვისი რწმენა ხელიდან არ გამოსცლოდა და არ დარწმუნებულიყო, რომ ყმაწვილივით ვენდობოდი ადამიანთაო, და რომ ასე ადვილად არ დაეკარგა ეს რწმენა, ეს ნდობა ადამიანისა მხოლოდ ვიღაც საძაგლისა და ავი კაცის მიერ ნათქვამი ლიტონი სიტყვის წყალობით,

მან გადასწყვიტა ყველაფერი დაწვრილებით, დანამდვილებით გაეგო, ყოველივეში თავად დარწმუნებულიყო.

სწორედ ამ განზრახვით ადევნებდა ახლა გიგო თვალს ბაბოს და ბრელიშვილს, ამისათვის ხმარობდა ათასნაირ ღონისძიებას და სავადასტვა ხერხს იგონებდა. მაგრამ მან მაინც ვერაფერი გამოარკვია.

ერთ საღამოს შანდარუნებულ გიგოს მხოლოდ ბაბო დაუხვდა სასტუმრო ოთახში, რომელსაც ოდნავ ანათებდა ჩაწეული ლამპის სინათლე. სიბნელით მოცულ ოთახში ბაბო ტახტზე წამოწოლილიყო. გიგოს დანახვაზე მან წამოიწია და დამძიმებული ხმით ჰკითხა:

— სად ხარ, გიგო, ამდენი ხანი?

გიგომ ციივად უპასუხა, რომ საქმე მქონდაო, და სკამზე ჩამოჯდა ლამპის მაწლობლად.

ლაპარაკი რაღაც არ ხერხდებოდა. ბაბო წამოდგა და საქანებელ სავარძელში ქანაობა დაიწყო; გაყუჩებული ჯერ გიგოს მიჩერებოდა, მერე კი თითქოს რაღაცამ გაიტაცაო, გადიგდო სავარძლის საზურგეზე თავი, და რაღაც შორს მამზერალივით, გაშტერებული იმზირებოდა ამ ჩამობნელებულ ოთახში... მისი აზრები, მისი გონება თითქოს რაღაცას ეძებდა, შეიძლება კიდევაც არჩევდა, ხედავდა და სტკბებოდა რიღაცის მზერით.

იქაურობა მყუდროებას მოეცვა... ოთახში სრული დუმილი იყო დამყარებული. ამ დუმილს მხოლოდ ხანდახან თუ დაარღვევდა ქუჩიდან შემოვარდნილი მიმავალ-მომავალი ეტლების რახარუხი.

გიგო ნელი ნაბიჯით ნოხებზე აქეთ-იქით დადიოდა გაჩუმებული.

უეცრად რაღაც ბორტმა სურვილმა გაურბინა გულში, უცბად მიტრიალდა ბაბოსაკენ, თითქოს რაღაც დავიწყებული სათქმელი გახსენდა, და მიმართა:

— მართლა, ბრელიშვილი რომ სადღაც გადაჰყავთ თურმე! დღეს მითხრეს ბულვარში.

— აჰ?! გადაჰყავთ?! — უცნაურის ხმით წაილაპარაკა ამ სიტყვების გაგონებაზე წელში გამართულმა ბაბომ, თან მეტი აღელვებისაგან ფეხზედაც წამოდგა, მაგრამ გიგოს მიჩერებულ თვალებს რომ შეხედა, უცბად მოვიდა გონს, გაისწორა კაბა, ვითომ ამისათვის წამოვდექიო და ისევ ჩაჯდა სავარძელში; ჩაჯდა კი არა, უჯრო ჩაიკეცა.

„ჰმ!.. რასაკვირველია! რასაკვირველია, ამათ შორის ერთი რამ ამბავია! - - ზიზღით წაილაპარაკა გულში გიგომ. — განა არ ეტყობა?!“

მაშ რა იყო ეს აღშფოთება, თითქმის წამოძახილი, „გადაჰყავთ?“ დაიკვირა, დაიკვირა, გაუგო! მაგას აწი ეკვი აღარ უნდოდა.

ამ გამოსაცდელად ნათქვამმა სიტყვამ საბოლოოდ გამოააშკარავა მისთვის ამ ქალბატონის გულის ამბავი!.. ნათლად, ცხადად!

ბაბოც მიხვდა, რომ დაიჭირეს, რომ მახეში გაბეს საცოდავი ჩიტუნია, შესაბრალისი, უღონო ფრინველი; ისეთი შემკრთალებით, ისეთი შეშინებული თვალებით მისჩერებოდა თავის მონადირეს, რომ გამარჯვებულს შერცხვა, შეენანა თავისი საქციელი, თავისი შეუბრალებლობა და თავისი მსხვერპლის საცოდავი შეხედულებით შეწუხებულმა ისეთ კილოზე დაუწყო ლაპარაკი, ისეთი შერჩეული სიტყვებით დაუწყო მუსაიფი, თითქოს ამით უნდოდა დაემშვიდებინა თავზარდაცემული ტყვე, დაეწყნარებინა მისგან შეშინებული გულის ძგერა.

თავბრუდასხმული ბაბო ძლივს იჯდა სავარძელში, სირცხვილისაგან გამშრალი. ცდილობდა გიგოს თვალებში ამოეკითხა თავისი განაჩენი, თავისი სასჯელი. არც კი ესმოდა, რას ლაპარაკობდა მის წინ მდგარი, ამას წინათ კიდევ მისი მოსიყვარულე ადამიანი. მზად იყო იმწამსვე ბოლო მოეღო თავის აწ შერცხვენილ სიცოცხლისათვის, მაგრამ ღონე, ღონე სად იყო? ძალა რომ აღარ აქვს, რა ქნას, რა მოახერხოს?! ღმერთო, რას უნდა ფიქრობდეს ეს კაცი ჩემზე? რას იფიქრებენ ამასთან სხვებიც? ყველა, სულ მთლად ჩემი ნაცნობები, ჩემი მოკეთეობა?! ღმერთო, რა დღეს შევესწარი! ღმერთო, რა ამბავია ეს ჩემს თავს! — ფიქრობს გულში გაშტერებული, სავარძელში უმოძრაოდ მოკუმშული ბაბო და რაღაც ბურანი ეხვევა, თვალთ უბნელდება, გონება ერთმევა და უცნაური, წყნარი და ტკბილი უგრძნობლობა ავსებს მის არსებას.

რა ტკბილ, საამურ ძილში იყო წასული მისი გონება! რა კარგად აგრძნობდა თავს ამ უარარაობაში ჩავარდნილი და რა მწუხარებით აივსო მისი არსება, როცა მისი გონება ისევ გამოფხიზლდა, როცა მის ფიქრებს შემოეცალა გარშემოხვეული ბურანი.

მის წინ მოჩვენებასავით იდგა ბრელიშვილი და რაღაცას ეუბნებოდა ღიმილით.

ძარღვებში სისხლი შედგა ერთბაშად და იმ წამსვე საშინელი სიჩქარით დატრიალდა მთელ მის სხეულში.

—შადლობა ღმერთს, რომ უკეთ ბრძანდებით! თქვენი ეგრე ყოფნა სწორედ ძალიან დაეტყო ჩვენს საზოგადოებას, ბატონო ბაბო!

პასუხის შაგიერ ბაბომ გაიღიმა მხოლოდ და გიგოს მიაპყრო თვალები. გიგო კი გაჯავრებით მისჩერებოდა მოლაპარაკე ბრელიშვილს, რომელიც ახლა სძულდა, ეზიზღებოდა იმდენად, რამდენად წინათ უყვარდა. გიგოს ახლა ორივე სძაგდა, მათი მზერა გულს უმღვრევ-

და, უცნაურად აქეზებდა, რომ მათი საწყენი რამ ეთქვა, მათთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა.

ბრელიშვილის ყოველი სიტყვა სხვანაირად მიიღო გიგომ. მას ეგონა, რომ თვალთმაქცობსო, ეს კაცი ატყუებს ქალსაო, თვალებს ეხვევა და ამიტომ ელაპარაკება ასე მორიდებით, ვითომ და აქ არაფერია პატივისცემის მეტიო.

„საძაგლები!.. საძაგლები!“ ამბობდა გიგო გულში.

ბრელიშვილი მეტად გააკვირვა გიგოს ამრეზილობამ ამ სალამოს; ისეთ ყოფაში ეჩვენა, რომ კითხვაც გაუბედა იმისი, თუ რათა ხარ მაგრე ავგუნებაზედაო. ბაბო კი ერთ სატანჯველში იყო ჩაყარდნილი. კიდევაც უნდოდა ერთხელ კიდევ მაინც დამტკბარიყო ამ კაცის მზერით, ესიამოვნა მისი ყურებით და თან მოწადინებულიც იყო, რომ ეს სურვილი გულიდან ამოეფხვრა, ამოეგლიჯა ძირიანად; მაგრამ მისი ეს ცდა უნაყოფოდ რჩებოდა. მის წინ გიგო იდგა. ერთის გულით მადლობელი იყო მისი, მაგრამ მეორეთი ამას ფიქრობდა: რას მომჩერებია ეს შეუბრალებელი კაცი... რას მადევნებს თვალს? რა უნდა ჩემგან?

„ღმერთო ჩემო, ხომ მიდის, ხომ მშორდება, შეიძლება, სამიდღემოდ... შეიძლება საუკუნოდ?.. ეგებ ვერასოდეს აწი ვეღარ დავინახო... თვალიც ვეღარ მოვკრა! რაღად მიშლის მის ყურებას... რაზე მიწყრება, თითქოს მეუბნება, ნუ შესცქერიო! მე თვითონ ვიცი, რომ ეგ სიცუდეა ჩემი, სიგლახე, უპატიოსნება... მაგრამ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ გადავავლებ თვალს და მერე აღარ... აი, ერთხელ კიდევ და მეტს აღარ შევხედავ... აღარ მივაჩერდება. ერთხელ კიდევ, ეს უკანასკნელად და მერე აღარ... აღარ!..“

ასე ებრძვის თავისთავს უბედური ბაბო და მისი გონება, მისი აზრი, მისი გამცემი თვალები ბრელიშვილისკენ მირბიან, მასზე ისვენებენ, მისით დატკბობას ეტანებიან. მხნეობადაკარგული ქალი გრძნობის სათამაშოდ შეიქნა და მისდა უნებურად შერჩენილი უღონო მოსაზრება კიდევ მაინც ატყობინებს, რარიგად შეუბრალებლად ითელება ამ მორეული გრძნობათა ღელვისაგან და, აი, ეს ფიქრი, ეს შეგნება ჰკლავდა, ცეცხლს უკიდებდა.

ბრელიშვილი ცოტა ხნის შემდეგ ადგა, გამოეთხოვა ბაბოს, გიგოს და წასვლა დააპირა. მასთან ერთად წასვლა მოინდომეს სხვა სტუმრებმაც, რომელნიც ბრელიშვილთან მოსულიყვნენ ბაბოს საბახავად.

გამოეთხოვა თუ არა ბრელიშვილს, გიგო ისევ სავარძელში ჩაჯდა წარბებშეკრული. ბაბო კი ადგა, გაედევნა უღონო ნაბიჯით ბრელიშვილს, გაჰყვა წინა ოთახში, იქიდან აივანზე და არ შემობრუნე-

ბულა, სანამ მიმავალთ კიბე არ ჩაიარეს და გაუნათებელ ქუჩაში ღამის წყვდიადმა არ მიმალა წასულნი. თუმცა ქალი ვეღარ არჩევდა ბრელიშვილს, ვეღარ ხედავდა სიბნელეში, მაგრამ მისი აზრი და გონება მაინც იმას მიჰყვებოდა უკან. ასე იდგა ბაბო კიბის თავზე რამდენსამე ხანს გაშტერებულივით, და ზალაში დაბრუნებულმა გიგოს რომ თვალი მოჰკრა, მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა და მიხვდა, რა უსაქციელობა ჩაიდინა, რარიგად გაიმტყუნა ამ კაცის წინაშე, თავისი თავი.

ერთი კი გადახედა სავარძელში ჩამჯდარს წარბებშეკრულ გიგოს და იმწამსვე იგრძნო, იმწამსვე შეატყო, რა წყრომით იყო ალვსილი ამ კაცის გული. ბაბო შიშმა აიტანა.

ქალმა ხმა არ ამოიღო. მივიდა ტახტთან და ზედ ზანტად ჩამოჯდა, სულგანაბული; გიგომ კი გაჯავრებული კილოთი დაიწყო ლაპარაკი: ამათთანა მაწანწალებისაგან არის, რომ ათასნაირი საძაგლობა ხდება, ოჯახები ილანძღებაო, უკმაყოფილება და შფოთი-დავიდარაბაა ·ცოლ-ქმართა შორისო, რომ სინიდის სუსტი ქალები ათასნაირ სამარცხვინო და შესაჩვენებელ საქციელს ადგანანო და სხვა ამგვარები.

ბაბოსთვის ეს, რასაკვირველია, ნამეტანიც იყო. უამისოდაც დიდ გასაჭირში იყო და ამ სიტყვების გაგონებამ ხომ სულ მიწასთან გაასწორა... გაფაციცებულმა, დამფთხალმა და აკანკალებულმა, სიტყვა გააწყვეტინა გიგოს და შესაბრალისი ხმით უთხრა:

— გიგო, შენი ჭირიმე... არ გეწყინოს... არ შემიძლია... უნდა მივეგდო!.. უკაცრავად, შენ გენაცვალე!

გიგომ გაუწოდა გამოსამშვიდობებლად ხელი და ქალი ტორტმანით გაეშურა თავისი საწოლი ოთახისაკენ.

ოჰ რა უშნო და რა შესაბრალისი ეჩვენა ახლა გიგოს ეს ზლაზვნით მიმავალი ქალი. ეს იყო მისი საყვარელი, სათაყვანებელი, სამაგალითო ბაბო?! ამას აღმერთებდა?! რამ მოჰკლა, რამ დააღონა, რამ მოკრუნჩხა ასე საცოდავად? ვნებათაღელვამ, გამრყვნელმა გულის წადილმა, უსინდისობამ, თავმოყვარეობის, ნამდვილი თავმოყვარეობის უქონლობამ, განა?!

და გიგოს სულითა და გულით ეზიზღებოდა ახლა, სძაგდა ეს ვნებამორეული ქალი, ვნების შეხებით გასვრილი, გატალახიანებული. ამასთან სძაგდა მისი უჭკუო ქმარი, რომელიც, მისი აზრით, მონაწილე იყო ცოლის უსაქციელობისა.

— სულელი, ჩერჩეტი... უგუნური პირუტყვი, რომლის ტყავი ქალამნადაც სახმარებელი არაა!.. ნუთუ არ იცის, რაც ამბავია მის თავზე?.. თუ იცის, ხმას რატომ არ იღებს, რატომაა დამუნჯებული,

თითქოს სათქმელი არაფერი ჰქონდეს ამ შერცხვენილ ქალთან!.. მაგრამ რა მოეთხოვებათ?!. ყველა საძაგლობაშია გახვეული, ყველა გაფუჭებულია, უზნეო, ბრიყვი, გარყვნილი!.. რა მოეთხოვება მა-ცათ?! მათთან ყოფნით თვითონაც გაირყვნები, გაისერები... სხვას რას დაგმართებენ! შორს, შორს!.. კისერიც მოუტეხნიათ!

და გიგო მოუსვენრად დადიოდა თავის ოთახში და ის იყო გადა-წყვიტა, ახლავე, ამ ღამესვე მიეტოვებინა ეს ოჯახი და თავის ბარგი-ბარხანით ხვალინდელ მატარებლამდის ერთ-ერთ მახლობელ ამხანაგთან გადასულიყო და ეს ღამე იქ გაეთია.

კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა სარდიონი. იგი შეწუხებული უნდა ყოფილიყო.

— გიგო! — თქვა მან ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ. — გიგო, ბაბო ერთობ ავადაა... რა ვქნა, კაცო?.. გადამეტებული ავადმყოფია.

— ახლა აგეხილა, ჩემო ძმაო, თვალები? რასაკვირველია, ავა-დაა! — გაჯავრებით მიუგო გიგომ.

— რა ვქნა... რა ვუყო, ღმერთმანი!.. გონება მეკარგება!

— რაც გითხრეს, რაც გირჩიეს და როგორც დაგარიგეს, ისე მოიქეცი!.. რაღა ყოყმანი და ვაი-ვუი გეჭირვება კიდევ! ხომ გითხ-რეს წადიო... ეგ ქალი აქედან წაიყვანეო...

— ეგ კი... აგერ ხვალ-ზეგ სულ მზად ვიქნები და წავალ... მაგ-რამ... არ ვიცი, არ ვიცი! — თავის გაქნევით წარმოსთქვა სარდიონმა.

— რა არ იცი?

— ვაი თუ ვერ გადურჩეს ამ ავადმყოფობას... მეტად ცუდადაა მოქცეული, გიგო ჩემო!

— ეგ ღმერთმა იცის... და შენ შენი საქნარი აასრულე!

სარდიონის ყოველი სიტყვა, იმის ხმის გაგონებაც კი გულს უმღვრევდა, ჯავრს ჰგვრიდა გიგოს და ამიტომაც ასე კუშტად და უგუნებოდ ელაპარაკებოდა. სარდიონმაც შეატყო, გუნებაზე არ არისო, ჩაჩუმდა და მზერა დაუწყო შუა ოთახში გამოთრეულ გიგოს გახსნილ ჩემოდანს.

— მიემზადები თუ? — გაუბედავად შეეკითხა გიგოს.

— ჰო!

— ერთად წავიდეთ ბარემაც... გზა ხომ ერთხანაზე საერთო გვექ-ნება.

— მე ამაღამვე უნდა წავიდე!

— ამაღამვე? — მიაშტერა გაკვირვებით თვალები სარდიონმა.

— ამაღამვე... გოცირიძეს შევპირდი, ბესარიონს, მოვალ-თქვა... იქ მიცდიან.

— ჰო, მე მეგონა, თუ ეგ ჩემოდანიც იქ მიგქონდა!..

გიგო მიხვდა თავის განზრახვის უადგილობას, დახურა გაშლილი ჩემოდანი, მისწია კედლისაკენ, ამოიღო საათი, დახედა, წამოაველო ხელი პალტოს და ქუდს და სარდიონს მიმართა:

— ამაღამ ვეღარ მოვალ, ნულარ მიცდით! — გამოეთხოვა და კარებისკენ გასწია.

გააღო თუ არა კარი, გიგომ განცვიფრებით წამოიძახა:

— ბაბო?!

სარდიონი მივარდა კარებს, შალწამოხურული ბაბო გაქვავებულივით იდგა კარებს უკან ატუზული.

— რა გინდა აქ, რაზე ამდგარხარ? — შეეკითხა ცოლს გაოცებული სარდიონი.

— შენ გეძებდი!.. — ძლივს წარმოსთქვა ბაბომ ნელი ხმით.

— რა გინდა, რა იყო? — ჰკითხა კვლავ სარდიონმა.

„რა ენდომებოდა, რა უნდა ყოფილიყო? მოსაყურებლად თუ იყო მოსული, უნდოდა გაეგო, ჩემზე ხომ არ ლაპარაკობენო, და, თუ ლაპარაკობენ, რას ლაპარაკობენო“. — გაიფიქრა გიგომ და წუთი აღარც კი შეიცადა, წავიდა. ამ კაცს დაეკარგა ყოველივე სიბრალული ამ ქალისადმი.

მივიდა გოცირიძისას, თავის გულითად ამხანაგთან, და ამ დაგვიანებული სტუმრობით გაკვირვებულ მეგობარს გულახდით მოუყვა ყველაფერი, უამბო დეტალურად და დაწვრილებით ბაბოს ამბავი. გიგომ იცოდა, რა კაცს ელაპარაკებოდა და ამიტომაც შეეძლო თავის გულის საჯეროდ გამოეთქვა ყოველივე თავისი მწუხარება და ნაღველი.

— შენ ერთობ ცხარობ, ჩემო გიგო! და ბევრი რამ გავიწყდება ამასობაში, რისი მახსოვრობა, მხედველობაში მიღება ეგრე აღარ შეგახედვინებდა ამ შემთხვევისათვის!.. — უთხრა ბესარიონმა გიგოს.

გიგო შეჩერდა და მერე უცებ დაატანა:

— რას ვივიწყებ?

— იმას, რომ ბაბოც ისეთივე ქალია, როგორც სხვა, ჩემო გიგო!.. — ღიმილით თქვა ბესარიონმა.

გიგოს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ბესარიონმა დაასწრო:

— მეც მათქმევინე, შენ ხომ იმდენი ილაპარაკე!.. ჰო, იმას გეუბნები, შენ გავიწყდება, რომ ეგ ჩვენი ბაბოც ქალია და მერე კიდევ ამასთან ქართველი ქალი...

— ჰოდა მაგიტომ უფრო მერევა ბრაზი! — ვეღარ მოითმინა გიგომ.

— ჩემი აზრით, ჩვენ არა გვაქვს უფლება, არა გვაქვს საფუძველი მკაცრად ვსინჯოთ ყოველი მათი საქციელი, ყოველ მოქმედებაში პასუხისმგებლად გავხადოთ... რატომ? იმიტომ რომ ისინი ისევ ბუნების შვილნი არიან, მათი აზრი, გონება ისეთი მარტივია ჯერჯერობით, მთლად მათი არსება ისე ცოტაზეა დაშორებული პირვანდელ მდგომარეობას, მათი სულიერი მდგომარეობა, არსება ისეთი მონაა მხოლოდ გრძნობიერებისა, რომ, ღმერთმანი, ცოდვაა, თუ უსამართლობა არა, მათდამი სასტიკად მოპყრობა, მათ შეცდომათა მკაცრად განსჯა, განკითხვა. ჩვენზე უფრო განვითარებულ საზოგადოებათ საჩივლელად და გულსაწყვეტად აქვთ თავიანთ ქალების მდგომარეობა, მათი დაქვეითებული, უკანჩამორჩენილი პიროვნება, მათი ფუჭი, უშინაარსო ცხოვრება. მაშ ჩვენ ქალებზე რაღა გვეთქმის, რაღა უნდა ვუკიჟინოთ ამის მცოდნეთა?! რა ადგილი უნდა ჰქონდეს მათზე ჩვენს წყრომას?! რას თხოვ, ან რად თხოვ იმას, რისიც აღსრულებისათვის მას ჯერ ღონე არ შეუძენია? რა ქნას თავის გრძნობათა მონამ, მხოლოდ დღიური ცხოვრების ვიწრო ფარგალში მოქცეულმა, უზენაესი იდეებით გონებაგაუბრწყინებელმა, რომლისათვის სრულიად უცნობია და გაუგებარი იმ იდეათა სიტკბობა და სიამოვნება, როცა მისი მდიდარი ბუნება დუღს, ღელავს, არ ასვენებს, ამოძრავებს, სიცოცხლის ნიშანს ითხოვს მისგან; არ სჯერდება ერთფეროვნებას, ერთგვაროვნებას, მიყუჩებას. რასაკვირველია, ყოველ ამის დასაკმაყოფილებლად რომაა გამზადებული, ეტანება უფრო იმას, რაც ადვილია, რაც მისთვის ხელმისაწდომია, ეძლევა ვნებათაღელვას, თავის გაუგებრობით ამ დაბალ გრძნობას სიყვარულის სახელს უწოდებს და ამით იმართლებს თავს; იმას კი ვერ მიმხვდარა, თუ რარიგად მიედარება ამ თავის აღელვებაში იმ პირვანდელ დედაკაცებს, რომელნიც ნადირებივით ტყედ დარბოდნენ მამაკაცებთან ერთად და პირუტყვებივით იკმაყოფილებდნენ თავიანთ ჟინს... რა ქნან? ეგებ ხშირად გულის სიღრმეში კიდეც ერცხვინებოდეთ, კიდეც ეწინააღმდეგებოდნენ თავიანთ დამამდაბლებელ, შეურაცხმყოფელ გრძნობათა ღელვას, მაგრამ, მათდა საუბედუროდ, ჯერ გამარჯვება მათთვის შეუძლებელია, მიუწდომელია!

— მაშ, აბა, ეუყუროთ სეირს მხოლოდ?! — შესძახა გიგომ. — სეირს ეუყუროთ... ხმა არ ამოიღოს კაცმა?

— თქმით თქვი, რაც გნებავს, შე კაცო... მაგას კი არ გეუბნები... მე იმისი თქმა მინდა, რომ წყრომით და გაჯავრებით ადამიანის

ბუნება არ შეიცვლება და ნება არა გვაქვს მოვითხოვოთ ისეთი რაჭ, რაც ერთნაირ განვითარებაში მყოფ ადამიანს არ შეუთვისებია.

— არა, ბესარიონ, არა... ათიათასჯერ არა! — მოუთმენლობით შესძახა გიგომ თავის მეგობარს. — ათიათასჯერ არა! შენ ცდები, შენა და არა მე! მეტად შემცდარი ხარ ბაგ მსჯელობაში!.. რა შუაშია აქ განვითარება, გამოფხიზლებული გონება და ამგვარები?.. აქ ზნეობაა მხოლოდ საჭირო, მხოლოდ ზნეობა!.. ყოველ ადამიანს მართებს იყოს ზნეობიანი და პატიოსანი, ქქონდეს თავმოყვარეობა, არა გარეგნული, არამედ ის თავმოყვარეობა, რომელიც გვაშორებს და გვარიდებს ყოველ სამარცხვინო, საეუგებელ და უღირს საქციელ-მოქმედებას. თუ ეს თავმოყვარეობა აქვს კაცს, თუ იგი ღრმად და ღონივრად არის ჩანერგილი ადამიანის ბუნებაში, იგი ყოველ შემთხვევაში გამარჯვებული იქნება; რაგინდ განსაცდელში ჩავარდეს, მძლეველი დარჩება უსათუოდ!.. მე ამნაირ თავმოყვარეობას ვამჩნევდი იმ შეჩვენებულ გომბიოს და ამიტომ მიყვარდა, ამიტომ ეეთაყვანებოდი... ამიტომ მწამდა მისი ქალობა და სმამაღლა ვიძახდი, რომ ამ თვისებით სწორედ სასიქადულოა ქართველი ქალი-თქო და ახლა კი მოტყუებული ვრჩები, გაცრუებული ამ ჩემს რწმენაში. ასე მგონია ახლა, რომ სხვებიც უსათუოდ ამისთანები იქნებიან-მეთქი და გული მიკვდება; მიკვდება გული იმიტომ, რომ კაცის ნდობა მეკარგება, მეცლება ხელიდან ვისი წყალობით, მერე?.. ვისი მიზეზით? შემიძლია აწი ვისიმე რამე კეთილსახიერება დავიჯერო?.. რისთვის ჩაიდინა ოხერმა ეს საძაგლობა? რა აკლდა, რას ეძებდა?.. რა უნდა კიდევ: ქმარი მოყვარული, ურიცხვი კეთილისმყოფელი, ყოველი ნაცნობი და მახლობელი მოსიყვარულე და გულითადი პატივისმცემელი, სიყვარული, წმინდა პატიოსანი სიყვარული ყოველგან და ყველასაგან — რაღა გინდა? რაღას პირუტყვობ? ყველას ფეხი ჰკრა და სიბინძურეში ჰყოფს თავს, სიოხრეში!.. ვისთვის, რისთვის. მერე?! კაცო, გადამრევი როგორ არაა ეგ, თუ კაცს სისხლი. გიდგია ძარღვებში, კაცის გამაგიჟებელი როგორ არაა ეგ და მიწასთან გასასწორებელი ყოველ ამნაირ მოქმედების ჩამდენი?!. შეჩვენებული, ოხერი, უწმინდური!.. მე კი ქალი მეგონა, პატიოსანი, ღირსეული!.. ვის ვაღმერთებდი, ვის ვადიდებდი, ღმერთო ჩემო?! — და ცეცხლმოკიდებული გიგო თითქმის დარბოდა ოთახში განცვიფრებული ბესარიონის წინაშე.

— აბა, მართალს ბეტყვი ამასაც, გიგო, რომ შენ ჯერ კიდევ არა გაქვს ნება, თუნდ შენი აზრი მართალიც იყოს, აგრე მოიხსენიო ბაბო! — უთხრა ბესარიონმა.

— რატომ? — შეჩერდა გიგო.

— იმიტომ, რომ შენ ჯერ არც კი იცი რითი გათავდება ის ბრძოლა, რომელიც ბაბოს თავის გულისთქმასთან აქვს გამართული... სრულიად დაუმორჩილდა თავის ვნებას, არა აქვს არავითარი ხსნა? დათავდა ბრძოლა ბაბოს დამარცხებით?.. ეგ განა იცი შენა?

ამ სიტყვებმა გიგო გააქვავა; ხმაგაკმენდილი მისჩერებოდა თავის მოსაუბრეს და ისეთრიგად შესცქეროდა, თითქოს ამ სიტყვებმა ფრთები ჩამოაყრევინაო, თითქოს ძალა და ღონე წაართვაო. ბესარიონი კი განაგრძობდა:

— განა შეგიძლია წმინდანობა მოსთხოვო ქალს, ბაბო იქნება იგი თუ ნინო, ანუ სხვა რომელიმე?.. შეგიძლია მოსთხოვო, რომ მისი არსება სულ განსხვავებული იყოს? ისიც ხომ ქალია, ისიც ხომ ადამიანია, მის ძარღვებშიც ხომ სისხლი სდის, გული უძგერს, — იგი მომლოდინე უნდა იყოს ყოველი ადამიანის თავზე მოსახდენი და შესაძლებელი შემთხვევისა!.. მაგას რატომ იტყვი, რომ ბაბოს გული ვნებათაღელვით არ უნდა ატოკებულიყო? რატომ მისი გული ბრელიშვილისთვის არ უნდა აძგერებულიყო? განა ბაბო ადამიანი არაა, ქალი არაა? სამარცხვინო დასაწყისი კი არაა, სრულიადაც არა. დამამდაბლებელი მისი ცუდად დაბოლოებაა, ცუდად დათავება. და ამიტომაც შენც მოვალე ხარ ჯერ უყურო, თვალი ადევნო, თუ გსურს და გაიგო, ვინ დარჩება ამ ბრძოლაში გამარჯვებული... ვინ იქნება შერცხვენილი და ვინ საქებარი! არა ვარ ამაში მაინც მართალი, გიგო ჩემო? — გაღიმებით შეეკითხა ბესარიონი, რომელიც კარგად ამჩნევდა, რომ გიგო მიხვედრილი იყო თავის აჩქარებას. — ვარ თუ არა მართალი? — განუმეორა ბესარიონმა.

— კი, კი!.. — მიუგო დაწყნარებით გიგომ: — მართალი ხარ სწორედ!..

— მადლობა ღმერთს! — გაიცინა ბესარიონმა. — ახლა მაინც დაწყნარდები!

— პირიქით, შენ უფრო მომიმატე და გამიძლიერე მწუხარება!..

— როგორ?

— მე წასვლას ვაპირებდი ხვალ და ახლა უნდა დავრჩე, სანამ გარაყანიძენი არ წავლენ... ჩემთვის ეგ მეტად საინტერესო კი არა, თითქმის სასიცოცხლო ამბავია... ამ ამბის ასე თუ ისე დათავებაზედაა, ძმობას გეფიცები, დამოკიდებული ერთ-ერთი ჩემი რწმენა, ჩემი წარმოდგენა, რომლის დაკარგვა, რომლის შერყევაც ჩემთვის სიკვდილის მსგავსი იქნება!

ბესარიონმა გაიღიმა და ამის შემხედვარე გიგომ დაატანა:

— შენ გეცინება, მე კი, ამხანაგობას ვეფიცები, მართალს ვამ-ბობ!.. შენ ვერ წარმოიდგენ, რაგვარი ძმური სიყვარულით მიყვარ-და ის ქალი და რარიგად მეძნელება ამ გრძნობის დაკარგვა... მით უფრო, რომ მისით პატივს ვცემდი და რწმენა მქონდა საზოგადოდ ყოველი ქალისადმი! კი, კი, მე ავჩქარდი და მალე გადავწყვიტე ის, რაც ჯერ არ უნდა გადამეწყვიტა!.. ისევ უნდა მივიდე იმ საცოდავ-თან, იმ უბედურთან... თუმცა ვერ წარმოიდგენ, რარიგად მეძნელე-ბა მისი დანახვა, მისი შეხედვა!.. ხვალ მაინც ვეღარ მივალ, გუ-ლი არ მაძლევს ნებას! ზეგ წავალ და ვნახოთ... ვნახოთ, რითი გა-თავდება ეს გაწამაწია!

ბაბო კი ამავე დროს ერთ ვაებაში იყო ჩავარდნილი. მას თვალ-წინ ედგა და არ შორდებოდა შემწყარალი და განრისხებული სახე გიგოსი, როცა მან კარებთან მიატოვა ხმაგაუცემლად. მისთვის ცხა-დი და თვალსაჩინო იყო, რარიგად შეიცვალა მათი ურთიერთობა, მათი მეგობრობა. და ბაბო ცრემლად იღვრებოდა ამაზე. თუ გიგო-მაც შეიძულა, სხვა რაღას შეიბრალებს, სხვისგან რაღა პატივებას უნდა მოელოდეს?! რისთვის მხვდა წილად ამდენი ტანჯვა, ასეთი წამება? — ფიქრობდა გულში ბაბო. — რა დავაშავე, რა ჯავრი სჭირ-და ამ ოხერ-ტიალ გულს ჩემი, რომ ასეთ უბედურებაში გამხვია, ასე მომიშხამა სიცოცხლე?!

მოუთმენლად ელოდებოდა ბაბო დილიდანვე გიგოს დაბრუნე-ბას, მის დანახვას... ეგებ არც ისე მიწყრებოდეს, როგორც მეჩვე-ნაო... მაგრამ გიგო არსად იყო. და რაც ხანი გადიოდა, მით უფრო გული უწუხდებოდა ყმაწვილ ქალს, უამისოდაც შეწუხებულ-გამ-წარებულს.

დასაღამოვდა და გიგო კი მაინც არ ჩანდა.

„მაშ შემიძულა... თვალით დასანახავადაც ვეჯავრები... დაეკარგა ჩემი სიყვარული... ღმერთო ჩემო! — თვალცრემლიანი მოსთქვამდა თავის ეულში ბაბო. — რა ვქნა? რა ვქნა... რა ვქნა?!“—მიიფარებდა სელებს თვალებზე, ჩაემხობოდა ბალიშებში და აფრქვევდა მდუ-ღარებას. ამავე დროს კი თვალწინ თითქოს ჯიბრზე ის ეხატებოდა, ვისგანაც ამდენი ტანჯვა-გაწვალება შეემთხვა... ამ სინათლეს აშო-რებულ თვალებში ბრელიშვილის სახე ელანდებოდა და გამწარებუ-ლი, მისდა ასარიდებლად, წამოვარდებოდა, ადგილს გამოინაცვლებ-და. გაურბოდა და იგი მაინც არ ეშვებოდა, მაინც უკან დასდევდა, მაინც არ შორდებოდა, არ აძლევდა მოსვენებას. ამასობაში ბაბოს გული კი ამ გადამეტებული წამებით, ამ შეუსვენებელი წიწკნა-გლეჯით ძლივსღა ჰფეთქავდა, ძლიესღა სცემდა მოღლილი.

ის ღამე დღეზე უარესი შეიქნა ბაბოსათვის. მის თვალს სრულიად ჭილი არ მიჰკარებია; ჩუმად, სარდიონის ნამალევად, შფოთავდა და შეტად გადამეტებულ მოუსვენრობაში იყო ჩავარდნილი. გათენდა თუ არა, წამოვარდა და, გადადგა სახლიდან სარდიონმა ფეხი თუ არა, ბაბო მიუჯდა სასტუმრო ოთახში ფანჯარას და ქუჩაში დაიწყო ყურება. მერე წამოდგა, შეეიდა გიგოს ოთახში, დაათვალიერა, ჩემოდანი თუ იყო კიდევ თავის ადგილს, გამობრუნდა და ისევ ფანჯარას მიუჯდა.

გულჩათუთქული ამაო ლოდინით, გამწარებული ძვირფასი კაცის სიყვარულის და პატივისცემის დაკარგვით, რომელთანაც ერთად ეკარგებოდა სხვების ამგვარი გრძნობა-შეთვისება, ყმაწვილი ქალი წამოვარდებოდა, დაეცემოდა ტახტზე, ჩააფრინდებოდა კბილებით ხან მუთაქას, ხან ბალიშს და დაიწყებდა გულამოჯდომით ქვითინს... და თვალწინ კი იქვე ბრელიშვილის სახე... მისი თვალები, ლამაზი წვერ-ულვაში... კიდევ წამოვარდა, ისევ მივარდა ფანჯარას... ისევ იყურება ცრემლშორეული თვალებით... არავინ... არავინ! ყველას სძაგს, ყველასაგან მიტოვებულია! და ისევ მოთქმა, ისევ გულამოჯდარი ტირილი. უეცრივ თვალი მოჰკრა კედელზე, რომ სხვა ფოტოგრაფიულ სურათებთან დაკიდებულია ბრელიშვილის პორტრეტიც. ჯერ მიაჩერდა, მერე უეცრად ჩამოჰგლიჯა კედლიდან, მიირბინა მაგიდასთან, გამოსწია ყუთი, გადაშალ-გადმოშალა აკანკალებული ხელით ქაღალდები და შიგ ჩამალა ეს სურათი...

— რენე!.. რენე! — უნებლიედ ამბობდა მისი ტუჩები და შეძრწუნებულს აგონდებოდა გიგოსაგან წაკითხული ამბავი.

თითქმის დაიმედებული, რომ აცილებული ჰქონდა ახლა რომელიმე თავის მეგობარ-მოკეთისაგან იმგვარი ამბავი, როგორც იმ რომანში სუზანას დაუწია რენემ, იგი ისევ მივიდა ფანჯარასთან და ისევ დაიწყო ყურება. იყურა, იყურა... დიდხანს იყურა, და რაკი მოლოდინით მოიღალა, მოთმინება დაეკარგა, სასოწარკვეთილი დავარდა ტახტზე, მერე ისევ წამოდგა, გადარეულივით გაექანა თავის ოთახისაკენ, იგლეჯდა თმას და სულ შემოიხია გულზე კაბა, თან გამწარებით ურტყამდა თავს თავის სატუალეტო მაგიდას, აქვითინებული.

— ბაბო! — მოესმა შორიდან ხმა. — ბაბო!

— ვლადო! — გაურბინა თავში ბაბოს და, რომ გაექრო ეს გაგონება, ეს ხმა, უფრო მეტის გამწარებით დაუშინა თავი მაგიდას.

— ბაბო! არ გესმის? ბაბო, ბაბო! — მოდის ხმა.

— არა... არა!.. — ამბობს ბაბო და ჰგრძნობს, რომ გონება ეკარ-

ვება. — არა! — ეუბნება იგი ამ ძახილს. გაფაციცებული ქალი წამოჯდა საწოლზე და აცახცახებული დაკეტილ კარებს მისჩერებია, საიდანაც ხმა ესმოდა.

— ბაბო, გააღე კარი, გეუბნები! არ გესმის!? — მოესმა ისევ ბრძანება და ამან, ამ კილოთი ნათქვამმა, ამ ბრძანებამ სრულიად წაართვა უკანასკნელი მოსაზრება, გონება, წამოაყენა ფეხზე, წამოიყვანა კარებისაკენ, მიიყვანა იქ, ძალად გადაატრიალებინა გასაღები და ათრთოლებულმა, აცახცახებულმა, თვალებჩამობნელებულმა ძლივს გასაგონის ხმით წაილაპარაკა:

— ვლადო!.. — და მოსხლეტილი, გონებაწასული იატაკზე დავარდებოდა, რომ გაღებულ კარებში შემოსწრებულ გიგოს ხელი არ ეტაცნა მისთვის.

— ბაბო... რა გემართება?! ბაბო, რა იყო, ქალო?!. — ჩასძახა გიგომ, მაგრამ ბაბოს აღარაფერი ესმოდა, აღარაფერი ეყურებოდა.

გულწასული ქალი გიგომ იქვე მდგარ სავარძელზე დაასვენა, მივარდა მაგიდას, აიღო წყალი და პირზე შეასხურა.

— ბაბო, გამოიხედე, ქალო!.. ეს მე ვარ, მე, გიგო ვარ!.. რა იყო, რა მოგივიდა?

ბაბომ გამოახილა თვალები... მიაჩერდა გიგოს... უყურა, უყურა, და გიგოს ტკბილი ლაპარაკი რომ ჩაესმა, ისევ ტირილი მოუვიდა, ისევ ცრემლები წამოსკდა.

— ბაბო, შენი ჭირიმე, გაჩუმდი... დაწყნარდი, დამშვიდდი!

მაგრამ, დამშვიდების მაგიერ იგი უფრო გულამოჯდომით სტიროდა. მერე, თითქოს რაც ძალა შერჩენია, შემოიკრიბაო, ჩაუვარდა ფეხებში გიგოს და ხმამაღლა შესძახა საშინელის ხმით:

— მიშველე, შე უღმერთო... მიშველეთ, თქვე შეუბრალებლებო!.. გიგო, მომაშორე, მომაშორე!.. ამომგლიჯე ეს ოხერი გული!.. ღმერთო, ღმერთო!.. რად მიძულებთ... რად გინდათ შემაჩვენოთ?.. რა ვქნა, რა ვქნა მე? მომკალით ბარემაც... გამათავეთ... შემიბრალეთ, თქვე უღვთოებო!.. მომკალით... მომკალით მაინც!..

გულაჩვილებული გიგო რას ეუბნებოდა, რას ელაპარაკებოდა, თვითონ არ ესმოდა. ცდილობდა ამ საცოდავის დამშვიდებას, მაგრამ აღარც სიტყვა ეხერხებოდა, აღარც მოსაზრება ემორჩილებოდა. ამ მდგომარეობაში რომ ნახა, ისევ ხელახლად შეუყვარდა ეს არსება, ისევ ძვირფასი შეიქმნა; ამ მისმა წამებამ აპატივებინა ყოველივე მისი შეცოდება, გამოასყიდვინა ყოველივე დანაშაული, და გიგო დატკბობით, ალერსით შესცქეროდა ღონემიხდილ უმაწვილ

ქალს, მძიმედ მსუნთქავს, თვალებდახუჭულს, გულამომჯდარს, თმაგაწეწილს, სახეგაცრეცილს.

მესამე დღეს მატარებელი მიაქროლებდა სარდიონსაც, ბაბოსაც და გიგოსაც №-დან. კუთხეში მიმჯდარ ბაბოს აზრი და გონება ისევ, მისდა უნებურად, მიტოვებულ ადგილებში დაჰფრინავდა და გიგოს ახლოს ყოფნის გამო და აგრეთვე მატარებლის გრიალის მიზეზით მხოლოდ რაოდენადმე იბნეოდა ეს მოგონებანი და გამოხატულებანი. „მისი სახე“ მაინც კიდევ არ შორდება, ისევ თვალწინ უდგას. ქალი იგონებს, რა თავდაჭერილი, რა თანაგრძნობით გამოეთხოვა ის ყმაწვილი კაცი სადგურზე და უნატრა, ისევ მალე კარგადმყოფი დაბრუნებულიყოთო.

— იმას არაფრის ეშვი არა აქვს აღებული, არაფერი იცის!.. ნამდვილად ასეა! — იმედიანად და ნუგეშით ამბობს გულში ბაბო. — და ღმერთმა ნურც გააგებინოს როდისმე! — მისი გული ისე დაცარიელებულივითაა, ისეა, თითქოს რაღაც აკლიაო, რაღაცა ენატრებაო, მაგრამ აქ გიგო. თავის ხალასიანი სიტყვა-პასუხით, აქ გზაში ნახული ნაცნობების სიხარული მის დანახვაზე, ამათთან ლაპარაკი, მუსაიფი, — ყოველივე ეს ნელ-ნელა აშორებდა წარსულს და მალამოდ ედებოდა, ესალბუნებოდა მის გულს.

რამდენიმე საათის მგზავრობის შემდეგ გიგო გამოეთხოვა თავის მეგობართ, რადგანაც თავის სოფელში უნდა წასულიყო და ცოლქმარს პირობა მისცა, რომ, თუ დროს იშოვიდა, უსათუოდ ნახავდა ამ მოკლე ხანში.

მაგრამ მთელმა ერთმა წელიწადმა გაიარა და სალაძეს გარაყანიძეების ნახვისათვის დრო არ შეხვდა. სარდიონისაგან ორჯერ-სამჯერ მოუვიდა წერილი და აქედან იცოდა, რომ ბაბო უკეთ იყო. ახლა უკანასკნელი წერილით კი სარდიონი ატყობინებდა, რომ ბაბო სრულიად გამოკეთდა და ისევ ის ბაბოა, როგორიც სხვიმის გინახავსო. გარაყანიძეები №-ში იყვნენ. ბრელიშვილიც იქ იყო და ამიტომ ამ უკანასკნელი წერილის წაკითხვამ, ამ მოხსენებულ გარემოებასთან, მეტად დააინტერესა სალაძე და გადასწყვიტა უსათუოდ №-ში წასულიყო, ბაბო ენახა და ,ისიც გაეგო, რაგვარი თვისებისა იყო ამ ქალის კარგად ყოფნა და მისი გულის დამშვიდება, დაწუნარება: გაიმარჯვა, სძლია ბრძოლაში თუ დაუმორჩილდა და სამარცხვინოდ მოურიგდა თავის დამდაბლებას, თავის დაცემას? ეს აინტერესებდა, ამის გაგება მოუთმენლად ეჩქარებოდა გიგოს და ამიტომ მალე გაექანა №-კენ.

ბოულოდნელად გაჩენილი გარაყანიძისას, იგი უკეთეს დროს

სწორედ ვერ შეურჩევდა ბაბოს სანახაოად; მის მისელის დღეს სარდიონს წვეულება ჰქონდა და დიდი საზოგადოება ჰყავდა თავშეყრილი.

გიგოს მისელამ კიდევ უფრო გაამხიარულა კარგ გუნებაზე მყოფნი ბაბო და სარდიონი.

რა ნახეს მისმა თვალებმა? ბაბო, ამასწინათ საბრალო ბაბო, დღეს ისევ მართლა სულ წინანდელი ბაბო იყო. წინანდელი ამბისა არა ეტყობოდარა. ისევ სიცოცხლით სავსე, ხითხითა, მოკისკისე, ენამახვილი, დარდიმანდი, სიტყვამოსწრებული, ლამაზი, კოხტა — ყველასათვის საყვარელი ბაბო!.. მასთან რა უნდოდა სევდასა და მწუხარებას?! ყველასთან ასწრებდა სიტყვის თქმასაც, ხუმრობასაც, ყველას თავს დასტრიალებდა და თვითონ ხალისიანი, სხვებსაც ახალისებდა და ამხიარულებდა.

აქვე იყო, სხვებთან ერთად, ელადო ბრელიშვილიც, რომლის მხიარულებას ბოლო არ ჰქონდა და რომელიც აცინებდა იქ მყოფთ თავის დაუსრულებელი ოხუნჯობით. ბაბოს ისე ეკავა თავი მასთან, თითქოს მის შესახებ არავითარი მწარე მოგონება არ ჰქონიაო. ბაბო იმასთან სრულიად თამამად იყო, თამამად ელაპარაკებოდა და ეხუმრებოდა.

„რის მიზეზია ეგა?“ ეკითხებოდა გუნებაში თავისთავს ყოველ ამით გაკვირვებული გიგო.

ბაბომ ორჯერ-სამჯერ შეასწრო თვალი გიგოს და შეამჩნია ეს გაკვირვება. ქალმა არაფერი უთხრა, ოღონდ გაულიმებდა ხოლმე, თითქოს აცნობებდა, — გატყობ, რის გაგებაც გწადიანო. ერთხელ, ბრელიშვილთან ლაპარაკის შემდეგ, ბაბომ გვერდზე გაუარა გიგოს სიცილით.

კარგა გვიან იყო, ნადიმი რომ გათავდა და სტუმრები დაიშალნენ. სარდიონი დაღალული, ოთახში წამოწვა კმაყოფილი; ბედნიერი ბაბოს გული სავსე იყო სიამოვნებით. მოცინარი, მიუახლოვდა გიგოს. მათ მეტი ოთახში არავინ იყო.

— მე დღეს გაკვირვებ, გიგო? — სიცილით მიჰმართა მან სალაძეს.

— ის რაღა იყო, გვერდით ჩამიარე და დამცინე? — ხუმრობით უთხრა გიგომ.

— ის რომ, შეგატყვე, მომჩერებოდი! ხა, ხა, ხა! — გაიცინა ბაბომ. — გიკვირს... გიკვირს, ასე რომ მხედავ... არა?

— მართალი გითხრა, მიკვირს! — მიუგო გიგომ.

— და, აი, ახლა, ამ წამში... მე რომ ისევ ბედნიერად ვგრძნობ

ჩემ თავს. აქვე მინდა მადლობა შემოგწირო... არა, მადლობა ცოტაა, ძმაო!.. და, როგორც ძმას, გეუბნები... უნდა გითხრა, რომ არავითარი სამარცხვინო დანაშაული არ მიმიძღვის, ამითა ვარ ბედნიერი, ამითა ვარ ცოცხალი... და ეგ შენით, თქვენით, ვისიც სიყვარული მე მუდამ მახსოვდა... თქვენმა სიყვარულის მოგონებამ გადამარჩინა საშინელებას!.. თქვენ მომეცით ძალა, ღონე და, აი, დღეს მე ისევ სულელი, გიჟი, გადარეული, მაგრამ შეურცხვენელი ბაბო ვარ... შენი, საყვარელო ძმაო, შენი მადლობელი ვარ და ვიქნები კვლავაც, სიკვდილამდე!

ერუანტელმა დაუარა ტანში ამის გამგონს გიგოს, მისი გული ამოვარდნას ლამობდა. იგი მხურვალედ დაეწაფა ხელზე მის წინ წამდგარ მშვენიერებას, გააწყვეტინა მას სიტყვა და აღტაცებულმა შესძახა:

— არა, ბაბო... მე, მე გმადლობ, მე, მე!.. ჩვენ ყველანი ვმადლობთ!.. შენით იყო ყოველივე. არც მე, არც სხვა აქ არაფერ შუაში ვართ... მე მწამდა, რწმენა მქონდა აღიარებული, რომ ყოველივე ქალი, თუკი ნამდვილი, ჭეშმარიტი თავმოყვარეობითაა აღჭურვილი, თუ მას ღრმად აქვს ჩანერგილი პატიოსნება, სინდისი, გამარჯვებული იქნებოდა ყოველ მდაბალ, უღირს გრძნობაზე; რომ მის გულს ვერ დაიმონავებდა უხეირო, ფუჭი, დროებითი გამართობელი ენებათაღლეკა; რომ პატიოსანი ადამიანი არ გადაალახვინებდა თავისთავს და არ დაჰკარგავდა თავის პირნათლობას წუთიერ გატაცებისათვის!.. ამ ღირსების არსებობა ჩვენს ქალებში სანეტარო რწმენად მქონდა და მაგალითად შენ გხედავდი. ამიტომ უყვარდი ყოველ შენ მცნობს, ამიტომ გცემდა პატივს ყველა და დღეიდან კიდევ უფრო ძვირფასი ხარ, უფრო სასიქადულო! შენ რომ გიყურებ ახლა, დღეიდან უფრო მიღონიერდება ჩემი რწმენა... ჩემი გული უფრო ბეტის იმედით და რწმენით, პატივისცემით ივსება ქალისადმი... შენ მომეცი ამისი მტკიცე საბუთი, მაგალითი! მადლობას მე გწირავ... მე ვარ შენი მადლიერი, შენით დაჯილდოვებული და გაბედნიერებული, ჩემო ძვირფასო ბაბო!..

და ამის მთქმელმა აღტაცებულმა ყმაწვილმა კაცმა ისევ მხურვალედ, ნიშნად მადლობისა, აკოცა ხელზე სიხარულით ცას დაწეულ ბაბოს.

1896 წ.

სამანიშვილის დედინაცვალი

ბეკინა სამანიშვილი, რასაკვირველია, ღარიბი აზნაური იყო, გვარიანი ღარიბიც. ამბა, რა სიმდიდრეს მოასწავებდა ის ოცდაათი ურემი სიმინდი, ორმოცი ჩაფი ღვინო და ათეოდე ბათმანი ლობიო, მის მამულს რომ შემოჰქონდა და რითაც თავს ირჩენდა წლიდან-წლამდის ბეკინას ოჯახი. მაგრამ ბეკინას კი თავისი თავი მდიდრებში მოჰქონდა და ვინ იქნებოდა, რომ თავის სიღარიბეზე ერთი სიტყვა წამოეცდევინებინა ბეკინასთვის? როგორც იმერეთში ამბობენ, ერთობ გადაპრანჭული იყო ჩვენი ბეკინა.

როცა შინაურობაშიაც ლაპარაკს გააბამდა ბეკინა თავის გამოულეველ სარჩოზე, ღონიერ ლუკმაზე, მისი ერთადერთი ცოლშვილიანი ვაჟიშვილი პლატონი, თუმცა ტრაბახობად მიაჩნდა მოხუცებული მამის ასეთი სიტყვა, მაინც არას ეუბნებოდა საწინააღმდეგოს და მხოლოდ პირჯვრის გამოსახვით იტყოდა ხოლმე:

— ამაზედაც გმადლობ, უფალო! ამაზედაც გმადლობ, უფალო!

ამ წამოძახილით პლატონი თავის გულითად მადლობას უცხადებდა ზეციერ მამას, რომ შემცილებელი არავინ გაუჩინა მას ღარიბ ლუკმაში. თავის ცოტაზედაც კმაყოფილი, ამ თავის მციერედითაც ბედნიერი, იგი გულმოდგინებით ურტყამდა თოხს მიწას და ოჯახში სრული კმაყოფილება სუფევდა.

თუ რამ საწყენად ჰქონდა ამ ოჯახს, ეს იყო პლატონის ცოლის მელანოს ხშირი შვილოსნობა. ყოველ საოჯახო საქმეში მარჯვე მელანომ შვილოსნობაშიაც არ დააგდო თავისი სიმარჯვე და სულ მოკლე ხანში ოთხი შვილი შესძინა ოჯახს. ხშირად უხუმრია ამაზე რძლისათვის ბეკინას და უთქვამს ღიმილით:

— შე ქალო, ზოგ საქმეში სიმარჯვე მარგებელი კი არა, მავნებელიცაა... ე შენი ქმარი შეიბრალე, შე კარგო ქალო! — და ამასთან ბეკინა გულიანად გადიხარხარებდა ხოლმე.

— არაფერია... შიშს გულში ნუ შოუშობ... ღმერთი მოწყალეა, თავის გაჩენილს უმოწყალოდ არ დააგდებს, ეენაცვალე მის ძლიერებას, ყორიფელი მისი ნებაა. ალბათ, სურს, რომ სამანიშვილები მოამრავლოს. მასაც ქვეყნად მხოლოდ რჩეულები უნდა რომ ჰყავდეს! ხა, ხა, ხა!..

არც პლატონს ჰქონდა სასიამოვნოდ, რასაკვირველია, ბევრი შვილი, მაგრამ რას იზამდა, მხოლოდ თავს გააქნევდა, როცა მათ თვალს გადაავლებდა ხოლმე.

ამ გარემოების გარდა სხვებრ სწორედ ბედნიერად სთვლიდნენ სამანიშვილები თავიანთ თავს. დროებამ ასე მოიტანა, რომ მათი მცირე ქონებაც კი სიმდიდრედ ითვლებოდა, და მის მქონებელს არა თუ აკმაყოფილებდა, არამედ ბედნიერად აგრძნობინებდა თავისთავს და მადლობას წარმოათქმევინებდა უფლისადმი.

რა შესაშურებელი უნდა ყოფილიყო ასე ცოტაზე დამყარებული კმაყოფილება და ბედნიერება?! რა საბარბიელო უნდა ყოფილიყო კაცის მოუთხოვნელობით. მოპოვებული გულის სიმშვიდე?! მაგრამ ბედნიერება, რაგვარიც უნდა იყოს, ვის შერჩენია ბოლომდის, რომ სამანიშვილისას ფეხი მოედგა მუდმივად? ან კი რა საფიქრებელი იყო, რომ ასე ცოტათი შემოტყუებული ბედნიერება ისევ ცოტა მიზეზითვე ხელიდან არ გამოეცლებოდათ, სუსტ საფუძველზე დამყარებული კმაყოფილება არ მოესპობოდათ!.. უბედურების დასაწყისად ბედმა მოუსპო დღე საწყალ მარიკას, ბეკინას ცოლს.

დედის სიკვდილი თავისთავადაც მწარე იყო შვილისათვის, რომ სხვაფრივაც სამწუხარო არ ყოფილიყო. ბეკინა მეტად ჭარმაგი მოხუცებული იყო და ამის გამო საშიშარი იყო, უცნაური სურვილი მეორე ცოლის შერთვისა გულში არ გავლებოდა. დედინაცვლის დანახვის შიში და დედინაცვალთან „თან-მომყოლისა" თავზარსა სცემდა აქამდის გულდამშვიდებით მცხოვრებელ აზნაურს. აი, მაშინ იქნებოდა სწორედ „ძმა ძმისთვისო — შავი დღისთვისო".

ცოლმაც და ქმარმაც გაორკეცეს მოხუცებული მამის პატივისცემა და მოვლა; ორივენი გაფაციცებით თავს დასტრიალებდნენ დაქვრივებულ ბეკინას და თავგამოდებით ემსახურებოდნენ, თვალში შეჰყურებდნენ, რომ ყოველ მის სურვილსა და საწადელს მისგან გამოთქმამდის მიმხვდარიყვნენ და იმწამსვე აესრულებინათ. ერთი სიტყვით, პლატონიც და მელანოც დღედაღამ იმის მეცადინეობაში იყვნენ, რომ მოხუცებულის გული მოეგოთ და თავიანთი თავი შეეყვარებინათ, რაც შეიძლებოდა, მეტად. ამაში კიდევაც

მიაღწიეს თავის წადილს. ბეკინა დიდად აფასებდა რძალ-შვილისაგან ყურადღებას, მეტად მადლიერი იყო მათი და გულაჩვილებული, კიდევაც იტყოდა ხოლმე მათთანაც და სხვებთანაც:

— ეჰ, ერთი ჩემს მარიკასაც დასცლოდა ამისთანა ყოფნა, ამათთანა ღვთისნიერი შვილების მზერა! ჰეი, ჰეი! — თან ამოიოხრებდა ხოლმე ამ სიტყვებთან ერთად ბეკინა.

ამის გამგონ ცოლ-ქმარს იმედი ეძლეოდა, რომ ბეკინა მეტად დაშორებული უნდა ყოფილიყო რაიმე მათ საწყენ საქციელს და ბოლოს კიდეც სრულიად გული დაამშვიდეს. მაგრამ ბეკინას ამ კმაყოფილებასა და განცხრომაში, შვილების სიყვარულთან ერთად, სხვადასხვანაირი ხატვრაც გულში ეპარებოდა და დროთა განმავლობაში ეჯინებოდა... იმ სასიამოვნო მდგომარეობაში, მას რომ ეღირსა, უფრო სიამოვნებით, უფრო ტკბილად იგრძნობდა თავისთავს, თავისი შესაფერისი ამხანაგიც რომ ჰყოლოდა ვინმე... ასე ფიქრობდა გუნებაში ბეკინა და ეს აზრი, შემდეგ სურვილად გადაქცეული, ბოლოს აუცილებელ წადილად გადაექცა; მის გუნებაში, ასე რომ მოაგვაროს, ბედნიერთა უბედნიერესი კაცი იქნებოდა. მისი აზრით ეგ მისი წადილი მის მოსიყვარულე შვილებს არც კი უნდა სწყენოდათ.

— განა ჩემს კარგად ყოფნაზე არ მეცადინეობენ?!. რასაკვირველია, არ ეწყინებათ! — აჯერებდა თავისთავს ბეკინა. — ან კი რაზე უნდა ეწყინოთ?.. ცუდი მამა ვიყავი მათთვის თუ?.. საცხოვრებელი არა აქვთ ჩემგან ჩაბარებული თუ? სულ მათ ხომ ვერ შევწირავ ჩემს თავს, თუმცა, ღმერთია მოწამე, რარიგად მაგენი მე მიყვარან... არც ეწყინებათ, არა... არ შეიძლება, რომ ეწყინოთ!.. მე რომ იმათ ვუყვარვარ!..

ასე ფიქრობდა ბეკინა და იმით გაათავა, რომ ერთ დღეს კაცი მიუგზავნა შვილს და გამოუცხადა თავისი სურვილი ცოლის თხოვისა.

ადვილი წარმოსადგენია, რარიგად მოხვდებოდა პლატონის გულს ამის გაგონება.

— მღუპავ, მამა? — მივიდა იგი ბეკინასთან. — მღუპავ? დანას მიყრი ყელში?.. რატომ მიმეტებ, შენი ჭირიმე?! — ძლივს წარმოსთქვა პლატონმა და, ხმაჩაწყვეტილმა, უნუგეშოდ ხელები გაშალა.

— გღუპავ?!. რათა, შვილო, რათა?.. შენისთანა შვილი უნდა დაღუპოს მამამ?!

— აბა რაა?.. — და ისევ სიტყვა გაუშრა პლატონს.

— კარგი, თუ გიყვარდე. კარგი! — მხიარულად შესძახა ბეკი-

ნამ. — შე კარგო კაცო. მე ერთი პებრუსუნა მოვათრიო, შენ რატომ უნდა დაიღუპო, შვილო?! რა დაგღუპავს, თუ გიყვარდე?

— შვილი გეყოლება...

— ხა, ხა, ხა! — გადიხარხარა ბეკინამ და სიტყვა გაწყვეტინა პლატონს. — შვილი გეყოლებაო... ხა, ხა, ხა!.. რაღა დროს ჩემი შვილია, შე კაცო!.. ხა, ხა, ხა!

— მამა... შენ ნუ მომიკვდები, სიკვდილის მსგავს საქმეს მიპირებ!..

— ერთი შენ! დაჯინებულად ლაპარაკობ დღეს, პლატონ!.. დედაბერმა რავა უნდა შეგაშინოს, შე გლახაკო?! ასე რატომ უნდა შეწუხდე?!. ეგ შენი შიში, მამაშვილობამ, სრულიად უსაფუძვლოა... რამე გევნებათ კი არა, თუ დამიჯერებ, სასარგებლოც იქნება; საწყალ მელანოს ცოტა შეღავათი მაინც მიეცემა, თვარა აღარაა ქალი!.. უპირს ერთ ადამიანს, თელი ოჯახი კისერზე აწევს!..

— ბატონო, მელანოს ჯაფას რას დეეძებ, შენ ნუ...

— რატომ რას დეეძებ?! — გაწყვეტინა სიტყვა ბეკინამ. — რატომ არ დეეძებ... ისიც შვილი არაა ჩემი?

— ბატონო, შენ სხვებრ შეგვიბრალე და ჩვენს ჯაფას ნუ კითხულობ, ნუ დარდობ... ღმერთს ჯაფისათვის ვყავართ გაჩენილი!.. — ეუბნებოდა პლატონი. — მამა, შენი ჭირიმე, გადათქვი ცოლის თხოვა და რა გინდა ჩემგან!..

— ნუ ხარ ჯინიანი, შვილო!.. — შეუტია ბეკინამ. — მარტო შენს თავზე კი არ უნდა იფიქრო ადამიანმა!

პლატონს ეწყინა ეს უკანასკნელი სიტყვა მამისაგან და კუშტად უთხრა:

— ბატონო, დროც კი აღარაა შენი ცოლის თხოვის!

ბეკინამ ქორივით გადახედა შვილს და წელში გაიმართა.

— ერიჰაა!! — შესძახა მან, — ერიჰა! რა დავარდნილი მე მნახე?! თქვენისთანა ახალგაზრდებს კიდევ ერთ ათს ერთად ვაჯობებ ჯანითაც, სიმრთელითაც, შეხედულობითაც და ვაჟკაცობითაც!.. არა, შვილო, მაგი სულ ტყვილია, სულ ტყვილია!.. რაში შემატყვე დაძაბუნება!.. ჰმ!.. — და ბეკინამ მარჯვენა ხელით შეიბერტყა თავისი გრძელი, გაჭაღარავებული წვერი და მერე თავმოწონებით გადიგრიხა ლამაზი ულვაშები. — არა, შვილო! — მიუახლოვდა ბეკინა შვილს და მხარზე ხელი დაადო. — არა, შვილო, მაგისთანა ლაპარაკს თავი დაანებე... ღმერთმა ისე ჩემი სული შეიყვაროს, რავარც მე თქვენ მიყვარდეთ და მან იცოდეს, თუ მე თქვენთვის ცუდი რამე გულში მედოს... არც იფიქროთ, რომ ჩემგნით თქვენ, რამე დასაკლი-

სი კი არა, უბრალო წყენაც შეგხვდეთ!.. მაგრამ ნურც თქვენ გაჯინ-
დებით, შვილებო!.. ღმერთმა იცის და ყველაც ხედავს, რომ არა გი-
ჭირთ-რა: მიწაც საკმაოდ გაქვთ, თუ სხვაზე მეტი არა. წყალიც,
სახლიც, კარიც... ტყეც და ველიც!.. (ეს კი მეტი წამოსცდა ბეკინას...
ტყე სრულიად არა ჰქონებია). სამწუხარო რა გაქვთ?! ღმერთი უფ-
რო მეტ მოწყალებას მოგცემსთ, უფრო გიწინამძღვრებთ, თუ მეც
მომხედავთ, შემინახავთ და ჩემი უკანასკნელი დღეების გამწარებას
არ ინდომებთ... რა ვქნა, შვილო, მეც კაცი ვარ. მეც ადამიანი ვარ!..
ბყოლებოდა დედაშენი ცოცხალი, ჰეი, შვილო, ჩემისთანა ბედნიე-
რი ქვეყანაზე კაცი არ იქნებოდა!.. მაგრამ რას იზამ... უფალმა ასე
ნება და დღეს ნუ ამიტყდებით, ნუ ამეშლებით. თქვენ რომ კარგები
ხართ, სხვას, გარეშეს ნუ ათქმევინებთ. მოხუცებული მამა შეაწუხე-
სო... ისე მომექეცით, როგორც ქე ხართ, კაი, მშობლის მოსიყვარუ-
ლე შვილები... ღმერთი დაგიფასებთ და ამისათვის კიდეც დაგაჯილ-
დოვებთ, ყოველ განსაცდელს აგარიდებთ!... კარგის — ღმერთიც
კარგი მწყალობელია, შვილო!.. ნუ მეწინააღმდეგები! გარწმუნებ,
პატიოსან სიტყვას გაძლევ, თქვენ არაფერი დაგიშავდეთ, არ წა-
გიხდეთ, ერთი ხნიერი დედაკაცი მე სახლში შემოვიყვანო... ცოტ-
ხანს ვიცხოვრებთ ტკბილად, სიამოვნებით ერთად და მერე ღმერ-
თმა კეთილად მოგახმაროთ ეს ოჯახიც, ეს სახლიც, ეს კარიც... ყვე-
ლაფერი, რაც რამ გაგვაჩნია, შვილო.

— ბატონო, შვილი რომ გეყოლოს, შვილი... მაშინ? — დაატანა
პლატონმა.

— შენ დღეს კაცი ვერ გელაპარაკება, შვილო, მხარი ისეთ გაქვს
მოქცეული! — წყენით უთხრა ბეკინამ... — თუ კაცის სიტყვას არ
გაიგონებ, აბა რაღა მოგიხერხო?! მეტი დაჯერება მე არ შემიძლია
და ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! ჯინიანი კაცი გარეშეც სასიამოვნო
არაა, თვარა შვილი რა!

II

ვერ გადაათქმევინა პლატონმა ბეკინას მისი სურვილი და ამან
მეტად აუმღვრია გული. სხვაც მიუგზავნა მამას ამის თაობაზე, მაგ-
რამ ბეკინა გაჯიუტებაში ართმევდა შვილს მის საქციელს და არ
იშლიდა თავის განზრახულებას. თვითონ დარწმუნებული იყო და
ყველას არწმუნებდა, რომ მისგან დედაკაცს შვილი არ მიეცემოდა.
რომ ღმერთი მის მოსიყვარულე შვილებს არა თუ დააკლებდა რას-
მე, შემატებდა კიდეც უსათუოდ. პლატონი ამ შემატებაზე ძალიან

უარს ამბობდა, ოღონდ კი თავისი, რაც ხელში ეჭირა, მტკიცედ ჰკავებოდა; მაგრამ ბეკინა თავისას იმეორებდა და შეურყეველად იდგა თავის სიტყვაზე.

ერთი სიტყვით, ამ მხრივ საქმე წაგებული იყო გამოუბრუნებლად. საჭირო იყო ისეთი რამ ხერხის ხმარება, რომ ბეკინას გულის წადილის ასრულებასთან, პლატონი იმედიანად ყოფილიყო, რომ თავის მიწის ორიოდე ნაფლეთი უკლებლად შერჩენოდა და დღესაც მის გასაძღომად ძლივს საკმარისი ლუკმა ორად არ გაჰყოფოდა.

— დეევილუპე... წმინდად დეევილუპე! — იძახოდა პლატონი. — წმინდად დეევილუპე, თუ რამე არ ვისაშველე, რამე არ ვიღონე!..

გამწარებული ყმაწვილი კაცის გულში ცეცხლი ტრიალებდა, მისი ტვინი წისქვილის ბორბალივით მოუსვენრად ბრუნავდა, რომ რამე ხერხი მოეგონა, „ძმურად“ არ გაჰყოფოდა მისი „სიმდიდრე“, რომ ახლანდელ მწირ ლუკმაზე შეჩვეულ კუჭს უფრო დამცირებულ ლუკმაზე შეჩვევა არ დასჭირვებოდა.

— იფიქრე, ქალო, იფიქრე, ეგებ შენც მოიგონო რამე... ე ოხერი თავი აღარ მუშაობს!.. ბრუ მესხმის მხოლოდ... — გამწარებით ეტყოდა ხოლმე პლატონი ცოლს.

— მე რა უნდა მოვიგონო, რა უნდა გირჩიო?! — მოწყენით მიუგებდა ქმარს მელანო.

— რა მოვიგონო?!. ჰმ!.. სხვას რას გეიგონებს თქვენგან კაცი! — გულმოსული წაილაპარაკებდა პლატონი და ისევ თავის ფიქრებში გაეხვეოდა გაყუჩებული.

ქართული ანდაზაა: გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას განახვეპო. პლატონ სამანიშვილი ქართველი კაცი იყო და ამასთან აზნაური.

— მამა! — მივიდა რამდენიმე დღის შემდეგ იგი ბეკინასთან. — მამა, რაკი ინებე ცოლის შერთვა და აღარ იშლი, ნება შენია, აწი რაღა მეთქმის... შენი ნებაა... მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს და ამაზე არ გამაწბილებ, იმედია... უარს არ მეტყვი!

პლატონს ეტყობოდა, რომ წინანდელ ცუდ გუნებაზე აღარ იყო.

— რა იყო, შვილო?.. ერთის მაგიერ ორი მითხარი!

— მომანდე ეგ საქმე მე... მე ამოგირჩევ ქალს!

ბეკინა გაკვირვებით მიაჩერდა შვილს.

— ღმერთმანი... მაშვალს თავი დაანებე და საშენო ქალს მე მოგინახავ! შენ ნუ მომიკვდები!

— შე კაცო, უწინ თავს იკლავდი, ნებას არ მაძლევდი და ახლა მაშვლათაც კი მიდგები! — ღიმილით მიმართა ბეკინამ შვილს და

უნდობლად დაუწყო ცქერა. — რას მივაწეროთ ახლა ეგ, პლატონ?.. — გაიცინა ბეკინამ.

— რას უნდა მიაწეროთ?!

— მაინც, მაინც!.. მამაშვილობას, გამაგებიე, თუ გიყვარდე! — ბაცივებით უთხრა დაინტერესებულმა ბეკინამ.

— ბატონო, თქვენი გულის წადილი ხომ აგისრულდებათ და!

— კი, მარა მაინც!.. მამაშვილობას, მითხარი! ჰა! შენს ცოლშვილს გაფიცებ!.. რა მოიგონე ახლა შენ?

— არაფერი, შენ არ მომიკვდე, იმისთანა, რომ შენი საწყენი იქნეს...

— ჰო!

— ქალს მოგინახავ იმისთანას, რომ არც შენი დასაწუნებელი იქნება და არც ჩემთვის საშიშარი...

— ჰო, ჰო! — აჩქარებდა გახალისებული ბეკინა. — ჰო!

— ახალგაზრდა ყმაწვილი ქალი, რასაკვირველია, შენი საქმე არაა.

— რასაკვირველია, მარა არც უკბილო დედაბერი ივარგებს, შე კაცო! — გაიცინა ბეკინამ.

— უკბილო დედაბერი ვის რად უნდა! ასე, ხნიერი დედაკაცი რომ იქნეს... მარა ისეთი, არავინ დაგვცინოს...

— ჰო, ჰო! — ეთანხმებოდა ბეკინა.

— ქვრივი...

— მაგასაც არა უპირს რა!..

— ქვრივი... ორნაქმარები!

ამ უკანასკნელ სიტყვაზე პლატონიც შეჩერდა, მამას შეხედა და ბეკინაც მიაშტერდა გაკვირვებით შვილს.

— ჰო, ორნაქმარები!.. — გაიმეორა სიტყვა გაგრძელებით პლატონმა. — რა უნდა უპირდეს?.. შენ არ მომიკვდე, არაფერი!

— რას ცუღლუტობ, შე კაი კაცო!?. — თვალი თვალში გაუყარა ბეკინამ. — რას ცუღლუტობ, ვაჟბატონო?

— შენ არ მომიკვდე, შენთან მე არ ვცუღლუტობდე და არც გატყუებდე... შენ სრულიად წაგებული არ იქნები, დედის სული არ წამიწყდეს!.. ის კი არა, მოგებული დარჩები... მე მხვდება მეტი შრომა, თვარა შენ ქეც დამიმადლე მერე!.. გიამება, ბატონო, ახლა რომ შენმა ცოლმა ბავშვის ჭყვირილით გამოგიჭექოს ყურები?

— ეჰ... შენ კიდევ შენსას მოჰყვები!..

— ვინ იცის, ბატონო, ვინ იცის! ის არ ჯობია, რომ უფრო დაიმედებულად იქნება ადამიანი?!

— ორნაქმარები დედაკაცი რაღა იმედია?

— რა იმედია და აი, მოგახსენებ... შენ ცოლი გინდა. მე კი მინდა, რომ მამულის გამყოფელი არ დეინახოს ჩემმა თვალებმა... თვითონ ამბობ, უმაწვილი ქალი არ მინდაო... მოგინახავ სწორედ რიგიან ქალს, რომ ვერავინ დაგვცინოს, შენ ნუ მომიკვდები. ორნაქმარებს იმიტომ გეუბნები, რომ ქვრივებში ამოვარჩევ, გამოვნახავ იმისთანას, რომ ორ ქმარს ჰყოლოდეს და არც ერთთან შვილი არ მოცემოდეს... ორივე ქმრის ხელში რომ უშვილო დარჩენილიყოს... ამისთანა დედაკაცი სწორედ საიმედო იქნება შვილის უყოლობაზე... თუ ორ ქმართან შვილი არ მიცემია, შენთან რაღა ღმერთი გაუწყრება... ამრიგად, შენც მოსვენებული იქნები, მეც იმედიანად ვიქნები და ვიცხოვრებთ ისე, რავარც გვიცხოვრია... ამ ჩვენს წუთისოფელს ჩვენს წესზე ამგვარადეე გავატარებთ და ჩვენს მერმე რაც იქნება, ის ღმერთმა იცის და ჩვენმა მომავალმა!.. ესაა ჩემი თხოვნა... შენ არაფერი გაკლდება და ჩემთვის კი ისეთი საქმე იქნება, თუგინდ ჩემი მამულის ნახევარი ხელახლა შემეძინოს... მაინც ამით თუ შევინარჩუნებ, თვარა სხვა რა ძალა მაქვს, რა ღონე შემწევს? ამიტომ გთხოვ, მომანდო ეგ საქმე, მაშვალს თავი დაანებო... შრომა მე შემხვდება, მართალია, მარა რავა დეევრიდები?! უხეირო ქალს არ შემოვიყვან ოჯახში, ამაში პატიოსან სიტყვას გაძლევ!

ბეკინამ აცალა შვილს ეთქვა თავისი სათქმელი და ყურადღებით მოისმინა მისი სიტყვა. მას ახლა კიდევაც ეცინებოდა პლატონის ნალაპარაკევზე და უკვირდა, ეს რა მოიგონა ამ კაცმაო. შვილის თხოვნაზე კიდევაც თანახმა გახდა ბოლოს, თუმცა ესეც კი დაატანა:

— ნება შენი იყოს, პლატონ ჩემო, მაგრამ ახლა შენ მიჩქარი სიკვდილს, შვილო, და ეს არის! — სიცილით უთხრა მან.

— რავა, ბატონო?

— ი წყეულმა მეც რომ გამაყოლოს წინანდელებს, რას მიპირებ მაშინ? ა?.. ხა, ხა, ხა! ავე სანდობია მაგისთანა მთვარეზე დაბადებული დედაკაცი!..

— შენისთანა ღონიერ ადამიანს ის ვერაფერს გიზამს. შენ არ მომიკვდე!..

— კარგი, კარგი, შვილო! — იამა ბეკინას შვილის სიტყვა. — კარგია, შვილო... ასე ქენი, მარა საქმეს შორს ნუ გადადებ, თვარა...

— არა, ბატონო, ამ დღეებშივე შევუდგები... რაღაზე გავაჭიანურო... საქნარი მოლეული ჯობია!..

— ჰო, ჰო, რასაკვირველია, რასაკვირველია!.. მარა გახსოვდეს, შვილო, უხეირო ვინმეს არ შემყარო... თორემ სირცხვილს გაჭმევ,

პლატონ, მიგიტოვებ ქალს და სხვას მე თვითონ ამოვირჩევ!.. მამა-შვილობას გეფიცები! — ღიმილით უთხრა ბეკინამ.

— ბატონო, მაგ რა საკადრისია! რატომ ეიზამ მაგ საქმეს?.. — მიუგო პლატონმა. — ამაზე მეტად არ გჯერათ ჩემი?!

— ჰო და აბა ჰე!.. აბა ჰე!.. აწი შენ იცი, მე თანახმა ვარ... ოღონდ არ დაგვიანო, ესეც გახსოვდეს!.. მეტ რაღას მომთხოვ კიდევ, შვილო, — ყველაფერი შენს ნებაზედაა და ეგ არის!.. აწი მაინც ვერაფერში მისაყვედურებ, შვილო!

სასაყვედურო კი ჰქონდა პლატონს, მაგრამ რა გამოვიდოდა მასზე სიტყვის განახლებით?! ისიც კარგი იყო მისთვის, რომ მამა ამ უკანასკნელ თხოვნაზე დაიყოლია და ამით იმედი ეძლეოდა, განსაცდელი თავიდან აეცილებინა. ახლა საჭირო იყო მხოლოდ ნაფიქრი საქმის ასრულება; საჭირო იყო მოენახა მისი მხსნელი ორნაქმარევი, უშვილო ქალი, რომ ქმრებთან სამ-სამი წელიწადი მაინც ნამყოფი ყოფილიყო, რომ არც ბებერი ყოფილიყო მაინცდამაინც და არც მახინჯი; განსაკუთრებით უშვილობაზე საიმედო ყოფილიყო.

საქმე არც ისე ადვილი იყო, რომ უცბად თავი მობმოდა და ამიტომაც პლატონი იმდღესვე შეუდგა მას, რა დღესაც მამამისმა ამაზე მზრუნველობის ნება დართო. წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ასე იყო პლატონის საქმეც.

დატრიალდნენ ორივე ცოლ-ქმარი. დღედაღამ მხოლოდ იმით იყვნენ გართულნი, რომ ეგებ თავიანთ ნაცნობებში მოეგონათ რომელიმე უშვილო ქვრივი დედაკაცი, მათი სასურველი, მათთვის სანატრელი, სადედინაცვლოდ გამოსადეგი არსება.

— არქიპო ქვაშავაძის ნაცოლები... უშვილო არ იყო?! გათხოვდა მერე... ქმარსაც ბარე ხუთი წელიწადი ჰყავდა... ნეტავი თუ ცოცხალი ჰყავს ის მეორე ქმარი?.. ა, არ იცი, მელანო?

— რავა არა... მარა იმას, შე კაცო, პირველი ქმრის ხელშიაც კი ჰყავდა ერთი შვილი!.. — მიუგო მელანომ.

— შვილი სად ჰყავდა? შენ არ მომიკვდე! ნატალიას შვილი სად ჰყოლია?

— ჰყავდა, შვილებს გეფიცები... შენ ნუ მომიკვდები! გავიწყდება, თვარა შვილი რავა არ ჰყავდა... დიდხანს კი იყო უშვილო!

— ოჰ, აბა ეგ მახსოვდა მე!.. და გაჩუმებული პლატონი ახლა სხვებს იგონებდა და იხსენებდა.

— გოჯასპირ ხასიშვილის ნაცოლები? საწირეთელი ხასიშვილის! კი იცნობ შენ იმას. ჰო, ჰო! ის, მგონია, ასე მაგონდება, ვითომც ხასიშვილმა ქვრივი ითხოვა... უშვილო იყო მაშინაც!..

— აჰ! გოჯასპირ ხასიშვილმა ქვრივი კი არ შეირთო, შე კაცო... დედ-მამის სახლიდან წეიყვანა და ქვრივად მას დარჩა... უშვილოა კი... მარა რაი, ჩვენთვის ის არაფერი გამოსადეგია: ერთ ქმრის ნაყოლია, — წუწუნით გაათავა სიტყვა მელანომ.

ბევრს ეწვალნენ ამრიგად ცოლიც და ქმარიც. მაგრამ შესაფერი ვერ გამონახეს.

— ჩემ დასთან წავალ... ეგებ დარიკომ მიმასწავლოს სადმე და ქეც ამომარჩეეიოს... ა, რას იტყვი, მელანო? — დაეკითხა პლატონი ცოლს, რაკი ხედავდა, რომ მისი მეცადინეობით არაფერი გამოდიოდა.

— ძალიან კარგს იზამ!.. ღმერთმანი!.. — მიუგო მელანომ. — ძალიან კარგს იზამ!.. უნდა მიიკითხ-მოიკითხო, აბა რავა ექნება!

— წავალ... ხვალვე წავალ! — ამოიოხრა პლატონმა. — ეგებ ცხენი გამოვართვა ვისმე და წავალ... თუ დევიგვიანე, მაგ დალოცვილი შე აღარც კი მომიცდის და თავისას იზამს!.. ჰეი, ჰეი! — ნაღვლიანად წამოიძახა მან და მეზობლებში წავიდა ცხენის სათხოვრად.

III

დილა იყო ადრიანი, მეორე დღეს რომ პლატონმა ძალზე გამხდარი, ზურგდაშავებული ცხენი გადმოიყვანა ეზოში, მიაბა სამზარეულო სახლის გვერდით მდგარ კვინცხასთან და კმაზა დაუწყო.

— ამაზე შეჯდომა რავა შეგიძლია! — უთხრა მელანომ.

პლატონმა რომ ცხენს უნაგირი შეადგა, ცხენმა სულ კანკალი დაიწყო.

— აბა, ფეხით ვის მივადგე, შე ქალო?!

— კი, მარა სულ არ მოგჯება ამ საცოდავს ზურგი?

— ფეხ-ფეხა მიეყვები, ბატონო, ფეხ-ფეხა მიეყვები!.. სირცხვილისათვის მიმყავს, თვარა რა!.. შენ ეგ მოსართავი მომეცი და ამის ჯავრი ნუ გაქვს!..

— აი, ამოგივარდა პატრონი! — მიაძახა პლატონმა, მოსართავს რომ ხელი მოჰკიდა. — მეიტა, მელანო, ჩხინკი იქნება რამე... ეშა არ ქონებია აბზინდს... მეიტა მალე, თუ ქალი ხარ!

დაამაგრა მოსართავი ჩხინკით პლატონმა, დაიხურა ქუდი, გადიგდო ბეჭებზე ყაბალახი, მოხსნა თავისი თეძოებამობუსკული რაში და თითქმის წაათრია უგულოდ მიმყოლი ცხენი ჭიშკრისკენ.

სწორედ ამავე დროს აივანზე გამოვიდა ახალუხის ამარა ბეკინაც და, რა დაინახა მიმავალი შვილი, გადასძახა:

— მიხვალ, პლატონ?

— მიდიივარ, ბატონო, მივდივარ... რავარც მსედავთ! — მიუგო პლატონმა.

— აბა, ჰე, შენ იცი!.. ღმერთმა კეთილად გამგზავროს! — მიატანა სიტყვა ბეკინამ.

პლატონმა გადაიარა ეზო, გავიდა ჭიშკარში და მალე, ორღობეში მიმავალი, გზის აქეთ-იქით მიმყოლ ხეებში მიიმალა.

— ე ბედაური ვის გამოართვა, შელანო ჩემო? — მიმართა ბეკინამ ჭიშკრიდან უკან გამობრუნებულ რძალს.

— პავლია ღომიაშვილს, ბატონო!

— არ დოუვარდეს გზაში, შე ქალო! — გაიცინა მოხუცებულმა.

— სხვის შესახედავად წეიყვანა, ბატონო... სასირცხვილ-სანამუსოდ, თვარა სხვებრ რას არგია!

— არაფერია... არაფერი... პლატონი მარჯვე კაცია... მოხერხებულია, იმას არაფერი გოუჭირდება! — ჩაიცინა ბეკინამ და იქით დაიწყო ცქერა, საითაც ის იყო პლატონი გზას დაადგა.

გულჯავრიანი პლატონი ერთხანად გაუძღვა თავის გახრეკილ ცხენს, მაგრამ ბოლოს მოთმინება დაეკარგა განუწყვეტლად აღეირის ქაჩვითა და შეძახებით.

— შენც ჯინაზე მიდგები, შე ოხერო? — გააჩერა მან ცხენი და გულმოსული მოაჯდა ზურგზე, გადაჰკრა წკეპლა და ფერდებგამობზეკილი ცხენი აძუნძულდა. — შენ მაინც მოგერევი, სხვასთან თუ ვერაფერი გავაწყვე!.. კიდევ დამიდგები ჯინაზე?! — და მან შეუბრალებლად გადუჭირა და გადუჭირა წკნელი, მაგრამ პლატონის გასაჯავრებლად და თითქოს მისი დაქადნების გასამტყუნებლად ამ გახრეკილმა პირუტყვმაც მალე იძულებული გაჰხადა მხედარი ხელახლა ჩამოექვეითებინა. ამგვარის დაჯაბნებით ყველასაგან გულდამწვარმა პლატონმა გაიგდო წინ ეს გახრეკილი პირუტყვი და, უკან ფეხდაფეხ მიმყოლი, გრძელი წკეპლის ცემით მიერეკებოდა ჯახრაკ ცხენს.

ნახევარზე მეტი გზა გაიარა პლატონმა თავისუფლად ისე, რომ მიმავალ-მომავალი კაცი არ შეხვედრია; ასე თავისუფლად მიმავალი იგი თავის ფიქრებში იყო გართული, თავის მგზავრობის აზრის აღსრულებით იყო გაბრუებული. უეცრივ ცხენის ფეხის ხმა მოესმა პლატონს; მიიხედა უკან და უკმაყოფილებით პირი ისევ გამოიბრუნა, — ვიღაც ხანში შესული კაცი მოათოხარიკებდა მაღალ ცხენს.

— ჰეი, თქვენი, თქვენი!.. — თავისთვის წაიდუდუნა პლატონ-

მა. მას ახლა ყოველი მოხუცებული კაცის დანახვა ეჯავრებოდა თავის მამის გამო.

— გამარჯობა, ყმაწვილო! — შესძახა წამოწეულმა ცხენოსანმა.

— ღმერთმა გაგიმარჯოთ, ბატონო! — მიუგო პლატონმა და დარცხვენით შეაჩერა თავისი ცხენი.

პლატონმა ახლა იცნო, ვინც იყო ეს ჩასუქებული, წვერებმოპარსული, კაზიროკ-ქუდიანი, ქოლგით იღლიის ქვეშ, წითური სახის კაცი და იმიტომაც დაატანა თავის პასუხს: „ბატონო"; იგი იყო იმ კუთხეში ცნობილი, სახელის მქონე აზნაური ივანე გვერდეევანიძე, სოფლის ადვოკატი.

— სად მიხვალთ, ყმაწვილო? — შეეკითხა გვერდეევანიძე პლატონს.

— აგერ გიახლებით, ბატონო, მაღლაშენში! — და პლატონი შეჯდა ცხენზე.

— კაი დაგემართოთ! აბა მგზავრები ეყოფილვართ ამ ერთ ხანაზე!..

ეწყინა ეს პლატონს. ათასწილად ერჩია მარტოდ, თავისუფლად მგზავრობა, მაგრამ ახლა მეტი გზა აღარ ჰქონდა, ხათრს ხომ არ გაუტეხავდა ამ მოსახათრებელ კაცს, უნდა ერბენინა თავისი გაძვალტყავებული ცხენი გვერდეევანიძის თობარიკთან.

— რა ხანია მოვდივარ და ერთი კაცი არ შემხვეთომია, რომ ხმა გამეცა ვისთვისმე... მოვდივარ ასე მუნჯად! — თქვა გვერდეევანიძემ.

— სად ბრძანებულხართ აქეთ, ბატონო? — რომ ხმა ამოეღო, შეეკითხა პლატონი.

— ქვედურეთში ვიყავი... ბრეგაძეები არიან, აზნოუშვილები... შენი მტერი იქნა დამსალი და დაგლახაკავებულნი, ისინი დამსილი არიან... და, რავარც იცით, ახლანდელი ჩვენი აზნოუშვილების ამბავი, გაყოფა უნდათ, მაგრამ გასაყოფი რომ აღარაფერია! ერთი მეორეს წაგლეჯაზეა გამაცადინებული, რამე ხერხით უნდა მეტი რამ ირგოს, ერთმანეთს აღარაფერს ანებებენ და ჭიჭყინობენ, დავიდარაბობენ, ჩხუბობენ დილიდან საღამოდინ, ჰკლავენ ერთმანეთს...

— ცუდი დრო მოვიდა, ბატონო, ერთობ ცუდი დრო!.. ხალხიც მომრავლდა... ჩხუბით თუ გაიწმინდება ცოტაზე მაინც ქვეყანა, თვარა... მაგრამ ეგ თქვენ, უკეთ მოგეხსენებათ, რასაკვირველია! — შენიშნა თავის მხრივ პლატონმა.

— შეიძლება, შეიძლება! — დაატანა გვერდეევანიძემ. — ჰო და იმას ვამბობდი, ამ ბრეგაძეებმა მთხოვეს მათში ჩამოვვარდნილიყავი და რამე რიგად გამერიგებინა ისინი... ხელის მოსაკიდებელი საქმე

არაა, არც გავერეოდი, მართალი გითხრა, ნამეტანი შეუსმენელი და დაუჯერებელი ხალხია, მაგრამ უარი ვეღარ ეუთხარი, უფრო იმიტომ, რომ ჩემი ნათესავი ქალია იმ ოჯახში... დედინაცვალია ამ ბრეგაძეების და მათ ჩხუბში და უწესრიგობაში საწყალი ქვრივი დედაკაციც ნამეტანი შეეწროვებაში ჰყავთ... სიცოცხლე გოუმწარეს უბედურს!..

— თუ შვილი ჰყავდა მაინც ამ დედინაცვლობაში?! — წამოსცდა პლატონს სრულიად უნებურად.

— აჰ! შვილი არც უწინდელ ქმრის ხელში ყოლია და არც ამ მეორე ქმრის ხელში! უბედური, უშვილო, ერთი საწყალი დედაკაცია. იმიტომაც უფრო მებრალება... გერები ოუტყდნენ, აი ისე, როგორც იცი ღარიბი ოჯახის ამბავი... დედინაცვლის შენახვა კი არა, თავისი თავი ძლივს გამოაქვთ წლიდან-წლამდინ!.. მამის ხელში ქე იყო ისე ერთგვარი ოჯახი და ახლა სამად გასაყოფი რომ შეიქმნა, ამ დედინაცვალსაც თავისი წილი საქვრივო გამოსაყოფი შეექმნა, — არც ერთს აღარაფერი ურჩება და, რასაკვირველია, ჩიჩყინობენ, ერთმანეთს ედავებიან, ერთიმეორეს ხელიდან გლეჯენ, თუ რამ ხელში ხვდათ...

ასე ლაპარაკობდა გვერდეეანიძე, მაგრამ მისი სიტყვები პლატონს ერთ ყურში რომ შედიოდა, მეორე ყურში გადიოდა; მისი ყურადღება სრულიად იმან დაიპყრო, რაც ამ კაცისაგან იმ ქვრივ-გაწვალებულ დედინაცვალზე გაიგონა. ეს სწორედ ძვირფასი რაა გასაგონი გაიგონა პლატონმა.

— ქვედურეთში... ბრეგაძეებისას! —იმეორებდა პლატონი, თითქოს ეშინოდა არ დავიწყებოდა უშვილო დედაკაცი. — არც პირველი ქმრის ხელში ყოლია შვილიო, არც მეორის ხელში! რომელი ბრეგაძეა ნეტავი?

ამ მოულოდნელად გასახარელი ამბის გაგებით აფრენილ პლატონს ერთმა ისეთმა სურვილმა წამოუარა — უფრო დაწვრილებით გამოეკითხა ყოველივე გარემოება ნახსენები უშვილო ქვრივისა, — რომ კინაღამ ის იყო კიდევაც გაბა ლაპარაკი, მაგრამ დროზე გონს მოვიდა, დროზე მიხვდა ამის უადგილობას და ენა ჩაიკვნიტა. აბ კაცთან ისე ვაგლახად ლაპარაკი საფრთხილო იყო, მისი აზრით. გვერდეეანიძეს შეეძლო ერთ უხერხულად დაცდენილ სიტყვაზე მიხვდომოდა, რაც გუნებაში ედვა და ამიტომ პლატონი ამხანად დაკმაყოფილდა გაგონილით, ჩაიმარხა გულში მისი სიტყვა და თავმოძულებით მიაჩინდრიკებდა ენაგადმოგდებულ ცხენს. ხმენად გა-

დაქცეული. ეგებ ამ დალოცვილ კაცს კიდევ დასცდენოდა მისთვის გამოსადეგი რამ სიტყვა.

— ასე კარგია ჭკვიანი კაცის ორიოდე სიტყვაც! — გუნებაში ხალისიანად ამბობდა ძუნძულით მიმყოლი პლატონი. — ყოველთვის სასარგებლო რამეს გეიგონებ, მიხვდები!..

გვერდევანიძე კი თავის სიტყვას განაგრძობდა:

— ასეთია, ჩემო ბიძია, ეს ჩვენი მდგომარეობა და რას იზამ? გაჭირვების დრო შემოგვესწრო და მეცადინეობა გვჭირია, ძალიან გაფრთხილება გვმართებს ამ გაჭირვებასთან. ი დალოცვილი ღმერთიც თავის მოწყალებას ჩვენზე ძველებური წესით გვიცხადებს: ხალხს ამრავლებს, ყოველ ოჯახს შვილებით ავსებს... მადლიანს თითო ოროლა შვილი დეეკლო, ამათ მაგიერათ სარჩო მიემატებია, ის არ აჯობებდა, შენი ჭირიმე? ა? — გაიცინა მან.

— მაინც, მაინც, ბატონო... ნამდვილი სიტყვა გახლავსთ, რასაც ბრძანებთ! — ამოიოხრა პლატონმა. — მართალი ბრძანებაა!.. თქვენისთანა კაცს რა უჭირს და ჩვენს ამბავს კაცი ნუღარ კითხულობს, ბატონო, თვარა თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ!.. ნამეტან უსაშუალობაში ვართ ჩავარდნილი და გასაკვირველია, რომ კიდევ ასე ხალისიანათ ვართ, არაფრად ვაგდებთ ყველაფერს, არხეინად ვართ და იმას კი აღარა ვფიქრობთ, თუ რა მოგველის წინ... რას გვიპირობს მამა ზეციერი!.. მარა თავს თუ არ მივეჭალეთ, გული თუ არ შევიმაგრეთ, სულ წაგხდებით, ბატონო, სულ ერთიანად და ის იქნება! — მეევრმეტყველობამ გაიტაცა პლატონიც თავის ენაწყლიანი მოსაუბრის შემყურე.

ტკბილად მიმუსაიფობდნენ ჩვენი მგზავრები და ამ ლაპარაკში პლატონისათვის დროც შეუმჩნეველად გადიოდა და გზაც ერთობ მოკლდებოდა. კიდევ დიდი სიამოვნებით ივლიდა ამ კაცთან იგი, რომ უეცრად თავისი გადასახვევი გზა არ დაენახა. პლატონმა შეაჩერა ცხენი და თავდაბლად მიმართა გვერდევანიძეს:

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო!

— ოჰ! აჭეთ მიდის თქვენი გზა?

— დიახ, ბატონო!.. ნურას უკაცრავად... გეახლებოდით ერთ ხანს კიდევ, რომ საპირო საქმე არ მქონდეს სწორედ...

— რატომ, რატომ, შე კაცო!.. იცოცხლეთ, აწი მეც მალე მიეალ სახლში... მშვიდობით!

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! ისე ფეხს რავა მოუკრავს ადამიანს ღმერთი, რომ არავინ შეგხვდეთ კიდევ!? — საამებლად გაა-

ყოლა გვერდევანიძეს სიტყვა პლატონმა და მერე თავის გზაზე გადაუხვია.

— ასე კარგია კაი კაცის შეხვთომა! — ამბობდა გუნებაში პლატონი. — ჰა, ქვედურეთში, ბრეგაძეებისას... სამი ძმა ყოფილა... გამოვიკითხავ და, თუ რიგიანი ვინმეა... გვერდევანიძის ნათესავია, მარა ეგებ ვინმე ოხერი გვარიშვილის იყვენ... ყველაფერს გევიგებ... ეს ხომ გულში მეყოლება, თუ დარიკომ სხვასთან ვისთანმე არ მიმასწავლა... გევიგებ ამბავს და, თუ ღვთის რისხვა არაა, კიდევაც გავათავებ საქმეს... კი, კი, ასე ვიზამ, ასე ვიზამ! — ხმამაღლა წამოიძახა პლატონმა და ამ წამოძახებასთან — ალბათ, პირუტყვმა სხვა რამ იფიქრა — ცხენიც ვაჩერდა. პლატონმა ერთი-ორი „აჩუ“ მიაძახა, ქუსლიც შემოარტყა ფერდის ძელებზე, წკეპლაც გადუკრა, მაგრამ ცხენი ისევ იმავე ადგილას იდგა, ფეხსაც არ იცვლიდა.

პლატონი იძულებული შეიქმნა ჩამომხტარიყო. დაინახა მქელავი, არაქათგამოლეღილი, ერთიანად გაოფლიანებული ცხენი, რომელსაც აბურძგვნილი ბალანი საცოდავ შეხედულებას აძლევდა და მხედარმა თავში ხელი შემოიკრა:

— ეს შუდრეგი რაღა მოსახმარი იქნება აწი? სულ ერთიანად გაღატყაფილი ეჭნება ამ უბედურის ზურგი... აჩუ! — მიაძახა გულმოსულმა და თან ყოხიც გადაჭრა.

შეღაფთმიცემული ცხენი მისუსტებული, აძიგძიგებული ნაბიჯით ამოლიკდა ქვებიან ბრეგზე და რაც შეეძლო, რაც ღონე ჰქონდა ამერბენილი, მიჩაჩალებდა და ცდილობდა, უკან ჩამოეტოვებინა თავისი ჩაბალეთებული მხედარი, რომ მტკივან ზურგზე არ შესკუპებოდა ხელახლად. რაღდენსაც მანძილზე კიდევაც აუსრულდა წადილი გასაპირში ჩავარდნილ პირუტყვს, მაგრამ პოლოს პლატონმ მაინც დიეწია, ეაჩერა და მარდად მოახტა ზურგზე. ამ კაცმა თავის თავმოყვარეობის დაცვა ამჯობინა მის შებრალებას და სოფის ჭიშკრამდის ამხედრებული მივიდა.

აქ პლატონი ჩამოხტა ცხენიდან, გაიღო ჭიშკარი და ეზოში შევიდა.

IV

ეზოს კარებში ყმაწვილი ქალი გულზე ახუტებული ბავშვი თავზე ადგა ბლეს, რომელიც ბოსტანს რაკვანდა. ქალი მობრუნდა, რაკი გაგონა ანიშნა სტუმრის ეზოში შემოსვლა, მიაჩერდა მას და, რა იცნო თავისი ძმა პლატონი, უცბად ჩამოსვა მიწაზე ბავშვი,

გაისწორა თავსაფარი და ერთის ძახილით, სიხარულით აფრენილი გამოექანა ძმისკენ. ბავშვმა შექნა ღრიალი, აბღავლდა მეორე იქვე მყოფი უფროსი გოგოც, შაგრამ დარიკოს მათი აღარაფერი ეყურებოდა.

— შენი ჭირიმე... შენ დაგენაცვლოს შენი და დარიკო!.. რა დღე გამითენდა ეს?.. უიმე, უიმე!.. — მოქაქანობდა დარიკო და და-ძმა მხურვალედ გადაეხვივნენ ერთმანეთს.

— მობრძანდი, შენი ჭირიმე!.. მობრძანდი! — მიუძღოდა აფუსფუსებული დარიკო ძმას სახლისაკენ. — მალაქია!.. მალაქია!.. ჩემო მალაქია, გადადექი და მანდედან კირილეს მიაძახე... შენი ჭირიმე... თავი დაანებე მაგას!..

გლეხმა მალატოვა საქმეშაო, გაიქცა წინ და რაც ხმა ჰქონდა, დაიწყო ყვირილი:

— კირილე... ბატონო კირილე!.. კირილე, უ — უ!..

— რაზე აბრუნებ, დარიკო ჩემო! წავიდეს!.. — უთხრა პლატონმა დას.

— ეს-ესაა ცხენზე შეჯდა, რაღაცა საქმე მაქვსო და წავიდა, გამიქრა ხელიდან... ვერ დავამაგრე სახლში... დაყანყალობს ასე ტყუილუბრალოდ!.. რა მოვუხერხო, აღარ ვიცი... გამიჭირდა საქმე!..

ბავშვები კი ისევ ღრიალებდნენ ბოსტანთან; ერთი მიწაზე ფართხალებდა და გოჭივით ჭყვიროდა.

— გოგო, ნინოია!.. წადი, გოგო, ბავშვებს მიხედე... გააჩუმე გასაწყვეტლები! — სახლში შეიძახა დარიკომ და რიკულებთან გაყოლებულ ფიცარზე მჯდარ პლატონთან თვითონაც ჩამოჯდა. მალაქია კი ისევ თავმოძულებით უყვიროდა კირილეს.

— რას შვებით, ძმაო, ხომ კარგად ხართ? — წუწუნით იკითხა დარიკომ.

— მადლობელი ვარ... ვართ ისე, რავარც იცი... — მიუგო პლატონმა.

— ჩემი რძალი ხომ კარგათაა, შენი ჭირიმე?.. ბავშვები?..

— არიან, ღვთის მადლით...

— მამა?.. ეაი მისი გაძაღლებული სიცოცხლე! — ამოიხვნეშა დარიკომ. — რა ვქნა, ძმაო, ვეღარ მივხედე მე უბედურმა ამ გაჭირვების, გამწარების ხანს... რა ვქნა მარტოდ ვწრიალობ ამ ოჯახში, ერთი საათით ვერ მიმიტოვებია... ვისზე დავტოვო, შენი ჭირიმე?.. და ამასობაში, ვეღარც მე გნახეთ და თქვენგანაც დავიწყებული შევიქენი, ძმაო!.. წუხს კიდევ უბედური? ან კი რა გაახარებს მის

გულს, დედიჩემის დამკარგველს!.. ხომ არ ავადმყოფობს მაინც, შენ დაგენაცვლე?

— ავადმყოფობას რა უნდა მასთან?.. ავად კი არა... ჰმ!.. — გაიფრუტუნა პლატონმა.

— ჩემი მომდურავი კი იქნება და მემართლება კიდევაც. — ისევ ამოიოხრა დარიკომ.

— ტყვილა წუხარ მაგას, ჩემო დარიკო... ჩვენ აღარავის ვახსოვართ, ჩემო დაო!

დარიკომ გაკვირვებული სახის მეტყველებით გადახედა ძმას. მისი სიტყვა მეტად ეუცნაურა და ვერ მიუხვდა, რას ნიშნავდა იგი.

— მამაშენი რომ მწუხარეა, ისე ყოველი ჩვენი კეთილი შეაწუხოს ღმერთმა!.. რას ამბობ, მწუხარე კი არა, საქორწილოდ ემზადება ის კაცი! — გაიცინა პლატონმა.

— რა ხუმრობა იცი, პლატონ! — იწყინა დარიკომ.

— შენ არ მომიკვდე, არ გეხუმრებოდე!..

დარიკო გაშტერდა.

— იმას აღარც დედაშენი ახსოვს, აღარც მკვდარი და აღარც ცოცხალი ვინმე!..

— პლატონ, პლატონ! ძმაო!..

— აგერ ნახავ!.. საქმე გადაწყვეტილია!

— რა არი ახლა, პლატონ?! გადავირევი ეს არის!.. ტყვილია...

ძლივს სიტყვას ამბობდა შეწუხებული ქალი, რომელსაც ხუმრობა ეგონა ძმის ნათქვამი.

— ცოლ-შვილს გეფიცები!.. ქალს თხოულობს... რა მეხუმრება, კაცი გულზე ესკდები!

— უიმე, უიმე! — იყვირა დარიკომ და გამწარებული ლოყაზე ხელს ირტყამდა. — უიმე! უიმე!.. ეს რა გეიგონა ჩემმა ყურებმა!..

— რა გაეწყობა! — ამოიოხრა პლატონმა.

— ასე მალე დასავიწყებელი ქალი იყო საწყალი დედაჩემი?.. ღმერთო, მომკალი... ღმერთო, მომკალი! რატომ მიაწია მაგ უბედურმა ამ დღემდის, მაგისთანა საქმეს რომ შვება?!. ვინ უნდა შემოათრიოს დედიჩემის მაგიერ მაგ ჭკუადაკარგულმა, ვინ? — მოთქმით ამბობდა დარიკო.

უკანასკნელი მისი სიტყვა პლატონს აღარ გაუგონია და პასუხი არ მიუცია მასზე, იმიტომ რომ ეზოში შემოჯირითდა თავისი ლამაზი, წაბლისფერი ცხენით კირილე და ერთი ყიჟინით მიმართა ცოლისძმას:

— პლატონს, პლატონს ვახლავართ!.. პლატონს ვახლავართ! და-

რიკო, კედელს ნახშირი, ნახშირი კედელს!.. ასე უნდა, შე პატიოსანო კაცო, მოყვრის მივიწყება?.. აი, შენ კი რა გითხრა!.. შემოსაშვები ხარ სახლში? ძალიანაც შემცდარა ეგ შენი დაია, თვარა მე რომ ვყოფილიყავი, არაფრის გულისათვის არ შემოგიშვებდი, ფეხსაც არ შემოგადგმევინებდი! ხა, ხა, ხა!.. — და მაღალი ტანის კოხტად ჩაცმული შნოიანი ახალგაზრდა კაცი გრძნობით მიეგება თავის ცოლისძმას.

— რავა მშვიდობით, პლატონ ჩემო?

— მადლობელი გახლავართ... ვართ ისე...

— ჩემი სიმავრე როგორ არი... ჩემი ძვირფასი ბეკინა? ხომ ყოჩაღათაა კიდევ?

— სხვაგან რომ დაყიალობ, იქაც მივიდოდი, ვნახავდი და საკითხავი აღარ გექნებოდა! — უთხრა მოწყენით დარიკომ ქმარს.

— მიესულიყავი!.. სადაც მგლოვიარობაა, იქ რა მიმიყვანს! მაინც რომ აღარაფერი გეწველათ, თქვე დალოცვილებო! — მიუბრუნდა კირილე ცოლისძმას. — გაგიგონია ამდენს ხანს მგლოვიარობა?

— შენ არ იცი, თვარა კაი ხანია გათავებული გვაქვს, — მიუგო ღიმილით პლატონმა.

— ქეიფის მეტი რომ არაფერი გაგონდება, ნეტავი შენ, შე უბედურო! — წაულაპარაკა დარიკომ.

— ჩვენ გახლავარ მიმინაშვილები! — წამოიძახა კირილემ და წამოიწია ფეხზე ამდგარი. — მიმინოს შვილები... მიმინოს!.. ჩვენთან რა უნდა მწუხარებას... ჩვენს თავს არავის არ დავატყვევებინებთ...გვაროვნობით ვართ ასე... სადაც სიამეა და მოლხენა, იქ ჩვენც ვართ, ასე მოგვდგამს გვაროვნობით!.. აბა, შენი ჭირიმე, ორიოდე დღე ვიცოცხლო, გული მწუხარებით ევივსო, მოლხენა დავაკლო და ისე წავაყრევინო ზედ მიწა? შენც არ მომიკვდე... მაგაზე მეტი სისულელე იქნება? კაცი მუდამ მხიარული უნდა იყვნ და სხვასაც იამება შენი შეხედვა! აბა, ასე უნდა, შენ რომ ხარ? ძმა მოგვიდა და ასე მოწყენილი ხარ, არა გრცხვენია? — და კირილემ გულიანად გადიხარხარა. — მართლა, რანაირი ხარ, დარიკო ჩემო... შე ქალო, ძმის მოსელა გეწყინა თუ?

— რა ცუდი ამბავი მოვუტანე მერე! — ღიმილით თქვა პლატონმა და დარიკოს გადახედა.

— ჰო!

— ქორწილში პატიჟობს...

— არიქა, მიშველე, პლატონ! ვინ, ვინ, თუ ღმერთი ვწამს?

— მამა მაგისი!

— ა?.. მამა მაგისი?

— ჰო, ქალს თხოულობს შენი სიმაერი! და შენ იცი, კირილე, რავა მოულხენ!

— ხუმრობ თუ პართალს ამბობ, პლატონ? — გაკვირვებით შეეკითხა კირილე.

— შენ ნუ მომიკვდები. მართალს ვამბობ.

— ხა, ხა, ხა, ხა, — გადიხარხარა კირილემ. — ხა. ხა, ხა, ხა!.. აი და ბეკინა!.. აი და შენი ჭირიმე!.. შენ. გენაცვალე შენს ლამაზ წვერებში! ხა, ხა, ხა! შერცხვენილი ვიყვე, თუ სანაქებოდ არ მოვულხინო... შერცხვენილი ვიყვე!.. იმისთანა მაყრულით მივყვები, რომ იქოურობას გავაყრუებ, ტყე და ველს შევძრავ!.. როდისთვის აპირობთ, ა, როდისთვის?

— ჯერ, შე კაცო, ქალია მოსანახი!

— ქალის მეტი რაა დედამიწაზე!.. რაღას აგვიანებთ?.. მაშვალი ვინა გყავთ?

— მე ვარ! — მიუგო პლატონმა.

კირილე ერთი შეჩერდა და მერე გადიხარხარა თავისი რიხიანი სიცილით.

— შენ ხარ მაშვალი?! თუ ძმა ხარ! ხა, ხა, ხა!

— მე ვარ, მე, ჩემო ძმაო. რას იზამ! კაცი სიკვდილამდის ყველაფერს უნდა მოელოდეს, თუ სიქაჩლესო... ანდაზებიც კი დაგვიწყდა ამ უცნოურობაში...

— შენ რავა მაშვლობ მერეჯ შენს საწინააღმდეგო საქმეში უწყობ ხელს?

— აბა, რა უნდა ქნა, მეტი გზა რომ არ გექნება, ჩემო საყვარელო ძმაო?! ბევრი ვეხვეწე. ბევრი ვეწინააღმდეგე. მარა არაფერი გამეწყო. ვერაფერი შევასმინე! კარგი შვილი ხარო და ღმერთი არ ჩაგაგდებს გასაჭირშიო, ყოველ უბედურებას აგაშორებსო, დოუჯინიანდა. ვინ იცის, მის სიტყვაზედ იქნება თუ არა, ასე მოწყალებით გადმომხედოს ღმერთმა. — ეკეს დაჭილდოვების საგულოდ, კიდეც შიწყრებოდეს, რასედ ინანებე მაგისთანა ეგზეკუნიბულ კაცაო, — და ამის გაგებამდი ვითომ მე დავაპირე ჩემის მეცადინეობით ავიცილო თავიდან მოახლოებული უბედურება... ისე თვალები უბრმავდებათ მაგ უსეირობეს, არ უნდათ შეხედონ, რომ ერთი ქალის მონაბეს არ ყოფნის ოჯახის ქონება, ორი ქალისას რა უნდა ეყოს!

— პლატონი მახსოვლის კილოთი დაწვრილებით მოუყვა ცოლ-

ქმარს თავისი მდგომარეობის ამბავს და იმას, თუ რამ აფიქრებინა თავის დედინაცვლის მოსაყვანად მამას მაშვლად დასდგომოდა.

დარიკო ხმაგაკმენდილი იჯდა, მწუხარებისაგან კრიჭა შეკრული; კირილე კი ერთობ გამხიარულდა, მისმა სიცილმა იქაურობა გააყრუა.

— ეგ ყველაფერი ძალიან მოგისაზრებია... მარა რომ ეყოლოს, კაცო, შვილი... ხა, ხა, ხა!.. შვილი რომ ეყოლოს? სეირი არ იქნება? რას იზამ მაშინ, პლატონ? ხა, ხა, ხა! — ხარხარებდა კირილე.

— რავა ეყოლება... ორ კაცთან ქალი უშვილო ყოფილიყვეს, ე მამაჩემი რაღა განსხვავებულ კაცად უნდა გამოჩდეს ვითომ?!

— კი, მარა ეს მითხარი, ვთქვათ, ეყოლა ახლა, რას იზამ მაშინ, ა? — არ ეშვებოდა კირილე.

— რა ვიცი, რას ვიზამ... ახლა რავა გითხრა? რა ვიცი, რომ გავ-მწარდები, რას მეტყვის გუნება...

— მაინც, მაინც?..

— რა არი ახლა ასეთი სულელური ჩაცივება?! — შეუტია კი-რილეს დარიკომ.

— რაც მერე იქნება, ის ღმერთმა იცის, — დაუბრუნდა გაწყვე-ტილ სიტყვას პლატონი. — რაც შემდეგ იქნება, ის ღმერთმა იცის და ახლა უნდა გამოგიტყდეთ, იმისთვის მოვედი თქვენთან, რომ შემწეობა მომცეთ ამ ჩემი გაჭირვების დღეს...

— ღმერთი კი რამეს შემაძლებიებდეს და შენ, ძმაო!.. — წუწუ-ნით თქვა დარიკომ.

— კი, ბატონო, თუკი რამეში გამოგადგები! — დაატანა კირი-ლემაც.

— ჩემს კუთხეში არავინაა იმისთანა დაწყევლილი სულიერი, მე რომ მჭირია და ეგება აქ, თქვენსკენ იყვეს ვინმე...

— ვინ უნდა იყვეს... — ჩაფიქრდა დარიკო.

— შენ ათას ადგილას მიდი-მოდიხარ, კირილე... ეგებ იცოდე სადმე?..

— ხა, ხა, ხა! — გადიხარხარა კირილემ. — განა დედაბრების ამბების შესატყობად დავდივარ, კაცო?! ქალებს რას დავეძებ, მე ქეიფისათვის დავდივარ, შე კაცო!.. უშვილო დედაბრები ღმერთსაც მოძულებული ჰყავს, მე მათ რას დავეძებ!..

— ვერავინ გეიხსენე, დარიკო? — მიუბრუნდა დას პლატონი.

— ვერა, ძმაო... ვერა... აქ არც კი უნდა იყვეს მაგისთანა ვინმე...

— აბა სხვაგან საძებრად გამხდომია საქმე! — თქვა პლატონმა.

— მეც შენთან ვარ მძებნელი, როგორც კაცი! — წამოიძახა კი-რილემ. — ძმობას გეფიცები!.. არაფრის გულისათვის არ დაგშორ-

დები... ვძებნოთ, პლატონ, ვძებნოთ! ხა, ხა, ხა! ჩემს დღეში ამგვარ უცხო საქმეზე არ მიელია და აქედან ვიცი, რომ ბევრი გასართობი ამბები მოგველის! რამდენ დედაბერს სანატრელად გავუხდით უშვილოდ ყოფნას... ხა, ხა, ხა! ერთი ჩხუბი და ცილობა უნდა ავუტეხოთ ერთმანეთში საწყალ დედაბრებს, უსათუოდ! არ შეიძლება უამისობა!..

— რა სისულელეა ახლა მაგ?! ეგებ შენი წაყოლა სულაც არავის უნდოდეს!.. ძალაზე ხარ თუ? — მიმართა დარიკომ.

— ძალაზე ვარ... თუ მაგისი მამაა ბეკინა, მეც მამად მერგება... სიმავრია ის კაცი... არ უნდა გევისარჯო მისთვის?!

— არავინ არ გთხოვს!

— აბა რაზედაა ეს კაცი მოსული?.. თვითონ არ თქვა, შემეწიეთო? ეგ გადაწყვეტილი საქმეა, რომ მე პლატონთან წამსვლელი ვარ სადედინაცვლოს საძებრათ... ხა, ხა, ხა! ეს გათავებული საქმეა, ჩემო დარეჯან, ამაზე ნუღარ შეწუხდები... ნუ გეწყინება და უმჯობესია ვახშამზე დაგვიტრიალდე, შენ ნუ მომიკვდები... კი, ჩემო დარეჯან... შენებურად, ისე, გულუხვად!

— ეგ არაფერი შენი სასწავლებელი საქმეა... შენ შენს საქციელს აზრი დაატანო, ის გირჩევნია!.. — წყენით მიუგო დარიკომ და ზეზე წამოდგა.

— ე, აკი არ გამიგულისდა?! — მიაძახა კირილემ. — აკი არ გამიგულისდა? კაი, მამაშენი ნუ მოგიკვდება, კაი თუ გიყვარდე... წაყოლას ვერ გადავთქვამ და სხვა რამე თუ უხეირო სიტყვა მითქვამს, ბოდიში მომითხოვია, შე ქალო... მეტი რა ვქნა? ბოდიში მომითხოვია. წაყოლით კი, რომ მომკლა, მაინც უნდა წავყვე, რომ... არ ვიცი, არ ვიცი, რაც არ უნდა მიქნა... შენ რას იტყვი, პლატონ?

— შენი ნებაა... — მიუგო მან, თუმცა გუნებაში ძალიან სწყინდა კირილეს დაჯინება.

მან კარგად იცოდა კირილეს ხასიათი და მასთან მგზავრობა, ისიც ამნაირ საქმეზე, მეტად საფრთხილო იყო. რასაკვირველია, იგი სასეირნოდ მიდიოდა, როგორც თვითონ თქვა, და ამასთან ყველგან ტყუილუბრალოდ მუდამ ჩხუბის ამტეხი კირილე სწორედ ხელშემშლელად თუ წაჰყვებოდა, თორემ საქმეში შემწედ არა. პლატონს არ ეგონა, თუ ასე აიჟინებდა მასთან მგზავრობას მისი სიძე. თორემ ასე არ დაიწყებდა ლაპარაკს.

— შენი ნებაა! — უთხრა პლატონმა, — მარა ეგებ ბევრი სიარულიც არ დაგვჭირდეს... აგერ გზაში, ივანე გვერდევანიძე რომაა, იმას შევხვდი და ისე, ლაპარაკში მოჰყვა თვითონ ქვედურეთშიო,

ბრეგაძეებისას, ყოფილა ერთი დედაკაცი, იმისთანა, მე რომ ვეძებ... სამნი ძმანი ყოფილან ის ბრეგაძეები... ხომ არაფერი გაგიგონია, დარიკო, მათ შესახებ?.. ეგებ იცნობდე კიდეც, ა?..

— ბრეგაძეები... ქვედურეთში... არა, ძმაო, არა, არ ვიცი!

— ისე, სიტყვას მოჰყვა... ძალიან აქო გვერდევანიძემ.

— მივიდეთ და ვნახოთ მერე!.. — წამოიძახა კირილემ.

— ასე ხამათ რაცა მივიდე... ჯერ ამბავი უნდა გევიგო... ეგებ უშვილო იყოს, მარა ქაჯს გავდეს, რა ოხრად მინდა მაშინ! — თქვა პლატონმა...

— ეკლესიაზე მივიდეთ კვირა დღეს. მივიკითხ-მოვიკითხოთ, შევხვდეთ...

— არა, არა. მაგრე არ შეიძლება...

— რადგანაც აგრეა, ჩემო ძმაო, შენ მაგის მამიდასთან მიდი... ჰკითხე სალომეს და სწორ ამბავს ის გეტყვის იმ ქალის შესახებ... ქვედურეთი მათგან შორს არ არის და უსათუოდ ეცოდინება იმის ამბავი, შენ რომ ქალს ამბობ. — ურჩია პლატონს დარიკომ. — თუ არა და, შეიძლება თავად იმას ეგულებოდეს ვინმე მაგვარი.

— ბრავო, ბრავო! — შეჰყვირა კირილემ. — ბრავო, დარიკო! ეი და ყოჩაღ, ქალო, ეგ ნამდვილი რჩევაა, შენ ნუ მომიკვდები!

— მაინც ასე ვიზამ, — დასთანხმდა პლატონი.

— აბა, მივდივართ ხვალვე მამიდაჩემთან! — წამოიძახა კირილემ. — ხვალ! არა, პლატონ?

— ხვალვე უნდა წავიდეთ.

— შენ არსად წამსვლელი არა ხარ! — შეუტია ცოლმა კირილეს.

— თუ გიყვარდე, მაგაზე ნუღარაფერს მეტყვი. ჩემი საქმე მე უკეთ ვიცი... შენ შენს საქმეს მოუარე!

დარიკომ რაღაც წაილაპარაკა გულმოსულმა და ვაპშის გაკარგულების მისაცემად წავიდა.

— და თუ გინდა, პლატონ, — დაიწყო კირილემ სიცილით, — ვერ ასლოს ერთი კაი ანანურიშვილი მოკვდა და ზეგ ასვენებენ... ხომ იცი, სატირალში რამდენი ქვრივი დედაკაცი მიმავალი... მივიდეთ იქ, დავდგები ისეთ ადგილას, რომ ერთი შესანიერებული დედაკაცი ვერ გამოვეპარება შეუმჩნეველი... ყველას ამბავს ვიკითხავ... ეგებ იქაც ვნახოთ შენი ორნაგმარები ულვილი... ეგ უცრო ადვილიც იქნება და საჩქაროც... ა, რას იტყვი შენ?

— ბე კაცო, ასე გამოსაქვეყნებლად კი არ მინდა ეგ საქმე! — ღიმილით მიუგო პლატონმა.

— აბა, მამიდაჩემ სალომესთან გავსწიოთ, რავარც დარიკომ

ვვირჩია... ძალიან კარგი! ეს საქმე ასე გვაქვს დაწყობილი ხომ და ახლა მე წავალ და ბიჭს მოვავლებიებ შენი ცხენისათვის... შენ კი ცოტა მოისვენე, ნამგზავრიც ხარ და მერე ვახშმისათვისაც ცოტა შემაგრება დაგჭირდება, რომ ქეიფიანად შევუდგეთ აქედანვე საქმეს, ხა, ხა, ხა! — გაღიხარხარა კირილემ, შეიყვანა ოთახში პლატონი და თვითონ კი დაბლა ეზოში ჩავიდა.

— ჰეი, ჰეი, ნეტავი შენისთანა ხასიათის მქონე კაცს! — უნებურად წამოიძახა ოთახში მარტოდ დარჩენილმა პლატონმა. — ყველაფერი ჩალად უღირს... თავის ქეიფს მისდევს... ან კი რა უჭირს? ჯერ კიდეე ეყოფა მამის დანატოვარი... ჩემისთანამ იკითხოს, ჰეეეი! — ამოიოხრა პლატონმა, შეიხსნა ქამარი, გაიხსნა ჩოხა და მიწვა იქვე კედელთან მდგარ ტახტზე.

შებინდებული იყო, კირილემ პლატონი რომ გამოაღვიძა.

— ადე, ადე, პლატონ! შენ ნუ მომიკვდები, იმისთანა ვახშამს გვიმზადებს დარიკო, რომ შენი მოწონებული!.. მართლა, კაცო, რამ შეგაჯინა იმისთანა ბედაურზე, შენ რომ მოგიყვანია?

— ჰო! — მიაჩერდა პლატონი სიძეს.

— შენ არ მომიკვდე, იმან ჭიშკრამდინაც ვეღარ მიგიყვანოს შენ, ისეა!.. — გადიხარხარა კირილემ.

— ზურგი ეტკინება ბაფუტებული! — დაღონებით წაილაპარაკა პლატონმა.

— აქეს და აგრე?! სულ ერთიანად გადაშვლეპილი აქვს!

— იმ ამოსაგდებ გვერდევანიძის ნაწყალობია მაგი ამბავი! ამოაგდო ბინი ოჯახი ჩენმა გაჩენმა... მაინც ამოსაგდებია, რაც ის პიროტეზის სოფსავს!.. რა მეშველება ახლა? — შეწუხებით წარმოსთქვა პლატონმა. — ახალი ჭირი არ ევიტეხე?!

— არაფერია, არაფერი! — ხალისიანად შესძახა კირილემ. — ვულგარულად იყავი! ცხენს ვერ გაშოვი, თუ?

— ამას რა ეშველო?

— მაგ დავტოვოთ... ეგერ მეზობელი ყაბახი ვყავს, წამალი აცის იმისთანა, რომ საამ დღეში მოურჩენს ზურგს... ჩვენ წევიდეთ და, რომ დავბრუნდებით, ცხენს გამოკეთებულს დაგვახვედრებს დარიკო. არაფერია!.. აბა, წვევიდეთ და ერთი ორიოდე სადღეგრძელო დაველიოთ შეგრძნულ გოგზე... ღმერთსაც შემწეობა ვთხოოთ და ასე გავატაროთ ეს დრო!.. სამწუხარო ჯოჯოხეთშიაც არ მოგვაკლდება და აქ მაინც მოლხენით ვიყვეთ, შე კაცო!..

ცოტა ხნის შემდეგ სამივე ვახშმის სუფრას მიუსხდნენ. გამხია-

რულებული კირილე ათასნაირ სადღეგრძელოებს იგონებდა და ჩაციებით აძალებდა ცოლიძმას ღვინოს.

— ნუ აწუხებ, კირილე! — ეუბნებოდა დარიკო, მაგრამ კირილე თავისას მაინც არ იშლიდა.

— აბა, რათ მინდა ოჯახი, თუ ჩემთან მოსული კაცი, მერე კიდევ რა კაცი, ცოლიძმა, ქორწილში რომ მპატიჟობს, არ დავათვრე, არ დავალევინე რჯულზე!.. რომ ასე არ ვუქნა, მასთან რომ მივალ, აღარც მე დამალევინებს და წყალნასვამს გამომისტუმრებს... რაზე ეუმტრო ჩემ თავს? რატომ ვქნა ეგ? ხა, ხა, ხა! სულელი ვარ? თუ გაუგარდე, ერთბაშად გამოცალე ეგ ყანწი... საფედინაცვლოს სადღეგრძელოა!.. ემაგრე!.. მაგრე!.. შენი ჭირიმე, ბეზ კაპლი, ბეზ! — ხარხარებდა კირილე კიდევ დიდხანს.

V

მეორე დღეს მხიარულ გუნებაზე მყოფნი სიძე და ცოლისძმა თავის გზას გაუდგნენ. კირილე მაინც მეტად ხალისიანად იყო, რადგანაც ბევრ რასმე გასართობს გამოელოდა ამ მოგზაურობიდან: მისი წარმოდგენით, ერთი დავიდარაბა უნდა ატეხილიყო უშვილო, ქერიე დედაბრებს შორის, რაკი ყურს მოჰკრავდნენ მათი მოგზაურობის მიზანს. გაფრთხილებაც საჭიროდ მიაჩნდა, რომ ვინმეს არ შემოეტყუებინა მათთვის შვილებამოწყვეტილი დედაბერი შვილის უყოლის მაგივრად. ყოველივე ამან, კირილეს ცოცხალი ენით გამოთქმულმა, ბევრი აცინა პლატონიც და ბოლოს ესეც ხუმრობის გუნებაზე დააყენა.

ასე სიცილით და ხალისიანად მიემგზავრებოდნენ ორივენი, რომ უეცრად კირილემ ხელი შუბლზე შემოირტყა, შეაჩერა ცხენი და წამოიძახა:

— აუიჰ!..

— რა იყო? — შეეკითხა პლატონი შეშინებით. — რა იყო, კირილე?

— არაფერი, არაფერი! გავწიოთ ჩვენთვის!..

— რაღაც გაგახსენდა, ვაი თუ რაიმე საჭირო საქმე გქონდა?

— არაფერია, კაცო, არაფერია! წამო... დაჰკარი მაგ ცხენს!

— თუ საიდუმლო არაა, მითხარი, თუ ძმა ხარ!.. შენ არ მომიკვდე, შენ არ დაგაბრკოლო.

პლატონს იმედი მიეცა, ეგებ რაიმე მიზეზით განთავისუფლებუ-

ლიყო თანამგზავრისაგან და ამით ჩუმად და დაუბრკოლებლად ეკეთებია თავისი საქმე.

— შენ არ მომიკვდე, ჩემი გულისათვის მე შენ არ შეგიშალო ხელი! — არ ეშვებოდა იგი კირილეს.

— კაცო, რა უნდა იყოს, მივალ თუ არ მივალ, შაფათაძის ქორწილს ამით არც შეემატება რამე, არც არა დააკლდება... წამო, კაცო, წამო!

— ქორწილში ხარ დაპატიჟებული?

— წამო, კაცო!.. შაფათაძის ქორწილი რა სახსენებელია... ისე წამომცდა, რომ გამახსენდა!..

— როდისაა?

— ამაღამ.

— თუ ძმა ხარ, ჩემი გულისათვის იმ კაცს ნუ მოინდურებ... დაპატიჟებული ჰყავხარ და არ მიხვიდე?! რატომ უნდა აწყენინო?.. მამიდაშენამდი გზას მეც კარგად გევიგნებ... პირველად ხომ არ მივდივარ იქითკენ? თუ ძმა ხარ, კირილე, ნუ დაკარგავ მხიარულობას.

— გითხარი, რომ არაფრის გულისათვის არ დაგშორდები-თქვა. და გათავებულია, შენთან უნდა ვიარო... ქორწილებს რაღას დაეძებ!

— აბა, მე უკან ვბრუნდები და ხვალ წავალ სალომესთან, — თქვა პლატონმა და ცხენი მოაბრუნა.

— შენ არ მომიკვდე... დარიკო არ მომიკვდეს... სახლში რავა გაგაბრუნებ?! — გამოეკიდა კირილე და ჩოხის კალთაში წააელო ხელი.

— რატომ შვრები ამ საქმეს, კირილე? გავბრუნდები და შენ სახლში დავიცდი... ჩემი საქმე ისეთია, გინდა დღეს მივსულვარ სალომესთან, გინდა ხვალ... სულ ერთია! მე შენ გეტყვი, არავინ მიგვასწროს და წეიყვანოს, ჩვენ რომ ქალს ვეძებთ.

— რა იცი... შეიძლება შენსავით სხვაც ვინმე დაწრიალებდეს და თავქუდმოგლეჯილი ეძებდეს უშვილო დედაბერს!.. — სიცილით თქვა კირილემ. — ხა, ხა, ხა!.. წამოდი, კაცო!

— სწორედ აღარ მოვდივარ! — გადაწყვეტით თქვა პლატონმა.

— ბიჭო! გინდა რომ დარიკომ სახლში აღარ შემიშვას?.. შენ რომ მიბრუნებული დაგინახოს, რა დღეს დამითენებს ის ქალი, ამას აღარ კითხულობ?

— არაფერს არ ვათქმევინებ!

— შენ რავა დაგისწრებს ჩემს აწიოკებაზე!

— აბა, ვიყოთ ასე გაჩერებული ამ შარაში და ის იქნება! —

ალბათ არ იყოს უკმაყოფილობით წარმოთქვა პლატონმა და ცხენს აღვირი მიუშვა.

კირილე გაჩუმდა. არ იცოდა, რაღა ექნა და ჩაფიქრებული იყო მცირე ხანს. ამ კაცის უკანგაბრუნება შიშს ჰგვრიდა დარიკოს მხრივ, თან გულით ქორწილშიაც უნდოდა წასვლა. რა ექნა, აღარ იცოდა; ამის გამო გადამეტებულ გასაჭირში გრძნობდა თავისთავს. მაგრამ ასეთი მდგომარეობა მხოლოდ რამდენიმე წუთს გაგრძელდა; კირილეს გამჭრიახმა გონებამ უცბად იპოვა მხსნელი გზა.

— პლატონ, რადგანაც ასეა ჩვენი საქმე, რომ შენ მამიდაჩემთან აღარ მიდიხარ და ვერც მე გაგიშვებ უკან სახლში, ერთ რამეს ვეტყვი და, თუ ძმა ხარ, უარს ნუ მეტყვი!

— ჰო!

— არც ერთს გული აღარ დაგვწყდება...

— თქვი, კაცო!

— მოდი ორივე ამაღამ შაფათაძისას მივიდეთ!

— შაფათაძისას?! — გაიკვირვა პლატონმა.

— ჰო! და ამაღამ იქ ვიქნებით, ხვალ კი წავალთ სალომესთან.

— რას ამბობ, კირილე!.. გადირია ჩემი მტერი! კაცს არ ვიცნობ, არ მიცნობს... ქორწილში მივიდე უცნობი კაცი?!

— რა გიჭირს?..

— ტყვილი არაა ახლა მაგ?! — და პლატონმა ისევ მიაბრუნა ცხენი და წკეპლა დაჰკრა, მაგრამ კირილემ უცბად უტაცა ხელი აღვირში და გააჩერა ცხენი.

— პლატონ, თუ ჩემი სიყვარული გაქვს... თუ ჩემი ძმობისა რაზე გწამს, ახლა გევიგებ ამას... გაფიცებ შენს ცოლ-შვილს, შაფათაძისას უნდა წამოხვიდე!..

— გასაკვირველი საქმეა. შენ ნუ მომიკვდები!.. რას იტყვის ის ადამიანი, ამისთანა ღღეს უცხო კაცი კარზე მივადგე? — გაჯავრებით წარმოთქვა პლატონმა. — რას იფიქრებს, ჰმ?!

— იტყვის, რომ კაი კაცი ყოფილაო, — სიცილით დაატანა კირილემ. — სხვას რას იტყვის?! შაფათაძის წვეულ მივიღებ, მივალ, თან კარგ, პატიოსან აზნაურშვილს, მასზედ გამოჩენილს, მივუყვან და იმას მიწყვნს?! რავა გეკადრება!.. ეწყინება კი არა, თავზე შემოგვევლება! შე კაცო, შენთან რომ მოვიდე, უცხო კაცი მომყვეს, ბემი კეთილი, საწყენად დაგირჩება?.. ა, მითხარი, თუ ძმა ხარ?.. კარში გამომაგდებ? ა?

— იმე!

— ჰოდა ეგ არის!.. მერე მე მასპინძელს ვეტყვი, მიზეზს გავა-

გებინებ — საქმე გვაქვს, უსათუოდ ხვალ ადრიანად წამავალი ვარ-თქვა, ძალიან საჭირო საქმეზე-თქვა და ასე, ისე... ერთი სიტყვით, ჩემებურად... შენი პატივისცემაც მინდოდა-თქვა და ამასთან და-შორებაც არ შემეძლო-თქვა და ამისთანები... ნახავ ადერ, როგორი მადლობელი დაგირჩეს!.. რა განაღვლებს, კაცო, მასპინძლის მეტს ხომ არავის ეცოდინება, დაპატიჟებული ხარ თუ არა. მასპინძელთან კი, გეუბნები, მე ვიცი!..

საშველი აღარ მისცა. კირილემ და პლატონი იძულებული გახდა დათანხმებოდა შაფათაძისას წასვლაზე. სურვილასრულებული კირილე ძალიან ქეიფს და დროსგატარებას ჰპირდებოდა ქორწილ-ში, სადაც, მისი სიტყვით, დიდძალ საზოგადოებას ექნებოდა თავი მოყრილი თავმოწონე მასპინძლისაგან.

— ტანისამოსიც რომ არ მაცვია... ასე რავა ივარგებს? — თავის გაქნევით თქვა პლატონმა, რომელსაც ძალიან უძნელდებოდა უცნობ კაცისას ამნაირ დროს დაუპატიჟებლად მისვლა. — აღარ ვიცი, ღმერთმანი... ვინ რას არ იტყვის!

— ერთი შენც კიდევ! — მიაძახა კირილემ, — მე რა, შენზე უკეთ მაცვია, თუ!.. ნეტავი ნახევარი იქ მყოფი ჩვენსავით იქნებოდეს გამოწყობილი! რას ამბობ!?

ახლა ყოველივე ამნაირი ლაპარაკი სრულიად ამაო იყო, რადგანაც გზა შაფათაძისკენ ეჭირათ. მგზავრებს ნელ-ნელა მიჰყავდათ ცხენები, რომ მაინცდამაინც ადრე არ მისულიყვნენ, სხვა სტუმრისათვის არ მიესწროთ.

საღამოვდებოდა, როცა შაფათაძის ეზოში ჩაიდგნენ. აქ უკვე ბლომად მოეყარათ თავი დაპატიჟებულთ. აივანზე ქალები დამსხდარიყვნენ. მოსამსახურენი იქით-აქეთ დარბოდნენ წესრიგის გამგებელთა ძახილზე.

ეზოში სტუმრები ბიდი-მოდიოდნენ. ისმოდა მხიარული სიცილი, ხითხითი. ღობეს ციყოლება ცხენები იყვნენ მიბმულნი სარებზე. კირილემაც და პლატონმაც აქეე მიაბეს ცხენები. კირილე იმწამსვე ნაცნობებში გაერია, აქეთ-იქით გავარდა-გამოვარდა, ყველას დაენახვა, ყველა ნახა: მოძებნა ხანში შესული მასპინძელი, მიულოცა ქალიშვილის დაბადებიერება და იქვე მოუყვა პლატონის შესახებაც. მოხუცებული ძალიან კმაყოფილი დარჩა, მადლობაც უთხრა კირილეს, თან რომ აწვია ისეთი ოჯახიშვილი, როგორიც მისი ცოლისაძმა იყო: პლატონს კი — კაბრენებისათვის. თხოვა და იმედი გამოსთქვა, რომ მოლხენით დაამშვენებდნენ მის ოჯახს ამ ბედნიერ დღეს. ამნაირმა ბიდებმ დაავიწყებინა პლატონს თავისი უბედურე-

ლი მდგომარეობა. ცოტა ხნის შემდეგ იგი შეუერთდა საზოგადო აფუცფუცებულებას, თავისუფლად გრძნობდა თავს და მზად იყო მოსალხენად.

შორიდან მოისმა ზურნის ხმა, ხალხი შეინძრა. ზურნის ხმა თანდათან ახლოვდებოდა. გახშირდა სროლა დამბაჩებისა და რევოლვერებისა. აივანი სულ ერთიანად მოიფინა ქალებით; მთლად მიდამო თითქოს გაცოცხლდა, ამოძრავდა; ზურნის ხმა თანდათან უფრო მკაფიოდ მოდიოდა; ისმოდა მომყოლთა ძახილი: „ჰაი“, „ჰაი!“ და რამდენიმე ხნის შემდეგ ჩიტივით შემოფრინდა იარაღში ჩამჯდარი, თავზე უკან მოქცეული კოხტა ქუდით ყმაწვილი, რომელმაც დაძახებასთან: „მეფე მოდის!.. მახარობელი ვარ!“-ო, ერთიორჯელ ჩამოუარა თავისი აქაფებული ცხენით აივანს, შემდეგ ქორივით ეძგერა კიბეზე თასით მდგარ ყმაწვილს, სწვდა თასში და წართმეული თასით გავარდა ისევ ეზოდან მოახლოებულ მაყრიონთან შესაერთებლად. ეს იყო მახარობელი.

— ბრავო, ბრავო! — ჰყვიროდა მისი სიმარდით აღტაცებული ხალხი და ამ ხმაურობას შეუერთდა მოსულთა ერიამული, თოფების ხათქა-ხუთქი, ცხენების თქარა-თქური და მათრახების ტყლაშუნი მათდა შესახურებლად.

სიძე მოვიდა თავისი მაყრიონით.

პლატონს სრულიად გადაავიწყდა თავისი საძებარი უშვილო და ორნაქმარები სადედინაცვლო, მამა ბეკინაც, ყოველივე დარდები და გაშლილი გულით ამ საზოგადო ხალისიანობას მისცა თავი. ახლა მოწყურებული კაცივით უნდოდა მხოლოდ გული ეჯერა და დღეანდელ გასართობს დასწაფებოდა. სხვებთან ერთად იგი ცხენით წაჰყვა დედოფალს ეკლესიამდის და იქიდან ყურთწამღები მაყრულით გამოჰყვა ახლად ჯვარდაწერილებს. გრძელ ფანჩატურში მთელი ღამე მისი სიმღერა არ შეწყვეტილა. მოხუცებულმა შაფათაძემ განსაკუთრებული მადლობაც უძღვნა პლატონს მოლხენისათვის.

საზოგადოება დიდ მხიარულებაში იყო, ცეკვა-თამაშს ბოლო არ უჩანდა, თუმცა ქალები თითქმის სულ ერთიანად წაიდ-წამოიდნენ მოსასვენებლად. გათენებას აღარაფერი აკლდა. ღვინის სმაში შეჯიბრებული ყმაწვილკაცობა კი ჯერ ადგომას არც კი აპირებდა.. ზურნის მოღლილი, მოსუსტებული ხმა ისევ ეფინებოდა აქაურობას ამ ღამეში, სხვადასხვა სიმღერებთან შენაცვლებით.

თუმცა ძალზე მთვრალი იყო პლატონი, მაგრამ თვალი მაინც ეჭირა კირილესაკენ, რომელიც დაჩემებით სცლიდა ყანწს ყანწზე. ცოტა ხნის წინათ იმ კუთხეში, სადაც კირილე იჯდა, რაღაც ლაპა-

რაკი ატყდა, მაგრამ ისევ მალე მოსპეს. კირილე ისეთნაირად გამოიყურებოდა და ცმაცურობდა, თითქოს რაღაც სამიზეზოს ეძებდა, რომ ჩხუბი აეტეხა, ჩვეულებისამებრ. პლატონმა შეატყო ეს, და რამდენადაც მოეხერხებოდა, მისკენ ახლოს მიიწია.

— ძალიან შემცდარი ხართ! — წამოვარდა კირილე და ნამალევად გადადგმული ვეებერთელა ღვინიანი სტაქანი წინ დაუდგა იმ ყმაწვილს, რომელმაც მოპარვა მოინდომა ღვინისა. — ძალიან შემცდარი ხართ!

— მე დავლიე და გადავედი... შემცდარი თქვენ ბრძანდებით! — მოუგო ყმაწვილმა.

— ეგ გაკლიათ და ახლავე უნდა გამოცალოთ! — გულმოსულობით მიაძახა კირილემ.

— ხელმეორედ რაზე დავლევ!..

— დალიე!.. მე მითქვამს თქვენთვის...

— მოითმინეთ, მოითმინეთ, ყმაწვილებო! — შიაძახეს აქეთ-იქიდან.

ატყდა ყაყანი. ვინ კირილეს მხარეს იჭერდა, ვინ — ყმაწვილისას.

— დალიე ახლავე! — ისევ მიაყვირა კირილემ. — მაცალეთ ერთი, თუ შეიძლება... ამას რავა ვაპატიებ მაგ სტაქანს! მერე ტრაბახობით ყურები მაგან უნდა გამომიჭედოს?!

— შენთან რა ტრაბახობა მჭირია... რა კაცი ხარ იმისთანა! — მიაძახა თავის მხრივ ყმაწვილმა.

— რაც კაცი ვარ, ახლავე გაჩვენებ, მაგ გამოცალე თუ არა! — დაუბღვირა კირილემ.

— კირილე, კირილე! — ამშვიდებდნენ აქედან.

— კოსტა, კოსტა! — აწყნარებდნენ მეორე მხრიდან ყმაწვილს.

— რა კაცია... რა კაცია! ერთი შეგვახედვინოს მაინც! — იყვირა კოსტამ.

— უი, შენ ცინდალო, ცინდალო! — მიაძახა კირილემ, დაავლო სტაქანს ხელი და, რაც შიგ ღვინო იყო, სულ ერთიანად ცხვირპირში შეასხა ყმაწვილს.

ერთის თვალის დახამხამებაზე ვეფხვივით სუფრაზე ახტა კოსტას ძმა. მის ხელში გაიპრიალა სატევარმა კირილეს დასარტყმელად და უსათუოდ იქვე გაათავებდა კიდეც, რომ ამნაირ ჩხუბ-კინკლაობაში გამოქნილ ყმაწვილებს უცბად ხელიდან არ გამოეგლეჯათ მოელვარე იარაღი.

შეიქნა ერთი ყვირილი, არევ-დარევა. ახლა ხელდახელ ეცნენ

ერთმანეთს; გახურდა მუშტების მოქნევა. გამზავებლები დიდ მეცადინეობაში იყვნენ; ჰყვიროდნენ, აცილებდნენ მაჩხუბართ ერთმანეთს, მაგრამ ვერას ხდებოდნენ.

VI

მზე კარგად ამოსული იყო, პლატონს, რომ გამოეღვიძა მეორე დღეს. მიიხედ-მოიხედა, ამ ოთახში მასთან მხოლოდ კირილე იწვა ტახტის მეორე ბოლოში, — სხვა არავინ იყო.

გამოღვიძებისთანავე გაახსენდა წუხანდელი ამბავი და გული უსიამოვნოდ მოეკუმშა. უცბად წამოდგა საწოლიდან, გადაიცვა ახალუხი, მიიდა ფანჯარასთან და ეზოში გადაიხედა. იქაურობას არავითარი მიმსგავსება არ ჰქონდა წუხანდელი მასპინძლის ეზო-სახლკარობისა. ჯერ აზრად ვერ მოვიდა, რას ნიშნავდა ეგ, მერე კი მიხვდა, რომ უსათუოდ მეზობლისას გადაგვიყვანეს გაზავების შემდეგო. ბუნდოვნად ახსოვდა, რომ ის და კირილე ცხენებზე შესხეს და სადღაც გამოაქანეს ახალ გათენებულზე: ახსოვდა, რომ ჩხუბი მოუხდათ, მაგრამ დაწვრილებით არაფერი აგონდებოდა, — იმდენად მთვრალი იყო იმ დროს. ახლა კი გული მოსდიოდა, ბრაზი ერეოდა, რომ ამ გადარეულ კაცს დაუჯერა, მის სიტყვას აჰყვა და ამნაირი სამარცხვინო ამბავი შეეთხზა. რა იყო ამ უცნობ ოჯახში დაუპატიჟებლად ქორწილში მისვლა, ჩხუბი, აყალმაყალი!.. მაინც ასე გამოგდება ეზოს გადმოლმა! აბა, ამ სრულიად უცნობ სახლში, ნაჩხუბართ, ნაცემ-ნატყეპთ რა უნდოდათ?!

— მე ოხრიშვილს, რა მრჯიდა ქორწილში სასიძოდ?.. რა მექორწილებოდა?! საქმე არ მქონდა მე უპატრონის, ეჰ?!. ეს! თავი რაზე შევირცხვინე?.. სალაპარაკოდ რავა მივეცი ჩემი თავი ამ სულელთან იმდენ ხალხს!.. რავა არ უნდა მომკლას ჩემმა პატრონმა? რავა არ უნდა მომკლას? რავა ვარ შესაბრალებელი!.. რაზე ვიმდურები ჩემისთანა ოხერი მამის შეუბრალებლობისთვის?! — და ჯავრშემოწოლილი პლატონი ხან დაჯდებოდა, ხან მოუსვენრად დადიოდა ოთახში; მერე, თითქოს რაღაც გაახსენდაო, ჩაიცვა წუღები, შეიკრა ახალუხი და ჩოხას დააელო ხელი. გაშალა — უყურა, ფეხი რა და გულმოსულმა დაბერტყა იატაკზე. ჩოხა სამ-ოთხ ადგილას იყო გახეული.

— შენ კი გაუჭრი შენს პატრონს! — წამოიძახა და კირილეს გადახედა.

ამ წამოძახებამ კირილე გამოაღვიძა.

— ადექი, პლატონ? — კირილე ცქვიტად წამოჯდა საწოლში.

პლატონმა ხმა არ გასცა.

— ძალიან არ ვსდევით იმ ცინდალას, კოსტაა თუ პროსტა! ხა, ხა, ხა! შენ ნუ შიმიკვდები, ეყოფა ერთ ხანზე... კაი ხანია, მისი ჯინი მჭირდა და კიდევაც ევისრულე სურვილი, ეიჯერე გული მისი ტყეპით... ძალიან მარჯვეთ არ ვიყავით?.. შენ, შენ? აი და პლატონ!... მტერს მოხვდა შენი მუშტი. ერთი მეც მომხვდა შეცდომით... აქამდისინ არ ვიცოდი, თუ მაგისთანა მწარე ხელის პატრონი იყავი... იცოცხლე, იმათ დღეს გვერდები აყვეებოდათ... ხა, ხა, ხა! — ისე ხალისიანად ამბობდა ამას და თან იცინოდა კირილე, რომ უამისოდაც გაჯავრებულ პლატონს ამით მხოლოდ ჯავრი ემატებოდა უფრო.

მან ვეღარ მოითმინა სიძის ასეთი უდარდელობა და სიტყვა გაუწყვეტინა.

— ახირებულია, ღმერთს ვფიცავარ... შენ რა სიკეთე დაგაყარეს?.. დაიხედე შენს თავზე, წარბი გაქვს გაჩეხილი!...

— ძალიანაა? — ისე იკითხა კირილემ, ვითომც აქ არაფერიაო..

— გეყოფა.

— არაფერია... ამასაც ვაზღვევინებ, სადაც იქნება... თუ დღესვე არა!..

— შენ, ჩემო ბატონო, როგორც გნებავდეს ისე ქენი, და ერთი ეს ჩოხა გამიკერვინებიე ვისმე და ჩემს გზას დავადგები...

— რავა, ჩოხა შემოგახიეს?.. უყურე იმ ლაწირაკებს!.. სხვა რა შეუძლიათ, დედაკაცებივით იმწამსვე ჩოხაში უნდა გეცემენ და ტანისამოსი უნდა შემოგაფხრიწონ... აი მაგათ კი დავასხი თავსლაფი!..

— ბატონო, ერთი შენ ეს სიკეთე მიქენი და რამერიგად გეეტიო...

— ახლავე. ახლავე! გვარიანათაც გვძინებია! ეჰე, რამდენზე წამოსულა მზე!

კირილე წამოდგა და აჩქარებით ჩაცმა დაიწყო.

— ამ ოხრიშვილებს მარტო ჩოხების ხევა შესძლებიათ! — წამოიძახა მან, ჩოხას რომ ხელი მოჰკიდა. — სულ ერთიანად არ მოუთხლეშიათ კალთა!.. აი, თქვენ კი რა გითხრათ! თქვენ კი რა გითხრათ!..

დაავლო ხელი ორსავე ჩოხას, გააღო აივანზე კარი, გაჰყო თავი და დაიძახა:

— ცაციეი, ცაციეი! — და როცა ამ დაძახილზე აივანზე გამოირბინა ფეხშიშველა პატარა გოგომ, კირილემ გაუწვდინა ჩოხები და

უთხრა: — ბიძიკო, თუ შეიძლება, ეს ჩოხები, რავარც იქნება, ისე გამილამბე... რავარც იქნება... ღამეში ღობეს გამოვედევით და ასეთი უბედურება მოგვივიდა. აბა ჰე, შენს გაზრდას!..

გოგომ გამოართვა ჩოხები და ფეხების ბრაგუნით გადირბინა აივანი. კირილემ მიხურა კარი. პლატონი წარბებშეკრული აქეთ-იქით დადიოდა. კირილე ატყობდა, რომ ამრეზილი იყო და ხმას აღარ იღებდა. შაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ასე მუნჯად ყოფნა ვეღარ შეიძლო კირილემ და წამოიძახა:

— ახალ ჩოხებს გვიკერავენ, თუ რა დეემართათ ამ ოჯახდაქცეულებს!.. აწი სადილათაც დაჯდებიან და არ დაგვაგვიანდეს...

ეს ნამეტანი იყო პლატონისათვის; იგი მიბრუნდა და გაკვირვებით გადახედა კირილეს.

— ღმერთმანი, კაი ძალი დღეა გასული. დროით ჯობია მაინც მისვლა...

— სად, ყმაწვილო?

— როგორ თუ სად?.. სადაც წუხელ ვიყავით!

— მართლა ამბობ მაგას, თუ ხუმრობ?

— მართლა ვამბობ... რა ხუმრობა უნდა?! აბა, არ მივიდეთ?.. რა მიზეზია?

— შენ, ჩემო ძმაო, რავარც გნებავდეს, ისე იარე, და მე კი შენი ჰგზავრი აღარ გახლავარ!..

— რა იქნა, შე კაცო?.. რა მოხდა ამისთანა? გინახავს, რომ ქორწილი იქნება თუ დღეობა, რამე ლაპარაკი არ მოხდეს?.. რა ვუყოთ მერე?.. მარტო ჩვენს თავზე მომხდარა, რაც წუხელ საქმე მოგვიხდა, თუ როგორაა?!. ან რა იყო ასეთი რამე?.. სხვას არავის შეხვდომია თუ?

— შენ, ბატონო, რავარც გნებავდეს და მე კი დრო არ მაქვს...

— დრო არ გაქვს, თვარა გეიქცეევიან შენი დედაბრები სადმე!

— გეიქცევიან თუ გაჩერდებიან, ეგ სულ ერთია, მე დროზე უნდა დავბრუნდე სახლში. ასე უთავბოლოდ ყანყალი არ შემიძლია!..

— შე კაცო, ერთი დღე რა უნდა იყოს! მე თვეობით ვრჩები ბოლმე სახლის გარეთ, მაგრამ, რომ მიებრუნებულვარ სახლში; ყოველთვის ყორიფელი ისე დამხვთომია, როგორც დამიტოვებია!

— კაცია და გუნება!..

ამ ლაპარაკში გოგომ გაკერილი ჩოხებიც შემოუტანა, მერე ჰოართვა პირსაბანი წყალი ორსავეს, სიძე-ცოლისძმას, და მალე ორივე ჩაცმულ-დახურულნი წასასვლელად მზად იყვნენ. კირილე პევრს ეხვეწა შაფათაძისას მიბრუნებულიყვნენ ისევ, მაგრამ პლა-

ტონი ვერას გზით ვერ დაიყოლია; ის კი არა, პირდაპირ უთხრა სიძეს, რომ მათი ერთად მგზავრობა, როგორც ეტყობაო. შემდეგში ალარ უნდა იქმნეს საქმისათვის სახეირო. ამის გაგონებამ კირილე ბალიან დააფთხო; შიშს მიეცა, პლატონი არ გაჯიუტებულიყო და უკან არ გაბრუნებულიყო მისდა თავიდან მოსაცილებლად. სწორედ ამის შიშით კირილემ გადათქვა შაფათაძისას მიბრუნება. მზად იყო ყურმოჭრილ ყმად გახდომოდა ყველაფერში პლატონს და კიდევაც მოუხშირა ისეთ ლაპარაკს, რომელიც მათი მგზავრობის საგანს შეეხებოდა.

— პლატონ, სატირალში არ მივიდეთ?.. რომ გითხარი — დღესაა ის ტირილი, — მიმართა მან პლატონს.

— ჩემი სატირალიც მეყოფა, სხვისაში არ გავერიო, ჩემო ძმაო!— მიუგო პლატონმა და გავიდა აივანზე. კირილეც თან გაჰყვა. ეზოში ბიჭი დაინახა, მიიხმო, ცხენები მოითხოვა, მადლობა დააბარა მასპინძელთან, რომელიც უკვე შაფათაძისას წასულიყო დილიდან, და ორივენი შესხდნენ ცხენებზე.

ხმაგაკმენდილი კირილე გვერდით მისდევდა პლატონს. კირილეს გაუგებრობა ჰკლავდა იმის შესახებ, თუ რას ფიქრობდა მისი გაბუტული ცოლისძმა, -- აპირობდა ახლა წასელას მამიდა სალომესთან, თუ სახლში ბრუნდებოდა? საჭირო იყო ამ გულმოსული კაცის გახალისება. თორემ ამნაირ გუნებაზე მყოფი უსათუოდ სახლისკენ გაემართებოდა. დიდხანს ეშზადა ამისათვის კირილე და ბოლოს მიმართა ცოლისძმას ღიმილით:

— პლატონ!.. კაია, შე კაცო!.. დეივიწყე თუ გიყვარდე. რაც ჩემით შეგემთხვა... მიჯავრდები კიდევ?

— სულაც არა, — ცივად მიუგო პლატონმა.

— რავა არა!.. ვერ გატყობ თუ?.. შე კაცო, პეტრე მოციქულმა სამჯერ იუარა ქრისტეს მოწაფეობა, მაგრამ ამისათვის სამიდღემჩიოდ არ დასჯილა. ისევ საყვარელ მოწაფედ დარჩა და შენ ჩემით ერთი უსიამოვნება შეგემთხვა — ამას ვეღარ დამივიწყებ?! კაია, თუ გიყვარდე!

პლატონს უნებლიეთ გაეღიმა ამ სიტყვებზე. კირილეს იამა და ისეთნაირად დაუტრიალდა, რომ ცოტა ხნის შემდეგ მართლა ყველაფერი გადაავიწყა პლატონს. აქამდე გულამღვრეული კირილე გაახალისიანა ამ გარემოებამ, წაათამამა და სიტყვა შეეპარა მამიდამისის შესახებ:

— კიდევ კარგ დროს მივალთ! — თქვა მან.

— სად? — იკითხა პლატონმა.

— მამიდაჩემთან.

— ასე შემოფხრეწილი ჩოხით მივიდე სალომესთან?..

— შემოფხრეწილი კი არა!.. სულაც არაფერი არ ეტყობა მაგ შენს ჩოხას... ახალივითაა, თავი ნუ მომიკვდება!..

გადასახვევი ახლოს იყო და ახლა კირილე უფრო თავგამოდებით დაფაცურდა, რომ ცოლისძმა სახლისაკენ არ გაეშვა. რას არ მოჰყვა, რას არ მასხრობდა, რარიგად არ ცდილობდა მის უფრო გამხიარულებას, რას არ იგონებდა, რომ გაეცინებინა და ამასობაში თავის სიტყვაზე დაეყოლებინა.

აგერ გადასახვევთანაც მივიდნენ, საიდანაც მარჯვნივ უნდა გაეხვიათ, თუ კირილეს მამიდასთან იყვნენ წამსვლელნი.

კირილემ მასხრობას უფრო უმატა. პლატონი კარგად ხედავდა, რა ცეცხლშიაც იწვოდა მისი სიძე.

— პლატონ... ბიჭო, გაიხსენე პეტრე მოციქული... რა ეპატივა მას და ვისგან?! მეც მეპატივოს, ბიჭო, შენგან, რა დიდი საქმე იქნება, ერთი მეპატივოს!.. ნუ გადამკიდებ დარიკოს თუ რაიმე სიბრალული გაქვს ჩემი, ნუ გაახელებ შენს დას ჩემზე და რა გინდა ჩემგან! თუ დარიკო გამიგულისდა, უნდა დავჯდე სახლში და ხომ შემეხუთა სული და გული!.. მიხედე, კაცო, ღმერთს!.. ბიჭო, ერთხელ შეგცოდე, მეტი ხომ არა!.. ბიჭო, პეტრე მოციქულის ამბავი გეიხსენე, შე უღვთო, შე უღვთო!.. წამოდი აქეთ... მარჯვნით მიდის ჩვენი გზა, მარჯვნით, ღმერთი გამარჯვებას მოგცემს!.. — და კირილემ გადაუხვია მამიდამისისკენ მიმავალ გზაზე.

პლატონი სიცილს ვეღარ იკავებდა, გაცხარებით მოლაპარაკე კირილეს რომ უყურებდა. ერთ ხანს ცხენი შეაჩერა და მერე, როცა კირილემ აღვირში მოჰკიდა ხელი და მარჯვნივ გადაახვევინა, გულიანად გადიხარხარა და გაჰყვა სიძეს.

— ძალიან არ დოუშინებიხარ დარიკოს, კირილე?! ხა, ხა, ხა!

— ნუ შეგეშინდება შენ!.. ის რომ არ მყავდეს, ჩემო ძმაო, ჩემს ეზოში ძაღლს ვერ ნახავდი გამვლელს!.. ვუფრთხილდები, არ გავაჯავრო მაინც ჩემზე — სხვა რაღა სიკეთე აყრია ჩემგან?! რამდენადაც შემიძლია, ამას ვცდილობ, თუმცა ხშირად ესეც მავიწყდება, ჩემდა საუბედუროდ... ერთობ სულგრძელი ადამიანია, ძმობას გეფიცები!.. ღვთისნიერი ადამიანია, რომ იტყვიან... და შენც შეგატყობს კაცი, რომ მისი ნათესავი უნდა იყვე... შეგატყობს! — სიცილით დაატანა კირილემ. — თუმცა მშვენიერი სადილი კი დამკარგვია და შენც დაჰკარგე... იმ ოხერ შაფათაძეს ძალიან მასპინძლობა ექნება დღეს... ძალიან მომზადებული იყო!.. გლახა გუნება-

ზე იყავი, თვარა არაფერი არ გვიჭირდა, რომ მიებრუნებულიყავით... ერთი ამათაც თვალებს დოვუბრიალებდი... ცნობას მივცეუ-დი!.. ახლა კი ასე მშიერ მუცელზედ კარგა ხანს მოგვიხდება თრევა. სანამ მამიდაჩემამდი მივაწევდეთ!

— ისევ შაფათაძე გაგახსენდა? — გაიცინა პლატონმა. — მე რომ შენ ვიყო, ხმასაც აღარ ამოვიღებდი... შენც საკმაოთ გერგო, ჩემო კირილე, მუშტები, შენ ნუ მომიკვდები!..

— ჩემგანაც არ დაჰკლებიათ, ნუ გეშინია... კიდევ უფრო მივართმევდი, რომ ხელიდან არ გამოეგლიჯათ!.. — კირილემ კიდევ დიდხანს ილაპარაკა თავის ყოჩაღობაზე, ბევრი იტრაბახა თავის სიმარჯვეზე და მთელი გზა იმის ამბებში იყო, თუ სად რა ჩხუბი შესვდომია, ვისთან რითი გათავებულა და რა ვაქაცობა გამოუჩენია. მაგრამ ამ ლაპარაკშიაც ხშირად აგონდებოდა დაკარგული, მიტოვებული ლხინი და ეს გახსენება უფრო უცხოველებდა შიმშილის გრძნობას და, ამით აწრიალებული, თავს მით ინუგეშებდა კიდევ, რომ გზაში დუქანი ეგულებოდა, სადაც შეეძლო წინა ღამეს სმით ამომწვარი ყელი დაელბო და ცარიელი მუცელიც ორიოდე ლუკმა პურით დაეკმაყოფილებინა.

VII

მზე კარგა გადახრილი იყო, ჩვენი მგზავრები რომ იმ ჯიმშერ სალობერიძის სახლს მიუახლოვდნენ, რომელსაც ჰყავდა კირილეს მამიდა სალომე.

სალობერიძე ერთი იმ აზნაურთაგანი იყო, რომელთაც რაღაც მანქანებით დღეს კიდევ შერჩენიათ იმდენი მამული, რომ შეუძლიათ რიგიანად იცხოვრონ და გაუჭირვებლად გაუძღვნენ თავიანთ ოჯახს. მოხუცებული ჯიმშერი სწორედ გონიერი კაცი იყო, შეგნებული; და ეგ იყო მიზეზი, რომ მის ოჯახში ყოველივე თავთავის რიგზე იყო; უსაქმურს აქ ვერ ნახავდით. რაც გაეწყობოდა, შვილებისათვისაც სწავლა არ დაუკლია. ცოცხალი გონების პატრონს ჯიმშერს საინტერესოდ ჰქონდა ყოველივე საზოგადო საქმე. და მის ახლოს ყოველთვის გესმოდათ ამნაირ საქმეზე სჯა-ბაასი. თვით კარგი მოლაპარაკე, მასთან სხვასაც ენა ამოედგმებოდა ხოლმე და ლაპარაკის ხალისი ემატებოდა. შეძლებით ღონიერს, პურადს, სტუმართმოყვარე სალობერიძეს თითქმის ყოველდღე სტუმარი ჰყავდა სახლში: ვინ მოსალაპარაკებლად მოდიოდა, ვინ რჩევის საკითხავად, ვინ შემწეობის სათხოვნელად, ვინ ისე ტყუილად, სანახავად, რომ მეგობრული

კავშირი არ შეეწყვიტა ამ კაცთან. მეტადრე ყმაწვილკაცობას უყვარდა სალობერიძისას თავის მოყრა: აქ მათ ხვდებოდათ მიმღები მასპინძელი, რომელმაც მათი აყოლა იცოდა, რომელთანაც ისინი თავისუფლად მასხარაობდნენ, ოხუნჯობდნენ, ენამახვილობდნენ და სიამოვნებით ატარებდნენ დროს ამ ენამახვილიან და ხალისიან მოხუცებულთან.

დღესაც თავი მოეყარათ აქ ყმაწვილებს და მოლხენილი სადილის შემდეგ ფართო აივანზე გამოფენილთ, ერთი სიცილი, ხარხარი და ყაყანი ჰქონდათ. ზალაში ისევ აულაგებელი იყო სუფრა, რადგანაც სადილიც ის იყო გათავდა.

ეზოში შემოსულ კირილეს ამათგან დანახვა და მიძახება: „კირილე! კირილე!“-ო, ერთი იყო.

კირილეს ძლიერ ესიამოვნა ამ შეკრებილობის დანახვა, ერთი დაჰკივლა უცნაურად, გადაჰკრა ცხენს მათრახი და შურდულივით გაქანებული ცხენი, რომელმაც ერთის თვალის დახამხამებაში გადირბინა ფართო ეზო, კიბეზე შეაგდო.

— ჰაი, ჰაი! — თან დასჭექა კირილემ.

— მაგ შეჩვენებული უსათუოდ გალეშილია! მარცხი არ მოუვიდეს! — წამოიძახა ჯიმშერმა და სხვებთან ერთად კიბისკენ გამოიქცა.

კიბეზე შემოგდებულმა ცხენმა ფეხი ეეღარ მოიმაგრა და წაფორხილებული დაეცა გვერდზე. დაეცა კირილეც, მაგრამ ისევ მარდად წამოვარდა და ახლა აქელებული იდგა ყმაწვილებით გარშემორტყმული.

— რავა იქნება, ყმაწვილო, ასეთი გაუფრთხილებლობა?! — მიმართა ჯიმშერმა კირილეს.

— ბიძიას ვახლავართ!.. უკაცრავად, შენი ჭირიმე! — და კირილე ბიძამისს მიესალმა.

აივანზე ავიდა პლატონიც და ჯიმშერისადმი მისალმების შემდეგ სხვებსაც მიესალმა.

კირილემ შეიხედა ზალაში და, სუფრას რომ თვალი მოჰკრა, წაბოიძახა:

— ამიტომაა სასიამოვნო აქ მოსვლა! იფ!.. შენი ჭირიმე, შენი, ჩემო ბიძია! — და იგი მივიდა მაგიდასთან, დაავლო ჯერ ერთ ბოთლს ხელი, მერე მეორეს, მესამეს და ცარიელები რომ შერჩა, ლანგარით ჩაის ჩამომრიგებელ ჯიმშერის ქალიშვილს მიაძახა:

— მაგ ჩაის რომ დააცუნცულებ, მაგის მაგიერად, შე ქალო, ერთი ბოთლი ღვინო შემოიტანო ის სჯობია, ჩემო ვერიჩკა!

— ჯერ ეს მიირთვი და მერე ღვინოსაც მოგართმევ! — მიუგო ვერიჩკამ.

— თუ ჩემი სიყვარული გაქვს, ჩემო ვერიჩკა, ერთი ბოთლი ახლავე შემომირბენინე!

— კი, ბატონო! — უპასუხა ვერიჩკამ და სხვებს მიაწოდა ჩაი.

კირილე მთვრალი იყო და პლატონი თვალს არ აშორებდა მას. გზაზე, დუქანში, პლატონის საუბედუროდ, მათ შეხვდნენ კირილეს ვიღაც ნაცნობი ყმაწვილები და ძლივსძლივობით დააშორა მათ თავისი სიძე მისგან დატანჯულმა პლატონმა. ახლა ისე ამოიქინა კირილემ ბოთლების დანახვაზე ღვინო, რომ მისი გადათქმევინება ყოვლად შეუძლებელი იყო. რა ხერხი არ იხმარეს, რომ როგორმე ზალიდან გამოეტყუებინათ აივანზე; ჰპირდებოდნენ, აი, აგერ მოგიტანთ ღვინოსაო, აი აგერო. მაგრამ ბოლოს კირილემაც შეატყო, რომ თხოვნას არავინ უსრულებს და აპილპილდა, გული მოუვიდა, გაწყრა.

— რა იქნა, კირილე... ასეთი ყველას შეწუხება გაგონილა? დაწყნარდი, ყმაწვილო! — მივიდა მასთან პლატონი. — ნუ შეაწუხებ ყველა!

კირილემ ერთი თვალით გადაჰხედა და მიაძახა:

— ვის ყველას ეაწუხებ, ბიჭო, ვის ყველას?.. თუ, ყველათ შენ თავი მიგაჩნია?.. რა მოხდა, თუ იცი? დედინაცვალს ერთს კი არა ათს გიშოვი!.. ბიძია, თუ შენ გაწუხებ, ბოდიში მომიხდია და ამას რა აწუხებს, კითხე, თუ გიყვარდე!..

— დაწყნარდი, ყმაწვილო! — შეუტია შეშინებულმა პლატონმა, რომ კირილეს არ წამოსცდენოდა მეტი.

— ძალიან არ წუსს?!. ერთ უშვილო დედაბერს დეეძებს სადედინაცვლოდ და მითხარით, ჩემგან რა შეწუხება მიჰყენებია... დავდევ უკან მეძებარივით!.. ეგებ, ბიძია, გეგულებოდეს სადმე უშვილო დედაბერი და ამ ყმაწვილს ეგებ გული დოუშოშმინო!..

პლატონი გაშრა, სირცხვილისაგან ცოცხლებში აღარ ერია. მზად იყო იქვე გაეგორებინა ეს გალეშილი კაცი, რომელსაც აღარც კი ესმოდა არაფერი ამ ქვეყნისა, რომელიც სრულს გონებაზე აღარ იყო და რომლისგანაც ამდენი ვაივაგლახი გადახდა. სულ მცირე ხანში. მაგრამ შეიკავა თავი, რაღაც წაიბუტბუტა, აივანზე გავიდა და რიკულს მიეყრდნო გაწიწმატებული. კირილე კი თავისას არ იშლიდა.

— კოსტა! —მიაძახა მან ზალაში შემოსულ მოსამსახურე ბიჭს.— კოსტა, ბიჭო, ღვინო! არ გესმის შენ?

— ახლავე, ბატონო! — მიუგო ბიჭმა და უცბად გავარდა ზალიდან.

ღვინო მაინც არავის მოჰქონდა.

— ვერიჩკა, ასე წახდით? — მიაძახა მამიდაშვილს კირილემ.— ღვინო გამოგელიათ?!.

— ახლავე იქნება! — წამოიძახა ვერიჩკამ და ესეც საჩქაროდ ჩამოეცალა კირილეს.

კირილემ ცოტა ხანს კიდევ უყურა და ბოლოს მოთმინება დაეკარგა; ერთი მიიხედ-მოიხედა ზალაში წარბშეკმუხვნით, წამოაელო ქუდს ხელი და აჩქარებული ნაბიჯით გაემართა ზალიდან, გაიარა აივანი და ეზოში ჩავიდა.

— სად მიხვალ, ყმაწვილო? — მიაძახა ჯიმშერმა.

კირილემ ხმაც არ გასცა, ჩავიდა ქვევით, შეჯდა თავის ცხენზე, წამოვიდა აივნისკენ და პლატონს შესძახა ბრძანებლობით:

— წამოდი... პლატონ!.. არ გესმის?

— ხომ არ გადარეულხარ, ყმაწვილო?.. — მიუგო პლატონმა აივნიდან.

— სად უნდა წახვიდე, ყმაწვილო?.. — მიმართა ჯიმშერმა. — სად უნდა წახვიდე?

— არ გესმის შენ ჩემი? — ისევ შემოსძახა პლატონს. — ცხენზე შეჯექი ახლავე, თვარა!

— ნუ ირევი, ყმაწვილო! — კიდევ მიმართა ჯიმშერმა. — ჩაფით მეიყუდე ღვინო, თუკი აგრე გულით გინდა!..

— თქვენი ღვინის მწყურვალეს თავსლაფი დაეასხი!.. შენ, ეი, პლატონ, ჩემი არ გესმის?!

ჯიმშერი გაჩერდა ამის გაგონებაზე, პლატონი მივიდა რიკულებთან და გაჯავრებით გადასძახა:

— რა ღმერთი გიწყრება, კირილე?.. რა ღმერთი გიწყრება?! ასეთი გადარევა იქნება?!

— არ მოხვალ?

— სად უნდა წამოვიდე, ყმაწვილო?

— არა?! — იყვირა კირილემ, მიატრიალა ცხენი და ხმალამოღებული შურდულივით გაექანა პლატონის ცხენისაკენ.

— მოჰკლა ცხენი, ცხენი მოჰკლა! — იყვირეს აივანზე და უსათუოდ ცხენი საზარლად დაიკრეებოდა, რომ აივნიდან ჩამოქანებულ პლატონს ქვა არ ესროლა ცხენისათვის და მისი დამფრთხალი ცხენი გვერდზე არ გამხტარიყო. მაგიერად ღონიერად მოქნეულმა და

ცხენს დაცილებულმა ხმალმა მთვრალი კირილე მარჯვნივ ისე გადაიტანა, რომ თავი ვეღარ შეიმაგრა და მიწაზე მძიმედ დაეცა.

კირილე კინაღამ ხმალს წამოეგო. შეიქნა ერთი წივილ-კივილი. ყველა იმისკენ მირბოდა და მათ წინ კიდევ პლატონი.

— მიშველეთ, მიშველეთ! — გამოვარდა და მისკენ გაექანა ხნიერი ქალი, რომელსაც უკან ვერიჩკა მისდევდა.

კირილე კი წამოდგა ზეზე, აიღო ხმალი და პლატონისაკენ წამოვიდა დასარტყმელად, მაგრამ პლატონს წინ ჩამოუდგა ერთი ყმაწვილთაგანი, სწვდა ხელში კირილეს და ჩააგებინა ქარქაშში ხმალი.

— კირილე... შვილო... რა იყო?.. რა მოგივიდა, გენაცვალოს მამიდაშენი! — ალერსით ეუბნებოდა ხნიერი ქალი, მამიდამისი სალომე, მაგრამ კირილეს ამისი არა ესმოდა-რა, მეტი გაჯავრებისაგან ხმაგაკმედილი მოაჯდა ცხენს, შემოჰკრა მათრახი და თქრშიალით გაექანა ჭიშკრისაკენ.

— გოუღეთ... გოუღეთ მაგ შეჩვენებულს ჭიშკარი... გოუღეთ... მაგ თავლაფდასხმულს, მაგას! — მიაყვირა უკან ჯიმშერმა.

— რა არი, ყმაწვილო... რანეირი საქციელია?.. — შეუტია ჯიმშერს სალომემ. — რა ჭკუაა ახლა მაგ?..

და შეწუხებული ქალი, ერთ ადგილას გაშეშებული, მისჩერებოდა ქვეევითკენ მიმქროლავ ძმისწულს, რომლის ქუდიღა მოჩანდა, თითქოს ქარისაგან მოტაცებული, ღობეების სარებს ზევით.

— რა იყო? რა მოუვიდა მაგ უბედურს?.. ვინ აწყენინა, ასე რომ გადირია მაგ შავდღეზე დაბადებული! — წუწუნებდა სალომე.

პლატონი ამქვეყნად აღარ იყო ჯავრით.

— რატომ მკვდარი არა ვარ ახლა... რაზედ ფეხები არ მომტყდა და მაგას წამოვყეევი? — გაიძახოდა საცოდავი.

— რა ვუყოთ, ბიძიკო... შენი რა ბრალია... მაგ შეჩვენებულმა ასე იცის ყოველთვის!.. მადლობა ღმერთს, რომ ასე ადვილად მოვრჩით კიდევ! — გაიცინა ჯიმშერმა.

— თქვენ ნუ მომიკვდებით, რაც მე ამ ორ დღეში გადამხდა მაგისაგან, არ ვიცი, თუ როდისმე კაცს ამდენი გასაჭირი ენახოს ერთი კაცის მიზეზით... — ნაღვლიანად ამბობდა პლატონი და მოჰყვა, რაც ამბავი მოუვიდა შაფათაძისას, კირილე რანაირად დათვრა გზაზე დუქანში, საიდანაც ძლივსძლივობით წამოიყვანა აქეთ. ეს კაცი, რომელსაც წინანდელი მწუხარებაც ეყოფოდა, ამ ახლად გადახდილი უსიამოვნების შემდეგ, მეტად გამწარებული იყო. ამიტომ ისეთნაირი კილოთი ლაპარაკობდა, სწორედ შეეცოდებოდა კაცს, რომ თვით ამბავი სასაცილო არ ყოფილიყო.

— საცხა ჩეიჩეხება ახლა ის უბედური და ერთი საცოდაობა უნდა მოხდეს! — წაილაპარაკა მწუხარებით სალომემ.

— ჩეიჩეხება კი არა... ერთი შენ, ჯავრობ კიდევ! — მიმართა ჯიმშერმა.

— აბა, რა.. ო, ღმერთო, ღმერთო! — ამოიოხრა სალომემ და აივნიდან სახლში შევიდა.

პლატონის მოთხრობილმა ამბავმა იქ მყოფთ ბევრი სხვა წინანდელი თავგადასავალი გაახსენა კირილესი და ცოტა ხნის შემდეგ აივანზე ისევ სიცილ-ხარხარი და ხმაურობა ისმოდა. ისევ კარგ გუნებაზე დადგნენ ყველანი და წინანდებურად სიამოვნებდნენ.

VIII

პლატონი კიდევ დიდხანს იყო უგუნებოდ, მარტოდ მჯდომი ზალის კუთხეში, პატარა რგვალ მაგიდასთან, ჩაით წინ და ჯერ კიდევ ვერ დაეწყნარებინა თავისი გული. რარიგად არ ლანძღავდა და აგინებდა თავისთავს, რომ გადარეულ კაცთან მგზავრობა არ დაიშალა და ამდენი უსიამოვნება და გაწვალება გამოიარა... გაწვალება გაწვალება იყო, მაგრამ მას უფრო სირცხვილი ჰკლავდა, იმ წყეულმა რომ მთელ საზოგადოებაში წამოიძახა და მისი საიდუმლო გაამჟღავნა. რასაკვირველია, ახლა სამასხროდ იქნებოდა აგდებული ამ ყმაწვილებისაგან, რომელნიც დილიდან საღამომდის მხოლოდ იმით არიან გართულნი, რომ საოხუნჯო, სასაცილო და სამასხარო საგანი რამ ან მოიგონონ, ან შეამჩნიონ ვისმე. ამაზე იკლავდა თავს პლატონი და იმნაირ გუნებაზე დადგა, რომ მზად იყო ხელი აეღო თავის განზრახვაზე, მიეტოვებინა თავისი საქმე, ამწამსვე უკან გაბრუნებულიყო სახლში, თავი მიენებებინა ყოველივესათვის და დაე, რაც უნდა ის მომხდარიყო.

— მშვენიერი ადგილი ამოგირჩევიათ, თუ კაცი ვარ!.. ამ ტკბილ სასმელთან ტკბილი მუსაიფიც უფრო მოსახერხებელია, თავი ნუ მომიკვდება!

და ამის მთქმელი, მომღიმარე სახის, ასე ოცდაშვიდის, ოცდაცხრა წლის ყმაწვილი კაცი მოუჯდა გვერდით.

— აზნაური არისტო ქვაშავიძე გახლავარ... იმედი მაქვს ახლოს რომ გავიცნობთ ერთმანეთს, ცუდ კაცად არ დამსახავთ. ამას თამამად ვიტყვი სწორედ!.. კეთილშობილი კაცი ყოველთვის კეთილშობილი კაცისაგან უნდა იცნობებოდეს... და თუ ჯერ ჩემი ნამდვილი

კეთილშობილება მე თქვენთან არაფრით დამიმტკიცებია, იმედი მაქვს, მალე თვალსაჩინოდ დაგიმტკიცოთ.. დიახ!

პლატონი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. რა ეპასუხნა, რა მიეგო ამ უცნაური კაცისათვის? მერე კიდევ ეს კაცი ისე სხაპასხუპით ისროდა სიტყვებს, რომ ამ მოულოდნელი თავდაცემით გაფაციცებული, იგი მისჩერებოდა ქვაშავიძეს და არ იცოდა, რა პასუხი მიეცა. მის ბედზე ეს ყმაწვილი თითქოს არც კი აცლიდა მაგიერ სიტყვას, იგი თითქოს ჩქარობდა თავისი სათქმელის დათავებას, რომელიც მოკლე არ უნდა ყოფილიყო, როგორც ეტყობოდა.

ყმაწვილმა კაცმა რომ თავისი თავი დაწვრილებით წარუდგინა პლატონს, საკმაოდ რომ გააცნო, უფრო ახლოს მიიწია მისკენ და ხმადადაბლებით ჰკითხა:

— თქვენ მართლა ეძებთ სადედინაცვლო ქალს?.. გკითხავთ ამას, როგორც პატიოსან კაცს... მართლა ეძებთ?

პლატონმა თვალები მიაშტერა ამის მკითხველს. რისთვის ეკითხებოდა ამას ეს კაცი? რა უნდოდა, რა ჰქონდა გუნებაში ამ კითხვის დროს? აი, კირილეს ნაწყალობები ამბავი! — გაიფიქრა პლატონმა.

— ეძებთ ხომ?.. — განუმეორა კითხვა არისტომ, რადგანაც პლატონი პასუხს უგვიანებდა. — ხომ?

— ბატონო, რაღაცას უჭკუო, გონებადაკარგული კაცი წამოაყრანტალებს, რა გასაგონარია, თუ ღმერთი გწამთ!..

— არა, არა! — გააწყვეტინა სიტყვა არისტომ. — არა, პატიოსნებას გაფიცებთ, პატიოსნებას... მითხარით!

— ბატონო!

— არა, თქვენ არ იფიქროთ, რომ მე რაიმე ცუდი აზრით და უხეირო განზრახვით გეკითხებოდეთ... მოგახსენეთ, ვერ მიცნობ ჯერეთ, მართალია, მაგრამ, რომ გამიცნობთ, ცუდ კაცად არ მიმიღებთ-თქვა, მოგახსენებთ თამამად...

— ბატონო, მაგას რაზე...

— თვითონ ბატონი ხარ და კეთილშობილი და, როგორც კეთილშობილს, ისე გკითხავ მეც, კეთილშობილი კაცი... მითხარით, მართლა ეძებთ თქვენ სადედინაცვლოს, თუ არა?

პლატონმა ვეღარ შეძლო-დაეფარა თავისი საიდუმლო ამ უცნაურად ჩაცივებულ კაცისთვის.

— ვეძებ! — მიუგო მან ბოლოს.

— თქვენ ძმა გყავთ?

— არა!

— და?

— გათხოვილი!

— კაი დაგემართოსთ! ბედნიერი კაცი შენ ყოფილხარ!.. ახლა დედინაცვალს ეძებ, ორნაქმარებს, უშვილოს, იმიტომ რომ გეშინია, მამულში მოზიარე არ გაგიჩნდეს, — ეგ ადვილი მისახვედრია და, თუ ჩემს პატიოსნებაში ეჭვი არ შეგაქვს, ამის მიზეზი, იძედი მაქვს, არ მომიცია თქვენთვის, სანდო კაცად მიყურებთ...

— მაგას რაზე ნებულობთ! რატომ არა! — დაატანა პლატონმა.

— არა, არა! მე სხვანაირი კაცი ვარ... ოსტატობით გამოგლეჯილი, დაცდენილი სიტყვით მე არაოდეს არ ვისარგებლებ. ამას მე ჩემს თავს არ ვკადრებ, თქვენ არ მომიკვდეთ! თუ მენდობით, თუ დაიჯერებთ ჩემს სიტყვას, მე მიგასწავლით სწორედ იმისთანა ქალს, რომელიც ნამდვილ სათქვენოა, თქვენი ხელმოსაკიდებელია... არ წარმოიდგინოთ, რომ მე თქვენი მოტყუება მწადდეს. მაშინ ღმერთმა აქვე გამათავოს! მე მაჭანკალი არ გახლავარ ზოგიერთივით, არ იფიქროთ... არც ვიკადრებ მაგნაირ ხელობას!..

— რასაკვირველია!

— არა! ამას იმიტომ გეუბნები, რომ ეგებ შენ სხვაფერ იფიქრო რამე. ქალი კი სწორედ ზედ გამოჭრილია იმაზე, თქვენ რომ გწადიათ... ორნაქმარებია, შვილი არ ჰყოლია თავის დღეში, არც მოხუცებულია, კაცმა რომ თქვას... მშვიდობიანი, წყნარი, გულკეთილი, არც ულამაზო, — ის კი არა, ყმაწვილ ქალობაზე ირეოდნენ მისი სილამაზისთვის...

— ნამდვილ იცით ეს ყველაფერი?

— ეიცი?.. შე დალოცვილო, მამიდაჩემის ამბავი თუ აღარ ვიცი, ვიღა ჯანდაბის ამბავი მეცოდინება?! აღარ დაგიმალავ, სწორედ მამიდაჩემია ის ქალი, რომ გეუბნებოდით და თუ მე ჩაციებით გესაუბრებოდით, ეგ იმიტომ, რომ პირველ შეხედვიდანვე ჩემი გული მოიგე და იმიტომ განვიზრახე შენთან დამოყვრება, დანათესავება, თვარა სხვა რომ ვინმე ყოფილიყო, ხმასაც არ გავცემდი... გამოტეხილი გითხრა, ხლაფორთი ბევრი დამჭირდება, ქალი რომ დეევიყოლიო, მარა კარგი კაცის გულისათვის კაცი რას არ იზამს...

— სად ცხოვრობს მამიდათქვენი? — შეეკითხა დაინტერესებული პლატონი.

— ქვედურეთში!

— ქვედურეთში?! — გაკვირვებით განიმეორა პლატონმა.

— ჰო!.. რამ გაგაკვირვათ? ა?

— ისე!.. ქვედურეთში მე კიდეე მითხრეს ერთ ქალზე...

-- ვინ გითხრა? — გააწყვეტინა სიტყვა არისტომ. — ვინ?

— არა... ისე, ლაპარაკში სიტყვას მოჰყვა, თვარა...

-- ვინ იყო მაინც, თუ კაცი ხარ...

— ადვოკატი რომაა, ივანე გვერდევანიძე... გეცნობებათ...

— უი, უი... და ივანეს სიტყვას უნდა აჰყვეთ?!. ცნობით რავა არ ვიცნობ, ბიძაჩემია ის სულწაწყმედილი, ის... იმის სიტყვის დაჯერება გაგონილა? მხოლოდ მოტყუებაზედაა გამაცადინებული ყოველ წამში... ივანე რა ეშმაკად გინდა...

— არა, ყმაწვილო, გინებით არც იმას უგინებია ის ქალი, ის კი არა, ძალიან აქო... ძალიანაც აქო...

— აბე დაგეწყო, შე დალოცვილო, თავიდანვე... ტყვილა გამალანძღვიე ნათესავი... ცეცხლი შემომეკიდა... რა ვიცი, დღეს კაცი კაცს ისე ვერ ახსენებს, რომ მისი გინება და ცუდად მოხსენება თანვე არ დაატანოს... მე ვთქვი ახლა, თუ ივანემ თავისი ნათესავი აგინა... ბრეგაძის ქვრივზე გითხრათ რამე?

— სწორედ... სწორედ.

— ჰო და ეგ არის... ჩემო ძმაო, პირობა ხომ არ გვქონებია, ორივეს ერთნაირად გვექო ის ადამიანი?.. ალბათ, ღვთის ნებაც ურევია ამ საქმეში, თვარა ერთნაირად მოლაპარაკე კაცი სადმე შეგხვდომია შენ ჩვენში, თუ ძმა ხარ?

— გვერდევანიძემ არც კი იცის, თუ რა საქმეზე ვარ მოსიარულე.

— ჰო და ეგ არის... ეგ არის, ჩემო ძმაო და კეთილო! ღმერთმა ათქმევინა მას და შენ გაგაგებინა თავისი სურვილი ივანეს პირით... სხვაგან ნურსად გადავარდებიო... იქვე განიშნა შენი საძებარი... ღმერთს ყვარებიხარ... თქვენი სახელი, უკაცრავად... ჰო, ღმერთს ყვარებიხარ, პლატონ ჩემო, ამიტომაც მეტი ლაპარაკი საჭიროც აღარ არი და გადავწყვიტოთ საქმე... ძმობაზე ხელი მივცეთ ერთმანეთს. ჰა! — და არისტომ ხელი გაუწვდინა პლატონს.

პლატონი კი ახლა მეტად აირია და გაუბედავობამ შეიპყრო. გადაწყვეტილების მიღების წინ წამდგარი. არისტოს სიტყვა ერთობ ნამდვილ სიტყვად ეჩვენებოდა. ეს ქალი მართლა და ბეკინას ბედი უნდა ყოფილიყო. აბა, რა იყო, რომ იმ წამიდანვე, თავის ჭიშკარს ფეხი გადმოადგა თუ არა, მხოლოდ ამ ქალზე ელაპარაკებიან ყველანი, შემხდურიც და დამხდურიც. უსათუოდ ეს უნდა იყოს მამამისის ბედი. მაგრამ ამასთანავე გადაწყვეტილების მიღებაც ეძნელდებოდა. ვაი თუ უფრო სანდო სხვაგან მოინახებოდეს და ამაზე გადაწყვეტით საქმე გამიფუჭდესო?!

— ორნაქმარებია მამიდათქვენი, არა? — ჰკითხა პლატონმა, რომ უფრო დარწმუნებულიყო და ერთხელ კიდევ გაეგონა დამაჯერებელი სიტყვა.

— რასაკვირველია, ორნაქმარები... წინედ უცნობლაძეს ჰყავდა, ჰერე — ბრეგაძეს!

— შვილი არ ჰყოლია არც ერთთან?

— გეფიცები პატიოსნებას, შვილი არ ჰყოლოდეს თავის დღეში!

— დიდხანს ჰყავდა უცნობლაძეს?..

— თუთხმეტი წელიწადი. — და არისტოს გაეცინა.

— თუთხმეტი წელიწადი!.. ბრეგაძეს?

— რვა! — ისევ სიცილით მიუგო არისტომ.

— რვა.

— ჰო, რვა! ეგ ნამეტანია, უმაწვილო! — ვეღარ იკავებდა სიცილს არისტო.

— რას იზამ კაცი, გაჭირვება ათასნაირ სისულელეს გაფიქრებიებს და თან უხეიროთაც გალაპარაკებს! — ღიმილით მიუგო პლატონმა. — რვა წელიწადი... და შვილი არც ამასთან ჰყოლია?

— არა, უმაწვილო, არა!.. — მოუთმენლად ამბობდა არისტო. — ვეუბნები, აღარაა შენი ლაპარაკი საჭირო... ავდგეთ ხვალ, შევჯდეთ ცხენებზე, მივიდეთ, ვნახოთ ის ქალი, დევითანხმოთ და მორჩა, საქმე გავათავოთ!... აბა, ხელი... ხვალ ქვედურეთში მივდივართ! საქმე გათავებულია!

პლატონი გაუნძრევლად იჯდა თავის ადგილას და არისტოს შეჰყურებდა. იგი ისევ ყოყმანობდა, საბოლოოდ ვერ სწყვეტდა საქმეს.

— ჰო, უმაწვილო!

— ცოტა მომითმინეთ!.. ასე უცბათ...

— ე, თქვენ, როგორც გატყობთ, გაუბედავი კაცი ყოფილხართ! გაგიგონიათ ასეთი გაუბედაობა, ამდენი ყანყალი!.. საქმე ცხადია და ნათელი — რაღა მოთმინება და გადადებ-გადმოდებაა საჭირო კიდევ!

— არა... არა!.. ასე სულდაუთქმელად არ შემიძლია, ცოტა ხნის შემდეგ მოგახსენებ ჩემს პასუხს... ასე აჯობებს კიდევაც! — თავის სიტყვაზე იდგა პლატონი.

ბევრს ეცადა ქვაშავიძე პლატონისათვის სიტყვა დაეცდევინებინა, მაგრამ მაინც ვერას გახდა.

— მაგარი კაცი ყოფილხარ, ძმობას ეფიცავარ!.. ძალიან მაგარი. რა გაეწყობა!.. აბა, ამ ვახშმობამდის გევიგებ შენს სიტყვას და მანამდის მოთმინებას ვიქონიებ...

ამ საგანზე ლაპარაკი დამთავრებულად უნდა ჩათვლილიყო ვახშმობამდის. ორივე ჩაჩუმდა, სანამ ახალ სალაპარაკო საგანს მიაგნებდნენ.

— კი არ გაყინულა ეს ჩვენი ჩაი!.. — წაავლო ხელი სტაქანს არისტომ. — შენ რომ არა, უფრო თბილის დალევა მოგვეხდებოდა ორსავეს. — ღიმილით დაატანა მან.

— ცივი კბილებს შეინახავს. — მიუგო პლატონმა.

— ეგეც მართალია! — თქვა არისტომ, უცბად გამოცალა სტაქანი და ლამბაქით და კოვზით ხელში აივანზე გავიდა, რომ მოსამსახურისათვის გადაეცა.

აქ ისევ სიცივლი და მხიარულება სუფევდა.

— სახლში ხომ არ ეპატიჟებოდი პლატონს, ასე ჩაცივებით რო მისდექი მაგ კაცს? — მიმართა სიცილით ერთმა ყმაწვილთაგანმა არისტოს.

— მგონია, ძალიან უარით გამოისტუმრეს „ზნაკომობაზე!“ „ხადი დალშე, ზნაკომ ბუდეშო!..“ არისტო, ხომ? — დაატანა მეორემ.

— არ ეტყობა?!. ბარგიც თან თუკრავს! ხა, ხა, ხა!

— რავა? ასე სახელგატეხილია არისტო, რომ ამდენი ხვეწნა ჭირდება, სახლში რომ ვინმე მიიწვიოს? — სიცილით იკითხა ჯიმშერმა.

— მიიწვიოს კი არა, მიიტყუოს, ბატონო, მიიტყუოს! ყველა ჩემსავით სულელი კი არ არის!... — წამოიძახა ერთმა კოხტა, მაღალი ტანის, ლამაზი სახის ყმაწვილმა.

— რავა იყო, კოტე, რავა, შენ რომ დაგპატიჟა?! — მიაძახეს ამ ყმაწვილს სხვებმა და ატყდა ერთი ხითხითი.

— კაია, ნუღა გამახსენებთ, თუ ღმერთი გწამთ!

— ააბრუნა ამან თავის წისქვილი! — ღიმილით მიაძახა არისტომ.

— მოჰყევი, მოჰყევი, კაცო!.. — მიაძახეს ყმაწვილს. — ჯიმშერს არ გოუგონია მაგ ამბავი!

— გავბრიყვდი, ბატონო, გავბრიყვდი და ვესტუმრე მაგ უხეიროს... არ მომეშვა, თქვენ ნუ მომიკვდებით, თვარა ჩემით რავა წეეიდოდი!.. ჯერ დიდხანს უარს ვეუბნებოდი და მერე, რომ აღარაფერი გამეწყო, მე ვთქვი, კაცი დამემდურება-თქვა, რაც იქნება, ვეწვევი-მეთქი:.. ავდექი და წეეედი... წეეედი. სწორედ აპრილი იყო... მე ვთქვი, ღვინო ჯერ კიდევ ექნება კაცს, სირცხვილში აღარ ჩავაგდებ-თქვა... ამის გულისათვის ტალახი ბევრი ვსრისე, ღობე ბევრი გავარღვიე, გზები ისეთი, რომ ძლივს გავატანე... რავარც იქნა, მიეედი, მივაწიე... დაღლილი, დაქანცული. მოვისვენებ ერთი, ვამბობ ჩემს გუნებაში... მიეედი ახლა, გადავიხედე ეზოში — სადღაა სა-

ხლი. ფიცრები ყრია აქაც, იქაც... აგერ გამოუწყიათ ახალი სახლი, სვეტია მხოლოდ და მასხარობასავით მარტო ერთი კარი ოუკიდნიათ... ჩეეედი ეზოში... ვუყურე, ვუყურე, მომეიდა გული, მივაფურთხე ერთი და გამოვაბრუნე ცხენი და გაცეცხლებული მივდიეარ უკან... ვიღაც კაცი შემხვდა, ვკითხე: ბიჭო, არისტო ქვაშავიძის სახლი სად არის-თქვა და... „ბატონო, არისტოს ფიცრების მეტი არაფერი აქვსო, სახლი სად აქვსო“... თურმე ძმები გაყოფილან, სულ ფიცარ-ფიცრად გაუტანიათ სახლი და ახლა ორსავე, რომ მთელად აღარ აქვთ მასალა, ქე არიან ისრე უბინაოთ... დაყანყალობენ იქითაქეთ. მაგათ ღმერთმა მშეიდობა მისცეს და მე რაზე მპატიჟობდა, ჰკითხეთ ერთი!

— გაყოფამდი გპატიჟობდი... მაშინ უნდა მწვეეოდი... ჩემი რა ბრალია. არა, ბატონო ჯიმშერ?.. კაი, თუ გინდ აგრე იყო, არ დამითვრიხარ იმ ღამეს მერე? — მიმართა სიცილით არისტომ კოტეს.

— ეგ კი... რომ ვბრუნდები ის არის, გეეიხედე აგერ არ შემომეყარა გზაში ეს ჩემი მასპინძელი?!. აი, შენ ასეთო, აი შენ ისეთო — მივაძახე გაცეცხლებულმა... არ გრცხვენია, ასე მომატყუე. მომკალი?! გულზე ვსკდები კაცი! ეს-კი იცინის... სადმე თავი მიმადებიე, შე უღმერთო, ვეხვეწები დაღლილი, მკვდარი კაცი. წამიყვანე, სადაც შენ მიეთრეევი-თქვა... წამიყვანა, ბატონო, ვიღაცა ნათლიმამა ჰყოლია. ვინ ოხერმა მოანათლია მაგას შვილი! წამიყვანა, მიმაყენა ყაზახისას... მოიფხანა ყაზახმა თავი, მარა რარიგად... რა არ მოგვიტანა, რა არ მოგვართვა, რა მასპინძლობა გაგვიწია... ეს შეჩვენებული კი დათვრა და სულ ერთიანად სტაქნები და საინები დოუფშვნა... ახლაც მრცხვენია, რომ გამახსენდება...

-- ხომ დაგათვრე?.. ამაზე იყავი მოსული და რაღას მემდური კიდევ, ჩემო ძმაო... დრო გაგატარებიე, ვალი გადამიხდია! -- დაატანა არისტომ. — შეტი რაღა გინდა?

— ეგ იმ კაცმა მცა პატიეი, შენ კი არა!..

-- ჩემით... აბა, მარტო მიბრძანებულიყავი... მარა შენ რომ მოჰყვები მასხრობას, ხვალამდი ვერ გაათავებ! — ხელი აუქნია არისტომ და ოთახში შეეიდა.

ბალდავაძე საზოგადო სიცილში ისევ განაგრძობდა თავის მონაყოლ ამბავს, არისტო კი ამ ეროს დაეძებდა სალომეს, რომელიც ვახშმის განკარგულებაში იყო.

— ბიძი, სალომე სადაა? — ჰკითხა მან ჯიმშერის პატარა ქალიშვილს.

— უკან ბალკონზეა, ბატონო! — მიუგო ბავშვმა.

არისტო გავარდა იქით და სალომესთან მისულმა, ხმადაბლა მიმართა:

— თუ შეიძლება, ბატონო, ერთი წამით! — და თვითონ წინ წამოუძღვა სალომეს.

— უკაცრავად ვარ, საქმეს მოგაცდინეთ! — დაიწყო არისტომ, როცა ორივე ერთ მივარდნილ ოთახში შეავიდნენ და არისტომაც კარი მიიხურა. — თქვენს ქმარ-შვილს, კარგ ქმარ-შვილს გაფიცებთ, შემეწიეთ ერთ პაწია საქმეში... მლოცავი ბევრი გყავთ, მაგრამ ერთიც რომ მიიმატოთ, ამით არას წააგებთ... მადლია და ღმერთი კიდევ უფრო მწყალობელი იქნება თქვენი, რავარც ახლა არის...

სალომე განცვიფრებით შეჰყურებდა ამ უცნაურ კილოზე მოლაპარაკე კაცს, რომლის სიტყვები მისთვის სრულიად გაუგებარი იყო.

— რა იყო, არისტო?

— ახლავე მოგახსენებთ... ამ საათშივე... მამიდაჩემს გაბრალებთ... უბედურ მამიდაჩემს... ბრეგაძეს რომ ჰყავდა...

— რავა? ხომ არაფერი დამართია? ა?

— ახლა დეემართა?!. ჩავარდნილია, თქვენი მტერი ჩავარდაცეცხლსა და გენიაში... მგლების ხელში!.. თქვენც გაგონილი გაქვთ; იმათი უწესობა და თავლაფდასხმა... რა ქალი და რა ოჯახში მოემწყვრა, რა ოჯახში?!. რა შეჩვენებულების ხელშია! თან მეცოდება საწყალი, საბრალო მამიდაჩემი, და თანაც მერცხვინება, ვერსად ვერ გამიმხელია მათთან მოყვრობა: ღარიბი, ღატაკი, დამსილიო, რომ გაგიგონია, სწორედ ისინი არიან!.. ებრძვიან ერთმანეთს. ეპიპყინებიან... კაცი ვერ მიხვალ, ვერ მიგიღებენ; ვერც თავად სადმე ჩნდებიან, გდიან ისე და აქვთ ნიადაგ ერთი ჩხუბი, ერთი დავიდარაბა ერთმანეთში... მე რომ ახლობელი მოყვარე ვარ, მე ვერ მივდივარ, არ შემიძლია უბედური ნათესავი ვნახო წელიწადში ერთხელ მაინც... რარიგად მივიდე? მე შენ გეტყვი, მიღება შეუძლიათ, ბინა აქვთ, სახლი, კარი, სასმელი, საჭმელი... ჰმ!.. ჩემს სისხლ-ხორცთან ვერ მივიდე წელიწადში ერთხელ, ორხელ?! ვოუგონია კაცს?! მარტო მრცხვენია, ამისთანა მოყვარე რომ მყავს... მერცხვინება, შენ ნუ მომიკვდები!.. და აგერ შემთხვევა არის და თქვენს სულს დაევ-

ნაცელე... თქვენს შემწეობას ნუ მომაკლებ... სულის საცხონებელი საქმე ქენი... შეეწიე საწყალს, გულშეწუხებულ, დამწვარ-დადაგულ, დახრაკულ დედაკაცს... შეეწიეთ, ღმერთი თქვენც შეგეწევათ!..

— რითი, ჩემო არისტო, რითი? — ეკითხებოდა გაკვირვებული ქალი, არისტოს მშვერმეტყველებით გულაჩვილებული. — რით, არისტო ჩემო?

— მხოლოდ ერთი თქვენი სიტყვა, სხვა არაფერია საჭირო. ერთადერთი სიტყვა! თქვენს ძმისწულს რომ ეგერ სამანიშვილი მოსყვა, — დაიწყო უფრო ხმადადაბლებით არისტომ, — ის სამანიშვილი სადედინაცვლოს ეძებს... ორნაქმარებს და უშვილოს...

სალომეს გაეღიმა.

— მამა ახირებია, ცოლი უნდა შევირთოვო და მაგას მამულის კამყოფელიდან უნდა თავი დეიფაროს... და ეძებს დედინაცვლად ორნაქმარევ, უშვილო ქალს. დიახ!.. ჰო და მამიდაჩემი სწორედ ზედ კამოჭრილიო რომ იტყვიან, ისეა მაგათ საძებარზედ...

სალომე რაღაცას ჩაფიქრდა.

— მართლა არ ჰყოლია მგონი ელენეს შვილი, — წაილაპარაკა ჭან.

— არა, ბატონო, არა!.. შეჩვენებული ვიყვე, თუ ვტყუოდე, თუ როდისმე ჰყოლოდეს! რა ხანია თქვენ მას იცნობთ, თქვენ გაიგონებდით.

— კია ოცი წელიწადი!

— ჰო-და... ოცი წელიწადიც ხომ შვილი არ ჰყოლია... მერე კაი შეგვიანებული იყო, რომ გაუთხოვებიათ... ახლა ეყოლება მაგას შვილი? თავს დავდებ, ბატონო, ხელს მოვიჭრი... რაც გინდათ, ის მიქენით!.. ვის გოუგონია მაგისი შვილი აწი! — ცხარობდა არისტო.

— მერე მე რითი უნდა შეგეწიო, არისტო ჩემო?

— ურჩიეთ მაგ სამანიშვილს დედინაცვლად ელენე... გამოჰკითხეთ აქეთ-იქით, ამბავს ჰკითხავთ და როცა სიტყვა ჩამოაგდოს... თქვენ უსათუოდ გკითხავთ რჩევას და ამას გევედრებით, მიქენით წყალობა, თქვენს სიტყვას ის კაცი გაჰყვება. უქეთ მამიდაჩემი, იცხონეთ სული, შეეწიეთ გაჭირვებულს!.. მაგ ყმაწვილი ერთადერთი შვილი ყოფილა ოჯახში... როგორც ეტყობა, კი, ცოტა მაგარი კაცია, მარა რიგიანი უნდა იყვეს. ჩემთვისაც ძალიან იქნება, ბატონო, მიხვალ კაცი კაცთან, ნახავ, გნახავს, მტერ-მოყვარეობას გაგიწევს... შენი ჭირიმე, ჩემო ბატონო, ჩემო!.. ერთი სიტყვით... რაღა ვთქვა... — და სიტყვა რომ აღარ ეხერხებოდა, ყელმოგრეხილი არისტო ყანყრატოში მარცხენა ხელის წავლებით, წვერებწამოშვე-

ალი, უცნაურად ეღრიჭებოდა სალომეს. — შენი ჭირიმე... შენი... შენი!

— ბატონი ბრძანდები... კი, ბატონო... მაგაზე რათ გინდა მაგდენი ხვეწნა!..

— შენს სულს ღმერთი გაახარებს... ჩემო ბატონო, ჩემო!

— კი, ბატონო, კი!..

— რაღა ვთქვა... რითი გადაგიხადოთ მაგიერი! — წამოიძახა არისტომ და ჩაეფრინდა ხელებში სალომეს და კოცნა დაუწყო.

— მაგაზე, შე კაცო, რა... ნეტავი კი რამე იქნებოდეს და...

— კი, იქნება, კი... აწი კი იქნება ყველაფერი... და კაცი არ ვიქნები, თუ დღე არ გავუმწარე იმ ოხრიშვილებს!.. მე ვაყურებიებ მათ თავიანთ სეირს... საქვრივოს რომ გადავაშლეპიებ!.. მაშინ ექნებათ საბუთი, ცუდი კაცი მიძახონ... აბა, ბატონო სალომე... მეტი რავალა შეგაწუხო კიდევ!..

— მოგახსენე და სწორედ ვეცდები... მეტი ხვეწნა რაღა საჭიროა!

— თქვენ გაცოცხლათ ღმერთმა უკუნითი უკუნისამდე... თქვენ გაცოცხლათ!.. — წამოიძახა გრძნობით არისტომ და უცბად დაატანა: — ახლა კი ისევ ზალაში შევალ, თვარა ეგებ ქე შემნიშნოს გამოპარვა და ეპვიც ეიღოს რამე იმ კაცმა... ნურას უკაცრავად, შენი ჭირიმე! უნდა შევიპარო ისე, შეუმჩნევლად...

და კმაყოფილი არისტო ოთახიდან უცბად გამოვარდა და მარტოდ დატოვა გაოცებული სალომე.

ამ დროს პლატონი ერთ წყვეტებაში იყო. თუმცა მის გარშემო ბმაურობა და ჟრიამული იდგა, მას არა ესმოდა-რა, — თავის აზრებში იყო წასული. იგი თითქოს ვერც ამჩნევდა, რა მხიარულება სუფევდა ამ საზოგადოებაში; ვერ ხედავდა, რარიგათ ეჯიბრებოდნენ ეს ყმაწვილები ერთმანეთს, თუ ვინ უფრო მეტ სიცილს გამოიწვევდა, ვინ უფრო აამებდა მათ საყვარელ მასპინძელს, რომელიც გულით ერთობოდა და ხალისობდა. პლატონი ხანდახან თუ ათხოვებდა ყურს, რაც ამბავი ხდებოდა მის მახლობლად, თორემ სულ იმას ფიქრობდა, რა ექნა, რა გადაწყვეტილებას დასდგომოდა? მიელო ამ ქვაშავიძის წინადადება, თუ არა? გადაეწყვიტა ამ ვიღაც ბრეგაძის ქვრივზე საქმე, თუ სხვაგან ეძებნა სხვა ქალი? ვაი თუ ეყოლოს შვილი?... მარა თუ მართლა ორნაქმარებია, უშვილო... შვილი რავა ეყოლება... რა ღმერთი გაუწყრება, რა! ჯინი ბომ არ ჭირს მისი? იგი ათასნაირად სწონიდა ამ საქმეს. ხან ასე ფიქრობდა, ხან ისე. ხან გადასწყვეტდა, ხან ისევ მეტ გაფრთხილებას ურ-

ჩევდა თავისთავს... ყმაწვილი კაცი ერთ გაწამაწიაში იყო... დრო კი მიდიოდა და საჭირო იყო რაიმე გადაწყვეტილება მიეღო, საჭირო იყო პასუხი მიეცა ქვაშავაძისათვის, დაპირებისამებრ. ეძიოს სხვა-გან? უარი უთხრას ქვაშავიძეს?.. თუ სალომესთან მივიდეს და დაეკითხოს? მაგრამ რარიგათ? ვინ მისცემს იმდენ თავისუფლებას ახლა სალომეს, რომ მასთან თავისუფლად მოლაპარაკება შეიძლოს?.. საწყალს, ამ გაწამაწიაში მყოფს, თავბრუ ესხმოდა. მოღალული ტვინი ხეირიანად ვერც კი მოსაზრეობდა და დაღლილი პლატონი იჯდა სანდახან გაყუჩებული, გაყეყეჩებული. ამ გაწვალებაში მყოფს უეცრივ არისტოს ნათქვამი გაახსენდა. ეგება მართლადაც ეს ქალი მამამისის ბედი იყოს?!. მართლა, რა არის, აბა, რომ თავიდანვე ამ ქალს უხსენებენ და ყოველი გარემოება ისე ეწყობა, რომ უსათუოდ ამ ქალის მხსენებელი ხვდება ყველგან, თითქოს განგებ პირი შეეკრათ ამაზე... ხომ არავინ იცოდა? მას ხომ ერთი სიტყვაც არ დასცდენია თავის საიდუმლოს შესახებ გვერდევანიძესთან — თვითონ იმან ახსენა და აქო ეს ქალი... ქორწილიდან სახლში ბრუნდებოდა, მაგრამ მაინც აქეთ წამოვიდა... აქ მოვიდა და, თითქოს განგება იყოს, ეს ქვაშავიძე დახვდა და ამავე ქალს ურჩევს და აძალებს... რა უნდა იყოს ასეთი უცნაურად მოწყობილი ამბავი?.. რას მიეწეროს?.. ასე უმნიშვნელოდ რავა იქნება, რავა ხდება ეს ამბავი?! ეგებ მართლა ღმერთი ანიშნებდეს და გაჭირვებულს დახმარებას აძლევდეს, ეწეოდეს, საქმეს უადვილებდეს, ბედზე უთითებდეს... აბა, რატომაა ასეთი უცნაური, თითქმის შეთანხმებული, ერთპირიანი ლაპარაკი ყოველგან ამ ერთ ქალზე?! და ამაზე, ამ აზრზე შეჩერებული პლატონი, რაც უფრო უკვირდებოდა გარემოებას, უფრო და უფრო რწმუნდებოდა, სჯეროდა, რომ აქ სხვა არა უნდა ყოფილიყო რა, რომ ბრეგაძის ქვრივი მამამისის ბედი უნდა ყოფილიყო და მას უთითებდნენ ზედ, ანიშნებდნენ. ამ აზრმა ისე შეიპყრო პლატონი, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ, თითქოს მძიმე ტვირთმოხსნილივით, რაღაც გასაჭირისაგან განთავისუფლებულივით, მან მხიარულად, თავისთავად წაილაპარაკა:

„სწორედ... სწორედ... სწორედ ასე უნდა იყვეს! რაც იქნება — იქნება!.. ბედს სად წაუვა, სად დეემალება კაცი?!“

და გულგახსნილი ახლა გუნებაში ღმერთს ეხვეწებოდა ისევ, რომ შეებრალებინა მისი ცოლ-შვილი, მისი თავი და ყოველივე უბედურება თავიდან აეცილებინა.

გულმოშვებული ახლა იგიც შეუერთდა საზოგადო მხიარულე-

ბას, ახლა იგიც სიამოვნებით შეჰყურებდა ამათ მასხრობას, იცინოდა ამათთან, ამ უდარდელ ყმაწვილებთან.

„იყოს კაპასი... ავგულიც. რას დამაკლებს?! — გაურბენდა ხარდახან თავში და მერე ისევ ყური ამ ყმაწვილებისაკენ ჰქონდა. — მარა, ვაი თუ დედაკაცი უარზე დადგა, მაშინ? — ისევ უბრუნდებოდა თავისას პლატონი. — მაშინ?... ეგ რავა შეიძლება!.. რაკი ბედია... უსათუოდ დათანხმდება, რავა შეიძლება!.. — ანუგეშებდა თავისთავს. — ეს არისტო რა იქნა!“

უნდოდა ახლავე შეეტყობინებინა მისთვის თავისი გადაწყვეტილება, ეთქვა, რომ ხვალ უსათუოდ წასულიყვნენ ქვედურეთში და საქმე გაეთავებინათ. დაუწყო არისტოს ძებნა თვალით და ის იყო აივნიდან ზალის გაღებულ კარებში არისტოც გამოჩნდა.

არისტომაც მოჰკრა თვალი პლატონს და როცა შეამჩნია სახეზე რაღაც კმაყოფილება, წავიდა მისკენ.

— რას შვრები, კაცო? — ხმადაბლა ჰკითხა მან. — როგორ გადაწყვიტე?

— ხვალ წავიდეთ ქვედურეთში! — უთხრა პლატონმა.

— აბა, რაღას მაწვალებდი, შე კურთხეულის შვილო... ძმობას გეფიცები, იმდენს საქვრივოს ავაღებიებ, რომ...

— არა, არა... რაში მინდა, გაპირვებულებს წანართმევი!.. საქვრივოს რას დავეძებ!..

— ერთი შენ კიდევ! — შეუტია არისტომ.

— მაგას თავი დავანებოთ... ეს მითხარი, მამიდათქვენი ულამაზო ხომ არაა?.. მტერმა არ გაგეცინოს, მოყვარესაც არ ეწყინოს...

— ულამაზო? მიპრძანდით... მონახეთ მეორე მისი დასადარი ქალი... რითაც გნებავთ — სილამაზით, შეხედულობით, ჯანმრთელობით... რას ამბობთ?!. ჰმ!

— კი დაგემართოსთ, კაი დაგემართოსთ!.. აბა ხვალ... ნუღარ გადავდებთ!

— არა, არა! — მიუგო არისტომ. — დარდი ნუ გაქვს... აწი მე ვიცი!

პლატონი ერთობ კარგ გუნებაზე დადგა, აღარც კი დაეძებდა მაინცდამაინც სალომეასთან წინანდელ გადაწყვეტილებისამებრ მოლაპარაკებას, რჩევის კითხვას; დარწმუნებული იყო, რომ ბეკინას ბედს მიაგნო და რამდენიმე ხნის შემდეგ მოსალხენად გამზადებული ვახშმის სუფრას მიუჯდა და მხიარულად ელაპარაკა სალომეს, შემდეგ ვერიჩკას სიმღერაშიაც მხარი მისცა; შეუერთდა საზოგადო ყიჟინს და ყანწს ყანწზე გულმოდგინებით სცლიდა.

— არისტო, პლატონ, აბა, ჰე, აბა, ჰე! — უძახოდა მათი მოლხენით ნასიამოვნები ჯიმშერი. — არიქა, პლატონ... ჩემს პლატონს სიცოცხლე და დღეგრძელობა და ყოველივე სიკეთე! — მიაძახა მას, გადაისვა ტუჩებზე ხელსახოცი და წამომდგარმა გაუშვირა ყანწი.— მოდი, ერთი მაგ შენ ლამაზ წვერებში გაკოცო!

პლატონი წამოეარდა, მივარდა ჯიმშერთან, გადაეხვია მოხუცებულს, მხურვალედ აკოცა გულში და იქვე ღვინით ავსილი სასასმო სულდაუთქმელად გამოცალა.

გათენებამდის დიდი ხანი აღარც კი რჩებოდა, სუფრიდან რომ წამოდგნენ არისტო, პლატონი და მათთან კიდევ ორიოდე ყმაწვილი. სხვებმა უფრო ადრე მიატოვეს სუფრა და ზოგი იქვე იწვა ზალაში ტახტზე გაგებულ ქვეშაგებში, ზოგი კი ოთახებში.

— ერთი ჩვენც წავდვათ თავი და მერე გავსწიოთ ჩვენთვის... — თქვა არისტომ და პლატონთან ერთად ეზოში ჩავიდა. ნიგვზის ქვეშ ორივემ გაიხადეს ჩოხები, დაიდვეს თავქვეშ, შეიბსნეს ახალოხილები, გაგორდნენ სახლიდან ჩამოტანილ ნოხზე და ერთი წამის შემდეგ ორივე ღვინისგან გალეშილნი, მძიმედ-მძიმედ ქელავდნენ ძილმორეულნი.

აგერ ინათლა და ამომავალი მზის სხივები მოეფინა დედამიწას. არემარე ჩაჩუმებული იყო, ტკბილ ძილში გართული; ყოველივე მიწუნარებული, მიყუჩებული, თითქოს ნაზობდა ამ თბილ, მანებივრებელ სინათლეში.

მოუსვენრად გატარებული ღამის შემდეგ ამ მშვენიერ დილას თითქოს სწადდა დაკარგული ძალ-ღონე დაებრუნებინა ყმაწვილებისათვის, რომელნიც მას მინდობიან და აგერ გარეთ ამწვანებულ ბალახში დაყრილან დასასვენებლად.

პლატონისა და არისტოს გარდა სხვებიც გორავდნენ ნათიბში. ღრმა ძილში წასულნი. აქვე სძოვდნენ მათი ცხენები.

მზემ კარგად წამოიწია. ჰაერიც თანდათან უფრო თბებოდა; სხივებს ძალა ემატებოდა და მათ ქვეშ მძინარის ძილიც უფრო მოუსვენარი ხდებოდა. აქამდის უძრავად მწოლარე, ახლა ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდებოდა, ხან მეორეზე, მოუსვენრად შლიდა ხელებს, არიდებდა პირს ზევიდან დაჩერებულ მზეს, ნიგვზის ფოთლებს შუა შემოპარულ მის გამთბარ სხივებს...

— უჰ, თავზე არ წამოგვდგომია მზე! — უცბად წამოვარდა ზეზე არისტო და პლატონს დაუწყო ღვიძება. — ადე, ადე, ყმაწვილო... წავიდეთ, თვარა გაშუადღევდა ეს არის. ნულარ დეივგვიანებთ!

პლატონმა ძლივს გაახილა თვალები, ზანტად წამოდგა დაღლი-

ლი, მაგრამ აფაცურებული არისტო აჩქარებდა, ძილის ნებას აღარ
აძლევდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ორთავემ ჩაიცვეს, დაიხურეს
ცხენები დაიჭირეს, შეკაზმეს, ბიჭის პირით მადლობა შეუთვალეს
მასპინძელს, შესხდნენ ცხენებზე და გასწიეს ქვედურეთისკენ.

X

სალობერიძის სახლიდან ქვედურეთამდე კაი შორი გზა ჰქონ-
დათ ჩვენს მგზავრებს. მზე იწურებოდა ისინი რომ ამ სოფელში შე-
ვიდნენ და არისტომ ცხენი გააჩერა ერთ ჩანგრეულ ღობეში და-
ტანებულ წკნელის ჭიშკართან.

— მივაწიეთ, ღვთის მადლით! — წამოიძახა მან და ცხენიდან ჩა-
მოხტა.

ჩამოხტა პლატონიც.

— აქაა? — იკითხა მან.

— აქ გახლავან, აქ, — რაღაც მტრულად წარმოსთქვა არისტომ, —
აქ გახლავან... ე, იმ ქოხში უფროსი ძმა გევიდა დროებით... ამაში
კი საშუალო და უმცროსი არიან... ეი, მასპინძელო! — დაიძახა არის-
ტომ, ჭიშკარი რომ შეაღო და ეზოში შევიდნენ.

— მე შენ გეტყვი, ხმას ვერ გააწვდენ თავიდან ბოლომდის, იმ-
ხელა გაშლილი ეზო აქვთ ამ შეჩვენებულებს... ჩაბარდნენ პატ-
რონს, თუ რა დეემართათ, რომ არავინ ჩანს! — წაილაპარაკა წინ
მიმავალმა არისტომ.

ოდის ყურიდან თავსაფარწაკრული ქალის თავი გამოჩნდა და
იმწამსვე მიიმალა; მერე იქიდანვე გამოხტა წვივებგატიტვლებული.
პერანგა ბავშვი, შეჩერდა, მიტრიალდა უცბად, ამოეფარა სახლის
ყურეს და იქიდან დაუწყო ცქერა მოსულებს.

— ეწყინათ ჩვენი მოსვლა ამ მუდრეგებს?! — წაილაპარაკა
არისტომ და მზად იყო ერთი-ორი ასეთი გინება კიდევ მიეძღვნა მას-
პინძლისათვის, რომ აივანზე გამოჩნდა თმაგაჩეჩილი, ლამაზი სახის.
ახალუხზე ღვედშემორტყმული, გაშლილი ჩოხით ყმაწვილი კაცი და
სტუმრებისაკენ წამოვიდა.

ეს იყო უმცროსი ბრეგაძე, სერაპიონი.

— პლატონ სამანიშვილი გახლავთ!.. სერაპიონ ბრეგაძე!.. —
პირველი მისალმების შემდეგ გააცნო ერთმანეთი არისტომ.

— მობრძანდით, ბატონო! — მიიპატიჟა სერაპიონმა მოსულე-
ბი. — ეს ცხენები მიბოძე, არისტო!

— სერაპიონ ჩემო, აქიდანვე უნდა გამოგიტყდე, რომ ამაღამ

თქვენს იქით გზა აღარა გვაქვს... ვეღარსად წავალთ და, თუ ძმა ხარ, ცხენებისათვის საკვები გვიშოვე, შენი ჭირიმე! — უთხრა ბრეგაძეს არისტომ.

— კი, ბატონო!.. რამდენიც გნებავთ... კი, ბატონო! ჯერ აგერ დავაბამ და მერე მე თვითონ მოვუვლი... სახლში მიბრძანდით!

— დავითი შინაა?... — იკითხა არისტომ სერაპიონის უფროსი ძმა.

— არ გახლავთ... საღამოს გიახლებათ... სხვაგან საქმე ჰქონდა...

— კაი დაგემართოს! — წაილაპარაკა არისტომ და თან გუნებაში დაუმატა: „აბა, საქმეს დაჩქარება უნდა იმ მხეცის მოსვლამდი, თვარა მერე დროსაც ვეღარ ვიშოვი, მამიდაჩემს სიტყვა ვუთხრა“.— მამიდაჩემი რას შვრება, სერაპიონ ჩემო?

— რას იზამს... კარგადაა... აგერ თავადაც მოდის!

მართლაც, ოთახიდან აივანზე გამოვიდა ხნიერი დედაკაცი, ჩამოირბინა კიბე და კვატასავით მობაჯბაჯებდა არისტოსაკენ, თან თავსაფარს ისწორებდა და თან გაიძახოდა:

— შენი ჭირიმე... შენ დაგენაცვლა მამიდაშენი ელენე, შენ! ჩემო გვრიტო და მალხაზო... ძლივს არ მოვესწარი კიდევ შენს ნახვას! შენი ჭირიმე, შენი, შენი! — და სიხარულით გაცეცებული ქალი ეხვეოდა თავის ძმისწულს და მხურვალედ ჰკოცნიდა. — არ გრცხვენია, ბიჭო, ასე რომ მიმივიწყე?.. ასე უნდა მამიდის დავიწყება?.. ასე?..

— აწი ხშირად გნახავ, მამიდაჩემო... უფრო ხშირად!.. სტუმარი მოგიყვანეთ, მამიდა, სტუმარი! აზნაური პლატონ სამანიშვილი, ბეკინა სამანიშვილის შვილი! ძალიან სასიამოვნო სტუმარი! — ეშმაკური ღიმილით დაათავა არისტომ სიტყვა.

ხნიერი დედაკაცი უცბად მიტრიალდა, თავი დაუკრა პლატონს, ხელი ჩამოართვა და თანაც მოიბოდიშა:

— ღმერთო მომკალი! სიხარულმა გამომაჩერჩეტა მე უბედური, ოვალები რავა ამება მე უბედურს, მობრძანდით; სახლში მობრძანდით, ნუ მიძრახავთ, ჩემო ბატონო!

— რას ბრძანებთ, ბატონო! — მიუგო პლატონმა, — რათ სწუხართ მაგისათვის...

— დავიწყებული ვყავარ, ჩემო ბატონო, სულ დავიწყებული! ერთხელ წელიწადში რავა არ უნდა გნახოს შენიანმა?

— გამხნევდი, მამიდაჩემო! აწი უფრო ხშირად გნახავ-თქვა, აკი გითხარი.

— უწინაც მპირდებოდი, მარა...

— ახლა აღარ მოგატყუებ, შენ არ მომიკვდე! — სიცილით მიუგო არისტომ.

— ნეტავი მაგას მოვესწრებოდე და!

— კი მოესწრები!..

სერაპიონს კიდევაც გაუკვირდა არისტოსაგან ეს დაჯინებული სიტყვა და უნდობლად მისჩერებოდა ამის მთქმელს, რადგან ვერ მიმხვდარიყო ნათქვამის მნიშვნელობას.

პლატონი კი დაკვირვებაში იყო გართული. ეს დედაკაცი სწორედ ურიგო არ იყო. თავის ხნოვანობის მიხედვით შეხედულებაც სასიამოვნო ჰქონდა. მართალია, ეტყობოდა გამოსვლის წინ უმარილი მოესვა პირზე, თვალების უბეები სულ ამოთეთრებული ჰქონდა ამ საცხებლით, მაგრამ მაინც მისი კაი ფერი, წითური ლოყები თვალში ეცა პლატონს. და თქმა არ უნდოდა, რომ ბეკინა ვერ დაიწუნებდა ამ ქალს. რაც მეტს უკვირდებოდა პლატონი, თანდათან რწმუნდებოდა, რომ გულკეთილი, კარგი ადამიანი უნდა ყოფილიყო. ამას იგი ქალის სახეზე კითხულობდა ნათლად; და ამასთან სალომესგან ამისი ქება რომ აგონდებოდა, მისი უშვილოსნობა, რომ ორი ქმრის ნაყოლი იყო, რომ მას შეეძლო მისი ლუკმის დაცვა განუზიარებლად, პლატონის გული სიხარულით ივსებოდა, მეტი სიამოვნებისაგან აჩქარებით ტოკავდა და სიყვარულიც ეღვიძებოდა ამ ადამიანისადმი. ამ უკანასკნელი გრძნობით, თუმცა ჯერ გამოუთქმელით, მას სწადდა ამთავითვე თავისკენ მიემხრო ეს ქალი, მიემხრო და ნამუსზე შეეყენებინა, რომ მასაც სიყვარულისათვის სიყვარულითვე ეპასუხა და არა ბოროტებით.

— ჩანს, მართლაც ღმერთი მწყალობს! — გაიფიქრა კმაყოფილმა პლატონმა.

მიპყრობილი თვალით იგი ცდილობდა არისტო მიეხვედრებინა, რომ მას მოსწონდა მამიდამისი, რომ იგი თანახმა იყო და სწადდა, რაც შეიძლება მალე დაეწყნარებიათ მისი აფანცქალებული გული თანხმობის სიტყვის გაგონებით. იგი ისეთნაირმა მოუთმენლობამ შეიპყრო, ისეთნაირ მოუსვენრობას მიეცა და ისეთმა აჩქარებამ შეიპყრო, თითქოს ვისიმე შიში ჰქონდა, მოცილე არ გამოჩენოდა, ვინმეს არ წაერთმია ეს მოხუცებული ქალი, ხელიდან არ გამოეგლიჯა მისთვის ასეთი ძვირფასი არსება.

არისტო ადვილად მიუხვდა, რასაც პლატონის თვალები ეუბნებოდნენ. მაინცდამაინც მისთვის არაფერი საჭირო იყო პლატონის ნიშნები. კი, მართალია, ამით საქმე ადვილდებოდა, მარტივდებოდა, თორემ მის გუნებაში საქმე გადაწყვეტილად იმ წამიდან მიაჩნ-

და, რაკი პლატონს ამ ესოში ფეხი შემოადგმევინა; იმ წამიდან, რაც უნდა უარზე დამდგარიყო პლატონი, არისტოს გადაწყვეტილებით, იგი იძულებული შეიქმნებოდა, — ამას მოახერხებდა არისტო, — უსათუოდ დედინაცვლად მიეღო მამიდამისი, მაგრამ რაკი პლატონმა ქალი მოიწონა და თანახმა ხდებოდა, მას საქმე უადვილდებოდა. ამით შეხალისებული არისტო მიზეზს ეძებდა, რომ მამიდამისი ოთახში შეეხმო და გამოეცხადებინა მისთვის მათი მოსვლის მიზეზი.

ეს მით უფრო საჭირო იყო ახლავე ექნა, რომ დავითი სახლში არ იყო და მეთვალყურე უფრო ნაკლები ეგულებოდა.

ის იყო არისტომ ამისი ასრულება დააპირა, რომ აივანზე გამოვიდა დავითის ცოლი, ნუჩია, ყმაწვილი, სასეგამხდარი ქალი, თითქმის ტიტეელა, ძუძუთაბავშვით ხელში. მან სტუმრებს ხელი ჩამოართვა და ხმაამოუღებლად მიჯდა კუთხეში, პატარა, დაბალ საფეხა სკამზე.

— ბატონი ძალიან გემდუროდათ, რომ არ ნახულობდით, — მიმართა არისტოს ნუჩიამ, ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ.

— ახლა საქმე ისე მაქვს, რომ აწი აღარ ვათქმევინებ მაგნაირ სამდურავს ჩემზე! — მიუგო არისტომ.

— კაი დაგემართოსთ!

— მაგასაც ვნახავთ! — თქვა ელენემ.

— აგერ ნახავ! — თქვა არისტომ და მერე უცებ დაატანა: — უკაცრავად ვარ, სერაპიონ ჩემო, ცხენებისათვის რომ გთხოვე... აწი ქე დაღამდება და...

— ახლავე, ჰა, ახლავე!—წამოდგა სერაპიონი და ქვევით ჩავიდა.

— მამიდაჩემო, ეს ლეკურ-ხანჯალი შემინახე შენ! — წამოდგა არისტო და შეავიდა სახლში; მას თან შეჰყვა მამიდამისიც.

არისტომ ჩამოიხსნა ლეკური და გადასცა ელენეს; ახლა ხანჯალს რომ იხსნიდა, კარებისაკენ თვალებდაჭერილმა, დაბალი ხმით ელენეს მიახალა შემდეგი სიტყვები:

— მამიდა, იმ ყმაწვილს დედინაცვლად უნდიხარ, იცოდე, და აქედანვე მითქვამს შენთვის, არაფრის გზით უარი არ მოხერხდება!

— ასე მასხრობაში უნდა გაატარო, შე დოუწყნარებელო, შენი წუთისოფელი?.. — მიუგო ხნიერმა ქალმა.

— შენ არ მომიკვდე, მე შენ არ გეხუმრებოდე!.. შენ არ მომიკვდე!.. კაი ოჯახი, კაი მამული... სახლი, კარი, პატიოსანი აზნოუშვილები... ჭარმაგი მოხუცებული... არც ისე მოხუცებული შაინცდამაინც!

— სუ. შე უხეირო, სუ! გეყოფა... სხვა რამეზე იმასხრე... შენ გენაცვალე, სხვა რამეზე... ღმერთო მომკალი!..

— კი არ გემასხრები, საქმეს გეუბნები და გეიგონე ჩემი! ღმერთი გამიწყრეს, თუ გეხუმრებოდე, შერცხვენილი ვიყო თუ პირდაპირ ამაზე არ ვიყოთ მოსული. არ დაიჯერებ კიდევ? ამ მხეცების ხელში რომ ხარ, მებრალები და ღმერთმა ხსნა გაღირსა და ეს არის... — და არისტო მოუყვა სამანიშვილების ამბავს ელენეს, აწონებდა მათ, თუმცა თვალითაც არ უნახავს მათი ცხოვრება; პირდებოდა, რომ სულ აღარ მოგშორდები, რაკი სამანიშვილისას მიგიყვანო, ათასნაირ ფერადებით უწერდა ახალ ოჯახში ცხოვრებას.

— გზა არ გაქვს, გზა, უარი თქვა! რას ამბობ?! კაი ოჯახი, კაი სასძელი, კაი საქმელი, ყველაფერი ბევრი... მე სულ შენთან ვიქნები, შეტ რა გინდა კიდევ? არა, უარის თქმა ყოვლად შეუძლებელია... ყოვლად შეუძლებელი! ლაპარაკი საქიროც აღარაა... შენ არ მომიკვდე! — გადაწყვეტით ამბობდა არისტო.

ამნაირი უცნაური, მოულოდნელი ამბის გაგონებისას ხნიერი ქალი ხან „უიმეს“ იძახდა, ხან შეჰკივლებდა გაოცებული, ხან აჩუმებდა თავის ძმისწულს, ხან რას ამბობდა, და ყოველივე ეს სიზმარივით ეჩვენებოდა საწყალს. მას სრულიად არ სჯეროდა ძმისწულის სიტყვა, ასე რომ არისტოს გულიც მოუვიდა ბოლოს, რომ ამ დედაკაცს ყერაფერი შეასმინა. ძლივს, როგორც იქნა დააჯერა, რომ მართალს ეუბნებოდა, რომ მთხოვნელი სახლში ჰყავდა მოსული და დარწმუნებულმა, რომ ხუმრობა აღარ იყო, ელენემ უნებლიეთ ამოიხვნეშა და უნებურად წამოსცდა:

— ვინ ვამიშვებს აქედან, შვილო?

— რაღომ?

— ხარჯი დაჭირდებათ... თავს ვერ ირჩენენ და ამნაირ საქმისათვის რა მოეძებნებათ?

— შენ კბილებს!.. მაგათ ხელში, რომ მოვკვდე, მაინც არ დაგტოვებ, რაკი ამნაირი საშუალება მეძლევა... რას დავეძებ მაგათ? კისერიც უტეხიათ!..

— რა ეზამ, შვილო?.. რას მოუხერხებ?..

— რა ვიზამ? რას ვიზამ და მოგიტაცებ — ამას ვიზამ!

— უიმე!... უიმე!.. — და პირზე ხელი მიიფარა ელენემ. — უიმე!.. ჩემი გამოჭენება გინდა ამ მოხუცებულობის ხანს?.. უიმე! უიმე! აჰ, არ თქვა, შაგ!.. არა, არა! შენი ჭირიმე!.. ასე გავატარებ გაძაღლებულად ჩემს წუთისოფელს... არაფერს არ დავეძებ, შენ დაგენაცვალე! — აწრიალდა იგი.

მაგრამ არისტო თავისას არ იშლიდა. გადაწყვეტით გამოუცხადა, რომ უსათუოდ უნდა წაჰყოლოდა სამანიშვილს, გამოუცხადა მოტაცებაც რაგვარად უნდა მოეხერხებინათ: ელენე ესტუმრებოდა ერთ თავის ნათესავს, საიდანაც წაიყვანდნენ და ჯვარს დასწერდნენ ბეკინაზე. არისტო ხმის ამოღების ნებასაც არ აძლევდა მოხუცებულ შამიდას, რომლის გონებას რაღაც ბურანი შემოხვეოდა ყოველი ამ გაგონილისაგან.

ამასობაში კი აივანზე დარჩენილი ნუჩია და პლატონი, თუმცა თითო-ოროლა სიტყვით შეენაცვლნენ ერთმანეთს, მაგრამ მუსაიფი მაინც ვერ გამოაწყვეს და მოელოდათ მეტად სამძიმო, უხერხული მდგომარეობა, ხმაგაკმენდით სხდომა, როცა მათდა ბედად ბავშვმა ტირილი დაიწყო და ერთი წამის შემდეგ ისეთი ყურთასმენის წამღები ჰყვირილი მორთო, რომ ნუჩია იძულებული შეიქნა ამდგარიყო და სტუმარი გაეთავისუფლებინა ბავშვის შემზარავი წივილისაგან.

მარტოდ დარჩენილმა პლატონმა პირი ეზოსაკენ მიიბრუნა და იქაურობას დაუწყო თვალიერება.

ჩამოწოლილ ბინდში ახლა კიდევ უფრო გულდამწყვეტი შეხედულება მიიღო აქაურობამ, ვიდრე პირველ დანახვაზე ჰქონდა. პატარა ხრიოკი, დაფერდებული ადგილი, აქა-იქ ჩამტვრეული ღობით შემოვლებული; ფერდობზე მიკრული, წინიდან ბარჯგებზე შეყენებული პაწაწინა ოდა, რომლის აივანზე იჯდა ახლა პლატონი; ცოტა მოშორებით გლეხური სახლი, ალბათ, უწინ სამზარეულოდ ხმარებული, რომელიც უფროს ძმას გადაეტანა და რომელშიაც ახლა ცხოვრობდა თავის ცოლ-შვილით, — ეს იყო ის შენობები, რაც ამ ეზოში ჩანდა. ღობის გადაღმა მოჩანდა ისლით დახურული, ერთიმეორეზე მიკრული გლეხის სახლები; ქვევით, დავაკებულში ბოჩანდა დანარჩენი სოფელი, როგორც ეტყობოდა, ღარიბი, შეუძლებელი.

წინათ მიყუჩებული, მიჩუმებული სოფელი თითქოს ახლა შეაბალისდა, გამოიღვიძაო; ორღობეებში თავდაღმართიდან ერთი ჯლიგინით მოერეკებოდნენ საქონელს, მოისძოდა უკან მომდევარ მწყემსების ყვირილი, შეწყრომა. სახლების ერდოებიდანაც აქა-იქ კვამლმა იწყო ამოფშუება.

თითქოს ამ პატარა ქოხშიაც სიცოცხლემ გაიღვიძაო. პატარა გოგომ ჩაფით წყალი მოარბენინა; მერე, ეტყობოდა ცეცხლიც დაანთეს და, რამდენიმე ხნის შემდეგ, გაღებული კარიდან მკაფიოდ მოისმა მშვადის მცხობელის ხელების პარტყა-პურტყი. პატარა თავში-

შველა და ფეხშიშველა შვიდი-რვა წლის ბიჭმა, პარკით გვერდზე, სახრით ხელში, შემორეკა ეზოში რამდენიმე სული საქონელი; ამას უკან შემოჰყვა გრძელწვერა, შეხსნილი ახალუხით, ძელით მხარზე, ღვედში ნაჯახგარჭობილი კაცი, რომელმაც ერთი გაჯავრებით შეჰყვირა ბავშვს, როცა საქონელი ქოხისკენ გაეშურა; ბავშვი გაიქცა და ისევ აქეთ გამორეკა პირუტყვი. მოჰკრა თვალი თუ არა აივანზე უცხო კაცს, იმწამსვე ოდის უკან მიიმალა. ეს კაცი იყო დათია ბრეგაძე. ცოტა ხნის შემდეგ, ქოხის მახლობლად, გადასაბიჯზე გადმოაბიჯა მხარზე შეშა გადებულმა მეორე კაცმა, — ეს უფროსი ბრეგაძე იყო. მან კარებთან დააგდო ტვირთი, მოიხედა ოდისკენ, მიაჩერდა პლატონს და სახლში შევიდა.

— ის ვინაა, აივანზე რომ წამოჭიმულა? — უსიამოვნოდ, წარბების შეხრით შეეკითხა დათია ცოლს, რომელიც ცეცხლს ანთებდა ოდის უკან გადმოხურულში, რაიც სამზარეულოს მაგიერობას უსრულებდა ამ ოჯახს მის შემდეგ, რაც ანტონმა სამზარეულო სახლი გაეტანა შიგ დასადგომად, სრულს გაყოფილობამდის.

— რა ვიცი, ვიღაც სამანიშვილიაო... არისტომ მოათრია! — მიუგო სერაპიონმა.

— არისტომ?! მაგ ოხერი კიდევ მეეთრა?! რა მინდაო?...

— რა ვიცი, რა უნდა!.. დაწანწალობს, სხვა რა ენდომება!.. რაი მევიდა, სულ იმას იძახის, რომ აწი უფრო ხშირად ვივლიო... მამიდამისს არწმუნებს...

— მისმა სიცოცხლემ!.. მე იმას აქ ბინა დავადებიო?! ორიოვეს კარში გავყრი!.. რა გვარია ის კაცი?

— სამანიშვილი, ბატონო, სამანიშვილი... რა იქნა ამდენი კითხვა? — გაჯავრებით შეუტია ნუჩიამ. — ვახშამი გვქირია აგერ...

— რა ვახშამი უნდათ?.. — დაიწყო დათიამ.

— ახლა შაგას მოგიყვეი კიდევ! — გააწყვეტინა სიტყვა ცოლმა.

— აბა, რა!.. რაც მაქვს, ის ჭამონ, იმასაც კარგად გიახლებიან!.. არა, მაგათ სიცოცხლემ, ძროხას დოვუკლავ ახლავე!

— ჰო, ხმელა ჭადი და ლობიო მიუტანეთ!.. იმ უცხო კაცის მაინც უნდა მოირიდოთ, თქვე დალოცვილებო!.. ასეთი თავისმოქრა, გამოქიანურება არ გამიგონია მე!.. წადი, ბატონო, — მიუბრუნდა სერაპიონს ნუჩია: — წადი, ყმაწვილო, და ერთი ქათამი, რავარცხა იქნას, მონახე და დამიქირე... არ შეიძლება ასე!..

— სად ჰოვნახო ახლა ამ ჩამობნელებულში!.. საცხა ორიოდე წ�wილია, არც კი ვიცი კარგად, რომელ სეზედ ჯდებიან!

— ეგერაა კვინცხაზე, ეგერ, ეჰ! — ანიშნა ნუჩიამ. — ქადი, ღვთის გულისათვის!.. მერე უფრო გაგიჭირდება.

სერაპიონი მიბრუნდა და ზანტად, ბურტყუნით წავიდა კვინცხისაკენ.

— დედა, ქადი მინდა მე! მშია! — მივიდა დედასთან ალალდ დაბრუნებული სამწყემსურიდან დათიას შვილი.

— მეიცა, შვილო! ვერ სედავ აგერ რამდენი საქმე ჩქვსა?! დათია, შეუმატე ამ ცეცხლს, შე კაცო!..

— მშია მე, რა მევიცადო!

— დაგამშვათ გამჩენმა! — შეუტია ნუჩიამ, რომელიც ის იყო ქადებისათვის ფქვილს წყალი დაასხა გობზე. — დაგამშვათ გამჩენმა! ჰა! შენ თვითონ არ შეგიძლია, რომ მონახო და ქამო?! აი, შეგარცხვინა ღმერთმა! — და ნუჩიამ შვილს გადმოუგდო ერთი ქადის ნატეხი; მერე უცბად მიბრუნდა, წამოაელო პატარა დოქს ხელი, ვაუშვირა იგი პატარა ბიჭს, რომელიც მადიანად ილუკმპოდა ცივ ქადს და უთხრა:

— მალაქიასთან გადაირბინე, ვარლამია, და უთხარი, დედა შემოგეხვეწა-თქვა, ჩემო მალაქია, ეს ერთი დოქი ღვინო გამომიგზავნე-თქვა და მე ვიცი შენი პატივისცემა-თქვა... ჩემო მალაქია-თქვა, ძალიან შემოგეხვეწა დედა-თქვა... უთხარი, რომ უცხო სტუმარი მოუვიდა-თქვა. ჰა, დროზე ქენი, დროზე, ჩემო ვარლამია!

ბავშვმა გამოართვა დოქი და დედის დამტკბარ სიტყვაზე ფეხლავით მოკურცხლა.

— ნელა, ბიჭო, დოქი არ გატეხო! — მიაძახა ნუჩიამ.

არისტომ რომ მამიდამისთან გაათავა ლაპარაკი, აივანზე გამოვიდა, ხმადაბლა დაბალისიანად უთხრა პლატონს:

— ერთ წამში მოვაკვარახშინე საქმე, ერთ წამში... კინაღამ არ გადამერია საწყალი დედაბერი! ხა, ხა, ხა! მარა იმედია, ამათსავით შენ არ შემიკრაე ნათესავთან სასიარულოდ გზას! რასაკვირველია! — და არისტო მოუყვა, თუ როგორ უნდა დაებოლოებინათ ბეთ თავისი საქმე.

— საქვრივოს მერე ბიძაჩემს ივანეს ამოვადებინებთ... ნახევარი იმან წეიღოს საქმის საწარმოებელი, ნახევარი შენ!.. რა ენაღელვება... მაგათ კი არ შევარჩენ და!

— ჰქონდეთ, ჰქონდეთ!.. ცოდვაა, არაფერი გააჩნიათ!

— რას დეეძებ! მე რა კარგი მახსოვს მაგათგან!

ეზოდან მოისმა რაღაც ხმაური... აგერ გაირბინა ქალამმაც, მას

უკან მისდევდა ძაღლი დასაჭერად. აგერ კაცის ფეხის ხმაც მოისმა, რომ მირბოდა.

— ეს ოხრიშვილები, თავი ნუ მომიკვდება, ახლა დასდევენ ვახშმისათვის ქათამს!.. სად იყვნენ აქამდის?! ვაი თქვენს პატრონს, თქვენს პატრონს! პლატონ, სანამ ესენი ქათამს იჭერენ, ერთი ცხენებს დავხედავ ჩუმად, თვარა მე დარწმუნებული ვარ, ერთ კვნიტ ჩალას არ აღირსებენ და სვალ, შენი მტერი იქნა ისე, ისენი რომ იქნებიან! — თქვა არისტონ, ფეხაკრეფით ჩავიდა კიბეზე და მიბნელებულში გასწია იქით, სადაც ცხენები ეგულებოდა.

ქათამს ისევ დასდევდნენ დასაჭერად და ამიტომ არისტო მორიდებით მიდიოდა წინ, რომ არავინ შესვედროდა.

უეცრივ რაღაცამ გაისისინა ჰაერში და არისტოს მძიმედ მოსვდა ჭოლოკი მარჯვენა კუნთში.

— არ მომკლა ამ ვირმა! — გამწარებით წამოიძახა მან და იქვე დაეცა მიწაზე გულშეწუხებული. — აი, თქვენი რჯული, აი, თქვენი!.. ოოოჰ! ოოოჰ! ქე არ მომკლეს ამ ურჯულოებმა ერთი წრიპა ქათმის გულისათვის!.. ამოგივარდათ ოჯახი! ოჰ, ჰო, ჰო! — ტკივილისაგან მიწაზე წრიალებდა არისტო და ორივე ხელით იზელავდა კუნთს. — თქვენ დაგწყევლოთ ღმერთმა, თქვენ შეგაჩვენოთ დამბადებელმა! ვის გოუგონია ღამეში ჭოლოკებით ქათმის დევნა! ყველაფერში უხეიროები, ყველაფერში!..

ახლა ეს ქათმის დევნა ეზოს მეორე ყურედან მოისმოდა. არისტო წამოდგა და კოჭლობით მაინც ცხენისკენ წავიდა.

— თითქოს განგებ ჩემთვის ესროლოს ამ შეჩვენებულს! — გაეცინა თვით არისტოს. — ძალიან არ გოუხარდება, რომ გეიგოს!..

და მან გადაწყვიტა, რაც შეეძლო, ძალა დაეტანებინა თავისთავისათვის, დაეძლია ტკივილი და მასპინძლისათვის, მათდა სასიხარულოდ, არ გაეგებინებინა ეს ამბავი.

ცხენებს მართლა არაფერი საჭმელი არ ჰქონდათ, იდგნენ საცოდავად, ხეზე მიბმულნი ბაწრით. არისტომ თავი გააქნია, გულში ჩაირტყა მუშტი დაქადნებით და უკან გამობრუნდა გინებითა და ლანძღვით მასპინძლის მიმართ.

აივანზე რომ ამოვიდა არისტო, პლატონი იქ აღარ დაუხვდა; იგი დათასთან მუსაიფობდა ოთახში. მათ შეუერთდა არისტოც. ეს უკანასკნელი, მეტად ცუდ გუნებაზე დამდგარი, ისეთ კილოზე ელაპარაკებოდა დავითს, რომ პლატონი შიშმა აიტანა, — ვაი თუ რამ კინკლაობა მოხდეს ამათ შორისო. მაგრამ რაღაც მანჭანებით დავითი მოთმინებით იტანდა არისტოს გადაკრულ სიტყვებს, უყურად-

ღებოდ სტოვებდა მათ და ამის წყალობით ვახშამმაც მშვიდობიანად ჩაიარა და მშვიდობიანობაში მოსვენების დროც წამოეწიათ.

სტუმრები ცალკე დააწვინეს ოთახში; დაეითი თავის ცოლითა და მათთან ელენეც მეორე ოთახში დაწვნენ; სერაპიონმა გარეთ, აივანზე, დაიგო ქვეშაგები.

ორსავე ჩვენს მგზავრს მალე მიეძინა, მაგრამ ისევ გამოეღვიძათ ბავშვის ყვირილ-წივილზე, რაიც მეორე ოთახიდან მოისმოდა. ეტყობოდა, რომ იგი მალე არ დაწყნარდებოდა და უფრო უმატებდა ტყივილს დედისა და მამის გაჯავრებით „სუ"-სა და „ჩუ"-ს მიძახებაზე.

— გაფხრეწა!.. გაგლეჯა!.. — ეუბნებოდა აქედან მოთმინება დაკარგული არისტო. — არ გადარჩენა... ყველასი!

— კაი, კაცო! გეიგონებენ! — აჩუმებდა პლატონი.

— გეიგონონ!.. ვაი და ვუი ყველას!.. რა დამაძინებს, თუ გიყვარდე, ამ ჯოჯოხეთში?!.

მაგრამ დაღლილობამ მაინც დასძლია და ცოტა ხნის შემდეგ არისტოსაც და პლატონსაც ტკბილად ეძინათ, თუმცა ბავშვი კიდევ დიდხანს ჭირვეულობდა.

XI

შვილის მაშვლობა მეტად სასიამოვნოდ დაურჩა მოხუცებულ ბეკინას. ძალიან იამა გუნებაში ისიც, რომ ქალის მოტაცება სჭირდებოდა. ბეკინას გაახსენდა ყმაწვილკაცობა, ამისთანებს ჩვეული გიჟმაჟობა..ეს გარემოება რომ გაახსენდებოდა, რაღაც შემატებულ სიცოცხლეს ჰგრძნობდა, სასიამოვნო ღიმილი ეფინებოდა სახეზე, თუმცა შვილს კი უთხრა საყვედურივით: — „ეგ მოტაცება კი, შვილო, საჩემო საქმე აღარაა!.. უხდა აგვრიდებია ეს!"

ყველაფერი მოთავებული იყო, საჭირო იყო მხოლოდ შუათანა ლხინისათვის მომზადება, რომ ოჯახის დედა პირველად გაყრუებულ სახლში არ შემოეყვანათ.

პლატონმა მიიპატიჟა დანიშნულ დღისათვის ახლო მეზობლები. მივიდა სიძესთან და, როგორც იყო, შეირიგა შემომწყრალი კირილე, რომელსაც სთხოვა ქალის მოსაყვანად წაყოლოდა, რაზედაც კირილემ სიხარულით თანხმობა გამოუცხადა.

— ახლა ისევ გულდამშვიდებით შეგვიძლია ვიყოთ. დარწმუნებული ვარ, ამ ჩემ დედინაცვალს არაფრის გზით შვილი არ მიეცემა... ეს გათავებულია... კაი ქალიცაა, შენ ნუ მომიკვდები, თვარა აგერ

ნახავ!.. შენთვისაც კაი იქნება; ცოტა რაცხა-რაცხაზედ ყურს მაინც გიგდებს... წაგეხმარება ხანდახან რამეში... — ეუბნებოდა გულდაწყნარებული პლატონი მელანოს.

— დახმარება მისი ის იქნება, თუ შეგვარჩენს, რაზედაც ახლა ვართ... მეტი არაფერი არ მინდა მისგან!

— რასაკვირველია!.. მაგია, აბა! დარდი ნუ გაქვს!

დადგა სანეტარო დღეც ბეკინასათვის. პლატონმა, არისტომ და კირილემ რამდენიმე სხვა ყმაწვილის თანხლებით მოიყვანეს ელენე სამანიშვილისას და მოხუცებულებს ჯვარი გადასწერეს. პატიოსანმა აზნაურმა საკადრისი ლხინი გადაიხადა. ამ სიხარულის დღეს კირილემ სწორედ დაპირებისამებრ განსხვავებით მოულხინა თავის სიმამრს და სხვებიც მოალხინა, უჩხუბრად, უცემატყეპოდ.

პლატონის სიტყვა გამართლდა: მელანოს ძალიან მოეწონა ახალი დედამთილი, რომელმაც მალე გაათავა პატარძლობა და რძლის ხელისშემწყობი შეიქნა ყოველ საქმეში. ბეკინაც ძალიან კმაყოფილი იყო და ეს კმაყოფილება მით უფრო ახარებდა, რომ ელენემ მალე, სულ მოკლე ხანში, ოჯახის წევრთა სიყვარული დაიმსახურა და სიამტკბილობა შემატა სახლს.

პლატონი იმდენად გულდაჯერებული იყო დედინაცვალით, რომ მზად იყო ხელი აეღო მის საქვრიეოს გამორთმევაზე ბრეგაძეებისაგან და არისტოს ეხვეწებოდა საქმის მოსპობას ამის თაობაზე და ძალიან სწყინდა, რომ არისტო არ თანხმდებოდა და მის თხოვნას არ იჯერებდა.

— ბევრი გაქვს ყველაფერი?.. გაწყენს, რომ შეგემატოს ცოტა რამე თუ? — ეუბნებოდა პასუხად არისტო.

— არა, მარა... იმათგან...

— ერთი გულჩვილი შენ შემხვდი კიდევ!.. შენც კარგად გამოგადგება, ჩემო ძმაო!.. რაზე უნდა დაკარგოთ?.. არ ვიცი! რაც მეტი გვექნება, უფრო მეტს მოვილხენთ, პლატონ ჩემო! არა, ბატონო ბეკინა?

— რასაკვირველია, რასაკვირველია! — უპასუხა ბეკინამ, რომლის სული და გული შეიქმნა ეს კაცი და რომლის მოშორება მას ახლა სამძიმოდ დაურჩებოდა, თუმცა ღვთით, არისტოს მხრივ ამაზე შიში არ ეჭირვებოდა. იგი ჯერჯერობით, როგორც ეტყობოდა, კიდევ კაი ხანს არ აპირებდა ფეხის მოცვლას ამ ახალი ბინიდან.

ასეთ საერთო სიამოვნებაში, კმაყოფილებაში, ერთმანეთის სიყვარულში მიდიოდა დრო და ჟამი სამანიშვილის ოჯახში და ერთ დრომდე კიდევაც გაგრძელდებოდა ეს ბედნიერების ჟამი, რომ ერთ დღეს მელანოს თავზარდამცემი, გულის ამრევი, ჭკუაზე შემშლელი

ამბავი არ გადაეცა თავის ქმრისათვის, რითაც გული მოაყვანინა პლატონს ისე, რომ ამან კიდევაც შეუბღვირა და შიაძახა წყრომით:

— ნუ სულელობ ერთი შენ!.. რა სახუმარო საგანი ნახე ახლა?

— კი არ გეხუმრები, საქმეს გეუბნები!.. გეუბნები, ისეთ ნიშნებს ვატყობ ამ ქალს, რომ მეშინია ორსულად არ იყვეს!.. შვილები ნუ მომიკვდება!.. არ გითხრა, აბა?! მე თვითონ აგერაა გადვირევი... რა ამბავია ეს ჩვენს თავზე?! ღმერთო, შენ დაგვიფარე! — იწერდა პირჯვარს მელანო.

პლატონი სრულიად დაიბნა და ხმაგაკმენდილი მისჩერებოდა ცოლს; სრულიად არ სჯეროდა მისი ნათქვამის სინამდვილე, თუმცა გულმა მოუსვენრად ტოკვა დაუწყო.

— მოგებლანდა... აბა რავა შეიძლება?! — წაილაპარაკა მან და ცოლს მოშორდა, თითქოს ეშინოდა, რომ უფრო დაბეჯითებული, თავზარდამცემი რამ არ გაეგონა მელანოსაგან.

— რასაკვირველია, მოგებლანდა!.. აბა, კარგად დოუკვირდი, თუ არ ცდები, გეიგებ მაშინ!

— ნეტავი, ნეტავი, შენი კარგა ყოფნით!

— მოვკლავ მაგ უბედურს!.. ღმერთმანი, მოვკლავ! — ამბობდა თავისთვის პლატონი, ცოლის სიტყვები რომ გაახსენდებოდა ელენეს შესახებ. — ღმერთმანი, მოვკლავ! ეჰ, სისულელეა, რასაკვირველია, სისულელე... მელანოს მოეჩვენა მხოლოდ!

საღამო ჟამი იყო, მელანომ რომ უთხრა თავისი ექვი ქმარს და ვახშამზე პლატონი იმდენად თავის საინს არ დასჩერებოდა, რამდენად თვალი დედინაცვლისკენ ჰქონდა, მაგრამ ვერაფერ ცვლილებას ვერ ამჩნევდა.

— ძალიან არ მოტყუვდი, მელანო? — ღიმილით უთხრა მან დაწოლის ხანს ცოლს.

— არა, პლატონ, არა, არ უნდა ეცდებოდე, შენ არ მომიკვდე!..

— კაი, ნუ გადამრიე კაცი!

— რა ვქნა, შენ დაგენაცვლე, მეც შიშში არ ვარ?

პლატონი გაჩუმდა. ამ საგანზე ლაპარაკიც კი არ უნდოდა. გული რაღაც სევდით ევსებოდა ამის გაგონებაზე, თუმცა დაჯერებამდის მეტად შორს იყო. მელანომ ისევ დაიწყო ამ საგანზე ლაპარაკი, მაგრამ პლატონმა სთხოვა გაჩუმებულიყო, სხვა რამეზე ელაპარაკნა. მან სცადა ძილისათვის მიეცა თავი, მაგრამ ცოლის სიტყვებს ყურებში ზარივით წკრიალი გაჰქონდათ.

— ვაი თუ მართლა უბედურება მეწია?! — ფიქრობდა პლატონი. — ისეთ ნიშნებს ვატყობო... აჰ, რავა შეიძლება?! ვინა თქვა, ეის

გოუგონია, ამგვარი ამბავი მომხდარიყვეს?! ორნაქმარევს, უშვილოს, ამ სიკვდილის წინ შვილი მიეცეს?! ჰმ!

და პლატონი ამშვიდებდა, აწყნარებდა თავის გულს, ცდილობდა, რომ სისხლი თავში არ ავარდნოდა, ტვინი მოესვენებინა; გვერდიდან გვერდზე ბრუნდებოდა, ცდილობდა დასძინებოდა, მაგრამ ძილი მაინც არ ეკარებოდა... ყურებში ისევ ცოლის სიტყვები ესმოდა, რომელთაც მისი ტვინი მოუსვენრად ედავებოდა, ეწინააღმდეგებოდა. დიდხანს იბორგა, დიდხანს იტრიალა ასე გაწვალებით საწყალმა პლატონმა, რომ ისევ მელანოს ხმა მოესმა:

— ე, შეხედე, შე კაცო, თუ ვცდები, თუ სისულელეს გეუბნები! ე, შეხედე! ე, თუ ვცდები... ე, რავა ეტყობა! ახლაც ვერ ხედავ?

და ფანჯრიდან ანიშნებდა პლატონს ეზოში მოსიარულე ელენეზე. პლატონი მისჩერებოდა ხმაამოუღებლად, გულაფანცქალებული. დედინაცვალმა თითქოს დაინახა ფანჯარასთან მდგარი გერები და ამათკენ გამოსწია.

— ე, ე, უიმე... უიმე! — იყვირა მელანომ, — უიმე!.. ახლაც ვცდები?.. კიდევ ვცდები?.. ვაი დედაშენს, ვაი დედაშენს! — და მუშტით ემუქრებოდა იგი დედინაცვალს. — ვეღარც ახლა ატყობ?..

ატყობს და არც ატყობს. რასაკვირველია, ატყობს, რასაკვირველია. ხედავს თავის თვალით, ცხადად ხედავს თავის უბედურებია მომასწავებელ ნიშანს და, ამ მოულოდნელ უბედურების წინ წამდგარს, ენაც ერთმევა, გონებაც ეკარგება, სისხლიც უშრება და გაქვავებული, გრძნობა მიჩლუნგებული, გაციებული თვალებით მისჩერებია ამ უღვთო, შეჩვენებულ, დაწყევლილ დედაკაცს, რომელთანაც არც პატივისცემა გაუვიდა, არც სიყვარული, არც სამსახური, რომელიც ასე უღვთოდ იმეტებდა მასაც, მის ცოლ-შვილსაც.

— ღმერთო, რა შეგცოდე?! რა შეგცოდე? — სასოწარკვეთილებით, ნაღვლით გულავსებული კვნესის იგი. — რა შეგცოდე?

— იქით! იქით! იქით, შე წყეულო! — უყვირის დედინაცვალს პლატონი. — იქით, თვალით მაინც ნუ დამენახვები! — მაგრამ მას თითქოს არ ესმის პლატონის ხმაო, ისევ მობაჯბაჯებს ფანჯრისკენ, მობაჯბაჯებს მძიმედ, ძლივსძლივობით.

— იქით, შე შეჩვენებულო! იქით, თორემ მოგკალი ეს არი! ღმერთო, რომ არ ესმის?!

არ ესმის თავისი ხმა არც პლატონს, თუმცა ყვირის, რაც ღონე აქვს. ხმა პირიდან არ ამოსდის, იქვე გულში რჩება უღონო, სუსტი, გაუგონარი, და ეს უმატებს გამწარებას, უფრო უკლავს გულს, უხუთავს სულს. უმწვერვალესად აღელვებული კაცის თვალწინ ყო-

ველივე აირია, აიშალა, ამოძრავდა; აცახცახებული, ათრთოლებული ძლიეს დგას ფეხზე. ეს რაღა ამბავია?! რა არის ეს?! რა ამბავი ხდება დღეს ამ სახლში? ვინ შვრება ამას? ღმერთო, მომკალი! ვინ გადმოაგდო ეს ქათმები წრიალ-წრიალით ეზოს რომ მოეფინენ? ამათ აჰყენენ ბატებიც, კვატებიც, ორიოდე ინდოურიც; მიდიან იქით-აქეთ, ცალცალკევდებიან, ზოგი ელენეს მისდევს, ზოგი ფანჯრისკენ მორბის პლატონთან. აქვე მორბის ფენთხებ-გამობზეკილი, უპმელობით ძალზე გამხდარი სანაშენო ღორი, აუშვერია დინგი, რაღაცას ღრუტუნებს, თითქოს კითხულობდეს რაღაცას. ცხვარი ვინ გამოაგდო ბეღლიდან, სასუქი ცხვარი? ვინ ქნა? რა ამბავია! ვინ ოხერი ჩადის ამას?! რა უნდათ ამ ხარებს, ასე რომ დაზმეიან? რა ამბავი ხდება ამ ეზოში? რამ გადარია ყველა? ვინ გამოალაგა გარეთ კოდი, საცერი, სამტკიცი, ქოთნები, გობი, კოვზი, როდინი, კეცები? ვინ იშლება და ირევა ასე უცნაურად? სული ეხუთება პლატონს და აზრდაბნეული მხოლოდ უგუნურად მისჩერებია და მეტი განცვიფრებისაგან აღარ იცის, რა ქნაჯ, რა თქვას...

— შუაზე, შუაზე! — დაიძახა ვიღაცამ.

მოისმა ერთი წკრიალი და მთლად სამზარეულო შეინძრა. შეფამფალდა და დარღვევას აპირებს.

— მალე, მალე! — დაიძახა ელენემ. — მალე, ყველაფერი გაჰყავით, სულ ყველაფერი, სულ!

აქ კი მოიკრიბა პლატონმა უკანასკნელი ძალ-ღონე, რაც ხმა შესწევდა გამწარებულ კაცს, შეეცადა და მორთო ყვირილი:

— მეიცადეთ, მეიცადეთ! გაჩერდით! ნუ ჩქარობთ!.. ეგებ მკვდარი დაიბადოს! შედექით! ეგებ ღმერთმა სიცოცხლე არ აღირსოს! გაჩერდით, თქვე ოხრებო! ნუ შვებით მაგას! გაჩერდით, გაჩერდით გა-ჩერ-დით! გა, გა! — ცდილობდა პლატონი დაეყვირა, მაგრამ მისი ხმა არავის ესმოდა, ის ისევ იქვე წყდებოდა, ჰქრებოდა. სახლის კედლებს კი ლაწა-ლუწი გაჰქონდა, ყოველივე ინგრეოდა, ყოველივე იშლებოდა, ნაწილდებოდა. პლატონის ძახილი არავის ეყურებოდა. მხოლოდ ელენეს ხმასა და ბრძანებას მისდევდნენ: „მალე, მალე! ყველაფერი გაჰყავით!“ — არ წყნარდებოდა იგი. და უღონო, გულჩათუთქული, გაწიწმატებული პლატონი, როგორც იქნა, მოსხლტა თავის ადგილს, მიიჭრა ფანჯარასთან, მოინდომა იქით გადახტომა და ამ დაწყევლილი დედინაცვლის იქვე ჩახჩობა, მაგრამ იქვე დაეცა უძლურივით ატირებული, ბავშვივით აღრიალებული, მწარე ცრემლებით თვალებჩამობნელებული.

—პლატონ, პლატონ! რა დაგემართა, რა დაგემართა, კაცო? — შიშისაგან გადარეული ეკითხებოდა ფელანო ქმარს, რომელიც ისევ

შემზარავად ტიროდა. — გამოიღვიძე, პლატონ! ნუ გადარიე, კაცო, ბოვშები!

პლატონის უცნაურ ღრიალზე გამოღვიძებულ ბავშვებს ერთი ვაი-ვაგლახი შეექნათ და თვითონაც შეშინებული მელანო ხან ემათ აწყნარებდა, ხან პლატონს უძახდა და მის გამოფხიზლებას ცდილობდა. როგორც იქნა, პლატონმაც გამოიფხიზლა, მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ბნელაში რას დაინახავდა.

— კინალამ არ შეგეშალე, შე კაცო, ყველა! — უსაყვედურა მელანომ ქმარს. — ბოვშები აღარ არიან შიშით. რა სიზმარი ნახე მაინც ასეთი უცნაური?! კაი, თუ ღმერთი გწამს!

— მაშ ეს სიზმარი იყო! — და პლატონმა შუბლზე ხელი გადაისვა და მერე პირჯვარიც გადაისახა.

— რა ამბავია, მელანო? რა დეემართა პლატონს? — მოისმა ბეკინას შეშფოთებული ხმა მეორე ოთახიდან.

— არაფერი, ბატონო... სიზმარში გახლდათ! — მიუგო მელანომ.

— სიზმარში?

— დიახ!

— ჩვენ კი აღარა ვართ და!.. ახლა დაიწყო მაგისთანა სიზმრები მაგ კაცმა?! წინათ არ იცოდა... გული დაუშოშმინე, რძალო, გული! — და ამ სიტყვებთან ბეკინას სიცილიც მოისმა.

მელანომ კარგად ახსნა პლატონის სიზმარი: მისი სიტყვით, ყოველივე მოსალოდნელი განსაცდელი თავიდან უნდა ასცდენოდათ: სულ მოკლე ხანში უსათუოდ უნდა მოშლოდა მუცელი ელენეს, თუ ნამდვილად ორსულად იყო.

ამ უკანასკნელი გარემოების საბოლოოდ გადაწყვეტას, მის უეჭველობის შეტყობას ბევრი ხანი აღარც კი დასჭირვებია, თუმცა პლატონისათვის მთელმა საუკუნემ გაიარა, გაწვალების, წამების საუკუნემ. უეჭველი შეიქნა, რომ ელენე მიზეზობდა, რომ იგი ფეხმძიმედ იყო. მელანოც და პლატონიც აზრდაბნეულნი შეჰყურებდნენ ერთმანეთს ხმაამოღებლად, გაშტერებულნი, გაქვავებულნი.

ბეკინამაც შეატყო ცოლს მისი მდგომარეობა და მოხუცებულს თავზარი დასცა ამ გარემოებამ. ბეკინას შერცხვა უცნაურად და ეწყინა უზომოდ. ახლა მიხვდა თუ რამ შეუცვალა გუნება პლატონს ამ უკანასკნელ ხანებში, ახლა გაიგო რძლის დასეედიანების მიზეზი. და მოხუცებულ ბეკინას ეტკინა გული, შეენანა თავისი ახირება... ხომ ჩაგდო საყვარელი შვილი ცეცხლსა და მდუღარებაში?! ხომ მოუსპო ხალისი და გულის მშვიდობა?! დამნაშავედ წარმოუდგა თავისი თავი შვილის წინაშე და მით უფრო წუხდა, რომ საშველ გზას ვერსად ხედავდა.

— მაინც ამ ოხრიშვილმა რაღა ჩემს ხელში გამოიჩინა თავისი ქალობა! ჰმ! — სევდიანად ამბობდა ელენეზე გულმოსული ბეკინა.

ბეკინა მხოლოდ იმით ინუგეშებდა ამ შეწუხებაში თავს, რომ ნება დართო შვილს ქალი თვითონ ამოერჩია, რომ ელენე მისი სურვილით, მისი ამორჩევით ჰყავდა ნათხოვი.

გულდაწყვეტილი პლატონი კი მოსასვენებელ ალაგს ვეღარ პოულობდა; ჭკუა შერყეულივით ხან სად დადიოდა, ხან სად, მუშაობაზე გულაცრუებული, თავის მწუხარებას გადაყოლილი.

— ბიჭო, რა მიქენი? რა მიქენი, შენი ოჯახი დაიქცა... მაინც ქეა დაქცეული!.. რა დაგიშავე, შე უსინდისო! — ეუბნებოდა გამწარებით არისტოს. — ბიჭო, რაზე დაგჭირდა ჩემი დაღუპვა, შე უღმერთო, რაზე შემომაჩეჩე ეს სასიკვდილე მამიდაშენი? რა დაგიშავე, ბიჭო?!

— მეიცა, მეიცა, პლატონ, საყვარელო ძმაო! მე რა უსინდისობა ვქენი, შე კაცო? მაცალე, მაცალე! შენ სადედინაცვლოდ ეძებდი იმისთანა ქალს, ორნაქმარები ყოფილიყო... ასე არაა, ა?

— კი!

— უშვილოს, შვილი რომ არ ჰყოლოდა იმისთანას, არა?

— რასაკვირველია!

— ხელში მოგვეცი, ჩემო ძმაო, შენი სასურველი, ძმურად დაგეხმარე; თუმცა არ გიცნობდი, მარა პირველ შეხვედრიდანვე შენი სიყვარული გულმა იგრძნო... იმიტომ წაგყვეი, საქმე გაგაკეთებიე... ცუდი რა მიქნია, ძმაო, ჩემო საყვარელო?!

— რომ დაორსულდა?

— ეგ რა ვიცი, ჩემო პლატონ!

— ეგებ წინეთაც ჰყავდა შვილი და შენ...

— რჯული, ხატი, ჯვარი! შეჩვენებული ვიყო! ასე დამემხოს თავი! — და არისტომ მიწას დააბერტყა თავისი ლამაზი ახალი პატარა ბოხოხი.

— აბა, რა არის? რატომ? — სიტყვას ვეღარ ამბობდა სევდამორეული ყმაწვილი კაცი. —რატომ სხვასთან არ ჰყოლია, და...

— ეგ, ჩემო ძმაო, მამაშენს დააბრალე! — ღიმილით უთხრა არისტომ. — მამაშენს დააბრალე! უცნაური კაცი ყოფილა...

—ვილუპები, არისტო, წმინდად ვილუპები!—წამოიძახა პლატონმა.—რითი ვარჩინო ცოლ-შვილი, რითი ვარჩინო? რავა უდანოდ გამომეგზა ყელი მამაჩემმა... რა ვქნა, რა მეშველება? რა მეშველება?

— გული გეიმაგრე... გული გეიმაგრე, პლატონ!—უდარდელად მიაძახა არისტომ. — გული გეიმაგრე, ღმერთი მოწყალეა! ყველაფერი ღვთითაა!

ღვთითაა თუ უღვთოთაა, რა დააშავა, რა აწყენია ამისთანა, რომ ასეთი სასჯელი მიესაჯა? რა ქნა ისეთი, რომ ამგვარი წყრომა დაიმსახურა? რის გულისათვის ისჯება ასე მწარედ?.. და პლატონი ყოველ თავის ნამოქმედარს, ყოველ თავის წარსულს იხსენიებდა და არჩევდა თუ რით შეეძლო განერისხა ღვთაება და გამოეწვია მისგან ისეთი მისი შეუბრალებლობა. არაფერი, სრულიად არაფერი. საამისო არ უქნია. კაცი არ მოუკლავს, არ დაუჩეხია, არ უეშმაკნია ჯერეთ. ჯერეთ არც უქურდნია, არაფერი მოუპარავს, არავისთვის არაფერი არ წაურთმევია... ამ სიტყვაზე კი შედგა, შეჩერდა პლატონი. არ წაურთმევია, მაგრამ ხომ ართმევს ბრეგაძეებს... კანონიერად კი, მარა ხომ მაინც ართმევს მასზე უფრო საწყალთ, მასზე უფრო გაჭირვებულთ, თითქმის მშივრებს; შეცოდების მაგიერად უკანასკნელ ლუკმას სტაცებს და ამის გაჭმა ვის ჩაუყარა ხელში საცოდავები, ვის? კაციჭამია გვერდეევანიძეს, ამ შეუბრალებელ კაცს? და ღმერთი შეიბრალებდა-ღა?! რასაკვირველია, არა!—გუნებაში გაიძახოდა პლატონი და გულგახეთქილი გვერდეევანიძისას გაიქცა, რომ საქმე მოესპობინა, ეთქვა, რომ გროში-კაპეიკი არ უნდოდა ბრეგაძეების გამონართმევი. ამით აპირებდა პლატონი განრისხებულ, შემომწყრალ ზენას გულისმოგებას, თავის დანაშაულის გამოსყიდვას და იმედობდა, რომ დაუბრუნდებოდა რასაც ხელიდან აცლიდნენ, რომ შენანიებასთან ერთად მის დედინაცვალსაც მუცელი მოეშლებოდა.

გვერდეევანიძემ არ შეიწყნარა პლატონის თხოვნა. ბევრიც იცინა პლატონის სიტყვაზე. ბევრი შრომა ჰქონდა გაწეული და რომ საქმე მოესპო, მოსალოდნელი გასამრჯელო ხომ დაეკარგებოდა. პლატონმა თვითონ იკისრა იმის გადახდა, ოღონდ კი საქმე მოსპობილიყო და ბრეგაძეებს არაფერი გადახდომოდათ. მან მისცა გვერდეევანიძეს ვექსილი და გამობრუნდა სახლში, ცოტათი იმედგაღვივებული, შომლოდინე, რომ მისი მსხვერპლი მიღებული იქნებოდა და მის დედინაცვალს გაუწყალდებოდა მისთვის თავზარდამცემი მოზიარის ჩასახულობა.

XII

მაგრამ იმედი არ სრულდებოდა. ხანი გადიოდა და საზარელი არსება ზრდაში შედიოდა. კიდევ ცოტა ხანი და პლატონს თვალითაც დაენახვებოდა თვითონ და თავის ხვასაც გააგონებდა.

ეს გარემოება შეშლილივით ხდიდა პლატონს. ამ კაცმა სრულიად გონება დაჰკარგა, გაჭირვეულდა, დაეკარგა ყოველივე მოთმინება. ისეთი ხასიათი დაიჭირა, რომ კაცი ვეღარ ცნობდა. ხსნას, სხვა საშველს რომ ვერას ხედავდა თავის მაწუხებლის მოსაშორებ-

ლად, იგი უცნაური წინადადებით მივიდა თავის მამასთან. ბეკინამ იყვირა, როცა შვილის ნათქვამი გაიგონა. მოხუცებული კაცი კინალამ გადაირია:

— ღმერთი დეივიწყე, შე უბედურო?.. ღმერთი აღარ გაგახსენდა, მაგისთანა აზრები რომ თავში მოგივიდა?! მოხუცებულ კაცს მაძალებ სულის წასაწყმედი საქმე ჩევიდინო?!.. ღვთის ჩასახული კაცი მოვკლა?.. გაგიქდი, შე ღმერთგამწყრალო? რაება მეუბნები, დედაკაცს მუცელი მოვაშლევინო?! რამ გაფიქრებია ამნაირი უღვთო საქმე, რამ? — ყვიროდა ბეკინა შვილის ნათქვამით გაცეცხლებული. პლატონი კი წარბებშეხრილი, სახედაღრეჯილი იდგა ერთ ადგილას გაყუჩებული ჯიუტად და დაბლა იმზირებოდა.

— რა იქნა, ღმერთმანი, რა გაქვთ ამდენი სადავიდარაბო, რომ კაცმა თქვენგან ერთი ტკბილი სიტყვა ვეღარ გეიგონა ამ ბოლო დროს?! სულ მობღუშვა, სულ უსიამოვნება! — თქვა ამათ შემომსწრებმა ელენემ, რომელიც იქვე მიჯდა ტახტზე, დამძიმებული. — მტრისას იქნა ასე, მტრისას!

— კაი, კაი!.. შენ არავინ გკითხავს არაფერს! — შეუტია ბეკინამ.

პლატონმა მწყრალის თვალით გადახედა დედინაცვალს და ისევ იბრუნა პირი.

— შენ არ მომიკვდე, არც მამას და არც შვილს არავინ არ მოგიწონოსთ ეგ ამბავი!

ამის თქმა იყო და პლატონი ეცა ელენეს; მოხუცებული ქალი გაგორდა ტახტზე; ის იყო პლატონი მუცელში უპირებდა წიხლის ჩარტყმას, რომ ბეკინამ ხელი ჰკრა; წიხლი ასცდა ელენეს. მხოლოდ მჩატედ მოხვდა ხელზე. პლატონი უცბად მოტრიალდა და ისევ უნდა ჩაერტყა მეორედ წიხლი, მაგრამ ბეკინამ ხელი წაავლო გამხეცებულ შვილს, რომელიც გიჟივით ჰყვიროდა:

— არ მოკვდები? არ მოკვდები? ახლაც არ მოკვდები!—და ელენე მარჯვედ გამოისროლა კარებისკენ.

ფეხმძიმე ქალის ყვირილმა იქაურობა შესძრა. პლატონი ახლა სწორედ მხეცი იყო, შეუბრალებელი, სისხლისმსმელი. მას უნდოდა მოესპო ის არსება, რომელიც ახლა გაჰკიოდა, მისი სისხლი სწყუროდა, გააფთრებული იწევდა მისკენ და უსათუოდ ცოდვას დაატრიალებდა, რომ ბეკინას ძახილზე მელანო არ შემოვარდნილიყო და გამგელებული პლატონი გარეთ არ გამოეგდოთ.

— გამიღეთ, კარი გამიღეთ! — უცნაურად ღრიალებდა იგი. — კარი გამიღეთ ახლავე! მელანო, კარი, თვარა შენც მოგკალი ეს არი! მოშორდი ახლავე მაგ სასიკვდილეს!.. გეუბნები, მოშორდი-თქვა!

მაგრამ მელანო ბეკინასთან ერთად გულწასულ ელენეს მოსუ-

ლიერებას ცდილობდა, თავს დასტრიალებდა საბრალო მოხუცებულ დედინაცვალს, რომლის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა.

ამ დღიდან პლატონი ნამდვილ ნადირივით შეიქმნა. დღისით სადღაც დაეხეტებოდა, შინ მხოლოდ საღამოობით მოდიოდა, ისიც დაწოლის ხანს. თვით მელანოსაც აღარ სცემდა ხმას, ისეთ ხასიათზე დადგა.

ბეკინა ამსოფლად აღარ იყო ჯავრისაგან.

— მოვმკვდარიყავი... მარიკასთან ერთად მიწას შევეჭამე და ამ დღეს არ მოვსწრებოდი ნეტავი! —ნაღვლიანად ამბობდა მოხუცი.

იმედად ამ უბედურების გამოსაკეთებლად ისღა დარჩენოდა, რომ ეგებ ელენეს ვაჟი არ მისცემოდა და ქალიშვილი დაბადებოდა; ამას შეეძლო პლატონის დამშვიდება და დაწყნარება; და ბეკინა მოუთმენლად მოელოდა ამ დღეს და ყოველ წამში ღმერთს ამას ევედრებოდა: „ღმერთო, ელენეს გოგო აყოლეო!..“

მაგრამ მალე ეს იმედიც მოესპო საწყალ ბერიკაცს: ელენეს ვაჟი შეეძინა და ამასთან ყოველივე იმედი გაქრა წინანდელი სიამტკბილობის ხელახლა დამყარებისა მის ოჯახში.

მეტად დაჯავრიანდა ამის გამო ბეკინა. მისი მოწყენით ყოფნა, უხალისობა შვილის შეძენის შემდეგ, მუნჯად ყოფნა ცოლთან, გულს უთუთქავდა მელოგინე ელენეს, რომლის მიმხედავი, მისი შემცოდებელი მხოლოდ ერთადერთი მელანო იყო.

— ღმერთი გადაგიხდის, შვილო, ღმერთი, შენი გულკეთილობისათვის! ღმერთი გადაგიხდის! ვენაცვალე მის ძლიერებას, წვალებისა და უსიამოვნებისათვის ვყოლივარ გაჩენილი იმ დალოცვილს... მადლობას ვწირავ!.. რა ვქნა, რას ვიზამ?! ყოველ სულიერს თავისი ბედი აქვს. რაში ეპოვრება ღმერთს ჩემი ტანჯვა-წვალება, ჩემი გაჯახირება? ვის რა დავუშავე... ჩემით რა მიქნია ვისმესთვის ცუდი?!—გულდაწყვეტილი, გაუხარებელი თავის სიცოცხლეში, ელენე ცდილობდა დღევანდელი მწუხარებაც მოთმინებით აეტანა.

რაკი პლატონს ძმა გაუჩნდა ქვეყანაზედ, მან იმწამსვე ცალკე გასვლა აიკინა.

— ბიჭო, მე რას მიპირობ, მე, მოხუცებულ კაცს?! ნუ მისპობ წუთისოფელს, ორიოდე დღე დამრჩენია მხოლოდ სასიცოცხლოდ!.. ბიჭო, მამა ვარ შენი, რაც უნდა იყოს! სად უნდა წახვიდე?

— მე ჩემიც ბევრი მყავს მოსავლელი! ჩემი ტვირთიც მეყოფა... სხვას არ შევაკლა ჩემი თავი! მე ჩემსას მოვუვლი, ჩემსას დავეპატრონები! — გაჯიუტებით და გულცივად ამბობდა პლატონი.

— ბიჭო, მოხუცებულმა მამაშენმა რაღა ქნას? ხომ იცი, რომ მე მუშაობა აღარ შემიძლია? ბიჭო, შებრალება აღარ იციან თქვენში?

— მე შემიბრალა ვინმემ? — წაილაპარაკა პლატონმა და პირი იქით მიიბრუნა.

— შევცდი, შვილო, შევცდი. აღარ მეპატიებება?! ნუ მომიძულებ, შე კაცო, საბოლოოდ!.. მინდოდა, ასე რომ მომხდარიყო? მეგონა? შემაცდინა ეშმაკმა... შენც იმედი გქონდა, რომ ასე არ იქნებოდა... რა ვქნათ ახლა, ღმერთმა ასე ინება... ჩვენ რა გაგვეწყობა! ნუ გამიმწარებ, შვილო, ამ უკანასკნელ დღეებს, ნუ ჩამაშხამებ! ისევ, როგორც წინათ, ვიცხოვროთ სიამტკბილობით... ღმერთი ამისათვის მაგიერს გიზღავს, ხელს მოგიმართავს, შეგეწევა, გაჭირებას შეგიმსუბუქებს... კი, შვილო, კი, ჩემო საყვარელო! ვინ გეიგონა ჩვენი გაყრა! კი, ჩემო პლატონ, კი! შენი კეთილი გულის ამბავი არ ვიცი განა?.. რაც შენ ჩემი სიყვარული გქონდა, ასე უცებ რავა დამეკარგება, როგორ დევიჯერო?! კი, კი, ჩემო პლატონ! — ემუდარებოდა ბეკინა გულამღვრეულ შვილს, მაგრამ უკანასკნელს წინანდელი გულიც დაჰკარგოდა და გრძნობაც. იგი მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე.

პლატონს იმდენად სძულდა ახლადდაბადებული ბავშვი, რომ არც თავად უნახავს და ცოლსაც ნებას არ აძლევდა მასზე ხმა ამოეღო მასთან.

ბევრს შეეცადნენ მეზობლებიც, მამა და შვილი არ გათვისებულიყვნენ, მაგრამ პლატონი ვერას გზით ვერ დაიყოლიეს. ათასნაირ პირობებს უდებდა ბეკინა შვილს, რომ მამულის ნახევარში მოზიარეთ არავინ შეეცილებოდა, თუ გინდ ათი შვილიც მისცემოდა კიდევ, მაგრამ პლატონი მაინც თავისაზე იდგა. მას ახლა ამნაირი პირობებისა აღარა სწამდა-რა.

რამდენიმე თვის შემდეგ მამა და შვილი გაიყარნენ. პლატონმა ძველ სამოსახლოზე დაშორებით ამოირჩია ადგილი, ჩაიტანა სამზარეულო სახლი, შეიყვანა შიგ თავისი ცოლ-შვილი და დაიწყო ისეთივე ცხოვრება, როგორც ანტონა ბრეგაძემ, რომელსაც ამ ერთი წლის წინათ ისეთი შეცოდებით მისჩერებოდა დავითის აივნიდან.

ბეკინას მეტი შვილი აღარ მისცემია. საყვარელი შვილის მიერ მოძულებამ მეტად დაანაღვლიანა მოხუცებული, მეტად დაამწუხარა და ამ მწუხარებამ კიდევაც ხუთი წლის შემდეგ ამ წუთისოფელს მოაშორა. სიკვდილის წინ მან მოიხმო „თავისი პლატონი“, აცრემლებული თვალებით უკანასკნელად მიტევება სთხოვა „მისი სისულელისათვის, უჭკუობისათვის“ და „შავ-დღეზე გაჩენილი“ ძმის, უდანაშაულო ჩვილის შებრალებას ევედრებოდა. მართალია, პლატონმა აღუთქვა მომაკვდავს მისი ნების ასრულება, მაგრამ ბეკინა ადვილად ატყობდა, გრძნობდა, რომ იგი გულწრფელად არ ჰპირდე-

ბოდა; ძმებს კეთილი განწყობილება არასოდეს არ ექნებოდათ; ატ-
ყობდა ბეკინა და საწყალ მომაკვდავს შხამად ჩაჰყვა ეს გარემოება
მიწაში.

და ბეკინა არ შემცდარა, რომ ისეთი წინათგრძნობა ჰქონდა.

№-ის მომრიგებელი მოსამართლის სახლის აივანზე ძალიან ხში-
რად შეგხვდებათ შავებით მორთული ხნიერი დედაკაცი, რომელსაც
ხან მზად დაკეცილი მისართმევი თხოვნა უჭირავს ხელში, ხან
ისევ — ხელცარიელი; გვერდით უყენია ხუთი წლის პატარა შავ-
თვალა მალხაზი ბავში, ჩითის ბლუზით, წითელი წუღებით, კიზი-
როკიანი ქუდით თავზე, უქამროდ, და მოსამართლესთან მისვლის
დროის მოწევამდის ეს დედაკაცი გულდამწვარი უამბობს ხოლმე
ნაცნობთ და გარს შემოსეულ მაყურებელთ თავის გაჭირვებას, უსა-
შველობას და მწუხარებას, რაც მათ ორსავე დედა-შვილს ადგიათ
მისი გერის, პლატონ სამანიშვილისაგან, რომელმაც აღარც ღობე
შეარჩინა, აღარც საზღვარი, აღარც ადგილი და იძულებულს ხდის
საწყალ მოხუცებულ ქვრივ დედაკაცს იწანწალოს ყოველკვირა სა-
სამართლოში.

ეს დედაკაცი გახლდათ, როგორც თვითონაც მიხვდებოდით, ბე-
კინა სამანიშვილის ქვრივი ელენე და პატარა ბავში — შვილი მისი,
რომელმაც ჯერ არც კი იცოდა, რასაკვირველია, რამდენი უსიამოვნე-
ბა მოიტანა მისმა გაჩენამ და ამიტომაც ასე ხალისიანად იცქირებო-
და აქეთ-იქით და სიამოვნებით შეჰყურებდა მოფუსფუსე ხალხს.

1897 წ.

მრევლში

ნაწირვები იყო. ფართოდ გაშლილ ცაცხვის ქვეშ თავშეყრილ ვლეხკაცებში ჩამჯდარი მაღალი ტანის ახალგაზრდა მღვდელი გაცხარებით ლაპარაკობდა:

— განა მე თვითონ არ მაწუხებს ასეთი ჩემი მდგომარეობა, თქვენ დალოცვილებო?! კი გეთქმისთ საყვედური, კი!... ხშირად გაკლიავართ... თქვენს დროზე არა გყავთ მღვდელი, მოკლებული ხართ მღვდელმსახურებას, მაგრამ რა გიყოთ, ჩემო კეთილებო, რა ვქნა, რომ ასე არ იქნეს!.. მღვდელი ახლოს გინდათ გყავდეთ, ამისათვის ბევრს ვეცადე, მაგრამ რა გზით შემოვუარო ამას, როცა მთელ სოფელში ვერსად ვერ ვიშოვე საქირავოდ სადგომი!.. თუმცა ჩემთვის მეტისმეტი გასაქირი იქნებოდა ქირის გადახდა, მაგრამ ვინ ოხერი თავს არ შეიწუხებდა, ოღონდ კი თქვენგნით საყვედური ამეცილებინა... იცის ღმერთმა, რომ ვწუხვარ, მეტად ვწუხვარ ამ ჩემი მდგომარეობისათვის, მაგრამ საღსარი ვერავითარი მიპოვნია... ვარ გაბმული ამ გზაში, დავწანწალობ ჩემი სახლიდან ამ თქვენს სოფლამდინ, მარტო გზას ვუნდები; ეკლესიაზედაც დაშორებული ვარ და მრევლზედაც... მოძღვარი მქვია — და ეს მიკლავს გულს, რომ ამნაირი სახელი მქვია და ნამდვილად კი რა მოძღვარი ვარ?! ა, წირვა გამოვიყვანე და სახლისკენ უნდა გავსწიო ახლავე, თორემ გზაში შემომაღამდება... რა ვქნა, აღარ ვიცი, ღმერთმანი! სულ ამაზე ვფიქრობ და იცის ღმერთმა, რომ მეტად ვწუხვარ ამგვარ ჩემს მდგომარეობისათვის...

— შეეწიეთ, შეეწიეთ... ყველა შეეეწიოთ, ავუშენოთ ერთი პატარა სადგომი ამ ჩვენს ეკლესიასთან და მღვდელიც ახლოს გვეყოლება და ყოველივე უკმაყოფილება და სამდურავი მოისპობა მოძღვარსა და ჩვენს შორის!.. — თქვა მოხუცებულმა აზნაურმა, რომელიც იქვე იჯდა საფლავის ქვაზე და ამ სიტყვებზე წამოდგა.

— თქვე დალოცვილო, ჩვენთვის ვერ დაგვიდგამს სახლი, ქოხებში ვყრივართ, მღვდელს სად ვუშოვნოთ სადგომი? — წამოიძახა მოხუცებულმა გლეხმა და სხვებმაც ბუტბუტით ბანი მისცეს.

— აბა რა ქნას ამ ადამიანმა? — განაგრძო მოხუცებულმა აზნაურმა. — რა ქნას ამ ადამიანმა?..

— ბატონო, მღვდელი წინათაც გვყოლია, მაგრამ მათთვის სადგომი არ გვიშენებია. მაგ რაღა შეიქნა?!

— რომ გყოლია, ჩემო კიმოთე, ის შენი მეზობელი იყო, ამ სოფლის მცხოვრები... დღეს კი ამ შენს მეზობლებში აღარავინ გყავს იმისთანა, რომ მოძღვრად გამოსადეგი იყვეს და აგერ გაიზარდეს განათლებული ადამიანი, შესმენილი და მცოდნე... იმ შენს უწინდელ ყრუალა მღვდელთან ვერ მიადარებ ამას, უკაცრავად!..

— ეგ კაი დაგემართოსთ, ბატონო, კაი იყვეს... განათლებული მოძღვარი, რასაკვირველია, ჯობია გყავდეს, მაგრამ მეტ ტვირთად გვაწვება, ბატონო ნესტორ!.. ჩვენ ჩვენი საკუთარი გაჭირვება გვეყოფა, ძლივს სული გვიდგია ტანში, ჩვენ მაგისაგან მოველით შველასა და დახმარებას, ჩვენი გაჭირვების გაადვილებას, და ამის მაგიერად ტვირთად გვაწვება... დასაბინავებლად ჩვენ გვიხდება და შესანახავად... ჩვენც ცოდვანი ვართ!

— მართალია, მართალი! — მოისმა იქით-აქედან სმები ამ სიტყვაზე.

ახალგაზრდა მღვდელს ეტყობოდა ისრებივით ესობოდა გულში განაგონი, აღელვებული ხან წვერს ისწორებდა, ხან ულვაშებს იგრეხავდა ათრთოლებული ხელით.

— გთხოვთ, თავი დაანებოთ ამ ლაპარაკს! — მიმართა მან რუსულად მის მომხრე აზნაურს.

— მომითმინე, მომითმინე, მამაო!.. ნუ გეწყინება, ამათ ასე იციან ჰიპყინი! — რუსულადვე მიუგო ნესტორმა მღვდელს და მერმე ისევ ხალხს მიმართა: — ნუ ჯიუტობთ, ნუ, ნუ... შევუწყოთ ხელი ამ ჩვენს მოძღვარს, დავაბინავოთ ჩვენს მახლობლად, მეზობლად ვიყოლიოთ და ჩვენც უკეთ გვემსახურება... ავაგოთ პატარა სახლი ამ ეკლესიასთან და სამიდღემჩიოთ თავისუფალი ვიქნებით ყოველ უკმაყოფილებისაგან მღვდელსა და სოფელს შორის... ჩვენი სოფლის კაცის მღვდლად ნახვას მოვესწრებით თუ არა ოდესმე, ვინ იცის!.. ჰო, და ამაზე ყოველთვის გვექნება ერთი ლაპარაკი და ყაყანი... და ბარემაც გადავსწყვიტოთ და მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკის განახლებას!.. ხომ ყველა ვხედავთ არ გვარგია, ასე შორს მოძღვრის ყოლა!.. ჩვენი ვალია, ყოველივე ღონე ვიღონოთ და დევიახლოვოთ იგი... ჰო, ნუ ყოყმანობთ!.. გადასწყვიტეთ და ის იქნება!..

გლეხებს შორის ყოყმანი ატყდა; ესეც ლაპარაკობდა, ისიც: ყველას უკმაყოფილების სიტყვა ადგა პირზე. მღვდელი ძლიერ უხერხულად გრძნობდა თავის თავს და გაქცევასაც აპირებდა, რომ მოხუცებული ნესტორის ხათრი არა. მის ყურთასმენას არ გაჩნია თითქმის არც ერთი სიტყვა გლეხებში ნათქვამი და ეს იყო შიზეზი, რომ იგი უფრო და უფრო მოუსვენარი ხდებოდა. უეცრად იგი შეინძრა მთელი სხეულით, ისარნაკრავივით მიტრიალდა მარცხნით და აცახცახებულმა უცნაური ხმით წამოიძახა:

— მართალია, მართალი, ექვთიმე ბატონო, მართალი!

ყველანი შეჩერდნენ. ჩამოვარდა სიჩუმე. შუახნის გლეხი, რომელსაც მიმართა მღვდელმა, სახედაბნეული იდგა და დარცხვენილივით იყურებოდა გაჯავრებულ მოძღვრისაკენ.

— სწორედ მიმხვდარი ბრძანდები... დიახ, იმისათვის ვცდილობ თქვენთან დაახლოებას, რომ თვალები მაქვს გამოპრაწული თქვენს სარჩოზე ვიწყო ცხოვრება!.. ძალიან მიკვიხვდი, ძალიან, ისე ნენ გეშველა!.. ფუი_შენს კაცობას! შენისთანა კაცთან ღირს ადამიანმა ხმა ამოიღოს?!. შეგირცხვათ ნამუსი!— ერთბაშად წამოისროლა მამა ზოსიმემ, აძაგძაგებული ხელით ჩამოიფხატა შუბლზე თავისი ფართო კიდეებიანი ქუდი და გაშორდა სახტად დარჩენილ ხალხს.

მაგრამ მერე ისევ მოტრიალდა, მივიდა თავის მომხრე მოხუცებულ აზნაურთან:

— მშვიდობით ბძანდებოდეთ! — უთხრა მან, ხელი ჩამოართვა და ისევ გაშორდა ამ გროვას.

სახეწამონათებული, თვალებამღვრეული იგი შეჩერდა ერთ ადგილას და იქით-აქეთ იცქირებოდა, თითქოს ვიღაცას ეძებდა ეკლესიის გალავანში. კარგა ხანს იდგა იგი იმავე ადგილას ბურანში გახვეული, გარეტიანებულივით და სრულიად არაფერი ესმოდა, რას ეუბნებოდა მასთან მიახლოებული ახალგაზრდა გლეხი ბიჭი და დიდხანს ვერ შენიშნავდა მას, რომ ბიჭს თავის მიმართვის გამეორებაზე შემაღლებული ხმით არ წარმოეთქვა თავისი სათქმელი.

ამ ხმამაღლა დაძახებამ გამოარკვია მამა ზოსიმე, მოიხედა და, ბიჭი რომ დაინახა, კუშტად მიმართა:

— რა გინდა?

— ჩემთან უნდა წამობძანდე ახლავე, მამაო!

— რა ამბავია? — ისევ კუშტად და წარბებშეყრით შეეკითხა გულმოსული მღვდელი.

— ბიჭი გვყავს, ჩემი უფროსი ძმა, მწარე გაჭირვებული.

— მერე?

— ზიარება გვინდა! — თქვა ბიჭმა და თვალებზე ცრემლები

ჰოადგა. — მალე, შენი ჭირიმე, მალე!.. ჯავრისაგან დედაც გადამერევა, ისეა!.. ნულარ დაიგვიანებ, მამაო!

— წადი, ი სულელი პეტრია დარაჯი მონახე... ჯორი გეიყვანეთ ჭიშკართან!.. ლოცვანს გამოვიტან... მოვალ ახლავე!..

— აბა დროზე ქენი, შენი ჭირიმე! — თქვა ბიჭმა და გაიქცა პეტრიას მოსანახავად, მაგრამ ისევ მოტრიალდა და მღვდელს მიმართა: — არაფერი წამალი არ მიუდგა... ეგებ ლოცვამ უშველოს... ლოცვაც უნდა წოუკითხო!

— კარგი, კარგი!.. რაც გითხარი, შენ ის ქენი! — მღვდელი შეეცდა ეკლესიაში, გამოიტანა იქიდან ლოცვანი, უბრძანა მნათეს ეკლესია დაეკეტნა. ვეღარ მოითმინა, საყვედური არ წარმოეთქვა ამასთან მედავითნეს შესახებ, რომელიც მისდა უკითხავად სადღაც გამქრალიყო და მერე აჩქარებული ნაბიჯით გალავნის ჭიშკრისაკენ გასწია.

პეტრია უკვე იქ იყო ჯორიანად.

— შენ ჩემთან უნდა წამოხვიდე! — მოკლედ ესროლა მღვდელმა სიტყვა. — ეს წამოიღე შენ! — და მან ლოცვანი გაუწოდინა მას.

— კი ბატონო! — ხალისიანად მიუგო პეტრიამ, ავეანდი დაუწია მღვდელს და ჩამორთმეული ლოცვანი ამოიდო იღლიაში.

ზოსიმე მღვდელმა ერთი თვალი გადაავლო ნამალევად ცაცხვის ქვეშ ისევ მოლაპარაკე გროვას და გულნატკენმა, გულამღვრეულმა გასწია შეწუხებულისაკენ.

ზაშ ეგრე, მამა ზოსიმე მხოლოდ მძიმე ტვირთია თავის მრევლისა?! თვალები აქვს გამოპრაწული, რომ თავისი სულიერი შვილების წანაგლეჯით გამოიტანოს თავი? იმის მაცადინია, რომ თავისი თავი სოფელს შეაპაროს და სარჩენად გაუხადოს მას თავისი ოჯახი?! ესაა, რაც დაიმსახურა მან ამ ხალხის თვალში! ეს არის ამ ხალხის შეხედულება მასზე... ამნაირი ურთიერთობაა მოძღვარსა და სამწყსოს შორის... წაგლეჯაზე თვალებგამოპრაწული მოძღვარი!.. მძიმე ტვირთი, რომლის შორს ყოფნას რჩეობენ! — განა ამის გაგონება გულს არ მოუკლავდა ახალგაზრდა მოძღვარს, რომელიც სულ სხვა იმედებით მოდიოდა ამ ხალხში, რომელსაც ეგონა, ამ ხალხში შეიტანდა პატივისცემას მისი წოდებისადმი, შეაყვარებდა იმათ სახელს, ვინც მქადაგებელია სიყვარულისა მოყვასისადმი, ვინც განმანათლებელია სულისა, გამწმენდი გულისა ყოველივე მძულვარებისა და ბოროტებისაგან.

სადაა შერე ეგ ყოველივე?! სადაა რაიმე ნიშანი კეთილგანწყობილებისა მოძღვარსა და სამწყსოს შორის?! სადაა სიყვარული, პატივისცემა, ნდობა, იმედი?! სადაა ყოველივე ის, რაზედაც იგი ოც-

ნებობდა სემინარიაში თავის ამხანაგებთან, რომლებთან იგიც ემზადებოდა მომავალი მოღვაწეობისათვის?!

უბინაო, ღატაკი, ღატაკებით გარშემოხვეული, რომელთა ნაოფლარითაც თავი უნდა ერჩინა — საიდან, რა გზით უნდა დაბადებულიყო ნდობა, სიყვარული, თანაგრძნობა მათ შორის?!

თვალებგამოპრაწული მოძღვარი?! — ეს ისეთ ტკივილებს აგრძნობინებდა ახალგაზრდა მოძღვარს, ისეთნაირი სევდით უვსებდა გულს, რომ იგი მზად იყო ეტირა, ეტირა, რადგანაც ასე უნდა ყოფილიყო სიკვდილამდის, სანამ ამ ძულებაში არ დალევდა სულს და არ გამოეთხოვებოდა ამ წუთისოფელს.

და იგი სწყევლიდა თავისთავს, რომ ეგრე უგუნურად შეეჭიდა, იტვირთა ასეთი საშინელი მოვალეობა, იდვა თავზე ასეთი მძიმე საქმე, რომ მიიღო სახელწოდება, რომლისადმი მხოლოდ სიძულვილ! ავრცელებს ხალხში სრულიად თავისდა უნებურად, თავისდა გულსაკლავად.

აღელვებული, გულშეწუხებული მღვდელი, რომელსაც სისხლი საშინელი სიჩქარით მიურბ-მოურბოდა ძარღვებში, მოუსვენრად სცემდა ქუსლებს პატარა ჯორს, რომელიც თანდათან უმატებდა ჩიქჩიქს და ჯორთან ერთად გაჭირვებაში აგდებდა ხნიერ პეტრიასაც, რომელსაც არ უნდოდა უკან ჩამორჩენოდა თავის მოძღვარს და ამიტომაც, ლოცვანით იღლიის ქვეშ, ჩოხის კალთები ამოეკეცა და ოფლში გაწურული ჩანჩალით მისდევდა უკან.

პეტრიამ უკვე იცოდა, რაც ამბავი მოხდა, რარიგად გააპილპილეს ყმაწვილი მღვდელი და სწორედ მისდა გულის დასაშოშმინებლად, სიმწარის დასაამებლად ხმამაღლა გაიძახოდა ქლოშინით მაპა ზოსიმეს გასაგონარად:

— ნამეტანი გადასხვაფერდა ეს ხალხი... ნამეტანი გადასხვაფერდა... სულ გამოიცვალა! რას იზამ ადამიანი! ნამეტანი შეუსმენელი შეიქნა!.. გეირყვნა ქვეყანა, ნამდვილად გეირყვნა, რომ ვუყურებ! მარა რას იზამ კაცი, რას იზამ?!

მაგრამ მამა ზოსიმეს ან არ ესმოდა ეს სიტყვები, ან და, თუ ესმოდა, ისინი სიმწარის შემმატებლად ხვდებოდნენ, ალბათ, იმიტომ რომ იგი ჯორს თანდათან უფრო აჩქარებდა, თითქოს პეტრიას უკან ჩამორჩენას ცდილობდა; მაგრამ ეს უკანასკნელი თავისას არ იშლიდა, თავმოძულებით, თითქმის სირბილით მისდევდა უკან მღვდელს, ხტოდა ქვებზე, როცა ტალახი შეხვდებოდა, იწურავდა ოფლს და თან თავისას გაიძახოდა, თუ როგორ გაირყვნა სოფელი, რა შეუსმენელი შეიქნა და თავიანთ სიბრიყვეში კაცის ცნობის უნარიც როგორ დაჰკარგეს.

გვარიანი გზა, ალმართ-დალმართიანი, უკვე გაიარეს ამრიგად-როდესაც ერთ ადგილას მათკენ მომავალი მღვდელი შეხვდათ.

— მამა ზოსიმე, მამა ზოსიმე! — შემოსძახა შემხდურმა. — მამაო, გეტყობა გულნაწყენი უნდა იყვე!.. სძლიე, სძლიე, მამაო, ჯერ აბალგაზრდა კაცი ხარ... მომავლისათვის შეინახე თავი! სძლიე სალელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა, ამინ! პირჯვარი გადისახე, ფუი ეშმაკსა-თქვა და გათავდა! — ეჭიარულად და სულდაუთმელად მოაყოლა ამ ხანში შესულმა ჭაღარამორეულმა მღვდელმა, რომელმაც ჯორი შეაჩერა, ქუდი უკან გადაიწია და ცოტითი გამოაჩინა თავისი მელოტი შუბლს ზევით.

— სად მიბრძანდები, მამაო მიხეილ? — შეეკითხა ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ მამა ზოსიმე.

— ქუთაისში, აგერ ეს ვაჟბატონი მიმყავს, ეგებ გვარი დაამშვენოს თავის ჭკუითა და სწავლა-განათლებულობით! — და ამ სიტყვებთან მან თავი მიიბრუნა უკან პატარა, ათი-თერთმეტი წლის ბავშვისკენ, რომელიც უკან შემოჯენილი ჰყავდა ჯორზე, ძალ ე მიჰკროდა მამა მიხეილს წელზე შემოხვეული ხელებით, რ დვანაც საჯდომი ადგილი უნაგირს იქით ჯორის გავაზე მეტად პატარა დარჩენოდა; ისე მიჰკროდა, რომ მამის ანაფორაში გაეხვეოდა თავი და სახე სრულიად არ უჩანდა.

— სასულიერო სასწავლებელში, მამაო?

— დიახ, დიახ!.. ჩვენ ქე გვწუნობთ, თქვე დალოცვილებო! — სცილით თქვა მამა მიხეილმა. — დასაწუნიცა ვართ!.. ამ თრევაში, ამ ხალხთან ყაყანში სულ გამომელაყა თავი... რაც რამ იყო შიგსულ ერთიანად გამოიფიტა, გაფრინდა სადღაც... რავარც პური გაფრინდება, სწორედ რომ ისე! თუ არა ჩვენს დროზე ვითომც არაც ჩვენ გვიჭირდა!.. მეც ვიცოდი რაღაც-რაღაცეები... მახსოვს, გიშპანიის ზღვას გვასწავლიდნენ, თეთრ ზღვას, პეჩორის ლავრ.ს... მარა დღეს სადაა ეს გიშპანიის ზღვა, ან ეს თეთრი ზღვა, ან პეჩორის ლავრა — ვეღარაფერი გევიგე!.. თავი მომწონდა წინათ და ახლა ამ თითის სიგრძე ბავშვმა მაჯობა... სადაა, ბიჭო, თეთრი ზღვა? არც შენ იცი, შემარცხვინე კაცი?! გიშპანია?! ხა, ხა! — გადიხარხარა ხუმარა და ენაწყლიანმა ხუცესმა.

სწორედ ამ დროს უკან ჩამორჩენილი პეტრიაც, აქლოშინებული, მოუახლოვდა ამათ და, რა დაინახა მამა მიხეილი, დაბლა თავი დაუკრა და შენდობა სთხოვა.

— ა, პეტრიანთი, პეტრიანთი, პეტრიანთი! — მიაძახა, დაინახა თუ არა, მამა მიხეილმა. — რასა იქ, პეტრიანთი?.. კანჭიანთის ამბავი

რავაა, პეტრიანთი?.. კანჭიანთის ამბავი... მამა ზოსიმეს! ხა, ხა, ხა!.. კაი სუქანი კანჭიანთი!..

— სუქანი კანჭიანთი ადღა იქნება, შე დალოცვილო, ღორის გამოსაშობი ადგილი რომ აღარ არის!.. რითი გასუქდება, ყველას ბაწარზე უბია თავისი ღორი!.. სუქან კანჭიანთზე ჩვენც გვწყდება გული, მამაო, მაგრამ რას იზამ კაცი, რას იზამ?!

— რატომ მერე, რატომ, პეტრიანთო! კაი სუქანი კანჭიანთი გულს გაამხიარულებს, ხომ იცი!.. მამა ზოსიმესაც კანჭიანთი გულს გაუმხიარულებს, ხომ იცი!.. მამა ზოსიმესაც სხვანაირ გუნებაზე მოიყვანდა... ეგებ ახლა კიდეც მოგელოდესთ კაი ბურუხუნა კანჭიანთი, ა?.. ხა, ხა, ხა!.. კანჭიანთზე მიპვალთ? — სიცილით შეეკითხა ხალისიანი ხუცესი.

— საზიარებელი მყავს აგერ, — მიუგო ზოსიმემ.

— საზიარებელი?.. ოჰ, აბა უკაცრავად, უკაცრავად! არ მეგონა, თორემ ამდენხანს არ გაგაჩერებდი ამ შარაში. უკაცრავად... მშვიდობით ბრძანდებოდეთ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — თავი დაუკრა ზოსიმეს, შემოჰკრა დეზი თავის თაგვის მსგავს ჯორს და მოსაუბრენი გაშორდნენ ერთმანეთს.

ასალგაზრდა მღვდელმა ვერ მოითმინა, ერთი არ მოეხედნა ამ უცნაური ღვთის მსახურისაკენ, და საშინელი სევდა შემოაწვა გულზე. ნუთუ ეს მიხეილა ხუცესი მისი მომავლის გამოხატულებაა? ნუთუ მასაც მოელის ასეთი ბოლო? ნუთუ მასაც გაუხდება საკითხავად, არის თუ არა დღეს სადმე გიშპანიის ზღვა, ან საღაა პეჩორის ლავრა და სამწუხარო გაუხდება „ბურუხუნა კანჭიანთების“ მოკლება ღორების გასაშვები ადგილების უქონლობის წყალობით?

— ოხ, ღმერთო, ღმერთო! — უსებლიეთ ხმამაღლა წამოიძახა ზოსიმემ და სწორედ იმავე დროს უკან ჩამორჩენილ პეტრიას ძახილიც მოესმა:

— შეუხვიე, მამაო, მანდ შეუხვიე!.. მაგ ჭიშკარში!

ზოსიმემ თავი აიღო და მხოლოდ ახლა დაინახა, რომ მისულიყო ავადმყოფისას. შეიყვანა ჯორი გაღებულ ჭიშკარში და, დაბალი ისლით გადახურული სახლის დერეფანთან გადმომხტარმა, ჯორი შემოგებებულ ალფეზა-ბიუს გადასცა. ამ დროს პეტრიაც გაჩნდა ეზოში.

— ჩალა უშოვე მაგას! — უთხრა პეტრიამ ბიუს, როცა ის ჯორს ბოძთან აბამდა.

გადმოხურულში მღვდელს შემოეგება თავშეფუთვნილი მოხუცებული დედაკაცი, რომელიც მოწიწებით მივიდა ზოსიმესთან და ხელზე ემთხვია. ეს იყო ავადმყოფის დედა, მოხუცებული ანუსია.

— აბა, სადაა ავადმყოფი? — იკითხა ზოსიმემ და სახლში შეავიდა. — აქა მშვიდობა! — წარმოთქვა მან.

სახლში მეტად ბნელოდა.

— ის მეორე კარიც გააღეთ!.. ამნაირ სიბნელეში შეიძლება ყოფნა?! — დაატანა მღვდელმა უკმაყოფილოდ.

ანუსია ეცა კარებს ბრძანების ასასრულებლად. შემოსულ სინათლეზე ახლა შესაძლებელი იყო ადამიანს გაერჩია იქაურობა. კედლის სიგრძეზე გაყოლებულ ვიწრო ტახტზე თავბოლოში ქვეშაგებებში ორი ადამიანი იწვა, როგორც ეტყობოდა. იქითა თავში მწოლარე, რომლის თვალებიც შემკრთალივით გამოიყურებოდნენ ცხვირამდის წახურული საბნის ქვეშიდან, ზოსიმემაც იცოდა, რომ ალფეზას და იყო, ელიზია, უკვე დიდი ხნის ავადმყოფი გასათხოვარი ქალი.

— ეს არის ალექსი? — მიუთითა მეორე ქვეშაგებზე ზოსიმემ. ჰწოლარე თავიანთ იყო გახვეული საბანში.

— ალექსი გახლავთ! — ძლივს გასაგონი, მისუსტებული ხმით, რომელშიაც ცრემლები ისმოდა, უპასუხა მოხუცებულმა ანუსიამ.

— გადახადეთ საბანი!

ანუსია თითქმის შეხტა ტახტზე და მუხლებზე წაჩოქილმა ნელა დაუწყო საბნის გადაძრობა ავადმყოფს პირიდან.

— ალექსი, შვილო!.. გამოიხედე!.. მოძღვარი მობრძანდა!

ოფლში გაწურულმა, პირზე წამოწითლებულმა ავადმყოფმა ერთი კი გამოიხედა მღვდლისაკენ და ისევ დახუჭა თვალები.

— რასა იქ, ალექსი, ა?.. რა უნდა შენთან ავადმყოფობას, შე კარგო კაცო! — შეეხუმრა ვითომ ზოსიმე ავადმყოფს.

— ეკვდები. ბატონო! — ძლივს გასაგონი ხმით წამოიფუჩუნა ავადმყოფმა.

— ნუ გეშინია, ნუ!.. ასე მალე შეგაშინა ავადმყოფობამ? ჰეი, შე გლახა! შე კარგო კაცო, ადამიანი ხარ, ხან კარგად იქნები, ხან ავად, რა ვუყოთ! — ასე ანუგეშებდა ზოსიმე ალექსის, მაგრამ ნათლად ხედავდა, რომ კაცი განსაცდელში იმყოფებოდა.

ეს წყვდიადი, რომელიც ამ სახლში დამყარებულიყო და რომელიც ისე უსიამოვნოდ მოხვდა გულზე პირველი ფეხის შემოდგმისთანავე, ეს სიღარიბე, ეს სიღატაკე, ამ სახლის ყოველი კუთხიდან რომ გამოსჩვიოდა, ეს საწყალი ავადმყოფები, რომელთა უსაზღვალობაც თვალებში ეჩხირებოდა, ეს მუმიასავით შეფუთვნილი მოხუცებული დედაკაცი, ჩუმად რომ ცრემლებს ღვრიდა, თავისი უღონობა ამათი შეწევნისათვის, — ყოველივე ეს კიდევ უფრო ნაღველს

უმატებდა მის ისედაც დანაღვლიანებულ გულს, მწუხარებას უმწვავებდა, უნუგეშობაში აგდებდა, ამ ცხოვრებას ყოველსავე სინათლეს აკლებდა და ყოველსავე სასოწარკვეთილებას უკვეთავდა. სევდით მოცული გული, ამღვრეული სული, შემოწოლილი გრძნობა გამოთქმას ითხოვდა, იწვევდა საღაღადებლად, ხმამაღლა წარმოთქმას თავისი უნუგეშობისას, თავისი სევდიანობისას.

— ლოცვანი! — წამოიძახა მან და ათრთოლებული ხელით დაუწყო ფურცვლა წიგნს. გადიგდო უკან შუბლზე გადმოშლილი თმა და პირჯვრის წერით განსხვავებული ხმით გაიძახოდა, ხმით, რომელშიაც მოისმოდა სიმწარე და მხურვალე ვედრება გულშეწუხებული ქმნილებისა:

— უფალო შეგვიწყალე, უფალო შეგვიწყალე, უფალო შეგვიწყალე! მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა, აღხოცე უსჯულოებანი ჩემნი...

— მღვდელს „ზაკუსკა“ დასჭირდება, ხომ იცი, შორი გზა აქვს... თქვენც შეაგვიანეთ კიდევ... დილიდან უჭმელია... ხომ გაქვთ რამე? — გადულაპარაკა პეტრიამ ალფეზას.

— კი მაქვს, კი! — მიუგო ალფეზამ.

პეტრიამ მღვდლისკენ მიიწია.

ეს კი. გულდაჩაგრული, გულაჩვილებული ამ უნუგეშო სურათებით. რომელიც ყოველ ფეხის გადადგმაზე თვალწინ ეშლებოდა, დამონებული ამდენი ტანჯვა-გაჭირვების მზერით, მხურვალედ ევედრებოდა ზეცას შვებას, მოწიწებით ითხოვდა იმედს, სიხარულს, რათა მას მიეღო მსხვერპლად მისი შემუსვრილი სული, გული შეწუხებული და დამდაბლებული.

— ღმერთო, ისმინე ლოცვისა ჩემისა... ყურად იხვენ სიტყვანი პირისა ჩემისანი! — გაიძახოდა იგი მუხლმოდრეკილი.

ამ ღაღადებაში, ამ მხურვალე ლოცვაში მან იჯერა გული და თითქოს რაღაც შვება იგრძნო ამ ხმამაღლა ძახილში თავისი უნუგეშობის და სასოწარკვეთილებისა; თითქოს ისევ მოიპოვა მან სულის მშვიდობა. დაკეცა ლოცვანი, გადასცა იგი პეტრიას, უბიდან ამოიღო პატარა ხატი, გახსნა იგი და ავადმყოფს მიაწოდა წმიდა საიდუმლო.

კუთხეში მიკრუნჩხული პატარა გოგო თაგვივით გამოიყურებოდა და გაკვირვებული თვალებით მისჩერებოდა მაღალი ტანის უცნაურ კაცს.

ზოსიმემ აზიარა ავადმყოფი.

— ნუ შეშინდებით, ღმერთი მოწყალეა! არაფერია საშიშარი! ნუ გაფთხალდებით! შენ რას შვები, ელიზა? — მივიდა ზოსიმე

მეორე ავადმყოფთან. — ასე უნდა იწვე, შე ქალო, ღარ აპირობ ადგომას?! — უხუმრა მას.

გაყვითლებულს, ლოყებჩაცვივნულს პირისახეზე უცნაურად მბზინავი თვალის კაკლები შეთამაშდნენ და ძალზე შეთხელებული უსისხლო ტუჩებიც შეიშმუშნენ, და მისუსტებული ხმით ნათქვამმა სიტყვებმა ძლივს მიაღწიეს ზოსიმეს უურებამდის:

— ნეტავი ალექსის დევინახავდე ფეხზე და მე რა საკითხავი ვარ!

— ალექსის დარდი ნუ გაქვს. შენ წამოდექი და მაშინ იქნება კარგი! — ღიმილით უთხრა ზოსიმემ.

ანუსიამ ამაზე ღრმად ამოიოხრა და სიმწარის ნიშნად გააქნია თავი.

— აბა, პეტრია, ჯორი! — დაიძახა მღვდელმა.

— ერთ წამს მოგვითმინე, მამაო... გზა შორი გაქვს და მშიერი ბრძანდები. — შეაყენა კარებისკენ მიმავალი ზოსიმე ალფეზამ.

— არა, არა! — წამოიძახა ზოსიმემ.

— კი, ჩემო ბატონო, კი, ბატონო! — დაატანა ანუსიამაც.

— სრულიად არაა საჭირო! არაა საჭირო! — იწევდა მღვდელი.

— მოითმინე, მამაო! მშიერი ახლა საბლში წახვიდე, გზაში რა გარონიებს? ერთი სტაქანი ღვინო დალიე, ერთი ლუკმა პური მოიტეხე და წადი ისე, — ჩაერია პეტრიაც. — აბა, ნუღარ აგვიანებთ, მოიტანეთ, თუ გაქვთ რამე!

— კი, ჩემო ბატონო, კი, ახლავე იქნება! — ფუსფუსებდა ანუსია შვილთან ერთად.

ზოსიმე იძულებული იყო დარჩენილიყო საუზმეზე. სუფრა მალე გაიშალა და პეტრია ერთ წამში დაეპატრონა, რაც სუფრაზე მოართვეს მღვდელს.

— ეს რა საბოდიშოა, შე კურთხეულის შვილო! მართალია, ნასწავლი მღვდელი ბრძანდები, მაგრამ ამ სოფლის პურ-მარილზე უარი არასოდეს არ უნდა თქვა. თუ დაგაკლდება, თვარა არაფერი შეგეშატება. დიდება ღმერთსა, გაუმარჯოს მასპინძელს, ავადმყოფი მალე მოურჩინოს, ოჯახს სიკეთე და ბედნიერება! — დალოცა მან და გამოცალა ღვინიანი სტაქანი.

მოშიეებულ მღვდლისათვის სწორედ სულზე მოსწრებასავით იყო ეგ საუზმე: იგი მადიანად ილუკმპებოდა. არა ნაკლები მადით შეექცეოდა სუფრას პეტრიაც, რომელიც ტოლუმბაშობასაც ვითომ ეპირებოდა, რომ მღვდელი ცოტა ხნის შემდეგ არ წამომდგარიყო და წასვლა არ დაეპირებინა.

— კმარა, კმარა, გეყოფა, პეტრია! ადექი და ჯორი მომიყვანე!

— ახლავე, მამაო, ამ წამში! — ალბათ, ენანებოდა სუფრის მიტოვება, ისე ზანტად დგებოდა.

მღვდელმა ალფეზას დარიგება მისცა ავადმყოფისათვის როგორ მოეელოთ და ეზოში გავიდა. ჯორი ისევ ღობესთან იყო და ჩალასა ჭამდა.

— პეტრია, არ გესმის რა გითხარი! — წამოიძახა ზოსიმემ.

— ახლავე მამაო, ახლავე! აწი რაღა მეჩქარება მაინცდამაინც! — და სახლიდან გამოსული პეტრია ჯორთან მივიდა, უნაგირზე მიბმული აბგა მოხსნა და პურებს დაუწყო შიგ ჩალაგება.

— რას შერები მაგას, პეტრია? — მიაძახა ზოსიმემ.

— მაცალე, მამაო, მაცალე! რა გეკითხება, თუ ღმერთი გწამს!

— ნუ სულელობ, ბიჭო!

— ერთი, შე დალოცვილო, შენც უკადრისობ კიდევ!.. სოფელში ხარ, სოფლის ჩვეულებას აჰყევი... თორემ თუ დაგაკლდება, თვარა შეძენით არაფერი შეგეძინება... რა დროს მორცხვობაა!.. აწი ქე უნდა მიეჩვიო, დროა, სოფლის ადათსა და ჩვეულებას...

— მე გთხოვ, ამგვარებს ამარიდო, ჩემო პეტრია! — ნუყენით უთხრა ზოსიმემ.

— ბატონი ბრძანდები! ახლა კი შეგიძლია შენს გზას გაუდგე! აბა შებძანდი! — უთხრა პეტრიამ, როცა აბგას თავი მოუკრა და უნაგირს მიაკრა თასმებით. — აწი ნულარ იგვიანებ!

ზოსიმემ თავი გააქნია და თან დაატანა:

— რატომ გაქეს მაგრე გრძელი ენა, შე უბედურო!..

— რომ ბევრი ვილაპარაკო, მამაო! — მიუგო სწრაფად პეტრიამ.

ზოსიმეს უნებლიეთ გაეცინა ამაზე და ამ სიცილით გაუდგა თავის გზას; პეტრია კი ანუსიასკენ და ალფეზასკენ წამოვიდა.

— ჯერ კიდევ ეხამუშება... უმაწვილია! მერე, პურს კი არა, გახრეკნილ ძვალსაც ჩეილაგებს ხვირჯინში და სახლში წიკვას დოუწყებს... ბავშვებს თითო ნატეხი მაინც შეხვდებათ, — ღიმილით უთხრა მან დედასა და შვილს, გამოემშვიდობა მათ და თავისი სახლისკენ გასწია.

გვარიანი გზა ჰქონდა გასავლელი ზოსიმეს, მაგრამ იგი დღეს კიდევ უფრო გრძლად ეჩვენა; მთელი გზა სულ იმაზე ფიქრობდა, რაც დღეს მას გადახდა და რაც დღეს ნახა.

ვერაფერი საამური სურათი წარმოუდგა თვალწინ, როცა თავის ეზოშიაც შეეიდა. სახლის წინ პერანგის ამარა ბავშვები ტალახში

ჩანგარიყვნენ ტიტველა ფეხებით და სრულიად გათუთხულნი ულმოდგინედ ზელავდნენ მას.

— თეკლე, თეკლე!.. ამ ბავშვებს გადმოხედე ერთი! ყურის გდება უნდა, შე ქალო, ხანდახან. — დაიძახა მან, როცა ჯორიდან ჩამოხტა, მიაბა იგი ბოძთან და პატარა სახლის აივანზე ავიდა.

დაძახილზე სახლიდან გამოეარდა ახალგაზრდა ქალი, თავსაფარწაკრული, სახელოებწაკაპიწებული.

— რა იყო? — გაფაციცებით იკითხა მან.

— რა და, შე ქალო, ამ ბავშვებს მიხედვა უნდა ხანდახან... შეხედე, რას ჰგვანან? რარიგად ამოთითხნილან!.. კვირა დღეა, დღეს ნაგეცმია მაინც.

— რა ჩავაცვა, შე კაცო?.. თითო ხელი ტანისამოსი აქვთ და იმასაც გაათხრეგენ და ის იქნება... მალე მეესწრებიან ახლების შეკერვას!.. ამ შენმა ძმისწულებმა მაინც სულ გააფუჭეს ეგ გასაწყვეტლები!.. გიგა, გიგა... ელინკა... არ გესმისთ!.. ახლავე ამოეთრიეთ... ახლავე აქ ამოეთრიეთ, თვარა სულს ამოგახთენთ ორივეს!.. — შეუტია ბავშვებს თეკლემ.

დამფრთხალი ბავშვები გამოიქცნენ დედისკენ. ეს კი მივიდა ჯორთან, მოხსნა აბგა, გასინჯა ხელით, უნდოდა გაეგო, თუ რა ეწყო შიგ, ამოაფარა კაბის ნაკეცს, რომ არ შეებედინებინა მაზლისანებისათვის, რომელნიც იმავე სახლში ცხოვრობდნენ, და აჩქარებით შეირბინა ოთახში.

— მე რაღაც მეგონა! — უკმაყოფილებით წარმოსთქვა მან, როცა აბგა გახსნა და პურები დაინახა.

— აბა რას ეძებდი? — ღიმილით და თან დარცხვენით უთხრა ცოლს ზოსიმემ, რომელსაც ანაფორა გაეხადნა და ახლა ტახტზე გაწოლილიყო.

— დედა, მომეცი-ი! — ეტაკა თეკლეს უფროსი შვილი. — მაპამე-ე-ე!

ამას მეორეც აჰყვა.

— მაპა-მე-ე!.. მომეცი-ი... — გაიძახოდნენ წუწუნით ბავშვები.

— მოიცადეთ, მოიცადეთ!.. მერე... მერე!

— მაპამე-ე-ე!.. მომეცი-ი! — წუწუნებდნენ ბავშვები.

— შაეი ჭირი თქვენ! — მიაძახა თეკლემ.

— მოუტეხე, შე ქალო, ნუღარ ატირებ! — უთხრა ზოსიმემ.

— ჰა, ჰა, ცეცხლეთ, არ გასაძღომებო!.. გაგიწყდათ მიწა! გაგიწყდათ!

გადუგდო თითო ნატეხი თეკლემ ორივეს და დანარჩენი აბგია-

ნად კუთხეში მაგარ დაბალ კარადაში შედვა, ოთახიდან გავიდა და ბავშვებიც თან გაიყოლია.

ზოსიმემ თვალები გააყოლა თეკლეს და ტიტველა ბავშვებს, რომელნიც დედას ძისღევდნენ, და მისდა უნებურად ღრმად ამოიხვნეშა.

„თვალებგამოპრაწული!“ — გაურბინა მას თავში და ისევ თვალწინ წარმოუდგა დღევანდელი ამბავი, ეს მისი ბრეკლი, ბოტუტბუტე გლეხკაცობა, ეკვიმეს სიტყვები, მიხეილა ხუცესი და მის გულში ისევ გაიღვიძა საშინელმა სევდამ, სასოწარკვეთილებამ. ახლა ამას ზედ ერთოდა ეს შინაური სურათიც. კი, კი უნდა გამოპრაწოს თვალები, მართლა თვალებგამოპრაწულად უნდა იყოს, თორემ ვერც სხვის წაადგება და თავის თავსაც ავნებს. ყოველივე ოცნებაზე ხელი უნდა აიღოს, იცხოვროს ისე, როგორც სხვები ცხოვრობენ. დროა აწი სოფლის ადათს შეეჩვიოს, პეტრიასი არ იყოს. სხვა ყველაფერი ტყუილია და საზარალო!.. და ამას რომ ეუბნებოდა თავის თავს სასელმძღვანელოდ, უეცრად ანუსიას ოჯახი მოაგონდა, სადაც ორი ბომაკვდავი იწვა და თითქოს ვიღაცამ წასჩურჩულა: შენი შემოსავალია. და ამ აზრის გაღვიძებამ, ამ აზრის მის ტვინში გაელვებამ ბრულიად დაათავა ახალგაზრდა მოძღვარი. ნუთუ ამგვარი ფიქრების გამაღვიძებლად გაუხდება მისი გაჭირვება, მისი სისაწყლე?! ნუთუ ამგვარი აზრების დამუშავებას მიეჩვია მისი ტვინი, მისი გონება? და ზოსიმე გულდაწყვეტილი, გადაბრუნდა მეორე გვერდზე, ჩარგო ცხვირ-პირი მუთაქაში და იწვა გაუნძრევლად.

დიდი ხანი არ დასჭირებია, რომ მოღალულ-დაქანცულ ტვინს ძილი მიჰპარვოდა და სასურველ, სასიამო დავიწყებაში შეეყვანა ახალგაზრდა მღვდელი.

ავადმყოფ ალექსიას გამობრუნებას არა თუ პირი უჩანდა, პირიქით, იგი იმ საღამოსვე საშინლად გაჭირვებული შეიქნა. მოუსვენრად წრიალებდა ქვეშაგებში, ხანდახან წამოიძახებდა რაღაც უცნაურ სიტყვებს, ბოდავდა და წუხდა საზარლად. რეტდასხმული ანუსია თავთან უჯდა შვილს, მწუხარებისაგან გამშრალი სულელურად მისჩერებოდა შეწუხებულ ავადმყოფს. არა-რა იმედი, არც საიდანმე შველა, რამე შეწევნა!

— ღმერთო დიდებულო!.. ღმერთო მოწყალე! — ხანდახან წამოიძახებდა მხოლოდ ალფეზა, და ანუსია კი შვილს დასჩერებოდა და უსიტყვოდ მუშტს ირტყამდა გულზე.

საზარელი ღამე დაუღამდათ საწყლებს. მთელი სახლი ბნელში იყო გახვეული, მხოლოდ კერაზე ცქრიალებდა მკრთალი ცეცხლი

და დამყარებულ მკაცრ სიჩუმეს ავადმყოფის წამოძახება თუ არღვევდა, ანდა უღონო ხმა ელიზიასი, რომელიც დედას დროგამოშვებით ეკითხებოდა:

— დედი, რავაა ალექსი?

— რას იზამს, შვილო, მგონი ახლა უკეთ უნდა იყვეს! — მიუგებდა ხოლმე ანუსია და სახლში ისევ სიჩუმე ჩამოვარდებოდა.

დილაზე ავადმყოფი უარესად შეიქნა. ალფეზა სოფელში დარბოდა უთენიიდან და ხან ვინ მოჰყავდა და ხან ვინ. მაგრამ ვერავინ ვერაფერი გაიგო ამ ბიჭის ავადმყოფობისა და ვერავინ გამოჩნდა მშველელი. მთელი დღე უცნაურ გაჯახირებაში გაატარა ალექსიმ, ღამეც არა ნაკლებ მოუსვენრობაში იყო.

ანუსია, გალენჩებული მწუხარებისაგან, ისევ თავს დასჩერებოდა შვილს.

— დედა! — წამოიძახა ავადმყოფმა და თავი მაღლა წამოსწია.

— შვილო, ალექსი, აგერ ვარ!.. რა გინდა? — მივარდა ანუსია.

— დედაუ! — გაჯავრებით და უფრო ხმამაღლა წამოიძახა ალექსიამ. — დედა, დედა, დედა-ა-ა! — დაჟინებით იძახდა და თავს ატრიალებდა ავადმყოფი.

— ალექსი, შვილო... აგერ ვარ, აგერ... შენს სულს ვენაცვალე... შვილო!

მაგრამ იმას, ალბათ, არ ესმოდა დედის სიტყვები, საშინლად აბრიალებდა თვალებს, ხან ერთ სიტყვას გაიძახოდა, ხან მეორეს. ანუსია თავზარდაცემული ეპოტინებოდა შვილს, რაღაცას ეუბნებოდა, თვითონაც არ ესმოდა... ცრემლებმა ხმაც წაართვა და თვალებიც აუხვია. აძიგძიგებული პირისახე, მთრთოლავი ტუჩები სიტყვის გამოთქმას უშლიდა.

ავადმყოფმა ერთი ღონივრად წამოიჯგიმა, წამოიწია, გააჭყიტა თვალები და ლოდივით დაეარდა ლოგინზე.

ანუსია ქორივით დაეძგერა შვილს, გადმოაბრუნა პირაღმა და საზარლად შეჰყვირა:

— ალექსი!.. შვილო!

საზარელი ხმა უცბად მისწყდა.

— დედა... დედა... რა ამბავია? რა ამბავია, დედა? — მოაძახა მას შემკრთალმა ელიზიამ, რომელიც ლოგინში წამომჯდარიყო. — რა იყო, დედა?

— არაფერი, არაფერი, შვილო! დაწევი, დაწევი!

— ტირი, დედა?..

— აბა რა დარჩენია თქვენს შემხედვარე დედას, თქვენს ოხერ დედას! ვაიმე, ვაიმე!..

ანუსია წამოდგა, ალექსის საბანი გადააფარა, ტახტიდან ჩამოვიდა ძირს და კარებისკენ გაიძახა:

— მარიკო... მარიკო!

სახლში შემოვიდა თავგაბურძგვნილი პატარა გოგო.

— დაჯექი აქ! — მიუთითა ანუსიამ ტახტთან, სადაც ალექსი იწვა, — დაჯექი და უყურე!.. — თქვა ეს და სახლიდან გავიდა.

— რას შვება, დედა, ალექსი? — შეეკითხა მიმავალს ელიზია.

— ძინავს, შვილო, ძინავს.

ანუსია რომ გავიდა, სახლში მკაცრი სიჩუმე დამყარდა. პატარა გოგო, დაბალ სკამზე მჯდომარე, გაუბედავად იყურებოდა ხან ელიზიასკენ, ხან კარებისკენ, ხან კი საბანწახურულ ძმას მისჩერებოდა.

სიჩუმეში რაღაც ხმა მოისმა გარედან. ელიზიას ყურებამდისაც მიაღწია მან. რაც ხანი გადიოდა, ხმა უფრო მკაფიოდ მოისმოდა. ვიღაცა უსათუოდ ტიროდა, მოსთქვამდა, ისე ჰგავდა.

— მარიკო... გეიხედე... ვინცხა ტირის იქ... გეიხედე! — და ელიზია წამოჯდა საწოლში.

მარიკო ადგა, მივიდა კედელთან, მონახა ჭუჭრუტანა და კედელს მიეკრა. ტირილის ხმა ისევ მოისმა.

— ვინაა, მარიკო?

— დედა... დედა ტირის! — მიუგო ბავშვმა.

— დედა ტირის?

— ჰო!.. ალფეზა მოვიდა... ისიც ტირის!..

ელიზია შეიშმუშნა, შეინძრა, ხელებით ფათური დაიწყო, მოძებნა კაბა და თავზე გადიჯდო ჩასაცმელად.

— ბიცოლა დაფინი მოვიდა... ბიძია ივანე... პუპულო... ელენიჩკაც მოდის... ტირის ელენიჩკაც... — ტიტინებდა პატარა მარიკო და იმას კი ვერ ხედავდა, ელიზიამ რომ კაბა გადიცვა, წამოდგა საწოლიდან და ეს ცოცხალი ჩონჩხი ბანცალით წამოვიდა ალექსისკენ; აცოცდა ტახტზე და თავისი ძვლიანი ხელებით გადაძრობა დაუწყო საბანს ძმის პირისახიდან.

გადახდილ საბანს ქვეშ გამოჩნდა საზარელი შესახედაური ალექსი, თვალებგადმოკუსული, წინ წამოშვერილი მოკლე წვერით შემოსილი ნიკაპით, უცნაურად დაკრეჭილი კბილებით.

ელიზიამ ერთი შეჰკივლა, რაც კი შეეძლო, და ღონემიხდილი ზედ დაემხო მიცვალებულ ძმას.

მარიკომ მხოლოდ ახლა მოიხედა და, რა დაინახა ალექსიზე დამხობილი ელიზია, მორთო ღრიალი.

— დედა, ელიზია ადგა... ადგა ელიზია... ალექსისთან!

ყვირილზე მოფენილ კარებში შემოვარდა გადარეულივით ანუსია და მასთან ვინც კი წინ გადმოხურულში იყვნენ.

— მომკალით, მომკალით! შვილებო, ვაი, ვაი, ვაი! — საზარელი ხმით წეჰყვირა მოხუცებულმა დედაკაცმა და ტახტზე შეხტა ელიზიას მოსაშორებლად.

სახლი ერთ წამში ხალხით აივსო. შეიქნა გულის შემზარავი ღრიალი, ტირილი, წივილ-კივილი.

გრძნობადაკარგული ელიზია გააშორეს მიცვალებულს და მიცვალებულის მსგავსი თავის საწოლში დააწვინეს.

საღამოზე ელიზიაც გამოეთხოვა ამ წუთისოფელს. მთელი სოფელი მოტირალი იყო საწყალ ანუსიასთან ერთად ამ ორი მიცვალებულისა.

— ღმერთო დიდებულო! ღმერთო მოწყალეო, შეგვიბრალე, შეგვიწყალე ჩვენც ცოდვილნი! — ყოველი მხრიდან გაიძახოდნენ თავზარდაცემული სოფლელნი. ეს ორი კუბო, რომელთა შუაც ჩამჯდარიყო საცოდავი დედა და ხან ერთს ეხვეოდა, ხან მეორეს, — ეს ორი კუბო უცნაურ შიშს ჰგვრიდა ამ გულუბრყვილო ქმნილებათ. ზედ ეტყობოდათ, რარიგად სჩაგრავდა მათ. მხოლოდ ერთადერთი ღმერთიღა ეგულებოდათ შემწედ და იმიტომაც ისე ვედრებით გაიძახოდნენ მის სახელს.

და ზოსიმე მღვდელი, აკანკალებული ხმით რომ წესს უგებდა ამ საცოდავებს, ცრემლებით თვალები რომ ევსებოდა მიცვალებულთა ყურებით, თან მისი გული უფრო მეტად სწუხდა, გმინავდა, რადგანაც თავის გარშემო ხედავდა ამ მართლა და უმწეო, ღვთის ანაბარად მირჩენილ ქმნილებათ, სულით დაჩაგრულთ, უსაშუალოთ, ყოველ მხრივ საცოდავთ; და ეგ საერთო ტანჯვა, საერთო მწუხარება, საერთო გაჭირვება თან უიმედობაშიაც აგდებდა და თან არიგებდა თავის საკუთარ გაჭირვებასთან და თავის ბედთან. ცრემლები, რომელნიც თვალთაგან სცვივოდა, თან მწუხარების ცრემლებიც იყო, ცრემლები უიმედობისა და თან ბედთან შერიგებისა.

ამიტომ იყო, რომ დღეს ისეთი მადლობით გაისტუმრა თავისი მღვდელი მისმა მრეველმა, რადგანაც მან, თავად გულდაწუხებულმა, თავის გულდაწუხებულ სამწყოსთან მხურვალე ცრემლები დაღვარა, ცრემლები მწუხარებისა და უნუგეშობისა.

ქამუშაძის გაჭირვება

სწორედ დროც იყო და საჭიროებაც მოითხოვდა, რომ აზნაურ ოტია ქამუშაძეს ცოლი ეთხოვა: დედამისი ეკვირინე, აზნაურ სანიკიძის გვარის ქალი, მოხუცებულობაში შედიოდა, უჭირდა ოჯახის თავის გართმევა და შემწე ეჭირვებოდა, თუ სულ განმათავისუფლებელი არა. სურდა, რომ სიცოცხლის უკანასკნელი დღეები მაინც გაეტარებინა ისე, როგორც ეკადრებოდა მისი გვარისა და ჩამომავლობის ქალს, ღირსეულად და ბატონურად. იმ გაჭირვებულ ცხოვრების შემდეგ, რომელიც მან ოჯახში მოთმინებით გაატარა.

არა ერთხელ წამოსცდენია გულმოსულობაში ეკვირინეს:

— ვაი დედასა!.. რა ოჯახის შვილი ვის ნაცარში ვიქეცები და კიდევ ასეთ გაჭირვებაში?! —

მაგრამ სულგრძელობით ითმენდა ყველაფერს, რადგან სწამდა, რომ ბედის დანიშნულებას ასრულებდა: ამ ოჯახს დაჩემებულივით ჰქონდა, დედაკაცები კარგი ოჯახებიდან ჰყოლოდა და, ალბათ, ეკვირინეც იმიტომ შეახვედრა ბედმა ბესარიონ ქამუშაძეს, თუმცა, სიმართლე რომ ეთქვა კაცს, მაინცადამაინც სანიკიძეებიც ვერაფრით უსწრებდნენ ქამუშაძეებს. მაგრამ ეკვირინეს ღრმად სწამდა თავისი ჩამომავლობის უპირატესობა და რადგანაც არ უნდოდა მოეშალა ოჯახის ჩვეულება, როცა რძლის მოყვანა განიზრახა, არჩევანი მიიტანა თავის მეზობელ აზნაურ სარდიონ ქველიძის ქალიშვილზე.

ქველიძე კარგი გვარის აზნაური იყო, წინათ მდიდარიც ჩვენს პირობაზე და დღეს კი შევიწროებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ გარემოებამ უფრო გააბედვინა ქამუშაძეებს, მასთან დამოყვრების სურვილი გამოეცხადებინათ, თორემ სხვა დროს ესენი ვერ გაუბედავდნენ სარდიონს ქალიშვილის თხოვნას.

მიუხედავად ამისა, ქამუშაძეების წინადადება არ იქნა ღირსეუ-

ლად მიღებული. პირდაპირ უარი რომ არ ეთქვა, სარდიონმა ამის შესახებ ურჩია, პირადად ქალიშვილს მოლაპარაკებოდნენ და თუ იგი ისურვებდა, აღარც სარდიონი იქნებოდა უარს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ მზითევზე ხელი აეღოთ.

ამგვარმა პასუხმა მეტად გააპილპილა ეკვირინე.

— ქალიშვილს დავეკითხო, რა! ბრძენი გაწყდა ოჯახში, თუ როგორ არი მათი საქმე, ბავშვებთან არ მალაპარაკონ?! მერე მისი ცარიელი ქალი ვის რათ უნდა!.. რა დაბრმავებულები გვნახეს, თვალი მაგათ დაუდგათ და ყურის!.. მაინც თვალი მაგათ ემსებათ — ვერ ხედავენ, რა მდგომარეობაში არიან?! რავა იყინჩებიან კიდევ, შენ გენაცვალე?! რა გონიათ თავისი თავი... შევარცხვინე, ვინც მაგათ ნაკლები იყვეს! ღმერთო კი მომკალი!..

ქალი სხვაც ბევრი იშოვებოდა, რასაკვირველია, მაგრამ ქველიძის უკადრისობამ ეკვირინე გააწიწმატა და მისი პასუხი საკუთრად თავისი თავმოყვარეობის შელახვად მიიღო.

— მაგათ დააკლდათ ყველაფერი, მაგათზე ნაკლებები ვყოფილვართ, რომ შემოვსულვართ ამ ოჯახში?!

— არ დამიჯერე, დედა, გეუბნებოდი, სირცხვილს გვაკმევენთქვა... ხომ ახდა ჩემი სიტყვა! — ესაყვედურებოდა ოტია დედას.

— მაცალე, შვილო, მაცალე!.. სირცხვილში ვინც იქნება, ამას ყველა დაინახავს!.. იმ უბედურს, ცოლ-შვილი რომ შიმშილით უწყდება, ის ერჩია, დიდგულობაზე ხელი აეღო... ერთი შვილი მაინც მაძღარი ეყოლებოდა!..

ეკვირინე გულს იჯერებდა ქველიძის ცუდად ხსენებით. ოტია კი ხმას არ იღებდა, თუმცა გუნებაში ძლიერ სწყინდა ქველიძისაგან მისი უკადრისობა, ძლიერ ნაღვლობდა თავის შერცხვენას და მუდამ იმის ფიქრში იყო, რამენაირად, ღვთის შეწევნით, მათ ჯიბრზე ისეთი ქალი მოეყვანა, რომ სარდიონის ქალიშვილს სჯობნებოდა. ამას ფიქრობდა ოტია დღედაღამ და ამის ფიქრებში იყო გართული დღესაც, როცა თავის ეზოში, რცხილის ჩრდილში პერანგის ამარა, თავზე ხელსახოც წაკრული, ფეხშიშველა, ნაჯახს ურტყამდა ურმის საბორბლედ გასათლელ ნამორს და იმდენად იყო გართული თავის ფიქრებში, რომ არც კი ეყურებოდა, სახელს რომ ეძახდა ღობეზე მომდგარი ევროპულად ჩაცმული ცხენოსანი. სანამ ამ უკანასკნელმა ამაღლებული ხმით არ გადმოსძახა:

— ოტიას გაუმარჯოს, ოტიას!

ოტიამ ასწია თავი, გაიხედა იქით, საიდანაც ეძახოდნენ, და რა დაინახა ცხენოსანი, უცბად გააგდო ხელიდან ნაჯახი, მოიგლიჯა

-თავიდან ჩითის ნაფლეთი, ფეხები გაუყარა იქვე დაგდებულ ქუსლებჩათელილ წუღებში, წამოავლო ხელი ახალუხს და მისი ცმით ვაექანა ამ უცხო პირისაკენ.

— გამარჯობა, ოტია ჩემო! — კვლავ გაიმეორა ცხენოსანმა.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, ჩემო ბატონო! — მიუგო ოტიამ.

— ერთობ გულმოდგინედ მუშაობდი, ოტია... ძლივს გაგაგონე!— ღიმილით უთხრა ცხენოსანმა. — ხომ მშვიდობით ხართ? — და ხელი გადმოუწვდინა ოტიას.

— გმადლობთ, ჩემო ბატონო, გახლავართ ღვთისა და თქვენის წყალობით! შემოგვიხვიეთ, ბატონო პორფირი! — მოწიწებით შეთხოვა ოტიამ.

— მეჩქარება, ოტია ჩემო... საქმე მაქვს...

— ერთი მინუტით... ცოტა დაისვენეთ და წაბრძანდით ისევ!.. ამ სიცხეში შეწუხდებით ნამეტნავად, თქვენ ნუ მომიკვდებით, შემოგვიხვიეთ, შემოგვიხვიეთ, შენი ჭირიმე!

სახლის ყურიდან გამოჩნდა მოხუცებულ ეკვირინეს თმაგაძეძილი თავი. ცხენოსანმა თვალი მოჰკრა მას და ხმამაღლა მიაძახა:

— მამიდა ეკვირინეს ვახლავარ! მამიდას, მამიდას!

ეკვირინე ერთი წუთით მიიმალა და ისევ გამოჩნდა; თავსაფარდახურული იგი მოხუცებული ადამიანის კუნკულით გამოექანა ამათკენ და, შელმართში ამორბენით აქლოშინებული, მიესალმა სტუმარს.

— მამიდა ეკვირინეს ვახლავარ! რავა მშვიდობით გიკითხო, მამიდა, ხომ ისევ ჯანზე ხარ, ა?! გეტყობა, რომ ისევ მარჯვედა ხარ! — მხიარულად გადმოსძახა ცხენოსანმა ეკვირინეს, რომელსაც მამიდას ეძახოდა, თუმცა ასეთი ნათესაობის გაკვლევა მისი გამჭრიახი გონებისთვისაც მეტად ძნელი რამ იქნებოდა.

— რავა გზაში გაგიჩერებია ბატონი პორფირი, შე კაცო! — მივართა ეკვირინემ შვილს. — შემობრძანდით, ბატონო!..

— მეჩქარება მამიდა... სხვაგან საქმე მაქვს.

— საქმე ღმერთმა ნუ გამოგელიოს, სასარგებლო საქმე!.. მარა ჩვენთან შემობრძანებით არაფერი დაგიშავდებათ... ნუ აგვიელი გვერდს!.. საქმე თქვენ ვერსად გეგექცევათ. ნუ დაგვწყვეტთ გულს!

— სად მიიჩქარით მაინც? — შეეკითხა ოტია.

— ამ თქვენს კანცელარიაში მყავს დაბარებული ერთი კაცი...

— ოჰ, მე მეგონა, შორს მიბრძანდებოდით სადმე!.. უთქვენოდ სად წავა, თუკი უბრძანეთ მოსვლა!.. ფეხს როგორ მოიცვლის!

— შემობრძანდით, შემობრძანდით! — ერთხმად მიაძახეს პორფირის ორივე დედა-შვილმა.

სტუმარმა მეტი აღარ ათხოვია თავისი თავი და ჭიშკრისაკენ აქცევია პირი ცხენს. ოტია იქითკენვე გავარდა შესაგებებლად.

— ასე როგორ უნდა აგვიარ-ჩაგვიარო გვერდი ჩვენისთანა კაცმა!.. თქვენისთანა კაცს ერთხელ თუ მოვესწრებით ოჯახში დეეინახოთ და როდი უნდა დაგვაკლოთ! თქვე დალოცვილებო, ჩვენც ვიცით თქვენსავით მტერ-მოყვარე. თქვენისთანა კაცი ამ ჩვენს ოჯახში ფეხს რომ შემოადგამს, მტერს შიში მიეცემა, მოკეთეს გული შეუშაგრდება... ასეთია, შენი ჭირიმე, ე ჩვენი სოფლის ამბავი, კი, ჩემო ბატონო! — კაკანებდა აივანზე გადმოვდგარ სტუმრის წინ ეკვირინე, სანამ ოტია ოთახიდან სკამს გამოუტანდა, ხელის გადასმით მტვერს გადასწმენდდა და ჩესთავაზებდა პორფირის.

— დაბრძანდით, ჩემო განმანათლებელო... დაბრძანდით, ჩემო ბატონო... დაბრძანდით!

სტუმარი ჩამოჯდა, მოიხადა კოზიროკიანი ქუდი, გადაისვა მარჯვენა ხელი თავის ხუჭუჭთმიან თავზე, შეიწია პიჯაკის სახელოები ზევით და სიამოვნებით ამოიფშვინა სიგრილეში.

ეკვირინემაც იქვე მოიკეცა ბოძთან იატაკზე.

— ერთობ სიცხეები დეიჭირა ამ დალოცვილმა! — თქვა პორფირიმ.

— დეეიწვით, ბატონო, დეეიწვით!.. ყანები გაოხრდა, შენ გენაცვალე, გაოხრდა შენი მტერი! რაღა გვეშველება ჩვენ უბედურებს! — ამოიოხრა ეკვირინემ.

— ღმერთი მოწყალეა, მამიდა, ნუ შეშინდებით!

— თქვენ არ შეგეშინდებათ ამისთანების, ჩვენისთანა საწყალმა იკითხოს, თვარა!.. რამდენი ოხერი ყრია, შენ გენაცვალე, რამ უნდა არჩინოს! ეგერ, ე იმისი არ იყოს, შენი ჭირიმე! — და ქვეეითკენ რომ მოსახლეები მოჩანდნენ, ეკვირინემ იქით გაიშვირა ხელი: — მოსავლიან წელიწადს რომ სარჩო არ ღირსებია, ამისთანა გვალვიან წელიწადში შიმშილის მეტს რაღას უნდა მოელოდეს!

— ვინაა მაგისთანა, მამიდა?

— ბევრია, შენ გენაცვალე, ბევრი!.. აი თუ გინდა, ე, ის ვაჟბატონი რომ გასლავთ, სარდიონი, ქველიძე... ეგერ, ე, ის სახლი რომ მოჩანს, იმაშია.

— ვიცი, ვიცი, გამიგონია! აქაური ადვოკატია, გამიგონია! — გაიცინა პორფირიმ. — რაკა, ასე ღარიბად არის?

— რა სახსენებელია, შენი ჭირიმე... ნეტავი იმდენი სიმინდი ჰქონდეს უბედურს, რაც გული აქვს!.. ცარიელი გულია! — ეკვირინე გამზადებული იყო თავისებურად შეემკო ქველიძე, მაგრამ ამდროს ოტიამ ოთახის კარიდან თავი გამოჰყო და დედას დაუძახა:

— დედა, შემობრძანდი!

ეკვირინემ ბოდიში მოითხოვა სტუმართან და ოთახში შევიდა. ოტიას კერაზე ცეცხლი გაეღვიებინა.

— უჩქარე, დედა... დიდხანს აღარც კი მოიცდის!

— ახლავე, ახლავე, შვილო! — მიუგო ეკვირინემ.

მან უცბად წამოაელო ხელი პატარა თუჯიას, ჩაასხა შიგ წყალი და ჭვარტლის ნაფლეთებით შემოსილ საკიდელზე ჩამოკიდა; მერე მივარდა კუთხეში გადაბრუნებულ საბუდარს, იქიდან გამოათრია შიგ დამწყვდეული მუჭის ოდენა წიწილა და ოტიას მიაწოდა.

— აბა, გაუსვი დანა!.. რა ბედად შევამწყვრიე მაგი დღეს!..

აწრიპინებულ წიწილას ნისკარტში წაუჭირა ოტიამ ხელი, სანამ დანას მონახავდა; მერე უცბად გადაუსვა კისერზე პატარა დანა და გვერდზე ისროლა. ოდნავ ყელწაჭრილმა წიწილამ რბენა დაიწყო ოთახში და სისხლით მოსვარა მიწის იატაკი, სანამ სისხლისაგან დაწრეტილი ზედ კერასთან არ დაეცა.

— გადავარდი, შენ გენაცვალე, ი გოგო ფუსუტია მომიყვანე, ხელს მომიწყობს, შენი ჭირიმე! — უთხრა ეკვირინემ ოტიას, და ოტია იმწამსვე უკანა კარით გავარდა.

ეკვირინემ კი ერთი ცეცხლს შეუჩუჩხურა, დაავლო ხელი წიწილას, თავით ჩარგო გაცხელებულ წყალში, მიატრიალ-მოატრიალა შიგ და თან დასძახა:

— სუქი-სუქი, სუქი-სუქი! — ვითომდა ამით გამხდარი წიწილა მსუქნად გადაიქცეოდა.

გაფაცურებით აცლიდა ეკვირინე ბუმბულს და თან შეუბრალებლად კანსაც აგლეჯდა ლურჯ წიწილას, როცა ოტიასთან ერთად ოთახში შემოვარდა ცამეტ-თოთხმეტი წლის გოგო.

— არიქა, ჩემო ფუსუტია, შენებურად დამიტრიალდი, შენ გენაცვალე!.. ცხელი ჭადები... კაი, კაი, შენ რომ იცი, იმისთანები!.. უცხო კაცია, ქალაქელია!..

გოგო ამგვარ გადმოძახებას ნაჩვევი იყო და ცქვიტად დატრიალდა: უცბად შეაგდო ცეცხლზე კეცები, კოდის თავიდან გადმოიღო გობი, გადმოყარა საცერზე ფქვილი, წაიბანა წაკაპიწებული ხელები და თავმოძულებით დაუწყო საცრის გვერდებს პარტყაპურტყი.

— ნელა, ფუსუტია, ნელა, შვილო!.. ნუ უპარტყუნებ მაგრე ძალუმათ, ნუ გააგონებ!.. აბა, ოტია, შვილო, შენ ღვინო ამოიღე! ხომ გითხრა — მეჩქარებაო!.. ჩვენი ხათრით დარჩა, თვარა რამდენი კაცი ახლა მაგის მოსვლას უდარაჯებს! ვინ იცის, რამდენს რა საქმე აქვს მაგასთან!

— ორშიმო რომ გამიტყდა, რითი ამეიღო? — აწრიალდა ოტია.

— ხაპით ამეიღე, შვილო, ხაპით... არაფერი არ უკბირს! ოღონდ ეცადე კი, წმინდად ამეიღო, ბრკე ბევრი არ შეპყვეს. წადი, წაღი, ნული იგვიანებ!..

— თუ ჩაეუწედინე ხაპი... — გააქნია თავი ოტიამ და წყლიანი დოქით ხელში გასწია ღვინის ამოსაღებად, რაც ძლიერ ნაკლებად ეგულებოდა ამ კვირიკობისთვის მიწურულში.

ამასობაში სტუმარი აივანზე იჯდა და ამ ბრეკიდან, რომელზეც წამოსკუპებული იყო ოტიას პაწაწინა ორთვალიანი სახლი, გადაჩერებოდა მის თვალწინ გადაშლილ სურათს.

თავდაშვებული შეღმართი, რომელზედაც ოტიას სახლის გარდა კიდევ ბევრი მოსახლეები მოჩანდნენ, ქვევით ეაკდებოდა და ეს ეაკე დიდზე შორს მიპყვებოდა. სანამ მაღლად ამართულ მთა-გორებს არ შეეფეთებოდნენ. ამ სიურცეზე მოსახლე მოსახლეს მისდევდა, თეთრი ეკლესიები აქა-იქ მკაფიოდ მოჩანდნენ და მაყურებელს ეგონებოდა, თითქოს ერთი უზარმაზარი სოფელი მოფენილი ყოფილიყო ამოდენა მანძილზე.

უწინაც ყოფილა ამ ადგილებში პორფირი, გადაუხედავს აქედან, მაგრამ ასეთი ხშირი მოსახლეობა და გადაბმით მიყოლილი სოფლები არ ყოფილა მაშინ. თვით ეს პატარა სოფელი თამარნაშენი, რომელიც მის თვალწინ გადაშლილიყო, თვალსაჩინოდ გაზრდილიყო და შემატებულიყო. სადაც წინაო ბინდვრები ახსოვდა, ახლა იქ ყანები მოჩანდა და ბევრ ადგილას სიმინდებიდან გამოიყურებოდა ისლით დახურული დაბალი სახლებიც; ეტყობოდა, მიწის ნაკლებობის გამო, საეზოოდ ვეღარ იმეტებდა მცხოვრები ადგილს. პატარა, უფრო ქოხების მაგვარი სახლები საცოდავად გამოიყურებოდნენ და ერთიმეორეს მისდევდნენ, არ შორდებოდნენ, თავშეყრილად იყვნენ, თითქოს ეწადათ უფრო თვალსაჩინოდ დაენახვებინათ მათი პატრონების მდგომარეობა, თუ ვინმე მოიწადინებდა ამის გაგებას.

— მეც ამათსავით ვიქნებოდი უსათუოდ, დროზე რომ არ გავქცეულიყავი სოფლიდან! — გაურბინა თავში პორფირის, — რასაკვირველია, რასაკვირველია...

პორფირი ბიაშვილი სოფლიდან გაქცეულთაგანი იყო. მამამისი, აზნაური მაქსიმე ბიაშვილი, სოფელ ვაშლიანში მცხოვრები, ღარიბი აზნაური იყო. ბატონყმობის გაყრამ მას ჩამოაცალა მისი ორი კომლი გლეხი, მოაშორა მისი სულისჩამდგმელი პეტრია სებისკვერაძე და გლახუა ჩაჩიკაშვილი, რომელთაც იგი ყოველ საქმეზე დაუსვენებლივ აჩანჩალებდა. ამათი გაცლის შემდეგ მეტად გაჭირ-

ვებული ცხოვრება შეხვდა და ერთ დღეს იმ აზრამდის მივიდა, რომ სოფელში წვალებით ცხოვრებას ამჯობინა ქალაქ №-ში გადასახლება, ეპისკოპოზის მგალობლად შესვლა, რადგან ხმა კარგი ჰქონდა, გალობაც იცოდა და ერთხელ თვით ეპისკოპოზის ყურადღებაც კი მიიქცია თავის გალობით, როცა იგი მათ სოფელში მიბრძანდა. მაქსიმემ აასრულა თავისი აზრი, ადგილიც იშოვა და თავისი ორი შვილი სასულიერო სასწავლებელში გამოზარდა. უფროსი შვილი ერთ-ერთი ეკლესიის დიაკვნად ეკურთხა, მეორემ კი სხვა გზა არჩია: პორფირის ცოცხალი ხასიათი, მკვირცხლი გონება, სასულიერო წოდების პირის მშვიდ ცხოვრებას ვერ შეურიგდებოდა და ამიტომ სასწავლებლის გათავების შემდეგ ის შეეცადა მომრიგებელ-მოსამართლის კანცელარიაში გადამწერის ადგილი ეშოვნა. გადამწერლობა, რასაკვირველია, ბევრს ვერაფერს შესძენდა, რომ სხვა აზრი და იმედი არ ჰქონებოდა. ცოტა ხნის შემდეგ პორფირიმ კანცელარიის გარეთ დაიწყო მთხოვნელების შიღება, მათი ხელმძღვანელობა, რჩევის მიცემა და დარიგება, თუ როგორ მოქცეულიყო მასთან მიმსველელი. აქედან პორფირის გაცილებით მეტი ხვდებოდა, ვიდრე პირდაპირ სამსახურიდან. რასაკვირველია, ყოველივე ეს ნამალევად ხდებოდა. ბევრი ხრიკები, დიდი ოსტატობა და ჭკუის გამჭრიახობა გამოიჩინა პორფირიმ ამასობაში. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ამავე ხრიკებისა და ოსტატობის მსხვერპლი შეიქნა. იგი გაება რაღაც უსიამოვნო საქმეში, მასზე უფრო ხრიკიან პირთან გადაკიდების გამო, რომელსაც ვერ ასიამოვნა შეპირებისამებრ და ამისაგან ყოველივე მისი მოქმედება-საქნარი გამოეცხადა უფროსს, რომელმაც ურჩია თავი დაენებებინა სამსახურისათვის, თუკი აპირებდა კიდევ თავის მოქმედების გამეორებას. პორფირი იძულებული შეიქმნა სამსახურისათვის თავი გაენებებინა.

მას არ დასჭირებია დიდი ხნის ფიქრი, თუ რა გზას უნდა დადგომოდა, ცხოვრებისათვის საღსარი რომ მოეპოვებინა. მან გადასწყვიტა კანტორა გაეხსნა არზების საწერად, დაეწყო სოფლებში ვექილობა და ქალაქის ადვოკატებისა და სოფლელთა შუამდგომლობა. პორფირი არ შემცდარა თავის გადაწყვეტილებაში: საქმე კარგად წავიდა, ფული რიგიანად შემოუდიოდა. მუდამ ჰყავდა თითო სოფელი „საჰმელად“. როცა ადგილი მოიჭმებოდა, ანდა ხრიკიან ადვოკატს, რომელიც ორსავე მხარეზე ჰკერავდა, აბრუ გაუტყდებოდა და არავინ მიეკარებოდა, იგი ადგილს მოინაცვლებდა. სოფლის მოსიარულე ადვოკატი, დაუღალავი, ენერგიით სავსე, მუდამ ჭალისიანი, მოცინარი, გონებაგამჭრიახი, მოხერხებული, უცნაური

ბრიკების მომგონი, მეტად ადვილად უახლოვდებოდა ხალხს პირველ გაცნობიდანვე და ისეთნაირი მოხერხებით შეჰყვებოდა ერთხელ მის ხელში ჩავარდნილ პირს, რომ ის ძნელად თუ დაუძვრებოდა სანამ მისგან იმდენს არ გამორჩებოდა, რამდენის გამორჩენაც შეიძლებოდა. მართალია, „მოჭმულ ადგილებში“ ბევრი მაგინებელი და შემაჩვენებელი ჰყავდა, მაგრამ ბევრი მადლიერიც. ბევრ ადგილას ისმოდა მისი ორპირობისა და გაუტანლობის ამბები, კაცის შეუბრალებლობაც, ვიღაც-ვიღაცეებისაგან ვითომც მის გალახვასაც იტყოდნენ, მაგრამ იგი ისევ თავის ხელობას ადგა და ახალ-ახალ მუშტარსაც შოულობდა.

თამარნაშენშიაც სწორედ ამ განზრახვით შემოადგა მან ფეხი; სადღაციდან გამონახა ქამუშაძესთან ყვავი-ჩხიკვის მამიდობის მაგვარი ნათესაობა, რათა ბინა ჰქონებოდა მათთან, საიდანაც სურდა დაეწყო ნავარდობა ახალ საძოვარში.

და ამ მაღალ სერიდან რომ დასჩერებოდა აქაურ მოსახლეებს, იგი მხოლოდ იმას ფიქრობდა და თავის გუნებაში გარედან ზომავდა იმას, თუ რამდენ გამოსარჩენს იშოვიდა ამათგან და რამდენს საძოვარს შესძენდა ამათი გაჭირვებული, შევიწროებული და ვაგლახი ცხოვრება.

— რაც რომ იყოს, ცოტა ხნისათვის მაინც იქნება, იშოვის კაცი რამეს! — წაილაპარაკა პორფირიმ იმედიანად. — ქველიძე ხომ შოულობს, და ის ჩემი იქნება! ამ ცოტა ხანში ყველაფერს გავიგებთ!..

— უკაცრავად, ბატონო... მარტოდ მიგატოვეთ! — შეუწყვიტა ფიქრი ოტიამ და პატარა დაბალი სუფრა დადგა აივანზე და რადგანაც სწორად ვერ გააჩერა, ფეხის დასამაგრებლად ნაფოტი შეუყენა კოჭლ ფეხს.

— მშვენიერი გადასახედავი გქონია, ოტია!.. აქ კაცს თავის დღეში არ მოსწყინდება ყოფნა... და, უნდა გამოგიტყდე, აწი ხშირ-ხშირად უნდა ვიარო შენთან, რომ ამ სურათის მზერით დავტკბე.

— კი, ბატონო, ოღონდ კი ინებებდეთ და სახლიც თქვენია და ყველაფერი აქოური! — მიუგო ღიმილით ოტიამ და თან სუფრას ჭიტკალი გადააფარა.

აივანზე გამოვიდა ეკვირინე ჭადებით ხელში.

— მარტოდ მიგატოვეთ, ბატონო, მარა, თავად მოგეხსენებათ სოფლური ანგარიში, ნუ დაგვძრახავთ, ჩემო ბატონო!.. მოიტა, მოიტა, გოგო, მოიტა, რაც გვაქვს! — შესძახა მან სახლში.

ცეცხლთან ტრიალისაგან ლოყებაბრიალებულმა ფუსუტამ თეფშით გამოიტანა აქნილი წიწილა და მეორე თეფშით დათლილი ყველი და მწვანილი.

— უკაცრავად ვართ ამისთანა მცირე მასპინძლობაზე, მარა, რადგან ნაუცებებია, ვითომ ამისათვის გვეპატიება... თორემ ამისთანა პატივისცემა რა თქვენი საკადრისია! — მოიბოდიშა ეკვირინემ.

— ბოდიშები რა საჭიროა, მაშიდა! — წამოიძახა მხიარულად ბიაშვილმა. — გამოტეხილი ვარ, სულზე მოსწრებია ჩემთვის ეს ზაკუსკა, მე და ჩემმა ღმერთმა!.. ძალიან მშიოდა... ეს უფრო მიშაჩქარებდა კანცელარიისაკენ — დუქანში წევიქამდი ცოტაოდენს, თვარა იმ ყაზახს რას დაევეძებდი იმდენად... უჩემოდ სად შეუძლია ფეხი გადადგას!.. — და პორფირი თან მადიანად ილუკმებოდა და თან არც ლაპარაკს აკლებდა.

ბევრი რამე ითქვა, მაგრამ ეკვირინემ ისევ ქველიძეზე მიაგდო სიტყვა ჩვეულებისამებრ.

— თუ დამიმადლებ, მაშიდა, ასე მოვიღუნავ მაგ შენს სარდიონ ქველიძეს! — გადიხარხარა პორფირიმ და მარჯვენა ხელის მაჩვენებელი თითი მოკაკვა. — ასე მოვკაკვავ, ასე, ა!

— ღმერთი ყოველ კარგს შეგასწრებს და რომ მოინდომებდე, შენ ეგ არ გაგიჭირდება, მისგან უფრო არ გაუჭირდა ნურაფერი შენს მომავალსა და ნათესავს! — მიაძახა ეკვირინემ.

— როგორც გეტყობა, ძალიან შეგძულებია, ჩემო მამიდა, ეგ ქველიძე! რატომ, რატომ, მამიდა, ა?

— ტყვილა ამოიჩემა ისე მაგ დალოცვილმა! — დაასწრო სიტყვა ოტიამ, რომელსაც ეშინოდა, დედას არ გაემხილა ამ კაცთანაც მისი სირცხვილეული სიძეობა.

მაგრამ ეს ცდა უქმი გამოდგა.

— ტყვილა, ჰმ!.. არა, შვილო, თავს ნურავის დააჩაგვრინებ, თვარა თუ ერთხელ მიგეჩვიენ დაწიხვლას, მერე სუყველა მოგინდომებს დაბრიყვებასა და დამცირებას...

— მე ჩემს კეთილშობილებას ვერავინ წამართმევს და ვერც ვერავინ რამეს დამაკლებს, დედაჩემო!..

— ეგეც მართალია, — წამოიძახა პორფირიმ. — ეგეც მართალია.

— კაი, შენი ჭირიმე! შენ რალა დაგიმალო, და კეთილშობილებას ვერავინ ამართმევსო, აგი ჩემი ვაჟიშვილი რომ იძახის, აბა რალაა, კაცი რომ მეტობას დაგიწყებს და ისეთნაირად მოგექცევა, ვითომდა არ გკადრულობდეს, — ღირსების ახდა არ არის, აბა რალა იქნება?! ასე გიქნა, შვილო, იმ კაცმა... ქალიშვილი ვთხოვეთ და უარი მოგვახსენა, თითქოს ვინმე ისეთი ყოფილიყო, რომ ღირსი არ იყვე მისი სიძეობის! ღირსების დამცირებაა, აბა სხვა რალაა?! ნეტავი მართლა რითიმე წინ იყვეს: ან სწავლით, ან გვარით და ან

ქონებით!.. შენისთანა კაცთან ენასაც ვერ გაარყვევს... ჩვენთან კი ისე მედიდურობს, თითქოს თავადი იყვეს ჩვენ შორის!.. თვალი მაგას დოუდგა, რომ ვერ ისარგებლა შემთხვევით, თვარა მოხარულიცა ვარ, ასე რომ მოხდა საქმე და მისმა ნაშიერმა ჩემს ოჯახში ფეხი არ შემოადგა... შვილიც მამჯავით დიდგულობას დამიწყებდა და მერე თლად ის ოჯახი ჩემი შესანახავი გამიჩნდებოდა ყოველთვის...

— ასე მოკაკვავთ, აი ასე, მამიდა, თუკი შენ გესიამოვნება, იმ შენს ქველიძეს. მენდვე ამაში!.. გულს გაგიმხიარულებ, მამიდა! ა!..

— აბა, რისთვის მყავხარ საიმედო?.. შენისთანა წარჩინებულ კაცთან იმისთვის გვიხარია დაახლოება, რომ მტერს, რომელსაც ჩვენ ვერ მოვერევით ჩვენით, შენით უნდა მოვერიოთ და შევაშინოთ, შევაწუხოთ...

— კი, ბატონო... ჩემს თავზე იყვეს ეგ და რაც შეეხება ქალს, ქალი ისეთი მეგულება ერთი, რომ ქველიძის შვილი იმასთან რად უნდა გამოჩნდეს... ისე ამან იცოცხლა! და როგორც პატიოსანი კაცი, ხელად ჩავაბარებ ჩემს ოტიას, ოღონდ მითხარით, თუ გსურთ... ქალაქ ადგილას გაზრდილ ქალს ჩაგაბარებთ!.. მიმიღებთ მაშვლად, ა?! ხა, ხა, ხა!.. — გადიხარხარა პორფირიმ.

— ქალაქში ვაზრდილს რას დევეძებ, შენი ჭირიმე, ოღონდ ხეირიანი კი იყვეს... მოვხუცდი, შენ გენაცვალე, წინანდელი ჯანი აღარ არის... კმარა ჩემთვის, რაც მე ამ ოჯახში მიშრომია. ახლა მაგენი მოეკიდონ... ღვთის მადლით, სხვაზე მეტი თუ არა, ნაკლები არაფერი გვაქვს... მშვენიერად შეინახავენ თავს!

ეს უკანასკნელი სიტყვები განგებ დაატანა ეკვირინემ. გუნებაში მასაც და ოტიასაც ძლიერ გაუხიცინა პორფირისაგან ნათქვამმა ქალაქ ადგილას გაზრდილი ქალის მოყვანაზე. ეკვირინეს თითქოს უნდოდა ეთქვა, რომ ამისთანა ქალი ოღონდ შეხვდეს ოტიას და ოჯახი კი შეინახავს მასო.

— აბა თუკი ეგრეა, ეკვირინე ჩემო, ეგ ჩემი ძმა კაცი ხვალის ეხუთმეტს № ში გამომიგზავნე, ქალსაც ვაჩვენებ და თუ მოეწონება, დანიშნულს გამოგიგზავნი უკან... ის არ იფიქროთ, ეშმაკობა რამე იქნეს იმაში, მაშინ ღმერთმა დამწყეველოს!.. მე მხოლოდ იმიტომ ვერევი ამ საქმეში, რომ თქვენთვის ყოველგვარი სიკეთე მსურს!.. და მერწმუნე, ისეთნაირად მოგიწყობს, მოგირთავს ოჯახს, რომ ქველიძის სახლ-კარი სათხებოდაც არ გამოჩნდება თქვენთან!..

— საჩვენო არ ყოფილა იგი! — გაიცინა ოტიამ.

— ეგ ჩემზე იყვეს, ჩემო ოტია!.. კი არ გეხუმრები, შე კაცო!.. ეგ მართლა გეუბნები!.. შენ ოღონდ ჩამოდი, სხვა რა გინდა!..

ოტია ისევ იცინოდა.

— კი გიახლებათ, ჩემო ბატონო, კი გიახლებათ!—იძახოდა ეკვირინე. — რაცა არ გიახლებათ!

— მოიტა ხელი! — გაუშვირა პორფირიმ ხელი ოტიას.

ოტიას ისევ სიცილი ერეოდა, სიცილი სიხარულისა; მას არ სჯეროდა ამნაირი უცნაური ბედნიერება. ნეტავი მართლა ეგრე მოხდებოდეს და მაშინ უყუროს მას ქველიძემ!

— ხელი, კაცო! — არ ეშვებოდა პორფირი.

— მიე, შვილო, არ გესმის? — მიაძახა ეკვირინემ ოტიას.

— კარგი მაშვალი არ იშოვა ამ დედაჩემმა! — სიცილით თქვა მან.

— ხელი-მეთქი, ოტია! — იძახოდა ბიაშვილი.

— რაღასი სიცილია, არ მესმის! — შეუტია ეკვირინემ შვილს. — ე ღვთისნიერი ადამიანი საქმეს გელაპარაკება და შენ კი იცინი!

— ბატონო, სოფლის გოგომ დამიწუნა და ქალაქელი თვალებს დამათხრევინებს!..

— ხა, ხა, ხა! ძალიან არ გამფთხალებულა ეგ ჩემი ოტია! ხა, ხა, ხა! ჩემთან ნუ გეშინია, ნუ, ოტია! — სიცილით უთხრა პორფირიმ. — პატიოსან სიტყვას გაძლევ, არაფერი სირცხვილი არ შეგხვდეს... მომე ხელი!..

ამ ფიცზე დარწმუნდა ოტია და გულიანი სიცილით ხელი ჩამოართვა პორფირის.

— ე მაგრე ჯობია! ხვალის თუთხმეტს უნდა ჩამოხვიდე ჩემთან №-ში. აი ნახავ, თუ მადლობა არ მითხრა მერე... ისეთნაირად მოვაკვარახჭინებთ მაგ საქმეს, რომ შენი მოწონებული იქნეს!.. შენ ვერ მიცნობ კიდევ, რა კაციც ვარ!.. ღვთის მადლით, რა საქმისათვისაც ხელი მომიკიდნია, ისე წამიყვანია და დამითავებია, როგორც მდომებია... ჯერ, ღვთის მადლით, არაფერში არ წამიგია და, ჩემი ჭკუის იმედი მაქვს, არც წავაგებ რამეს... ჭკუა უნდა ყველაფერს, ჭკუა! თუ იგი ხელთა გაქვს, დარდი ნუ გაქვს, თამამად შეგიძლია იყვე!.. აი ამ ჩემ ვექილობაზე გეტყვით: რამდენი განათლებული ვექილია, კურსოვნიკი, უნივერსიტეტ დამთავრებული, ქვეყნები აქვთ მოვლილი, მარა ტყვილია, ჩემოდენა იმათ არაფერი არც შეუძლიათ, არც ეხერხებათ, მშივრები გდიან—კაცი არ ეკარებათ; მე კი, ამ ჩემი ორი კლასით იმდენი მესევა, რომ ბევრს უარს ვეუბნები; პურიც ბევრი შემომდის, ღვინოც და ფულიც... ვცხოვრობ ბატონურად!..

— ღმერთმა მოგცეს, ჩემო კეთილო, ღმერთმა მოგცეს! — სიტყვას აყოლებდა ეკვირინე.

— ჯერჯერობით ვერავინ ვერაფერი დამაკლო, თუმცა ეს ნასწავლები ყოველ წელიწადს ათობით და ოცობით ჩამოდიან... ვერც

მტრობით მაჯობა ვინმემ... მოხერხება უნდა ყველაფერში კაცს. მოხერხება, ოტია ჩემო! ხა, ხა, ხა! თუ დამჭირდა, ისეთნაირ ხრიკებს მოვდებ, ვინც იქნება, ისეთ ხრიკებს მოვდებ, რომ ადამიანი კი არა, თვითონ ეშმაკიც დეიბლანდება და დეიბურდება შიგ!.. — და პორფირიმ სიამოვნებით გადიხარხარა. — კაცმა მიცნოს და მომყვეს, ჩემთან ნურაფრის შიში ნუ ექნება! დამიჯეროს ოღონდ, მომენდოს. მარა უბედურება ის არის, რომ სანამ უკანასკნელამდის არ გაუჭირდებათ, მანამდე არ შეიძლება სულ მთლად მოგენდოს და გიწამოს ვინმემ. ვერ დაარწმუნებ, რომ სასიკეთო გზაზე აყენებ; აგერ გადაგიხვევს და ხელიდან გაგისხლტება; მერე გეიხედავ და მორბის გამწარებული: ტირილით. ყივილით გეხვეწება, მუხლებზე გეხვევა: „არიქა, მიშველე. შენ სარ ჩემი მშველელი, მწყალობელი, ჩემი ღმერთი, ჩემი მაცოცხლებელიო!“ მისაღები არაა ამისთანა კაცი, მაგრამ რაღას იზამ, გული არ გიშვება გააგდო, ნიშნი მოუგო, იბრალებ და რამდენადაც შესაძლებელი იქნება, შველი. ამის წყალობით ახლა ისე მაქვს საქმე, რომ ყველგან, სადაც წევიდ-წამოვედი, ბინაცა მაქვს, საჭმელიც და სასმელიც, ყველგან ათასი მოსიყვარულე და პატივისმცემელი!.. ამ ჩემს ხელობას თავიც რომ დავანებო და ისე ტყვილა ვიარო, იმდენი სასიკეთო საქმე მიმიძღვის ბევრთან, რომ სიკვდილამდე თავს დავირჩენ იმათგან... ასეთი კაცი გახლავს პორფირი მაქსიმიჩი ბიაშვილი და შენ გეშინია, ჩემო ოტია, სასირცხო საქმეში ჩაგაგდო!.. მოგიკვდეს მაშინ ეს პორფირი, მოგიკვდეს, ჩემო ოტია! — და პორფირიმ მარჯვენა ხელი გულზე დაიკრა რამდენჯერმე.

— არა, არა... მაგას რატომ იფიქრებთ! — ერთხმად მიაძახეს ორივე დედა-შვილმა.

— თქვენისთანა კაცი იკადრებს მაგისთანა საქმეს და უარზე გაედგებით?.. ღმერთო მომკალი!.. — წამოიძახა ეკვირინემ.

ოტიას გული ძალზე სცემდა იმ მოულოდნელი ბედნიერების მოახლოებით, რასაც ჰპირდებოდნენ მას; აქამდი მას ეგონა თითქოს ბიაშვილი ეხუმრებოდა, ახლა კი დარწმუნდა, რომ ხუმრობას აქ ადგილი არა ჰქონდა. ეკვირინემ აღარ იცოდა რითი ესიამოვნებინა ამ მათთვის თავგამოდებული ადამიანისათვის, რომელიც უსათუოდ თვით განგებამ მოუვლინა, რათა გულის ჯავრი ამოეღოთ ქველიძეზე.

— ღვინო დაუსხი, შვილო! — მიუბრუნდა იგი ოტიას.

— ხაჭაპურები გაგეკეთებია, კაი იყო... ასე ცოტაზე!.. — წაილაპარაკა ოტიამ.

— მაგათი ბრალია, მეჩქარებაო. და ვეღარ გავუბედე დამეგვია-

ნებია, თვარა, ღმერთო მომკალი, ამაზე გადავარონიებდი? — თქვა ეკვირინემ.

— გმადლობთ, გმადლობთ! ესეც ბევრი იყო, მამიდა!.. მეტი არაფერია საჭირო... სხვა სხომის იყოს! — სიცილით დაუმატა პორფირიმ და წამოდგა. — აწი კი დროა გზას გავუდგე...

— ნურას უკაცრავად, შენი ჭირიმე! — მოიბოდიშა ეკვირინემ.

— მეტად მადლობელი ვარ, მამიდაჩემო, ყველაფრით კმაყოფილი ვარ, შენ ნუ მომიკვდები!.. გმადლობთ! — მიუგო პორფირიმ.

მართლაც კმაყოფილი იყო იგი ამ შემთხვევით. ჯერ ერთი, რომ შიმშილი მოიკლა ამ საუზმით და იმავე დროს დაიიმედა ბინა, სანამ თამარნაშენში იელიდა საველილოზე, რაც უფრო საჭირო იყო მისთვის და მთავარი მიზეზი ქამუშაძეებთან დაახლოებისა.

— აბა ასე, ოტია... იცოდე, მოგელი დანიშნულ დროზე, — ერთხელ კიდევ გაიმეორა პორფირიმ.

ოტიამ მხოლოდ სიამოვნებით გაიღიმა, ეკვირინემ კი მის მაგიერ შისცა პასუხი:

— კი, ბატონო, კი, ჩემო განმანათლებელო, კი გიახლებათ!

— აბა ახლა ჩემ საქმეს შევუდგები... ცხენი, ჩემო ოტია!

ოტია გაიქცა ცხენის მოსაყვანად. ბიაშვილი ეკვირინეს თანხლებით ჩავიდა ეზოში, გამოეთხოვა დედა-შვილს და შეჯდა ცხენზე.

— ოტია, შვილო, ჩაჰყევი ბატონს კანცელარიამდის!.. — თქვა ეკვირინემ.

— კი, კი... შენ ერთი ჩოხა გამომირბენინე... ფუსუტია, ფუსუტია, ჩოხა, გოგო! — დაიძახა ოტიამ.

— რატომ შვრები მაგას, ოტია? შენ არ მომიკვდე, საჭირო არ იყვეს! — წამოიძახა პორფირიმ.

— რა მიჭირს... საქმეც რომ მქონდეს, მაშინაც გიახლებოდით, ახლა თავისუფალიც ვარ.

— სიცხეა, შე კაცო!

— არაფერია, არაფერი! — უპასუხა ოტიამ.

— სიცხე რავა შეაწუხებს თქვენთან ხლებით!.. — უთხრა ეკვირინემ.

დიდი ყიჭინის შემდეგ პორფირი საბოლოოდ გამოეთხოვა ეკვირინეს, სანიკიძის სახლიშვილის ფეხ-ფეხა თანხლებით გადავიდა ეზოდან და გზას გაუდგა სოფლის კანცელარიისაკენ. მას ხალხი ეგულებოდა იქ ამ შაბათ დღეს და სურდა იქ გამოცხადებულიყო და თავისი თავი გაეცნო აქაურებისათვის, რომ შემდეგ მათში საველილო საქმეები ეშოვა.

II

შაბათობით თამარნაშენის სოფლის კანცელარიაში ირჩეოდა ხოლმე სოფლელების საჩივრები და ამიტომ ამ დღეს აქ ყოველთვის საკმაოდ იყრიდა თავს ხალხი.

კანცელარიის ეზოში ჯგუფ-ჯგუფად გაბნეულ ხალხისაგან ხმაურობა და შემატებული ლაპარაკი, ყაყანი და ყიჟინი ისმოდა.

გლეხკაცობის გარდა ამ დღეს აქ მოსვლა შემოიღეს, ამ ბოლო ჟანს, ამავე სოფლის ზოგიერთმა აზნაურებმაც. ესენი იყვნენ გაღარიბებული აზნაურები, რომელთაც ძნელად გაარჩევდით გლეხთაგან. მათი ცხოვრება და ინტერესები მეტად გადახლართული შეიქნა მეზობელი გლეხების ინტერესებსა და ცხოვრებასთან. მათ აქ ცალკე ადგილი ჰქონდათ აჩენილი, — იმ ცაცხვს, რომლის ქვეშაც ჯდომა იცოდნენ, „აზნაურების ცაცხვი“-ს სახელიც კი დაერქვა. ისინი ყოველთვის ჯგუფად მოვიდოდნენ ხოლმე და თუ ერთი მათგანი მუქარებს დაუწყებდა რომელსამე გლეხს, დანარჩენებიც ამას მხარს აძლევდნენ და საერთო მუქარით და შეტევით ცდილობდნენ თავგასულ და თავდავიწყებულ ყაზახთა დაშინებას და თავის კალაპოტში ჩაყენებას, როგორც ესენი იტყოდნენ ხოლმე.

დღესაც დიდი ლაპარაკი და ყაყანი გამოიწვია ამათმა დამუქრებამ ერთი წყება გლეხების წინააღმდეგ, რომ თქვენი მიწა-ადგილიდან აგყრითო, რადგან ძველთაგან ეს ადგილები ეკუთვნის ერთი გვარის აზნაურებსა და ამის საბუთები და ქაღალდები ამ დღეებში ყველა ხელში გვექნებაო.

— როცა გექნებათ, მაშინ ვილაპარაკოთ, ბატონო! — შენიშნა ერთმა იმ გლეხთაგანმა, რომელსაც აყრას უპირებდნენ და გაშორდა მათ.

აზნაურებმა იწყინეს ასეთი პასუხი და დამუქრებას უმატეს.

— ნახავენ, რაც მოუვათ, მალე ნახავენ! — წამოიძახა ერთმა უმაწვილმა აზნაურმა.

— რას ნახავენ? თქვე დალოცვილებო, ასე იძახით და აშინებთ ამ ბალახაშვილებს, მაგრამ კაცმა ვერ დეინახა ვერაფერი! გირჩევნიათ ისევ მოუმდურავად იყოლიოთ მაგ კაცები... ურიგო გლეხები არ არიან და კარგა მაძღარი გლეხებიცაა! — თქვა ერთმა მოხუცებულმა იქ მდგომმა გლეხმა.

— ბალახაშვილების დამდურების რა მცოდნია! — შესძახა უმაწვილმა აზნაურმა.

— რატომ არა, უმაწვილო, რატომ არა! ცოტაოდენი მაგათაც ესმით და თავს არავის არ დააჩაგვრინებენ უბრალოდ!

— მოვატეხიებთ კისერს, ახლა რომ ზევით-ზევით სწევენ! მაგათ კი ჩავაყენებთ თავიანთ კალაპოტში... აგერ ნახვენ! — გაჯავრებით წამოიძახა მეორე აზნაურმა.

ამას სხვაც აჰყვებოდა, რასაკვირველია, და უსათუოდ დიდი ლაპარაკიც შედგებოდა, რადგან ვიღაცამ ამ უბრალო დამუქრებას „ტრაბახობაც“ უწოდა. მაგრამ ეზოში ბიაშვილი შემოვიდა ცხენით, ოტიას თანხლებით. ყველანი მიჩუმდნენ და უცნობ კაცს მიაჩერდნენ. ოტიამ ცხენიც ჩამოართვა, მიაბა ღობეზე და ახლა აზნაურებისკენ გამოუძღვა. ბიაშვილის მიახლოვებაზე ყველანი წამოდგნენ და თავაზიანად თავდაკვრის შემდეგ, მიიპატიჟეს და დასაჯდომი ადგილი დაუთმეს ცაცხვის კუნძზე.

პორფირიმ მადლობა გადუხადა, სთხოვა ყველას დაბრძანებულიყვნენ, თავადაც დაჯდა და ოტიას უთხრა:

— აბა, ჩემო ოტია, ერთი თვალი გადააავლე... ეგებ აქ იყვეს სადმე, შავწვერა მაღალი ყაზახია, შავი ყაბალახი ახურავს თავზე, წითური სახისაა...

— კი, ბატონო, ახლავე მოვნახავ! — თქვა ოტიამ და ხალხისკენ გასწია.

— ვინაა, ოტია, ის კაცი? — დაუწყეს გამოკითხვა ყოველი მხრიდან.

— ბიაშვილია, პორფირი ბიაშვილი, ადვოკატი! არ ჰგავს სარდიონს! — უპასუხებდა მიმავალი ოტია.

— ვინაო?

— ბიაშვილიო! ადუკანტი ყოფილა!

— ეტყობა, კაი კაცი უნდა იყვეს!

— რავა ჩეისკუპეს შუაში მაშინათვე!.. ვითამ და ჩვენიაო! — ლაპარაკობდა თავიანთ შორის გლეხკაცობა, რომელსაც ცაცხვისკენ ეჭირა თვალი.

— რამ ამოგიყვანათ თქვენისთანა განათლებული და პატიოსანი პირი ამ დასაქცევარში, ბატონო? — უთხრა ბიაშვილს ხნიერმა, მეტად ღარიბულად ჩაცმულმა აზნაურმა, რომელიც იმ კუთხეში ხუმარა კაცად იყო ცნობილი.

— დასაქცევარი კი არა, სწორედ მშვენიერი ადგილებია!.. — მიუგო პორფირიმ. — ბევრი სოფელი მაქვს დავლილი ამ ჩემს ვექილობაში და ამისთანა სოფელი ბევრი არ შემხვდომია, თქვენ არ მომიკვდეთ! ჩინებული სოფელია, ეტყობა... ლამაზი ადგილებია!

— ლამაზი ადგილები კია, ჩემო ბატონო, მარა მისგან გულდაწყვეტილები გახლავართ. კუპს არ გვიძღებს და მჭლედ ვყევართ შენახული...

— ეგ შეიძლება იმისათვის, რომ არ დაგიმძიმდეთ ამ აღმართ-დაღმართებში სიარული! — სიცილით თქვა პორფირიმ და მასთან დანარჩენებსაც გაეცინათ.

ამ დროს კანცელარიის კარებიდან გამოვიდა ერთი მაღალი ტანის, ჩამსხვილებული კაცი და მასთან ათიოდე გლეხი, რომელნიც იქვე გარს შემოერტყნენ მას ყიჟინით და ხმამაღალი ლაპარაკით. ცოტა ხნის შემდეგ იმავე კარებიდან გამოვიდა მეორე ჯგუფი გლეხებისა და ამათაც ცალკე ხმაურიანი ლაპარაკი შეექმნათ. რამდენიმე წუთის შემდეგ ორივე ჯგუფი შეერთდა და საშინელი ყაყანი მორთეს, ისე რომ ყველას ყურადღება მიიქციეს.

— აბა თუ მიხვდებით, ბატონო, რაზე ჩხუბობენ ისინი ამ ლამაზ ადგილებში? — მიმართა ხუმარა აზნაურმა ბიაშვილს.

— სწორედ არ ვიცი! — მიუგო ღიმილით პორფირიმ.

— ეკალაზე, ბატონო, ეკალას გულისათვის! თქვენ ნუ მომიკვდებით!

ბიაშვილს გაეცინა. გაიცინეს სხვებმაც.

— ადგილზე დაობენ, სერაფიონ! — შენიშნა ერთმა აზნაურთაგანმა. — ეკალაზე რა ჩხუბი უნდა შედგეს!

— ერიჰა! — წამოიძახა სერაფიონმა. — რავა უცხო კაცივით ლაპარაკობ, ჩემო ივანე! მაგ რა დასამალავია!.. ვაი ნეტავი თელი წელიწადი კი არა, ნახევარ წელიწადს მქონდეს ის დალოცვილი საქმელად, გამოულეველად! ცუდი კაცი ვიყვე, თუ სხვა რამე ვინატრო კიდევ! რას მეუბნები?!. ღმერთმა ნუ გაახაროს ის, ვინც ჩემს ახლომახლო ეკალას ბურდი ნახოს და ამომიჩეხოს!.. ამ დროებაში ოქროს ფასი დაედვა მას ყველასაგან, აზნაურისაგანაც და გლეხისგანაც... მალე თავადების სანატრელიც გახდეს, მგონია.

— კი, მარა ეკალამ როგორ წაკიდა ეს კაცები? — იკითხა სიცილით ბიაშვილმა.

— წაკიდა კი არა, გადაამტერა! — მიუგო სერაფიონმა. — მეზობელმა თავის მხრივ საქარი გაჩეხა ადგილის გასაფართოებლად, შესამატად. საქარი ეკლიანი იყო; გაზაფხულზე მისი მხრივ რომ აღარ იყო, ეკალას აქეთ დაუწყო პოტინი; მიდგა საქმე მისწრებაზე, ერთი თვალის დახამხამებაში გაფცქვნეს ეკლები, კვირტებსაც აღარ არჩენდნენ ზედ. შეექმნათ ლაპარაკი. აქითურმა მიზეზად ის დეიდვა, რომ თხელ საქარში ღორი, ქათამი, ბატი, ცხვარი დაძვრებაო და ყანა ამომიგდესო — დაუწყო ჩხუბი კაცმაც, ქალმაც, ბავშვმაც, ყველამ. ნამდვილად კი ეკალას დაკლებამ ააპილპილა ყველა... იმდენი იჩხუბეს, იდავიდარაბეს, რომ აგერ ეს მეორე წელიწადია კაცმა ვეღარ მოარიგა, ედავებიან ერთმანეთს. სხვა არაფერი არ გამოდის

ამის შეტი, რომ ამ ჩვენს სარდიონ ქველიძეს ხან ერთი უწიკავს ხაპაპურებსა და ქათმებს, ხან მეორე — რომლის ვექილადაც იქნება.

ეს უკანასკნელი სიტყვები სერაფიონმა სწორედ მაშინ თქვა, როცა გლეხებს გაშორებული ქველიძე ცაცხვთან მივიდა.

— ნამეტანი ჯიუტი ხალხია... მეტისმეტი! კაცის არაფერი არ სჯერათ არც ერთ მხარეს... რას მოუხერხებ ადამიანი?!. — ხელების ვაშლით თქვა სარდიონმა, რომელსაც ეტყობოდა საკმაოდ დაღლილიყო გლეხკაცებთან ლაპარაკით.

მან შენიშნა უცხო პირი, მიუახლოვდა წამომდგარ ბიაშვილს და ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, თავიანთ თავის გაცნობით.

— თავი დაანებე, შე დალოცვილო, მაგათ, რაზე იწუხებ თავს! — უთხრა ქველიძეს განაკიდეთ მჯდომმა, დაკერებულ ჩოხიანმა აზნაურმა.

— ძალიან ადვილად არ ამბობ მაგას, ნიკიფორე! — წამოიძახა ისევ სერაფიონმა. — რავარც მე ჩემს კუსიას ვერ გავშორდები, ისე ვერც სარდიონი გაშორდება მაგათ... სასმელ-საჭმელს მაგენი უწიკავენ და მაგათ მიატოვებს?!

კუსიას ხსენებაზე მოისმა საერთო ხარხარი.

— ახსენა თავისი კუსია! — წამოიძახა ვიღაცამ.

— რატომ არ ვახსენებ, შენ გენაცვალე, ღმერთმა ნუ დამავიწყოს მისი თავი! — უპასუხა სერაფიონმა.

— მონადირე ძაღლია, ბატონო სერაფიონ? — შეეკითხა ბიაშვილი.

— მონადირე არ გახლავს, უბრალო, შავი ნაგაზია, მარა ყოველ ჩემს კეთილს და ჩემისთანა ხელმოკლე კაცს ღმერთმა მისცეს იმისთანა შემბრალე და თანამგრძნობი... ერთობ რამე სულიერია! — თქვა სერაფიონმა. — რომ იცის ეხლა, ჩემო ბატონო, ჩემი გაჭირვება, ისე ვეცოდები, რომ მეტი აღარ შეიძლება, და ძალიანაც მეწევა...

— რაობით მერე, თუკი მონადირე არაა? — სიცილით შეეკითხა დაინტერესებული პორფირი.

— დილას, ბატონო, რომ ადგება, კაი დაკვირვებული ადამიანივით შემოირბენს სახლის ყოველ კუთხეს, ერთი წაქცეული სამზარეულო მაქვს, იქაც მისუნავს-მოსუნავს და თუ შეხედა, რომ სახლში არაფერი არ კეთდება, ერთი გავარდება, გავარდება ეზოდან, შემოირბენს მეზობლებს და, სად კეციდან ჭადს ააგლეჯს, გამოიტანს და მოარბენინებს, სად ქათამს ფრთას წააგლეჯს და მოაწანწალებს, სად კეერცხს გამონახავს, ხანდახან ჩადებულსაც არ დამიწუნებენო, გადასწყვეტს, და აგერ, რომ გვგონია — დღეს უსადილოდ ვრჩებით,

გადაწყვეტილი გვაქვს, ეს ღვთისნიერი სულდგმული ხელად ამივსებს ცარიელ სუფრას ათასნაირი საჭმელებით... თითქოს მეზობლებისაგან ხონჩები მომსელოდეს!..

ბიაშვილი სიცილით კვდებოდა ამის გაგონებაზე; ხარხარებდნენ სხვებიც, თუმცა ამგვარების გაგონებას სერაფიონისაგან შეჩვეულნი იყვნენ.

— მართლა ძვირფასი რამ ყოფილა ი თქვენი კუსია! — სიცილით თქვა პორფირიმ.

— იცოცხლეთ, ღმერთი აბა რავა დააგდებს უსაშუალოდ მისგან გაჩენილს... რამე სახსარს აღმოუჩენს უთუოდ! — მიუგო სერაფიონმა.

— საცა იქნება, გვერდებს ჩაუმტვრევენ იმ შენს კუსიას. სერაფიონ! — უთხრა ერთმა ყმაწვილმა.

— მამაჩემი, აზნაური ქაიხოსრო გორდელაძე, რომ გაცოცხლდეს და რამე აწყენიოს ჩემს კუსიას, იმას ჩავაბრუნებ საფლავში, თვარა სხვა რითი გადამირჩება. რომ ჩემს მაცხოვრებელს რამე მოსწიოს!.. ბატონო, სხვა არაფერი შემრჩენია... ძაღლით ვირჩენ თავს, იმ ზომამდის მივაღწიე პატიოსანმა აზნაურმა, და ცოცხალი გადამირჩება, ვინც მას ხელს მიხლებს? თქვენც არ მომიკვდეთ!

სიცილი არ წყნარდებოდა და ხალხი თანდათან ბატულობდა ცაცხვის ქვეშ.

ამასობაში ოტია გულმოდგინედ დაეძებდა პორფირისაგან ნანიშნ კაცს და ყველას ეკითხებოდა, ასგვარი კაცი ხომ არ დაგინახავთ დღეს აქაო; ყველასაგან ერთი და იგივე პასუხი იყო — არაო. ამ სიარულში იგი მივიდა იმ გლეხებთანაც, რომელთაც საქარის გამოდავა ჰქონდათ და საქმეს ქველიძე უწარმოებდათ.

— შე კარგო კაცო! — უთხრა მან გულგახურებულ გლეხს: — გასაკვირველია შენი საქმე, რას ჩასციებიხარ ამ სარდიონს!.. რონრამე გაეგებოდეს და შეეძლებოდეს. თავის თავს ვერ უშველიდა. უკანასკნელ გაჭირვებაში რომ არის?.. შენ რა უნდა წაგადგეს!..

— დამღუპა, მაგან დამღუპა... დეეღუპა მაგას ოჯახი! — წამოიძახა გლეხმა.

— ე, შე კაცო, თუ გინდა საქმე გაგიკეთდეს, ე, იმისთანასთან უნდა მიხვიდე!.. — ანიშნა ოტიამ ბიაშვილზე.

— ადუკანტია?

— ადუკანტია და რანაირი მერე!.. ძვირფასი რამე ადუკანტია!

— იცნობ შენ, ოტია?

— აბა რა, ძალიან კარგად!

— მიგვიძეხი, ოტია!..

— ბატონი ბრძანდები... თუკი მოიცალა... ერთობ ბევრი ხალხი შეხვედა... აქაც ყოლია დღეს დაპირებულები. დავეძებ, ოხრიშვილები ვერსად ვერ ვნახე...

— მომეხმარე, ოტია, — დაელრიჯა გლეხი, — და მერე მაგიერ პატივს მეც გცემ!

— კარგი, კარგი, ვისაც გინდათ, ყველას გაგაცნობთ!.. ეგებ აქაც ქვე დეიწყოს სიარული, თუ რიგიანი საქმეები შეხვდა.

— საქმეების მეტი რა არის! — წამოიძახა რამდენიმე გლეხმა.

— ოღონდ შესმენილ კაცს შეეხვდებოდეთ და!

— მაგაზე შესმენილი ვიღაა! — თქვა ოტიამ და გაშორდა.

— რა გვარია, შენი ჭირიმე? — მიეწია ერთი გლეხი.

— ბიაშვილია, პორფირი ბიაშვილი.

— სად ცხოვრობს?

— სადა და №-ში.

დიდხანს იარა ოტიამ, მაგრამ მოსანახავი გლეხი არსად ჩანდა და სულაც არ ყოფილა. პორფირის არავინ არ ჰყოლია აქ შეპირებული, ეგ მხოლოდ მიზეზად ჰქონდა დღევანდელ დღეს ამ ყრილობაში გამოცხადებისათვის. თუმცა ოტიამ გლეხი ვერ მოძებნა, მაგიერად ბიაშვილის შესახებ ბევრი ლაპარაკი შეხვდა და, რაც შეეძლო, ყველას გააცნო მისი თავი. ბოლოს იგიც მივიდა ცაცხვთან, საიდანაც ისევ შეუწყვეტელი სიცილი ისმოდა.

პორფირი მალე შეეთვისა ამ უცხო ხალხს და ხუმრობაში აჰყვა სერაფიონს. მან იშოვა მარჯვე შემთხვევა და მოჰყვა ათასგვარ სასაცილო შემთხვევას, რაც მას ჰქონებია თავის საქმეებში. მან მოხერხებულად გადაიტანა ლაპარაკი თავის თავზე: ხან ტყუოდა, ხან ტრაბახობდა, ხან რაღაც უცნაურ ამბავს გამოურევდა. ყველა ახლა იმას მისჩერებოდა, მთელი შეკრებულება სმენად იყო გადაქცეული. თვით სერაფიონიც ჩაჩუმდა, ყურს უგდებდა ამ ენაწყლიანსა და ენამოხერხებულ კაცს.

როცა პორფირიმ ხალხში თვალი მოჰკრა ოტიას და მისგან პასუხად მიიღო ნაძებნი გლეხის აქ არყოფნა, მან ამოიღო საათი და ერთი წამოიძახა:

— მე მეტი არ შემიძლია!.. ათასი საქმე მაქვს მიტოვებული... აწი თვითონ ჩამოვიდეს ჩემთან... ესეც კმარა, ამდენი დრო რომ მისთვის დავკარგე! — ხალისიანი სიტყვით გამოეთხოვა ყველას და მომღიმარი სახით გაშორდა ხალხს.

იგი თვითონაც გრძნობდა, რომ თავი დაამახსოვრა ამ ხალხს და კარგის მხრივ გააცნო თავი. ეგ მართალიც იყო.

— ძალიან კაცი ყოფილა!

— უმაწვილი კაცია, მაგრამ ერთობ გამოცდილობა ეტყობა!..

— ნამდვილი საველილო კაცია! — გაისმოდა ხალხში.

გულკმაყოფილი ბიაშვილი შეჯდა ცხენზე, ერთხელ კიდევ თავი დაუკრა მისკენ მიჩერებულ ხალხს და ოტიას უკან მიყოლებით გადავიდა ჭიშკარ გადაღმა.

—აბა, ოტია, გახსოვდეს ჩვენი სიტყვა!.. არ მომატყუო, იცოდე, გელოდები, იცოდე!..

— კი, ბატონო, გეახლებით! — გაღიმებული სახით მიუგო ოტიამ. — მარა თქვენც რომ მანამდი ამოივლიდეთ, კარგს ინებებდით... ყაზახებს უნდა თქვენთან მოსვლა, საქმეები ეგებ მიიღოთო, იხვეწებიან.

— კეთილი, კეთილი! — სიამოვნებით წამოიძახა პორფირიმ. — ამოვალ, მაინც ქე მაქვს ამ დღეებში აქეთ სხვა საქმეებიც!.. ნუღარ ირჯები, ჩემო ოტია, ნუ! ნახვამდის!

— არაფერი მიჭირს! — მიუგო ოტიამ და ისევ უკან მისდევდა.

— კაი, კაი!.. თუ გიყვარდე!.. ნახვამდის!.. ამ სამ დღეში ამოვივლი კიდევ!.. ნახვამდის, შენი ჭირიმე! — და ახლად დამეგობრებულებმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს და გამოეთხოვნენ.

ოტია კარგა ხანს დარჩა იმავე ადგილას და მისჩერებოდა ბიაშვილს. მერე კანცელარიისაკენ გაბრუნებულმა ერთი წაილაპარაკა: „თუ მე შენ მათხოვრის გუდა არ მოგკიდე ზურგზე, რაღა კაცი ვიქნები!.. იარე შენი მზეთუნახავით კარდაკარ და ზილე ტალახი!“ და თითქოს უკვე გრძნობდა ქველიძეზე გამარჯვებას, ოტია შემატებულ გულზე მყოფი შეერია ხალხში.

III

— კაი საჩუქარი კი მერგება, კაი... ძალიანი... განსხვავებული საჩუქარი, ბიცოლა პელაგი! — ხითხითით და წვარწნით ეუბნებოდა პორფირი მაღალი ტანის, გამხდარ, ლოყებჩავარდნილ ხანში შესულ ქალს, რომელიც ისეთივე ბიცოლა იყო მისი, როგორიც ოტია ქამუშაძის დედა, ეკვირინე — მამიდა. — სამაგალითო საჩუქარი მერგება საკუთრად შენგან, ასეთი სიძე რომ გიშოვე სონიასთვის!.. აი ასეთი უნდა კაცი, როგორიც მე გახლავარ!.. აბა ის რა კაცია, მარტო თავის თავზე ფიქრობდეს!.. არა, შენი საქმეც გეიკეთე და ქვეყნისათვისაც იყავი სასარგებლო... ასე არაა, პელაგია ჩემო? ა?.. შენი კეთილი არასოდეს არ უნდა დაივიწყო და არც მე დამივიწყებია, ხომ!.. ხა, ხა, ხა!..

— ღმერთმა ნუ დაგივიწყოს, შვილო, ყოველივე სიკეთე, ღმერთმა ნუ დაგივიწყოს!.. შენ და ჩემი ბეგლარი, ხომ ღმერთმაც იცის, გაურჩეველად მიმაჩნიხართ... ძმები მგონიხართ, შვილო, ძმები... ბეგლარმა თუ იცის, შვილო, თუ გაქვს ნათქვამი?

— რასაკვირველია!

— რაო, ნეტავი რა თქვა?

— რა უნდა ეთქვა!.. თავისებურად, რავარც იცი მისი ამბავი, ვნახოთ, ვნახოთ... ის არაფერია, შენ თუ ფეხს არ გადადგამ!

— მე, შვილო, მე რაღა მეთქმის... თუკი ჩემი ბეგლარი თანახმ. იქნება, წინააღმდეგი არაა...

— რატომ უნდა იქნეს წინააღმდეგი?

— მე რა გამეგება ამდენი, შვილო!.. თქვენისთანა ყმაწვილებმა უკეთ .არ იცით, ვინ შეგეფერებათ მოყვარეთ და ვინ არა? თუკი თქვენი საკადრისია...

— რატომ არ უნდა იქნეს საკადრისი, ბატონო?.. სოფლის კაცი რომაა, იმიტომ ვითომ? შე დალოცვილო, მარტო სოფლის კაცობაზე კი არაა საქმე!.. სოფლის კაციც არის და სოფლის კაციც... გარჩევა ყველგანაა...

— არა, შვილო... ისე სიტყვაზე მოჰყვა, თვარა... მე რა მეთქმის... თუკი ქალს არჩენს და შეინახავს...

— ჰმ! ქალს არჩენს?! პირველი ხარისხის აზნაურია... სახლი აქვს, კარი, მიწა-წყალი, მშვენიერი ოჯახი... ორი დედა-შვილია, მეტი არავინ! არა, იმით დამიწუნებ, პელაგია, რომ სოფლის აზნოუშვილია? შენც არ მომიკვდე!

— უიმე!.. — შესძახა პელაგიამ. — ერთხელაც მოგახსენე, თუკი შვილს მირჩენს და ღირსეულად შემინახავს, სხვას რას დავეძებ!

— ამაში იმედი გქონდეს... ხომ გწამს ჩემი, რომ მე არ მოგატყუებ?..

— უიმე!

— ჰო, აბა ეს არის, ჩემო ბიცოლა! მეტი რაღა უნდა გინდოდეს, აღარ ვიცი!

— შენი კარგა ყოფნით ნეტავი კი მოხერხდებოდეს და!.. გაძვირდა, შენ დაგენაცვლე, ქალის მთხოვნელიც... ჩემს სონიაზე უკეთესები საცოდავად ბერდებიან, კაცი ხელს არ კიდებს... მაგის ასე დარჩენით ჩემი ბეგლარიც ასე უცოლოდ მირჩება.

— ჰო და ეგ არის! — გააწყვეტინა სიტყვა პორფირიმ.—ქე გოუშვი ხელიდან, შე დალოცვილო, ქალიშვილი... ნულარ გოუბრუნდებ. ბედს!..

—ვინ ოხერი, შენ გენაცვალე, ვინ ოხერი!.. დედაშვილობამ დღედაღამ ღმერთს .იმას შევთხოვ, ისე არ მომკლას, ჩემი ბეგლარის ცოლ-შვილისათვის რომ არ შემეხედოს... რა ქნას, შენი ჭირიმე, ენაცვალა მას დედამისი, ჩვენც შეგვინახოს, ცოლ-შვილიც არჩინოს, სადამდი წავა ამის საქმე, — და ამასობაში ქეა ისე გაჩერებული. ჩვენთვის იკლავს თავს, თავისათვის კი არაფერი!.. თუკი მოვესწარი და ჩემი სონია პატრონს ჩავაბარე, რათ ეღირება ჩემთვის ის დღე, რათ? ჩემი გაცოცხლების დღე იქნება!.. მაშინ ბეგლარის ბედნიერებასაც შეიძლება ერთ-ორ დღეს მაინც მამზერიოს უფალმა...

— ყველაფერი იქნება, ჩემო ბიცოლა! — სიცილით შესძახა პორფირიმ. — ყველაფერი.

— რა გვარია, შენ გენაცვალე?

— ქამუშაძე.

— შორებელია?

— სულ ახლოს... აგერაჯ, თამარნაშენში!

— აზნოუშვილი!

— ჩინებული, ჩინებული აზნაური!.. არა, არა, ბევრი აღებ-დაღება აქ აღარაა საჭირო... ბედი კარზედაა მომდგარი!.. კაცს, შენ არ მომიკვდე, სწორედ ვერ დამიწუნებ... ის კი არა, უფრთხილდი, გული შეიმაგრე, თავად არ შეგიყვარდეს, ღმერთი არ გაწყრეს, ბიცოლა, ამ მოხუცებულობის ხანას! ხა, ხა, ხა! — გადიხარხარა პორფირიმ.

პელაგიასაც გაეცინა ამ ხუმრობაზე, ხელი დაარტყა ბეჭზე და უთხრა:

— უი, შე დაუწყნარებელო, შენ!

— აბა, ამდენს მალაპარაკებ ჩემს ოტიაზე?! შენ ნუ მომიკვდები, ის კაცი, რავარც კი არ მოგიყვევი, აგერ ბედს რომ მიაგნებს ადამიანი, ისეა!.. არა, არა, ბიცოლა პელაგია, ხელიდან გასაშობი დასაკარგავი კაცი არაა ის ადამიანი, თუკი გულით გინდა შენი სონიას გათხოვება... მეც მირჩევია, დროც არის. ვინ იცის, როდის მოინახება კიდევ სხვა; ეგებ მაგისთანა ვეღარც იშოვოთ... ქალიც ცოდვა იქნება და, შენი არ იყვეს, აწი ბეგლარსაც შეღაეათი უნდა მიეცეს თავის თავზე იზრუნოს...

— კი, კი! კი, ჩემო კეთილო!

— ჰო და, მეც რომ ეგ ვიფიქრე, როგორც თქვენი ოჯახის ერთგულმა და კეთილმა, იმიტომ აღარ დავკარგე სახელდახელო შემთხვევა. ერთი სიტყვით, შენზედაა დამოკიდებული ახლა ყველაფერი: თუ უარს არა ხარ, ის ყმაწვილი ჩამომივა აქ და განახებთ. ისურ-

ვებ, ბომ კარგი. — თუ არა და, ღმერთმა ყველა მშვიდობით გვამ-ყოფოს...

— მე რა, შვილო, ყველაფერი ბეგლარმა იცის.

—არა, არა! შენ ხარ მაინც თავი, შენ ხარ დედა და სიტყვაც შენ გეკუთვნის.

— მე გითხარი და ეს იყო, შვილო.

— ძალიან კარგი! აბა ყველაფერი რიგზე მიდის! და ესეც იცო-დე, ბიცოლა ჩემო, იმათთვის მე არც სახელი, არც გვარი არ მი-თქვამს თქვენი. არ ვუთხარ იმიტომ, რომ დეიწყებდა იქით-აქეთ ვამოკითხვას სონიაზე. ვინ იცის, მტერი სად გამოჩნდებოდა, ქალი ვისმეს გეელანძღა... ხომ კარგად მიქნია, ა? ჰო, ასეთი გახლავართ!

— ყველაფერში მოხერხებულები ხართ, ღმერთმა გიწინამ-ძღვროთ, შვილებო, და ამიტომაც სულ შემატებაში მიდიხართ და მიდიხართ! — მიუგო პელაგიამ.

— ერთი სიტყვის მეტი კი არ დამჭირვებია, მერე! შენ არ მო-ბიკვდე! აქ ვერ მიცნობენ კიდევ, რაც ბიჭი ვარ, თვარა იქით რომ მიყურო, იმ სოფლებში, სადაც მე დავდივარ, ვერ მიცნობ, თუ ეს პორფირიაო!.. ხელით დავყავარ!.. ჩემზე უკეთესი თუ ვინმეა, ვერა-ვის ვერ ათქმევინებ, ვერას გზით... ღმერთივით. პატარა ღმერთი-ვით მიყურებენ!.. ჩემია იქოურობა... ხა, ხა, ხა!.. — სიამოვნებით ვადიხარხარა ატრაბახებულმა პორფირიმ.

— ღმერთმა მოგცეს, შვილო, ღმერთმა მოგცეს!.. — ჩაურთო თა-ვის მხრივ სიტყვა პელაგიამ.

— ამის შესატყობინებლად შემოვირბინე, პელაგია ჩემო! — გა-ნაგრძო პორფირიმ. — მე ვიფიქრე, შეიძლება ბეგლარი ასე დაწ-ვრილებით არც კი მოუყვეს-თქო, იმას ხომ სახლში ბევრი და გრძე-ლი ლაპარაკი არ უყვარს!.. ვარჩიე ისევ თავად მე მეხარებინა შენთვის...

— ღმერთმა გაგახაროს, შენი ჭირიმე, ღმერთმა გაგახაროს!.. ამაზე უკეთესს რაღას გეიგონებდა ჩემი ყურები...

— და რაკი ყველაფერი მომიხსენებია, ახლა კი მშვიდობით ბძანდებოდეთ! — თქვა პორფირიმ და ქუდს დაატანა ხელი. — პა-ტარ-პატარა საქმეები მაქვს ერთ-ორ ადგილას... ისე, ცოტა, კრიმანჭულები ეჭირვებათ, თვარა სადილად აღარ მოგშორდებო-დით დღეს... შეიძლება, თუ დროზე მოვრჩი, კიდევაც მოგისწროთ!..

— მოგიცდით, შენი ჭირიმე, მოგიცდით!

— არა, არა, ცდა საჭირო არაა. რა ვიცი, სად მიმაგდებს ქარი!.. თუ მოვედი — მოვედი, თვარა ცდა არ დამიწყოთ... ნახვამდის, ნა-ხვამდის, ბიცოლა!..

პორფირი გამოეთხოვა მოხუცებულ ქალს, აჩქარებულად წავიდა, ერთი შეჩერდა კარებთან, მობრუნდა უკან და სიცილით წამოიძახა:

— ღმერთმანი, ვივარგებ მაშველად!.. ჩინებული მაშვალიც ვიქნებოდი და თუ, ვინცობაა, ვექილობამ მისუსტა, უსათუოდ მაშველად ვივლი. სიარულს მაინც შეჩვეული ვარ!.. ვატყობ ჩემს თავს, რომ ესეც ადვილად მომყვება ხელში... ამაშიაც გამოვდგები და ვივარგებ... ხა, ხა, ხა! — გულიანად გადიხარხარა მან.

— ყველაფერში გამოდგები, შენი ჭირიმე, ყველაფერში გამოდგები, ისეთი მარჯვე კაცი ხარ! — მიუგო პელაგიამ.

პორფირის თითქოს უნდოდა ეს ქება კიდევ ერთხელ გაეგონა ამ წასვლისას, უფრო ახითხითდა და საამური სიცილით ოთახიდან გავიდა; ჩაირბინა პატარა კიბე, გადაირბინა ეზო და ეიშკარს გადაღმა ქუჩაში მიმავალ ხალხში გაერია.

პელაგია რამდენიმე ხანს შერჩა აივანზე ამ გაფრენილი კაცის ნათქვამისაგან გაბრუებული; მერე მიბრუნდა და მძიმე ნაბიჯით შევიდა სახლში. ბუხრის თავზე ბეგლარის სურათი იდვა; ის მოხვდა თვალში, მივიდა მასთან, დაუწყო მზერა, დიდხანს უმზირა სასიქადულო, ძვირფას შვილს და შემდეგ წამოიძახა:

— აწი განთავისუფლდები, შენ გენაცვალე, განთავისუფლდები და შენი საწყალი დედის გულს გაახარებ შენი კარგი ღღბლით... შენ დაგენაცვლეთ ყველანი... ყველანი!

და თითქოს მოხუცებული პელაგია დღეიდანვე აპირებდა შვილის საბედოს დასახვედრად შემზადებას, დაკვირვებული თვალი შემოაელო ოთახს, მივიდა ჭრიჭინა ტახტთან და კედლისკენ უფრო მისწია, — ჭრიჭინი ეგვე მოეშლევინებინა; დაუარა ფანჯრებს, ჩამობერტყა მტვერი ჩითის ფარდებიდან და საშინლად აამტვერა; მოუნდომა გასწორება შუა ხალაში მდგარ კოჩიალა სტოლს, მაგრამ რადგან ვერაფერი მოუხერხა, ვერ დაამაგრა, იმით დაკმაყოფილდა, რომ გადაბერტყა ზედ გადაფენილი გამოხუნებული, ფერადიანი გადასაფარებელი, რომლის გამომყიდველსაც მუდამ წყეელა ეგზავნებოდა. მაგრამ ის გამომყიდველი დღეს კი გადარჩა ამას, ალბათ, განსხვავებული დღის წყალობით. არ დარჩენილა ხელშეუხებელი არც სტოლქვეშ დაფენილი ფარდაგი, რომლის გაწეებზედაც დახრილმა პელაგიამ ერთმანეთისაგან დაშორებულ იატაკის ფიცრებს ქვეშ ქათმებს მოჰკრა თვალი და ფეხის ბაკუნთან ერთად „ოქში-ოქში“ დასძახა იატაკის ქვეშიდან მათ გამოსადენად, თუმცა თვითონაც ვერ იტყოდა, თუ რას უშლიდნენ ისინი იქ ყოფნით. აქაურობას რომ

მორჩა პელაგია, მეორე, თავის საწოლ ოთახში გავიდა; ანგარიშ-მიუცემლად გაჩერდა ხის საწოლზე დაგროვებულ, ზეწარგადაფარებულ ქვეშსაგების წინ, ერთ ხანს იდგა ასე გაშტერებული, მერე ჩამოჯდა საწოლის ყურეში და ერთი კიდეე ამოიძახა გულის სიღრმიდან: „შენ გენაცვალოს შენი დედა!.. შენს შვილს დავინახავდე, და მერე რომ მოვკვდე, აღარც კი ვინაღვლი!.. შენ გენაცვალე, შენ!..“ და ფიქრებში გაერთო.

ქალიშვილის მაგივრად პელაგიას ისევ თავისი ვაჟიშვილი უდგა თვალწინ; მასზე უფრო ფიქრობდა იგი, ის ავიწყებინებდა სონიას კარზე მომდგარ ბედსაც; ბეგლარს ეწირებოდა დედის გულში ყველა და ყველაფერი.

ეს ბედნიერი არსება, ეს რჩეული შვილი იყო №-ის მომრიგებელ მოსამართლის მდივნის უმცროსი თანაშემწე, ბეგლარ ჯინჭარაძე.

ამის მამაც, ბიაშვილივით, წვრილ აზნაურთაგანი იყო, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, სოფლად მოუხერხებელი ცხოვრების გამო ქალაქში შემოხიზნული.

— სადაც მეტი ხალხია, იქ მეცადინე კაცისათვისაც უფრო მეტია შემთხვევაც რამე იშოვოს! — იტყოდა ხოლმე სოფრომ ჯინჭარაძე და, როგორც მოშივებული მელია, ისე დაძრწოდა ქალაქის ქუჩებში, დუქნებში, ბაზრებში, რომ რამე ეშოვა, ენახა, წასდგომოდა და ამით თავი შეენახა, ოჯახი გამოეტანა; და გასაკვირველიც იყო მისი სიმარჯვე ამგვარ შოვნაში: სად, როგორ შოულობდა ეს კაცი სარჩოს, როგორ ახერხებდა ამას — ეგ მისი საიდუმლო იყო, გაუზიარებელი საიდუმლო. ვაჟიშვილებმაც შეითვისეს მამის ხასიათი და მიმართულება. უმცროსი, ქალაქში დაბადებული ბეგლარი, პატარაობიდანვე გასაკვირვებლად დაიგეშა მამასთან. ის ისეთი მეცადინი ბავშვი გამოდგა, ისეთი ჩუმი, მოხერხებული, რომ საწყალ სოფრომს არა ერთხელ უთქვამს სიამოვნებით:

— ეს თავისას გეიტანს!.. თუ ღმერთმა დააცალა, ისეთი გამოიწვევა, რომ კაცი იქნება!.. კაცი ვერაფერს გაუგებს, ისე მოიგდებს ხელში, რასაც ამოიჩემებს!.. მაგარი კაცი დარჩება!

არ მოსწრებია მამას შვილის „კაცად“ დანახვა; იმას კი ეცადა, რომ ბეგლარს საქალაქო სასწავლებელი გაათავებინა და სასამართლოში გადამწერად შეარგვევინა თავი.

ბეგლარს არ გაუმტყუნებია მამის იმედი. უმაწვილი იყო, მაგრამ ცხოვრებისათვის საკმაოდ მომზადებული. არავის არ ერიდებოდა; პირიქით, მუდამ ამხანაგებში იმყოფებოდა, მაგრამ მისი ნამდვილი

ეზრი, შეხედულება, ფიქრი ამა თუ იმ საქმის, პირის შესახებ—არავინ არ იცოდა, ვერავის გაეგო მისი წადილი. იგი საკვირველი მოხერხებით ფარავდა ამგვარებს და ამავე დროს ახერხებდა ეჩვენებინა თავისი თავი გულწრფელ ადამიანად. ის იყო, რომ იტყვიან, ეშმაკი კაცი, თავით ფეხებამდე ეგოისტი, მხოლოდ პიროვნული ინტერესების მიმდევარი, რომლის გარეშე მას არაფერი სწამდა და კიდევაც გუნებაში დასცინოდა მათ, ვინც რაღაცას ეძებდა, რაღაცეებს თავს ატეხდა, ვინ იცის, რისთვის, ან ვისთვის, და ამასობაში თავის თავს აკლებდა.

უგულოდ ეპყრობოდა ყველაფერს, რისგანაც რამე სარგებლობას არ გამოელოდა თავისათვის, კაცს აფასებდა მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რამდენად მისგან რამე უსარგებლია, ან გამოელოდა რამე სარგებლობას. მისთვის ყველაფერი უმნიშვნელო იყო და „სისულელე“, თუკი მას პირადად არ ასარგებლებდა. არაფერს სხვა რაიმეს მის თვალში ფასი არ ედებოდა. გუნებაში ათასჯერაც წინ წაუყენებია თავისი თავი იმ „ნასწავლებზე და ნაწვალებებზე“, რომლებსაც მასავით ვერ მიუგნიათ იმ გზისათვის, რომელსაც საჭიროა ცხოვრებაში კაცი ადგეს, თუ უნდა თავისი თავის ბედნიერება. ეს გზამ, — ფიქრობდა ბეგლარი, — მე წარმატებაში შემიყვანა, მაშოვნინა ჩინებული ადგილი და ამ ახლო ხანში სასამართლოს „პრისტაეობასაც“ მიმაღებინებსო.

გვარში მას ტოლი არ ჰყავდა და თავის მეგვარეებს გუნებაში ამადლიდა, რომ მისი მეცადინეობით ჯინჭარაძის გვარი ყველასაგან ცნობილი შეიქნა; თუ თვითონ სიტყვით არ წარმოუთქვამს ეს, ხსოვნით ყოველთვის ახსოვდა, ხოლო დედამის კი პირზე ეკერა.

ასეთი იყო ნამდვილად ბეგლარ ჯინჭარაძე, თუმცა ესე კი სულ სხვა თვისების კაცად გაუცვნია თავისი თავი გარეშეთათვის. შინაურობაში კი იგი ღმერთი იყო. ალბათ, თავის აღმატებულებაში რომ იყო დარწმუნებული, იმიტომ არ ეხერხებოდა არც დედასთან და არც დასთან გრძელი ლაპარაკი, არც უყვარდა მათთან თავის გულის ნადების გაზიარება და შინ მყოფი საზოგადოდ მარტოდ იყო, დედაცა და დაც მორიდებით იყვნენ მასთან და არიდებდნენ ყოველ უსიამოვნებას ამ სასიქადულო და სათაყვანებელ ოჯახის წევრს.

ეს შვილი ავიწყებინებდა პელაგიას თავის ქალიშვილს, როგორც დაავიწყებინა უფროსი ვაჟი. თერძად გამოზრდილი და დღეს სადღაც გადაკარგული.

—გენაცვალა შენი დედა!.. ახლა კი შეიძლება მოვესწრო შენს გვირგვინს, ჩემო ცხონებავ!... შენ გენაცვალა შენი დედა!.. რამდენ

დედას ესატრება შენისთანა შვილი, მარა ღმერთმა მხოლოდ მე მა-ღირსა... ვენაცვალე მის მოწყალებას!..

არ დაუთავებია კიდევ ეს გულის ამოსახეთქი პელაგიას, რომ სამზარეულოდან უცნაური ხმაურობა მოესმა. პელაგიამ მიაყურა. ხმა მისი ქალიშვილის, სონიას ხმა იყო.

პელაგია წამოვარდა და სამზარეულოსკენ გაექანა. აქ ეს-ეს არის დაბრუნებული, სხვაგან ყოფილი სონია, შლიაპა გვერდზე მოქცეული, უცნაური ხმით მოქაქანე, გაბრაზებით თავში უთაქუნებდა კედელზე მიკრულს, ნაფლეთებში გახვეულ პატარა ბიჭს, რომელსაც ხელები თავზე წამოეყარა ნაცემის შესამსუბუქებლად და რომელიც გაუსძრეველად იდგა და ხმასაც არ იღებდა.

— შენ დაგეწვა ეს თავი!.. შენ დაგეწვა ეს გვერდები, ეს, ეს! — და ახლა ფერდებში ჩაჰკრა, სანამ ბიჭი მოასწრებდა ფერდებზე მიეფარა ხელები. მაგრამ საცოდაი ვერ მიუხვდა, სად მოხვდებოდა სონიას ხელი, იმიტომ რომ სონიამ ერთი დასჭყივლა: — თვალები... თვალები რატომ არ დაგეწვა, შე დასამიწებელო! რატომ, რატომ! — და ცხვირ-პირში ჩაჰკრა ისე უცბად, რომ ბიჭმა ვეღარ მოასწრო თვალებზე ხელის აფარება. ახლა კი ვეღარ მოითმინა მან და კატასავით აკრუსუნდა.

— რა ქნა მაგ სასიკვდილემ, რა ქნა მაგ შავდღეზე დაბადებულმა, რა? — გაფაციცებით კითხულობდა პელაგია.

— რა ქნა?! რა ქნა და სულ ერთიანად დაუთუთქავს ჭადები!.. ერთიც არ ვარგა!.. ა, ნახე, შეხედე ამას... ამას შეხედე!.. ამას მიუტან ბეგლარს სადილზე?! ამას? უი, უი, შენ! შენ!.. შენ გაწყვი, შენ, შენ! — და სონია ისევ ბიჭისაკენ გაექანა, რომელიც, ახალ ცემისათვის გამზადებული, საცოდავად მოიკაკვა და გაბურძგვნილი თავის მუხლებს შუა ჩამალვას მეცადინეობდა.

— შენ დაგეწვა სიცოცხლე, შე წყეულის შვილო, შენ დაგეწვა სული და ხორცი!—მიაძახა პელაგიამ.—უიმე, ამას რას ვხედავ!— შეჰკივლა პელაგიამ, დამწვარი მჭადები რომ დაინახა. — ვეღარ მიხედე, შე ცოდვილიანო?

— რას შეხედავდა, როცა, რომ არ მომესწრო, თავად ცეცხლში ის იყო ჩავარდებოდა!.. მაგ შეჩვენებულს . თავი მიედვა ბუხრის ქვაზე და ისე მიძინებოდა... ვითომც ძილი აკლდეს!.. უიმე, უიმე!.. ვს რა არის, ღმერთო მომკალი! — შეჰკივლა ხელახლად სონიამ.— ეს რა არის?! შე დალოცვილო, რომ იცი ამის ამბავი, ერთხელ მაინც ჩამოვიხედავდი... ასე რავა მიატოვე ეგ სასიკვდილე!.. რას აკეთებდი, შითხარი ერთი? — მიუბრუნდა იგი დედას.

— რავა არ ჩამიხედავს, შვილო! — წაილაპარაკა პელაგიამ.

— აბა ეს რავა ვერ დეინახე!.. ეს მოუქაფავი სუფი, ღმერთო ჭოჭკალი! ამას მიუტან ბეგლარს? ამან რავა უნდა გადაგვიტანოს. ამან, ამ ლეკვმა, ამან!.. რა არის, ბიჭო, ეს?.. რა არის ეს ბიჭო?.. ამას ქაფის მორთმევა არ უნდოდა, არ უნდოდა? არა, არა?—დ. სონიამ ისევ წაუშინა თავში, გვერდებში და კისერში სახეგამურულ ფილიპიას.

— სონია, დატრიალდი, შვილო, შენ გენაცვალე, ერთ წამში დააჯინე ორიოდე ჭადი, თვარა საცა არის, ბეგლარიც მოვა. მალე. შენ გენაცვალე, სადილი არ დოუგვიანდეს, თვარა, ხომ იცი, ეწყინება.

სონიამ საჩქაროდ გაიხადა კაბა, ჩაიცვა საშინაო. ჩამოვიდა საძ-ზარეულოში, გაცრა ფქვილი და ზელა დაუწყო ცომს.

— სად იყავი, შვილო, ამდენ ხანს? — შეეკითხა პელაგია. ... მელიც ცეცხლთან ტრიალობდა.

— სად ვიქნებოდი? ანასტასიასთან ვიყავი.

— რა ქნეს ნეტავი იმ გოგოს საქმე, ქრისტინესი?.. მორიგებულან თუ არა?

— ხელახლად ჩაშლიათ... სასიძო აღარ აკლებს. რაც უთქვამს... და თუ ამ ერთ კვირაში ვერ მოურიგდებიან, სხვა ქალს ნათხოვ: თურმე!..

— უი, უი! მტერისას ასეთი ამბავი! ასეთია დაუმთავრებელი ამ-ბავი!.. ვაი საწყალი მშობლის ბრალი, ამნაირ გასაჭირში რომ ჩა-ვარდება!.. ვაი მისი ბრალი! — წაიწუწუნა პელაგიამ.

— ჰო, მშობლის!.. მშობელს რა უჭირს, ვინც სირცხვილშია ჩა-ვარდნილი, იმან იკითხოს, თვარა...

— არა, შვილო...

— კაი, კაი! — გააწყვეტინა სიტყვა სონიამ. — უხეირო პატრო-ნის ხელში ქალიშვილი ღმერთმა ნუ ჩააგდოს, ღმერთმა, თვარა მშობელს რა უჭირს იმდენი...

პელაგია ის იყო პასუხის გასაცემად მოემზადა, რომ ნაცნობი ფეხის ხმა მოისმა. ორივე დედა-შვილმა ხმა გაკმინდეს.

— მოვიდა! — წამოიძახა ცოტა ხნის დაყურადების შემდეგ სო-ნიამ.

— მალე, მალე... უჩქარე, შენ გენაცვალე! მე წავალ და სტოლს გავშლი მანამდი... უი, შე არაწმინდავ, შენ!.. სულ შენი ბრალია, შენ გაქრი ბარემაც! — წაილაპარაკა პელაგიამ, კედელთან ატუზულ ფილიპიას რომ გაუარა.—დღეს ადრე მოსულხარ, შვილო,—ტკბი-

ლად მიმართა მან შვილს, რომ ამას არ სწყენოდა, მზად რომ სადილი არ უსვდებოდა.

— ადრე რამ ქნა? — მოკლედ მიუგო ბეგლარმა.

ეს იყო მაღალი ტანის ახალგაზრდა კაცი, ბალნით ძალზე შემოსილი, ისე რომ ლოყები ძლივს უჩანდა; მისი მაღალი და ბოლოში მოკაკული ცხვირი, მბზინავი შავი თვალები რაღაც ვაკკაცურ შეხედულებას აძლევდა მის სახეს. ბეგლარს სერთუკი გაეხადნა და ყილეტის ამარა იყო.

— არა გაქვთ მზად? — იკითხა მან.

— ახლავე იქნება, შენ გენაცვალე... ახლავე! — მიუგო სტოლთან მოფუსფუსე პელაგიამ. — იმ შეჩვენებულმა ბიჭმა ჭადები დაგვიწვა... ისეთი ოხერი რამ შეიქმნა, რომ ერთი წამით თვალს ვერ მოაშორებ...

— თქვენ სად იყავით?

— სად ვიქნებოდით, შვილო, სახლში ვიყავით... სონია გადავიდა, ის-იყო, ერთი მინუტით მეზობლისას, თვარა სახლში ვიყავით...

სხვა დროს ბეგლარი უსათუოდ შეწუხდებოდა სონიას უდროოდროს სხვაგან სიარულისათვის, მაგრამ დღეს თავი შეიკავა, აღარაფერი უთქვამს; ერთი-ორი გაიარ-გამოიარა ოთახში და მერე ტახტზე ჩამოჯდა და მუთაქას მიაწვა.

პელაგია მის მახლობლად ტრიალებდა; მოხუცებულს უნდოდა შვილს გამოლაპარაკებოდა ამ მარტოდ ყოფნაში, სონიას შესახებ ეამბნა, მაგრამ საწყალი ვერ ბედავდა დაღლილი შვილის მოსვენების დარღვევას. და ბოლოს, როგორც იქნა, სძლია თავისთავს, მიუახლოვდა ბეგლარს და ხმადაშვებით უთხრა:

— პორფირი იყო ამ დილას და...

— ჰო!

— ერთი ამბავი მითხრა ჩემი სონიას შესახებ...

— ჰმ!

— რავა ფიქრობ, შვილო? მე რა ვიცი და... პორფირი ძალიან ეჭვებს...

— მერე რაი?

— შენ არ მოგატყუებს, ძმასავით ხართ...

— ამისთანა კიდევ უფრო ადვილად მოგატყუებს, არ იცი შენ...

— ეგ შენ უკეთ გაგეგება, შვილო... ამიტომ გეძახიან ჭკვიან კაცს!.. შვილო, თუკი მართლა ხეირიანი ვინმეა და შენი საკადრისი იქნება, ნუ დაუკარგავ, შენ გენაცვალე, შენს დას ბედს... შენც განთავისუფლდები და შეიძლებ შენი ბედის მონახვასაც; ისე ნუ მომ-

ალავ, შვილო, ერთ-ორ დღეს მაინც არ მამზერიო შენი ცოლ-შვილისათვის...

პელაგია, ეტყობოდა, მოემზადა ესარგებლა ახლა იმ გარემოებით, რომ შვილისაგან ამდენი ლაპარაკის ნება ეძლეოდა, და მოიწადინა გადაეშალა მის წინაშე თავისი გულის დარდები.

ბეგლარმა შენიშნა ეს და უცბად მოუჭრა:

— კაი, კაი, ბატონო, მაგაზე მერეც გვექნება დრო ვილაპარაკოთ... ახლა საქმილი მინდა მე!

— კი, შვილო, კი, შენს სიცოცხლეს ვენაცვალე! ნუ წოუყურებ ამ საქმეს, ნუ! — შეიმაგრა თავი და აღარ ეშვებოდა პელაგია... ვინ იცის, როდის მიეცემოდა ამისთანა შემთხვევა კიდევ. — თუ სულ ურიგო კაცი არაა, ნუ დააშორებ ერთმანეთს, ისე ახლოსაც არ გეყოლება... წელიწადში შეიძლება ერთხელ, ორჯერ მეტად ვერც შემოადგამს ფეხს შენს სახლში... გადაწყვიტე, შვილო... შენდა სასარგებლოდ უფრო რომაა, იმიტომ გეხვეწები!

— ჩამოვა ის კაცი და მაშინ ვნახოთ. მაშ-ინ! — კიდევ გააწყვეტინა სიტყვა ბეგლარმა და ამასთანავე ფილიპიაც შემოვარდა ფეხების თხლაშა-თხლეშით, მაგიდაზე დადვა თეფშზე დალაგებული მჭადები და ის იყო უკან გაბრუნდა, რომ ბეგლარი ადგა-წყრა და გაგდებას დაემუქრა. ბიჭმა დაღუნა თავი, ხელი გამოისვა ცხვირქვეშ და ნელა გავიდა ოთახიდან თავჩაქინდრული.

ცოტა ხნის შემდეგ სამივე დედა-შვილი მაგიდას შემოუსხდნენ და სადილს შეექცეოდნენ თითქმის ხმაამოუღებლად, რადგან ბეგლარს მაინცდამაინც არ უყვარდა ამ თავისიანებთან მუსაიფში გაბმა.

ნასადილევს პელაგიამ ისევ დააპირა გამოეწყო შვილთან შეწყვეტილი ლაპარაკი, მაგრამ ვერ მოახერხა. ბეგლარმა ისევ გაიმეორა თავისი: „მერეთაც გვექნება დრო ვილაპარაკოთო“ და—ახლა ძილი მინდაო...

— შორს გადასადები საქმე არაა, შვილო! —გაბედა თქმა პელაგიამ.

პელაგიას შიში, რომ ბეგლარი არ იკადრებდა სიძედ სოფლის აზნაურს, ანდა რამე საწინააღმდეგოს გამონახავდა, ყოვლად უსაფუძვლო იყო. ბეგლარი არ აბუნდოვანებდა, თორემ ძლიერ მობარული იყო, რომ შემთხვევა ეძლეოდა მოეშორებინა და თავიდან და მაინცდამაინც ნამეტან ძიება-ჩხრეკით სასიძოს შესახებ თავის შეწუხება აზრადაც არ მოსდიოდა.

— მე მინდა აწი ჩემს თავს ვერგო მთელად!—წაილაპარაკა მან და იმედმიცემულმა, რომ ასეთი დრო მალე დაუდგებოდა, თავი ბისცა ნასადილევის ძილს.

IV

დანიშნულ დღეს, დაპირებისამებრ, ოტია, გამოწყობილი ყაბისფერ ჩოხაში, სატინის წითელწინწკლებიან ახალუხით, თმა-წვერ შეკრეჭილი, ნათხოვარი ცხენით ჩავიდა №-ში ბიაშვილთან, რომლისათვის ცალკე ხურჯინით ცოტაოდენი ძღვენიც გაიძღვანია.

— ახლა კი კაი კაცი ხარ, ოტია ჩემო, სიტყვა გცოდნია!—მხიარულად მიეგება მას პორფირი და რადგანაც ოტიას სახეზე ერთნაირი ღიმილის თამაში შეამჩნია, მხარზე ხელი დაარტყა და უთხრა სიცილით: — ჩვენი საქმე კარგად არის, კარგად, ოტია!

ოტია უფრო დაიბნა, ღიმილიც უფრო მოერია, სიტყვა ეეღარ მოახერხა და მხოლოდ თავი გადააქნია.

ნასადილევს ორივემ ცოტა ხან მოისვენეს.

— ახლა ერთი გევიგულავოთ, ჩემო ოტია, და მერე გამოვეცხადოთ... — უთხრა პორფირიმ.

ოტია შეიშმუშნა, ერთი მიაშტერა თვალი თავის მოკეთეს და მერე დაიწყო:

— ბატონო პორფირი...—აქ სიტყვა ჩაუწყდა აღელვების გამო.

— ჰო... რა გინდა?

— სოფლის სასაცილოდ არ გავხდე...

— ღმერთო ჩემო! — შეჰყვირა მხიარულად პორფირიმ.

— უკაცრავად კი ვარ, მარა...

— შე კაცო, თუკი ასე არ მენდობი, რაღაზე მოდიოდი აბა, ა?..

— არა, არა... ნდობა რა, ვიღას უნდა ვენდო, აბა, მარა მაინც... რა ვიცი, ისე, ჩემი სისულელით მოგახსენეთ... თავადაც კარგა მოგეხსენება სოფლის ამბავი, ჭორი, მითქმა-მოთქმა. ახლა ჩემს თავს ვებრძვი ვითომ, როცა დარწმუნებული ხარ ყოველის მხრით კაცი...

პორფირის გაეცინა.

— რითი დაგარწმუნო, ჩემო კეთილო, რომ ქალი უნაკლოა? მშობლებს ვფიცავ ამაში, სხვაფერ რითი დაგაჯერო!.. სიტყვას გაძლევ ეგ არის და შენც იცი, ქალს არც აქ გაგასინჯვინებენ, როგორც სოფელში, მის გარეგნობას თავადაც ნახავ... მეტი რა გიყო! მამიჩემის სულს ვფიცავარ, ქალი ჩინებულია. შენ, ჩემი შეჯერებით, თორემ მას ბევრს აქაურსაც არ გაატანს მისი პატრონი, მე არ მოვ-

კედელ!.. და ამასაც გეტყვი, ოტია ჩემო, თუ შიში გაქვს, რომ შეიძ-
ლება გატყუებდე, თავი დაეანებოთ, ჩემო ძმაო!.. ა? როგორც
მეტყვი?

ოტიამ ისევ მოიბოდიშა და გაჩუმდა. მას ეძნელებოდა იმგვარი
ქალის დაკარგვა, როგორსაც ჰპირდებოდა პორფირი. იგი თავმოსა-
წონად უნდოდა მას და ამიტომ უკან აღარ იხევდა, თუმცა შიში
ჰქონდა, რომ ერთხელინდელის არ იყოს, სირცხვილი არ ენახა.

მეგობრებმა ქალაქის ქუჩებში გაისეირნეს, ეტლითაც იარეს და
დასალამოვებულზე ჯინჭარაძისას მიეიდნენ.

პელაგია დიდის ამბით შეეგება სტუმარს. ბეგლარიც ახლა უფ-
რო ჩალისიანად იყო უცხო კაცთან. პორფირიმ ყველას გააცნო
შემკრთალი ოტია.

— დაბძანდით! — მიიპატიჟა იგი ბეგლარმა.

— დაბძანდით, ბატონო, დაბძანდით! — მიმართა პელაგიამაც
და ხელით ანიშნა სკამზე.

მაგრამ ოტიამ უკან დაიწია და ფეხებში მოხვედრილ სკამზე
დაეშვა. უეცრად ოტიას წაექცა სკამი და უსათუოდ გაიშხლართე-
ბოდა, კედელს რომ არ მიყრდნობოდა.

— ღმერთო მომკალი! — წამოვარდა პელაგია. — რაღა თქვენ
შეგხვედათ ეს ფეხმოტეხილი სკამი!.. ვინ შემოათრია ეს აქ?.. გეი-
ტანე, შვილო, იქით!

სონიამ რომელიც ძლივს იკავებდა სიცილს, აიღო სკამი მეორე
ოთახში გასატანად.

— ხომ არაფერი გტკენიათ, ჩემო ბატონო? — თანაგრძნობით
შეეკითხა პელაგია სტუმარს.

— არაფერია, ბატონო, არაფერი! — მიუგო ოტიამ, მარდად წა-
მოხტა და, გაწითლებული, გაღიმებას ცდილობდა, თუმცა ამავე
დროს გუნებაში ეგ დაცემა ცუდ ნიშნად მიიღო, რაც ძალიან აწუ-
ხებდა.

პორფირი, ცუდი შთაბეჭდილების გასაქარვებლად, თავისი
ცოცხალი ენით მოჰყვა ამის მსგავს შემთხვევებს, მას რომ გადახ-
დომია. და იმდენი მოახერხა, რომ ყველანი ოტიანად ბევრი აცინა
და კარგ გუნებაზე მოიყვანა.

— როდის ჩამობძანდით სოფლიდან? — შეეკითხა ბეგლარი
ოტიას.

— დღეს, ბატონო! — მიუგო მან.

— შორს არ არის...

— არა, ბატონო... სოშე გახლავსთ ამისთანა და...

— ვიცი... ვყოფილვარ მე თქვენსკენ... ერთობ ღვინო იცით... რჯულზე დავთვერით ერთხელ, გზად გამოვიარეთ...

— ასე, ბატონო... ვენახი ავადმყოფობამ შეგვიმცირა, თვარა იყო რიგიანი და გვარიანადაც მოდიოდა...

— ახლაც ძალიანია, ბეგლარ, ახლაც ძალიანია!—წამოიძახა პორფირიმ. — ისეთი მათრობელაა, რომ ჰო, ჰო, ჰო!

ლაპარაკი სოფელზე ჩამოვარდა, სოფლურ მოლხენაზე, ქეიფებზე, ღვინის სმაზე. პელაგია ხანდახან ჩაურთავდა სიტყვას, სონია კი ყურს უგდებდა ლაპარაკს, ხან მიდი-მოდიოდა ოთახებში. ოტია სარგებლობდა ამით და თვალი მისკენ ეჭირა. სონიას ერთ შემობრუნებაზე პელაგიამ თვალით მიიხმო იგი, რაღაცა წაულაპარაკა, რის შემდეგაც ყმაწვილი ქალი აჩქარებით გავიდა ზალიდან.

ოტიამ თვალი გააყოლა მას.

ქალი, მართალია, ლამაზი არ იყო, მაგრამ არც სულ ულამაზობა ეთქმებოდა. სუფთად ჩაცმული, თავისუფალი მიხვრა-მოხვრით ოტიას თვალში იგი ბევრად სჯობდა ქველიძის ქალიშვილს, რომელიც, მისდა უნებურად, თვალწინ ეხატებოდა, და რომელსაც ადარებდა ამ ახლად გაცნობილს. ამ უკანასკნელს, მისი შეხედულებით, რომ უპირატესობა რჩებოდა, ეგ თუ აღონებდა ოტიას, თორემ არ ახარებდა. ტყუილა კი არ წამექცა სკამიო, ფიქრობდა იგი... თუ ქველიძემ უარით გამოისტუმრა, აქ რა უნდა გაეგონა, რისი მომლოდინე უნდა ყოფილიყო, ვითომ? და რაც უფრო აკვირდებოდა სონიას, მით უფრო სწუხდა ოტია, მით უფრო ნანობდა, რომ აქ ფეხი შემოადგა, ამჩატდა, არ გაფრთხილდა, თუმც გამოცდილიც იყო. წაქცეული სკამიც ცხადად ანიშნებდა თუ რითი გათავდებოდა დღევანდელი ამბავი. უკვე წარმოიდგინა, რომ სოფელში სასაცილოდ ამიღებენო. ერთადერთი იმედი ისევ ბიაშვილზე ურჩებოდა, რომელსაც შეეძლო მისი აქედან გაყვანა ისე, რომ ამბავი არ გამქღაენებულიყო.

ამ მდგომარეობაში მყოფი ოტია ვეღარც სიტყვას ახერხებდა, აღარც ესმოდა კარგად, რას ეკითხებოდნენ; ის იძულებულს ხდიდა პელაგიასაც და ბეგლარსაც, ემეორებინათ მასთან მიმართული კითხვები და კინაღამ ჩაით სავსე ჭიქა წააქცია, როცა სონიამ სინით წინ დაუდგა და ოტიას თვალებში მისი მსუქანი და მრგვალი ტიტველა მაჯები მოხვდა.

„აჰ! ამას მე არავინ არ მომცემს... ტყვილი იმედია!“—თქვა მან გულებაში და თითქოს გამოსათხოვრად ერთი თვალი კიდევ შეასწრო ყმაწვილ ქალს.

პორფირიმ შენიშნა მეგობარს მოუსვენრად ყოფნა, რომ იგი სხვანაირად გრძნობდა თავს და როგორც კი იშოვა. დრო, მარტო. რომ დარჩნენ, მივიდა მასთან და ჰკითხა:

— აჰ, რას იტყვი, ოტია?

— დავანებოთ თავი, პორფირი...

— არ მოგეწონა?

— ჰმ! — მწარედ ჩაიცინა ოტიამ. — მოწონებაზეა საქმე? თავი დავანებოთ, თვარა მე აქ სირცხვილს ვეპამ, შენ ნუ მომიკვდები.

— შენს მოწონებაზეა, მაშ!

— ჰმ! — წამოიძახა ოტიამ. — სასაცილოდ მიგდებ და ეგ არის!.. შენი პირიმე, პატიოსნად გამიყვანე აქედან... ამ ქალს მე არავინ არ მომცემს, ეგ კარგად ვიცი... ეს წყალობა მიქენი, გეხვეწები, პატიოსნად გამიყვანე, სხვას არაფერს დეეეძებ... შენს ხელში ვარ, ბატონო პორფირი!..

— კაცო, ქალს ვინ გიკავებს?! — სიცილით მიუგო პორფირიმ. — შენ გამაგებინე, თანახმა ხარ თუ არა?.. შენი სიტყვით გათავდება საქმე.

ოტია შეჩერდა და მაშვალს თვალი თვალში გაუყარა. ზედ ემჩნეოდა, რომ მას რაღაც ეპვი ეპარებოდა გუნებაში. ის სულ სხვას მოელოდა: უარით გაისტუმრებდნენ, ეგონა, და ახლა ეუბნებიან, რომ საქმის გათავება შენზედაა დამოკიდებულიო — ეს ნამეტანი ეჯცხოვა და ეპვში შეევიდა. მან ვეღარ მოითმინა თავისი დარდის დამალვა:

— პორფირი... გაფიცებ ყველას... წაგიწყდეს დედ-მამის სული... ნუ დამიმალავ... გამაგებინე, რისგანაა ახლა ეს?.. გაფიცებ შენს მიცვალებულ დედ-მამას, მართალი მითხარი... ნაკი ხომ არაფერი აქვს ქალს?..

— ნაკი?.. შეჩვენებული ვიყვე... დამწყევლოს უფალმა! — მიუგო გაცსარებით პორფირიმ. — არ გრცხვენია, ოტია... ასე მიყურებ მე?!.

— აბა რავა გევიგო ეს ამბავი?

— რაია ლა ისე. რომ ბევლარს უნდოდა დის გათხოვება, დედამისსაც... მე და ის კაცი ძმებივით ვართ, თითქმის... გვინდოდა, რიგიანი კაცი შეგვხვედროდა სადმე... აჰ, შეგხვდი, გიცანი, მიცანი, გაგიცანი და პასტა!.. რაღა ბევრი ჩიჩინი და ლაპარაკი უნდა ამას!.. ჩვენ კაცი მოგვწონხარ ყველას, თუ შენც მოგწონს ქალი, თქვი და საქმეც გათავებული იქნება... ქველიძესაკით, შენც მიხვდები, ყაყანს არ დაგიწყებენ აქ.

ოტიას ჭკუაში დაუჯდა ეს სიტყვა და იამა მისი კარგად ხსენებაც.

— თუ რამე ნაკი უნახო მაგ ქალს, პირში ჩამაფურთხე, ნებას ვაძლევ. უთხარ [illegible] პორფირის.

ეგ მეტიც იყო, ოტიას კიდევაც შერცხვა ამის გაგონებაზე. იგი თანახმა იყო თავის მხრივაც.

— ოფლი გამომადინე, შე დალოცვილო!—გაიცინა პორფირიმ,— რაღას იქიმებოდი, თუ ღმერთი გწამს!.. შენ აქ მომითმინე... ერთი იქ შეეირბენ. — და პორფირი გავარდა ზალიდან მეორე ოთახში.

მარტოდ დარჩენილი ოტია აქეთ-იქით იცქირებოდა დარცხვენილი, სახეზე ალმურმოკიდებული. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ უარეს მდგომარეობაში ჩავარდა, როცა კარი გაიღო და ზალაში სონია შემოვიდა. ოტიამ აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო, დამჯდარიყო, თუ ისევ ფეხზე მდგარი დარჩენილიყო. რომ მოეკლათ, ხმის ამოღება არ შეეძლო ამ ქალთან. და გაჩუმებული იყო. [illegible]ც ქალი იღებდა ხმას; ერთი კი უთხრა, „დაბძანდითო“, რაზედაც ოტიამ მიუგო: „გახლავართო“, და ამაზე შეწყდა მათი მუსაიფი. სონია უფრო თამამად იყო და გუსტავზე ეცინებოდა ამ უმაყვილოს უცნაური უხერხულება. სონიას აზრით, ეს ვიღაც მთხოვნელი უნდა ყოფილიყო, მის ძმასთან მოსული, და ალბათ ძალიან სამძიმო საქმე უნდა ჰქონდეს, რომ ასე დაღონებულიაო.

მეორე ოთახში კი სამთა რჩევაც დასრულდა, რასაც დიდი ხანი არ დასჭირებია. ბეგლარმა თავის მსრივ თქვა, რომ ვეროაფერი [illegible] ვერ ვედებ სასიძო ახალგაზრდა ქამუშაძესო. მასთან ერთად პელაგიაც, რასაკვირველია, თანახმა შეიქნა.

— აბა რაღაზე ვაწვალებთ იმ კაცს! — თქვა პორფირიმ. — შეავახალისოთ ახალგაზრდები, ღმერთსაც იამება! — და მოცინარი სახით გავიდა ზალაში.

მას მიჰყვნენ ბეგლარიც და პელაგიაც. პორფირი სიცილით მივიდა სონიასთან და თავი დაუკრა.

— ნება მოგვეცით, ქალბატონო, მოგილოცოთ! — დაიწყო პორფირიმ...

— რას მილოცავ?—გულუბრყვილოდ ჰკითხა სონიამ.

— ხა, ხა, ხა! — გადიხარხარა პორფირიმ. — ხა, ხა, ხა!.. შენი გაბედნიერება, ჩემო სონია!..

— ჰმ!

— მოგილოცავ, ოტია! ურა, ურა!.. იცოცხლეთ და იმრავლეთ!— შესძახა პორფირიმ.

— რას სულელობ! — წყენით შეუტია მას ქალიშვილმა.

— კი, შვილო, კი, გენაცვალე! — მიუახლოვდა პელაგია.

ქალი აირია; ერთი თვალი გადააგლო ყველას და ოთახიდან გავარდა. პორფირიც და პელაგიაც უკან დაედევნენ. ოტია გაშრა სირცხვილისაგან.

— დედა... რა ამბავია?! — უცნაური ხმით მიმართა ყმაწვილმა ქალმა დედას.

— შენი ბედნიერება, შვილო, შენი ბედნიერება! სხვა რა გვენდომებლება!..

სონია გაფითრდა.

— კაი კაცია, შვილო... თვალადაც, შეძლებითაც... გვარითაც... კაი აზნაურშვილი... ძვირფასი ხასიათის კაცი... — მოპყვა პელაგია.

— არ მინდა!.. არ მინდა, არა, არა! — გადაწყვეტილად წამოიძახა სონიამ.

— ხომ ვერ დაბერდები, შვილო, შენი ძმის ოჯახში!.. ხომ უნდა მონახო, ერთი დღე იქნება, შენ გენაცვალე, შენი საკუთარი სახლკარი?! უარს რატომ უნდა ამბობდე, როცა ამისთანა კარგი ბედი და იღბალი მოგანიჭა უფალმა!

— გაგიგონიათ ასე?! გაგიგონიათ ასე ჩემდა დაუკითხავად? — გაცხარებით იძახდა სონია.

— კაი, კაი, შე ქალო!.. რატომ იცით ქალებმა გათხოვებაზე ამისთანა ამბები... ვითომ და არ უნდა გათხოვება! აი, შე ეშმაკო, შენა!.. — ხუმრობა დააპირა პორფირიმ, მაგრამ ამ უადგილო შეხუმრებამ ქალიშვილი მხოლოდ მეტად გააწიწმატა.

— თავი დამანებეთ, თავი დამანებეთ ყველამ! — წამოიძახა სონიამ.

— თავი როგორ უნდა დაგანებოთ, რას ამბობ, შვილო! — შეუტია პელაგიამ.

— ოჰ, ღმერთო! გითხარით, არ მინდა-თქვა!.. არ მინდა... არ წავყვები... არა-თქვა, არა! რა გინდათ ახლა ჩემგან?.. მომკალით... რას ჩამციებიხართ!.. რა არის ეს, ღმერთო ჩემო!..

პორფირი გაიპარა ოთახიდან და ბეგლარი შემოგზავნა. ოტია ატყობდა, რომ ქალის მხრივ წინააღმდეგობა უნდა ყოფილიყო და შეწუხდა:

— ბატონო პორფირი! — მივიდა იგი პორფირთან. — ბატონო პორფირი... ეგებ იმას არ ნებავდეს... და ძალას ნუ დაატანთ, შენი ჭირიმე... ნუ შეაწუხებთ!..

— ეჰ, ერთი შენ კიდევ! გულჩვილობას დამიწყებ!.. ქალის ამბა-

ვი არ იცი?.. გულით რომ უნდოდეს, არ შეიძლება ერთი-ორი არ შეიკვინტრიშოს... აცალე, ძმის სიტყვას უფრო გეიგონებს ის... ხომ ჯობია ქველიძის ქალს, თუ ღმერთი გწამს?.. ა?..

— ჰმ! რა საკადრისია! — ჩაიცინა ოტიამ და ამავე დროს ოთახის კარიც გაიღო და ზალაში შემოიყვანეს დედა-შვილმა თვალებაწითლებული, თავჩაღუნული სონია.

— ასე არ ჯობია, შე ქალო! — მიირბინა მასთან პორფირიმ. — ოტია, მობძანდი! მალე, შე კაცო, აწი დროცაა წითელი წვენით ღონე დევიბრუნოთ, რაც ამ თქვენს დავიდარაბაში მივალიეთ!

პელაგიამ გულში ჩაიკრა სიძე და უსურვა ყოველივე ბედნიერება და დიდი ხნის სიამტკბილობით სიცოცხლე. მიულოცა ბეგლარმაც, რომელმაც გამოაცხადა, რომ რაც უნდა დამართოდა, უსათუოდ უნდა დამთვრალიყო ამ საპიამოვნო შემთხვევის გამო.

— შენ ახლავე ერთი რიგიანი ვახშამი გაგვიკეთე, ხელად! — უთხრა მან დედას.

სონია კი გარეტიანებულივით იჯდა. ვერც ოტია გრძნობდა თავისუფლად თავს, რის გამოც პორფირი დასცინოდათ, რომ მეტად ადრე ჯდებით ნეფე-დედოფლადაო.

კარგა ღამე იყო, რომ ოტია და პორფირი სახლისაკენ მიდიოდნენ, რიგიანად ღვინონასვამები.

— ჰო, ასე ვიცი მე... კაცს რომ ვიცნობ, მისთვის თავს მოვიკლავ, ჩემო ოტია! თავს შევაკლავ და არც წააგებს ჩემთან მეგობრობით!..

— იცოცხლე, იცოცხლე უკუნითი უკუნისამდი ჩვენისთანა საწყალი და მართალი გზაგოუგნებელი კაცისათვის... ხომ ამისთანა სიკეთე მიყავი, კაცი გამაცოცხლე, გამაცოცხლე კაცი, თვარა იმ ვირი ქველიძის გამო მკვდარი ვიყავი... მიწასთან გასწორებული ვიყავი!.. შენ გამაცოცხლე ახლა, სიცოცხლე დამიბრუნე ხომ, და ერთს კიდევ გთხოვ, შენი ვირიმე... ამასაც ნულარ დამაკლებ და მერე თქვენი ჭირი წამიღია, თუ გინდა!

— ჰო!.. რა გინდა? — შეჩერდა პორფირი.

— რომ გული მოვუკლა იმ ოხრიშვილსაც და ზოგიერთებს სხვებსაც... თქვენთვის ეგ არაფერი იქნება, ჩემთვის კი ძვირად რადმე ეღირება, — იყოს ისე თქმულობად, ცარიელ სიტყვად, რომ ვითომც ბეგლარს დისთვის ხუთასი მანეთი მიეცეს მზითვად... ცარიელი სიტყვა ქვეყნის გასაგონად, თორემ ფულის თხოვას როგორ გოუბედავ... ისიც არ კმარა ჩემს თავზე?! ქვეყნის გასაგონად ითქვას ოღონდ!

— კა, ბატონო! მაგაზე ადვილი რაა... მე რაღაც სხვა მეგონა, ისე გრძლად მოჰყევი... ხა, ხა, ხა! — გადიხარხარა პორფირიმ. — ექვსასი იყოს, შე კაცო, შვიდასი!..

— არა, არა! მეტი რაც იქნება, ეჰვში შეიყვანს!... არ დეიჯერებენ! — მიუგო ოტიამ.

— ხუთასი იყოს! იყოს ხუთასი!.. — მხიარულად შესძახა პორფირიმ. — ერთი სიტყვით ჩესტიანი ბიჭები ვართ, ჩესტიანი!.. ყველაფერს მოვახერხებთ! — და ორივე მეგობარმა ხითხითით და სიცილით განაგრძეს გზა სახლისკენ.

V

ერთ წამში მოედვა სოფელს ოტიასაგან ქალაქელი ქალის დანიშვნის ამბავი.

ეკვირინეს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ორგვარი იყო მისი სიამოვნება: ერთი იმით ხარობდა, რომ ოჯახს არც ახლა მოეშალა ჩვეულება, განსხვავებული ქალი შემოდიოდა და ამასთანავე ნიშნი ეგებოდა სარდიონ ქველიძესაც და ბევრს იმათაც, ვინც მის შვილს ფასს არ სდებდა.

— გვერდში ამოუყენოს ჩემს რძალს მათი სოფლის ნაცარში ამოქიქნილი ქალბატონი!.. თავისი ტყედწასული შვილი გოუტოლოს ბეგლარ ჯინჭარაძეს! მაგათმა სიცოცხლემ! დეესხათ მაგათ თავსლაფი!

უმეტესობა მეტიჩრობაში არეკვლევდა ოტიას მის საქციელს და ამტყუნებდნენ — ქალაქ ადგილას გაზრდილი ქალის სოფელში მოყვანა სისულელეა, რითი უპირებს შენახვასო. ზოგიერთები კი დასცინოდნენ და ამბობდნენ, რომ უსათუოდ ვინმე ოხერი შეაჩეჩეს ხელში, თორემ რიგიანი ვინ გაიმეტებდა თავს, ქალაქს მიატოვებდა და ოტიას წამოყვებოდა სოფელშიო.

—ენახავთ, ყველაფერს მალე ენახავთ! ხომ მოიყვანს და! — ამბობდნენ დაინტერესებული მეზობლები.

ოტიამაც მალე დააკმაყოფილა ამათი ცნობისმოყვარეობა. ეგი. რაც შეეძლო. დატრიალდა; როგორადაც ეხერხებოდა, მოაწყო სახლი, ოჯახში, მოემზადა თავის გუნებაში საქორწილოდ და მეორე თვეზე ჯვარიც დაიწერა და ქალიც მოიყვანა სახლში. აქედანვე დაეტყო მას, რომ ქალაქელებს დაემოყვრა. სოფლად რომ იციან, ჯვარს დაიწერენ და ქალს არ წაიყვანენ, სანამ ქალის პატრონი დაპირებულ მზითევს მთლად არ მოაგროვებს და სიძეს არ ჩააბარებს, და ამასო-

ბაში ეს უკანასკნელი წანწალშია და თრევაში სახლსა და მოყვარეს შუა — ამისთანებს აარიდა თავი ოტიამ. თუმცა ესეც უნდა ითქვას,— სიმართლეს არც სოფლელებს დავუკარგავთ და ყველაფერში არ გავამტყუნებთ, — ოტიას ამ შემთხვევაში გარემოებაც ხელს უწყობდა, რომ ჩვეულებაც უკუეგდო და საქმეც გაეადვილებინა. იმის მიღება, რაც მან იშოვა, მაინცდამაინც არც ისე საძნელო იყო: „ხმელი სიტყვით“ ხუთასი მანეთი და ქალაქელი ქალი და, კიდევ თუ მივათვლით, ასი მანეთი პელაგიამ რომ, ვითომ თავის მხრით, აჩუქა ქალიშვილს, თუ რამე დასჭირდებოდა, დასახარჯავად.

სხვის თვალში, შესაძლებელია, ეგ არაფერი ყოფილიყო, ქამუშაძეებმა კი დააფასეს და ისე მიეგებნენ ამ ამბავს, რომ სწორედ მათ თავზე ეგ მეტიც იყო. არაფერი არ დაუშურებიათ, სტუმარიც ბევრი მიიპატიჟეს, ლხინიც კარგი გადაიხადეს და მხიარულებაც სამახსოვრო იყო. ქალის მოპყოლებმაც ერთობ მოილხინეს. ბეგლარი, რომელსაც მასპინძელი თავს ევლებოდა, ერთობ მხიარულად იყო და სხვებს არ რჩებოდა უკან ღვინის სმაში და თუ რამე აწუხებდა, ეგ იყო, რომ ეკვირინე წამდაუწუმ მორბოდა, ეპოდიშებოდა ყველაფერზე, ეველრებოდა, არაფერი წყენოდა უზრდელი სოფლის კაცისაგან და ისე მოელხინა, როგორც მას სურდა. ამისთანებით მოსვენებას არ აძლევდა მოხუცებული ქალი, თორემ კაცს რომ ეყურებია, იტყოდა, რომ იგი ერთობ აღტაცებული და მოხარულია ყველაფრით, რასაც თავის გარშემო ხედავსო.

ბეგლარმა ეს კიდევაც გამოსთქვა სიტყვიერადაც თავის დასთან და ახალ მოყვრებთან, როცა მესამე დღეს, წასვლის წინ, ესენი ცალკე გაიხმო და, გამოთხოვების წინ, უთხრა:

— ერთობ მოხარული ვარ... მეტი აღარ შეიძლება, რომ ამ ოჯახთან შეგვყარა ბედმა და აწი შენ იცი. ჩემო ძვირფასო დაო... როგორც ჩვენთან იყავი გამრჯელი და ჭკვიანი, მე დარწმუნებული ვარ, ამ შენს ქმართან და ამისთანა ძვირფას დედასთან კიდევ უფრო გაორკეცებ შენს გამრჯელობას!..

— უმე! — შეჰკივლა ეკვირინემ. — ნეტავი ჩემს თავს, თუ მაგი ვგავსარჯე რამეზე და მე ქე დავბძანდი!.. მაგის მოსამსახურე უნდა ვიქნე სიკვდილამდი, მაგას ვენაცვალე!

— არა, რატომ? რატომ? მე რომ ვიცნობ მაგას, მაგიც არ იზამს, რომ თქვენ გიმსახუროთ!.. — სიტყვა ჩამოართვა ისევ ბეგლარმა. — კიდევაც ქე გეისარჯოს, ოჯახს მოეკიდოს. გეიხედ-გამოიხედე. ყველაფერს დაუკვირდი, ძვირფასო დაო, და თუ გასაჭირი შეგხვდეს...

— ვინ შეახვედრებს მაგას! ღმერთო, ნუ მომასწრებ იმ დღეს! — ბაურთო სიტყვა ეკვირინემ.

— თუ გასაჭირი შეგხვდეს, კიდევაც მოითმინე და შენითვე შეეცადე, მეორედ აღარ შეიხვედრო!.. შენი კაი ქალობით ჩვენც გაგვახარებ... დედაშენსაც სიცოცხლეს შემატებ... ანჩხლი და კაპასი იქ არ ყოფილხარ და, იმედია, არც აქ იქნები.

— უიმე! — კიდევ წამოიძახა ეკვირინემ.

— მორჩილი იყავი ქმრისაც და ამ პატიოსანი ადამიანისაც, შენი დედამთილის... ამით სახელიც კაი გექნება და ქალობაც ამით დაკიშვენდება... იმედია, ყველაფერში ასე მოიქცევი და ყველას გვასიამოვნებ... ახლა კი ნახვამდის!.. — და ბეგლარი თავისი სიცოცხლეში პირველად გადაეხვია დას და გამოსათხოვებლად გადაკოცნა.

სონიამ, რომელიც აქამდის ხმაგაკმენდილი იდგა, თავდახრილი, ტირილი დაიწყო. ცრემლები წამოუვიდა ეკვირინესაც.

— რა გატირებს, შე ქალო!.. სუ!.. არ გრცხვენია!.. სატირალი რა გაქვს... ქმარი კაი იშოვე, დედა და ოჯახი ისეთი, რომ...

— არაფერი მას არ მოაკლდება, შენი ჭირიმე, არაფერი! — წამოიძახა გულაჩვილებულმა მოხუცებულმა. — ვაი ქალის ბრალი!..

— სუ, ნუ ტირი, ნუ ტირი, სონია!.. შენ ნუ მომიკვდები, მე ხშირად ვივლი, თუ თავს არ შეგაწყენთ და მიმიღებთ!.. — იხუმრა ბეგლარმა.

— ნეტავი კი ინებებდეთ და! — ერთხმად შესძახეს ორივე დედაშვილმა.

— ტირის?! — წამოიძახა პორფირიმ, რომელმაც ის იყო მათთან მოირბინა. — არ გრცხვენია, სონია? კაი. შე ქალო!.. შენ ნუ მომიკვდები, ყოველ კვირა გიწიკავ შენი სახლის ამბავს, როგორც კაი ფაჩტალიონი!..

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ!.. ღმერთმა პირნათლად გვამყოფოს ჩვენ თქვენთან და თქვენც ჩვენთან! — ღიმილით თქვა ბეგლარმა და მიუბრუნდა ეკვირინეს: — მადლობელი ვარ პატივისცემისათვის, დამათვრეთ, ღვინოში კინაღამ ჩამკალით, მარა მემართოს!.. ხათრი ვეღარ გაგიტეხე, იმიტო რომ დღეიდან დედა ხართ ჩემიც, მეორე დედა... ისეთივე ძვირფასი და საყვარელი, როგორც მშობელი. უფალს ვთხოვ, რომ კიდევ დიდხანს მენახოთ მშვიდობითა და მხიარულად!.. — და ბეგლარმა ხელზე აკოცა.

მოხუცებული ქალი ამას სრულიად არ მოელოდა და კინაღამ ჭკუიდან შეიშალა გაოცებული.

ყველანი გამოეთხოვნენ მასპინძელს და გაუდგნენ თავთავიანთ გზას. პორფირის სიცილად არ ჰყოფნიდა გზაში ბეგლარის საქციელი ქამუშაძის მოხუცებულთან და ბეგლარიც ყოველ ამის გახსენებაზე იქით-აქეთ იპურჭყუბოდა და ტუჩებს იწმენდავდა ცხვირსახოცით.

— კაი, თუ ძმა ხარ, ნუღა გამახსენებ, იმწამსვე გულს მეყრება!.. რა სისულელე ვქენი მეც!.. ფუ!.. — ამბობდა ბეგლარი და პორფირი ისევ ხარხარებდა და სიცილით კვდებოდა.

ამასობაში კი ეკვირინე აღტაცებით ეუბნებოდა შვილს:

— ღმერთს ყვარებიხარ, შვილო, სწორედ ყვარებიხარ და შენთვის კაი ნდომებია, ამისთანა კეთილები რომ შეგაძენია!.. რა პატიოსანი, ჭკვიანი, კეთილი და რა თავდაბალი თავის ღირსებასთან!.. ნეტავი თუ მეორე იყვეს ვინმე მაგის მსგავსი!? ვაჰ, ნეტავი დედას. ამისთანა შვილი რომ ეყოლება, ნეტავი იმას! რარიგად მოუყვა, რა დარიგება მისცა, ვენაცვალე მას, რეები უთხრა?! იმას მიეცა ყოველივე სიკეთე და სიხარული!.. მე რა მიქნა, მე... ხა, ხა, ხა! ღმერთო მომკალი, რა მისი საკადრისი იყო, მისი ლამაზი ტუჩები ამ ჩემს დამჭკნარ ხელებს შეხებოდა!.. კი არ შეიზიზღა!.. ნეტავი თუ რამე ჯობდეს შესმენილსა და განათლებულ კაცს... თავისათვისაც კარგი და შენც გაგაკეთებს და გაგანათლებს, თუ მიგიახლოვა... ბედნიერი კაცი ყოფილხარ, შვილო, ნამდვილად ბედნიერი!.. აწი ნუღარაფერის შიში ნუ გაქვს... არაფერი არ უნდა იდარდო, როგორც კი არ გიდარდებია! ახლა კიდევ უფრო!..

— ეგ კი, მარა... ხარჯიც ბევრი მოგვევიდა, დედა! — მისდა უნებურად ამოხდა სიტყვა გულის სიღრმიდან ოტიას.

— რა ვუყოთ, შვილო?! მართალია, მარა არ უნდა ინანო... ღმერთი მოგცემს... ღმერთი მოგცემს... აბა რა გზა გქონდა მეტი, შვილო. შენი თავის შერცხვენა — შენი მოყვრების შერცხვენა იქნებოდა... არა, შვილო, ასე ჯობია, ყმაწვილ ქალსაც გული გოუკეთდება, ამ თავიდანვე მხიარულად და იმედიანად შეხედავს მომავალს... იმას რა სჯობია, რომ ყველა კმაყოფილი წევიდ-წამოვიდა და შენი მაქებარი... არაფერია, შვილო, ღმერთი მოგვცემს, ღმერთი მოგვცემს!.. იმის იმედით ვართ ყველანი!.. — ანუგეშებდა ეკვირინე შვილს. — რავარც კაი ცოლს შეგყარა, ისე სხვა სიკეთესაც ბევრს შეგყრის, შვილო... ახლა მიდი, შენ გენაცვალე, იმ შენს ცოლს ხმა გაეცი... საწყალი ჯერ კიდევ უცხოდ არის... არ მოსწყინდეს... მე კი სადილს

ბივადგები... მიდი, მიდი, შვილო, შენგან ყველაფერი იამება იმას... ბარტოდაა, ვენაცვალე მის სახელს!..

სონია მარტო იყო ოთახში და მუთაქაზე მიწოლილი მართლაც პოწყენილი მისჩერებოდა კვამლისაგან გაშავებულ ოთახის დაბალ კედელს. ეს ყოველ მხრით მარტოდ ყოფნა იმ სიჩუმესთან, რომელიც მის გარშემო სუფევდა, ეს დაბალი გახრიგნილი ოთახი, სანახევროდ ჩამობნელებული, ყოველივე ეს სულს უხუთავდა და გულს უწუხებდა. იგი წამოდგა და ნელი ნაბიჯით მივიდა კარებთან, კარის ჩარჩოს მიაწვა და ეზოში მზერა დაიწყო. კარგა ხანს იდგა ასე სონია, მაგრამ ვერც იმ სურათმა, მის თვალწინ რომ იშლებოდა, თავის სალამაზით გული ვერ გაუხსნა და სევდა ვერ გადუყარა. ეს სიჩუმე, ეს მიყრუებულობა-მივარდნილობა უფრო უმძიმებდა გულს და აღონებდა.

— ღმერთო ჩემო, ამ მიყრუებულში უნდა დავლიო ჩემი სიცოცხლე? — გაიფიქრა მან და რაღაცამ თითქოს ყელში წაუჭირაო და თანვე თვალებში ჩამოებინდა. სცადა თავს შებრძოლებოდა, თავი შეემაგრებინა, მაგრამ ვეღარ მოახერხა და ცრემლები ნაკადულივით წამოსკდა თვალებიდან. მიტრიალდა და ტახტზე მილაგებულ ქვეშაგებში ჩაჰყო თავი.

ოტია მოდგა კარებთან, დაინახა სონია თავჩარგული ბალიშებში, იფიქრა, რომ უსათუოდ სძინავსო და გაბრუნდა უკან.

— დაღალულია, შვილო, დაღალული!.. იძინოს, იძინოს, ვენაცვალე!.. ღონეზე მოვა! — ტკბილად და სიყვარულით წარმოთქვა ეკვირინემ და ფუსუტიას, რომელიც ერთი თვით მოიყვანა რძლის ხელზე მოსამსახურედ პირველ ხანებში, მიაძახა: — სუ, ჩუმად გააკეთე საქნარი!

რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა სადილობის ალომ მოაწია, ეკვირინე თვითონ შევიდა რძალთან. ის კარებთან დაუხვდა სახედაღონებული.

— გამოიღვიძე, შვილო? კარგად თუ გეძინა მაინც?

— არ მძინებია, ბატონო! — მიუგო სონიამ.

— ჩემმა ოტიამ მითხრა, ძინავსო...

— ისე ვიწევი...

— არ მოიწყინო, შენ გენაცვალე!.. დაღალული ხარ. შენი ჭირიმე, ერთი გუნებითი ძილი კიდევაც გამოგაბრუნებდა, შენ-ნუ მომიკვდები!.. არ მოიწყინო, ჩემო მალსაზო და გვრიტო!.. მოსაწყენი არაფერი არა გაქვს... აქეთ გეიხედე, იქით გეიხედე, შენი ლამაზი თვალი გადააველე აქაურობას და გუნებაზე დადგები... იმას ნუ შეუ-

შინდები, შვილო, რომ ამისთანა პატარა სახლი დაგახვედრა შენმა ქმარმა... ბევრს არც ამისთანა აქვს, შენი ქმრის ნათესავებს კი არა, სხვებსაც... ღმერთი ღონეს და შეძლებას მოგცემთ და კიდევაც გაადიდებთ და უკეთესად მოაწყობთ... კარგი ქალი, შვილო, — გაიღიმა ეკვირინემ, — ბევრ რამეს შემატებს ოჯახს... ქმარიც. ღვთის მადლით, კაი გამრჯელი კაცი შეგხვდა... ჩემი შვილობით არ ვაქებ მე იმას... ყველაფერი ეს თქვენია, გაუყოფლად, საკუთრად, შვილო. რა გიჭირთ!.. იხარეთ, ისიამტკბილეთ. იცხოვრეთ ბედნიერად!.. ასე. ჩემო სიცოცხლევ! და ახლა თუ არ გეზარება, სადილობამდის, შენთვის მაინც ცოტათი ადრეც არის სადილი, გევიარ-გამოვიაროთ ინ ჩვენს გარშემო, ნახე ეს შენი საცხოვრებელი, გულიც გაგიხალისდება, გაგიმხიარულდება და მერე უფრო მადიანადაც ჭამ სადილს.

სონიამ უარი არ უთხრა ამაზე. ეკვირინემ მიირბინა მეორე კარებთან და გოგოს მიაძახა, რომ არაფერი წაახდინო ჩვენს მოსვლამდისო, გაიბერტყა ნაცარში ამოსვრილი კაბა და ისევ მიირბინა რძალთან.

— აბა, წამოდი, შენ გენაცვალე! — და წაუძღვა სონიას.

ეზოს ერთ კუთხეში მაღალი და ფართო შტოებგაშლილი კვინცხა იყო. ეკვირინემ რძალი აქეთ წაიყვანა.

— აქანაი, შვილო, ჭურები გვაქვს, — ანიშნა მან ხის ქვეშ ყავრებით გადაფარებულ შეყრილ მიწაზე. ამ ყავრებს უნდა დაეფარა, რომ წვიმის დროს წყალი არ ჩასულიყო ჭურებში... — იცოცხლე, შვილო, ამ ჭურებში შარშან ღვინოები ჩაისხა!.. საპალნე რატომ ოცი მანეთიც არ ღირდა, ისეთი რამ მშვენიერი იყო... აძლიეს კიდევაც თექვსმეტი მანეთი, მეტსაც მისცემდნენ. მარა არ შეელია... ძნელი შესალევია, შვილო... კაი ღვინო ოჯახის დამამშვენებელია... წრეულსაც, იმედია, ღმერთი უფრო უკეთესს მოგვცემს... ღვთის მადლით, ვენახი კარგი გვაქვს, თუ არა შენი ლამაზი თვალებით ნახავ ეხლავე... ისეთი მტევნები ასხია, თითოსაგან რატომ ბოთლი ღვინო არ გამოიწურება...

რადგანაც აქ მეტი სანახავი აღარაფერი იყო, მოხუცებულმა პატარა, დაბალ მოღობილისაკენ წაიყვანა სონია. აქ გააღო გადასაბიჯზე ღელერჭით ჩამოკიდებული პაწია წკნელის ჭიშკარი, ჯერ თვითონ გადავიდა და მერე რძალი გადაიყვანა.

აქ ბოსტანი ჰქონდა ეკვირინეს. ვიწრო, გრძელ, კოლბოხებით სავსე კვლებზე მოჩანდა ზოგან ხახვი, ზოგან ნიახური, ოხრასუში, პრასა, ქინძი, საზამთრო, ფხალი, სალათა. და აქა-იქ გრძელი ბადრიჯანი.

— ბოსტანი მქონდა, შენ გენაცვალე, ისეთი ბოსტანი, რომ მარტო ერთი შეხედვით გული გაგეხსნებოდა... ქალი უკეთესს ვერ დეიჩემებდა, მარა რად გინდა, ვერ დეეიცეეი, ასე გამითხარეს ქათმებმა, — ჩემმაც და სხვისმაც!.. ვერაფრით ვერ შემოეუარე!.. იცოცხლე, ეს ხახვი, ესლა ამას რომ ხედავ, ეს რაა იმასთან, შარშან რომ იყო... გადეირია, ბატონო, გადეირია, მარა რანეირად!.. ვიღამ მოლია!.. ექვსი ბათმანი სულ ამხელ-ამხელა თავები შევინახე საზამთროდ... და ეს სალათა... ჰმ, იმდენი იყო, რომ მთელი მეზობლობა გავაჯერე მაგით... წრეულს კი ასე დაემართა, ვეღარც სალათაა იმისთანა და ვეღარც ხახვი... ამ ჭლაკვმაც თავზე ლაფი დაისხა... რუსული პატრიჯანი რომაა, მანიდორას რომ უძახიან, იგიც მქონდა, წრეულს კი, რა დაემართა, აღარ ვიცი, სულ აღარ ამოსულა... მაგივრად ნესვი, კიტრი იყო იმდონი, რომ კინაღამ დევიხაშმეთ!.. შეგვეშინდა, რომ ავადმყოფობა არ გაეჩინა და სულ ავთხარეთ და გადავუყარეთ ღორებს... გაისადაც ძალიანი ბოსტანი გაკეთდება, შვილო. კიდევ უკეთესი, ცოცხალი ვიყვეთ და!.. ცხენებით ვაწიკვიებთ ოტიას შენს სახლში აქაურ მწვანილს... მათთვის ეგ არაფერი იქნება, საყიდელი საშუალება ბევრი ექნებათ, მარა აქიდან მისული მაინც იამება დედაშენს... კი, ჩემო სიცოცხლევ!

დედის გახსენება სწორედ ვერ მოუვიდა დროზე ეკვირინეს. მისი რძლის გულს ვერაფრად ახალისებდა, რასაც ხედავდა ამ წამში. ნამეტურ ეს ყოველ სიტყვაზე შარშანდელი წლის ხსენება ცუდად მოქმედებდა მასზე და რაღაც ეპეში შეჰყავდა აქაურ გაკირვებულ ცხოვრების შესაძლებლობაზე. თუმცა ასე აიმედებდა მისი დედამთილი. ამას ზედ დაერთო დედის გახსენება, რამაც კიდევ უფრო დაუმძიმა გული. მოხუცებული კი ისევ °რაღაცეებს ლაპარაკობდა. ამ ლაპარაკით გადმოვიდა ბოსტნიდან, დაეშვა ქვეეით და, ბოჯგებზე შეპოლიკებულ პატარა მოწნულს რომ მიუახლოვდნენ, თქვა:

— ეს სასიმინდეა, შვილო! ამ ცოტა ხნის შემდეგ თავამდინ ავავსებთ მაგას ვერცხლისფერი სიმინდით. სულ გადენა ამ თეთრმა სიმინდმა წინანდელი ყვითელი, — მეტ წყალს ისხამს ზელაში და უფრო ხვავიანია გამოცხობაში. იცოცხლე. შარშან მაგაში ჩეიყარა და რამდენი მოგვრჩა კიდევ, რომ ადგილი ვეღარ ვუშოვეთ, — სულ მოვყარეთ ოთახის თავი! წრეულსაც ასე იქნება!

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეკვირინემ მაინც არ ჩაახედვინა რძალს სასიმინდეში. ქვევით ჩაატარა და ვენახში გადაიყვანა. ეს ადგილი, სულ ცოტა რომ ვთქვათ, იქნებოდა ნახევარი ქცევა. ვენახი კარგად გამოწმენდილი და მოვლილი იყო; ფოთოლზე ეტყო-

ბოდა, რომ ნაწამლიც იყო შაბიამანით; აქა-იქ ფილოქსერის ნამოქ-ძედარიც ეტყობოდა — ამოუმულივით იყო გამხმარი ვაზის ამონათ-სარ ადგილებზე. ვაზს მართლა კარგად ესხა, მარცვალიც კარგი იყო, მაგრამ ერთის კი არა, ვერც ოცი მტევნის გამონაწური გაავსებდა ბოთლსა, რადგან მტევნები პატარები იყო.

— ოჰ, რა ღვინო იცის ამან, რა ღვინო! ამას შეხედე ერთი! რას ჰგავს, რას! — აღტაცებით გაიძახოდა ეკვირინე. — მე და დედაშენი ერთი ისე თავისუფალ დროს, ცალკე, უნდა დავთვრეთ ამის ღვი-ნით, ჩემო სონია! უსათუოდ, ხა, ხა, ხა! — გადიხარხარა მოხუცე-ბულმა. — და შენც, შენც ჩვენთან... შენც უნდა გამოიმეტო თავი!

ამ სიცილით ბოლომდის ჩაიარა ეკვირინემ და როცა მიადგა ღო-ბეს ვენახის ბოლოში, გადაღმა გადიხედა, სიცილიც შესწყვიტა უცებ და ერთი ღრმად ამოიოხრა და თავი გაიქნია.

— ეს ადგილიც... ამ ნაჭერს, რასაც ხედავ, შვილო, ესეც ჩვენი იყო, მარა ბიძამისმა ომანმა წაართვა შენს ქმარს. რაც იმან იდავი-დარაბა, იღლიტა — ღმერთი არ დაეყრის ბარაქას მას! რა არ ჩეი-დინა, რა საშუალება არ იხმარა! დიდი ცოდვილიანი კაცია ის უბე-დური და კიდევაც ისე უბედურად მიდის მისი ცხოვრება... ყოველ წელიწადს ნაღდგომებიდან მშიერი უყრია ოჯახობა. ისე გაოხრდა, რომ ყაზახებში ვერ გამოარჩევ და ნურც გაგაცნოს მისი თავი ღმერთმა... ჩვენ აღარც კი ვეკარებით ერთმანეთს. ახლა იყვეს საქმე, ნახავდა რავა წაართმევდა ჩემს შვილს მაგას და აწი ხომ სულსაც ვეღარ დაბერავს! სამი ძარი სიმინდი მოდიოდა ხანდახან, ასეთი ადგილია! გული მეტკინება, ახლოს რომ გევიელი ამ ადგილთან... ჰაი, ჰაი, ჰაი! სად იყვნენ მაშინ ამისთანა შემწეები, ახლა რომ ჰყავს ჩემს შვილს! ვინ რას გოუბედავდა!

ახლა უკან გამობრუნდა ეკვირინე და ისევ დაიწყო რძლის გასა-ხალისებლად იქაური ამბებისა და მდგომარეობის გაზვიადებით მოთხრობა, ასე რომ მისი ზომაზე გადამეტებული სიტყვა ნამეტანი ცხადი იყო. ერთი თითქმის გამხმარი ლეღვი ისეთად გამოჰყავდა, რომ თითქოს მისთანა მთელ სოფელში არ ყოფილიყო; პანტა-ვაშ-ლი წრეულს მოუბმელი იყო — ისეთი ვაშლის მომსხმელი. მისი სი-ტყვით, რომ ორ წელიწადს გაიტანდა მითი თავს კაციო... ქლიავი, ბალი, ჭანჭური, უხაბიც კი...

— ყველაფერია, შვილო, ყველაფერი... ხილი, სულ ნარჩევი და საგანგებო რამ! ყველაფერი საკმაო გაქვთ, შვილო! გული მხიარუ-ლად იქონიე, ნურაფრის დარდი ნუ გექნება! ყველაფერია, ღვთის მადლით... სხვას, ზოგიერთს, ამისი ნახევარიც არ მოეძებნება, თქვენ

ვინ შეგედრებათ! ეს ხომ ასე, რასაც ამას ხედავ შენი ბედნიერი თვალებით, და ამას გარდა გადალმაცა გვაქვს კიდევ ადგილები... საარჩოს მომტანი ადგილებია. ასე, შენ გენაცვალე!

მოხუცებულის სიტყვები ახლა უსიამოვნოდ ხვდებოდა სონიას გულს, ატყობდა აშკარად გაბერვით ლაპარაკს, სწყინდა, რადგან ამაში ხედავდა დედამთილის განზრახვას, მოეტყუებინა იგი. ნამდვილად კი ეკვირინეს ღრმად სწამდა თავისი ოჯახის კეთილმყოფლობა და ახლა მხოლოდ ნატრულობდა, ეგეგე რწმენა ჩაენერგა რძლის გულშიაც. მაგრამ მეცადინეობა ამაო იყო; ყმაწვილი ქალი არამც თუ ვერ დაარწმუნა, რომ მას არაფერი უჭირდა, არამედ უფრო დაღონა და ეჭვში შეიყვანა.

„თუ ის გადალმა ადგილებიც ამგვარიეა!“ — ფიქრობდა იგი და შემაწუხებელი, გამოურკვეველი სევდა აწვებოდა მის გულს.

— ბატონურად იცხოვრებთ, შვილო! თქვენისთანა ბედი ძვირია ჩვენობაში და ბევრისათვის სანატრელია... სოფელიც თქვენია, შვილო, და ქალაქიც! — ლიკლიკებდა ეკვირინე. — აბა სხვებსავით კი არ გაქვთ საქმე, ნახევარი წლობით უჭადოთ რომ აგდიან!

„ნახევარი წლობით უჭადოდ აგდიან!“ — გაიმეორა სონიამ გუნებაში...

გახალისების მაგივრად ამ გადათვალიერებამ უარესად ჯავრში ჩააგდო ყმაწვილი ქალი. ამ თავის შეუძლებლობის გაცნობამ მისი ყონება სულ სხვანაირად აამუშავა, ვიდრე ეს ეკვირინეს ეგონა. სონია ახლა მხოლოდ ერთმა დარდმა გაიტაცა: თუ ეს იყო მთლად მისი ქმრის ქონება, მხოლოდ ამის პატრონი იყო, ამაზე იდგა მარტო, რარიგად შეიძლებენ შემდეგში კმაყოფილ ცხოვრებას, რა საბით უნდა მოეხერხებინათ ოჯახის გამოტანა?

„რისი იმედითაა? რა აქვთ კიდევ საიმედო?“ — ეკითხებოდა თავისთავს სონია გუნებაში და მთლად მისი ფიქრი ახლა იქით მისართა - გაეგო, თავის თვალით დაენახა ყოველივე. რაც ამ ოჯახს ლონეს აძლევდა, მას ამაგრებდა და საშუალებას აძლევდა მომავლისათვის.

„ანდა შეიძლება მომატყუეს და მოტყუებით ჩამომათრიეს“, — ეაურბინა ერთმა აზრმა ყმაწვილ ქალს.

და ეს მდგომარეობა მით უმეტეს დღიდან დღე და უფრო და უფრო იმიტომაც მწვავე და შემაწუხებელი ხდებოდა მისთვის, რომ ეზოს გადალმა ფეხის გადადგმა არ შეეძლო. წირვაზე წასვლაც კი ძოუხერხებელი იყო, სანამ, სოფლის ჩვეულებისამებრ, ვისიმე ჯვრის წერისათვის არ აყურებინებდნენ და, ამ პირობებში მყოფს, რარი-

გად შეეძლო ვისმეს დაახლოვებოდა, ვისმესაგან ცოტაოდენი მაინც მართალი სიტყვა გაეგონა ამ ოჯახზე, ამ პირებზე, რომელთა შორისაც იგი ასე მოულოდნელად ჩამოვარდა.

ოტიამ ვითომ მოიწადინა ამ დატყვევებულობისაგან ცოლის განთავისუფლება, მაგრამ მისი დედა ერთობ წინააღმდეგი იყო და ოტიამაც არჩია არ ეწყენინებინა მოხუცისათვის, მით უფრო, რომ, მისი აზრით, მომავალშიც ბევრი რამ შეხვდებრდათ ორივე ცოლქმარს მასთან სადავო, როგორც ძველი ჩვეულების ადამიანთან.

— ყოველისფერი ჩვეულება კი არ უნდა დაგმოთ, შვილებო! ამისთანაებში ყველა დაგძრახავთ და ღმერთსაც აწყენინებთ... ისე შეჰყევით ამთავიდანვე, რომ ნურავის ნუ გეირისხავთ ნუ, შვილებო... ამას უნდა ერიდოთ!.. მოთმინება იქონიეთ!..

კარგა ხანს დასჭირდათ ამ მოთმინებით ყოფნა და ცოლთან დარცხვენილმა ოტიამ, ის იყო, კიდეევაც გადაწყვიტა მეტხანს აღარ ედარაჯებინა ჩვეულების ასასრულებლად, რომ ერთ საღამოს ამბავი მოუვიდათ, — ვიღაც ერთი იქაური გლეხი ქალიშვილს ათხოვებსო. ჯვარისწერაზე დასასწრებლად საღამოს ორივე რძალ-დედამთილი მოეწყვნენ და ეკლესიისაკენ გაემართნენ.

ბნელ საყდარში უკვე ხალხი ფუსფუსებდა; შიგ ერთი ხმაურობა, ხმამაღალი ლაპარაკი და სიცილ-ხითხითი ისმოდა. შემოსილი მღვდელი უნაყოფოდ თხოულობდა დაწყნარებულიყვნენ, დამშვიდებულიყვნენ და ეცლიათ მისთვის საიდუმლოების აღსრულება, სანამ, გაგულისებული მათი გაუგონებლობით, არ შეუწყრა და დაემუქრა ყველას გარეთ გაყრას, თუ კიდევ ვინმე ხმის ამოღებას გაბედავდა.

— ყველას გარეთ გაგყრით, ყველას, იცოდეთ! — გაიმეორა მღვდელმა და ხალხს გადახედა. — უჰ!.. უკაცრავად, უკაცრავად, ბატონო! — წამოიძახა მან უცებ, რადგან თავის გვერდით მდგომნი ეკვირინე და სონია მხოლოდ ახლა შენიშნა. — უკაცრავად, ბატონო, უკაცრავად თქვენთან!.. უცნაური ხალხია, ბატონო, უცნაური... ნამეტანი შეუსმენელი ხალხია... დეიწიეთ, დეიწიეთ!.. არ გესმით, თუ როგორაა! — იძახოდა პატარა, ჩია მღვდელი, მაგრამ ეტყობოდა, რომ ხალხი არაფრად ეპუებოდა და მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა მის წყრომას.

— აქეთ მობრძანდით, ბატონო, აქეთ, მანდ შეგაწუხებენ! — თავაზიანად და ღიმილით მიმართა სონიას და ეკვირინეს და საკურთხეველთან ანიშნა მათ ადგილი. — აქეთ მობრძანდით, თვარა ზურგზე შეგდგებიან, ისეთი მოურიდებელი ხალხია!... ღვინო დავიწყებია

შეჩვენებულ მნათეს... გავაქციე მოსატანად... შეეაჩერე საიდუმლოება... ხომ მშვიდობით ბძანდებით? ხომ არ მოგწყინდათ, ბატონო? — მიმართა მან სონიას, რომელთანაც გაცნობილი იყო მის მოყვანით. — ღვთის მადლით, არც სულ ისე ურიგო გახლავთ, მგონია, ჩვენი სოფელი, რომ კაცმა აქ ვერ გაძლოს!.. მერე რაკი ბედი და ღობალი იქნება, მით უფრო ადვილი შესათვისებელია! — დაატანა მან სახეზე ღიმილმორეულმა.

ხალხი ცოტა ხნით დაწყნარდა, უფრო უცხო ქალის ხათრით, მაგრამ მალე ისევ ახმაურდა; ისევ ერთი ხითხითი და სიცილი ისმოდა. ნაშეტურ როცა აქლოშინებულმა მნათემ ღვინო მოარბენინა და მღვდლისაგან მიწვდილ სასმისს დედოფალმა ოდნავ შეახო ტუჩები, მეფემ კი მთლად გამოცალა, ასე რომ მღვდელმა შენიშვნა მისცა, რიგიანად უნდა მოიქცეო.

ამ ჟრიამულსა და ყიჟინში გათავდა ჯვარისწერაც. ნეფე-დედოფალი ახმაურებულ ხალხში ძლივს გამოიყვანეს ეკლესიიდან. შეიქნა ღამეში დამბაჩებისა და რევოლვერების ბათქაბუთქი, რითაც დაშინებული ხალხი, — მარცხი რამ არ მოსელოდათ, ვინმე არ დაშავებულიყო, — ახლა ისევ აყაყანდა.

— ნელა, ნელა... კაცი არ მოჰკლათ!

— დაანებეთ თავი ამ რჯულ-ძაღლს!.. თავი დაანებეთ, ცოდვა არ მოხდეს რამე!

მაგრამ გამგონი მაინც არავინ იყო. ამ ხმაურობით და ხრიალ-ღრიალით ნეფე-დედოფალს გაუძღვნენ სახლისკენ და კიდევ კარგახანს ესმოდათ შინისაკენ გაბრუნებულ ეკვირინეს და მის რძალს მაყრების ხმა და მათი სიმღერა.

— აი, ახლა, შვილო, ამ კვირას წირვაზედაც შეგიძლია გასვიდე და კიდევაც გავალთ, როგორც რიგი და წესია... კაცი ველარაფერს იტყვის, თვარა, შვილო, სოფელი ოხერი მიმთქმელ-მომთქმელია... კი, მართალია, შენზე ვინ რას გაბედავს თქვას ან დაგძრახოს. მარა მაინც ასე ჯობია, ასე ჯობია, შვილო.

შაბათ საღამოს ადრიანად ჭამეს ვახშამი. რადგან ბევრი რაც საქმე ჰქონდათ ხვალისათვის, ეკვირინეს სიტყვით: წირვაზე პირველად გასასვლელად უნდა მოემზადებინა რძალი. ნავახშმევს მან თავის ხელით დაუსხა წყალი სონიას და სურნელოვანი საპნით, თავისავე ხელით, შეუფუთნა თავ-პირი, რომ ღამის ასე გათევით ლოყები გაბიჟვინებოდა და უფრო პირსუქნად ჩვენებოდა; თუმცა ისედაც გვიანობამდის არ იძინებდნენ, მაგრამ იმ დღეს ეკვირინემ ჩვეულებრივზე უფრო ადრიანად დააწვინა რძალი და თხოვა, შეეეედ-

რა, ყველაფერი დააფიცა, ადრე ნუ ადგები, ძილი, რაც შეიძლება, მოასრულე, კაი გუნებაზე ადექი და კარგი ფერიც გექნებაო. დილას შუშით თავისი უმარული მოურბენინა პუდრის მაგიერ. ეს უმარული, — ამბობდა ეკვირინე, — საგანგებოდ მომიტანეს საჩუქრად და ერთობ ათეთრებს პირსო. წარბებზე კაკლის დამწვარი გული გადაასმევინა წარბების გასამშვენებლად და ასაბზინებლად. ზოგიერთი ამგვარები წინათაც იცოდა სონიამ, მაგრამ დედამთილმა მაინც ბევრი რამ ასწავლა და ურჩია. ერთი სიტყვით, ეკვირინემ ყველაფერი გაიხსენა, ყველაფერი მოიგონა და არ დააკლო რძალს მისი თავის გამოსაჩენად.

— ხალხს ისეთი უნდა ეჩვენო, შვილო, რომ მტერს თვალი დოუდგეს, გული მოუკლა და ენა მუცელში ჩაუგდო!.. ძალათი, რომ არ უნდოდეს, მაინც ათქმევინო შენი თავის ქება, აბა!..

ამაზე სონიასაც კი გაეცინა. ამოდენა ფუსფუსისა და მზადების შემდეგ მასაც სხვანაირად უცემდა გული და ამ გულის ფანცქალით გაემართა იგი, ყოველ მზადებას გადარჩენილი, ეკლესიისაკენ. ეკვირინეც ისე გამოეწყო და ისე გამოიყურებოდა, რომ თითქოს გაყმაწვილებულაო.

— შენ გენაცვალე, გვრიტი ხარ, გვრიტი!.. დავასხი თავსლაფი, ვინც შენ არ მოგიწონოს!.. თავსლაფი დავასხი! — იძახოდა იგი, რძალს რომ თვალს ააცლებ-ჩაავლებდა.

ეს თავსლაფის მიძღვნა ვისზედაც ყოფილიყო, რასაკვირველია, არ შეეხამებოდა და არ შეეფერებოდა ამგვარად გამოწყობილ კრებულს, მაგრამ ადვილი მისატევებელი უნდა ყოფილიყო, რადგან ეკვირინეს სავსე გულის ამონახეთქი იყო და ამ დროს კაცი თავს ალარ ემორჩილება ხოლმე.

ოტიაც თავმომწონედ მოჰყვებოდა უკან ცოლსა და დედას, თეთრ ჩოხაში, სატინის ახალუხით, ახალი წუღა-მესტებით და დაბალი კვარაქინა ქუდით. რომ რიგიანი შეხედულება ჰქონდა, ამას თვითონაც ჰგრძნობდა, და რადგან წინაც ისეთი ცოლი მიუვიდოდა, როგორც სონია, მისი თავმომწონეობა ადვილი მისახვედრი და გასამართლებელიც იყო.

გზა სულ ორღობეებში მიდიოდა. მარჯვნივ და მარცხნივ ჩანდნენ მოსახლეები: ზოგან დაბალი, პატარა ოდები, ყაერით დახურული; ზოგან ისლით ნახური ძელულები, იქვე მიკრუნჩხული; ხშირად, ბუვრგან ჩალის სახურავით დახურული სასიმინდეებიც მოჩანდა. დაუკვირვებელი თვალისთვისაც ადვილი შესამჩნევი იყო,

რომ ამათში გაჭირვება და შეეიწროებული ცხოვრება უნდა ყოფილიყო დაბუდებული.

რადგან მზადებას ბევრი დრო დასჭირდა, ქამუშაძეებმა მხოლოდ შუა წირვას მიუსწრეს. პატარა ეკლესია შიგნით ხალხით იყო სავსე, მაგრამ ეკვირინემ იმდენი იმეცადინა, მისწი-მოსწია ქალები იქით-აქეთ მოურიდებლად, რომ წინ გაიყვანა რძალი და თვალსაჩინო ადგილზე წააყენა.

მწირველი მღვდლის გაურკვეველ მეტყველებასა და დიაკვნის ხანტ ღიღინზე ჩათვლემილი ქალები ამათმა მოსვლამ გამოაფხიზლა. ყველა ცდილობდა პატარძლის თუ კარგად დანახვას არა, ერთი თვალი მაინც რომ მოეკრა. მოშორებით მყოფნი ცერებზე დგებოდნენ და ცდილობდნენ შეეხედნათ სონიასათვის და დაეკმაყოფილებინათ თავიანთი ცნობისმოყვარეობა. სონია გრძნობდა მასზე მიჩერებულ მრავალ მსინჯავ თვალს და უძრავად იდგა დამორცხვებული.

ეკვირინე გულმხურვალედ ლოცულობდა, რამდენჯერმე მეტანია გააკეთა და გულმოდგინედ პირჯვარს ისახავდა. თითქოს ამით უნდოდა ყველასათვის დაენახვებინა, უფალს მადლობას ვწირავ იმისთვის, რომ ასეთი კარგი რძალი შემახვედრაო.

გათავდა წირვა, ხალხი გალავანში გამოეფინა. ეკვირინემ კი რძალი ეელოგვის ასაღებად მიიყვანა მღვდელთან, რომელმაც ამის ბოძების შემდეგ მარჯვნივ ანიშნა, სადაც კანკელზე, ხატების მაგიერ, ქაღალდებზე აჭრელებულად დახატული წმინდანების სახეები იყო მიწებებული აქა-იქ და ამათ შორის ესეენა ეკლესიის მფარველი წმინდანის ძველი ხატიც, რომლის წინაშეც რძალ-დედამთილმა მუხლები მოიყარეს, ემთხვიენენ და ფული მიართვეს, შესაწირავი. ორს შემდეგ გამოვიდნენ საყდრიდან და პირდაპირ გაემართნენ ნიგეზებისაკენ, სადაც ჩრდილში, ჩვეულებისამებრ, საფლავის ქვაზე ჩამომსხდარნი იყვნენ აქაური აზნაურის ქალები.

რძალ-დედამთილის მიახლოებაზე, უცნობი ქალის პატივსაცემლად, თითქმის ყველანი წამოდგნენ და შეეგებნენ უცხო პატარძალს სიტყვაუთქმელად, მხოლოდ ხელის ჩამორთმევით. ხელის ჩამორთმევის შემდეგ სონიას და მის დედამთილსაც დაუთმეს ადგილი და ყველანი ისევ ჩამოსხდნენ.

ჩამოვარდა სიჩუმე, ხმას არავინ იღებდა.

— მომილოცავს, ბატონო ეკვირინე, შვილის ვაბედნიერება! — გადასწია თავი ეკვირინესკენ პირსავსე, წითურ ლოყებიანმა, ფაქიზად ჩაცმულმა დარბაისელმა ქალმა: — დიდად სასიამოვნოა, ღვთის წინაშე!

ეს იყო სარდიონ ქველიძის ცოლი, მათათი.

— მოგვილოცავს, მოგვილოცავს! — აჰყვნენ ამას სხვებიც.

— მადლობელი ვარ... მადლობელი! — და იქით-აქეთ თავის დაკვრით მადლობას ეუბნებოდა ეკვირინე.

— ბედნიერი ქალი ყოფილხარ, ეკვირინე ჩემო! რა რძალი გიშოვნია! — უთხრა ეკვირინეს ხმადაშვებით მის გვერდით მჯდომმა, შავებიანმა გამხდარმა ქალმა, — ბედნიერი ქალი ყოფილხარ!.. საბეზე ეტყობა ღვთისნიერი ადამიანობა, სახეზედვე!..

— ვმადლობ უფალს!.. რაც რომ იყოს, ჩვენზე დიდია და ვერც ვიფიქრებდი, თუ ამისთანა რამეს მაღირსებდა ღმერთი!.. — ხმამაღლა თქვა ეკვირინემ.

მათათის ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაუთამაშა სახეზე და ამავე დროს მისკენ მოიწია უკან მჯდარმა გრძელკაბებიანმა, ლოყებჩავარდნილმა ქალმა, რომლის თვალები წინ წამოწეულ წარბებქვეშ მოუსვენრად ტრიალებდნენ. მოიწია და გადმოუჩურჩულა ტუჩების აბზუებით:

— მაგას დოუდგა თვალები!.. უკეთესი არ მიძებნიაო და არ ვიფიქრებდიო!.. ასე ურცხვად!.. მაგას გოუსკდა თავი!.. კაი მაგას დაემართოს, კაი მაგას მოუთრევია!..

— მაინც არაფერი არ უჭირს, ჩემო მანანა! — თქვა ხმადაბლა იქვე მჯდომმა შუა ხნის ქალმა, რომელმაც ყური მოჰკრა მანანას ნათქვამს.

— რითი აქებ, შე ქალო? — მოუბრუნდა ამას მანანა. — თუ საქება რამ აქვს, ამას ჩვენც დავინახავთ მერე და ასე ჩაჩხირვა გამიგონია!.. საქებია! გადმოუდღლაზავს თვალები, ცხვირი ჩემხელაზე გაზდია... და ახლავე გადაამეტა ყველას!.. — გესლიანად წაულაპარაკა მანანამ.

მოსაუბრე ჩაჩუმდა. მან იცოდა ამ ადამიანის შხამიანი ენის ამბავი და გასწყვიტა სიტყვა, რომ უარესები არ ეთქმევინებინა გამოსარჩლების დროს.

სონია იჯდა მორცხვად ამ უცნობ ქალებში, რომელნიც ერთმანეთში ფუჩუნობდნენ, ხმა დაშვებით ლაპარაკობდნენ და რომელთაც საერთო ლაპარაკი როგორც წინათ, არც დღეს ეხერხებოდათ. მხოლოდ ისევ ქველიძის ცოლი თუ რამე ორიოდე სიტყვით მიმართავდა მას და ამაზე ხმას ამოიღებდა, რაზედაც ეკვირინეს გული მოსდიოდა. მისი აზრით, მათათი სცდიდა და განგებ ალაპარაკებდა სონიას, რომ, მორცხვად მყოფს, რამე შეშლოდა და მერე სასაცილოდ აეღოთ იგი. მან ვეღარ მოითმინა და როცა მათათიმ ჰკითხა

სონიას, როგორ მოგწონს სოფელიო, ეკვირინემ აღარ აცალა რძალს ბმის ამოღება და დაასწრო პასუხი:

— რატომ არ მოეწონება, ჩემო ბატონო, სოფელაც მაგისია და ქალაქიც!

— ფშშ! — ისე წაიფრუტუნა მანანამ, რომ ეკვირინეს ადვილად შეეძლო ყურიც მოეკრა.

ამ ქალის საქციელს ადვილად შეეძლო უსიამოვნება გამოეწვია აქ. მათათი წამოდგა.

— აწი სახლში წასვლა სჯობია, ვისაც შორი გზა აქვს! — და გამომშვიდობება დაიწყო. — ნინო, სახლში მივდივართ, შვილო! — მიუბრუნდა ეგი თავის ქალიშვილს, რომელიც იქვე მხიარულად ესაუბრებოდა ქალიშვილებს.

— კი, ბატონო, გიახლებით! — მიუგო ნინომ და თავის მოსაუბრეებს რომ გამოეთხოვა, მერე სონიასთან მივიდა პირგაღიმებული, იმასაც ჩამოართვა ხელი და თავისი სასიამოვნო ხმით უთხრა, მშვიდობით ბრძანდებოდეთო, და დედას გაჰყვა.

სონიამ თვალი გააყოლა.

ეს ყმაწვილი ქალი მართლა და ლამაზი იყო და ამ სილამაზესთან მიმზიდველობაც ახლდა. მან ამ პირველ დანახვისთანავე და უბრალო გაცნობისთანავე მიიზიდა სონიას გული.

ნელ-ნელა სხვებმაც იწყეს წასვლა.

— ჩვენც წავიდეთ, სონია ჩემო! — წამოდგა ეკვირინე. — გლახუა, გლახუა! — იხმო მან შორიახლოს მდგარი გლეხი. — ჩემო გლახუა, ოტია ნახე და უთხარი, სახლში მიდიან-თქვა! ოჰ, ნინო, ნინო. ძოდი, მოდი, შე ქალო! — წამოიძახა ეკვირინემ და ხელი გაუწოდა განზე მდგარ გლეხის დედაკაცს, რომელიც სიყვარულით მისჩერებოდა სოწიას და, ეტყობოდა, ვერ უბედავდა მიახლოებას.

— მოდი, ნინო!.. ეს ჩვენი ნათლიდედაა, სონია ჩემო... ჩვენი კეთილი და მირონი.

სონიამ ხელის ჩამორთმევა მოინდომა, მაგრამ დედაკაცი უცებ დააფრინდა ხელზე და მოწიწებით დაუწყო კოცნა. სონიას შერცხვა და უცბად გამოჰგლიჯა ხელი. დედაკაცი კი, რაც სიტყვა შესწევდა, ხელაპყრობილი ლოცავდა მას და ღმერთს სთხოვდა მათ ბედნიერ შვილიერობასა და გამრავლებას.

ამასობაში ოტიაც მოვიდა და მათ თანამგზავრებთან მხიარული მუსაიფით, გამარჯვებულებივით, ქამუშაძეებმა ჩამოიარეს გზა და სახლში მოვიდნენ.

— სულ შენდა სანახავად იყო გამოსული ამდენი ქალი, რაც

დღეს იქ იყო, სონია ჩემო. თვარა სხომის ამის მესამედსაც ვერ დეინახავ წერვაზე. და მე შენ გეტყვი, ცუდი რამეც ნახეს!.. იფ!.. კი შემოგხედონ და დაგაკვირდნენ, შენ გენაცვალე, ეგებ ჩაცმა მაინც შენით ისწავლონ... თვარა მოიჩანთრებიან, თითქოს ტომრებში იყვნენ გახვეულები!..

ამ ხალხში გართობამ სონიაც სხვანაირ გუნებაზე დააყენა; ამ პირველ ხანში თითქმის სრულიად გადაავიწყა ამასწინათ განცდილი და ნაგრძნობი უსიამოვნება.

მან გამოკითხვა დაუწყო დედამთილს იმათზე, ვინც, ასე თუ ისე, მიიქცია მისი ყურადღება, და ეკვირინე და ოტია დაწვრილებით უამბობდნენ ყველას ამბავს. ეკვირინე ნამეტანს უბზუებდა ტუჩს უმეტესობას; ამგვარადვე მოიქცა, როცა ქველიძის ცოლზე ჩამოვარდა ლაპარაკი. და როცა სონიამ მისი ქალიშვილი სიყვარულით მოიხსენია და აღტაცება გამოთქვა მისი სილამაზის შესახებ, მოხუცებულმა ქალმა ერთი ხელები გადაშალა, ქვედა ტუჩი გადმოუშვა წინ და წაილაპარაკა:

— მარტო სილამაზემ რა გაუკეთა, შვილო? ვის რა შემატა? სილამაზე დაჰკლებოდა და მის პატრონს მისი გასაძღომი ქონებოდა. ის ერჩია, ჩემო სინათლე!

— რატომ, დედა, რატომ? ეტყობათ, კარგად უნდა იყვნენ, კარგად ჩაცმულები არიან დედაც და შვილიც! — წამოიძახა სონიამ.

— ზევიდან გადაცმულს ნუ დოუჯერებ, შვილო! — წაართვა სიტყვა ეკვირინემ. — შენ კიდევ არ იცი ქვეყნიური ამბავი. ვაი, შვილო, ამ ყველ კაბის ქვეშ რამდენი ძონძი აცვია და რა მშიერი კუჭია! შენსავით კი არ არის ყველა. შენ დაგენაცვლე! მაგენიც მასე არიან: სახლში ტიტელები ყრილარიან და გარეთ რომ გამოვლენ, მოგაჩვენებენ თავს, თითქოს რაღაც იყვნენ! ვისი, ვისი, და მაგათი ამბავი კი ვიცით!

სონიას აღარ მოეწონა დედამთილის ასეთი ლაპარაკი; აშკარა იყო, მას რაღაც ჯავრი სჭირდა ქველიძის და ამიტომ ასე აზიზღებდა თავს. მაგრამ ნინომ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, რომ ეკვირინესაგან ნათქვამი საწყენად თუ ურჩებოდა, თორემ დაჯერებით ვერ დააჯერებდა, რომ ეს ნათქვამი მართალი იყო. მას არ უნდოდა ქველიძეებზე ელაპარაკებინა დედამთილი და უცბათ წამოიძახა:

— ის ვინაა, ის, ბატონო? კინაღამ გადავირიე მისი შეხედვით! რა ამბავში ის იყო, რაც ის ცმუტურობდა და რაღაცას გულისობდა!

რა უცნაური რამაა! მეც გადმომიბღვირა ერთი... რა დავუშავე ნეტავი! — სიცილით დაათავა სონიამ მანანაზე სიტყვა.

— სეფე მარუშიძის სიდედრია! — წამოიძახა ეკვირინემ. — იმას კი აქვს საცმუტურებელი საქმე! აზნოუშვილი ვარო, სარს ეხევა და საცოდავი, ორ დღეში ერთხელ თუ გეიკეთებს ცხელ საქმელს. ხანდახან ცივი ჭადიც ენატრება საღირღნელად!

— რავა, ბატონო? — იკითხა გაოცებულმა სონიამ.

— არაფერი აქვთ, შვილო მტერსა და ავს, არაფერი!

სონია ჩაჩუმდა. მისი გული ამ სიტყვების გაგონებაზე უცნაურად მოიკუმშა და ეტკინა. ყოველივე ხალისიანობა უეცრად დაეკარგა.

„ჩვენც რომ არაფერი გვაქვს, მგონი...“ — გაურბინა მას თავში და ამის შიშმა რეტი დაასხა.

— დეიღალე, შვილო, გეტყობა. გირჩევნია მაგ. კაბა გეიხადო, დროზე სადილი ვჭამოთ და მერე ერთი თავისუფლად და გულიანად მოისვენე! — უთხრა ეკვირინემ. — ე, რა ფერმა გადაგკრა... დაღალულობისაა მაგ, შენ გენაცვალე!

და სანამ სონია თავის ოთახში ტანისამოსს გამოიცვლიდა ეკვირინემ ფუსუტიას მომზადებული სადილიც გამოიტანა და სამივენი მიუსხდნენ სუფრას. გოგოც იქვე დასვეს კუთხეში.

VI

ამ დღიდან სონიას ცხოვრებაც გამოიცვალა. ახლა იგი თანდათან ეცნობოდა ქმრის ნათესავებსა და მეზობლებსაც. ზოგიერთნი კიდევაც ჰპატიჟობდნენ და პატივსაცემლად სადილით უმასპინძლდებოდნენ. მასთან ყველანი დიდი მორიდებითა და პატივისცემით იყვნენ. სადაც მიდიოდა, ყველგან მეცადინობდნენ, რაც გაეწყობოდათ, ქალაქურ წესზე გარჯილიყვნენ და მასპინძლობა-ბოდიშებს დასასრული არ ჰქონდა, რადგან თითქმის ყველგან ნამეტანი ხელმოკლეობა და მოუწყობლობა ჩანდა.

— სოფლურად ასე ვიცით... მეტი არ გვეხერხება, რა ვქნათ, რა ვუყოთ! — თითქმის ერთნაირად ესმოდა ყველგან, სადაც კი მისულა სონია. ზოგიერთნი კი მიპატიჟებასაც ვერ ჰბედავდნენ შეუძლებლობის გამო და, სხვადასხვა მიზეზის დასახელებით ეკვირინესთან, მარჯვე დროისთვის სდებდნენ მისი, რძლის პატივისცემას. ერთხელ, ოტიას ბიძის ლევან ქამუშაძის ცოლი, ეფროსინე, პირდაპირ, დაუმალავად მოუყვა სონიას თავის ამბავს:

— ჩვენ ნუ დაგვემდურები, შვილო, ნუ დაგვემდურები, რომ ვერც გპატიჟობთ და უპატიოცემლოდ რომ ხარ ჩვენგან. რითი დაგპატიჟო, შვილო, რანაირად გცე პატივი?.. შენ რომ ჩვენი ამბავი და მდგომარეობა იცოდე, შეგვიცოდებ და შეგვიბრალებ... სირცხვილია, თავის მოჭრაა, შენ გენაცვალე, ამას რომ გეუბნები, მარა რაღაზე დაგიმალო, შვილო, რაობით დეიმალება ჩვენი ამბავი? ამასაც შეევესწარით, ჩემო ანგელოზო, უფალმა ასე მოიღო ჩვენი ამბავი! უფალმა ასე მოიღო ჩვენს თავზე!.. მადლობა უფალს, მადლობა უფალს, მადლობა! — და ამ სიტყვებთან მოხუცებულმა ქალმა ამ შარა გზაში, სადაც იგი შეხვდა სონიას, აღაპყრო ხელები ზეცისაკენ და მისი თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდნენ. — მარა, შენ რომ კაი ქალი ხარ, შესმენილი და გაგებული, ნუ დაგვკარგავ, შენ გენაცვალე, ამ ჩვენი გაჭირვებულობისათვის... შენ მაინც დაადგი შენი ბედნიერი ფეხი შენი ბიძიას ქოხში... ნახე გაჭირვებული, გაახარე, დაგლოცავს, დაგიმადლებს... საწყალი ვეღარსად მიდი-მოდის... რცხვენია ქვეყნის, ასე საწყლად და უბედურად რომ ჩავარდა... სახლის გარეთ ვეღარავის ეჩვენება...

სონიას გული აუჩვილა ამ უცნაური ქალის ნაამბობმა. თვითონ ეს დედაკაცი, სახეგამხდარი, დახეულ კაბაში და დახეულ ბაშმაკებით, შესაბრალისი და საცოდავი რამ იყო. სონიამ სიტყვა მისცა, უსათუოდ მოვალო და ვნახავ ბიძასო. როცა სონიამ დედამთილს უამბო ამ შეხვედრაზე და უთხრა, რომ მისელას შეპირდა, ეკვირინეს არ ეამა ეს. რაც შეეძლო, სონიას არიდებდა ქმრის გაჭირვებულ ნათესაობას და ეფროსინესთან მით უფრო საჭირო იყო, მისი ფიქრით, შორს თავის დაჭერა.

— მისვლა კი არა!.. წაილაპარაკა მან. — რა შენი საქმეა იმასთან ახლოს გაკარებაც კი!..

— რატომ, დედა? — გაუკვირდა სონიას.

— რატომ და.... რა ვაცი, შვილო, არაფერი შეგამთხვიოს!.. ჰმ!..

— რა უნდა შემამთხვიოს?.. — ეოცა სონიას მისი სიტყვები.

— ვინ იცის, შენ გენაცვალე... ცუდი სახელი აქვს ი უბედურს!..

— რა სახელი, დედა, ა?.. რა სახელი? — ჰკითხა სონიამ დედამთილს.

— მკითხავია და ამასთან უცნაურ რამე უბედურ საქმეებს აბრალებენ... ვითომ კუდიანიც კი იყოს... ათასი ცოდვა აწევს კისერზე მაგ უბედურს... ეგებ ტყვეილიც იყოს ყველაფერი ეს, მარა ათასი რამე დაბრალებია და რა ვიცი, შვილო... ამიტომ გითხარი, ჯობია, რომ ერიდო მაგასთან დაახლოებას...

სონიას მეტად აკვირვებდა დედამთილის ეს სიტყვები. რა უნდა შესძლებოდა ამ გაფშიკებულ, მოტირალ, ერთი მუჭა დედაკაცს? დედამთილის ნათქვამმა გადააწყვეტინა უსათუოდ მისულიყო ლევანისას და უფრო ახლოს დაენახა ეს საკვირველი ქალიც, მისი ქმარიც და ოჯახიც...

სონიამ არ გაუმხილა ეკვირინეს, ისე გასწია შეორე დღესვე ბიქასთან.

ჩაადგა სონიამ ფეხი თუ არა ეზოში, ეფროსინემაც, სახლის წინ გადმოხურულში რომ იჯდა, დაინახა იგი, წამოვარდა, გაიბერტყა კაბა მტვერისაგან და თავსაფრის სწორებით, მომღიმარი სახით შეეგება სტუმარს.

— ვუი, შენ კი გენაცვალე!.. შენი ჭირიმე, შენი, ჩემო ანგელოზო! — მოეხვია ეფროსინე სონიას და გადაკოცნა.—მობძანდი, შენი ჭირიმუ... მობძანდი, ჩემო თვალის სინათლევ, ჩემო!.. კი არ მუგონა, თუ აასრულებდი შენს სიტყვას! — რაღაც გულდაწყვეტით თქვა მან.

— რატომ არა, ბიცოლა? რატომ იფიქრეთ, რატომ არ ავასრულებდი?..

— შენ კი გენაცვალა შენი ბიცოლა!.. შენ სხვა ქალი ხარ, სხვა ქალი ხარ, ჩემო მალხაზო! — ეხვეოდა მოხუცებული ქალი სონიას.

— ბიძია სახლში ბრძანდება? — იკითხა სონიამ.

— კი, შვილო... სახლშია, სახლშია, ჩემო მტრედო! — მტირალი ხმით მიუგო ეფროსინემ.

ამ ლაპარაკში ესინი მივიდნენ სახლთანაც, რომელიც უფრო ქოხს ჰგავდა. სახლის წინ მისავალი ისლით იყო გადახურული და დანარჩენი კი ყავრით; ყავარი მეტად გაშავებულიყო სიძველისაგან და ადგილ-ადგილ ჩამტვრეულიც იყო.

— როგორ უნდა მიგიღო აქ, ჩემო სინათლევ... სად უნდა დაგაჯინო, სად უნდა დაგაბძანო, შენს სულს ვენაცვალე! ისევ აქ ჯობია, ჩემო ბატონო! შიგნით სახლში ვერ შეგაკრებ შეყვანას, ვერა, შვილო, ვერა, შენ გენაცვალე! — და აწრიალებულმა ეფროსინემ მისწია იქით სიმინდის ფუჩეჩი, ერთი კალათა სიმინდიც, რომლის რჩევაში ის იყო სონიამ მოუსწრო, მონახა დაბალი სამფეხა ხის დასაჯდომი და სტუმარს მიართვა.

სონია დაჯდა. ეფროსინე შევიდა სახლში და კარი მოიგდო, ასე რომ სონიამ ვეღარ მოასწრო შიგ შეეხედნა და დაენახა იქაურობა. მან მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ამ ქოხის მეტი ეზოში არაფერი არ ჩანდა, სასიმინდეც კი არსად იყო. სახლის ზემოთ შემხმარი სიმინ-

დი იყო, ჩალა ულონო, დაბალი. იქედან ჰქონდა ეფროსინეს მოტანილი ეს სიმინდი, რომელსაც ის იყო არჩევდა.

ცოტა ხნის შემდეგ ეფროსინე ისევ გამოვიდა სტუმართან და მას გამოჰყვა მაღალი ტანის, ცოტათი ბეჭებში მოხრილი მოხუცებული. ახალუხზე ყვითელი თასმის ქამარი ერტყა და ზემოდან გაშლილი, რამდენსამე ადგილას დაკერებული ჩოხა ეცვა; ახალუხის შეხსნილ საყელოდან უჩანდა ჭუჭყისაგან ძალზე გაშავებული პერანგი. მოხუცებულს მეტად სასიამოვნო პირისახე ჰქონდა, ახალგაზრდობაში ლამაზი კაცი უნდა ყოფილიყო. ეს იყო ლევან ქამუშაძე, ოტიას უფროსი ბიძა.

მან, შეშინებული კაცივით, გადმოაბიჯა ზღურბლზე, გაუბედავად მივიდა წამომდგარ სტუმართან, უნახავ რძალთან, და ხელი ჩამოართვა; მერე თვალებზე გადაისვა მარჯვენა ხელი, მიიხედ-მოიხედა და უცბად წამოიძახა, თითქოს მხოლოდ ახლა მოვიდა გონსაო:

— დაბრძანდით... დაბრძანდით, ბატონო! — და ისევ მიყუჩდა.

ეფროსინე მისჩერებოდა ქმარს თვალებაცრემლებული.

სონია დაჯდა. ცოლის სიტყვაზე ჩამოჯდა ლევანიც.

— შენი რძალია, ლევან... შენ რომ ნატრულობდი!.. — შემაღლებული ხმით მიმართა ეფროსინემ.

— ვიცი!.. — წყნარად ჩაილაპარაკა ლევანმა.

— შენ რომ ნატრულობდი მაგის შეხედვას... ა, თვითონ მოვიდა ახლა შენს სანახავად!..

— ღმერთმა ყოველი სიხარული და სიკეთე ანახოს... ღმერთმა, ღმერთმა! — ხელები აღაპყრო მოხუცებულმა; მერე ისევ ჩაჩუმდა და გაბნეულად დაუწყო მზერა ხან ცოლს, ხან სონიას და ხმას აღარ იღებდა.

თვალცრემლიანი, მიწაზე მორთხმული ეფროსინე მისჩერებოდა ქმარს და თავსაფრის ყურით ცრემლებს იწმენდდა.

— ასეა, შენ გენაცვალე, სულ ასეა... დილიდან მოკიდებული საღამომდინ. ღამეც ერთს წეიძინებს და მერე ისევ ნათლად უნდა გაათენოს. — ათრთოლებული ხმით უთხრა სონიას და მერე მიუბრუნდა ქმარს: — ხომ გაგეხარდა, ლევან, ამის შეხედვა? ხოვ გესიამოვნა?

— ჰმ!.. — გააქნია მან თავი ღიმილით. — ჰმ!.. — და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა: — უკაცრავად ვარ, ბატონო მე უნდა მენახეთ... მომელოცნა, მარა... — და მან მხრები აიშმუშნა, წარბები ზევით ასწია, მარჯვენა ხელი გაშალა და ისევ ჩაჩუმდა.

ეფროსინემ ისევ ცრემლები მოიწმინდა.

— აღარ არის, აღარ არის კაცი, შენ დაგენაცვლე! რა კაცი, რომ გენახა! — ხმა დაშვებით დაიწყო ეფროსინემ, რომელსაც თვალები მიაშტერა ლევანმა. — გაჭირვებამ ფიქრში ჩააგდო, სირცხვილმა, ყველასთან დარცხვენილად რომ გრძნობს თავისთავს, გული მოუხარჩა და რავარც ეხლა ხედავ, ასე მოაქცია. ბევრი ვებრძოლეთ სიღარიბეს, ბევრი ვითმინეთ, ბევრი ვიმაცადინეთ, მარა მაინც არაფერი გაგვეწყო... რაც დრო გადიოდა, უარესი და უარესი ამბები მოდიოდა ჩვენს თავზე... უმაცადინო კაცი არ ყოფილა, შენ გენაცვალე, მაგ საწყალი, მეც ცოტ-ცოტა შორიდან შემომდიოდა ხან ფულით, ხან ქათამი, კვერცხი, ღვინო, პური წამლის ფასად და სამკითხაოში... მეც ვუწყობდი ამით ოჯახს ხელს... მარა ოჯახს ბევრი რამ სჭირია; ქალიშვილები გვყავდა დასათხოვრები, ცოდვა აღარ მოვიკიდეთ, თავთავისი ბედი ყველას მივუჩინეთ ჩვენს წესზე და რიგზე... ვიგინდარას, შენი ჭირი შემეყარა, ვერ ჩავუგდეთ შვილი... ამას ბევრი მოუნდა... ვფიქრობდით, მერე რამეს ვიშოვიდით, მარა კი ვეღარაფერი ვიშოვეთ... საშოვარიც რომ აღარ არის, რა უნდა გვეშოვა! შვილები ჯავრით კინაღამ გადაგვერიენ, დაჰკრეს ხელი და ერთი აქეთ გადავარდა, მეორე იქით, ვითომ სოფლის გადაღმა, ეგებ ეშოვათ რამე, სახლში რომ აღარაფერი ეგულებოდათ... სად არიან, ჩვენთვის გოუგებელი შეიქნა!.. მოვალეებმა რომ შეგვაწუხეს, ცოტა რიგიანი სახლი გვედგა, ის გავყიდეთ, მოვალეები ცოტაზე შეეაწყნარეთ ვითომ და ჩვენ ამ ქოხში შევიხიზნეთ დროებით, ჩვენის ფიქრით; მარა ამაში უნდა დავლიოთ ჩვენი წუთისოფელი, ცხადია. ა, შვილო, შეიხედე, რა საცოდავად ვყრივართ! ჩვენთვის არც სახურავია, არც საფარავი... თითქოს გარეთ ვეყაროთ... შენ შესმენილი ოჯახის შვილი რო ხარ, შვილო, შენი ბედნიერი თვალით რომ ამ ჩვენს ამბავს შეხედავ, შენ მაინც ხანდახან შეგვიცოდებ და შეგვიბრალებ, თვარა უიმედოდ ვართ, შვილო, უიმედოდ! ქალიშვილებია და, ვერც ერთი გასახარებელ ცხოვრებას ვერ ეღირსა, იმათგან რა შემწეობას და ხელისწყობას უნდა მოველოდე! ვაჟიშვილები იყვნენ და, ორივემ ასე მოგვიძულა, რომ მშობელს კი არა, ძაღლს არ მოიძულებენ, შენ გენაცვალე, ასე ძაღლს არ მოიძულებენ!

ლევანი უკმაყოფილების ნიშნად ამაზე შეიშმუშნა და წყენის გამოსათქმელად წამოიძახა: „ჰმ! ჰმ!“

— ეგებ არც იმათ ჰქონდეთ რამე, ბიცოლა? — თქვა სონიამ.

— რა ვიცი, შვილო! აბა რითი ირჩენს თავს, ასე ცოლშვილიანად რომ გადავარდა ჯერ უფროსი და მერე უმცროსიც?! ასე ამ-

ბის უკითხავად!.. ჩვენ რომ გვიყურო, ამას იტყვი, კაცისმკვლელს უნდა შეეცოდოსო, და შვილმა მიგვიეიწყოს?! ა, ვარჩევ გამხმარ სიმინდს ყანაში თითო ტაროობით და მომაქვს, დავკაკლავ და ეგება ვინმემ სამოწყალოდ წამიღოს ეს ერთი კალათა წისქვილში დასაფქვავად. მრცხვენია, თავი მოვაწყენე ყველას დაფქულის თხოვით... ჩვენთვის, შვილო, არც საქმელი, არც სასმელი, არც წყალი, არც შეშა... ცხელ საქმადს ეგებ ორ-სამ დღეში ერთხელ ვეღირსოთ, თუ არა და ცივ ჭადზე ვაგდივართ, ჩემო შვილო! — და ეფროსინემ ისევ ტირილი დაიწყო.

ლევანი გაყუჩებული იჯდა. ახლა მას თითქოს არაფერი ესმოდა ეფროსინეს ლაპარაკიდან, ისე გულგრილად იმზირებოდა წინ.

სონია, გარეტებული იმით, რაც გაიგონა და რასაც თავის თვალით ხედავდა, ძლივს იმაგრებდა ცრემლებს. ამ სურათმა გული მოუკლა. ძლივს მოახერხა პასუხი მიეცა ეფროსინესათვის, როცა მან ისევ თავისი თავი შეაბრალა და სთხოვა, ხანდახან ესახელა საცოდავი ბიძა.

— ეგებ შენთან მაინც ამოიღოს ხმა... ეგებ შენი შეხედვით გონს მაინც მოვიდეს, თვარა ეს უბედური ასე დავარდა, ასე დაეცა! ჯავრობს, დარდობს, რატომ მოვეწარი ამ დღესაო. ფიქრობს რაღაცას, თავის თავს რაღაცას ელაპარაკება... რა ვქნათ, ალბათ, ასეთი ბედი გვქონებია უფლისაგან. ჯავრით და დარდით კაცი თუ სულ წდება, თვარა რა საშველი ეძლევა, ჩემო გვრიტო!.. ველაპარაკები ამას, ვითომ ვამხნევებ, მაგრამ ვერაფერი ვერ შევასმინე... ამ ბოლო დროს ისე მოიქცა, რომ არ უნდა კაცს შეახედვინოს თავის თავზე... რა ვუყო, რა მოვახერხო, ჩემო სინათლევ!.. მაგის მაბერალი მეც ვტირი და ვქვივი... აბა რა ვქნა, რა შავ წყალში გადავარდე! ღმერთო, რა დაგიშავეთ ამისთანა! ვაიმე, ვაიმე, ვაიმე!

და მოხუცებულმა ქალმა ისევ ტირილი დაიწყო. ლევანი ისევ მიაჩერდა მტირალს, წამოდგა, მიბრუნდა, ორი ნაბიჯი გადადგა სახლში შესასვლელად, მაგრამ თითქოს რაღაც გაახსენდაო, უცებ შკან დაბრუნდა და ისევ დაჯდა თავის ადგილზე.

სონიამ ვეღარ გაუძლო ამათ ყურებას. გულამღვრეული, სასოწარკვეთილებით წამოდგა წასასვლელად.

— მიბძანდები? — ჰკითხა ლევანმა.

— უნდა გიახლოთ, — მიუგო ათრთოლებული ხმით სონიამ.

— მადლობელი ვარ, მადლობელი ვარ! ღმერთმა ბედნიერად გამყოფოს, ბიძიკო! ღმერთმა ყოველივე მწუხარება გაშოროს! მადლობელი ვარ ნახვისათვის! — მოხუცებული თითქოს გამოფხიზლ-

დაო, რამდენზედმე კიდევაც გაჰყვა მიმავალ სონიას, მერე ერთი შედგა, უცებ მოტრიალდა, გაბრუნდა სახლისაკენ, წავიდა აჩქარებული ნაბიჯით, შეავიდა შიგ და კარებიდან დაუწყო მზერა სონიასა და ეფროსინეს.

გულმოხარშული მიბრუნდა შინ სონია. ეკვირინეს არ გამოპარვია, თუ რა გუნებაზე დაეყენებია მაზლთან ყოფნას მისი რძალი.

— გთხარი, შვილო, ნუ მიხვალ-თქვა... აბა რა კარგს ნახავდი!

— რა ვნახე, რას ვუყურე, შენ გენაცვალე, რა ამბავია! — იძახოდა გულდათუთქული სონია. — რა მდგომარეობაში ჩოუგდია გაჭირვებას საცოდავები! ვაი, ვაი გაჭირვებული კაცის ბრალი! ღმერთო, რა მოგველის!

— ჰმ, გაჭირვება კი არა! — წამოიძახა ეკვირინემ. — კაცს, შვილო, შენი თავით მოგივა ყველაფერი ბედნიერებაც და უბედურებაც. თავიდანვე უწმინდურობაში და ღმერთ-გამწყრალობაში რომ გეეხვევი, კარგს რაღას უნდა მოელოდე ბოლოში!.. ახლა ტირის მაგ შავდღეზე გაჩენილი თავის საქმეს? აქამდისინ სად იყო? ყველაფერი, რაც მოუვიდა, მისივე ბრალია. თუ ჩემი პატივისცემა გაქვს, შვილო, შორს დეიკავე მასთან თავი. შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, გამოუცდელი, და რაცხა არ მომიწიოს შენს თავს...

სონიას გულში მეტისმეტი სიბრალული იყო აღძრული ეფროსინესადმი და ამის გამო ეკვირინეს გაფრთხილებაზე უკმაყოფილებით და თან შეცოდებით წამოიძახა:

— რა უნდა მომწიოს იმ საბრალომ და საცოდავმა, რას ბძანებთ მაგას, დედა?!

დედაკაცმა, რომელიც მუშად ჰყავდა მოყვანილი ეკვირინეს და კეტის რტყმევით ლობიოს ფშვნიდა გამხმარი ჩენჩიდან, ჩაიცინა და თავი გააქნია.

— სალომე, სალომე! — დაუძახა ეკვირინემ. — ტყუილს ვამბობ, ჩემო სალომე, ტყუილს? არაფერი გაგიგონია შენ ეფროსინეზე?

დედაკაცმა კეტი დასდვა.

— თქვენზე მეტს მე რას გევიგონებდი, ჩემო ბატონო! — მანჭვით წაილაპარაკა მან.

— რავა არ გაგეგონება, შე ქალო? ქვეყანას მოდებული აქვს მაგის ამბავი და ნამოქმედარი! დასამალავი რაღაა!.. ქმრის ასე მოქცევას, ახლა რომ იგია, ეფროსინესვე აბრალებენ... ერთხელ სულწასაწყმედ გზას რომ დაადგა, კი აღარავის ზოგავს... თავისიც და გარეშეც, ყველა შეწუხებული ჰყავს თურმე... თვარა რა უჭირდა საწყალ ლევანს?! კაცური კაცი იყო, მარა მაგან აღარ გეიტანა, გული ამოაჭამა, გონება დოუბნია... კაცი დასანახავად შეიძულა. ყმად

გეიხადა, რასაც უბრძანებს, ის არის, ის საწყალი!.. შვილები, ერთი ცოლშვილიანი, ვინ იცის, საით გადააგდო, რომ თავისუფლად ყოფილიყო შინ... ყველაფერი თავის კუდიანობით ნაქნარი და ნამოქმედარი აქვს!

სონია გაშტერებული მიაჩერდა დედამთილს, სალომემ მიატოვა მუშაობა და ეკვირინესთან გაება ლაპარაკში.

— ასე მოგახსენებენ, თურმე გული რომ მოუვა ქმარზედო, ფთებს გამოასხამსო და სახლის სახურავზე შეაფრენსო. ჰყავს იქ დაუუყული, სანამ გულს არ მოიჯერებსო და ატირებული კაცი თავს არ შეაბრალებს და ისევ არ დოუთქვამს ყველაფერში მორჩილად ყოფნას... იღლიებში ამოუსვამს თურმე, რაღაც წამალი აქვსო... საწყალს თურმე ამისი ეშინია და ხმის ამოღებას ვეღარ ბედავსო, რამე არ ეწყინოსო.

— კი, კი, იმიტომ აქვს ისე ჩათელილი და მიწეულ-მოწეული სახურავის ყავარი!

— გუშინწინ ეყურებინა თურმე კიკოლას გოგოს, სურბულის რომ უძახიან, კინაღამ გადარეულიყო თურმე შიშისაგან! — საიდუმლოებით თქვა დედაკაცმა.

— მართალიც იქნება! — დაატანა ეკვირინემ. — იმიტომაც იქნებოდა ისე წყნარად და ხმის ამოღებაც ვერ გაუბედნია დღეს! მაგ რომ მართალი სულიერი იყვეს, ფარსადანა ტაბიძემ რომ შემოუთვალა, ლევანს მოვარჩენო, თუ შენ წინაალმდეგი არ გამიხდებიო და მკითხობას თავს დაანებებო, რატომ უარით გეისტუმრა ის კაცი? რატომ?

— სხვების მეშინიაო... იმწამსვე მომკლავენო, შეეთვალა, თვარა თქვენ უკეთ მოგეხსენებათ.

— კი, კი, სწორედ მასე შოუთვლია! — დაბეჯითა ეკვირინემ.— ეგ თუ გინდ ყველაფერი თავისთავზედაა, მარა ომანს რას უპირებს, ჩემს მაზლს, მაგ სულწაწყმედილი?! ომანს რას უპირებს? თუ იმ საწყალ ბავშვს რამე დაემართა, ცოცხალი რავა გადურჩება, — ხომ იცი. რა მხეცია ის ვაჟბატონი, ჩემი მაზლი!

— მაგისგანაა, ვითომ, ქალბატონო, ის შენი მაზლისწული დასნეულებული?

— ეშმაკებმა იცის მაგათი თავი! ხომ იცი, მე მაგათ არ ვეკარები, მაგას კი აბრალებენ თურმე და პირში ეუბნებიან, ვითომ ეგებ ამით მაინც ააშვებინონ; მარა ვითომც არაფერი, დეიწყებს ტირილს, წამოყრის ცრემლებს, ააშვერს ხელებს და იწყეველება: ვინც ჩემს გაჭირვებასთან ყოველ უბედურებას მიგონებდესო, იმას ღმერთმა

ასე და ასე გაჭირვებაც მიაყენოსო, გამწარებაცო, და... ვის გაახსენდება მისი ენის გამონათქვამი! ამით უფრო ახელებს მომდურავებს, ბავშვიც დღე-დღეზე თუ უარესად ხდება, თვარა გამობრუნებაში არ უდგა ფეხი.

— და მაგისაგანაა კი ნამდვილად, ქალბატონო? — ისევ გაიმეორა კითხვა დედაკაცმა.

— უსათუოდ! — მიუგო ეკვირინემ. — აბა რაღა მაგას დააბრალებდნენ?! სანამ მაგათ ლაპარაკი ჩამოუვარდებოდათ და რაღაც სამდურავი ერთმანეთში, ბავშვი კარგად იყო და რომ წეიჩხუბნენ, მეორე დღესვე გახდა ის ბავშვი ავად და მას აქეთია წვალობს, აღარც მორჩა, აღარც მოკვდა! მაგას აბრალებენ, ბავშვზე იყრის გულის ჯავრსო, ასე ამბობენ, და მართალია თუ ტყვილი, იმათ სულზე იყვეს, ვინც აბეჯითებდეს! რაც რომ იყვეს, მაინც მოსარიდალია ამგვარი ადამიანი, ჩემო სალომე!

— კი, ბატონო, კი, შენი ჭირიმე! რავა არაა მოსარიდალი?! ვინაა, ჩემო ქალბატონო, თავის მტერი? — მიუგო სალომემ და ერთი მძიმედ ამოიოხრა.

სონია გაფაციცებით ყურს უგდებდა ამ უცნაურ ლაპარაკს, მაგრამ თანვე მისი გული საოცრად ტოკავდა; ამათი ნათქვამი საშინლად სტანჯავდა და ეს ეკვირინემ მხოლოდ ბოლოს შეატყო მას გაფითრებულ სახეზე. ეკვირინემ შესწყვიტა სიტყვა და სალომეს მიაქცია:

— კაია, კაი! თავი დაანებე მაგათზე ლაპარაკს, სალომე! კმარა, ფუი ეშმაკს! მაგ ლობიოს დოუშინე შენ მაგ ჯოხი, ის აჯობებს, მარა ლობიო არ გააბნიო, ასაბოჭი გაგვიხდება მერე, თუ ნამეტანი მიაბნიე-მოაბნიე იქით-აქეთ!

დედაკაცმაც, ეკვირინეს მაგივრად, სამჯერ გააფურთხა განზე და ისევ დაურთო კეტი ლობიოს ხმელ პარკებს, ისე რომ ყოველ მხრივ მიხტოდნენ გამსკდარი პარკებიდან ლობიოს მარცვლები.

სონიაც წამოდგა ღონემიხდილი, მოქანცული, შევიდა ოთახში და სასოწარკვეთილებით ამოსკდა გულიდან:

— ღმერთო, ღმერთო ჩემო! სად ჩამოვვარდი?.. სადა ვარ? ღმერთო! — მორეულმა ცრემლებმა მეტი აღარ აცალეს; აქვითინებულმა ბალიშებში ჩარგო თავი და ნანახით, ნასმენით და გულზე შემოწოლილი წუხილით გაბრუებულს ლახვარივით ესობოდა, თითქოს მას ურტყამდნენ ლობიოს მრჩეველ დედაკაცის კეტს, ბრაგუნი რომ ესმოდა, და ეკვირინესაგან დროგამოშვებით შეძახება: „ლობიო არ დამიბნიო, ლობიო არ დამიბნიო, სალომე!“

VII

ამგვარი სურათებისა და ამბების ყურება სონიას ახლა თავის-თავზე უფრო და უფრო ძალაუნებურად აკვირვებდა, თავის მდგომარეობაზე ანიშნებდა. ყველასაგან და ყოველი მხრიდან მხოლოდ გაჭირვებულ და შეიწროებულ ცხოვრებაზე ჩივილი რომ ესმოდა, იგიც შიშში ჩავარდა — ვაი თუ მეც ამათთანავე და ამგვარსავე მდგომარეობაში ვიყვეო და მხოლოდ ვერ ვამჩნევდეო. ეს შიში მით უფრო იპყრობდა, რომ რასაც ჯერ ხედავდა ამ ახალ ოჯახში, საიმედოს არაფერს უქადიდა მომავლისათვის, ვერაფერ ბედნიერებას იგემებდა მასზე მოიმედედ დამყარებული ადამიანი.

— ნეთუ მეც გაწვალებული და გამწარებული ცხოვრება მომელის?! — გაურბენდა დროგამოშვებით ყმაწვილ ქალს ფიქრი და მაშინ აუტანელი მოუსვენრობა და გულისწუხილი ერეოდა და ერთიმეორეზე უფრო უნუგეშო სურათები თვალწინ ეხატებოდა.

მაგრამ კარზე მომდგარმა შემოდგომამ, ცოტა არ იყოს, გადაავიწყა ყოველივე ეს მოსეული დარდები და ფიქრები. მთელი სოფელი აფუსფუსებული იყო; ყველგან სიმინდის ტეხა, მისი ზიდვა, ვენახის კრეფა. ყოველი მხრიდან მოისმოდა ურმის ჭრიალი და ხარების გასამხნევებლად მეურმეების შეძახილი. დილა ადრიანაც მოკიდებული შუალამემდის, მეტადრე მთვარიანში, განუწყვეტლივ იდგა ჰაერში ეს ხმაურობა, ჭრიჭინი ურმებისა და მუშების მხიარული ძახილი.

ამ საერთო მუშაობაში არც სონია დარჩენილა უსაქმოდ. იგიც გაიტაცა საზოგადო მოძრაობამ და უკან არ რჩებოდა არც დედამთილსა და არც ქმარს არავითარ მუშაობაში. თუმცა ეკვირინე თავს იკლავდა, რომ სიმინდის რჩევით ხელებს გაიფუჭებო, მაგრამ სონია მაინც არ იშლიდა, რჩევას არ ერიდებოდა და ქმარს ეხმარებოდა ურმით მოტანილ სიმინდიანი ძარის გადაგორებაში, ზიდავდა ვენახიდან ყურძენს კალათებით საწნახლამდის, რომელიც უფრო როფს ჰგავდა. ხანდახან ჩაფით ტკბილიც მიჰქონდა ჭურში ჩასასხმელად.

საწნახელში ჩამდგარი ოტია ღიმილით მისჩერებოდა ამ დროს ცოლს და მეტად უხაროდა.

— აკი გეუბნებოდი, შვილო, რომ ყველაფერში მალე გეეჩვევა-თქვა! ხომ ხედავ: ოქრო, ოქრო, ოქრო, მაგას ვენაცვალე! — აღტაცებით იძახოდა ეკვირინე და, ყურძნის მარცვლებით რომ ითელიდა გამოწურული ტკბილის რაოდენობას, თან უმატებდა თითოეროლა მარცვალს, რომ ბოლოს უფრო მეტი ეჩვენებინა რძლისათვის და ამით მისი გული გაემხიარულებინა.

— ძვირფასი რამ ქალია, შვილო! ძვირფასი!

— ეგ აგრეა, დედა, მარა სირცხვილში ვართ მაინც! — თქვა ოტიამ.

— რა სირცხვილში, შვილო?

— ნამეტანი ხელმოკლედ ვართ და...

— ჰმ!.. — წამოიძახა ეკვირინემ.

— ჩვენ შეჩვეული რომ ვართ ამ ხელმოკლეობაში ცხოვრებას, ჩვენ გვიჭირს და ეწუხვართ, მაგას კი... რაღა ლაპარაკი უნდა...

— სუ, სუ! — შეუტია ეკვირინემ, — სუ! აბა რაღას მოგყვებოდა, თუ შენთან მაგანაც ყველაფერი გაჭირვება და დალხინება ერთად არ გეიზიარა?! არა, შვილო, მაგაზე ფიქრს ნუ ჩეიგდებ გულში. თვარა ვინ იცის, სად არ წაგიყვანს, რას არ გაფიქრებიებს!.. სხვებს არც ჩვენოდენი აქვთ, მარა კი არიან დაწყნარებულად და დამშვიდებულად!.. შენ ნუ დეიწყებ მაგისთანებზე დარდობას ღა მაგ თავისთავად ყველაფერს შეეჩიგდება და შეიფერებს!

ოტიამ აღარა თქვა რა, გაჩუმდა, მხოლოდ თავი გაიქნია და მოჰყვა გულმოდგინედ ყურძნის ჭნეხვას. სონიაც დაბრუნდა ჩაფით ჭურის თავიდან.

აშკარა იყო, რომ ოტიას გულში რაღაც ხდებოდა, რომ მასში აღბრული იყო რაღაც ახალი აზრი, რომლის გამოთქმა სრულიად ვერ მოახერხა დედასთან, რომლის გაელენის ქვეშ მყოფი ოტიაც კი წინანდებურად ეღარ გრძნობდა თავის თავს, წინანდებურად მოსვენებით აღარ იყო, თუმცა ამისი შემჩნევა მასში არც ისე ადვილი იყო. და ეს მაწუხებელი ფიქრი იყო სწორედ ის ხელმოკლეობა და გაჭირვებაში ცხოვრება, რომელიც ახლა ამ ქალის ცოლად მოყვანის შემდეგ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა მისთვის დღითი-დღე ღა რაც ათასგვარ ფიქრებს ახვევდა თავზე და აქამდის უცნობ დარღებს ჰგვრიდა. მისმა სინდისიერებამ რომ დააკვირვა ცოლის მდგომარეობაზე თავის ოჯახში, ამ ოჯახის ამბავი სულ სხვანაირად მოაჩვენა, დაანახვა და, თითქოს ბრმად ყოფილს, თვალები აეხილა. ამან ათქმევინა დედასთან ის სიტყვაც, რაც ასე ეწყინა ეკვირინეს. ამ თვალთა ახილვას, ეკვირინესი არ იყოს, ვინ იცის, სად არ მიჰყავდა იგი და რა აზრებს არ უღვიძებდა, რომ გზა ეპოვნა თავისი ხელმოკლეობის და გაჭირვებული ცხოვრების, სულ თუ არა, ცოტათი მაინც გამოსაბრუნებლად.

ასე თვალი რომ აეხილა და ეს ფიქრი რომ დაებადა გულში, სწორედ იმ წამიდან რაღაც დამნაშავედ ჩასთვალა თავისი თავი ცოლის წინაშე და მოვალედ გრძნობდა თავის თავს, საქმე გამოეკეთებინა და ამ მოტყუებული ადამიანის წინაშე მაინც რამოდენადმე

პირნათლად გამოსულიყო. ოტიას რცხვენოდა ცოლის, მეტად მორიდებით იყო მასთან და მუდამ რაღაც საქმიანობაში, მუშაობაში იყო.

წლის მონაწევმა ვერაფრად გაახარა მისი ცოლი. ახლა ოტიასთვისაც ცხადი იყო, რომ ბევრის არაფრის მქონებელი იყო. იგიც იმგვარადვე ჩაფიქრებული შეიქნა, როგორც მისი ყმაწვილი ცოლი, რომელიც გაფაციცებით თვალს ადევნებდა ყველაფერს, რაც წლის სარჩოდ შემოდიოდა, რომელიც ყველაფერს მეტის დაკვირვებით სინჯავდა და რომლის გული ამ დაკვირვებამ ვერ გაამხნევა და ვერ შეამაგრა, მხოლოდ უფრო დაამწუხარა და ააშფოთა.

როცა ორივე ცოლ-ქმრის გულში ერთნაირივე ცეცხლი ტრიალებდა უჩინარად, ეკვირინე თავისებურად ისევ გულგამხნევებულად, ისევ უდარდელად და მხიარულად იყო.

— მადლობა უფალს... მადლობა უფალს!.. მართალია, შარშანდელზე ნაკლები მოსავალი მოგვცა, მაინც არაფერია, სამდურავი მაინც არ ითქმის! გაისათ ორი ამდენი მოვა! — აიმედებდა იგი რძალს.

მაგრამ ამის ნაცვლად სონიას გულს უფრო მწუხარებას უმატებდა იგი. ამნაირი ლაპარაკი გაუტეხლობას ჰგავდა, თითქმის დაუდევრობას ნიშნავდა და ამით მხოლოდ თავს აბეზრებდა მოხუცებული დედამთილი ახალგაზრდა ქალს. ყოველ სიტყვაზე წამოძახილი „ღმერთი მოგვცემს“-ო, მისი გულმხიარულება და ხალისიანობა, რომელსაც ეს მოხუცებული ქალი არა ჰკარგავდა ამ სისაწყლეში და ღარიბულ ცხოვრებაში, გულს უსერავდა ყმაწვილ ქალს და თითქმის აძულებდა მის თავს. ეკვირინეს კმაყოფილება სონიასათვის გაუგებარი რამ იყო, მას ვერ წარმოედგინა, თუ ადამიანს შეეძლო ასე გულმხიარულად ყოფნა იმ მდგომარეობაში, რომელშიაც მათი ოჯახი იყო. და ამ ხალისიანი, კმაყოფილი და თავმომწონე დედამთილის ყურება აჯავრებდა, უსიამოვნებას ჰმატებდა და გულს უკლავდა. გულის დასამშვიდებლად და დასაწყნარებლად სონია მირბოდა ოჯახიდან ქვეყნიერებისას, სადაც ეპოვა მეგობარი, რომლის სიახლოვეს ავიწყდებოდა თავისი ოჯახიც, გულშემაწუხებელი დედამთილიც და ყოველივე უსიამოვნობაც. ნინო შეიქნა მისი მფარველი ანგელოზი იმ დღიდან, როცა მას დაუახლოვდა. ნინოსთან მეგობრობა უადვილებდა მისთვის მძიმედ ასატან ცხოვრებას ქმრის ოჯახში. ამასთან ახალგაზრდა ქალი სარდიონის ოჯახში ისევ კეთილშობილად გრძნობდა თავის თავს, ისევ დაწინაურებულად, რაც გადაშეტებით შელახული ჰქონდა თავის საკუთარ სახლში.

ეს ოჯახი, რომელიც ასე საყვარელი შეიქნა სონიასათვის, ერთ

დღეს მართლადაც კარგი ოჯახი იყო. სარდიონ ქველიძე თავის კუთ-ხეში რიგიან აზნაურებში ითვლებოდა ქონებითაც და დარბაისლო-ბითაც; თავმომწონე აზნაურთაგანი იყო; და სწორედ ეს უკანას-კნელი თვისება შეიქნა მიზეზი მისი კეთილდღეობის დარღვევისა. თავმომწონე აზნაურმა ფასი არ დასდვა ბატონყმობის გაუქმები-საგან შეცვლილ ცხოვრებას, მის ახალ პირობებს სრულიად წაუყ-რუა ყური, თითქმის ეჯიუტებოდა მათ ისევ ძველი ცხოვრების მი-ყოლით, სანამ ამ შებრძოლებამ რიყეზე არ გააგდო ეს მედიდური, ჯიუტი მებატონე, რომელიც გლეხებს სიახლოვეს არ იკარებდა, რო-ცა ესენი განთავისუფლებას სთხოვდნენ.

— მოიცადეთ, ძმობილებო, ნამეტანი ადრე მირბიხართ! — ეუბ-ნებოდა იგი გლეხებს.

მერე კი თავისთავად იძულებული შეიქნა ხვეწნა დაეწყო მათ-თვის, თავი დაიხსენით და ფული მომეციოთ. ცოტ-ცოტად, ნაწილ-ნაწილად აღებული ფული მალე შეიჭამა, ნელ-ნელა ადგილებიც გაიყიდა და როცა, მისივე დაუდეგრობით, უკანასკნელი ქონება ბანკს გააყიდვინა, მშრალზე დარჩენილმა სარდიონმა მხოლოდ მა-შინ წამოიცქვიტა ყურები, მაგრამ გვიანღა იყო.

რაც ახლა ცხოვრებისათვის მოუმზადებლობას უნდა დაეკლო მისთვის, მან თავისი მხრით თავისი დაუდეგრობა და ჯიუტობა დაა-მატა და ამის წყალობით დარჩა თითქმის ულუკმაპუროდ, ყოველ საღსარს მოკლებული. ახლა კი აწრიალდა სარდიონი; საჭირო იყო რითიმე ერჩინა თავისი ცოლ-შვილი, რამე ეღონა, რამე გზა ენახა, ოჯახში ცოტაოდენი რამ შემოეტანა და წლიდან-წლამდის თავი გა-მოეტანა. იქით ეცა გაღარიბებული აზნაური, აქეთ ეცა, ბევრი იბ-რუალა და ბოლოს გადასწყვიტა, რომ სოფლის სასამართლოში ვე-ქილობა დაეწყო, გლეხების საჩივრები ეწარმოებინა. ბევრს ვერა-ფერს მისცემდა ეს, მაგრამ მაინც სჯობდა სულ არარაობას.

გაერია წინათ ამაყი აზნაური გლეხებში, ჩარგო თავი მათ დავი-დარაბებში, მოშივებული მგელივით აღარაფერს აღარ ერიდებოდა, ოღონდ კი რამე ეშოვა, რამეს გამორჩენოდა; უკან აღარ იხევდა განგებ აეტეხნა სადმე საჩივარი, რომ ერთ-ერთი გლეხი ხელში ეგ-დო და საპურად გაეხადნა; ხშირად, როცა მოსახერხებელი იყო, ორივე მხარეს არიგებდა და მომჩივანისაგანაც და მოპასუხესაგა-ნაც სარგებლობას არ ჰკარგავდა. დიდხანს არ ვაუვლია, რომ მისი ხასიათი და მოქმედება ყველასაგან გაგებული შეიქნა, მაგრამ მივ-სვლელი მაინც არ შემოჰკლებია; პირიქით, უფრო და უფრო ეტა-ნებოდნენ, რაც ერცელდებოდა მისი ახლართულ-დახლართული ნა-მოქმედარის ამბები.

და, აი ამ გზით ნაშოვარით გამოპყავდა მას თავისი ოჯახი; ამ ნაშოვარით ცდილობდა გაპყოლოდა ცხოვრებას. ცდილობდა დაუფარა ოჯახის დაქვეითება, დაემალა სიღარიბე და დაეცვა ოჯახის ეთილშობილება, გარეგნულად მაინც.

მისდა იღბლად ოჯახიც არა ჰყოლია დიდი ჩვენებურ პირობაზე: ორი ვაჟი ჰყავდა და ორი ქალიშვილი. ცოლი მისი მათათი ამ მხარეში ნახსენებ აზნაურ კაკაბიძეების გვართაგანი იყო, და მათათი, კრიალოსნით ხელში, ტახტზე მეხლთმოკეცილი, მუდამ ამათზე ესაუბრებოდა შინაურებსაც და სტუმრებსაც, მუდამ იმათ ამბავში იყო. შვილებსაც ძლიერ დასჩემდათ თავისი გვარით და ნათესავებით თავმომწონეობა, ესენიც თავისიანების სიმამაცისა, ვაჟკაცობისა და გამოჩენილობის ხსენებაში იყვნენ გართულნი; ნამეტურ ეს ხასიათი ემჩნეოდა ქველიძის უმცროს ქალიშვილს ოლიკოს, რომელიც დედის გასაოცარი მსგავსება იყო ყველაფერში.

სულ სხვა იყო უფროსი ქალიშვილი ნინო, სარდიონისაგან სხვა შვილებში გამორჩეული საყვარელი შვილი. განსხვავებულ სილამაზესთან, ბუნებას მისთვის და-ძმათაგან განსხვავებული ხასიათი მიენიჭებინა: გულ-ლმობიერი, ნაზი, თავმდაბალი, ხალისიანი, გრძნობიერი, იგი გასაკვირველად იზიდავდა, ახლოვებდა და ხიბლავდა ყველას, ვისაც კი გაეცნობოდა. მართალია, წოდებრივი სიამაყე მახშიაც გამოსჭვიოდა, მაგრამ ისეთი საკვირველი მოხერხებულობით და წინდახედულად გამოაჩენდა ხოლმე, თუ შემთხვევა იქნებოდა, რომ სხვისი საწყენი და დამამდაბლებელი არასოდეს არ ყოფილა. და ეგ იყო სწორედ მიზეზი, რომ გლეხკაცობაშიაც კი განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა მას ამით მოპოვებული. სიღარიბემ დაარბინა იგი ოცდახუთ წლამდის გაუთხოვარი, მზითვის უქონლობამ, თორემ ბევრს კარგს მოუწადინებია მისი ცოლად შერთვა. და ამ მიზეზის გამო მას რომ დარჩენილად ხედავდა სარდიონი, დანაშაულად თვლიდა თავისთავს საყვარელი შვილის წინაშე, გულსა ხვდებოდა, რომ მის ბედნიერებას ვერ ხედავდა, რომ ქალიშვილის ამგვარი მდგომარეობა მამამისის წინდაუხედავი, გაუფრთხილებელი წინანდელი ცხოვრების შედეგი იყო.

ცეცხლი ეკიდებოდა მის შემხედვარე მამას, მორიდებულს მასთან, მზადმყოფს შეესრულებინა ყოველივე მისი სურვილი და ნებატრი, რამდენადაც გაუვიდოდა. რამდენჯერ გამწარებულ სარდიონს უფროსი ვაჟიშვილისათვის მიუმართნია, დახმარება უთხოვნია მისგან, რომ ეგებ ორივეს ძალ-ღონით ქალიშვილისათვის მისი საკადრისი გზა მიეცა!

— გადაადგი, შვილო, კარს გადაღმა გადაადგი, რაჟდენ, ფეხი! ეგებ შენც იშოვო რამე, კაცო, როგორც ზოგიერთები შოულობენ! გეინძერი, შე კაცო! ორივემ ეგებ რამე ვისაშვალოთ და მაგ საწყლებს, ორივეს თუ არა, ერთს მაინც ვუშველოთ!.. ცოდვაა და მერე შენთვისაც უფრო სამძიმო შეიქნება, მე ხომ მიდღემჩი არ გეყოლები! რა ვიცი, ჩემი ხნის კაცს ხვალინდელ დღეს რა მომელის!

რაჟდენი მართლა ჩაიცვამდა, გამოეწყობოდა, სადღაც კიდევაც გასწევდა, ეზოს გადაღმა ფეხს გადაადგამდა, მაგრამ მეორე-მესამე თვეზე შინ ბრუნდებოდა ისევ მამასთან, დაღონებული, რომ საქმე ვერაფერი იშოვა; სხვებთან კი დილიდან საღამომდის მხოლოდ იმის ამბებში იყო, თუ სად დალია, რამდენი და ვის აჯობა ღვინოში ამ უკანასკნელ მოგზაურობაში, ან და ვისთან რა ლაპარაკი და ყაილა შეხვდომია. სარდიონმა იცოდა, რომ ასე იქნებოდა, გული მოსდიოდა, უწყრებოდა შვილს, კაცად გამოუსადეგარობასა და დაგლახავებას უქადიდა, მაგრამ ამით არაფერი კეთდებოდა.

— ქეყანა მაინც დაინახავს, რარიგად იცხოვრებ, ვაჟბატონო, მე რომ აღარ გეყოლები... ჰმ! უკვდავება ხომ არ მოუნაქებია ჩემთვის უფალს, შე ღმერთგამწყრალო, ჩემი იმედით რომ აპირობ შენი წუთისოფლის გატარებას?!. ეგებ მე ხვალაც აღარ გეყოლო, რაღას შობი მაშინ?! რათი აპირობ გაუძღვე ოჯახს — ამას რატომ არა ფიქრობ, შე უსინდისო ვაჟბატონო?! ოცდარვა წლის კაცს რომ ამის გახსენება და ჩიჩინი ჭირდებოდეს?! ჰმ!..

სიკვდილის შიშმა ამ ბოლოს მაინც გასაოცრად ჩაიბუდა სარდიონის გულში. იმისი წარმოდგენა, იმისი აზრი, თუ ვის უნდა ერჩინა, რითი უნდა ეცხოვრა ცოლ-შვილს მისი სიკვდილის შემდეგ, საშინლად სტანჯავდა, სასოწარკვეთილებაში აგდებდა და სიცოცხლის დღეს უმწარებდა. იგი უკვე ხედავდა უიმისოდ დარჩენილებს, უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილთ, დამათხოვრებულთ, ქვეყნის შესაბრალისად გამხდართ; მისი ძვირფასი, უწყინარი, ანგელოზის მსგავსი ნინო მშიერი, მწყურვალი, დაკონკილი ეხატებოდა, უპატრონო; მის ძარღვებში სისხლი დგებოდა, თავბრუ ესხმებოდა და გაბოროტებული სარდიონი მოუსვენრად ბორგავდა, ერთ ადგილს ვეღარ რჩებოდა და ხან იქით მირბოდა, ხან აქეთ, თითქოს უნდოდა ამასობაში მიეფანტ-მოეფანტა შემოსეული, სულის შემწუხებელი, გენიის ცეცხლის მომკიდებელი ფიქრები.

მისთვის ათასწილად სამჯობინარი იქნებოდა, ამ მწუხარების ატანის გამაადვილებელი, რომ ეს შვილი სრულიად არ მისცემოდა, ან და ამისთანა მშვენიერება არ ყოფილიყო. მისი სილამაზე, მისი

გულკეთილობა, სინაზე, ტკბილი ხასიათი, მორიდებულება დედ-მამასთანაც და სხვებთანაც, ისიც, რომ იგი ყველას უყვარდა, ყოველივე ამის პატრონი არსება თითქოს ღმერთმა განგებ გაუჩინაო ამ კაცს, რომ მისით ჩაეხედნა თავის სინდისში, დაენახა ახლა მაინც, რისიც მქნელი ხდებოდა თავის დაუდევრობის გამო, თავის ამაყობისა და გაჯიუტებით რა ცოდვაში ჰქონდა ჩადგმული ფეხი. როგორ სატანჯველს უმზადებდა თავის სისხლს-ხორცს. თავისი ცოდვის სამაგიეროს მოძღვნილად ღებულობდა სარდიონი ყოველივე ამას და როცა ამასთანავე ნინოსაგან არ სმენია არა რაიმე საყვედურის გამომთქმელი სიტყვა, მის მშვენიერ სახეზე ღიმილის მეტი რომ არა შეუმჩნევია რა, რომ მისი წარბები არ შეყრილა უკმაყოფილების გამოსახატავად, — ყოველივე ამისაგან უფრო იჩაგრებოდა მოხუცი, უფრო სტკიოდა გული და უფრო გამწარებული იყო.

ვერაფერ ამას, რასაკვირველია, სონია ვერ ამჩნევდა ქველიძისას, ვერ ხედავდა და არც შეეძლო გაეგო აქაური ამბავი, რადგან ოჯახის ყოველივე ნამდვილი და ჭეშმარიტი გარემოება, რაც შეიძლებოდა, იფარებოდა და მიმალული იყო იქაურებისაგან. სონია უმზერდა გარეგნულ ცხოვრებას, ესმოდა თავადაზნაურობის ცხოვრების ამბები, წარჩინებულ პირებზე ლაპარაკი, სოფლამდე მოღწეული, მათი ნამოქმედარ-ნათქვამის ამბავი „შემოსული“ მოდების შესახებ და ამგვარები. რადგან კარგი ჭრა-კერვა იცოდა, ხშირად ეხმარებოდა ქალიშვილებს მათ საკერავში, რჩევას აძლევდა ფასონების ამორჩევაში, გულუბრყვილოდ ჰკვირობდა და იკინოდა, როცა ნინო სწყევლიდა უკანასკნელად შემოღებულ მოდებს, რომლისათვის მეტი ქსოვილი იხარჯებოდა და ისე იკვეცებოდა, რომ შემდეგ აღარაფრად გამოსადეგი აღარ რჩებოდა გამონაცვალი.

— თავს დავანებებ ამნაირად შეკერვას!.. ორი არშინი აკლდება ორივე სახელოს... რა ეუყო ახლა? — იტყოდა ხოლმე გულდაწყვეტით ნინო.

— ორი არშინი? — ჰკითხავდა დედა.

— აბა!

— აბა უნდა ვიყიდოთ, შვილო... — უნდა ვიყიდოთ... ვეტყვი მამაშენსა და გიყიდის.

— არა, არა... იყოს, ისე შევიკერავ... არ დეევეძებ ამ მოდას! — გულდაკლებით წამოიძახებდა მაშინ ნინო.

— უბრალოდ როგორ შეიკერავ... საღა გამოაჩენ მერე! რაც მოდაა მოსული, შვილო, ისე უნდა გექნეს, რას იზამ!..

— არ ვიცი, ღმერთმანი!.. — წაილაპარაკებდა საკერავზე თავჩა-

ღუნული ნინო. — როდის მომესწრება დასამატის ყიდვა, ვინ წავა ახლა მის საყიდლად?!.

— გამგზავნს როგორ ვერ იშოვნი?! — სიცილით მიუგებდა ამაზე სონია, სრულიად დაშორებული იმ აზრს, რომ ნინოს სიტყვა მხოლოდ მიზეზი იყო; ნამდვილად კი იმაში მდგომარეობდა, რომ ამ შემოღებული მოდისათვის საჭირო ხდებოდა ფული და ის კი, მოდების დევნაში სახარჯავად კი არა, სხვა მიუცილებელი საჭიროებისათვისაც არ იყო. სონიას ვერ გაეგო ახალგაზრდა ქალიშვილის ყოყმანი, არ იცოდა, რომ ყოველი ახალი მოდა ამათთვის მეტი შემაწუხებელი რამ იყო, რადგან თავს ვერ არიდებდნენ დევნას რაოდენადმე მაინც და ამის გამო, შეეიწროებულ მდგომარეობაში მყოფთ, მეტი სამძიმო ხარჯი მოსდიოდათ. ამიტომ სწუხდა კიდევაც ნინო და ამიტომაც იწვევდა ამდენ ლაპარაკს ეს საკერავისათვის დაკლებული ორი არშინი ქსოვილი. და ამ მიუხვედრობის მიზეზი იყო, რომ სონია არ ეშვებოდა, თავის მხრივაც ურჩევდა საყვარელ ამხანაგს, უსათუოდ წეემატებინა დანაკლისი და ამორჩეულ ფასონზე შეეკერა „რუბაშკა“.

— ღმერთს ვფიცავარ, გასაოცრად დაგშვენდებას.. მაინც კარგი ხარ, მაგრამ ამ რუბაშკაში გასაგიჟებელი რამ იქნები, შენ ნუ მომიკვდები, ნინო ჩემო! — აღტაცებით ეუბნებოდა სონია, ასე რომ ოლიკოს გაეცინა კიდეც და თან წამოიძახა:

— ბრ გადარია ამ ჩვენმა ნინამ ეს ქამუშაძეები, ცოლიც და ქმარიც?!.

მათათმ ერთი უნებურად გაიღიმა, მაგრამ მაშინვე მწყრომი სახე მიიღო და ქალიშვილს შეუტია:

— სად ისწავლე მაგნაირი ზრდილობა, შვილო? — და თავის უკმაყოფილების დასანახავად თავი გააქნია.

მაგრამ სონიას არ სწყენია ეს, როგორც კვლავაც, როცა ოლიკო აჯავრებდა მის დედამთილს ეკვირინეს, ბიცოლა ეფროსინეს და ბიძია ომანს, დათიას და მთლად იმათ კუთხის ქალებსა და კაცებს. სონია. თავადაც გულიანად იცინოდა მაშინ, თავის მხრით ელიჩკას მასალასაც აძლევდა ამ დასაცინისათვის მეზობლების ამბების გადმოცემით. აქ ამ ოჯახში, თავის მაგვარ კეთილშობილებს რომ ხედავდა, ყოველ ხუმრობასაც ადვილად იტანდა, დაცინვაც საწყენად არ ურჩებოდა ამ თავისი ტოლებისაგან და ყოველივე ხუმრობას სიამოვნებითაც ისმენდა. გარდა იმისა, რომ აქაურობა იზიდავდა მას თავისი კეთილშობილური შეხედულებით, რომ ამითი კმაყოფილდებოდა მისი წოდებრივი გრძნობა და თავმოყვარეობა, მის თავში ისეთი აზრი ტრიალებდა ამ ბოლო ხანებში, რომლის აღსრულები-

თაც იგი სამუდამოდ დაუახლოვდებოდა ამ ოჯახსაც და სიკვდილამდის არ განშორდებოდა თავის ძვირფასს საყვარელს ნინოს. ეს აზრი იყო — ნინოს სარძლოდ აჩემება და სონიამ კიდევაც ორჯერ-სამჯერ მისწერა ამაზე დედამისს და ურჩევდა, ყოველივე ღონე ეღონათ და ბეგლართან ამის შესახებ მოელაპარაკნათ. საქმე მით უფრო ადვილად მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო, მისი აზრით, რომ ბეგლარსაც გაცნობილი ჰყავდა ქალიშვილი, როცა იგი ერთხელ დის სანახავად მოვიდა და, როგორც მაშინ ეტყობოდა, ძლიერ მოეწონა ლამაზი ნინო. ამ აზრს შეხაროდა სონია და მოუთმენლად მოელოდა ამის აღსრულების დღის შესწრებას, მანამდე კი, რამდენადაც შეეძლო, ცდილობდა განუშორებლად ყოფილიყო ამ საყვარელ არსებასთან, რომლის სიახლოვეს ავიწყდებოდა თავისი ღარიბი ოჯახი, თავისი დარდებიც, თავმომაბეზრებელი მოხუცებული დედამთილიც და ყოველივე უსიამოვნება, რაც ხვდებოდა ამ ახალ ადგილას, სადაც მისი გულის გამხსნელს და გამაღონიერებელს თითქმის ვერას ხედავდა ჯერჯერობით და, შეიძლება, სრულიადაც ვერ დაენახა ვერც შემდეგში.

VIII

ზამთრდებოდა. ფოთოლგაცვივნული, გატიტვლებული ხეები აღარ მალავდნენ, უფრო გამოაჩინეს დაბალი, პატარ-პატარა ზოგან შერცხლის ბუდესავით ფერდებზე მიკრულ-მიკოსებული სახლები, სასურავებიდან ამომავალი კვამლის შავ ბურთავდადგმული.

დღითი-დღე გაღონიერებული სიცივისაგან უფრო და უფრო იკრუნჩხებოდა, იკუმებოდა ყველაფერი, სადღაც იპარებოდა და დამალვას ცდილობდა, გარეთ გამოხედვას ერიდებოდა. სულიერი თბილ ბინას აღარ შორდებოდა. სოფელი მიწყნარდა, მიილუშა; ცხოვრება თითქოს შესწყდაო. კაცსაც ძვირად თუ დაინახავდა კაცი: ხანდახან თუ გაიელიდა ორღობეში წვივებამდის ფეხტიტველი, ძველებში გამოხვეული სოფლელი, ხან ურმით, ხან ტომრით ზურგზე წისქვილისკენ მიმავალი, როცა ნამეტან ამდგარი ტალახის გამო გზები შეიკვრებოდა ურმისათვის.

ტყვიისფერ ცის ქვეშ საცოდავად გამოიყურებოდა სიცივისაგან შეშინებული არემარე; მყინავი, ნემსებივით მჩხვლეტავი ცივი ქარი უსიამოვნოდ სისინებდა გაფშიკებული ხის შტოებში.

ვისაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა მთლად მომარაგებული საზამთრო შეშა, ახლა კიდევ შეეძლო თითო-ოროლა გზობა მაინც მოეელო ურმით და თუ სადმე ეგულებოდა მოსაჭრელი რამე, იჩქაროდა მოე-

ტანა სახლში, სანამ თოვლი სრულიად შეუკრავდა ყოველგვარ მისვლა-მოსვლას.

ოტიამ კარგა ძალი შეშა ჩამოზიდა საიდანღაც და ჯერ ისევ ზიდავდა. საცოდავი სანახავი იყო იგი ამ დროს — გაწუწული, ტალახში ამოთითხნილი, ქუდის მაგივრად ძველ ყაბალახით ყურებიანად თავშეხვეული, სიცივისაგან აკანკალებული, სახლში რომ შემოვარდებოდა და თბუნებას დაუწყებდა დაძრულ ხელებს ცეცხლზე, რომელსაც დილიდან საღამომდის უსხდნენ ორივე რძალ-დედამთილი. ცეცხლისაგან შეხურებულ ძველ ტანისამოსს ორთქლი ასდიოდა და ბურში გახვეული ოტია ციბრუტივით ტრიალებდა, რომ კარგად გამშრალიყო; წვივებზე შეეხმარი ტალახიც სცილდებოდა და იქვე იყრებოდა ცეცხლის პირას მიწაზე. სონია თვალს არიდებდა ამ დროს ქმარს, მისი თავმომწონეობა მეტისმეტად ილახებოდა, ამ სურათს რომ უყურებდა.

— აწი, შვილო, ხარებიც შემოიყვანე, ჩალა ჩოუყარე და ბარემაც სადილიც ეჭამოთ... მეორე გზობას მერე იზამ... — ეტყოდა ხოლმე ეკვირინე შვილს.

— მაცალე, მაცალე, თუ ღმერთი გწამს! ხელები წამართვა სულ სიცივემ... გევითბობ, ძვლებს გავაგებინებ... თითებს ვეღარ ვხმარულობ... უცნაური ქარ-ყინვაა დალოცვილი... იმ მთებში მაინც!— მიუგებდა ოტია, რომელიც ცეცხლს ვეღარ შორდებოდა.

მაშინ ეკვირინე თვით წამოდგებოდა, შემოიყვანდა ხარებს სახლში, რადგან სხვა ბინის უქონლობის გამო საქონლისათვის ბაგა აქვე ჰქონდათ მოწყობილი, შემოათრევდა ორიოდე კონა ჩალას და თავის ხელით ჩაუტეხავდა ხოლმე მოშივებულ პირუტყვთ საჭმელს. მერე თავიანთ სადილს უბრუნდებოდა, რომელსაც აქვე სჭამდნენ ცეცხლის პირას, საქონლის ჩალის ხრამუნში და მათი ნეხვით აქოთებულ ჰაერში. რადგან უბუხრო მეორე ოთახში ცეცხლი არ ინთებოდა, — იქ გადამეტებული სიცივე იყო. მაგრამ სადილიც დიდხანს არ გრძელდებოდა, — ლობიოსა და ჭადს ხანგრძლივი შექცევა არ სჭირდებოდა.

დაიწყო თოვა და რამდენიმე დღის განმავლობაში სპეტაკმა თოვლმა მოჰფარა არემარე. სოფლისათვის რომ შეგეხედნათ, იტყოდით, თითქოს განგებ ჩაურგავთ აქა-იქ პაწაწინა ხის კოლოფებიო, ისე მოჩანდნენ სახლები იმ ღრმა თოვლში. ახლა სრულიად მიწყდა ყოველივე მოძრაობა, მისვლა-მოსვლა, შეიკრა მეზობლებშიაც საკალი გზები. ყველანი დაიბუდნენ თავთავიანთ სახლებში, უსხდნენ ცეცხლს და გარეთ გამოსვლას ერიდებოდნენ. ამგვარ დატყვევებულ-დამწყვდეულ მდგომარეობაში ჩავარდნილ სონიას

სული უწუხდა; მისთვის აუტანელი ხდებოდა ქვეყნიერებასთან ეს დაშორება, თითქოს სადმე უდაბნოში იყო, თითქოს მის გარშემო სხვა სულიერი არავინ ყოფილიყოს ასეთი მოწყვეტილი და განმარტოებული ცხოვრებით, რომელითაც იძულებული იყო ეცხოვრა. ეკლესიაში წასვლასაც დიდის გასაჭირით ახერხებდა სულშეწუხებული. არ დარიდებია ხანდახან გზის სიძნელეს, ოღონდ კი ვინმე გარეშე ენახა, ვინმესთვის ხმა გაეცა; მაგრამ აქაც მხოლოდ მამაკაცები თუ იყვნენ, თორემ ქალები ძვირად გამოდიოდნენ.

რაკი ზამთარი დაიწყო, ნინოს ნახვის საშუალება სრულიად დაეკარგა სონიას. ხანდახან გარეშეთაგანი თუ შემოვიდოდა სიცივისაგან მოკრუნჩხული, ძველ კონკებში შეფუთვნილი ეფროსინე, რომ ოტიასათვის ეთხოვნა წისქვილში წაეღო დასაფქვავად მისი ორისამი ბათმანი სიმინდი, თორემ ისხდნენ ორივე დედა-შვილი და სონია ცეცხლის პირას, ეფიცხებოდნენ და დროს ამოკლებდნენ ერთმანეთში თავიანთ მოგონებათა გაზიარებით. დღეები მიიზლაზნებოდნენ, მიჰყვებოდნენ ერთმანეთს ერთფეროვანად, განუსხვავებლად, გულის მომკვლელ მოსაწყენისად, განსაკუთრებით მიუჩვეველ ადამიანისათვის, რასაკვირველია. დილით ადრე ადგომა, ცეცხლის დანთება, გასათბობად კერიასთან დაჯდომა, ოტა ხნის შემდეგ სადილის თავდარიგი, სადილი, იქვე, როგორც შებინდდებოდა, ვახშმის მზადება, ვახშამი და მაშინათვე ძილი; მეორე დღესაც იგივე, მესამესაც; ასე ატარებდნენ კვირეებსა და თვეებსაც.

ეკვირინეც და ოტიაც კარგად ხედავდნენ, რარიგად უჭირდა ახალგაზრდა ქალს ამგვარი ცხოვრების ატანა; მათთვის ეს ადვილი წარმოსადგენიც იყო, რადგან იმათაც კი, შეჩვეულებსაც, ემძიმებოდათ ამნაირი მდგომარეობა; რამდენადაც შეეძლოთ, ცდილობდნენ გაერთოთ იგი სხვადასხვა ამბებით სოფლის ცხოვრებიდან, მაგრამ ეს ამბებიც მოსაწყენი ხდებოდნენ და გამართობელ სიცხოველეს ჰკარგავდნენ ამ გულის მომკვლელ ცხოვრებაში, მსმენელის დამძიმებულ ტვინში შთაბეჭდილებას ვეღარ სტოვებდნენ.

ამ დაყრუებულებაში მყოფ ქამუშაძეებს, ერთ დღეს, ის იყო სადილი რომ გაათავეს, უეცრად მოესმათ რაღაც ყვირილი. კივილი და ხმაურობა. ყვირილის ხმა თანდათან მატულობდა, უფრო და უფრო მკაფიოდ მოისმოდა.

ოტია მივარდა კარებთან და გაიხედა, ენდოდა გაეგო, თუ საიდან მოდიოდა ხმა; იქვე დაყურებულნი იყვნენ რძალ-დედამთილიც.

— ლევანისასაა ეს ხმა, ან და ომანისას! — წამოიძახა ოტიამ.

— ბავშვი თუ მოუკვდა ომანს! უსათუოდ!.. კი, კი! უსათუოდ ასე იქნება! — წამოიძახა ეკვირინემ.

— კი, მარა, შეცხადებას რომ არ ჰგავს! — თქვა ოტიამ. — რაღაც სხვა ამბავია... უცნაური ამბავი! უყურეთ, უყურეთ!.. ყაბალახი მომე, დედა!.. წავალ ერთი, გეიგებ მაინც, რა არის...

— გეიგე, გეიგე, შენი ჭირიმე!.. აჰა, შეიხვიე კარგად, ყურებზე არ შეგცივდეს!.. ჩოხა შემოიხვიე კარგად, კარგად... სიცივემ არ შემოგკრას, ცეცხლთან ნაჯდომი ხარ!.. — მისძახოდა ეკვირინე ოტიას, რომელმაც თავზე მოიხვია ყაბალახი, ამოიკრა ჩოხის კალთები და, რამდენადაც ეხერხებოდა, მუხლებამდის თოვლში აუჩქარა ზევითკენ, თავისი ბიძებისაკენ, საიდანაც ხმა ისმოდა.

ხმაურობა სწორედ ომან ქამუშაძის შვილის გამო იყო ატეხილი. დილიდან ცუდად შექმნილი ბავშვი, სადილობის ხანს უკანასკნელ მდგომარეობაში ჩავარდა და გამწარებულმა მისმა მშობელმა, სისხლმორეულმა, უცბად დააცლო ხელი უშველებელ კეტს და ერთი დამუქრებით და ქადილით გადავარდა იმისკენ, ვისაც ბრალს სდებდა შვილის სიკვდილის პირზე მიყენებაში.

ეფროსინემ ბედად თვალი მოჰკრა კეტით თოვლში მობაჯაჯგუნე თავშიშველა, თმაგაბურძგვნილ მაზლს და მიხვდა, რომ იგი მასთან მორბოდა გაბრაზებული, მიხურა ისევ კარი და შიგნიდან გადარაზა.

— სად დამემალები, სად? — შორიდან მიაყვირა ომანმა. — სად გამექცევი, შე წყეულო, შე არაწმინდავ... შე კუდიანო, ულვთო, ურჯულო, შეჩვენებულო! მოგკალი ეს-ეს არის, ოუშვი... თავი გაანებე ბავშვს, თუ არა, ეს არის გაგათავე, იცოდე! არ გესმის, შენ ეი!.. ეი! — საზარელი ხმით შეჰყვირა გამხეცებულმა კაცმა სახლთან რომ მივიდა და, რაც ღონე ჰქონდა, კარებს დაუშინა კეტი: — ურჯულო!.. ურჯულო! ოუშვი-მეთქი, ნუ მიკლავ შვილს, ნუ მიკლავ შვილს, მითქვამს შენთვის! თავი გაანებე, თვარა ეს არის გაგაცხებინე სული!.. ეი, ეი! მალე, მალე, მალე! — და ამ თავზარდამცემ ღრიალთან იგი ისევ უმოწყალოდ სცემდა კეტს, რომ ჩაემტვრია კარები და ხელში ეგდო მისი გამამწარებელი დედაკაცი.

შიგნიდან არავითარი ხმა არ ისმოდა, თითქოს სახლში არავინ იყოო. ომანი ისევ ღრიალებდა უცნაური ხმით, ისევ ცდილობდა კარების ჩამტვრევას. მოირბინა მისმა ორმა ქალიშვილმაც და მამასთან ერთად ახლა ესენიც გაჰკიოდნენ კარებთან და უყვიროდნენ ეფროსინეს, რომ მომაკვდავი ბავშვი აეშვა და სიცოცხლე დაებრუნებინა მისთვის.

ხმაურობაზე მოირბინა ორიოდე გლეხმაც, რომელნიც შეეცად-

ნენ ომანის დაწყნარებას, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს ვერც კაცთან და ვერც ქალებთან.

— მოითმინე, ომან, მოითმინე ღვთის გულისათვის! — ეხვეწებოდნენ და აწყნარებდნენ გააფთრებულ ომანს გლეხები.

— გარეთ გამოეთრეს მაგ კუდიანი! თვალით დამენახოს მაგ ურჯულო, თვალით დამენახოს!

— ოუშვას, ოუშვას, კოწია ოუშვას!.. ნუ კლავს! — ჰყვიროდნენ ქალიშვილები.

— რა ეუქენით საამისო მაგ არაწმინდას, ასე კბილი რომ ჩაასვა საწყალ ბავშვს?! ლაპარაკი ვის არ მოსვლია მეზობლობაში?! მოვკლავ, მოვკლავ, ამ წუთში მოვკლავ, ჩემს ცოდვაში ფეხს ნუ იდგამს!.. სად მემალება? სად მემალება მაგ დაწყეველილი, სად?.. სად?.. სა-ა-ად?! — და ომანმა ისევ დაუშინა კეტი კარებს, ისე რომ ფიცრების ნატეხები აქეთ-იქით იფინებოდა.

ამ დროს ოტიამაც მოასწრო. რა თვალი მოჰკრა, რაც ლევანის კარებთან ხდებოდა, იგი გამოიქცა, რამდენადაც შეიძლო გამოჩქარება თოვლში, მოვარდა გადმოხურულში და ბიძას მიაძახა მწყრალად:

— რა ამბავია?! რას შვრებით ამას, ხომ არ გადარეულხარ, ხომ არ გაგიჟებულხართ, მითხარით ერთი?.. — მისწი-მოსწია ქალიშვილები და მიეფარა კარებს.

— იქით!.. იქით!.. ჩამომეცალე! — შეჰყვირა ომანმა. — იქით, თვარა შენც მიგაჭყლეტ მანდვე... გამეცალე!.. მითქვამს შენთვის!

— სად გაგეცალო?.. ადამიანს მოკვლას უპირობ და გაგეცალო?!

— თავი გამანებე-მეთქი!.. თავი, თავი!

მაგრამ ოტია ეცა ხელში და კეტის წართმევა მოინდომა. მაშინ ქალიშვილები მიაფრინდნენ მას; რამდენიმე გლეხი ჩაერია ამათში და მოინდომეს ომანის დახელცარიელება. შეიქმნა ერთი ყვირილი, ჯიგლიგი.

— ეფროსინე, ეფროსინე! — მივიდა კარებთან მოხუცებული გლეხი. — გამოიხედე ერთი... ერთი სიტყვა მაინც თქვი, დალოცვილო, კაცი დაამშვიდო ეგებ! არ გესმის?! ნუ გეშინია, აგერ ვართ ამდენი ხალხი!..

რამდენიმე განმეორების შემდეგ, რომლის განმავლობაში დანარჩენები ისევ ომანთან ჯიგლიგში იყვნენ, კარი გაიღო და გამოჩნდა მიწისფერ გადაკრული ეფროსინე.

— რა გინდათ?! — გადმოიძახა ერთი წელში გამართულმა, დოინჯ შემოყრილმა ლევანმა. — რა გინდათ?! — შეუყვირა წყრომით

და, მეტის ჯავრისაგან ათრთოლებული, სიტყვას რომ ვეღარ ახერხებდა, შერჩა ერთ ადგილას გაქვავებულივით.

— გამიშვით! — დაიღრიალა ომანმა. — გამიშვით, დამალევიეთ მაგისი სისხლი... მაგისი!.. ნუ მიკლავ, შე არაწმინდავ, შვილს, ნუ, ნუ, არ გესმის, შე უღვთო?! ა, არა?! — მიაყვირა მებრძოლმა ომანმა, რომელსაც ვერას გზით ვერ მოუხერხეს ხელიდან კეტის გამოგლეჯა. ქალიშვილებმაც მოინდომეს კარებისაკენ გაწევა, რომ სცემოდნენ ეფროსინეს, მაგრამ ორმა გლეხმა გზა გადუღობა მათ, აღარ მიუშვეს და ისინი შორიდან ქაქანებდნენ.

— გაანებე თავი, ეფროსინე... თუ მართლა შენგან არის, შენი მიზეზითაა ის ბავშვი, მიუტოვე, აპატიე, ნუ ჩადგამ ფეხს ცოდვაში... რაც არ უნდა იყვეს, თქვენი სისხლ-ხორცია მაინც!.. — მიმართა მოხუცებულმა გლეხმა.

— მომკალით, მომკალით ახლავე!.. — შეჰყვირა ეფროსინემ.

— გაანთავისუფლე!.. იმხელა ოჯახს ორი ვაჟის მეტი არ ჰყავს!.. შუშა ხელს ნუ მოაკლებ, ეფროსინე!.. თუ შენითაა... ოუშვი!

— ოუშვი, ეფროსინე, თუ რამე შენგანაა! ნუ შვრები მაგას! — მიაძახა კიდევ ერთმა-ორმა გლეხმა.

ეფროსინემ გადმოაბიჯა ზღურბლზე, აღაპყრო ხელები მაღლა ზეცისკენ და გამწარებით შესძახა:

— შენ მოჰკითხე, შენ მოჰკითხე, ჩემო გამჩენო, პასუხი, შენ მოჰკითხე პასუხი, ვინც მე ათასნაირ უბედურებასა და უცნაურობას მახვევდეს და მიგონებდეს, შენ მოჰკითხე!..

ღალადი არ გაეთავებინა მას, რომ ეზოში ღობიდან გადმოსტა პატარა გოგო, რომელიც თოვლში ეფლობოდა და თან გაჰკიოდა:

— მამა, კოწია მოკვდა, კოწია მოკვდა... მამა! მოკვდა კოწია!..

ამის გაგონებაზე ერთი წუთით ყოველივე მიწყნარდა, მიყუჩდა.

— მოკვდა კოწია, მამა! — წამოიძახა თოვლიდან წამომდგარმა გოგომ. ქალიშვილებმა ერთი უცნაური ხმით შეჰკივლეს და ომანიც შეინძრა ისეთი ღონით, რომ ყველანი აქეთ-იქით მიჰყარ-მოჰყარა და ეფროსინესკენ ისკუპა.

ამ უკანასკნელმა გაქცევა დააპირა, შევარდა თოვლში, მაგრამ ცალკე თოვლი არ უშვებდა, ცალკე კაბაც ეხვეოდა ფეხებში; ათიოდე ნაბიჯი კი მოასწრო გადაედგა, რომ იქვე ჩაიკეცა, წაიქცა, და ამავე დროს მიწეულ გაბოროტებულ, გააფთრებულ ომანისაგან მოქნეული კეტი მარჯვენა ბეჭზე მძიმედ დაეშვა. ერთი კი შესწივლა საცოდავმა და თავი ჩაჰყო თოვლში.

— მოჰკლა, მოჰკლა! — ერთხმად წამოიკივლეს ეკვირინემ და სონიამ, რომელთაც გულმა ვეღარ მოუთმინათ, ოტიას დაბრუნე-

ბამდის ამბის გაუგებლობა. ხმაურობას ამოჰყვნენ და ის იყო ლევანის ეზოში შემოვიდნენ.

ომანმა კიდევ მოიქნია კეტი, უნდოდა მეორედ დაერტყა გრძნობამიხდილი მოხუცებულისათვის და კიდევაც უსათუოდ იქვე გააოთავებდა, რომ ისევ ოტია არ ემარჯვნა და ხელებში არ სცემოდა პიძას და ორი გლეხის დახმარებით არ წაერთმია კეტი მისთვის.

ახლა ომანმა დაიწყო ყვირილი და გინება უშვერი სიტყვებით; ისევ იმუქრებოდა და თან სტიროდა შვილს. ცხარე ცრემლებით. ქალიშვილები ქაქანით და მოთქმით გაემართნენ ეზოდან. ცოცხალმკვდარი ეფროსინე ამოიღეს თოვლიდან და წაიღეს სახლისაკენ.

— ომან, სულის წაწყმენდა მოინდომე?! ღმერთის აღარ გეშინია?! — მივიდა ომანთან ეკვირინე.

— საწყალი ბიცოლა! — ტირილში ამოსკდა გულიდან სონიას.

— მაგია საწყალი, მაგ შეჩვენებული?! — დაიყვირა ომანმა. — მაგია საწყალი?! ოჰმე, ოჰმე... ცოცხალია კიდევ? ვერ მოვკალი, ეერა? მაგ უნდა შეიბრალოს ქრისტიანმა?! რა მიქნა, რა მიქნა?! ვაიმე, შვილო, შვილო, შენი ჭირიმე! შენ რა აწყენივ, შე უბედურო, შენგნით რა შეხვდა, რომ ასე მოგისპო დღე!.. წამოდი, წამოდი, შენი ჭირიმე... რა შვილს გამომათხოვა, რა საიმედო შვილს გამაშორა მაგ ურჯულომ, მაგან!.. სად წამივა, რითი გადამირჩება, სით პირობს გაქცევას. სით?! — მან მოჰკიდა ხელი სონიას და გასწია თავისი სახლისკენ.

შესაბრალისი შესახედავი იყო ეს მართლა დათვის მსგავსი უშველებელი კაცი, ბავშვივით რომ ღრიალებდა და მოსთქვამდა. სონია მორჩილად მიჰყვებოდა; უკან ეკვირინეც მისდევდა და რამდენიმე გლეხთაგანიც. ოტია და ორიოდე სხვა ეფროსინესთან დარჩნენ.

ომანის სახლიდან ერთი ღრიალი მოისმოდა. ამათ მისვლაზე ღრიალმა უფრო იმატა.

ცეცხლის პირას სკამ-ლოგინზე მდებარე ახლად მიცვალებულ ათითორმეტი წლის ბავშვს გარს შემოსეოდნენ დედა და დები და გულშემზარი ხმით დაჰკიოდნენ და დასწიოდნენ თავზე. ამათ ზრიალს ახლად მოსულების ტირილიც შეემატა.

— ადექი, ადექი, შვილო!.. შენი ჯერეთ გაუცნობელი რძალი მოგვიდა, ხმა გეეცი, შე უბედურო! ხმა გეეცი, შვილო!.. ვაიმე, ვაიმე, ვაიმე, აღარაფერი ესმის, აღარაფერი! — შეჰყვირა გამწარებულმა დედამ და თავს ურტყამდა გაცივებულ გვამს.

სონიამაც და ეკვირინემაც მიუტირეს ჭირისუფალთ, ცოტა ხანს დარჩნენ და შინისკენ გაბრუნდნენ. გზაში კიდევ კარგა ხანს ესმოდათ ტირილის ხმა.

— რა საცოდავად ყოფილა, ბეჩა, ეს უბედური ომანი! — მისდა უნებურად წამოიძახა სონიამ.

— საცოდავად არიან, აბა!.. მარა მაინც არ წყნარდებიან, ყოველთვის ერთს შფოთსა და უბედურებაში არიან. ვერაფერმა ვერ დაამშვიდა... ვერც სიღარიბემ და ვერც სიღატაკემ. ისევ ეგებ სიმდიდრეში შეელებოდათ რამე, მარა მდიდარი არც წინათ ყოფილან და აწი რაღა უბედურობამ უნდა გაამდიდროს!..

ეს დაცინვასავით ნათქვამი ეკვირინესაგან უსიამოვნოდ მოხვდა სონიას გულზე და ლაპარაკი ეფროსინეზე გადაიტანა.

— ამ უბედურ ბიცოლა ეფროსინეს რაღას ერჩოდნენ, მისი რა ბრალია, საწყლის? რა შეუძლია საცოდავს, რომ მისით ან მოკვდეს ან გაცოცხლდეს ადამიანი!.. ღმერთო ჩემო, ეს უგუნურობაა, მეტი არაფერი! — თქვა გულაჩვილებულმა სონიამ.

— ვინ იცის, შვილო, ვინ იცის!.. რავარც კი არ გითხარი, ათასნაირ უბედურებას სწამებენ მაგ შავდღეზე გაჩენილს და მაგ კერპი, გაუტეხელი, მაინც არაფერს არ ერიდება და არ იშლის... მაინც ჭკითხაობს, რაღაც წამლებს არიგებს. ვის რას არ ელაპარაკება, რითი არ აშინებს ზოგიერთებს. შეიძლება ყველაფერი ტყუილიც იყოს, განგებ სჩადიოდეს, რომ ხან რამე იშოვოს, ხან ვინმე შეაშინოს და მორიდებაში იყოლიოს. საწყენი მისთვის ვერავის გაუბედნია... შეიძლება ასედაც იყოს, მარა მთლად სოფელს ასე აქვს ჩაგონებული მაგისი ამბავი, რომ ვეღარაფერს ათქმევინებ. თუ ყველაფერი, რასაც კი მაგაზე ამბობენ. მართალი არის... თავისთავს დააბრალოს... ხომ ნახე, რა დღე დააყენეს? ყველაფერი თავისთავს დააბრალოს! შენ კარგად მყავდე და მაგათ თავი უტეხიათ, ერთმანეთიც ამოუწყვეტიათ... წყდებიან ხომ მაინც! ღმერთო, ნუ მიწყენ და იმ პავშვის სიკვდილი, კაცმა რომ თქვას, მაღლიცაა — რა ცხოვრება მოელოდა საწყალს, რომ გაზრდილიყო... იმდენ სულში, რაც ამ ოჯახშია, რა უნდა რგებოდა მას, რა შეხვდებოდა საწილოში? მაღლიცაა, ცხონდა ჩემი სული, მაღლიცაა, რომ ასე უმანკოდ გაშორდა ამ სოფელს — სასუფეველი მაინც არ დაეკარგება მის ანგელოზად წასულ სულს, თვარა, რომ დაცლოდა და გაზრდილიყო, ვინ იცის, რა გზას დაადგებოდა... სიღარიბე და შიმშილი კუჭს გოუხურებდა... ცოტაა ამის მაგალითი ახლა ჩვენში?!

სონია, რომელიც ძლივს ადგამდა ფეხს თოვლში და სიცივისაგან კანკალებდა, ეკვირინეს ამგვარმა ლაპარაკმა სრულიად მოღალა, მოქანცა და განძრევის ღონე წაართვა; გულდაღონებულმა სიარული ვეღარ შეიძლო და ბოლოს კიდევაც შედგა და ერთი ღრმად ამოისუნთქა... ამ მოხუცებული ქალის წინდაუხედავი ლაპარაკი,

მისგან ამ ბოლოს ნათქვამი ახალგაზრდა ქალს საკუთარ მდგომარეობას აგონებდა და მისი შეხედულებით, მისი დაკვირვებით ეს მდგომარეობა ბევრით ვერაფრით განირჩეოდა სხვების მდგომარეობისაგან, რომელზედაც ისე უყვარდა შებრალებით ლაპარაკი ეკვირინეს. სონია თავისთავს ხედავდა იმნაირსავე ყოფაში, რანაირშიც, ეკვირინეს სიტყვით, მისი ქმრის ნათესავები და მეზობლები იყვნენ; თავზარდაცემული, შიშშეპყრობილი სონია განძრევასაც ვეღარ ახერხებდა; გონება ეკარგებოდა, სიცივისაგან სხეული უცახცახებდა და გული უწუხდა უნუგეშო მომავლის წარმოდგენით. ამგვარ ყოფაში მოუსვენრად იმეორებდა:

„აბა რაღა ვქნა?! რაღა ვქნა?! რაღა ვქნათ, ღმერთო, ღმერთო!..“ — მას სრულიად მოესპო განძრევის ღონე.

— გამოიარე, გამოიარე, შენ გენაცვალე!.. გამოიარე, ნუღა შეჩერდები, თვარა ეს სიცივე უარესად შეგაწუხებს... უიმე, რავა კანკალობ, შენი ჭირი შემეყაროს! მოერიე თავს და მალე თბილ ცეცხლთან ისევ გამობრუნდები... ნეტავი სულაც არ წამომეყვანე... კისერი უტეხიათ მაგათ — შენ რა გასარევი ხარ მაგათში, რომ მათი ამბავით თავი შეიწუხო!.. ა, შენ დეიბიჯგე ეს ჯოხი, გზას გაგიადვილებს... ა, შენი ჭირიმე! — და ეკვირინემ, ხელში რომ გრძელი ჯოხი ჰქონდა, სონიას გადასცა.

სითბომ, ცეცხლმა სიცივე დაავიწყებინა სონიას, მართალია, მაგრამ წარსული და გაგონილი ზედ დაერთვნენ წინანდელ განაგონს, ნანახ უხალისო სურათებს და ამ კარჩაკეტილი სოფლის ზამთრულ ცხოვრებაში მუდამ მის-გონებას ეხვეოდნენ, მასთან განუშორებლად იყვნენ, ესეოდნენ და თითქოს მისი ჟინი სჭირდათო, უცნაურად იშლებოდნენ, იმგვარად უხატავდნენ ყველაფერს, რაც მის გარშემო იყო, რომ მათგან დაჩაგრულს, გული უკვდებოდა და სული ეხუთებოდა. მასში იღვიძებდა შიში აქაური ცხოვრების წინაშე, და ყოველსავე ამას ხელს უწყობდა ეს მოსაწყენი, დამტანჯველი, სოფლის კაცისათვის დამატყვეევებელი, კარის ჩამკეტავი, ქვეყანას გამაშორებელი სოფლის ზამთარი, რომელიც არა თუ სონიას, შეჩვეულ ეკვირინეს და ოტიასთვისაც მძიმე ასატანი ხდებოდა, და რომლის მალე დათავებას თავმობეზრებულნი, ცეცხლის პირას გდებულნი, დღე მუდამ ღმერთს შესთხოვდნენ.

IX

როგორც იქნა დასასრული მიეცა სულის შემხუთველ ზამთარსაც. გაზაფხულის დღეებიდანვე შემთბარ ბუნებასთან ერთად იღვიძებდა, სიცოცხლეს უბრუნდებოდა ყოველივე სულდგმული.

წელში იმართებოდა ტყვეობისაგან განთავისუფლებული და მხიარულად გამოიყურებოდა. განახლებული ბუნება იმოსებოდა, ირთვებოდა და იკაზმებოდა; მაყურებელს გულს უხალისებდა; განოყიერებული მიწა, მზის თბილი სხივების ქვეშ შემშრალი, სამუშაოდ იწვევდა ადამიანს და გულს უვსებდა მომავალი შესაძენის ათასნაირი იმედით. ეს საერთო გამოფხიზლება, გაფურჩქვნა, სითბო, სინაზე, ატეხილი ჟრიამული ფრინველთა, მათი ჭიკჭიკი, ეს საყოველთაო სიმხიარულე და ხალისიანობა ადამიანის გულსაც ახალისებდა, იერთებდა მას, ამას წინათ ტყვედ ყოფილს, და თითქოს რაღაცას ჰპირდებოდა მომავალშიც, ამხნევებდა, თითქოს უკეთეს მომავალს უქადიდა.

გულშეღონიერებული მუშა, შეხალისებული ამ იმედით, სამუშევრისკენ მიეშურებოდა — დროით დაეხნა და დაეთესა.

ოტიამაც გაიტანა ყანაში თავისი სახნისი. დილა ადრიანად იგი მისდევდა უკან ხარებს და აღარაფერი ახსოვდა რა ამ თავისი საქმის გარდა, ისე გულმოდგინედ მუშაობდა. მიწა რბილი იყო, კარგად იხვნებოდა, სახნისი თითქოს დასცურავდა მიწაში, მისრიალებდა და ფშვნიდა მიწას. ოტიას თითქმის ენანებოდა, როცა შემოსწრებული საღამო იძულებულს ხდიდა მუშაობა შეეწყვიტა და გადაედო დილამდის. დაღლილი, დაქანცული, ოფლში გაწურული, ამ დაღალვას მხოლოდ მაშინ გრძნობდა, როცა სახლში ბრუნდებოდა, სადაც მას ელოდებოდა ადრიანი ვახშამი — ცხელი ჭადი და ამოლესილი ლობიო, ხშირად უმწვანილო, რადგან ბოსტანი ის იყო ითესებოდა მხოლოდ, და ვახშმის შემდეგ იქვე ძილი, რომ დილით გათენებამდის ამდგარიყო და განეგრძო თავისი შეწყვეტილი მუშაობა.

მუშაობდა ოტია სწორედ თავდაუზოგავად. სხვებსავით მისი გულიც მხოლოდ იმედით იყო სავსე. მუშა იგი წინათაც კარგი იყო, დაუზარებელი, მაგრამ ახლა აორკეცებდა თავის გამრჯელობას, რადგან თვითონ ხედავდა, რომ ახლა მეტი ეჭირვებოდა, მეტი მოთხოვნილება ემატებოდა. მას იმედიც ჰქონდა, რომ გაუძღვებოდა ამ შემატებულ საჭიროებას თავისი დაუზარებლობითა და ხელშეუშვებელი მუშაობა-მუყაითობით.

გარემოება ითხოვდა მეტის შეძენას და ოტია ამას ეძებდა მიწაში; ამიტომაც რაც ძალა და ღონე ჰქონდა აწვებოდა სახნისს, რომ ღრმად გადმოებრუნებინა მიწა და ამოეღო იქიდან თავისი საკეთილდღეო. იმედით სავსე გულიდან ამომავალი ხმით დაღლილ ხარებს ამხნევებდა მაღალი შეძახილით „ხი-ხი-ხიო! გასწი, გასწი!..“ ეს მისი ძახილი გადაღმა გადადიოდა და უერთდებოდა მის მეზობ-

ლად, მისგვარადვე მომუშავე აზნაურთა და გლეხთა ამგვარსავე შეძახილებს. ამ დროს მას ყველაფერი დავიწყებული ჰქონდა: თავისი წოდებაც, გვარიშვილობაც, სიამაყეც — იგი იყო მუშა, გულმოდგინე, თავდაუზოგველი მუშა.

და სწორედ ამგვარ მუშაობაში იყო გართული, — სვრელი გაიტანა, ღონივრად ამოჰგლიჯა სახნისი მიწიდან, ხარები შემოაბრუნა და მძიმე ხე შემოატრიალა, რომ უკან გამობრუნებულიყო, — როცა ამ დროს ხმა მოესმა: ვიღაც ეძახდა. ოტიამ არ შეაჩერა მუშაობა და მხოლოდ თვალი ქნა იქით, საიდანაც დედამისის ხმა ისმოდა. მაგრამ როცა ეკვირინესთან ერთად სონიაც დაინახა, იგი შეჩერდა ცოტა ხნით. მას შერცხვა, რომ ამ სახით უნდა ჩვენებოდა თავის ცოლს.

— ოუშვი, ოუშვი, შვილო, ხარები და სადილი ჭამე, — მიაძახა ეკვირინემ ხის ქვეშიდან, სადაც პაწია მოლზე მას კალათი ედგა, რომელშიაც ჩაწყობილი იყო სადილი. — არ გესმის?.. ოუშვი, ჰო!.. დაჯექი, შვილო! — მიუბრუნდა ახლა იგი რძალს. — ახლავე მოვა... გეყოფა, შვილო ოტია!

— ახლავე, ახლავე! — მიუგო ოტიამ, რომელმაც ისევ განაგრძო მუშაობა, მიიტანა სვრელი ბოლომდის, ახსნა ხარები, მირეკა ისინი ეკლიან ბურდამდის და მხოლოდ მაშინ წამოვიდა ქალებისაკენ.

— შენ რამ ჩამოგიყვანა?! — ღიმილით უთხრა მან ცოლს, რომლის მიშტერებული თვალების ქვეშ უხერხულად გრძნობდა თავისთავს; ოტიას სცხვენოდა, რომ სონია ხედავდა მას პერანგისა და მისი ამხანაგის ამარა, რომ ტიტველი წვივებით ტალახივით აზელილი მიწით შეთითხნილს, ხელებმოსვრილს.

— ჩამოვყევი დედას, — მიუგო სონიამ. მის ხმაში რაღაც გულდაწყვეტილობა შეიმჩნეოდა.

— ჩამოვიდა!.. რა საკითხავია... ცოლი აბა არ ინახულებს ქმარს, რომლის წყალობითაც შემოდის ყოველი ნამუშევარი ოჯახში?! რა საკითხავია ეგ?.. დაჯექი, დაჯექი, შვილო... საჭმელს ნუ გააცივებ... ჩვენც შენთან ვჭამთ, ჯერ არც ჩვენ გვისადილნია... იამება აქ შენთან, ყანაში, სადილი-მეთქი და იმიტომ აღარ ვაჭამე შინ.

ოტიამ წაიბანა ხელი და, მოშივებული, დიდი ნატეხებით გლეჯდა თბილ ჭადს, ამოუსვამდა ლობიოს, მადიანად იდებდა პირში დიდ ლუკმას და, მოწყურებული, სცლიდა სტაქანს სტაქანზე წყალმაჭარას. სონია მისჩერებოდა მას და ცოტ-ცოტას ჭამდა.

— რატომ არ ჭამ? — მიმართა ოტიამ ცოლს, რაკი შეამჩნია

რომ იგი უგუნებოდ ეკიდებოდა სადილს. — ჭამე, შე ქალო, არ გშია თუ?

— ვჭამ... რაც შემიძლია, — მიუგო სონიამ.

— სულ არ იცის ჭამა! — წამოიძახა ეკვირინემ, — არ ვიცი, რა მოვუხერხო!.. ჯავრი მკლავს, სხვა არაფერი; რომ გამიხდეს და გამხდარი ნახონ დედამ და ძმამ, რას იტყვიან? რას არ იტყვიან, რას! ჭამე, შენი ჭირიმე, ნუ ჩაგვაგდებ სირცხვილში. ასე ეგონებათ, ვერაფერი ვერ უშოვეს, რომ ეჭმიათო! ეგებ ეს არ გიამება და აბა მითხარი და შენს საამურს გაგიკეთებ... ოღონდ კი ერთი დაგინახო მადა მოსული, სხვა არაფერი მინდა... მე მეგონა, აქ უფრო შეხალისდებოდი, უფრო გამხიარულდებოდი და მადაც გაგეღვიძებოდა, შენ კი... ე! აღარ ვიცი, რა ვიფიქრო! ამას თუ აღარ ჭამს კაცი ამ მწვანეზე, ყანაში, აღარ ვიცი! ასე რომ მგონებოდა, აღარც კი გამოგარონიებდი ამხელა გზას. ეგებ მართლა გზამ დაგღალა და დაგიკარგა მადა? ასე მგონებოდა, ღმერთმანი, არც კი წამოგიყვანდი... გავახალისებ-თქვა, ვიფიქრე!

გამახალისებელი ვერაფერი დაინახა სონიამ და სწორედ ამის გამო მადაც დაკარგული ჰქონდა და გულმოხარშული იჯდა. გამახალისებელს რას ხედავდა? როგორც იგი თავისი თვალით ხედავდა, ამ წამში, ამხანად, მისი ქმარი, სახელად ოტია, გვარად ქამუშაძე, წოდებით აზნაური, იყო ნამდვილი გლეხი, მუშა გლეხი, ყოველი მხრივ ისეთივე გლეხი, როგორც აი გადაღმა ყანაში მომუშავე მათი მეზობელი პეტრია დინარაძე, სრული მისი მსგავსი, გარდა იმისა, რომ აზნაურიშვილად იწოდებოდა, აზნაურობისათვის სასაცილო ხასიათი ეძლეოდა და თითქმის უფრო ამცირებდა ოტიას ამ გარემოებაში. ამას ხედავდა, ამას გრძნობდა სონია და შელახული მისი თავმოყვარეობა უცნაურად ამუშავებდა მის გონებას. პირველ დღიდანვე, რაც მან ფეხი შემოდგა ამ ოჯახში, ამჩნევდა ამას იგი, მერე თანდათან უფრო რწმუნდებოდა ამაში, რაც უფრო აკვირდებოდა, და დღეს კი, დღეს იგი უფრო თვალსაჩინოდ ხედავდა, რა გარემოებაშიც იყო ჩავარდნილი, ვისთან შეჰყარა ბედმა. თავს დაჩაგრულად გრძნობდა და თავის თანდათან გაღვიძებულ თავმოყვარეობას — შელახულად. გულნატკენს ცრემლები ყელში ებჯინებოდა.

გულმოკლული, დაღონებული, გარეტიანებული დაბრუნდა სონია სახლში და თვალწინ მოუშორებლად ედგა მისი ქმარი — გლეხი, ყაზახი გარეგნობით, ზესედულებით, საქციელით, მოქმედებით და შეძლებით... შეძლებითაც.

ეს უკანასკნელი გარემოება დღითი-დღე უფრო თვალსაჩინო ხდებოდა მისთვის. და თუ ქმრის გარეგნობა თავმოყვარეობას უჩაგ-

რავდა, მისი სიღარიბე კი შიშის ზარსა სცემდა, სასოწარკვეთილებაში აგდებდა, ყოველ ნუგეშს უკარგავდა და თითქოს ჩასჩიჩინებდა, რომ თუ მდგომარეობა ამ მხრივ არ გამოიცვალა, უბედურების მეტი არა მოგველის რაო მომავალში. ამგვარმა მდგომარეობამ გასაოცრად იმოქმედა ყმაწვილ ქალზე, გასაკვირლად გამოაფხიზლა მისი გონება, დაკვირვებულად შეახედვინა მომავლისათვის, გაათვალისწინებინა საწინაო, და აქამდე მოსვენებული სონია მოუსვენრად შეიქნა და თითქმის მებრძოლ ადამიანად გახადა თავის აწმყოსთან.

სონიას გულს უწყალავდა და თანაც აშინებდა ის მომავალი, რომელიც თვალწინ ეხატებოდა. გაჩუმება აღარ შეიძლებოდა. მისი აზრით, მას ხმა უნდა ამოეღო და ქმრისათვის დაენახვებინა თავიანთი მდგომარეობა, თუკი იგი თავად ვერ ხედავდა. ეს უსათუოდ საჭირო იყო მათი მომავალი კეთილდღეობისათვის.

სონიამ შეარჩია ისეთი დრო, როცა თავის მდგომარეობით კმაყოფილი ეკვირინე სხვაგან იყო წასული და არ შეუშლიდა ქმართან მოლაპარაკებას. მან გადასწყვიტა, მოელაპარაკნა ოტიასთან, ეთქვა მისთვის, რომ ეზრუნა მათი ცხოვრების გაუმჯობესების საჭიროებისათვის, მათი პატიოსნების დაცვისათვის; მიეღო ყოველივე ღონე, რომ მათი შვილი ყაზახად არ გაზრდილიყო, სამარცხვინოდ არ ჰქონებოდა მიკერებული აზნაურიშვილობის სახელწოდება, აეცილებინა მისთვის გაჭირვება, უკიდურესი გაჭირვება, რომელიც მას უსათუოდ მოელოდა. მერე ეს საზრუნაველი — ერთი ეყოლებათ, ორი ან სამი...

სონია გაცხარებით ელაპარაკებოდა ამას და ეკითხებოდა ქმარს, რას აპირებ, რა აზრს ადგეხარო, რა ღონეს იღონებო.

— ჰო, ჰო, რას აპირობ, რას?.. რას უპირობ ამას, აგერ რომ შემოგვემატება?..

ოტიას უხაროდა იმის გაგონება, რომ მალე მამა შეიქნებიო, რომ შვილს დავინახავო, მაგრამ სიამოვნების, სიხარულის ღიმილი მოუსპო ცოლის სიტყვებმა.

— ჰო, რას უპირობ?

— რას უნდა ვუპირობდე, შე ქალო! — მიუგო მან წყნარად.

— შენ თვითონ ვერ. ატყობ, რომ ის, რაზედაც ახლა ვდგევართ, ჩვენთვის ვერაა სამყოფი? ვერ ატყობ?

— ვატყობ... რავა არ ვატყობ! — წაილაპარაკა დამნაშავესავით ოტიამ.

— ჰოდა, ვინც ჩვენ მოგვყვება, იმათ რა ცეცხლში უპირობ ჩაგდებას? მე შენ გეკითხები და, ოტია, პასუხი უნდა მომცე ამაზე!

— არ ვმუშაობ თუ? რომ ვხედავ ყველაფერს, იმიტომ თავს არ ვიზოგავ... თავს აღარ ვიბრალებ... ასე არაა, შენ თავად არ ხედავ ამას, სონია?!

ეს ისეთი უწყინარი და გრძნობიერი კილოთი თქვა ოტიამ, რომ სონიას უფრო აუდუღდა გული. რასაკვირველია, იგი ხედავდა ოტიას მეცადინეობას, ამჩნევდა, რომ ეს კაცი მიხვედრილია თავის მდგომარეობას, ხედავდა, რომ იგი მართლა თავს არ იზოგავდა, არავითარ მუშაობას არ ერიდებოდა, ოღონდ კი შეეძინა რამ, ხედავდა მის სინდისიანობას და კაცობას და როცა ყოველი ამის მიუხედავად, არა ემატებოდათ რა ოჯახში, თუ არ აკლდებოდათ, მით უფრო აშინებდა მომავალი. მით უფრო აწუხებდა მომავლის წარმოდგენა. აი ახლაც ამგვარად იმოქმედეს ოტიას სიტყვებმა მასზე — ოტია თითქოს უნდა დარწმუნებულიყო, რომ ამ ნიადაგზე მათი კეთილდღეობა შეუძლებელი და მოუხერხებელი რამ იყო.

— ყიდევ უფრო მეტს ვიმუშავებ, თავს შევაკლავ! — გაიმეორა ოტიამ იმავე კილოთი. — უფრო ვეცდები კიდევ!

— რას ეცდები, ოტია? რას შეაკლავ თავს? მაგით რომ არაფერი გამოდის?!

— აბა, სხვა რა ვქნა, შენ გენაცვალე! შენ მითხარი, მირჩიე... მიმახვედრე და ისე გევირჯები, ისე მოვიქცევი, მირჩიე...

— მე რა გირჩიო? მე რა გირჩიო, ღმერთო ჩემო! — წამოიძახა სონიამ და გულადუღებული იქვე ჩაიკეცა, უღონოდ ჩადო მუხლებში თავი და ტირილი დაიწყო.

პირველ წამში ოტია სახტად დარჩა სონიას ასეთი მოქცევით; შემდეგ გონებადაბნეული მივიდა მასთან, მიუჯდა გვერდით, მოხვია მარჯვენა ხელი, მარცხენათი კი ხელში მოჰკიდა · და სიყვარულით სავსე სიტყვებით დაუწყო ხვეწნა, დამშვიდდიო, გული გაიმაგრეო, აღარ იფიქრო ამგვარებზეო; ჰპირდებოდა, ყოველ ღონეს ვიღონებ და საშველ გზას გამოვნახავო, გამოვაკეთებ ჩვენს მდგომარეობასო.

— ოღონდ შენ ნუ მოიქცევი აგრე... შენ ნუ შემახედვიებ, რომ სატირლად გაქვს ჩემს ოჯახში ფეხის შემოდგმა, ჩემთან ცხოვრება.. ყველაფერს ვცდი... ყველაფერს ვიღონებ... თავს გევიტეხავ და საცხა იქნება, მოვნახავ სახეირო გზას... რაც რომ დამემართოს... ოღონდ შენ ნუ წუხარ... ჯერჯერობით მაცალე, მადროვე კი... შენი ჭირიმე, ჩემო სონია, ჩემო! მართალია, ღარიბი კაცი ვარ... მოტტუებული დარჩი ჩემით... მაგრამ ენდვე ჩემს კაცობას, ჩემს პატიოსნებას... რითაც იქნება, კი მოვნახავ გზას უკეთეს ცხოვრებისაკენ... ღმერთი მოწყალეა, არ დაგვაგდებს, სულ არ მოგვიძულებს... რავა დევიჯერო!.. ვიქონიოთ მისი იმედი... კი, ჩემო სონია, კი, კი! ჩვენი

შვილები ღმერთმა ნუ აცხოვროს ისე, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ. რაღა კაცი ვიქნები მაშინ! არა, არა, შენ არ მომიკვდე, შენ! — და მან გადაუწია პირზე მიფარებული ხელი და სიყვარულით აკოცა სახეზე, ჯერ მოუხერხებლად, ვაუბედავად, რადგან ეს პირველად იყო, რომ იგი ესიყვარულებოდა ქალს, პირველად ეალერსებოდა თავის ცოლს.

ოტიამ თითქოს დაუმშვიდა გული ცოლს, თუ სამუდამოდ არა, დროებით მაინც; დაიმედა, მაგრამ თვითონ კი ამ დღიდან ძალიან შეფიქრებული შეიქნა. რაც ცოლისაგან მან გაიგონა, თავადაც ხედავდა, მაგრამ რადგან ხმამაღლა არ იყო გამოთქმული, ოტია თავს არიდებდა. ახლა კი საქმე და მდგომარეობა იცვლებოდა, აღარ იფარებოდა მათი ამბავი, მოსაფიქრებელი ხდებოდა და საჭირო იყო ღონისძიების მიღება.

ოტია ხარობდა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ შვილს დაინახავდა, მაგრამ თან ისიც ახსოვდა, რა ლაპარაკი ჰქონდა ცოლთან და რა უთხრა სონიას. ის ახლა ცდილობდა გაემართლებინა თავისი დანაპირები — ოჯახის შემმატი გზა ეპოვნა, გამაუმჯობესებელი, — და რომ ვერას ახერხებდა, ვერას იგონებდა, მოხუცებულ დედასთან დაღონებული ამბობდა:

— რა მოვაგვარო, რას მოვეკიდო, არ ვიცი... აწი ხომ უფრო მეტი დაგვჭირდება ყველაფერი...

შვილიშვილის მოლოდინით გულმხიარული ეკვირინე ამხნევებდა შვილს:

— ღმერთი მოგცემს, შვილო, ღმერთი მოგცემს! თავის გაჩენილს თავის ლუკმას გაუჩენს კიდეც. რაზე წუხარ, შენი ჭირიმე! გულგახსნილად იყავი. ღმერთი მოგცემს ყველაფერს! ყველაფერი გვექნება... ბევრიც გვექნება... ბარე ათი დედალი მყავს დამჯდარი; ისე რავა გაოხრდებიან, რომ ერთი ასი ფრთა მაინც არ გაზარდონ... ბატიც ოთხი ზის, ათ-ათი კვერცხი უდევთ. ინდოურია სამი... გულმაგრად იყავი!.. ღვთის წყალობით არაფერში არ შევრცხვებით და უკლებლად ვიქნებით. კი, შვილო, კი!..

ასე აიმედებდა მოხუცებული ეკვირინე ოტიას, მაგრამ უკანასკნელი ხედავდა, რომ ეგ ის არ იყო; ქათამ-ბატ-ინდოურით შვილების მომავალს არა თუ უზრუნველს ვერ ყოფდა, ერთ წელსაც ვერ გაუძლებდა. საჭირო იყო სხვა რამე საშუალება, უფრო საიმედო, უფრო საფუძვლიანი, იმისთანა, რომელზე დანდობაც შეეძლო.

ბევრი ფიქრისა და მოსაზრების შემდეგ ოტია იმაზე შეჩერდა, რომ თავისი შვილი მოენათვლინებინა მათივე სოფლის მცხოვრებ მდიდარ გლეხ სვიმონ სამადაძისათვის. ოტიას აზრით, ეს პატივის-

ცემა აზნაურისაგან გლეხისათვის მოვალეობად გადაიქცეოდა, ნათლულისათვის ეზრუნა და არ მოაკლებდა, უსათუოდ, თავის სიცოცხლეში თავის ღონიერ ლუკმიდან შეწევნას.

რასაკვირველია, სათაკილო იყო აზნაურისათვის თავის შვილის ყაზახის ხელში მოსანათლავად ჩაგორება, მაგრამ აქ ანგარიში იყო და საფუძვლიანი ანგარიშიც. ამასთანავე ოტია მით უფრო ჩერდებოდა ამ მოსაზრებაზე, რომ ამ ბოლო ხანს ამგვარი მაგალითი არა ერთი და ორი ყოფილა, სწორედ იმავე განზრახვით, რაც ამასაც ჰქონდა. საჭირო იყო მხოლოდ სონიის დათანხმება ამაზე.

X

სონიას ვაჟი ეყოლა. ეკვირინე იმ ზომამდის იყო გახარებული, რომ თავის ხელით დასცალა ორჯერ თუ სამჯერ ოტიას დაჟანგებული ძველებური დამბაჩა, რაზედაც შეშინებულმა პელაგიამ, რომელიც შვილის მორჩენაზე დასასწრებლად იყო მოსული, კიდევაც უთხრა მძახალს:

— არაფერი მოიწიოთ, ბატონო ეკვირინე!.. არ გასკდეს მაგ დალოცვილი!

— აწი რას დეევეძებ ჩემს თავს... მაგას ენაცვალა მისი ბებია, რაკი მაგ ჩემი თვალით დეევინახე, აწი რაც რომ დამემართოს, არაფრად არ მივიმჩნევ!.. აბა ერთი კიდევ, ერთი კიდევ გამიტენე... ჩემი ხელით ვისროლო!.. აბა, ქვეყანამ არ გეიგოს, რომ პაწაწინა ქამუშაძე ქვეყნად დეიბადა?! მაგას კი ენაცვალა მთელი ქვეყნიერება, მაგას! — და სიხარულისაგან გარეტიანებულმა ეკვირინემ არც კი აცალა ოტიას ხეირიანად გატენა დამბაჩისა, ხელიდან გამოთხლიშა და აივანზე გამოსვლისთანავე დასცალა.

— შეიტყონ, ყველამ შეიტყოს ოჯახის შვილის მობრძანება! — წამოიძახა მან ამაყად.

ოტიაც მეტად გახარებული იყო ვაჟის შეძენით, მაგრამ ამასთანავე იმას ფიქრობდა, თუ როგორ გამოეცხადებინა თავისი ნანაფიქრები სონიასთვის. რამდენიმე ხნის შემდეგ ბავშვის ნათლობაზედაც ჩამოვარდა სიტყვა, რადგანაც პელაგიას ეჩქარებოდა თავის სახლისკენ. ერთხმად ნახსენები იყო ბიაშვილი, მაგრამ რადგან ერთი ნათლია ეცოტავებოდა ეკვირინეს, მეორეზე შეიქნა რჩევა. ამით ისარგებლა ოტიამ და დედას გადაულაპარაკა, რაც გულში ჰქონდა იმის შესახებ. სამადაძის ხსენებაზე თავდაპირველად ეკვირინემ ტუჩები მოკუმა და ხელები გადაშალა, მაგრამ მალე დაეთანხმა შვილს. მალე დარწმუნდა, რომ ეგ კარგი მონაფიქრი იყო: მისი

აზრითაც ამ ნათლიაში მისი შვილიშვილი, რასაკვირველია, თავის მოსამსახურეს იშოვიდა მხოლოდ.

— უთხარი სონიას... შენებურად მოუყევი... შენ ადვილად დაა-ჯერებ... მე ლაპარაკი არ შემიძლია და ვერც კი გაკაგებინებ კარ-გად... მოელაპარაკე! — სთხოვა ოტიამ დედას.

სონია კინაღამ გადირია, როცა დედამთილისაგან სამადაძის ნათ-ლობა გაიგონა.

— ამათ უყურე, ამათ უყურე!.. შენი ჭირიმე!.. ესღა მაკლია, რომ ყაზახს მოვაკიდინო ხელი შვილისათვის! ღმერთო ჩემო, რას მოვესწარი ამას, რას, რას?! დედა, უთხარი რამე, ნუ გვარცხვენენ, ნუ ოხრობენ... საბოლოოდ ნუ მუდრეგდებიან!.. მიშველე, შენ გენა-ცვალე!

პელაგიასაც ეწყინა და სონიას შეპპირდა, რომ ამის შესახებ მოილაპარაკებდა ეკვირინესთან და ოტიასთანაც.

— ყაზახი ქვია, თქვენ გენაცვალეთ, თვარა რომელი აზნოური გოუტოლდება, ჩემო ბატონო! — მიუგო ეკვირინემ, როცა პელა-გიამ ამ საგნის თაობაზე სიტყვა ჩამოუგდო. — მდიდარი, თქვენი ჭირი შემეყაროს, ზრდილობიანი, ისეთი შეხედულება აქვს, თავა-დიშვილი გეგონებათ, უბრალო კი არა, ჩემო ბატონო! ჩვენ არა-ფერი მოგვაკლდება ამ მირონობით და ჩემს პატარა ბიჭუნიას კი მოსამსახურედ გოუხდება... თავმოსაწონად ექნება, რომ აზნოური-შვილი ნათლული მყავსო და, რასაც დაასაქმებ, ყველაფერს იმწამს-ვე გაგიკეთებს. ეს ხერხია, ჩემო სინათლე, და პატიოსან ადგილას ვერც კი ვერავინ გეიგებს, თუ ყაზახს ეკიდა ფეხში ხელი მონათ-ვლაზე... შენც არ მომიკვდე!.. მოსახსენებლად მეორე ნათლია ეყო-ლება, და ამ მოსამსახურეს კი ნუ დოუკარგავთ ჩვენს ანგელოზს!

პელაგიამ არ დაიწუნა ეს აზრი; იგიც მიემხრო ქამუშაძეებს და ამათთან ერთად მეცადინეობდა სონიაც დაეყოლებინა, შეეჯერები-ნა, რომ ბავშვისათვის გამოსადეგი იქნებოდა სამადაძის ნათლიად ყოლა. სონია თუმცა ძლიერ უარობდა, რადგან ამაში ხედავდა შვი-ლის ღირსების დამცირებას, დაბადებისთანავე მისი პატიოსნების შელახვას, მაგრამ დედისა და დედამთილის შეჯერებამ, როგორც იქნა, მის წინააღმდეგობასაც ბოლო მოუღო. დათანხმდა იგიც ბო-ლოს. ოტიას ძლიერ უხაროდა; მას სწამდა, რომ შვილს ამ თავი-დანვე კარგად გაუძღვა, ისე თუ ასე მოჭირნახულე მოუპოვა მისივე მახლობლად. ამავე დროს კი სონიას გული ნაღვლით ევსებოდა, რადგან ფიქრობდა, რომ ის დახმარება, რომელიც გლეხმა სამადა-ძემ ჩვენს შვილს უნდა გაუწიოს, ჩვენი თავის დამცირებით უნდა

შეეიძინოთო. რომ რამე რიგათ აეცილებინა ეს თავის დამცირება, მან საბოლოოდ ბიაშვილზე მიიტანა სიტყვა.

— თქვენ კი გადასწყვიტეთ, მაგრამ ეგებ იმ კაცმა არ ისურვოს სამადაძესთან ერთად ბავშვის მონათვლა. ჯერ ჰკითხეთ იმ კაცს! — თქვა სონიამ.

მაგრამ მისი იმედი ფუჭი გამოდგა. როცა პორფირის დაეკითხნენ ამის შესახებ, უთხრეს, რომ სამადაძე მდიდარი, შეძლებული გლეხთაგანიაო, მან რიხიანად წამოიძახა:

— დიდი სიამოვნებით! ნეტავი მეც მომნათლავდეს ის ოჯახდაქცეული, თუკი მართლა მდიდარია! ცოტა რამეს მაინც გამორჩებოდა კაცი!

ბიაშვილმა არა თუ იწყინა წინადადება, პირიქით, მას კიდეეაც გუნებაში ესიამოვნა, რადგან მისი გამჭრიახი გონება ეუბნებოდა, რომ მდიდარ ყაზახთან ამ დაახლოებით მას შეეძლო კიდეც თავისებურად ესარგებლნა.

თავი რომ არ შეერცხვინათ არც მოყვრებთან და არც მეზობლებთან, ნათვლა სამაგალითო გადაიხადეს. რადგან ბევრი ჰყავდათ დაპატიჟებულნი და მათ სახლში დატევა ყოვლად მოუხერხებელი იქნებოდა, ამის გამო ეზოში გააკეთეს პატარა ფანჩატური, რომლისკენ სიამოვნებით გამოეშურნენ სტუმრები, გაჭიანურებულ საიდუმლოების აღსრულების შემდეგ ჩია მღვდლისგან, რომელსაც, ალბათ, ამით უნდოდა თავი მოეწონებინა ქალაქელებთან.

— კი არ მოგვკლა ამ უღვთომ?! — წამოიძახა სერაპიონ გორდელაძემ, რომელიც ერია სტუმრებში. — რა დროს ამდენი ბურტყულია, ნერწყვი მიშრება, ათასი რამე სხვადასხვანაირი საჭმელი მომელის ამ ჩვენი კურთხეული მასპინძლისაგან დამზადებული!.. დამაჯინე, შენ გენაცვალე, ოტია ჩემო... თუ შეიძლებოდეს მღვდელთან ახლოს — ვიცი, კაი-კაი ნაჭრები მიუვა; თავს რავა შეირცხვენს. მეც არ მარგოს რამე თავის ულუფისაგან!.. შენ არ მომიკვდე, სახლში წასაღებად არაფერი დავატოვებინო!

გარშემო იცინოდნენ ამაზე. ოტია, ეკვირინე და ორიოდე ყმაწვილი დაფუსფუსებდნენ, სთხოვდნენ დაბრძანებას სტუმრებს და თან მოჰქონდათ სხვადასხვა ნამზადი.

პორფირი და სამადაძე ერთად დასხდნენ იმ თავისკენ, სადაც ქალები ისხდნენ და მათ შორის ბეგლარიც ქეველიძის ქალიშვილებთან. ესენი იყვნენ სონიას სურვილით მოწვეულნი და იგი განსხვავებული ყურადღებით ეექცეოდა მათ.

— შენ აგერ დაბრძანდი, ბესარიონ, სერაპიონთან! — ანიშნა ოტიამ თავის ბიძაშვილს, ლევანის შვილს, რომელიც, ის იყო, რა-

მოდენიმე დღის წინათ მოსულიყო სახლში იმდენი ხნის გადაკარგვის შემდეგ; მოსულიყო დროებით, რადგანაც სადღაც ადგილი ეშოვა და მსახურობდა.

— მოდი, მოდი, ბიძიკო, ამბავს მაინც მომიყვები, სად იწანწალე ამდენი ხანი! — უთხრა სერაპიონმა. — მარა ამ ხუცესს ნუ დოუწყებ ლაპარაკს, თვარა იმწამსვე დარიგებას დაგიწყებს, წირვა უნდა გადაიხადოო, რადგან მშვიდობით დაბრუნებულხარო...

— მართლაც სადა ხართ ახლა, ყმაწვილო? — შეეკითხა ბესარიონს მღვდელი. — სამშობლო მოიძულეთ!

— რა ვქნა, ბატონო, აქ წელში გავწყდი, ვერაფერს ვეწიე, ახლა ცოტ-ცოტას რაიმეს ვშოულობ... თავი გამომაქვს მაინც.

— თქვენი ძმაც თქვენთან არის?

— არა. ვერ გევიგე, სადაა ახლა... ამას წინათ კი რკინიგზაზე იყო, ბუტკაში იდგა... ახლა არ ვიცი, გადიყვანეს სადმე, თუ სამსახური გამოიცვალა...

— კაი დაგემართოთ, მარა ოჯახს მაინც არ უნდა ივიწყებდეთ. თქვენს სამშობლოს, სალოცავს.

— რავა ვქნათ, ოჯახმა ვეღარ დაგვარჩინა...

— კარგია, მამაო, კარგი, სული გიცხონდება! გამაგრდი, ბიძიკო, ახლავე წირვას დაგაკისრებს, არ მოგატყუოს, არ გაბრიყვდე! მაგათ მიეცეთ დღეგრძელობა, მაგათ მე კაი საქმე დამმართეს! შემომჩიოდნენ, სალოცავი გყავს დავიწყებულიო, იმიტომ მიგდის საქმე ცუდათო, არაფერი გაბადია, წირვა გადაიხადეო, — ათასად შეიმატებო. დოვუჯერე, გადვიხადე წირვა, რაც რომ მქონდა, სულ გამოვუტანე. ვინც მეწვია, შესვეს-შეთანთქლეს და შენს მტერს ისე შეემატა, რაც მე შევიმატე მერე! უიმისოდაც მუცელს ფაყა-ფუყი გაჰქონდა, ახლა კანი ხერხემლის ძვალს მიეკრა, ეს საქმელი რომ ჩეეტკეპნება შუაში და დააცილებს ერთმანეთს! არა, ბიძიკო, შენ შენს საქმეს მისდიე, ამათ სიტყვას ნუ აჰყვები, თვარა ჩვენისთანა ღარიბ აზნოუშვილს წირვა ვერაფერს უშველის... მე არ მოგიკვდე!..

— შენ არ მომიკვდე, ღარიბი აზნოუშვილი, რატომ?.. შევარცხვინე ღარიბი აზნოუშვილი, შევარცხვინე, ვინც ღარიბი იყვეს!..— წამოიძახა იქვე ახლოს მჯდომარე, ხანში შესულმა აზნაურმა, დაცრეცილი ძველი ჩოხითა და ჭუჭყიან ყაბალახით თავზე მობურვილმა, რომელიც დაჯდომისთანავე ისე მიეხალისა ღვინოს, რომ იქვე შეთვრა და რაც ლაპარაკი იყო მის გარშემო, კანტიკუნტად ესმოდა. — შევარცხვინე, ვინც ღარიბი იყვეს! შენ არ მომიკვდე, თქვენს ნიკოლოზს ყოველთვის გამოულეველად ჰქონებია წუ-

ლაც და მისი კალოშიც, ყოველთვის გამოულეველად, გამოულეველად! — და თანაც პირში იტენიდა ზორბა-ზორბად მოთლილ ხორცის ნაჭრებს.

ამასობაში სუფრის მეორე თავში სიმღერა ისმოდა; ტოლუმბაშად დაყენებული პორფირი გულმოდგინედ აძალებდა ყველას ღვინოს და იმდენს ეცადა, რომ ერთი ყიჟინი ასტეხა ღვინოში შესულ სტუმრებს შორის. შეზარხოშებული ბეგლარი აღარ ეშვებოდა ქალიშვილებს, სიმღერას სიმღერაზე ათქმევინებდა და იმ ზომამდის მივიდა, რომ თვითონაც დააპირა სიმღერა ნინოსთან და ოლიკოსთან. პელაგია აღტაცებით შეჰყურებდა თავის ვაჟიშვილს და ერთობ მოსწონდა მის გვერდით მჯდარი ქალიშვილიც.

— უფრო რომ გვიცნობ, უფრო მოგეწონება, ისეთი რამეა! ანგელოზია, დედა, ანგელოზი! — ყურში ჩასჩურჩულებდა სონია დედას.

— ნეტავი კი ისურვებდეს და მაგაზედაც ნაკლები იყვეს, შვილო, ნეტავი კი ისურვებდეს, მაგას ვენაცვალე! ერთობ კი ევლება, ეგებ ღმერთმა ჩაუდვას გუნებაში, ნეტავი მაგას მომასწრობდეს ჭამა-ზეციერი!

მთვრალები თანდათან ემატებოდნენ. ატყდა ხმაურობა, ყაყანი; ყველანი აირივნენ. ქალები ადგნენ და ნელ-ნელა ეზოს კუთხეში გაეფინენ დაირითა და მუსიკით. ამათკენ გამოემართა ბეგლარიც ნინოსთან და ოლიკოსთან ხელიხელ გაყრილი.

— მაზურკა! — წამოიძახა მან, როცა მიუახლოვდა ქალებს. — მაზურკა! — და ნინოს ხელი წაავლო მაზურკის სათამაშოდ. — მაზურკა! — მიაძახა მან ქალიშვილს, გარმონიკას რომ აწრიპინებდა.

ქალიშვილმა ვერ გაიგო, რას სთხოვდნენ და შეკითხვის ნიშნად ვადახედა მის გვერდით მდგარ ქალებს.

— მაზურკა! — გაიმეორა ბეგლარმა. — მაზურკა დოუკარით! — და რადგან დამკვრელი არავინ იყო, იგი გახტა წინ, კვინტებით ისროდა ფეხებს და მიათრევდა დარცხვენილ ნინოს, რომელსაც უფრო და უფრო ერეოდა სიწითლე პირისახეზე, რადგანაც ესმოდა გარშემო ქალების შეკავებული სიცილი და ფრუტუნი, გამოწვეული მისი კავალერის უცნაური კუნტრუშით.

კარგა ხანს აპროწიალა ბეგლარმა ქალიშვილი, ხან იქით გაარბენინა, ხან აქეთ გამოარბენინა. წელზე ხელის შემოხვევით რამდენჯერმე შემოატრიალა, ბოლოს ცალი მუხლი მოიდრიკა, თავზე შემოივლო, რამაც ერთი ხითხითი გამოიწვია, მერე კოხტად წამოხტა, თავი დაუკრა და თანაც დაატანა:

— მერსი! მერსი!..

ნინო დარცხვენილად იღიმებოდა, ქალები კი მეტად გაართო ამ ამბის ყურებამ. ბეგლარმა ისევ ხელი ხელში გაუყარა ნინოს და განშორდა ჯგუფს. ფანჩატურიდან კი ერთი ხმაურობა ისმოდა, — დამთვრალი კაცების ხრინწიანი ხმები, არეული სიმღერა. პორფირი ჩამჯდარიყო ყმაწვილებში და ერთი ამბავი ჰქონდა, აცინებდა, ხან ღვინოს აძალებდა, ხან მათთან მღეროდა, კოცნიდა და ამგვარ თავმდაბლობით შეხალისებული ყმაწვილები თავზე ევლებოდნენ და თავიანთ სიყვარულს და პატივისცემას უცხადებდნენ მას.

ღვინისაგან გაბრუებული მღვდელი, თითქოს ვისმეს დაეჭედა, ისე იჯდა უძრავად თავის ადგილზე, ხმასაც ვეღარ იღებდა და ხანდახან თვალებს გადმოაბრიალებდა. სერაპიონი ამ ქვეყანას აღარ იყო: წამომჭეხებულ პირისახეზე ეტყობოდა, რომ ზომაზე გაცილებით მეტი დაელია. მაგრამ მაინც კიდევ სვამდა და კიდევ ჭამდა გაუმაძღრად. ოტიას ბიძაშვილი, ბესარიონი, უკვე ვიღაცას წალაპარაკებოდა და წკიპზე იყო შემდგარი — ჩხუბის დაწყებას ეპირებოდა. „წულაკალოშ გამოულეველი“ ნიკოლოზი სტოლზე დამხობილიყო, გონებადაკარგულივით რაღაცას ბურტყულებდა თავისთავად და გონს მოდიოდა მხოლოდ მაშინ, როცა ღვინით სავსე სასასმოს მიაწოდებდნენ და ჩასძახებდნენ, თუ რა სადღეგრძელო ისმებოდა. იგი თავს წამოსწევდა, გამოცლიდა ღვინოს ხმაამოუღებლად და ისევ ჩაემხობოდა ახალ სადღეგრძელომდის.

ნათლია სამადაძე დიდხანს იმაგრებდა თავს და ღვინოს ერიდებოდა, მაგრამ პორფირე ეცადა და ბოლოს დაათრო; ადგილზე ვეღარ დგებოდა და, ზორბად მოსული ყაზახი, აქეთ-იქით დაბანცალობდა. ბესარიონმა ის იყო უშოვა თავის გამაჯავრებელს საკბილავი, შეება და ატეხილ ყაყანში მოულოდნელად უნდა ეთხლიშნა მოპირდაპირესათვის, როცა აბანცალებული სამადაძე შუაში მოექცათ.

— სუთ, სუთ! გაყუჩდით! რა ამბავია? ეი, შენ, ბესარიონ ქამუშაძე, სუთ! — და მან ხელი დაარტყა მხარზე ბესარიონს.

ბესარიონი აინთო.

— გაწყინა პატივისცემამ, ყაზახო?! — შეუბღვირა მან და მისკენ გამოწეულ სამადაძეს ისე ღონივრად წაჰკრა ბლიქვი გულმოსულმა, რომ ეს კაცი საცოდავად დაენარცხა მიწაზე.

დაცემული უცბად წამოაყენეს; ამან იგი თითქოს გამოაფხიზლაო, ათრთოლებული, გაბრაზებული, მთელი სხეულით ცახცახებდა და თავდაპირველში სიტყვის წარმოთქმას ვერ ახერხებდა.

— ყაზახი ვარ! — შეპყვირა მან, წელში გამართულმა. — ყაზახი ვარ, მარა შენისთანა შემოდგომის აზნოუშვილს კიდევ ვჯობივარ!..

თუ ძალზე ხარ, მობრძანდი, ახლო მობრძანდი, ისე დაგბუბნო, რომ ღობემდისაც ვერ მიგყვეს შენი დამშეული სული!.. შენისთანა შემოდგომის აზნოუშვილების რა მცოდნია?! ძალიან გულზე არაა, ჰმ!

შეიქნა ერთი ყვირილი. ამ „შემოდგომის აზნაურობის“ ხსენებამ ბევრი ააპილპილა.

— გააგდეთ მაგ... გააგდეთ მაგ ქინქლიანი ყაზახი!..

— მაგას ვაყურებიებ შემოდგომის აზნაურს!..

— რაც რომ იყვეს, უზრდელ ყაზახს მაინც სჯობია! რავა ბედავს მაგ მხეცი, მერე სად? — ყვიროდნენ აქეთ-იქიდან.

გაბრაზებულმა ბესარიონმა იშოვა, მისი აზრით, მარჯვე დრო და კატასავით მიეპარა, ეცა სამადაძეს და წაქცევა მოუნდომა, რომ შემდეგ უფრო გაადვილებოდა მისი ცემა. მაგრამ გლეხმა დროზე შეასწრო თვალი, გაუმაგრდა, დაავლო ხელი და ის იყო შეაგდო მაღლა, რომ ღონიერად მიწაზე დაებერტყნა, როცა გარს შემოეხვივნენ, ბესარიონი ხელიდან გამოსტაცეს, შეერთებული ძალით მიაწვნენ მოწინააღმდეგეს და მუშტები დაუშინეს.

შეიქნა ერთი ჭყივილი, ღრიანცელი; აკივლდნენ ქალები. გამოფხიზლდა მღვდელიც. ძლივს წამოდგა და მოჩხუბრებისკენ გასწია, დამშვიდება მოინდომა. რაღაც შეესმა ნიკოლოზსაც, რომელსაც სერაპიონმა ურჩია, ამდენი მოსვენების შემდეგ ძვალრბილი გაენძრია სამადაძის წინააღმდეგ „შემოდგომის აზნაურთან“ ხელის გამოღებით. მაგრამ ნიკოლოზი ისევ თავის ადგილას დარჩა და, ღვინისაგან გარეტიანებული, ბრიყვულად იმეორებდა:

— შევარცხვინე... შევარცხვინე შემოდგომის აზნაურიცა და ყველაც!.. შემოდგომის აზნაური... ყველა... ყველა... შემოდგომის აზნაურიც და ყველა!..

ამავე დროს ამ საერთო არეულობაში ბეგლარს მაგრად ჩაუკიდნა ხელი ნინოსთვის და თითქოს ყველაფერი დაევიწყნა, თითქოს ამ ქვეყნიერებისა არა ესმოდა რა, აღტაცებული სიტყვებით უცხადებდა თავის გრძნობას მის სიტყვებზე შემკრთალ, გაფაციცებულ ქალს. ბეგლარი იმ ზომამდის მისულიყო, რომ სხვების მოურიდებლად კიდევაც წაეძრო ხელიდან ბეჭედი, ძალათი ნინოსთვის წამოეცმევინა თითზე და ემუდარებოდა, — გამაბედნიერე შენი სიყვარულით და გამიშუქე ჩემი მომავალი ოჯახი შენის ნაზის სხივებითაო.

— ხომ კი... ხომ კი?.. მითხარით... მიპასუხეთ!.. რას გაჩუმებულხართ? ღმერთო ჩემო!.. — ემუდარებოდა ბეგლარი.

— მე რა უნდა გიპასუხოთ? — სიტყვაგაწყვეტით მიუგო ათახთახებულმა ყმაწვილმა ქალმა.

— არა, თქვენ უარს ვერ მეტყვით... ვერა!.. არა!.. რასაკვირველია, არა!.. — აღტაცებით შესძახა ბეგლარმა.

მათკენ მოდიოდა პელაგია, მოჩხუბართა ცქერით შემკრთალი.

— მოდი აქ! — მიაძახა მას ბეგლარმა. — აქ მო...

— შვილო, რომ აღარაფერი ეშველათ!..

— თავი უტეხიათ, რას დაეძებ! მოდი აქ! — ბეგლარმა ფოჭიდა ხელი, მიიყვანა ახლოს, დააყენა ნინოს პირდაპირ და უთხრა:— ხომ მოგწონს, შე საწყალო, ა?! მოგწონს ხომ?!

პელაგია შეიშმუშნა რაღაც სასიხარულო ამბის მოლოდინით.

— ანგელოზია, ანგელოზი! ნეტავი, მაგის პატრონს! — წამოიძახა მან. — ანგელოზია, გენაცვალე!

— შენი მფარველი ანგელოზი... შე საწყალო, ა! — და ბეგლარმა ნინოს ხელი ასწია და დედას აჩვენა ქალიშვილის თითზე წამოცმული მისი ბეჭედი.

პელაგიამ კინაღამ შეჰკივლა სიხარულისაგან.

ნინომ მოინდომა ბეჭდის წაძრობა, ხელის განთავისუფლება, მაგრამ ბეგლარი არ ანებებდა. აქეთ პელაგიამაც ჩაიხუტა გულში და კოცნა დაუპირა, მაგრამ მოაგონდა, რომ გარშემო ბევრი მაყურებელი იყო და ცოტათი შენელდა. ნინოს მაგივრად უცბად ოლიკოს დაუწყო ხვევნა. ალერსიანობა, თითქო ცდილობდა, სხვებს არ შეემჩნიათ და არ გაეგოთ მისი შვილისაგან ნინოს დანიშვნა.

ფანჩატურის იქით კი ისევ ერთი ალიაქოთი იყო, ისევ ჩხუბი და აყალმაყალი, ცემა-ტყეპა, ლანძღვა-გინება და ჯოხების ტრიალი.

XI

ბეგლარისაგან ნინოს დანიშვნამ ყველაფერი უსიამოვნება დააავიწყა სონიას. გადაავიწყა ის საწყენი სახელიც, რომელსაც გულმოსული სამადაძე ისე დაურიდებლად იმეორებდა — ეს „შემოდგომის აზნაური“ ტყვეასავით ხვდებოდა გულს, მაგრამ ახლა ამისთვის აღარ ეცალა.

პელაგია თითქმის მიწას ფეხს აღარ აკარებდა, სიხარულისაგან ზეზე დაფრინავდა. სულმა აღარ მოუთმინა და ქველიძისას მისვლა გადასწყვიტა, ოჯახად გაცნობა, მათთან სიხარულის გაზიარება. ეკვირინეს არაფრად იამა ეს ამბავი, მაგრამ უკმაყოფილებას გუნებაში მალავდა და არ აცხადებდა, პირიქით, ისე ლაპარაკობდა მძახალთან, თითქოს ძლიერ მოხარულიც ყოფილიყოს.

— ასე რომ დანიშნა ბატონმა ბეგლარმა... მზითევზე არ გამოელაპარაკებით, პელაგია ჩემო? — ვეღარ მოითმინა ეკვირინემ, რომ არ ეკითხნა.

— ეგ, შენი ჭირიმე, ჩემმა შვილმა იცის!.. რა ვიცი... ეგები, შენ გენაცვალე, არც კი თხოვოს რამე...

— ჰმ! უმზითოდ?! კი, ქალი კარგია, მარა ბატონი ბეგლარი ყოველთვის იშოვიდა კარგ ქალსაც და მზითვიანსაც. ვინ დაუკაკვებდა?..

— იმან იცის... იმან იცის, ეკვირინე ჩემო!.. ერთობ გულის კაცია... როგორც შეხედავს გარემოებას, ისე მოიქცევა.

ქველიძეების გაცნობით ერთობ კმაყოფილი დარჩა პელაგია. მათმა მიღებამ ერთობ ასიამოვნა და კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე.

— მშვენიერი ოჯახი ქონებიათ, კარგად ყოფილან, შვილო, და მეტად პატიოსნები... ნამდვილი კეთილშობილები, ნამდვილი! — აღტაცებით ამბობდა სახლისკენ მიმავალი პელაგია. — ნამდვილი კეთილშობილები, შენ ნუ მომიკვდე!..

— ვმადლობ უფალს, ვმადლობ, ვმადლობ!.. ორივეს თქვენ გენაცვალა თქვენი დედა, ორივეს კაი ბედი გქონებიათ... კი, შვილებო, კი, კი!

„შემოდგომის აზნაურის ცოლი!“ უნებლიეთ გაურბინა თავში სონიას, მაგრამ ამხანად ამას წინანდელი სიმწვავე აღარ ეტყობოდა.

პელაგიამ თავის სახლისკენ, №-ში აიჩქარა წასვლა. მან მოიბოდიშა ქველიძეებთან, რომ ჩემი ბეგლარი სამსახურის გამო დაბრუნდა მეორე დღეს და ამის გამო ვეღარ ინახულა თქვენი ოჯახიო, ვერ მოგელაპარაკათ წესისამებრო; მეც იმიტომ მივეჩქარები, რომ ამ მოკლე ხანში შვილიც გამოვგზავნო და ყველაფერი საბოლოოდ ვადაწყდეს და საქმე აღარ გაგრძელდესო.

ამის გამო აღარც სონიამ დააკავა იგი; მასაც ეჩქარებოდა ნინოს თავზე გვირგვინი დაენახა ბეგლართან ერთად.

დედისაგან დაჩქარებაზე ბეგლარმა მხოლოდ მიუგო, რომ სიჩქარით ქალაქი არ აშენდებაო.

— პასუხი, შვილო, უნდა მისცე, შენ გენაცვალე! ქალი დანიშნე, ხმის ამოუღებლობა, ასე გაჩუმება აღარ შეიძლება, ჭირისუფალს უნდა გააგებინო რამე! — უთხრა პელაგიამ.

— თავად მოიკითხავენ და პასუხსაც მაშინ მიიღებენ! — მოკლედ მიუგო ბეგლარმა.

მართლადაც, ამბავის მიუღებლობით შეწუხებულმა ქველიძეებმა კაცი მოუგზავნეს ბეგლარს, გაეგოთ მისგან თუ რას ფიქრობდა. ჯინჭარაძემ თავის მხრივ მოიბოდიშა დაგვიანება, გამოუცხადა, რომ იგი მზადაა ყოველ წამში ჯვარსაწერად, თუ რომ ქველიძეც

მზად არისო; ამისათვის კი საჭირო იყო სარდიონს ქალიშვილისათვის მზითვად მიეცა ფულად რვაასი მანეთი.

ამ პასუხმა საოცრად არია მათათი და სარდიონიც. მათი წარმოდგენით, ბედნიერი შემთხვევა ქალიშვილს ხელიდან აცლიდა იოლად; ახლა კი სულ სხვა გამოდიოდა. რვაასი მანეთი სად უნდა ეშოვა მას? რა მადანი უნდა გამოეთხარა ამისათვის? ასე რომ გონებოდა, მეორე დღესვე უკან გაუბრუნებდა ბეჭედს მის პატრონს და თავის შეუძლებლობას მისი დაწუნებით, მისი სიძედ უკადრისობით დაფარავდა. ახლა კი, ამდენი ხნის გავლის შემდეგ, ამ შემონათვლის შემდეგ, რარიგად მოახერხოს პატიოსნურად უკან დახევა, რომ ქვეყნის სალაპარაკოდ არ გახადოს თავისი ოჯახის საქმე, და სამუდამოდ არ დააჭრთხოს სხვა სამტერმოყვაროდ. პირველი გაცხარების შემდეგ, სარდიონმა არჩია სხვა გზას დასდგომოდა ყმაწვილთან მოლაპარაკებაში. მისი გადაწყვეტილებით, ბეგლარი ვალდებული იყო თავისი მოქმედება დაემთავრებინა ისე, როგორც დაიწყო: ქალი მისთვის არავის შეუძლევია, თავისი სურვილით დანიშნული ჰყავდა, წინდაწინ არავითარი მოლაპარაკება არა ჰქონია, არ უკითხავს არაფერი მზითვეზე; არავისთან სიტყვაც არა ჰქონია ნათქვამი, ისე დანიშნა ქალი და ახლა პატიოსნება და წესიერება მოითხოვს, რომ უვაჭრობოდ, უკან დაუხევლად აასრულოს თავისი სიტყვა ქალთან; ასე გვიან გამოკიდება, ასე გვიან გახსენება სამზითვო ფულისა ნამეტან ურიგობად მიაჩნდა და უწესოებად. თავის აზრით, სარდიონს შეეძლო ამის გამო მოეთხოვა ჯინჭარაძისაგან ჯვარი დაეწერა დანიშნულ ქალზე. ყოველივე დავიწყებულის უკან გამოკიდება კი უადგილო და სრულიად უნაყოფო იქნებოდა. ასე ფიქრობდა ქველიძე და ეს კიდევაც შეუთვალა სასიძოს.

მაგრამ ბეგლარისათვის ეს სრულიად უმნიშვნელო და უსაფუძვლო ლაპარაკი იყო. იგი ამაში ხედავდა მხოლოდ სარდიონის მხრივ ხრიკს, რომ ქალიშვილი იოლად გაეთხოვებინა. პატიოსნებისა და წესიერების ხსენება სიტყვების რახარუხი იყო მის თვალში. მან უკეთესად იცოდა თავისი საქმე, რომ ქველიძეს არ დაებრიყვებინა მისი თავი. უგუნურად არც იგი შებმია ამ საქმეს, მასაც მოსაზრებული ჰქონდა ყოველივე, როცა ქალს ნიშანს აძლევდა. ახლა გამაგრება იყო მხოლოდ საჭირო და ლამაზი ქალიც მისი იქნება და რვაასი მანეთიც! მეტი რა გზა ჰქონდა, მისი წარმოდგენით, ქველიძეს, თუ არ უნდოდა ქვეყანას დაეწყო ლაპარაკი, რომ ჯინჭარაძემ ქალიშვილი მიუტოვა, რადგან მზითვის მიცემა ვერ შეიძლოო!

— არც ჩვენ გვაკლია მოხერხებულობა! — თავის თავს ეუბნებოდა ბეგლარი.

საქმე იწეწებოდა, არ ეწყობოდა. სონია ისეთ მწუხარებაში ჩაადგდო ამან, რომ ველარ მოითმინა თვითონ არ მისულიყო ძმასთან და არ შეხვეწნოდა ამ უსიამოვნო მდგომარეობის გათავება. იგი ემუდარებოდა ძმას, დაუკელი ცოტა რამ მაინც, გაუადვილე სარდიონს ქალიშვილის გამზითვებაო; მაგრამ ყოველივე ამაო იყო, ბეგლარი თავისაზე იდგა.

— გვაცალეთ... გვაცალეთ!.. კი მოახერხებს ქველიძე ფულის შოვას... ნუ გეშინიათ!.. იმას ისე უყვარს თავისი ქალიშვილი, რომ თავს გაიხეთქავს და მოახერხებს... თქვენ ოღონდ გვაცალეთ... ნუ ერევით საქმეში!..

— რვაას მანათს, შეს ვენაცვალე, ვიგინდარები თხოულობენ და შენმა ძმამ ესეც აღარ აიღოს?! სამართალი სადაა! — მხარს უჭერდა შვილს პელაგია.

სონიამ შესწყვიტა მოლაპარაკება. შეატყო, აქ არაფერი გარიგდებოდა. ეგრეც იყო. ბეგლარს უკვე გამოანგარიშებული ჰქონდა, თუ როგორ მოიხმარდა ამ ფულს: განაწილებული ჰქონდა, რამდენს რა სარგებელს შემოატანინებდა, როგორ აამუშავებდა, რამდენად გაზრდიდა ამ თავნს ოთხ-ხუთ წელიწადში, რამდენად აქცევდა; მისი შემცირება კი გამოიწვევდა, დაკლებასთან ერთად, ამ ანგარიშების გადაკეთებასაც, მათ გადასინჯვას, გადაცვლას და... რისთვის, ვისთვის?!

სოფელში დაბრუნებულმა სონიამ ახლა ქველიძეებთან დაიწყო მეცადინეობა, რომ ესენი დაეყოლებინა, დაეთანხმებინა, მიეცათ მისი ძმისათვის, რასაც იგი თხოულობდა: ხომ უნდა მიეცათ მაინც ნინოსათვის თავისი მზითევი. მაგრამ აქეთ ესენი ჯიუტობდნენ: ქალი ისე დაინიშნა, რომ მზითევზე სიტყვაც არ თქმულაო და თუ საქმე ხელახლა დაიწყეთ, ეგ ვინ იცის სადამდის მიგვიყვანს, მით უფრო, თუ ამგვარები შეუსრულეთო.

— და გამოტეხით უნდა მოგახსენოთ, რომ სწორედ მოვალე ბრძანდებით ყოველივე ეს ოუხსნათ, ყოველივე ამას მიახვედროთ თქვენი ძმა და დაიყოლიოთ; თქვენს ოჯახში მოხდა ეს ამბავი და ახლა თქვენვე უნდა გამოიყვანოთ ჩემი შვილი მწუხარებიდან, რომელშიაც იგი ჩავარდნილია ამის გამო. დიახ, დიახ, ეგ თქვენი ვალია!..

უამისოდაც გულდამწვარ სონიას სარდიონის ეს სიტყვები ლახვარივით ხვდებოდა გულში. იგი თვითონაც სთვლიდა თავისთავს დამნაშავედ ნინოს წინაშე. გული უდუღდა, რომ მისი საყვარელი,

უძვირფასესი ნინო აუტანელ, სამარცხვინო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი მისი ძმისაგან, მის ოჯახში მომხდარი შემთხვევით; ნანობდა, იწყევლიდა თავს, რომ მისმა ენამ გამოსთქვა მისი რძლობა, ამტყუნებდა თავისთავს, რომ ასე წინდაუხედავად მიუთითა ძმას ამ ქალზე და ამით ჩააგდო თავისი საუკეთესო ამხანაგი ქარცეცხლში. და გულადღეღებული სონია ეხვეოდა ნინოს, უკოცნიდა პირისახეს, გულს. ამხნევებდა, აიმედებდა, რომ ყველაფერი მალე გადაწყდებოდა, რომ გაჯიუტებულნი მალე შეთანხმდებოდნენ, მორიგდებოდნენ და სასიხარულოდ დათავდებოდა მისი დღევანდელი მწუხარება. სთხოვდა, მასზე გული არ აეყარა, არ შეეძულებინა მისი თავი, რომ ბრალი მისთვის არ დაედვა.

— შენი პირიმე, შენი, შენი... ჩემო გვრიტო, ჩემო მალხაზო, ჩემო ანგელოზო, ჩემო მაცოცხლებელო, ჩემო! — კოცნიდა და ეხვეოდა სონია ნინოს, რომელიც თავისი ჩვეულებრივი სინაზით, სიმშვიდით, ტკბილი ხმით და ღიმილით ამ სიტყვებზე შემდეგს მიუგებდა:

— შენი რა ბრალია, ჩემო სონია. შენი რა ბრალია? შენ რად უნდა შეგიძულო?.. შენზე გული რად უნდა გამოვიცვალო?! ალბათ, ასეთი ბედის ვყოფილვარ!.. შენ რა?..

ეს სიმშვიდე, ეს გულში შეკავებული, გამოუჩენელი მწუხარება ნინოსი უფრო გულს უწყალებდა სონიას; ცრემლები მოაწვა თვალებს უბეებს და შადრევანივით გადმოხეთქა.

ნინომ ღაინახა ეს ცრემლები, მისი გულიც მოწადინებული იყო მომბალიყო იმნაირივე ცრემლებით, მაგრამ ეშინოდა, რომ ამ დროს მას არ შემოსწრებოდა ან დედა, ან მამა, ეშინოდა, რომ მათთვის მწუხარება არ გაეორკეცებინა თავისი სასოწარკვეთილების დანახვით და ამიტომ ყოველსავე ძალ-ღონეს ხმარობდა, რომ თავი შეემაგრებინა და გულის სისუსტე არ გამოეჩინა, სონიას ცრემლებთან თავისი ცრემლები არ შეემატებინა.

— კარგია, შე ქალო! არა გრცხვენია!.. სონია, სონია!.. თუ გიყვარდე, დაწყნარდი!.. რა გატირებს?.. ხომ არ მოვმკვდარვარ, შე ქალო? რაზე მტირი ცოცხალს?! — და ნინომ აქ კიდევაც გაიცინა.

— მკვდარი მე ვარ, მე!.. მე, შენ გენაცვალოს ჩემი თავი!.. მარა ცოტა კიდევ მოითმინე... ცოტა ხანს კიდევ გოუძელი ჩვენს უგრძნობლობას, ჩვენს გულქვაობას!

და იგი განმეორებით სიტყვას აძლევდა, რომ არ მოისვენებდა, ყველაფერს დაიკიწყებდა და ამ მოკლე ხანში ორივე მხარეს მოარიგებდა, შეათანხმებდა და მას ააცილებდა მწუხარებას და ტანჯვა-წვალებიდან გამოიყვანდა.

მართლაც ყველაფერი დაივიწყა სონიამ ამ გახიახებული საქმის გამო; სხვას ვეღარაფერს უდებდა გულს, სხვაზე არაფერზე აღარ ფიქრობდა, ვეღარაფერს ვერ ამჩნევდა, რაც მის გარშემო ხდებოდა, რაც ამბავი იყო.

ამგვარობაში სრულდებოდა მეორე წელიწადი და ამ ხნის განმავლობაში სონია თითქმის გარეტიანებული იყო. წინანდებურად იგი აღარაფერს უკვირდებოდა, აღარაფერს ადევნებდა თვალყურს და სწორედ ამის გამო ვერც ატყობდა, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა მისი ოჯახი და ამასთანავე მისი ქმარიც რა გაწამაწიაში იყო.

ბევრი რამ იმეცადინა საწყალმა ოტიამ, ბევრ რამეს მოჰკიდა ხელი საშოვრის საპოვნელად, რომ რამე ოჯახში შემოეტანა, მაგრამ ყოველივე მეცადინეობა ამაო ხდებოდა. ერთ წელიწადს მან მოინდომა ხარებით ვაჭრობა: ყიდულობდა იაფად, ასუქებდა და მერე მიჰყავდა იარმუკებზე მოგებით გასაყიდლად, მაგრამ აქედან ისე ცოტა რჩებოდა, რომ პირუტყვს გასასუქებლად უნდებოდა თითქმის, და იძულებული იყო ამისათვის თავი დაენებებინა. მოინდომა სიმინდით ვაჭრობა — მოსავლიან ადგილებზე ყიდულობდა და მოჰქონდა სოფელში გასაყიდად, რადგან ამ უკანასკნელ წლებში თამარნაშენში მოსავლის ნაკლებობა იყო. მაგრამ გაცდენა, მისვლა-მოსვლა, შრომა თითქმის უქმი რჩებოდა, ისეთ ნაკლებ ფასს იძლეოდნენ ხელმოკლე სოფლელები. სხვაგანაც მოინდომა ოტიამ წასვლა, სოფლის გარეთ, ეგებ ამით მაინც შემოეტანა რამე, მაგრამ ვერც ამ გზით ეძლეოდა საშველი; ისეთ საქმეს ვერ ხედავდა, რომლისთვისაც მას შეეძლო გარეთ მოეკიდნა ხელი. ერთ ხანაზე, რამდენიმე თავის მეგვარესთან ერთად, ამხანაგობა გააწყო, ხეებს ყიდულობდნენ, ფიცრებად ხერხავდნენ და გასაყიდად მიჰქონდათ მახლობელ დაბაში; მაგრამ ვერც ამ ამხანაგობამ ასარგებლა რამე: უგზოობის გამო საქონელი წყდებოდა მთიდან ხეების ჩამოტანით და დაბაში ფიცრების გატანის დროს. იმდენად გასაჭირი შეიქნა საქმის წარმოება, რომ ნახევარი წლის შემდეგ ამხანაგობაც დაიშალა.

სხვაც ბევრი რამ იყო ამგვარი, რასაც ხელს უწვდენდა ოტია, მაგრამ ხეირს ვერაფერს ხედავდა, თუმცა ყოველთვის თვითონ საქმე არ ყოფილა ისეთი, რომ კაცისათვის უსარგებლო ყოფილიყო — ოღონდ მის ხელში კი გამოუყენებელი ხდებოდა.

ეს უნაყოფობა ყოველივე მისი მეცადინეობისა, მისი მუყაითო-

ბისა, გულზე ხეთქავდა საწყალს. იგი აშკარად ხედავდა თავის უღონობას წარმატებაში ჩაყენებისათვის. ხედავდა თავის უძლურებას, მოუხერხებლობას ოჯახის ფეხზე დაყენებისათვის და აღარ იცოდა, რა ექნა, რა მოესაზრებინა კიდევ.

მით უფრო ცეცხლი ეკიდებოდა საწყალ ოტიას, რომ მისი ცოლის სიახლოვეს საკმაოდ აეხილა თვალები. მისთვის ახლა თვალსაჩინო იყო, რომ ძველ გზაზე დარჩენა მეტ ხანს არ შეიძლებოდა, რომ მარტო მიწა ვერ დააკმაყოფილებდა მისი ოჯახის მთელ საჭიროებას; რომ საჭირო იყო განსხვავებული გარჯა, განსხვავებული შრომა და მას კი ეს არ ეხერხებოდა, არ ემარჯვებოდა, და აღარ იცოდა, რა ექნა.

სინათლეზე უფრო ნათელი შეიქნა მისთვის, რომ მარტო მიწა, ის მიწა, რომელზედაც იგი იდგა, ვერას გზით მას ვერ დააკმაყოფილებდა, რომ აქ შეჩერება მხოლოდ სამუდამოდ დაღუპავდა მასაც, მის ცოლ-შვილსაც და შრომავალსაც...

— გადვიკარგები, სადღაც გადვიკარგები! მარა სად? სად? — გამწარებით ეკითხებოდა ოტია თავის თავს.

გული უტყდებოდა ოტიას იმაზე, რაც აქამდე დიდ განძად და საიმედოდ მიაჩნდა. ამ განძზე და იმედზე ფიქრი ახლა კი შიშსა ჰგვრიდა, დაღუპვას უქადიდა და ისე შეეხოჭა იგი, რომ განთავისუფლება მისი უმოწყალო კლანჭებისაგან საძნელო ხდებოდა. ოტია გრძნობდა, რომ გაუკითხავად მიექანებოდა ძნელი განსაცდელისაკენ.

ამ უკანასკნელი წლების დაკლებულმა მოსავალმა და ბოლონდელმა მოუსავლობამ მეტად გააძლიერეს ოტიას გულში მისი გრძნობები. იმოდენა დაკარგულმა, ფუჭად გაელილმა შრომამ, რაც მან მიწაში ჩასდო, მეტად გამოუცვალა გუნება. წლევანდელმა მოუსავლობამ ხომ სრულიად წელი მოსწყვიტა. ამ მოუსავლობის დროს ოტიას ის გარემოებაც უმატებდა დარდს, რომ მისი ცოლი ფეხმძიმედ იყო.

ახლა სონია გართული იყო სხვა საქმეში და იმიტომ ხმას არ იღებდა, წინანდებურად თავიანთ გაჭირვებაზე აღარ შფოთავდა. მაგრამ ოტიამ იცოდა, რომ, როცა იგი ისევ ოჯახისკენ მოავლებდა თვალს, მაშინ წინანდელზე უფრო, რასაკვირველია, აღშფოთდებოდა და გამწარდებოდა.

მთელი სოფელი შეწუხებული იყო, შიმშილობა კარზე მომდგარი იყო. ყოველი მხრიდან გულის ამრევი ამბები ისმოდა. ჭირნახულის ფასი დღე-დღეზე მატულობდა, ხელმოკლე სოფლელებისათვის მიუწვდომელი ხდებოდა სარჩოს ყიდვა. ერთ დღეს ხმა

გავარდა, რომ თამარნაშენის ზემო კუთხის გლეხი, პავლია მერაბიძე, ისე გამწარდა, რომ თავის ჩამოხრჩობა მოინდომა შიმშილის გამოო, და ცოცხალმკვდარი ბაწრიდან ჩამოიღესო, — დროზე მიესწროთ. რამდენიმე კაცი, — კიდევაც ასახელებდნენ, — სოფლიდან წასულიყო სამათხოვროდ ქალებით და ბავშვებით.

— წადი, წადი, შვილო, შენს ცოლის ძმასთან წადი! შეეხვეწე... გასესხებს ცოტაოდენ ფულს და გაისამდის თავს როგორც იქნება გავიტანთ. ნუ გრცხვენია, ნუ! რა დროს სირცხვილია! დამიჯერე, შვილო! — ჩასჩიჩინებდა ეკვირინე ოტიას.

— არა, დედა, მოვკვდები და იმასთან ვერ მივალ, ვერა, ვერა! — უპასუხებდა იგი.

მაშინ, შვილისგან ნამალევად, ეკვირინემ გასწია სამადაძისკენ შემწეობის სათხოვნელად. უკანასკნელმა უარი არ უთხრა ნათლულის მოხუცებულ ბებიას; ღამით, რომ სხვას არ დაენახა, თავის ურმით გადმოუტანა ორი ტომარა სიმინდი და ბეღელში ჩაუყარა. ეკვირინემ გული დაიმშვიდა — ერთ-ორ თვეს მაინც ოჯახს ექნებოდა ჭადი, თუ გასაძლომი არა, კუჭის დასამშვიდებელი მაინც; შემდეგ კი ისევ ღმერთზე რჩებოდა იმედი, რომ რამეს გამოუჩენდათ.

მაგრამ რა საშინელი, თავზარდამცემი შეიქნა მათთვისაც, სხვებთან ერთად, როცა ხმა გავარდა, რომ სოფელში ბოქაული მოვიდა საადგილ-მამულო გადასახადის მოსაკრებად და, ვისაც არ შეჰქონდა ფული, ბეღელს უბეჭდავენო.

ეკვირინე და ოტია ეცნენ სამადაძისაგან მოტანილ სიმინდის ამოლაგებას ბეღლიდან სხვა ადგილას გადასამალავად. გაკვირვებით შეჰყურებდა სონია დედა-შვილის კალათებით იქით-აქეთ რბენას და ვერ ხვდებოდა, აზრში ვერ მოდიოდა, თუ რას ნიშნავდა ეს ამბავი.

ერთი ათიოდე კალათის გადმოტანა თუ მოასწრეს, როცა ეზოში რამდენიმე ცხენოსანი შემოვიდა.

ეკვირინეცა და ოტიაც გაქვავდნენ.

— მობრძანდით, ოტია! — წამოვიდა მისკენ ცხენიდან ჩამომხტარი მამასახლისი.

ცოცხალმკვდარი ოტია მიუახლოვდა ბოქაულს.

— ფული რომ ითვლება თქვენზე, სახელმწიფო გადასახადი, რატომ არ შემოგაქვთ, ყმაწვილო?.. ორჯერ დაბარებულა იყავით ამის თაობაზე, ორჯერ გადაგიდევით, მაგრამ მაინც არაფერი გეშველათ... რატომ ნებულობთ ამას?.. თქვენს თავსაც იჭირვებთ და ჩვენც პასუხისგებაში გვაგდებთ! — საყვედურით დაუხვდა ცხენიდან ჩამომხტარი პოლიციის მოხელე.

— უკაცრავად, ბატონო!..

— უკაცრავად კი ბრძანდებით, ეგ მეც ვაცი... ეს ცოტაა... ფული წარმოადგინეთ!..

ოტია გაქვავდა.

— არ გესმით თუ?! ფული წარმოადგინეთ ახლავე-მეთქი!..

ოტია ისევ ხმაამოუღებლად იდგა.

— არა გაქვთ?

— არ მაქვს!.. გთხოვთ, ცოტა ხნით...

— გადროვოთ... არა? ჰმ, არა, არა, უკაცრავად!.. ჩვენც მწარე დღე გვადგია ამის გულისათვის... აჰა, რა მოწერილობებს ვღებულობთ და რარიგად გვემუქრებიან!.. დრო გქონდათ... მეტი აღარ შეიძლება... დაკეტე ბეღელი, მამასახლისო! — დაიძახა ბოქაულმა.

მამასახლისი გაექანა ბრძანების აღსასრულებლად.

ოტია ამქვეყნად აღარ იყო. სონია გაფითრებული, სულგანაბული, ოთახის კარებს ამოფარებული მისჩერებოდა იმას, რაც მის თვალწინ ხდებოდა.

— ლუქი და ბეჭედი, ფილიპე! — უბრძანა მოხელემ მწერალს. — ეგებ ამ გზით მაინც დაგატანოთ ძალა!.. — წაილაპარაკა მან.

ბეღელის დასაბეჭდავად მისულმა მწერალმა. სანამ დაკეტავდნენ ბეღელს, კარი შეაღო, ჩაიხედა შიგ, გადმოიხედა ბოქაულისაკენ მომღიმარი სახით და შეჩერდა. ბოქაული მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს ღიმილი ხელქვეითის სახეზე:

— სულ ერთია... სულ ერთია! მიაკარი ბეჭედი, მიაკარი! — დაუძახა მან.

მწერალი შეუდგა ბრძანების აღსრულებას.

— შიმშილით გვწყვეტთ, ბატონო?.. შიმშილით გვწყვეტთ, ჩემო თვალის სინათლეო?! — მიუახლოვდა ბოქაულს გარეტიანებული ეკვირინე.

— მეც ძალა მადგია, ჩემო ბატონო!

— ნუ ინებებთ! ნუ ინებებთ! — ძლივს ხმას იღებდა მოხუცებული ქალი.

— ფული, ფული წარმოადგინეთ და თავისუფალი იქნებით! არ შემიძლიან, ნაბრძანები მაქვს ყოველგვარი ზომა ვიხმარო ამ გადასახადის გადახდევინებისათვის. ჩვენი ბრალი არაა! გაათავეთ! აბა ახლა ვინაა აქ მახლობლად კიდევ?

მწერალმა სია გაშალა.

— ლევან ქამუშაძე! — წაიკითხა მან შემდეგ.

— აბა ამ ლევანისას ჯერ! — წამოიძახა მოხელემ და ცხენოს-

ნებმა ხმაამოუღებლად გადაიარეს ეზო. მხოლოდ ცხენების ფეხების თხლაშა-თხლუში ისმოდა.

ოტიაც და ეკვირინეც მიკრულებივით თავ-თავიანთ ადგილებიდან არ იძვროდნენ. აივანზე ოთახიდან ბავშვი გამოვარდა და მას უკან გამოჰყვა სონიაც, რომელიც შეჩერდა და მათ მიაჩერდა გაოცებული.

მიწა გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო, ათასწილად ერჩია ოტიას ამ წამში, ისე გრძნობდა თავის თავს.

— რა ამბავია ეს?! — დაბალი, უცნაური ხმით გადმოიძახა სონიამ.

— სიკვდილი მაგათი! სიკვდილი, შვილო! — ამოსკდა გულიდან ეკვირინეს. — მაგათი სიკვდილი!

ოტიამ ვეღარც კი მოახერხა ცოლის თვალწინ დარჩენა; მიწასთან გასწორებულმა, დარცხვენილმა, თავსლაფდასხმულმა ერთი მწარედ ამოიოხრა და გარეტიანებული წაბანცალდა.

სონიამ გაიგო, რაც მომხდარიყო, გაიგო ყველაფერი, რაც მათ ოჯახში ამბავი იყო და რაც მისთვის შეუმჩნეველი რჩებოდა მისი ძმისა და ნინოს გამოისობით. დღევანდელი გაჭირვება უკანასკნელი გაჭირვება იყო, უკიდურესი გაჭირვება. აქ სად იყო დრო, რომ ადამიანს ეფიქრა თავისი ღირსების დაცვაზე, როცა კუჭის გამოსაძღომზე უნდა შეელია მთლად თავისი ძალ-ღონე...

ქალი ეძებდა ოტიას, ეძებდა, რომ ისევ წინანდებურად შეჰკითხოდა, გაეგო მისგან, თუ რას ფიქრობდა იგი ამგვარი გაჭირვების ასაცილებლად, ამგვარ საშინელი მდგომარეობისაგან გასანთავისუფლებლად, რა გზას ადგებოდა, რომ შემდეგში კიდევ უარესი არ შემთხვეოდათ? ეს იყო, რომ გამოვაკეთებ ოჯახსო?! გამოკეთდა!

კარგა შებინდებული იყო, როცა ოტია შემოიპარა სახლში. მას ეგონა, რომ ყველას ეძინებოდა და ცოლთან ლაპარაკი აღარ შეხვდებოდა, ისევ თავის თავთან დარჩებოდა, თავის აზრებს მიეცემოდა. სონია კი მის მოლოდინში იყო.

— ოტია, შენ ხარ? — შეეკითხა ოთახში შემოსულს.

— მე ვარ! — მიღონებული ხმით მიუგო ოტიამ.

სონიამ ბალიშის ქვეშიდან გამოაძრო მომარაგებული ასანთი, რაც მას მუდამ ეგულებოდა ბავშვის ღამე დასახედავად, მოუკიდა სანთლის ნამწვავს და გაანათა ოთახი.

მის წინ იდგა სრულიად სახეგამოცვლილი ქმარი. ოტიას კიდევაც რცხვენოდა და კიდევაც გული უკვდებოდა, რომ ასეთნაირ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი, მიუხედავად თავისი მუყაითობისა. და მეცადინეობისა.

ქალმა ის იყო დააპირა კითხვით მიემართნა, გაემეორებინა თავისი „რას აპირობ? რას გვიპირობო?“, მაგრამ იგრძნო, რომ ამგვარი მიმართვით იგი მხოლოდ უარესად დაჩაგრავდა მას, უამისოდაც დაჩაგრულს. ეს მხოლოდ შეუბრალებლობა იქნებოდა ქმრისა, რომელსაც ვერასოდეს ვერ უსაყვედურებდა გაურჯელობას, ვერ უსაყვედურებდა უპატრონობას ოჯახის წინაშე. სონიამ შესცვალა ის კილო, რომელზედაც მომზადებული იყო მასთან ლაპარაკი დაეწყო.

— ოტია! ჩვენი აქ დარჩენა სიკვდილია, ოტია... სიკვდილი, ოტია! ამდენი ხანია გიცდი, გითხრა ეს... ჩვენ კიდევ უარესი თუ მოგველის აქ, თორემ უკეთესი არაფერი. ჩვენ უნდა წავიდეთ, უნდა გავშორდეთ აქაურობას, ოტია, უთუოდ, უსათუოდ, ოტია!

ამას ოტიაც გრძნობდა, იგიც ატყობდა.

— სად, შე ქალო? სად შემიძლია მე წასვლა?

— სადაც საშოვარი უფრო მეტია, ქალაქ ადგილას, №-ში!

ოტიამ მწარედ გაიღიმა.

— ჰმ, ჩემისთანამ რა უნდა იშოვოს ქალაქ ადგილას?

— რატომ არა... რატომ არა, ყველაფერს იშოვი!

— მაგასაც გაჩვევა უნდა! მე კი ფეხი არსად გამიდგამს... არსად ვყოფილვარ, ხალხიც არ მინახავს ერთად ბევრი. ქვეყანაში გაუსვლელმა რა უნდა გავაკეთო უცხო ადგილას?.. თორემ ვინ ოხერი, ვინ მუდრეგი!

— უსათუოდ, უსათუოდ! ამას ლაპარაკიც აღარ უნდა, ოტია! ეს გადაწყვეტილია, იცოდე! — მტკიცედ წარმოსთქვა სონიამ. — გესმის?

— ვნახოთ, ვნახოთ, შენი ჭირიმე! მაგასაც მოსაზრება უნდა, ასე ადვილი საქმეა განა? მაცალე ცოტა ხანი, შენი ჭირიმე, შენი! თუ ცოტაოდენი სიბრალული გაქვს ჩემი! ოხ, ღმერთო, ღმერთო ჩემო! — წამოიძახა გულსაკლავად ოტიამ, გაიხადა ჩოხა, წაღები და მიეგდო ტახტის ბოლოში.

სონიას შეეცოდა ქმარი, აღარ დაუწყო მეტი ლაპარაკი, მაგრამ გუნებაში კი გადასწყვიტა, აღარ შემდგარიყო და ყველაფერი ღონე ეხმარა, რაც გაუვიდოდა, ქმრისათვის გაებედვინებინა სოფლის მიტოვება, სოფლიდან გასვლა, სადაც მათ არავითარი სიკეთე არ მოელოდათ, მათივე აზრით.

XIII

ეკვირინეც ველარ იყო თავის გუნებაზე ახლა. იმასაც დაეკარგა ხალისიანი სიტყვა და რაღაც ჯავრს შეეპყრო. ეტყობოდა, მან გაიგონა რძლის ნალაპარაკევი იმ ღამეს და ახლა ოტიასაგან უნდოდა

უფრო დაწვრილებით, ხელმეორედ მოესმინა, რასაც მას უმალავდნენ.

— სად წავიდეთ, სადა?

— კაია, შენი ჭირიმე, თავი დამანებე!..

— შვილო, არ ამჩატდე! ფრთხილად იყავი, დამირიგებიხარ... ფრთხილად იყავ... არ გაგაბრიყვონ!..

— თუ გიყვარდე, მაცალე, დედა, თუ ჩემი სიბრალული გაქვს... ჭე შენზე უკეთ ვიცი, რა ამბავიცაა ჩემს თავზე!.. ვინ უნდა გამაბრიყვოს, შენც ლაპარაკობ კიდევ!.. გაბრიყვებაზე კი არაა აქ საქმე... იმდენად უგუნურებიც არა ვართ, ღვთის მადლით!..

ეკვირინეს არ მოეწონა შვილის ასეთი კილო. იგი ამაში ატყობდა ოტიას, რომ მას ცოლის მხარი ეჭირა და მეტად ეწყინა ეს გარემოება. ის იყო უნდოდა ისეთი ლაპარაკი გამოეწყო შვილთან, რომ უსათუოდ ეთქმევინებინა მისთვის, რასაც გულში ფიქრობდა იგი, რასაც ორივე აწყობდნენ, როცა ეზოში შემოვარდა პატარა ფეხშიშველი გოგო და ამათ მიაძახა:

— ბატონი კვდება, ბატონი.... გთხოვეს, მობრძანდითო!

— ვინ ბატონი, გოგო? — ჰკითხა ოტიამ.

— ლევანი, ლევანი! ყველას გთხოვს...

— არიქა, მიშველეთ! — წამოიძახა ეკვირინემ. — შვილო, სონიას შეატყობინე, ოთახშია... მალე, მალე!.. შენ, ცუცუკა, ჩვენ მოსვლამდის აქ იყავი... სახლს მიხედე, ჩემო ცუცუკა... ბავშვმა არაფერი მოიწიოს!.. გამეიარეთ... გამეიარეთ! — მიაძახა მან რძალს და შვილს, რომელნიც უკან დაედევნენ მას, ლევანისაკენ ფეხაჩქარებით მიმავალს.

საწყალი „ბატონი“ უკანასკნელ მდგომარეობაში იყო. სკამ-ლოგინზე მწოლიარე, აღარც კი ჩანდა საბნის ქვეშ გაფითრებულ-აბურძგვნილი თავის მეტი. ღრმად ჩავარდნილი თვალები ხანდახან გამოიხედავდნენ, მოეელებოდნენ გარშემო მდგომთ და ისევ დაიხუჭებოდნენ.

— ლევან, ლევან, გამოიხედე, ეკვირინე მოვიდა, სონია, ოტია, გამოიხედე! — ჩასძახა ტირილისაგან თვალებდაწითლებულმა ეფროსინემ.

ლევანმა გაახილა თვალები; ჯერ ერთს შეხედა, მერე მეორეს და შემდეგ მესამეს.

— რას შვები, ბატონო?.. რას შვები, ლევან?.. ნუ შეშინდები, ნუ შეშინდები! — უთხრა ეკვირინემ, რომელსაც ცრემლები ერეოდა თვალებში. — ნუ შეშინდები!

მომაკვდავმა ოდნავ თავი გააქნია.

— სიკვდილი ჯობია, რძალო!.. სიკვდილი!.. — ძლივს გასაგონი ხმით წაილაპარაკა მან. — ყველა მშვიდობით იყაოთ... ყველა... ყველა!.. — გაახილა თვალები, თითქოს რაღაც მოაგონდაო, თვალი მიმოავლო იქ მყოფთ და, რა შენიშნა სონია, ანიშნა მას მიახლოებულიყო. თვალებაცრემლებული იგი მიუახლოვდა; ლევანმა სიყვარულით მიაპყრო თვალი.

— ღმერთმა შვილი გაგიზარდოს... ღმერთმა!.. შეუწუხებლად... თქვენდა სასიამოვნოდ... აგაშოროთ უფალმა უბედურება... უბედურება... ბიძიკო!..

მისი ტუჩები კიდევ ცმაცურებდნენ, ალბათ რაღაცას ამბობდა კიდევ, მაგრამ სრულიად მისუსტებული ხმა აღარ ისმოდა და ამასთანავე თვალები ისევ მიხუჭა.

ისევ სიჩუმე, ისევ შეკავებული ქვითინი ისმოდა მხოლოდ.

— ნეტავი მალე მაინც სული გეეყრებოდეს... წვალობს, სხვა არაფერია! — გამწარებით წაილაპარაკა ეფროსინემ, რომელსაც გამხდარ ლოყებზე ცრემლები ჩამოსდიოდა.

ამ სიტყვებმა ხმაურიანი ტირილი გამოიწვია. ლევანმა ისევ გაახილა თვალები.

— არ მოვიდა? — იკითხა მან.

— რაღაცას კითხულობს!

— ომანის ნახვა უნდა! — თქვა ვიღაც დედაკაცმა. — კაცია გაგზავნილი... რატომ დეიგვიანა, აღარ ვიცი!.. ისე რავა გეიქვავებს გულს, რომ არ მოეკარება... რავა დევიჯერო!..

ამ ლაპარაკზე კარების ზღურბლზე ომანმაც გადმოაბიჯა. იგი მიუახლოვდა მომაკვდავს, მოიგლიჯა თავიდან ქუდი და ათრთოლებული ხმით ჩასძახა ძმას:

— ლევან!.. ლევან!.. რას შვრები, კაცო?.. რავა ხარ?

ლევანმა გაახილა თვალები და ხმაამოუღებლად მიაშტერდა თავზე მდგომ ძმას.

— რას შვები, კაცო? — გაიმეორა ომანმა.

— ვკვდები, ძმაო!.. მადლობელი ვარ... მადლობელი! — ცოტა ხნის გაჩუმების შემდეგ დაუმატა მან.

ომანი შერჩა თავის ადგილს ხმაგაკმენდილი.

— მშვიდობით... მშვიდობით, ავო კაცო!.. აწი მაინც ტკბილად... ტკბილად იყავით... ეფროსინე!.. უბედურო... ომან... თუ ძმა ხარ... თქვენ იცით... სირცხვილია!.. ჯმარა, რაც გვინახავს. თქვენ იცით... ჯმარა... კმარა!..

ომანის თვალებზე ცრემლები ბრწყინავდნენ. ეშინოდა ხმის

ამოღება, რომ იქაურობა არ გაეყრუებინა თავისი ძლიერი, ვულ-
შკერდიდან ამოხეთქილი ხმით.

სახლში კიდევ შემოვიდა რამდენიმე ქალი და კაცი; მომსვლე-
ლები თანდათან ემატებოდნენ. ამ გამომშვიდობებაში ისე ამოხდა
სული მოხუცებულს, რომ ვერც კი გაიგეს. იგი მიიცვალა წყნარად,
მშვიდობიანად, უშფოთველად.

ყველანი თავს დასტიროდნენ, დასჩხაოდნენ მიცვალებულს.
ეფროსინეს დიდი ხნიდან გამოტირებული ჰყავდა იგი და ახლა
უკანასკნელ ცრემლსღა სწირავდა თავის უბედურ ქმარს.

ოტია მწარე ცრემლით დასტიროდა ბიძას. ამ მიცვალებულში
იგი რაღაც თავის მომავალს ხედავდა.

სონია მწარედ ქვითინებდა დანარჩენ ქალებთან ერთად. ეკი-
რინემ შენიშნა მას გადამეტებული შეწუხება, მოკიდა ხელი, გა-
ყვანა სახლიდან და ააფიცა ყველაფერი, აქაურობას მოშორებოდა
და შინ გაბრუნებულიყო.

— აწი რაღა გინდა აქ, შენ გენაცვალე?.. შენთვის არ ვარგა ბ-
ნეტავი სულაც არ წამომეყვანე... რა საყურებელია ფეხმძიმე ქა-
ლისათვის ამგვარები... დეევიბენი, ვეღარ ვიფიქრე მე უბედურმა...
წადი, თუ გიყვარდე, წადი, წადი! — და მან კარებამდის მიაცილა
რძალი, რომ იგი არ გამობრუნებულიყო და არ დარჩენილიყო აქ.

„მშიერი... მშიერი მოკვდა, შიმშილმა მოჰკლა! — ეუბნებოდა
თავის თავს გზაში მიმავალი სონია. — შიმშილმა მოჰკლა, უსაღს-
რობამ... მშველელი კი არსაით, არსადაა!.. ყველა გაჭირვებულია,
ყველა გაწვალებული... ყველა უბედურებაშია ჩავარდნილი!.. ოჰ,
ღმერთო, ყველა ამას უნდა მოველოდეთ, ყველას ეს დღე უნდა
დაგვადგეს!.. არა, შვილებო, არა, გვრიტებო!.. არა, არა, თქვენი
ჭირიმეთ... არა, არა!..“

მან ვეღარც კი გაიგო ამ გულის წუხილში, რომ სახლისაკენ
აღარ მიდიოდა, გზას გადაეხვია, ქვევით დაჰყოლოდა. რაღაც
ხმამაღალი ლაპარაკი, თითქმის ყვირილი მოესმა და ამან ცოტათი
გამოაფხიზლა და გონებაზე მოიყვანა. სონია შეჩერდა. გაოცებით
თვალი შემოავლო, გაუკვირდა, თუ სად მოსულიყო სახლისკენ მი-
მავალი. მაგრამ ვერც კი მოასწრო ანგარიში მიეცა თავის თავისთ-
ვის, რომ ვიღაც ქალის ქაქანი, წყევლა და გინება იქაურობას
იკლებდა.

ჩაფოხვილ დაბალი სახლის კარებთან, ღობეს გადაღმა რომ მო-
ჩანდა, იდგა გაფითრებული სახით ავადმყოფი, ტანმორჩილი, გამ-
ხმარი ყმაწვილი ქალი და შიგნით მოქაქანე ქალს დაწყნარებას
ეეედრებოდა.

— კაია, დედა, კაია, თუ ღმერთი გწამს!.. ქვეყანა მიდი-მოდის... სირცხვილია!..

მაგრამ ქაქანი არ წყნარდებოდა. სონიამ ხმაზე იცნო მანანა, სეფე მარუშიძის სიდედრი.

— ის დღე რატომ არ დაიქცა, ის დღე რატომ არ ჩამობნელდა, მაგ რომ მე ჩემს ოჯახში შემოვათრიე!.. კაცი მეგონა მაგ დაგლახაკვებული!.. კაცი მეგონა მაგ ოხერი, ოხერი, ნამდვილი ოხერი!.. ოჯახი თლათ მაგან გამიოხრა!.. მაგას რავა მოუთმენ, ასე რომ მიყრილი ვყოფილართ, ასე უპატრონონი! მაგ დამშეულს ოჯახი ხელში ჩავაბარე, ამის მოხმარებაც ალარ შემიძლიაო?!. გავაგდებ, ერთ მჭამელს მაინც მოვიშორებ!..

თავის სიძეზე იყრიდა ჯავრს გაცოფებული მანანა. თავიანთ უსაღსრობას და ხელმოკლეობას აბრალებდა თავის სიძეს, რომელსაც ქალიშვილთან ერთად თავისი ქონებაც ჩაბარა. ჩამოსიძებულმა ვერ გაუმართლა იმედი სიდედრს, ვერ შეიყვანა კეთილდღეობაში და მოხუცებული, ხშირად გამწარებული კუჭგაუმაძღრობით, საზარელ ამბავს აწევდა სიძეს და შეუბრალებლად ეხებოდა მის თავმოყვარეობას. ამათი ერთმანეთის ლანძღვა-გინებით მთელი ის კუთხე დღემუდამ გაყრუებული იყო.

— აი, შენი სახელი გაწყდებოდეს ბარემაც, შენი!.. ღმერთი მომასწრებდეს, სიკვდილი დაგიდუმებდეს მაგ პილწ ენას, ღმერთი მომასწრებდეს! — მოესმა ქვევიდან სონიას.

ამ სიტყვებთან მისი მთქმელიც გამოჩნდა მოხვეული გზის ყურიდან. ფეხშიშველას, მხარზე შემდგარი ჩაფით წყალი მოჰქონდა და უკან ფეხშიშველავე პერანგის ამარა ორი ბავშვი მოსდევდა ფიჩხებით მხარზე.

ეს იყო სეფე მარუშიძე თავისი ბავშვებით. მას შერცხვა სონიას დანახვაზე, დარცხვენილად თავი დაუკრა და ნაღვლიანად წაილაპარაკა:

— ამ ურცხვ დედაბერს რომ ალარაფერი ეშველა... რომ ალარაფრის მორიდება აქვს! გამოიარეთ, გამოიარეთ! — მოუბრუნდა იგი და ბავშვებს გადმოსძახა, უცნობი ქალის დანახვაზე შემფრთხალი თაგვებივით რომ ღობეს გაეკრნენ. ამ შეძახილზე ბავშვებმა უცბად მოკურცხლეს და, ტიტველი ფეხის ტყაპა-ტყუპით ხმელ მიწაზე, გაქანდნენ მამისკენ.

„არა, შვილებო, არა... თქვენ ამათსავით არ დაგარჩენთ თქვენი დედა, არა, არა!“ — განწირულებით წამოიძახა სონიამ და ქვევითკენ დაეშვა.

უკან კიდევ ისმოდა მანანას ქაქანი, წყევლა და კრულვა. ანგა-

რიშმიუცემლად სონია მიადგა ქველიძის მოცრეცილ ჭიშკარს. მან ყოველთვის, ყოველ უსიამოვნებაზე აქეთ იცოდა გამოქცევა და დღესაც ჩვეულებამ აქეთ მოიყვანა, თუმცა ეს მას სრულიადაც არ უფიქრია. ძმის გამოისობით ამ ბოლო ხანს მან შესწყვიტა წინანდებურად ხშირი სიარული აქ, ახლაც ერთმა გულმა უკან გაბრუნება ურჩია. მაგრამ შემდეგ ისევ შესვლა გადასწყვიტა.

მას წინანდებურადვე შეეგებნენ. სახლში მხოლოდ ქალები იყვნენ. მისმა გაფითრებულმა სახემ და აღელვებამ ქალიშვილებს თავზარი დასცა; სამივეს ერთნაირმა აზრმა გაურბინა და შეწუხებულთ ხმის ამოღება ვეღარ ეხერხებოდათ, სანამ სონიამ არ უამბო მათ ლევანის სიკვდილი და რაც გზაში ნახა. მაშინ ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა.

ახლად მიცვალებულზე ლაპარაკში იყვნენ, როცა ოლიკომ ფანჯარაში გაიხედა და წამოიძახა:

— მამა მოვიდა, მამა!

ყველანი წამოცვივდნენ ზეზე. მათათი გარეთ გავიდა ქმართან და შვილთან, რომელნიც ის იყო ცხენებიდან ჩამოხტნენ.

დღეს უნდა მოეტანათ ორივეს, მამა-შვილს, უკანასკნელი პასუხი ჯინჭარაძისაგან. სარდიონს გაჯავრებულ სახეზე ეტყობოდა, სასიკეთო არა იყო რა.

— მოუარე მაგ ცხენებს და გადუყვანე მერე! — გადასძახა სარდიონმა შვილს.

კრიჭაშეკრული იგი შევიდა ზალაში და, რა დაინახა სონია, ხელიც არ ჩამოურთმევია, უთხრა:

— სტუმარი მიბრძანდებოდა თქვენსკენ... ბატონი ბიაშვილი!..

სონია მიხვდა, რომ აქ რაღაც ცუდი ამბავი იყო ძმისგან და უნდოდათ მისი თავიდან მოშორება.

იგი წამოდგა, ასწია თავი და გაუბედავი ხმით სცადა გაეგო რამე სახლში მისვლამდის.

— ჩემი ძმა ხომ არ გინახავთ? — დამნაშავესავით იკითხა სონიამ გაუბედავი ხმით.

სარდიონმა ჯერ ხმა არ ამოიღო, მერე ერთბაშად აენთო და ბრაზმორეულმა წამოიძახა:

— ნეტავი ჩემს დღეშიაც არ მენახა! ბევრი მინახავს უსინდისო, უპატიოსნო ყმაწვილი, მაგრამ თქვენი ძმისთანა... თქვენი ძმისთანა ჯერ არა! არა ჯერ, მერწმუნეთ!

— სარდიონ! სარდიონ! — მოინდომა მათათიმ ქმრის დაწყნარება.

— მე წავალ... მე ვეტყვი, მე ვეტყვი... — ენის ბორძიკით ამბობდა სონია.

— ახლა ყველაფერი გათავებულია, ყველაფერი!.. მადლობელი გახლავართ, მადლობელი გახლავართ ყველაფერზე, რაც თქვენი ოჯახის წყალობით მე გადამხდა! გმადლობთ, მეტს ნულა ირჯებით!.. კმარა!.. კმარა!.. მიჩივლეო! ჰმ, გაგიგონიათ?.. მიჩივლეო! მე ჩემს შვილს უსინდისოს ხელში არ ჩავუგდებ... არა! და მადლობა უფალს, რომ იმისთანა საძაგელი და უზნეო კაცი, როგორიც თქვენი ძმა ბრძანებულა, სიძედ არ შემოვიყვანე ჩემს სახლში! ახლა, რომ დამიჩოქოს, ამის ახლოს სულსაც არ დავაბერვინებ!.. გარყვნილსა და გაფუჭებულს რა უნდა ამისთანა ანგელოზთან?! ლაწირაკი!

სონიას თავს რეტი ესხმოდა ამ სიტყვებზე და ამ უცნაურად გახელებული კაცის ყვირილისაგან. ბევრს ეცადა მათათი ქმრის დაწყნარებას, მაგრამ ვერაფრის ღონით ვერ ახერხებდა. დღეს რომ იგი იყო, აქამდის არავის ასე არ უნახავს სარდიონი; ეს კაცი კი ალარ იყო, მხეცი იყო, ნამდვილი ბრაზმორეული მხეცი.

მიზეზიც ჰქონდა. თავიდან შერყეული კეთილდღეობა, ათასგვარი გაჭირვება, ახლა საყვარელი შვილის ამბავი, ქვეყანას რომ მოედებოდა და ვინც როგორც ისურვებდა, ისე რომ დაუწყებდა ტრიალს; რამდენი მტერი გამოჩენილი და უჩინარი ამ შემთხვევას გამოიყენებდა და მის ოჯახს, შვილს, სათრევად გახდიდა; და ყოველ ამას ზედ ისიც ემატებოდა, რომ ბიაშვილმა ულუკმაპუროდ დასტოვა; ეს არ იკმარა და რამდენიმე გლეხი განეზრახებინა მასზე საჩივარი შეეტანათ, რომ იგი მუდამ კანცელარიაში გდია და თავის გამოსარჩენად ერთმანეთში გლეხებს ჰკიდებსო, რის გამო თხოულობდნენ მთავრობის წინაშე აეკრძალათ მისთვის სოფლის სასამართლოში სიარული. ეს ხომ მისი ოჯახის ამოწყვეტას ნიშნავდა, მისი ცოლ-შვილის საბოლოოდ გაუბედურებას, და როგორ შეეძლო დამშვიდებულად ყოფნა, დაწყნარება; როგორ შეიძლებოდა, რომ ამას მხეცად არ გარდაექმნა იგი.

საწყალ სონიას არც კი გაუგია როგორ გამოიარა გზა ქვეშიდან, სახლამდი როგორ მოვიდა, ისე გონებააბნეული იყო. ბიაშვილის დანახვაზე მას ცრემლები მოაწვა თვალებზე და ათრთოლებული ხმით მიმართა მას:

— პორფირი, რატომ შვება ბეგლარი მაგ საქმეს? რატომ შვება? კარგია ახლა მაგ? — ქალს ტირილი მოერია.

— ხა, ხა, ხა! შენ რა გატირებს მერე? მისცეს ფული და გათავდება საქმე! უყურეთ ამას!..

— რვაასი მანათი?!

— ჰო!

— ვის აქვს, შე კაცო, მაგოდენის საშუალება? ჰმ! შიმშილისაგან ვკვდებით, ვიხოცებით! რვაასი მანათი!.. ღმერთო ჩემო!..

— არა, ჩემო დაო, უფულოდ ტყვილა იფიქრა იმ თქვენმა სარდიონმა... უფულოდ ქალიშვილს ხელს არავინ მოუკიდებს, შენც არ ვომიკვდე!..

— თხოვდა, აძალებდა მერე?.. თავად არ დანიშნა, ა?

— ეგ რა ვუყოთ!

— როგორ, თუ რა ვუყოთ!? ქალი ჯავრით უნდა ჩაკვდეს?

— ხა, ხა, ხა!.. არ ჩაკვდება, არა!.. ეგ ოინებია, სარდიონის ოინები! მაგრამ რა სულელია: ქალაქელებს მოგვინდომა სოფლის კაცმა გაცუცურაკება?! ძალიან შემცდარია, ნამეტან ძნელ საქმეს მოჰკიდებია და წაგებულია, და იქნება კიდევაც სხვაშიაც! ხა, ხა, ხა, ბა! არა, ჩვენთან აქაური კრიმანჭულები არ არგია, არა! ხა, ხა, ხა! ჩვენ რავა გვაჯობებს!

პორფირი სიამოვნებით ხითხითებდა და ხარხარებდა... ამის პირით თითქოს თავმომწონე, უფრო ღონიერი ქალაქი დასცინოდა მისუსტებულ სოფელს, დასცინოდა, თავის გამარჯვებას აქადნიდა და ემუქრებოდა მეტ დაჩაგვრას მასთან ბრძოლაში.

„ამათია ყველაფერი!“ — გაურბინა თავში მტირალ სონიას.

„ამათ უნდა გავსდიოთ, ჩემისთანებმა მაინც, თუ ქვეყანაზე სიცოცხლე გვინდა!“ — თავის თავს ეუბნებოდა გულდაღონებული ოტია, რომელიც ის იყო ლევანისაგან დაბრუნებულიყო.

მთელი ღამე ძილი არ გაჰკარებია არც ცოლსა და არც ქმარს. სონიას თვალწინ ედგა ლევანი, საწყალი ეფროსინე, სეფე მარუშიძე ჩაფით მხარზე, ტიტველა მისი შვილები, გადარეული სარდიონი, მოხითხითე პორფირი, გაჯიუტებული მისი ძმა ბეგლარი და მისი ქმარი ოტიაც. ესენი ირეოდნენ ერთმანეთში, ფუსფუსებდნენ მის წინაშე, ხმაურობდნენ, ვინ რას არ ჩასჩიჩინებდა, ჩასძახოდა და მოსვენებას არ აძლევდა ღონემიხდილ ქალს.

ამავე დროს გარეთ, აივანზე გაშხლართული ოტია, ძილგამფრთხალი, მიცვალებულ ლევანზე ფიქრში იყო გართული. ამ ფიქრში თავისი თავი ეხატებოდა მომავალში: თუ იგი დროზე აქაურობას არ გაეცლებოდა, თუ სხვაგან, უფრო მოსახერხებელ ადგილს არ შეაფარებდა თავს, მასაც ასეთივე ბოლო ექნებოდა, ისიც გააქცევდა შვილებს აქეთ-იქით და თავის ბიძასაებრ მშიერი, მწყურვალი, უპატრონო, ასეთ საცოდაობაში დალევდა თავის გაჯახირებულ სულს.

— არა... მეტი საშველი არაა, მეც უნდა ავიბარგო! მეც უნდა

შეეხიზნო იქ, სადაც ყოველი კაცი საშველს პოულობს... სადაც იმოდენა საშოვარია და საშუალება... მეტი გზა აღარ არის!..

ამ გადაწყვეტილების მიღებასთან მას გულში თითქოს რაღაცამ გაურბინა; ოტია ჯერ წამოჯდა, მაგრამ ჯდომაც აღარ ეხერხებოდა, წამოდგა, გადმოვიდა აივნიდან და მიიარ-მოიარა ეზო. რაღაც უცნაური სევდით შეჰყურებდა ამ ღამეში ყოველ საგანს, რაც წინ შეხვდებოდა, რაღაც სიყვარულით აჩერდებოდა სათითაოდ ყველაფერს, რაც მის საკუთრებას შეადგენდა. მისი გული საკვირველად დუღდა, გმინავდა.

ამ ღამეში, ამ ბნელაში, გაჭირვებული ოტია ემშვიდობებოდა აქაურობას, ესალმებოდა ამ მიდამოს, რომელიც დევნიდა და იძულებულს ხდიდა, თავისი კეთილდღეობა სხვაგან ეძებნა.

XIV

ოტია ახლა იმის რჩევაში იყო, თუ როგორ გამოეცხადებინა დედისათვის თავისი განზრახვა, თავის გადაწყვეტილება, რა რიგად დაეჯერებინა მოხუცებული ამის საჭიროებასა და საფუძვლიანობაში; როგორ გამოტეხილიყო, რომ თავზე საზარელი ამბავი დაატყდა; როგორ ეთქვა, რომ სამუდამოდ აეყარა გული სოფელზე და უნდა დაეჩქარებინა მასთან განშორება.

ეკვირინეს სრულიად უბრალო წალაპარაკებას მარუშიძეს სიდედრთან, მანანასთან, საზარელი ბოლო მიეცა. ეს შხამიანი დედაკაცი დიდი ხნიდან ილესავდა კბილებს ეკვირინეზედაც, რომელიც სძულდა მისი ტრაბახობის გამო, და სონიაზედაც. ამ უკანასკნელს თუმცა მისთვის არა დაუშავებია რა, მაგრამ მას სიამპარტავნეს აბრალებდა, მედიდურებას, სხვებზე მეტობას და ეს საკმაო იყო მანანასათვის, სონია შეეძულებინა სამუდამოდ და დაუზოგავად. მანანას გული აეყარა სონიაზე იმ დღიდან განსაკუთრებით, როცა მას თვალი მოჰკრა გზიდან მოყურებულს, სიძეს რომ ეჩხუბებოდა. იგი იმ დღიდანვე ეძებდა შემთხვევას, გული ეჯერებინა მისი საკადრისი ხსენებით და ახლა რომ შემთხვევა იშოვა, აღარაფრით აღარ ზოგავდა არც დედამთილსა და არც მის „განათლებულ“ რძალს.

— კაი შენ დაგემართოს, კაი რამე შენ მოათრიე სულელმა, ჩერჩეტმა! შარა-შარა რომ დაძვრება და ვინ რას ლაპარაკობს, რომ ბოჭავს!.. ასაბოჭი ნალაპარაკები კი გაქვთ, იცოცხლეთ!.. იცოცხლეთ, ბლომად გაქვთ!.. მარა ის ბოჭეთ, რაც თქვენ შეგეხებათ!.. ისიც გეყოფათ, სხვასთან რა ხელი გაქვთ! გამომიდგებიან და ჭკუის დარიგებას დამიწყებენ! შენ თუ ჭკვიანი და გონიერი ბრძანდებოდი, ჩემო ქალბატონო, იმისთანასაც არ შემოათრევდი ოჯახში!..

ეკვირინე გაფითრებული იდგა ღობესთან და გაფაროებული თვალებით შესჩერებოდა შორიდან მოქაქანე მანანას, რომლის უკან ფეხშიშველა, პერანგის ამარა, თავზე რაღაც ქუდის მაგვარით, ბავშვი, — ვერ გაარჩევდით გოგო იყო თუ ბიჭი, — გაშტერებული იდგა და ცხვირს თითით იკირტნიდა.

— ვინ შემოვათრიე, მანანა? ვინ შემოვათრიე შენგან ავად სახსენებელი? შენს უზნეობას თავი დაანებე!.. ჩვენთან გასავალი არ ექნება!..

— ვისი იმედით ბრძანდებით, ვისი იმედით? შენი რძლის საყვარლის იმედით? დაგიდგა თვალი! რა მაღლა მოგაქვთ თავი! იმით იწევით ზევით, რომ ვიღაცა ოხერმა ხასა რძლათ შემოგატყუათ და თქვენი სიბრიყვით გათამამებული ურცხვად დაწანწალობს, ასე გგონიათ, ქვეყანა ვერაფერს ხედავდეს და მიხვდებოდეს?! და თქვენგანაა კიდევ ვინმე სხვა საკილავი და ავად სახსენებელი? თავად გარყვნილებო და გაოხრებულებო!.. ბუშებით ოჯახს რომ ავსებთ, თქვენ უნდა ლაქლაქობდეთ სხვებზე?! აი, ბეჩა!

ეკვირინე ამქვეყნად აღარ იყო ამისი გამგონი.

— ვინ ამბობს მაგას? ვინ? ვინ?.. — ძლივს მოახერხა მან. — ვინაა მაგის მოლაპარაკე? — იყვირა მან და ერთი უკან მოიხედა სახლისაკენ, სონიას ხომ არ ეყურებაო ჩვენი ლაპარაკი და ამბავი.

— ვინა და თელი სოფელი!.. თელი სოფელი!..

— ტყუი!.. ტყუი, შე უსინდისო, შე უკუღმართო... გესლიანო! გესლიანო!

— გული გეიკეთე მაგით!.. არ გიამა?!

— გაჩუმდი, გაჩუმდი, შე უსირცხვილო, თვარა არ ვიცი, არ ვიცი, რას არ გიზამ!.. გესმის?.. ახლავე აქედან წეეთრიე... წეეთრიე, მე შენ გეუბნები!.. — იყვირა ეკვირინემ და უცბად ღობიდან ჯოხი გამოაძრო. — შვილები არ მომიკვდება, აქვე სულს გაგაცხებიებ... მაგ მყრალ ენას სამიდღემჩიოდ დაგიდუმებ ეს არის, გასწი... გასწი შენთვის, მითხრობია!

მაგრამ ამით მანანა არ შინდებოდა. პირიქით, მან უარესები წამოულაგა ეკვირინეს; რაც რამ ჰორი, ცუდი თქმულა მის ოჯახზე, ყველაფერი პირში ახალა და, რაც უარესი იყო, ამათ ხმაურობაზე მთლად კუთხე-მეზობელი მოაწყდა. გააფთრებული დედაკაცები ძლივს დააშორეს ერთმანეთს.

სონია კი გულწასული ეგდო ტახტზე, უგრძნობლად. ეგ მეტად შეუბრალებლობა იყო, ეს ადამიანის გამეტება, მიწაში ჩამარხვა იყო, რაც მან თავის თავზე გაიგონა.

— ოტია... ოტია! მე ხვალვე მივდიეარ... იცოდე, ხვალვე უნდა

წავიდე... აქ მე ერთ წამსაც აღარ მოვიცდი... თუ არ წაგიყვანივარ, გავიქცევი... ღმერთო, ათასნაირ გაჭირვებასთან, უთვალავ უსიამოვნებასთან ესეც უნდა გაეგონა ჩემს ყურებს?.. რატომ, რატომ, მითხარი? კაცის შებრალება აღარ იციან? რამ ათქმევინათ, რამ აფიქრებინათ ამისთანა საძაგლობანი?! ოტია, მომაშორე, მომაშორე... მეტის ატანა აღარ შემიძლია, არ შემიძლია, შე კაცო!..

ცხარე ცრემლით მტირალი ეუბნებოდა სონია შინ დაბრუნებულ ოტიას, რომელიც ამ ალიაქოთის დროს სხვაგან იყო.

— შემიბრალე, შე კაცო! მოვშორდეთ აქაურობას, მოვშორდეთ!.. დროზე!.. თუ მეტი გინდა კიდევ?

— კი... კი!.. — გადაწყვეტით მიუგო ოტიამ. — ვისგანაა ერთი მაცოდინა, ეგ ყველაფერი?.. ვისგანაა შემზადებული, მანახა, რომ ამ ხელებით სული გავაცხებინო... წითლად შეეღებო... ენა ამოვგლიჯო ძირიანად!.. ოხ მე, ოხ მე!.. — გამწარებით გაიძახოდა ოტია.

— ყველა ერთნაირია, ყველა... ყველანი ცოფიანივით არიან! — ოტია მიხვედრილი იყო, საიდანაც გამომდინარეობდა ეს ამბავი, ვისგანაც იქნებოდა ნათქვამი პირველად და ეგ იყო, რომ სიმწარეს მატებდა და გულს უხარშავდა.

ეკვირინემ კიდევაც კვერი დაუკრა, ოტიამ რომ უთხრა სონიას №-ში წავიყვანო.

— წაიყვანე, წაიყვანე, შვილო... გულს გადააყოლებს, გეიხედავს-გამოიხედავს, გადაავიწყდება!.. საწყალს მართლა ბევრი უსიამოვნობა შეხვდა ბოლო ხანს... კი, შვილო, ეგრე ქენი!.. მერე უფრო გულს დაუდებს ოჯახსაც და აქაურობასაც.

მესამე დღეს ოტიამ ჩაიყვანა ურმით ცოლ-შვილი №-ში ცოლის ძმასთან. გამობრუნებული, ახლა იგი შეუდგა გადასახლებისათვის მზადებას.

რამდენიმე კვირის შემდეგ ეკვირინემ გაახსენა შვილს, ცოლი მოეკითხნა და მოეყვანა, რადგან დრო ახლოვდებოდა ლოგინად დაწოლისა.

რარიგად გაოცდა მოხუცებული ეკვირინე, როცა ამაზე შვილისაგან პასუხად გაიგონა, რომ სონია არა თუ აღარ დაბრუნდება თამარნაშენში, პირიქით, ესენი უნდა შემზადებულიყვნენ სამუდამოდ იქ დასასახლებლად.

— რატომ, რატომ? — კითხულობდა გაფაციცებული, აზრშერყეულივით, ეკვირინე. — რა მიზეზია?.. რამ გაფიქრებიათ ამგვარი ამბავი? გამაგებინეთ!

— თავს ვეღარ ვრჩენულობთ, დედა... თავს ვეღარ ვრჩენულობთ!.. წელში ვწყდებით მუშაობით, მარა არა გამოდის რა... უქ-

მად მიდის ყოველივე მეცადინეობა, ჯაფას ნაყოფი აღარ აქვს, ვეწვალებით მხოლოდ... საბოლოოდ ვიღა ამბობს, გასაძღომს ვეღარ ვშოულობთ... ყველა გამწარებულია, შიმშილისაგან გონება არეულია... აქ აღარაფერი სიკეთეა, ათასნაირი გაჭირვებისა და უბედურების მეტი!.. ეგებ იქ მაინც ეშველოს კაცს. ბევრი იქით იწევა... ქე შოულობენ რაღაცას, თავს ირჩენენ... აქაურობას რომ მივიჩერდე, რა გამოდის გაჯახირების მეტი? იქ მაინც ვცდი თავს. თუ დავიღუპები, სულ ერთია, აქაც ხომ მეტი ხეირი არ მომელის. ეს გადაწყვეტილია, დედი, გადაწყვეტილი!

ეკვირინეს გონება ეკარგებოდა ამის გაგონებაზე. მას საწინააღმდეგო სიტყვაც არ ეხერხებოდა, ისე დაიბნა, ისე აირია შვილის ნალაპარაკევზე. ბოლოს, როგორც იქნა, მოისაზრა და გაპარული ხმით უთხრა ოტიას:

— ახლა შეიქმნა ამისთანა ამბავი?

— ახლა, ახლა... დედა! — ამოოხვრით მიუგო ოტიამ.

ეკვირინემ ბრალი რძალს დასდო ამ საქმეში. კიდევაც ჩავიდა №-ში, ინახულა სონია და თვალცრემლიანი ემუდარა ოჯახი არ დაენგრია, ისევ დაბრუნებულიყო, შვილები გზაში არ გამოეყარა, ბუდე არ აენგრია მათთვის. მაგრამ ყოველივე ამაო დარჩა. მისდა გასაოცებლად, მეტი მოუდრეკელი მისივე შვილი ოტია აღმოჩნდა. მისი სიტყვითაც ეს ქალაქში შეხიზნება ერთადერთი საშუალება იყო, რაც მათ რჩებოდათ თავიანთი ცხოვრების გამოსაკეთებლად. არ მოელოდა საწყალი ეკვირინე, თუ როდისმე გამოეთხოვებოდა თავის საცხოვრებელს, მიატოვებდა თავის ეზო-მიდამოს, დაჯდებოდა ურემზე თამარნაშენიდან წამსველელი გასაქალაქებლად.

რამდენიმე თვის შემდეგ ოტიამ გაყიდა სახლის გარდა მთლად თავისი ქონება თამარნაშენში და №-ის განაპირაზე იყიდა პატარა ადგილი, ჩაიტანა თავისი სახლი და შეემატა მის გვარადვე გამოქცეულ სოფლელებს, რომელთა პატარა სახლების რიცხვიც თანდათან მატულობს და სარტყელივით ერტყმევა №-ს გარშემო. ესენი ჯერჯერობით არც ქალაქში სწერიან და სოფლურ ჩვეულებაზე მცხოვრებნი უდარაჯებენ დროს, რომელმაც სრულიად უნდა გაჰქნას ისინი ქალაქელებში და დაგეშოს ახალი ცხოვრებისათვის.

ჯერ კიდევ ვერ მოეწყვნენ, მართალია, მაგრამ იმედი აქვთ ორივე ცოლ-ქმარს, რომ მოკლე ხანში ამ ახალ ნიადაგზე სოფლისაზე უკეთესად წაიყვანენ საქმეს. მათთვის დიდი იმედია ბეგლარი და ბიაშვილი, რომელთაც ხშირად ოტია აცოდებს თავსა და თავის ცოლ-შვილს და ეუბნება ხოლმე:

— თქვენ იცით, თქვენი იმედით ვარ... თქვენისთანა განათლე-

ბულებისა და გაელესიანების იმედი თუ არ მოგვეშალა, ეგებ რაღაც გამოვკეთდეთ, გამოვიდეთ სინათლეზე... თქვენ იცით!..

ამის პასუხად ბეგლარი ბეერ სიტყვასაც არ იმეტებს, ბიაშვილი კი თავისებურად იცინის და, მუდამ ხალისიანი, იმედს აძლევს, ამბნევებს, მაგრამ ისიც უფრო, რასაკვირველია, სიტყვით მხოლოდ.

ოტიას სამოსახლოზე სხვა დასახლდა, ახლად გამოყოფილი, რომელიც შემთხვევას ელოდა, სადმე ადგილი დაკარიელებულიყო მოსახლეობის გასამართავად, რომელსაც ეზო საყანედ გადაუქცევია, ცალ ყურეში კი ქოხი ნაუდგამს.

ამგვარსავე გარემოებაში მყოფმა გლეხმა იყიდა ლევან ქამუშაძის ეზოც, რადგან მისმა შვილებმა მამის სიკვდილის შემდეგ სოფელი აღარ დაეძიეს. ეფროსინე უფროსმა შვილმა წაიყვანა: რკინიგზაზე ბუდაში დგანან, და ხშირად ეწვევა დროშაკით ხელში, პირზე თავსაფარ ჩამოფარებული, გამვლელ მატარებელს ანიშნებს ვზის აეკარგიანობას. სარდიონ ქველიძემ, როგორც იქნა, გაიმართა თავი ეწართველობის წინაშე, ისევ ვექილობას მიჰყო ხელი და ვლეხებიც მასვე დაუბრუნდნენ, რადგან ბიაშვილმა მიატოვა თამარნაშენი, როგორც მოკმული ადგილი და სხვაგან გადავიდა. მაგრამ ქალიშვილის ჯავრმა ერთობ მოაბერა და მოტეხა სარდიონი. ასე რომ ვეღარ ეკიდება წინანდებურად თავის მარჩენალ საქმეს. ამის გამო ელადიმერიც იძულებული შეიქნა, სახლიდან ფეხი გადაედგა, რამე ეშოვა, ოჯახს წადგომოდა, მაგრამ ტყუილა დაეხეტება ხან შავქვაში, ხან რკინიგზაზე, — ვერსად შოულობს სამუშაოს.

ერთობ ეწუხარებაშია ქალიშვილების შემყურე მათათიც, მაგრამ ბაინც ვითომ გულს არ იტეხს, გულმაგრად არის და ჩვეულებისამებრ მუდამ თავის სახელოვან ნათესავებზე ლაპარაკობს, მათ ჭოწიწებით ხსენებაშია და მათით თავმოწონეობს.

1909 წ.

მიქელა

უბედურ მოხუცებულობას შეესწრო მიქელა გიორგაძე. სულ მოკლე ხნის განმავლობაში მიწას მიაბარა თავისი სამი ვაჟი, ერთი ცოლშვილიანად. მრავალრიცხოვან ოჯახიდან მას შერჩა მხოლოდ ორი შვილიშვილი და დაქვრივებული რძალი მაია.

— მადლობა უფალს!.. ყველაფერი მისი ნებით ხდება! ყველა მისი ნების ქვეშ ვიმყოფებით! — ამბობდა მიქელა, როცა მწუხარება გულს მოაწვებოდა ხოლმე.

მოხუცებული ერიდებოდა რაიმე საყვედური წამოსცდენოდა ღვთიების მიმართ. არც შავები ჩაუცვამს, არც თმა და წვერი მოუშვია; არავის ამჩნევინებდა თავის მგლოვიარობას. მორჩილებით და მოთმინებით უზენაესის ნების წინაშე იმედოვნებდა მიქელა ღვთაების გულისმოგებას, მისგან შებრალებასა და შეწყალებას. და სწამდა კიდეც, რომ აგრე იყო; შერჩენილი, ცოცხლად მყოფი ორი შვილიშვილი ღვთისაგან საჩუქრად ჰქონდა მიჩნეული მისი მორჩილად მყოფობისა და მოთმინებისათვის. ღრმად სწამდა ეს მიქელას, მადლობას სწირავდა უფალს და მზად იყო დაევიწყნა უბედურება, რაკი ამათში ხედავდა ოჯახის მომავალ მშვიდობიანობას და თავისი გამწარებულა სულის მომვლელთ მისი სიკვდილის შემდეგ.

და სწორედ მაშინ, როცა მიქელა იმედს მიეცა, ამ რწმენით დამშვიდებული იყო, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ესენი ეყოლებოდნენ მისი სულისთვის მზრუნველებად, სწორედ ამ დროს, მოულოდნელად, ავად გახდა უფროსი შვილიშვილი, ოცი წლის ბიჭი, სპიდონა. მოხუცებულს თავზარი დაეცა. მაიამ ხელი დაავლო თავის პატარა ნესტორას და იმავე დღესვე, რა დღესაც ავად გახდა მისი მაზლისწული, მახლობელ სოფელში თავის სახლს გადახიზნა.

ავადმყოფი სპიდონა დღითი დღე უარესად ხდებოდა. ერთ

დღეს იგი ისე მოიქცა, რომ მიქელას ეგონა მოკვდაო. გონება არეული მოხუცი მზადებას შეუდგა, ესეც ისე გაეტანა ურმით, როგორც წინანდელი მიცვალებულები. მალე სპიდონამ მოხუცის სასიხარულოდ, ისევ ამოისუნთქა და თვალიც გაახილა, მაგრამ სიხარული მეტად ხანმოკლე იყო: შვილიშვილმა მიქელას გამოუცხადა, რომ საიქიოს ვიყავიო, მაგრამ რადგან ჩემი იქ წასვლის ბორჯი არ მოსულა, ერთი წლით გამომაბრუნეს უკანაო.

ახლა კი ვეღარ გაუძლო მოხუცებულმა მიქელამ ჯავრს. ყოველივე იმედი, ყოველივე რწმენა, მორჩილებით და მოთმინებით ნაპოვნი ვითომ მშვიდობიანობა, კეთილი მომავალი გაჰქრა, გაქარწყლდა, მოისპო. მოხუცებული აირია, მოუსვენრობას მიეცა.

ჩუმი, ყუჩი, შეხედულებით ბუს მსგავსი მიქელა, რომლისაგანაც ძლივს ორ სიტყვას გაიგონებდა კაცი, რომელიც გულგრილად ეკიდებოდა ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდებოდა, გარდა სამუშაოსი, ეს მოხუცებული ახლა სრულიად გამოიცვალა, სრულიად გადასხვაფერდა. მასში თითქოს გაიღვიძა შიგნით დამალულმა ადამიანმა თავისი გრძნობებითა და წადილებით.

მისი ოჯახის ამომავალი ახლა ისეთ სუსტ ძაფზე ეკიდა, როგორიც იყო მისი უმცროსი შვილიშვილი, პატარა ათი წლის ნესტორა; ამდენი სულის მომვლელ-პატრონად, როგორიც ესაჭიროებოდა ოჯახის მიცვალებულთ და თვითონ მიქელასაც მისი სიკვდილის შემდეგ, რჩებოდა პატარა, უსუსური ბავშვი, ნორჩი, ჯერ კიდევ გასაზრდელი ნესტორა — სუსტი იმედი.

ამოკვეთის, ამოწყვეტის შიშმა, ოჯახის ამოვარდნის შიშმა, შიშმა, რომ ამდენ მიცვალებულთა სულის მოსამსახურედ აღარავინ დარჩება ოჯახში, გაურბინა თავში მიქელას და მოხუცებულს უცნაურად დაეცეცხლა. იგი მოისხლიტა, გული ვეღარაფერს საქმეს ვეღარ დაუდვა; მუშაობაზედაც ხელი აიღო. სარჩოს მოყვანა ქვრივ მაიას დააწვა კისერზე და ჯანიანი დედაკაცი მამაკაცივით ეკიდა თოხსა და ურემს. მიქელა კი ეზოს აღარ სცილდებოდა; მორთხმული იჯდა რომელიმე ხის ძირში და დაღონებით იმზირებოდა გაყუჩებული, დადუმებული, ხშირად ოცნებით მოალერსე თავის საიმედო შვილიშვილის, პატარა ნესტორასი, რომლის გამოხატულება თითქმის მუდამ თვალწინ ედგა მოხუცებულს; და მიქელას ხანდახან უცნაურად შეიპყრობდა სურვილი ამ პაწაწინას ცხადად დანახვის, მისი ხმის გაგონების და მასთან ახლოს ყოფნისა.

საიქიოდან დაბრუნებულ სპიდონას კი მთლად იმ კუთხის დედაკაცები შემოედვნენ. ესენი თვალცრემლიანები ეკითხებოდნენ თავიანთ მიცვალებულნა ამბავს, ეკითხებოდნენ იმათ იქაურ ყო-

ფაზე, კითხულობდნენ, ეგებ რამეს ითვლევინებოდნენ — ან თუ სამსახური მეტი ეჭირვებოდეთ, ან წირვა-ლოცვა, ან აკლდეთ შესაწირი, აკლდეთ აქედან ხელისწყობა და მათი სული წუხდეს და გასაჭირში იმყოფებოდეს უგუნურ და მიუხდომელ ამქვეყნად დარჩენილ მათ პატრონთა გამოისობით.

ბევრი ვერავინ გაახარა სპიდონამ საიქიოდან ჩამოტანილი ამბით. უმეტესობა გულდაწყვეტილი გაბრუნდა, რადგან, სპიდონას თქმით, მოკლე ხანს იქ მყოფობაში ბევრი ვერავინ ენახა და ვინც ნახა, მასთან ლაპარაკი არ დასცალდა.

— წლის ვადით გამომაბრუნეს... ისევ უნდა გავბრუნდე... რასაც დამაბარებთ, რომ მივალ, გადავცემ... — ერთნაირად პირდებოდა იგი ამ მოტირალ, შავებით შემოსილ დედაკაცებს.

ესენი მადლობას სწირავდნენ და დაიმედებულნი მიდიოდნენ, მაგრამ მიქელას კი თითო გამეორება სპიდონასი მის საიქიოს უკან გაბრუნებაზე ლახვარივით გულში ხვდებოდა და მწუხარებას უორკეცებდა. სწორედ ამ დროს სურვილი შორს მყოფ ნესტორას ნახვისა უფრო უცხოველდებოდა, უფრო მეტი სიმძლავრით შემოენთებოდა ხოლმე მიქელას.

ერთ დღეს ამგვარი სურვილი უცნაური სიმძლავრით შემოეჭიდა მოხუცებულს, რომ იგი ერთნაირად შეინძრა. იგი თითქოს გამოცოცხლდაო, გამოფხიზლდაო. უძლეველმა სურვილმა პაწაწინა ნესტორას დანახვისამ მოხუცებული ფეხზე წამოაყენა. აჩქარებით შევიდა იგი სახლში, არც კი გადახედა ყურეში ქვეშაგებთან მიწოლილ, სახეჩაყვითლებულ სპიდონას, გამოიტანა თავისი დაძველებული ჩოხა, შეიკონა თავი ყაბალახით, აიღო თავისი საბიჯგი გრძელი ჯოხი, გადაიარა ჩამოვარდნილ წკნელის ჭიშკრის გადაღმა და დაეშვა შარაგზით.

— მაია!.. მივდივარ მე... ბავშვი უნდა ვნახო! — უთხრა მიქელამ რძალს, როცა ყანაში ჩაუარა.

მცხუნავ მზის სხივების ქვეშ გულგაღეღილმა, თავსაფრის ყურებგახსნილმა, ოფლში გაწურულმა მაიამ თოხი შეაჩერა და მამამთილს თვალი მიაპყრო.

— ბავშვთან მივალ! — გაიმეორა მიქელამ.

— რა ამბავია ეს?.. — წარმოსთქვა შიშით ქალმა.

— არაფერი... არა... არა!.. ისე... მინდა ვნახო.

მაია უფრო მიაჩერდა მოხუცებულს.

— ნუ მიმალავთ!.. — მოკლედ წამოიძახა მაიამ.

— მომენატრა, შე ქალო... მომესურვილა ნახვა... ნესტორა ნუ მომიკვდება!.. გადვირბენ ერთ წამში და ამ საღამოსვე გადმოვალ

ისევ... ყანაში ნუ დაიგვიანებ... სახლში იმ ბიჭის მეტი არავინაა... ახლავე გადმოვალ ისევ... — თქვა ეს მიქელამ და გაუდგა თავის გზას.

მაიამ უკან თვალი გააყოლა.

— ტანისამოსი დაგებერტყათ, ბატონო!.. არაფერი გაგყვეთ! — შეაძახა ქალმა.

— კი, კი, გავიბერტყავ, გავიბერტყავ! — მიუგო მიქელამ, აჩქარებული ფეხით მიმავალმა.

მოხუცებული, შვილიშვილის ნახვის სურვილით გატაცებული, თითქმის მირბოდა ამ სიცხე-პაპანაქებაში და არავითარ დაღლილობას არა გრძნობდა. მისი აზრი და გონება მიმართული იყო იმ პატარა არსებისაკენ. იგი მასზე ფიქრობდა და, რაც წინ იწეოდა, ნესტორაც თითქოს უახლოვდებოდა, ეგებებოდა, და ერთ ხანზე მოხუცებული კიდეც თავის გვერდით გრძნობდა მას, ემუსაიფებოდა, ეალერსებოდა, თავისებურად უცინოდა. მიქელას უხაროდა ეს, მოხუცებული ხარობდა ბავშვის ტიტინით, რომელიც მას ესმოდა, და, გამხნევებული, თითქმის მირბოდა წინ მომღიმარი სახით, სანამ რაღაც ხმაურობამ იგი არ გამოაფხიზლა. გონს არ მოიყვანა. მიქელამ მიიხედ-მოიხედა იქით-აქეთ გაოცებით და რა ვერ დაინახა ეს-ეს იყო მასთან მოტიტინე ნესტორა. შეკრთა და შეშინებულმა პირჯვარი გადისახა. ცუდ ნიშნად მიიღო ეს აშბავი მოხუცებულმა, გულჩაწყვეტილი შეჩერდა, გააფურთხა მარჯვნით და მარცხნით, ისევ გადისახა პირჯვარი და განაგრძო გზა.

მძახლის ჭიშკართან მისულ მიქელას გაახსენდა რძლის დანაბარები — ტანისამოსის დაბერტყვა. შეჩერდა, გაიხადა ჩოხა, მოიხსნა ყაბალახი, გაიხადა ქალამნები, გაბერტყა ესენი, ჩაიცვა ხელახლა და მხოლოდ მაშინ შედგა ფეხი მოყვრის ეზოში.

რამდენიმე თითქმის ტიტველა ბავშვი, ტალახში ჩამდგარ გვერდზე გადაწეულ საღორესთან, გარს შემოხვეოდა წელში აბზუკულ, გამხდარ ღორს, რომელიც მათ ხითხითში საცოდავად ჭყვიროდა, მოგრეხილი დაშენილი წკეპლების ქვეშ. დაინახეს უცხო კაცი თუ არა ბავშვებმა იმწამს დააგდეს წკეპლები და შიშველა ფეხების ტკაცუნით დაეშვნენ სახლისკენ, გადავარდნენ დაბალ ღობეს გადაღმა და სახლს ამოფარებულებმა დაუწყეს მზერა მოსულს.

მიქელამ ამათში შეამჩნია პატარა ნესტორა, რომელმაც, ალბათ, ვერ იცნო თავისი ბაბუა.

ბავშვების ხმაურობაზე ჯერ წყრომის ხმა მოისმა სახლიდან, მერე კი კარებში გამოჩნდა მოხუცებული დედაკაცი, რომელმაც თავ-

დაპირველად ვერ გაარჩია მომსვლელში თვისი მძახალი, სანამ დაკვირვებით არ მიაპყრო მას თვისი სუსტი თვალები.

— ღმერთო მომკალი! — წამოიძახა მან და გამოემართა მიქელასკენ. — ვეღარ ვიხედები მე უბედური!.. მობრძანდით, ჩემო ბატონო! მობრძანდით, თქვენი ჭირიმე!

დედაკაცი შეუძღვა მოხუცებულს სახლში. მიქელა ჩამოჯდა მოწოდებულ დაბალ სამფეხა სკამზე.

— ბავშვის სახვა მომენატრა... ტუფია ჩემო!.. — ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ თქვა მიქელამ და მძიმედ ამოიხვნეშა.

— კენჭივითაა, ენაცვალა მას ბებიამისი... კენჭივითაა!.. ერთობ მაგარი ბავშვია!.. ტყვილა ფჩხილი არ წამოსტკივებია, რაი აქ არი... ნესტორა, ბებია! --- გასძახა კარებიდან ტუფიამ ეზოში, საიდანაც ბავშვების ხმა მოისმოდა. — ნესტორა, მოდი აქ, შვილო! აქ მოდი, შენ გენაცვალე! შემოდი, ბიჭო, შემოდი! — და ტუფიამ თითქმის შემოათრია კისერმოქცეული, დაგრეხილი, დარცხვენილობისაგან თავჩაქინდრული ბავშვი. — მიდი, შვილო, ბაბუასთან!.. გასწორდი, შენ გენაცვალე! -- და დედაკაცმა ძალით მიუთრია ბავშვი მიქელას.

მიქელამ მოხვია შვილიშვილს ათრთოლებული ხელები, მიიწოდა, ჩაიკრა გულში და ჩააშტერა აცრემლებული თვალები.

— რავა ხარ, ბიჭო? ა?.. შენ იცი! — სიტყვებგანცალკეევებით წაულაპარაკა მიქელამ და ისევ ჩაჩუმდა. — ვწყდებით, ტუფია ჩემო! ვწყდებით!.. თუ ამანაც... მიმტყუნა... ამოვწყდებით...

მოხუცებულმა სიტყვის დათავება ვერ შესძლო, ხელახლა ჩაჩუმდა.

— უიმე!.. რატომ ნებულობთ... მტერი ამოგიწყდათ!.. — მიაძახა ტუფიამ. — ღმერთს ნუ აწყენინებთ?..

— აბა, რაა ჩემს თავზე?!

— ყველა ღვთის განგების ქვეშ ვართ, ჩემო ბატონო!.. ვინ მიუხვდება მის განკარგულებას, მის სიბრძნე-სიმართლეს!.. მოთმენა გვჭირია და მორჩილად ყოფნა, ჩემო ბატონო!

— ვითმინე... რა გამოვიდა?.. ეს მყავს კიდევ... თუ ამანაც მიღალატა... მირჩიეთ რამე... ბიჭო, ნესტორა... ოჯახი არ გამიცივო, ბაბუა! ა?

ცრემლებმორეულმა მიქელამ მაგრა ჩაიხუტა გულში ბავშვი; ეს კი ყოველ ღონეს ხმარობდა, თავი გაენთავისუფლებინა რამენაირად და ხელიდან დასძრომოდა მოხუცებულს.

მიქელაც მიუხვდა, რაც სწადდა ბავშვს.

— წადი, შვილო... ითამაშე, ბაბუ! — უთხრა მან, გაუშვა იგი

და სიამოვნებით გააყოლა თვალი, როცა განთავისუფლებულმა ბავშვმა მარდად დაჰკრა ფეხი მიწას, გადახტა და შეუერთდა მის მოდარაჯე ამხანაგებს, რომელნიც ახლა ჟრიამულით გარშემოეხვევნენ მას და გაიტაცეს ეზოში.

— ჯვარი სწერია ავი თვალისაგან... და ერთობ მაგარი ბავშვია, საიმედო ბავშვია! — თქვა ტუფიამ და მოჰყვა დაწერილებით, თუ როგორ თამაშობდა ნესტორა მეზობლის ბავშვებთან, როგორ ერთობოდა, როგორ ატარებდა დღეს დილიდან საღამომდის ხან სირბილში, ხან ჭიდაობაში, ხან მუშაობაშიაც კი.

ამ ამბებმა და თვით ბავშვის ნახვამაც მიქელას გული დაუშოშმინეს, დაუწყნარეს, დაუმშვიდეს. იგი უკან გამომგზავრებას ეპირებოდა, როცა სამუშაოდან დაბრუნებულმა მძახალმაც მოუსწრო. მიქელა საიქიოდან დაბრუნებულ სპიდონას ამბავში იყო.

— გამოცდილი კაცი სარ თვითონ, მიქელა ჩემო, მაგრამ ერთ რამეს გეტყვი, — უთხრა გაბრიელმა. — ტყვილა მიატოვე შენი წინანდელი ნამოსახლი... კარგად იყავით იქ... ამ ახალ სამოსახლოზე ბევრი უბედურება გეიარე... შეიძლება სახლის გადატანაზედაც რამე მავნებლობა შეგეპარათ და დაბუდებული იყვეს შიგ... სახლის გაწმენდა გაგანთავისუფლებს... შენს ადგილზე სახლს გადავდგამდი, თუ არა გავწმენდდი მაინც... დავარღვევდი და ისე გავწმენდდი... უსათუოდ სახლში შეგყვებოდათ, რო გადადიოდით იმ ახალ სამოსახლოზე, რამე მავნეული... აბა რა, კუდიანი თქვენს გვარშიაც არავინ ყოფილა და ბოროტი სული... საიდანაა ამდენი ცოდვა თქვენს თავზე?!

— კუდიანი ვინ გვყოლია... დაწყევლილი?.. არავინ! — წაილაპარაკა მიქელამ.

— ეგებ ჩემს სახლიკაცსაც თედორეს ასე შენსავით ემართებოდა, მოინაცვლა სამოსახლო, გაწმინდა, გაასუფთავა სახლი — ახლა ქე არის კარგად...

— მესამე წელიწადია არავინ მოკვდომია, — დაატანა ტუფიამ.

მიქელამ ამოიოხრა.

— მეც ასე უნდა ექნა! — წაილაპარაკა მან. — ჭკუაზე აღარ ვარ... ვეღარ მოვისაზრე... ასე უნდა ექნა უსათუოდ!..

რაღაც იმედმოცემული დაბრუნდა მიქელა შინ.

— მაია, სახლი უნდა გავწმინდო და გადავდგა ძველ ნამოსახლზე, — უთხრა მიქელამ რძალს, როცა ნესტორას ამბავი მოუთავა. — თქვენებმაც ასე მირჩიეს.

— თქვენი ნებაა, — მიუგო მაიამ. მას თვითონაც უნდოდა ამ-

ნაირი რჩევა მიეცა მამამთილისათვის, მაგრამ ვერ უბედავდა, ეშინოდა, მოხუცებულს არ სწყენოდა.

— კი, მარა... სანამ ეს ერთი წელიწადი არ გეივლის, რავა მოხერხდება?

— ახლავე უნდა შევუდგე!.. ერთი წელიწადი რას ვუყურო?— წამოიძახა მიქელამ.

— სპიდონას რას უშვები?

— სპიდონას კარავში გევიყვან, კარავს გოვუკეთებ და გევიყვან შიგ...

— სახლის გამწმენდი დაგვჭირდება, ბატონო!.. მეზობლები ახლაც არ გვეკარებიან... გასაწმენდად ვინ გამოიმეტებს თავს...

— ვიცი მე იმისთანა კაცი... ხვალვე გადავალ. საჩხერეში ყოფილა ქამგამოვლილი ალექსი ბოჭორიძე, იმას გავაწმენდინებ... ეს გათავებული საქმეა! — წამოიძახა მიქელამ.

— კაი დაგემართოთ! — დაატანა სიტყვა მაიამ.

მიქელამ მეორე დღესვე მოიარა საჩხერე, ინახულა ნანიშნი კაცი და დაუსვენებლივ გასწია მთაში ურმით წნელის ჩამოსატანად კარვისათვის. საღამომდის ორჯელ მოიარა მიქელამ შორი მთა, ზიდა შემდეგი დღის განმავლობაშიაც და, როცა საკმაო წნელი ჩამოზიდა, შეუდგა კარვის კეთებას ღობესთან, ეზოს ყურეში. მოწნა პატარა კარავი, ზევიდან ჭოგრები გაუდვა, ზედ ნეშოიანი შტოები გადახლართა სახურავად, შეიტანა შიგ ორი მოკლე ფიცარი, რომელზედაც უნდა დაეწვინა სპიდონა და, რა მოაწყო მის გუნებაში აქაურობა, შვილიშვილთან მივიდა:

— სპიდონა, შენ კარავში უნდა გახვიდე! — რაღაც განსხვავებული კილოთი, გულცივად მიმართა მან ყმაწვილს. — სახლი უნდა გავწმინდო!

სპიდონმა გაოცებით მიაპყრო თავისი ჩავარდნილი თვალები მოხუცებულს.

— კარავში?! — წაილაპარაკა მან.

— ჰო!.. ეგერ გაგიკეთე!.. ადექი... ადექი!.. — ისევ გულცივად ჩასძახა მიქელამ.

ავადმყოფმა წამოიწია, მოაფოთიარა გვერდით დაგდებული ჯოხი, წამოდგა მასზე დანდობილი და გაჩერდა წელში მოხრილი. მიქელამ შეხვია მისი ქვეშაგებელი, ამოიდო იღლიაში და გასწია კარებისაკენ.

— გამომყევი! — უთხრა მან.

სპიდონა იდგა ისევ იმავ ადგილას; მერე უღონოდ მიატრიალ-მოატრიალა თავის გაწვრილებულ კისერზე თავი, სევდიანი თვალი

შემოაელო იქაურობას და დასუსტებული ნაბიჯით გაპყვა ბაბუას; როგორც იქნა, გადაიარა ეზო და მივიდა კარავთან.

მიქელამ შეიტანა კარავში ქვეშაგებელი, გაშალა გდებულ ფიცრებზე იგი და მიმართა კარვის შესავალზე მიყუდებულ სპიდონას:

— აჰა!.. დაწევი ამაზე!.. წყალი აგერ იქნება დოქში!.. თუ რამე დაგჭირდეს, დამიძახე და მოვალ... გესმის?..

ბიჭი ხმას არ იღებდა. როცა მიქელამ მიატოვა იგი, შეფორთხდა შიგნით კარავში და მუხლებმოკეთილივით მოიკეცა თავის ახალ საწოლზე, სახემწუხარემ, დაღონებულმა. თავად იცოდა, რომ აღარ იყო ამა სოფლისა, მაგრამ მაინც გული ეჩაგრებოდა, რომ უკვე ხელს იღებდნენ მასზე, რომ ოჯახიდან რიცხავდნენ. დაწვა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ წამოიწია, — სული უწუხდა. წამოდგა, გამოვიდა გარეთ და კარავის შესავალთან ჩაკეცილი, ზურგით მიენდო კარავს. ასე იყო სპიდონა საღამომდის. როცა მიქელამ ვახშმად ცოტა ლობიო და ჭადის ნატეხი მოუტანა, ორიოდე ლუკმა გადაყლაპა და, რადგან ის იყო კიდეც ჩამოღამდა, შევიდა ისევ კარავში, დაწვა ფიცრებზე და დიდი ხნის ტრიალის შემდეგ, როგორც იქნა, გაეხვია თავიან-ფეხებიანად თავის თხელ საბანში.

მიქელა ახლა ერთ მოუსვენრობაში იყო. იგი გამოცოცხლდა, გამხნევდა, მოღონიერდა, გაჭარმაგდა იმედმოცემული, რომ ამოწყვეტისაგან ოჯახის ხსნა შესაძლებელი ხდებოდა. მან კიდევ ჩამოიტანა რამდენიმე ურემი წნელი და სახლს იქით ამართა მაღალი რაგვი.

რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა ყამგამოვლილი ალექსი, სახე ნაყვავილევი, ცალთვალ წამხდარი კაცი.

— მზათა მაქვს, რაც მითხარი, ალექსი! — უთხრა მიქელამ.

ალექსიმ დაათვალიერა სახლი, გარშემო შემოუარა, გაზომა გაკეთებული რაგვის სიმაღლე და ერთი კარვისკენაც გადაიხედა.

— მომხმარე დამჭირდება, მიქელა!

— მე მოგეხმარები! — წამოიძახა მიქელამ.

— ჰმ!.. შენ რავა შეიძლებ! — ჩაიცინა ალექსიმ. — ამ ძელების გადაზიდვა სად შეგიძლია, შე კაცო!

— კი შევიძლებ!.. რავა ვერ შევიძლებ!.. — გამხნევებულად წამოიძახა მოხუცებულმა; — შენ ოღონდ კარგად გამიწმინდე, არაფერი ჩარჩეს შიგ და ჩემ-თავი ნუ გეგრალება ამათ გადასაზიდავად! — გულიანად დაატანა მიქელამ.

— შენ იცი!.. სახლს კი ისე გაგიწმენდ, რაღა გითხრა!.. ხიდან ამოვფხეკ, რაც რომ გინდ შიგ იყვეს... არაფერს არ დავერიდები!.. ათას ჭირში ვარ გამოვლილი... არაფრის არ მეშინია! — დაჩემებით

წარმოსთქვა ალექსიმ. — აბა, რაკი მზად გაქვს ყველაფერი, ხვალ მოვალ და შეგვუდგეთ საქმეს... წყალი დაგეჭირდება ბევრი სამდუღრავად... ახლოს თუა?

— ახლოს არაა, მარა მე მოვიტან!... ყველაფერი იქნება, ხელს არ შეგიშლი. შენ ოღონდ მიშველე!.. ნუღა გამიჩერებ საქმეს!

სპიდონას რომ დილას კარავში გამოეღვიძა, მან იმწამსვე იგრძნო რაღაც ხრაკის სუნი; თვით კარავშიაც რაღაც შავი ბოლივით იდგა. წამოდგა, მიეიდა გამოსავალთან და სახლისკენ გამოიხედა. ისლის სახურავგადახდილი სახლი შავ ბურუსში იყო გახვეული. შავად მოჩანდა ზედ მდგარი კაცი, რომელიც ძირს ყრიდა შავ ისლს, რომლისაგან მთელ ეზოში და ეზოს გადაღმა ეფინებოდა დიდრონი შავი, ჭვარტლის ნაფლეთები. მთლად იქაურობა გამურული იყო ამ შერყეული ჭვარტლით, რომელიც უფრო გაძლიერდა, როცა ალექსი შეუდგა გადასაკიდლების აყრას. იგი რაღაცას ლაპარაკობდა, მაგრამ მიქელას არა ესმოდა რა. ისე იყო გართული მუშაობაში, როცა აწყობდა ერთ ადგილას სახლის ხეებს. დღე ნახევარი მოუნდა ორივე სახლის საძირკვლებამდის სრულიად დარღვევას. როცა აფორიაქებული ჭვარტლი ჩადგა, მომუშავეთ დაიბერტყეს, რაც გაეწყობოდათ, ტანსაცმელი და ალექსი შეუდგა ძელების წმენდას. ღეროიანი შტოებისაგან გაკეთებული ცოცხით იგი სწმენდდა სათითაოდ ძელს, ფხეკდა დანით, შემდეგ გადაჭონდა რაგვს იქით, სადაც დიდ ქვაბში აცხელებდნენ წყალს, მდუღრავდა მდუღარით ამ ძელს, რის შემდეგაც მიქელა შეიგდებდა მას ზურგზე და მიაჩიქჩიქებდა თავის ძველ ნამოსახლზე. წელში იზნიქებოდა მიქელა ამ მძიმე ტვირთის ქვეშ, მაგრამ მოხუცებული არაფრად იმჩნევდა ამას. ალექსის უნებურად ეცინებოდა მის შემხედვარეს და ერთხელ კიდევაც უთხრა ღიმილით:

— წელში. გაგწყვეტს, მიქელა, რომელიმე ძელი!.. ნამეტანს ეჭიდები!..

— შენ მაგ გამიწმინდე, მაგ, და ეს მე ვიცი! — მიუგო მიქელამ და თავდაუზოგველად განაგრძობდა, ოფლით გაღვარული, სახლის გაწმენდილი ხეების გადაზიდვას.

ამ მუშაობამ თითქმის სრულიად მიავიწყებინა მიქელას კარავში გაყვანილი შვილიშვილი. თანდათან უკლებდა მიხედვას, თვალყურის დევნას; ხშირად მშიერსაც სტოვებდა. თავდაპირველად სპიდონა ითმენდა ასეთ უპატრონობას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მეტად უჭირდებოდა ხოლმე; იმდენად უსაქმელობა არ აწუხებდა, რამდენადაც უსმელ-უწყლობა. ერთ დღეს მიქელამ სრულიად უწყლოდ დატოვა იგი. ბევრი უძახა კარვის კართან გაჩერებულმა სპი-

დონამ ბაბუას, მაგრამ თავისი სუსტი, ძლივს გასაგონი ხმა ვერ მიაწვდინა მოხუცებულის ყურებამდის. წყურვილისაგან მეტად შეწუხებულმა, აიღო თუნგული ხელში და ჯოხის ბიჯგებით წამოვიდა თავისი სუსტი ნაბიჯით რაგვისკენ, რომლის იქიდან მოისმოდა ალექსისა და მიქელას ხმა.

— ბაბუა! — დაუძახა სპიდონამ, რაგვს რომ მიადგა.—ბაბუა!— გაიმეორა მან.

მიქელამ, რომელსაც ის იყო მხარზე გაუწყო ალექსიმ კედლის ძელი, მოიხედა და, რა დაინახა სპიდონა, დაადგო უცბად მიწაზე ხე და გაჯავრებით გამოექანა შვილიშვილისაკენ.

— რა გინდა შენ აქ? — მიაძახა მას, — რა გინდა აქ? წადი!..

— წყალი აღარ მაქვს!.. — და სპიდონამ გამოაწოდა თუნგული.

— დევიძახებდი და მე მოგიტანდი!

— ვიძახე... მაგრამ ვერ გაგაგონე...

— ვერ გაგაგონე... მოვითმენდი ერთ წამს!.. აქ რა გინდოდა? წადი... წადი!.. წადი შენთვის... მოგიტან ახლავე!.. — მან გამოგლიჯა თუნგული ხელიდან და ბუტბუტით წავიდა წყლის მოსატანად.

სპიდონა მორჩილად გაბრუნდა და წაფორთხდა თავის კარვისკენ ბანცალით.

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ალექსიმ მოათავა სახლის გაწვენდა და მისი აწყობა მიქელას ნამოსახლზე. მოხუცებულმა თავისუფლად ამოისუნთქა მძიმე მუშაობის შემდეგ, მაგრამ სპიდონას ამით არა თუ მომატებია მისგან მზრუნველობა, ბერმა კაცმა უცნაური საქციელი დაიჭირა ფარღალალა კარავში მარტოდ დარჩენილ ყმაწვილთან. რაკი გადადგმულ სახლში შევიდა მიქელა, მან მორიდება დაუწყო სპიდონას, ახლოს აღარ ეკარებოდა შვილიშვილს. საჭმელს რომ მიუტანდა, გადასაცემად მან გაიკეთა გრძელი ჯოხი, წამოაგებდა ზედ ჭადს, პაწია ქოთანს, რომელშიაც გადუსხამდა სხვა ქოთნით მოტანილ ლობიოს და ისე მიაწოდებდა ხოლმე; წყლის თუნგულასაც წამოაგებინებდა ხელით ამ ჯოხზე, ჩაუსხამდა მოტანილ წყალს შიგ და ისე გაუწვდენდა; ჯოხი ცალკე ინახებოდა ხეზე იმავე ეზოში.

თავდაპირველად ძლიერ ეოცა ყმაწვილს ასეთი საქციელი ბაბუასი, გული ეჩაგრებოდა — თითქოს იგი ჭირიანი ყოფილიყო; მაგრამ მერე ამასაც შეურიგდა; იგი მიხვდა, რომ მიქელას ეშინოდა, მისგან რამე არ გაჰყოლოდა და გაწმენდილ სახლში ცუდი რამე არ შეეტანა, და მან კიდეც გაამართლა თავის გუნებაში მოხუცი, რომელიც ასეთ შეუბრალებლობის გზას დაადგა იმისათვის, რომ ოჯახი ამოწყვეტისაგან ეხსნა. ყველაფერს ითმენდა სპიდონა,

რადგან დარწმუნებული იყო, რომ წლის თავზე საიქიოს გაბრუნდებოდა, ითმენდა ყველაფერს და თან დღითი დღე დნებოდა, ქრებოდა. იგი ზეზე მდგარი მკვდარს უფრო მიემსგავსებოდა, ვიდრე ცოცხალს. მიქელაც ამჩნევდა ამას, მაგრამ არ წუხდა, რადგან იცოდა, — ბიჭი წლის გასულს უსათუოდ საიქიოს გასაბრუნებელი იყო და ვერას უშველიდა, მისი ფიქრით.

შემოდგომა განახევრებული იყო, წვიმებმაც მოუხშირა და სიცივეც თანდათან მატულობდა. წნელის კარავში ყოფნა მეტად ავი გასაძლისი ხდებოდა. წვიმიანში წყალი ზევიდან თავისუფლად ჩამოდიოდა და სპიდონა ეგდო ფიცრებზე თავფეხებიანად გახვეული სველ საბანში. ღამღამობით სიცივე უმოწყალოდ უვლიდა მარტოდ კანგადაკრულ ძვლებამდის; საწყალი იკრუნჩხებოდა, იგრიხებოდა, იშმუშნებოდა სახურავის ქვეშ, მაგრამ გათბობას მაინც ვერ ეღირსებოდა. ერთხელ მიქელამ ფიჩხი შემოუყარა, ნიგუზალიც შეუგდო, რომ ცეცხლი დაენთო, მაგრამ სპიდონმა, რამდენი არ ეწვალა, ვერ მოახერხა ცეცხლის გაღვივება, მოხუცებული კი ახლოს არ ეკარებოდა.

ავადმყოფი ძიგძიგებდა კარავში და ხანდახან ცდილობდა გამოეანგარიშებინა, თუ რამდენი დრო რჩებოდა კიდეე საიქიოს გაბრუნების ვადის მოსვლამდის.

უამინდობა მატულობდა. წვიმიანმა დღეებმა მოუხშირეს. წვიმაც უფრო და უფრო ღონიერი მოდიოდა. მთიან ადგილებში ამ დროს ჩვეული ნიაღვრები თანდათან მეტი ძლიერებით ჩამოდიოდა ქვევითკენ და შემატებული ღონით ხვეტავდა წინ მდებარე ქვებს, ღობეებს, მიწას და მიაგორებდა დაბლისკენ ერთი შხუილითა და ხმაურობით.

ერთ საღამოს ნამეტანი ჩამოღრუბლა და ერთბაშად მძლავრმა წვიმამაც დაუშვა. მაია ვახშმისათვის ჭადებს აცხობდა.

— ძალიან წვიმა მოვა ამაღამ, ეტყობა! — თქვა მან შეწუხებული ხმით. — სპიდონას კარავში რა გააძლებინებს!..

— რა ეუყო ახლა მე!.. — წაილაპარაკა ცეცხლის პირას მჯდომმა მიქელამ. — ეგებ გადიკაროს! — ცოტა ხნის შემდეგ დაატანა მან. — სულ რავა გოუწყრება ღმერთი... სულ წვიმა რავა იქნება!

წვიმა კი მატულობდა, თორემ არ კლებულობდა. გარედან საშინელი ხმა ისმოდა წყლისა.

— მიქელა!.. მიქელა! — დაიძახა ვიღაცამ გარედან.

— ვინ ხარ? ეი! — მიაძახა მიქელამ წამოუდგომლად.

— მიქელა!.. ანთიმოზა ვარ, ანთიმოზა!.. იმ თქვენ კარავთან ჩამოვიარე ეს არის და წყალი ეშალის ზევიდან... ნამეტანი დიდი წყა-

ლი აწვება გზის ნაპირს, კარვისკენ არ გახეთქოს... მიეშველე რაცხა რიგათ!..

ხმა შეწყდა. მიქელა გაუნძრევლად იდგა კარებთან.

— რა ვუყო ახლა მე! — წაილაპარაკა მან.

— გოუკეთეთ წყალს სავალი... მართლა არ გადვიდეს კარვისკენ! — უთხრა მორიდებით რძალმა.

— გოუკეთე!.. ქე გოვუკეთე ამას წინათ! — წაიბუტბუტა მიქელამ, მერე ამოიკაპიწა შარვლის ბოლოები, წამოიხურა თავზე ცალი ყურით ტომარა, ზედ ძველი ჩოხა, მონახა თოხი და გავიდა სახლიდან.

წვიმა საოცრად ასხამდა. ატეხილი ნიაღვრები ერთი შხუილით მიექანებოდნენ ყოველი მხრიდან. გზებში მთელი მდინარეები მოქუხავდნენ. მიქელა ძლივს იმაგრებდა ფეხს, ისე ღონივრად სცემდა მას წყალი. კარავთან, ღობის დაყოლება, თავშეყრილ ნიაღვრებს წყალსავალი გაეთხარა და ხმაურობით მომდინარეს მოეყარა ქვა, ფიჩხი, მიწის ნაგლეჯები, წაქცეულ ღობის სარები და გიჟურად ეხეთქებოდა და ძალას ატანდა, რომ რამე რიგად წინ გაეგორებინა ისინი და თავისუფალი გზა ეშოვნა ქვევითკენ დასაშვებად. მიქელა მივიდა, როგორც იქნა, ბნელაში მიაგნო ამოყორებულ ადგილს და თოხით დაუწყო ქვებს იქით-აქეთ მიყრა-მოყრა; დაგუბებული წყალი გიჟურად გაექანა ქვევით და აახრიალა თან წაღებული წვრილი ქვები.

მიქელა მივიდა ღობესთან და, რაც ხმა ჰქონდა, აქედან გასძახა:

— ბიჭო!.. სპიდონა!.. არ შეგეშინდეს, ბიჭო... არ შეგეშინდეს!.. მალე გადიკარებს... არ შეგეშინდეს, ბიჭო!..

კარვიდან არაფერი ისმოდა. სპიდონა, საბანში გახვეული, მორგვიით იდვა ფიცრებზე და ზევიდან უმოწყალოდ ესხმებოდა სახურავიდან ჩამომავალი წვიმა. მას არც კი შეეძლო გაეგონა მიქელას ძახილი.

დასველებული მოხუცებული, სიცივისაგან მოკაკული, სახლისკენ გაემართა. შინ მისული ცეცხლს მიეცხუნა, რომ გამთბარიყო და თან სველი, გაწუწული ტანისამოსიც შეემშრალებინა.

წვიმა უფრო ღონიერდებოდა; თითქოს წარღვნას ეპირებოდა, ისეთი სხმა იწყო. შემკრთალი მაია ვახშამსაც არ მიჰკარებია, პირჯვარს იწერდა და თან ამბობდა:

— ღმერთო, შეგვიწყალე!.. ღმერთო, შეგვიწყალე!.. ღმერთო, ნუ შეგვრისხავ!..

— ბატონო, იმ ბოვშვს დახედვა უნდა კიდევ... არაფერი ცოდვა დაგვედვას!—ვეღარ მოუთმინა მაიას გულმა და უთხრა მამამთილს.

— რა ცოდვა უნდა დაგვედვას?! ამ ღამის წერა ყოფილა, თუ რამ მოუვიდა და ისაა! — უკმაყოფილოდ წაიბუტბუტა მოხუცებულმა.

— წავალ მე... მე დავხედავ! — გადაწყვეტით თქვა მაიამ.

— შენ სად წახვალ?! — წამოიძახა მიქელამ. — მაცალე ერთი, თუ ღმერთი გწამს! — და ცოტა ხნის შემდეგ მიქელამ ჩამოიცო თავზე სველი ტომარა და ჩოხა და გასწია კარვისკენ.

აქ, ამ თავდალმართში, თითქმის კარვის სწორა, უშველებელი კედელი ამართულიყო ჩამოგორებული ქვებისა და ჩამოტანილი მიწისაგან. ბევრს ეწვალა მიქელა თოხით იმის გარღვევას და იქით-აქეთ გადაყრა-გადმოყრას, მაგრამ ბერმა კაცმა ვერა გააწყო რა, ზევიდან ქვები თანდათან ეშატებოდა და უფრო ამაგრებდა ამართულ წყლის საკავს, რომელსაც გამძვინვარებით ეხეთქებოდა წყალი და გაგიჟებით სცემდა, რომ როგორმე გაერღვია იგი და თავისუფლად სავალი გზა ეშოვნა. დაგუბებული წყალი ირეოდა, ბობოქრობდა. გარშემო ისმოდა მხოლოდ წვიმის თხლეში, ზევიდან წყალთან მომგორავი ქვების ხმა და ჩამოხეთქილი წყლის ბრძოლა მისგანვე ამართულ ყორესთან.

მოღალულმა, მოქანცულმა მიქელამ რომ ვერა გააწყო რა თავის მეცადინეობით და წყალს სავალი ვერ მისცა, მიანება თავი ყორეს, მივიდა ისევ ღობესთან და გადაიძახა კიდევ:

— სპიდონა!.. ეი, ბიჭო!.. სპიდონა! არ შეგეშინდეს, ბიჭო!.. ახლავე მოვალ კიდევ... ახლავე, ბიჭო-ო!.. — გადაიძახა და თოხით მხარზე წათხლაშუნდა სახლისკენ.

წყალი კი ისევ მოქროდა ზევიდან, მოთხლიშინებდა და გაგიჟებით სცემდა ყორეს, გადარევით ასკდებოდა, ზედ ეხეთქებოდა. გულმოსულმა რომ ვერა დააკლო რა მას, ვერ გაარღვია, ვერ მოერია თავისგანვე ამართულ მოწინააღმდეგეს — ერთი ილრიალა უეცრად და ამოდენა წყალი ვაებითა და შხეილით გადაეშვა ღობისკენ, ეძგერა მას საოცარი ძალით, ჩაამტვრია იგი და მიებღღვნა კარავს; მოისმა მხოლოდ ლაწა-ლუწი და წყლის ჩხრიალი ქვევითისკენ.

კარგა გათენებული არ იყო კიდევ, მიქელა რომ მივიდა კარვის დასახედავად. კარავი აღარსად იყო; აქა-იქ ეყარა კარვის ბორჯგები, არეული ღობის ნამტვრევებთან. ქვის კედელი ამაყად იდგა; შემწყდარი წვიმის წყალი უღონოდ ეცემოდა მას და გატეხილ ღობისკენ მოიწრიტებოდა. მოხუცებულმა შვილიშვილს დაუწყო ძებნა. სადაც კარავი იყო, იმის ქვევით რაღაც შავად დარგვალებულს

მოჰკრა თვალი მიქელამ. მივიდა. ეს საბანი იყო სპიდონასი, რომელსაც მხოლოდ თავი შერჩენოდა შიგ.

— ბიჭო!.. სპიდონა!.. სპიდონა!.. ბაბუა! — ჩასძახა მიქელამ.

ხმას არავინ იღებდა.

— სპიდონა... ბაბუა!.. გესმის?.. — აკანკალებული ხმით ჩასძახა უფრო ხმამაღლა მოხუცებულმა. მაგრამ სპიდონა ეგდო გაუნძრეველად.

იგი მკვდარი იყო.

პირჯვარი გადისახა მოხუცებულმა და კარგა ხანს ადგა თავს მიცვალებულს ხმაგაკმენდილი. მერე გადააფარა სული საბანი მკვდარს და აჩქარებით გადაიარა ნაეზოვარი.

— ი ბიჭი... სპიდონა... მომკვდარა... — უთხრა მან მაიას და ორი კურცხალი თვალთაგან გადმოუვარდა.

— მომკვდარა?! — გაოცებით შესძახა მაიამ. — წელიწადი რომ არ შესრულებულა?

— ალბათ შემცდარი იყო... კარგად ვერ გაუგონია, რა ვადა დაუნიშნეს...

— ღმერთო, ნუ შეგვრისხავ!.. ნუ გვიწყენ! — პირჯვრის წერით გაიძახოდა შიშს მიცემული მაია.

იმავე დღეს მეზობლებმა კუბო შეუკრეს დამსკდარი ფიცრებისაგან და მღვდელსაც შეატყობინეს ბიჭის გარდაცვალების ამბავი. მღვდელი ძლიერ შეუწყრა მიქელას შვილიშვილის დატანჯვისათვის და ემუქრებოდა პასუხისგებაში მიცემას.

— თავათ ამბობდა, რომ ვადით იყო გამობრუნებული, შენი ჭირიმე... მაინც ეს დღე მოელოდა ამ მოკლე ხანში... ხელიდან წასული იყო... ამოწყვეტის კარზე ვარ მიყენებული—ერთი ბაღანა დამრჩა, ის უნდა იყვეს ჩემი პატრონიც და სულის მაცხონებელიც... გოუწშენდელ სახლში რავა შემომეყვანა... რა ვიცი, იმასაც რომ შემთხვეოდა რამე!.. ცხრამთას იქით მყავს გადამალული შიშით, არაფერი გადადებოდა და ისიც არ დამკარგვიყო!.. რა ხანია, თვალით არ დამინახავს! შედით ჩემს მდგომარეობაში!.. — მიუგო პასუხად მიქელამ.

წესის აგების შემდეგ მოხუცებულმა კუბო ურემზე დაუდო და დიდი წვალებით, მარტოდმარტომ, მიაბარა მიწას სპიდონაც. სასაფლაოდან ჩამობრუნებულმა ნაეზოვარში გადააგდო კუბოს ნადგამი ურმის ზესადგარი, გამოიცვალა ახალუხი და შარვალი, დაბანა ხარები და მხოლოდ მაშინ შევიდა სახლში.

ახლა იგი უფრო მოსვენებულსა ჰგავდა, გულდამშვიდებულს.

იჯდა ცეცხლის პირას და სულ თავის პაწია ნესტორაზე ჰქონდა მიმართული აზრი და ფიქრი.

— მაია! — მიმართა მან ერთხელ რძალს. — მაია! — გადმოვიყვანოთ ი ბავში... აწი აღარაფერი უჭირს... თვალწინ გვეყოლება.

— მოითმინეთ, ბატონო! — მიუგო მაიამ. — იყოს იქ... ამ ზამთარში ყველაფერი გეიწმინდება, გასუფთავდება... გაზაფხულზე საშიშარი აღარაფერი იქნება, ღვთის მადლით, მაშინ გადმოვიყვანოთ... კი ბატონო, ასე აჯობებს!

მიქელამ ჯერ არაფერი თქვა ამაზე, მერე ღრმად ამოიოხრა და დაატანა დამძიმებული ხმით:

— იყვეს!.. იყვეს!.. ის კარგად მეყოლოს და მე მისი ჭირი წამიღია!.. მისი ჭირი წამიღია!.. ჩემი სულის მაცხონებლის... იყვეს! — და მოხუცებულმა ისევ ღრმად ამოიოხრა. — მისი ჭირის სანაცვლო ვიყვე, ჩვენი სულის მაცხონებლის!..

1904 წ.

თავადი პეტრე

— არა, ბატონო, — გვეუბნებოდა ამასწინათ ცნობილი საზოგადო მოღვაწე თავადი პეტრე. — მაპატიეთ გულახდილობა და მოგახსენებთ, გულში ნურაფერს ჩამარჩენთ, გულს ნუ მატკენთ, თორემ სადაც მომიხერხდება, რითაც მომიხერხდება, როცა აზრათაც შეიძლება არ გექნეთ, მაშინ ვიყრი ჩემს გულის ჯავრს; ამოვიყრი ჩემს გულის ჯავრს უსათუოდ, თუნდაც რომ ეს სიცოცხლის ფასად დამიჯდეს! რა ვქნა... რომ არ შინდოდეს, ასე უნდა ვქნა, რადგან ასე გვჩვევია ძველთაგან. მოგეხსენებათ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო; და რომ გვჩვევია — ამისი ათასი მაგალითია; მაგრამ მე ერთს მოგახსენებთ, რომელიც ჩვენს გვარში მომხდარა და რომელიც, როგორც გამიგონია, ვიღაც ფრანგ მოგზაურს თავის მოგზაურობის აღწერაშიაც შეუტანია თურმე...

მეფესთან — აღარ მახსოვს სახელდობრ რომელთან — ერთხელ ყოფილა ჩვენი წინაპარი ბატონიშვილი მანუჩარ. ამავე დროს მეფეს სწვევია მეზობელ სამთავროდან მთავრის ძმა სვიმონი, ჩვენივე ნათესავი. მეფეს მეტად გახარებია ამათი სტუმრობა და მათდა პატივსაცემად უმართია ლხინი ლხინზე, ჭიდაობა, ნადირობა, ჯირითი, ბურთაობა და ათასი სხვა გასართობი.

ნამეტნავად შეჰხარებია მეფე სვიმონ ბატონიშვილს. ეს ბატონიშვილი ცნობილი ყოფილა როგორც ვაჟკაცი, გულადი მეომარი, შეხედულებით თვალსაჩინო და ენამეტყველი. მანუჩარი კი არც შეხედულებით, არც ვაჟკაცობით, არც ენაწყლიანობით არავის უურადღებას არ იქცევდა, მაგრამ ამაყი და ძლიერ თავმოყვარე ყოფილა.

მეფე თურმე გვერდიდან არ იშორებდა სვიმონს, მუდამ გატაცებით ისმენდა მის გმირულ თავგადასავალს და აღტაცებაში მოდიოდა მისი ნაამბობით. მეფესთან ერთად მუდამ მის ქებაში იყო მთელი სასახლე. ეს ამბავი მანუჩარს ძლიერ სწყინდა გულებაში, მაგ-

რამ გულწყენობას გულშივე იმარხავდა და არავის ამჩნევინებდა.

ბოლოს მოთმინებამ უღალატა მანუჩარს და ერთხელ, როცა სვიმონ ბატონიშვილი თავისებურად მოუთხრობდა მეფეს იმ ცხარე შეტაკების ამბავს, უკანასკნელ ხანებში სამთავროდან თათრების განდევნის დროს რომ მოუხდა მას, მოუთხრობდა, თუ რა გაჭირვებაში ჩავარდა ერთხელ, მაგრამ როგორ სასწაულებრივ გადაურჩა განსაცდელს, გადაარჩინა ჯარი, თავზარი დასცა მტერსაც და ერთიანად შემუსრა იგი, რის გაგონებაზე მეფე უზომო აღტაცებაში მოვიდა, მანუჩარს გულმა ეეღარ მოუთმინა და უნებურად სახეზე ღიმილმა გადაუთამაშა. ღიმილის დასამალავად მანუჩარმა ულვაშებს ქვეშ ტუჩებზე ორი თითი გადისვა.

სვიმონმა ამას თვალი მოჰკრა. ერთიანად აინთო... შეჩერდა და მანუჩარს სიტყვა ესროლა:

— ღიმილი მოგგვარეთ, ბატონიშვილო, ჩემი მონათხრობით?..

— რასა ბრძანებთ, ბატონიშვილო!.. — წამოიძახა მანუჩარმა, — განაგრძეთ!.. ღვთის გულისათვის, განაგრძეთ ამბავი!..

სვიმონი კი მიუბრუნდა მეფეს და სიცილით თქვა:

— რა ვუყოთ, ბატონო! ვისაც ეაქკაცობისა არა სცხია-რა, სხვისიც ძნელად დაეჯერება... ეპატიება, ბატონო! — კვლავ გაიცინა სვიმონმა...

— ტყუილა ნებულობთ, ბატონიშვილო, ტყუილა ნებულობთ! — მიუგო მანუჩარმა მხოლოდ.

— მეტისმეტი ტრაბახა კაცი კია ეს ჩვენი ნათესავი ბატონიშვილი, — წაილაპარაკა მანუჩარმა, ისიც მაშინ, როცა მხოლოდ თავის მხლებლებში მოხვდა. სვიმონის დაცინვა ლახვარივით ჩაესო მას გულში.

სვიმონიც თავის გულს აპყვა და შემთხვევას არა ჰკარგავდა, გადაკრული სიტყვით მიემართნა მანუჩარისათვის. ყველანი შეწუხდნენ სასახლეში ბატონიშვილებს შორის მომხდარ უსიამოვნების გამო და ყველანი შიშობდნენ, ცუდად არ დაბოლოვებულიყო ამათი შეტაკება.

მეფეც მეტად შეწუხდა და სვიმონს თხოვნით მიმართა:

— სვიმონ, თუ გიყვარდე, აკმარე მანუჩარს, აკმარე, თუ გიყვარდე!

მანუჩარი კი გარინდდა, ისე დაიკავა თავი, თითქოს არაფერი წყენოდეს სვიმონისაგან, და რამდენსამე დღის შემდეგ, ბინისაკენ გამგზავრება რომ დააპირა, მეფეს უღრმესი მადლობა უძღვნა პატივისცემისათვის, სვიმონს სიყვარულობით გამოეთხოვა და ისე წავიდა.

ნამდვილად კი მის გულში ცეცხლი ენთო და, რაც უფრო უახლოვდებოდა თავის სამფლობელოს, საბრძანებელს, უფრო და უფრო ემწვავებოდა სვიმონისაგან ყოველივე განაგონი, სვიმონისაგან მისი ავად ხსენება, სვიმონის დაცინვა; და როცა მან ფეხი შედგა თავის მიდამოში, სადაც ყველაფერი მისი ნების ქვეშ იყო, ყველა მისი მორჩილი იყო, სადაც მის წინ ყველანი თრთოდნენ, სიტყვის შებრუნებას ვერავინ ბედავდა და მის უბრალოდ წარბის შეხრაზე შიშს ეძლეოდნენ და თახთახებდნენ, — აქ უმეტესად ემწვავა სვიმონის დაცინვა და, შურისძიებით შეპყრობილმა, გიჟურად წამოიძახა:

— განანებიებ, თავხედო!.. თუ კაცი ვყოფილვარ, განანებიებ.. განანებიებ!

დღედაღამ მანუჩარი მუდამ იმის ფიქრში იყო, თუ როგორ და რა გზით ამოეყარა თავის გულისჯავრი სვიმონზე.

ერთხელ სასახლეში ვიღამაც ახსენა სვიმონ ბატონიშვილის შვილის სახელი, რომელიც მახლობელ მონასტერში იზრდებოდა ბერებთან.

— მერე, — წამოიძახა მანუჩარმა, — მერე, რატომ ერთხელ არავინ გამახსენეთ ეგ ამბავი? დაგვემდუროს ჩვენი ნათესავი, რომ გვერდით გვყოლია მისი შვილი და ერთხელაც კი არ მოგვიკითხავს და არ მოგვინახულებია?.. საყვედურს ამაცდინეთ... ერთი დღით მაინც მომგვარეთ ბავშვი... ესეც ნათესაური პატივი!..

ბავშვი მოიყვანეს სასახლეში. მანუჩარი დიდი სიხარულით მიეგება მას. დილითვე, ალიონზე, კაცი აფრინა სვიმონთან შვილის ამბის მისატანად და თან საჩუქარიც გაუგზავნა მშვენიერი პატარა კოლოფით.

დიდად გაიხარა სვიმონმა მანუჩარის ძღვნის დანახვით და მოტანილი ამბით.

— ეტყობა, ყველაფერი დავიწყებას მიუცია, — იფიქრა სვიმონმა, — ბარაქალა მანუჩარ!

ბევრი ეხვეწნენ ყმაწვილ აზნაურს დარჩენილიყო, რათა შესაფერი პატივი ეცათ მისთვის, მაგრამ ვერაფრით ვერ დაიყოლიეს, ვერ დაარჩინეს, — ჯერ დაბარებული ჰქონდა მაშინვე გამობრუნებულიყო და მერე ძლიერ საჭირო საქმეზე სხვაგანაც იგზავნებოდა, მისი სიტყვით.

— აბა, ვნახოთ, ბატონიშვილო, — მიმართა სვიმონმა თავის მეუღლეს, — ვნახოთ, რა საჩუქარი გვიძღვნა ჩვენმა მანუჩარმა!

გახსნეს კოლოფი... მტერსაც არ ენახოს ის, რაც იმათ ნახეს: კოლოფში მათი შვილის მოჭრილი თავი იდვა.

ამის დანახვა — ერთი კივილი, წივილი, ზრიალი, ტირილი და ვაი-ვაგლახი.

მთლად სასახლე შეინძრა.

— ვინ ხართ კაცი?.. ვის ვებრალები?.. ვის ვეცოდები?.. დღეს დამენახვეთ!.. დღეს მიშველეთ! — შესძახა სვიმონმა.

ქვეყანა ადუღდა ბატონიშვილის საცოდაობით.

თვალის დახამხამებაზე მოგროვდა უთვალავი ჯარი და გამწარებული სვიმონი გამოემართა მანუჩარისკენ. მიწასთან გაასწორა მისი ავლა-დიდება; ცეცხლს მისცა მანუჩარის სამფლობელო; ვერც იმისმა მაგარმა ციხემ უძლო სვიმონს.

— უგვანო!.. მხეცო!.. ჩემზე ჯავრით ჰღელავდი... უმანკოს, ნორჩ სიცოცხლეს რას ერჩოდი?.. ბოროტო!.. — და გააფთრებული სვიმონი ეძგერა ხმლით მანუჩარს.

— ხომ გაგანწარე!.. სიკვდილამდის გაგამწარე!.. სიცოცხლე აღარ მენანება! — კიდევ მოასწრო მანუჩარმა წამოეძახა სულის ამოსვლამდის...

აი, ბატონებო, ასეთი ამბავი მომხდარა და ვიმეორებ — ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია, რაც გვჩვეია, იმას ვერ გადაგვაჩვევთ! — სიცილით დაათავა მან და ყველას თვალი შემოგვაელო.

1910 წ.

რუსტომ მანველიძე

მანველიძეები იმერეთის აზნაურთა გვარს ეკუთვნიან. იმ გარემოებით, რომ არც ერთ მანველიძეთაგანს გადათქმული გვარი არ რქმევია, რაც ხშირად იციან იმერეთში მომრავლებულ მოგვარეთა გასარჩევად, დიდად იწონებდნენ თავს და ამ შემთხვევას ისე ხსნიდნენ, თითქოს მათთან მორიდებისა და შიშის გამო ვერ უბედავდნენ გვარის გადარქმევას.

თავიანთ გვარის წარჩინებულებაზე სიტყვა მუდამ ენაზე ეკერათ და ამ წარჩინებულების დასასაბუთებლად მოჰყავდათ ამბავი, ვითომ ერთ მეფეს, რომელს — ბაგრატს, ფარნაოზს თუ ალექსანდრეს — ამას გვარში დაცული ზეპირგადმოცემა გარკვევით არ აღნიშნავდა, ერთი მანველიძეთაგანი კარის კაცად ჰყოლია. ისე დაწინაურებულა, რომ მეფეს მისთვის სახლთუხუცესობაც კი უბოძებია. თუმცა მოკლე ხნით შერჩენია ეს საპატიო თანამდებობა, რადგან ჩვეულებრივი არეულობა მომხდარა, მეფე გადაუგდიათ, მოუკლავთ და ამასთან ერთად დაღუპულა მისი მსახური, ისე რომ მისი სახელიც კი დაკარგულა.

ამ ზღაპრული სახლთუხუცესის შემდეგ მანველიძეთა გვარი მაინცდამაინც არავის უსახელებია, თუ სათვალავში არ მივიღებთ რამდენიმე ყმაწვილს, რომელთაც მათმა არა საკადრისმა საქციელმა ციმბირში ამოაყოფინა თავი. მაგრამ მანველიძეებს მაინც დიდად მოჰქონდათ თავი, ძვირად თუ ვისშეს იტოლებდნენ და სხვა აზნაურებში არჩევდნენ თავიანთ თავს.

რადგან მანველიძეთა დიდება ბუნდოვანი წარსულის ამბებზე იყო დამყარებული, იგი ადვილად დაიწყებას ეძლეოდა და საჭირო ხდებოდა ხშირხშირად ამ შორეული ამბების გახსენება და ჩაგონება სხვებისათვის, ნამეტურ იმ ვიგინდარებისათვის, რომლებმაც ამ ბოლო დროს თავი წამოჰყვეს და ტუტუცურად ტუჩს უბზუებდ-

ნენ წარსულისაგან ნაანდერძევ დიდებულებას და დასცინოდნენ ზღაპრულ ამბებზე აშენებულ ამაყობას. ამგვარ ჩაგონებას არა ერთხელ გამოუწვეია აყალმაყალი, ბევრი უსიამოვნება შეუხვედრებია მანველიძეთათვის, მაგრამ ესენი მაინც თავისას არ იშლიდნენ და არავითარ შფოთს არ ერიდებოდნენ. ამგვარმა დაურიდებლობამ ამას წინათ, მაგალითად, მხიარული ქორწილი გააუგემურა და კინაღამ სისხლითაც შეღება.

ერთი მანველიძეთაგანი საკმარისად ჩამოქვეითებული თავადის ქალზე იწერდა ჯვარს. სიძის სახლიკაცმა სახელდახელო შემთხვევად შეიჩნია აეხსნა შეკრებილ საზოგადოებისათვის, თუ რა ღირსშესანიშნაი აშბავი ხდებოდა, აეხსნა, რომ დიდებულ სახლთუხუცესის და სხვათა გამოჩენილ მანველიძეთა შთამომავალი ანახლებდა კავშირს მათსავით დიდებული თავადის ოჯახთან, რომლის წინაშე ერთ დროს თრთოდა მთელი ქვემო მხარე, და ამ განახლებული კავშირით ვითომ საფუძველი ეყრებოდა ქვემო და ზემო მხართა აღორძინებას და აყვავებას ამ ორ გვართა გავლენის ქვეშ იმავე დიდებით, როგორც ეს წინათ ყოფილა.

რასაკვირველია, მჭევრმეტყველის განმარტება გაზვიადებული იყო, ახსნა სრულიად უსაქმირო და უმნიშვნელო. სამაგიეროდ ზოგიერთთათვის საოხუნჯო მასალად გამოსადეგი აღმოჩნდა, რამაც გულზვიადი ორატორი ისე გააბრაზა, რომ გულმოსულმა თავი ვეღარ შეიკავა, მთელ საზოგადოებას უშვერი სიტყვებით მიმართა, და, რაც სრულიად საკვირო აღარ იყო, სიტყვას ფურთხი მიაყოლა. შეგინების მაგივრად — ერთი ყვირილი, მიწევ-მოწევა და ჩვეულებრივი ხანჯლებზე ხელის გასმა.

ამგვარი ჩხუბი-დაეიდარაბით ცდილობდნენ მანველიძეები თავიანთი გვარის დიდებულებისა და წარჩინებულების დაცვას. სხვა გზა ვერ გამოენახათ. ცხოვრება კი თავისას შვრებოდა: გვარი შეუბრალებელ კლებაში შეჰყავდა, გადაქაჩულ აზნაურებს უკან-უკან წევდა, დღედადღე გაკირვებას უმატებდა. ყველას ხასიათი გამოუცვალა. ზოგი ისე გაამწარა, რომ ბზიკს დაამსგავსა, ზოგი ისე გაწყვიტა წელში, რომ ყველაფერზე გული გაუგრილა და თვით დიდებულ სახლთუხუცესის ხსენებასაც ავიწყებინებდა.

როსტომ მანველიძე თავის დროზე თავმომწონე მანველიძე იყო. ყმაწვილობისას გული საგმირო საქმეებისათვის უძგერდა; სხვებსავით შემთხვევაზე იგიც გამოწყობილა თოფ-იარაღით, შემჯდარა ცხენზე, ჯარიანობაში მონაწილეობა მიუღია და ჩხუბსაც დასწრებია, გულადობა და ვაჟკაცობა გამოუჩენია, რისთვისაც იუნკრის ჩინითაც ყოფილა დაჯილდოებული. თავის დროზე იუნკრობაც ხა-

რისხი და ჩინი იყო, მრავალთათვის სახარბიელო და სანატრელი და საძებარი, როგორც წარმატებისათვის ერთი საფეხური. მაგრამ ბედმა ამ საფეხურს როსტომი აღარ გადააშორა. დროთა ვითარებამ კი ხარისხი ისე გაახუნა, რომ ამ ბოლო დროს როსტომს საწყენადაც ურჩებოდა, თუ ვინმე გაუხსენებდა მის იუნკრობას. თუ რამ შერჩა როსტომს მისი ვაჟკაცობისა და გულადობის მოსაგონებლად — ეს წითელ კანტჩაყოლებული ლურჯი შარვალი, რომელსაც იგი ატარებდა, როგორც ცხენოსან ჯარში ნამსახური პირი.

ბატონყმობის გაურიდან ბედნიერად გამოვიდა როსტომი. რაღაც მისდა იღბლად შერჩა ერთი ნაყმევი, დღეს მასავით მოხუცებული დათია, რომელმაც აღარც თავისუფლება დაეძია, აღარც ცოლი, აღარც შვილი, აღარც საკუთარი ოჯახი და როსტომს შეეკედლა განუშორებლად. თავისნება კაცი იყო დათია, მაგრამ მისგან ყველაფერი მოსათმენი იყო, რადგან როსტომის ოჯახში იგი მოურავიც იყო, მზარეულიც, ხაბაზიც, თავიცა და ბოლოც. ძალიან უწყობდა ხელს თავის გუნებაში დათია თავის ნაბატონარს. მეტად მეცადინეობდა იგი, რომ მანველიძეთა საკადრისი ცხოვრებით ეცხოვრებინა, მაგრამ ყოველივე ამაო ხდებოდა. შემოსწრებულ ცხოვრების შეუბრალებელი პირობები თავისას შვრებოდნენ — მანველიძის ოჯახი უკან-უკან მიდიოდა, უკან-უკან მიჩოჩავდა, მუდამ დღე კლებაში იყო.

კეთილშობილება და მასთან შეკავშირებული სხვადასხვა უფლება უკანასკნელ ხანამდის განუყრელ და განუშორებელ საკუთრებად მიაჩნდა როსტომს. კეთილშობილ აზნაურს პატივი ედებოდა, საქვეყნო საქმეებში ხმა ჰქონდა: არჩევნებში, — მარშლებისა იქნებოდა თუ ბანკისა, — მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა და კიდეც სარგებლობდა ამ უფლებით. მართალია, მოლაპარაკე კაცი არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ მეკენჭე იყო და მის მიმხრობას ცდილობდნენ და ხშირად „პრაგონი“ შინ მოსვლია ქუთაისში ჩასასვლელად. ბევრი პატივისცემა ახსოვს იმათგან, ვისაც მიემხრობოდა როსტომი. გასაოცარი მასპინძლობით შეგებებიან, დადად უსიამოვნებიათ და შინ დაბრუნებულს ბევრი საინტერესო ამბები მოუტანია ქვეყნის გასაბედნიერებლად გარდახდილი ბრძოლის შესახებ.

მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთ მყვირალათა წყალობით, ჯერ ბანკში მოესპო ხმა და გავლენა, შემდეგ, თვითონ კეთილშობილება ჩამორთმეოდა; მარშლების არჩევნებშიაც აღარ მიუშვეს და ქუთაისში აღარ იბარებდნენ, რასაც იგი გაფაციცებით უმალავდა დათიას. თავადაზნაურთა მიწა-წყალზე შემოღებულმა გადასახადმა ხომ სულ დაათავა ყოველგვარი დაკლება და ჩამოთლა,

ისე რომ წამოსწრებულმა არეულობამ მხოლოდ ტყუილი შიში გამოაცდევინა, თორემ ჩამოსართმევი, ჩამოსათლელი და ჩამოსაკ-ლები ვეღარაფერი მოუნახა როსტომს.

— გაგვაგლეხკაცონ ბარემც დალოცვილებმა და ის იქნება! — წამოიძახებდა ხოლმე გულნატკენი როსტომი. — რაღა შეგვრჩენია: ყოველივე უფლება ჩამოგვერთვა, წაგვერთვა და ეგ არის!.. რიღათი გაირჩეს კეთილშობილი ადამიანი ამ ჩემ დათიასაგან, არ ვიცი!.. შადლობა ღმერთს, ქონდეს! მოვისვენებთ მაინც!.. მეტი რაღა დაგვემართება?

ალბათ, ვერ ამჩნევდა როსტომი, თორემ ყველაფერზე უარესი იყო ის, რომ მისი ოჯახი ნიავდებოდა, ცივდებოდა, ინგრეოდა.

ერთი ვაჟი ჰყავდა როსტომს და მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა, ისე გადაიკარგა სადღაც. მეუღლე იყო მისი, მარიამი, და როგორც ის, ისე როსტომთან შეურცხვენელ მეუღლეობაში ნაყოლი ოთხი ქალიშვილი ოჯახს სრულიად გულს არ უდებდნენ, სრულიად არ დაეძებდნენ, მუდამ საკუთარ ოჯახს გარეთ იყვნენ, გაურბოდნენ თავიანთ უხალისო ბუდეს, მისვლა-მოსვლას უნდებოდნენ: ხან ნათესავებში იყვნენ, ხან კეთილებში, ხან ნაცნობებში, თვითონაც დროს ატარებდნენ და სხვებსაც ეხმარებოდნენ დროს ტარებაში. ამაში კი ზედმიწევნით დახელოვნდნენ: ზოგმა დაირა იცოდა შესანიშნავად, ზოგმა სიმღერა, ზოგმა ცეკვა — ლეკური, უზუნდარა, ბაღდადური და, ხანდახან მახლობლებთან, კეკ-უოკიც. ქალიშვილები თამამნი, ლამაზნი და მოხდენილი შეხედულებისანი იყვნენ.

როსტომი ხმას არ იღებდა ქალებისაგან ოჯახის ამგვარ მივიწყებაზე, შეიძლება იმ მოსაზრებითაც, რომ წლიდან წლამდის მათი შინ ყოფნა უფრო გაუჭირვებდა ისედაც გაჭირვებულ ცხოვრებას. სრულიად არ ეწინააღმდეგებოდა როსტომი ქალებს ასეთ მათ წანწალზე და ესენიც შემოიხედავდნენ თუ არა ოჯახში, იქვე იმ ფიქრს და დარდს ეძლეოდნენ, თუ სად და როდის წასულიყვნენ.

ამასწინათ, რაღაც შემთხვევით, დედამაც, და ქალიშვილებმაც თავი მოიყარეს ოჯახში. რამდენიმე დღის შემდეგ კი ისევ აწრიალდნენ წასასვლელად და ამისათვის მთელი დღე არბენიეს სოფლად დათია, რომ ურემი სადმე ენათხოვრებინა სადგურამდის ჩასასვლელად.

საღამო იყო, დათია რომ დაბრუნდა.

— რა ქენი, ბიჭო?.. — შემოეხვივნენ ქალიშვილები...

— ვერსად ვერ ვიშოვე... არავინ არ გვათხოვა! —თქვა დათიამ.

ქალიშვილებმა თავი მიანებეს ფუთების კვრას და შეზრიალ-დნენ.

— მძულს აქ მოსვლა! — წამოიძახა უფროსმა ქალიშვილმა თალიკომ. — სიკვდილს უნდა ეღირსო, სანამ აქედან ფეხის გადადგმას მოახერხებდე ადამიანი! დასწყეველოს ღმერთმა აქაურობა!

— მე რომ ზეგ ქუთაისში არ ვიქნე, მომკალით და ის იქნება! — გამწარებით გაიძახოდა ლამაზი ნატალია. — ზეგ ნუციკო დღეობას იხდის... სიტყვა მივეცი, უსათუოდ ჩამოვალ-თქვა და დათიას წყალობით ყოველგვარ სიამოვნებას უნდა ჩამოვრჩე!

— რა დაგემართათ?.. რა მოგივიდათ? არაფერი საშფოთავი არა გაქვთ! — დინჯად წარმოთქვა ქალიშვილების ახმაურებაზე ოთახში შემოსულმა მარიამმა: — თქვენ თქვენი საქმე ქენით, რაც წასაღები გაქვთ, არაფერი დაგრჩეთ... ხვალ ყველანი ერთად წავალთ!.. ბიჭო, მთელი დღე იარე და ერთი ურმის შოვნა გაგიჭირდა?.. — მიუბრუნდა იგი დათიას.

— ყოველთვის კი აღარ გვითხოვეს,, შე დალოცვილო! ყველას თავისი საქონელი საქნარისათვის ჭირდება... ტყვილა კი არავინ ზის სახლში! — მიუგო დაღლილმა დათიამ.

— როსტომ, ეგებ შენ იშოვო სადმე ურემი! — მიმართა მარიამმა ტახტზე წამოწოლილ ქმარს.

როსტომს თითქოს არ გაეგონოს ნათქვამი, პირველად არც კი განძრეულა.

— ადექი... ადექი... ნუ გეზარება! — არ ეშვებოდა მარიამი.

როსტომი ზანტად წამოდგა, მოითხოვა ჯოხი და როგორც იყო ახალუხის ამარა გასწია ამ შეღამებულში ურმის საძებრად.

— ტყვილა მიდიხარ... არავინ არ გათხოვებს! — გააყოლა სიტყვა დათიამ.

— გაწყვა შენი ენა! — შეუტია მას უმცროსმა ქალიშვილმა პელომ.

— არავინ არ გათხოვებსთ! — ჯიუტად გაიმეორა დათიამ.

— რატომ, ბიჭო? — მიეჭრა მარიამი.

— იმიტომ, რომ ბევრი მიდიხართ ერთად... ორ წყებად წასულიყავით, გერჩიათ... თქვენთვის საქონელს არავინ დაღლის ამისთანა საქნარიან დროს! — არ იშლიდა თავისას დათია.

— რჩევას არავინ გკითხავს! — გულმოსულად შეუტია მარიამმა და გაშორდა.

დათიას სიტყვა გამართლდა: ხარ-ურემი ვერც როსტომმა იშოვა. ქალიშვილებმა შექნეს ერთი ალიაქოთი. ყოველივე მათი დაწყებულება იშლებოდა. მარიამის და თალიკოს დამხვდური — დედუ-

ლიდან სადგურზე გამოგზავნილი — უსათუოდ უკან გაბრუნდებოდა, რაკი მათ დანიშნულ დღეს ჩასულს ვერ ნახავდა, ამგვარივე საქმე მოუვიდოდა პელოსაც და კატულიასაც, რომელნიც მამიდისას მიდიოდნენ. ნატალიას ყველაზე უკეთ ჰქონდა საქმე — ერთი დღე რომ დაგვიანებოდა, ზეგ მაინც ჩავიდოდა ქუთაისში და ამხანაგის დღეობას არ დააკლდებოდა; მაგრამ რა: იმ დღის ნამგზავრს, დაღლილს, სად შეეძლო ისეთი მონაწილეობა მიეღო მოლხენაში, როგორც წინა დღით მისულს და დასვენებულს! ქალიშვილების გიმწარებას საზღვარი არა ჰქონდა. მარიამიც მეტად გაჭირვებული იყო. ბევრი ჩაქცევა და ჩანგრევა უნატრეს სოფელ ადგილებს და განსაკუთრებით თავისას. ბევრი იწრაალეს, ბევრი იქაქანეს, ბევრი იკაპასეს და ბოლოს დედის რჩევაზე შეჩერდნენ: დილა ადრიანად ადგებოდნენ, ფუთებს დათიას აჰკიდებდნენ, ფეხით ივლიდნენ რკინიგზის სადგურისაკენ მიმავალ გზაზე მცხოვრებ პელოს ნათლიის სახლამდის, იქ გამოართმევდნენ ურემს და მატარებელს ჩაუსწრებდნენ თავის დროზე.

გადაწყვიტეს და კიდეეაც ასე მოიქცნენ მეორე დღეს.

შეღამებული იყო, დათია, რომ სადგურიდან დაბრუნდა. მარტოდმარტო დარჩენილი როსტომი მოწყენით უჯდა ბუხარს და ნაქურჩელის ცეცხლს ეფიცხებოდა.

— ჩაიყვანე? — უხალისოდ შეეკითხა იგი დათიას და თან, ჩიბუხის ტარის პირიდან გამოღებლად, ზანტად გააპურჭყა განზე.

— ჩავიყვანე... — მიუგო დაღლილ-დაქანცულმა დათიამ, რომელიც ბუხრის გვერდზე მიეყუდა და გაცივებულ ხელებს თბობა დაუწყო.

— კარგი ქნეს, ფეხით რომ წავიდნენ, თორემ ბევრს გვარბენინებდნენ, ბიჭო, სანამ გავისტუმრებდით! — თქვა როსტომმა.

— აბა რა... მოგვეშობოდნენ თუ!

ორთაეე მიჩუმდა.

— ხომ არა დაუბარებია რა, ბიჭო? — რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ იკითხა როსტომმა უფრო იმისთვის, რომ დათიასთან ლაპარაკში გაბმულიყო, თორემ მისთვის სულ ერთი იყო, დაბარებულის ასრულებისათვის თავს არ გაიტეხდა.

— შენთან არაფერი დოუბარებიათ, — მიუგო დათიამ.

— აბა ვისთან, ბიჭო?

— მე დამიბარა ქალბატონმა.

— რაო?

— შეიძლება დამაგვიანდესო და საბუდრები დაბწენიო და თა-

ვის დროზე ქათმები დააჯინეო... შეიძლება ზაფხულზე სტუმრიანობა შეგვხვდესო... ქათმები ბლომად დაგვჭირდებაო.

— დიდხანს დამაგვიანდებაო?

— რა ვიცი!.. შეიძლება დამაგვიანდესო... დააგვიანდება უთუოდ, აბა რა!

— ჰოდა ისე ქენი, როგორც დაგიბარა! — და როსტომმა ისევ ზანტად გადააპურჭყა.

მუსაიფი შეწყდა. დათიამ მიიტანა დაბალი ხის საჯდომი და ბატონიც და მოსამსახურეც ხმაამოუღებლად ეთბობოდნენ მბეუტავ ნაქურჩელის ცეცხლს. მალე ორივეს ყვინთიც მოერია.

— უვახშმოდ ვრჩებით, ბიჭო?! — იკითხა რამდენიმე ხნის შემდეგ, ალბათ, შიმშილისაგან გამოფხიზლებულმა როსტომმა.

— აბა გამკეთებელი ვინ იყო?! მე თელი დღე გზაში ვიყავი გაკრული, — მიუგო დათიამ.

— აბა რაღას ვუყურებთ!.. დავწვეთ ბარემაც და ის იქნება... დილით კი, თუ კაცი ხარ, ცოტა რამ ზაკუსკა მომიხერხე...

როსტომი წამოდგა, გაიზმორა, ერთხელ კიდევ მიუშვირა ზურგი ბუხარს და, რა იგრძნო სითბო, ერთი შეხვანხვალდა, შეინძრა და მძიმე, ზანტი ნაბიჯით გასწია ტახტისაკენ, რომელზედაც დათიამ ქვეშაგებელი დაუწყო, და მოსასვენებლად მიეგდო.

გდებაში ამოკლებდა უხალისოდ მიმდინარე სიცოცხლის დღეებს პატიოსანი აზნაური, დიდებული სახლთუხუცესის მანველიძის შთამომავალი. თითქმის კარგადაც შეეჩვია იგი ამგვარ გდებას, მაგრამ ხანდახან მაინც ისევ გაიღვიძებდა მასში წინანდელი მანველიძე და მაშინ შესაბრალისად მიმართავდა თავის დათიას:

— სულ ასე ვეგდოთ, ბიჭო, ჰა?!

— აბა რას იზამ? — მიუგებდა ერთგული მოსამსახურე, ერთადერთი არსება, რომელიც მისთვის ზრუნავდა და რომელსაც სულით და გულით მისთვის კეთილი სურდა.

— ჯორი შემიკაზმე, თუ კაცი ხარ... გევალი ერთი სადმე... მეც მომეწყინა, ბიჭო!

— გეიარე მერე... გიშლის ვინმე თუ!

შეჯდებოდა როსტომი თავის გამხდარ, ბებერ ჯორზე, მიადგებოდა მახლობლად მცხოვრებ რომელიმე ნათესავს ან მეგობარს, რომ, მწარე გულით მონდომებულს, ძველებურად მოელხინა და ყმაწვილებთან სმაში შებმულიყო. მაგრამ მეორე-მესამე ჭიქაზე უკვე მთვრალი იყო ხოლმე, მეოთხეზე კი ძილი მოეკიდებოდა და სუფრაზე ხვრინავდა. დაბრუნდებოდა შინ და ისევ მიეგდებოდა თავის გამოყრუებულ სახლში.

ასეთ ცხოვრებას ატარებს დღეს საწყალი როსტომ მანველიძე, რომელსაც აღარც სახლუხუცესის ჯავრი აქვს, აღარც მარშლების, აღარც ბანკისა, აღარც ოჯახისა; რომელიც აღარც ცოლის ამბავს კითხულობს, აღარც შვილებისას, — კარგად არიან, ავად არიან, სად არიან, ვისთან არიან? თხოვდებიან თუ ისევ ქალიშვილობაშივე ბერდებიან?

თუ ვინმე საქვეყნო საქმეებზე ჩამოაგდებს მასთან სიტყვას — ერთი გაჯავრებით ხელს ჩააქნევს, გესლიანად კარგად შეუკურთხებს და ყველაზე გულგატეხილი, ყველაფერზე გულდაწყვეტილი, ყველასა და ყველაფერს ჯანდაბამდის გზას დაულოცავს, მიყუჩდება და ისევ თავისებურად მიეგდება.

1910 წ.

მშობლის ნუგეში

იმ აუარებელ მსხვერპლთა შორის, რაც განმათავისუფლებელ ხანას შეეწირა, დიდებული მსხვერპლი შეეწირა მოხუცებული ელენესგანაც. მისი „ბიჭი“ — როგორც იგი ეძახდა თავის შვილს, ახალგაზრდა მეცნიერს — სიცოცხლით სავსეს, კაცთმოყვარეობით გულაღვსილი, სწორედ იმ დროს გამოასალმეს წუთისოფელს, ვით აეაზაკს ტყვიით შუბლი სწორედ იმ დროს გაუგმირეს, როცა მისი გული ღელავდა სიბრალულით იმ საცოდავთა და ბედშავთა მიმართ, რომელთაც მის თვალწინ შეუბრალებლად სრესავდნენ ქუჩაში, როგორც პირუტყვთ, და რომელთა მიშველებას იგი ლამობდა.

საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა ძვირფასი შვილის დამკარგველი მოხუცებული დედა. დადუმებული, გაშტერებული, თვალებგამომშრალი მთელი დღეები მკვდარივით ესვენა საწოლში. ყველას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი მოხუცი ვერ გაუძლებდა თავზე დამტყდარ უბედურებას: ყველანი მისი აღსასრულის დღის მოლოდინში იყვნენ. მაგრამ გაიარა დღეებმა, განვლო ხანმა. მოხუცი ელენე არ მომკვდარა. თავდაპირველში განუზომელ მწუხარებისაგან დაჩლუნგებულმა, მიდუნებულმა, დასუსტებულმა გონებამ კვლავ იწყო მუშაობა, ამოძრავდა და, როცა ცოტაოდენი ძალა მოიკრიფა, დღისით და ძილგატეხილ ღამეებშიაც მხოლოდ მისი „ბიჭის“ გარშემო ტრიალებდა მისი გონება, მოხუცებულის თვალწინ იშლებოდა მისი „ბიჭის“ მთელი სიცოცხლე ათასი წვრილმანებით, — მისი ბავშვობა, გაჭირვებაში გატარებული მისი სწავლის დღენი, მისი დავაჟკაცება, დაბრძენება, მეცნიერების გატაცებულ მსახურად შექმნა. თვალწინ ედგა მისი შნოიანი „ბიჭი“, ადამიანის უსაზღვროდ მოსიყვარულე, რომელიც წინ დაუდგებოდა ხოლმე მას, მის საყვარელ დედას, და დაუწყებდა ტკბილ მუსაიფს თავისი საამური ხმით; ხალისიანი კილოთი უშლიდა თავის

გულს, უზიარებდა თავის ოცნებებს. გატაცებით მოლაპარაკეს აღტაცებაში მოჰყავდა საყვარელი მშობელი... ეს ხმა ახლაც რომ ესმის, რომ ესმის მისი ლაპარაკი, მისი სიტყვები, მოხუცებულის გული ღელავს სიამოვნებით, ნეტარებით... მისი „ბიჭი“ თითქოს ცოცხალი იყოს, მაგრამ ამას შეუბრალებლად სცვლის საზარელი, თავბრუდამხვევი სურათი... ზღვა ხალხი... მისი „ბიჭის“ კუბო, რომელსაც მისდევს ეს უთვალავი ადამიანთა გროვა, აღელვებული, აბობოქრებული... მისდევს გოდებით, გამწარებული... ფიცს სდებენ მის კუბოსთან... ესმის იმედებით სავსე ცხარე მიმართვა, რომ მალე, მალე გათენდება ნათელი, ბრწყინვალე დღე და რომ იმ ბრწყინავ დღეს მივლენ მასთან ყველა წამებულნი, წვალებულნი, ტანჯულნი, რომელთათვისაც მუდამ თრთოდა მისი გული; მივლენ სალამით, მივლენ და მიახარებენ სასურველი დღის გათენებას და მადლობას მიუძღვნიან მას, მათთვის თავდადებულს, მათთვის თავის შეწირველს.

როდის, როდის გათენდება ის დღე? მაშინ აღსრულდება ისიც, რაზედაც ოცნებობდა მისი ძვირფასი „ბიჭი“, მაშინ ნახავს შვებას ყოველი შეწუხებული ამქვეყნად, მაშინ იხილავს მისი დამწუხრებული გული მისი „ბიჭის“ დიდებულებას. იგი დღე იქნება ყველასათვის და ყველასთან ერთად მისი ბედნიერების დღეც...

და მოხუცებული მშობელი, იმედით შემოსილი, გამხნევებული, კვლავ დაუბრუნდა ამ ქვეყანას. იგი გაფაციცებით ყურს უგდებდა ყოველივეს, რაც გარშემო ხდებოდა, გაფაციცებით თვალს აღევნებდა, რაც ქვეყნად ისმოდა. მუდამ ჩარგული იყო გაზეთებში, რომ ამოეკითხა სანატრელ, ბრწყინვალე დღის მოახლოების ნიშნები. და როცა რაიმე არა სასიამოვნო, უსუგეშო ამბავს ყურს მოჰკრავდა, ან ამოიკითხავდა, გულამღვრეული მოხუცი აღელვებული წამოიძახებდა ხოლმე:

— ო, საზიზღრები!.. საზიზღრები!.. თავისას მაინც არ იშლიან... არ იშლიან!.. როდემდის, როდემდის?.. ნუთუ საშველი არ არის?.. არ არის საშველი?!

და გულშეწუხებული, აღელვებული მიაშურებდა თავის ოთახს. აქ მის საწოლთან მაგიდაზე შავ ჩარჩოში ჩასმულ თავის „ბიჭის“ სურათის წინ დადგებოდა და. თვალცრემლიანი, უცნაური გამწარებით, სასოწარკვეთილებით მიმართავდა: „შვილო, რათ დამეღუპე, რათ?.. თუკი არაფერი საშველი იქნებოდა... თუკი ასე იქნებოდა... რათ გასწირე შენი სიცოცხლე?.. რათ არ მოითმინე?.. რათ დამეღუპე, შვილო?..“

და გულამომჯდარი, აქვითინებული, გამწარებული მოხუცი

მშობელი დაემხობოდა ძვირფასი შვილის სურათის წინ, გარეტიანებული, მწუხარებისაგან გრძნობა დაკარგული და დიდხანს, დიდხანს იყო ხოლმე ასე დამხობილი, სანამ, ბურანში მყოფს, ისევ მისი შვილისაგან შეცოდებულს არ გამოაფხიზლებდა მისი ხმა, რომელიც ეხვეოდა და მისებურად ტკბილად, ხალისიანად ეუბნებოდა:

„ნუ სწუხარ, დედიკო, ნუ სწუხარ! მართალია, ქვეყანაზე ადამიანი კიდევ ბევრ უბედურებას განიცდის, ბევრ სიმწარეს შეხვდება, მართალია, დღეს ადამიანი ადამიანს კიდევ მტრულად უხვდება, მაგრამ ბედნიერების დღე მაინც არ ასცდება მას, მიუხედავად ყოველივე დაბრკოლებისა... ბუნება, საკვირველებით მოცული ბუნება, ადამიანისაგან ჯერ სრულიად უცნობი, საიდუმლოებით მოცული ბუნება თავისუფალ პირობებში ამუშავებულ ადამიანის გონებას გადუშლის მასში, დაფარულ საკვირველ ძალას და მაშინ ადამიანი უკუაგდებს სასტიკ მცნებას „ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსაო“, მაშინ მოისპობა ქიშპობა ადამიანთა შორის, ადამიანი იქნება განმავითარებელი მასში ჩანერგილი ნიჭისა და არა მისი მოვაჭრე, იქნება თვისი ნიჭის მიმდევარი, მისით დამტკბარი, მისით ბედნიერი და მის გარეშე მყოფთა მოსარგებლე... კი, დედიკო, ბედნიერება მოვა ქვეყნად, მოვა! ბნელ ღამეს შესცვლის ნათელი დღე... ეს კანონია ბუნებისა და ვერავითარი ძალა, ვერაფერი მას ვერ მოშლის, ვერ შესცვლის, და ყოველივე ცდა ამის საწინააღმდეგოდ სამწუხარო უგუნურებაა! კი, დედიკო, კი, კი!..“

მკაფიოდ ესმოდა ყოველივე ეს მოხუცებულს, და როცა სურვილი წასძლევდა, რომ ერთი თვალი მაინც შეესწრო, შეესწრო მის მანუგეშებლის, მისი ტკბილი მოსაუბრისათვის, და თავს ასწევდა თუ არა, მისი „ბიჭი“ ისევ ხმაგაკმენდილი, გაჩუმებული გამოიყურებოდა თავის შავ ჩარჩოდან. დიდხანს, დიდხანს თითქოს საყვედურით მიაჩერდებოდა მას, შეუბრალებლად, დადუმებული დადუმებულს, მაგრამ მისგანვე მისი სიტყვებით გამხნევებული მოხუცი ბრუნდებოდა ოთახიდან და ისევ ბრწყინვალე დღის გათენების მოლოდინში იყო, ქვეყნად ბედნიერი დღის შესაგებებლად ემზადებოდა...

1911 წ.

ბაკულას ღორები

ის იყო შარაგზით მომავალმა ზენათიმ გზის შესამოკლებლად ღობეზე გადარება დააპირა და ზედ შედგა ფეხი, რომ გამწარებით წამოიძახა:

— ღმერთო მომკალი!.. ღმერთო მომკალი!—ჩახტა ეზოში და ქაქანით გაეცთო ეზოს უურეში ყოფილ პატარა ბოსტნისაკენ.

— უიმე, უიმე!.. ღმერთო მომკალი!.. პიტია!.. სასიკვდილე პიტია... კიკილო! კიკილო!.. თქვენ მოუკვდით თქვენ დედას, თქვენ... პიტია, კიკილო! კი-კი-ლო-ო!—უცნაური ხმით გაჰკიოდა და თან მირბოდა ზენათი.

ამ ყვირილზე დაბალაივნიან სახლიდან გამოვარდა თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ქალიშვილი, რომელსაც უკან გამოსდია თმაგაბურძგვნილმა, ფეხშიშველა პერანგის ამარა პატარა ბიჭმა.

— რა ამბავია, დედა, რა? — იკითხა ქალიშვილმა.

— რა და თქვენი სიკვდილი!.. თქვენი არ გადარჩენა, შვილო, თქვენი არ გადარჩენა!.. თქვენ გოუწყდით თქვენ პატრონს, თქვენ!.. ველარ ხედავთ, თქვე გასაწყვეტლებო, რომ ამოგვაგდეს... რომ ერთიანათ ამოგვაგდეს?!.. თქვენ გაგიწყდათ მიწა... მოისპო თქვენი სახელი!.. დაგიდგათ თვალები!.. მიწა დაგეყარათ გასაწყვეტლებს, მიწა!— და ამ წყევლის წარმოთქმაზე შეჩერებული ზენათი ისევ ბოსტნისაკენ გაიქცა; უკან დეედეენა პიტიაც.

— ჰა ტრუბია! ჰა ტრუბია!—აყვირდა პატარა ბიჭიც და ამ ძახილზე სახლის უურიდან გამოვარდა შავი, ბანჯგვლიანი ნაგაზი და ესეც უეფით გავარდა ბოსტნისაკენ.

— ჰა ტრუბია, ჰა, ჰა! — ყვიროდა ბავშვი და თან მისდევდა ძაღლს.

ბოსტანში მყოფმა ძალზე გამხდარმა ორმა ღორმა და ცხვარმა, ალბათ, კარგად იცოდნენ რა ღღესაც დააყენებდა მათ ტრუბია, გა-

ფაციცებით უცმაცურებდნენ პირს პრასას, ჭლაკვს, ნიახურს, ოხრახუშს — რაც კი პირს მოსვდებოდა. — შემდეგ ეცნენ ბოსტნის დაბალ რაკვს, ტრუბიას შიშით გალოცილებულებმა შეამტვრიეს რაგვის ხმელი წკნელი და გასაქცევად გამზადებულები სამივე შეუდგა შეღმართს. ტრუბია ყეფით დაედევნა უკან, დაეწია ერთს, სწვდა გამხდარ კანჭში; ღორი აკუკვირდა, წაიქცა და კოტრიალ-კოტრიალით ჩამოგორდა ქვევით; ნაგაზი ახლა გაეკიდა მეორეს, დაეწია, ამასაც ჩაასო თავისი ბასრი კბილები კანჭში და ესეც აკკვირებული წააქცია და კოტრიალით გადმოუშვა ქვევით; დამფთხალი ცხვარი კი საცოდავად ხან იქით მირბოდა, ხან აქეთ, შეშინებული, რომ ძაღლს არ ჩავარდნოდა საკბილავად. ტრუბია კი ღორების წვალებით ყმაყოფილდებოდა. დაბოლოს ამასაც მოსწყინდა მათი წვალება, გაანება თავი, შესდგა და თავაწეული მისჩერებოდა კანჭებ დასისხლიანებულ პირუტყვებს, რომლებიც აღმართს შეუდგნენ.

ზენათი კი ბოსტანში ჩამდგარი დაუცხრომლად ქაქანობდა და გაჰკიოდა რაც ხმა ქონდა გულგახეთქილი, რომ ხედავდა ასე შეუბრალებლად მოსრესილს თავის ნამუშევარს.

— ასე კაცის ამოგდება გაგონილა ქვეყანაზე?! თქვენ ამოგივარდათ თქვენი პატრონი... თქვენ ამოგივარდათ თქვენი პატრონი ძირიან ფესვიანად, რავარც თქვენ ეს ჩემი ბოსტანი ამომიგდეთ!.. აოხრდა თქვენი პატრონი, რავარც თქვენ აქაურობა ააოხრეთ!.. მოისპო თქვენი პატრონი ისე, რავარც ეს ჩემი ნაშრომი მოსპეთ და გააქრეთ!.. ისე გაქრა თქვენი პატრონი... გაქრა ქვეყნის პირიდან!.. თქვენი პატრონი დასწყევლა ჩემმა გამჩენმა... დასწყევლა და მოსპო მამა ზეციერმა! — ყვიროდა ზენათი რაც ძალა და ღონე ქონდა, რომ შეღმართის წვერზე წამოსკუპებულ ქოხში გაეგონათ მისი გულისწყრომა.

რასაკვირველია, იქ ესმოდათ მისი ქაქანი, მისი ლანძღვა. წყეველა, მაგრამ პასუხს არავინ აძლევდა და არც არავინ ჩნდებოდა. ეს კიდევ უფრო აბრაზებდა ბრაზმორეულ ადამიანს და მის ლანძღვაგინებას დასასრული არ ეძლეოდა.

— ასე არ შეიძლება, გალაქტიონ, არ შეიძლება, მითქვამს შენთვის! — გაალმასებული დაუხვდა ზენათი სამუშევრიდან საღამოს შინ დაბრუნებულ ქმარს.

— არ შეიძლება გეუბნები! რაცხა უნდა იღონო, თვარა ამოგვაგდეს და ეს არის!.. ამოგვაგდეს ერთიანად!.. ხმა უნდა ამოიღო!.. თუ არა და მითხარი და აღარ შევაკლავ თავს არც ყანას და არც ბოსტანს... ყველაფერს მივატოვებ!.. იმისთვის ვეწვალო, რომ ოხერ ბაკულას ღორებს შევაჭამო ჩემი ნაცოდვილარი?!. ბაკულას ღორე-

ბის გამოძღომისათვის ვიკლა თავი?! მითხარი, ბატონო, თუ არაფერი გვეშველება, მითხარი და აღარ ვიცოდვილებ! ყველაფერს თავს დავანებებ, თუ ბაკულას ღორების საოხრებლად უნდა გახდეს ჩემი ნამუშევარი!.. მივატოვებ ყველაფერს და მოსვენებულად ვიქნები!.. გულის ხეთქას მაინც გადავრჩები! არა, რატომ, რატომ კუჭგამხმარ ბაკულას ღორებს უნდა შევაჭამო ჩემი ნაცოდვილარი?!. გაუჩუმდი, გაუჩუმდი... ნუ გაცემ ხმას!..

— ახირებული ხარ ერთი შენც!—წყენით მიუგო გალაქტიონმა. — ვინ გოუჩუმდა, მარა იმ ოხერთან რომ არაფერი გამეწყო?!. პირადად წავეკიდე, კაცებიც მივუგზავნე, დავემუქრე ასე გიზამ, ისე გიზამ-თქვა, მარა სინდის დაკარგულთან რა გაგივა! დასწყევლოს ღმერთმა ის დღე, როცა მაგ ოხერი იმ ჯაგებში დასახლდა!.. რა მოსვენებულად ვიყავით!..

—დასწყევლა ღმერთმა, დასწყევლა ღმერთმა ვიძახოთ!.. რაიმე საშვალება უნდა ვიხმაროთ, თვარა მარტო დასწყევლა ღმერთმას ძახილით ბევრი გაგიკეთდება... მე გეტყვი საშველი დაგადგება!.. ამით არაფერი გვეშველება, ადამიანო, არა, არა!

— მაცალე, ბატონო, ეგებ რამე ვიღონო... მაცალე!

— მაცალე, მაცალე.... ამას კაი ხანია იძახი და საქმე თუ ხდება თვარა საშველი არაფერი გვეძლევა!.. როდემდი უნდა იყვეს ასე? ასე რავა უნდა გადაათელიო კაცმა თავი იმ წუნკლიანს!.. სულ შენი ბრალია, შენი ბრალი!.. თითქოს ერიდები იმ გასაწყვეტლებს!..

— ვინ ერიდება, ერთი შენ კიდევ! — გაჯავრებით წამოიძახა გალაქტიონმა. — ვინ ერიდება?.. რაში უნდა მოვერიდო, მითხარი ერთი?!.

— აბა რაა? სამართალი რავა ვერ ვიშოვო, თუკი კაცი მოვინდომებ!

— ჰო, სუდში ვიჩივლო?

— ვიჩივლებ, აბა!.. მიეათრევ ოხერს და მუდრეგს... არაფრით არ დავზოგავ!..

— დიახ, სუდში მიათრევ და დაიმედებული იყავი, რომ შენი სიმართლე გაგამარჯვებინებს, დიახ!.. ვიცი მე სუდის საქმე!.. უნდა გადაჰყვე საჩივარს და ბოლოს, ვინ იცის, რავა შეგიტრიალებენ ნათელ საქმეს!.. არა, შენ გენაცვალე, თელათ რომ ყველაფერი ამიოხროს, სუდში ფეხს ვერავინ შემადგმევინებს, ვერა! — გადაწყვეტილებით წარმოთქვა გალაქტიონმა.—ვიცი მე სუდის ამბავი!.. არა, საქმეს სხვა გზით უნდა შემოუაროთ!—დაატანა მან.

— სადაა მერე ეს სხვა გზა?—ცხარობდა ზენათი.

— გეუბნები მაცალე-თქვა... მოვიფიქრებ!.. ჯერ ვერ გამოვნახე... მაცალე და გამოვნახავ...

— ა, ბატონო, გვიცლია და ვნახავთ! მარა ეს მითქვამს შენთვის, გალაქტიონ, თუ ასე გაგრძელდა, მე ხელს აღარაფერს მოვკიდებ, იცოდე... რაზე ვიწვალო... რისთვის ვაკლა ჩემი თავი?!. ბაკულას ღორების საძღომის მოსაყვანად ვიშრომო?..

— რაცხას ვიღონებ, შე ქალო! ვიღონებ, ოღონდ მაცალე!.. საიმედო გზას გამოვნახავ და გადავრჩები მაგ დაწყეველილ მეზობელსაც და შენს წყრომასაც! — ღიმილით დაათავა გალაქტიონმა. — კი, შენ ნუ მომიკვდები!

რამდენიმე დღის შემდეგ გალაქტიონი დაბა №-ს გაემგზავრა თავის ცოლის ნათესავთან, ალექსანდრე შარაქაძესთან, რომელიც თარჯიმნად მსახურობდა მაზრის სამართველოში.

დილა იყო, როცა იგი ჩავიდა დაბაში და რადგან ალექსანდრე შინ აღარ დაუხვდა, სამართველოში მივიდა მასთან.

— ოჰ, გალაქტიონს გაუმარჯოს! გაუმარჯოს გალაქტიონს! — მხიარულად შეეგება ყმაწვილი კაცი გალაქტიონს! — საიდან? რა ამბავია, რამ გაგსარჯა?.. ხომ მშვიდობით, კარგად...

— გმადლობთ, შენი ჭირიმე!.. ვართ ღმერთით ერთგვარად, თქვენგან დავიწყებული, დაკარგული!.. ვართ რავარც მოგეხსენება საწყალი კაცის ამბავი! — მიუგო თავის შებრალებით გალაქტიონმა.

— ზენათი ხომ კარგადაა?..

— გმადლობ... არის ისე.

— რა ხანია არ მინახავს!

— მერე ასე უნდა!.. ნამეტანი დაგვივიწყე, შაშა ჩემო!.. სულ აღარ გაგვიხსენე... მართალია, პატარა კაცები ვართ, მარა რაც რომ იყოს, რაც ულირსნი გყავდეთ, მაინც ნათესავები გყავართ... საწყლები ვართ, მარა ამიტომ კი არ უნდა მოგვიძულოთ თქვენისთანებმა... უფრო უნდა შეგვიბრალოთ და შეგვიწყალოთ ხოლმე!

— ღმერთმა ნუ დაგივიწყოსთ, რას ამბობ შე კაცო!.. აბა კარგად ხართ?

— გასლავართ!.. ვებრძვით საწყლები ცხოვრებას რაც გაგვიწყობა, მარა რაი, მაინც საწყლად ვართ და ვიქნებით ჩვენს დღეში.

— რამ გაგასაწყლად, შე კაი კაცო! — მხიარულად მიაძახა ალექსანდრემ და მხარზე ხელი დაადო.

— საწყლები ვართ, შენი ჭირი შემეყაროს, უსაშვალონი, აბა რა ვართ! ვისაც უნდა, ჩვენ გვაწუხებს და ჩვენ გვჯობნის!.. შემფარე არავინ გვყავს! — ნაღვლიანად წარმოთქვა გალაქტიონმა.

— ვიღაცას შეუწუხებიხარ, გალაქტიონ, გეტყობა!.. და ძალიანაც შეუწუხებიხარ, გეტყობა!

— სწორედ მასეა და იმიტომაც მოგაშურე, შენი ჭირიმე!.. აგერ მობრძანდი და მოგახსენებ ყველაფერს!—გაიწვია ოთახის თავისუფალ ყურეში ალექსანდრე.

— მართალია, უჩემოთაც ბევრი მაწუხებელი გყავს, შაშა, — დაიწყო გალაქტიონმა, როცა ორივენი დასხდნენ, ისე რომ მათ მუსაიფს ვერავინ შეუშლიდა, — მარა ჩვენთვისაც უნდა შეიწუხო თავი... ღმერთი მოიმადლიერე, ყურადღება მოგვაქცევ... შეგვეწიე! არც ისე შორებლები ვართ, შენი ჭირი შემეყაროს, რომ ჩვენი გასაჭირი არაფრად მიიჩნიო!.. მე თუ არა, შენი ნათესავი ქალი, შენი სისხლ-ხორცი მაინც შეიბრალე!.. ერთობ შეწუხებულია, შაშა ჩემო, მეტისმეტად შეწუხებულია და იმიტომ მოგაშურე!

— თუკი რაღაც შემიძლია!..

— კი შეგიძლია!.. რავა არ შეგიძლია!.. შენ თუ არ შეგიძლია, აბა ვიღას შეუძლია!

— თუკი მასეა, კი ბატონო... ვინ ოხერი!.. რაშია საქმე?

— სულ უბრალო საქმე შენთვის...

— ჰო!

— ერთი კაცი უნდა შემიშინო...

— რავა?!. კაცი შეგიშინო?! — შეეკითხა გაოცებული ალექსანდრე.

— დიახ!.. ერთი ოხერი, ყოვლად გაფუჭებული მეზობელი გამიჩნდა, ის უნდა შემიშინო!

— რარიგად, გალაქტიონ?.. შეეშინდება ჩემი?.. — სიცილით ეკითხებოდა ალექსანდრე.

— კი შეეშინდება! და უნდა შემიშინო, შაშა!.. შენთვის ეს არაფერი იქნება, ჩვენთვის კი დიდი რამე! ერთი დღე დაკარგო ჩვენთვის — რა უნდა იყოს შენთვის,.. ესეც ისე, რომ იმ დღეს ტკბილად გაატარებ და ისიამოვნებ!.. მართალია, ჩვენისთანა საწყალი ნათესავი მაწუხებელია, ჩვენზე უკეთესებს სცნობ და მათთან ხარ გართული, მარა ღმერთი შეგეწევა, ჩვენისთანა საწყალს და გაჭირვებულს რომ გადმოხედავ ხანდისხან!.. ჰოდა იმას გთხოვ, მიკადრო შენი ღარიბი ნათესავი, მეწვიო ჩემს ღარიბ ოჯახში... ერთი დღე გაატარო ჩემს ქოხში!.. შენთვის ეს არაფერი იქნება, ჩემთვის კი დიდად ეღირება, დიდად დაფასდება. კუთხე-მეზობელი გეიგებს, რომ სულ უპატრონო არ ვყოფილვართ... რომ ჩვენც გვყოლია შემწე და მფარველი... რად ეღირება ეს ჩვენთვის, ჩემო შაშა?!. ერთხელ მაინც

ხომ უნდა ნახო შენი ნათესავი... მოხვალ, ისიამოვნებ, დროს გაატარებ და წამობრძანდები... მე კი ამით ძალიან შემეწევი!

— კი, ბატონო, დიდი სიამოვნებით!.. თუ ამაზე მეტი არაფერია. ეს რა!—სიცილით თქვა ალექსანდრემ.—სულ ადვილი საქმე ყოფილა!

— შენ არ მომიკვდე სხვა არაფერი... მარა შენთან ერთად თქვენი სეკრეტარიც მაწვიე, შაშა!

— ჩვენი სეკრეტარი?!— გაიკვირვა ალექსანდრემ.

— სეკრეტარი!.. უსათუოდ შენთან ერთად უნდა მაწვიო!

— რუსია, კაცო! ქართული ინჩი-ბინჩი არ იცის!

— უსათუოდ უნდა მაწვიო!—მუდარით მიმართა გალაქტიონმა. — შენთან ისიც დეინახოს ჩემმა კუთხე-მეზობელმა ჩემს ეზონიადაგზე!.. გეფიცებით, სიამოვნების მეტი არა შეგხვდებათ რა... საღილს მიირთმევთ, ისიამოვნებთ და წამობრძანდებით და ეს იქნება!

— კი მარა აქ რაღაც ამბავია!—ვეღარ მოითმინა და ღიმილით უთხრა ალექსანდრემ.—შენ რაღაც სხვა განზრახვა გაქვს!

— არ მოგიკვდეს ჩემი თავი, თუ დამიჯერებ, არაფერი სხვა გარდა იმისა, რომ თქვენისთანა თვალსაჩინო პირებით თავი დევიფარო მაწუხებელ მეზობლისაგან!.. თქვენისთანა პირებს რომ ჩემს ქოხში დაგინახავენ, იტყვიან, რომ სულ უპატრონოდ კი ვყოფილვართ და მტერი შეშინდება, მოგვერიდება, ისე თამამად ვეღარ მოგვპედავს!..

— ეს ჩვენი შესაშინებელი კაცი ვინ არი, გამაგებინე ერთი? ეგებ ისეთი იყოს, რომ თავათ შეგვაშინოს იმის მაგივრად, რომ ჩვენ შეგაშინოთ! — იცინოდა ალექსანდრე.

— კაცმა რომ შეხედოს მართლადაც შეეშინდება, ისეთი შეხედულობისაა!

— ვინაა, რა კაცია, გალაქტიონ?

— მეზობელია ჩემი... ჩემი მოგვარე... ვიყავი ამდენი ხანი, შენ გენაცვალე. ჩემს პაწია კარ-მიდამოზე მოსვენებით... ახლო არავინ მყავდა მეზობლად... არავის ვაწუხებდი, არავინ მაწუხებდა... ვცხოვრობდი ჩემთვის... მიხაროდა!.. მოგეხსენება რა სარიდალია ახლო მეზობელი, და თუ ნამუსსდაშორებული გაგიჩნდა, ხომ გაგიმწარდება ადამიანს სიცოცხლე და ეს არი!.. ასეთი უბედურება მეწია მეც... გამიჩნდა მეზობელი ყოვლად გაფუჭებული, სინდისდაკარგული ადამიანი... ამიკლო, შაშა ჩემო... ამიკლო, აღარა ვართ მისგან!

— ვინაა?

— ისევ ჩემი მოგვარე!.. ამას წინათ გამოეყო ძმას... წამოიღო

რაღაც ქოხი რგებოდა, ჩადგა ჩემს ზევით ჯაგებში, ისეთ ადგილას რავა იფიქრებდი თუ იქ როდისმე ადამიანი დასახლდებოდა... ეგ, რასაკვირველია, მისი საქმეა, ღმერთმა მშვიდობა მისცეს, ჯანდაბაში წასულა, კისერი უტეხია, უარეს ადგილსაც გადაკარგულა—მე არ შევწუხდები ამისთვის, მარა მისმა მეზობლობამ ამომაგდო კაცი, ნამეტან ზარალს მაყენებს, შაშა!.. არა აქვს საჭმელი, არა აქვს სასმელი, ყრიან საცოდავად... ოჯახში, როგორც იცი, ყავს წვრილფეხი, მარა რომ არ ყოლებოდა ერჩია... თავისათვის საჭმელი რომ არა აქვს, პირუტყვს რარიგად შემოუაროს?!. უყრია მშიერი, შეწუხებული, შიმშილისაგან გამწარებული... ჰყავს დამწყვრეული და ეს მშიერი პირუტყვები, კუჭი რომ ეეწვისთ ხოლმე, ისე ჭყვირიან და წკნავიან, რომ იქ დაბლა ჩვენ ვიწვით მათი საცოდაობით, ისეთი ხმა მოდის!.. გული შეგიწუხდება ადამიანს!.. მარა ეს რაა, უბედურება ის არის, ამ შიმშილისაგან გამწარებულებს რომ გამოუშვებენ სამწყვრევიდან... მაშინ არი ჩვენი შეწუხება... თავს მახლობლად რას ნახავენ, ეკლესია და ბარძგების მეტი არაფერია... დაეშვებიან ჩვენკენ... ეზოს ყურეში პაწია გვარიანი ბოსტანი გვაქვს... ზენათის ნაკეთებია... მოაშურებენ პირდაპირ აქეთკენ უსათუოდ! მოვარდებიან და, ერთი თვალის დახამხამებაში, სულ ერთიან გადაჭამენ, გადასისნიან, აღარაფერს დატოვებენ! კეტი რომ უბრაგუნო, ვერ მოაშორებ ისეთი რაღაც დაწყეველილებია—ალბათ, შიმშილისაგან რომ გამწარებული არიან. ძაღლი მყავს ბედათ იმისთანა, რომ სისხლით შეღებავს ხოლმე მათ და იმისი შიში აქვთ კიდევ, თვარა ჩვენი საშველი არ იქნებოდა!.. ვეხვეწე, ვემუდარე ნუ ამომაგდებ-თქვა, ჩამომაშორე ეს შენი ღორები და ცხვრები-თქვა, კაცებიც მივუგზავნე, ეკლესიაზე ხალხში შევჩივლე, მარა არ იქნა, არაფერი არ გამოვიდა; სუდში ვერ წ�ეედი საჩივლელად.... მეშინია! ჯერ საქმეს დასასრული არ მიეცემა, მერე მოწმეების თრევა, მათი ჭმევა-სმევა, ხარჯი, გაცდენა და ბოლოს შეიძლება საქმე ისე შემოგიტრიალონ, რომ ბრალი მე დამდვან, რომ პატარა ბოსტანი მქონებია და საკმარისად ვერ ძღებიან შიგ იმ ჩემი მეზობლის ღორები!

ალექსანდრემ ამაზე გულიანად გადიხარხარა.

— კი, ადვილი შესაძლებელია!.. სუდში სწორედ ვერ შევალ... ცეცხლივით მეშინია. ამიტომ მოგაშურე ახლა შენ... მეტი გზა არ მაქვს! სხვანაირად უნდა შემოვუაროთ საქმეს... თქვენი ერთი ფეხის დაბაკუნება ათასწილად მირჩევნია სასამართლოში თრევას და წოწიალს... ერთს თვალებს გადმოუბრიალებთ, ხმამაღლა შესძახებთ ისე, რომ კანკალს დააწყებინებთ ქე რომ იცით, და საქმეც მოგვარ-

დება... ჰოდა იმიტომ გთხოვთ, რომ თქვენებურად შემიშინოთ ის ჩემი მაწუხებელი!

— კი, მარა, რარიგად შევაშინოთ მაინც?.. უჩივლებ და დავიბაროთ, თუ როგორ?—იცინოდა ალექსანდრე.

— არა, შენი ჭირიმე, არა!.. მაგდენზე რავა გაგრჯით!.. თქვენ ოღონდ მობრძანდით ჩემსას, სადილი მიირთვით — დაგინახონ ჩემსას, დაგინახონ რომ თქვენისთანა კეთილები მყავს მფარველად და სხვა არაფერი!

— შეშინდება მერე ამით ის შენი მეზობელი?

— კი შეშინდება!.. რას ბრძანებთ—თქვენ დაგინახავსთ და სული კოჭებში არ ჩოუვა?!. რას ბრძანებ!

— აბა კარგი... რაკი მასეა!—სიცილით წამოიძახა ალექსანდრემ. — ეგ მართლაც სულ იოლი საქმე ყოფილა!

— მომავალი კვირისათვის უნდა დამავალოთ!.. გზის ნუ შეგეშინდებათ... შორი არ არის, გზა კარგია... კრეულაზე ხიდია ჩატეხილი, მარა ახლა ყველგან მშვენიერი ფონია... სულ არ შეწუხდებით, სულ!.. სეკრეტარი უსათუოდ უნდა მაწვიო, შენს სულს დავენაცვლე... უსათუოდ!

— აი, ბატონო, წამობრძანდი... ვუთხრათ!

გაიარეს ხალხით გაჭედილი სამართველოს რამდენიმე ოთახი და შეეიდნენ ოთახში, სადაც განიერ მაგიდას უჯდა შუახნის გრძელწვერა, თვალებდაბერილი მოხელე, სამაზრო სამართველოს კანცელარიის უფროსი.

— რა ამბავია?—ქართულად ჰკითხა მან ალექსანდრეს და თვალი გალაქტიონს გადაავლო.

— ვასილ ივანიჩ, ეს გახლავთ ჩვენებური აზნაური გალაქტიონ ხოსოლიანი... გთხოვსთ ჰატივი სცეთ და კვირას ეწვიოთ სადილად ოჯახში!—რუსულად უთხრა მას ალექსანდრემ.

ვასილ ივანიჩი გაკვირვებით მიაშტერდა ალექსანდრეს.

— ჩტო ეტო ზნაჩიტ?!.—იკითხა მან.

— გთხოვთ ეწვიოთ სადილად. სხვა მეტი არაფერი!—მიუგო ალექსანდრემ.

— საიდან!.. მე მაგ თვალითაც არასოდეს არ მინახავს!.. აქ ხრიკი იქნება რაღაც... დაიკარგოს იქით!—წაილაპარაკა ვასილ ივანიჩმა და ისევ განაგრძო შეწყვეტილი წერა.

— არაფერი ხრიკი არაა, ვასილ ივანიჩ!.. მაგას უნდა, რომ ჩვენ შევუშინოთ ერთი მისი მაწუხებელი მეზობელი!

— შევუშინოთ?..—გაოცდა სეკრეტარი.

— ჰო! — სიცილით უთხრა ალექსანდრემ.

— მერე მე რა საფრთხობელა მნახა?!. რას მიედ-მოედებით! — წამოიძახა მან.

გალაქტიონი შიშმა შეიპყრო: ეს კაცი ისე ლაპარაკობდა, რომ ეტყობოდა უარს ამბობდა. მაგრამ ალექსანდრემ ერთი გადახედა მას და მერე თავისი მოქნილი ენით დაწვრილებით მოუყვა ვასილ ივანიჩს გალაქტიონის ამბავი იმგვარად, რომ ის კიდეც გააცინა გულიანად.

— ნუ ნაპუგაემ, ჩორტ ეოზმი, ესლი ტაკ! — სიცილით წამოიძახა მან.

გალაქტიონი შეიშმუშნა.

— რაო, შაშა... შენი ჭირიმე? — გაუბედავად შეჰკითხა ალექსანდრეს.

— თანახმაა... მოდის! — მიუგო მან.

— ცაუდით!.. ცაუდით!—მხიარულად უთხრა ვასილ ივანიჩმაც.

გახარებულმა გალაქტიონმა დაბლა ; თავი დაუკრა მადლობის ნიშნად და გახალისებულმა ისევ ალექსანდრეს მიმართა:

— აბა, შაშას ჭირი შემეყაროს!.. კვირას მოგელით უსათუოდ, მიირთმევთ სადილს და წამობრძანდებით გინდ იმ სალამოსვე, გინდ ადრიანად... საქმე არ დაგიბრკოლდება!—ხვანხვალობდა გალაქტიონი.

— ნაპუგაიმ, ნაპუგაიმ! — იცინოდა მდივანი,—ოღონდ ღვინო კარგი იქნეს, თორემ ისე ვერ შევაშინებთ!.. ხომ აქვს კარგი ღვინო?

— რაო, შენი ჭირიმე, რას ბრძანებს?—იკითხა გალაქტიონმა.

— ღვინო თუ გაქვს კარგიო?

— იცოცხლეთ!.. საუკეთესო ღვინოს მოგართმევთ!.. რომ არ მქონდეს, ვიშოვი... თქვენისთანა პირებს ჩემს ოჯახში დავინახავ და ცუდ რამეს მოგართმევთ, რაება გეკადრებათ!.. აბა, შაშა, შენი ჭირიმე, კვირას უსათუოდ!..

— კარკი, კარკი!.. მოუდის, მოუდის!—მხარზე ხელის დარტყმით უთხრა ვასილ ივანიჩმა გალაქტიონს, რამაც ის კიდევ უფრო გააბარა.

გალაქტიონმა რამოდენიმეჯერ თავი დაბლა დაუკრა, სახეგანათებული ოთახიდან გამოყვა ალექსანდრეს და ისევ მიმართა მას შუდარით:

— შენ სულს ვენაცვალე, შაშა!.. თუ ჩემი ოჯახის სიკეთე გსურს, ა... ახლა დეევინახავ!.. არ გადამითქვათ დანაპირები!.. გამხადე შენი საუკუნო მონა-მოსამსახურედ!

— კი ბატონო, კი!..გადაწყვეტილია... კვირას უსათუოდ შენთან ვართ!.. შენსას ვქეიფობთ!

— თუ შეგხვდესთ იმისთანა ვინმე, რომ მხარი დაგიმშვენოსთ და თქვენი სასიამოვნო იყვეს, ნუ დამირიდებთ, წამოიყვანეთ ისიც!.. ერთი სიტყვით ისე მოდით, რომ თქვენდა გულისაჯერად დრო გაატაროთ, მასპინძლობა კი ჩემს კისერზე იყოს!... ისეთი დრო უნდა გაგატარებინოთ, რომ სამახსოვროთ გექნესთ!.. კი!..

— აბა ჰე, აბა ჰე!.. ჩვენც მაგისათვის მოვემზადებით!—მხიარულად უთხრა ალექსანდრემ.

— აბა ახლა მე გავსწევ და აქედანვე შევუდგები თადარიგს, რომ თქვენდა საკადრისად დაგიხვდეთ, როგორც თქვენისთანა პატიოსან პირებს შეეფერება!.. აბა ასე, შაშას ჭირიმე. ასე. შენ გენაცვალე! — დასასრული აღარ ეძლეოდა გალაქტიონის მუდარას და ხვეწნას. დაბოლოს როგორც იქნა გამოემშვიდობა ყმაწვილ კაცს და სიხარულისაგან აფრენილმა, რომ საქმე სასურველად ეწყობოდა, გასწია შინისაკენ.

სახლში დაბრუნებული გალაქტიონი მეორე დღიდანვე შეუდგა სტუმრების მიღებისათვის თადარიგს. ოჯახში დილიდან საღამომდი მხოლოდ იმის შესახებ იყო ლაპარაკი თუ რა მოემზადებინათ და როგორ მოეწყოთ ყველაფერი ისე; რომ სტუმრებს სიამოვნებოდათ. არც გალაქტიონს. არც ზენათის არაფერი არ ეშურებოდ თ ამათთვის. რა კი მათგან დიდ სიკეთეს გამოელოდნენ. მეზობლებშიაც გაიგეს, რომ ხოსოლიანებისას უცხო სტუმრებს მოელოდნენ კვირისათვის და ყველა დაინტერესდა მათი დანახვით. მხოლოდ ბაბულ ს ღორები და ცხვარი თავისას მაინც არ იშლიდნენ და იქ კვირაში ბარე ორჯერ მოინახულეს მათი საყვარელი ზენათის ბოსტანი.

— მაცალეთ, მალე ყველას გაგიჩენთ მუხლებში კანკალს, მალე!—იმუქრებოდა გალაქტიონი.—მალე სულ სხვა გუნებაზე შეყოლებით ყველა!.. დაგიდგებათ თვალები!—დაიმედებულად ამბობდა იგი.

სანატრელი კვირაც გათენდა. ზენათის ყველაფერი დამზადებული ჰქონდა სტუმრებისათვის: ცხვარი, ინდაური, ქათმები, აუარებელი ხაჭაპურები, გომიჯები, ნაშოვნი იყო მშვენიერი წითელი ღვინო. დილიდანვე მომყოლი კაცი აახლეს დაბაში და კიკილო გზაზე დააყენეს მოდარაჯედ, რომ დროზე ეცნობებია ცხენოსან სტუმრების მოახლოება.

დღე საგანგებო კარგი გათენდა.

ჯერ ადრიანი იყო კიდევ, სტუმრები რომ გალაქტიონის ეზოში

ჩამოხტნენ, სადაც მათ დიდი მოწიწებით შეეგებნენ გალაქტიონი და ზენათი თავიანთი შვილებით.

რადგან ჯერ წირვა გამოსული არ იყო და ეკლესიაც ახლოს იყო, სტუმრებმა უარი არა თქვეს ეკლესიაში წასვლაზე, რამაც დიდად გაახარა მასპინძელი. გალაქტიონი ეახლა თავის სტუმრებს და მის სიხარულს საზღვარი არ ქონებია, როცა ხედავდა თუ რა მოწიწებით აძლევდა სალამს მის სტუმრებს ნაწირვებს ეკლესიის გალავანში გამოფენილი ხალხი.

— ნუ ჩტო, პუგაიტსა? — ღიმილით, ხმადაბლა წაულაპარაკა ვასილ ივანიჩმა ალექსანდრეს.

— ალბათ!—სიცილითვე მიუგო მან.—ჩვენი მასპინძელი ერთობ მხიარულადაა... ალბათ, ატყობს!—ეშმაკურად დაატანა მან.

ეკლესიიდან შემატებული კამპანია ჩამოვიდა გალაქტიონისას. უცხო სტუმრებს მიემატა ახალგაზრდა მღვდელი და გალაქტიონის რამდენიმე მეზობელი.

რადგან დღეც ხელს უწყობდა, ეზოშიც ფართოდ შტოგაშლილი ცაცხვი იყო, გადაწყვიტეს სუფრა ამ ცაცხვის სასიამოვნო ჩრდილში გაეშალათ.

ერთ წამში სუფრა აივსო ათასნაირი ნამზადებულობით, ღვინიანი ბოთლებით, პატარ-პატარა ნიტრებით და ჭიქებით. პატარა საზოგადოება მხიარულად შემოუსხდა სუფრას; ამ მხიარულობას ხელს უწყობდა გალაქტიონის გულუხვობა, ზენათის თავგადადებული მსახურება და განსაკუთრებით ის მშვენიერი, მართლაც და სანაქებო ღვინო, გალაქტიონმა რომ სტუმრებს მიუტანა. სადღეგრძელო სადღეგრძელოზე ისმებოდა ძალდაუტანებლად, სიამოვნებით; ყველანი უსურვებდნენ მასპინძლებს სიკეთეს, ბედნიერებას, მშვიდობიან ცხოვრებას, მტრის აშორებას და ყველა მათ შემწუხებლის დამხობას.

ზენათიც და გალაქტიონიც სიხარულისაგან, რომ ასეთი შნოიანი ნადიმი ჰქონდათ, ცაში დაფრინავდნენ. სიხარულმა უფრო იმატა, როცა მეტისმეტად გამხიარულებულმა ვასილ ივანიჩმა, რომელიც უპრაგონოდ სცლიდა სტაქანს სტაქანზე, ზენათისთან, თუმცა ბანცალით, მაგრამ მაინც იცეკვა ლეკური და შემდეგ ჩააცივდა მის გვერდით მჯდომ მოძღვარს და საშველი არ მისცა სანამ ზეზე არ წამოაგდო ლეკურის საცეკვაოდ.

— პლიაში, პოპინა, ჩორტ ტებია პობერი! ნუ! — იძახოდა იგი და ამასთანავე მუშტებს ურტყამდა კისერში მეორე გვერდით მჯდომარე ალექსანდრეს, ხან გულში იკრავდა და უშვერ სიტყვებს თავაზობდა. მღვდელმა შემოიკრა თავისი ანაფორის კალთები და ერთი

ორი ჩამოუარა. საერთო სიცილს და მხიარულებას დასასრული არ ჰქონდა. მადლიერი გალაქტიონი მადლობის ნიშნად ხელზე ემთხვია მოძღვარს, მერე გადაეხვია ალექსანდრეს და გულმხურვალედ გადაკოცნა.

სწორედ ამ დროს მოისმა ტრუბიას გამწარებული ყეფა. ზენათი, რომელიც ალექსანდრეს ფეხთით იყო მორთხმული და ესიყვარულებოდა, ამის გაგონებაზე წამოვარდა ზეზე და ბოსტნისკენ გადიხედა; აქეთკენ გავარდა კიკილო და, რადგან ყეფა არ წყნარდებოდა, აქეთკენვე გაიქცა პიტია, რომელსაც შეშფოთებულმა ზენათიმ გადაულაპარაკა:

— პიტია! გადიხედე. შვილო, რა ამბავია!

მაგრამ გადახედვა საჭირო აღარ იყო ამბის გასაგებად. ცხადად ჩანდა რაც ამბავი იყო. ბოსტნიდან ცაცხვისაკენ გიჟურად მორბოდა ორი ღორი, მათ უკან ორი ცხვარი, მორბოდნენ შურდულივით, სადაც სუფრა იყო გაშლილი, უტიფრად ეცნენ და შევარდნენ სუფრის ქვეშ და თუმცა ყოველი მხრიდან რტყმევით და ცემით უმასპინძლდებოდნენ, მაინც არ იცელიდნენ ფეხს და ფაცურობდნენ, რომ რაც შეიძლებოდა მეტი რამესათვის მოედვათ ტუჩი. ალბათ, საჭმელების სუნმა გააბრუა და თავდავიწყებამდის მიიყვანა დამშეული ოთხფეხი და აღარ ერიდებოდნენ აღარც ტრუბიას კბილებს, აღარც იმ ჯოხებს, რომელსაც გალაქტიონთან ერთად თავაზობდნენ სტუმრებიც.

ამგვარი ამათი საქციელი თან აკვირვებდა ყველას, თან უზომო სიცილს იწვევდა.

ალექსანდრე იცინოდა ისე გულიანად, რომ იქაურობას აყრუებდა.

— ა, ბატონო, ა!.. შეიძლება ამისთანა ამბავი?! — იძახოდა გამწარებული გალაქტიონი. — შეიძლება ამისთანა ამბავი?.. მიშველეთ რამე... ყველას გეხვეწებით, დამიხსენით იმ კაცისაგან!.. მეზობელი კი არა, ამაოხრებელი მტერია ჩემი!.. მიხსენით იმ არაწმინდისაგან!— შესჩიოდა იგი ყველას და უმეტესად ვასილ ივანიჩს და ალექსანდრეს.

ამგვარადვე წიაქობდა ზენათიც. ალექსანდრე კი ისევ ხითხითებდა, ხითხითებდა გულიანად.

— ვასილ ივანიჩ, სვინი, ვასილ ივანიჩ! ხა, ხა,ხა! სვინი, სვინი! — ჩასძახოდა იგი ვასილ ივანიჩს.

მაგრამ ვასილ ივანიჩს ამ ქვეყნის აღარაფერი ესმოდა, ისე იყო მთვრალი და მხოლოდ ლუღლუღობდა.

— ნუ ტებია... სამ სვინია! კ ჩორტუ!

— მიშველეთ, ერთი ახლა შეუცუცხუნოს საკადრისად... მიშველეთ! — ეხვეწებოდა გალაქტიონი ალექსანდრეს.

— რაღას შეუცუცხუნებს, ვერ ხედავ, შე დალოცვილო, კაცი საიქიოს მიემგზავრება! — იცინოდა ალექსანდრე.

— შენ აბა, შენ... მიქენი წყალობა!.. თუ ჩემი სიკეთე გსურს, დაუფთხე ანგელოზები იმ უსინდისოს, მაგ ნამუს დაკარგულს! შაშა, მიშველე! — ემუდარებოდა გალაქტიონი.

— გვიშველე, შენ სულს დავენაცვლე!.. აღარა ვართ მაგისაგან... გვიშველე, შენი ჭირი შემეყაროს! — ევლებოდა თავის ნათესავს ზენათი.

— გამოფხიზლდება აგერ და მაშინ, მაშინ!.. რა ყოფილა, რა ამბავია ეს... მართლა უცნაურობა რამე არაა?!. რა ნახეს ჩემმა თვალებმა! — შეუჩერებლად ხითხითებდა ალექსანდრე.

ღორები ერთი ვაი-ვაგლახით გადადენეს ეზოს გადაღმა, უგრძნობლად მთვრალი ვასილ ივანიჩი იქვე ცაცხვქვეშ გაშლილ ნოხზე დააწვინეს მოწიწებით, იმის იმედით, რომ ტკბილი ძილის შემდეგ გამოფხიზლებული დაიბარებდა ბაკულას და ცოლ-ქმარის გულის საჯეროთ შეტუქსავდა.

მაგრამ როცა საღამოს ვასილ ივანიჩმა გამოიღვიძა და ალექსანდრეც მოუყვა თუ რა ამბავი დააწიეს გალაქტიონის ეზოში ბაკულას ღორებმა, მან, ბურანში მყოფმა, ხელის გაქნევით წამოიძახა — ანუ იხ კ ჩორტუ! და წასვლა აიჩქარა. და რადგან დაჯინებით მოითხოვდა გამგზავრებას, ცხენებიც მოართვეს. და უცხო სტუმრები ისე გამოეთხოვნენ მასპინძელს, რომ მათი მაწუხებელი მეზობელი თვალითაც არ დაუნახავთ და სიტყვაც არ გაუცია მისთვის.

თუმცა ამან ცოტა არ იყოს გული დასწყვიტა ცოლ-ქმარს, მაგრამ ორივე დიდად კმაყოფილნი იყვნენ, რომ სტუმრებს სანაქებოდ დაუხვდნენ, ასიამოვნეს და იმ იმედით რჩებოდნენ, რომ დღევანდელი დღე თავის გაელენას იქონიებდა წინათ დაურიდებელ მეზობლებზე.

ამის გამო, თუ სხვა მიზეზით, მართლაც ერთ ხანზე ზენათის ბოსტანს შეღავათი მიეცა, შიგ ბაკულას ღორებს ფეხი აღარ შეუდგამთ, შესწყდა წინანდელი ზენათის ქაქანი, ტრუბიას ყეფა, ლანძღვა, გინება, რაც ბოსტნიდან მაღლა სერზე მცხოვრებთ ეგზავნებოდათ. თითქოს სასურველი მშვიდობიანობა ჩამოვარდა, იმედი გამართლებულიყოს და ნახმარ საშუალებას გაეჭრას, ისე ჰგავდა.

ცოლ-ქმარი ხოსოლიანები დიდად მოხარულნი იყვნენ. მაგრამ სიხარული ხანმოკლე გამოდგა. ორიოდე კვირის შემდეგ ღორებმა ისევ განაახლეს თავისი ჩვეულება, ისევ იწყეს ზენათის ბოსტნის

აწიოკება და რაც ხანი გადიოდა, თითქოს ჯინაზე, მეტსა და მეტს ზარალს აყენებდნენ, მეტად და მეტად ჯიჯგნიდნენ იქაურობას.

გამწარებულმა გალაქტიონმა თავის მფარველებს მიაშურა.

— რას შვება შენი მეზობლის ღორები? — სიცილით ჰკითხა ალექსანდრემ გალაქტიონი რომ დაინახა. — შეშინებულია თუ არა?.. კაცო, რა ღორები ჰყოლია... რა ჯიშისაა თუ ღმერთი გწამს?!. ხა, ხა, ხა!

— იცოცხლე იმას თავისი მოუვიდა... და აქამდისინ თქვენი წყალობით ერთობ მოსვენებული ვიყავით... მარა ახლა ისევ...

— ჰო!

— ისევ წინანდებურად დეიწყეს... ამომიგდეს ნაოფლარი! ვერასგზით ვერ მოვიშორე! ნამეტან ზარალს მაყენებენ, შაშა ჩემო!

— გადუარა შიშმა აბა! — გაიცინა ალექსანდრემ.

— უნდა მიშველოთ, შაშა!.. მარა ისე უნდა შემეწიოთ, რომ სამიდღემჩიოდ ჩამომშორდეს... მაგისთანას სხვანაირად უნდა მოექცეთ... რომ გონება დეებნას!

— აბა კიდევ შევაშინოთ... მარა უფრო მაგრად!

ამ დროს ოთახში ვასილ ივანიჩიც შემოვიდა.

— ნუ ჩტო, — მიმართა მან გალაქტიონს, — ისპუგალის?

— გადუვლია შიშს! — რუსულად მიუგო ალექსანდრემ.

— აბა არ შენაგვძლებია შეშინება! — გაიცინა ვასილ ივანიჩმა.

— ახლა ის უნდა, რომ სხვანაირად, უფრო მაგრად შევაშინოთ!.. უფრო კარგი ღვინით!..

— აბა მაგის მეტი საქმე აღარ გვქონია... მაგის მეზობლები ვაშინოთ! — წაილაპარაკა ვასილ ივანიჩმა და გაშორდა.

მეტად გულდაწყვეტილი დაბრუნდა გალაქტიონი შინ, რომ არაფრად მიიჩნიეს მისი შეწუხება მისმა საიმედო პირებმა.

— აბა იმისთვის გავწიეთ ამდენი ხარჯი, რომ მარტო შეესვათ, შეეთხვლიპათ ყველაფერი და არაფერში გამოგვდგომოდნენ?.. — წამოიძახა ზენათიმ, როცა გალაქტიონი მოუყვა თუ როგორ შეხვედნენ მას დაბაში. — იმისათვის გაგვაწვევიეს ამდენი ხარჯი, რომ ოხერ ბაკულასაგან ვერ დაგვიფარონ?!. აბა რაღა შეუძლიათ მაგათთანა ოხრებს?!.

გალაქტიონი კიდევ იმედით იყო მათზე და ორჯელ-სამჯერ კიდევ მოიარა დაბა და ინახულა ვასილ ივანიჩიც და ალექსანდრეც; მაგრამ მისთვის არავის სცალოდა, მისთვის თავს არავინ იწუხებდა და, როგორც ეტყობოდა, მისი პურ-მარილიც დავიწყებას ეძლეოდა.

ახლა ბაკულასთან ერთად მათზედაც გული ჯავრით ევსებოდა გალაქტიონსაც და ზენათისაც.

— მოგიკვდეს ჩემი თავი თუ მაგაზე, მაგ უნამუსოებზე ჯავრი არ ვიყარე! რამე არ დაემართე! — გულმოსულად წამოიძახა გალაქტიონმა ერთ დღეს ზენათისთან.

— რა უნდა დამართო, ერთი შენ! — შეუტია ზენათიმ.

— იმ ჩემ პურ-მარილს წავამწარებ! წავამწარებ ორივეს, თუ კაცი ვყოფილვარ!.. მეგონა კაცები იყვნენ!

— არაფერი ისულელო კიდო... არასფერში გეეხვიო, თუ ღმერთი გწამს!.. კმარა ისიც რაც ჩვენს თავზედაა! — უთხრა ზენათიმ.

— ჩემს პურ-მარილს წავამწარებ! — დაჯინებით განიმეორა გალაქტიონმა. — კი!

გულნატკენმა გალაქტიონმა უკანასკნელ ხანებში რამოდენიმეჯერ მოიარა დაბა და ერთ დღეს მაზრის სამართველოშიაც მივიდა ალექსანდრესთან.

— რავა მშვიდობით ბრძანდები, შაშა? — მიმართა გალაქტიონმა მას.

— ვართ, შენი ჭირიმე!

— ბატონი ვასილ ივანიჩი? ხომ კარგად არის?

— კარგად არი... მარა გალაქტიონ, გირჩევნია ნუ დაენახვები! — ღიმილით მიუგო ალექსანდრემ.

— რატომ. შენი ჭირიმე?.. საწყენი ჩემგან რა შეხვდა?

— შენგან არა პირადად... მარა შენი გამოისობით კი!

— რავა. რავა შენი ჭირიმე?.. გამაგებინე, შენ გენაცვალე! ღმერთო მომკალი! — შეწუხდა გალაქტიონი. — გამაგებინე, შენ გენაცვალე... რა იყო, რის თაობაზე?..

— რის თაობაზე და, შენსას რომ ვიყავით, ვილაცას დანოსი მოუწერია მაზრის უფროსისათვის... უწერია უცნაურად თუ როგორ დავიჭერით. ნამეტურ ვასილ ივანიჩი, როგორ დაგვერია ღორები, ევირიეთ ღორებში... რომ მთელი სოფლის სასაცილო გავხდით ვითომ... რომ უგრძნობელი ჩამოათრიეს სახლში... რა ვიცი რამდენი რამე ამისთანები... ერთი სიტყვით, რაც იყო, რაც არა... ათასი სისაძაგლე. გადარეული იყო მაზრის უფროსი, დეიბარა ვასილ ივანიჩი და ისეთი დღე დააყენა, რომ შენი მოწონებული... სამსახურიდან დათხოვას დაემუქრა, თუ კიდევ ამგვარი რამე განმეორდებაო... აბა!

— ღმერთო მომკალი! ღმერთო მომკალი! — გულში მუშტის ცემით ამბობდა გალაქტიონი.

— ჰოდა ეს მოხდა შენი მეზობლის შეშინებისათვის! მარა ის კი არ შეგვიშინებია, ჩვენ შეგვაშინეს უფრო, შენ გენაცვალე! — სიცილით თქვა ალექსანდრემ. — სამსახურიდან კაცი დაგითხოვონ, ეხუმრები შენ?..

— ღმერთო მომკალი! — წუხდა გალაქტიონი. — რა ხალხი ვართ, რა ხალხი ვართ!.. ყველგან შური!.. ახლა რაი და, ამისთანა კეთილები გოუჩნდაო, და აღარაფერს ერიდებიან, რომ თქვენი თავი დამიკარგონ!.. ჰმ! რა უნდა ქნა კაცმა, რაობით უნდა იცხოვრო?! ვიეი ვისიც ნამოქმედარია ეს საქმე!.. რაობით დაუმტკიცებ, თვარა რაღა ლაპარაკი უნდა, რომ იმ ვაჟბატონის, ჩემი მეზობლის, ბაკულის ეშმაკობაა... რა ლაპარაკი უნდა! მეტი ვინ იზამდა... ვის რა ენაღვლებოდა თქვენ მყოლებოდით! ქვეყანაზე მეორე არ მოიძებნება იმდაგვარი ყოველად წამხდარი, გაფუქებული, ზნედაცემული ადამიანი! თავს დავდებ თუ ეს მისი შტუკა არ არის!.. რაი და ჩემს ჯინაზე ვითომ!.. ღმერთო მომკალი, თქვენ რატომ შეგხვდათ ჩემი გულისათვის ასეთი უსიამოვნება, თვარა ის რაც კაცია, კი ვიცი!.. შაშა, ვნახავ ერთი ვასილ ივანიჩს!

— რათ გინდა?

— ბოდიშს მაინც მოვიხდი, რომ ჩემი გულისათვის ასეთი უსიამოვნება შეუხვედრებიათ!

— აჰ, თავი დაანებე! ისეთი გაჯავრებულია, რომ ყველა ჩვენებურს უშვერი სიტყვებით იხსენიებს!.. შენც უცნაურს რაცხას გეტყვის! ტყვილა გაალანძღვინებ თავს... ამ ერთ ხანზე მაინც ეერიდე! — ურჩია ალექსანდრემ.

— ღმერთო მომკალი! — შეწუხებით იმეორებდა გალაქტიონი. — ღმერთო მომკალი!.. რა ვქნა!.. მომსპო იმ კაცმა ყოველნაირად და ეს არის!.. ნეტავი კაცი მაინც იყოს!

ამ დროს ოთახში ვასილ ივანიჩიც შემოვიდა ქაღალდებით ხელში და რაღაც საქმე მოსთხოვა ალექსანდრეს. გალაქტიონმა მოწიწებით თავი დაბლა დაუკრა, მაგრამ ვასილ ივანიჩს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია და როცა მიუხედავად ამისა გალაქტიონმა მაინც მშვიდობა და კარგად ყოფნა უსურვა, მან წარბებშეკვრით წაილაპარაკა:

— ნუ ვას ესეხ კ ჩორტუ!..—და რაკი მოთხოვნილი საქმეც მიიღო, ოთახიდან გავიდა.

გალაქტიონმა მას თვალები გააყოლა და ისევ ალექსანდრეს მიმართა:

— შაშა, ოხერი კაცის გულისათვის ნუ გამრისხავთ თქვენი ჭირიმე!.. ყოველგვარად ნუ დააჯაბნიებთ ჩემს თავს, ჩემს ოჯახს იმ არაწმინდას!.. ამომიგდო, ამომიგდო ნამუშევარი. მადლობა ღმერთს ქონდეს, გოუძლებთ კიდევ, მარა იმ წყეულის წყალობით თქვენისთანა კეთილები რავა უნდა მეკარგებოდეს!.. ქვენი იმედით ვიყავი გაღონიერებული და მედგა სული!.. ნუ გამიმეტებთ, შაშა, ნუ დამ-

ღუპავთ, ნუ გამაგდებთ განზე უპატრონოდ!.. გაფიცებთ ყველა-ფერს!

და ამას ისეთ კილოთი ეუბნებოდა გალაქტიონი, რომ ალექსანდრესაც კი შეეცოდა იგი და არწმუნებდა, თავის მბიარული სიტყვით ანუგეშებდა, რომ იგი კვლავაც მისი შემწე და დამხმარე იქნებოდა სადაც კი გაუვიდოდა.

საღამოს შინ დაბრუნებული გალაქტიონი კი სიამოვნებით ეუბნებოდა ზენათის:

— იცოცხლე ორთავეს სიმწრის დღე მიჰყენებიათ!.. კი!.. ის რუსი კიღამ სამსახურიდანაც დაუთხოვიათ... გამშრალია, ხმას არ იღებს... იმ შენს ნათესავსაც ეტყობა კარგად მოხვედრია... არ ამხელს თელათ, თუ არა, იცოცხლე!.. ამით მაინც ვიჯერე გული!.. არ შეარგოთ ჩემი პურ-მარილი ჩემმა გამჩენმა!.. ხომ წავამწარე!..

— არ გაგიგონ, შე უბედურო, თვარა წამწარებას მაშინ იტყვი შენ! — უთხრა ზენათიმ.

— გამიგონ, აბა!.. იმათმა სიცოცხლემ! საიდან გამიგებენ? იმის დამწერი ამ ნიადაგზე აღარ არის — ისეთი კაცი ვიშოვე!.. ნეტავი მეტი რამე შეიძლებოდეს მე ისინი არ დავზოგო და ვერც გამიგებდნენ ვერაფერს!.. ოხრები, ქვეყნის მძარცველები, თავისი თავის მეტი არავინ ახსოვთ, არავის ჯავრი აქვთ! დასწყეველა ღმერთმა ყველა. არავისაგან საშველი არ არის! ყველა გამღლეტია. ყველა მძარცველია! — გამწარებით ამბობდა გალაქტიონი. — ამათზე ხომ ვიყარე გულის ჯავრი... მოუხდებათ!.. ერთ დღესაც გაწყვეტილან ყველა, ვისაც არ ვებრალებით! ყველა ერთ დღესაც გაწყვეტილან!

1920 წ.

სარჩევი

ჩემი ცხოვრების გზაზე

თავი პირველი	7
თავი მეორე	17
თავი მესამე	26
თავი მეოთხე	35
თავი მეხუთე	47
თავი მეექვსე	65
თავი მეშვიდე	80
თავი მერვე	100
თავი მეცხრე	143
თავი მეათე	155
თავი მეთერთმეტე	190
თავი მეთორმეტე	211
თავი მეცამეტე	226
თავი მეთოთხმეტე	237

მოთხრობები

შერისხვა	247
მსხვერპლი	253
სოლომან მორბელაძე	292
წრფელი გული	323
სამანიშვილის დედინაცვალი	355
მრეულში	428
ქამუშაძის გაჭირვება	444
მიქელა	559
თავადი პეტრე	574
როსტომ მანველიძე	578
მწობლის ნუგეში	586
ბაკულას ღორები	589

რედაქტორი ს. კლდიაშვილი
გამომც. რედაქტორი ილ. ხოშტარია
მხატვარი ბ. კაკაბაძე
მხატვრული რედაქტორი გ. გორდელაძე
ტექრედაქტორი ზ. ხუნდაძე
კორექტორები: ლ. არეშიძე, ნ. თავაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/XI-61 წ.
ქაღალდის ზომა 60×90 1/16.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 32,7.
ნაბეჭდი თაბახი 38. საავტორო თაბახი 32,05.
ტირაჟი 20.000. შეკვ. № 599.
ფასი 1 მან. 50 კაპ.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის სტამბა № 1-ლი,
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

1-я типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.